ჟიულ ვერნი

კაპიტან გრანტის შვილები

თარგმნა
ნიკო კურდღელაშვილმა

(ახალი რედაქცია)

შოტლანდიაში ინგლისელების ბატონობით უკმაყოფილო მამაცი კაპიტანი გრანტი გადაწყვეტს, გამოიკვლიოს წყნარი ოკეანის კუნძულები, რომ ერთ-ერთ მათგანზე თავისუფალი შოტლანდიური კოლონია დაარსოს. გავიდა ხანი და გრანტის ექსპედიცია უგზო-უკვალოდ დაიკარგა. კაპიტნის თანამემამულე ლორდი გლენარვანი იახტა "დუნკთან" გრანტის საძებნელად მიემართება.

დედამიწის ირგვლივ მოგზაურობაში უთუოდ სიამოვნებით დაემგზავრებით ლორდ გლენარვანს, მის მეუღლე ელენს, მაიორ მაკ-ნაბს, კაპიტან ჯონ მანგლსს, გრანტის ქალ-ვაჟს, მერისა და რობერტს; და კიდევ დაბნეულ, გულკეთილ, მაგრამ შესანიშნავ გეოგრაფ ჟაკ პაგანელს.

მამაც მოგზაურებს წინ უამრავი ხიფათი ელის. თქვენ მათთან ერთად გადალახავთ სამხრეთ ამერიკას, ავსტრალიას, მიაღწევთ ახალი ზელანდიის სანაპიროებს და ნამდვილი მეგობრობისა და სიყვარულის ძალაში დარწმუნდებით.

ნაწილი პირველი

თავი I

ხვედანა

1864 წლის ივლისის ჩრდილოეთის სრუტეში სწრაფად მისრიალებდა მშვენიერი იახტა. მისი ბიზანის [1] წვერზე ფრიალებდა ინგლისური დროშა, გროტ-ანძაზე[2] კი - ბრეიდ-ვიმპელი[3], როემლზეც ოქროთი იყო ამოქარგული ინიციალები - "ე. გ.".

იახტას "დუკანი" ერქვა. იახტა ერთ შოტლანდიელ პერს, ლორდთა პალატის წევრსა და მთელ გაერთიანებულ სამეფოში ცნობილი ტემზის იახტკლუბის საპატიო წევრს, ლორდ ედუარდ გლენარვანს ეკუთვნოდა. გლენარვანი ამჟამად იახტაზე იმყოფებოდა; მას თან ახლდა ახალგაზრდა მეუღლე ელენი და მისი ბიძაშვილი მაიორი მაკნაბსი.

"დუკანი" პირველად გამოსულიყო საცდელად კლაიდის უბიდან რამდენიმე მილის დაშორებით და ახლა თავის ნავსადგურ გლაზგოში ბრუნდებოდა.

ის იყო, ჰორიზონტზე ოდნავ აისახა კუნძულ არანის ბუნდოვანი

1-2 ბიზანი და გროტი - ანძები.

3 ბრეიდ-ვიმპელი - ვიწრო და გრძელი ალამია, ორწვერად დაბოლოვებული.

მოხაზულობა, რომ ვახტზე მდგომმა მეზღვაურმა ზღვაში შეამჩნია უშველებელი თევზი, რომელიც ხომალდს ასდევნებოდა. ეს ამბავი კაპიტანმა ჯონ მანგლსმა ლორდ გლენარვანს მოახსენა. გლენარვანი მაშინვე გემბანზე ავიდა მაიორის თანხლებით და ზღვას გახედა.

- ეს რა თევზი უნდა იყოს, კაპიტანო?

- მგონი, ზვიგენი, სერ.

- ზვიგენი ამ მიდამოებში? - გაიკვირა გლენარვანმა.

- შეუძლებელი არაფერია, - მიუგო კაპიტანმა, - ეს ხვედანაა. ზვიგენების ის სახეობა, რომელიც ყველა ზღვასა და განედზე გხვდება. უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი ონავარი და ღორმუცელაა. თუ ნებას მომცემთ და ლედი გლენარვანი პატივს დაგვდებს და დაესწება ამ საინტერესო ნადირობას, ახლავე დაგარწმუნებთ ამაში.

- რას იტყვით, მაკ-ნაბს? - მიუბრუნდა ლორდი მაიორს, - გნებავთ, ბედი ვცადოთ?

- ყველაფრისთვის მზად მიგულეთ, - დინჯად მიუგო მაიორმა.

- ისიც უნდა მომეხსენებინა, რომ ხვედანა მტაცებელი ცხოველია და სულ ერთიანად უნდა გაწყვიტოს ადამიანმა, - განაგრძობდა კაპიტანი ჯონ მანგლსი.

- იყოს ნება თქვენი, ჯონ, სცადეთ! - უპასუხა გლენარვანმა.

ეს ამბავი ელენსაც მოახსენეს და ის მყისვე გემბანზე გაჩნდა, რადგან ძალიან დაინტერესდა ასთი სათვალსეიროთი. მიმყუდროვებულ ტალღებზე ჭავლი ოდნავ ციმციმებდა. ყველანი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ხვედანას სწრაფ სრიალს. ის ხან ზვირთებში ჩაყვინთავდა, ხან საოცარი სისწრაფით ამოსხლტებოდა და ჰარეში შეტრიალდებოდა.

კაპიტანმა მეტად საჭირო განკარგულება გასცა. მეზღვაურებმა გემის მარჯვენა ქიმიდან ისროლეს ანკესი, რომელზეც სატყუარა - ღორის ქონის ნაჭერი წამოაგეს. მსუნაგმა თევზმა ორმოცდაათიოდე იარდის[1] მანძილიდანვე იგრძნო სასუსნავი და გაშმაგებით გამოექანა მისკენ. უშველებელი ფარფლების ძირები შავი ჰქონდა, ბოლოები კი ნაცრისფერი.

ფარფლებით მძაფრად კვეთდა ტალღებს, კურდს კი საჭედ ხმარობდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ხომალდს, მით გარკვევით მოჩანდა მისი გადმოკარგლული თვალები, ხოლო გულაღმა შეტრიალეისას ფართო დაღებული ყბებიდან - ოთხრიგად მოჭედილი ბასრი კბილები. ბრტყელი, უზარმაზარი თავი ისე გადაბმოდა ტანს, თითქოს ხვედანას თავში ჩაქუჩის ტარი გაუყრიათო. ჯონ მანგლსი არ შემცდარა, ეს მართლაც ნამდვილი ზვიგენის ჯიშის ხვედანა თევზი იყო.

"დუკანის" მგზავრები და მეზღვაურები დაძაბული ყურადღებით გასცქეროდნენ მის სრიალს.

აგერ, წასწვდა სატყუარას, გულაღმა შეტრიალდა და უცებ ღორის ქონი კაუჭიანად ჩაუსრიალდა დაღრენილ ხახაში. მეზღვაურებმა ხომალდიდან გადაუშვეს ანძაზე მიმაგრებული ამწე და ბაგირის ბლოკით გამოსწიეს. ხვედანამ იგრძნო, რომ თავის სტიქიონს აშორებდნენ და საშინელი ძალით გაიბრძოლა, მიეხეთ-მოეხეთქა და ფართხალით ტალღები ააქაფა, მაგრამ ამ დროს ბოლოზე გაენასკვა მარჯვედ ნასროლი ქამანდი და ხვედანამაც დაწყნარება იკადრა. მეზღვურებმა ბლოკების საშუალებით ამოათრიეს ზღვიდან და ხომალდის გემბანზე გაშლხართეს. ერთი

მათგანი ფრთხილად მიუახლოვდა, ღონივრად დაჰკრა ცული და საშინელი _____

1 ერთი იარდი უდრის 0,91 მეტრს.

ბოლო ტანს მოაგდებინა.

ხვედანა ახლა საშიში აღრა იყო. ნადირობის ეშხი დამთავრდა. მეზღვაურების სიძულვილი ზვიგენისადმი განელდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობის ჟინი არ იყო მოკლებული. საერთოდ, გემბანზე ჩვეულებად აქვთ: ზვიგენს კუჭს

გაუჭრიან და შეამოწმებენ, რადგან იციან მისი ღორმუცელობის ამბავი. ხშირად მის კუჭში მართლაც უცნაურ საგნებს წააწყდებიან ხოლმე.

ელენ გლენარვანს შეეზარა ეს საზიზღარი სანახაობა და თავის კაიუტას მიაშურა. ხვედანა ჯერ კიდევ ფეთქავდა. სიგრძით ათი ფუტი გამოვიდა, წონით კი ექვსასი გირვანქა[1]. თუმცა ხვედანა ზომითა და სიმძიმით ზვიგენის სხვა ჯიშის თევზებს ბევრად ჩამოუვარდებოდ, მაგრამ ეს თევზი ამაზე პატარაც კი ძალიან საშიში და ონავარია.

კუჭი ნაჯახით გაუპეს, მაგრამ ვერაფერი უნახეს. ალბათ, კარგას ხანია, რაც საკბილო ვერ მოეგდო. იმედგაცრუებულებს ზღვაში უნდოდათ გადაეგდოთ, როდესაც ბოცმანმა რაღაც მაგარი ნივთი შეამჩნია მუცლის არეში.

- მოიცა! აგერ, რაღაც არის!

- ესა? კლდის ნატეხია, ბალასტის ნაცვლად ჩაუყლაპავს!

- რომელი კლდის ნატეხია, რას ამბობ?! - ჩაერია მეორე მეზღვაური, - დახეთ, ამ ღორმიუცელას, მთელი ყუმბარა ჩაუყლაპავს და ვეღარ მოუნელებია!

- გაჩუმდით ერთი, ყუმბარა კი არა! - ჩაერია კაპიტნის თანაშემწე ტომ ოსტინი, - ამას დამიხედეთ! ... რა ლოთი ყოფილა, ღვინო ბოთლიანად გადაუსანსლავს!...

- რაო? ყური ცქვიტა გლენარვანმა, - ბოთლი კუჭში?

- დიახ, ნამდვილი ბოთლი გახლავთ, სერ, თუმცა უნდა ითქვას, ახალმოტანილი არ უნდა იყოს სარდაფიდან! - განაგრძო ტომ ოსტინმა.

- ტომ, ფრთხილად ამოაცალეთ, - უთხრა გლენარვანმა, - ზღვაში ნაპოვნი ბოთლი ხშირად ძვირფას ცნობებს შეიცავს.

- ახლაც ასე ფიქრობთ, მილორდ? - შეეკითხა მაიორი.

- დიახ, ახლაც მოსალოდნელია ასეთი ამბავი.

- არ აგიხირდებით, თითქოს მეც ვგრძნობ, რომ რაიმე საიდუმლოებს წავაწყდებით.

- ვნახოთ! - მიუგო გლენარვანმა და ოსტინს მიუბრუნდა, - ტომ, როგორაა საქმე?

- აი, მზად გახლავართ! - უპასუხა ოსტინმა და გაუწოდა გაურკვეველი მოყვანილობის საგანი, რომელიც ძლივს ამოგლიჯა ხვედანას კუჭიდან.

- ძალიან კარგი, ტომ! სუფთად გაარეცხინეთ და კაიუტკომპანიაში[2] ჩამომიგზავნეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ასეთ უცნაურ პირობებში ნაპოვნი ბოთლი მაგიდაზე იდგა. მას გარს შემოსხდომოდნენ ლორდი გლენარვანი, მაიორი მაკ-ნაბსი, კაპიტანი ჯონ მანგლსი და ლედი ელენი, რომელიც ისევე როგორც ყველა ქალი, ცნობისმოყვარე გახლდათ.

ზღვაზე უბრალო შემთხვევაც კი დიდ ამბად იქცევა ხოლმე.

ერთხანს ყველანი უსიტყვოდ ათვალიერებდნენ ნაპოვნ ბოთლს. ნეტავ რა იქნება შიგ? უმნიშვნელო ცნობა თუ ზღვის ტალღებისთვის განდობილი თავგადასავალი რომელიმე დაღუპული გემისა?!

---

1 ერთი ფუტი - 30 სანტიმეტრია; ერთი გირვანქა - 409 გრამი.

2 კაიუტკომპანია - საერთო დარბაზი გემზე.

გლენარვანი ისე გულმოდგინედ აკვირდებოდა ბოთლს, როგორც გამომძიებელი ათვალიერებს ხოლმე დანაშაულის ნივთიერ საბუთს. სწორადაც იქცეოდა, ხშირად მცირეოდენი კვალის ნასახიც მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიიყვანს კაცს.

ჯერ ბოთლი გარედან დაათვალიერეს. მაღალყელა იყო და ჟანგისაგან შეჭმული მავთული ეხვია. ბოთლი სქელი მინისა იყო, ასე რომ, რამდენიმე ატმოსფერულ წნევას გაუძლებდა. ყოველივე ეს ამტკიცებდა, რომ ბოთლი

შამპანიდან იყო წამოღებული. ეპრენესა და აის მევენახეები ამგვარი ბოთლებით სკამის საზურგეს ამტვრევენ ხოლმე და ბოლთი არც კი იბზარება. აშკარაა, რომ ეს ბოთლი კიდევ დიდხანს შეძლებდა ტალღებზე ტივტივს.

- კლიკოს ფირმისაა, [1] - დინჯად თქვა მაიორმა და არც ვინმე შესდავებია, რადგან ამ დარგის მცოდნედ ითვლებოდა.

- ჩემო კარგო, განა ჩვენთვის სულერთი არ არის, რომელი ფირმისაა, თუკი ვერ გავიგებთ, საიდან გაჩნდა აქ? - შენიშნა ელენმა.

- მაგასაც შევიტყობთ, ძვირფასო, - მიუგო გლენარვანმა, - ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბოთლს დიდი მანძილი უნდა ჰქონდეს გამოვლილი. დააკვირდით, გარედან ნალექი აქვს შემოკრული, ეს მოვლენა ზღვის მლაშე წყლის გავლენითაა გამოწვეული. ეტყობა, დიდხანს უმოგზაურია ოკეანეში, სანამ ხვედანას კუჭში მოხვდებოდა.

- არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ, - მიუგო მაიორმა, - ამ მსხვრევად ჭურჭელს ასეთი გარსის წყალობით დიდი მანძილის გავლა შეეძლო.

კი, მაგრამ საიდან უნდა იყოს წამოღებული? - იკითხა ელენმა.

- მოთმინება იქონიეთ, ძვირფასო, მოთმინება! ასეთ ბოთლებს მეტი მოთმინებით უნდა მოვეპყრათ. მე მგონია, რომ ყველაფრის პასუხს თვითონ ბოთლი მოგვცემს, - მიუგო

გლენარვანმა, თან ფრთხილად ფხეკდა ბოთლზე დალექილ ფენას და მალე საცობამდე დაიყვანა, მაგრამ საცობი ზღვის მლაშე წყალს გამოეხრა.

- სამწუხაროა, - ჩაილაპარაკა გლენარვანმა, - თუ ბოთლში რამე ბარათი არის, უიმედო მდგომარეობაში იქნება.

- მოსალოდნელია, - ჩაურთო მაიორმა, - ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საცობის უვარგისობის გამო ბოთლი უეჭველად ჩაიძირებოდა, ხვედანას რომ არ გადაეყლაპა და "დუნკაზე" არ მოხვედრილიყო.

- რა თქმა უნდა, - ჩაერია კაპიტან ჯონ მანგლსი, - თუმცა ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა, ბოთლი სადმე გაშლილ ზღვაზე, განსაზღვრულ განედსა და გრძედზე გვეპოვა. მაშინ ადვილად გამოვიკვლევდით ჰაერისა და ზღვის დინების მიმართულებას, გეზსა და ბოლოს, სადაურობასაც იოლად შესვიტყობდით. ახლა კი გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ხვედანა არც პირქარს მიჰყვება, არც ზღვის დინებას და პირდაპირ მიაპობს ტალღებს.

- ვნახოთ, რაშია საქმე, - ჩაილაპარაკა გლენარვანმა და ფრთხილად ამოაძრო საცობი.

დარბაზში ბოთლიდან ამოვარდნილი მლაშე წყლის წუნი დატრიალდა.

- არის რაიმე შიგ? - ქალური მოუთმენლობით იკითხა ელენმა.

- დიახ, არ შევმცდარვარ. ბოთლში მართლაც ბარათები მოჩანს, - თქვა გლენარვანმა.

- ბარათები?! - ბარათები?! - წამოიძახა ელენმა.

- მაგრამ, - დასძინა გლენარვანმა, - სინესტისაგან დამბალა. ამოღებაც ძნელია, _____

1 კლიკო - შამპანური ღვინის ცნობილი მარკა.

ბოთლის კედლებს მიჰკვრია.

- გავტეხოთ ბოთლი, - ურჩია მაკ-ნაბსმა.

- გასატეხად არ მემეტება, სჯობია, მთელი დარჩეს, - უპასუხა გლენარვანმა.

- არც გასამეტებელია, - მაშინვე დაეთანხმა მაიორი.

- გეთანხმებით, - თქვა ელენმა, - მაგრამ ჩვენთვის ის უფრო ძვირფასია, რაც შიგ არის. ამიტომ ბოთლის გამეტება შეიძლება.

- თავი წაატეხეთ ისე, რომ ბარათების ამოღება გაგვიადვილდეს, - ურჩია კაპიტანმა.

- მართალია, ძვირფასო ედუარდ, მართალი! - არ ისვენებდა ელენი.

მეტი გზა არ იყო. გლენარვანმა ბოთლს ჩაქუჩით წაატეხა თავი, რადგან მის გარშემო დალექილი ფენა გრანიტივით მაგარი იყო.

ბოთლში ერთიმეორეზე შეწებებული სამი ბარათი აღმოჩნდა. გლენარვანმა სათუთად ამოიღო, ფრთხილად გააცალკევა და მაგიდაზე ხელით დაუწყო სწორება.

ელენი, მაიორი და კაპიტანი შემოხვეოდნენ და გაფაციცებით მისჩერებოდნენ ხელებში.

თავი II

სამი ბარათი

სამივე ბარათზე ზღვის მლაშე წყალს ნაწრი თითქმის წაეშალა, აქა-იქ დარჩენილი რამდენიმე სიტყვის გარდა. გლენარვანი რამდენიმე წუთს გულსადმით სინჯავდა ბარათებს, ხელში ატრიალებდა, სინთლეზეც გახედა. ჩაჰკირკიტებდა ყოველ უმცირეს კვალს სიტყვებისა, რომლებიც ზღვას ვერ წაეშალა. ბოლოს გადახედა მეგობრებს, რომლებიც სულგანაბულნი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ.

- სამივე ბარათი ერთიმეორის ასლია სამ ენაზე. აქ არის ინგლისური, ფრანგული და გერმანული ბარათები. მათ ერთნაირობას ამტკიცებს ის რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ბარათებზე წაუშლელი დარჩენილა.

- მაგ სიტყვებიდან შეიძლება რაიმე აზრის გამოტანა? - შეეკითხა ელენი.

- გადაჭრით ვერას ვიტყვი, სიტყვები დაუმთავრებელია.

- ეგების ბარათებმა შეავსონ ერთიმეორე! - ჩაურთო მაიორმა.

- ვნახოთ, - გაეპასუხა ჯონ მანგლსი, - ყოვლად შეუძლებელია, რომ სამივე ბარათზე ერთი და იგივე სიტყვები გადასულიყო! ერთიმეორეს რომ შევუფარდოთ, იქნებ გარკვეული აზრიც მივიღოთ.

- ასე მოვიქცეთ! - უპასიუხა გლენარვანმა, - მაგრამ თანმიმდევრობა გვმართებს. ავიღოთ, თუნდაც, ინგლისური ბარათი. ამ ბარათზე დარჩენილი სიტყვები შემდეგი წესით არის დალაგებული:

62 B ri gow sink a lnd stra skipp C r and lost that m onit of long ssistance

- აქედან რაიმეს გაგება ძნელია, - უიმედოდ ჩაილაპარაკა მაიორმა.

- მაგრამ კარგი ინგლისურით კი არის დაწერილი, - მიუგო კაპიტანმა ჯონ მანგლსმა.

- მართლაც, - დაადასტურა გლენარვანმა, - ავიღოთ თუ გნებავთ სიტყეები sink, aland, that, and, lost - მთლიანად შენახულია; skipp, ალბათ, უნდა იყოს skipper- შკიპერი; მოხსენიებულია ვინმე გრ... ალბათ, დაღუპუი ხომალდის შკიპერი.

- მაგრამ, რომ დავუმატოთ სიტყვები monit და assistance[1], მაშინ აზრი უფრო ნათელი გახდება.

- ნახეთ, ცოტა რამ უკვე მისხვედრი ხდება, - ჩაურთო ელენმა.

- სამწუხაროდ, მთელი სტრიქონებია წაშლილი. როგორ გავიგოთ ხომალდის სხელწოდება, მისი დაღუპვის ადგილი? - თქვა მაიორმა.

- მაგასაც მივაგნებთ, - რწმენით მიუგო გლენარვანმა.

- მიგნებით მივაგნებთ, მაგრამ რა გზით? - იკითხა მაიორმა, რომელიც ყველა მოსაუბრის მოსაზრებას ემხრობოდა.

- ბარათები ერთმეორით შევავსოთ, - შესთავაზა გლენარვანმა.

- მაშ, დროზე შეუდექით! - შეევედრა ელენი.

მან მეორე ბარათი აიღო. მასზე უფრო მეტი სიტყვები იყო გადასული და ხუთიოდე სიტყვე ემჩნეოდა, შემდეგნაირად დალაგებული:

7 Iuni Glas rwei atrosen graus bringt ihnen

- გერმანული ყოფილა, - თქვა ჯონ მანგლსმა, ბარათს რომ დახედა.

- განა გერმანულიც იცი, ჯონ? - შეეკითხა გლენარვანი.

- ზედმიწევნით.

- მაშ, აგვიხსენით, გეთაყვა, ამ სიტყვების მნიშვნელობა.

- აქ პირველი სიტყვით აღნიშნულია ხომალდის დაღუპვის თარიღი. ე.ი. 7 ივნისი; ამას რომ ინლისური ბართიდან მივუმატოთ 62, მივიღებთ, რომ ხომალდი დაღუპულა 1862 წლის 7 ივნისს.

- დიდებულია! - წამოიძახა ელენმა, - განაგრძეთ, ჯონ, განაგრძეთ!

- იმავე სტრიქონის ბოლოში არის სიტყვის ნაწვეტი Class; ამას რომ პირველი ბარათიდან მივუმატოთ სიტყვის ნაწყვეტი gow; მივიღებთ სიტყვას G;asgow (გლაზგოი). ცხადია, ლაპარაკიია გემზე ნავსადგურ გლაზგოდან.

- მეც ასე მგონია, - დაურთო მაიორმა.

- მეორე სტრიქონის ბოლოში მნიშვნელოვანი სიტყვებია დარჩენილი zwei , ორი და atrosen, ანუ Matrosen - მეზღვაურები.

- მაშასადამე, აქ ლაპარაკია კაპიტანსა და ორ მეზღვაურზე, - ჩაილაპარაკა ელენმა.

- ალბათ! - მიუგო გლენარვანმა.

- უნდა გამოვტყდე, რომ ვერ მომიხერხებია graus- ის გადმოთარგმნა; შეიძლება მესამე ბარათი მოგვეხმაროს მისი მნიშვნ ელობის გაგებაში. უკანასკნელი ორი სიტყვა კი ადვილი ასახსნელია, - bringt ihnen - ნიშნავს მიაწოდეთ, მაგრამ ინგლისური _____

1 Monit - შეკვეცილი სიტყვა Monition - საბუთი; Assistance - თავმოკვეთილი; Assistance - დახმარება.

ბარათიდან სიტყვა asistance, რომ მივუმატოთ, გამოვა - მიაწოდეთ დახმარება, დაეხმარეთ, მიეშველეთ.

- ცხადია! მოგვეშველეთ, გადაგვარჩინეთო! - თქვა გლენარვანმა, - მაგრამ რომ არ ვიცით, სად იმყოფებიან! არც ხომალდის დაღუპვის ადგილია ნახსენები!...

- იმედია, ფრანგული ბარათიც მოგვცემს რაიმე განმარტებას, - ანუგეშა ელენმა.

- ფრანგულიც ვნახოთ! - მიუგო გლენარვანმა, - ფრანგული ყველამ ვიცი და გაგება გაგვიადვილდება. აი, ფრანგული ბარათის ნამდვილი ასლი:

trois	ats tannia
	gonie aus tra l
conit	abor
	p r cruelindi
jete	
Ii 37°11´	lat onigt

- აქ ციფრებიც ყოფილა ბატონებო! - წამოიძახა ელენმა.

- ახლა დალაგებით მივყვეთ, - თქვა გლენარვანმა, - და თავიდან დავიწყოთ. აღვადგინოთ მთლიანი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვების აზრი. ჯერ ერთი, პირველი ასოებიდან ჩანს, რომ ლაპარაკია სამანძიან ხომალდზე, რომელსაც ინგლისური და ფრანგული დედნის მიხედვით "ბრიტანია" ეწოდება, ორი სიტყვიდან - gonie და ausral - მხოლოდ მეორეს აქვს აზრი, რომელიც ყველას გესმით.

- ეგეც ძვირფასი მითითებაა, ხომალდი სამხრეთ ნახევარსფეროში დაღუპულა, - მიუგო ჯონ მანგელსმა.

- ეს ჯერ კიდევ ცოტაა, - შენიშნა მაიორმა.

- მე განვაგრძობ, - სიტყვა ჩამოართვა გლენარვანმა, - abor- ეს aborder - ზმნის ძირი უნდა იყოს, როგორც ეტყობა, იმ უბედურებს ნაპირისათვის მიუღწევიათ, მაგრამ სად? conit ... კონტინენტზე! ... მაგრამ რომელზე? cruel - სასტიკი.

- სასტიკი! - წამოიძახა ჯონ მანგლსმა, - ეს სიტყვა განმარტებას აძლევს გერმანულ ბარათში დარჩენილ სიტვას graus - ეს არის grausam - სასტიკი.

- განვაგრძოთ! - თქვა წახალისებულმა გლენარვანმა, - ალბათ, ინდოეთზე თუ არის ლაპარაკი, სადაც ნაპირზე გადასულან... ეს სიტყვა რაღას უნდა ნიშნავდეს onigt? ჰოო, ალბათ, უნდა იყოს - longitud (გრძედი), აგერ, აქვეა განედიც - 37°. ძლივს მივაგენით ნამდვილსა და გარკვეულ ცნობას!

- გრძედი რომ აკლია? - შენიშნა მაკ-ნაბსმა.

- ძვირფასო მაიორო, ყველაფერი ხომ არ შეიძლება ყოფილიყო. ისიც ბევრს ნიშნავს, რომ განედი გარკვეულად არის აღნიშნული, - მიუგო გლენარვანმა, - ფრანგული ბარათი მართლაც უფრო სრული აღმოჩნდა... ეტყობა, ბარათები ერთიმეორეს ასლი უნდა იყოს. წარმოიდგინეთ, სამივე ბარათში სტრიქონების რაოდენობაც კი თანაბარია, მაშასადამე, სამივე ბარათის სიტყვები და სტრიქონები ერთიმეორეს რომ შევუერთოთ, უფრო გაგვიადვილდება საერთო შინაარსის გაგება.

- რომელ ენაზე გსურთ, ფრანგულად, ინგლისურად თუ გერმანულად? - იკითხა მაიორმა.

- ფრანგულად სჯობია, რადგან უმნიშვნელოვანესი სიტყვების უმეტესი ნაწილი ფრანგულ ბარათში შენახულა, - მიუგო გლენარვანმა.

- მართალს ბრძანებთ, სერ, - დაეთანხმა ჯონ მანგლსი, - მით უმეტეს, რომ ფრანგული ენა ყველამ კარგად ვიცით.

- მაშ ასე, გადაწყვეტილია! სამივე ბარათიდან ერთ ბარათს შევადგენ, სიტყვებისა და ფრაზის ნაწყვეტებს თავ-თავიანთ რიგზე მივაყოლებ, ამოჭმული სიტყვების ადგილებს ცარიელს დავოვებ და მხოლოდ იმ სიტყვას ჩავურთავ, რომელიც დედანს მიუდგება. შემდეგ შევადაროთ და ავწონ-დავწონოთ.

გლენარვანმა კალამს მოჰკიდა ხელი და რამდენიმე წუთის შემდეგ მეგობრებს გაუწოდა შემდეგნაირად შედგენილი ბარათი.

"7 ივნისს 1862 წელს სამანძიანი "ბრიტანია" გლაზგოდან
დაიღუპა. გონია სამხრეთ
მიწაზე ორმა მეზღვაურმა
კაპიტანმა გრ. მიაღწიეს
კონტინ ტყ სასტიკ ინდ.
ეს ბარათი გადავაგდეთ გრძედისა
და განედზე 37°11´ გადაარჩინეთ
დაიღუპნენ".

ბარათის კითხვისას კაიუტკომპანიაში მეზღვაური შემოვიდა და კაპიტან ჯონ მანგლსს მოახსენა:

- "დუკანი" კლაიდის ყურეს უახლოვდება, ველით თქვენს განკარგულებას, რა გეზი ავიღოთ?

- როგორ ინებებთ, მილორდ? - მიუბრუნდა კაპიტანი გლენარვანს.

- ჯონ, მინდა სასწრაფოდ მივაღწიოტ დუმბრატონს. იქიდან ლედი ელენი მალკოლმ-კესტლში დაბრუნდბა, მე კი ლონდონს გავეშურები და ბარათებს საადმირალოში წარვადგენ.

კაპიტანმა სათანადო განკარგულება მისცა მეზღვაურებს თავისი თანამშემწე ტომ ოსტინისათვის გადასაცემად.

- მეგობრებო, განვაგრძოთ კვლევა, - თქვა გლენარვანმა, - როგორც ხედავთ, დიდი უბედურების კვალს წავაწყდით. ახლა ჩვენს გამჭრიახობაზეა დამოკიდებული იმ სამი ადამიანის სიცოცხლე. მაშ, მოვიკრიბოთ მთელი ძალ-ღონე და გავარკვიოთ საქმის ვითარება.

- ჩვენ მზადა ვართ, ედუარდ, - მიუგო ელენმა.

გლენარვანი განაგრძობდა.

- ამ ბარათებში სამი რამ უნდა გამოვაცალკეოთ: პირველი, - ის ფაქტი, რაც ბარათებიდან ვიცით; მეორე - რასაც შეიძლება გუმანით მივხვდეეთ; და მესამე - ის გარემოებანი, რაც ჯერჯერობით არ ვიცით. ჩვენ ვიცით, რომ 1862 წლის 7 ივნისს გლაზგოდან გასული სამანძიანი ხომალდი "ბრიტანია" დაღუპულა, ორ მეზღვაურსა და კაპიტანს ბარათებიანი ბოთლი ზღვაში გადაუგდიათ განედის 37°11´- ზე და შველას ითხოვენ.

- სრული ჭეშმარიტებაა, - დაადასტურა მაიორმა.

- აქედან რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია? - განაგრძო გლანარვანმა, - ჯერ ერთი, ხომალდი სამხრეთის ზღვებში დაღუპულა. აი, ამის გამო მინდოდა თქვენი ყურადღება მიმექცია დარჩენილი სიტყვის ნაწყვეტისათვის: ეს სიტყვა რომელიმე ქვეყნის სახელწოდების ნაწყვეტი ხომ არ არის?

- პატაგონია! - უცებ წამოიძახა ელენმა.

- ცხადია!

- კი მაგრამ, განა პატაგონია 37° - ზე მდებარეობს? - იკითხა მაიორმა.

- ამას ახლავე შევამოწმებთ, - მიუგო ჯონ მანგლსმა, სამხრეთ ამერიკის რუკა გადმოიღო და მაგიდაზე გაშალა.

- დიახ, ოცდამეჩვიდმეტე პარალელი ზედ პატაგონიაზე გადის, გადასერავს არაუკანიას, პამპას, გდაივლის პატაგონიის ჩრდილოეთის ოლქს და შემდეგ ატლანტის ოკეანეში იკარგება.

- კეთილი! განვაგრძოთ ამოხსნა! სიტყვა abor ხომ არ წამოადგენს ფრანგული ზმნა aborder-ის ნაწილს - მიდგომას, მიყენებას? თუ ასეა, მაშასადამე, ორმა მეზღვაურმა და კაპიტანმა მიაღწიეს... რას მიაღწიეს? კონტ... კონტინენტს! ხომ გესმით, კონტინენტს და არა - კუნძულს. მერე არა დაემართათ? აი, აქ მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ასოღა არის დარჩენილი, - ტყ... ეს სიტყვა უნდა გამოხატავდეს მათ ხვედრს. ალბათ, ის უბედურები ტყვედ ჩაუვარდნენ ვისმე... მაგრამ ვის? "სასტიკ ინიდლებს". დამაჯერებელია თუ არა? განა ამ ბარათების აზრი ნათელი არ შეიქნა თქვენთვის?

გლენარვანის კილო დამაჯერებელი იყო, თვალები რწმენით უბრწყინავდა, მაგობრებსაც გადაედო მისი განცდა.

- ცხადია! ... აშკარაა!... - შესძახეს ერთხმად.

- მეგობრებო, ეს მოსაზრება დამაჯერებლად მიმაჩნია, - განაგრძობდა გლენარვანი, - ცხადია, ხომალდი პატაგონიის სანაპიროსთან დაღუპულა, მაგრამ "ბრიტანიის" შესახებ მე მაინც მოვითხოვ ცნობებს გლაზგოში, სახელდობრ, მისი დანიშნულების შესახებ. მაშინ უფრო დარწმუნებით გვეცოდინება, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ხომალდი პატაგონიის მიდამოებში მოხვედრილიყო.

- ამის გასაგებად ასე შორს არ დაგჭირდებათ წასვლა, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - აქა მაქვს "სავაჭრო-საგზაო გაზეთის" კომპლექტი და ის მოგვცემს ნამდვილ ცნობას.

- ნახეთ, გეთაყა, ნახეთ! - შესძახა ელენმა.

კაპიტანმა გაზეთი 1862 წლის კომპლექტი გადმოიღო, საჩქაროდ დაუწყო ფურცვლა და მალე კმაყოფილებით ამოიკითხა: - "30 მაისი, 1862 წელი. "ბრიტანია". კაპიტანი გრანტი. პერუ. კალიაო. დანიშნულების ადგილი - გლაზგო".

- გრანტი?! - წამოიძახა გლენარვანმა, - ეს ის უშიშარი შოტლანდიელია, რომელმაც ახალი შოტლანდიის დაარსება მოიწადინა წყნარი ოკეანის კუნძულებზე?!

- დიახ, ის გახლავთ! - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ის გლაზგოდან 1861 წელს გაემგზავრა "ბრიტანიით" და მას აქეთ მის შესახებ აღარაფერი ისმოდა.

- აღარავითარი ეჭვი არ არის! ნამდვილად ის არის! - თქვა გლენარვანმა, - "ბრიტანია" 30 მაისს გასულა კალიაოდან და 7 ივნისს, ესე იგი რვა დღის შემდეგ, დაღუპულა პატაგონიის ნაპირებთან. ეს არის იმ ამოჭრილი სიტყვების აზრი, რომელიც უნდა გამოგვერკვია. ახლა მხოლოდ გრძედი გვაკლია!

- არც არის საჭირო! - განაცხადა კაპიტანმა ჯონ მანგლსმა, - რადგან ქვეყანა ვიცით, მეც ვიკისრებდი ხომალდის დაღუპვის ადგილის მიგნება განედის მიხედვით.

- მაშ, ყველაფერი გვცოდნია? - იკითხა ელენმა.

- ყველაფერი, ძვირფასო, - მიუგო გლენარვანმა, - ისიც კი ვიცით, რაც ამ ბარათებზე ზღვის წყალს ამოუჭამია. ახლა კი ამ ცარიელ ადგილებს ისე ადვილად შევავსებ, თითქოს კაპიტანი გრანტი მიკარნახედეს.

გლენარვანმა კალამი აიღო და სრული დარწმუნებით დაწერა: "გლაზგოდან გამოსული სამანძიანი ხომალდი "ბრიტანია" 1862 წელს, 7 ივნისს დაიღუპა პატაგონიის ნაპირებთან სამხრეთ ნახევარსფეროში. ორი მეზღვაური და კაპიტანი გრანტი კონტინენტზე გადასვლის დროს ტყვედ ჩაუცვივდნენ სასტიკ ინდიელებს. ეს ბარათები მათ ბოლით გადააგდეს ზღვაში... გრძედის გრადუსისა და 37°11´ განედზე. უშველეთ, თორემ დაიღუპებიან!"

- მშვენიერია! დიდებული! ძვირფასო ედუარდ! - წამოიძახა ელენმა, - თუ იმ უბედურებს როდისმე ეღირსათ სამშობლოში დაბრუნება, თქვენ უნდა დაგიმადლონ!

- ეღირსებათ, ელენ, უსათუოდ ეღირსებათ! - მიუგო გლენარვანმა, - ეს საბუთები ისე ნათელი და დამაჯერებელია, რომ ინგლისის მთავრობა უყოყმანოდ მიხედავს იმ უბედურებს! ასე მოექცა ფრანკლინსა და სხვებსაც! ასევე მოექცევა "ბრიტანიის" გადარჩენილ სამივე განწირულსაც, რომლებიც უდაბურ ნაპირზე იმყოფებიან.

- იმ უბედურებს ნათესავები, ახლობლები ეყოლებათ... ვინ იცის, რა მწუხრებას განიცდიან. იქნებ გრანტს ცოლ-შვილიც ჰყავს! - ნაღვლიანად თქვა ელენმა.

- მართალს ამბობ, ძვირფასო, - დაეთანხმა გლენარვანი, - შევეცდები ვაცნობო, რომ მათი გადარჩენის იმედი დაკარგული არ არის, - შემდეგ დანარჩენებს მიუბრუნდა, - მეგობრებო, ახლა კი დროა, გემბანზე ავიდეთ. ალბათ, ნავსადგურს ვუახლოვდებით.

მართლაც "დუნკანმა" სვლას უმატა, მხარი აუქცია ბუტის კუნძულს, უკან მოიტოვა როტსეის ნაპირები, მის ნოყიერ ველზე გაშენებული ლამაზი ქალაქით, ყურეს ვიწრო ყელში შეცურა, გასცდა გრინოკს და საღამოს ექვს საათზე ღუზა ჩაუშვა დუმბარტონის კლდის ძირას, რომლის წვერზედაც მედიდურად აღმართულიყო შოტლანდიელი გმირის უოლესის სახელგანთქმული ციხე-დარბაზი მალკოლმ-კესტელი.

ელენსა და მაიორ მაკ-ნაბს აქ ეტლი დახვდათ მალკლომ-კესტელში წასაყვანად. გლენარვანი მეუღლეს გამოემშვიდობა და გლაზგოს მატაებელს მიაშურა.

გამგზავრების წინ მან გაზეთ "ტაიმსს" დ "მორნინგ ქრონიკლს" შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

"გლაზგოდან გასული სამანძიანი ხომალდ "ბრიტანიის" და კაპიტან გრანტის შესახებ ცნობებისათვის მიმართეთ ლორდ გლენარვანს. შოტლანდია, დუმბარტონის საგრაფო, ლიუისი, მალკოლმ-კესტელი".

რამდენიმე წუთის შემდეგ განცხადება უკვე მიღებული ჰქონდათ ლონდონის გაზეთებს: "ტაიმსა" და "მორნინგ ქორინიკლს".

თავი III

მალკოლმ-კესტლი

შოტლანდიის მთიანეთში მალკოლმ-კესტლი ერთ-ერთი უმშვენიერესი, პოეტური ციხე-დარბაზთაგანია. სოფელ ლუისის მახლობლად მდებარეობს და თავზე დასცქერის მშვენიერ ხეობას, რომელშიაც გაშენებულია ეს სოფელი. კლდეებს, რომლებზეც აღმართულია ციხე, გამუდმებით ელამუნება ლომონდის ტბის გამჭვირვალე ტალღები.

ციხე-დარბაზი უხსოვარი დროიდან ეკუთვნოდა გლენარვანებსი საგვარეულოს, რომელმაც აქ, რობ როისა და ფერგიუს მაკგრეგორის სამშობლოში, ულტერ სკოტის ძველ გმირთა ძველებურ სტუმართმოყვარეობა და ადათები შეინარჩუნა.

როდესაც შოტლანდიაში რევოლუციამ იფეთქა, მრავალმა ვასალმა ვერ შეძლო ყოფილი მიწათმფლობელებისათვის მეტად დიდი ქირის გადახდა და მიწები ჩამოერთვათ. ზოგი შიმშილით დაიხოცა, ზოგმა მებადურობას მიჰყო ხელი, ზოგი კი ემიგრაციაში წავიდა. სასოწარკვეთილებამ მოიცვა ყველა. მხოლოდ გლენარვანებს მიაჩნდათ, რომ მიცემული სიტყის ერთგულება ყველასათვის სავალდებულოა; რომ სიტყვის ერთგულნი უნდა დარჩნენ როგორც მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე უბრალო ადამიანები და ამიტომაც არ დაუღვევიათ ხელშეკრულება თავიანთ მოიჯარეებთან. არც ერთ მათგანს არ მიუტოვებია მშობლიური კერა, არ დაუტოვებია მიწა, სადაც მათი წინაპრები განისვენებდენ. განაგრძობდნენ ცხოვრებას იმ მიწაზე, რომელიც ოდესღაც იჯარით აეღოთ თავიანთი ბატონებისაგან. ამგვარად, საყველთაო სიძულვილისა და მტრობის ეპოქაში, გლენარვანების ციხე-დარბაზშიც და მის ხომალდ "დუნკანზეც" მხოლოდ შოტლანდიელები მსახურობდნენ, მაგრამ ლორდი გლენარვანი არც რეაქციონერი, არც შეზღუდული გონეის პატრონი და არც ვიწრო შეხედულებათა მქონე კაცი იყო. თავის საგრაფოში ყოველივე მოწინავეს მხარს უჭერდა, გულში მგზნებარე პატრიოტი შოტლანდიელი დარჩა და როცა ტემზის სამეფო იახტ-კლუბის შეჯიბრებაში მონაწილეობდა, მხოლოდ თავისი სამშობლოს დიდებისათვის იღვწოდა.

ედუარდ გლენარვანი ოცდათორმეტი წლისა გახლდათ. ტანდ მაღალი იყო, სახის ოდნავ მკაცრი ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ გამოხედვა ლმობიერი. მის შემხვედვარეს მთელი

შოტლანდიის პოეზია ესახებდა თვალწინ. ცნობილი იყო როგორც მეტად გულადი, საქმიანი და პატიოსანი კაცი. ნამდვილი მე-19 საუკუნის ფერგიუსი იყო - უზომოდ კეთილი, უფრო სრულყოფილი, ვიდრე თვით წმინდა მარტინი. მზად იყო, თავისი ერთდაერთი სამოსი ღარიბისათვის მიეცა. ყველანი, მაკ-გრეგორის, მაკ-ფარლანის, მაკ-ნაბასისა და მაკ-ნოგტონის ყოფილი ვასლების შთამომავლები, სტირლინგის თუ დუმბარტონის მკვიდრნი, პატიოსანი ადამიანები, სულითა და ხორცით თავიანთი ბატონის ერთგულნი იყვნენ. ზოგი მათგანი მთიანი შოტლანდიის ველურ ენაზეც კი ლაპარაკობდა.

ლორდი გლენარვანი დიდი შეძლების პატრონი იყო. მრავალ სიკეთეს იქმოდა და ეს მის სიუხვესაც კი სჭრაბობდა, რადგან სიკეთე ამოუწურავია, ხოლო სიუხვეს საზღვარი აქვს. ლიუსის მემამულე, ლორდ მალკოლმი თავისი საგრაფოს წარმომადგენელი იყო ლორდთა პალატაში. იაკობიტი (სტიუარტების მომხრე) გახლდათ, ჰაონვერის სახლს სრულიად არ ეპირფერებოდა და ამიტომ ინგლისის სახელმწიფოს მმართველთა პატივსაცემით არ სარგებლობდა, უმთავრესად იმიტომ, რომ თავის წინაპართა წეს-ჩვეულებებს მისდევდა და მედგრად ეწინააღმდეგებოდა "ამ სამხრეთელების" პოლიტიკურ ზეგავლენას.

გლენარვანი შოტლანდიელი მგზნებარე პატრიოტი იყო და როგორც მალკოლმ-კესტელის მსახურნი, ისე "დუკანის" ყველა მომსახურე წმინდა სისხლის შოტლანდიელი ჰყავდა.

მან ამ სამი თვის წინ შეირთო ცოლად ელენი, გამოჩენილი მოგზაურის უილიამ ტუფნელის ქალიშვილი. უილიამ ტუფნელი გატაცებული იყო გეოგრაფიით, ახალი აღმოჩენებითა და ამ მისწრაფების მსხვერპლი შეიქმნა კიდეც, როგორც ბევრი სხვა დანარჩენი.

მართალია, ელენი დიდი გვარის ჩამომავალი არ იყო, მაგრამ გლენარვანი მისი შოტლანდიელებითაც კმაყოფილდებოდა და ამას ყოველგვარ ტიტულებს ამჯობინედა. ამიტომ აირჩია ცხოვრების თანამგზავრად ეს ახალგაზრდა, ლამაზი და ერთგული ქალი.

გლენარვანმა ელენი მამამისის სიკვდილის შემდეგ გაიცნო. ის განმარტოებით ცხოვრობდა კილპატრიკში, მამისისეულ სახლში და თითქმის არვითარი სახსარი არ გააჩნდა. გლენარვანი მალე მიხვდა, რომ ეს საწყალი ქალიშვილი ერთგული მეუღლე იქნებოდა და ითხოვა იგი. ელენს, როგორც მშვენიერ გაზაფხულზე შოტლანდიის ტბებს დაჰკრავს სილურჯე, ისეთივე მოლურჯო ფერის თვალები ჰქონდა. მის სიყვარულში მეუღლის მიმართ მადლიერებც იყო ჩაქსოვილი: მეუღლე ისე უყვარდა, თითქოს ის უპატრონო, ობოლი ბავშვი იყო, ხოლო თვითონ კი მდიდარი მემკვიდრეობის პატრონი, ფერმერები და მსახურები მზად იყვნენ, სიცოცხლე შეეწირათ ახალგაზრდა ქალისათვის, რომელსაც "ჩვენს კეთილ ლიუსელ ქალბატონს" უწოდებდნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდნენ მალკოლმ-კესტლში. შოტლანდიის მთიანეთის საოცარი ველური ბუნებით გარშემორტყმულნი, დასეირნობდნენ მუხისა და ნეკერჩხლის ხეივნების ჩრდილებში, ტბები ნაპირებზე, სადაც ხანდახან ჯერ კიდევ გაისმოდა ძველი შოტლანდიური სიმღერები - პიბროქსები; ჩადიოდნენ ველურ ხეობებში, სადაც ხავსმოკიდებული ნანგრევები შოტლანდიის ძველი ისტორიის მოწმეებად აღმართულიყვნენ, ხან კი შეყვარებულნი მანანებით დაფარულ ვრცელ მინდვრებს შორის აღმართულ არყისა და წიწვიანი ხეების კორომებში შედიოდნენ, ხანაც ბენლომონის ციცაბო მწვერვალებზე ადიოდნენ, ანდა დააჭენებდნენ ცხენებს უდაბურ ხეობებში. პოეზიით აღსავსე მხარის მშვენიერებით ტკბებოდნენ, მხარისა, რომელსაც დღესაც "რობ-როის" მხარეს უწოდებდნენ. აღტაცებულნი იყვნენ ამ სახელგანთქმული ადგილებით, რომელთაც ასეთი აღმაფრენით უმღერა უოლტ სკოტმა. საღამოთი, როცა ცის ტატნობზე აინთებოდა "მაკ-ფარლანის ფარანი" - მთვარე, დადიოდნენ ძველებურ დერეფანში, სალტედ რომ ერტყა მალკოლმის ციხე-დარბაზის ქონგურებიან კედელს. ფიქრში წასულნი, განმარტოებულნი, თითქოს მთელი ქვეყნისაგან მიტოვებულნი, კლდიდან მორღვეულ ქვებზე ისხდნენ. ირგვლივ სიჩუმე იდგა, ისინი მარტონი იყვნენ, თითქოს ყველასაგან დავიწყებულნი, მთვარის ფერმკრთალი შუქი დაჰნათოდათ, ღამის წყვდიადი კი თანდათან ფარავდა ირგვლივ აღმართულ მთებს. ასე

რჩებოდნენ დიდხანს. ორივენი ამაღლებულნი იყვნენ სულიერი სიახლოვით, რისი საიდუმლოც მხოლოდ მოსიყვარულე გულებმა იციან. ასე განვლო მათი ცოლქმრობის პირველმა თვეებმა, მაგრამ ლორდ გლენარვანს არ ავიწყდებოდა, რომ მისი მეუღლე ცნობილი მეზღვაურის ქალიშვილი იყო. ფიქრობდა, რომ ელენს, ალბათ, გამოჰყვებოდა მამისეული გატაცება მოგზაურობით და არც ცდეოდა. ააგეს იახტა "დუკანი", რომელსაც ლორდი და ლედი გლენარვანები უნდა წაეყვანა დედამიწის ყველაზე შესანიშნავ მხარეებისაკენ - არქი პელაგის კუნძულებზე, ხმელთაშუა ზღვისაკენ. ადვილი წარმოსადგენია ის აღტაცება, რომელიც განიცადა ელენმა, როდესაც მეუღლემ მას სრულ განკარგულებაში გადასცა "დუნკანი". მართლაც, განა წარმოსადგენია უფრო დიდი სიამოვნება, ვიდრე მოგზაურობა საბერძნეთის მშვენიერი ნაპირების გაყოლებით და თაფლობის თვის გატარება აღმოსავლეთის ზღაპრულ ნაპირებთან.

დღეს კი მარტოდ დარჩენილი ელენი მოუთმენლად ელოდა ლონდონიდან გლენარვანის დაბრუნებას.

გლენარვანმა წასვლის მეორე დღესვე დეპეშით აცნობა, მალე დავბრუნდებიო. იმავე საღამოს ელენმა წერილიც მიიღო. გლენარვანი იტყობინებოდა, საქმე გართულდა, ჩემს განზრახვას დაბრკოლება ეღობებაო. ამის გამო უფრო მეტ მოუსვენრობას განიცდიდა ელენის გული.

საღამო ხანს ოთახში ეახლა მოურავი ჰალბერი და მოახსენა:

- მილედი, გლენარვანს ახალგაზრდა ქალ-ვაჟი კითხულობს.

- აქაურები არიან, ჰალბერ?

- არა, მილედი, არ ვიცნობ. ეს-ეს არის ჩამოსულან მატარებლით ბალოჰიდან და ლიუსში ფეხით წამოსულან.

- სთხოვეთ, ჰალბერ, - უბრძანალ ელენმა.

მოურავი გაბრუნდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შემოუძღვა. ეტყობოდა, და-ძმანი იყვნენ. ქალი თექვსმეტი წლისა იქნებოდა. სანდომიანი სახისა იყო, ცრემლიან თვალებში სიმხნე გამოუკრთოდა, ღარიბულად ეცვა, მაგრამ სუფთად. ხელი ჩაეკიდა თორმეტი წლის ძმისათვის, რომლის თვალებიც მეტყველებდნენ - ჩემს დას არავის დავაჩაგვრინებო!...

ელენის დანახვაზე ახალგაზრდა ქალი ოდნავ შეკრთა, მაგრამ ელენი გულთბილად შეეგება და გამამხნევებელი კილოთი უთხრა:

- ჩემთან გსურთ საუბარი?

- არა, ჩვენ ლორდი გლენარვანი გვინდა, - მკვახედ მოუჭრა ბიჭმა.

- აპატიეთ, მილედი, - მოიბოდიშა ქალმა და საყვედურით გადახედა ძმას.

- ლორდი გლენარვანი შინ არ ბრძანდება, მაგრამ მე მისი მეუღლე გახლავართ და თუ შემიძლია, მის მაგივრობას გაგიწევთ...

- ლედი გლენარვანი?! - მოკრძალებით ჩაილაპარაკა ქალმა.

- დიახ.

- იმ ლორდ გლენარვანის მეუღლე, რომელიც "ტაიმსში" აცხადებდა "ბრიტანიის" დაღუპვის შესახებ?

- დიახ, დიახ, სწორედ მისი... - დაჩქარებით უპასუხა ელენმა, - თქვენ?

- მე გრანტის ქალიშვილი გახლავართ, ლედი, ეს კი ჩემი ძმაა.

- მის გრანტ!... მის გრანტ! - შესძახა ელენმა და გრძნობით მიიხუტ გულზე ახალგაზრდა ქალი, ვაჟს კი ფუნთუშა ლოყები დაუკოცნა.

- ლედი, რა იცით მამაჩემზე?... რა იცით ავარიის შესახებ, რომელიც ხომალდმა განიცადა? ცოცხალია? მის ნახვას ვეღირსებით?... მითხარით, გევედრებით, მითხარით ყველაფერი!

- ჩემო კეთილო, გაურკვეველი პასუხი არ ივარგებს... ვერ გავბედავ და დიდ იმედს ვერ მოგცემთ.

- მიამბეთ, ლედი, ყველაფერი... ყველაფერი გამიმჟღავნეთ, მწუხრებისათვის მზად გახლავართ, აივტან! ... მითხარით, მამას როდისმე ვნახავთ? გისმენთ.

- ძვირფასო ბავშვებო, ნაკლებსაიმედოა, თუმცა შესაძლებელიც კია დადგეს ჟამი და შეხვდეთ მამას!

გრანტის ქალიშვილს ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე, მაგრამ თავი შეიკავა და კითხვა კითხვაზე მიაყარა.

ელენმა უამბო, როგორ დაიღუპა "ბრიტანია" პატაგონიის ნაპირებთან, აგრეთვე ამბავი ბარათების პოვნისა, რომ კაპიტანს და ორ მეზღვაურს ნაპირისათვის მიუღწევიათ, ბარათები ბოთლში ჩაუწყვიათ და შველას ითხოვდნენ.

ელენის ლაპარაკისას რობერტ გრანტი თვალებად იყო გადაქცეული. მას თვალწინ ეხატებოდა მამის დაღუპვის საშინელი სურათი. აგერ, მისი მამა "ბრიტანიის" გემბანზე დგას, რობერტი თვალყურს ადევნებს, როგორ მიცურავს ნაპირისაკენ, ყველგან თან დასდევს. ისიც მამასავით მიცოცავს კლდეებზე. გაურბის ზღვის ტალღებს...

- მამა! საწყალო მამილო! - რამდენჯერმე უნებლიეთ მოსწყდა მის ტუჩებს, გრანტის ასული კი გულხელდაკრეფილი უსიტყვოდ ისმენდა ყველაფერს, ბოლოს სთხოვა:

- ლედი, ღვთის გულისათვის, მიბოძეთ ბარათები!

- ბარათები? მე არა მაგქვს, ძვირფასო.

- თქვენ არა გაქვთ?

- არა, ბარათები ლორდმა ლონდონში წაიღო, მაგრამ მერწმუნეთ, თითქმის სიტყვასიტყვით გადმოგეცით, როგორ აღვადგინეთ ბარათების შინაარსი. ზღვის მლაშე წყალს ნაწერი გადაერეცხა. რამდენიმე ციფრიღა იყო დარჩენილი. სამწუაროდ, გრძედი არ იყო აღნიშნული...

- უმაგისოდაც ილად წავალთ! - წამოიძახა რობერტმა.

- დიახ, რობერტ! - ღიმილით მიუგო ელენმა, - მის გრანტ, თითქმის ყველა წვრილმანი კი გადმოგვეცით და ახლა ამ საქმისა თქვენც იმდენივე იცით, რამდენიც მე.

- მართალს ბრძანებთ, ლედი, მაგრამ მინდოდა საკუთარი თვალით მენახა მამის ნაწერი!

- გასაგებია... მაშ, იცით, რას გეტყვით, ალბათ, ლორდი გლენარვანი ხვალ დაბრუნდება. ბარათები თან აქვს წაღებული საადმირალოში წარსადგენად. უნდა იშუამდგომლოს, რათა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაგზავნოს ხომალდი კაპიტან გრანტის საძებნელად.

- ნუთუ ეგ შესაძლებელია, მილედი! - წამოიძახა გაოცებულმა ქალმა, - ალბათ, ჩვენი გულისთვის მოიქეცით ასე?

- რა თქმა უნდა, ძვირფასო. ახლა მეც მოუთმენლად ველოდები გლენარვანის დაბრუნებას.

- ლედი, არ ვიცი, როგორ გამოვხატო მადლიერება, - გრძნობით თქვა ქალმა.

- რა სათქმელია, ძვირფასო!... ჩვენ ადგილას სხვებიც ასე მოიქცეოდნენ. ნეტავ გაგვიმრთლდეს ის იმედი, თქვენს გულში რომ აღვძარი! ლორდის დაბრუნებამდე კი აქ დარჩით, ჩემთან, მალკოლმ-კესტლში!

- ლედი, არ მინდოდა ბოროტად მესარგებლა თქვენი ყურადღებით უცხო ადამიანებისადმი...

- უცხო? როგორ გეკადრებათ, ძვირფასო! თქვენ და თქვენი ძმა უცხონი არასოდეს იქნებით ამ სახლში! მინდა, თქვენი ყურით მოისმინოთ ლორდ გლენარვანისაგა, რა ზომები მიიღო საადმირალომ მამათქვენის გადასარჩენად.

ასეთი გულითადობის შემდეგ უარის თქმა აღარ შეიძლებოდა და გრანტის შვილებმა მალკოლმ-კესტლში დარჩენა გადაწყვიტეს, სანამ გლენარვანი ლონდონინდან დაბრუნდებოდა.

თავი IV

ელენ გლენარვანის წინადადება

ელენს საუბრისას არც კი უხსენებია, რომ გლენარვანს საადმირალოში დაბრკოლებ შეხვდა. არც გრანტის ტყვეობის ამბავი გაუმხელია. ან კი რა საჭირო იყო, ახალგაზრდა ქალისთვის გული დაეწყვიტა ასეთი წვრილმანებით! სამაგიეროდ, მერი გრანტს დაწვრილებით გამოჰკითხა მათი ოჯახური მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება.

შეიტყო, რომ ახალგაზრდა ქალი ერთადერთი აღმზრდელი ყოფილა თავისი ძმისა. ამან უფრო მოინადირა ელენის გული და კაპიტან გრანტის ქალ-ვაჟი შეიყვარა.

როგორც მერიმ უამბო, დედამისი რობერტზე ლოგინობას გადაჰყოლოდა და მათი პატრონობა ერთ ხნიერ, გულკეთილ ნათესავ ქალს უკისრია. კაპიტან ჰარი გრანტი გამბედავი მეზღვაური ყოფილა, ამ საქმის კარგი მცოდნე, საუკეთესო შტურმანი, კარგი კომერსანტი, შკიპერისათვის საჭირო აუცილებელი თვისებებით შემკული. შოტლანდიაში ცხოვრობდნენ, პერთის საგრაფო ქალაქ დანდიში. კაპიტან გრანტისთვის მამას კარგი განათლება მიუცია იმ მოსაზრებით, ზედმეტი ცოდნა არც ხომალდის კაპიტანს აწყენს შორეულ ქვეყნებში მოგზაურობისასო. თავდაპირველად ჰარი გრანტი კაპიტნის თანაშემწე ყოფილა, შემდეგ კი კაპიტანი გამხდარა. საქმე ისე კარგად წაუყვანია, რომ რობერტის დაბადების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში საკმაო ქონება შეუძენია. შოტლანდიის ახალშენის დაარსება განუზრახავს წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე, რადგან, გრანტის აზრით, მისი სამშობლოს მისწრაფებანი არ ეთანხმებოდა ანგლოსაქსების ინტერესებს. ოცნებობდა თუ არა გრანტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, ეს კოლონიაც მიაღწევდა დამოუკიდებლობას? იმ დამოუკიდებლობას, რასაც, ადრე თუ გვიან, მიაღწევენ ინდოეთი და ავსტრალია? იქნებ ასეც იყო, ზოგიერთს კიდევაც უმხელდა გულისნადებს. არც არის საკვირველი, რომ ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა დახმარებაზე ამ გეგმების განსახორციელებლად. მეტიც, ინგლისის მთავრობას ათასგვარი დაბრკოლება შეუქმნია მისთვის. სხვას მის ადგილზე გული გაუტყდებოდა, ხალისი და ენერგია დაეკარგებოდა, მაგრამ კაპიტანი გაუტეხელი, მტკიცე ხასიათის იყო, სიძნელეებსა და დაბრკოლებებს არ უშინდებოდა. თანამემამულეებს შორის შეაგროვა საკმაო თანხა, მთელი თავისი სარჩო-საბადებელიც ზედ დაუმატა, ხომალდი "ბრიტანია" ააგო, შემოიკრიბა ერთგული თანამგზავრები და ექსპედიციაში იმ მიზნით გაემართა, რომ წყნარ ოკეანეში შეეთვალიერებინა და გამოეკვლია შესაფერი მოზრდილი კუნძული. კაპიტანმა თავისი ქალ-ვაჟი ხნიერ ნათესავ ქალს ჩააბარა.

ეს 1861 წელს მოხდა. მას შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ე.ი. 1862 წლის მაისამდე, შვილებს ხშირად მოსდიოდათ მამისაგან წერილები, მაგრამ ივნისის შემდეგ, როდესაც ის კალიაოდან გასულა, ვეღარაფერი შეუტყვიათ, აღარც "საზღვაო გაზეთში" გამოუქვეყნებიათ რაიმე ცნობა "ბრიტანიის" შესახებ.

იმხანად ჰარი გრანტის ბიძაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა და ბავშვები ობლად დარჩნენ. თოთხმეტი წლის მხნე და გამჭრიხი მერი მთელი ძალ-ღონით შეეჭიდა გაჭირვებას და ძმის აღზრდას შეუდგა. გონიერი იყო, მოხერხებული, ხელმომჭირნე, დღესა და ღამეს ასწორებდა, პაწია ძმას თავს ევლებოდა და დედის მაგივრობას უწევდა. დაობლებული ქალ-ვაჟი ისევ დანდიში ცხოვრებოდა ღარიბულად. მერის საზრუნავი ძმის გამოზრდა იყო, მისი ოცნება ძმის მომავალს დასტრიალებდა. "ბრიტანიას" უკვე დაღუპულად მიიჩნევდნენ. აღარც მამის სიკვდილში ეპარებოდათ ეჭვი. აი, სწორედ ამ დროს მერიმ "ტაიმსში" ამოიკითხა ლორდ გლენარვანის განცხადება და განა შეიძლება გადმოგცეთ ის მღელვარება, რომელიც და-ძმამ განიცადა!... კარგა ხანი იყო, რაც მამამისის არაფერი ისმოდა და მის დამწუხრებულ გულს ის ცნობაც კი შვებას მისცემდა, რაშიც თუნდაც ნათქვამი ყოფილიყო, სადღაც უდაბურ სანაპიროზე კაპიტან გრანტის გვამი იპოვესო.

გლენარვანის ცნობა მერიმ მაშინვე ძმას გაუზიარა. იმ დღესვე მატარებელში ჩასხდნენ და მალკოლმ-კესტლისაკენ გამოეშურნენ.

აქ კი, ამდენი ხნის მწუხარებისა და სასოწარკვეთილების შემდეგ მერიმ კვლავ პოვა იმედი. აი, ბავშვების თავგადასავალი, რომელიც მერი გრანტმა ელენ გლენარვანს უამბო.

პატარა ქალი მომხიბლავი გულწრფელობითა და თავმდაბლობით ლაპარაკობდა. თითქოს შეგნებული არ ჰქონდა, რომ მისი საქციელი ამ მწუხარების წლებში ჭეშმარიტად გმირული იყო.

ელენ გლენარვანი ამ ამბავმა ისე მოხიბლა, გულის სიღრმემდე შეძრა, რომ ვეღარ ფარავდა ცრემლებს და აღტაცებული გულში იკრავდა კაპიტან გრანტის ორივე შვილს. რობერტს ეტყობოდა, ეს ამბავი პირველად ესმოდა, დას თვალებგაფართოებული უსმენდა, უცებ გულზე მიეხუტა და ათრთოლებით შესძახა:

- დედა! ჩემო საყვარელო დედიკო!

შემოაღამდათ. ელენმა დაღლილობა შეატყო ბავშვებს და საუბარი აღარ გაუგრძელებია. მერი და რობერტი მათთვის განკუთვნილ ოთახში მოათავსა. მათი დაბინავების შემდეგ ელენმა მაიორი მაკ-ნაბსი იხმო, უამბო, რაც ამ საღამოს მოხდა და რა ც მოისმინა.

- ჩინებული გოგონა ყოფილა მერი გრანტი, - დაასკვნა მაკ-ნაბსმა.

- ნეტავ სასურველად მაინც დაბოლოვდებოდეს ჩემი მეუღლის შუამდგომლობა! - ინატრა ელენმა, - თორემ ამ ბავშვების მდგომარეობა საშინელი იქნება.

- როგორმე მოაგვარებს, - მიუგო მაიორმა, - თუ ეს საქმე არ მოხერხდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საადმირალოს გენერლებს მკერდში გულის ნაცვლად შოტლანდიის ქვა სდებიათ.

მაიორის ასეთი რწმენის მიუხედავად, ელენმა მოუსვენრად გაათია ღამე. მის თვალებს რული არ მოჰკიდებია.

მეორე დღეს მერი და რობერტი ადრიანად წამომდგარიყვნენ და ციხე-დარბაზის ფართო ეზოში დასეირნობდნენ. უცებ ეტლის ხმა მოესმათ: გლენარვანი მოღუშული იყო, განაწყენება ეტყობოდა, მეუღლეს უსიტყვოდ გადაეხვია.

- ედუარდ, რა ქენი? - თვალები შეანათა ელენმა.

- რას ვიზამდი, ძვირფასო, - მიუგო გლენარვანმა, - იმ ხალხს გული არ ჰქონია.

- როგორ, უარი გითხრეს?

- დიახ, ხომალდის მოცემაზე უარი მითხრეს. ფრანკლინის ძებნაზე უნაყოფოდ დახარჯული მილიონები მოიმიზეზეს... ეს ბარათებიც ბუნდოვნად ჩათვალეს, გაუგებრად... მითხრეს, ორი წელიწადია, რაც უმწეო მდგომარეობაში ყოფილან და ახლა ვინ მიაგნებს მათ ასავალ-დასავალსო. თუ ინდიელებს ჩაუცვივდნენ ხელში, ისინი შუაგული ქვეყნისაკენ წაიყვანდნენ და სამი კაცის გულისათვის მთელ პატაგონიას ვინ გადაჩხრეკს, ისიც შოტლანდიელების გულისთვისო. მათი ძებნა უნაყოფოა, სახიფათოც და იმაზე მეტ მსხვერპლს მოითხოვს, რაც სამი ადამიანის სიცოცხლე ღირსო!... ერთი სიტყვით, ყველაფერი მოიმიზეზეს უარის სათქმელად. გამახსენდა გრანტის განზრახვაც შოტლანდიის ახალშენის დაარსების შესახებ და... ის უბედური სამუდამოდ განწირულია!

- მამა!... საწყალო მამა! - ამოიკვენსა მერი გრანტმა და მუხლებზე დაეცა გლენარვანის წინაშე.

- მამა?! როგორ, თქვენი მამაა?! - განცვიფრდა გლენარვანი.

- დიახ, ედუარდ. მის მერი და მისი ძმა რობერტი - გრანტის ქალ-ვაჟია... საადმირალოს გულქვაობა დღეიდან მათ ობლობას უქადის..

- ოჰ, მის! რომ მცოდნოდა... თქვენი აქ ყოფნა! - დაიწყო გლენარვანმა, მაგრამ მღელვარებისაგან ხმა ჩაუწყდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ და-ძმის ქვითინი ისმოდა. ყველა იქ მყოფს კრიჭა შეჰკვროდა, ყველანი დუმდნენ - გლენარვანიც, ელენიც, მაიორიც, მოსამსახურეებიც კი მდუმარედ იდგნენ...

შოტლანდიელები დუმილით გმობდნენ ინგლისის მთავრობის საქციელს, რამდენიმე წუთის შემდეგ სიჩუმე მაიორმა დაარღვია.

- მაშ, არავითარი იმედი აღარ არის? - ჰკითხა გლენარვანს.

- არავითარი.

- თუ ასეა, თვითონ მივალ მათთან! ... - წამოიძახა რობერტმა, მაგრამ მერიმ სიტყვა შეაწყვეტინა, - რობერტის მოკუმშული მუშტები სახეიროს არას მოასწავებდა.

- მერი! - წამოიძახა ელენმა.

- მერი, სად აპირებთ წასვლას, ქალბატონო გრანტ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- წავალთ. მუხლებში ჩაუვარდები დედოფალს!... ნუთუ არც ის შეისმენს შვილების ვედრებას და არ დაუბრუნებს მათ მამას?

გლენარვანმა უიმედოდ გააქნია თავი. დარწმუნებული იყო, მერი ვერაფერს გააწყობდა, რადგან დედოფლამდეც არ მიუშვებდნენ. დედოფლის კარზე ისეთივე წარწერაა, როგორსაც ინგლისელები გემის მესაჭის კარზე აწერენ: "მგზავრებს ვთხოვთ, არ ესაუბრონ მესაჭეს".

ელენი მიხვდა მეუღლის გულისთქმას. მანაც იცოდა, რომ მერის განზრახვა უშედეგოდ დარჩებოდა. უცებ კეთილშობილურმა აზრმა გაუელვა თავში და მერის მიაშურა.

- მერი გრანტ!... ცოტა მოითმინეთ, ჩემო კარგო!... მომისმინეთ, რაღაც უნდა გითხრათ!...

წასასვლელად გამზადებული და ხელიხელჩაკიდებული და-ძმა რომ შეაჩერეს, ელენი მეუღლეს მიუბრუნდა:

- ედუარდ, როდესაც კაპიტანმა ეგ ბარათი დაწერა და ბოთლით გადააგდო ზღვაში, ამით მან თავისი ბედი შემთხვევას მიანდო. შემთხვევამ კი ეს საბუთები ჩვენ ჩაგვიგდო ხელთ!... მაშ, ვინ უნდა იზრუნოს იმ უებურის გადარჩენაზე თუ არა ჩვენ?!

- ელენ! - აღტაცებით შესძახა გლენარვანმა.

- ძვირფასო!... ჩემს გასართობად თქვენ ხომალდით მოგზაურობა გქონდთ განზრახული... ხომ ასეა? ... მაგრმ, ედუარდ, რას შეუძლია მასიამოვნოს ისე, როგორც თავისი ქვეყნისათვის განწირული უბეუდური ადამიანის შველას.

- ელენ!... - კვლავ შესძახა გლენარვანმა.

- დიახ, ედუარდ! ხომ მიმიხვდით?... "დუკანი" მტკიცედ ნაშენი ხომალდია! მას ადვილად შეუძლია მოიაროს სამხრეთის ზღვები!... თუ საჭირო გახდა, შეუძლია დედამიწის გარშემოც გვამოგზაუროს!... ედუარდ, ჩემო კარგო, წავიდეთ კაპიტან გრანტის საძებნელად!

ამ მხურვალე სიტყვებით აღელვებული გლენარვანი გადაეხვია თავის ახალგაზრდა მეუღლეს, მერი და რობერტი კი ხელებს უკოცნიდნენ ელენეს.

ამ გულთბილმა სცენამ ააღელვა თვით მკაცრი შოტლანდიელებიც, მალკოლმ-კესტლის მსახურნი, რომლებმა ხმამაღალი შეძახილებით შეარყიეს ჰაერი:

- გამუარჯოს ჩვენს ახალგაზრდა დიასახლისს! ვაშა! სამგზის ვაშა ეუდარდსა და ელენ გლენარვანებს!

თავი V

"დუკანის" გამგზავრება

როდესაც საადმირალოში გლენარვანის შუმდგომლობა არ შეიწყნარეს, მაშინ დაებადა აზრი, თვითონ გამგზავრებულიყო გრანტის საძებნელად, მაგრამ ახალგაზრდა მეუღლესთან განშორება ემძიმებოდა. ამიტომ ეს მოსვლისთანავე ვერ გაუმხილა. ახლა კი, როდესაც ელენმა თვითონ მოისურვა ეს, გლენარვანიც, რა თქმა უნდა, უსიტყოვოდ დაეთანხმა.

ამ წინადადებამ აღტაცება გამოიწვია ციხე-დარბაზის მსახურებში - იგი ხომ მათი ღვიძლი ძმების - მათსავით შოტლანდიელების გადასარჩენად იყო მიმართული და ლორდი

გლენარვანიც გულწრფელად შეუერთდა მალკოლმ-კესტელის ახალგაზრდა ქალბატონის სადიდებელ "ვაშას".

რადგან გამგზავრება გადაწყვიტეს, არც ერთი საათი არ უნდოდათ დაეკარგათ და გლენარვანმა იმ დღესვე შეუთვალა კაპიტან ჯონ მანგლსს, "დუკანი" გლაზგოში მოეყვანა და სამგზავრო სამზადისს შესდგომოდა.

როდესაც ელენ გლენარვანი ამტკიცებდა, "დუკანი" თავისუფლად შეძლებს დედამიწის ირგვლივ მოგზაურობასო, სრულიად არ აზვიადებდა მის საზღვაოსნო ღირსებას. სწრაფმავალი იახტ მართლაც საოცრად მკვიდრად ნაგები და შორეული მგზავორბისთვის იყო გათვალისწინებული.

"დუკანი" ჩინებული ხომალდი იყო. მისი ტევადობა ორასი ათ ტონას უდრიდა, კოლმბს, პინსონს, ვესპუჩისა და მაგლენას ამაზე უფრო პატარა ხომალდებით მიეღწიათ ახალი ქვეყნისთვის. [1]

ერთი სიტყვით, "დუკანს", როგორც საუკეთესო იალქნიან ხომალდს, თავისუფლად შეეძლო ზღვის ტალღებზე სრბოლა, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ მას უახლესი სისტემის ორთქლის ძრავაც ჰქონდა ას სამოცი ცხენის ძალისა. საჭიროების დროს ამ სიმძლავრის გადიდებაც შეიძლებოდა. მისი ძრავა უმაღლეს წნევას ავითარებდა და ორ ხრახნს ატრიალებდა. როდესაც საცდელად გავიდნენ კლაიდის ყურეში, როგორც მილსაზომმა პატენ-ლაგმა უჩვენა, მისი სვლა ჩვიდმეტ მილს[2] უდრიდა საათში. ასე რომ "დუკანი" სავსებით გამოსადეგი იყო შორეული მოგზაურობისათვის და მთელი დედამიწის ირგვლივ შემოვლაც თავისუფლად შეეძლო.

"დუკანი" ორანძიანი ხომალდი იყო. ჰქონდა ფოკ-ანძა ფოკით, მარსელითა და ბრამსსტენგით, გრონტ-ანძა ირიბი გროტით, დიდი სტაკსელით, პატარა სტაკსელით, ლათინური ფოკითა და შტაგის იალქნებით. იახტა კარგად იყო აღჭურვილი იმისათვის, რომ საჭირო შემთხვვაში როგორც იალქნიან გემს ევლო.

კაპიტანი ჯონ მანგლსი ხალისიანად შეუდგა სამზადისს. უპირველეს ყოვლისა, გააფართოებინა ნახშირსაცავი, რათა ქვანახშირი საკმაოდ წაეღო და გზაში მისი მარაგის შევსება არ გასძნელებოდა. არ დაივიწყა სურსათ-სანოვაგეც და იახტაზე ორი წლის მარაგი მოათავსა. ფული ბლომად ჰქონდა და "დუკანის" შუაგემბანზე ერთი

---

1 მეოთხედი ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკაში ოთხი გემით იმოგზაურა. მათში ყველაზე დიდი გემის წყალწყვა 70 ტონას უდრიდა, უმცირესის - 50-ს. ეს ხომალდები მხოლოდ საკაბოტაჟო ცურვისთვის იყო გამოსადეგი.

2 ერთი საზღვაო მილი უდრის 1852 მეტრს.

პატარა ზარბაზანიც დაადგმევინა, რადგან შორეული მოგზაურობისას ათასი შემთხვევაა მოსალოდნელი. ზარბაზანი რვაგირვანქიან ყუმბარას ოთხი მილის მანძილზე ისროდა. ჯონ მანგლისი თავისი საქმის კარგი მცოდნე გამოდგა. საუკეთესო შკიპერად ითვლებოდა გლაზგოში. ოცდაათი წლისა იყო, შესახედაობა მკაცრი

ჰქონდა, თუმცა გულკეთილი იყო და გამბედავიც. ბავშვობიდანვე გლენარვანის ოჯახში იზრდებოდა და ამ ოჯახმა გამოიყვანა ჩინებულ მეზღვაურად. შორეულ მოგზაურობაში ხშირად იჩენდა სიმარჯვეს, ენერგიასა და სიდინჯეს. როდესაც გლენარვანმა "დუნკანის" კაპიტნად მიიწვია, ჯონ მანგლსი დათანხმდა, რადგან მალკოლმ-კესტლის მფლობელი ძმასავით უყვარდა.

კაპიტანის თანაშემწე ტომ ოსტინი ძველი მეზღვაური და ყოვლად სანდო ადამიანი იყო. "დუკანის" მთელი ეკიპაჟი ოცდახუთი კაცისაგან შედგებოდა. ყველანი გლენარვანის მოიჯარეთა შვილები იყვნენ, ზღვაოსნობაში ნაწრთობ-გამოცდილნი. იხტაზე ნამდვილი შოტლანდიური კლანი[1] ჩამოაყალიბეს. მათში მუსიკოსებიც კი ერია, ძველებურ გუდა-სტვირებზე უკრავდნენ ხოლმე. ყველა ახალგაზრდა იყო, იარაღის ხმარებაში გავარჯიშებული, გემის მართვაში დახელოვნებული და ყველას გული ერჩოდა შორეული მოგზაურობისათვის.

ჯონ მანგლსმა "დუნკანზე" გლენარვანისა და მისი მეუღლე ელენისათვის კაიუტები მოამზადა. ცალკე კაიუტა გაუმზადა მერი გრანტსაც, რომელსაც ელენმა უარი ვერ უთხრა თანამგზავრობაზე. რობერტს ისე სწყუროდა ზღვაზე მოგზაურობა, რომ იუნგად სამსახური იკისრა, ოღონდ ნუ დამტოვებთო. განა შეიძლებოდა მისთვის უარი ეთქვათ? ... ასე რომ, ყველამ ეკიპაჟის იუნგად ჩათვალა და მეზღვაურობაში გამოსაწვრთნელად ჯონ მანგლსს ჩააბარეს.

- კარგი, - თქვა რობერტმა, - მაგრამ თუ კარგად ვერ ვიმუშავებ, ნუ მაპატიებს, მცემოს.

- მაგაზე არხეინად ბრძანდებოდე! - სერიოზული კილოთი მიუგო გლენარვანმა.

მგზავრებს შორის იყო ასევე ელენის ნათესავი მაიორი მაკ-ნაბსი. ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. მშვიდი სახე ჰქონდა. ახირება არ იცოდა, ყველას ადვილად დაჰყვებოდა, გაჯავრება უცხო ხილი იყო მისთვის. ყველგან და ყოველთვის თანაბარი და ზომიერი ნაბიჯით იცოდა სიარული - ოთახში, კიბეზე თუ ზარბაზანდაშენილ სანგრებში, თუნდაც მისკენ ყუმბარები ზუზუნით წამოსულიყვნენ. დანამდვილებით შეიძლებოდა თქმა, რომ სამარის კარამდე გაჰყვებოდა სიმშვიდე, აუღელვებლობა და სამარეშიც ისე ჩავიდოდა, არც ერთხელ არ გამოვიდოდა მოთმინებიდან. მისი ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ თავით ფეხამდე შოტლანდიელი იყო, ნამდვილი, წმინდა სისხლის კალედონიელი[2] და თავგამოდებული დამცველი თავისი ქვეყნის ძველია ადათების. ამის გამო არასოდეს ცდილა ინგლისისათვის ემსახურა. მაიორობაც შოტლანდიელების ლეგიონში ყოფნისას, 1842 წელს ჰქონდა მიღებულია. ლეგიონი მხოლოდ შოტლანდიელებისაგან შედგებოდა. მაკ-ნაბსი ელენის ბიძაშვილი იყო და განუშორებლად მათთან ცხოვრობდა მალკოლმ-კესტლში. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ მან, როგორც მაორმა, სავსებით ბუნებრივად ჩათვლა "დუნკანის" ექსპედიციას გაჰყოლოდა.

ასეთი გახლდათ პირადი შემადგენლობა იახტისა, რომელიც მზად იყო,

---

1 კლანი - ერთი გვარის წევრთა ერთობლიობაი.

2 რომაელთა ეპოქაში შოტლანდიას კალედონია ერქვა.

მოულოდნელი შემთხვევის გამო ჩაეტარებინა ჩვენი დროისათვის შესანიშნავი მოგზაურობა.

გლაზგოს ნავსადგურში მისვლისთანავე საზოგადოების ყურდღება "დუნკანმა" მიიქცია. დასათვალიერებლად უამრავი ხალხი მიაწყდა. ყველას "დუნკანი" ეკერა პირზე, თუმცა გვერდით უზარმაზარი ხომალდებიც ბევრი იდგა.

საზოგადოების ასეთმა ყურადღებამ სხვა ხომალდების კაპიტნებს გული დასწყვიტა. მეტადრე გულნატკენი იყო კაპიტნი კალკუტისაკენ გასამგზავრებლად გამზადებული უზარმაზარი ხომალდისა, რომელსაც "შოტლანდია" ერქვა და რომლის გვერდით "დუნკანი" პატარეა კანჯოდ მოჩანდა.

გამგზავრების დროც მოახლოვადა. კაპიტანი ჯონ მანგლსი გამჭრიახი და მარჯვე კაცი გამოდგა. "დუნკანი" ყველაფრით მოამარაგა და 25 აგვისტოს აპირებდა ზღვაში გასვლას იმ ვარაუდით, რომ გაზაფხულის დამდეგს სამხრეთის განედებისათვის მიეღწიათ.

როდესაც ლორდ გლენარვანის მეგობრებმა მისი განზრახვა შეიტყვეს, ბევრმა გაფრთხილება დაუწყო: დაიქანცებით, ხიფათს გადააწყდებითო, მაგრამ გლენარვანი ყურადღებას არ აქცევდა გაფრთხილებას. თუმცა ისინი კი, ვინც აფრთხილებდნენ, გულში აღტაცებულნი იყვნენ მისი გამბედაობით. საზოგადოებრივი აზრი თანაგრძობით შეეგება მის განზრახვას, ყველა გაზეთი გმობდა საადმირალოს საქციელს, სამთავრობო გაზეთის გარდა.

მალკოლმ-კესტლის ციხე-დარბაზიდან 24 აგვისტოს ყველანი "დუნკანისაკენ" გაემართნენ - ლოდი გლენარვანი, მისი მეუღლე ელენი, მაიორი მაკ-ნაბსი, მერი გრანტი, რობერტი; სტიუარდი-მზარეული და მისი მეუღლე, რომელიც ლედი ელენს ემსახურებოდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ყველა "დუნკანზე" იყო დაბინავებული, თავთავის კაიუტაში.

გლზაგოს მოსახლეობამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო ელენ გლენარვანს, რომელმაც მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება დათმო და ხიფათში მყოფთა გადასარჩენად გაემართა.

გლენარვანისა და ელენის კაიუტებს იახტის მთელი კიჩო ეჭირა. აქ იყო ორი საძილე ოთახი, ერთი - სასტუმრო და ორიც - საპირფარეშო.

გვერდით მოთავსებული იყო კაიუტკომპანია, ე.ი. საერთო სასადილო დარბაზი იახტის მგზავრებისათვის. მას ყველა კაიუტიდან კარი ჰქიონდა დატანებული. დანარჩენ კაიუტებში მოთავსდნენ: მერი და რობერტი, მაიორი მაკ-ნაბსი, მზარეული ოლბინეტი თავისი მეუღლით, "დუნკანის" კაპიტანი ჯონ მანგლსი და მისი თანაშემწე ტომ ოსტინი. იახტის ეკიპაჟი ქვედა სართულის შუაგემბანზე მოთავსდა, სადაც ხალვათობა იყო, რადგან ზედმეტი ბარგი არ ჰქონდათ, სასროლი იარაღის, ქვანახშირისა და სურსათ-სანოვაგის გარდა და რადგან ჯონ მანგლსს საზრიანად გამოეყენებინა გემი მარაგის მოსათავსებლად.

"დუნკანი" ზღვაში 25 აგვისტოს უნდა გასულიყო, რაწამს ოკეანის მიქცევა დაიწყებოდა.

შუაღამისას ორთქლის ქვაბები გაახურეს. ბღუჯა-ბღუჯად ამოვარდნილი კვამლი ღამის ბურუსში შეიჭრა. იალქნები ბუდეებში შეახვიეს, რომ არ შებოლილიყო, სამხრეთ-დასავლეთის ქარს არ გაებერა და ზღვაში გასვლა არ შეეფერხებინა.

ღამის ორ საათზე ორთქლის ქვაბების სიმძლავრისაგან მთელი "დუნკანი" აზანზარდა. მონომეტრი ოთხ ატმოსფეროს უჩვენებდა. გადამეტხურებული ორთქლი სისინ-წივილით ამოვარდა. მიქცევა-მოქცევას შორის დროებით შტილი დამყარდა. ირიჟრაჟა. თვალი ოდნავ არჩევდა კლაიდის ყურიდან გასასვლელს, მოფენილი რომ არის სანიშნე სვეტებით. კლდეებს ეფინებოდა რიჟრაჟის შუქი, რომელიც აფერმკრთალებდა სანიშნო სვეტებიდან ნატყორცნ სინათლეს. ოკეანის მიქცევა იწყებოდა.

კაპიტანმა ჯონ მანგლსმა შეუთვალა გლენარვანს, დროა, "დუკანი" დაიძრასო და გლენარვანი მყისვე გემბანზე ავიდა.

"დუკანმა" რამდენჯერმე შეჰკივლა მძლავრად და გაბმით. სარქველებიდან ბაგირი ახსნეს და ნაპირისაკენ გაათრიეს. ხომალდი დანარჩენ გემებს გამოეყო, ხრახნი ამუშავდა და ხომალდი არხში შეცურდა.

ლოცმანობას ჯონ მაგნლსი ეწეოდ, რადგან პრაქტიკულად ჰქონდა შესწავლილი გემის სავალი გეზი. ამის გამო საგანგებო ლოცმანი აღარ აუყვანიათ. გლაზგოს საგარეუბნო ქარხნებს გასცილდნენ, ჩაუარეს ბორცვებზე შეფენილ სახლებს და მალე ქალაქის უკანასკნელი ხმაურის უკან მოიტოვეს.

ერთი საათის განმავლობაში "დუკანი" გასცილდა დუმბარტონის კლდეებს, ორი საათის შემდეგ კლაიდის ყურეში ამოყო თავი, დილის ექვს საათზე კანტირის კონცხს შემოუარა, გასცილდა ჩრდილოეთის არხს და ღია ოკეანეში გავიდა.

თავი VI

მეექვსე ნომერი კაიუტის მგზავრი

მგზავრობის პირველ დღეს ზღვა ღელავდა. საღამო ხანს ქარი გაძლიერდა. "დუკანი" მძლავრად ირყეოდა ტალღებზე. ქალებს იმ დღეს გემბანზე ცხვირიც არ ამოუყვიათ, ყველა თავ-თვის კაიუტაში შეიყუჟა.

მეორე დღეს ქარმა მიმართულება იცვალა. კაპიტანმა განკარგულება გასცა, აეშვათ ფოკის, ბრამსელისა და მარსელის იალქნები. ამის შემდეგ "დუკანი" თამამად მისრიალებდა ტალღებზე და არც გვერდული, არც გრძივი რწევა იყო ისე საგრძნობი. ელენმა და მერი გრანტმა დილითვე გაბედეს გემბანზე ასვლა. ამ დროს გემბანზე იყვნენ: გლენარვანი, მაიორი და კაპიტანი ჯონ მანგლსი. დიდებული სანახავი იყო მზის ამოსვლა. ისე

ამოცურდა აქაფებული ოკეანის ტალღებიდან, როგორც მოვარაყებული ლითონის დისკო. "დუკანი" სხივებით აელვარებულ ტალღებზე მიცურავდა. გეგონებოდათ, იალქნებს ქარლი კი რა, აელვარებული მზის სხივები მიეზიდებაო. ხომალდის გემბანზე დუმილი იყო გამეფებული. ყველანი სულგანაბული უცქერდნენ ამ დიად სანახაობას., თვალს ვერ აშორებდნენ მოკაშკაშე მნათობს.

- რა დიაიდია!... რა მშვენიერია!... - დაარღვ ია ბოლოს სიჩუმე ელენმა, - საუცხოო დასაწყისია დღევანდელი დღისა... ნეტავ ქარი გეზს არ შეიცვლიდეს, რომ "დუკანის" სვლა არ შეაფერხოს!

- უკეთესი ამინდის ნატვრაც კი შეუძლებელია, ძვირფასო ელენ, - მიუგო გლენარვანმა, - ჩვენი მოგზაურობის დასაწყისს სამდურავი არ ეთქმის...

- დიდიხანს მოვუნდებით მგზავრობას?

- ამაზე პასუხს კაპიტანი ჯონი უფრო კარგად მოგვცემს, - უპასუხა გლენარვანმა და კაპიტანს მიუბრუნდა, - ჯონ, ხომ კარგად მივდივართ? იახტით კმაყოფილი ხართ?

- აღტაცებული გახლავართ!... საუცხოო ხომალდია. ყოველი მეზღვაური სიამოვნებას იგრძნობს მასზე. იშვიათი მოვლენაა, რომ ხომალდის ტანი ასეთი თანაზომიერებით ეგუებოდეს ძრავას. დააცქერდით, რა ადვილად გაურბის ხომალდი ბოლო ტალღას, როგორი სიმსუბუქით მიქრის. ახლა ჩვენ საათში ჩვიდმეტი მილის სისწრაფით მივცურავთ. თუ სვლას არ მოვუკელით, მაშინ ხუთი კვირის შემდეგ შემოვუვლით ჰორმის კონცხს.

- გესმით, მერი? - უთხრა ელენმა მერი გრანტს, - ხუთ კვირაში იქ ვიქნებით.

- დიახ, - მიუგო მერიმ, - გულის ძგერით ვისმენ კაპიტნის სიტყვებს.

- ზღვაზე მოგზაურობას როგორ იტანთ, მის მერი? - ჰკითხა გლენარვანმა.

- საკმაოდ კარგად!... არა მიშავს რა, თავს კარგად ვგრძნობ, მალე შევეშვევი.

- ჩვენი პატარა რობერტი სადღაა ნეტავ? - იკითხა ელენმა.

- რობერტი... - გაეპასუხა კაპიტანი ჯონ მანგლსი, - ალბათ, სამანქანოში იქნება ან სადმე ანძაზე აცოცდებოდა. მასზე ნუ წუხხართ, ბიჭუნა სრულიად არაფრად აგდებს ზღვის ავადმყოფობას. ხედავთ, სადაა? აგერ, ვერ ამჩნევთ?

ყველამ კაპიტნის ხელს გააყოლა თვალი და დაინახა რობერტი, რომელიც ფოკ-ანძის კენწეროზე წამოსკუპებულიყო, ასე ფუტის სიმაღლზე. ამის დანახვაზე მერი აფორიაქდა.

- ნუ შფოთვთი, მის მერი, - ანუგეშა ჯონ მანგლსმა, - მასზე პასუხს მე ვაგებ და სიტყვას გაძლევთ, მალე მარჯვე ბიჭს წარვუდგენ პატივცემულ კაპიტან გრანტს, რომელსაც უთუოდ მივაგნებთ!

- ზეცამ გისმინოთ, ბატონო ჯონ! - მიუგო ახალგაზრდა ქალმა.

- ძვირფასო, - მიმართა ლორდ გლენარვანმა, - გადახედეთ ამ ვაჟკაცებს, რომელთაც იკისრეს ეს საქმე! ... ჩვენ იოლად მივაღწევთ საწადლს. პირობა მივეცი ელენს, მისი სიამოვნებისათვის ზღვაზე მოგზაურობა მომეწყო და სიტყვას არ გავტეხ.

- ედუარდ, თქვენ ყველაზე უკეთესი ადამიანი ხართ! - შესძახა ელენმა.

- მაგისი კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემს განკარგულებაში იმყოფება საუცხოო ეკიპაჟი და შეუდარებელი ხომალდი. ნუთუ არ მოგწონთ ჩვენი "დუკანი", მის მერი?

- რა ბრძანებაა! პირიქით, აღტაცებული გახლავართ ხომალდით, როგორც ამ საქმის კარგი მცოდნე!

- როგორ?

- ბავშვობიდანვე ავყავდი მამას თავის გემზე. ძალიან უნდოდა, კარგი მეზღვაური გამოვეყვანე. რომ დამჭირდეს, ადვილად შემიძლი იალქნის ახსნაც და დამაგრებაც.

- ნუთუ მართლა, მის?! - შესძახა ჯონ მანგლსმა.

- თუ ასეა, თქვენ დიდად დაგიმეგობრებათ ჯონ მანგლსი, - ჩაერია გლენარვანი, - იგი ყველაფერზე მაღლა მეზღვაურებს აყენებს. ასე არ არის, ჯონ?

- მართალს ბრძანებთ, - მიუგო ახალგაზრდა კაპიტანმა, - მაგრამ გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ თუმც მის გრანტს გემბანზე ყოფნა უფრო შეჰფერის, ვიდრე აფრების დამაგრება, მაინც დიდად ნასიამოვნები ვარ მისი სიტყვებით.

- განსაკუთრებით იმის გამო, რომ აღტაცებაში მოჰყავს "დუკანს", - ჩაურთო გლენარვანმა.

- რომელიც ღირსი გახლავთ ასეთი აღტაცებისა, - დაუდასტურა ჯონ მანგლსმა.

- თქვენ ისე ამაყობთ ამ ხომალდით, რომ მისი ყოველი კუნჭუის დათვალიერების სურვილი აღმეძრა, - შენიშნა ელენმა.

- მზადა ვართ, გემსახუროთ, ქალბატონო, - მიუგო გლენარვანმა, - მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ, გავაფრთხილო ჩვენი მზარეული ოლბინეტი.

გლენარვანმა გასძახა და მის ძახილზე ხომალდის სტიუარდი და ჩინებული მეტრდოტელი ოლბინეტი გამოცხადდა.

- ოლბინეტ, ჩვენ საუზმის წინ გასეირნებას ვაპირებთ, - უთხრა გლენარვანმა, - იმედია, დაბრუნებისას საუზმე სუფრაზე დაგვხვდება.

ოლბინეტმა უსიტყვოდ დაუკრა თავი.

- თქვენ არ წამოხვალთ, მაიორო? - ჰკითხა ელენმა.

- თუ მიბრძანებთ... - მიუგო მან.

- ოო, მაიორი მუდამ სიგარის ბოლშია გახვეული, - ჩაურთო გლენარვანმა, - ის ამ საქმეს როგორ დათმობს, თავგადაკლული მწეველია, მის მერი. სიგარას ძილშიაც აბოლებს!...

მაიორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, გლენარვანი კი თანამგზავრებით შუაგემბანისაკენ დაეშვა.

მარტოდ დარჩენილმა მაიორმა ჩვეულებისამებრ თავის თავთან დაიწყო ხმადაბალი ლაპარაკი დინჯი კილოთი, თან აბოლებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოტრიალდა და სავსებით უცნობ კაცს შეხვდა. მაიორს რომ ოდესმე განცვიფრება შესძლებოდა, სწორედ ახლა უნდა განცვიფრებულიყო, მით უმეტეს, რომ ასეთი თანამგზავრის შესახებ არაფერი იცოდა.

უცნობი ორმოცი წლისა იქნებოდა, მაღალ-მაღალი, ჩამომხმარი, სწორედ გრძელ, ფართოთავიან ლურსმანს ჰგავდა. თავი ზორბა და განიერი ჰქონდა, შუბლი მოზრდილი, ცხვირი - გრძელი, ტუჩები - მსხვილი, წინ გამოწეული ნიკაპი, თვალები - უშველებელ სათვალეში შემალული, გამოხედვა - თავისებური, სწორედ ისეთი, როგორიც ნიქტალოპებს[1] სჩვევიათ. სახის გამომეტყველება ჭკვიანური ჰქონდა, გუნებამხიარული კაცისა. მის სახეს არ ემჩნეოდა მკაცრი მედიდურობა, რომელიც ასახულია გაუცინარი ადამიანების სახეზე, რითაც ფარავენ თავიანთ არარაობას. მართალია, უცნობს ჯერ ხმაც არ ამოეღო, მაგრამ ეტყობოდა, ბევრი ლაპარაკი უყვარდა, გულმავიწყი და დაბნეულიც იყო. ერთი სიტყვით, ისეთ ადამიანს ჰგავდა, რომელიც უცქერის და ვერ ხედავს, ისმენს და არ ესმის. თავზე სამგზავრო კეპი დაეხურა, ფეხზე ყვითელი ფეხსაცმელები და ტყავის გეტრები ეცვა, ტანთ ემოსა წაბლისფერი ხავერდის შარვალი და ქურთუკი, რომელზეც უამრავი ჯიბე ეკერა, სავსე ლექსიკონებით, კალენდრებით, უბის წიგნაკებით, სფულეებითა და ათასი სხვა უსარგებლო და დამამძიმებელი რამით. მხარზე თასმით ჭოგრი ეკიდა.

მისი ფაციფუცი სავსებით ეწინააღმდეგებოდა მაკ-ნაბსის სიდინჯეს. ჯერ რამდენჯერმე გარს შემოურბინა მაიორს. შეჰყურებდა, თვალებით რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ მაიორი ნირშეუცვლელი, გულგრილი დარჩა. სრულიად არ აინტერესებდა, ვინ იყო ეს კაცი, საიდან გაჩნდა, სად მიემგზავრებოდა ან როგორ მოხვდა "დუკანზე".

რაკი უცნობი დარწმუნდა, რომ მის ფაცურსა და გაცნობის ცდას მაიორი გულგრილად შეხვდა, ჭოგრს სტაცა ხელი, გასწია, დააგრძელა ერთ მეტრზე მაინც და ჰორიზონტის იმ მხარეს დაუწყო თვალიერება, სადაც ზღვა და ცისკიდური ერთმანეთს უერთდებოდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ჭოგრის ბოლოს ჯოხივით დაებჯინა. ჭოგრი ერთბაშად შეიკეცა, უცნობმა წონასწორობა დაკარგა და წინა ანძის აფრასთან, გემბანზე გაიშხლართა.

მაიორის ნაცვლად სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ღიმილს მაინც ვერ შეიკავებდა, მაგრამ მაკ-ნაბსს წარბიც არ შეუხრია.

---

1 ნიქტალოპი - ადამიანი, რომელიც ღამით უკეთესად ხედავს, ვიდრე დღისით.

უცნობმა ახლა სხვა ხერხს მიმართა.

- სტიუარდ! - გასძახ მან და კილოზე უცხოელობა შეეტყო. ძახილზე პასუხი არ ისმოდა, - სტიუარდ! - უფრო ხმამაღლა გასძახა.

ამ დროს ოლბინეტის სამზარეულოსაკენ მიდიოდა და ძალიან გაუკვირდა, რომ ეს აყლაყუდა, უცნობი კაცი ეძახდა.

- "საიდან გაჩნდა აქ? - გაიფიქრა მან, - გლენარვანის მეგობარი თუა... მაგრამ შეუძლებელია".

ოლბინტი მაინც ავიდა გემბანზე და უცნობს მიუახლოვდა.

- თქვენ სტიუარდი ხართ? - ჰკითხა უცნობმა.

- დიახ, ბატონო, მაგრამ ჯერ მე თქვენ არ ...

- მე მეექვსე კაიუტის მგზავრი გახლავართ.

- მეექვსე კაიუტის მგზავრი?! - გაიოცა ოლბინეტმა.

- დიახ! თქენი სახელი?

- ოლბინეტი.

- იცით რა, ჩემო მეგობარო, ჩემს საუზმეზე უნდა იზრუნოთ და რაც შეიძლება მალე. ოცდათექვსმეტი საათია, რაც პირში ლუკმა არ ჩამიდია... უფრო სწორად რომ ვთქვათ, სრული ოცდათექვსმეტი საათი მეძინა. თუმცა ეს ეპატიება იმ კაცს, რომელიც პარიზიდან შეუსვენებლად ჩამოვიდა გლაზგოში. მითხარით, გეთაყვა, აქ რომელ საათზე საუზმობენ?

- ცხრაზე, - მიუგო ოლბინეტმა.

უცნობს უნდოდა საათისათვის დაეხედა, მაგრამ ეს იოლი როდი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, მეცხრე ჯიბეში მიაგნო.

- კეთილი, - ჩაილაპარაკა, როდესაც საათს დახედა, - ჯერ რვაც არ ყოფილა. ოლბინეტ, არ შეიძლება, ჯერჯერობით ბისკვიტი და ერთი ჭიქა შერი მაინც მომაშველოთ? ლამის წავიქცე, ისე ვარ დასუსტებული.

ოლბინეტი უსმენდა, მაგრამ ვერაფერს მიმხვდარიყო, რადგან უცნობი გაუჩერებლივ ლაპარაკობდა და ერთი საგნიდან მეორეზე ხტებოდა საშინელი სისწრაფით.

- კაპიტანი სადღაა? - რატრატებდა ის, - ნუთუ კაპიტანი ჯერ არ ამდგარა? არც მისი თანამშემწე? რას აკეთეს მისი თანაშემწე? ნუთუ ახლა იმასაც სძინავს? ამინდი მშვენიერია, ზურგის ქარიც არის, გემი კი თავმინებებულია!

ამ დროს გემბანზე კაპიტანი ჯონ მანგლსი გამოჩნდა.

- აგერ კაპიტანიც, - უთხრა ოლბინეტმა.

- აჰაა!... დიდად მოხარული ვრ! - წამოიძახა უცნობმა და ჯონ მანგლისისკენ გაეშურა, - დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, კაპიტანო ბერტონ!

ჯონ მანგლსის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. მხოლოდ ის კი არ აცვიფრებდა, რომ კაპიტანი ბერტონი უწოდეს, უფრო ის აკვირვებდა, რომ გემზე უცნობ უცხოელს ხედავდა.

- ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ და ხელი ჩამოგართვათ! - განაგრძობდა უცნობი, - თუ გუშინღამ ვერ მოვიქეცი ისე, მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენ გამგზავრების სამზადისში ბრძანდებოდით გართული და არ მინდოდა შემეწუხებინეთ. დღეს კი, კაპიტანო ბერტონ, მართლაც ბედნიერი გახლავართ, რომ შემიძლია გაგეცნოთ.

კაპიტანი ჯონ მანგლსი გაკვირვებით შეჰყურებდა ხან ოლბინეტს და ხან უცნობს.

- ახლა, როდესაც ჩვენი გაცნობა მოხერხდა, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, უკვე ძველი მეგობრები ვართ. მაშ, ვისაუბროთ, მიბრძანეთ, გეთაყვა, ხომ კმაყოფილი ბრძანდებით თქვენი "შოტლანდიით"?

- "შოტლანდიით"? რას უწოდებთ შოტლანდიას? - კითხვითვე უპასუხა კაპიტანმა.

- ეს ხომ "შოტლანდიაა", რომლითაც მივცურავთ. მშვენიერი ხომალდია და ძალიანაც მიქებდნენ როგორც ხომალდს, ისე მის ეკიპაჟს და სახელოვან კაპიტან ბერტონს. მიბრძანეთ, ბატონო, თქვენ ხომ არ ენათესავებით სახელგანთქმულ მოგზაურ ბერტონს, აფრიკაში რომ მოგზაურობდა? თუ ენათესავებით, მოსალოცი ბრძანდებით.

- ბატონო, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - არამცდთუ არ ვენათესავები მოგზაურ ბერტონს, არც მე გახლავართ კაპიტანი ბერტონი.

- აჰაა! ... ალბათ, "შოტლანდიის" კაპიტნის თანაშემწეს ბატონ ბერდნესს ვესაუბრები?!

- ბერდნესი?! - გაიმეორა ჯონ მანგლსმა და თითქმის მიხვდა საქმის ვითარებას, მაგრამ ვერ გაეგო, ვისთან ჰქონდა საქმე, დარეტიანებულთან თუ ნამდვილ გიჟთან. სწორედ ამ დროს გემბანზე ამოვიდნენ გლენარვანი, ელენი და მერი გრანტი.

- აგერ მგზავრებიც! ჩვენი თანამგზავრები! დიდებულია! - წამოიძახა უცნობმა აღტაცებით და ჯონ მანგლსს მიმართა, - ბატონო ბერდნეს, იმედი მაქვს, გამაცნობთ!... - მაგრამ მას აღარ დააცალა, თვითონ გაექანა მათკენ ქუდის მოხდით.

- მილედი, - მიმართა მერი გრანტს, - მის, - მიუბრუნდა ელენს, - სერ, - მიესალმა გლენარვანს, - ბოდიშს ვიხდი, რომ თვითონვე გეცნობით, მაგრამ ზღვაზე, მოგეხსენებათ, შეიძლება გადავუხვიოთ საზოგადოებაში მიღებულ წესებს. იმედი მაქვს, მალე ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს და ამ მშვენიერი თანამგზავრების თანხლებით "შოტლანდიით" ჩვენი მოგზაურობა სასიამოვნოდ დ ხანმოკლე გასეირნებად მოგვეჩვენება.

ელენსა და მერი გრანტს საპასუხო სიტყვა ვერ ეპოვათ, ვერაფერი გაეგოთ ამ უცნაური მგზავრის, რომელიც "დუკანის" გემბანზე იდგა და "შოტლანდიას" ახსენებდა.

- მოწყალეო ბატონო, - ბოლოს გაეპასუხა გლენარვანი, - კეთილი ინებეთ და გვაცნობეთ, ვინ ბრძანდებით!

- პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების მდივანი, ბერლინის, ბომბეის, დარმშტადტის, ლაიფციგის, ლონდონის, პეტერბუგის, ვენისა და ნიუ-იორკის გოეგრაფიულ საზოგადოებათა წევრი და კორეპონდენტი, აღმოსავლეთ ინდოეთის სამეფო გეოგრაფიული ინსტიტუტის საპატიო წევრი ჟაკ-ელიასენ-ფრანსუა-მარი პაგანელი გახლავართ. დიახ, მე ვარ ის კაცი, რომელსაც ოცი წელიწადი გაუტარებია გეოგრაფიულ კაბინეტურ მუშაობაში და ამჟამად მიემგზავრება ინდოეთისაკენ, რათა შეაგროვოს და შეაჯამოს გამოჩენილ მოგზაურთა ნაშრომ-ნაღვაწი.

თავი VII

საიდან მოდის და
საით მიემართება ჟაკ პაგანელი

პარიზის გეოგრაფიუკლი საზოგადოების მდივანი კრაგად აღზრდილი ადამიანი ჩანდა, რადგან ყოველივე ეს უბრალოდ, მარტივად, გაუზვიადებლად წარმოთქვა. გლენარვანმა ახლა უკვე იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ჟაკ პაგანელის სახელი და გეოგრაფიული დამსახურება გაგონილი ჰქონდა. ჟაკ პაგანელს, როგორც თვალსაჩინო მეცნიერს, მთელ საფრანგეთში გაუთქვა სახელი "უწყებებში" დაბეჭდილმა მისმა გეოგრაფიულმა ნაშრომებმა, მიმოწერამ მთელი მსოფლიოს გეოგრაფიულ საზოგადოებებთან, ახალ აღმოჩენათა მიმოხილვამ, ამიტომაც გლენარვანმა გულთბილად გაუწოდა ხელი დაუპატიჟებელ სტუმარს.

- ახალა, როდესაც ერთმანეთს გავეცანით, ნება მიბოძეთ, ერთი რამ გკითხოთ, - უთხრა გლენარვანმა.

- ოცი ბრძანეთ! - მიუგო პაგანელმა, - თქვენთან საუბარი მუდამ სასიამოვნო იქნება ჩემთვის.

- როდის ამობრძანდით ჩვენს ხომალდზე? გუშინწინ საღამოს?

- დიახ, სწორედ გუშინწინ საღამოს რვა საათზე. მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე ეტლში შევხტი და პირდაპირ "შოტლანდიაზე" ამოვყავი თავი. პარიზიდანვე მქონდა დაკვეთილი მეექვსე კაიუტა. ამიტომ ოცდაათსაათიანი მგზავრობით დაქანცულმა, გემზე ამოსვლისთანავე საწოლს მივაშურე და პირველი ორი დღის განმავლობაში არც განვძრეულვარ, რადგანაც ვიცოდი, რომ ზღვის ავადმყოფობის წინააღმდეგ საუკეთესო წამალი წოლა გახლავთ. მერწმუნეთ, სრული ოცდათექვსმეტი საათი პატიოსნად მეძინა.

ახლა კი ყველანი მიხვდნენ, როგორ გაჩნდა პაგანელი ხომალდზე. ფრანგი მოგზაური სიჩქარეში "შოტლანდიის" ნაცვლად "დუნკაზე" ამოსულიყო, სწორედ იმ დროს, როდესაც ხომალდის ეკიპაჟი ჯერ კიდევ ნაპირზე იმყოფებოდა.

- მაშ ასე, ბატონო პაგანელ, კვლევა-ძიების დასაწყის პუნქტად კალკუტა ამოგირჩევიათ?

- დიახ, ბატონო, ინდოეთის ნახვა მთელი ჩემი სიცოცხლის ოცნებას შეადგენდა. იქ, ამ სპილოების ქვეყანაში, განხორციელდება ჩემი სანუკვარი ოცნება.

- სხვა ქვეყანაში რომ მოხვდეთ?

- ეს დიდი უსიამოვნებას მომაყენებდა, მით უმეტეს, რომ წამოღებული მაქვს წერილები ინდოეთის გენერალ-გუბერნატორთან და... ესეც არ იყოს, გეოგრაფიულმა საზოგადოებამ დავალებები მომცა და უნდა შევასრულო...

- აჰა, დავალებებიც გქონიათ?

- დიახ! უნდა შევძლო და მოვასწრო ფრიად საჭირო და საგულისხმო მოგზაურობა, რომლის მარშუტიც ჩემმა თანამოღვაწე მეგობარმა მეცნიერემა ვივიენ დე სენ-მარტენმა შეადგინა. დავალებული მაქვს, გავყვე იმ კვალს, რომლითაც იმოგზაურეს ძმებმა შლაგინვაიტებმა, პოლკოვნიკმა ვოუმ, ვებმა, ჰოჯსონმა, მისიონერმა ჰუკმა და გაბემ, მურკროფტმა, ჟიულ რემიმ და სხვებმა. მინდა მიაღწიო იმასაც, რასაც 1846 წელს, სამწუხაროდ, ვერ მიაღწია მისიონერმა კრიკმა. ერთი სიტყვით, უნდა გამოვიკვლიო და შევისწავლო მდინარე არუ-ძანგბო-ჩუს დინება, რომელიც ჩრდილოეთიდან უვლის ჰიმალაის მთებს და ათას ხუთასი კილომეტრის მანძილზე რწყავს ტიბეტის მიდამოებს. ისიც მინდა შევამოწმო, ეს მდინარე ერთვის სადმე თუ არა მდინარე ბრამაპუტრას, ასამის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ის მოგზაური, რომელიც გადაწყვეტს ინდოეთის გეოგრაფიისათვის ასეთ მნიშვნელოვან და ფრიად საჭირო საკითხს, დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდება.

პაგანელი ამ მონოლოგის დროს შეუდარებელი იყო. მისი აღფრთოვანება შეგშურდებოდათ - ფანტაზიის მსუბუქი ფრთებით დაფრინავდა და ამ დროს მისი შეჩერება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც შარაუზის ჭორომებთან მდინარე რაინის შეჩერება.

წუთიერი სიჩუმის შემდეგ მას გლენარვანმა მიმართა:

- ბატონო პაგანელ, რა თქმა უნდა, თქვენი მოგზაურობის გეგმა დიდებულია და მეცნიერებაც დიდად იქნება დავალებული, მაგრამ არ მინდა გაგრძელდეს ის გაუგებრობა, რომელშიაც ახლა ხართ. თქვენ დროებით მაინც უნდა გამოეთხოვოთ ინდოეთის ნახვის სიამოვნებას.

- გამოვეთხოვო? რატომ?

- იმიტომ, ბატონო, რომ ამჟამად ჩვენი მივემგზავრებით ინდოეთის ნახევარკუნძულის მოპირდაპირე სანაპიროსაკენ.

- როგორ, კაპიტანო ბერტონ?

- მე კაპიტანი ბერტონი არ გახლავრთ, - მიუგო გლენარვანმა.

- კი მაგრამ... ეს ხომ "შოტლანდიაა"?

- ეს ხომალდი "შოტლანდია" არ გახლავთ!

პაგანელის განცვიფრება აუწერელი იყო. ყველანი სათითაოდ ჩაათვალიერა: გლენარვანის სახეს სერიოზული იერი არ მოსცილებია, ელენსა და მერი გრანტს სიბრალული აღებეჭდათ დახეზე. ჯონ მანგლსი იღიმებოდა, მაიორი კი ქვასავით უძრავად იდგა.

პაგანელმა მხრები აიჩეჩა, სათვალე შუბლიდან ცხვირზე ჩამოიცურა და წამოიძახა:

- რა ხუმრობაა! - ამ დროს თვალი მიაშტერა მესაჭის ბორბალს, რომლის სპილენძის დაფაძე ამოჭრილი იყო სიტყვები:

- "დუკანი. გლაზგო".

- "დუკანი" ! "დუკანი"! - წამოიძახა სასოწარკვეთილმა. უცებ ადგილიდან მოსხლტა, გემბანიდან კიბეზე დაეშვ ა და თავის კაიუტას მაიშურა. მისი წასვლის შემდეგ მაიორის გარდა ყველა იქ დამსწრემ თავი ვეღარ შეიკავა და სიცილი აუვრდათ. შეიძლება ადმიანს

მატარებელი შეეშალოს, შეიძლება დუმბარტონში მიმავალი შეცდომით ჩაჯდეს ედინბურგის მატარაებელში, ეს კიდევ არაფერია, მაგრამ შეგეშალოს გემი და ინდოეთის მაგივრად ჩილესაკენ გაემართო, ეს კი მეტისმეტი იყო!

- უნდა მოგახსენოთ, რომ ჟაკ პაგანელისათვის ეს მარცხი სკვირველი არ არის. ასეთი ამბებით განთქმულია. ერთხელ ამერიკაში შესანიშნავი რუკა გამოსცა და წარმოგიდგენიათ, იაპონიაც შიგ მოათავსა, მაგრამ ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლის, რომ საფრანგთის გამოჩენილ მეცნიერად და საუკეთესო გეოგრაფად ითვლებოდეს, და საფუძვიანადაც... - თქვა ლორდ გლენარვანმა.

- ახლა რა ვუყოთ ამ საბრალოს?... პატაგონიაში ხომ ვერ წავიყვანთ? - იკითხა ელენმა.

- რატომაც არა! მის დაბნეულობაში ჩვენ რა ბრალი მიგვიძღვის! - გაეპასუხა მაკ-ნაბასი, - წარმოიდგინეთ, ვითომ შეცდომით რკინიგზის მატარებელში ჩაჯდა, განა შეეძლო მისი გაჩერება?

- მაგას ახლაც მოახერხებს პირველივე გაჩერებაზე, თუკი მოისურვებს.

- გაჩერება არა, მაგრამ ახლო სადგურზე მაინც შეეძლო ჩამომხტარიყო, - მიუგო ელენმა.

ამ დროს გემბანზე გაწბილებული და დარცხვენილი პაგანელი გამოჩნდა; დარწმუნებული, რომ მთელი მისი ბარგი ამ ხომალდზე იყო მოთავსებული. გაშმაგებული ბოლთას სცემდა გემბანზე და თან განუწყვეტლივ იმეორებდა მისთვის საბედისწერო სიტყვას - "დუკანი"! "დუკანი"! დაკვირვებით ათვალიერებდა ანძებს და კითხვის თვალით გასცექროდა გაშლილი ზღვის შორეულ სივრცეს, ბოლოს მოტრიალდა და ისევ გლენარვანს მიუახლოვდა.

- მითხარით, გეთაყვა, "დუკანი" საით მიემგზავრეაბ?

- ამერიკისაკენ, ბატონო პაგანელ.

- უფრო სწორად?

- კონსეფსიონისაკენ.

- ჩილეში! ჩილეში! - უიმედოდ წამოიძახა საბრალო გეოგრაფმა, - მე კი ინდოეთში მივდიოდი, ახლა რას მეტყვის ცნეტრალური კომისიის თავმჯდომარე, ბატონი კატრფაჟი?! ანდა ბატონი ავეზაკი! კორტემბერი!... ვივიენ დე სენ-მარტინი? რა პირითღა უნდა გამოვჩნდე გეოგრაფიული საზოგადოების სხდომებზე!

- სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, ბატონო პაგანელ! - ანუგეშა გლენარვანამა, - ყველაფერი გამოსწორდება, მხოლოდ მცირეოდენი დრო დაგეკარგებათ. მერწმუნეთ, არუ-ძანგბო-ჩუს მდინარე ყოველთვის დაგიცდით ტიბეტის მთებში. ჩვენ მალე გავჩერდებით მადეირასთან. იქ შეგიძლიათ ევროპისაკენ მიმავალ ხომალდზე გადაჯდეთ.

- გმადლობთ, ბატონო ჩემო, რა გაეწყობა, ბედს უნდა დავემორჩილო... მართლაც რომ გასაოცარი თავგადასავალია!... და წარმოიდგინეთ, ასეთი უცნაური სწორედ მე უნდა დამემართოს ხოლმე! მერე, ჩემი კაუტა "შოტლანდიაზე" რომ დვუკვეთე?!

- ბატონო პაგანელ, გირჩევთ ჯერჯერობით მაინც ნუღარ იფიქრებთ "შოტლანდიაზე".

პაგანელი ისევ "დუნკანის" თვალიერებით გაერთო, შემდეგ გლენარვანს მიუბრუნდა:

- როგორც ვატყობ "დუნკანი" გასართობად მოწყობილი ხომალდი უნდა იყოს?

- სრული ჭეშმარიტებაა, - მიუგო კაპიტანმა ჯონ მანგლსმა, - ეს იახტა ლორდ გლენარვანისა გახლავთ...

- რომელიც სულითა და გულით გთხოვთ, გაიზიაროთ მისი პურ-მარილი, - დააბლოვა გლენორვანმა.

- ათასი მადლობა, - მიუგო პაგანელმა, - თქვენი თავაზიანობა გულის სიღრმემდე მწვდება, მაგრამ ნება მიბოძეთ, ერთი მცირე რამ შევნიშნო. კარგდ მოგეხსენებათ, რომ ინდოეთი უმშვენიერესი ქვეყანაა და სიამოვნების უშრეტ წყაროს წარმოადგენს ყველა მოგზაურისათვის. ალბათ, მანდილოსნები მას არ იცნობენ. რა იქნებოდა, რომ თქვენ მესაჭეს "დუნკანი" ისე მიეტრიელებინა, რომ კონსეფსიონის მაგიერ კალკუტისაკენ წავეყვანეთ?! ეს მოგზაურობა ხომ სიამოვნებისათვის გაქვთ მოწყობილი...

მეცნიერი იძულებული გახდა, გაჩერებულიყო, რადგან გლენარვანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

- რა თქმა უნდა, მხოლოდ გართობის მიზნით რომ ვმოგზაურობდეთ, - უთხრა ელენმა, - გიპასუხებდით, - კეთილი, წავიდეთ ინდოეთისაკენ, და დარწმუნებული ვარ, გლენარვანიც არ ამიხირდებოდა, მაგრამ "დუნკანი" მიდის იმ ადამიანების საძებნელად, რომელნიც გემის დაღუპვის შემდეგ პატაგონიის ნაპირებს შეჰხიზვნიან. ამიტომაც ვერ შეცვლის გლენარვანი გადაწყვეტილებას.

ამის შემდეგ პაგანელს რამდენიმე წუთში გააცნეს საქმის ვითარება. გეოგრაფმა უდიდესი მღელვარებით მოისმინა ბარათების სასწაულებრივი პოვნის ამბავი, კაპიტან გრანტის თავგადასავალი და ელენის წინადადება მის საძებნელად გამგზავრების შესახებ.

- ქალბატონო, ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი უდიდესი მადლობა და უღრმესი აღტაცება თქვენი სულგრძელი საქციელის გამო, - მიმართა პაგანელმა ელენს, - დაე, თქვენმა იახტამ განაგრძოს გზა! ჩემს თავს გავკიცხავდი, რომ თუნდაც ერთი დღით შეფერხებულიყო იგი.

- მაშ, თუ ასეა, იქნებ თქვენც შემოგვიერთდეთ? - შეეკითხა ელენი.

- ყოვლად შეუძლებელია, ქალბატონო! ვალდებული ვარ, შევასრულო დავალებები. პირველივე გაჩერებაზე ჩავალ იახტიდან.

- მაშასადამე, მადეირაზე, - თქვა ჯონ მანგლსმა.

- მადეირაზე? თუნდაც მადეირა იყოს, იქიდან სამასიოდე კილომეტრით ვიქნები ლისაბონს დაშორებული და ევროპაში დაბრუნების შესაძლებლობას დაველოდები.

- ყველაფერს ისე მოვაწყობთ, როგორც მოისურვებთ, - დაჰპირდა გლენარვანი, - მანამდე კი დიდად მოხარული ვარ, რომ რამდნეიმე დღით მაინც შევძლებ თქვენს გამასპინძლებას ჩემს ხომალდზე. მხოლოდ იმას ვისურვებდი, ჩვენს წრეში მოწყენილობა არ გეგრძნოთ.

- ოჰ, მისტერ გლენარვან! - მიაგება სიტყვა მეცნიერმა, - პირიქით, დიდად მოხარული გახლავართ, რომ ასე ბედნიერად შევცდი! ყოველ შემთხვევაში, მაინც სასაცილოა მდგომარეობა იმ ადამიანებისა, რომელიც ინდოეთში წასასვლელად ამერიკაში მიმავალ ხომალდზე ჯდება...

ასე რომ, სევდიანი ფიქრების მიუხედავდ, პაგანელი უნდა შერიგებოდა ამ დაბრკოლებას, რომლის აცილებც უკვე აღარ შეეძლო. მეცნიერმა თავაზიანობა და მხიარული ხასიათი გამოიჩინა. ქალები აღტაცებაში მოჰყავდა, საღამომდე კი უკვე გაუშინაურდა და დაუმეგობრდა "დუნკანის" მთელ საზოგადოებას. ბოლოს ითხოვა, ეჩვენებინათ ნაპოვნი ბარათები. დიდხანს გულდასმით ჩაჰკირკიტებდა, იკვლევდა და მათ განმარტებაში ვერავითარი ნაკლი ვერ შენიშნა. გულთბილი ლმობიერებით მოეკიდა მერი გრანტისა და რობერტის ხვედრს. გული გაუმაგრა, დაიმედა, რომ უსათუოდ მიაღწევდნენ მიზანს და ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ მერი გრანტის ბაგეზე ღიმილიც კი აათამაშა. ბოლოს დასძინა, სამეცნიერო დავალებანი რომ არა მქონოდეს, უსათუოდ გამოგყვებოდით კაპიტან გრანტის საძებნელადო.

როდესაც პაგანელმა შეიტყო, რომ ელენი უილიამი ტუფნელის ქალიშვილი იყო, აღტაცების უშრეტ წყაროდ იქცა.

- მამათქვენს კარგად ვიცნობდი, - უთხრა ელენს, - თავდადებული მეცნიერი ბრძანდებოდა. რამდენი მიწერ-მოწერ მქონდა ჩვენი გეოგრაფიული საზოგადოების წევრ-კორესპონდენტ უილიამ ტუფნელთან!... აღტაცებული ვარ, რომ ჩემი უძვირფასესი მეგობრის უილიამ ტუფნელის ქალიშვილთან ერთად მიხდება მგზავრობა!

აღფრთოვანებულმა პაგანელმა თავი ვეღარ შეიკავა და ელენის თანხმობით გადაკოცნა ქალი, თუმცა ასეთი საქციელი, ცოტა არ იყოს, უხერხული იყო.

თავი VIII

"დუნკანს" კიდევ ერთი კარგი ადამიანი შეემატა

"დუნკანი" ზურგის ქარის დახმარებით სწრაფად მისრიალედა ეკვატორისაკენ. 30 აგვისტოს ჰორიზონტზე მადეიარას კუნძულების მოხაზულობა აისახა. გლენარვანმა. სიტყვას არ გადაუხვია და შესთავაზა სტუმრებს, თუ მადეირაზე გასადვლა გნებავთ, ხომალდს გავაჩერებთ და ნაპირზე გადაგიყვანთო.

- ბატონო გლენარვან, აღარ გებოდიშებით, - უპასუხა პაგანელმა, ერთი ეს მიბრძანეთ, სანამ მე თქვენს ხომალდზე მოვხვდებოდი, გქონდათ, თუ არა განზრახული მადეირასთან გაჩერება?

- არა, - მიუგო გლენარვანმა.

- მაშ, ნება მიბოძეთ, ვისარგებლო ჩემი უბედური დაბნეულობის შედეგებით... მადეირა მეტისმეტად ცნობილი კუნძულია და გეოგრაფიისათვის არავითარ ინტერესს აღარ წარმოადგენს. მის შესახებ თითქმის ყოველივე თქმულა და დაწერილა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, მისი მეღვინეობაც საშინლად დაქვეითდა. წარმოიდგინეთ, მადეირაზე აღარც კი მოიპოვება ვენახები! 1813 წელს ღვინის მოსავალი ოცდაორი ათას პიპას[1] უდრიდა, 1845 წელს კი ორი ათას ექვსას სამოცდაცხრა პიპაზე ჩამოვდია, ახლა კი მხოლოდ ხუთას პიპასღა უდრის. სწორედ სავალალო მდგომარეობაა!... მაშ, თუ ეს თქვენთვის სულერთია, გთხოვთ, კანარიის კუნძულებთან გავჩერდეთ.

- კანარიის კუნძულებთან? კეთილი, ეგ კუნძულებიც ჩვენს გზაზეა, - მიუგო გლენარვანმა.

- ეგ მეც ვიცი, საქმე ის გახლავთ, რომ კანარიის კუნძულებში სამი ჯგუფია, რომლებიც შესწავლის მხრივ ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს, რომ არაფერი ვთქვათ, ტენერიფის პიკის შესახებ, რომლის ნახვაც ჩემთვის მუდმივი ნატვრის საგანს წარმოადგენს. ბარემ შემთხვევით ვისარგებლებდი და ევროპისაკენ მიმავალი გემის მოლოდინში, ავიდოდი ამ ცნობილი მთის მწვერვალზე.

- როგორც გენებოთ, ძვირფასო პაგანელ, - მიუგო გლენარვანმ და ღიმილი ვერ შეიკავა.

გაღიების საბაბი კი ჰქონდა, რადგან მადეირას კუნძულიდან კანარიის კუნძულები დიდი მანძილით არ იყო დაშორებული. სულ ორას ორმოცდაათი მილი იქნებოდა და ამ მანძილს სწრაფად გაივლიდნენ.

31 აგვისტოს, ნაშუადღევს ორ საათზე, ჯონ მანგლსი და პაგანელი

გემბანზე დასეირნობდნენ. ფრანგი მოგზაური დიდი ხალისით ეკითხებოდა კაპიტანს ჩილეს ამბებს და გულდასმით უსმენდა. ჯონ მანგლსმა ერთბაშად სიტყვა შეწყვიტა და ჰორიზონტზე მიუთითა.

- ბატონო პაგანელ!

- რა მოხდა, მეგობარო? - შეეკითხა მეცნიერი.

- აბა, გაისარჯეთ და იმ მხარეს გახედეთ. ვერაფერს ხედავთ?

- ვერა!

- თქვენ იქით არ იცქირებით, თავად ჰორიზონტს კი ნუ გასცქერით, მის ზემოთ გაიხედეთ, ღრუბლებისაკენ!

- ღრუბლებისაკენ?.. მაინც ვერაფერს ვარჩევ...

- შეხედეთ ბუშპრიტის[2] წევრს. მის პირდაპირ, ღრუბლებში, ხედავთ შავ წერტილს?

- არა.

- ალბათ, დანახვა არ გსურთ! მართალია, ჯერ კიდევ ორმოცი მილის მანძილზე ვიმყოფებით, მაგრამ ჰორიზონტზე გარკვევით მოჩანს ტენერიფის პიკი.

---

1 ერთი პიპია უდრის 50 ჰექტარს.

2 ბუშპრიტი - დახრილი ანძა გემის ცხვირზე.

მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ პაგანელს სურდა თუ არა, მაინც უნდა დაენახა ტენერიფის პიკი, თორემ სავსებით ბრმად ჩათვლიდნენ.

- არც ახლა ხედავთ? - მიუბრუნდა ჯონ მანგლსი.

- დიახ, დიახ, ჩინებულად ვხედავ, მაგრამ ნუთუ ეს არის ტენერიფის პიკი?

- სწორედ ის გახლავთ...

- მაინცდამაინც მაღალი არ ჩანს...

- ზღვის დონიდან თერთმეტი ათასი ფუტით არის აზიდული.

- აბა, ეს მონბლანს[1] როგორ შეედრება!

- შეიძლება, თუმცა როდესაც ამ მწვერვალზე ასვლას შეუდგებით, მაშინ საკმაოდ მაღალი მოგეჩვენებათ.

- იჰ, იმაზე ასვლა? რა აუცილებლობაა, ჩემო ძვირფასო კაპიტანო, ისიც ჰუმბოლდტისა და ბონპლანის შემდეგ! დიდი გენიოსი იყო ეს ჰუმბოლტი! ავიდა ამ მწვერვალზე და აგვიწერა მისი ხუთი სარტყელი: მევენახეობის, დაფნის, ფიჭვების, ალპურ მანანათა და მწირი ნიადაგის. მან მიაღწია ამ მთის უმაღლეს მწვერვალს, სადაც ჩამოსაჯდომი ადგილიც კი ვერ იპოვა, იქიდან თვალი მოავლო ისეთ უზარმაზარ სივრცეს, რომელიც მთელი ესპანეთის მეოთხედს მაინც უდრიდა. დაათვალიერა ტენერიფის ვულკანი, ჩააღწია ჩამქრალი კრატერის ფსკერამდე... და ამის შემდეგ, მე თქვენ გეკითხებით, რაღა უნდა გავაკეთოთ იმ დიდებულ ადამიანზე მეტი?

- მართლაც რომ არაფერი! - დაემოწმა ჯონ მანგლსი, - ეგ გარემოება დიდად საწყენია, რადგან გემის მოლოდინში მოგეწყინებათ და გასართობ საქმეს იქ ძნელად იშოვით.

- გასართობს ყველგან მოვძებნი, - სიცილით უპასუხა პაგანელმა, - მხოლოდ თქვენ ეს მიბრძანეთ, ჩემო მანგლს, ნუთუ მწვანე კონცხის კუნძულზე არსად მოიპოვება ხომალდის მისადგომი ადგილი?

- როგორ არა, მაგალითად, ვილა-პრაიაში გაჩერება სულ ადვილი საქმეა.

- ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა, რადგან კანარის კუნძულები მცირე მანძილითაა დააშორებული სენეგალისაგან, სადაც ჩემს თანამემამულეებსაც შეხვედებოდი. კარგად ვიცი, რომ ეს არქიპელაგი საგულისხმოს არას წარმოადგენს, გავერანებულია და დამასნეულებელიც, მაგრამ, მოგეხსენებათ, გეოგრაფიისათვის ყველაფერი საინტერესოა. ზოგიერთ ადამიანს არც დანახვის უნარი აქვს, არც დაკვირვებისა და მაინც დაღოღავს ლოკოკინასავით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მე ასეთებს არ ვეკუთვნი.

- როგორც გენებოთ, პაგანელ, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - მჯერა, მწვანე კონცხის კუნძულების მოვლით მეცნიერბას უთუოდ გაამდიდრებთ რითიმე და თუ იქ ინებებთ გადასვლას, ჩვენ სულ არ შეგვაფერხებთ, მაინც დაგვჭირდება იქ შეჩერება ქვანახშირის შესავსებად.

საუბრისას კაპიტანმა ისეთი გეზი მისცა იახტას, რომ კანარის კუნძულებისათვის დასავლეთის მხრიდან მოევლოთ. ტენერიფის განთქმული მწვერვალი უკან დარჩათ. გემი იმავე სისწრაფით მიცურავდა და 2 სექტემბერს, დილის ხუთ საათზე, მან უკვე გადასერა კირჩხიბის ტროპიკი.

ამინდმა ფერი იცვალა. ჰაერი ტენიანი გახდა და დამძიმდა, როგორც სჩვევია ამ

---

1 მონბლანი - ევროპის ყველაზე მაღალი მწვერვალი შვეიცარიის ალპებში.

მიდამოებს წვიმიანობის პერიოდში. ეს დრო ყველაზე უმძიმესია მოგზაუროებისათვის.

ზღვის ღელვის გამო "დუნკანის" მეზღვაურები გემბანზე ვერ ამოდიოდნენ, მაგრამ საერთო დარბაზშიაც კარგად ერთობოდნენ გაცხოველებული მასლაათით.

3 სექტემბერს პაგანელი ნაპირზე გადასასვლელად მზადებას შეუდგა. "დუნკანი" მწვანე კონცხის კუნძულებს შორის მიცურავდა. უკვე გასცილდა უკაცურ და უდაბურ მლაშეწყლიან კუნძულებს, გარს უვლიდა მარჯნის კლდეებს და წმინდა იაკობის კუნძულს, რომელსაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ბაზლტის მთები სერავდა, ცაში აზიდული ორი მწვერვალით რომ ბოლოვდებოდა. "დუნკანი" ვილა-პრაიის ყურეში შეცურდა და ქალაქის პირდაპირ ღუზა ჩაუშვა.

ზღვა ღელავდა. ყურე ზღვის მხრიდან მომყუდროებული იყო, მაგრამ ზვირთცემა მაინც მძლავრად აგორებდა ტალღებს. ისეთი კოკისპირული თავსხმა იყო, რომ ქალაქის დანახვაც შეუძლებელი ხდებოდა. ხშირი წვიმის სქელ ბადეში მხოლოდ ბუნდოვნად

მოჩანდა ვრცელ ვაკეზე გაშენებული ქალაქი, რომელსაც ირგვლივ შემორტყმოდა სამასი ფუტის სიმაღლეზე აზიდული ვულკანური ჭიუხი და სულისშემხუთავად აწვებოდა ადამიანის სულს.

ასეთი საძაგელი ამინდის გამო ელენმა ვერ მოახერხა ნაპირზე გადასვლა ქალაქის დასათვალიერებლად. ქვანახშირის დატვირთვაც დიდი ვაივაგლახით მიმდინარეობდა. "დუნკანის" მგზავრები ძალაუნებურად საერთო დარბაზში შებუდებულიყვნენ. ზღვისა და წვიმის წყალი ერთმანეთში ირეოდა და მგზავრების სალაპარაკო საგნადაც, თავისთავად, ამინდი გახდა. ყველ ცდილობდა, თავისი აზრი გამოეთქვა ამინდის შესახებ, მაიორის გარდა, რომელიც ქვეყნის წარღვნასაც კი გულმშვიდად შეხვდებოდა. პაგანელი მოუსვენრად სცემდა ბოლთას დარბაზში და თან თავს იქნევდა.

- თითქოს განგებ ეწყობა ასე!... - ბურტყუნებდა თავისთვის.

- დიახ, - მიუბრუნდა გლენარვანი, - ეჭვგარეა, რომ ბუნებაც ჯიბრში გიდგათ!

- მე შევეცდები მის დაოკებას.

- ბატონო პაგანელ, ასეთ თავსხმაში როგორ უნდა გადახვიდეთ ნაპირზე? - ჰკითხა ელენმა.

- მე კი ჩინებულად გადავიდოდი, მაგრამ ბარგი მაფიქრებს, ხელსაწყოები დამეღუპება!

- ერთი გადასვლა გიჭირთ, თორემ ვილა-პრაიაში რიგიანად მოეწყობოთ, - უთხრა გლენარვანმა, - თუმცა კომფორტისა კი რა მოგახსენოთ. მაინცდამაინც ვერაფერი სასიამოვნოა მაიმუნებისა და ღორების მეზობლად ცხოვრება, მაგრამ მოგზაურს აზიზობა არ შეშვენის. სამაგიეროდ, იმედი მაინც გექნებათ, რომ ევროპაში გამგზავრებას მოახერხებთ შვიდი-რვა თვის შემდეგ მაინც...

- შვიდი-რვა თვის შემდეგ?! - უნებლიეთ შესძახა პაგანელმა.

- დიახ, სწორედ ასე იქნება! მწვანე კონცხის კუნძულებს იშვიათად ესტუმრებიან ხოლმე ხომალდები, მეტადრე წვიმების სეზონში, მაგრამ თქვენ ნაყოფიერად გამოიყენებთ ამ დროს. ეს არქიპელაგი ნაკლებადაა შესწავლილი. აქ ბევრი რამ არის გამოსარკვევი ტოპოგრაფიის, ეთნოგრაფიის, კლიმატოლოგიის, ჰიფსომეტრიის[1] მხრივ.

- მდინარეებსაც გამოიკვლევთ, - ჩაურთო ელენმა.

- აქ მდინარეები არ გახლავთ, ქალბატონო, - ნაღვლიანად უპასუხა პაგანელმა.

---

1 ჰიფსომეტრია - ადგილის სიაღლეების გაზომვა.

- ღელვებს მაინც შეისწავლით.

- არც ღელვები გახლავთ.

- იქნებ წყაროები მაინც იყოს?

- არც ერთი!

- მაშინ ტყეების გამოკვლევით გაერთობით, - ჩაურთო მაიორმა.

- ტყეში ხომ ხეები უნდა იყოს, აქ კი წამლადაც ვერსად ნახავთ ხეს.

- თქმა არ უნდა, დიდებული ქვეყანა ყოფილა, - ჩაილაპარაკა მაიორმა.

- ძვირფასო პაგანელ, გულს ნუ გაიტეხთ, - ანუგეშა გლენარვანმა, - აქ თქვენ მთები დაგხვდებათ!...

- ეჰ, დაბალი და უმნიშვნელო! ... ესეც არ იყოს, მათ შესახებ უკვე არსებობს სამეცნიერო გამოკვლევები!

- რას ბრძანებთ!

- დიახ, ასეთია ჩემი უბადრუკი ხვედრი! ... კანარის კუნძულები ჩემზე ადრე მოიარა და აღწერა ჰუმბოლდტმა... აქ კი დამასწრო გეოლოგმა შარლ სენ- კლერდევილმა.

- ნუთუ ასეა?

- დიახ, სწორედ ასე გახლავთ, - შესაბრალისი კილოთი ჩაილაპარაკა პაგანელმა.

- ეს მოგზაური საფრანგეთის სამანძიან სამხედრო გემზე მოხვდა, რომელსაც "გამბედავი" ერქვა... როდესაც ხომალდი მწვანე კონცხთან გაჩერდა, ამ დროით ისარგებლა და ყველაზე უფრო საინტერესო ვულკანის მწვერვალზე ავიდა, რომელიც ფოგოს კუნძულზე გახლავთ. აბა, ამის შემდეგ რაღა გავაკეთო აქ?

- მართლაც უნუგეშო მდგომარეობაა! - ჩაურთო ელენმა, - მაშ, რას აპირებთ?

პაგანელი დუმდა.

- ცხადია, მადეირაზე გირჩევნიათ გადასვლა, თუმცა იქ თურმე ღვინო აღარ იშოვება, - უთხრა გლენარვანმა.

გეოგრაფიული საზოგადოების სწავლული მდივანი დუმილს განანგრძობდა.

- მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, ავდგებოდით და... დავიცდიდი! - გამოელაპარაკა მაიორი ისეთი კილოთი, როგორითაც მას შეეძლო ეთქვა, "აღარ დავიცდიდიო".

- ძვირფასო გლენარვან, - სიტყვა დაძრა პაგანელმა, - ამის შემდეგ კიდევ სად აპირებთ გაჩერებას?

- კონსეფსიონამდე აღარსად!

- დალახვროს ეშმაკმა!.. ეგ ძალიან დამაშორებს ინდოეთს.

- არც იმდენად! ჰორნის კონცხს რომ გავცდებით, უფრო დაუახლოვდებით მას.

- ვეჭვობ...

- თუცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ სულერთია, ოსტ-ინდოეთში მოხვდებით თუ ვესტ-ინდოეთში! - სერიოზული კილოთი უთხრა გლენარვანმა.

- ეგ როგორ?

- ისე... პატაგონიის პამპის მცხოვრებნი ისეთივე ინდიელები არიან, როგორიც პენჯაბელები.

- ჰო, ეგ მართლაც ჭკუასთან ახლოა! - დაეთანხმა პაგანელი, - მე ვერასოდეს მოვისაზრებდი ამას!

- ესეც არ იყოს, ძვირფასო პაგანელ, ადამიანმა ყველგან შეიძლება დაიმსახუროს ოქროს მედალი, აღმოსაჩენი და გამოსაკვლევ-შესასწავლი ყველგან მოიპოვება - კორილიერებშიც და ტიბეტის მთებშიც.

- მერე, იარუ-ძანგბო-ჩუს დინების გამოკვლევა?

- რა ბედენაა! ... რიო-კოლორადო იყოს! ეს მდინარეც ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი. მისი დინების მიმართულება გეოგრაფიის ფანტაზიით უფროა მოხაზული.

- დიახ, მართალი ბრძანდებით, მეც კარგად ვიცი. მის რუკაზე მთელი გრადუსობით არის შეცდომები. ეჭვი არა მაქვს, რომ გეოგრაფიული საზოგადოება პატაგონიაშიც ისეთივე ხალისით გამგზავნიდა, როგორითაც ინდოეთში, მაგრამ ეს თავის დროზე ვერ მოვისაზრე! ...

- ალბათ, თქვენთვის ჩვეული გულმავიწყობის გამო.

- მაშ, ახლა რას აპირებთ? ეგებ ჩვენთან ერთად იმოგზაუროთ? - ჰკითხა ელენმა მეტად მომხიბვლელი ხმით.

- ქალბატონო, ჩემი მისია?

- წინასწარ გაფრთხილებთ, ჩვენ გავივლით მაგელანიდ სრუტეს, - ჩაურთო გლენარვანმა.

- სერ, თქვენ მაცდური ბრძანდებით!

- ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ შიმშილის ნავსადგურშიც შევივლით! - დაუმატა ჯონ მანგლსმა.

- შიმშილის ნავსადგურში! - წამოიძახა ფრანგმა გეოგრაფმა, რომელზეც ყოველი მხრიდან იერიში მიჰქონდათ, - უშესანიშნავესი ნავსადგურია გეოგრაფიის მთელ მატიანეში!...

- გეოგრაფი ჩვენს ექსპედიციასაც სარგებლობას მოუტანდა, - თქვა ელენმა, - ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს, როდესაც მეცნიერება ეხმარება ადამიანური მოვალეობის შესრულებას!

- მშვენივრად არის ნათქვამი, ქალბატონო!

- ამგვარად, საფრანგეთი და შოტლანდია მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში, - განგრძო გლენარვანმა.

- დარჩით ჩვენთან, ბატონო პაგანელ, - შეეხვეწა რობერტ გრანტიცი.

- მეგობრებო, გნებავთ, გულახდილად მოგახსენოთ? - თქვა პაგანელმა, - როგორც ჩანს, თქვენ, ყველანი, მოწადინებული ბრძანდებით, რომ თქვენთან დავრჩე!

- თქვენც, პაგანელ, სულ იმის ნატვრაში ბრძანდებით, რომ როგორმე დარჩეთ ჩვენთან! - მიუგო გლენარვანმა.

- ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი! - წამოიძახა მეცნიერმა, - გამხელა მეხათრებოდა. კადნიერებაში არ ჩამომართვან-მეთქი!

თავი IX

მაგელანის სრუტე

როდესაც იახტაზე პაგანელის გადაწყვეტილება შეიტყვეს, ყველა სიხარულმა აიტაცა, რობერტი ხომ ისეთი სისწრაფით ჩამოეკიდა კისერზე, რომ კინაღამ გემბანზე არ გაშხლართა პატივცემული გეოგრაფი.

- ყოჩაღ, ბიჭო! - უთხრა პაგანელმა, - შენ უსათუოდ უნდა შეგასწავლო გეოგრაფია!

რობერტს ბედი უღიმოდა - ჯონ მანგლსს კარგი მეზღვაური უნდა გამოეყვანა, გლენარვანს - გულოვანი, მაიორს - დარბაისელი, ელენს - გულკეთილი და დიდსულოვანი, მერის კი - ამ ძვირფას მასწავლებელთა ყველა ადამიანური სიკეთის სრულყოფილი განხორციელება.

"დუკანმა" ქვანახშირის დატვირთვა მალე დაამთავრა და დატოვა ეს უჟმური კუნძულები. დასავლეთისაკენ გაემართა, ჩრდილოეთის ქარის შემწეობით 7 სექტემბერს ეკვატორი გადასერა და სამხრეთ ნახევარსფეროში ამოყო თავი.

მგზავრობა შეუფერხებლად მიდიოდა. ყველანი იმედით იყვნენ გამსჭვალულნი, დღითი დღე უძლიერდებოდათ კაპიტან გრანტის პოვნის რწმენა. მეტადრე ეს იმედი ასულდგმულებდა ხომალდის კაპიტან ჯონ მანგლსს, რომელიც სულითა და გულით ნატრობდა, რომ მერი გრანტი ენახა ბედნიერი და კმაყოფილი. განსაკუთრებულ გრძნობას განიცდიდა მის მიმართ და განცდის დაფარვას ისე კარგად ახერხებდა, რომ ამას ყველანი ამჩნევდნენ, მერის გარდა.

გეოგრაფი უბედნიერეს ადამიანად თვლიდა თავს იახტაზე. გამუდმებით ჩასცქეროდა რუკებს და ეცნობოდა მათ. საერთო დარბაზის უზარმაზარი მაგიდა მისი რუკებით იყო დაფარული... ამის გამო ხშირად ებუზღუნებოდა სტიუარდი ოლბინეტი, რომელმაც აღარ იცოდა, სად გაეშალა სუფრა, მაგრამ ყველა მგზავრი პაგანელს ესარჩლებოდა, მაიორის გარდა, რომელსაც ნაკლებ აინტერესებდა გეოგრაფიული საკითხები, მით უმეტეს, სადილობის დროს. პაგანელი მხოლოდ რუკებს როდი სჯერდებოდა, მან სხვადასხვა წიგნიც ამოალაგა კაპიტნის თანაშემწე ტომ ოსტინის ყუთებიდან, სხვათა შორის, ესპანური წიგნებიც. პაგანელმა გადაწყვიტა, შეესწავლა უკვდავი სერვანტესის დედაენა, მით უმეტეს, რომ "დუნკანზე" ესპანური არავინ იცოდა და მისი ცოდნა კი ძალიან გაუადვილებდა ჩილეს სანაპიროების გამოკვლევას. პაგანელი ნიჭიერი იყო ენათმეცნიერებაში და სწამდა, რომ სანამ "დუნაკნი" კონსეფსიონამდე მიაღწევდა, მას უკვე შეეძლებოდა ესპანურად ლაპარაკი. პაგანელი გამალებით სწავლობდა ამ ენას და წამდაუწუმ ესპანურ სიტყვებს ბურტყუნებდა. შესვენებისას რობერტს ამეცადინებდა და უამბობდა ისტორიას იმ ქვეყნისა, რომელსაც ასეთი სისწრაფით უახლოვდებოდა "დუკანი".

10 სექტემბერს ხომალდი 5°37´ განედსა და 31°15´ გრძედზე იმყოფებოდა. სწორედ ამ დღეს შეიტყო გლენარვანმა ის ამბავი, რომელიც, ალბათ, ბევრმა განათლებულმა ადამიანმა ჯერაც არ იცის. პაგანელმა მოუთხრო მათ ამერიკის ისტორია და თავგადასავალი იმ მეზღვაურებისა, რომელთაც ოდესღაც გაევლოთ იმ გეზით, რომელიც ახალ "დუკანს" აეღო. ქრისტეფორე კოლუბმიდან დაიწყო. ილაპარაკა მის მოღვაწეობაზე და ბოლოს დასძინა, ეს უდიდესი გენუელი მოგზაური ისე ჩავიდა სამარეში, აზრადაც არ მოსვლია, რომ უკვე აღმოჩენილი ჰქონდა ახალი ქვეყნის ნაწილი.

თანამგზავრებმა არ დაუჯერეს, მაგრამ პაგანელი დაბეჯითებით ირწმუნებოდა:

- მეგობრებო, ეს ამბავი დამტკიცებული ფაქტია. მე სრულიადაც არ მსურს ჩრდილი მივაყენო კოლუმბის სახელს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. მე-15 საუკუნის მიწურულს ყველანი იმ მისწრაფებით იყვნენ გამსჭვალულნი, რომ აზიასთან მიმოსვლა გაეადვილებინათ და აღმოეჩინათ მოკლე გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ე.ი. "სანელებლის ქვეყნისაკენ" - ინდოეთზე მიოგახსენებთ. კოლუმბსაც ეს ჰქონდა მიზნადდასახული. მან ოთხჯერ იმოგზაურა აქეთ. რამდენიმე ადგილას მიადგა ამერიკის სანაპიროებს, - კუნძულ კუმანის, ჰონდურასის, მოსკიტების სანაპიროს, ნიკარაგუას, ვერაგუას, კოსტა-რიკას და პანამას, მაგრამ ყველა ეს ადგილი იაპონიისა და ჩინეთის სანაპიროები ეგონა. კოლუმბი ისე გარდაიცვალა, რომ არ გაუგია იმ უდიდესი მატერიკის არსებობა, რომელიც აღმოაჩინა, მაგრამ მის სახელსაც კი არ ატარებს.

- მჯერა, ძვირფასო პაგანელ, - მიუგო გლენარვანმა, - მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, გაოცებული ვარ. ამიტომ ძალიან მინდოდა შემეტყო იმ ზღვაოსანთა სახელები, რომლებმაც კიოლუმბის აღმოჩენის სინამდვილე დაადგინეს.

- მოგახსენებთ, ეს ზღვაოსნები იყვნენ: ოჰედა, რომელიც ამ მოგზაურობის დროს თან ახლდა კოლუმბს; ვინსენტ პინსონი, ამერიგო ვესპუჩი, მენდოზა, ბასტიდასი, კაბრალი, სოლისი და ბალობა. ამ ზღვაოსნებმა გარს შემოუარეს ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროებს სამხრეთ კიდურამდე და გამოარკვიეს მათი საზღვრები... სამას სამოცი წლის წინათ მათაც სამხრეთისაკენ მიაქროლებდა ეს ზღვის დინება, რომელსაც ახლა ჩვენ მივყვებით. მეგობრებო, დახედეთ ამ რუკას! აი, ჩვენც სწროედ იმ ადგილას გადავსერეთ ეკვატორი, სადაც იგი გაიარა პინსონმა, მეთხუთმეტე საუკუნის უკანასკნელ დღეს. ჩვენ უკვე ვუახლოვდებით სამხრეთ განედის 8°, სადაც პინსონი გადავიდა ბრაზილიის ნაპირსზე. მას შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა და პორტუგალიელი ზღვაოსანი კაბრალი უფრო ქვევით დაეშვა, სამხრეთისაკენ, და სეგუროს ნავსადგურს მიადგა. ამის შემდგომ 1502 წელს, მესამე ექსპედიციის დროს, ამერიგო ვესპუჩი უფრო შორს წავიდა სამხრეთისაკენ.

1508 წელს ამერიკის სანაპიროების შესასწავლად გაერთიანდნენ ვინსენტ პინსონი და სოლისი. სოლისმა 1514 წელს აღმოაჩინა მდინარე რილა პლატას შესართავი. სწორედ ამ მიდამოებში შეჭამეს იგი კაციჭამიებმა.

ამის შემდეგ ამერიკის მატერიკის შემოვლა წილად ხვდა მაგელანს. ამ დიდებულმა ზღვაოსანმა 1519 წელს ხუთი ხომალდით გვერდით ჩაუარა პატაგონიის სანაპიროებს. აღმოაჩინა წმინდა ხულიანისა და სურვილის პორტები და ხანგრძლივად შეჩერდა აქ. განედის 52°-ზე აღმოაჩინა თერთმეტი ათასი ქალწულის სრუტე, რომელსაც მერე მაგელანის სრუტე დაერქვა. 1520 წლის 28 ნოემბერს კი მაგელანი წყნარ ოკეანეში გავიდა. რა სიხარული უნდა ეგრძნო, რა გულის თრთოლა უნდა განეცადა, როდესაც მის თვალწინ გადაიშალა ცხრათვალა მზით აელვარებული ახალი, უცნობი ზღვა!...

- ნეტავ მეც იქ ვყოფილიყავი მაშინ, ბატონო პაგანელ, - აღტაცებით წამოიძახა როერტმა.

- მეც მაგას ვნატრობდი, ჩემო ბიჭუნი! - მიუგო პაგანელმა, - მე რომ სამასი წლით ადრე დავბადებულიყავი, ასეთ შემთხვევას არ გავუშვებდი!...

- რაც ჩვენ ძალიან საწყენად დაგვრჩებოდა, - ჩაურთო ელენმა, - რადგან ჩვენთან ვეღარ იქნებოდით "დუნკანზე" და ვეღარ გვიამბობდით ამ ისტორიას.

- Mმაშინ, ალბათ, სხვა ვინმე გიამბობდათ, ქალბატონო, და თან დასძენდა, რომ დასავლეთ ამერიკის სანაპიროები ძმებმა პიზაროებმა გამოიკვლიეს. პიზაროები ძალზე გაბედული და გულადი ბედისმაძიებლები იყვნენ. ბევრ ქალაქს ჩაუყარეს საძირკველი - კუსკო, კიტო, ლიმა, სანტ-იაგო, ვილარიკა, ვალპარიზო და კონსეფსიონის ნავსადგური - ყველა მათი დაარსებულია და ამჟამად "დუნკანი" სწორედ მათკენ მიგვასრიალებს. მთელი მსოფლიოს მეცნიერთა სასიხარულოდ პიზარომ და მაგელანმა მიაღწიეს იმას, რომ დედამიწის რუკაზე ამერიკის დაახლოებითი კონტური აისახა.

- მის ადგილას არ დავჯერდებოდი ამას, - ჩაილაპარაკა რობერტმა.

- რატომ, რობერტ? - ჰკითხა მერიმ ძმას, რომელიც თავდავიწყებით უსმენდა პაგანელს.

- მართლაცდა რატომ, ჩემო ბიჭუნი? - წამახალისებელი ღიმილით შეეკითხა გლენვანიც.

- იმიტო, რომ მინდა ვიცოდე, რა მდებარეობს მაგელანის სრუტის სამხრეთით!

- დიდებულია, ჩემო მეგობარო, - წამოიძახა პაგანელმა, - მეც მაგის მოსურნე ვიყავი, რომ შემეტყო, კონტინენტი გრძელდება პოლუსამდე თუ იმას იქით თვალუწვდენელი ზღვაა გადაშლილი, როგორც ერთ დროს ფიქრობდა დრეიკი, თქვენი თანამემამულე, ბატონო გლენარვან. მაშასადამე უდავოა - რობერტ გრანტს და ჟაკ პაგანელს მეჩვიდმეტე საუკუნეში რომ ეცხოვრათ, უსათუოდ გაუწევდნენ თანამგზავრობას ორ ჰოლანდიელ მოგზაურს - ვან-სხოუტენს და იაკობ ლემერს, რომელთაც ამ გეოგრაფიული ამოცანის გადაწყვეტა მოიწადინეს.

- ისინიც მეცნიერები იყვნენ? - ჰკითხა ელენმა.

- არა, ქალბატონო, გაბედული კომერსანტები იყვნენ. მათ ძალზე ნაკლებად აინტერესებდათ ამ გამოკვლევის მეცნიერული მხარე. იმხანად არსებობდა ჰოლანდიის ინდოეთის ერთი კომპანია, რომელსაც მონოპოლიური უფლება ჰქონდა მთელი ამ აღებმიცემობის წარმოებისა, რომელიც მაგელანის სრუტის გზით წარმოებდა, რადგან მაშინ არავინ იცოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სხვა გზა. თავისთავად ცხადია, ასეთი უფლება მონოპოლიას წარმოადგენდა, ამის გამო რამდენიმე კომერსანტი გაერთიანდა. გადაწყვიტეს, საერთო ძალით ებრძოლათ მონოპოლიის წინააღმდეგ და რამენაირად აღმოეჩინათ რომელიმე სხვა ახალი სრუტე. ამ კომერსანტებს შორის იყო ერთი ფრიად განათლებული და გამჭრიახი ადამიანი - ვინმე ისააკ ლემერი. მან მოაწყო ექსპედიცია, რომელიც ბედის საცდელად გაემართა ჩინებული მეზღვაურების ვან სხოუტენისა და იაკობ ლემერის (ისააკის ძმისწულის) ხელმძღვანელობით. გაბედული ზღვაოსნები გზას 1615 წლის ივნისში გაუდგნენ. მაგელანის აღმოჩენიდან თითქმის ერთი საუკუნე იყო გასული.

1616 წლის 12 თებერვალს ცეცხლოვან მიწას და შტატების ტერიტორიას შორის ახალ სრუტეს წააწყდნენ. სრუტეს ლემერის სახელი უწოდეს. შემოუარეს ჰორნის კონცხს, რომელსაც მეტი საფუძველი ჰქონოდა, ქარიშხალთა კონცხი რქმეოდა, ვიდრე მის მომმე, კეთილი იმედის კონცხი რომ უწოდეს.

- ოჰ, ნეტავი მეც მათთან ვყოფილიყავი! - წამოიძახა რობერტმა.

- შენ რომ მათთან ყოფილიყავი, ჩემო ბიჭუნა, მაშინ დაუვიწყარ წუთებს განგაცდევინებდა, - აღფთოვანებით მიაგებს სიტყვა პაგანელმა, - მართლაცდა, რა შეედრება იმ უმაღლეს კმაყოფილებას, იმ ჭეშმარიტ სიხარულს, მეზღვაური რომ განიცდის, როდესაც რუკაზე შეაქვს თავისი აღმოჩენები? საკუთარი თვალით ხედავს, როგორ ამოიზიდება ზღვის წიაღიდან ხმელეთი, როგორ მისდევს კუნძული კუნძულს, კონცხი - კონცხს, თითქოს ზღვის ფსკერიდან ამოტივტივებულანო. თავდაპირველად რუკაზე უსწორმასწორო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხაზებია - აქ განმარტოებით, ეულად ამოზიდულა მაღლობი, იქ - უკაცური, მიყრუებული ნავსადგურია, იმის იქით, თვალუწვდენელ სივრცეში, ყურე იკარგება. ბოლოს ყოველივე ეს ერთიმეორეს ავსებს, ხაზი ხაზს უერთდება. ცალკეული წერტილი გარკვეულ ხაზებად გაევლება, ნავსადგურები თუ ყურეები იხაზება თავისი ნამდვილი მოყვანილობის სახით, კონცხები ამა თუ იმ კიდეს ეკვრის... დასასრულ, გლობუსზე თქვენ თვალწინ გადაიშლება ახალი კონტინენტი, თავისი მშვენიერებით - ტბებით, მდინარეებით, ხეობებით, ვაკეებითა და დაბლობებით, მთებით, დაბა-სოფლებითა და ქალაქებით, დედაქალაქებით! ოჰ, მეგობრებო, ნამდვილი, ჭეშმარიტი გამომგონებელი ის არის, ვინც ახალ მიწას აღმოაჩენს!... ვაი, რომ ამჟამად ეს წყარო უკვე მიგნებულია და დედამიწის ზურგზე ყველაფერი ნანახია და შესწავლილი. მატერიკებზე და ახალ ქვეყნებზე მოგახსენებთ, ჩვენ კი ვინც გეოგრაფიულ მეცნიერებაში ბოლო ხანებში მოვსულვართ, აღმოსაჩენი არაფერი დაგვრჩენია!...

- რატომ? სამუშაო კიდევ მოიპოვება, ჩემო ძვირფასო პაგანელ, - ანუგეშა გლენარვანმა.

- რომელი?

- თუნდაც ის, რასაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ...

"სუკანი" გასაოცარი სისწრაფით მიჰყვებოდა ამერიგო ვესპუჩისა და მაგელანის დასახულ გეზს. 15 სექტემგერს გადალახა თხის რქის ტროპიკი და სახელოვან მაგელანის სრუტეში შეცურდა. მათ თვალწინ, ჰორიზონტზე, რამდენჯერმე ოდნავ გამოჩნდა პატაგონიის დაბლობის სანაპიროები, ათიოდე მილის მანძილზე სანაპიროების მოხაზულობის გარკვეულად დანახვა არ შეეძლო თვით პაგანელსაც კი თავისი შესანიშნავი ჭოგრით.

"დუნკანი" 25 სექტემბერს მაგელანის სრუტის შესასვლელთან იმყოფებოდა.ჯონ მანგლსმა უყოყმანოდ შეაცურა იახტა სრუტეში, რადგან ორთქლმავალი გემები უფრო ამ გზას ეტანებოდნენ ატლანტიკურიდან წყნარ ოკეანში გასასვლელად.

ამ სრუტის ზუსტი სიგრძე სამას სამოცდათექვსმეტი მილია, სიღრმით კი ისეთია, უდიდესი გემებიც თავისუფლად მიმოცურავენ. ზღვის ფსკერი სანაპიროებთან ძალზე მოსახერხებელია ღუზის ჩასაშვებად. ნაპირები მდიდარია უამრავი წყაროთი, თევზით სავსე მდინარეებით, ნადირით გვსებული დაბურული, უღრანი ტყეებით და ათასგვარი სხვა ხელშესაწყობი პირობებით, რასაც მოკლებულია ლემერის სახიფათო სრუტე და მით უმეტეს, ჰორნის კონცხის საშინელი კლდოვანი ნაპირები, სადაც გამუდმებით გრიგალებია.

მაგელანის სრუტის ნაპირები რამდენიმე საათის სავალ, დაახლოებით 60-80 მილის მანძილზე დამრეცი და ქვიშიანია. ჟაკ პაგანელი გაფაციცებით აკვირდებოდა ყველაფერს, წვრილმანებსაც კი უყურადღებოდ არ ტოვებდა. მთელი სრუტის გავლას ოცდათექვსმეტი საათი სჭირდებოდა. სამხრეთის კაშკაშა მზის სხივებით გაბრწყინებული ნაპირების მოძრავი პანორამა მართლაც წარმტაცი და მომხიბლავი იყო. ჩრდილოეთ სანაპიროზე არსად მოჩანდა მოსახლეობა გარდა რამდენიმე ველური, დამშეული ადამიანისა, რომლებიც ცეცხლოვანი მიწის კლდეებზე დეხეტებოდნენ. პაგანელი გულნატკენი იყო, რომ ჯერ ვერც ერთ პატაგონიელს ვერ შეხვდა. ეს გარემოებაც აბრაზებდა და მის თანამგზავრებში ოხუნჯობას იწვევდა.

- პატაგონია უპატაგონიელოდ!.. სადაური პატაგონიაა! - ჯავრობდა იგი.

- მოთმინება იქონიეთ, ძვირფასო გეოგრაფო პატაგონიელებსაც ვნახავთ, - მიუგო გლენარვანმა.

- აღარა მჯერა!

- ისინი ხომ მაინც არსებობენ! - ჩაურთო ელენმა.

- მათ არსებობაშიც დაეჭვებული გახლავართ, რადგან ვერსაც ვხედავ.

- ოცნებით წარმოდგენილ სულდგუმლებს ხომ ვერ დაარქმევდნენ ამ სახელწოდებას! ჩაერია საუბარში გლენარვანი, - პატაგონიელი, როგორც მოგეხსენებათ, ესპანურად გრძელკანჭიანს ნიშნავს.

- სახელწოდებას რა მნიშვნელობა აქვს!... - მიუგო პაგანელმა, რომელსაც სურდა, თავისი სიჯიუტით უფრო გაეჩაღებინა კამათი, - თუ სიმართლე გინდათ, მათი სახელწოდება დანამდვილებით არავინ იცის.

- ნუთუ? გასაოცარია! - წამოიძახა გლენარვანმა და მაიორს მიუბრუნდა, - თქვენ იცოდით ეს?

- სრულიად არაფერი! - მიუგო მაიორმა, - მაგრამ მაგისთანა ცოდნისათვის ერთ გროშსაც არ გავიმეტებდი!

- მიუხედავად ამისა, მაინც შეიტყობთ, უსულგულო მაიორო, - განაგრძო პაგანელმა, - მაგელანის გადმოცემით, პატაგონიელები ამ ქვეყნის ინდიელები არიან. ფიჯიელები მათ ტირემენელებს უწოდებენ, ჩილელები - კაუკალუს. კარმენის კოლონისტების სიტყვით, ისინი ტეუელჩელები არიან, არაუკანელები მათ უილიჩელებს ეძახიან; ბუგენვილი მათ ჩაუხებად იხსენიებს, თვითონ პატაგონიელები კი თავიანთ თავს ინჟენელებს უწოდებენ! ახლა მე თქვენ გეკითხებით, როგორ გნებავთ გაერკვეთ ამ სკითხში? ან კი განა შესაძლებელია, რომ ამდენი სახელწოდების ხალხი არსებობდეს სადმე!...

- ეგეც თქვენი დასაბუთება! - გაიცინა ელენმა.

- ასეც რომ იყოს, ჩვენი მეგობარი პაგანელი ერთში მაინც უნდა დაგვეთანხმოს, - თქვა გლენარვანმა, - თუ პატაგონიელების სახელწოდება საეჭვო ხდება, ყოველ შემთხვევაში, მათი ტანადობა მაინც დადასტურებულია!

- არასოდეს დავიწყებ მაგისთანა უაზრობის მტკიცებას, - მიუგო პაგანელმა.

- ისინი ხომ ახოვნები არიან! - მიუგო გლენარვანმა.

- მაგის შესახებ არაფერი ვიცი...

- მაშ ტანადები ყოფილან?! - ჩაურთიო ელენმა, - ვერც მაგას დაამტკიცებს ვინმე.

- იქნებ საშუალო ტანისანი არიან? - ყველას შესარიგებლად იკითხა მაკ-ნაბსმა.

- ვერ გეტყვით.

- ეგ კი მეტისმეტია! - წამოიძახა გლენარვანმა, - ის მოგზაურები, რომლებსაც კი ისინი უნახავთ...

- მოგზაურები, რომლებსაც ისინი უნახავთ, - სიტყვა ჩამოართვა პაგანელმა, - სავსებით სხვადასხვა აზრისანი გახლავან. მაგალითად, მაგელანი გადმოგვცემს, რომ მათ წელამდე ძლივს ვწვდებოდიო.

- მერე, ეგ რას ნიშნავს?!

- დრეიკი ამტკიცებს, ინგლისელები უმაღლეს პატაგონიელზე მაღლები არიანო...

- ინგლისელები!... - ამრეზილი კილოთი გაეპასუხა მაიორი, - ეგ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ შოტლანდიელებზე რომ ვთქვათ...

- კევენდიში გვარწმუნებს, ტანადი და ღონიერი ხალხიაო, - განაგრძობდა პაგანელი, - ჰაუკინსი დევებად გვისახავს; ლემერისა და ვან სხოუტენის გადმოცემით კი მათი სიმაღლე თერთმეტ ფუტს აღწევს.

- აი, ეგ მოსაზრება უფრო სარწმიუნოა.... - უთხრა გლენარვანმა.

- ეს მოსაზრება იმდენად სარწმუნოა, რამდენადაც სარწმუნო გახლავთ ვუდის, ნარბორისა და ფალკნერის მოსაზრებანი, რომელთა გადმოცემით პატაგონიელები საშუალო ტანის ხალხია. მეორე მხრივ, ბაირონი, ლა-ჟიროდე, ბუგენვილი, უელსი და კარტერი ამტკიცებდენ, პატაგონიელების სიმაღლე ექვს ფუტს და ექვს დუიმს არ აღემატებაო, მაგრამ მეცნიერი დ´ორბინი, რომელიც მათზე უკეთესად იცნობდა ამ ქვეყანას, გადმოგვცემს, რომ პატაგონიელის სიმაღლე საშუალოდ ხუთ ფუტს და ოთხ დუიმს უდრის.

- მაშ, ყვლა ამ საწინააღმდეგო მოსაზრებაში სადღაა სიმართლე? - იკითხა ელენმა.

- სიმართლე ის გახლავთ, რომ პატგონიელებს კანჭები მოკლე აქვთ, ტანი კი - გრძელი. ამის გამო საბოლოო აზრი შეიძლება ცოტა იუმორისტულად ჩამოგვეყალიბებინა, რომ ამ ხალხის სიმაღლე, როდესაც სხედან ექვს ფუტს უდრის და როდესაც დგანან - ხუთს.

- შეუდარებელია, ძვირფასო გეოგრაფო! - შესძახა გლანარვანმა, - დიდებულადაა ნათქვამი!

_ მაგრამ ვინ იცის, იქნებ ისინიც არც კი არებობენ, - ჩაურთო პაგანელმა, - მეგობრებო, ყოველ შემთხვევაში, ჩემს აზრს სანუგეშო შენიშვნებით დავამთავრებ: მაგელანის სრუტე უპატაგონიელებოდაც მშვენიერია!

ამ დროს "დუნკანმა" ბრუნსვიკის ნახევარკუნძულს შემოუარა. იახტის ორივემ მხარეს მშვენიერი სანახაობა გადაიშალა.

გრეგორის კონცხიდან სამოცდაათი მილის მანძილზე იახტამ პუნტარენის გამასწორებელი ციხე ჩამოიტოვა. ჩილეს დროშა და სამრეკლოს წვერი ერთი წამით გამოჩნდა ხეებს შორის და მალე მიიმალა. სრუტე ახლა გრანიტის მასივებს შორის მიიკლაკნებოდა. მთის კალთები დაფარული იყო დაბურული ტყეებით, მწვერვალები - მუდმივი თოვლის ქუდებით, ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეზე აზიდულიყო ტარნის მთის მწვერვალი.

ხანგრძლივი ბინდის შემდეგ მიდამოს ღამის სიბნელე წამოეპარა. დღის სინათლე ნელ-ნელა ცვლიდა მკრთალი ჩრდილები. ცა ვარსკვლავებით აციმციმდა. სამხრეთ პოლუსისაკენ მიმართულებას სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი უჩვენებდა. იახტა შეუჩერებლად მიცურავდა და არსად უფიქრიათ ღუზის ჩაშვება, თუმცა საამისოდ ხშირად ხვდებოდათ მარჯვე ყურეები. ხომლდის ხარისხების ბოლოები ხშირად ედებოდა მაღალი ნაპირიდან

გადმოშვერილ ანტრაქტიკული წიფლის ტოტებს. ხშირად მდინარეების შესართავთან ხომალდის ხრახნის გუგუნზე გარეული ბატების, იხვებისა და ათასგვარი სხვა ფრინველის გუნდები დაფრთხებოდნენ.

წყვდიადიდან უცაბედად ნანგრევებიც ამოიზიდა. ღამის სიბნელეში მედიდურად გამოიყურებოდა ეს ნანგრევები, ალბათ, კოლონისტების ნასახლარები... ეს იყო მიტოვებული კოლონიის სევდისმომგვრელი ნაშთი, რომლის სახელწოდება ასე ეწინააღმდეგებოდა ამ გულუხვ მიდამოებს და ტყეებს.

"დუნკანუ" შიმშილის ნავსადგურთან ახლოს მიცურდა. სწორედ ამ მიდამოებში დასახლდა 1581 წლეს ესპანელი სარმიენტო ოთხასი ემიგრანტით. აქ ჩაუყარა საძირკველი ქალაქ სან-ფილიპეს, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მისი არსებობა. ზამთრის ყივენბმა მუსრი გაავლო კოლონისტებმს, ხოლო ვინც ყინვას გადაურჩა, გაზაფხულზე შიმშილის მსხვერპლი გახდა. ბოლოს, ერთ მათგანს, თითქმის ცოცხალ-მკვდარს, 1587 წელს წააწყდა მეკობრე კევენდიში. მართალია, ქალაქი ექვსიოდე წლის წინ იყო გაშენებული, მაგრამ მისი ნანგრევები ისე გამოიყურებოდა, როგორც ექვსი საუკუნის.

"დუნკანი" გასცილდა ამ უკაცრიელ ადგილებს და განთიადისას მიადგა სრუტის ვიწრო გასასვლელს, რომელსაც ორივე ნაპირზე წიფლნარი, იფნარი და არყის ხის დაბურული ტყეები მოსჯაროდა, უშველებელი ჭყორის ხეები, რომელთა შორის ადგილ-ადგილ მწვანედ მოღაღანე მაღლობები და მწვანით შემოსილი ბორცვები ამოზიდულიყო. "დუნკანი" გასცდა წმინდა ნიკოლოზის ყურეში შემავალ ვიწრო სრუტეს, სადაც ერთ დროს არსებობდა ბუგენვილის მიერ სახელდარქმეული ფრანგების ნავსადგური. ზღვის პირას შორიდანვე მოჩანდა სელაპების გუნდი, ექვსიოდე კილომეტრის მანძილზე კი უზარმაზარი ვეშაპები, შადრევნებად რომ უშვებდნენ წყლის შხეფებს. დასასრულ, გასცდნენ ფროუორდის კონცხს, რომელიც ჯერ კიდევ გაუმდნარი ყინულით იყო დაფარული.

სრუტის მეორე მხარეს, ცეცხლოვან მიწაზე, აზიდულიყო ექვსი ათასი ფუტის სიმაღლის პიტალო კლდეებით გარშემორტყმული სარმიენტოს მთა. მის ნაპრალებსა და ნაოჭებში ჩამოწოლილი ნისლ-ღრუბლების გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდ, თითქოს აქ ყოფილიყოს ჰაეროვანი არქიპელაგი. არსებითად, ამერიკის კონტინენტი ფროუორდის კონცხთან წყდება, რადგან ოკეანეში სამხრეთის განედის 56°-ზე დაკარგული ჰორნის კონცხი შიშველი კლდის მეტს არაფერს წარმოადგენს. ამ ადგილიდან სრუტე თანდათან ვიწრო კალაპოტში იჭედება ბრუნსვიკის ნახევარკუნძულისა და სასოწარკვეთილების მიწას შუა, რომელიც პატარ-პატარა კუნძულებს შორის უშველებელი ვეშაპის მსგავსად გრძლად არის გაშოტილი.

რა უსაზღვრო განსხვავებაა ამერიკის დაბლობების დაქუცმაცებულ სანაპიროებსა და აფრიკისა და ინდოეთის ფართო, მომრგვალებულ დაბლობებს შორის!...

რა კოსმოსურმა კატასტროფამ დაფლითა ასე ვეებერთელა კონტინენტი, რომელიც ორი ოკეანის წყალგამყოფს წარმოადგენს? ნაყოფიერი სანაპიროს ნაცვლად აქ შიშველი ნაპირები და შეჭრილ-შემოჭრილი უდაბური ლაბირინთები გადაიშალა.

"დუნკანი" შეუდრეკლად და სიჩქარის შეუნელებლად მიცურავდა მიხვეულ-მოხვეულ კიდეებს შორის და მისი კვამლი ვიწროებში ჩაწოლილ ნისლს უერთდებოდა. ხომალდი არ შეჩერებულა, გვერდია აუარა ესპანელი კოლონისტების რამდენიმე ნასახლარს.

ტამარის კონცხთან სრუტე გაფართოვდა. აქ ხომალდმა გარს შემოუარა ნარბორის კლდოვან კუნძულს და მის სამხრეთ ნაპირებს მიუახლოვდა. მაგელანის სრუტეში შესვლიდან 36 საათის შემდეგ ხომალდიდან თვალი მოჰკრეს პილარის კონცხის კლდეს, რომელიც სასოწარკვეთილების მიწის ბოლოს აზიდულიყო.

მოგზაურებს თვალწინ გადაეშალათ ლაღად გადაჭიმული და მზის სხივებზე ალაპლაპებული უსაზღვრო ზღვის სივრცე. ჟაკ პაგანელი აღფრთოვანებით მიესალმა მას და ისეთივე მღელვარება იგრძნო, როგორიც ოდესღაც ფერდინანდ მაგელანმა განიცადა, როდესაც მისი ხომალი "ტრინიდადი" პირველად დახარა წყნარი ოკეანის ქარის ქროლამ.

თავი X

ოცდამეჩვიდმეტე პარალელი

რვა დღე გავიდა მას შემდეგ, რაც "დუნკანმა" პირალის კონცხს შემოუარა და ახლა იგი სრული სისწრაფით მიქროდა ტალკაჰუანოს ყურისაკენ. მშვენიერი ამინდი იდგა. ამ მიდამოებში ნოემბრიდან მარტამდე უღრუბლო ცა იცის და ანდის მთების მიერ დაცული ნაპირების გასწვრივ განუწყვეტლივ სამხრეთის ქარი ქრის. გლენარვანის განკარგულებით "დუნკანი" განუწყვეტლივ მისდევდა ჩილეს არქიპელაგს და ამერიკის კონტინენტის სამხრეთის დაქუცმაცებულ კიდეებს. მოგზაურები გულისფაცქალითა და გულდასმით აკვირდებოდნენ სანაპიროებს, რადგანაც ყოველი გამორიყული ნივთი, გატხილი ანძის ნატეხი თუ ადამიანის ხელით გამოთლილი ხის ნაჭერი დახმარებას გაუწევდა საძებარი ხომალდის დაღუპვის ადგილის მისაგნებად, მაგრამ ამის მსგავსი არსად ჩანდა.

მას მერე, რაც "დუნკანმა" კლაიდის ნისლოვანი ყურე დატოვა, უკვე ორმოცდაათი დღე იყო გასული და მხოლოდ აქ, ტალკაჰუანოს ნავსადგურში ჩაუშვა ახალი ღუზა.

გლენარვანი პაგანელის თანხლებით ნაპირისაკენ მყისვე ნავით გაეშურა. მეცნიერმა გეოგრაფმა მაშინვე ისარგებლა შემთხვევით და შეეცადა თავისი ესპანურის ცოდნით ესარგებლა, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთ ვერაფერი გააგებინა.

- გამოთქმა არ მივარგა, ალბათ! - ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან.

- საბაჟოში შევიაროთ, - მიუგო გლენარვანმა.

საბაჟოში რამდენიმე ინგლისური სიტყვითა და ხელების ქნევით გაიგეს, რომ ინგლისის კონსული კონსეფსიოონში ბინადრობს, ტალკაჰუანოდან ერთი საათის სავალზე. გლენარვანმა სწრაფად იქირავა ორი საუკეთესო ბედაური და მივიდნენ იქ.

ეს ქალაქი პიზაროს მამაცი თანამგზავრის, უნარიანი ვალდივიას წყალობით იყიო დაარსებული. ოდესღაც დიდებული ქალაქი ამჟამად საცოდავი სანახავი იყო. რამდენჯერმე აეკლოთ აქაურებს. 1819 წელს მომხდარი ხანძრის გამო ნახევრად გადამწვარი იყო. შემურული კედლების ნანგრევები შავბნელად გამოიყურებოდა. ქალაქი თავისი რვა ათასი მცხოვრებით ტალკაჰუანოსაც კი ჩამორჩებოდა. სიცოცხლე ჩამკვდარიყო, ქუჩებზე ბალახი ამოსულიყო. არავითარი აღებმიცემობა; არავითარი ფუსფუსი, არავითარი საქმიანობა და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა! ყოველი აივნიდან მოისმოდა ქალების ხმები, ფანჯრის ფარდების შიგნით გაისმოდა უნიათო, სევდიანი ღიღინი. კონსეფსიონი, რომელიც ერთ დროს კაცების ქალაქად ითვლებოდა, ახლა დედაკაცებისა და ბავშვების სოფლად გადაქცეულიყო.

ჟაკ პაგანელმა მაშინვე აუხსნა აგლენარვანს ქალაქის დაქვეითების მიზეზები, მაგრამ გლენარვანმა ყური არ დაუგდო და მაშინვე კონსულისაკენ გაეშურა. კონსულმა თავაზიანად მიიღო, ყურადღებით მოისმინა კაპიტან გრანტის ამბავი და აღუთქვა, ამის შესახებ მთელ მხარეში ცნობებს შევკრებო.

როგორც გამოირკვა, "ბრიტინია" ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე არსად შეჩერებულა, არც ჩილესა და არც არაუკანიის სანაპიროებთან. გრანტის ამბავი არც ინგლისის კონსულმა იცოდა, არც სხვა კონსულებმა, მაგრამ გლენარვანი გულს არ იტეხდა. მაშინვე დაბრუნდა ტალკაჰუონში, აგენტები დაიქირავა ადა სანაპიროებზე გაგზავნა ზღვისპირის მოსახლეობაში ცნობების შესაკრებად. თუმცა არც ამან გაჭრა. ბაიბური არსაიდან ისმოდა გრანტის შესახებ. ახლა ერთადერთი მოსაზრებაღა დარჩენოდათ - ალბათ, "ბრიტინია" უკვალოდ ჩაიძირა სადმე ზღვის ფსკერზეო...

ხომალდზე დაბრუნებისთანავე გლენარვანმა საქმის ვითარება გააცნო თანამგზავრებს. ამ ამბავმა მერი გრანტი და რობერტი დააღონა. ეს მოხდა მეექვსე დღეს, მას შემდეგ, რაც "დუნკანი" ტალკაჰუანოში მივიდა. გლენარვანი მაინც განაგრძობდა ცნობების შეკრებას. ბოლოს გადაწყვიტა, გაემჟღავნებინა თანამგზავრებისათვის, აქ გრანტის შესახებ სრულიად არაფერი სცოდნიათო.

ყველას საერთო დარაში მოეყარა თავი. ამ ამბავმა ყველანი დააღონა. რობერტსა და მერი გრანტს ადამიანის ფერი აღარ ედოთ. ელენი ალერსით ცდილობდა ენუგეშებინა მერი, რადგან სანუგეშო სიტყვები ვეღარ ეპოვნა. ჟაკ პაგანელი გულდასმით ჩაჰკირკიტებდა ნაპოვნ ბარათებს, თითქოს ცდილობდა, ახალი რამ აზრი ამოეთკითხა. დუმილი გლენარვანმა დაარღვია.

- პაგანელ, თქვენი გამჭრიახობის იმედიღა მაქვს! შეიძლება ჩვენ რაიმე შეცდომა დავუშვით ბარათების ამოხსნისას? იქნებ ბარათებში ნაწყვეტად დარჩენილი სიტყვების აზრი სწორედ ვერ შევავსეთ?!

ღრმა ფიქრებში წასული პაგანელი დუმდა, გლენარვანი კი განაგრძობდა:

- ან შეიძლება სწორედ ვერ აღვადგინეთ გემის დაღუპვის ადგილის აღმნიშვნელი სიტყვების ნაწყვეტები?! ნამდვილად კი პატაგონია უნდა იყოს?! თუმცა ეს სიტყვები თავისთავად იბადება... - პაგანელი კვლავ დუმდა. გლენარვანი კი განაგრძობდა, - ესეც არ იყოს, განა სავსებით არ ამართლებს ჩვენს მოსაზრებას ბარათში დარჩენილი სიტყვა ind... - ინდეილი?!

- უსათუოდ! - ჩაურთო მაკ-ნაბსმა.

- მერედა, განა აშკარა არ არის, რომ გემის დაღუპვისას, როდესაც ამ ბარათებს წერდნენ, იმის შიშში იქნებოდნენ, ინდიელებს ჩავუცვივდებით ტყვეებად?!

- მანდ კი უნდა შეგაჩეროთ, ძვირფასო გლენარვან! - მიუფო პაგანელმა, - რამდენადაც სხვა თქვენი მოსაზრებანი სწორია, იმდენად უკანასკნელი აზრი ეჭვს ბადებს.

- რა მოსაზრებით? - სიტყვა ჩაურთო ელენმა და მის შეკითხვაზე ყველანი გეოგრაფს მიაშტერდნენ.

- მე ის უნდა მომეხსენებინა, რომ ჩემი აზრით, კაპიტანი გრანტი ამჟამად ტყვედ ჰყავდა ინდიელებს... და იმასაც დავძენ, რომ ბარათებიც ამას ადასტურებს.

- თქვენი მოსაზრება განგვიმარტეთ, ბატონო ჩემო, - მიმართა მერი გრანტმა.

- ამაზე ადვილი არაფერია, ძვირფასო მერი. ნაცვლად იმისა, ამოვიკითხოთ, "ტყვედ ჩაუცვივდებიან", წავიკითხოთ - "ტყვედ ჩაუცვივდნენ" მაშინ ყველაფერი ცხადი და ნათელი გახდება.

- შეუძლებელია! - შეედავა გლენარვანი.

- შეუძლებელია?! რატომ, ძვირფასო მეგობარო? - ღიმილით შეუბრუნა კითხვა პაგანელმა.

- იმიტომ, რომ ბარათებიდან ბოთლის ზღვაში გადაგდება მხოლოდ გემის დაღუპვის წუთს შეიძლებოდა. აქედან დასკვნა - ბარათებში აღნიშნული განედი და გრძედი გემის დაღუპვის ადგილს მიგვითითებს.

- პატივცემულო გლენარვან, ეგ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. განა არ შეიძლებოდ, გემის დაღუპვის შემდეგ ისინი ინდიელებს ტყვედ წაეყვანათ შუაგულ ქვეყნებისაკენ და ეს ბარათებიანი ბოთლი იქ ჩაეგდოთ?

- ყოვლად შეუძლებელია, ძვირფასო პაგანელ, - შეედაა გლენარვანი, - ბოთლი რომ გადაეგდოთ, იქ ხომ ზღვა უნდა ყოფილიყო?1

- ზღვა თუ არა, მდინარე იქნებოდა, რომელიც ზღვას ერთვის!

ამ მოულოდნელ განმარტებაზე ყველამ უსიტყვოდ განცვიფრებით გადახედა ერთმანეთს. მათ მოელვარე თვალებში პაგანელმა იმედის ახალი ნაპერწკალი დაინახა!

- აი, აზრი! - წამოიძახა ელენმა.

- და მერე რა აზრი! - გულუბრყვილოდ დაურთო გეოგრაფმა.

- ახლა რა გზას დავადგეთ? - შეეკითხა გლენარვანი.

- ვფიქრობ, უნდა გამოვიკვლიოთ ამერიკის კონტინენტის ის ადგილები, რომლებსაც ოცდამეჩვიდმეტე პარალელი კვეთს. მას უნდა გავყვეთ გეზის შეუცვლელად, სანამ პრალელი ატლანტის ოკეანის ნაპირს არ მიაღწევს. მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია მივაგნოთ "ბრიტანიის" მგზავრებს.

- ვერაფერი იმედია! - გაეპასუხა მაიორი.

- რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ, - მიუგო პაგანელმა, - თუ შემთხვევით მართალი გამოვდექი და ეს ბარათებიანი ბოთლი ნამდვილად რომელიმე მდინარის მიერ ჩამოტანილია ზღვაში, მაშინ უეჭველად მივაგნებთ ტყვეების კვალს. აი, მეგობრებო, დახედეთ ამ ქვეყნის რუკას და შევეცდები ჩვენი მოსაზრება დავასაბუთო.

ამ სიტყვებით პაგანელმა მაგიდაზე გაშალა ჩილესა და არგენტინის რუკა.

- აბა, დახედეთ, მეგობრებო! ... - მცირეოდენი ხნით გამომყევით ამერიკის კონტინენტზე გასასეირნებლად. აქ გადავივლით ჩილეს ვიწრო ზოლს, შემდეგ ანდებს, კორდილიერებსა და იქიდან პამპაში დავეშვებით. განა ამ მიდამოებში ნაკლებად მოიპოვება მოზრდილი მდინარეები? აგერ, რიონეგრო, ესეც რიო-კოლორადო, აი, მათი შენაკადები, რომლებითაც დასერილია ოცდამეჩვიდმეტე პარალელი. განა რომელიმე ამ მდინარეს არ შეეძლო ზღვაში ჩამოეტანა ბოთლი? ვინ იცის, იქნებ ახლა, ამწუთას, აი აქ, ინდიელების დასახლებულ მხარეში, სადმე უცნობი მდინარის პირას ან ხეებაში ადგილობრივ მცხოვრებთ შორის ტყვედ იმყოფებიან ისინი, ვისაც უფლება მაქვს ვუწოდო ჩვენი მეგობრები... განა შეგვიძლია, არ გავმართლოთ მათი იმედი? ისინი ხომ ამჟამად გათავისუფლების მოლოდინით სულდგმულობენ! დარწმუნებული ვარ, ყველანი იმ აზრით განისმჭვალებით, რომ ჩვენ უნდა გადავლახოთ ის ადგილები, რომლებსაც თითით გიჩვენებთ რუკაზე, მაგრამ წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ჩემი მოსაზრება მცდარია. ამ შემთხვევაში კი განა ვალდებულნი არა ვართ ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე და არათუ ბოლომდე გავყვეთ ოცდამეჩვიდმეტე პარალელს, არამედ მთელი ქვეყნის გარშემო შემოვიაროთ ამ გეზით?!

პაგანელი გატაცებით ლაპარაკობდა და მსმენელებზე დიდ შთაბეჭდილება მოახდინა. ყველნი გარშემოხვეოდნენ და მადლიერების გრძნობით ხელს ართმევდნენ, რობერტი კი თვალს არ აშორებდა რუკას და ჩურჩულებდა:

- იქ არის, სწორედ იქ არის მამა!

- იქ არის და ვიპოვეთ კიდეც, ჩემო ბიჭუნა, - მიუგო გლენარვანმა, - უნდა ვაღიაროთ, რომ შეუძლებელია იმაზე უფრო დალაგებული განმარტება, რომლელიც ჩვენმა პატივცემულმა მეგობარმა პაგანელმა მოგვცა. უყოყმანოდ უნდა დავადგეთ ამ გზას. კაპიტანი გრანტი ან ინდიელების მრავალრიცხოვან და ძლიერ ტომს ჰყავს ტყვედ, ან პატარა თემის ხელშია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკუთარი ძალებითაც ადვილად შეავძლებთ მის გათავისუფლებას, მაგრამ თუ ისინი ტყვედ ჰყავს მრავალრიცხოვან ტომს, მაშინ კარგად გამოვიკვლევთ მათი ტყვეობის ადგილს, სანაპიროზე გამოვბრუნდებით, "დუკიანით" ბუენოს-აირესისაკენ გავეშურებით, იქ მაიორ მაკ-ნაბსის ხელმძღვანელობით შევკრებთ რაზმს, უკანვე დავბრუნდებით მათი ტყვეობის ადგილას და ადვილად გავუმკლავდებით არგენტინის პორვინციების ყველა ინდიელს!...

- დიდებულია!... დიდებული! - მიუგო ჯონ მანგლსმა, - მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ამერიკის კონტინენტს მშვიდობიანად გავივლით.

- მშვიდობიანად და დაუღალავად, - დაურთო პაგანელმა, - რამდენ ადამიანს გაუვლია ეს ადგილები: ისეთ ხალხს, რომლებსაც არ ჩვენდენი სახსარი ჰქონდა და არც ის მიზანი, რაც ასულდგმულებს ჩვენს საქმეს. განა ვინმე ბაზილიო ვილარმომ 1782 წელს ფეხით არ იმოგზაურა კარმენიდან კორდილერებამდე?... განა კონსეფსიონის პროვნიციის ალკალიდმა, ჩილელმა დონ ლუის დელა კრუსმა 1806 წელს ოცდამეჩვდიმეტე პარალელის ხაზით ორმოცი დღის განმავლობაში არ გადაიარა ანტუკოდან ბუენოს-აირესამდე არსებული მანძილი ანდების მთების გადალახვის შემდეგ?.. განა პოლკოვნიკმა გარსიამ, ბატონმა ალსიდ დ´ორბინიმ და ჩემმა პატივცემულმა კოლეგამ მარტინ დე მუსიმ სიგრძე-სიგანით არ დაქსელა ეს კუთხეები?! ისინი მეცნიერების გულისათვის აკეთებდნენ იმას, რასაც ჩვენ კაცთმოყარეობისათვის ვაკეთებთ!

- ოჰ, ბატონო პაგანელ, - მთრთოლვარე ხმით უთხრა მერი გრანტმა, - მადლობის გამოთქმა ვერ მომიხერხებია მაგ თავგანწირვისათვის, რომლითაც თავს საფრთხეში იგდებთ!..

- საფრთხეში?! - შესძახა პაგანელმა, - ვინ ახსენა სიტყვა - "საფრთხე"?

- ოღონდ მე არა! - გაეპასუხა რობერტი და მის თვალებში გაბედული თავგანწირვა აელვარდა.

- საფრთხეო! - გაიმეორა პაგანელმა, - განა საფრთხე არსებობს სადმე?... რა სათქმელია! ჩვენ გასავლელი გვაქვს სულ სამას ორმოცდაათი ლიე[1] ლარივით გაბმული გეზით. მგზავრობა მოგვიხდება იმ განედზე, რომელზეც მდებარეობს ესპანეთი, სიცილია, საბერძნეთი, თუმცა მეორე ნახევარსფეროში, მაგრამ ისეთივე ჰავის პირობებში. ბოლოს და ბოლოს, ეს მოგზაურობა ერთ თვესაც არ გასტანს! ჩვენთვის ეს მოგზაურობა უბრალო გასეირნება იქნება.

- ბატონო პაგანელ, - მიმართა ელენმა, - თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ ისინი ინდიელებს ჩაუცვივდნენ ხელში, შეუნარჩუნებდნენ სიცოცხლეს?

- რა ბრძანებაა, ქალბატონო!... ინდიელები კაციჭამიები როდი არიან! ერთი თანამემამულე მყავს, გეოგრაფიული საზოგადოებიდან ვიცნობ, გვარად გინარი. სამი წლის განმავლობაში ტყვედ ჰყავდათ პამპასელ ინდიელებს. მართალია ბევრი წვალება გამოიარა, ცუდად ეპყრობოდნენ თურმე, მაგრამ ბოლოს თავი დააღწია ტყვეობას და მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ამ მხარეში ევროპელის ფასი იციან. ის მათთვის გამოსადეგია და ისე უფრთხილდებიან, როგორც ჯიშიან საქონელს.

- მაშ ასე!... საყოყმანო აღარაფერი გვაქვს... დაუყოვნელბივ გავუდგეთ გზას! - თქვა გლენარვანმა, - მაგრამ რომელი გზა ავირჩიოთ?

- გზა ადვილი სავალი და სასიამოვნოა, - მიუგო პაგანელმა, - თავდაპირველად მთიანი ადგილებია, მერე კორდილიერების ოდნავ დაქ ანებული აღმოსავლეთ ფერდობები. იმისი იქით კი ხელისგულივით გადაშლილი, ბალახითა და ყვავილებით დაფარული დაცემული ვაკე - ნამდვილი ბაღია, ბაღი!

- აბა, რუკას დავხედოთ! - თქვა მაიორმა.

- ინებეთ, ჩემო ძვირფასო მაკ-ნაბს! - მიუგო პაგანელმა, - ჩვნე დავიწყებთ მოგზაურობას ჩილეს სანაპიროზე, ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე, რუმენის კონცხისა და კარნეროს ყურეს შორის. გვერდს ავუვლით არაუკანის დედაქალაქს ანტუკოს ზეკარის გავლით კორდილიერებს გადავლახავთ და ვულკანის სამხრეთით მოვექცევით. იქიდან დავეშვებით მითის ფერდობებზე, გავივლით ნეიკემს, გავცილდებით რიო-კოლორადოდ და მივაღწევთ პამპას. ჩავუვლით სლინასის ტბას, მდინარე გუამანსა და სიერატაპალკემს. იქ ჩვენ წინ გადაიშლება ბუენოს-აირესის პროვინციის საზღვრები და გადავლახავთ მედანოს კონცხამდე, რომელიც მდებარეობს ატლანტის ოკეანის ნაპირზე.

ამ მარშუტის დასახვის დროს პაგელანს რუკაზე არც კი დაუხედავს. მისი მეხსიერება აღსავსე იყო ფრეზიეს, მოლინას, ჰუმბოლდტის, მიერსის, დორბინის სამეცნიერო ნაშრომებით და შეცდომას არ დაუშვებდა.

გეოგრაფიული ჩამოთვლების შემდეგ პაგანელმა დასძინა:

- ასე, მეგობრებო, ჩვენი გზა ნათელია! ამას ოცდაათ დღეში გავივლით და აღმოსავლეთ ნაპირებს უფრო ადრე მივაღწევთ, ვიდრე - "დუნკანი", მით უმეტეს, თუ მას პირქარი შეაფერხებს.

- მაშასადამე, "დუნკანმა" უნდა იცდოს კორიენტესისა და წმინდა ანტონიოს

---

1 ერთი ლიე უდრის 4 კილომეტრს.

კონცხებს შორის? - იკითხა ჯონ მანგლსმა.

- სწორედ იქ!

- როგორ ფიქრობთ, ძვირფასო პაგანელ, ამ ექსპედიციისათვის ხალხის შერჩევას? - შეეკითხა გლენარვანი.

- რაც შეიძლება ნაკლები ხალხი იყოს! ჩვენ ხომ ბრძოლა არ მოგვიხდება ინდიელებთან. თავისთავად ცხადია, ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს გლენარვანი; მერი, რა თქმა უნდა, თავის ადგილს არავის დაუთმობს, მაიორი მაკ-ნაბსი, თქვენი მონა-მოსამსახურე პაგანელი...

- და მე! - წამოიძახა რობერტმა.

- რობერტ! ... რობერტ!. - საყვედურის კილოთი მიმართა მერიმ.

- რატომაც არა, ქალბატონო მერი... - მიუგო პაგანელმა, - მოგზურობა აწრთობს ახალგაზრდობას, ზრდი მას! მაშ ასე, ჩვენ ოთხნი ვართ "დუნკანის" სამ მეზღვაურსაც გავიყოლებთ.

- როგორ? - გაოცებით მიუბრუნდა ჯონ მანგლსი გლენარვანს, - ნუთუ მე ექსპედიციისათვის ზედმეტად მთვლით, სერ?

- ძვირფასო ჯონ, ჩვენ იახტაზე ვტოვებთ მგზავრებს, ესე იგი მათ, ვინც ჩვენთვის ყველაზე უფრო ძვირფასსია. ვინ იზრუნებს მათზე, თუ არა "დუნკანის" ერთგული კაპიტანი?

- მაშ, არც ჩვენ მივყავართ? - იკითხა ელენმა და სახე მოეღრუბლა.

- ჩემო ძვირფასო ელენ, - მიუგო გლენარვანმა, - ჩვენი მოგზაურობა მეტად სწრაფი იქნება, განსაკუთრებულ პირობებში; მეორეც - ჩვენი განშორება მეტად ხანმოკლე, ასე რომ...

- კეთილი, - თქვა ელენმა, - კეთილი იყოს თქვენი მგზავრობა! წარმატებას გისურვებთ!

- ამას ხომ მოგზაურობაც არ ეთქმის, - ჩაურთო პაგანელმა.

- მაშ რა ეთქმის? - ჰკითხა ელენმა.

- ეს გახლავთ პატარა ექსკურსია. ჩვენ გავივლით ამ კონტინენტს ისე, როგორც პატიოსენი ადამიანები და რაც შეიძლება მეტ სიკეთეს დავთესავთ. ჩვენი დევიზი იქნება Ttransire benefaciendo (ვიაროთ სიკეთის თესვით).

ამით დამთავრდა მათი კამათი, თუმცა კამათი არც კი ეთქმოდა, რადგან ყველანი ერთი აზრისანი იყვნენ. ერთ საკითხში კი შეთანხმდნენ, რომ საიდუმლოდ შეენახათ და არ გაემჟღავნებინათ თავიანთი მოგზაურობის მიზანი, რათა ამ ამბავს ინდიელების ყურამდე ნაადრევად არ მიეღწია.

გამგზავრება განზრახული იყო 14 სექტემბერს. ჯერი მიდგა მოგზაურების შერჩევაზე. ყველამ მოისურვა ექსპედიციაცი მონაწილეობა. გლენარვანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მეზღვაურთა შორის ვისიმე გამორჩევა ძნელი იყო, რომ გული არავის სტკენოდა. ბოლოს თვითონ მეზღვაურებმა გამოიყვანეს გლენარვანი უხერხული მდგომარეობიდან და კენჭისყრა მოითხოვეს. გლენარვანი სიამოვნებით დათანხმდა და არჩევანი კენჭმა გადაწყვიტა.

კენჭი ერგო "დუკანის" კაპიტნის თანაშემწე ტომ ოსტინს, წარმოსადეგ ვაჟკაცს, ასევე, ვილსონსა და მიულრედის, რომელიც კრივში არც ერთს არ ჩამოუვარდებოდა.

გლენარვანი დიდი ენერგიით შეუდგა სამზადისს. უნოდა დანიშნული დღისათვის მზად ყოფილიყო და შეეძლო კიდეც. მას არც ჯონ მანგლსი ჩამორჩა: ისიც დიდი სისწრაფით ტვირთავდა "დუკანს" ქვანახშირით. უნდოდა, გამგზავრება დაესწრო არგენტინისაკენ წამსვლელი ამხანაგებისათვის. მათთან შეჯიბრებამ საქმე დააჩქარა და ახლა ადგილიდან დაძვრის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ.

ამგვარად, 14 ოქტომბერს, დანიშნულ საათზე, ყველაფერი მზად ჰქონდათ. ყველანი შეიკრიბნენ "დუკანის" კაიუტკომპანიაში. "დუკანი" ღუზას ხსნიდა.

გლენარვანი, პაგანელი, მაკ-ნაბსი, რობერტ გრანტი, ტომ ოსტინი, ვილსონი და მიულერდი, რომლებიც შეიარაღებულიყვნენ კარაბინებითა და კოლტის რევოლვრებით, ნაპირზე გადასასვლელად ემზადებოდნენ. იქ მათ ელოდათ დასაპალნებული ჯორები და მეგზურები.

- აბა, დროა, დავიძრათ!- თქვა გლენარვანმა.

- ნახვამდის, მეგობრებო, - მიუგო გულაჩვილებულმა ელენმა. გლენარვანმა მეუღლე გულში ჩაიკრა, რობერტი მერის ჩამოეკიდა კისერზე.

- ძვირფასო მეგობრებო, - თქვა ბოლოს პაგანელმა, - ახლა კი უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა... და ეს უნდა ვიკმაროთ ალტანტის ოკეანის სანაპირომდე.

მეტად ძნელი იყო ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ ამის შემდეგ ყვალამ ისე მაგრად ჩამოართვა ერთმანეთს ხელი, რომ მართლაც ეყოფოდათ ახალ შეხვედრამდე. ყველანი გემბანზე ავიდნენ. "დუკანის" შვიდი მგზავრი გამზადებულ ნავში მოთავსდა და ნაპირისაკენ გაემართა.

- მეგობრებო, ღმერთმა მოგიმართოთ ხელი! - უკანასკნელად გასზახა ელენმა.

- გწამდეთ, რომ გამარჯვებულნი შევიყრებით, - გამოსძახა გლენარვანმა.

- სრული სვლით!... - უბრძანა ჯონ მანგლსმა მექანიკოსს.

- გავწიოთ წინ! - გასძახა საპასუხოდ გლენარვანმა.

იმ დროს, როდესაც ხმელეთის მოგზაურები ჯორებით გაჰყვნენ ზღვის ნაპირს, "დუკანის" ხრახნებმაც უმატეს ტრიალს და იახტამ თვალუწვდენელი ოკეანის ტალღებს მისცა თავი.

თავი XI

ჩილეს გადალახვა

გლენარვანმა გამყოლებით სამი კაცი და ერთი ბიჭი დაიქირავა. უფროსი გამყოლი ინგისელი იყო. მას ოცი წელიწადი გაეტარებინა ამ მხარეში და შეთვისებული ჰქონდა ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი. ხელობად ჰქონდა გამყოლობა, მოგზაურებისათვის ჯორების მიქირავება და გაცილება კორდილიერების უღელტეხილებით, იმის იქით კი აღარ მიდიოდა. იმ ადგილინდა მგზავრებს "ზაკეანოს" არგენტინელ გამყოლებს გადააბარებდა ხოლმე, რომლებმა ჩინებულად იცოდნენ პამპის გზები.

ინგლისელს არც იმდენად დავიწყებოდა დედაენა, რომ მოგზაურებისათვის ახსნა-განმარტება ვერ მიეცა. ეს გარემოება გლენარვანს უადვილებდა განკარგულების მიცემას, რადგან ჟაკ პაგანელი ჯერჯერობით ვერ ახერხებდა ადგილობრივ ენაზე საუბარს. გამყოლების უფროსს, ან როგორც მათ ჩილეში უწოდებსნდნ, "კატაპაცს", ორი ხელქვეითი პეონი ინდიელი ახლდა და ერთიც თორმეტი წლის ბიჭი. პეონები საპალნიან ჯორებს ჰყავდათ მიჩენილი, ბიჭს კი "მადრინა" მიჰყვდა, ახალგაზრდა ფაშატი, რომელსაც კისერზე ეჟვნები და პაწია ზარი ეკიდა. ბიჭი "მადრინათი" წინ მიუძღოდა დატვირთული ჯორებისაგან შემდგარ ქარავანს, რომელიც გაბმით მისდევდა მას უკან. შვიდ ჯორზე შვიდი მოგზაური იჯდა, მერვეზე - თვითონ "კატაპაცი". ორი ჯორი დატვირთული იყო რაზმის ბარგით და სანოვაგით. პეონები ჩვეულებრივ ფეხით მიჰყვბოდნენ ქარავანს. მოგზაურებს თან მიჰქონდათ რამდენიმე თოფი ფართალი, ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, პამპების კაციკებისათვის[1] მისართმევად. ამრიგად, სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობა უხიფათო და შეუჩერებელი უნდა ჰქონოდათ.

ანდების უღელტეხილის გადავლა ჩვეულებრივ მგზავრობად ვერ ჩაითვლება, მისი გადალახვა შეუძლებელია, თუ არ გყავთ მუხლმაგარი ჯორები, რომელთა შორის უფორ მეტად არგენტინული ჯიში ფასობს. ამ ჯორებმა საკვებზე განაზება არ იციან და წყლის დალევაც დღეში ერთხელ ჰყოფნით. ამგვარად, რვა საათის განმავლობაში შეუძლიათ გაიარონ ორმოცი კილომტრიც და თავისუფლად ზიდონ 9-10 ფუთამდე ტვირთი. მთელ ამ მანძილზე, ერთი ოკეანიდან მეორეზე, არსად მოიპოვება არც დუქანი, არც რაიმე ღამის გასათევი ადგილი. მგზავრები გზაში იკვებებიან მშრალი ხორცით, პილპილიანი ფლავითა და შემთხვევით მოკლული ნადირის ან ფრინველის ხორცით. წყურვილს იკლავენ მთის ნაკადულებითა და ხევის წყლით, რომელსაც აზავებენ რამდენიმე წვეთი რომით. რომი ყოველ მოგზაურს თან დააქვს "შიფლებით" - ხარის რქებით, მაგრამ ადგილობრივი ჰავის გამო მაგარი სასმელების მოჭარბების სმა სახიფათოა.

მგზავრის ლოგინი უნაგირია. უნაგირი ცხვრის ტყავისაა, რომლის ცალი მხარე მოთრიმულია, მეორე მხარე კი ბეწვიანი. ტყავები ჯორზე თასმებით არის დამაგრებული. ღამე მათ ლოგინად ხმარობენ. ასეთ ლოგინებში გახვეული მოგზაურები ადვილად იტანენ ღია ცისქვეშ ღამისთევას ყოველგვარ ამინდში.

გლენარვანი გამოცდილი იყო მოგზაურობაში და ემარჯვებოდა სხვადასხვა ქვეყნის ჩვეულებასთან შეგუება. ამის გამო მან წინასწარვე დაამზადებინა ჩილეური ტანისამოსი,

როგორც თავისთვის, ისევე თანამგზავრებისათვის. პაგანელი და რობერტი, - ეს ორი სხვადასხვა ასაკის გულიუბრყვილო ბავშვი - აუწერელ სიხარულს მიეცნენ, როდესაც ჩილურ ნაციონალურ პონჩოში გაჰყვეს თავი. ეს იყო ფართო წამოსასხამი, უჯერდულა ქსოვილისაგან შეკერილი, ფეხებზე კი ცხენის ტყავისაგან შეკერილი ჩექმები ჩაიცვეს. მათი ჯორები მდიდრულად იყო შეკაზმული - პირში არაბული ლაგამი, თასმისაგან დაწნული გრძელსადავებიანი აღვირები, რომლებიც შოლტის მაგივრობას ასრულებდა, ბრჭყვიალა უზანგები და ფალანზე დაკიდებული ღია ფერის ტილოს ხურჯინი, რომელშიაც საგზალი ეწყოთ. მუდამ დაბნეული ღია ფერის ტილოს ხურჯინი, რომელშიაც საგზალი ეწყოთ. მუდამ დაბნეულ და გულმავიწყ პაგანელს შეჯდომის დროს ჯრომა კინაღამ წიხლი სდრუზა. როგორც იქნა, მოახერხა უზანგებში გაეყო გრძელკანჭა ფეხები და ბედაურის სინდისზე მიეგდო საქმე. რობერტმა კი შეჯდომისთანავე დიდი უნარი გამოიჩინა ცხენოსნობისა, ეტყობოდა, საუკეთესო მხედარი დადგებოდა.

პატარა რაზმი გზას გაუდგა. ჩინებული ამინდი იდგა. ზღვის გრილი სიო პაპანაქებას ანელებდა. პატარა ქარავანი სწრაფად მიიწევდა წინ ტალკაჰუანოს ყურის შეჭრილ-შემოჭრილი სანაპიროს გასწვრივ, რათა ოცდაათი მილის გავლის შემდეგ მიეღწია ოცდამეჩვიდმეტე პარალელისათვის.

პირელ დღეს მარდად გადაიარეს დამშრალი ჭაობის შამბნარი. იშვიათად თუ გაეხმაურებოდნენ ერთმანეთს: ყველა მათგანი მისცემოდა იახტაზე დატოვებულებთან გამოთხოვების მოგონებას. მათი თვალი კიდევ სწვდებოდა "დუკანის" კვამლს, რომელიც თანდათან იკარგებოდა ჰორიზონტზე. ყველანი დუმდნენ. მხოლოდ პაგანელი არ ასვენებდა ენას. მეცნიერებისათვის თავდადებული _____

1 კაციკი - ადგილობრივი ტომების ბელადი.

გეოგრაფი ესპანურ ენაში ვარჯიშობდა. ხმამაღლა ეკითხებოდა თავის თავს და ხმამაღლავე უპასუხებდა ამ ახალ ენაზე.

როგორც ეტყობოდათ, კატაპაცი სიტყვაძუნწი კაცი წიყო, ის პერონებსაც კი არ ელაპარაკებოდა, განსაკრგულებებს ხელით ანიშნებდა, ალბათ, მისი ხელობა მოითხოვდა ამას. პეონებს ხანგრძლივი გამოცდილებით ჩინებულად ჰქონდათ შეთვისებული თავიანთი მოვალეობა. თუ ვისმე ჯორი გაჯიუტდებოდა და გაჩერდებოდა, ყვირილით ან ქვების სროლით დაძრავდნენ ადგილიდან. თუ რომელიმე ჯორს მოსართავი მოეშვებოდა ან აღვირი წავარდებოდა, მარდად გადაიძრობდნენ პონჩოს, ჯორს გადაახურავდნენ თავზე, მოსართავს თუ აღვირს გაუსწორებდნენ, შემდეგ პონჩოში გაყფოდნენ თავს და ისევ გზას გაუდგებოდნენ.

მეჯორე-გამყოლები ჩვეულებრივ დილის რვა საათზე დაადგებიან ხოლმე გზას, საუზმის შემდეგ და ღამის გასათევ ადგილამდე გაუჩერებლივ მიდიან, ე. ი. ნაშუადღევის ოთხ საათამდე. გლენარვანი შეუდავებლად ემორჩილებოდა ამ ჩვეულებას. პირველ საღამოს უკვე მიადგნენ ქალაქ არაუკოს, რომელიც გაშენებულია ტალკაჰუანოს ყურის სამხრეთ ბოლოში.

ოცდამეჩვიდმეტე პარალელამდე მისაღწევად ჯერ კიდევ გასავლელი ჰქონდათ დასავლეთისაკენ ოცი მილის მანძილი კარნეიროს ნავსდადგურამდე. გლენარვანის გაგზავნილ ხალხს უკვე გამოკვლეული ჰქონდა ეს სანაპიროები, ამიტომ მეორედ მისი გამოკვლევა საჭიროდ აღარ ჩათვალეს. გლენარვანმა პაგანელთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, არაუკოდან ქვეყნის შუაგულში წასულიყვნენ და მიაღწევდნენ თუ არა 37-ე პარალელს, იოტისოდენადაც არ გადაეხვიათ პირდაპირი მიმართულებიდან.

ქარავანი ქალაქ არაუკოში შევიდა და ღამის გასათევად დაბანაკდა სასტუმროს ეზოში.

ქალაქი არაუკო არაუკანიის დედაქალაქია. ამ პატარა სახელმწიფოს ტერიტორიის სიგრძე ექვსას კილომეტრს უდრის, სიგანე - ას ოცს. აქ ცხოვრობენ ჩილელთ უძველესი მოდგმის მონათესავე მოლუჩები. ეს არის ამაყი და მძლავრი ტომი, ერთადერთი ტომი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, რომელსაც უცხოთა ბატონობა არასოდეს განუცდია. მართალია, ერთ დროს ქალაქი არაუკო ესპანელების ხელში იყო, მაგრამ მის მოსახლეობას არც მათ წინაშე მოუხრია ქედი. იგი ამჟამად დამოუკიდებელია. მაღლა აზიდულ

ციხესიმაგრეებზე დღემდე ამაყად ფრიალებს მოლუჩების ცისფერი დროშა შუაში ამოქარგული თეთრი ვარსკვლავებით. ეს ციხესიმაგრე დარაჯობს ქალაქს.

სანამ ვახშამს დაამზადებდნენ, გლენარვანი, პაგანელი და კატაპაცი ისლით დახურულ სახლებს შორის მიმოდიოდნენ. არაუკო საგულისხმოს არაფერს წარმოადგენდა. გლენარვანმა სცადა, რაიმე ცნობები შეეკრიბა გრანტის შესახებ, მაგრამ უნაყოფოდ. პაგანელი სასოწარკვეთილი იყო, რომ თავისი ესპანური ვერ გააგებინა აქაურობას, რადგან ისინი არაუკანურ ენაზე ლაპარაკობდნენ. იმ ძირითად ენაზე, რომელიც გავრცელებულია მაგელანის სრუტემდე. პაგანელს ესნაური ენა იმდენად უშველიდა აქ, რამდენადაც, ვთქვათ, ძველი ებრაული. რადგანაც საუბრისა და მოსმენის საშუალება არ ჰქონდა, პაგანელი თვალიერებასა და დაკვირვებას შეუდგა.

მოლუჩის მოდგმის სხვადასხვა ტიპებზე დაკვირვება პაგანელი დიდად ასიამოვნა. კაცები ტანადები იყვნენ, ბრტყელი სახე ჰქონდათ, სპილენძისფერი კანი; გრძელი და წვეტიანი ნიკაპი და უნდობლად მომზირალი თვალები. დიდრონი თავები დაფარული ჰქონდათ გრძელი შავი თმით. მათ სახეზე აღბეჭდილიყო ისეთი განურჩეველი გულგრილობა, როგორიც სჩვევიათ მშვიდობიანობის დროს უმოქმედოდ დარჩენილ მეომრებს. დედაკაცები შესახედავად საცოდავები იყვნენ, თუმცა ენერგიით აღსავსენი. ისინი ასრულებდნენ ყველა მძიმე საოჯახო საქმეს - ცხენებს უვლიდნენ, საომარ იარაღს წმენდნენ, ხნავდნენ და მკიდნენ, ნანადირევს მიართმევდნენ თავიანთ მბრძანებლებს და გარდა ამისა, კიდევ ახერხებდნენ იმდენი დროის მონარჩუნებას, რომ ერთი პონჩო მაინც მოეთელათ, რასაც ორი წლის შრომა სჭირდებოდა და ასი დოლარი მაინც ღირდა.

მოლუჩები, საერთოდ, ნაკლებსაინტერესო მოდგმისანი არიან. ადათ-ჩვევებით ველურებისაგან დიდად არ განსხვავდებიან. მათ აქვთ ყველა ადამიანური ნაკლი და ერთადერთი სიკეთე, რაც ახასიათებთ, თავისუფლების განუსაზრვრელი სიყვარულია.

- ნამდვილი სპარტანელები არიან! - იმეორებდა პაგანელი საღამოთი, გასეირნების შემდეგ, ვახშმობისს.

მისი აღფრთოვანების მიზეზი გაუგებარი იყო თანამგზავრებისათვის. მაგრამ უფრო გაუგებარი გახდა, როცა განაცხადა, რომ ქალაქ არაუკოში სეირნობისას მისი ფრანგული გული საოცრად ძგერდა. როდესაც მიაორმა გულის მოულოდნელი ძგერის მიზეზი ჰკითხა, მეცნიერმა უპასუხა, რომ მიზეზი სავსებით ბუნებრივია, რადგან არც ისე დიდი ხნის წინ არაუკანიის ტახტს მისი თანამემამულე ფლობდა. მაიორმა სთხოვა, დაესახელებინა ის მონარქი და ჟაკ პაგანელმა ახსენა ბატონი დე ტონენი, ყოფილი პერიგორელი ადვოკატი. თან დასძინა, მისი მეფობა ძალზე ხანმოკლე გამოდგაო. როდესაც მაიორმა წარმოიდგინა, "უმადურმა ქვეშევრდომებმა" როგორ გააძევეს იგი, გაიღიმა, მაგრამ პაგანელმა სერიოზულად მოუჭრა: "უფრო მოსალოდნელია ადვოკატი კარგი მეფე გამოდგეს, ვიდრე მეფე კარგი ადვოკატი გახდეს". ამ შენიშვნამ საერთო სიცილი გამოიწვია. ყველამ სიამოვნებით აიღო "ჩიჩით"[1] სავსე ჭიქები ხელში და არაუკანიის ყოფილი მეფის, ორელი ანტონიო პირველის სადღეგრძელო შესვა.

ვახშმის შემდეგ მგზავრები პონჩოებში გაეხვივნენ და ღრმა ძილს მიეცნენ.

მეორე დილით, რვა საათზე, ქარავანი ოცდამეჩვიდმეტე პარალელს გაუყვა აღმოსავლეთისაკენ. წინ კატაპაცი მიუძღოდათ, უკან პეონები მისდევდნენ. გზა მიემართებოდა არაუკანიის ნაყოფიერ მიწა-წყალზე, როემლზედაც გაშენებული იყო ვენახები, მაღლობზე კი ცხვრის ფარები შეფენილიყო.

თანდათანობით მიდამოს უდაბნოს იერი მიეცა. მხოლოდ იშვიათად თუ შეხვდებოდით რასტრეადორეის ქოხებს. რასტეადორები მთელ ამერიკაში სახელგანთქმული იყვნენ ველური ცხენების გახედვნით. ქოხები ერთიმეორისაგან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული. ზოგჯერ წააწყდებოდნენ საფოსტო სადგურის ნანგრევებს, სადაც ველად მოხეტიალე ინდიელებს დაედოთ ბინა.

იმ დღეს გზა გადაუჭრათ ორმა მდინარემ: ერთი იყო რიო-რაკე, მეორე - რიო-ტუბალი, მაგრამ კატაპაცმა ადვილად გამონახა ფონი და მშვიდობიანად გაიყვანა ყველანი გაღმა ნაპირზე. შორეულ სივრცეში, ცის დასავალთან, მოჩანდა ანდების გრძლად წაგრაგნილი

მთაგრეხილი, რომლის მწვერვალებიც ცას ებჯინებოდა. მწვერვალები უფრო მეტ სიმაღლეზე ატყორცნილა. ჩრდილოეთ მხარეს უფრო მაღლდებოდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ წინამთები იყო ახალი ქვეყნის უზარმაზარი ქედისა.

ნაშუადღევს, ოთხ საათზე, ოცდათხუთმეტი მილის გავლის შემდეგ, ქარავანი შესასვენებლად გაჩერდა ველზე, ბუმბერაზი მირტის ხეებქვეშ. ჯორებს უნაგირები მოხსნეს და ნოყიერ პამპაზე გაუშვეს საბალახოდ. ხურჯინებიდან, ან როგორც იქ _____

1 ჩიჩა - სიმინდის არაყი.

უწოდებენ, ალფორხასებიდან, ამოალაგეს ტრადიციული გამხმარი ხორცი და ბრინჯი, მიწაზე დაფენილი პენიოლები დღისით სკამებისა და მაგიდების მაგიერ გამოიყენეს, ღამით კი ლოგინად. ყველა დასასვენებლად მიწვა სახელდახელო ლოგინზე. პეონები და კატაპაცი კი მორიგეობით დარაჯობდნენ მიძინებულ ბანაკს.

მეორე დღესაც ასეთივე სისწრაფით იარეს, ადვილად გადასერეს მდინარე რიო-ბელის ჭორომები და საღამო ხანს, როდესაც ღამის გასათევად დაიბანაკეს მდინარე ბიო-ბიოს ნაპირზე, გლენარვანმა უბის წიგნაკში ჩაიწერა, რომ იმ დღეს ორმოცდაათი კილომეტრი გაიარეს. ეს ადგილი ესპანეთის ჩილესა და დამოუკიდებელი ჩილეს საზღვარზე მდებარეობდა.

ადგილმდებარეობას ჯერ იერი არ ეცვალა. წინ ეშლებოდათ იგივე ნაყოფიერი მიდამოები, დაფარული მოღაღანე ამარილისით, ხისებრი იით, ლემათი, ვარაყისფრად აყვავებული კაქტუსებით. უღრანი ტყეები სავსე იყო ნადირით, მათ შორის ხვდებოდნენ ოცელოტებს, ფრინველებიდან კი - ყანჩას ან შევარდენის კლანჭებიდან გამოსხლეტილ შაშვს.

ინდიელების ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ზოგჯერ გაიქროლებდნენ უბელო ცხენებზე გაკრული ინდიელებისა და ესპანელების შერეული ტომის ადგილობრივი მცხოვრებნი - "გუაჩოსები". შიშველ ფეხებზე დამაგრებული გრძელი დეზების ცემისაგან მათ ცხენებს ფერდები დასისხლიანებული ჰქონდათ. მოგზაურებს გზად სხვა არავინ შემოხვედრიათ, რომ გამოეკითხათ რამე. გლენარვანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტანი გრანტი ანდების გადაღმა ინდიელებს ტყვედ ჰყავდათ წაყვანილი. ამგვარად, მისი ძებნა მხოლოდ პამპაში უნდა დაეწყოთ და იქვე დაემთავრებინათ. ამ საქმეს მოთმინება და სწრაფი სვლა სჭირდებოდა.

17 ოქტომბერს, ჩვეულებისამებრ, გზას ერთხელ დადგენილი წესრიგით გაუდგნენ, მაგრამ რობერტს გული არ უთმენდა და ხშირად წინ უსწრებდა "მადრინას", რაც მის ჯორს არ ეჭაშნიკებოიდა. წესიერების დასაცავად, გლენარვანი ხშირად იძულებული ხდებოდა, მკაცრად მოეთხოვა მისგან, რომ რაზმის მსვლელობაში მიჩენილი ადგილი არ დაეტოვებინა.

მიდამომ თანდათანობით იერი შეიცვალა და დასერილი ხდებოდა. ხვდებოდათ ბექობები და ბორცვები, რაც ნიშანი იყო მთების სიახლოვისა. ფერდობებზე შხუილით დაქანებულიყვნენ მდინარეები და ნაკადები. პაგნელი ხშირად იცქირებოდა რუკაზე და თუ რომელიმე მათგანი აღნიშნული არ იყო (რაც ხშირად ხდებოდა), მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

- უსახელო მდინარე და მოქალაქეობრივ უფლებას მოკლებული ადამიანი ერთი და იგივეა! - ამბობდა ის, - გეოგრაფიისათვის ასეთი მდინარე არ არსებობს, - და იქვე ნათლავდა უსახელო მდინარეს გამოგონებული სახელწოდებით და რუკაზე აღნიშნავდა მშვენიერ ესპანურ სახელწოდებას, - დალოცვლილი ენაა! - ამბობდა პაგანელი, - მდიდარი და კეთილხმოვანი!... ლითონია სწორდ. ნაწრთობი ლითონი! დარწმუნებული ვარ, ამ ენაში სამოცდათვრამეტი წილი სპილენძია, ოცდაორი წილი კალა, როგორც იმ ნამდვილ ბრინჯაოში, რისგანაც ზარებს ასხამენ!..

- მაინც, ბატონო პაგანელ, როგორ არის საქმე? ენის შესწავ ლა წარმატებ ის მიდის?... - გაეხუმრა გლენარვანი.

- რა თქმა უნდა, ძვირფასო გლენარვან!... მაგრამ გამოთქმა მიჭირებს საქმეს, გამოთქმა!... - და პაგანელი, უკეთესი მომავლის მოლოდინში მთელი მოგზაურობის დროს,

ესპანური სიტყვების გამოთქმაში ვარჯიშობდა. თუმცა გეოგრაფიულ დაკვირვებებსაც არ ივიწყებდა.

ამ დარგში მეტად ძლიერი იყო და ვერავინ სჯობნიდა. - როდესაც გლენარვანი კატაპაცს მიმართავდა რომელიმე გეოგრაფიული ცნობის შესახებ, პაგანელი არც კი დააცდიდა და თვითონვე უპასუხებდა. კატაპაცი გაოცებული შეხედავდა ხოლმე პაგანელს.

იმ დილით, 17 ოქტომბერს, დაახლოებით ათ საათზე, მოგზაურები რაღაც გზას მიადგნენ. გლენარვანმა კატაპაცს ჰკითხა, ეს გზა საით მიდისო. მის ნაცვლად პაგანელმა უპასუხა:

- ეს გზა იუმბელიდან მოდის და ლოს-ანხელესისაკენ მიემართება.

გლენარვანმა კატაპაცს გადახედა.

- სრული სიმართლეა, - მიუგო მან და მერე გეოგრაფს მიუბრუნდა, - როგორც გეტყობათ, ამ გზებზე გიმოგზაურიათ?

- რასაკვირველია, - სერიოზულად უპასუხა გეოგრაფმა.

- ჯორით?

- არა, სავარძლით.

კატაპაცი ვერ მიხვდა ოხუნჯობის აზრს, მხრები აიჩეჩა და ისევ წინ გაუძღვა ქარავანს.

საღამოს ხუთ საათზე შეისვენეს პატარა ხეობაში, რომელიც რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული ქალაქ ლოხიდან.

იმ ღამეს მგზავრების ბანაკი სიერების ძირას - დიდი კორდილიერების პირველ საფეხურზე გაიშალა.

თავი XII

ზღვის დონიდან თორმეტი ათასი ფუტის სიმაღლეზე

დღემდე ჩილეს მიდამოებში მოგზაურობა სიძნელეს ან ხიფათს არ წარმოადგენდა. აქედან კი, მთებზე გადასვლისს, მოსალოდნელი იყო საფრთხეც და შეფერხებაც. აქედან იწყებოდა ბრძოლა ბუნებრივ დაბრკოლებათა გადასახალახავად. ვიდრე აღმართებს შეუდგებოდნენ, საჭირო იყო იმის გადაწყვეტა, რომელი უღელტეხილით გადაევლოთ ანდის მთები, ისე, რომ არჩეული გეზისათვის არ გადაეხვიათ.

კატაპაცს ჰკითხეს:

- კორდილიერების ამ ადგილებსი მხოლოდ ორი რიგიანი უღელტეხილი მეგულება, - უპასუხა მან.

- ერთი იქნება, ალბათ, არიკის გადასასვლელი, ვალდივია მენდოსამ რომ აღმოაჩინა, არა?! - ჰკითხა პაგანელმა.

- სრული ჭეშმარიტებაა!

- მეორე ვილარიკას გადასასვლელი, რომელიც ნევადოს სამხრეთით გადადის. ხომ ასეა?

- სწორია!

- მაშ იცოდეთ, მეგობარო, რომ ჩვენ არც ერთი მათგანი არ გამოგვადგება, რადგან ერთი უღელტეხილი ჩრდილოეთისაკენ გადაგვახვევინებს გეზიდან, მეორე კი - სამხრეთისაკენ.

- იქნებ თქვენ გვირჩიოთ მესამე გადასასვლელი? - ჰკითხა მაიორმა.

- რა თქმა უნდა! - მიუგო პაგანელმა, - მე დაგისახელებთ ანტუკოს გადასასვლელ, რომელიც ვულკანის ფერდობს მისდევს 37°30´-ზე და ჩვენ არჩეული გეზიდან მხოლოდ ნახევარი გრადუსით გვაშორებს. გადასასვლელი ზამმუდი დე კრუცმა აღმოაჩინა და ექვსი ათასი ფუტის სიმაღლეზე გადადის.

- ძალიან კარგი, - თქვა გლენარვანმა, - მაგრამ ანტუკოს გადასასვლელი თქვენ იცით, კატაპაცო?

- დიახ, სერ, ვიცი, მივლია კიდეც ამ გზით, მაგრამ თუ არ დაგისახელეთ, მხოლოდ იმის გამო, რომ საცალფეხო ბილიკი გახლავთ, საქონლის გადასარეკი... ამ ბილიკზე პირიქითელი ინდიელი მწყემსები თუ დაიარებიან!

- მეგობრებო, იქ, სადაც ფაშატების რემა, ცხვრის ფარა და ხარების ნახირი გადაივლის, ჩვენ რაღა დაგვემართება, რომ ვერ გადავიაროთ!... რადგან ამ გადასასვლელს პირდაპირ ჩვენი გეზით მივყავართ, ჩვენც ანტუკოს უღელტეხილს გავყვეთ!

გამგზავრების ნიშნის მისცეს და მთელი რაზმი ლას-ლეხასის ხეობას გაჰყვა, რომელიც მხარს აზიდული გაკრისტალებული კირქვის უშველებელ კლდეებს შორის კვეთდა. თავდაპირველად თითქმის შეუმჩნეველი შელმართი იწყებოდა.

დაახლოებით თერთმეტ საათზე შემოარეს პატარა თვალწარმტაც ტბას, რომელიც მთებიდან მჩქეფარე ნაკადების მიერ შექმნილ ბუნებრივი წყალსაცავს წარმოადგენდა. ნაკადები ჩხრიალით ჩამორბოდნენ მისკენ და ინთქმებოდნენ მის მყუდრო, ანკარა სიღრმეში. ტბას დასცქეროდნენ მაღალი ზეგნები მდიდარი იალაღებით - ლიანოსებით, სადაც შეფენილი იყო მკვიდრი ინდიელეის ცხვრის ფარები. იმის იქით მოგზაურები წაადგნენ ჭაობებს, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ და სამხრეთისაკენ მიემართებოდნენ. ალღოიანი ჯორები მშვიდად გასცქეროდნენ ჭაობიან აადგილებსაც.

ნაშუადღევსა პირველი საათი იქნებოდა, როდესაც მგზავრების თვალწინ, კლდოვან მწვერვალზე, ბალიენარეს სიმაგრე აღიმართა. მოჩანდა ნახევრად ჩამონგრეული გალავანი. აქედან უფრო პირშეღმართი ფერდობი იწყებოდა. ღორების ფეხით დაგორებული ქვები გრიალით მიექანებოდა ხეივსაკენ. ნაშუადღევს სამ საათზე კიდევ ერთი ძველი სიმაგრის ლამაზი ნანგრევები დაინახეს, რომელიც 1770 წლის აჯანყების დროს განადგურდა.

- როგორც ჩანს, თავის დასაცავად არ კმარა მხოლოდ ბუნებრივი ზღუდეები, - შენიშნა პაგანელმა, - თურმე ასეთ მთებზედაც კი სიმაგრეები ყოფილა საჭირო!

აქედან გზა უფრო ძნელად სავალი და სახიფათო გახდა. აღმართი უფრო და უფრო დაქანებული იყო, ძირს კი ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა და უფსკრული იწყებოდა. ჯორები თავდახრით, ფრთხილად მიაბიჯებდნენ და თან გზას ყნოსავდნენ. ზოგჯერ რომელიმე ციცაბო ამოსახვევში "მაგრინა" თვალიდან ეკარგებოდათ და წეროებივით გამწკრივებული ქარავანი მხოლოდ მისი შორეული ზარის წკარუნს მისდევდა. მიხვეულ-მოხეული ვიწრო ბილიკი ხშირად ერთიმეორის გასწვრივ მიდიოდა ოთხასი მეტრის სიღრმის უფსკრულის თავზე იმ დროს, როდესაც გაღმა და გამოღმა ბილიკები ერთიმეორისაგან ოთხიოდე მეტრის მანძილით იყო დაშორებული და კატაპაცი გამოღმიდან ესაუბრებოდა გაღმა ბილიკზე დაწინაურებულ პეონებს.

მცენარეულობა აქ კიდევ იბრძოდა მოზღვავებული ქვის წინააღმდეგ, მაგრამ უკვე ემჩნეოდა, რომ მინერალთა სამეფო გაიმარჯვებდა. ანტუკოს ვულკანის სიახლოვის მომასწავებელი იყო მოყვითალო ნემსისებრი კრისტალებით აქოჩრილი რკინისფერი ლავის ნამსხვრევები. ერთიმეორეზე მიყრილი უზარმაზარი კლდეები, წონასწორობის ყოველგვარი კანონის საწინააღმდეგოდ, ჰაერში დაკიდებულიყვნენ და ჩამონგრევას ლამობდნენ. აშკარა იყო, ზვავებს ან მათ წარმომშობ გამანადგურებელ ძალებს სულ ადვილად შეეშლოთ ერთბაშად შეეცვალათ იერი ამ მიდამოსათვის, წამოზიდული მწვერვალები ადგილიდა დაეძრათ და როდესმე მაინც საბოლოო და უცვლელი სახე მიეცათ.

ასეთ პირობებში მეტად ძნელდებოდა გზის გაგნება. ანდის მთების გარეგანი სახის მუდმივი ცვალებადობა ძველი რელიეფის კვალსაც აღარ ტოვებდა, სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ კატაპაცს ერთგვარი ყოყმანი დაეტყო. იგი შეჩერდა, მიდამოს დაკვირვებით მოავლო თვალი, დააშტერდა კლდეების მოყვანილობას და ფხვიერ ქვებს შორის ეძებდა ინდიელების ფეხის ნაკვალევს, მაგრამ ამაოდ.

გლენარვანი, რომელიც ფეხდაფეხ მისდევდა კატაპაცს, ამჩნევდა მის ყოყმანს, მაგრამ ვერ გაებედა, შეჰკითხვოდა, რადგანაც სწამდა, რომ გამყოლოებსა და ჯორებს ერთგვარი ალღო მოსდევთ, რასაც, უმჯობესია, დაენდოს ადამიანი.

კატაპაცი რამდენიმე საათის განმავლობაში მიდიოდა სულ ზევით, ალალბედზე, ბოლოს ჯორი შეაყენა, რადგან ბილიკი უკვე ლოდებით იყო ჩახერგილი. ამ დროს

იმყოფებოდნენ ერთ პირქუშ ვიწრო ხეობაში, რომლებსაც ინდიელები "კებრადას" უწოდებენ. გზა ერთი მხრიდან ჩამონგრეულ კლდეს დაეხშო. კატაპაცი გასასვლელის უნაყოფო ძებნის შემდეგ ჩამოხტა ჯორიდან და გულხელდაკრეფილი უმწეოდ გაჩერდა დანარჩენი მოგზაურების მოლოდინში. პირველად გლენარვანი წაადგა თავს.

- გზა, ხომ არ აგრევიათ? - ჰკითხა მან.

- არა.

- ანტუკოს უღელტეხილზე ვართ?

- დიახ, სწორედ იქ.

- ხომ არ გეშლებათ?

- არა, არ მეშლება. აგერ, კოცონის ნარჩენი, რომელიც ინდიელებს დაუნთიათ... აი, ცხენებისა და ცხვრების კვალიც.

- მაშასადამე, ამ გზით აღარ გადაისვლება?

- დიახ, გაუვლიათ წინ, მაგრამ უკანასკნელ მიწისძვრას ეს გზა გაუვალი გაუხდია.

- ეგ თქვენ იცით, როგორც გენებოთ. მე კი ჩემი მოვალეობა მომიხდია, თუ გნებავთ, მე და ჩემი ჯორები აქედან უკან გავბრუნდებით, კორდილიერებზე სხვა გადასასვლელის საძებრად.

- მერე, ეგ რამდენი ხნით შეგვაფერხებს?

- სამი დღით მაინც.

გლენარვანი უსიტყვოდ ისმენდა კატაპაცის ნათქვამს, გამყოლის გამტყუნება, როგორც ჩანს, არ შეიძლებოდა. გლენარვანი მიუბრუნდა თანამგზავრებს:

- თქვენ რას იტყვით, მეგობრებო, მაინც ამ გზით განვაგრძოთ გზა თუ არა?

- ჩვენ მზად ვართ, ყველგან გამოგყვეთ, - მიუგო ყველას მაგიერ ტომ ოსტინმა.

- თუ გნებავთ, დავწინაურდები კიდეც, - დაუმატა პაგანელმა, - ასეთი რა მოხდა? რამ შეგაფიქრიანათ? ამ მთაგრეხილის გადასვლა გვიჭირს, თორემ გადაღმა ფერდობები გაცილებით უფრო იოლი სავალია. რაკი იქამდე მივაღწევთ, მორჩა და გათავდა! იქ ვიშოვით არგენტინელ გამყოლებს, რომლებიც პამპედამდე მიგვაცილებენ. იქვე ვიშოვით საუცხოო ცხენებს პამპების ველზე სამოგზაუროდ. მაშ წინ, უყოყმანოდ!

- მივდივართ! - შესძახეს ერთხმად.

- თქვენ არ წამოხვალთ ჩვენთან? - შეეკითხა გლენარვანი კატაპაცს.

- ჯორებს ვერ დავტოვებ.

- თქვენ იცით!

- უმაგისოდაც იოლად წავალთ! - ჩაერია პაგანელი, - ამ ლოდებს იქით ვიპოვით ანტუკოს ბილიკს, ამას მე ვკისრულობ. ისე იოლად გადაგიყვანთ მთის გადაღმა ადავაკებამდე, როგორც კორდილიერების საუკეთესო გამყოლი.

გლენარვანმა კატაპაცს ანგარიში გაუსწორა, ჯორებს ბარგი ჩამოხსნეს. იარაღი, ხელსაწყოები და საგზალი შვიდმა მოგზაურმა გაინაწილა. საერთო სურვილით გადაწყდა, რომ შეუჩერებლივ განეგრძოთ გზა და თუ საჭიროება მოითხოვდა, ღამღამობითაც ევლოთ.

მარცხენა ფერდობებზე პირშეღმართად მიიკლაკნებოდა საცალფეხო ბილიკი, რომელზეც ჯორები ვერ გაივლიდნენ. ორი საათის სიარულის შემდეგ კვლავ წააწყდნენ ანტუკოს გადასასვლელს. ახლა უკვე მიუახლოვდნენ ანდის მთების იმ ნაწილს, რომელიც კორდილიერების მთავარი ქედისაგან შორს აღარ იყო, მაგრამ აქ ბილიკის ნასახიც არსად ემჩნეოდა, გადასასვლელი არსად ჩანდა. მიწისძვრას მთლად დაენგრია ყველაფერი და მიდამოსათვის იერი შეეცვალა.

მგზავრები მაინც წინ მიიწევდნენ, სულ ზევით და ზევით. პაგანელი გაწბილებული და დარცხვენილი იყო, რომ მარჯვე ბილიკისათვის ვეღარსად მიეგნო, გრძნობდა, რომ ანდის მთების მწვერვალზე ასასვლელად დიდი სიძნელეები უნდა გადაელახათ, მით უმეტეს, რომ მთების საშუალოდ სიმაღლე თერთმეტ-თორმეტ ათას ფუტს აღწევდა. ბედად, წელიწადის ეს დრო აქ წყნარი იცოდა, ცა მოწმენდილი. ზამთარში კი, მაისიდან ოქტომბრამდე, ამ მთების გადალახვას ვერ შეძლებდნენ, რადგან ისეთი მკაცრი ყინვები და ქარბუქი იცის, რომ კორდილიერების ეს ხეობა ყოველწლიურად ადამიანების გვამებით ივსება.

მთელი ღამის განმავლობაში არ შეჩერებულან, ციცაბო კლდეებზე ძვრებოდნენ, განიერ და ღრმა ნაპრალებზე ხტებოდნენ, ერთიმეორეს ეხიდებოდნენ და ხელიხელჩაკიდებულნი ერთმანეთს მიეზიდებოდნენ ზევით. ეს გულადი და შეუდრეკელი ადამიანები ისეთ უცნაურ რამეებს აკეთებდნენ, რომ ჯამბაზების დასი გეგონებოდათ. სწორედ აქ გამოადგათ მიულრედის ღონე და ვილსონის მოქნილობა და ხერხიანობა. ეს ორი უშიშარი შოტლანდიელი თავის თავსაც კი აჭარბებდა. მათი თავგანწირულება და გულადობა რომ არა, მგზავრები ბევრგან უმწეოდ შეჩერდებოდნენ და ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამდნენ წინ. გლენარვანს მუდამ თვალწინ ჰყავდა რობერტი, რომელიც თავისი ბავშვური სიფიცხის გამო ხშირად ივიწყებდა სიფრთხილეს.

პაგანელი ჭეშმარიტად ფრანგული გატაცებით წინ მიუძღოდა, მაიორი კი არაფრად აგდებდა მთაზე ასვლას, სრულიად ძალდაუტანებლად მიდიოდა, შეიძლება არც კი შეუმჩნევია, რომ უკვე რამდენიმე საათია, რაც აღმა მიდიოდნენ. შესაძლოა, ისიც კი ეგონა, რომ თავქე ეშვებოდა.

ბარომეტრის ჩვენებით დილის ხუთ საათზე ორ კილომეტრ-ნახევარის სიმაღლეზე იმყოფებოდნენ ზღვის დონიდან. ახლა ისეთი ზეგანზე მოხვდნენ, სადაც მცენარეულობას საზღვარი ედებოდა. ამ მიდამოებში მოგზაურებმა შენიშნეს ცხოველი, რომელიც მეტად ახარებს და ამდიდრებს ყოველ მონადირეს. ამ მკვირცხლ ქმნილებათ ეს კარგად უნდა სცოდნოდათ, რადგან შორიდანვე გაურბოდნენ ადამიანს. ეს ლამაა, მთის ძვირფასი ცხოველი, რომელსაც შეუძლია გაგვიწიოს ჯორის, ცხენისა და ცხვრის მაგივრობაც. ლამა ისეთ ზონაში ცხოვრობს, სადაც ჯორიც კი ვერ ძლებს. აქვე დაკუნტრუშობდნენ ლამაზი, ხშირბეწვა, უწყინარი და მფრთხალი შინშილები, რომლებიც უკანა ფეხებით კენგურუს ჰგავდნენ, შესახედაობით კი კურდღლისა და მიწის კურდღლის ჯიშის ცხოველს. თვალწარმტაცნი არიან ისინი, როდესაც ტოტიდან ტოტზე ციყვებივით დახტიან.

- ჯერ ფრინველად ვერ ქცეულა, მაგრამ აღარც ოთხფეხია! - ჩაილაპარაკა პაგანელმა მათ დანახვაზე.

ამ მთებში მხოლოდ ეს ცხოველები როდი ბინადრობდნენ. სამი კილომეტრის სიმაღლეზე, თოვიანი ხაზის მიჯნაზე, ჯოგებად ცხოვრობდნენ გასაოცრად ლამაზი ცხოველები. ეს იყო ალპაგა თავისი აბრეშუმივით ფაფუკი მოგრძო ბეწვით. აქვე ბუდობდნენ წმინდა ბეწვიანი ზორბა და ამაყად მომზირალი ვიგონები, ანუ ურქო თხები. მათთან ახლოს მისვლა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან ნიავქარივით დაქროდნენ თოვლით დაფენილ მთაზე.

უფრო ზევით მთის სანახაობამ მთლად იცვალა იერი. ყოველი მხრიდან ნაპრალების პირად წამოზიდულ ყინულოვან ლოდებს ლურჯად აციალებდნენ დილის სხივები. თითოეული ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს, რომ სადმე სიფრიფანა ყინული წინ ვილსონი მიაბიჯებდა, ფეხით სინჯავდა, ნიადაგს და ისე დგამდა ნაბიჯს. დანარჩენები მის ნაფეხურს მიჰყვებოდნენ. ამ მიდამოებში ხმამაღლა ლაპარაკიც კი სახიფათო იყო, რადგან მცირეოდენი ხმაურით გამოწვეულ ჰაერის შერხევას ორასი-სამასი მეტრის სიმაღლიდან მათ გასწვრივ ჩამოკიდებული ყინულის ლოლუების ჩამოწოლა შეეძლო გამოეწვია.

უკვე მიაღწიეს ბუჩქნარის სარტყელს. კიდევ ათას შვიდას ორმოცდაათ ფუტზე რომ აიწიეს, დაიწყო მარცვლოვანებისა და კაქტუსების სარტყელი. თერთმეტი ათასი ფუტის სიმაღლეზე ბუჩქნარიც გაქრა და გაშიშვლებული, ყოველგვარ მცენარეულობას მოკლებული ხრიოკი დაიწყო. ჩვენი მგზავრები მხოლოდ ერთხელ შეჩერდნენ, დილის რვა საათზე, რომ ცოტა ამოესუნთქათ, დანაყრებულიყვნენ და შემდეგ მხნედ და ვაჟკაცურა განეგრძოთ მთაზე ასვლა, რაც თანდათან უფრო სახიფათო ხდებოდა. საშიში ადგილების გადალახვით ხან ბასრი კლდის წვერზე მიფოფხავდნენ, ხან თვალჩაუწვდენელი ნაპრალის პირს მისდევდნენ პირდაღებული უფსკრულის თავზე, საიდანაც ძირს გადახედვა ჟრუანტელს ჰგვრიდა ადამიანს. გზადაგზა ხვდებოდათ ამართული ხის ჯვრები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ ამ მიდამოებს უამრავი ადამიანი მსხვერპლად შეეწირა.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როდესაც შეივაკეს უდაბურ ზეგანზე, რომელიც გაშლილიყო შიშველ, წვეტიან კლდეებს შორის. ჰაერი მშრალი იყო, ცა - ლურჯად

ჩამოშვებული. ასეთ სიმაღლეზე წვიმა არ იცის და ნალექები დედამიწაზე თოვლის ან სეტყვის სახით ცვივა. თოვლით დაფარულ მიდამოზე შიგადაშიგ თეთრი ზეწრის ქვეშიდან, ჩონჩხის ძვლების მსგავსად, თავი ამოეყო პორფირისა და ბაზალტის ბასრ მწვერვალებს. ხანდახან ჰაერის ზეგავლენით სკდებოდა, იფშვნებოდა კვარცის ან გნეისის ნატეხები და უხმაუროდ ცვიოდა ამ გაიშვიათებულ ატმოსფეროში.

მართალია, მოგზაურებს მხნეობა არ აკლდათ, მაგრამ დაღლილობისაგან ქანცი გაუწყდათ. თანამგზავრების მომზირალი გლენარვანი, ცოტა არ იყოს, ნანობდა კიდეც, რომ ასე მაღლა ამოიჭრნენ მთაში. რობერტიც უძალიანდებოდა დაღლილობას, მაგრამ სიარულის თავი აღარ ჰქონდა. ნაშუადღევის სამ საათზე გლენარვანი შეჩერა.

- უნდა შევისვენოთ! - წამოიძახა მან, რადგან ხედავდა, რომ უიმისოდ ასეთ წინადადებას ვერავინ იძლეოდა.

- შევისვენოთ?! - ჰკითხა პაგანელმა, მაგრამ სად შევისვენოთ, როცა თავშესაფარი არსად ჩანს.

- მიუხედავად ამისა, დასვენება რობერტს მაინც ესაჭიროება!

- ჩემთვის ნუ წუხდებით სერ, - მხნედ მიუგო რობერტმა, - ჯერ კიდევ შემიძლია სიარული... ნუ გავჩერდებით.

- ჩემო ბიჭუნავ, აგიკიდებთ და ისე წაგიყვანთ, - უთხრა პაგანელმა, - რადაც უნდა დაგვიჯდეს, როგორმე უნდა მივაღწიოთ აღმოსავლეთის ფერდობს. იქ სადმე ვიპოვით რაიმე ქოხს და თავს შევაფარებთ. ჩემი ფიქრით, კიდევ ორ საათს უნდა ვიაროთ.

- ყველა იზირებს პაგანელის აზრს? - იკითხა გლეარვანმა.

- ყველანი! - ერთხმად უპასუხეს თანამგზავრებმა.

- რობერტი მე მომანდეთ, - თქვა მიულრედიმ და რაზმმა კვლავ განაგრძო სვლა აღმოსავლეთისკენ.

ორი საათის განმავლობაში ენით გამოუთქმელი დაბრკოლებანი გადალახეს იმ იმედით, რომ მთის წვერს მიაღწევდნენ. მთის გაიშვიათებული ჰაერი გულსი კუმშვას იწვევდა, რასაც "პუნი" ეწოდება; ამ დროს, უთანასწორო წნევის გამო სისხლი ჟონავს ღრძილებიდან და ტუჩებიდან. გარდა ამისა, ასეთ სიმაღლეზე თოვლსაც ერთგვარი გავლენა აქვს. გაიშვიათებული ჰაერის გამო საჭირო ხდება ხშირ-ხშირი და ღრმა სუნთქვა, რათა სისხლის მოძრაობა გაძლიერდეს, ეს კი ქანცავს ადამიანის სხეულს და თენთავს იმაზე უფრო მეტად, ვიდრე თვალებს თოვლზე აელვარებული მზის სხივი. ადამიანს თავბრუ ესხმის და ეგრეთ წოდებული მთის ავადმყოფობა ემართება. ეს ავადმყოფობა ანადგურეს მის ფიზიკურსა და ზნეობრივ ძალას. ასეთ მოქანცულობასთან გაძალიანება უვნებლად არ ჩაივლის. ამიტომ იყო, რომ მოგზაურთაგან ხან ერთი წამოიჩოქებდა, ხან მეორე და ლასლასით ძლივს მიფორთხავდნენ წინ. აშკარა იყო, ისე მოიქანცებოდნენ, რომ გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდებოდა.

საგონებელში ჩავარდნილი გლენარვანი უიმედოდ გასცქეროდა ყინვით გათანგულ, უდაბურ და თოვლით დაფენილ თვალუწვდენელ მიდამოს, მწვერვალებიდან წამოწვენილ ჩრდილებს და ღრმად შეფიქრიანებულს შიშით აჟრჟოლებდა, რომ თავშესაფარი არსად ჩანდა! უცებ მაიორმა მხარზე ხელის შეხებით შეაჩერა და დინჯად უთხრა:

- აგერ ქოხი!

თავი XIII

კორდილიერებიდან დაშვება

მაკ-ნაბსის ადგილას სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ვერც კი მოისაზრებდა, თუ აქ რაიმე ქოხი იყო, ისე აუვლიდა გვერდს. ეს იყო კლდეებს შუა თოვლით დაფარული პატარა ბექობი. საჭირო იყო მისი თოვლისაგან გათავისუფლება. ვილსონმა და მიულრედიმ ნახევარ საათში გაწმინდეს ქოხში შესასვლელი გზა და მთელი რაზმი მაშინვე შიგ შელაგდა.

ქოხი ინდიელებს მზეზე გამომწვრი აგურისაგან აეშენებინათ, ამ აგურს ადგილობრივები "ადობას" უწოდებენ.

ქოხი "კასუჩა" კუბის მოყვანილობის იყო, ბაზალტის კლდეზე ამართული, სიგრძე და სიგანე თორმეტ-თორმეტი ფუტი ჰქონდა.

მის ერომდე კლდეში გამოკვეთილი კიბე ადიოდა. მართალია, ქოხს მეტად დაბალი და ვიწრო შესაძრომი ჰქონდა დატანებული, ქარი, სეტყვა, და თოვლი მაინც ატანდა შიგ, მით უმეტეს, თუ ძლიერი მთის ქარბუქი, ტემპორალესი ბობოქრობდა.

ქოხში ათი კაციც თავისუფლად მოთავსდებოდა. მართალია, ნაგებობა პრიმიტიული იყო, მაგრამ წვიმისაგან და ყინვისაგან მაინც დაგიფარავდა. ქოხში გამომწვარი აგურით სახელდახელოდ ნაგები ბუხარი დახვდათ, სადაც შეეძლოთ ცეცხლის დანთება.

- ესეც თავშესაფარი, - თქვა გლენარვანმა, - მართალია, კომფორტული არ არის, მაგრამ ჩვენთვის მაინც თავშესაფარია.

- რას ბრძანებთ, ნამდვილი სასახლეა, მხოლოდ მცველები და ამალაღა გვაკლია! - თქვა პაგანელმა, - აქ ჩინებულად მოვეწყობით!...

- მეტადრე მაშინ, როდესაც ბუხარი აგუზგუზდება, - ჩაურთო ტომ ოსტინმა, - რადგან ჩვენ მშივრებიც ვართ და გათოშილნიც! ... თქვენი რა მოგახსენოთ და, მე კი ახლა ერთი იღლია შეშა უფრო გამახარებდა, ვიდრე გემრიელი სადილი.

- მერე, რა გაბრკოლებს, ტომ, წავიდეთ, ვიშოვოთ სადმე გასათბობი, - მიმართა პაგანელმა.

- კორდილიერების მწვერვალზე? - იჭვნეულად იკითხა მიულრედიმ.

- რადგან ქოხში ბუხარი დაუტანებიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ახლომახლო შეშაც იშოვება, - ჩაურთო მაიორმა.

- მაკ-ნაბსი მართალს ამბობს, - ჩაერია საუბარში გლენარვანი, - თქვენ ვახშმისათვის მოემზადეთ, მე კი შეშის მოსატანად წავალ.

- მეც გეახლებით, - უთხრა პაგანელმა.

- მეც თქვენთან ერთად ვიქნები, - თქვა ვილსონმა.

- მეც წამიყვანეთ! - შესძახა რობერტმა და ასადგომად წამოიწია.

- არა, ჩემო მამაცო ბიჭუნა, შენ დარჩი, დაისვენე, - შეაჩერა გლენარვანმა, - შენ უკვე დავაჟკაცდები, როდესაც შენი ტოლები ჯერ ისევ ბავშვები იქნებიან.

გლენარვანი, პაგანელი და ვილსონი შეშის საშოვნელად გაეშურნენ. საღამოს ექვსი საათი იყო, ყინვა საშინლად უჭერდა, თუმცა სიო ოდნავადაც კი არ იძვროდა. ლურჯად მოკრიალებული ცა თანდათან მუქდებოდა. მზის სხივი მხოლოდ ანდის მთების ზეგანზე ამართულ მწვერვალებს სწვდებოდა. პაგანელმა დახედა ბარომეტრეს, რომლის სვეტშიც სინდიყს 0, 495 მილიმეტრამდე დაეწია. ასეთი წნევა კი ზღვის დონიდან თერთმეტი ათას შვიდასი ფუტის სიმაღლის მაჩვენებელია.

მაშასადამე, კორდილიერებზე მათი ღამის სათევი ბინა მონბლანის მწვერვალთან შედარებით ცხრაას ათი მეტრით დაბლა იმყოფებოდა. კორდილიერებს იმდენივე ხიფათი რომ დაეხვავებინა გლენარვანის რაზმისათვის, რასაც შვეიცარიის გიგანტი უმზადებს ხოლმე ალპინისტებს არათუ ქარბუქის სახით, არამედ უბრალოდ ქარის სახითაც, მგზავრები ვერასგზით ვერ გადალახავდნენ უღელტეხილს.

გლენარვანი და პაგანელი პორფირის ფრიალო კლდეზე აფოფხდნენ და მიდამოს მოავლოს თვალი. კორდილიერების ამ უმაღლესი მწვერვალიდან მათ თვალწინ უსაზღვრო სივრცე იშლებოდა. ფრიალო კლდეები აღმოსავლეთის მხრეს თანდათან დაბლდებოდნენ. ასეთი დამრეც კლდეებზე პეონები ზოგჯერ რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე ჩაცურდებიან ხოლმე. მოშორებით მყინვარის ჩამოტანილ კაჭარახს და ქვა-ღორღს მორენების უშველებელი ქვაყრილები გაეჩინა.

მდინარე კოლორადოს ხეობა სიბნელეში იძირებოდა. თანდათან ბინდბუნდში ეხვეოდა ჩამავალი მზის შუქმიმდგარი ბორცვები, ჩამოზიდული კლდის ქიმები და წვეტიანი მწვერვალები. ანდის მთების აღმოსავლეთის ფერდობი უკვე წყვდიადში

ინთქმებოდა. დასავლეთის მხარეს კი ფრიალო კლდეებზე ჯერ კიდევ ოდნავ ციალებდნენ მზის სხივები. მყინვარებზე აელვარებული სხივები თვალს ჭრიდნენ ადამიანს.

მწვერვალების წყება ტალღისებურად ეშვებოდა ჩრდილოეთისაკენ. თვალწინ იშლებოდა პირველყოფილი ველური მშვენიერებით აღსავსე რობიდოს ხეობა. იმის იქით ცაში ატყორცნილიყო ანტუკოს კონუსი, რომელიც ტორბადოს ხეობას სამი კილომეტრით იყო დაშორებული. ვულკანი უშველებელი დევივით ბუტბუტედა და დაღრენილი ხახიდან ისროდა ცეცხლის ალს, კვამლსა და ფერფლს. მის სინათლეზე ირგვლივ მდებარე მთები თითქოს ცეცხლის ალში იყო გახვეული. გავარვარებული ქვების სეტყვა, წითლად გაღვივებული ორთქლის ქულები და კრატერიდან ამოხეთქილი ლავის ნაკადები მთლიანად ცეცხლოვან სვეტად იყო აღმართული. თანდათან გაძლიერებული, კაშკაშა სინათლე მთელ მიდამოს ბრწყინვალე დაისივით ანათებდა. მზეს კი თანდათან ძალა ეცლებოდა, როგორც ქრობად მნათობს და თანდათან იკიარგებოდა ჰორიზონტზე გაფენილ ღამის წყვდიადში.

პაგანელი და გლენარვანი, ალბათ, დიდხანს ვერ მოაშორებდნენ თვალს ამ სანახაობას, დედამიწისა და ცის ცეცხლოვან შეჯიბრებას. მათ აღარც კი გახსენებიათ შეშის ძებნა, რომ ამ სანახაობით ნაკლებმოხიბლულ ვილსონს სინამდვილისთვის არ დაებრუნებინა ისინი. შეშას მაინც ვერსად მიაგნეს, მაგრამ, საბედნიეროდ, კლდეებზე იზრდებოდა და მოკრიფეს ლიქენები, აგრეთვე ბლომად დაგლიჯეს მცნარე ლარეტა, რომლის ფესვებიც საუკეთესო მასალაა შესანთებად.

სამივენი ქოხში დაბრუნდნენ. ძვირფასი სათბობი ბუხარს შეუკეთეს, მაგრამ რიგიანი ცეცხლი ვერ გააჩაღეს, აპრიალდებოდა და ჩაქრებოდა. ძნელი იყო ცეცხლის გაჩაღება და წვისათვის ხელის შეწყობა. მაკნაბსმა ეს მოვლენა იმით ახსნა, აქ, მაღალი მთის ჰაერში, ჟანგბადი მცირე რაოდენობით მოიპოვებაო.

- ისიც უნდა მოგახსენოთ, - დაუმატა მან, - რომ ააქ წყლის ადუღება ასი გრადუსი სითბო არ დასჭირდება და ვინც მიჩვეულნი ბრძანდებით, რომ მხოლოდ ასგრადუსიან სითბოზე ადურებული ყავა მიირთვათ, ამ ჩვეულებაზე ხელი უნდა აიღოთ, რადგან ასეთ სიმაღლეზე წყლის ადურება ოთხმოცდაათ გრდუსი სითბოც არ დასჭირდება.

მაკ-ნაბსი მართალი გამოდგა. როდესც მდუღარე წყალში თერმომეტრი ჩაუშვეს, ოთხმოიცდაშვიდ გრადუსს უჩვენებდა. ყველამ ხარბად შეხვრიპა ქაფქაფა ყავის რამდენიმე ყლუპი, გამხმარ ხორცხ კი ვერ მიეკარნენ. ამის გამო პაგანელმა თქვა:

- უნდა გამოგიტყდეთ, რომ ახლა კარგი იქნებოდა თითო ნაჭერი ლამის შემწვარი ხორცი. ამბობენ, ეს ცხოველი ხარისა და ცხვრის მაგივრობასაც სწევსო. ნეტავი მაცოდინა, რამდენად მართალია კულინარიის ეს თვალსაზრისი?...

- როგორ? - მიუგო მაიორმა, - ჩვენი ვახშმით კმაყოფილი არ დარჩით, ბატონო მეცნიერო?

- რა ბრძანებაა, აღტაცებული გახლავართ, ჩემო მამაცო მაიორო, მაგრამ გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა ნადირის ხორცის ბიფშტექსი მისწრება იქნებოდა.

- აზიზი სიბარიტი ბრძანებულხართ, - უპასუხა მაიორმა.

- გეთანხმებით, მაიორო, მაგრამ გამოტყდით, რომ ერთ ბიფშტექსზე არც თქვენ იტყოდით უარს.

- შეიძლება, - მიუგო მაიორმა.

- ახლა ეს მიბრძანეთ, ამ სიბნელესა და ყინვაში რომ გთხოვონ სადარაჯოდ დგომა, უყოყმანოდ იკისრებდით?

- რა თქმა უნდა! - მიუგო მაიორმა, - და თქვენ რომ ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ, ახლავე მივდივარ.

მაიორი თოფს დასწვდა და კარისაკენ გაემართა. სწორედ ამ დროს გაისმა შორეული, გაბმული ბღავილი. ერთი ნადირის ბღავილს როდი ჰგავდა. ეს იყო მთელი ჯოგის, ნახირის ხმა, რომელიც სწრაფად უახლოდებოდათ...

"ნეტავი რა მოხდა? ნუთუ თავშესაფრის შემდეგ ვახშამიც თავისი ფეხით მოგვდის?" - გაიფიქრა პაგანელმა, მაგრამ გლენარვანმა გაუფანტა სასიამოვნო ოცნება და განუმარტა, კორდილიერების ცხოველები ასეთ მაღალ სარტყელს არ ეტანებიანო.

- მაშ, საიდან მოდის ხმაური? - ჩაერია ტომ ოსტინი, - გესმით როგორ გვიახლოვდებიან?

- იქნებ ზვავია? - იკითხა მიულრედიმ.

- შეუძლებელია! ეს ნამდვილი ბღავილია! - მიუგო პაგანელმა.

- ვნახოთ! - წარმოთქვა გლენარვანმა.

- ვნახავთ კიდეც, როგორც მონადირეები! - უპასუხა მაიორმა და კარაბინს დასწვდა.

ყველანი გარეთ გამოცვივდნენ. მართალია, ღამე ვარსკვლავებიანი იყო, მაგრამ მაინც ბნელოდა. მთვარე ჯერ არ გამოჩენილიყო. ჩრდილოეთის და სამხრეთის მწვერვალები წყვდიადში შთანთქმულიყო, მხოლოდ აქა-იქ ოდნავ მოჩანდა წამოზიდული კლდეების მოხაზულობა. შეშინებულ ცხოველთა ბღავილი ძლიერდებოდა. ის ჩაბნელებული მთების მხრიდან მოისმოდა. უცებ გამოჩნდა დაქანებული ზვავით თავზარდაცემულ ნადირთა ნიაღვარი. მთელი ზეგანი აზანზარდა, თუმცა ჰაერი გაიშვიათებული იყო, მაგრამ ასობით და ათასობით დამფრთხალი ნადირის ბღავილში ყურთასმენა აღარ იყო. რა მოხდა? პამპასების მხეცები მოქროდნნენ თუ ლამების ჯოგები?

გლენარვანმა, მაკ-ნაბსმა, რობერტმა, ოსტინმა და ორივე მეზღვაურმა ძლივს მოასწრეს მიწაზე დამხობა, რომ ჯოგმა რამდენიმე მეტრის მოშორებით გრიგრალივით ჩაუქროლათ. პაგანელი კი სიბეცის გამო, ფეხზე დარჩენილიყო, რომ უკეთესად დაეთვალიერებინა ცხოველები, მაგრამ თვალის დახამხამებაში განერთხა მიწას.

გაისმა სროლა. ეს იყო მაიორი, რომელმაც თოფი ესროლა ჯოგს. მოეჩვენა, რომ ერთი ცხოველი წაბორძიკდა, დანარჩენები კი ერთმანეთში არეული, გაოგნებული ბღავილით დაეშვნენ ვულკანის შუქით განათებული მთის ფერდობისაკენ.

- აგერ ის! - გაისმა პაგანელის ხმა.

- რა? - შეეკითხა გლენარვანი.

- ჩემი სათვალე, ეშმაკმა წაიღოს! ასეთ ორმოტრიალში მიკვირს, რომ არ დამემტვრა.

- დაჭრილი ხომ არა ხართ?

- არა, მაგრამ ცოტა დაბეჟილი კი ვარ.

- ვინ დაგბეჟათ?

- აი, ვინ, - მიუგო მაიორმა და თან ქოხში შეათრია მოკლული ცხოველი.

ყველანი ქოხში დაბრუნდნენ და ცეცხლის სინათლეზე დაუწყეს თვალიერება მაკ-ნაბსის მოკლულ ნადირს. ლამაზი ცხოველი იყო და უკუზო კოზაკს წააგავდა. წვრილი თავი, შეწეული ფერდები. გრძელი და წვრილი კანჭები, ბაცი ყავისფერი ბალანი და მუცელზე თეთრი ხალები.

- ეს გუანაკოა! - წამოიძახა პაგანელმა.

- რა არის გუანაკო? - შეეკითხა გლენარვანი.

- გუანაკო ისეთი ცხოველია, რომლის ხორციც იჭმება.

- გემრიელია?

- გემრიელი რამ არის, თითებს ჩაიკვნეტს კაცი, ნამდვილად ოლიმპოს ღმერთების საკადრისი საჭმელია! - ნერწყვის ყლაპვით უპასუხა პაგანელმა.

- ვიგრძენი, რომ ახალი ხორცი არ აგვცდებოდა, მაგრამ ვინ გაატყავებს?

- მე! - მიუგო ვილსონმა.

- მე კი შევწვავ! - უპასუხა პაგანელმა.

- მზარეულობაც იცით, ბატონო? - ჰკითხა რობერტმა.

- მაშ, რა გეგონა, მეგობარო, განა ფრანგი არა ვარ? ყველა ფრანგს მზარეულობა ემარჯვება.

ხუთიოდე წუთის შემდეგ გუანაკოს ბრტყელ-ბრტყელი ნაჭრები ლარეტის ფესვების ნაკვერჩხლებზე დაალაგა პაგანელმა. ათიოდე წუთის მერე კი თანამგზავრებს მშვენივრად

შემწვარი და მადის აღმძვრელი გუანაკოს სუკი შესთავაზა. ყველანი სიამოვნებით წასწვდნენ შემწვარს, მაგრამ ლუკმის პირში ჩადებისთანავე სახე ზიზღით დაეღმიჭათ.

- ფუი, რა საძაგელია!

საბრალო მეცნიერმა რომ გასინჯა, დარცხვენით აღიარა, - ადამიანი, შიმშილისაგან სული რომ ძვრებოდეს, მაინც არ მიეკარებაო.

- "ოლიმპიური საჭმელი გახლავთ!"

- "გემრიელია!"

- "თითებს ჩაიკვნეტთ!"

ოხუნჯობდნენ ამხანაგები, მაგრამ პაგანელს გული როდი მოსდიოდა. ის ახლა იმის კვლევა-ძიებაში იყო, რა დაემართა გუანაკოს ხორცს, რომელიც თავისი სიგემრიელით განთქმულია. ბოლოს, უცებ წამოიძახა:

- მივაგენი!... მივაგენი მიზეზს!..

- ალბათ, ძველი თუ იყო ხორცი? - ჰკითხა მაიორმა.

- არა, ნუ დამცინით, მაიორო, - მიუგო პაგანელმა, - ეს ხორცი ბევრი რბენისაგანაა გაუგემურებული!... ეს როგორ გადამავიწყდა?

- რის თქმა გნებავთ, ბატონო პაგანელ? - ჰკითხა ტომ ოსტინმა.

- იმისი, რომ გუანაკოს ხორცი მხოლოდ მაშინ არის გემრიელი, როდესაც დასვენებულ ცხოველს მოკლავენ, მაგრამ, თუ ბევრი რბენის შემდეგ მოიკლა, მისი ხორცი აღარ იჭმება. ხორცს გემოზე ეტყობა, რომ ამ ცხოველს და მთელ ჯოგს დიდი მანძილი გამოურბენია!

- დარწმუნებული ხართ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- სავსებით!...

- განა ასეთი რა უნდა მომხდარიყო? რა მოვლენას შეეძლო ამ ცხოველების ასე დაფრთხობა და ასე გამოდენა იმ დროს, როდესაც ისინი ტკბილ ძილში უნდა ყოფილიყვნენ?

- ძვირფასო გლენარვან, - მიუგო პაგანელმა, - თუ თქვენ გჯერათ, რაც მოგახსენეთ, მოდი, ახლა ამის კვლევა- ძიებს ნუ შევუდგებით და დავიძინოთ. ლამის მოვკვდე უძილობისაგან. დავიძინოთ, მაიორო?

- დავიძინოთ, პაგანელ! - მიუგო მან.

ბუხარს ერთხელაც შეაყარეს ფიჩხი, პონჩოებში გაეხვივნენ და მიწვნენ. ქოხში მალე გაისმა ნაირ-ნაირ ჰანგზე ფშინვა და ხვრინვა.

ყველაზე ხმამაღალი გეოგრაფიის ბოხი ხვრინვა იყო, რომელიც ეხმატკბილებოდა დანარჩენების ჰარმონიულ კონცერტს.

არ ეძინა მხოლოდ გლენარვნს, მას ფიქრები შემოსწოლოდა. უნებლიეთ თვალწინ დაუდგა დამფრთხალი ცხოველების ჯოგი, რომელიც თავზარდაცემული ვინ იცის, საიდან გამორბოდა!... გუანაკოს ჯოგს ასე ვერ დააფრთხობდა რომელიმე ონავარი მხეცი, მით უმეტეს, ასეთ სიმაღლეზე მონადირეებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაშ რამ შეაშინა, რამ აიძულა ნადირი თავზარდაცემული, თავ-პირის მტვრევით გადაშავებულიყო ანტუკოს უფსკრულში?

გლენარვანს მოსვენებას არ აძლევდა მოსალოდნელი განსაცდელის წინათგრძნობა, მაგრამ უძილობამ მაინც თავისი გაიტანა, ბურანში წასულ გლენარვანს მღელვარე ფიქრები მიუყუჩდა, შიშის გრძნობამ იმედს დაუთმო ადგილი. ახლა მან თავისი თავი უკვე ანდების ვაკეზე წარმოიდგინა. მისი ფიქრი დასტრიალებს კაპიტან გრანტსას და მის ორ მეზღვაურს, რომლებსაც უსათუოდ გაათავისუფლებს. მის გონებაში სურათი სურათს ცვლიდა, ქრებოდა ან ცეცხლის ტკაცუნზე, ან აპრიალებული ალის შუქზე, რომელიც ციალებს მძინარეთა სახეებს და კედლებზე. ისევ წინათგრძნობა, უფრო გაცხოველებული. სულგანაბული სმენად გადაიქცა. საიდანღაც მოეჩვენა ყრუ გუგუნი, თუმცა გარკვევით ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოდიოდა ამ ცადამართული მწვერვალის ირგვლივ. ერთბაშად მოესმა ყრუ გრიალი, რომელიც შორეულ ქუხილს აგონებდა, ოღონდ არა ციდან მომავალს. გაიფიქრა, ხეობაში თუ წვიმს და ჭექა-ქუხილია რამდენიმე ათასი მეტრის მოშორებითო.

შესამოწმებლად გლენარვანი გარეთ გამოვიდა. მთვარე ამოსულიყო. ჰაერი გამჭვირვალე და უძრავი იყო. ღრუბლის ნასახიც არსად მოჩანდა. არც ცაზე და არც ხეობაში. ანტუკოს ვულკანიდან ნატყორცნი შუქი აქა-იქ ციალებდნენ. გრგვინვა კი მაინც ისმოდა, თითქოს მთების გასწვრივ მოიგრაგნებოდა და თანდათან ახლოვდებოდა, გლენარვანი უფრო შეფიქრიანებული შებრუნდა ქოხში, შეშფოთებული იმ აზრით, რომ ამ უცნაურ გუგუნს, ალბათ რაღაც კავშირი ჰქონდა გუანაკოს ჯოგის გადარეულ სრბოლასთან. იქნებ ეს გრუხუნი იყო მათი დაფრთხობის მიზეზი?

საათს დახედა. ღამის ორი საათი იყო. კარგად არ იყო დარწმუნებული განსაცდელის შესაძლებლობაში და გასაღვიძებლად ვერ გაიმეტა მკვდრებივით მიძინებული თანამგზავრები. თვითონაც მიწვა, ბურანში წავიდა და რამდენიმე საათს განუძრევლად ეძინა. უცებ საშინელი გრუხუნისაგან გამოეღვიძა და ზეწამოიჭრა. ისეთი გამაყრუებელი გუგუნი იდგა, თითქოს უამრავი საარტილერიო ჭურვით დატვირთული ეტლი ქვაფენილზე მოხრიგინებსო. ახლა იგრძნო, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ქოხი შეირყა, კედელი გასკდა.

- არიქა! თავს უშველეთ! - დასჭყივლა ამხანაგებს.

ყველანი მყისვე წამოცვივდნენ და კარს ეცნენ.

თვალწინ გულშემზარავი სურათი გადაეშალათ. მთების მოხაზულობა თვალის დახამხამებაში იცვლებოდა, კონუსად ატყორცნილი მთის მწვერვალები იმსხვრეოდნენ და ტორტმანით მიექანებოდნენ უფსკრულისაკენ. უზარმაზარი მთები რამდენიმე კილომეტრის მანძილზე დაძრულიყვნენ და ადგილის გადასანაცვლებლად ხეობისაკენ მიექანებოდნენ.

- მიწა იძვრის! - დაიღრიალა პაგანელმა.

მართლაც მიწისძვრა იყო. ისეთი შემზარავი გადატრიალებ ხდებოდა, რომლის მსგავსიც ხშირად სჩვევია ჩილეს მთიან საზღვრებს. სწორედ ამ მიდამოებში ორჯერ დაანგრია კაპიაპო და ოთხჯერ - სანტ-იაგო თორმეტიოდე წლის განმავლობაში. დედამიწის სწორედ ეს ნაწილი ხშირად განიცდის ვულკანური ძალების საშინელ მოქმედებას, რადგანაც ამ მთებში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება კრატერები, რომლებიც გზას მისცემდა მიწის გულში დაგროვებულ გაზებსა და ორთქლს. სწორედ ეს არის მიზეზი ასეთი ხშირი მიწისძვრებისა.

შვიდივე მოგზაური მაგრად ჩაბღაუჭებოდა ზეგანზე ამოსულ ლიქენებს, თვითონ ზეგანი კი, მთლიანად მოგლეჯილი, სწრაფი მატარებლის სისწრაფით უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

გასაქანი არსაით იყო, ამ გამაყრუებელ ხმაურში ერთიმეორეს ხმასაც ვერ აწვდენენ. მიწისქვეშეთის გრგვინვა, დაქანებული ზვავის ხრიალ-შხუილი, კლდის ნამსხვრევთა დაჯახების ჭახაჭუხი და თოვლის ქარბუქი ერთმანეთში ირეოდა და მგზავრებს ერთიმეორეს აშორებდ. ქანების ნამსხვრევები ხან დაუბრკოლებლად მისრიალებდნენ, ხან კი გარდიგარდმო შეტრიალებული, ტორტმანით და აყირავ-დაყირავებით ეშვეობდა, როგროც აბობოქრებულ ტალღებზე ათამაშებული გემი. გზადაგზა ხრიალით თან მიჰქონდა ძირფესვიანად ამოგლეჯილი ათასწლოვანი ხეებიც. უზარმაზარი კლდე თითქოს ცელავდა ყველაფერს, რაც კი ხვდებოდა აღმოსავლეთის ფერდობებზე.

ძნელი წარმოსადგენია, რა სიმძლავრისაა ის რამდენიმე მილიარდი ტონის სიმძიმის ჩამოწოლილი მთა იმ დროს, როდესაც ეშვება ორმოცდაათი გრადუსით დაქანებაზე და როდესაც მისი სისწრაფე სულ იზრდება.

რამდენ ხანს გაგრძელდება ეს აუწერელი ვარდნა, ვერც ერთი მგზავრთაგანი ვერ იტყოდა. არც ერთს არ შერჩენოდა აზროვნების უნარი და ისიც კი ვერ წარმოედგინა, რა უფსკრულისაკენ მიქროდა. ყველანი უკებლივ იქ იყვნენ თუ რომელიმე მათგანი სადმე ხეობაში უსულოდ ეგდო?...

სწრაფი დაქანების გამო სული ეხუთებოდათ, სიცივისა და მონაქროლი ქარისაგან ითოშებოდნენ, თოვლის ბუქი თვალებს უბრმავებდათ. სუნთქვას ძლივს ახერხებდნენ გაოგნებულები, მხოლოდ თავდაცვის ინსტინქტის მორჩილნი ჩაბღაუჭებოდნენ კლდის ქიმებს.

უცებ საშინელი მძლავრი დაჯახება იგრძნეს, ყველანი მოსწყდნენ ნიადაგს და ნატყორცნ ქვასავით გასირალებულნი მთის უკანასკნელ შვერილზე მიენარცხნენ. მოწყვეტილი ზეგანიც უცებ შეჩერდა.

რამდენიმე წუთს ყველანი უძრავად ეყარნენ. ბოლოს ერთი მათგანი შეიშმუშნა. დაჯახებისაგან დარეტიანებულიყო, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიბა და წამოდგა. ეს იყო მაიორი. მტვრით ამოგანგლული თვალები მოიწმინდა და მიიხედ-მოიხედა. მისი ამხანაგები უძრავად ეყარნენ ერთიმეორეზე. მაიორმა დაითვალა და ერთი აკლდა. ეს რობერტ გრანტი იყო.

თავი XIV

მარჯვე ნასროლი

ანდის კორდილიერების აღმოსავლეთი კალთა, რომელიც გრძლად დაშვებულ ფერდობს წარმოადგენს, შეუმჩნევლად, თანდათან ვაკედ იქცევა. აი, ერთ-ერთ ასეთ ფერდობზე გაჩერდა ის მოწყვეტილი ზეგანის ნამსხვრევი, რომელზეც მოგზაურები შეჩერდნენ.

ამ ახალ მხარეში მათ თვალწინ გადაშლილი იყო ხშირი ბალახით დაფარული საძოვრები და უზარმაზარი ვაშლის ტყე, რომელიც ამ კუთხის დაპყრობის ხანაში გაეშენებინათ. ხეხილს ბლომად ესხა ოქროსფრფად მოელვარე ნაყოფი. ეს იყო ამ ვაკეზე გადმოსროლილი დოვლათით სავსე ნორმანდიის კუთხე. სხვა დროსა და პირობებში მოგზაურებს გააოცებდათ ასეთი უეცარი ცვალებადობა - წუხანდელი ხრიოკი მიდამოები და დღევანდელი მოღაღანე ოაზისი, დათოვლილი მწვერვალები და მწვანედ გადაშლილი ველი, სუსხიანი ზამთარი და შუაგული ზაფხული!

ნიადაგის რყევა შეწყდა. ალბათ, მიწისქვეშეთის ძალებმა ახალი გეზი აიღეს და თავისი გამანადგურებელი ძალა სხვა მხარისაკენ მიმართეს, რაგდან ანდის უღელტეხილის რომელიმე ნაწილი მუდამ მშფოთვარეა ან იძვრის. წუხანდელი მიწისძვრა უდიდესი სიმძლავრისა იყო, მთების საერთო მოხაზულობა სრულიად შეიცვალა. ახლა თვალწინ იშლება სულ ახალი სანახაობა, სხვა ქედები და მწვერვალები, ახლა პამპის გამყოლებიც კი ამაოდ გაირჯებოდნენ, თუ ამ მიდამოებში ნაცნობ ადგილებს დაუწყებდნენ ძებნას.

მშვენიერი დღე დგებოდა. წყნარი ოკეანის სველი სარეცელიდან ამოზიდული მზის სხივები ახლა არგენტინის გადაშლილ ვაკეს ესალბუნებოდნენ.

მაიორმა ამხანაგებს მიაშურ და რიგრიგობით მოასულიერა. თანდათან ყველანი გონს მოვიდნენ. მხოლოდ დარეტიანებულიყვნენ, თორემ მეტი არაფერი დაშავდებოდათ. სიხარულსაც მიეცემოდნენ ასეთი უცნაური და სწრაფი მოგზაურობის გამო, ერთი მათგანი, ყველაზე სუსტი ბავში - რობერტ გრანტი რომ არ დაეკარგათ.

მამაცი რობერტი ყველასათვის საყვარელი იყო, ყველა ძალიან შეთვისებოდა - პაგანელიც, გულცივი მაიორიც, განსაკუთრებით კი გლენარვანი.

რობერტის დაკარგვამ გლენარვანს თავზარი დასცა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მას უკვე თვალწინ ეხატებოდა საბრალო ბავშვი, სადმე უფსკრულში ჩანარცხებული, საიდანაც ამაოდ უხმობდა საშველად მას, ვინც მეორე მამად მიაჩნდა.

- მეგობრებო, - ამბობდა და თან ცრემლებს ძლივს იკავებდა, - რობერტი უნდა ვიპოვოთ! ასე ხომ ვერ გავწირავთ! ხომ ვერ მივატოვებთ! არც ერთი ხეობა არ უნდა დარჩეს გაუჩხრეკი, არც ერთი ღრანტე, არც ერთი ფლატე, არც ერთი უფსკრული! თოკმობმული ჩამიშვით ყველგან, ეს ჩემი სურვილია, გესმით თუ არა? ოჰ, ნეტავი რობერტი ცოცხალი იყოს! ურობერტოდ როგორ უნდა გავბედო მამამისის ძებნა!. რა უფლებით უნდა დავიხსნათ კაპიტანი გრანტი, ნუთუ ამ ბედნიერებას მისი შვილი უნდა შეეწიროს!

თანამგზავრები დუმილით უსმენდნენ, თან გრძნობდნენ, გლენარვანი მათ თვალებში ეძებდა იმედის ნასახს და ისინი უნებლიეთ ძირს ხრიდნენ თავს...

- აბა! ... - განაგრძობდა გლენარვანი, - გესმით ჩემი ნათქვამი?! რას გაჩუმებულხართ?... იმედი გადაგიწყდათ?!

კივლავ სიჩუმეა, მხოლოდ მაკ-ნაბსმა ამოიღო ხმა რამდენიმე წუთის შემდეგ.

- მეგობრებო, ვის ახსოვს, რა დროს დაკვარგეთ რობერტი?

ვერავინ უპასუხა.

- ის მაინც არ გახსოვთ, ვის გვერდით იდგა რობერტი ზვავის მოსხლეტის დროს? - კვლავ იკითხა მაიორმა.

- რობერტი ჩემ გვერდით იდგა, - მიუგო ვილსონმა.

- და სანამდე იდგა შენ გვერდით? ეცადა, გაიხსენო როგორმე...

- რაც მახსოვს, ყველაფერს მოგახსენებთ - რობერტ გრანტი ჩემ გვერდით თითქმის ორი წუთის წინ იყო იმ უკანასკნელ დაჯახებამდე, რომლითაც დამთავრდა ჩვენი დაქანება. ლიქენებს ებღაუჭებოდა, - მიუგო ვილსონმა.

- თითქმის ორი წუთის წინ?... გონება მოიკრიბე, ვილსონ, ალბათ წუთები გრძლად მოგეჩვენა!... ხომ არ ცდები?

- არა მგონია, ვცდებოდე... დიახ, სწორედ ასე იყო... ორი წუთის წინ მაინცი.

- კეთილი, - განაგრძო მაკ-ნაბასმა, - რობერტი შენგან რომელ მხარეს იდგა - მარცხნივ თუ მარჯვნივ?

- მარცხნივ!... კარგად მახსოვს, რადგან მისი პონჩოს კალთა სახეში მცემდა.

- შენ რომელ მხარეს იყავი ჩვენგან?

- თქვენგან?... მარცხენა მხარეს.

- მაშასადამე, რობერტი ამ მხრეს დაგვკარგვია, - თქვა მაიორმა, როდესაც მთისაკენ მიიბრუნა პირი და ხელი მარჯვნივ გაიშვირა, - თუ თქვენს ნათქვამს ვენდობით, საფიქრებელია, რომ რობერტი აქედან ორი კილომეტრის მანძილზე მოგვსხლეტია... მაშასადამე, იმ ადგილებში უნდა ვეძებოთ... ამ მთის სხვადასხვა ზოლი გავინაწილოთ და სწორედ იმ ადგილებში უნდა მივაგნოთ.

მაიორის ნათქვამს სიტყვა აღარავინ დაუმატა. ექვსივენი შეესივნენ კორდილიერების ფერდობებს, სხვადასხვა სიმაღლეზე გაიფანტნენ და იმ გეზს მიჰყვნენ, საიდანაც დაქანდა ზვავი. გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ყოველ ნაპრალს. ხევის უფსკრულებს, რომლებიც ზოგან ქვა-ღორღით ამოვსებულიყო. ბევრგან, ღრმა უფსკრულებში ჩასვლისას, მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. დაფლეთილი ტანისამოსითა და დასისხლიანებული ხელ-ფეხით ამოფოფხდებოდნენ ხოლმე ზევით.

მთლად მოიარეს და გადაჩხრიკეს ყველა სავარაუდო ადგილი, ყოვლად მიუვალი ღრანტე-ნაპრალების გარდა. დაღლილობა არავის უგრძნია. დასვენება არავის გახსენებია, მაგრამ ძებნამ უნაყოფოდ ჩაურთო, რობერტის კვალი არსად ჩანდა. საბრალო ბავშვი მეწყერმა თუ დაიტანა სადმე, უშველებელი ლოდი თუ წაეფარა მის სამარეს!...

ქანცგაწყვეტილი და დაბეჟილი მოგზაურები ისევ ვაკეზე შეიკრიბნენ ნაშუადღევის პირველ საათზე. გლენარვანი უსაზღვრო სასოწარკეთილებას მისცემოდ. კრიჭა შეკვროდა. ენას ძლივს აბრუნებდა, ოხრავდა, გაიძახოდა:

- არსად წავალ! ფეხს არ მოვიცვლი აქედან!

ყველამ იცოდა მისი ჯიუტობის მიზეზი და რიდით ეკიდებოდნენ.

- დავიცადოთ, - მიუბრუნდა პაგანელი მაიორს და ტომ ოსტინს, - ცოტა შევისვენოთ, ძალ-ღონე მოვიკრიბოთ. ეს გვესაჭიროება, როგორც საძებნად, ისე გზის გასაგრძელებლადაც.

- დიახ, დავიცადოთ, რაკი ედუარდს დარჩენა სურს, - მიუგო მათ მაკნაბსმა, - მას კიდევ იმედი აქვს... მაგრამ რისი?

- საბრალო რობერტი! - ჩაილაპარაკა ტომ ოსტინმა.

- დიახ, საბრალო რობერტი! - გაიმეორა პაგანელმა და ცრემლები მოიწმინდა.

ხეობა ხეებით იყო დაფარული. მაიორმა შეარჩია ერთი მაღალი ჩრდილოვანი ხეების ჯგუფი და დროებით იქ დაბინავდნენ. მგზავრებს რამდენიმე საბანი, იარაღი და ცოტაოდენი გამხმარი ხორცი და ბრინჯიღა შერჩენოდათ. ეს იყო მთელი მათი ავლადიდება.

იქვე მდინარეში, რომელიც ჯერ კიდევ მღვრიე მოედინებოდა, წყალი ამოიღეს ხელ-პირის დასაბანად და საჭმლის მოსამზადებლად. მიულრედიმ ცეცხლი დაანტო, ყავა მოადუღა. ცხელ-ცხელი ყავა შესთავაზა გლენარვანს გასამაგრებლად, მაგრამ მან არ ინდომა. გაოგნებული მიგდებულიყო თავის პონჩოზე.

ასე გაირა მთელმა დღემ. ღამე ჩამოწვა, როგორც წინაღამეს, წყნარი და მშვიდი. ყველანი დასაძინებლად მილაგდნენ. გლენარვანი კი ფეხაკრეფით წამოდგა და რობერტის საძებნელად გაემართა მთებისაკენ. გაფაციცებით ყურს უგდებდა ყოველ ფაჩუნს თუ ხმაურს. იქნებ საიდანმე შემომესმას რობერტის ძახილიო, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. გლენარვანი ძალიან შორს წავიდა მთებში, იქ განმარტოებული პირქვე დაემხო, მიწას დაადო ყური და მთრთოლვარე გულით გაჰყვიროდა რობერტის სახელს.

მთელი ღამე მოუსვენრად დაძრწოდა მთებში. პაგანელი და მაიორი მორიგეობით, მის შეუმჩნევლად, შორიახლოდან უთვალთვალებდნენ, რომ ხიფათი არ შემთხვეოდა, სადმე უფსკრულში არ გადაჩეხილიყო. გლენარვანი კი წამდაუწუმ ამაოდ გაიძახოდა: "რობერტ!... რობერტ!...", მაგრამ მის ძახილს მხოლოდ ექო უპასუხებდა.

დილა ახლოვდებოდა. მაიორმა და პაგანელმა გლენარვანი ძალით წამოიყვანეს ბანაკში. ლორდი განუზომელ მწუხარებას მისცემოდა და ვინ შეჰბედავდა გზის გაგრძელებაზე კრინტის დაძვრას. ვინ მოსთხოვდა ამ შავბედითი მიდამოების მიტოვებას?! საგზალი კი უთავდებოდათ, გზა რომ განეგრძოთ, იშოვიდნენ არგენტილენ გამყოლებს, ცხენებს, ჯორებს თუ სანოვაგეს, როგორც კატაპაცმა უთხრათ. აქედან უკან დაბრუნება უფრო ძნელი იყო, ვიდრე წინ წასვლა.

ესეც არ იყოს, "დუკანს" ატლანტის ოკეანის სანაპიროზე უნდა შეხვედროდნენ. ყოველივე ამის გამო მათთვის მეტხანს აქ დაყოვნება შეუძლებელი იყო და მგზავრობის ინტერესებს არ შეეფერებოდა.

მაკ-ნაბსი შეეცადა, სიტყვა გადაეკრა გლენარვანისათვის. დიდხანს ელაპარაკა, მაგრამ ლორდს თითქოს არ ესმოდა მისი ნათქვამი, ბოლოს კი ყრუდ ჩაილაპარაკა:

- რაო? გავემგზავროთ?!

- დიახ, უნდა გავემგზავროთ.

- გთხოვთ, ერთი საათიც მადროვოთ!...

- კეთილი. ერთ საათს დაგიცდით, - უპასუხა მაიორმა.

გავიდა ერთი საათი და გლენარვანმა ხვეწნა დაუწყო მგზავრებს, ერთი საათიც დაეცადათ. ისე ემუდარებოდა, როგორც სიკვდილმისჯილი ადამიანი, რომელიც ცდილობს ცოტა მაინც დააყოვნოს სიკვილის წუთი. ბოლოს მაკ-ნბსმა ყველას სახელით გადაჭრით გამოუცხდა გლენარვანს, წასვლა აუცილებელია, რადგან გამგზავრებსი დაჩქარებაზეა დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლეო.

- დიახ... დიახ... წავიდეთ! წავიდეთ! - იმეორებდა გლენარვანი, მაგრამ მაკ-ნაბსს არც კი უცქეროდა, მიშტერებოდა ცაში ერთ შავ წერტილს, რომლისკენ გაშვერილი ხელი თითქოს ჰაერში გაუქვავდაო.

- აგერ!.. ხედავთ!.. შეხედეთ!...

ყველამ ზევით აიხედა, შავი წერტიი თანდათანობით იზრდებოდა, სრიალით დასტრიალებდა მიდამოს თვალმიუწვდენელი სივრციდან.

- კონდორი! - წამოიძახა პაგანელმა.

- დიახ, კონდორი!... - მიუგო პაგანელმა.

- ვინ იცის! აგერ, გვიახლოვდება... ძირს ეშვება!... დავიცადოთ!... დავიცადოთ!...

რისი იმედი ჰქონდა გლენარვანს? ჭკუაზე ხომ არ იშლებოდა?!

- ვინ იცის! იქნებ!... - ჩურჩულებდა თავისთვის.

კონდორი თანდათან თვალსაჩინო გახდა. ეს შესანიშნავი ფრინველი ერთ დროს ღმერთად ჰყავდათ შერაცხული ინკებს[1] და ანდების მეფედ მიაჩნდათ. ამ ადგილებში კონდორი უზარმაზარი იზრდება და გასაოცარი ღონის პატრონია. კონდორს დაჯაცებით ხშირად ხარიც კი გადაუჩეხია კლდეზე. ადვილად იტაცებს ცხვარს, კვიცს, ხბოს და ძალიან დიდ სიმაღლეზე აჰყავს ჰაერში[2]. ხშირად ოცი ათასი ფუტის სიმაღლეზე დასრიალებს და

იქიდან უთვალთვალებს საკბილოს. ასეთ მანძილს ადამიანის თვალი ვერ სწვდება. ნატურალისტები განცვიფრებაში მოჰყავს კონდორის მხედველობის სიძიერეს და ის ბუნებისმეტყველებისათვის ამოუხსნელ გამოცანად რჩება.

მაგრამ ნეტავ რა შეამჩნია კონდორმა, ნუთუ როერტის უსიცოცხლო გვამი? რას დასტრიალებს?!

- ვინ იცის?... - იმეორებდა გლენარვანი და თვალს არ აშორებდა მის მოძრაობას.

უშველებელი ფრინველი ხან ჰაერში ტრიალებდა, ხან ერთბაშად ძირისკენ ეშვებოდა და მათ უახლოვდებოდა. ბოლოს ორასიოდე მეტრის სიმაღლეზე კამარა შეკრა. ახლა უკვე გარკვევით შეიძლებოდა მისი გარჩევა. გაშლილი ფრთების სიგანე თხუთმეტი ფუტი მაინც იქნებოდა, თავისუფლად და ძალდაუტანებლად სრიალებდა ჰაერში. ამ უპირატესობით სარგებლობენ დიდრონი ფრინველები. ისინი მედიდური სიდინჯით სრიალებდენ ცაში, მაშინ როდესაც პატარა მწერს ერთი წამის განმავლობაში ათასი მოძრაობის გაკეთება მაინც სჭირდება, რომ შეძლოს ჰაერში შეჩერება,

მაიორმა და ვილსონმა კარაბინებზე იტაცეს ხელი, მაგრამ გლენარვანმა შეაჩერა. კონდორი ახლა უკვე მიუდგომელ ნაპრალს დასტრიალედა, მეოთხედი მილის მოშორებით, ფერდობიდან. კონდორმა ახლა სისწრაფეს უმატა. საზარელ კლანჭებს ხან გამოაჩენდა, ხან შემალავდა. ბიბილო უთრთოდა.

- ის იქ არის!... იქ! - დაიყვირა გლენარვანმა, - თუ ისევ ცოცხალია! ეს ფრინველი... ესროლეთ, მეგობრებო, ესროლეთ!... - შესძაგა განწირული ხმით.

გვიანღა იყო. კონდორი მაღალ კლდეს მიეფარა.

გავიდა ერთი წამი, ერთი თვალის დახამხამება, რომელიც საუკუნედ მოეჩვენათ და უზარმაზარი ფრინველი კვლავ გამოჩნდა, ფრთებს მძიმედ იქნევდა, კლანჭებში კი საკბილო ეჭირა. შემაძრწუნებელი ყვირილი აღმოხდა ყველას - კონდორს კლანჭებით მოჰქონდა რობერტის, ალბათ, უსიცოცხლო გვამი. ბასრი კლანჭები ჩაევლო მისი ტანისამოსისათვის და ნელი რწევით მოჰქონდა უფსკრულის პირას, ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე. მოზაურების დანახვაზე კონდორმა გეზი იცვალა, ფრთების მძიმე ქნევით მიაპბოდა ჰაერს.

- ააჰ! - შეჰყვირა გლენარვანმა, - უმჯობესია, რობერტის სხეული ამ კლდეზე დაენარცხოს, ვიდრე მაგ ფრინველმა... - სიტყვის დაუმთავრებლად კარაბინი გამოგლიჯა ხელიდან ვილსონს და კონდორს დაუმიზნა, მაგრამ მღელვარებისაგან ხელები უკანკალებდა, მიზანში ვერ ამოიღო.

- მე დამითმეთ, - წყნარად უთხრა მაიორმა. შეუდრეკელი, მტკიცე მარჯვენით კარაბინი დაუმიზნა ფრინველს, რომელიც ახლა აასიოდე მეტრის მანძილზე იყო მოახლოებული და ის იყო, ჩახმახი უნდა დაესხლიტა, რომ უცებ ხეობიდან გაისმა _____

1 ინკები - ძველი ინდოელი ტომები.

2 კონდორის კლანჭების აღნაგობა ისეთია, რომ რაიმეს აღება და მით უმეტს, ასეთ სიმაღლეზე ატანა არ შეუძლია. ჟიულ ვერნი შეცდომაში შეიყვანა იმ დროს კონდორზე გავრცელებულმა ლეგენდებმა, რომლებიც შემდგომში სავსებით გააბათილა მეცნიერულმა დაკვირვებებმა.

თოფის ხმა. ბაზალტის ორი კლდის შუა ავარდა ბოლი და განგმირული კონდორი პარაშუტის მსგავსად ნელ-ნელა დაეშვა ძირს, მსხვერპლი კი მასთან ერთად დავარდა ნაკადულის პირას.

- რობერტ! - შესძახა გლენარვანმა და კონდორისაკენ გაიქცა.

ყველანი გაედევნენ. ფრინველი უკვე მკვდარი ეგდო. რობერტი მისი განიერი ფრთების ქვეშ მოქცეულიყო. გლენარვანმა გამოაცალა ფრინველის ბრჭყალებს, ხელში აიტაცა, სიფრთხილით დაუშვა მწვანე მოლზე და ყური მიადო მის მკერდს. არასოდეს არავის ისე ხმამაღლა არ აღმოხდომია სიხარულით აღტაცების ხმა, როგორც მაშინ გლენარვანს:

- სუნთქავს! ... ცოცხალია!...

თვალის დახამხამებაში გააძრეს ტანისამოსი რობერტს და სახეზე ცივი წყალი აპკურეს... ბიჭი შეიშმუშნა, თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა და წაიჩურჩულა:

- ოჰ, ეს თქვენა ხართ, სერ, ჩემი მამა!...

გლენარვანმა პასუხი ვერ შეძლო. მღელვარებისაგან სული ყელში მოებჯინა, მუხლი მოიდრიკა და სასწაულით გადარჩენილი ბავშვის გვერდით და აქვითინდა.

თავი XV

ჟაკ პაგანელის ესპანური ენა

საშინელი განსაცდელისაგან გადარჩენილ რობერტს მეორე, არანაკლები ხიფათი მოელოდა - ხვევნა-კოცნით დახრჩობა. თუმცა ჯერ სუსტად იყო, მაგრამ ვერც ერთს ამ ვაჟკაცთაგანს ვერ დაეძლია სურვილი მისი გულში ჩაკვრისა. ასეთი ალერსი, ალბათ, საშიში არ უნდა იყოს ავადმყოფისათვის, რადგან რობერტი ამასაც გადაურჩა.

მხოლოდ ახლა გაახსენდა მისი მხსნელიც. მაკ-ნაბსმა იკისრა მისი პოვნა. თვალი მოავლო მიდამოს და ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით, მთის ძირში, თვალი მოჰკრა უძრავად მდგარ ახოვან ვაჟკაცს. მის ფეხებთან გრძელი თოფი იდო.

მოულოდნელად გამოჩენილი კაცი მხარბეჭიანი იყო, გრძელი თმა თასმებით ჰქონდა შეკრული. ტანად ორი მეტრის სიმაღლე იქნებოდა. ბრინჯაოსფერი სახე თვალებსა და პირს შუა წითლად ჰქონდა შეღებილი, ქუთუთოები - შავად, შუბლი კი - თეთრად.

პატაგონიურ ყაიდაზე იყო ჩაცმული: მხრებზე მოეგდო სირაქლემის ძარღვებით ამოკერილი გუანაკოს ტყავის საუცხოო წამოსასხამი, ქვეშ ეცვა მელიის ტყავის პერანგი, რომელზეც ქამარი ჰქონდა შემოჭერილი. ქამარზე ეკიდა ხარის ტყავის ქალამნები. მშვენიერი შესახედავი იყო. ამაყ სახეზე ჭკუა აღბეჭდვოდა, თუმცა საღებავით ჰქონდა აჭრელებული. ციცაბოზე უძრავად და მედიდურად წამომდგარი პატაგონიელი გულგრილობის ქანდაკებას ჰგავდა.

მაიორმა პატაგონიელი გლენარვანს დაანახვა და ორივემ ინდიელს მიაშურა. პატაგონიელმა ორი ნაბიჯი წინ წამოდგა. გლენარვანმა მაგრად ჩამოართვა ხელი და მადლიერი გამომეტყველებით აგრძნობინა უღრმესი მადლობა. პატაგონიელმა იგრძნო ეს, ოდნავ დახარა თავი და რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, რომელიც ვერც ერთმა ვერ გაიგო. პატაგონიელმა დაკვირვებით ახედ-დახედა უცხოელებს და სასაუბრო ენა გამოიცვალა. მაგრამ ვერც ამ ენას გაუგეს რამე, თუმცა მის ნათვამზე გლენარვანი მიხვდა, რომ ესპანური უნდა ყოფილიყო.

ჰკითხა:

- Espanol[1]?

პატაგონიელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, რაც ყველა ხალხის ენაზე თანხმობას ნიშნავს.

- კეთილი, - თქვა მაიორმა, - ესპანური ხომ ჩვენი მეგობარი პაგანელის საქმეა. კიდევ კარგი, სწორედ ამ ენას სწავლობდა...

პაგანელს დაუძახეს, ის ნამდვილი ფრანგული გრაციით მიესალმა პატაგონიელს, მაგრამ ეტყობოდა, პატაგონიელმა ვერაფერი იგრძნო ასეთი მისალმების ღირსებისა.

პაგანელს საქმის ვითარება აუხსნეს.

- კეთილი! - მიუგო მან. მერე მკაფიოდ გამოსათქმელად ფართოდ დააღო პირი და წარმოთქვა, - Vos sois um homem de bem![2]

პატაგონიელმა გულმოდგინედ მოუსმინა, მაგრამ პასუხია არ გასცა.

- ვერ გაიგო! - ჩაილაპარაკა პაგანელმა.

- იქნებ კარგად ვერ გამოთქვამთ სიტყვებს? - ჰკითხა მაიორმა.

- დიახ, ძნელი გამოსათქმელია! - მიუგო პაგანელმა და პატაგონიელს კიდევ გაუმეორა ქათინაური, მაგრამ ვერც ახლა გააგებინა რამე, - წინადადებას შევატრიალებ, - ჩაილაპარკა პაგანელმა და გაჭიანურებით წარმოთქვა თითოეული სიტყვა, როგორც მასწავლებლებს სჩვევიათ, - Sem duvida um patagâo?[3]

პატაგონიელი ისევ დუმდა.

- Dizeime[4], - უთხრა პაგანელმა.

პატაგონიელი დუმდა.

- Vos compriendeis[5], - დაუყვირა ისე მძლავრად, რომ კინაღამ ხმის იოგები დააწყდა. ცხადი იყო, ინდიელმა მისი ნათქვამი ისევ ვერ გაიგო და ესპანურად უპასუხა:

- No comprendo[6].

პაგანელი განცვიფრდა და გაჯავრდა კიდეც, ბრაზისაგნ სათვალე შუბლიდან ცხვირზე ჩამოიგდო.

- ყურებით დამკიდეთ, თუ ამ ჯანდაბური ჟარგონის მესმოდეს რამე! ალბათ, ეს არაუკანიის ჟარგონია! - ცხარობდა იგი.

- არა, ბატონო პაგანელ, - უპასუხა გლენარვანმა, - ამ კაცმა უეჭველად ესპანურად გიპასუხათ, - მერე პატაგონიელს მიუბრუნდა და გაუმეორა:

- Espanol?

- Si, Si[7], - მიუგო პატაგონიელმა.

გაოცებული პაგანელი მთლად დაიბნა.

მაიორმა და გლენარვანმა მალულად გადახედეს ერთმანეთს.

- იცით რა, ჩემო მეცნიერო მეგობარო, - მიმართა მაიორმა და თან ღიმილს ვერ იკავებდა, - თქვენ იქნებ კვლავ გულმავიწყობის მსხვერპლი გახდით?

- როგორ? - აიმრიზა გეოგრაფი.

- როგორ და ისე, აშკარაა, რომ ეს პატაგონიელი ესპანურად ლაპარაკობს...

- ესა?

---

1 ესპანელი ხართ?

2 თქვენ დიდი ვაჟკაცი ყოფილხართ.

3 პატაგონიელი ბრძანდებით, ალბათ?

4 მიპასუხეთ!

5 გესმით?

6 არ მესმის.

7 დიახ, დიახ.

- დიახ ეს! თქვენ ესპანურის ნაცვლად სხვა ენას ხომ არ სწავლ...- მაკ-ნაბსმა სიტყვა ვერ დააბოლოვა, რადგან პაგანელს გაოცების შეძახილი აღმოხდა და მხრების აჩეჩით საკმაოდ მკვახედ მიაძახა:

- მაიორო, ძალზე შორს წახვედით თქვენი ხუმრობით!

- კი, მაგრამ თუკი თქვენ ამის ნალაპარაკევი არ გესმით, მაშასადამე...

- არ მესმის, რადგან თვითონ ცუდად ლაპარაკობს! - მიახალა მოთმინებიდან გამოსულმა გეოგრაფმა.

- ერთი სიტყვით, გგონიათ, რომ ის ცუდად ლაპარაკობს, რადგან თქვენ ვერ გაგიგიათ, - დინჯად მოუჭრა მაიორმა.

- მაკ-ნაბს, - ჩაერია გლენარვანი, - თქვენი მოსაზრება მიუღებელია... ჩვენს მეგობარს, რაც უნდა დიდი გულმავიწყობა სჩვეოდეს, შეუძლებელია, ერთი ენის ნაცვლად მეორე ესწავლა!...

- მაშ.... ძვირფასო ედუარდ, უკეთ თქვენ, პატივცემულო პაგანელ, ამიხსენით, რას უნდა მიეწეროს ეს ამბავი?!

- მე კი არ აგიხსნით, დაგიმტკიცებთ ჩემს სიმართლეს, - უპასუხა პაგანელმა, - აი, ეს წიგნი, რომლითაც ყოველდღე ვვარჯიშობდი ესპანურ ენაში! ინებეთ, გადახედეთ და თვითონ დარწმუდნებით, ბატონო მაიორო, რომ მე მართალი ვარ!

პაგანელმა თავისი უამრავი ჯიბე ამოქექა, ბოლოს ერთი წიგნი ამოაძრო და გამარჯვებულის გამომეტყველებით მაიორს გაუწოდა. მაიორმა წიგნი გადაფურცლა და ჩაილაპარაკა:

- ეს რა ნაწარმოებია?

- "ლუიზიადა" გახლავთ! - მიუგო პაგანელმა, - დიდებული ეპოოპეა, რომელიც...

- "ლუიზიადა?! - წამოიძახა გლენარვანმა.

- დიახ, ჩემო მეგობარო, "ლუიზიადა" დიდებული კამოენსისა. არც მეტი, არც ნაკლები!

- კამოენისისა! - გაიმეორა გლენარვანმა, - მაგრამ, საბრალო მეგობარო, კამოენსი ხომ პორტუგალიელია!... მაშასადამე, ამ ექვსი თვის განმავლობაში პორტუგალიური ენა გისწავლიათ?!

- კამოენსის!... "ლუიზიადა"!.... პორტუგალიელი! - ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა პაგანელი. სათვალის ქვეშ თვალთ დაუბნელდა, გარშემო კი მისი თანამგზავრების მხიარულია ხარხარი ისმოდა.

პაგატონიელს წარბიც არ შეუხრია. მოთმინებით აღსავსე იდგა და ელოდებოდა მისთვის გაუგებარი ამბის დასრულებას.

- ო! საცოდავო და უგუნურო! - თავში შემოიკრა ხელი პაგანელმა, - როგორ?! ეს ამბავი მართალია? მაშ, ეს გასართობად მოგონილი ჭორი არ ყოფილა! მაშ ეს მე ჩავიდინე? ეს ხომ ბაბილონის გოდოლია, ენათა აღრევა!... ოჰ, მეგობრებო, ჩემო მეგობრებო!... კაცი ინდოეთში მიდიოდეს და ჩილეში მოხვდეს... ესპანურს სწავლობდეს და პორტუგალიური კი ისწავლოს! არა! ... ეს მეტისმეტია. და თუ ასე გაგრძელდა, მერწმუნეთ, ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრიდან გადავვარდები იმის ნაცვლად, რომ სიგარის ნამწვავი გადავაგდო!...

შეუძლებელი იყო, სერიოზულად გეცქირათ პაგანელისათვის, როდესაც წუწუნით უჩიოდა თავის ბედისწერას, თუმცა თვითონაც მალე გამხიარულდა.

- იცინეთ, მეგობრებო, გულიანად იცინეთ!... რაც უნდა ბევრი იცინოთ, მაიც ისე ვერ დამცინებთ, როგორც მე დავცინი ჩემს თავს! - ამბობს პაგანელი და ისე ხარხარებდა, რომ ვეჭვობ, რომელიმე მეცნიერს გაეცინოს ოდესმე ასე.

- ასეა თუ ისე, ჩვენ უთარჯიმნოდ დავრჩით და... - თქვა ბოლოს მაიორმა.

- მაგის ნუ გეფიქრებათ, მაიორო, - მიუგო პაგანელმა, - ესპანური და პორტუგალიური ისე ჰგავს ერთიმეორეს, რომ მეც კი შევცდი. სამაგიეროდ, სწორედ მათი მსგავსება მიშველის და შეცდომას სწრაფად გამოვასწორებ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მალე მოვახერხებ მადლობა გადავუხადო ამ მამაც პატაგონელს იმ ენაზე, რომელზეც ასე კარგად ლაპარაკობს.

პაგანელი მართალი გამოდგა. ცოტა ხნის შემდეგ ინდიელს რამდენიმე სიტყვა უთხრა და შეიტყო, რომ პატაგონიელს ტალკავი ერქვა, რაც არაუკანულად "მეხს" ნიშნავს.

ალბათ, ასეთი სახელწოდება მარჯვედ სროლისათვის მიიღო.

გლენარვანი უფორ იმით იყო ნასიამოვნები, რომ პატაგონიელი ხელობით სწორედ პამპის გამყოლი აღმოჩნდა. ამიტომ ეს შეხვედრა მგზავრებმა საბედისწეროდ ჩათვალეს და ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ კაპიტან გრანტს უეჭველად მიაგნებდნენ.

პატაგიონიელის თანხლებით ყველანი რობერტს დაუბრუნდნენ. რობერტმა ხელი გაუწოდა პატაგონიელს. მან უსიტყვოდ გადაუსვა ბავშვს თავზე ხელი. დაათვალიერა, ხელი შეახო მის დაჟეჟილ ადგილებს. მერე გაიღიმა და მდინარისაკენ დაეშვა. იქ რამდენიმე კონა გარეული ნიახური მოკრიფა და ბიჭს მთელი ტანით დაუზილა. გასაოცარი ხელოვნებით უზელდა ტანს. რობერტს აშკარად დაეტყო ჯანზე მოსვლა. ახლა უკვე ყველას იმედი მიეცა, რომ რობერტს რამდენიმე საათი მოსვენება სავსებით გამოაჯანსაღებდა. ამიტომ მთელი ის დღე და მეორეც იქ გაატარეს.

ახლა მათ ორი საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი. პირველი - სურსათ-სანოვაგის, მეორე კი გამგზავრების საშუალების პოვნა... არც ერთი და არც მეორე აღარ გააჩნდათ, მაგრამ ბედად უკვე ტალკავი ახლდათ. ამ მხარეში მოგზაურობაში გამოცდილმა და მარჯვე, გონიერმა გამყოლმა ტალკავმა გლენარვანს გააგებინა, რომ ყველაფერს აშოვნინებდა ინდიელების "ტოლდერიაში" (სოფელში), რომელიც ექვსი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. ყოველივე ეს მან ხელების ქნევით და ესპანური სიტყვებითაც თქვა. მათ მნიშვნელობას პაგანელი მიხვდა.

გლენარვანი და მისი მეცნიერი მეგობარი მაშინვე გაჰყვნენ პატაგონიელს მდინარის სათავისაკენ.

საათ-ნახევარი იარეს. ჩქარი ნაბიჯით მისდევდნენ ტალკავს, რომ ამ გოლიათს უკან არ ჩამორჩენოდნენ. ანდის მთების ის კუთხე თავისი მშვენებითა და ნაყოფიერებით ხიბლავდათ. მსუყი იალაღი იალაღს მისდევდა. ამ მიდამოებსი თავისუფლად გაიშლებოდა

ასი ათასი სული საქონელი. დიდრონი ტბორები, რომლებიც ერთიმეორისაგან რუებით იყო შეერთებული, ამ ნაყოფიერ ველებს გასამწვანებლად საჭირო ტენს აწვდიდნენ. ტბორებზე ნებივრად ნავარდობდნენ შავთავა გედები, ლიანოსიში[1] კი სირაქლემის ჯოგი დაქროდა. მიდამოს აყრუებდა ნაირ-ნაირი, ათასფერი ფრინველების ჟივილი-ხივილი. ფრთებში თეთრნარევი ლამაზი გვრიტები და ყვითელი კარდინალები ცოცხალი ყვავილების მსგავსად დაჰფენოდნენ ხის ტოტებს. მიმოფრენი მტრედები სადღაც შორს მიისწრაფოდნენ, ათასნაირ ბეღურებს ბუჩქებში ჟივჟივი აეტეხათ. ამ მშვენიერებით აღტაცებული პაგანელი აღფრთოვანებას ხმამაღლა გამოთქვამდა, რაც მეტად აოცებდა პატაგონელს. გულში ფიქრობდა: ცაში ფრინველი უნდა იყოს,

---

1 ლიანოსი - სამხრეთ ამერიკის მაღალბალახიანი ველები.

ტბაში - გედები, მინდვრად - ბალახი, გადასარევი რა არისო. პაგანელი ისე გართულიყო მშვენიერი სანახაობით, რომ ვერც კი შეიტყო, როგორ მიადგნენ ინდიელების ბანაკს.

ტოლდერია გაშენებული იყო ანდის მთების განშტოებათა შუა ჩაწოლილ ხეობაში. აქ მოწნულ ქოხებში ბინადრობდა ოცდაათიოდე მომთაბარე ინდიელი, მეწველი ძროხებით, ცხვრის ფარებით, ხარებითა და ცხენის რემათი. ერთი იალაღიდან მეორეზე გადადიოდნენ და ყვალგან კარგი საძოვრები ხვდებოდათ.

ეს ანდიელ-პერუელი მოსახლეობა არაუკანელების, პუელჩელებისა და აუკასელების შორეულ მოდგმას წარმოადგენდა. ზეთისხილისფერი კანისანი, საშუალო ტანადობისა, მკვირვად ჩასხმულნი, დაბალი შუბლით, მრგვალი სახისანი, თხელი ტუჩებით, გამოვარდნილი ყბებით, ცივი და პირქუში გამოხედვით, დედაკაცური იერით, ინდიელები საერთოდ ნაკლებსაინტერესონი იყვნენ. გლენარვანს მხოლოდ მათი ცხვრები, ცხენები და ხარები აინტერესებდა - ის, რაც მას ესაჭიროებოდა.

ტალკავმა შუაკაცობა იკისრა. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა, შვიდი არგენტინული ბაჩა ცხენი თავის შეკაზმულობით, ორმოცი კილოგრამი გამხმარი ხორცი, რამდენიმე საწყაო ბრინჯი და წყლის საზიდავი ტყავის თულუხები ოც უნცია ოქროდ დაუფასეს. რადგან გლენარვანს გადასაცვლელად არა ჰქონდა რა, ღვინო ან რომი, არც კი შეევაჭრა, პირიქით, ტალკავისათვის მერვე ცხენის ყიდვაც მოისურვა, მაგრამ პატაგონიელმა ანიშნა, ცხენი არა მჭირდებაო.

ინდიელებს ანგარიში გაუსწორეს და ნახევაი საათის შემდეგ თავიანთ ბინას დაუბრუნდნენ, სადაც მხიარული ყიჟინით შეეგებნენ. განსაკუთრებული სიხარული ცხენებისა და ხორცის დანახვამ გამოიწვია. ყველანი მადიანად შეექცეოდნენ საუზმეს, რობერტმაც კი შესუსნა მცირე რამ და ცოტა ღონეზე მოვიდა.

დანარჩენი დღე ისვენებდნენ. საუბროდნენ იახტაზე დატოვებულ თანამგზავრზე, "დუკანზე", ჯონ მანგლსზე, მის საუცხოო ეკიპაჟზე. ყველაზე ხშირად ახსენებდნენ კაპიტან გრანტს, რომელიც შესაძლოა სულაც სადმე ახლოს იყო.

პაგანელი აღარ შორდებოდა ტალკავს - ყველგან აჩრდილივით დასდევდა. აღტაცებული იყო, რომ ბოლოს მაინც ეღირსა ნამდვილი პატაგონიელის ნახვას, რომლის გვერდით თივთონაც ქონდრისკაცად მოჩანდა.

პატაგონიელი ტალკავი ადვილად გაუწევდა მეტოქეობას იმპერატორ მაქსიმილიანეს ან მეცნიერ ვან დე ბროკის ნანახ კონგოელ ზანგს, რომელთა სიმაღლეც ორმეტრ-ნახევარს აჭარბებდა. პაგანელი ზედიზედ მიაყრიდა ხოლმე ესპანურ ფრაზებს და დინჯი ტალკავიც არ უხირდებოდა. ახლა, კი ჩვენი გეოგრაფი უწიგნოდ სწავლობდა ესპანურ ენას. წამდაუწუმ წარმოთქავმდა ესპანურ სიტყვებს, ისე რომ ძალას ატანდა ხან ხორხს, ხან - ენას და ხანაც - ყბებს.

- თუ გამოთქმა ვერ შევითვისე, - ეუბნებოდა მაიორს, - ნუ გამკიცხავთ, მაგრამ რა მაფიქრებინებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს პატაგონიელისაგან ვისწავლიდი ესპანურს.

მეორე დღეს, 22 ოქტომბერს, დილის 8 საათზე ტალკავმა გამგზავრების ნიშანი მისცა.

არგენტინის ვაკე განედის ოცდამეორე და მეორმოცე გრადუსებს შორის მდებარეობს და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართება. ასე რომ, ზღვის ნაპირებამდე მგზავრები ოდნავ დახრილ ვაკეს უნდა გაჰყოლოდნენ.

როდესაც ცხენების ყიდვისას ტალკავმა თვისთვის ცხენი არ აყიდვინა, გლენარვანმა იფიქრა, ალბათ სხვა გამყოლებივით ფეხით სიარული ურჩევნია თავისი მაღალი კანჭების იმედითო, მაგრამ მოტყუვდა.

როდესაც ყველანი უკვე ცხენებზე ისხდნენ, ტალკავმა ერთი უცნაურად დაუსტვინა და მახლობელი კორომიდან დიდებული არგენტინული ცხენი გამოვიდა და მასთან მიირბინა.

საოცრად ლამაზი იყო: ყავისფერი, გაბედული, ფიცხი, სწრაფი და ამტანი. წმინდა ჯიშის ქურანი. გამოქანდაკებული თავი, დაბერილი ნესტოები; ცეცხლოვანი თვალები, განიერი გავა, ხშირი ფაფარი და მოგრძო ძუა მოქნილობასა და Eღონეს ადასტურებდა. როდესაც მას ცხენების საუკეთესო მცოდნე მაიორმა თვალი მოჰკრა, ამ პამპის ჯიშის საუკეთესო ნიმუშმა აღაფრთოვანა. ინგლისურ ჰუნტერს მიამსგავსა. ცხენს თაუქა ერქვა, რაც პატაგონიურად ფრინველს ნიშნავდა. ეს სახელწოდება მისთვის ზედგამოჭრილი იყო.

როდესაც ტალკავი უნაგირს მოახტა, თაუქა ყალყზე შედგა. მშვენიერი სანახავი იყო ეს სამაგალითო მხედარი ამ უცხო მერანზე. ერთმეორეს ამშვენებდნენ.

ტალკავს უნაგირზე ჰქონდა მიკრული ორი იარაღი, რომლებსაც ჩვეულბრივ არგენტინის ვაკეზე ხმარობენ. ერთი იყო, ეგრეთ წოდებული "ბოლასი", ხოლო მეორე - "ლასო". ბოლასი ერთიმეორეზე თასმით გადაბმული სამი ბირთვისაგან შედგებოდა, თასმის გრძელი წვერი უნაგირის კეხზე იყო დამაგრებული. ბოლასს ასიოდე ნაბიჯზე ესვრიან ხოლმე გაქცეულ ნადირს ან მოპირდაპირეს ისეთი სიმარჯვით, რომ მსხვერპლს ფეხები შიგ გაეხლართება და მიწაზე დაეცემა. ინდიელის ხელში ბოლასი საშინელი იარაღია, გასაოცარი ოსტატობითაც ხმარობს. ლასო კი მსროლელს ხელში უჭირავს. ეს არის სასროლი შიშთვილი, სიგრძით ოცდაათი ფუტი. ორკეცად ნაგრეხი თასმისაა. თასმის ცალ ბოლოზე რკინის რგოლია დამაგრებული, რომელშიც თასმის მეორე წვერია გატარებული და უნაგირის კეხზეა დამაგრებული. შიშთვილს მარჯვენა ხელით ესვრიან მიზანში.

ამ ორი იარაღის გარდა, ტალკავს მხარზე ჰქონდა გადაკიდებული გრძელი კარაბინი. ეს იყო მთელი მისი საჭურველი. ტალკავმა ვერც კი შეამჩნია, როგორი აღატაცება გამოიწვია მოგზაურებში მოხდენილობითა და ბუნებრივი კენარობით. ერთაშად მოსხლიტა თავისი ქურანი და მგზავრებიც ჭენებით უკან გაიყოლა. ხან ჭენებით მიუძღოდა, ხან - ნელა. არგენტინულმა ცხენმა ჩორთით სვლა არ იცის.

რობერტი ისე მარჯვედ იჯდა უნაგირზე, რომ გელნარვანმა გაიფიქრა, კარგი მხედარი გამოვაო.

პამპის ველი იმ ადგილას იწყება, სადაც კორდილიერების ფერდეობები წყდება. ველი სამ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ანდის მთის ძირიდან იწყება და ოთხასი კილომეტრის მანძილზე ტანდაბალი ხეებითა და ბუჩქებით არი დაფარული. მას მეორე ნაწილი მოჰყვება, გადაჭიმულია შვიდასი კილომეტრის სიგრძეზე და მშვენიერი, ხშირი ბალახით არის დაფარული. ეს ნაწილი ბუენოს-აირესიდან სამასიოდე კილომეტრის მოშორებით თავდება. იმის იქით კი მესამე ნაწილი იწყება, რომელიც ოკეანის სანაპირომდე აღწევს. მოგზაური იქ იონჯითა და ნარშავით დაფარულ ველზე მიდის.

როდესაც გლენარვანის რაზმი კორდილიერების ხეობას გასცილდა, ქარისაგან აზვინულ სილის დიუნებს წააწყდა, რომელთაც იმ მიდამოში "მედანოსს" უწოდებენ. იმ ადგილებში, სადაც ქვიშას მცენარეულის ფესვებიარ იჭერს, ბორცვები ზღვის ტალღასავით ლივლივებს. მცირეოდენი ნიავის ქროლაზე ქვიშა ღრუბლის კორიანტელად ადის ჰაერში ასეთი სანახაობა მეტად საინტერესო და თვალწარმტაცია, თუმცა ნაკლებსასიამოვნო. კორიანტელად ავარდნილი ქვიშის სვეტები ნამდვილ ქარბორბალასავით ჰაერში ერთმანეთს ეხეთქებოდა, მტვრად იქცეოდა და ერთმანეთში არეული ძირსვე ეშვებოდა. უჩინარი მტვერი თვალებში ჩადის, თუნდაც დახუჭულიც ჰქონდეს ადამიანს.

მთელი დღის განმავლობაში ჩრდილოეთის ქარი უბერავდა. მოგზაურები მარდად მიერეკებოდნენ ცხენებს და საღამოს ექვს საათზე უკვე სამოცი კილომეტრი მოეტოვებინათ უკან. ახლა კორდილიერები მხოლოდ შავი ზოლივით მოჩანდა საღამოს ბინდში.

ყველანი დაღლას გრძნობდნენ და შემორამება ესიამოვნათ კიდეც. ღამის გასათევად მჩქეფარე, დაქანებული მდინარე ნეუკენის ნაპირას დაბინავდნენ. მდინარე წითელი ფრიალოების კალაპოტში ჩაჭედილიყო და მღვრიე ზვირთებს მოაქანებდა. ზოგიერთი გეოგრაფის გადმოცემით ამ მდინარეს რამიდი ჰქვია, ხოლო ზოგისა - კომოე. სათავეს ტბებიდან იღებს. ეს ადგილი მხოლოდ ინდიელებმა იციან თურმე.

ის ღამე და მეორე დღეც მშვიდობიანად გაატარეს. გზა კარგი სავალი იყო და სწრაფად მიიწევდნენ წინ. მიდამო დაცემულ ვაკეს წარმოადგენდა. სიცხე ზომიერი იყო, თუმცა შუადღისას მზემ საშინლად დააჭირა. საღამო ხანს დასავლეთის მხრეს გადმოეფინა ნისლის ზოლები, რაც ამინდის შეცვლას მოასწავებდა. პატაგონიელმა მაშინვე ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და პაგანელს ხელით ანიშნა.

- დიახ, დიახ, ვიცი! - მიუგო პაგანელმა და თანამგზავრებს მიუბრუნდა, - შეხედეთ, ამინდი იცვლება. უნდა ველოდოთ პამპეროს, ესე იგი სამხრეთ-დასავლეთის მშრალ ქარს, რომელიც ხშირად ქრის არგენტინის ვაკეზე.

ტალაკვი მართალი გამოდგა. პამპერო საშინელი ძალით უბერავდა მთელ ღამეს და მოგზაურები ძალიან შეაწუხა, თავს მხოლოდ წამოსასხმებით იფარავდნენ. ცხენები ჯგუფად დააწვინეს და მოგზაურებიც გვერდით მიუწვნენ. გლენარვანი საგონებელს მიეცა, ეშინოდა, ამ გრგიგალს არ შეეფერხებინა მგზავრობა, მაგრამ პაგანელმა ბარომეტრს დახედა და დამშვიდდა.

- პამპერომ სამ დღეს იცის ქროლა, რის დროსაც ბარომეტრის სინდიყი ძირე ეშვება, ახლა კი სინდიყი ზევით იწევს. მართალია, ძლიერი ქარი უბერავს, მაგრამ რამდენიმე საათს თუ გასტანს. ამიტომ არხეინად ბრძანდებოდეთ, მეგობრებო, განთიადისას ცა ისევ მოკრიალებული იქნება, როგორც ყოველთვის.

- პაგანელ, ისე ლაპარაკობთ, თითქოს სიბრძნის წიგნში კითხულობდეთ, - შენიშნა გლენარვანმა.

- დიხ, მართლაც რომ ცოცხალი წიგნი გახლავართ და როდესაც გნებავთ, მაშინ შეგიძლიათ გადაფურცლოთ ის, - მიუგო პაგანელმა.

მეორე დილით ყველანი ცქვიტად წამოიშალნენ, თავს მხნედ გრძნობდნენ, მეტადრე პაგანელი, რომელიც სიამოვნებით ატკაცუნებდა თითებს და გოშიასავით იზმორებოდა.

24 ოქტომბერს ათი დღე შესრულდა, რაც ისინი ტალკაჰუანოდან გამოვიდნენ. ას ორმოცაათი კილომეტრითღა იყვნენ დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც რიო-კოლორადო გადასერავს ოცდამეჩვიდმეტე პარალელს. ამ მანძილის გავლას სამ დღეს მოუნდებოდნენ. გლენარვანი გზადაგზა გაფაციცებით ელოდა ინდიელების შეხვედრას, რომ გამოეკითხა კაპიტან გრანტის ამბავი. იმედი ჰქონდა, პაგანელი, პატაგონიელის თარჯიმნობით, ინდიელებს გააგებინებდა საქმის ვითარებას, მით უმეტეს, რომ ფრანგი მეცნიერი ახლა საკმაოდ თავისუფლად ელაპარაკებოდა ტალკავს ესპანურად.

მაგრამ რაზმი ახლა ისეთი გეზით მიდიოდა, სადაც ინდიელები იშვიათად ხვდებოდნენ. რადგან არგენტინის რესპუბლიკაზე გავლით კორდილიერებისაკენ მიმავალი გზები პამპადან უფრო ჩრდილოეთით გადის. ამის გამო გზაში არ ხვდებოდათ არც ერთი მომთაბარე ინდიელი, არც კაციკების ბატონობის ხელში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა. თუ სადმე შემთხვევით თვალს მოჰკრავდნენ რომელიმე მომთაბარეს, უცნობი რაზმის დანახვისას ანაზდად ეკარგებოდათ თვალიდან. მართლაც, რვა კაცისაგან შემდგარი და ასე კარგად შეიარაღებული ცხენოსანთან რაზმი შიშს აღუძრავდა მარტოდ მიმავალ როგორც Yყაჩაღს, ისე პატიოსან მგზავრსაც.

გლენარვანს არც ერთხელ არ მიეცა შემთხვევა, რამე გამოეკითხა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ან ყაჩაღისათვის. ნატრობდა კიდეც, წასწყდოოდა რესტრეადორების[1] ბანდას, თუნდც მათი საუბარი ცხელი ტყვიების გაცვლა-გამოცვლით დაწყებულიყო, მაგრამ

მალე ერთმა შემთხვევამ ანუგეშა გლენრვანი და აღარ ნანობდა, რომ ვერაფერი გაიგო კაპიტან გრანტზე.

რაზმმა რამდენჯერმე გადაჭრა პამპის გაკვალული ბილიკები და მათ შორის კარმენიდან მენდოსისაკენ მიმავალი შარაც, რომელიც მოფენილი იყო დახოცილი შინაური ცხოველების ძვლებით. ტალკავი ხედავდა, რომ პამპაზე მათი სავალი გეზი არ ემთხვეოდა არგენტინის არც ერთი ქალაქის ან სოფლისაკენ მიმავალ გზას.

ყოველ დილით პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ იზამდნენ პირს და მზის გადახრისას მის მოპირდაპირე მხარეზე მოექცეოდნენ. ტალკავი განცვიფრებას ვერ მალავდა, რადგან გამყოლი თვითონ იყო და მგზავრების ჭკუაზე კი დადიოდა. მაინც არაფერს ამბობდა, თუმცა სხვა ბილიკებიც იცოდა, უფრო მოკლე და მარჯვე. დღეს დილით კი, როდესაც ყევლა გასმგზავრებლად გაემზადა, ტალკავმა ცხენი შეაჩერა და პაგანელს მიუთითა:

- ეს გზა კარმენისაკენ მიდის.

- ვიცი, ჩემო მამაცო პატაგონიელო, - მიუგო პაგანელმა, რაც შეიძლება წმინდა ესპანურით, - ეს გზა კარმეინიდან მენდოსასაკენ უხვევს.

- ამ გზას არ დავადგებით?

- არა.

- მაშ საით მივდივართ?

- აღმოსავლეთისაკენ!

- ესე იგი არსად!

- ვინ იცის!

ტალკავმა ხმა ვეღარ ამოიღო, განცვიფრებუილი შესჩერებოდა მეცნიერს, თან გული ეთანაღრებოდა, პაგანელი ხომ არ ხუმრობსო. ყოველთვის დინჯ ინდიელს ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე არასერიოზულად ეტყოდა რამეს.

- მაშ, კარმენში არ მიდიხართ? - თქვა მან სიჩუმის შემდეგ.

- არა, - მიუგო პაგანელმა.

- არც მენდოსაში?

- არც მენდოსაში!

ამ დროს გლენარვანი წამოეწიათ და შეჩერების მიზეზი იკითხა.

---

1 ვაკის ყაჩაღები.

- ტალკავი მეკითხება, კარმენისაკენ მიდიხართ თუ მენდოსისაკენაო. როდესაც ვუპასუხე, რომ არც იქ და არც იქ-მეთქი, განცვიფრდა.

- ჩვენი გეზი მართლაც შეაფიქრიანებდა, - თქვა გლენარვანმა.

- ჰო, მითხრა: მაშასადამე, არსაც არ მიდიხართო.

- პაგანელ, როგორმე გააგებინეთ ჩვენი მოგზაურობის მიზანი და აგრეთვე ისიც, რად გვიჭირავს გეზი აღმოსავლეთისაკენ.

- ძალიან გამიძნელდება, რადგანაც ინდიელი ვერ მიმიხვდება გეოგრაფიულ გრადუსებს. ჩვენი ბარათების ამბავი ხომ ზღაპარი ეგონება.

- საქმე ის არის, ვერ მიხვდება ამბავს თუ ვერ მიუხვდება მოამბეს? - სერიოზული კილოთი ჩაურთო მაიორმა.

- ეეჰ, ბატონო მაკ-ნაბს, თქვენ კიდევ არ გჯერათ ჩემი ესპანურისა! - მიახალა პაგანელმა.

- მაშ, სცადეთ, ჩემო ღირსეულო მეგობარო.

- ვცდი!

პაგანელმა საუბარი გაუბა პატაგონიელს. საინტერსო სანახავი იყო იმ დროს მეცნიერი.. სიტყვები რომ აღარ ჰყოფნიდა, ხელებს იშველიებდა. ხმამაღლა გაჰკიოდა, ათასნაირად ატრიალებდა წინადადებას, სიფიცხისაგან სიმწრის ოფლი სდიოდა, ბოლოს ჩამოხტა ცხენიდან და სილაზე დახაზა გეოგრაფიული რუკა. განედისა და გრძედის ხაზებით გადასერა, ორივე ოკეანეც მოხაზა და ზედვე აღნიშნა კარმენისკენ მიმავალი გზაც...

ვგონებ, სეთ გაწამაწიაში არც ერთი პროფესორი არ ყოფილა. ტალკავი უსიტყვოდ უსმენდა და არ აწყვეტინებდა საუბარს მეცნიერს, მაგრამ ძნელი იყო იმის მიხვედრა, გაიგო რამე თუ არა.

გეოგრაფიის გაკვეთილი ნახევარ საათს გაგრძელდა. ბოლოს პაგანელი გაჩერდა. სახეზე ოფლი მოიწმინდა და პატაგონიელს კითხვით მიაჩერდა. ტალკავი დინჯად დასცქეროდა ნახაზებს.

- მიგიხვდათ? - შეეკითხა გლენარვანი პაგანელს.

- მაგას ახლა გავიგებთ, - მიუგო პაგანელმა, - მაგრამ თუ ახლა ვერაფერს მიმიხვდა, ამაზე მეტი აღარ შემიძლია.

ტალკავი უძრავად და მდუმარედ იდგა. დასჩერებოდა ნახაზს, რომელსაც ქარი თანდათან შლიდა.

- აბა, რას იტყვით? - შეეკითხა პაგანელი.

ტალკავს არც კი გაუგია მისი კითხვა. მეცნიერი უკვე გრძნობდა მაიორის სახეზე ათამაშებულ ღიმილს და თავისი ღირსების დასაცავად გულში გაიფიქრა, ახალი ენერგიით აღჭურვილს ერთხელ კიდევ გაემეორებინა გეოგრაფიის გაკვეთილი.

უცებ პატაგონელმა ხელი აიქნია.

- თქვენ ტყვეს დაეძებთ?

- დიახ, - მიუგო პაგანელმა.

- თქვენ მას მზის ამოსვლისა და ჩასვლის გზაზე დაეძებთ? - დაუმატა ტალკავმა და თან ხელით ანიშნა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

- სწორედ, სწორედ ასეა! - მიუგო პაგანელმა.

- მაშ, ვიაროთ აღმოსავლეთისაკენ და თუ საჭირო იქნება, თვით მზემდეც, - უბრალოდ დააბოლოვა ტალკავმა.

გამარჯვებულმა პაგანელმა საჩქაროდ უთარგმნა თანამგზავრებს ინდიელის პასუხი.

- როგორი ჭკვიანი ხალხია! ... - წამოიძახა მან და ბოლოს დაუმატა, - ჩინებურ გლეხთან რომ ასე მელაპარაკა, ოცში ერთიც ვერ მიხვდებოდა ჩემს განმარტებას.

გლენარვანის თხოვნით პაგანელმა ჰკითხა პატაგონიელს, ევროპელი ტყვეებისა ხომ არაფერი იციო.

- მგონი, ყური მომიკრავს, - ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ წარმოთქვა ტალკავმა.

პაგანელმა ვერც კი მოასწრო ამ სიტყვების გადათარგმნა, რომ მგზავრები შემოეხვივნენ პატაგონიელს. კითხვა კითხვაზე მიაყარეს და დაავიწყდათ, რომ ინდიელს მათი არაფერი გაეგებოდ. პაგანელი მღელვარებისაგან იბნეოდა, სიტყვებს ვეღარ პოულობდა აზრის გადასცემდა და თითქმის თვალებით ჭამდა მედიდურ ინდიელს, ეგებ მის თვალებში მაინც ამოვიკითხო, რისი თქმა უნდაო. ტალკავის ნათქვამს სიტყვასიტყვით უთარგმნიდა ამხანაგებს ინგლისურად.

- მერე ვინ ყოფილა ის ტყვე?

- უცხოელი იყო, ევროპელი.

- შენი თვალით გინახავს?

- არა, მაგრამ ინდიელები ამბობდნენ, დიდად მამაცია, ნამდვილი ხარის გული აქვსო.

- ხარის გული! - გაიმეორა პაგანელმა, - გესმით, მეგობრებო, ხარის გული აქვს! მამაციაო!

- ეს მამა იქნება! - წამოიძახა რობერტმა და პაგანელს შეეხვეწა ესწავლებინა, როგორ ითქმება ესპანურაც "ჩემი მამა".

- Es mi padre! - მიუგო პაგანელმა.

რობერტმა ხელი სტაცა პატაგონიელს და მთრთოლარე ხმით უთხრა:

- Es mi padre!

- Su padre?[1] - იკითხა პატაგონიელმა და თვალებში ელვამ გაჰკვესა. ხელი მოჰხვია რობერტს, უნაგირიდან აიტაცა, ცნობისმოყვარეობითა და თანაგრძნობით ჩახედა თვალებში და გონიერ სახეზე მღელვარება აღებეჭდა, მაგრამ პაგანელი კითხას კითხვაზე აძლევდა: სად იმყოფება ტყვე? რას აკეთებს? სად შეიტყო მისი ამბავი?

ტალკავიც პასუხს არ უგვიანებდა. გამოირკვა, რომ ევროპელი ტყვედ ჰყოლია მომთაბარე ინდიელების ტომს, მდინარე კოლორადოსა და რიონერგოს შორის.

- სად იყო ამ ბოლო დროს? - შეეკითხა პაგანელი.

- კაციკ კალფოუკუორასთან, - მიუგო ტალკავმა.

- ამ გზაზე, საითაც ჩვენ მივდივართ?

- სწორედ!

- ვინ არის კაციკი?

- პოიუჩეს ტომის ინდიელების ბელადია, ორი ენა და ორი გული აქვს.

- მაშასადამე, სიტყვით მატყუარა და საქმით ორპირი ყოფილა! - განუმარტა თანამგზავრებს პაგანელმა მშვენიერი პატაგონიური გამოთქმა.

- გათავისუფლებას ვერ მოვახერხებთ? - განაგრძობდა ის.

- რატომაც არა, თუკი ისევ იმათ ხელშია!

- როდის გაიგეთ ეს ამბავი?

- კარგა ხანია, მას შემდეგ მზემ ორი ზაფხული მოუვლინა პამპის ცას.

ძნელი ასაწერი იყო გლენარვანის სიხარული. ტალკავის პასუხი სავსებით ემთხვეოდა ბარათებში აღნიშნულ თარიღს, მაგრამ ერთი საკითხიც იყო გასარკვევი _____

1 მისი მამა?

და პაგანელმა ჰკითხა პატაგონიელს:

- თქვენ ლაპარაკობთ ერთ ტყვეზე, მაგრამ თუ იცით, სამნი ხომ არ ყოფილან?

- არ გამიგია.

- არც ის იცით, რა მდგომარეობაშია ამჟამად ის ტყვე?

- არაფერი ვიცი.

მათი საუბარი ამით დასრულდა. ადვილი შესაძლებელი იყო, ტყვეები ერთიმეორისაგან დაეშორებინათ, მაგრამ იმ ერთი ტყვის ვაჟკაცობის შესახებ გავარდნილი ხმა ძალზე შეეფერებოდა კაპიტან გრანტის ხასიათს.

მეორე დღეს, 25 ოქტომბერს, უფრო მეტი ხალისით განაგრძეს გზა აღმოსავლეთისაკენ. მათ თვალწინ გადაშლილიყო ერთფეროვანი, უსაზღვრო და

მოსაბეზრებელი ტრიალი ვაკე, რომელსაც ადვილობრივი მცხოვრებნი "ტრავესიას" უწოდებენ: მუდმივი ქარის ქროლისაგან თიხნარი მიდამოს ზედაპირი თარაზოსავით გადასწორებულიყო - არსად ქვა, არსად კენჭი, იშვიათად თუ სადმე წააწყდებოდნენ ქვიშას, ისიც დამშრალი ხევის ძირზე ან ინდიელების ხელით ამოთხრილი ჭების პირას. აქა-იქ ხვდებოდათ გადამხმარი კორომები, დაბალი, დაგვალული ბუჩქები, რომელთა შორის თეთრად მოჩანდა კერატი პირის გასასველებელი მოტკბო გულით. ზოგან ხვდებოდათ "ჩანარას" ჭალაკები და ყველა ჯურის ეკლიანი ბუჩქები.

26 ოქტომბერი მგზავრებისათვის მეტად მძიმე გამოდგა. უნდოდათ იმ ღამეს როგორმე მიეღწიათ მდინარე რიო-კოლორადომდე. დეზების კვრით გაფიცხებული ცხენები ისე მარდად გარბოდნენ, რომ საღამოს მართლაც მიაღწიეს პამპის ამ მშვენიერ მდინარეს.

რიო-კოლორადოს ინდიელების ენაზე ჰქვია "კობუ-ლებუ", ანუ "დიდი მდინარე", რომელიც ერთვის ატლანტის ოკეანეს და თავისი დინების გზაზე თვალუწვდენელ ვაკეებს რწყავს. მის შესართავთან უცნაური მოვლენა ხდება, რომელიც მეცნიერებს ჯერაც ვერ აუხსნიათ: ოკეანეში ჩასვლამდე მდინარეში წყალი იკლებს, ალბათ, ან ფსკერის ნიადაგი იწოვს, ან ძლიერი აორთქლება ხდება.

კოლორადოს დანახვმ პაგანელს გული აუძგერდა, მაშინვე გადაეშვა თიხნარ კალაპოტში წითლად მოლივლივე ზვირთებში. თანაც გაოცებული იყო, რომ მდინრე ასე ღრმა აღმოჩნდა, მაგრამ მალევე გაახსენდა, რომ მის სათავეს გაზაფხულის მცხუნვარე მზის სხივებით დამდნარი თოვლის ნაკადები ჩამატებოდა.

მდინარე ისე განიერი იყო, რომ ცხენოსანსაც გაუძნელდებოდა გადაცურვა. საბედნიეროდ, რამდენიმე მეტრის ზევით ინდიურ ჩამოკიდებულ ხიდს მიაგნეს, რომელიც თასმებით შეკრული ლასტებისაგან გაეკეთებინათ. ხიდზე გაიარეს და კოლორადოს გაღმა ნაპირზე დაბანაკდნენ.

პაგანელმა დაძინების წინ წერტილებით ისეთი გულმოდგინებითა და ზუსტად მოხაზა კოლორადოს მდებარეობა, გეგონებოდათ, ტიბეტშია და პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით იარუ-ძანგბო-ჩუს მიდამოს ხაზავსო.

27-28 ოქტომბერს განსაკუთრებული არაფერი შემთხვევიათ. ირგვლივ გადაშლილი იყო იგივე ერთფეროვანი უნაყოფო და მწირი ნიადაგი. ძნელად შეხვდება ადამიანი ასეთ ერთფეროვან სანახაობას, მაგრამ თანდათან ნიადაგს მეტი ტენიანობა დაეტყო და წაადგნენ ისეთ დაბლობ ჭაობებს, "კანიადასებსა" და ამოუმშრალ ლაგუნებს - "ესტეროსს", რომ გარს შემოვლა სჭირდებოდათ.

საღამო ხანს ცხენები დიდი ტბის - ლაუკემას ნაპირს მიადგნენ, რომლის წყალიც მრავალ მინერალურ ნივთიერებას შეიცავდა, რის გამოც ინდიელებს "მწარე ტბა" დაურქმევიათ.

1862 წელს ეს ტბა დიდი ბრძოლის მოწმე გახდა. არგენტინის დამსჯელელმა ჯარმა აქ ამბოხებული მრავალი ინდიელი ამოწყვიტა.

თავი XVII

პ ა მ პ ე ბ ი

არგენტინის პამპა სამხრეთ განედის ოცდამეთოთხმეტე გრადუსიდან მეორმოცე გრადუსამდეა გადაჭიმული. "პამპა" არაუკანული სახელწოდებაა და "ბალახოვან ვაკეს" ნიშნავს. ეს სახელწოდება ზედგამოჭრილია ვაკისათვის. მის მიდამოებს თავისებურ ელფერს აძლევს დასავლეთის ნაწილში ხისებრი მიმოზები, აღმოსავლეთ ნაწილში კი, ძირითადად, ბალახები. ასეთი მცენარეულობა იცის მხოლოდ ნიადაგის თხელ ფენაში, რომელიც წაფარებული აქვს ქვიშიან-თიხიან მოწითალო ან ყვითელ ქვენიადაგის შრეს. გეოლოგი მრავალ საუნჯეს მიაგნებდა მესამეული პერიოდის[1] ამ შრეებში, რადგან ამ მიდამოების დანალექებში დამარხულია ცხოველების უამრავი ძვალი. ინდიელების გადმოცემით, ეს ძვლები ეკუთვნის გადაშენებულ ცხოველების წარღვნამდელ დიდებულ მოდგმას, რომელსაც "ტატუ" ეწოდება. შეიძლება ითქვას, ამ ნიადაგის ქვეშაა დამარხული ამ მხარის პირველყოფილი ცხოველების ისტორია.

ამერიკის პამპებიც ასეთ გეოგრაფიულ თავისებურებას წარმოადგენენ, როგორც დიდი ტბების მხარის სავანა ან ციბმირის სტეპი. აქ უფრო კონტინენტური ჰავაა, სიცხეებიც დიდი იცის, ყინვებიც და ბუენოს-აირესის პროვინციაში ტემპერატურის ამპლიტუდის რყევასთან შედარებით მეტად ცვალებადია.

პაგანელის განმარტებით, ეს იმიტომ ხდება, რომ ზღვისპირა მხარეებში ოკეანე ზაფხულობით შთანთქმულ სითბოს ზამთრობით თანდათანობით უბრუნებს მიწას. ამის გამო კუნძულებზე უფრო თანაბარი ჰავაა, ვიდრე კონტინენტის შუა ნაწილში. ამითვე უნდა აიხსნას ის მოვლენაც, რომ პამპის აღმოსავლეთ ნაწილში ჰავა ისე თანაბარი არ არის, როგორც დასავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის ახლოს. აქ დიდი ნახტომებია ხოლმე სიცხესა და სიცივეს შორის, ხან სასტიკი ყინვაა, ხან მცხუნვარება. შემოდგომით, ესე იგი აპრილ-მაისში, კოკისპირული წვიმები იცის, ჩვენი მოთხრობის დროს კი, მაშასადამე, ოქტომბერში, მშრალი ამინდები იყო და პაპანაქება იდგა.

განთიადისას ისევ აღმოსავლეთის მიმართულებით გაემართნენ.

ხეების და ბუჩქების ფესვების შეჭიდებული ნიადაგი თანდათან უფრო მკვიდრი გახდა, აღარსად ჩანდა აღარც ქვიშა და არც მისგან წარმოშობილი მედანოსები და მტვერი.

ცხენები მირბოდნენ პამპის მაღალ შამბნარში, რომლებსაც ინდიელები "პახა-ბრავას" უწოდებდნენ და ავდრის დროს მათ ქვეშ აფარებდნენ თავს. აქა-იქ, სადაც კი მცირეოდენი ტენი იყო დარჩენილი, ამოზიდულიყო "Gignerium-argenteum" - ადგილობრივი მცენარე, რომელსაც მტკნარი წყალი უყვარს. ასეთ წარაფებში ცხენები ხარბად ეწაფებოდნენ წყალს და სიარულის ხალისი ემატებოდათ.

ამ ჯაგნარსა და ბარდებში ქარავანს წინ უძღოდა ტალკავი და ხშირად აფრთხობდა საშინელ გველებს - "ჩოლინებს", რომელთა შხამი ხარსაც კიი ერთ საათში გაგუდავს. თაუქა ცქაფად ხტებოდა ბუჩქებზე და ტალკავს საშუალებას

---

1 მესამეული პერიოდი (კაინოზური ერა) - გეოლოგიური ეპოქა, რომელიც ხასიათდება ძუძუმწოვართა განვითარებითა და მთათა წარმოშობის პროცესებით.

აძლევდა, დანარჩენი მგზავრებისათვის გზა გაეკვლია.

ამ ტრიალ ვაკეზე მგზავროა ადვილი იყო. მოგზაურებს ჯერ არსად შეხვედრიათ ასეთი ერთფეროვანი მიდამოები, ასიოდე მილის მანძილზე ერთი ქვაც კი არსად დაუნახავთ და არც რაიმე განსაკუთრებული შემთხვევიათ. ასეთ ერფეროვნებაში რაიმე სანტერესოს პაგანელისთანა გატაცებული მეცნიერი თუ აღმოაჩენდა. საკმარისი იყო, დაენახა რომელიმე ახალი მცენარე ან ბუჩქი, რომ თავისი ცოდნის ბოხჩა გაეხსნა და რობერტისათვის გაეზიარებინა. რობერტი ხალისიანი მსმენელი ჰყავდა.

ეს ვაკე, მთელი თავისი სიდიადითა და დაუსრულებელი სივრცით, 29 ოქტომბერს გადაიშალა მათ თვალწინ. ნაშუადღევს ორ საათზე ცხენებს ფეხებში ედებოდათ ხარების გაცრეცილი ძვლები, რომლებიც გაფანტული კი არა, ერთ ფართობზე იყო მოფენილი, როგორც ჭირიანობის დროს იცის. ამ მოვლენისა პაგანელმა არა იცოდა რა და ტალკავს შეეკითხა.

- რა მოხდა აქ?

- მეხი ჩამოვარდნილა.

- მეხი? - გაიოცა ტომ ოსტინმა, - განა მეხი ამდენ უბედურებას მოახდენს? ეტყობა, მთელი ჯოგი ამოუწყვეტია, ხუთას სულზე მეტიც...

- ტალკავმა თქვა, მეხის შედეგიაო და. არც შემცდარა, - ჩაურთო გლენარვანმა, - მჯერა, რომ პამპაში საშინელი და გამანადგურებელი მეხი იცის. ნეტავი ჩვენ მაინც არსად დაგვატყდეს თავს.

- ძალიან კი ჩამოგვიცხა და! - ჩაილაპარაკა ოსტინმა.

- თერმომეტრი ოცდაათ გრადუსს უჩვენებს ჩრდილში, - მიუგო პაგანელმა.

- გასაკვირი არ არის. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დენი მივლიდეს ტანში, - შენიშნა გლენარვანმა, - მაგრამ იმედია, პაპანაქება დიდხანს არ გასტანს.

- რა ბრძანებაა! ამინდის გამოცვლის იმედი როგორ უნდა ვიქონიოთ, როდესაც ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არსად ჩანს, - მიუგო პაგანელმა.

- ეგ უარესია! ცხენები ძალიან გაოფლიანდნენ, - მიუგო გლენარვანმა და ახლა რობერტს მიუბრუნდა, - შენ, ბიჭუნი, ძალიან შეგაწუხა სიცხემ?

- არა, სიცხე მიყვარს, ძალიან კარგია!

- მეტადრე ზამთარში, - გამოეხმაურა მაიორი და თან სიგარის ბოლი ჰაერში გაუშვა.

საღამო ხანს ერთ მიტოვებულ რანჩოსთან დაბინავდნენ. ეს იყო წნულით მოხლართული და თიხით შეგლესილი ქოხი, გარშემო შემოვლებული ჰქონდა კუნძულების მესერი, რომელიც შიგადაშიგ დაფუტუროებული, მაგრამ იმდენად მაღალი იყო, რომ ცხენებს ადვილად დაიფარავდა მელიების თავდასხმისაგან. მართალია, მელიები ცხენებს ვერაფერს დააკლებენ, მაგრამ ავშარას გადაუღრღნიან, თავაწყვეტილი ცხენები კი ადვილად დაფრთხება და სადმე ველად გავარდება.

რანჩოს გვერდით, ორიოდე ნაბიჯზე, დაბალი ორმო იყო ამოღებული, რომელიც, როგორც ჩანდა, კერიის მაგივრობას ეწეოდა, რგან შიგ ეყარა გაცივებული ნაცარი.

რანჩოში იდგა გრძელი მერხი და ზედ ეფინა ხარის ტყავის საგებელი, იქვე იდგა თუჯის პატარა ქვაბი, რომელშიაც ინდიელები გამხმარი ბალახის ჩაის - "მატეს" ადუღებდნენ. მატე გავრცელებულია მთელ სამხრეთ ამერიკაში და ისეთივე ღერით სვამენ, როგორითაც ამერიკელები გამაგრილებელ სასმელებს.

პაგანელის თხოვნით ტალაკავმა მოადუღა რამდენიმე ფინჯანი "მატე", რომლითაც ვახშმის შემდეგ პირი ჩაიგემრიელეს და საუცხოო ღირსებისადაც ცნეს.

მეორე დღეს, 30 ოქტომბერს, ამომავალ მზეს წითლად შემორტყმოდა ნისლის დისკო. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ საშინლად ჩამოცხებოდა. მართლაც მზე ძალიან აჭერდა ტრიალ მინდორს, სადაც თავის შეფარება არსად შეიძლებოდა. გზადაგზა ხედავდნენ ცხვრის ფარებსა და ცხენის რემას, რომლებიც სიცხისაგან დათენთილნი უილაჯოდ დაყრილიყვნენ მიწაზე და ბალახის ძოვის არაქათიც აღარ ჰქონდათ. არსად ჩანდნენ არც მწყემსები, არც ვინმე დარაჯი. მთელ ამოდენა საქონელს ძაღლები დარაჯობდნენ. ძაღლები ისე შეჩვეულები არიან ცხვრებთან, რომ წყურვილის მოსაკლავად წყლის მაგივრად თურმე ცხვრების რძეს სწოვენ. აქაური ხარებიც მშვიდი ზნისანი არიან და ევროპის ხარებივით არ ფრთხებიან წითელ ფერზე.

- ეს მოვლენა იმას უნდა მიეწეროს, რომ აქაური ხარები რესპუბლიკის მიწა-წყალზე იალაღობენ! - იოხუნჯა პაგანელმა და თვითონვე აღფრთოვანდა თავისი ფრანგული ოხუნჯობით.

შუადღისას პამპის სანახაობამ ფერი იცვალა. ეს მაშინვე თვალში ეცათ ერთფეროვნებას მიჩვეულ მგზავრებს. მარცვლოვანი მცენარე კანტიკუნტად თუ იყო სადმე, სამაგიეროდ, ბლომად იზრდებოდა ხშირად აყრილი ბირკა და სამი ადლის სიმაღლის ნარშავი, რომელიც საკვებად გასწვდებოდა მთელი მსოფლიოს სახედრებს. აქა-იქ მოჩანდა მწვანედ ჩამუქებული ეკლიანი ჯაგები, რომლებიც ამ ხრიოკ ნიადაგზე ძვირფასი რამ იყო.

ამ ვაკის ნოყიერ მიდამოს თიხნარ ნიადაგში დარჩენილი ტენი ასაზრდოებს. აქამდე შიგადაშიგ ხვდებოდათ ხშირი ბალახით დაფარული ნოყიერი იალაღები. აქ კი, გატრუსული და ფესვიანად ამოგლეჯილი ბალახის ქვეშ, ხრიოკი და მწირი ნიადაგი მოჩანდა. ეს იყიო საშინელი გვალვის შედეგი და ტალკავმა ამ გარემოებას მიაქცია მგზავრების ყურადღება.

- ასეთი ცვლილება არა მწყენია, - განაცხადა ტომ ოსტინმა, - ბოლოს და ბოლოს, ერთფეროვნება მოსაბეზრებელია.

- სამაგიეროდ, სადაც ბალახია, იქ წყალიც მოიპოვება, - მიუგო მაიორმა.

- უწყლობისა ნუ გეფიქრებათ, ტიკჭორები სავსე გვაქვს, გარდა ამისა, გზაში წავადგებით სადმე მდინრეს, - ჩაურთო ვილსონმა.

პაგანელს რომ ამ საუბრისათვის ყური მოეკრა, მაშინვე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მდინარე კოლორადოსა და არგენტინის სიერებს შორის მდინარეები ძალიან იშვიათად გვხვდება, მაგრამ პაგანელი ამ დროს გლენარვანთან საუბრით იყო გართული. მათ უკვირდათ, რომ კარგა ხანია ჰაერში ნამწვის სუნი იდგა, თუმცა არც ცეცხლი ჩანდა სადმე, არც კვამლი. სუნი კი თანდათან ძლიერდებოდა და ყველანი გაოცებულნი იყვნენ ამით, პაგანელისა და ტალკავის გარდა. პაგანელმა შემდეგნაირად აუხსნა თანამგზავრებს ეს მოვლენა.

- მართალია, ცეცხლს ვერსად ვხედავდთ, მაგრამ ნამწვის სუნი მაინც მოგვდის. ნათქვამია: "უცეცხლოდ არც კვამლი ჩნდებაო". ეს ანდაზა ამერიკაშიც ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორიც ევროპაში. ცხადია, სადმე იწვის რამე. როგორც თქვენი ბედნიერი თვალით ხედავთ, პამპა ისეთი ტრიალი ვაკეა, რომ აქ ჰაერის მოძრაობას არაფერი აფერხებს. ამის გამო შეიძლება ასი კილომეტრის მანძილიდანაც კი მოგვდიოდეს ნამწვის სუნი სადმე ცეცხლმოკიდებული ბალახისა.

- ასი კილომეტის მანძილიდან! - იჭვნეულად ჩაილაპარაკა მაიორმა.

- სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, - დასძინა პაგანელმა, - ისიც უნდა დავუმატო, რომ ასეთი ხანძარი ხშირად მთელ უზარმაზარ მიდამოს მოედება ხოლმე და დიდ გამანადგურებელ ძალასაც იჩენს.

- მერე, ვინ არის, რომ ველებს ცეცხლს უკიდებს? - იკითხა რობერტმა.

- ცეცხლს ზოგჯერ მეხი აჩენს, თუ გამხმარი ბალახი ძალიან ჩაფიცხებული დახვდა, ზოგჯერ თვითონ ინდიელები განგებ უკიდებენ ცეცხლს.

- განგე? ნეტავ რისთვის სჭირდებათ?

- რა მოგახსენოთ, რამდენად სწორია მათი მოსაზრება, მაგრამ მათი აზრით, გადატრუსულ ველზე უფრო კარგი ბალახი მოდის. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ

უნდა ვიფიქროთ, რომ ნაცარი საუკეთესო სასუქი ყოფილა ნიადაგისათვის. ჩემი აზრით, ასეთ ხანძარს აჩენენ ერთგვარი ტკიპების მოსასპობად, რომელიც მილიარდობით ირევა და მოსვენებას არ აძლევს საქონელს.

- ასეთი ენერგიული საშუალება ხომ მეტ საქონელს იმსხვერპლებს ველებზე? - იკითხა მაიორმა.

- იმსხვერპლებს, ცხადია, მაგრამ ამ ურიცხვი საქონლისათვის ეგ ზარალი წვეთი იქნება ზღვაში.

- ეგ ზარალი კი არ მაწუხებს, - განაგრძო მაიორმა, - იმ მგზავრების ბედი მაფიქრებს, რომლებიც ასეთ დროს პამპაში მოხვდებიან. ხომ შეიძლება, ირგვლივ მოგიზგიზე ხანძრის შუა მოემწყვდნენ?

- რა თქმა უნდა! ცხადია! - სიამოვნებით წამოიძახა პაგანელმა, - ზოგჯერ ეგეც მოხდება ხოლმე... ნეტავ ერთხელ მაინც შემასწრო ასეთ სანახაობას!...

- აი, რას ნიშნავს მეცნიერი! - შესძახა გლენარვანმა, - მეცნიერების გულისათვის ცოცხლად დაწვასაც არ ერიდება!

- სრულიადაც არა, ჩემო ძვირფასო გლენარვან, - მიუგო პაგანელმა, - ჩვენ წაკითხული გვაქას კუპერი და მისმა "ტყავის წინდამ" გვასწავლა, როგორ უნდა შეაჩერო ხანძარი ველრზე. თქვენ გარშემო, რამდენიმე ტუაზის მანძილზე, ბალახი ძირიანად უნდა მოგლიჯოთ. მორჩა და გათავდა!... ამაზე ადვილი რაღაა! ... ამიტომ მინდვრის ხანძარი სრულიადაც არ მაფიქრებს, პირიქით, მენატრება კიდეც მისი ნახვა, - მაგრამ პაგანელს ნატვრა არ შეუსრულდა. სამაგიეროდ, აბეზარი მზის პაპანაქებაში საკმაოდ დაიწვა.

სიცხისაგან ცხენები ძლივს იბრუნებდნენ სულს. საჩრდილობელი კი არსად იყო, ნუგეში ისღა დარჩენოდათ, რომ მზეზე ხანდახან აფარებული ღრუბლის ქვეშ ევლოთ, მაგრამ ქარი მასაც მალე ფანტავდა და მათ კვლავ უჩრდილოდ ტოვებდა.

გარშემო გავარვარებულ კირიან ნიადაგს უხვად ეფრქვევოიდა ცეცხლოვანი მზის მწველი სხივები. არც ვილსონს გაუმართლა იმედმა. მთელი დღის განმავლობაში წყალს ვერსად მოჰკრეს თვალი და წყურვილი კლავდათ. მდინრე ან ხევი კი არა, ნაკადულის თუ უმნიშვნელო ნაკადის კალაპოტის ნასახიც კი არსად ემჩნეოდა. ინდიელების მიერ ამოჭრილი ჭები კი სულ დამშრალიყო.

პაგანელმა რომ ნახა, გვალვის ნიშნები მატულობსო, ტალკავს ჰკითხა, წყალს სად ვიშოვითო.

- სალინისის ტბაზე! - მიუგო ტალკავმა.

- მერე, იქ როდის ვიქნებით?

- ხვალ საღამოს.

პამპებში მოგზაურობისას არგენტილები ჩვეულებრივ ჭას ამოთხრიან ხოლმე და რამდენიმე მეტრის სიღრმეზე წყალს პოულობენ, მაგრამ მოგზაურებს თან არა ჰქიონდათ საამისო ხელსაწყო. ამის გამო წყლის მარაგს ზოგავდნენ და მხოლოდ პირს გაისველებდნენ ხოლმე, თორემ წყლის მარაგი არ გასწვდებოდათ.

იმ დღეს ორმოცდაათი კილომეტრიც გაიარეს და საღამო ხანს დაიბანაკეს. იმედი ჰქონდათ, გამოვიძინებთ და ძალ-ღონეს მოვიკრებთო, მაგრამ მოსკიტები და კალიები მთელ მიდამოს ნისლივით მოსდებოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ამ წყეულ მწერებს ჩრდილოეთის ქარი მოერეკებოდა აქეთ. სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარი კი სადღაც გადაკარგავს ხოლმე მათ.

უსიამოვნო მგზავრობის მიუხედავად, მაიორმა შეინარჩუნა ჩვეული სიდინჯე, პაგანელი კი ფორიაქობდა, ჯავრობდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა მწერებს, თანაც სანანებლად გახდომოდა, რომ არ მოეპოვებოდა კირის ხსნარი ნაკბენი ადგილის მოსაშუშებლად. მაიორი ანუგეშებდა: მოგეხსენებათ, მწერების 600-7000 ათასი სახეობაც ცნობილი ნატურალისტებისათვის და ჩვენ კი მხოლოდ ორი სახეობა გვაწყხებსო, მაგრამ პაგანელი მაინც აღრენილ გუნებაზე იყო, გარიჟრაჟზე ზეწამოიჭრა. მისი დაჟინებით ყველანი ადრიანად გაუდგნენ გზას, რომ მალე მიეღწიათ სალინასის ტბისათვის.

ქანცმილეული ცხენები წყურვილით იხოცებოდნენ. მოგზაურები თვითონ იკლებდნენ წყლის ულუფას და ცხენებს უზოგავდნენ, მაგრამ ასეთი მცირე ულუფა მათ არ ჰყოფნიდათ.

გვალვა მატულობდა. პაპანაქება აუტანელი გახდა. ამას ზედ დაერთო ჩრდილოეთის ქარი, პაპის ნამდვილი სამუმი[1], რომელსაც მტვრის კორიანტელი მოჰქონდა.

იმ დღეს მათი მოგზაურობის ერთფეროვნება მცირე ხნით მინც დაირღვა. რაზმის წინ მიმავალმა მიულერდიმ ერთბაშად ცხენი შემოატრიალა და თანამგზავრებს აცნობა, ინდიელების ერთი რაზმი მოდისო. გლენარვანს ესიამოვნა, "ბრიტანიის" შესახებ გამოვკითხავ რამესო. ტალკავს კი მათი შეხვედრა არ ეჭაშნიკა - მომთაბარე ინდიელები სულ ყაჩაღები და მძარცველები არიანო.

ტალკავის განკარგულებით მთელმა ქარავანმა ერთად მოიყარა თავი და თოფები მოიმარჯვა, რადგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ბოლოს ყველამ გარკვევით დაინახა მათკენ მომავალი ცხენოსნები. ათიოდე კაცი იყო, რამა პატაგონიელს გული გაუკეთა. ინდიელები ასიოდე ნაბიჯით მიუახლოვდნენ და მათი გარჩევა ადვილი გახდა.

მაღალი და გამოზნექილი შუბლი, ახოვანი ტანადობა და მუქი მომწვანო კანი მოწმობდა, რომ თავიანთი მოდგმის საუკეთესო ტიპებს წარმოადგენდნენ. ტანთ ეცვათ გუანაკოს ტყავი, იარაღიც ჰქონდათ - შვიდადლიანი შუბები, დაშნები, შურდულები, ბოლასი და ლასო; ცხენების სხარტად მიტრიალ-მოტრიალებაზე ემჩნეოდათ, რომ კარგი ცხენოსნებიც იყვნენ.

უცებ ცხენები შეაყენეს და ყაყანითა და ცხელების ქნევით თათბირი დაიწყეს. გლენარვანი მათკენ გაეშურა ცხენდაცხენ, მაგრამ ოთხი მეტრიც არ გაევლოთ, რომ ინდიელებმა უცებ დეზი ჰკრეს ცხენებს და მოკურცხლეს.

- ლაჩრებო!... - სიტყვა დაადევნა პაგანელმა.

- პატიოსანი ხალხი ასე არ მოქუსლავდა, - ჩაურთო მაკ-ნაბსმა.

- რომელი ტომისა იყვნენ? - შეეკითხა პაგანელი ტალკავს.

- გაუჩოები.

- გაუჩოები?! - გაიმეორა პაგანელმა და თანამგზავრებს მიუბრუნდა, - თუ გაუჩოები იყვნენ, სახიფათო არა ყოფილა რა, ეს ტომი საშიში არ არის!

- რატომ? - ჰკითხა მაიორმა.

- იმიტომ, რომ გაუჩოები მიწის მუშები არიან, საწყალი ხალხი.

- ვინ მოგახსენათ, პაგანელ?

- აშკარაა! ალბათ, ყაჩაღები ვეგონეთ და იმისათვის იბრუნეს პირი.

---

1 სამუმი - არაბეთში, დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში მქროლი ცხელი და მეტად მშრალი ქარი.

- მე კი მგონია, რომ ვერ შემოგვბედეს, - მიუგო გლენარვანმა, რომელსაც გული სწყდებოდა, რომ შემთხვევა არ მიეცა გრანტის ამბავი გამოეკითხა.

- მეც აგრე ვფიქრობ, - დაუმატა მაიორმა.

- თუ არ ვცდები, გაუჩოები საწყალი მიწის მუშები კი არა, აშკარა და საშიში ავაზაკები უნდა იყვნენ.

- ერთი ამას დამიხედეთ! - შესძახა პაგანელმა ისეთი გაცხარებით, რომ მაიორსაც კი უჩვეულო კილოთი ათქმევინა:

- მგონი, თქვენ ცდებით, პაგანელ!

- ვცდები?! მე?! - კითხვა შეუბრუნდა პაგანელმა.

- დიახ, თქვენ. ტალკავიც კი მათ ყაჩაღებად მიიჩნევს. ვგონებ, მას უფრო დაეჯერება.

- რა ვუყოთ, რომ მიაჩნია, ტალკავი ამ შემთხვევაში ცდება, - ნაწყენი კილოთ უპასუხა პაგანელმა, - გაუჩოები ხვნა-თესვასა და მეცხვარეობს მისდევენ... პამპის ინდიელებზე მე თვითონ მაქვს დაწერილი წიგნი და ჩემი ნაშრომი უკვე ცნობილია.

- მაშასადამე, თქვენც შემცდარხართ!

- როგორ?! მე შევმცდარვარ?!

- დიახ, თქვენ, თუნდაც თქვენი გულმავიწყობის გამო, - ჯიუტობდა მაიორი, - მეორე გამოცემაში, გირჩევთ, შეასწოროთ.

პაგანელი საშინლად ნაწყენი დარჩა, რომ მას გეოგრაფიულ ცოდნაში შეედავნენ, დაცინვის საგნად გაიხადეს და მთლად აენთო.

- უნდა იცოდეთ, ჩემო ბატონო, რომ ჩემს წიგნებს შესწორება არა სჭირდება!

- რა თქმა უნდა, სჭირდება, ამ შემთხვევის გამო მაინც! - ამრეზილად მიუგო მაიორმა.

- ბატონო ჩემო, დღეს თქვენ აუტანელი ბრძანდებით! - მიაძახა პაგანელმა.

- მე კი მგონია, რომ დღეს თქვენ ძალიან ცუდ გუნებაზე ბრძანდებით! - უპასუხა მაიორმა.

გლენარვანმა შეატყო, რომ კამათი მწვავე ხასიათს იღებდა და საუბარში ჩაერია:

- თქვენ, ორივემ, მეგობრული კამათის საზღვარი გადალახეთ და ეს ძალიან მაკვირვებს.

პატაგონიელმა არ იცოდა, რას ედავებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მიხვდა, რომ მეგობრებს შორი რაღაც შუღლი ჩამოვარდა და გაიღიმა და დინჯად ჩაილაპარაკა:

- ჩრდილოეთის ქარის ბრალია!

- ჩრდილოეთის ქარის! - შესძახა პაგანელმა, - ჩრდილოეთის ქარი რა შუაშია?!

- გალკავი მართალს ამბობს, - ჩაერია გლენარვანი, - თქვენი ამრეზილობის მიზეზი მართლა ჩრდილოეთის ქარია. გამიგონია, სამხრეთ ამერიკაში თურმე ეს ქარი საშინლად აღიზიანებს ნერვულ სისტემას.

- პატიოსნებას გეფიცებით, ედუარდ, რომ მართალს ამბობთ, - წარმოთქვა მაიორმა და გულიანად გადაიხარხარა.

პაგანელი კი მართლაც აფორიაქებული იყო, კვლავ კამათი სურდა და ახლა გლენარვანზე მიიტანა იერიში, რადგან მიდი ჩარევა დაცინვად მიიღო.

- მაშ ასე, სერ, მე ნერვიული სისტემა აშლილი მქონია!...

- დიახ, პაგანელ, ეჭვი არ არის! - მიუგო გლენარვანმა, - ამის გამომწვევი კი ჩრდილოეთის ქარია. ეს ქარი პამპაშიაც იმგვარადვე ჩაადენინებს ადამიანს დანაშაულს, როგორც ტრამონტანა რომის მიდამოებში.

- დანაშაულს ჩაადენინებს? - ბობოქრობდა პაგანელი, - მაშ, მე ბოროტმოქმედს ვგავარ?

- მე ეგ არ მითქვამს.

- ბარემ პირდაპირ მითხარით, რომ თქვენ მოსაკლავად გაგიმეტეთ.

- ოჰ, პაგანელ, ამისი კი მართლა მეშინია, - მიუგო გლენარვანმა და თან სიცილს ვერ იკავებდა, - ჩვენდა საბედნიეროდ, ჩრდილოეთის ქარი მხოლოდ ერთ დღეს ქრის თურმე.

გლენარვანის სიტყვებმა საერთო სიცილი გამოიწვია. პაგანელმა კი ცხენს დეზი ჰკრა და წინ გააჭენა გულის მოსაოხებლად. ათიოდე წუთის შემდეგ მას აღარც კი ახსოვდა ეს შემთხვევა. ამგვარად, გულკეთილი მეცნიერიც კი მცირე ხნით გაგულისდა. ეს მოვლენა გარეშე მიზეზებმა გამოიწვია, როგორც სამართლიანად აღნიშნა გლენარვანმა.

წინ მიმავალმა ტალკავმა საღამოს რვა საათზე აცნობა მათ, სანატრელი ტბის გარშემო ამართულ ბორცვებს ვუახლოვდებითო. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ პატარა ქარავანი ხალისიანად დაეშვა სალინასის ტბისაკენ, მაგრამ ელდა ეცათ - სალინასის ტბა ერთიანად დამშრალიყო.

თავი XVIII

წყლის ძებნაში

სალინასის ტბით მთავრდებოდა წყლსაცავთა ჯაჭვი, ვენტანასა და გუამინის შორის რომ არის გაბმული. ოდესღაც ტბისაკენ მრავალი ქარავანი მოდიოდა ბუენოს- აირესიდან მარილის ამოსაღებად, რადგანაც ამ ტბის წყალი ბლომად შეიცავს ნატრიუმის ქლორიდს, მაგრამ ახლა მცხუნვარე მზემ წყალი მთლიანდ აორთქლა და დალექილმა მარილმა ტბა ვეებერთელა კრიალა სარკეს დაამსგავსა. ტალკავს ეგულებოდა სალინასის ტბაში შემდინარე

მტკნარი წყლის ნაკადები, მაგრამ ისინიც დამშრალიყო, მზის გავარვარებულ სხივებს მთელი ტენი ამოესრუტა.

უზომოდ მწყურვალე მგზავრები საგონებელს მიეცნენ. მართალია, ტყავის თულუხებში კიდევ დარჩენოდათ ცოტაოდენი აშმორებული წყალი, მაგრამ არც ის იყო საკმარისი წყურვილის მოსაკლავად. უწყლობამ უფრო გაუცხოველათ წყურვილი. რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. ამ დროს აღარც შიმშილი აგონდებოდათ, აღარც დაღლილობა.

ერთ ტაფობ ადგილას მომთაბარე ინდიელების მიტოებულ "რუკას" ესე იგი ტყავის კარავს წააწყდნენ და სიცხისაგან მის ქვეშ შეაფარეს თავი. ცხენები კი დამშრალი ტბის ნაპირზე დაეყარნენ და უხალისოდ დაუწყეს ლოღნა გამხმარ წყალმცენარეებს, ლერწმის ღეროებს. კარავში პაგანელმა გრძელი საუბარი გააბა ტალკავთან. გლენარვანი გულდასმით უსმენდა მათ და თუმცა ესპანური არ ესმოდა, ორიოდე სიტყვის მნიშვნელობას მაინც მიხდა. ტალკავი ლაპარაკობდა დინჯად, დარბაისლურად, პაგანელი კი ლაპარაკის დროს ხელებსაც იშველიებდა. მათი საუბარი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბოლოს პატაგონიელმა გულხელი დაიკრიფა და გაჩუმდა.

- რაო, რას ამბობს? - მიუბრუნდა გლენარვანი პაგანელს, - მე ისე გავიგე, თითქოს ტალკავი გვირჩევს ორ რაზმად გავიყოთ და სხვადასხვა მიმართულებით გავწიოთ.

- დიახ, სწორედ ასე გახლავთ. ტალკავი ასეთ რჩევას იძლევა: ვისი ცხენებიც დაღლილობისა და წყურვილისაგან ძლივსღა მიაბიჯებენ, მათ განაგრძონ სვლა ოცდამეჩვიდმეტე პრალელის გეზით, ვისაც უფრო გამძლე ცხენები გვყავს, გავწინარუდეთ მდინარე გუამინის საძებრადო. ეს მინარე სენ-ლუკას ტბას ერთვის. აქედან ოცდაათი მილი იქნება. თუ დაწინაურებულებს იქ საკმაო წყალი დახვდებათ, იქვე დაუცდიან ჩამორჩენილ თანამგზავრებს, გუამინის ნაპირებზე; მაგრამ თუ იქ წყალი არ დახვდათ, უკანვე გამობრუნდებიან ამხანაგების შესახედრად, რომ ტყუილად არ დააკარგვინონ დრო და ძალ-ღონე.

- იქაც რომ არ აღმოჩნდეს წყალი, მაშინ? - იკითხა ტომ ოსტინმა.

- მაშინ სამხრეთისაკენ დავეშვებით, გავივლით სამოცდამეთხუთმეტე მილს სიერა-ვენტანის განშტოებამდე, იმ მიდამოებში კი მდინარეები მრავლად მოიპოვება.

- ჩინებული აზრია, ასეც მოვიქცეთ! - უპასუხა გლენარვანმა, - ჩემი ცხენი კიდევ აიტნს უწყლობას, მე გავყვები ტალკას.

- მეც წამიყვნეთ! - შეეხვეწა რობერტი, თითქოს გასართობად მისეირნობდნენ.

- შენა? მერე, შენი ცხენი რომ ვერ მოგყვება?

- როგორ არა!... ისეთი კარგი ცხენი მყავს, რომ სულ წინ მიიწევს... წამიყვანეთ, სერ, გევედრებით!

- წამოდი, ჩემო ბიჭუნი! - უთხრა გლენარვანმა, რომელსაც ესიამოვნა კიდეც, რომ რობეტი გვერდით ეყლებოდა, - სამნი უფრო ადვილად მივაგნებთ ცივ-ცივსა და ანკარა წყაროს!

- მე რაღას მიპირებთ? - შეეკითხა პაგანელი.

- თქვენ, ჩემო ძვირფასო პაგანელ, არიერგარდში დარჩებით, - მიუგო მაიორმა, - მშვენივრად გაქთ შესწავლილი ოცდამეჩვიდმეტე პარალელი, იცით მდინარე გუამინის მდებარეობა და საერთოდ, მთელი პამპა. ასე რომ, ნუ დაგვტოვებთ. ვერც ვილსონი და ვერც მიუილრედი, მით უმეტეს, მე ვერ შევხვდებით ტალკავს დანიშნულ ადგილზე. გულადი ჟაკ პაგანელის მეთაურობით კი გაბედულად ვივლით წინ.

- გემორჩილებით, - მიუგო ასეთი ნდობით ნასიამოვნებმა გეოგრაფმა.

- მაგრამ გულმავიწყობა არ იყოს! - დაურთო მაიორმა, - ისეთი ადგილას არსად მოგვახვედროთ, სადაც არა გვესაქმება რა, ან ისევ წყნარი ოკეანის ნაპირებზე არ დაგვაბრუნოთ!

- მაგის ღირსი კი ბრძანდებით, აბეზარო მაიორო! - სიცილით უპასუხა პაგანელმა და მერე გლენარვანს მიუბრუნდა, - ეს მიბრძანეთ, ძვირფასო გლენარვან, თქვენ და ტალკავი როგორ გაუგებთ ერთიმეორეს?

- მგონი, საუბარიც არ დაგვჭირდება, - მიუგო მან, - ყოველ შემთხვევაში, ორიოდე ესპანური სიტყვა მეც ვიცი და თუ გამიჭირდა, ერთმანეთს ხელებითაც მივახვედრებთ როგორმე.

- კეთილი, გზა მშვიდობისა!

- ჯერ დავნაყრდეთ, მერე, თუ მოვახერხებთ, ცოტას წავიძინებთ და გავუდგებით გზას.

ივახშმეს უწყლოდ და მიწვნენ დასაძინებლად. პაგანელს ესიზმრებოდა მჩქეფარე ნაკადები, ჩანჩქერები, მდინარეები, წყლით სავსე დოქებიც კი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაშიც კი შეიძლება სასმელი წყალი მოთავსდეს. ეს იყო ნამდვილი კოშმარი.

მეორე დღეს, დილის ექვს საათზე, შეკაზმეს ტალკავის, გლენარვანისა და რობერტის ცხენები. თულუხში დარჩენილი წყალი მათ დაალევინეს. უსიამოდ, მაგრამ მაინც ხარბად ხვრეპდნენ ცხენები საძაგელი, აშმორებული წყლის უკანასკნელ წვეთებს. სამივენი ცხენებს მოახტნენ და გზას გაუდგნენ.

- ნახვამდის! ნახვამდის! - მიაძახეს მგზავრებს მაიორმა, ოსტინმა, ვილსონმა და მიულრედიმ.

- ეცადეთ, გამობრუნება არ მოგიხდეთ! - დაადევნა სიტყვა პაგანელმა.

ტალკავი, გლენარვანი, და რობერტი მიიმალნენ. ცოტა არ იყოს, გული ეთანაღებოდათ, დარჩენილი თანამგზავრების ბედი ახლა მხოლოდ პაგანელის გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული. Desierto de las Salinas - სალინასის უდაბნო, რომელზეც ისინი მიდიოდნენ, თიხნარ ვაკეს წარმოადგენდა და დაფარული იყო დაბალი, სამმეტრიანი ხეებითა და პაწია მიმოზებით, რომლებსაც ინდიელები "კურა-მამალს" უწოდებენ; "იუმას" ბუჩქებით, რომელთა ნაცარი მდიდარია სოდით; აქა-იქ ხვდებოდათ მარილიდ დიდრონი ფილები, რომლებიც მზის სხივებზე ელვარებდნენ. მარილის ფილები, ანუ როგორც ინდიელები იტყვიან, "ზარეროს", შორიდან გაყინული წყლის ზედაპირს აგონებდა ადამიანს, მაგრამ პაპანაქება ნებას არ აძლევდათ, მისცემოდნენ ილუზიას. კონტრასტი ამ ხრიოკ, უნაყოფო და მოტრუსულ ნიადაგსა და სარკესავით აელვარებულ მარილის განაფენებს შორის თავისებურ ელფერს აძლედა არემარეს.

სავსებით სხვა სანახაობას წარმოადგენდა სიერ-ვენტანის ის მიდამოები, რომელნიც სამხრეთისაკენ ას ოცი კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა და მგზავრების საბოლოო მიზანს წარმოადგენდა, იმ შემთხვევაში, თუ გუამინი დამშრალი დახვდებოდათ.

ეს იშვიათი ნაყოფიერი ადგილები 1835 წელს გამოიკვლია ხომალდ "ბიგელის" კაპიტანმა ფიც-როიმ. იმ არემარეში გადაჭიმულია ინდიელების საუკეთესო იალაღები, ხოლო სიერების ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობები დაფარულია ბალახითა და სხვადასხვა ჯიშის ხეებით. იქ ხარობს ხე "ალგარობო" რომლის ნაყოფსაც ახმობენ, ცეხვავენ და ინდიელების საყვარელ პურს აცხობენ. აქ იზრდება ასევე თეთრი კვერბახო, რომელიც თავისი მტირალა, გრძელი, მოქნილი ტოტებით ევროპულ ტირიფს წააგავს; ბზასავით მკვრივი, წითელი კვერბახო და ნაუდუბაი, რომელიც ძალიან მალე ენთება და ხშირად ტყეში ხანძრის გაჩენის მიზეზიც ხდება. შეხვდებით აგრეთვე ტოტებზე ლილისფერი ყვავილების წესიერი პირამიდებით დაფარულ "ვირაროს", აქ ხარობს ე.წ. "ტიმბუცი", რომელის ვარჯი ოცდაათ მეტრზეა ატყორცნილი და ქოლგისებურად გაშლილი უშველებელი ტოტეის ქვეშ მთელ ცხვრის ფარას დაიტევს.

არგენტინელებმა არაერთხელ სცადეს დასახლებულიყვნენ ამ მდიდარ მხარეში, მაგრამ ყოველთვის უკუიქცეოდნენ ხოლმე მტრულად დამხვდური ინდიელებისაგან. ასეთ მცენარეულობას და ტყეებს, ცხადია, შესაფერისი სინოტივეც სჭირდებოდა. ამიტომ სერა-ვენტანის ფერდობები მდიდარი უნდა ყოფილიყო მდინარეებითა და წყაროებით. მართლაც ასე იყო: უდიდესი გვალვების დროსაც კი აქ მდინარეები არ შრება, მაგრამ იქამდე მისასვლელად ორასი კილომეტრის გავლა იყო საჭირო, ამიტომ ტალკავი გონივრულად მოიქცა, წყლის საძებრად ჯერ გუამინის მიაშურა, მაგრამ ამით აღებულ გეზს გადაუხვია.

ალღოიანი ცხენები ჭენებით მიდიოდნენ, ალბათ, გრძნობდნენ, რომ წყლისაკენ მიერეკებოდნენ მათ. ყველაზე მარდად თაუქა გარბოდა. მისი ხალისი გლენარვანისა და

რობერტის ცხენებსაც გადასდებოდათ. კივალში მისდევდნენ, თუმცა მისი სიმკვირცხლე აკლდათ.

ტალკავი სარივით ამართულიყო უნაგირზე და თანამგზავრებს მაგალითს აჩვენებდა, როგორც თაუქა მათ ცხენებს. პატაგონიელი ხშირად მოიბრუნებდა თავს, რათა რობერტისათვის გადაეხედა და ცხენზე მარჯვედ მჯდომარეს რომ დაიანავდა, აღტაცებული შეძახილით ამხნევედა.

- ყოჩაღ, რობერტ! ტალკავი აღტაცებულია შენით! - უთხრა გლენარვანმა.

- რითი, სერ?

- მოხდენილად და მარჯვედ რომ ზიხარ ცხენზე.

- მხოლოდ მაგრად ვზივარ უნაგირზე, მეტი არაფერი, - დარცხვენით უპასუხა რობერტმა და ლოყები შეეფაკლა.

- მთავარი ეგ არის! რობერტ, შენ მორცხვობ, მაგრამ უნდა გითხრა, რომ სპორტსმენი გამოხვალ!

- მაგას რაღა სჯობია! - სიცილით მიუგო რობერტმა, - მაგრამ მამას რომ ჩემი მეზღვაურობა სურდა?

- ერთი მეორეს როდი დაუშლის, რობერტ, პირიქით, თუ ყველა მოვარჯიშეს არ შეუძლია კარგი მეზღვაურობა გასწიოს, სამაგიეროდ, კარგ მეზღვაურს ადვილად შეუძლია კარგი სპორტსმენი გახდეს! მეზღვაურები ანძასა და ხარიხებზე ცოცვის დროს ეჩვევიან მაგრად შემოჭიდებას, უმთავრესი კი ეს არის, თორემ ცხენის მოხმარება, მიტრიალ-მოტრიალება თავისთავად მოვა.

- საბრალო მამა, როგორ დაგიმადლებთ, როდესაც დაიხსნით...

- რობერტ, ძალიან გიყვარს მამა?

- უჰ! ძალიან!... ძალიან!... ისეთი გულკეთილია, ისეთი მოსიყვარულე, რომ... სულ ჩემზე ფიქრობს, ჩემზე და ჩემს დაზე... სახლში ისეთი ალერსიანი იყო, ისეთი კეთილი, ისეთი მოსიყვარულე და გულჩვილი, რომ... აი, რომ გაიცნობთ, თქვენც შეგიყვარდებათ!... მერი ზედგამოჭრილი მამაა! იმასაც ისეთი ნაზი და ტკბილი ხმა აქვს... მეზღვაური და ასეთი ნაზი ხმა... უცნაური არ არის?

- მართლაც საოცარია, რობერტ...

- აი, ამ წუთსაც თითქოს თვალწინ მიდგას, - განაგრძობდა რობერტი, - ჩემი კეთილი, ჩემი კარგი მამა!... სულ პაწაწინა რომ ვიყავი, ხელზე მაძინედა და თან ღიღინებდა ძველებურ შოტლანდიურ სიმღერებს... ის მელოდია ხშირად მაგონდება ხოლმე... მერიც ასეა!... ოჰ, მილოდ! რომ იცოდეთ, როგორ გვიყვარს ორივეს!... მე მგონია, მარტო ბავშვებს შეუძლიათ ასე ძალიან უყვარდეთ მამა.

- მართალი ხარ, ჩემო ბიჭუნი, - უპასუხა გულაჩუყებულმა გლენარვანმა.

საუბრისას ცხენებმა ნაბიჯს უკლეს. ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ რობერტმა უცებ ჰკითხა:

- ნამდვილად კი ვიპოვით მამას?

- უსათუოდ! ტალკავმა მის კვალს მიგვაგნებინა, მე მას სავსებით ვენდობი.

- რა ჩინებული ინდიელია ეს ტალკავი, - თქვა რობერტმა.

- ნამდვილად! - მიუგო გლენარვანმა.

- იცით, რა, სერ?...

- რა, რობერტ?

- თქვენ ირგვლივ კარგი ადამიანები არიან! მისის ელენი, რომელიც ასე ძალიან მიყვარს, ყოველთვის მშვიდი მაიორი, კაპიტანი ჯონი, ბატონი პაგანელი და ყველა მეზღვაური "დუკანიდან", ყველა თავდადებულია და მამაცი!

- ჰო, ვიცი, ჩემო ბიჭუნი, - უპასუხა გლენარვანმა.

- მაგრამ ისიც იცით, რომ თქვენ ყველაზე უკეთესი ხართ?

- არა, ეს არ ვიცი.

- მაშ იცოდეთ, სერ!- უპასუხა რობერტმა და მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა.

გლენარვანმა ალერსიანად გააქნი თავი. ამ დროს წინ მიმავალი ტალკავი მოტრიალდა და ანიშნა - მოუჩქარეთო. ორივე დაეწია ინდიელს და სამივემ ჭენებით განაგრძო გზა, მაგრამ მალე შეიტყვეს, რომ ცხენებს, თაუქას გარდა, ჭენების თავი აღარ ჰქონდათ.

შუადღისას ერთი საათით შეასვენეს ცხენები, მაგრამ ისე არაქათგამოლეულები იყვნენ, რომ პირი არ დააკარეს იონჯის ჯიშის მცენარეს, ალფაფარას, რომელიც მზისაგან უმოწყალოდ გამხმარი და გაშავებული იყო.

გლენარვანი საგონებელს მიეცა, რადგან გვალვას ბოლო აღარ უჩანდა, უწყალობას კი სავალალო შედეგი მოჰყვებოდა. ტალკავი დუმდა. როგორც ჩანდა, მას გუამინის იმედი ჰქონდა. ალბათ, ფიქრობდა, სასოწარკვეთილებას მხოლოდ მაშინ უნდა მისცემოდნენ, თუკი ეს მდინარეც დამშრალი დახვდებოდათ. წინსვლა მაინც საჭირო იყო. რობერტი და გლენარვანი ცხენებს ძალით, დეზების კვრითა და მათრახის ცემით მიერეკებოდნენ. ტალკავს რომ თაუქასავით თავი მიეშვა, თანამგზავრებს უკან მოიტოვებოდნენ და რამდენიმე საათში მიაღწევდა მდინრეს, მაგრამ უდაბნოში მათი მარტო დატოვება არ უნდოდა. თაუქა კი სულ წინ იწევდა, ყალყზე დგებოდა და ლაგამს მოუსვენრად ღრღნიდა, მაგრამ პატაგონიელი ლაპარაკით ამშვიდებდა. ალბათ, ცხენმაც გაუგო პატრონს, ბოლოს და ბოლოს მოთვინიერდა და ნაბიჯით იწყო სიარული.

თუ თაუქამ იგრძნო ტალკავსი სურვილი, სამაგიეროდ, ტალკავიც მიუხდა ცხენს გულისთქმას. გონიერი ცხოველი ალღოთი გრძნობდა წყლის სიახლოვეს, ხშირად ყნოსავდა ჰაერს და ენასაც კი აწკლაპუნებდა, თითქოს უკვე სვამდა სანატრელ სასმელს. პატაგონიელი მართალი გამოდგა. წყალი მართლაც ახლოს იყო. ტალკავმა გაამხნევა თანამგზავრები, შეატყობინა, თაუქამ წყლის სიახლოვე იგრძნო წყლის სიახლოვე, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ინდიელის ცხენის კვალს გაჰყვა.

სამი საათი იქნებოდა, როდესაც ბორცვის გადაღმა თვალი მოჰკრეს რაღაც თეთრ ზოლს, რომელიც მზეზე თეთრად ბრწყინავდა.

- წყალი! - წამოიძახა გლენარვანმა.

- წყალი!... წყალი!... - შეჰყვირა რობერტმა. ახლა ცხენებს აღარც დეზი კვრა სჭირდებოდათ, აღარც მათრახი. ისინი გაშმაგებით გაექანენ მდინარისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ცხენები მხედრებიანად შეცურდნენ გუამინის ცხოველმყოფელ ზვირთებში და გახურებული მგზავრებიც გააგრილეს.

- ოჰ, რა კარგია, რა კარგი! - ამბობდა რობერტი და ეწაფებოდა მჩქეფარე მდინარეს.

- ზომიერება იცოდე, ჩემო პატარავ, - გააფრთხილა გლენარვანმა, თუმცა თვითონ ვერ ახერხებდა, ეჩვენებინა ამის მაგალითი.

ერთხანს მხოლოდ ხვრეპა და სრუტვა გაისმოდა. ტალკავი დინჯად, აუჩქარებლად ხვრეპდა წყალს. როგორც პატაგონიელები ამბობენ, პატარ-პატარა, მაგრამ "ლასოსავით გრძელი" ყლუპებით დიდხანს, ამოუსუნთქავად სვამდა. გეგონებოდათ, მთელი მდინარე უნდა ამოსრუტოსო.

- ახლა აღარ ვწუხვარ ჩვენს მეგობრებზე, - თქვა გლენარვანმა, - მათ იმედი არ გაუცრუვდათ და თუ თაუქას გადაურჩა რამე, ბლომად დაუხვდებათ ცივ-ცივი წყალი.

- განა არ შეიძლება, რომ შევეგებოთ? - ჰკითხა რობერტმა, - რამდენიმე საათით მაინც შევუმსუბუქებდით წამებას.

- კარგი იქნებოდა, ჩემო ბიჭუნა, მაგრამ წყალი რით წავიღოთ! ტყავის თულუხები სულ ვილსონთან დარჩა.. სჯობია, დაპირებისამებრ აქვე დავუცადოთ. თუ მხედველობაში მივიღებთ მათ დაღლილობასა და მანძილს, ხვალღამ მოაღწევენ ჩვენამდე, ჩვენ კი ღამის გასათევ ადგილსა და ვახშამს დავახვედრებთ.

ტალკავს უკვე ეპოვა ღამის გასათევი ადგილი. ეს იყო მდინარის პირას სამივე მხრიდან მესერშემოვლებული ე.წ. "რამადა", სადაც ინდიელები საქონელს ამწყვდევენ ხოლმე. ჩინებული აღმოჩენა იყო. მართალია, ღამის გათევა ცის ქვეშ დასჭირდებოდათ, მაგრამ ეს არავის აფიქრებდა. სამივენი კმაყოფილნი გაიშოტნენ მზეზე უნებლიე ბანაობით დასველებული ტანსაცმლის გასაშრობად.

- ახლა, როდესაც ბინა დავიგულეთ, ვახშამზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი მეგობრები მადლიერნი დარჩნენ დაწინაურებული მზვერავებით. აქ რომ ერთ საათს წავინადიროთ, მგონი, უნაყოფოდ არ ჩაგვივლის. შენ რას იტყვი, რობერტ, ნადირობის გუნებაზე არა ხარ?

- წავიდეთ! - უთხრა გლენარვანმა.

- მზად გახლავართ, სერ, - მიუგო რობერტმა და თოფს დასტაცა ხელი.

გუამინის ამ ნაპირებს ყოველი მხრიდან ეტანებოდა ნადირი თუ ფრინველი. მათ თვალთა წინ გუნდებად დაფრინავდნენ ფრინელი ტუნამუ, რომელიც პამპის წითელ გნოლს ჰგავდა, შავი "ტერუ-ტერუ", ყვითელი ღალღა, შესანიშნავი მწვანეფრთიანი წყლის ქათამი, მაგრამ ნადირი ჯერ არსად ჩანდა. ტალკავმა ხელით ანიშნა ჭალასა და შამბნარზე, ნადირი იქ არის შეფარებულიო. რამდენიმე ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ ბევრი ფრინველი დაინახეს, მაგრამ არ ისურვეს მათი ხელის ხლება.

მალე თვალი შეასწერეს გუანაკოს ჯოგს. ეს სწორედ ის ცხოველები იყვნენ, რომელნიც ისე მოურიდებლად მოექცნენ მათ კორდილიერების მწვერვალზე. ჯოგში ასამდე გუანაკო მაინც იქნებოდა, მაგრამ მოანდირეები სიახლოვესაც არ მიიკარეს და ელვის სისწრაფით გაუჩინარდნენ. ბოლოს ისევ წვრილმანებზე იკადრეს ნადირობა და თორმეტიოდე ტყის ქათამი მოკლეს. გლენარვანმა კი მარჯვე გასროლით მოკლა პეკარი ტაი-ტეტრი, წითური სქელკანიანი ცხოველი, რომელიც განთქმულია გემრიელი ხორცით. ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ საკმაოზე მეტიც მოინადირეს. რობერტმა ერთი ბაკნიანი და უკბილო ცხოველი "არმადილი" მოკლა, რომელიც პატაგონიელის თქმით, ძალიან მსუქანი და გემრიელი უნდა ყოფილიყო. ყმაწვილი ცას ეწია სიხარულთი. ტალკავმა კი სირაქლემაზე ნადირობით ისახელა თავი.

სირაქლემამ, რომელსაც ინდიელები "ნანდუს" უწოდებენ, საოცრად სწრაფი სირბილი იცის. ტალკავი ცხენდაცხენ დაედევნა, მაგრამ მისი დაწევა ნარც ისე ადვილი იყო, რადგან სირაქლემა მიხვეულ-მოხვეულად გარბოდა. ამიტომ ტალკავმა მიახლოებისას მარჯვედ ესროლა ბოლასი, რომელიც სირაქლემას ფეხებში გაეხლართა და მოძრაობის საშუალება არ მისცა. რამდენიმე წუთი ტალკავს უკვე მოჰქონდა მოკლული ნანდუ.

ტალკავი იმწუთას ნადირობის ეშხით ისე არ იყო გატაცებული, როგორც იმით, რომ უნდოდა ევროპელებს გამასპინძლებოდა ნანდუს გემრიელი ხორცით და ამით თავისი წვლილი შეეტანა საერთო სუფრაზე.

მალე სამივენი ნანადირევით დაბრუნდნენ რამადაში. სირაქლემა და პეკარი გაატყავეს. გამოშიგნეს, ასო-ასო დაჭრეს, "არმადილი" კი გაუტყავებლად, ბაკნიანად შეწვეს ნაკვერცლხებზე. თვითონ თყის ქათმებით ივახშმეს, უკეთესი და უფრო ყუათიანი საჭმელი თანამგზავრებს შეუნახეს. ვახშამს მადიანად შეექცნენ და ზედ ცივ-ცივი წყალი დააყოლეს, რომელიც ისე გემრიელი ეჩვენებოდათ, რომ საუკეთესო ღვინოზედაც არ გაცვლიდნენ. არც ცხენები დატოვეს უყურადღებოდ. "რამადაში" ხმელი ბალახი მოაგროვეს, ნაწილი საკვებად დაუყარეს და ნაწილი კი დაუფინეს.

ბოლოს გლენარვანი, რობერტი და ტალკავი პონჩოებში გაეხვივნენ და ხმელ ალფაფარზე მიწვნენ, როგორც პამპის მონადირეებს სჩვევიათ.

თავი XIX

წითელი მგლები

ჩამოღამდა. ახალი მთვარე მალე მიიმალა ცისკიდურზე. ტრიალ ვაკეს მხოლოდ ვარსკვლავების მკრთალად მოციმციმე შუქი ეფინებოდა. მდინარე გუამინი უხმაუროდ მოლივლივებდა თავის კალაპოტში. ყველაფერი მოსვენებას მისცემოდა - ფრინველი, ცხოველი, ნადირი თუ ქვეწარმავალი, სრული სიჩუმე დამკვიდრებულიყო პამპის ამ თვალუწვდენელ სივრცეზე.

იონჯის რბილ ხალიჩაზე მიწოლილ გლენარვანს, რობერტსა და ტალკავს გულიანად ეძინათ. მოქანცული ცხენები მიწაზე დაყრილიყვნენ, თაუქა კი, ეს წმინდა ჯიშის მერანი, ზეზეულად თვლემდა, მზად იყო, პატრონის პირველივე შეძახილზე მისკენ გაფრენილიყო.

მესრის შიგნით სრული სიწყნარე გამეფებულიყო, მიმქრალი ცეცხლი უკანასკნელ შუქს ჰფენდა სიბნელით მოცულ, მყუდროებაში ჩაძირულ მიდამოს.

საღამოს ათი საათი იქნებოდა, როდესაც ინდიელმა მოულოდნელად გამოიღვიძა, თვალები მიაპყრო წყვდიადს, გულისყური ველისაკენ წარმართა და სმენად გადაიქცა, თითქოს რაღაც უცნობი ხმაურის გარკვევას ცდილობსო.

დინჯ და უშფოთველ სახეზე უცებ ძლიერი მოუსვენრობა გამოეხატა. ნეტავ რა იყო, რა მოხდა? მოხეტიალე ცხენოსანი ინდიელების მოახლოება იგრძნო თუ ვეფხვის, იაგუარის ან რომელიმე სხვა მხეცის სიახლოვე?... ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო შესაძლებლად მიიჩნია, მით უმეტეს, რომ მდინარის პირას შამბნარში უამრავი ნადირი ეგულებოდა.

ტალკავმა მაშინვე გამოცდილი თვალით გადახედა საწვავ მასალას და მღელვარება მოუმატა. რას გააწყობენ ამ გამხმარი იონჯის ბალახით, რომელიც ქვეშ უგიათ? ერთ აპრიალებაზე ჩანელდება და ხანგრძლივად ვერ შეაჩერებს მხეცებს. წამოჯდა, იდაყვებით მუხლებს დაებჯინა, თავით ხელებზე დაეყრდნო და ღამის წყვდიადს მიაშტერდა იმ ადამიანის მზერით, რომელიც მოულოდნელმა განგაშმა გამოაღვიძა.

ერთი საათი მაინც გავიდა ასეთ ყოფაში. სხვა ისევ დასაძინებლად მიწვებოდა, მაგრამ იქ, სადაც ევროიპელის გული ვერაფერს იგრძნობს, ინდიელის ალღო და მახვილი სმენა შორიდან იღებს გუმანს. ტალკავი ისევ გაშტერებით გასცქეროდა წყვდიადით მოცულ ველს, როდესაც თაუქამ ყრუდ დაიჭიხვინა და თავი მოიღრიცა რამადას შემოსასვლელისაკენ.

- თაუქამ მტრის საიხლოვე იგრძნო! - ჩაილაპარაკა მან და გაფაციცებით მოავლო თვალი მიდამოს.

ირგვლივ ისევ სიწყნარე და მყუდროება იყო, მაგრამ შორს, სიბნელეში, ველზე თითქოს რაღაც მოძრაობდა, თითქოს რაღაც მოციალე ჩრდილებიც შეამჩნია შამბნარში, დრდოდარო კი მანათობელი წერტეილების გაელვარებაც...

აქა-იქ ჩნდებოდნენ, ძღაპრული ნათურებივით ქრებოდნენ და ხელახლა ჩნდებოდნენ. უცხოელი ამ წერტილებს პამპის ციცინათელებად მიიჩნევდა, მაგრამ ტალკავი ვერ მოტყუვდებოდა! მაშინვე მიხვდა, როგორ მოწინააღმდეგესთან ექნებოდა საქმე, კარაბინს დასტაცა ხელი, საჩქაროდ დატენა, მესრის ბოძს აეტუზა და ისე გასცქეროდა მიდამოს.

ამ მოლოდინში უცებ შამბნარში უცნაური ყმუილი და ყეფა გაისმა. ინდიელმა ისროლა. საპასუხოდ გაისმა ასობით მხეცის ღმუილი. გლენარვანი და რობერტი დაფეთებულები წამოცვივდნენ.

- რა მოხდა? რა ამბავია? - იკითხა ახალგაზრდა გრანტმა.

- ინდიელებია? - იკითხა გლენარვანმა.

- არა, აგუარები! - თქვა ტალკავმა.

- აგუარები?! - გაიმეორა რობერტმა.

- პამპის წითელი მგლებია, - გაუმეორა გლენარვანმა.

ორივემ თოფებს დაავლო ხელი და ტალკავს გვერდში ამოუდგნენ. ინდიელმა ველზე მიუთითა, საიდანაც შემზარავი ყმუილი მოისმოდა. რობერტს გააჟრჟოლ... უნებლიეთ უკან დაიწია...

- მგლების ხომ არ გეშინია? - ჰკითხა გლენარვანმა.

- არა, სერ! - მტკიცე ხმით მიუგო რობერტმა, - თქვენთან რისი უნდა მეშინოდეს...

- ასე სჯობია! აგუარები არც იმდენად საშიშნი არიან!... ბევრნი რომ არ იყვნენ, ყურადღებასაც არ მივაქცევდით...

- მერე რა, რომ ბევრნი არიან... ჩვენც კარგად ვართ შეიარღებული... აბა, ერთი მობედონ!

- ჩვენც კარგად დავუხვდებით! - ამშვიდებდა გლენარვანი ბავშვს. თუმცა გული კი ეთანაღრებოდა, რადგან ეს მხეცები ღამღამობით მეტად თავხდები არიან... ვინ იცის, მათი

ხროვა რამდენი ათასი აგუარისაგან შედგება! ესენი კი მხოლოდ სამნი არიან და რაც უნდა კარგად იყნენ შეიარაღებულნი, ხორვასთან გამკლავება გაუძნელდებათ.

პამპის აგუარი, ანუ წითელი მგელი, რომელსაც ნატურალისტები "ჩანის-ჯუბატოს" უწოდებენ, შინაური ძაღლისოდენაა; თავი მელიას მიუგავს, ბალანი მუქი წითელი აქვს; ზურგზე, ხერხემლის გასწვრივ, ჯაგარი აყრია, მოქნილი, ღონიერი და ფეხმარდია; ჭაობიან ბუჩქნარებში ბუდობენ, ფრინველებსა და ცხოველებზე ნადირობენ, ხშირად წყალშიაც შედიან სანადიროდ. ღამღამობით ტოვებენ ბუნაგს და სანადიროდ გამოდიან. მეცხვარეაბს ძალიან ეშინიათ მათი, რადგან მშიერი აგუარები მსხვილფეხა საქოინელსაც ეტანებიან და შეუძლიათ მთელ ნახირს გამოღადრონ ყელი. ცალკე თუ შემოგხვდება აგუარი, საშიში არ არის, სულ სხვაა, როდესაც დამშეული აგუარების ხროვა გამოდის სანადიროდ.

გამაყრუებელმა ყმუილმა და უთვალავმა მოელვარე წერტილმა გლენარვანი მიახვედრა, რომ ხროვა დიდი უნდა ყოფილიყო. რაკი მათ ცხენებისა და ადამიანების სუნი ეცათ, ასე ადვილად როდი გაბრუნდებოდნენ ბუნაგებისაკენ...

მგზავრები დიდ საფრთხეში იყვნენ. აგუარები თანდათან უახლოვდებოდნენ და რკალივით ერტყმოდნენ მესერს. დამფრთხალი ცხენები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. თაუქა გაშმაგებით სცემდა ტორებს და გასაქცევად აწყვეტას ლამობდა. ტალკავმა გაბმული სტვენით დაამშვიდა. გლენარვანი და რობერტი რამადას შესასვლელთან დადგნენ. კარაბინები დატენეს და ის იყო სროლას აპირებდნენ, რომ ტალკავმა ხელით ანიშნა.

- რას ამბობს ტალკავი? - იკითხა რობერტმა.

- ნუ ესვრითო.

- რატომ?

- ალბათ, ნაადრევი თუა...

მაგრამ ინდიელმა თავისი თოფის საწამლეს ხუფი ახადა და გლენარვანი შიგ ჩაახედა. დენთი ძირამდე იყო დასული. რობერტი გლენარვანს მისჩერებოდა.

- რას ამბობს?

- თოფის წამალი ცოტა გვქონია. უნდა დავზოგოთ, ჩემო ბიჭუნა, გუშინდელი ნადირობა ძვირად დაგვიჯდა, თორმეტიოდე ტყვიაღა გვაქვს.

რობერტი დუმდა.

- რა იყო, ხომ არ გეშინია, რობერტ?

- არა, სერ.

- გამაგრდი, ჩემო ბიჭუნა!

ამ დროს თოფმა იქუხა... ტალკას მოეკლა მესერთან მოახლოებული აგუარი. დანარჩენებმა უკან დაიხიეს და მესრიდან ასიოდე ნაბიჯზე გაჩერდნენ. ტალკავმა ხელით ანიშნა და გლენარვანი მის ადგილზე გადავიდა, ტალკავი კი გაექანა, გამხმარი იონჯა ამოიღლიავა, კართან დაყარა და ნაკვერცხლები მოაყარა.

გამხმარი კაჭაჭი ახრჩოლდა, ერთბაშად აპრიალდა და მიდამო გაანათა. გლენარვანმა ახლა კი აშკარად დაინახა, რა ურიცხვ მტერთან ჰქონდათ საქმე.

ცეცხლის შუქმა გააღიზინა აგუარების ხროვა, აგიზგიზებულ კოცონს მისცვივდნენ, მაგრამ თითები რომ დაეწვათ, უკან გაბრუნება იკადრეს.

თოფებს კანტიკუნტად ისროდნენ შემოტევის შესაჩერებლად. თხუთმეტიოდე აგუარი უკვე გამოასალმეს სიცოცხლეს. ალყაშემორტყმულების მდგომარეობა ჯერ სახიფათო არ იყო. მათ კიდევ მოეპოვებოდათ სასროლი მასალა. ამასთან, კოცონიც აფრთხობდა აგუარებს, მაგრამ რას გააწყობდა მაშინ, როდესაც სასწროლი მასალაც გამოელეოდათ და იონჯაც?

გლენარვანმა რობერტს გადახედა და გული შეეკუმშა. მას უკვე დავიწყებოდა თავისი თავი და მხოლოდ ამ პატარა გულადი ბავშვის ბედი აწუხებდა. აგუარების მოლოდინში გაფითრებული, თოფმომარჯვებული რობერტი ყოჩაღად იდგა სადარაჯოზე.

"ერთი საათის შემდეგ აღარც ტყვია-წამალი გვექნება, აღარც ცეცხლი", - გაიფიქრა გლენარვანმა და ტალკავს მიუახლოვდა. ორივე მიუხვდა ერთმანეთს, მით უმეტეს რომ გლენარვანმაც კარგად იცოდა აგუარების ბუნება. თხუთმეტი წუთის შემდეგ ლორდი ისევ რობერტთან დაბრუნდა.

- რას ამბობს? - შეეკითხა რობერტი.

- როგორმე გარიჟრაჟამდე უნდა გავუძლოთ!... აგუარები მხოლოდ ღამღამობით დაძწიან სანადიროდ, განთიადისას კი ბუნაგებს უბრუნდებიანო. ღამის მტაცებლები არიან, მაგრამ მშიშარებიც. მზის შუქს გაურბიან. ესენი ოთხფეხა ბუებია.

- ჩვენც გათენებამდე მოვიგერიოთ.

- გათენებამდე თავს დავიცავთ, ჩემო ბიჭუნი, და თუ ტყვია-წამალი შემოგველევა, დანებით ვიბრძოლებთ!

ამისი მაგალითი ტალკავმა უკვე მისცა თანამგზავრებს - როდესაც რომელიმე თავხედი აგუარი მესერს მოადგებოდა, ტალკავი მესრიდან მარჯვედ გააქანებდა მკლავს და დანით მუსრს ავლებდა, მაგრამ თავდაცვის საშუალებანი თანდათან ელეოდათ.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ტალკავმა ერთხელაც დააყარა ცეცხლს კაჭაჭი, დენთი კი ხუთი გასროლაღა დარჩენოდათ. გლენარვანმა უილაჯოდ მიიხედ-მოიხედა და გული გადაუქანდა. თვალწინ წარმოუდგა რობერტის რობერტის ბედი, გზაში დატოვებული ამხანაგები, გაახსენდა ყველა, ვინც ძვირფასო იყო მისთვის. კვლავ რობერტს გადახედა... წარმოიდგინა ის საბედისწერო წუთი, როდესაც აგუარები გაფარტავდნენ. მღელვარება ვეღარ შეიკავა, თავისკენ მიიზიდა რობერტი და შუბლზე აკოცა. მას ლოყებზე ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა.

რობერტმა ღიმილით შეხედა და უთხრა:

- მე არ მეშინია!...

- მართალიც ხარ, არ შეშინდე, ჩემო ბიჭუნი! ორი საათის შემდეგ ინათებს და გადავრჩებით! - მერე უცებ ინდიელს გადასძახა, - ყოჩაღ, ტალკავ! დასცხე მაგათ, ჩემო მამაცო პატაონიელო!

თურმე ორი აგუარი კოცონზე გადმოხტომას ლამობდა და ტალკავმა თოფის კონდახით სული გააფრთხობინა.

გლენარვანმა ცეცხლის მჟუტავ ალზე გაარჩია მოზღვავებული ხროვა, გული შეეკუმშა და ისევ რობერტისკენ გაიხედა. ბიჭი თოფმომარჯვებული იდგა და გაფითრებული ელოდა აგუარების შემოტევას.

სისხლიანი აღსასრულის წუთი მოახლოებულიყო. ცეცხლი თანდათან მინელდა. მიდამო ისევ წყვდიადმა მოიცვა და ველად კვლავ აციმციმდა აგუარის თვლების ფოსფორული ციცინათელები. ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ხროვის შემოსევა. თოფმა იჭექა, ტალკავმა ერთიც მოკლა, მაგრამ სასროლი აღრა ჰქონდა და გულხელდაკრეფილი, თავჩაქინდრული ფიქრს მისცემოდა. ცდილობდა, მოესაზრებინა რაიმე საშუალება მძინარე ხროვისაგან თავის გადასარჩენად. მისი შემყურე გლენარვანიც გრძნობდა ამას, მაგრამ შეეკითხვა ვერ შეებედა.

აგუარების მოძრაობაში უცებ ცვლილება მოხდა. ერთბაშად უკან დაიხიეს და გამაყრუებელი ყმუილი თანდათან მიწყდა. ჩაბნელებულ ველზე შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა.

- გაბრუნდნენ! - წამოიძახა რობერტმა.

- შესაძლოა, - მიუგო გლენარვანმა.

ტალკავი მიხვდა მათ საუბარს და უარის ნიშნად თავი გაიქნია. გამოცდილებით იცოდა, რომ აგუარები ნიშანში ამოღებულ საკბილოს ასე ადვილად ვერ დატოვებდნენ, სანამ გარიჟრაჟი არ მოუსრებდა და ბნელ ბუნაგში არ გაისტუმრებდა მათ. აგუარებმა, ალბათ საიერიშო ხერხი შეიცვალეს.

მართლაც, აგურებსი ხროვა, რამადას შესასვლელს რომ გასცილდა, ახლა მეორე მხრიდან მოაწყდა მესრის კუნძების ღრღნითა და კლანჭების ფხოჭნით. ფუტურო კუნძებს შორის მოჩანდა მათი დასისხლიანებული პირებ და ღონიერი თათები. ცხენები დაფრთხნენ. აიწყვიტეს და რამადას ეზოში ხან ერთ კუთხეს ეცემოდნენ და ხან მეორეს.

გლენარვანმა გულზე მიიკრა რობერტი, გადაწყვეტილი ჰქონდა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა მისთვის. აქედან გაქცევაც კი მოუვიდა აზრად, მაგრამ სად ან როგორ? ამ დროს ტალკავს გააყოლა თვალი. პატაგონიელი, რომელიც აქამდე რამადაში დაძრწოდა,

აცახცახებულ თაუქასთან გაჩნდა და მოსართავს უჭერდა, აგუარების ყმუილი კი არემარეს აყრუებდა.

- ნამდვილად გვტოვებს, - წამოიძახა გლენარვანმა, როდესაც ტალკავმა ლაგამს სტაცა ხელი და ცხენზე შეხტომა დააპირა.

- ტალკავი? არასოდეს! - შესძახა რობერტმა და მართლაც, ტალკავი კი არ ტოვებდა მათ, არამედ მათი ხსნა სურდა.

თუქა ლაგამს ღრღნიდა, თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა. მან იგრძნო პატრონის განზრახვა. გლენარვანი მიიჭრა და ხელით ანიშნა ვაკისაკენ.

- გვტოვებ?

- დიახ! - მიუგო ტალკავმა და ესპანურად დაუმატა, - თაუქა ჩინებული ცხენია, სწრაფი, უშიშარი, აგუარების ხროვას გაიყოლებს!

- ოჰ, ტალკავ!... ტალკავ! - შეძახა გლენარვანმა და გულაჩუყებულმა რობერტს უთხრა:

- რობერტ, ჩემო ძვირფასო, ტალკავი ჩვენი გულისათვის თავს სწირავს... ჩვენ აქ გვტოვებს, რომ აგუარები პამპაში გაიტყუოს!...

რობერტი ტალკავისაკენ გაექანა და მოეხვია.

- ძვირფასო ტალკავ, ნუ დაგვტოვებ!

- არა, ტალკავი არ დაგვტოვებს! - მერე ტალკავს მიუბრუნდა, - მეც მოვდივარ შენთან, ტალკავ! - უთხრა გლენარვანმა.

- არა, თქვენი ცხენები დამფრთხალია, თაუქა კი გულადია!..

- მაშ, კარგი! რობერტი შენთან დარჩეს, ტალკავ!... მე მივდივარ! - მიუგო გლენარვანმა და თან თააუქას სადავეს უტაცა ხელი.

- არა! - დინჯად მიუგო პატაგონიელმა.

- გეუბნები, მე წავალ-მეთქი! - თან ხელიდან სადავეს გლეჯდა, - შენ ბავშვს უპატრონე!.. შენთვის ჩამიბარებია!...

გლენარვანი მღელვარებისაგან ერთმანეთში ურევდა ინგლისურ და ესპანურ სიტყვებს. ასეთ საშინელ წუთებში ნახევრად ნათქვამი სიტყვაც გასაგები ხდება. ცხენის სადავეს ერთიმეორეს არ ანებებდნენ, ბოლოს ტალკავმა გლენარვანი რამადას კართან მიიყვანა და ვაკეს გახედა.

- აქეთ აგუარები არ არიან, არ ერთი წუთი არ უნდა დავკარგოთ... თუ ამ ხერხმა ვერ გაჭრა, თუ აგუარები ვერ გავიტყუე, მაშინ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდებით. თაუქას ზნე-ხასიათი მე უკეთ ვიცი, უკეთესად გამოვიყენებ მის ჭენების და სისწრაფის უნარს, - მაგრამ გლენარვანი არ უთმობდა. უცებ ძლიერი დაჯახება იგრძნო და ყალყზე შემდგარი თაუქა ცეცხლის ალზე გადაეშვა, დახოცილ აგუარებს თავზე გადაევლო და ვაკისაკენ გაიჭრა.

- მშვიდობით! - გაისმა ბავშვის ხმა. თვალი ძლივს მოჰკრეს რობერტს, რომელიც თაუქას ფაფარში ხელჩაჭიდებული ელვის სისწრაფით წყვდიადს შეერია.

- რობერტ! უბედურო!.. - შეჰღრიალა გლენარვანმა. ისეთი შემზარავი და გამაყრუებელი ყმუილი ატყდა, რომ პატაგონიელს რობერტის სიტყვები არც კი გაუგონია. აგუარების ხროვა უკან დაედევნა თაუქას დასავლეთისაკენ.

ტალკავი და გლენარვანი ვაკეზე გაცვივდნენ. მთელი მიდამო სიბნელით იყო მოცული, შორს მხოლოდ აჩრდილივით მოჩანდნენ ადევნებული აგუარები. სასოწარვეკთილი გლენარვანი პირქვე დაემხო და აქვითინდა. ბოლოს ტალკავს მიაჩერდა. ინდიელმა გაიღიმა და დინჯად ჩაულაპრაკა.

- თაუქა კარგი ცხენია! ბადალი არა ჰყავს! ვაჟიც გულადია! გადარჩება! - თან დასტურის ნიშნად თავი დაიქნია.

- მერე, რომ გადმოვარდეს?

- არ გადმოვარდება!...

თუმცა ტალკავი ამშვიდებდა, მაგრამ გლენარვანმა საშინელ მწუხარებაში გაატარა ღამე. იმ საფრთხეზე ფიქრობდა, რომელსაც თვითონ გადაურჩა. რამდენჯერმე გაიწია რობერტის დასადევნებლად, მაგრამ ინდიელმა შეაჩერა:

- ჩვენი ცხენები თაუქას ვეღარ დაეწევინ. ის, ალბათ, შორს გაერიდა აგუარებს და ახლა, ასეთ ღამეში, რობერტს ვერ მივაგნებთ. განთიადამდე დავიცადოთ და მაშინ გავუდგეთ გზას.

ოთხ საათზე ცას ოდნავ სინათლე შეეპარა. ცის ტატნობზე გადაფარებული ლეგა ღრუბლები გაიცრიცა და მოწითალო ქობით შეიმკო. ველი ნამით იყო დაფარული. დილის სიომ მაღალი ბალახი ააბიბინა. წასვლის დრო იყო.

- დავიძრათ! - უთხრა ინდიელმა.

გლენარვანი უსიტყვოდ მოახტა რობერტის ცხენს და ორივემ გაქუსლა დასავლეთისაკენ. სწორედ იმ მიმართულებით, საიდანაც უნდა მოსულიყვნენ მათი თანამგზავრები.

მთელი ერთი საათის განმავლობაში ჭენების მიაქროლებდნენ ცხენებს, დაეძებდნენ რობერტს და თან შიშობდნენ, რომ სადმე არ წასდგოოდნენ მის გასისხლიანებულ გვამს. დეზების ცემისაგნ ცხენებს ფერდებიდან სისხლი სდიოდათ. უცებ სროლის ხმა შემოესმათ. სროლა დროდადრო მეორდებოდა.

- ისინი არიან! - შესძახა გლენარვანმა.

ცხენებს დეზები ჰკრეს და რამდენიმე წუთის შემდეგ წინ შეეგებნენ პაგანელის რაზმს. გლენარვანმა სიხარულით შეჰყვირა, მათ შორის დაინახა ცოცხალი და უვნებელი რობერტი, რომელიც თაუქაზე იჯდა. ცხენმა პატრონის დანახვაზე დაიჭიხვინა.

- ჩემო პატარავ! ჩემო ბიჭუნი! - შესძახა გლენარვანმა და ორვენი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

- ცოცხალი ხარ, ცოცხალი! - იმეორებდა აღელვებული გლენარვანი.

- ცოცხალი გახლავართ, თაუქას წყალობით!

ინდიელმა უსიტყვოდ მიუალერსა თავის მერანს. თვალებზე ხელი ჩამოუსვა. ყურები ჩამოჭიმა, შემდეგ პაგანელს მიუბრუნდა და რობერტზე მიუთითა:

- ვაჟკაცია! - გამოიოყენა მამაცობის გამომხატველი ინდური მეტაფორა, - მისი დეზები არ ცახცახებდნენ.

გლენარვანი გულში იხუტებდა რობერტს.

- რატომ არ დაგვაცადე, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს გადაერჩინე?

რობერტმა უღრმესი მადლობით მიუგო:

- სერ, განა ჩემი ჯერ არ იყო? ტალკავმა ერთხელ უკვე სიკვდილისაგან მიხსნა! თქვენ კი მამაჩემის გადასარჩენდ გადაგიდიათ თავი!...

თავი XX

არგენტინის ვაკეები

მშვიდობიანი შეხვედრის პირველმა სიხარულმა რომ გაიარა, პაგანელს, ოსტინს, ვილსონს და მიულერდის კვლავ გაახსენდათ შიმშილი და წყურვილი. მაკ-ნაბსი კი თითქოს არ იმჩნევდა. საბედნიეროდ, გუამინი აქვე მახლობლად ჩამოუდიოდათ, უკან შემობრუნდნენ და დილის შვიდ საათზე იმაე რამადს მიადგნენ.

კართან იმდენი აგუარი ეყარა, რომ ყველასათვის ცხადი გახდა, რა გაშმაგებული იერში მოეგერიებინათ, როგორ ებრძოლათ, რამადაში ალყაშემორტყმულებს. მგზავრებმა წყურვილი რომ მოიკლეს, ახლა საუზმეს შემოუსხდნენ. შემწვარი სირაქლემის სუკები ყველას ეგემრიელა. ბაკნიანად შემწვარი ტატუ ხომ პირველხარისხოვან და ნუგბარ კერძად ჩათვალეს.

- დიდი უმადურობა იქნებოდა და მონადირეებსაც გული დასწყდებოდათ, რომ ასეთი გემრიელი ხორცი ცოტა ჭამოს ადამიანმა, - ამბობდა პაგანელი და მართლაც იმდენი ჭამა, რომ უსათუოდ ცუდი დღე მოელოდა, გუამინის ანკარა წყალი რომ არ დაეყოლიებინა.

- ეს წყალი სამკურნალო თვისებებისაა, - ამბობდა პაგანელი.

დღის ათ საათზე გლენარვანმა გამგზავრების ნიშანი მისცა. ტყავის თულუხები წყლით გაავსეს და გზას გაუდგნენ. დასვენებული და მაძღარი ცხენები ხალისიანად მიდიოდნენ და თითქმის მთელი გზა ნავარდი არ შეუნელებიათ. მიდამოს თანდათან უფრო მეტი ტენი და ნაყოფიერება დაეტყო, თუმცა უდაბნოს ჯერ კიდევ თავისი იერი შემორჩენოიდა.

2-3 ნოემბერს ისე იმგზავრეს, რომ ღირშესანიშნავი არაფერი შემთხვევიათ. 3 ნოემბერს, საღამო ხანს, ბინა დაიდეს პამპის საზღვართან, რომელიც ბუენოს-აირესის მიჯნაზე მდებარეობდა.

ტალკაჰუანოს ყურე 14 ოქტომბერს დატოვეს. ოცდაორი დღის განმავლობაში მშვიდობიანად გაიარეს ოთხას ორმოცდაათი მილი - მთელი გასავლელი გზის ორი მესამედი. მეორე დღეს, დილით, არგენტინისა და პამპის საზღვარი გადალახეს. ტალკავს ამ მიდამოებში ეგულებოდა ის კაციკები, რომლებსაც მისი ვარაუდით, უნდა ჰყოლოდათ ტყვედ წაყვანილი კაპიტანი გრანტი თავისი ორი ამხანაგით.

ბუენოს-აირესი ყველაზე მოზრდილი და დასახლებული პროვინციაა არგენტინის თოთხმეტ პროვინციას შორის. სამხრეთით მას ინდიელების ტერიტორია ესაზღვრება. მისი ნიადაგი საოცრად ნოყიერია, ჰავა - საოცრად ჯანსაღი. მთელი ეს პროვინცია გადაჭიმულია ხელისგულივით სწორ, დაცემულ ვაკეზე, სიერა ტანდილის და ტაპალკემის ძირამდე. ეს მიდამო სხვადასხვა მარცლოვანი მცენარეულით და პარკოვანი ბუჩქებითაა დაფარული.

მგზავრებს გულზე მოეშვათ, როა გუამინის იქით ჰავას თანდათან გაუმჯობესება დაეტყო. პატატონიის მძაფრი და სუსხიანი ქარების შემდეგ აქ საშუალო ტემპერატურა 17 გრადუსს არ აღემატებოდა. ამდენ ხან გვალვისაგან შეწუხებული მგზავრები და მათი ცხენებიც ბედს ვეღარ დაემდურებოდნენ. რაზმი ხალისიანად, იმედიანად მიდიოდა, მაგრამ ტალკავის სიტყვა არ გამართლდა. მთელი ეს კუთხე სრულიად უკაცურს ჰგავდა. აღმოსავლეთისაკენ ხშირად ხვდებოდათ პატარ-პატარა ხევები, ხან მტკნარი, ხან კიდევ მარილიანი წყლით. ირგვლივ ბუჩქნარში ნარჩიტები დახტოდნენ, ტოროლას გალობას ეხმატკბილებოდა ამერიკული ფერადი კოლიბრის მეტოქე - "განგარა". ონავარი ჩიტები ისე იყვნენ გართულნი ჟივჟივში, რომ ზედაც არ უყურებდნენ მკერდამოწეულ წითელკუდა შოშიებს. კრეოლების ჰამაკის მსგავსად ეკლიან ბუჩქებზე ჩამოკიდებულ ბუდეებში "ანუბისები" ირწეოდნენ. ფშანებში მწყობრ გუნდებად მიმოდიოდნენ ლამაზი ფლამინგოები, ცეცხლისფერი ფრთები ქარის ქროლის მხარეს რომ გაეშალათ. იქვე მოჩანდა მათი წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ბუდეებიც, რომლებიც ათასობით იყო ჩამწკრიებული და პატარა ქალაქს ჰგავდა.

მგზავრების მიახლოებისას ფლამინგოები არხეინად ისხდსნენ. პაგანელს სულ არ მოსწონდა მათი უდარდელობა.

- რა ხანია, მენატრება გაფრენილი ფლამინგოს ნახვა, ესენი კი ადილიდან არ იძვრიან! - შესჩივლა მაიორს, - ამ შემთხვევით მინდა ვისარგებლო.

- ისარგებლეთ, ისარგებლეთ! - მიუგო მან.

- გამომყევით, პატივცემულო მაიორო! რობერტ, შენც წამოდი. მინდა, მოწმეები დავისწრო.

პაგანელმა თანამგზავრებს გზა დაუთმო, წინ გაატარა, თვითონ კი დენთით გატენილი თოფით ფლამინგოებისაკენ გაემართა მაიორისა და რობერტის თანხლებით.

მიუახლოვდა ფლამინგოებს და თოფი ჰაერში დაცალა, მაგრამ სულაც არ აპირებდა ამ ლამაზი ფრინველების სისხლის დაღვრას. სროლის ხმაზე ფლამინგოების გუნდი ერთბაშად წამოიშალა და სხვა მხარეს გაფრინდა. პაგანელმა სათვალის ქვემოდან თვალი გააყოლა გუნდს.

- აბა, რას მეტყვით? - მიუბრუნდა მაიორს და რობერტს, - ხომ ნახეთ, როგორ ფრინავენ?

- როგორ არ ვნახეთ! - ბრმაც კი დაინახავდა, - მიუგო მაიორმა.

- ფლამინგოები ფრენის დროს ფრთაშესხმულ ისრებს არ ჰგვანან?!

- სულაც არა! - მიუგო მაიორმა.

- იოტისოდენადაც არა! - დაუმატა რობერტმა.

- მე დარწმუნებული ვიყავი ამაში! - კმაყოფილებით წარმოთქვა პაგანელმა, - წარმოიდგინეთ, თავდაბალთა შორის ყველაზე ამაყმა ჩემმა თანამემამულემ შატობრიანმა გაფრენილი ფლამინგო ნატყორცნ ისარს შეადარა!... აი, ხომ დაინახეთ, რობერტ, რომ შედარებებით მსჯელობა ძალიან სახიფათო ყოფილა! დაიმახსოვრე კარგად და ცხოვრებაში მუდამ ერიდე შედარებებით მსჯელობას. შედარება ყველაზე სახიფათო რიტორიკული ფიგურაა. ყოველ შემთხვევაში, იშვიათად მიმართე.

- მაშ დაკვირვებით კმაყოფილი დარჩით? - შეეკითხა მაიორი.

- აღტაცებული ვარ!

- მეც, მაგრამ ცხენები გავრეკოთ, თორემ თქვენმა სასახელო შატობრიანმა ერთი კილომეტრით დაგვაშორა ამხანაგებს, - მიუგო მაიორმა.

როდესაც თანამგზავრებს წამოეწივნენ, დაინახეს, რომ გლენარვანი და ინდიელი გაცხოველებით ლაპარაკობდნენ, მაგრამ თითქოს ერთიმეორისა ვერაფერი გაუგიათო. ტალკავი მალ-მალე ჩერდებოდა, მიდამოს მოავლებდა თვალს და თანდათან უფრო მეტი განცვიფრება ეხატებოდა სახეზე. გლენარვანი ცდილობდა, როგორმე მიმხდარიყო საქმის ვითარებას, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. მიახლოებული პაგანელი რომ დაინახა, შესაძახა:

- დროზე მოხვედით, მეგობრებო, მე და ტალკავს ერთმანეთის ვერაფერი გაგვიგია!

პაგანელმა საუბარი გაუბა პატაგონელს, მერე გლენარვანს მიუბრუნდა:

- ტალკავს აკვირვებს ერთი გარემოება, რომელიც მართლაც საკვირველია.

- სახელდობრ?

- სახელდობრ ის, რომ ამ მიდამოებში ვერსად ვხედავთ ვერც ინდიელებს და ვერც იმათ კვალს. სხვა დროს ამ მიდამოებში უთვალავი ინდიელი დაეხეტეოდა. ისინი ხან "ესტანსიებიდან" მოტაცებულ ნახირს მოერეკებოდნენ, ხან მათი ქალების ნახელავი ნოხებისა და თასმის შოლტების გასაყიდად ანდის მთებისაკენ მიეშურებიან ხოლმე.

- ტალკავი რას ამბობს, რას უნდა მიეწეროს ეს?

- მიზეზს ვერ მიმხვდარა და სწორედ ეს აოცებს.

- რომელი ინდიელები ეგულებოდა პამპის ამ კუთხეში?

- კაციკები! სწორედ ის ინდიელები, რომლებსაც ტყვედ ჰყოლიათ ევროპელები. ამ კაციკებში ბელადებად თურმე კალფოუკოურა, კატრიელი და იანჩეტრუცი არიან.

- ეგენი ვინ არიან?

- იმ ტომის ბელადები, რომლებიც ამ ოცდაათი წლის წინათ ძლევამოსილნი იყვნენ, სანამ მთების გადაღმა არ გადარეკეს. მას მერე თურმე ქედი მოიხარეს და დამორჩილდნენ, რამდენადაც ინდილებს შეუძლიათ დამორჩილდნენ ვინმეს. აი, სწორედ ისინი დაძრწიან მთა და ბარი და მომთაბარეობენ პამპისა და ბუენოს-აირესის პროვინციებში. ტალკავსაც და მეც ის გვაკვირვებს, რომ მათ ვერსად წავაწყდით ამ მიდამოებში, სადაც ისინი სალტეადორებას[1] ეწევიან.

- მაშ როგორ მოვიქცეთ?

- ახლავე ვკითხავ, - მიუგო პაგანელმა და ტალკავს რაღაც უთხრა, მერე ისევ გლენარვანს მიუბრუნდა, - ტალკავის მოსაზრება მეც გონივრულად მიმაჩნია. ჩვენ ისევ აღმოსავლეთისაკენ უნდა ვიაროთ "დამოუკიდებლობის სიმაგრემდე", რომელიც ამ გზაზე მდებარეობს. თუ ჰარი გრანტის შესახებ ვერაფერი შევიტყვეთ, იმას მაინც გავარკვევთ, სად გადაკარგულან არგენტინის ინდიელები.

- ეგ სიმაგრე შორს არის? - იკითხა გლენარვანმა.

- არა, სიერა-ტანდილზე მდებარეობს. აქედან სამოცი მილი იქნება.

- როდის მივაღწევთ?

- ზეგ საღამოს იქ ვიქნებით.

გლენარვანი ამ გარემოებამ ძალიან შეაფიქრიანა: რაკი ინდიელები პამპიდან გადახვეწილან, ალბათ, ტყვეებსაც თან გაიყოლებდნენ, მაგრამ საითკენ - ჩრდილოეთისკენ თუ სამხრეთისაკენ?... თუმცა საითაც უნდა გადაიხვეწილიყვნენ, კაპიტან გრანტის კვალს მაინც ყველგან უნდა გაჰყოლოდნენ. ამის გამო ტალკავის მოსზრება ჭკუაში დაუჯდათ.

ექსპედიციამ ტანდილისაკენ განაგრძო გზა. საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ველის შორეულ სივრცეში მთა გამოჩნდა, თუმცა მთა არც კი ეთქმოდა. ეს იყო სიერა-ტაპალკემი. მეორე ღამე ამ მთის ძირას გაათიეს. მესამე დღეს დაუბრკოლებლად გადაიარეს სიერა ტაპელკამი, რადგან კორდილიერების შემდეგ მისი გადავლა იოლი საქმე იყო. აღმართზე ცხენებმა მხოლოდ ოდნავ უკლეს ნაბიჯს.

შუადღისას გასცილდნენ ტაპლკემსაც და ციხესიმაგრეთა პირველი წყების ერთ-ერთ სიმაგრესაც, რომელიც საზღვრის სამხრეთ მიჯნასთან იყო ამართული ინდიელების თავდასხმის მოსაგერიებლად. ტალკავის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც არც ამ არემარეში დაუნახავთ ინდიელი, მაგრამ შუადღისას მოგზაურებმა თვალი შეასწრეს კარგად შეიარაღებულ სამ ცხენოსანს, რომლებიც მათ დანახვაზე ერთხანს შეჩერდნენ, შეათვალიერეს ისინი და შემდეგ ერთბაშად მოკურცხლეს სხვა მხარისაკენ.

გლენარვანი გაცეცხლდა, რომ მათთან გამოლაპარაკების საშუალება არ მიეცა.

- გაუჩოები! - ჩაილაპარაკა პატაგონიელმა და ინდიელებს სწორედ ის სახელი უწოდა, რომელიც მაიორისა და პაგანელის წაკინკლავების საბაბი შეიქმნა.

- აა, გაუჩოები?! - თქვა მაკ ნაბსმა, - პატივცემულო პაგანელ, დღეს ჩრდილოეთის ქარი აღარ უბერავს! აბა, რა აზრის ბრძანდებით ამ მშვიდობიან მიწათმოქმედებზე? მგონი, ნამდვილი ყაჩაღების შთაბეჭდილებას ახდენენ. შთაბეჭდილებიდან სინამდვილემდე კი...

- ერთი ნაბიჯიღაა, ძვირფასო მაიორო.

პაგანელის გულახდილობამ ხარხარი გამოიწვია, რომელიც მას სულ არ სწყენია. პირიქით, ისარგებლა შემთხვეით და თანამგზავრებს საგულისხმო ცნობები მიაწოდა ინდიელების შესახებ.

- სადღაც წამიკითხავს, არაბებს ბაგეებზე აქვთ აღბეჭდილი მძვინვარება, თვალები კი სათნოებით აქვთ სავსეო. ამერიკელ ინდიელებს კი, პირიქით, მძვინვარება მხოლოდ თვალებში ეხატებათ.

---

1 სალტეადორები - ყაჩაღები.

ამაზე უკეთ თვით პროფესიონალი ფიზიონომისტიც ვერ დაახასიათებდა ინდიელების ტომებს.

ტალკავის განკარგულებით მთელი რაზმი ჯგუფად მიდოდა. მართალია, არემარე უკაცური ჩანდა, მაგრამ ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, მზად ყოფნა სჯობდა.

ღამის გასათევად მიტოვებულ ტოლდერში დაბინავდნენ, სადაც კაციკი კატრიელი ჩვეულებრივ თავს უყრიდა ხოლმე თავის ინდიელ ქვეშევრდომებს. ტალკავმა იქაურობა დაათვალიერა და დარწმიუნდა, რომ ტოლდერია დიდი ხნის მიტოებული იყო, რადგან ახალი კვალი არსად ჩანდა.

მეორე დღეს გლენარვანი და მისი თანამგზავრები ისევ ვაკეს გაუდგნენ და შორიდან თვალი მოჰკრეს სიერა-ტანდელის ძირას გაშენებულ ერთ-ერთ სამოსახლოს - ესტანციას. ტალკავის რჩევით, აქ არ გაჩერებულან და პირდაპირ გაეშურნენ დამოუკიდებლობის სიმაგრისაკენ, სადაც უეჭველად გაიგებდნენ ამ მიტოვებული ადგილების უტყუარ ამბავს.

ახლა უფრო ხშირად ხვდებოდათ ხეები, რომლები კორდილიერების შემდეგ იშვიათად უნახავთ, უმეტესი ნაწილი ევროპელებს დაერგოთ ამერიკაში გადმოსახლების შემდეგ. აქ ნახავდით ლილისფერ იფანს, ატამს, ალვის ხეს, აკაციასა და ტირიფს. აქ ყოველივე სწრაფად და კარგად იზრდებოდა.

ხეები კორალიებსი ირგვლივ იყო გაშენებული. კორალიები მკვიდრად მესერშემოვლებული ფართო ტერიტორიას მოიცავდა და საქონლის შესანახ ბაკებს წარმოადგენდა. აქ საქონელი საბალახოდ ჰყავდათ გაშვებული. აქ ძოვს და სუქდება ათასობით ხარი, ცხვრის ფარა, ძროხა თუ ცხენის რემა. საქონელს დარაჯად ედგნენ ვეებერთელა, ავი ძაღლები.

ამ მთისძირების ნიადაგი მომლაშოა და მისი მსუყე ბალახი საუცხოო საკვებია საქონლისათვის. ამიტომ შეარჩევენ ხოლმე ასეთ ადგილებს ესტანციების მოსაწყობად. საქონელს მიჩენილი ჰყავს ერთი სარქალი, მისი თანაშემწე და ათას სულ საქონელზე ოთხი

პეონი. მათი ცხვრის ფარა, ცხენის რემა თუ ძროხის ნახირი ისევე ურიცხვია, როგორც მესოპოტამიისა. განსხვავება ის არის, რომ აქაურ მწყემსებს, ოჯახები მესოპოტამიელების მსგავსად თან არ დაჰყავთ. პამპის ესტანციების ცხოვრება სულაც არა ჰგავს ბიბლიურ პატრიარქალურ ყოფას. ისინი ოთხფეხი საქონლით მოვაჭრენი არიან.

პაგანელმა ეს ცნობები თავის ამხანაგებს გაუზირა და შედარებითი ანთროპოლოგიის ცოდნით დიდი ინტერესიც გამოიწვია. წარმოიდგინეთ, თვით მაიორიც კი მოხიბლა, რომელიც გულახდილად გამოუტყდა ამაში.

პაგანელმა ერთ უცნაურ მოვლენასაც - მირაჟს მიაქცია ყურადღება, რაც ასე ხშირია ამ მიდამოებში. საქმე ის არის, რომ შორი მანძილიდან ესტანციები დიდრონ კუნძულებად მოჩანს. გარს შემორგული ალვის ხეები კი - წყალში თავდაყირა ჩაყუდებულ ხეებად. მიახლოებისას მოჩვენება ქრება. ეს ილუზია იმდენად მკაფიო და აშკარაა, რომ არ შეიძლებოდა, ადამიანს სინამდვილე არ ჰგონებოდა.

6 ნოემბერს ჩაუარეს რამდენიმე ესტანციას და ორ სალადეროს - სასაკლაოს, სადაც იალაღზე ნასუქ საქონელს კლავენ და ამარილებენ. ეს შემზარავი საქმიანობა გაზაფხულიდან იწყება. კორალებში, ესე იგი ბაკებში, გზავნიან კაცებს, "სალადეროსებს", რომლებიც ლასოებით იჭერენ საქონელს და სალადეროსაკენ მიერეკებიან. აქ ათასობით ხარი, ძროხა თუ ცხვარი იკვლება, იშიგნება და იქვე მარილდება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ნაიალაღარ ხარებს ვერ იმორჩილებენ და მაშინ იმართება ნამდვილი ხარებთან ბრძოლა - სალადეროები ტორეადორობენ და ამ სახიფათო საქმეს დიდი ოსტატობით ასრულებენ.

სასაკლაო საზიზღარი სანახაობაა. ირგვლივ სისხლის მძიმე სუნი დგას, გაისმის სალადეროების მძვინვარე ღრიალი, ძაღლების ყეფა. მომაკვდავი ცხოველების შემაძრწუნებელი ბღავილი და ხრიალი. მათ თავს ათასობით დასტრიალებენ არგენტინის ვაკეების უზარმაზარი სვავები: ურბუსები და ორასები და თითქმის ხელიდან გლეჯენ სალადეროებს გასისხლიანებულ ცხელ ჯიგარს.

დღეს კი, როდესაც მოგზაურებმა გვერდით ჩაუარეს, სალადეროების ირგვლივ მყუდროება და უკაცუობა გამეფებულიყო, რადგან საქონლის დაკვლის სეზონი ჯერ არ დამდგარიყო.

ტალკავი აჩქარებდა მოგზაურებს, უნდოდა, იმავე დღეს მიეღწიათ დამოუკიდებლობის სიმაგრემდე. თაუქას წაბაძვით დანარჩენი ცხენებიც სწრაფად მიაშრიალებდნენ მაღალ პურეულს. ადგილ-ადგილ ხვდებოდათ თხრილებითა და წვეტიანი მესრებით შემოვლებული ფერმები, სადაც მთავარ სახლს გარშემო აივანი ჰქონოდა შემოვლებული. საჭირო შემთხვევაში აქედან ფერმის პატრონები სროლით იგერიებდნენ შემოსულ ყაჩაღებს. გლენარვანს შეეძლო აქაც ეცადა ბედი და კაპიტან გრანტის შესახებ გამოეკითხა რამე, მაგრამ ისევ ტანდილში მისვლა ამჯობინა და აღარსად გაჩერებულა.

მგზავრები მდინარე რიო დე ლოს ჰუეზოს ფონს გავიდნენ და რამდენიმე მილის გავლის შემდეგ მდინარე ჩაპალეოფუ გაცურეს. ამის შემდეგ მალე გამოჩნდა სიერა-ტანდილიც. ერთი საათის შემდეგ ვიწრო ხეობის კუდში თვალწინ გადაეშალათ სოფელი, რომლის თავშიაც ამართული იყო დამოუკიდებლობის სიმაგრის ქონგურებიანი კედელი.

თავი XXIU

დამოუკიდებლობის სიმაგრე

სიერა-ტანდილი ზღვის დონიდან ათასი ფუტის სიმაღლეზეა აზიდული. ეს მთაგრეხილი იმ დროსაა წარმოშობილი, როდესაც დედამიწაზე ორგანული სიცოცხლე არ არსებობდა.

მთაგრეხილი გნეისის ბორცვებითაა მორკალული და მწვანით შემოსილი. ტანდილის სახელწოდება იმ ოლიქისათვის მიუციათ, რომელშიც შედის ბუენოს-აირესის მთელი სამხრეთი ნაწილი. ჩრდილოეთის ოლქს ესაზღვრება მთის ფერდობი, რომელზეც მთაში წარმოშობილი მრავალი მდინარე დაშვებულა. ამ ოლქის ოთხასი მცხოვრები უმეტესად

ადამიანის ტრადიციულ ცენტრში, დაბა ტანდილში ბინადრობს, მთების ძირას და დამოუკიდებლობის სიმაგრეს შეჰკედლებია. დაბას გვერდზე ჩამოუდის პატარა მდინარე ჩაპალეოფუ, რომელიც ამ მიდამოს მოხდენილ ელფერს აძლევს. აქ საფრანგეთის ბასკები და იტალიელი კოლონისტები ცხოვრობენ, რაც, ცხადია, პაგანელსაც მოეხსენებოდა. ევროპელების ახალშენი აქ პირველად საფრანგეთმა დაარსა ქვემო ლა-პლატას მიდამოებში.

ფრანგი პარშაპის თაოსნობით, 1828 წელს, აქ დამოუკიდებლობის სიმაგრე ააგეს, რომელიც მის მოსახლეობას ინდიელების განუწყვეტელი თავდასხმებისაგან იფარავდა. ამ საქმეში პარშაპს მხარს უმშვენებდა ცნობილი მეცნიერი ალსიდ დ´ორბინი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ამ ნაწილის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და მკვლევარი იყო.

სოფელი ტანდილი საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილია. აქედან მუდმივი მიმოსვლაა გაჩაღებული ბუენოს-აირესთან ხარებშებმული ურმებით - გალერებით. მისვლა-მოსვლას თორმეტი დღე სჭირდება.

ესტანციებიდან ტანდილიო ბუენოს-აირესს აწვდის საკლავ საქონელს, სოლადერობიდან კი დამარილებულ ხორცს, აგრეთვე ინდიელთა შინამრეწველობის მრავალფეროვან საქონელს: ბამბის ნაწარმს, შალეულს, მოწნულ ტყავებს, რასაც დიდი გასავალი აქვს და სამაგიეროდ სხვა ნაკეთობას იღებს.

აქ ნახავდით ქალაქურ ყაიდაზე აშენებულ რიგიან სახლებს, სკოლებსა და საყდრებს. ყოველივე ეს პაგანელმა უამბო ამხანაგებს და ბოლოს დაასკვნა, ტანდილში უეჭველად მივიღებთ ყველა საჭირო ცნობას, რადგან ამ სიმაგრეში მუდამ დგას საფრანგეთის მეციხოვნე რაზმიო.

ტანდილში მისვლისთანავე გლენარვანმა ცხენები თავლაში დააბინავა, რომელსაც იქაურები ფონდას უწოდებენ. სიმაგრისკენ გლენრვანი, ტალკავი, პაგანელი, მაიორი და რობერტი გაეშურნენ, რამდენიმე წუთში აირეს ფერდობი და ციხესიმაგრის ალაყაფის კარს წაადგნენ, რომელსაც არც ისე ფხიზლად დარაჯობდნენ არგენტინელი დარაჯები. ასე რომ, დაუბრკოლებლად შევიდნენ გალავანში. ალბათ, შიშიანობა არ იყო ამჟამად ან დაუდევრობას ჰქონდა ადგილი.

გალავნის წინ, პატარა მოედანზე რამდენიმე ჯარისკაცი ვარჯიშობდა. უფროსი ოცი წლისა იქნებოდა, უმცროსი კი - შვიდისა. უფროს სწორად, აქ იყო თორმეტი ბავშვი, რომლებიც ჩინებულად ხმარობდნენ იარაღს. მათ ჩაცმულობას შეადგენდა ზოლებიანი ხალათი და წელზე შემოკრული ტყავის სარტყელი. შიშველ ტანს სხვა არაფერი უფარავდათ, - არც შარვალი, არც საცვალი. პგანელს მოეწონა ასეთი სადა ჩაცმულობა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას შემოეღო. ბავშვები შეიარაღებულნი იყვნენ მათთვის მეტად მძიმე ხიშტიანი თოფებითა და დაშნებით. ყველანი მზისაგან გარუჯულიყვნენ და ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ, გეგონებოდათ, ძმები არიან და მეცამეტე ძმა უფროსობსო.

პაგანელს ეს გარემოება სულ არ გაჰკვირვებია. მან სტატისტიკიდან იცოდა, რომ ამ მხარეში თითო ოჯახს საშუალოდ ცხრა ბავშვი მაინც ჰყავდა. სამაგიეროდ, განცვიფრებული დარჩა მათი სხარტი მიმოხრით, სიმარდითა და სამხედრო გაწვრთნილობით. მათ კაპრალის სამხედრო ბრძანება მეცნიერი გეოგრაფის მშობლიურ ენაზე გაისმოდა.

- გასაოცარია! - წამოიძახა პაგანელმა, მაგრამ გლენარვანმა აღარ დააცალა, რომ გეოგრაფს გული მოეოხებინა აღტაცებით, ამ სიმაგრეში ამისათვის ხომ არ იყვნენ მოსულნი. რომ ბავშვების სამხედრო ვარჯიშისათვის ეცქირათ.

გლენარვანმა პაგანელს სთხოვა, გამოეხმო რაზმის უფროსი. მანაც მიმართა ერთ-ერთ არგენტინელ ჯარისკაცს, რომელიც მაშინვე გაეშურა სახლისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მათ მეციხოვნე რაზმის უფროსი გამოეგებათ, ორმოცდაათიოდე წლის კაცი, სამხედრო პირისათვის დამახასიათებელი მიხრა-მოხრით. ჯაგარა ულვაშები, ჭაღარა თმა და მბრძანებლური გამომეტყველება ჰქონდა. მოდიოდა და თან ჩიბუხს მოაბოლებდა. სხვათა შორის, სიარულით პაგანელს ჰგავდა. ნამშვილი ძველებური ფრანგი უნტერ-ოფიცრის ნაიჯი ჰქონდა.

ტალკავმა გლენარვანი და მისი ამხანაგები წარუდგინა. საუბრისას კომენდანტი თვალს არ აშორებდა პაგანელს, რომელიც ამის გამო ერთგვარ უხერხულებას გრძნობდა. მეცნიერი

გეოგრაფი ვერ მიმხვდარიყო, რად მისჩერებოდა მას ასე დაჟინებით ძველი მეომარი და ის იყო უნდა ეკითხა კიდეც, როდესაც კომენდატმა მოურიდებლად სტაცა ხელი და თან ჰკითხა:

- ფრანგი ბრძანდებით?

- დიახ, - მიუგო პაგანელმა.

- დიდაც მოხარული ვარ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მეც ფრანგი გახლავართ, - ეუბნებოდა კომენდანტი და თან საშინელი ძალით ანჯღრევდა მის ხელს.

- თქვენი მეგობარიც გამოდგა? - შეეკითხა მაიორი პაგანელს.

- დიახ! მეგობარს შესაძლებელია შეხვდე ქვეყნის ყოველ კუთხეში!

ბოლოს, როგორც იქნა, ხელი გაითავისუფლა კომენდანტის ცოცხალი მარწუხებისაგან და საუბარი გაუბა. გლენარვანმა სცადა, სიტყვა ჩამოერთმია, მაგრამ კომენდანტმა თავისი თავგადასავალი დაიწყო და გაათავებას აღარ აპირედა.

საფრანგეთი დიდი ხნია მიეტოვებინა, თურმე ფრანგულიც დავიწყებოდა. როგორც საფრანგეთის ახალშენის ზანგი, ისე ლაპარაკობდა ფრანგულად. მონაწილეობდა პარშაპის ექსპედიციაში, როგორც სერჟანტი. 1828 წლის შემდეგ ფეხი არსად გაუდგამს ამ ციხიდან. ამჟამად დამტკიცებულია კომენდანტად საფრანგეთის მთავრობის მიერ. კომენდანტი ორმოცდაათი წლის იქნებოდა, ჩამომავლობით ბასკი იყო, გვარად მანუელ იფარაგერი. ერთი წლის ჩამოსული ყოფილა, როდესაც არგენტინის ჯარში ჩარიცხულა და ინდიელი ქალიც შეურთავს, რომელსაც ამჟამად ჰყავს ტყუპი ძუძუთა ვაჟი. ღირსეულ სერჟანტს ღირსეული ცოლი როგორ შეჰბედავდა, რომ ქალი გაეჩინა! მანუელს სამხედრო სამსახურის გარდა არაფერი სწამდა და იმედი ჰქონდა, თავის შვილებისაგან მთელ რაზმს შეადგენდა.

- ალბათ, თივთონაც ნახეთ თქვენი ბედნიერი თვალით! - ამბობდა მანუელი და თან გაიძახოდა, - ხოსე!.. მიქელ!.. პეპე მხოოდ შვიდი წლისაა, მაგრამ სროლა უკვე იცის.

პეპემ მამის ქებაზე პაწია ფეხები ერთიმეორეს მიატკაცუნა და მხედრული სალმით გამოეჭიმა.

- ოო, ეს ძალიან დაწინაურდება!... - თქვა სერჟანტმა.

ისეთი თავდაჯერებითა და რიხით ამბოდა ამას, ვერავინ შეედავებოდა და ვერც დაარწმუნებდა, რომ მისი თვალსაზრისი სამხედრო სამსახურის უპირატესობსისა და მნიშვნელობის თაობაზე მცდარი იყო. მთEლი ეს სცენა თხუთმეტ წუთს მაინც გაგრძელდა. ტალკავი გაოცებით მისჩერებოდა სერჟანტს და უკვირდა, რომ ერთი პირიდან ერთბაშად ამდენი სიტყვა ამოდიოდა, მაგრამ რადგან ყოველი სერჟანტი, თუნდაც ის ფრანგი იყოს, ოდესმე მაინც უნდა გაჩუმდეს, მანუელმაც შეწყვიტა სიტყვა და სტუმრები შინ შეიპატიჟა. ისინიც მიჰყვნენ. გაიცნეს მისი "მშვენიერი" მეუღლე, თუ ასეთი სალონური ქათინაური ითქმის ინდიელ ქალზე. ბოლოს სერჟანტმა იკითხა, რას უნდა დავუმადლო, რომ პატივი მეცით და მესტუმრეთო? სტუმრებს რომ დროზე არ ესარგებლათ ამ წუთით, ვგონებ, ვეღარ მოახერხებდნენ ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდებას. პაგანელმა ფრანგულად უამბო პამპაში მოგზაურობის ამბავი და ბოლოს ჰკითხა, ინდიელებს რად მიუტოვებიათო ეს მხარე?

- აჰა! ვერავინ ნახეთ? - მხრები აიჩეჩა სერჟანტმა, - რა თქმა უნდა, აღარავინაა!... აი, ჩვენც უსაქმოდ ვსხედვართ, გულხელდაკრეფილები!

- რატომ?

- იმიტომ, რომ ომია!

- ომი?!

- დიახ, სამოქალაქო ომია!

- სამოქალაქო ომი? - კითხვა შეუბრუნა პაგანელმა და თვითონაც ვერ შეატყო, რომ ზანგურ კილოზე მოუქცია.

- დიახ, ომია, პარაგვაისა და ბუენოს-აირესს შორის, - მიუგო სერჟანტმა.

- მერე რა, რომ ომია?

- მერე ის, რომ ინდიელები დედაბუდიანად გაიკრიფნენ ჩრდილოეთისაკენ, გენერალ ფლორესის ჯარის მხაერს, ინდიელები ხომ სულ ავაზაკები და ყაჩაღები არიან!

- კაციკები?

- კაციკებიც იქ არიან.

- რას ბრძანებთ? კატრიელი?..

- ისიც!

- კალოფუკოურა?

- ისიც!

- იანჰეტრუცი?..

- არავითარი იანჰეტრუცი!..

პაგანელმა სერჟანტის ნათქვამი ტალკავს გადასცა. პატაგონიელმა თავი გაიქნ-გამოიქნია. მართლაც, არ იცოდა ეს ამბავი თუ ვერ გაიხსენა, რომ აქეთ სამოქალააქო ომი იყო ატეხილი, რომელშიც მოგვიანებით ბრაზილიაც ჩაერია. ომი ორ ბანაკად ჰყოფდა რესპუბლიკას. ეს ინდიელებისათვის ხელსაყრელი იყო. ცხადია, ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ.

ეს გარემოება სავსებით აქარწყლებდა გლენარვანის შემუშავებულ გეგმას. მრთლაცდა, თუკი კაპიტანი გრანტი კაციკების ტყვე იყო, ცხადია, მასაც თან გაიყოლებდნენ. მაშ, სადღა უნდა ეძებნათ ახლა? განა საჭირო იყო, რომ კვლავ განეგრძოთ სახიფათო და უნაყოფო ძებნა პამპის ჩრდილოეთის საზღვრამდე. ეს იყო სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა გადაეწყვიტათ. ყველანი უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთიმეორეს.

- ხომ არაფერი გსმენიათ იმ ევროპელის შესახებ, რომელიც კაციკებს ჰყავდათ დატყვევებული? - ჰკითხა მაირომა სერჟანტს.

სერჟანტი ერთ ხანს დაფიქრდა, თითქოს რაღაც უნდა გაიხსენოსო და შემდეგ უპასუხა:

- როგორ არა!

- მართლა?! - ჩაილაპარაკა გლენარვანმა, რომელსაც იმედის ახალმა ნაპერწკალმა გაუელვა გულში.

პაგანელი, მაიორი და რობერტი სერჟანტს შემოეხვივნენ:

- გვიამბეთ, გეთაყვა, გვიამბეთ!

- ამ რამდენიმე წლის წინ, - დაიწყო მანუელმა, - დიახ... დიახ.. სწორედ ასეა... ამ რამდენიმე წლის წინ... ევროპელი ტყვეები.. გამიგონია, მაგრამ თვალით კი არ მინახავს...

- რამდენი წელიწადია მას აქეთ? - შეაწყვეტინა ლაპარაკი გლენარვანმა, - ხომ არ გეშლებათ?... ხომალდის დაღუპვის თარიღი ჩვენ დანამდვილებით ვიცით... "ბრიტანია" 1862 წელს დაიღუპა... მაშასადამე, ჯერ ორი წელიწადიც არ არის.

- მეტი, გაცილებით მეტი!

- ყოვლად შეუძლებელია! - წამოიძახა პაგანელმა.

- არა, სწორედ ასე გახლავთ... ეს იყო ჩემი პეპეს დაბადების წელს, საქმე ეხებოდა ორს...

- არა, სამს! - მოუჭრა გლენარვანმა.

- ორს! - დარწმუნებული კაცის კილოთი მიუგო სერჟანტმა.

- ორს? - გაიკვირვა გლენარვანმა.

- ორ ინგლისელს?

- რას ბრძანებთ, ინგლისელები?.. - განცვიფრდა სერჟანტი, - არა! ერთი მათგანი ფრანგი იყო, მეორე კი იტალიელი...

- იტალიელი, რომელიც ინდიელებმა მოკლეს? - წამოიძახა პაგანელმა.

- დიახ!... შემდეგ შევიტყვე, რომ ფრანგი გადარჩენილა!

- გადარჩენილა! - შესძახა რობერტმა, რომელიც ხარბად უსმენდა სერჟანტს.

- დიახ, ინდიელებს ხელიდან გასხლტომია, - მიუგო მანუელმა.

ყველამ პაგანელს გადახედა, რომელიც გამწარებით იშენდა თავში ხელს.

- აა!... ახლა კი მესმის! - წამოიძახა ბოლოს, - ყველაფერი ცხადია!... ყველაფერი გასაგებია!...

- რა არის გასაგები? - მოუთმენლად შეეკითხა გლენარვანი.

- მეც არაფერი მესმის, - თქვა მაიორმა.

- მეგობრებო, - დაიწყო პაგანელმა და თან რობერტს მოხვია ხელი, - ბედს უნდ დავმორჩილდეთ... ჩვენ შევცდით, მცდარ გეზს მივყვებით!... ამ შემთხვევაში საქმე არ

შეეხება კაპიტან გრანტს!... ერთი მათგანი მარკო ვაზელი იყო, ის მართლაც მოკლეს ინდიელებმა, მეორე კი ჩვენი თანამემამულე, რომელიც თან უტარებიათ ინდიელებს კოლორადოს ნაპირამდე, ბოლოს თავიდ დაუღწევია და საფრანგეთში დაბრუნებულა. აი, სწორედ ამ ახალგაზრდა გინარის კვალს გამოვყოლილვართ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შეცდომა ცხადი იყო. გლენარვანი უღრმესი მწუხარებით მისჩერებოდა ტალკავს. მაშინ ინდიელმა ჰკითხა ფრანგ სერჟანტს:

- არაფერი გსმენიათ სამი ტყვე ინგლისელის შესახებ?

- არა, არასოდეს! - მიუგო მანუელმა, - ტანდილში ხმა მოვიდოდა... მეც მეცოდინებოდა... არა, ასეთი არაფერი ყოფილა!

გლენარვანს სერჟანტთან გამომშვიდობების მეტი აღარაფერი დარჩენოდა. მანუელს ყევლა ხელის ჩამორთმევით გამოეთხოვა და წამოვიდნენ. იმედის გაცრუებამ გლენარვანი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და ბოღმისაგან ისე შეეკრა კრიჭა, რომ გვერდით მიმავალ აცრემლებულ რობერტსაც კი სანუგეშო სიტყვა ვერ უპოვა. პაგანელი ხელების ქნევით ელაპარაკებოდა თავის თავს. მაიორი დუმდა. ტალკავი კი, როგორც ეტყობოდა, საშინლად განიცდიდა ინდიელის თავმოყვარეობის შელახვას, რომ მგზავრები ყალბ გზაზე დააყენა. თუმცა არავის უფიქრია ეს დანაშაულად ჩაეთვალა მისთვის.

ამ მდგომარეობაში დაბრუნდნენ ფონდაში. როცა ვახშამს შემოუსხდნენ, ყველას სახე ჩამოსტიროდა. სანანებლად ის კი არ მიაჩნდათ, რომ ამდენმა გაჭირვებამ უნაყოფოდ ჩაიარა. გულს უკლავდათ ის გარემოება, რომ იმედი გადაეწურათ.

მართლაცდა, სადღა უნდა ეძებნათ კაპიტანი გრანტი? განა საიმედოღა იყო, რომ მიაგნებდნენ სადმე სიერა-ტანდილსა და ზღვას შორის? არა! სერჟანტს არ გამოეპარებოდა, ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე რომ ვინმე ევრიოპელი დაეტყვევებინათ. ეს ამბავი ადგილობრივ მცხოვრებთაც ეცოდინებოდათ, რადგანაც კარმენსა და ტანდილს შორის მუდმივი სავაჭრო მიმოსვლაა. მეორეც, არგენტინის ვაკის მცხოვრებთა შორის ვერაფერი დაიფარებოდა და თუ რამე მოხდა, ყველამ იცის. ამგვარად, ჩვენს მოგზაურებს ისღა დარჩენოდათ, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყვნენ "დუნკაზე", რომელიც მედანოს კონცხთან, ალბათ უკვე ელოდებოდათ.

პაგანელმა ხელახლა სთხოვა გლენარვანს ის ბარათები, როემლთა წაკითხვისას ასე სასტიკად შეცდნენ. ბრაზმორეული ჩაჰკირკიტებდა, ეგებ რაიმე ახალი გაეგო.

- აქ ხომ ყველაფერი გასაგებია! - უმეორედა გლენარვანი, - აქ ცხადად არის აღნიშული ხომალდის დაღუპვისა და კაპიტნის დატყვევების ადგილი!

- არა-მეთქი!... - მიუგო გეოგრაფმა და მუშტი მაგიდაზე დაკრა, - ათასჯერ არა!.. რაკი კაპიტანი გრანტი პამპაში არ არის, მაშასადამე, ამერიკაში არსად იქნება!.. მაგრამ სდ იმყოფება, ეს უნდა გვითხრან ბარათებმა... ჟაკ პაგანელი არ ვყოფილვარ, თუ არ ვათქმევინო!...

თავი XXII

წყალდიდობა

დამოუკიდებლობის სიმაგრე ას ორმოცდაათი მილით იყო დაშორებული ატლანტის ოკეანეს. ასე რომ, თუ განსაკუთრებული დამოკიდებულება არ გადაეღობებოდათ, გლენარვანს თავისუფლად შეეძლო "დუკანზე" ოთხი დღის შემდეგ დაბრუნება, მაგრამ გრანტის გარეშე დაბრუნება შეუძლებლად მიაჩნდა და მეორე დღეს გამგზავრება არც კი გახსენებია. მის ნაცვლად მაიორმა იკისრა საგზლის დამზადება. სამგზავრო სამზადისი და ცხენების შეკაზმვაც კი მოითხოვა. მისი თაოსნობით პატარა ქარავანი დილის რვა საათზე დაეშვა სიერა-ტანდილის ამწვანებულ კალთებზე. გლენარვანი და რობერტი მხარდამხარ მიაჭენებდნენ ცხენებს, ხმის ამოუღებლად.

თავდადებული და გაბედული გლენარვანი ვერ შერიგებოდა მარცხს. გული საშინლად უცემდა და თავი ცეცხლივით უხურდა. გამწარებული პაგანელი ათასნაირად აბრუნებდა ბარათების თითოეულ სიტყვას, ეგებ ახალი რამ განმარტება ამოვიკითხოო. ტალკავს ცხენისათვის სადავე მიეშვა და უსიტყვოდ მიქროდა. ყოველთვის გულგაუტეხელი მაიორი მხნედ განაგრძობდა გზას. ტომ ოსტინი, მიულრედი და ვილსონი თავიანთი პატრონის სევდას იზიარებდნენ. როდესაც მფრთხალმა კურდღელმა რაზმს გზაზე გადაურბინა, ცრუმორწმუნე მეზღვაურებმა ერთიმეორეს გადახედეს.

- ავის მომასწავებელია! - თქვა ვილსონმა.

- ჰო, ეს მხოლოდ შოტლანდიის მთიანეთში, - უპასუხა მიულრედიმ.

- რაც ცუდია შოტლანდიაში, მგონი, არც იქნება კარგი, - დარწმუნებულად შენიშნა ვილსონმა.

შუადღე მოტანებული იყო, როდესაც მოგზაურებმა სიერა-ტანდილის ქედი გადაიარეს და ისევ ვაკეზე გავიდნენ, რომელიც ტალღისებურად ეშვებოდა ატლანტის ოკეანის შორეული ნაპირებისაკენ. ამ ნაყოფიერ ადგილებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე სერავდა უთვალავი ნაკადი, რომლებიც უხვად რწყავდნენ მიდამოს და საძოვრებში იკარგებოდნენ. იქაურობა ისე იყო მოსწორებული, როგორც ქარიშხლის შემდეგ დაწყნარებული ოკეანის ზედაპირი.

პამპის უკანასკნელ მთებსაც გასცდნენ და თვალწინ გადაეშალათ გადამწვარი ერთფეროვანი მიდამო. დღემდე მშვენიერი ამინდები იდგა, დღეს კი ცამ შუბლი შეიკრა. პაპანაქების დროს უხვად აროთქლებული ტენი ცაში დაგროვებულიყო და თავსხმას აპირებდა. ამას ხელს უწყობდა ატლანტის ოკეანის სიახლოვე და დასავლეთის ქარი, რომელიც ჰავას მეტისმეტად ტენიანს ხდის. ტენინანობა ემჩნეოდა როგორც ნაყოფიერ ნიადაგს, ისე მწვანედ ჩამუქებულ იალაღებს, მაგრამ იმ დღეს საავდროდ გამზადებულ ცას პირი არ მოიუხსნია.

მგზავრები სწრაფი ნაბიჯით მიერეკებოდნენ ცხენებს. თითქმის სამოც კილომეტრამდე გაიარეს და საღამო ხანს ღამის გასათევად გაჩერდნენ, უზარმაზარ ბუნებრივ წყალსაცავ "კახადის" ნაპირას.

თავშესაფრად ვარგის ადგილს ვერ მიაგნეს. ამიტომ პონჩოებში გაეხვივნენ და ცის ქვეშ მიიძინეს. საბედნიეროდ, წვიმა არც იმ ღამე მოსულა.

მეორე დღეს, რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით მეტად დაბლდებოდა მიდამო და თავქვე იწევდა. მიწისქვეშა წყალი თანდათან უფრო საგრძნობი ხდებოდა. ასე რომ, მისი ნესტი მიწის ზედაპირამდე აღწევდა. მალე წაადგნენ ფართო საგუბრებს, რომელთა შორის ზოგი უკვე ღრმა იყო, ზოგი კი ახლა ივსებოდა წყლით. ისინი აღმოსავლეთის გზას გარდიგარდმო სერავდნენ.

ჯერჯერობით მხოლოდ ლაგუნები, პატარ-პატარა ტბორები ხვდებოდათ, რომლებიც თავისუფალი იყვნენ წყლსი მცენარეულობისგან და ცხენები ადვილად გადიოდნენ შიგ, მაგრამ წინსვლა თანდათან გაძნელდა, როდესაც პენტანებს, ხშირი ბალახით დაფარულ ჭაობებს წააწყდნენ. ასეთ ადგილებში საფრთხეს მხოლოდ მაშინ გრძნობდნენ, როდესაც ცხენი ჩაეფლობოდა. ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე შეუწირავს ამ ჭაობებს?

ერთხელ წინ მიმავალმა რობერტმა ერთბაშად უკან დახია ცხენი და თან დასძინა:

- ბატონო პაგანელ, ბატონო პაგანელ! ... მე დავინახე რქების ტყე!...

- რაო? რქების ტყეო?

- დიახ, ტყე თუ არა, კორომი მაინც.

- რქების კორომი?! ხომ არ გაბოდებს, ბიჭუნი?

- როგორ თუ მაბოდებს! აი, თვითონ ნახეთ, რომ სიმართლეს მოგახსენებთ!...

- ეს აღარ ხუმრობს! - შენიშნა მაიორმა.

- არა, ბატონო მაიორო, თქვენი თვალით ნახეთ!

რობერტი არ შემცდარა. მალე ყვალანი წაადგნენ იმ ადგილს და თვალწინ გადაეშალათ ვეებერთელა მინდორი, რომელიც მოფენილი იყო მწყობრად ამოშვერილი რქებით. მართლა, კორომი გეგონებოდთ, ხშირი და დაბალი.

- ახლა რაღას ბრძანებთ? - მიმართა რობერტმა.

- უცნაური მოვლენაა!... - მიუგო პაგანელმა და ტალკავს გადახედა.

- რქები ზევით დარჩენილა, ხარები კი მიწაშია, - განუმარტა ტალკავმა.

- რა, რაო? აქ მთელი ნახირი დაიღუპებოდა?!

- დიახ, - მიუგო პაგანელმა.

საფლობში ხუთასიოდე ხარი დაღუპულიყო. ასეთი მოვლენა იშვიათი როდია არგენტინაში. ტალკავმა ეს მხედველობაში მიიღო მგზავრობაში წინდახედულობის გამოსაჩენად.

მოგზაურებმა შემოუარეს ამ უზარმაზარ სასაფლაოს და ერთი საათის შემდეგ სამი კილომეტრით უკან მოიტოვეს უზარმაზარი ჰეკატომბა!...[1]

ტალკავი შეშფოთებით აკვირდებოდა მიდამოს. ხშირად ცხენს შეაჩერებდა და უზანგზე შემდგარი ათვალიერებდა თვალუწვდენელ სივრცეს, მაგრამ საეჭვოს რომ ვერაფერს ამჩნევდა, კვლავ განაგრძობდა გზას. ყოველი კილომეტრის გავლის შემდეგ ცხენს შეაჩერებდა, ხან სამხრეთისაკენ გაიხედავდა, ხან ჩრდილოეთისაკენ, უკანვე გამობრუნდებოდა, ისევ წაუძღვებოდა რაზმს და არავის უზიარებდა თავის ეჭვებს. _____

1 ჰეკატომბა - ასი ხარის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულება ძველ საბერძნეთში; გადატანითი მინიშნება. - მრავალი სულიერის ერთდროულად დაღუპვა.

ასე მოიქცა რამდენჯერმე, რამაც ბოლოს შეაშფოთა გლენარვანი. დაინტერესებულმა პაგანელს სთხოვა, გამოეკითხა პატაგონიელისათვის საქმის ვითარება. ტალკავს თურმე ამ მინდორზე წყლის სიუხვე აკვირვებდა.

- რაც თავი მახსოვს და გამყოლად დავდივარ, ასეთი არა მახსოვს რა. არგენტინის დაბლობი დიდი წვიმანობის დროსაც კი კარგი გასავლელია, - თქვა მან.

- მაშ, რას უნდა მივაწეროთ ასეთი დაჭაობება? - შეეკითხა პაგანელი.

- ვერ გამიგია, - მიუგო ინდიელმა, - მაგრამ რომ მცოდნოდა...

- განა მთის მდინარეებმა გადაუღებელი წვიმების დროს ადიდება არ იცის?

- ზოგჯერ იცის.

- იქნებ ახლაც ასეა?

- შეიძლება, - მიუგო ტალკავმა.

პაგანელი ამ ბუნდოვან პასუხს უნდა დასჯერებოდა. მან გლენარვანს გადასცა გამყოლთა საუბრის შინაარსი.

- რას გვირჩევს ტალკავი? - ჰკითხა გლენარვანმა.

პაგანელმა შეეკითხვა გადასცა პატაგონიელს.

- უნდა ვიაროთ, რაც შეიძლება ჩქარა! - მიუგო ინდიელმა.

ასეთი რჩევის მიცემა ადვილი იყო, მისი შესრულება კი რა მოგახსენოთ. ცხენები იქანცებოდნენ სველ ნიადაგზე სიარულით. ფეხი უსხლტებოდათ. ეს მიდამო ნარიყალ ადგილებს ჰგავდა, სადაც ყოველ წუთს მოსლოდნელი იყო ნაადრევი ნიაღვრის მოვარდნა, ამიტომაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გასცილებოდნენ აქაურობას.

მოგზაურები ცხენებს გამეტებით მიერეკებოდნენ, მაგრამ ყოველი ფეხის გადადგმაზე თანდათან უფრო მეტი წყალი ამოდიოდა ცხენების ნაფეხურებთან და სვლას აძნელებდა.

ნაშუადღევს ორი საათი იქნებოდა, როდესაც უცებ ტროპილკული, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თავის შესაფარებელი არსად იყო. ქუდებიდან ღვარად ჩამოსდიოდათ წყალი მგზავრებს ტანსაცმელზე. ვაი-ვაგლახით მიიწევდნენ წინ. ზემოდან წვიმა ესხმებოდათ, ქვემოდან ფლოქვების შხეფები წუწავდათ. ბოლოს, საღამო ხანს, მთლად წყლით გაჟღენთილი, გათოშილი და ქანცმილეული მგზავრები ერთ მიტოვებულ რანჩოს წააწყდნენ, რომელშიც არც ერთი პამპელი ინდიელიც კი არ იკადრებდა შესვლას.

რის ვაი-ვაგლახით დაანთეს ცეცხლი, რომელიც უფრო ხრჩოლავდა, ვიდრე ათბობდა. თავსხმა გრძელდებოდა, წყალი ჩხრიალით ჩადიოდა ქოხში, ცეცხლსაც ჩაუქრობდათ, რომ მიულრედი და ვილსონი დარაჯად არ სდგოოდნენ და ოცჯერ მაინც ხელახლა არ გაეჩაღებინათ.

უყუათო ვახშამმა უგემურად და მოწყენით ჩაირა. მადა არავის ჰქონდა. მხოლოდ მუდამ უშფოთველი მაკ-ნაბსი იყო ჩვეულებრივ გუნებაზე. პაგანელმა ოხუნჯობა სცადა, მაგრამ მარილი შემოაკლდა.

- ეტყობა, ჩემი ოხუნჯობაც დამბალა და ვეღარ ჭრის, - ჩაილაპარაკა ბოლოს.

ასეთ დროს დაძინებას არაფერი სჯობდა. მგზავრებმაც სცადეს, მიწოლილიყვნენ და თავდავიწყებას მისცემოდნენ.

საძაგელი ღამე იყო. გამუდმებული ქარისაგან ქოხი ზანზარებდა, ჭრიალებდა და თავზე ჩამოქცევას ლამობდა. საბრალო ცხენები შესაბრალისად ჭიხვინებდნენ წვიმაში, თუმცა არც მათი პატრონები იყვნენ უკეთეს დღეში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინათ. მაგალითი პირველად რობერტმა მისცა, რომელსაც გლენარვანის მკლავზე მიეძინა. მერე ყველამ ჩათვლიმა. საბედნიეროდ, იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

მგზავრები თაუქას ჭიხვინმა და ქოხის კედლებზე ტორების ცემამ გამოაღვიძა. ცხენი მიჩვეული იყო, რომ გამგზავრების დროს ენიშნებინა მგზავრებისათვის თავისი პატრონის ნაცვლად. ყველანი წამოიშალნენდა სამგზავროდ გაემართნენ. წვიმას გადაეღო, მაგრამ გაჟღენთილ მიწას რა გააშრობდა. ამ თიხნარ ადგილებში უშველებელი ტბორები იდგა და ნაპირებიდან გადმოდიოდა.

პაგანელმა რუკას დახედა და მოსაზრება გამოთქვა, რომ რიო-გრანედა რიო-ვივარტა, რომლებსაც ამ ვაკის წყლები ერთვოდა, ალბათ, კალაპოტიდან გადმოვიდა, აქ სადმე ერთმანეთს შეუერთდნენ და რამდენიმე მილის სიგანეზე გაშლილანო. აუცილებელი იყო, სწრაფად ევლოთ. ნიაღვარი რომ მოვარდნილიყო, სად უნდა შეეფარებინათ თავი?...

ამ თვალუწვდენელ სივრცეზე, თითქმის ცისკიდურამდე, არც ერთი მაღლობი არ მოჩანდა და ამ ჩავარდნილ მიდამოს ერთბაშად მოასკდებოდა წყალი.

ცხენებს დეზები ჰკრეს და გაქუსლეს. თაუქა წინ მიქროდა და თან უჩვეულო მოუსვენრობას იჩენდა. მალიმალ სამხრეთისაკენ იღრეცდა კისერს, შეშფოთებული ჭიხვინებდა და ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, ყალყზე დგებოდა და თავს სწევდა წინ ისე, რომ ტალკავს უჭირდა მისი მოთოკვა. ცხენი არა ცხრებოდა, ლაგამს გლეჯდა, ყბებიდან სისხლი სდიოდა. ინდიელს რომ მიეშვა, თაუქა ჩრდილოეთისაკენ გაიქცეოდა.

- რა ემართება თაუქას? - შეეკითხა პაგანელი, - იქნებ წრუბელები კბენენ. არგენტინის წყლებში ძალიან აბეზარი წრუბელები იცის!...

- არა, - მიუგო ინდიელმა.

- მაშ, საფრთხეს გრძნობს?

- დიახ, საფრთხეს გრძნობს!

- რას?

- არ ვიცი.

თუმცა ჯერ არსად ჩანდა ის საფრთხე, რომელიც ასე აგიჟებდა თაუქას, მაგრამ სმენას კი აღწევდა მისი მოახლოების ნიშნები - შორიდან მოისმოდა ყრუ შხუილი, ისეთივე როგორც ზღვის მოქცევის დროს იცის. ნოტიო ქარი უბერავდა და თან მოჰქონდა წყლის წინწკლები. შეშინებული ფრინველები გაშმაგებული გადაუქროლებდნენ ხოლმე თავზე. ცხენები უკვე მუხლებამდე მიტოპავდნენ წყალში.

მალე, ნახევარი მილის მანძილზე, სამხრეთიდან ცხვრის ფარის უცნაური ბღავილი, ხარების ზმუილი და ცხენების ჭიხვინი შემოესმათ. შორიდან თვალი მოჰკრეს უამრავი გადარეული ცხოველის გაშმაგებულ სრბოლას: ერთმანეთს აწყდებოდნენ, თელავდნენ. მათ ფეხქვეშ ავარდნილი წყლის შხეფების კორიანტელში არაფერი ჩანდა. ასე უზარმაზარი ვეშაპიც ვერ აამღვრევდა ოკეანის ზედაპირს!

- Anda, Anda! [1] დაიგრგვინა ტალკავმა.

- რა მოხდა? - შეეკითხა პაგანელი.

- წყალდიდობაა, წყალდიდობაა! - იმეორებდა ტალკავი, - ცხენს დეზი ჰკრა და ჩრდილოეთისაკენ გააქანა.

- წყალდიდობაა!... - შესძახა პაგანელმა და თანამგზავრებით უკან გაედევნა ტალკავს.

ყოველი წუთი ძვირფასი იყო. მართლაც, ხუთი მილის მოშორებით, სამხრეთისაკენ განივრად მოიგრაგნებოდა მაღალი, აქაფებული ტალღა, რომელიც ვაკეს მღელვარე ზღვად გადაქცევას უქადდა. მაღალი ბალახი მოცელილივით _____

1 (ესპ.) ჩქარა, ჩქარა!

წვებოდა და წყალქვეშ იკარგებოდა. ძირიან-ფესვიანად მოგლეჯილი მიმოზების ჭალაკები პატარა კუნძულებივით მოტივტივებდნენ. ნიაღვარი შეუჩერებლივ მოიზლაზნებოდა და მიდამოს ფარავდა. ალბათ, ჩრდილოეთით კოლორადოს და სამხრეთით კი რიო-ნეგროს გადმოელახათ წყალგამყოფი და ერთ ნაკადად ქცეულნი მოზღვავებულიყვნენ.

ადიდებული მდინარე ჯიშიანი ცხენის სისწრაფით მოისწრაფოდა მათკენ. მოგზაურები ისე გაურბოდნენ მას, როგორც ფოთოლი გაურბის ქარტეხილს. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, რომ სადმე ეპოვათ გადასარჩენი ადგილი, მაგრამ ამაოდ - ცა და წყალი გაერთიანებულიყო ირგვლივ.

საფრთხით აცახცახებული ცხენები ისე გაშმაგებით მიქროდნენ, რომ მგზავრები ძლივს იმაგრებდნენ თავს უნაგირებზე. გლენარვანი წამდაუწუმ უკან იხედებოდა და ფიქრობდა: "წყალი გვწვდება!"

- Anda, Anda! - გაჰკიოდა ტალკავი და მხედრებიც უფრო გამწარებით მიერეკებოდნენ საცოდავ ცხენებს, რომლებსაც დეზების ცემისაგან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდათ ფერდებიდან და წყლის ზედაპირს წითელი ძაფივით გასდევდა.

ოღროჩოღრო ნიადაგზე ცხენები ბორძიკებდნენ. ფეხები ბალახში ეხლართებოდათ, წყალში ფორთხიალობდნენ და იქცეოდნენ. წამოაყენებდნენ და ისევ იქცეოდნენ. წყლის დონე კი თანდათან მატულობდა. აგორებული წყლის გრძელი, ორი-სამი კილომეტრის მანძილზე მოახლოებული აქაფებული ზვირთები მოიგრაგნებოდა და წუთი-წუთ წალეკვას უქადდა მთელ მიდამოს.

საშინელ სტიქიონთან ბრძოლა თხუთმეტიოდე წუთს გაგრძელდა. მზავრები ისე იყვნენ გაოგნებულნი, რომ არც კი იცოდნენ, რა მანძილი გამოიარეს გაშმაგებული ჭენებით ამ ორმოტრიალში. ცხენები ახლა მკერდამდე მიაპობდნენ წყალს და გაჭირვებით იძროდნენ. გლენარვანი, პაგანელი და ოსტინი უკვე დაღუპულად თვლიდნენ თავს, როგორც ტალღების მსხვერპლად განწირული მეზღვაურები. ცხენებს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდათ და ექვსი ფუტის სიღრმეც საკმაო იყო მათ დასახრჩობად.

მოულოდნელმა წყალდიდობამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მოგზაურები. გრძნობდნენ, რომ შეუძლებელი იყო სტიქიონთან გამკლავება. ეს ბრძოლა ადამიანის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ცხენები მიცურავდნენ. მათ ნიაღვარი მიაქანებდა ოცი მილის სისწრაფით საათში. თითქოს ყოველივე დაკარგული იყო, როდესაც ყველას შემოესმა მაიორის აუღელვებელი ძახილი:

- ხე მოჩანს!

- ხე?!

- აგერ, იქით! - გამოსძახა ტალკავმა და თითი გაიშვირა ჩრდილოეთით, სადაც წყალში ეულად ამართულიყო უზარმაზარი ხე.

მგზავრებს წახალისება აღარ დასჭირდათ - ხე მათი ერთადერთი საშველი იყო. რაც უნდა დამართოდათ, როგორმე იქამდე უნდა მიეღწიათ, ცხენები თუ არა, ადამიანები მაინც გადარჩებოდნენ. მათ ისევ მიაქანებდა მდინარე. უცებ ტომ ოსტინის ცხენმა საცოდავიად დაიხვიხვინა და ტალახში ჩაიმალა. ოსტინმა უზანგებიდან ფეხების გამოცლა მოასწრო.

- ჩემს უნაგირს ჩაჰკიდე ხელი! - დაუძახა გლენარვანმა.

- გმადლობთ, სერ! მკლავში ძალა მომდეს, - გამოსძახა ოსტინმა.

- შენი ცხენი როგორღაა რობერტ? - მიუბრუნდა გლენარვანი რობერტს.

- ისე მიცურავს, როგორც თევზი!

ამ დროს მაიორის ძლიერი ხმა მოისმა:

- ფრთხილად!

სიტყვა არც კი დაემთავრებინა, როდესაც უშველებელი, ორმოცი ფუტის სიმაღლე ტალღა თავს დაატყდათ მგზავრებს. გაისმა საშინელი ხმაური. ცხენები თუ ადამიანები რამდენიმე მილიონმა ტონა წყალმა შთანთქა. როდესაც ტალღამ გადაიარა, ყველანი ზედაპირზე ამოტივტივდნენ და ერთმანეთს დაუწყეს თვლა. ყველა გადარჩენილიყო, ცხენები კი, თაუქას გარდა, სამუდამოდ დაეღუპათ.

- აბა, მარჯვედ, გაბედულად! - გასძახოდა გლენარვანი, ცალ ხელს წყალში უსვამდა, მეორე კი პაგანელისათვის ჩაევლო.

- არა მიშავს რა! - მიუგო მეცნიერმა, - არც იმდენად ვნაღვლობ!... - მაგრამ რა არ ენაღვლებოდა მეცნიერს, ვერავინ მიუხვდა, რადგან სიტყვები ჩაყლაპა და ზედ ბლომად მღვრიე წყალიც დააყოლა. მაიორი კი დინჯად მიცურავდა, დროდადრო ისუნთქავდა, მერე პირიდა უშვედა ჰაერს ისეთი ოსტატობით, რომ ცურვის საუკეთესო მასწავლებელიც კი უსიტყოდ მოუწონებდა. მათთვის ჩვეულ გარემოში მოხვედრილი მეზღვაურები დელფინებივით მიცურავდნენ, რობერტი ჩაბღაუჭებოდა თაუქას ფაფარს, თაუქა კი მკერდით ამაყად მიაპობდა ტალღებს. უტყუარი ალღო მას ხისკენ მიაცურებდა.

ხემდე ორმოციოდე მეტრიღა დარჩენოდათ. რამდენიმე წამში ხესთან გაჩდნენ. აქ იყო მათი ხსნა. უამისოდ ტალღები შთანთქავდა ყველას. წყალი ხეს პირველ ტოტამდე შემოსდგომოდა და ზედ ასვლა ძნელი არ იყო. ტალკავი ცხენს მოსცილდა, რობერტი აიტაცა ხელში და პირველი მოექცა ტოტზე. მალე თავისი ღონიერი მკლავებით სათითაოდ აიყვანა ყველანი უხიფათო ადგილას. თაუქა ნაკადმა გაიტაცა და თანდათან შორდეოდა მათ, გონიერ თავს პატრონისაკენ იღრეცდა, გრძელ ფაფარს არხევდა და ჭიხვინით ეპატიჟებოდა პატრონს.

- როგორ, თაუქა მიატოვეთ? - შეეკითხა პაგანელი ტალკავს.

- მე და ცხენი მივატოვო? - შესძახა ინდიელმა, აქოჩრილ ტალღებში გადაეშვა და ათიოდე მეტრის იქით ამოყო თავი. რამდენიმე წამში ცხენს წამოეწია, კისერზე მოსდეო ხელი და მალე ორივენი დანისლულ ჰორიზონტს იქით მიიმალნენ.

თავი XXIII

მოგზაურები ფრინველებივით ცხოვრობენ

ის ხე, რომელზეც გლენარვანმა და მისმა თანამგზავრებმა თავი შეაფარეს, კაკლის ხეს ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო "ომბუ", რომელიც ეულად იზრდებოდა ხოლმე არგენტინის ვაკეზე. უშველებელი დაბრეცილი ტანი ჰქონდა და ნიადაგზე არა მარტო ფესვებით, არამედ უამრავი მძლავრი ყლორტითაც იყო მიმაგრებული. ამის გამო იყო, რომ ხე ამოვარდნილ ნიაღვარს უძლებდა.

ომბუ სიმაღლით ას ფუტს აღწევდა, მისი ტოტები კი უზარმაზარ სივრცეზე აფენდა ჩრდილს. მისი მწვანე ვარჯი დაყრნობილი იყო სამ უშველებელ ორ-ორმეტრიან დიამეტრის შტოზე. ამათგან ორი თითქმის შვეულ ხაზად იყო ატყორცნილი და ბურჯივით შესდგომოდა ფოთლოვან ვარჯს, რომელიც კენწეროში ისე ჩახლართულ-ჩამოხლართულიყო შტოებითა და ყლორტებით, რომ განგებ ნაქსოვი გეგონებოდათ. ამის წყალობით ფოთლოვანი ვარჯი ერთი წვეთ წვიმას არ გაატარებდა. მესამე რტო განზე იყო გაშვერილი, მოვარდნილ წყალზე, და მისი ფოთლები უკვე ზვირთებში ჭყუმპალაობდნენ.

უზარმაზარი ომბუს ჭალაში ხალვათობა იყო, განზე გასულ შტოსა და შტოს შუა ნამდვილი კორომი გაშლილიყო, ჰაერითა და სიგრილით სავსე. ამ მწვანე ჭალაკის მაცქერალი იფირქბდა, რომ ომბუს ტოტზე ლიანებით ჩახლართული მთელი ტყე გაზრდილა, რომლიდანაც მზის შუქი მწვანე მოლს ეფინებაო.

მოგზაურები რომ ხეზე აფოფხდნენ, ფრინველების მთEლი გუნდი ჟივჟივით წამოიშა და ზემო ტოტებისაკენ გადაინაცვლა, თითქოს გულსწყრომას უცხადებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. აქ იყო უთვალავი შაშვი, შოშია, ჰილგუეროსი და განსაკუთრებით პიკა-ფლორი

თავისი ელვარე ბუმბულით. როდესაც ერთბაშად წამოიშალნენ, გეგონებოდათ, ქარის ქროლაზე ხემ დაიყვავილაო. ასეთი იყო გლენრავანისა და მისი თანამგზავრების თავშესაფარი. როგორც კი ხეზე ახალგაზრდა გრანტი და ვილსონი მოხვდნენ, მაშინვე კენწეროში მოექცნენ. ჩახლართული ფოთოლ-ყლორტებიდან თავები გადაყვეს და უზარმაზარ სივრცეს გახედეს.

ადიდებული წყალი ირგვლივ ოკეანესავით იდგა. თვალის მოვლებაზე ყველგან წყალი და მხოლოდ წყალი მოჩანდა. თვალსაწიერზე არსად ჭაჭანებდ არც ერთი ხე, მხოლოდ მათი ომბუ ჟრიალედა და ზანზარებდა ტალღების მოწოლისაგან. შორს, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, წყალს მოჰქონდა ძირიანად ამოგლეჯილი ხეები, დამტვრეული ტოტები, სადმე ქოხიდან მოგლეჯილი ჩალის სახურავები, დანგრეული ესტანციიდან გამოტაცებული მორები, დამხრჩვალი ცხოველების ლეში, გასისხლიანებული ტყაები თუ ათასი სხვა რამ. მათ შეეფარებინა იაგურების ოჯახს; ტივს ჩასჭიდებოდნენ და შემზარავად ღმუოდნენ. უფრო მოშორებით ვილსონმა ერთი შავი წერტილი შეამჩნია, რომელიც ოდნავ მოჩანდა. ეს იყო ტალკავი თავისი ერთგული თაუქათი, რომელიც თვალიდან ეკარგებოდათ. მათ დანახვაზე რობერტმა ხელი გაიშვირა პატაგონიელისაკენ და გასძახახ:

- ტალკავ!... ჩემო მეგობარო, ტალკავ!...

- გადარჩება, რობერტ, ნუ გეშინია! - ანუგეშა ვილსონმა, - ახლა კი, დროა, ჩავეშვათ ქვევით.

ერთი წუთის შემდეგ რობერტი და ვილსონი ზემო შტოებიდან დაბლა ჩამოვიდნენ და ომბუს ტანის თავზე გაჩდნენ. აქ მოეკალათა ყველას, ზოგს ტოტზე გადაელაჯებინა, ზოგი ხელით ჩასჭიდებოდა შტოებს. აქ იყვნენ გლენარვანი, პაგანელი, მაიორი, ოსტინი და მიულრედი. ვილსონმა უამბო, რაც კენჭეროდან დაინახეს. ყველას სჯეროდა, რომ ტალკავი გადარჩებოდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტათ, ვინ ვის გადაარჩენდა - ტალკავი თაუქას თუ თაუქა ტალკავს?

ხეზე შეხიზნებულების მდგომარეობა, ცხადია, უარესი იყო, ვიდრე ტალკავისა. მართალია, დინება ხეს ვერ წააქცევდა, მაგრამ თანდათან მოზღვავებულ წყალს შეიძლებოდა მის კენჭერომდე მიეღწია, მით უმეტეს, რომ თვითონ ომბუ ჩავარდნილ ადგილას იზრდებოდა.

გლენარვანმა უპირველეს ყოვლისა ჭდეები გაუკეთა ხის ტანს, რომ წყლის დონის მატებისათვის თვალყური ედევნებინათ. ერთი საათის შემდეგ გლენარვანმა დაინახა, რომ წყალდიდობას უაღრესი სიმაღლემდე მიეღწია, რადგან წყალი აღარ მატულობდა; ეს კარგი ნიშანი იყო და ყველას გაუხარდა.

- ახლა რა ვაკეთოთ? - იკითხა გლენარვანმა.

- ბუდე გავაკეთოთ! - მხიარულად მიუგო პაგანელმა.

- ბუდე? - შესძახა რობერტმა.

- რა თქმა უნდა, ბუდე, ჩემო ბიჭუნი, და ვიცხოვროთ ფრინველებივით, რადგან თევზებად არ ვივარგეთ!

- ჩინებულია! - მიუგო გლენარვანმა, - მაგრამ ღია ნისკარტში ვინ ჩაგვიდებს საზრდოს?

- მე, - მიუგო მაიორმა.

ყევლამ გადახედა მაკ-ნაბსს, რომელიც ორ მაგარ შტოს შუა როგორც სავარძელში, ისე მარჯვედ მოკალათებულიყო და ცალ ხელში ეჭირა ორი ხურჯინი, რომელიც დასველებულიყო, მაგრამ სანოვაგით იყო გატენილი.

- აი, მაკ-ნაბს!.. თქვენს მეტი ამას ვერავინ მოახერხებდა! - შესძახა გლენარვანმა.

- თქვენ ყველაფერი გახსოვთ ისეთ ვითარებაში კი, როდესაც მთელი ქვეყნიერების დავიწყებაც არ დაეძრხება ადამიანს!

- გასაკვირი არაფერია, - უპასუხა მაიორმა, - რადგან დახრჩობა არ ვისურვეთ, შიმშილით სიკვდილის აზრი სულ აღარ ექნებოდა.

- მეც ვიფიქრე ხურჯინებზე, - გულუბრყვილოდ თქვა პაგანელმა, - მაგრამ ხომ იცით ჩემი დაბნეულობის ამბავი.

- მერე რა არის ამ ხურჯინებში?

- ორი დღის სამყოფი საგზალი შვიდი კაცისათვის.

- ძალიან კარგი! - მიუგო გლენარვანმა მაიორს, - იმედი მაქვს, ოცდაოთხი საათის შემდეგ წყალი ძალიან დიკლებს.

- ან სხვა გზა გამოჩნდება, რომ მიწას მივაღწიოთ.

- მაშასადამე, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, დავწყნარდეთ, - თქვა გლენარვანმა.

- რა თქმა უნდა, თუმცა ჯობდა ჯერ ტანისამოსი გაგვეშრო, - შენიშნა მაიორმა.

- კარგი იქნებოდა, მაგრამ ცეცხლი? - იკითხა ვილსონმა.

- უნდა გავაჩიოთ! - მიუგო პაგანელმა.

- სად?

- ამ ხეზე?

- როგორ?

- უნდა გავაჩინოთ-მეთქი!- მიუგო პაგანელმა.

- როგორ?

- ტოტებს მოვამტვრევთ.

- მერე, ანთება არ უნდა? - იკითხა გლენარვანმა, - ჩვენი აბედი ღრუბელივით წყლითაა გაჟღენთილი.

- უმაგისოდაც იოლას გავალთ! - უპასუხა პაგანელმა, - ცოტაოდენი ხმელი ხავსი, მზის სხივი და ჩემო ჭოგრის ამოზნექილი შუშა!... ნახეთ, რა ცეცხლი გაჩაღდება ამ სამი ელემენტისაგან. აბა, შეშაზე ვინ წავა?

- მე! - შესძახა რობერტმა, ვილსონთან ერთად კატასავით აფოფხდა ზევით და ფოთლეს მიეფარა. მათ მოსვლამდე პაგანელმა ბლომად მშრალი ხეები მოკრიფა, სველი ფოთლების გროვა ქვეშ დაუწყო, ჭოგრის შუშა ღრუბლებიდან გამოსულ მზეს მიუშვირა და ცეცხლი დაანთო.

ვილსონი და რობერტიც მალე დაბრუნდნენ ტოტებით, რომლებიც გაჩაღებულ ხავსს დააყარეს. ნამდვილი კერა გაჩაღდა. ცეცხლის გასაჩაღებლად პაგანელმა არაბულ ხერხს მიმართა. ფეხები ფართოდ გაშალა, გადაალაჯა კერას, პონჩო მოიხვია და მალიმალ ხან იხრებოდა, ხან ისევ სწორდებოდა. შეშას მოეკიდა და მალე ალი ტაკაცატკუცით ავარდა ზევით. პონჩოები ტოტებზე ჩამოკიდეს, სადაც ქარი აფრიალებდა და აშრობდა მათ.

ყველანი მხიარულად მიუსხდნენ ცეცხლს და შრებოდნენ, შემდეგ სანოვაგე ულუფებად დაინაწილეს, რადგან ხვალისათვის უნდა ეზრუნათ და საუზმეს შეუდგნენ. გლენარვანის აზრით, უზარმაზარი აუზი მალე ვერ დაშრებოდა, სანოვაგე კი მეტად მცირე ჰქონდათ. ამ ხეს არავითარი ხილი არ ესხა. საბედნიეროდ, აქ შეიძლებოდა ეშოვათ ახალთახლი კვერცხები ფოთლებში მიმალული ბუდეებიდან, რომლებითაც სავსე იყო ტოტები. საჭმელად გამოიყენედნენ თავად ფრინველებსაც, არაფრის დაწუნება არ შეიძლებოდა.

ნასაუზმევს გლენარვანმა წინადადება შეიტანა, კომფორტული საწოლები მოეწყოთ, რადგან ხეზე ხანგრძლივი შეჩერება იყო მოსალოდნელი.

- რაკი სამზარეულო და სასადილო ძირს მოვაწყვეთ, დასაძინებლად მეორე სართული უნდა გამოვიყენოთ, - თქვა პაგანელმა, - საამისოდ სახლიც დიდია და ქირაც ხელმისაწვდომი. აქ, როგორც ვხედავ, მშვენიერი ბუნებრივი აკვანი ბევრია, საჭიროა მხოლოდ ზედ მივებათ და ისე ტკბილად გამოვიძინებთ, როგორც საუკეთესო ლოგინში. საშიში არაერია, არც საგუშაგოზე დგომა დაგვჭირდება, ჩვენ არც ისე ცოტანი ვართ. ასე რომ, ინდიელების მთელ ფლოტსაც კი მოვიგერიებთ.

- მხოლოდ იარაღი გვაკლია! - ჩაურთო ტომ ოსტინმა.

- მე მაქვს რევოლვერი, - თქვა გლენარვანმა.

- მეც მაქვს, - მიუგო რობერტმა.

- მერა, რას გვარგებს, თუ ბატონი პაგანელი დენთის გაკეთებას ვერ მოახერხებს! - გაეპასუხა ტომ ოსტინი.

- ბატონ პაგანელს სულაც არ დასჭირდება შეწუხება, - მიუგო მაკნაბსმა და სავსე საპირისწამლე დაანახვა, რომელიც სავსებით მშრალად შენახულიყო.

- ეგ საიდანღა გაგიჩნდა, მაიორო? - შეეკითხა პაგანელი.

- ტალკავისაგან. მიხვდა, რომ დაგვჭირდებოდა და თაუქას საშველად წყალში გადახტომის წინ მომცა.

- რა თავგანწირული და დიდსულოვანი ინდიელია, - თქვა გლენარვანმა.

- მართლაც, - მიუგო ოსტინმა, - თუ ყველა პატაგონიელი ტალკავს წააგავს, ქედი ომიდრეკია მათი ქვეყნის წინაშე!

- გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ ცხენსც, - ჩაურთო პაგანელმა, - ცხენი პატაგონიელის განუშორებელი ნაწილია და დარწმუნებული ვარ, კიდევ ვნახავთ ამ განუყრელ მეგობრებს.

- ახლა რა მანძილი გვაშორებს ატლანტის ოკეანეს? - იკითხა მაიორმა.

- დიდი-დიდი ორმოცი მილი, - უთხრა პაგანელმა, - ახლა კი მეგობრებო, რადგან ყველა ჩვენგანს შეუძლია სურვილისამებრ მოეწყოს, ნება მიბოძეთ, ავიდე ზევით და მოვაწყო ობსერვატორია, რომ ჩემი ჭოგრით დავზვერვო მიდამო და გაცნობოთ, რა ხდება ქვეყნიერებაზე.

მეცნიერს არავი შეკამათებია და ისიც მარჯვედ აცოცდა ტოტიდან ტოტზე. მალე ხშირ ფოთლებს მიეფარა. მისი ამხანაგები კი საწოლებისა და ლოგინის გადამზადებას შეუდგნენ. ეს ადვილი საქმე გამოდგა, რადგან არც საბნები ჰქონდათ საძებარი, არც ლეიბები გასასწორებელი. მალე ხუთივე ცეცხლს შემოუჯდა და საუბარი გააბეს, ოღონდ ახლანდელ მდგომარეობაზე კი არა, რაც მხოლოდ მოთმინებას მოითხოვდა მათგან, მათი საუბრის საგანი იყო კაპიტან გრანტის იდუმალებით მოცული ბედი.

თუ წყალმა დაიკლო, სამი დღის შემდეგ "დუკანის" გემბანზე იქნებიან, მაგრამ თან არ ეყლოებათ არც ჰარი გრანტი, არც მისი ორი მეზღვაური. ამ ორი მარცხის შემდეგ, როდესაც ასე უნაყოფოდ გადაიარეს ამერიკა, მათი პოვნის იმედი სამუდამოდ დაკარგული იყო. ახლა საითღა უნდა ეძებნათ? როგორ დასწყდებოდათ გული ელენსა და მერი გრანტს, როდესაც შეიტყობდნენ, რომ იმედის ნასახიც აღარ არის!

- საბრალო დაო, ჩვენთვის ყველაფერი დამთავრდა, - ჩაილაპარაკა რობერტმა.

პირველი შემთხვევა იყო, რომ გლენარვანმა მისთვის საიმედო სიტყვა ვეღრა მონახა. რა იმედი შეიძლო მიეცა ბავშვისათვის? განა ბარათებში აღნიშნულ კვალს საგულდაგულოდ არ მიჰყვებოდა ექსპედიცია?

- ასე თუ ისე, ოცდამეჩვიდმეტე პარალელი ხომ ტყუილუბრალოდ არ არის ნაჩვენები ბარათებში! - თქვა გლენარვანმა, - რას უნდა ეხებოდეს ეს ცნობა - ხომალდის დაღუიპვას თუ ჰარი გრანტის დატყვევებას, ჩვენი მოგონილი ხომ არ არის?!... ეს ციფრი საკუთარი თვალით ამოვიკითხეთ ბარათში!...

- მართალია, მაგრამ ძებნამ მაინც ამაოდ ჩაგვიარა, - მიუგო ტომ ოსტინმა.

- მეც ეგ მაბრაზებს და ჭკუაზე მშლის! - შესძახა გლენარვანმა.

- გაბრაზება კიდევ შეიძლება, მაგრამ სასოწარკვეთილებამდე ჯერ ნუ მივალთ! - ჩაურთო მაკ-ნაბსმა, - სწორედ იმიტომ, რომ ბარათებში ზუსტად ნაჩვენები ციფრი და მისგან უნდა გამოვწუროთ ყველაფერი, რის მოცემაც შეუძლია.

- რისი თქმა გნებავთ?

- კიდევ რისი გაკეთება შეგვიძლია? - შეეკითხა გლენარვანი.

- სავსებით მარტივი და ლოგიკური საქმისა, ძვირფასო ედუარდ. როდესაც "დუკანის" გემბანზე ვიქნებით, აღმოსავლეთისაკენ უნდა გავემართოთ ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გაყოლებით. სწორედ იმ ადგილამდე, სადაც პირველად წამოვედით.

- მაკ-ნაბს, ნუთუ გგონიათ, რომ ეგ აზრი მე არ მომსვლია თავში?! - ჰკითხა გლენარვანმა, - ათასჯერ, მაგრამ რისი იმედი უნდა ვიქონიოთ? დავტოვოთ ამერიკის ნაპირები?! ესე იგი დავშორდეთ იმ ადგილს, რომელსაც ჰარი გრანტი გვისახელებს, გავცილდეთ პატაგონიას, რომელიც ასე გარკვევით არის აღნიშნული ბარათში?

- ნუთუ თავიდან გნებავთ დაიწყოთ პამპაში ძებნა, ხომ დარწმუნდით, როკმ "ბრიტინია" არც წყნარი ოკეანის ნაპირზე დაღუპულა, არც ატლანტის ოკეანის ნაპირზე დაღუპულა, არც ატლანტის ოკეანის ნაპირებთან?

გლენარვანი დუმდა.

- და რაც უნდა ნაკლები იმედი გვქონდეს ჰარი გრანტის მიგნებისა ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე, რომელსაც თვითონ გვიჩვენებს, განა არ უნდა შევეცადოთ ამას?

- მაგაზე უარს არ ვამბობ, - მიუგო გლენარვანმა.

- თქვენ რაღას იტყვით, მეგობრებო? - მიუბრუნდა მაიორი მეზღვაურებს, - იზიარებთ თუ არა ჩემს მოსაზრებას?

- სავსებით, - მიუგო ტომ ოსტინმა და მას შეუერთდნენ მიულერდი და ვილსონი, რომელმაც თავის დაქნევით დაადასტურა ეს.

- მომისმინეთ, მაიორო, - განაგრძობდა გლენარვანმა, - შენც კარგად დამიგდე ყური, რობერტ, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მე კაპიტან გრანტის საძებრად ყველაფერს მოვიმოქმედებ, რაც კი შემიძლია. რაკი ამ საქმეს ხელი მოვკიდე, თუ საჭირო გახდა, სიცოცხლესაც შევწირავ. მთელი შოტლანდია მხარს დამიჭერს, რომ იხსნას თავისი საუკეთესო შვილი. რაც უნდა ნაკლები იმედი გვქონდეს, მაინც გარს უნდა შემოვუაროთ მთელ დედამიწას ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გაყოლებით და მე ამას მოვახერხებ! ამჟამად კი სულ სხვაგვარი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი. ის უფრო დიდმნიშვნელოვანია: საბოლოოდ უნდა შევწყვიტოთ ძებნა ამერიკის კონტინენტზე თუ არა?

ასე გადაჭრით დასმული კითხვა უპასუხოდ დარჩა. ვერავინ გაბედა თავისი აზრი გამოეთქვა.

- აბა, რას იტყვით? - იკითხა გლენარვანმა და მისი კითხვა უმთავრესად მაიორს ეხებოდა.

- ედუარდ, - მიუგო მან, - ამ კითხვაზე პირდაპირ "ჰოს" და "არას" თქმა დიდად პასუხსაგებია. თქვენს კითხვაზე პასუხს მოფიქრება სჭირდება. ჯერ მინდოდა გამეგო, რა და რა ქვეყნებზე გადის ოცდამეჩვიდმეტე პარალელი სამხრეთ ნახევარსფეროში?

- ამას პაგანელი აგიხსნით, - მიუგო გლენარვანმა, - დაუძახეთ.

გეოგრაფი არ ჩანდა, მას ხშირი ფოთლები ფარავდა მათგან.

- პაგანელ!.. პაგანელ!.. - გასძახა გლენარვანმა.

- აქ გახლავართ! - მოისმა მისი ხმაც ზეციდან.

- სად ბრძანდებით?

- ჩემს კოშკში!

- რას აკეთებთ?

- ჰორიზონტს ვათვალიერებ.

- არ შეგიძლიათ, დაბლა ჩამობრძანდეთ, ერთი წუთით?

- გჭირდებით?

- დიახ.

- რისთვის?

- იმის შესატყობად, რომელ ქვეყნებზე გადის ოცდამეჩვიდმეტე პარალელი.

- მაგაზე ადვილი რაღაა! - ჩამოსძახა პაგანელმა, - მაგ უბრალო საქმისათვის არც არის საჭირო დაბლა ჩამოსვლა.

- მაშ, მანდედან გვითხარით!

- ინებეთ! ამერიკას რომ გასცდება, ოცდამეჩვიდმეტე პარალელი გადასერავს ატლანტის ოკეანეს...

- კეთილი.

- შემდეგ მიადგება ტრისტან დ´აკუნიას კუნძულებს...

- დიახ.

- მას შემდეგ გაივლის კეთილი იმედის კონცხს სამხრეთით, ორი გრადუსით ქვევით.

- მერე?

- მერე გადასერავს ინდოეთის ოკეანეს...

- შემდეგ?

- ჩაუვლის წმინდა პეტრეს კუნძულს, რომელიც ამსტერდამის არქიპელაგს ეკუთვნის...

- განაგრძეთ...

- გადასერავს ავსტრალიას ვიქტორიის პროვინციაში...

- მესმის.

- და ავსტრალიიდან... - სიტყვა დაუმთავრებელი დარჩა...

რა დამერთა გეოგრაფს? შეეჭვდა? დაავიწყდა რამე? არა! ხის კენწეროდან მოესმათ პაგანელის განცვიფრებული ყვირილი. რა მოხდა? პაგანელი ხომ არ ჩამოვარდა? ვილსონი და მიულერდი მისაშველებლად გაემზადნენ, როდესაც უცებ ზევიდან ჩამოიწოწა გრძელი სხეული. პაგანელი ტოტიდან ტოტზე ეცემოდა და ვერსად მოეკიდა ხელი. ცოცხალი იყო თუ მკვდარი? ვერავინ იტყოდა ამას, მაგრამ სწორედ იმ წუთში, როდესაც აქაფებულ წყალში უნდა ამოეყო თავი, ღონიერი მკლავი სწვდა მისი პიჯაკის კალთას...

- გმადლობთ, მაჯ-ნაბს! - უთხრა პაგანელმა.

- რა დაგემართათ? - ჰკითხა მაიორმა, - ისევ თქვენი დაბნეულობის მიზეზით?

- დიახ!... დიახ!... სწორედ ასეა!... - მღელვარე ხმით ამბობდა პაგანელი, - დიახ, დაბნეულობა... წარმოუდგენელი დაბნეულობა!...

- რაშია საქმე?

- ჩვენ კიდევ შევცდით!.. ჩვენ ყოველთვის ვცდებოდით!... ჩვენ ახლაც ვცდებით!.... გლენარვან, მაიორო, რობერტ, მეგობრებო, - შესძახა პაგანელმა, - გესმით თუ არა, რომ კაპიტან გრანტს ვეძებთ იქ, სადაც ის არ არის!

- რას ამბობთ? - შესძახა გლენარვანმა.

- არათუ არ არის, არამედ არც არასოდეს ყოფილა! - დაუმატა პაგანელმა.

თავი XXIV

ისევ განაგრძობენ ფრინველებივით ცხოვრებას

მეცნიერის მოულოდნელმა სიტყვებმა ყველა გააოცა. რისი თქმა უნდოდა გეოგრაფს? ხომ არ გაგიჟებულა?... მაგრამ ისეთი დამაჯერებელი კილოთი ლაპარაკობდა, რომ ყველანი გლენარვანს მიაჩერდნენ, რადგან პაგანელის ნათქვამი პირდაპირი პაუხი იყო გლენარვანის შეკითხვაზე.

გლენარვანმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ უარი ნიშნად მეცნიერისაკენ ხელი გაიქნია, გეოგრაფმა კი მღელვარება შეიკავა და განაგრძო:

- დიახ, მეგობრებო, ჩვენ მცდარ გზას დავადექით და ბარათებში ამოვიკითხეთ ის, რაც არ ყოფილა!

- გვითხარით თქვენი აზრი, პაგანელ, ოღონდაც ცოტა დამშვიდდით, - მიმართა მას მაიორმა.

- სულ უბრალო ამბავია, მაიორო. როგორც თქვენ, ისე მეც შევცდი. სწორედ ვერ ამოვიკითხე ბარათები. სწორედ ამ ერთი წუთის წინ, როდესაც ამ ხის კენწეროდან გიპასუხეთ და "ავსტრალია" ვახსენე, თითქოს თავში დამკრა დ ყველაფერი ცხადი შეიქნა.

- როგორ? - წამოიძახა გლენარვანმა, - თქვენ ფიქრობთ, რომ ჰარი გრანტი...

- დიახ, ვფიქრობ, რომ ფრანგულ ბარათებში სიტყვა Austral არ არის დამთავრებული და არ ნიშნავს სამხრეთს, როგორც დღემდე გვეგონა, არამედ ეს არის სიტყვა Australie-ს, ძირი.

- გასაოცარია! - თქვა მაიორმა.

- გასაოცარი! - გაეპასუხა გლენარვანი მხრების აჩეჩვით, - გასაოცარი კი არა, შეუძლებელია!

- შეუძლებელია?! - გაიმეორა პაგანელმა, - ფრანგულ ლექსიკონში ასეთი სიტყვა არ არსებობს.

- რა ბრძანებაა! - დაუმატა გლენარვანმა უღრმესი უნდობლობით, - მაშ, თქვენ იმის დამტკიცებას შეეცდებით, რომ "ბრიტანია" ავსტრალიის ნაპირებთან დაიღუპა?!

- სავსებით დარწმუნებული გახლავართ! - მიუგო პაგანელმა.

- იცით რა, პაგანელ, - უთხრა გლენარვანმა, - გეოგრაფიული საზოგადოების მდინვისაგან ასეთი მტკიცება ძალიან მაოცებს.

- ვითომ რატომაო? - იწყინა პაგანელმა

- იმიტომ, რომ თუ ფიქრობთ, რომ აქ უნდა იყოს სიტყვა indiens, მაშინ ამით იმასაც ამტკიცებთ, რომ ავსტრალიაში ინდიელებიც იმყოფებიან, რაც არავის სმენია!

პაგანელი არ გაუკვირვებია ასეთ არგუმენტს, ალბათ, მოელოდა კიდეც და ამიტომ ღიმილით უპასუხა:

- ჩემო ძვირფასო გლენარვან, ნუ ჩქარობთ გამარჯვების ზეიმს, ახლავე ისე დაგამარცხებთ, რომ ჯერ არც ერთი ინგლისელი არ დაემარცხებინოს ფრანგს!... ეს იქნება შურისძიება კრესისა და აზინკურის ბრძოლისათვის[1].

- მეც ეგ მინდა, დამცხეთ, პაგანელ, დამცხეთ!...

- მაშინ გაიხსენეთ! იმ საბუთში არც ინდიელებია ნახსენები და არც პატაგონია! დაუმთავრებელი სიტყვა indi სულაც არ ნიშნავს "ინდიელებს". ეს ნიშნავს "indigenes", ე.ი. მკვიდრს, ადგილობრივ მცხოვრებთ. მერედა, ნუთუ ფიქრობთ, რომ ავსტრალიაში ადგილობრივი მოსახლეობა არ არის?

გლენარვანი გაშტერებული მისჩერებოდა პაგანელს, ახლა კი დამარცხებულად იგრძნო თავი.

- ვაშა, პაგანელ! - ჩაურთო მაიორმა.

- ახლა მაინც შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ბარათის ასეთი ამოხსნა, ძვირფასო გლენარვან?

- დიახ, - მიუგო გლენარვანმა, - მხოლოდ იმ პირობით, თუ დამიმტკიცებთ, რომ დაუმთავრებელი სიტყვა "gonie" პატაგონიას არ ნიშნავს.

- რა თქმა უნდა, არ ნიშნავს! - შესძახა პაგანელმა, - აქ ლაპარაკი სულაც არ ეხება პატაგონიას.... ეს სიტყვა როგორც გენებოთ, ისე ამოიკითხეთ, მხოლოდ არა როგორც "პატაგონია".

- მაინც როგორ?

- კოსმოგონია, თეოგონია, აგონია.

- აგონია! - წარმოთქვა მაიორმა.

- ჩემთვის სულერთია, - განაგრძო პაგანელმა, - მაგ სიტყვას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობის გამოკვლევას არც გამოვეკიდები. უმთავრესი ის არის, რომ "austral" ნიშნავს ავსტრალიას და თავიდანვე მცდარ გზაზე არ დაგეყენებინეთ, ამ აშკარა განმარტებას წავადგებოდით. ბარათები მე რომ მეპოვ, ან თქვენი ახსნა-განმარტებით ჩემთვის გზა არ აგებნიათ, ამ ბარათს მე სხვანაირად არ გავიგებდი!

პაგანელის სიტყვებს ზოგი "ვაშას" ძახილით შეეგება, ზოგი განცვიფრებითა და ეჭვით. ოსტინი, მეზღვაურები, მაიორი და განსაკუთრებით ახალი იმედით ფრთებშესხმული რობერტი ტაშით შეეგებნენ, გლენარვანიც მზად იყო, დანებებოდა.

- ერთი შენიშვნაც, ძვირფასო პაგანელ, - მიმართა მან, - და ქედს მოვიხრი თქვენი გამჭრიახობის წინაშე.

- ბრძანეთ.

- ახლებურად გაგებულ სიტყვას როგორ გადააბამთ ერთიმეორეზე და როგორ წაიკითხავთ ბარათს მთლიანად?

- მაგაზე ადვილი რა არის?! აი, ეს ბარათიც, - მიუგო პაგანელმა და თან გაუწოდა ის ძვირფასი ქაღალდები, რომელთაც უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ჩაჰკირკიტებდა. სანამ გეოგრაფი აზრს მოიკრებდა და საპასუხოდ მოემზადებოდა, სიჩუმე ჩამოვარდა. პაგანელმა გაშალა ბარათი და თითის გაყოლებით წაიკითხა შემდეგი: "7 ივნისს, 1862 წელს, სამანძიანი ხომალდი "ბრიტანია", გლაზგოდან გასული, დაიღუპა... თუ გნებავთ, "ორი დღის" ან "ხანგრძლივი აგონიის" შემდეგ - სულერთია... "ავსტრალიის ნაპირებთან. ნაპირისკენ მიმავალი ორი მეზღვაური და კაპიტანი გრანტი შეეცადნენ მიეღწიათ" ან "მიაღწიეს კონტინენტს, სადაც ისინი _____

1 ამ ორ ბრძოლაში ინგლისელებმა გრანგები დაამარცხეს.

ტყვედ ჩაუვარდებიან" ან ჩაუვარდნენ სასტიკ ადგილობრივ მცხოვრებთ... ეს ბარათი გადააგდეს"... და სხვა ცხადია?

- ნათელია! - მიუგო გლენარვანმა, - თუკი სიტყვა "კონტინენტი" ეთქმის ავსტალიას, რომელიც არსებითად კუნძულს წარმოადგენს!...

- მაგ მხრივ არხეინად ბრძანდებოდეთ, ძვირფასო გლენარვან. საუკეთესო გაოგრეფები თანახმანი არიან, რომ ამ კუნძულს ეწოდოს "ავსტრალიის კონტინენტი".

- ამ შემთხვევაში, მეგობრებო, ისღა დამრჩენია, გითხრათ: ავსტრალიისაკენ, მეგობრებო!

- ღმერთი იყო ჩვენი შემწე! - შესძახა გლენარვანმა.

- ავსტრასლიისაკენ! - ერთხმად გაიმეორა ყველამ.

ასე დამთავრდა თათბირი, რომელმა სავსებით შეცვალა მოგზაურების სულიერი განწყობილება. ისევ წააწყდნენ ძაფს, რომელიც მათ გამოიყვანდა იმ ლაბირინთიდან, საიდანაც თავის დაღწევის იმედი აღარ ჰქონდათ.

კვლავ იმედი გამეფდა მათი ჩაშლილი გეგმის ნანგრევებზე. უყოყმანოდ დატოვებდნენ ახლა ამერიკის კონტინენტს და მთელ გულისყურს ავსტრალიისაკენ მიმართავდნენ.

"დუკანისკენ" მიმავალთ არც მწუარება მიჰყვებათ თან, არც სასოწარკვეთილება. ელენსა და მერი გრანტს სატირლად არ გაუხდებათ კაპიტან გრანტის დაღუპვა.

ასეთ გუნებაზე დამდგარ მოგზაურებს სულ გადაავიწყდათ იმდღევანდელი საფრთხე და სიხარულს მიეცნენ. სანანებლად მხოლოდ ისღა რჩებოდათ, რომ დაუყოვნებლივ არ შეეძლოთ გამგზავრება.

ნაშუადღევს ოთხი საათი იქნებოდა. გადაწყვიტეს, ესადილათ. პაგანელს უნდოდა, ეს ბედნიერი დღე კარგი სადილით აღნიშნულიყო, მაგრამ რადგან საგზალი ცოტა ჰქონდათ, რობერტს დაავალეს, ენადირა "მახლობელ ტყეში".

რობერტმა სიხრაულისაგან ტაშიც კი შემოჰკრა. პაგანელმა და რობერტმა მაიორს ტალკავის ტყვია-წამალი გამოართვეს, რევოლვერები გატენეს და სანადიროდ გაემართნენ.

- ძალიან შორს ნუ წახვალთ, - დინჯად დაადევნა სიტყვა მაიორმა.

მათი წასვლის შემდეგ გლენარვანი და მაკ-ნაბსი ქვევით, ტოტებზე ჩაეშვნენ ხის ნაჭდევის შესამოწმებლად. ვილსონი და მიულრედი კი ცეცხლის გაჩაღებას შეუდგნენ. გლენარვანი სულ დაბლა გაშვერილ ტოტზე დაეშვა, მაგრამ ღეროზე ნაჭდევის მიხედვით წყლი დაკლების ვერავითარი ნიშანი ვერ ნახა. თუმცა ემჩნეოდა კი, რომ წყლის დონეს უკვე უმაღლეს წერტილამდე მიეღწია, მაგრამ ტალღების მოზღვავებაზე შეამჩნია, რომ სამხრეთიან ჩრდილოეთით დაქანებულ არგენტინის ორ მდინარეს შორის წონასწორბა ჯერ არ დამყარებულიყო. ნიაღვარი მხოლოდ მაშინ დაიწყებდა კლებას, როდესაც მდინარეების წყალი კალაპოტში ჩადგებოდა, როგორც ეს ხდება ზღვის მოქცევისა და უკუქცევის დროს. სანამ წყალი ჩრდილოეთისაკენ მიექანებოდა, მისი დაკლების იმედი არ იყო.

იმ დროს, როდესაც გლენარვანი და მაიორი წყლის დონეს აკვირდებოდნენ, ხის კენწეროს დაბურული ფოთლებიდან სროლის ხმა და სიხარულის შეძახილი გაისმოდა - რობერტის სოპრანოს პაგანელის ბანი უერთდებოდა. ორივე ბავშვივით ცელქობდა. ეტყობოდა, ნადირობა მარჯვედ მიდიოდა და კარგი სადილის იმედს იძლეოდა.

როდესაც გლენარვანი და მაიორი კერას დაუბრუნდნენ, დაინახეს, რომ ვილსონს ახალი საქმე გამოენახა - ნემსკავად მოეხარა ქინძისთავი, კანაფი გამოება და თევზაობდა, მის წამოსასხამში უკვე რამდენიმე ათეული პატარა თევზი მოჰორასი ფართხალებდა. ეს იყო ცქიმურას ჯიშის ნაზი და გემრიელი თევზი.

ამ დროს მონადირეებიც ჩამოცოცდნენ ხის კენწეროდან. პაგანელს დიდი სიფრთხილით მოჰქონდა შავი მერცხლის კვერცხები და რამდენიმე ბეღურა, რომელიც შაშვებად უნდა გაესაღებინათ. რობერტს მარჯვედ დაეხოცა მომწვანო-ყვითელი პაწია ჩიტები - ჰილგუეროსი, რომელიც განთქმულია გემრიელი ხორცითა და დიდად ფასობს მონტევიდეოს ბაზარზე.

პაგანელი იჩემებდა, ორმოცდათერთმეტნაირად ვიცი კვერცხის მომზადებაო, მაგრამ ამჯერად ერთ უბრალო წესს დასჯერდა: კვერცხი ცხელ ნაცარში შეწვა. სადილი მაინც მრავალფეროვანი და გემრიელი გამოვიდა - გამხმარი ხორცი, შემწვარი კვერცხი, შემწვარი

ბეღურები, ცოცხალი თევზი - ნამდვილი სადღესასწაულო სუფრა იყო, რომელიც სამუდამოდ დარჩა ყველას მეხსიერებაში.

სადილს მხიარული საუბარიც მოჰყვა. ყველანი ქებას ასხამდნენ პაგანელს, როგორც მზარეულსა და მონადირეს. ისიც დიდი მეცნიერის შესაფერისი თავმდაბლობით იფერებდა ქებას, შემდეგ მხიარულად მოჰყვა ამ დიდებულ ხეზე ნადირობის ამბავს.

- რობერტსა და მე ნამდვილ ტყეში გვეგონა თავი. ერთხანს შევფიქრიანდი კდეც. მეგონა, მხარი მეცვალა და ტყეში გზა ვეღარ გავიგენი-მეთქი. მზე დასავლეთისაკენ იყო გადახრილი... ამაოდ ვცდილობდი ძველ კვალს დავდგომოდი, თანაც შიმშილით კუჭი მეწვოდა!... დაბურულ ჩანელებულ ტყეში მხეცების ღმუილი გაისმა... უკაცრავად, სამწუხაროდ, იქ მხეცები არ შეგხვედრია.

- როგორ? - მიუბრუინდა გლენარვანი, - სამწუხაროდ?

- რა თქმა უნდა.

- მიუხედავად იმისა, რომ მათ სიახლოვეს შეეძლო ხიფათში ჩავეგდეთ.

- სრულიადაც არა.

- ეგ კი მეტისმეტია. პაგანელ, მაგაში ვერ დამარწმუნებთ, ვითომც მტაცებელი ცხოველები სასარგებლონი იყვნენ! რის მაქნისი არიან? - თქვა მაკ-ნაბსმა.

- მაიორო, - შესძახა პაგანელმა, - ისინი კლასიფიკაციისათვის მაინც გამოდგებია, გვარის სახეობისა და ოჯახის გამოსარკვევად.

- დიდი რამ მომხდარა! - მიაგება მაკ-ნაბსმა, - უმაგისოდაც გავძლებთ. მე რომ მსოფლიო წარღვნის დროს ნოეს ამხანაგი ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, ხელს შევუშლიდი ამ წინდაუხედავ მამამთავარს და კიდობანში არ შევაყვანინებდი წყვილ-წყვილად ლომს, ვეფხვს, აფთარს, დათვსა და სხვა ამგვარ მავნე ცხოველებს.

- თქვენ ამას მართლა იზამდით?! - შეეკითხა პაგანელი.

- უსათუოდ.

- ზოოლოგიის თვალსაზრისით, ნამდვილ დანაშაულს ჩაიდენდით.

- დიახ, მაგრამ კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით კი არა, - მიუგო მაიორმა.

- აღმაშფოთებელი ამბავია, მაირო, - მიახალა პაგანელმა, - მე კი ნოესთან რომ ვყოფილიყავი, გადავარჩენინებდი მეგატერიუმებსა და პტეროდაქტიელებსაც და საერთოდ, ცხოველებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ადრე გადაშენდნენ... გიმეორებთ, რომ ნოე საძაგლად მოიქცა, - დაასკვნა პაგანელმა, - ამის გამო მეცნიერები წყევლით მოიხსენიებენ მას უკუნითი უკუნისამდე.

ნოეს შეცდომების გამო პაგანელისა და მაიორის შეკამათებამ მოგზაურეში მხიარული ხარხარი გამოიწვია. მაიორი, რომელიც თავის სიცოცხლეში არავის შედავებია, პაგანელს ყოველდღე ეკამათებოდა. ალაბათ, მეცნიერს გაღიზიანების განსაკუთრებული უნარი ჰქონდა, რაკი თვით ყოვლად აუღელვებელ შოტლანდიელსაც კი მოთმინება დააკარგვინა. ასეთ დროს გლენარვანი ჩაერეოდა ხოლმე და ახლაც ასე მოიქცა.

- მიუხედავად იმისა, დასანანია ეს თუ არა მეცნიერული ან ადამიანური თვალსაზრისით, აქ მხეცები არ მოიპოვებიან და ამას უნდა შევურიგდეთ. განა პაგანელს იმედი ჰქონდა, რომ მხეცებს ამ ცაში ჩამოკიდებულ ტყეში შეხვდებოდა?

- ვითომ რატომაც არა? - გაიკვირვა მეცნიერმა.

- მტაცებელი ხეზე? - ჩაილაპარაკა ტომ ოსტინმა.

- დიახ! ამერიკული ვეფხვი - იაგური, როდესაც მონადირეები წააწყდებიან, ხშირად ხეზე იმალება! ერთ-ერთი ასეთი ცხოველი წყალდიდობის დროს, შეიძლებოდა, ამ ომბუდზედაც ამოცოცებულიყო.

- იმედია, ამის მსგავსი არაფერი შეგვხედრიათ? - შეეკითხა მაიორი.

- არ შეგვხვერია, თუმცა სულ დავიარეთ ტყე. სამწუხაროდ, დიდებული ნადირობა აგვცდა. იაგუარი უმძვინვარესი, სისხლისმსმელი მხეცია! ერთი თათის დაკვრით ცხენსაც კი წააქცევს, მაგრამ თუ ადამიანის ხორცი იგემა, ხარბად ეტანება მას. ყველაზე ძალიან ინდიელები მოსწონს, მერე ზანგები, მერე მულატები და ბოლოს თეთრკანიანები!

- აღტაცებული ვარ, მეოთხე ადგილი მიჭირავს! - მიუგო მაკ-ნაბსმა.

- ერთი დამიხეეთ! ეგ მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თქვენ უგემური ყოფილხართ! - ზიზღით მიახალა პაგანელმა.

- ეგეც დიდად მახარებს, ბატონო! - სწრაფად მოიგერია მაიორმა.

- ეგ კიდევ დამცირებაა! - მიუგო დაუცხრომელმა პაგანელმა, - თეთრკანიანებს თავისი თავი პირველ რასად მიაჩნდათ, ბატონო იაგუარი კი მათ აზრს არ იზიარებს...

- ჩემო გულადო პაგანელ, - ისევ ჩაერია გლენარვანი, - ვინაიდან ჩვენ წრეში არც ინდიელია და არც მულატი, ამიტომ დიდად მიხარია, რომ აქ არც ერთი თქვენი საყვარელი იაგუარი არ ბინადრობს. ჩვენი მდგომარეობა ისედაც ბრწყინვალე არ არის.

- როგორ? ბრწყინავალე არ არისო? - წარმოთქვა პაგანელმა და ახლა ამ სიტყვებს ჩაეჭიდა, რომ საუბრის საგანი შეეცვალა, - თქვენ ბედს ემდურით, გლენარვან?

- რა თქმა უნდა, - მიუგო გლენარვანმა, - განა თქვენ კარგად გრძნობთ თავს ფრთოსნის მდგომრეობაში?

- ამაზე უკეთ არასოდეს მიგრძნია თავი ჩემს კაბინეტშიაც კი. ფრინველებივით ვცხოვრობთ, ვჭიკჭიკებთ, ვნავარდობთ ჰაერში.. თანდათან ვრწმუნდებით, რომ ადამიანი ხეებზე საცხოვრებლად ყოფილა გაჩენილი.

- მხოლოდ ფრთებიღა აკლია! - უპასუხა მაიორმა.

- ალბათ, მაგასაც მიაღწევს ერთ დროს, - უპასუხა პაგანელმა.

- მანამდე კი, ჩემო სასურველო მეგობარო, ნება მიბოძეთ საჰაერო ბინას ბაღის ხეივანი, სახლის იატაკი ან ხომალდის გემბანი ვამჯობინო! - თქვა გლენარვანმა.

- ბატონო გლენარვან! ადამიანმა უნდა გამოიყენოს ის, რასაც გარემოება აწვდის. თუ კარგი რამეა, მაგას რა სჯობია, მაგრამ თუ ცუდია - არც იმას უნდა დაემდუროთ. როგორც გატყობთ, სინანულით იგონებთ მალკოლმ-კესტლის ფუფუნებას.

- არა, მაგრამ...

- ერთში მაინც დარწმუნებული ვარ, რომ რობერტი ნამდვილად ბედნიერია! - შეეცადა პაგანელი თავისი აზრის ერთი მომხრე მაინც ეპოვა.

- რა თქმა უნდა, ბატონო პაგანელ! - შესძახა გახარებულმა რობერტმა.

- ეგ ხომ რობერტის ასაკით აიხსნება! - შენიშნა გლენარვანმა.

- მე ჩემს ასაკშიც დარწმუნებული ვარ - რაც უფრო მარტივად ცხოვრობ, მით ნაკლები მოთხოვნილება გაქვს, ე.ი. ბედნიერი ხარ.

- ო, ბატონო პაგანელ, თქვენ სიმდიდრისა და ფუფუნების წინააღმდეგ ილაშქრებთ?

- არა, ბატონო მაკ-ნაბს, სულაც არა! ოღონდ, თუ გნებავთ, ერთ არაბულ ზღაპარს გიამბობთ, რომელიც მომაგონდა.

- გთხოვთ, ბატონო პაგანელ! - მიაძახა რობერტმა.

- მერედა, რას დაგვიმტკიცებს თქვენი ზღაპარი? - შეეკითხა მაიორი.

- რასაც ყველა ზღაპარი ამტკიცებს, მეგობარო.

- ესე იგი დიდს არაფერს, მაგრამ მაინც მოგვასმენინეთ, შეჰერაზადა, თქვენი ზღაპარი, ოსტატური მოყოლა ხომ თქვენი საქმეა!

- იყო და არა იყო რა, - დაიწყო პაგანელმა, - იყო ერთი ხელმწიფის პარუნ-ალ-რაშიდის შვილი. თავს ძალიან უბედურად თვლიდა და რჩევა-დახმარებისათვის მოხუც დერვიშს მიმართა. დერვიშმა უთხრა, დედამიწაზე ბედნიერება იშვიათია და მისი პოვნა ძნელია. მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს ბედნიერების მოსაპოვებლად: ჩაიცვი ბედნიერი ადამიანის პერანგიო.

ხელმწიფის შვილმა მადლობა გადაუხადა დერვიშს და თილისმის საძებრად გაემგზავრა. ჩაიცვა მეფეების, მეომრების, ვაჭრების, მხატვრების, სხვადასხვა ჯურის ხალხის პერანგი, მაგრამ ერთხელაც არ უგრძნია თავი ბედნიერად. ბოლოს, სასოწარკვეთილი შინ რომ ბრუნდებოდა, გზად ერთ მიწის მუშას წააწყდა, რომელიც გუთანს მიუძღოდა და თან მხიარულად ღიღინებდა. მიუახლოვდა.

- "ბედნიერი ხარ, მეგობარო"?

- "სავსებით".

"არავითარი სურვილი არ გაწუხებს?"

"არა".
"მეფეს ხომ არ გაუცვლიდი შენს ხვედრს?"
"არასოდეს".
"მაშ მომყიდე შენი პერანგი"!
"უსათუოდ მოგყიდიდი, რომ... მქონოდა".

თავი XXV

ცეცხლსა და წყალს შუა

პაგანელის ზღაპარი ძალიან მოეწონათ. მთხრობელი ტაშისცემით დააჯილდოეს. მიუხედავად ამისა, ყველამ თავისი ძველი შეხედულება შეინარჩუნა, მაგრამ ერთში კი შეთანხმდნენ - ხვედრს შეჰგუებოდნენ და ბინის ნაცვლად ხეს დასჯერებოდნენ, რაკი ქოიხსა და სასახლეს მოლებულნი იყვნენ.

ამასობაში საღამომაც მოაწია. მხოლოდ ძილით შეიძლებოდა ამ მღელვარებით სავსე დღის ღირსეულად დამთავრება. მოგზაურები მოუსვენრობას გრძნობდნენ არა მარტო მღელვარებისაგან, რომელიც გამოიარეს წყალდიდობის გამო, არამედ საშინელი პაპანაქებისაგანაც. მათი ფრთოსანი ამახანაგები რა ხანია მოსვენებას მისცემოდნენ. პამპის ბულბულს - ჰილგუეროსსაც კი შეეწყვიტა რაკრაკი და ტკბილად ჩასძინებოდა ომბუს ხშირ ფოთლებში. მგზავრებიც მზად იყვნენ ფრთოსნებისთვის მიებაძათ, მაგრამ როგორც პაგანელი ამბობდა, დაბუდების წინ გლენარვანი, მეცნიერი და რობერტი "ობსერვატორიაში" აფოფხდნენ, რათა კიდევ ერთხელ გადაევლოთ თვალი ზღვად ქცეული არემარისათვის.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, მზე უკვე მიჰფაებოდა დასავლეთის მუქ ალისფერ ცისკიდურს. ცის ამ მხარეს ღრუბლების ზოლი გადაჰფარვოდა. სამხრეთის კაშკაშა თანავარსკვლავედებს თითქოს პირსაბური გაეკეთებინა და მიბნედილი გამოიყურებოდა. თუმცა ვარსკვლავების გარჩევა მაინც შეიძლებოდა. პაგანელმა აუხსნა რობერტს სამხრეთის ნახევარსფეროს ვარსკვლავების ადგილმდებარეობა. მის განმარტებას გლენარვანიც ისმენდა. მეცნიერმა მიუთითა რობერტს სამხრეთის ჯვარზე, რომელიც პირველი და მეორე სიდიდის ოთხი ვარსკვლავისაგან შედგებოდა და პოლუსთან ახლოა, კენტავრის თანავარსკვლავედზე, რომლის ერთა-ერთი ვარსკვლავი ალფა დედამიწიდან ყვლაზე უფრო ახლოა. დაანახვა მაგელანის ნისლოვანებაც. იგი ისეთ სივრცეს ფარავს, რომელიც ორასჯერ აღემატება მთვარის ხილვად დიამეტრს. ბოლოს მიუთითა იმ "შავ ხვრელზე", სადაც თითქოს არც ერთი ვარსკვლავი არ არის.

პაგანელს დაენანა, რომ ორიონი, რომელიც ორივე ნახევარსფეროში მოჩანს, ჯერ არ ამოსულიყო. სამაგიეროდ, ორივე მოწაფეს გააცნო ვარსკვლავედთან დაკავშირებული პატაგონიის კოსმოგრაფიის თავისებურების საინტერესო დეტალი: პოეტ ინდიელთა თვალში ორიონი შედგება უზარმაზარი ლასოსა და სამი ბოლოსაგან, რომელიც გაუტყორცნია ცის პრერიებში მონავარდე მონადირეს.

მთელი ვარსკვლავი ხომლი წყლის სარკეში არეკვლილი გაორებული ცის ილუზიას ქმნიდა და თვალს იტაცებდა აუწერელი სილამაზით.

სანამ მეცნიერი ამ ახსნა-განმარტებაში იყო, აღმოსავლეთის მხრეს ცა მოიღრუბლა. ხშირმა ნისლმა ვარსკვლავები ზედიზედ დაფარა. მალე თითქმის ნახევარ ცას პირქუში შავი ღრუბელი მოედო. ის თითქოს თავისით მოძრაობდა, რადგან ოდნავი სიოც კი არსაიდან იძვროდა. ირგვლივ სრული მყუდროება გამეფებულიყო. არც ერთი ფოთოლი არ ირხეოდა, ოდნავი ჭავლიც კი არ ანაოჭებდა წყლის ზედაპირს. თითქოს ჰაერი უშველებელ პნევმატურ ტუმბოს გაეუხეშოებინა, ატმოსფერო გაჟღენტილი იყო ელექტრონით და ყოველი ცოცხალი არსება გრძნობდა, როგორ უვლიდა მას რაღაც ძალა სხეულში.

გლენარვანი, პაგანელი და რობერტი შეშფოთდნენ.

- ქარიშხალია მოსალოდნელი, - თქვა პაგანელმა.

- რობერთ, ჭექა-ქუხილის ხომ არ გეშინია? - შეეკითხა გლენარვანი.

- რას ბრძანებთ, სერ! - მიუგო მან.

- მით უკეთესი, თუკი ქარიშხალი გვიახლოვდება.

- ცას ეტყობა, დიდი ჭექა-ქუხილია მოსალოდნელი, - შენიშნა პაგანელმა.

- ჭექა-ქუხილი კი არ მაფიქრებს, დელგმა უფრო შეგვაწუხებს, ძვალსა და რბილში გაგვივლის, - თქვა გლენარვანმა, - თქვენ რაც უნდა ბრძანოთ, პაგანელ, ადამიანი ფრინველის ბუდით ვერ დაკმაყოფილდება და ამას მალე თქვენს თავზედაც გამოსცდით.

- ფილოსოფიური მოთმინებით ყველაფრის ატანა შეიძლება, - მიუგო მეცნიერმა.

- კი, მაგრამ ფილოსოფია ვერ დაგვიცავს წვიმისაგან.

- რა თქმა უნდა, ვერა. გამათმობს კი.

- დროა ჩავიდეთ და ჩვენს მეგობრებს ვურჩიოთ, რაც შეიძლება უფრო მაგრად გაეხვიონ წამოსასხამებსა და ფილოსოფიაში, უმთავრესად კი მოთმინებით აღიჭურვონ, რადგან ყველაზე მეტად ეს უკანასკნელი გამოადგებოდათ, - თქვა გლენარვანმა და თვალი მოავლო გამეხებულ ცას, რომელიც მთლად დაემალა ღრუბლებს. სინათლის ვიწრო ზოლი მხოლოდ დასავლეთის მხარეს მოჩანდა. წყალი ჩამუქებულიყო. ისიც ღრუბელს დამსგავსებოდა და მზად იყო, შეერთებოდა ცის ღრუბლებს. სრული სიჩუმე და წყვდიადი გამეფებულიყო.

- ჩავიდეთ! - თქვა გლენარვანმა, - გრიგალი აღარ დააყოვნებს.

სამივენი ლიანებზე დაეშვნენ. ქვევიდან სუსტი მოციმციმე შუქი ეცათ, წყლის ზედაპირი უძრავ-მოძრავ მანათობელ წერტილებს მოეცვა.

- ფოსფორული ნათებაა? - იკითხა გლენარვანმა.

- არა, - მიუგო პაგანელმა, - ეს მანათობელი მწერებია. ცოცხალი, იაფფასიანი ბრილიანტები, რომლებითაც ბუენოს-აირესის ქალები თმას იმშვენებენ.

- როგორ? მწრები ნაპერწკლებივით დაქრიან? - იკითხა რობერტმა.

- სწორედ ასეა, ჩემო ბიჭუნი.

რობერტმა ერთი ციცინათელა დაიჭირა. პაგანელი არ შემცდარა - ეს იყო ცერის სიმსხო კელის ჯიშის მწერი, რომელსაც ინდიელები "ტუკოტუკოს" უწოდებენ. ეს საინტერესო ხეშეშფრთიანი მწერი შუქს უშვებდა ფარში მოთავსებული ორი წერტილიდან და საკმაოდ ძლიერსაც. ასე რომ, მის შუქზე წიგნის წაკითხვაც კი შეიძლებოდა. პაგანელმა ერთი მწერი საათს მიუახლოვა და გაარჩია, რომ ათი საათი იყო. გლენარვანმა მაიორი და მეზღვაურები გააფრთხილა მოსალოდნელი ჭექა-ქუხილის შესახებ. პირველი ქუხილის შემდეგ ქარიშხალი მოვარდება და ხეს შეანჯღრევს, ამისათვის ყველანი მაგრად უნდა მივებათ ამ ტოტებზე, რომლებიც ლოგინის მაგივრობას გვიწევს. რაკი დელგამს ვერ ავიცდენთ, ვეცადოთ, წყალში მაინც არ ჩავცვივდეთო.

მოგზაურებმა ღამე მშვიდობისა უსურვეს ერთიმეორეს, თუმც ამის იმედი არ ჰქონდათ. პონჩოებში გაეხვივნენ, დაკიდბულ აკვნებში მოეწყვნენ და ჩაძინება დააპირეს, მაგრამ ქარიშხლის მოლოდინი ყოველი ცოცხალი არსების ბუნებაში ერთგვარ მოუსვენრობას ბადებს, რაც უნდა ძლიერი იყოს ის. მოგზაურებს ძილი არ ეკიდებოდათ. პირველი გრგვინვA რომ გაისმა, ჯერ არც ერთს არ ეძინა. თერთმეტი საათი იყო. გლენარვანი გაცოცდა ჰორიზონტალურად გაშვებული ტოტის ბოლოზე და გადაიხედა. ღრუბლები ნაგლეჯ-ნაგლეჯად დაცურავდა ცაზე, შიგადაშიგ შუქი მოჩანდა, რომელის ანარეკლიც წყალში გამოკრთოდა. ჰორიზონტი წყვიადით იყო მოცული. გლენარვანი თავის ადგილს დაუბრუნდა.

- რას იტყვით, გლენარვან? - ჰკითხა პაგანელმა.

- ბევრს არაფერს, იწყება! თუ ასე გაგრძელდა, ქარიშხალი შემაძრწუნებელი იქნება.

- მით უკეთესი, - აღფრთოვანებით მიუგო პაგანელმა, - მოხარული ვარ, რომ ვნახავ ამ მშვენიერ სანახაობას, მით უმეტეს, რომ სულერთია, არ აგვცდება.

- ისევ თქვენი თეორია, რომელსაც მორიგი დამარცხება მოელის, - გამოეხმაურა მაიორი.

- ჩემს თეორიებსი იგი საუკეთესოა, ბატონო მაკ-ნაბს, - მიუგო პაგანელმა, - მეც გლენარვანის აზრს ვუერთდბი, საუცხოო ჭექა-ქუხილი იქნება! ამ რამდენიმე წუთის წინ, ძილი რომ არ მომეკარა, ზოგიერთი ფაქტი გამახსენდა., რომლის მიხედვითაც იმედია საგანგებო სანახაობა მოგველის. ჩვენი იმ ადგილებში ვიმყოფებით, სადაც ყველაზე მძლავრი ელექტრული ქარიშხლები ხდება ატმოსფეროში. სადღაც ამომიკითხავს, რომ 1793 წელს ბუენოს-აირესის პროვინციაში ჭექა-ქუხილის დროს მეხი ოცდაცამეტ ადგილას დაეცა. ჩემი კოლეგა მარტინ დე მუსი ამ ადგილებში შესწრებია განუწყვეტელ ქუხილს, რომელიც ორმოცდათხუთმეტ წუთს გაგრძელებულა.

- საათი ხელში ჰქონდა? - გამოეხმაურა მაიორი.

- დიახ, ჰქონდა! .. მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს, თუკი საერთოდ ღირს წუხილი, როდესა საფრთხე არ აგცდება... დიახ, ის მაწუხებს, რომ ამ ტრიალ მინდორზე ერთადერთი მაღლობი ის ხეა, რომელსაც ჩვენ შემოვეხიზნეთ. მეხამრიდია საჭირო, რადგან ომბუ პამპის ყველა ხეზე უფრო მაღალია. გარდა ამისა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მეგობრებო, რომ მცნიერები არ გვირჩევენ, ჭექა-ქუხილის დროს ხეს შევაფაროთ თავი.

- აი, სასარგებლო და სწორედ შესაფერ დროს ნათქვამი დარიგებაც ეს არის! - შენიშნა მაიორმა.

- მართლაცდა, გულახდილა უნდა მოგახსენოთ, რომ ჩინებული დრო შეარჩიეთ ასეთი დამამშვიდებელი ცნობების გასაზიარებლად, - ჩაურთო გლენარვანმა.

- დიახ, დიახ, - მიუგო პაგანელმა, - ცოდნის შეძენა ყოველთვის შეიძლება. აი, უკვე იწყება.

მოახლოებულმა მძლავრმა გრგვინვამ მოგზაურებს ლაპარაკი შეაწყვეტინა. მალე ისე გახშირდა ქუხილი, რომ ირგვლივ ყველაფერმა ზანზარი დაიწყო. ცას ცეცხლი მოედო და ძნელი სათქმელი იყო, რა ელექტრობის მარაგი იწვევდა ამ განუწყვეტელ ქუხილს, ცის სიღრმეში გრუხუნით რომ მიიგრაგნებოდა.

გამუდმებული ელვა ათასგვარ სახეს იღებდა. ხან შვეულად ეშვებოდა ძირს, ზედიზედ ერთსა და იმავე ადგილას, ზოგი გაელვება კი უფრო მეტად აინტერესებდა მეცნიერს, რადგან, თუ არაგო თავის საგულისხმო შენიშვნებში აღნიშნავს ელვის გაორების ორ შემთხვევას, აქ ასოით ხდებოდა მათი დაქუცმაცება. ზოგჯერ ათას ნაწყვეტად იკლაკნებოდა თვალწარმტაც ხვეულებად და გასაოცარ სინათლის ეფექტს ბადებდა.

მალე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მთელი ცა მოელვარე ფოსფორულ ზოლად იქცა. ცეცხლი თანდათან მთელ ჰორიზონტს მოედო. ირგვლივ ღრუბლები გაავარვარა და წყლის სარკეში გამომკრთალ უშველებელ კოცონად იქცა, რომლის შუაგულშიაც მოქცეული იყო ომბუს ხე.

ყველანი ხმაგაკმენდილნი შესცქეროდნენ ამ საშინელ სანახაობას, გამაყრუებელი ხმაური არ წყდებოდა, რომ ერთმანეთისათვის ხმა გაეცათ. ელვის თეთრ ზოლზე ერთი წამით გამოჩნდებოდა ხოლმე ხან მაიორის მშვიდი სახე, ხან პაგანელის განცვიფრებული გამომეტყველება, გლენარვანის ენერგიული სახე, რობერტის დაბნეულობა და მეზღვაურების უზრუნველი ფიზიონომიები.

ჯერ არც წვიმდა და არც ქარი ქროდა, მაგრამ ერთბაშად თითქოს ცა ჩამოიქცაო და მისი ჩაკუპრულ სიღრმიდან წყლის ზედაპირამდე კოკოსპირული წვიმის ქსელი გაიბა, რომლის დიდრონი წვეთებიც წყლის ზედაპირს ეშხაპუნებოდა და აისის ცეცხლის ნაპერწკლებად იშლებოდა ელვის შუქზე.

რისი მომასწავებელი იყო ეს? ჭექა-ქუხილის დასასრულისა? გლენარვანსა და მის თანამგზავრებს მხოლოდ წვიისაგან გაგრილება მოელოდათ? არა! საშინელი გრგვინვა-გრუხუნის დროს წყლის გასწვრივ გაშვერილი ქვედა ტოტის ბოლოში ერთბაშად გამოჩნდა მუშტისოდენა შავ კვამლში გახვეული მოელვარე ბურთი, რომელიც რამოდენიმე წამს ერთ ადგილზე ბზრიალებდა, შემდეგ ყუმბარასავით დაიქუხა და ისეთი საშინელი ჭექით გასკდა, რომ ერთ წამს ყოველგვარი ხმაური გადაფარა. ჰაერს მოედო გოგორიდის სუნი. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა და შემოესმათ ოსტინის ღრიალი:

- ხეს ცეცხლი მოედო!

ოსტინი მართალი იყო - ცეცხლი ჩირაღდანივით მოსდებოდა ტოტის ბოლოს და თანდათან გადავიდოდა გამხმარ ტოტებზე, ჩიტის ბუდეებზე თვით ხის ქერქსაც ადვილად მოეკიდებოდა.

ქარმა დაუბერა და ხანძარი გააძლიერა. განრიდება აუცილებელი გახდა. გლენარვანი და მისი ამხანაგები ომბუს აღმოსავლეთის ტოტებზე გადაცოცდნენ, სადაც ცეცხლის ალი არ აღწევდა. ხმაგაკმენდილნი, შემკრთალნი და გონებადაბნეულნი ვაი-ვაგლახით მიფორთხავდნენ შორეული ტოტებისაკენ, რომლებიც მათი სიმძიმისაგან იზნიქებოდა. ცეცხლის ალზე ხორკლიანი შოტები გველივით იგრიხებოდა და ტკაცუნი გაჰქონდა, ცეცხლმოკიდებული მუგუზლები წყალში ცვიოდა და წყლის დინებას მიჰქონდა. ალი ხან ცისკენ ავარდებოდა და ელვაში იკარგებოდა, ხან კი ქარის დაბერვაზე ძირისკენ ექანებოდა და მთელ ხეს კვამლში ხვევდა.

გლენარვანი და მისი თანამგზავრები თავზარდაცემულნი იყვნენ. კვამლი და ბუღი სულს უხუთავდა მათ. ცეცხლი უკვე აღწევდა იმ ადგილას, სადაც ისინი შეფარებოდნენ: არ არსებობდა ძალა, რომელიც შეაჩერებდა მოდებულ ცეცხლს და ჩააქრობდა. ხსნა აღარ იყო. ცეცხლში დაბუგვა არ ასცდებოდათ. ბოლოს გაძლება აუტანელი გახდა და ორგვარ სიკვდილს შორის ნაკლები სატანჯველი უნდა აერჩიათ.

- წყალში!.. ყველანი წყალში! - დაიყვირა გლენარვანმა.

ვილსონი, რომელსაც უკვე მიახლოებოდა ცეცხლი, წყალში გადაეშვა, მაგრამ თავზარდაცემულივით დაიღრიალა.

- მიშველეთ!... მიშველეთ!. - ოსტინი გაექანა მისკენ, ხელი გაუწოდა და ისევ ამოათრია.

- რა მოხდა?

- კაიმანები!... კაიმანები! - ლუღლუღებდა ვილსონი.

მართლაც, ხის ტანს შემოხვეოდნენ საშინელი ქვეწარმავლნი. ცეცხლის შუქზე ქერცლი უელვარებდათ. პაგანელმა იცნო ამერიკული ალიგატორები, რომლებსაც ესპანეთის ახალშენებში კაიმანებს უწოდებდნენ. ბრტყელი კუდები, ყურებამდე დაღრენილი ხახა. ხარბი და გაუმაძღარი თვალები! ათიოდე იქნებოდა. ხეს ღრღნიდნენ და ზედ კუდებს უტლაშუნებდნენ.

მათ დანახვაზე საცოდავები მიხვდნენ, რომ საქმე უკვე წასული იყო და საშინელი სიკვდილი ელოდათ: ან ცეცხლში დაწვა, ან ცოცხლად კაიმანების ხახაში ჩავარდნა. ალბათ, მაიორიც კი ასეთი აზრისა იყო, რადგან დინჯად თქვა:

- ეს კი აღსასრულის ჟამი უნდა იყოს!

არის ისეთი გარემოება, როდესაც ადამიანი უძლურია, ვერ უმკლავდება გამძვინვარებულ სტიქიონს, რომელსაც მხოლოდ მეორე სტიქიონი თუ დაამარცხებს.

გლენარვანი გაშტერებით მისჩერებოდა წყალს და ცეცხლს, რომლითაც მათ წინააღმდეგ პირი შეეკრათ და აღარ იცოდა, სად ეძებნა გამოსავალი.

ელჭექმა თითქოს იკლო, მაგრამ ჰაერში დაგროვებულიყო ელექტრობით გაჯერებული დიდძალი ორთქლი, რომელიც ძლიერად ამოძრავდ. ასე რომ, ახალი სტიქიური მოვლენები იყო მოსალოდნელი.

მართლაც, სამხრეთით თანდათან ავარდა უშველებელი ძაბრისებური სმერჩი. წყალი და ღრუბლები შეაგროვა. საშინელი სისწრაფით დაბზრიალდა ღერძის გარშემო თან აიტაცა უზარმაზარი წყლის სვეტი, შიგ ჩაიხვია გარშემო არსებული ჰაერი და ერთბაშად დაუტრიალდა ომბუს ხეს, გარს შემოერტყა.

ხემ ფესვებამდე რყევა დაიწყო, გლენარვანს კი მოეჩვენა, ვითომც კაიმანები ღრღნიდნენ და მის ამოგლეჯას ლამობდნენ. ერთბაშად ყველამ იგრძნო, რომ ბუმბერაზი ხე გადაიხარა და წასაქევად გადაიზნიქა. ცეცხლმოდებული ტოტები შიშინით და წივილით ეშვებოდა აქაფებულ ტალღებში. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. ქარბორბალა გასცილდა იმ ადგილს და თან გაიტაცა წყლის სვეტიც. წაქცეული ხე წყალზე დაეცა და მდინარებას გაჰყვა, რასაც ქარი ხელს უწყობდა. კაიმანები ჩამოსცილდნენ მას, ერთის გარდა, რომელიც ხახადაღრენილი მოსჭიდებოდა მის გაშიშვლებულ ფესვებს.

მიულრედიმ ხელი სტაცა წვერმომწვარ ტოტის ნატეხს და ისეთი ღონით დაჰკრა, რომ ხერხემალი გადაუმტვრია. მოკლული კაიმანი გულაღმა ამოტრიალდა და მორევში ატივტივდა. მომაკვდავი ჯერ კიდევ იქნევდა საშინელ კუდს.

გლენარვანი და მისი თანამგზავრები, რაკი ამ საშინელ ქვეწარმავლებს გადაურჩნენ, ქარისაან მოიფარებულ ტოტებზე აცოცდნენ. ცეცხლმოდებული ხე კი მიტივტივებდა და ჩირაღდანივით ანათებდა ირგვლივ ჩამოწოლილ წყვდიადს.

თავი XXVI

ატლანტის ოკეანე

ორი საათის განმავლობაში მიჰქონდა წყალს ხე ამ უზარმაზარ ველზე და ვერსად გაერიყა. მიწა არ ჩანდა. ხანძარი თანდათან ქრებოდა. მაიორმა შენიშნა, რომ ახლა გადარჩენა გასაკვირი აღარ იქნებოდა. დინებას სულ ერთი მიმართულებით - სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიჰქონდა ხე. წყვდიადს იშვიათად თუ გაანათებდა მოგვიანებული გაელვება, რაც არ აძლევდა პაგანელს საშუალებას, ჰორიზონტი დაეთვალიერებინა. ქუხილი ყუჩდებოდა, მსხვილი წვიმის ნაცვლად ახლა ცრიდა, ღრუბლის ნაგლეჯები დაცურავდა. ომბუ სწრაფად მიექანებოდა წინ. ძნელი სათქმელი იყო, კიდევ რამდენ ხანს იტივტივებდა ასე - იქნებ რამდენიმე დღესაც!

დილის სამ საათზე მაიორმა თანამგზავრების ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ ხის ფესვები ნიადაგს ეხახუნებოდა. და მართლაც, ოციოდე წუთის შემდეგ ბიძგი იგრძნეს და ომბუ გაჩერდა.

- დედამიწა!.. დედამიწა! ... - დაიღრიალა პაგანელმა მჭექარე ხმით. ტოტის წვერები ხმელეთზე გადაშვერილიყო. არც ერთ ზღვაოსანს არ გახარებია დედამიწის დანხვა ისე, როგორც მათ. თავთხელ წყალში ამობურცული ნიადაგის ზოლი გრძლად და ვიწროდ გასდევდა ნაპირამდე.

რობერტმა და ვილსონმა სიხარულით შეჰყვირეს და მიწაზე გადახტნენ. უცებ ნაცნობი სტვენა, ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ და მთის წინ ბინდბუნდში ინდიელის მაღალი გამოსახულება აიმართა.

- ტალკავი! - შესძახა რობერტმა.

- ტალკავი! - გაიმეორა ყველამ ერთხმად.

- Amigos![1] - შესძახა პატაგონიელიც, რომელიც თურმე დინებას აქ გამოურიყავს და მას შემდეგ მათ ელოდებოდა.

ტალკავიმ ხელში აიტაცა რობერტი და მაგრად ჩაიკრა გულში. ის კი ვეღარ შეამჩნია, რომ პაგანელი მხარზე ჩამოჰკიდებოდა. ყველანი აღტაცებით ართმევდნენ ხელს ამ თავდადეებულ და ერთგულ გამყოლს. მისალმების შემდეგ პატაგონიელმა ისინი მახლობლად მდებარე მიტოვებულ ფარდულში შეიყვანა. იქ ცეცხლი

---

1 მეგობრებო!

გუზგუზებდა, იქვე იწვებოდა ნანადირევის ცვრიანი ნაჭრები, რომლებიც დამშეულემა მოგზაურებმა ხელად შესანსლეს. როდესაც ოდნავ მოსულიერდნენ და დაისვენეს, მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს. მაინც ვერც ერთს ვერ დაეჯერებინა, რომ ამდენ საფრთხეს: წყალს, ცეცხლსა და კაიმანებს გადაურჩნენ.

ტალკავმა მოკლედ უამბო გლენარვანს თავისი თავგადასავალი. თავის გადარჩენას მხოლოდ თაუქას უმადლიდა. თავის მხრივ პაგანელმა მიახარა, როგორ ამოხსნეს ერთ-ერთი ბარათი თავიდან, რომ ახლა კაპიტნის პოვნის იმედი კვლავ ასულდგმულებდათ.

მიხვდა თუ არა ინდიელი ყოველივე იმას, რაც აუხსნა პაგანელმა, საეჭვოა, მაგრამ რაკი თავის მეგობრებს ასე ბედნიერებსა და იმედით აღსავსეს ხედავდა, ტალკავიც კმაყოფილი იყიო.

მოგზაურებს აღარ დასჭირვებიათ გამგზავრებისას გაღვიძება. დილის რვა საათზე ყველანი მზად იყვნენ. რადგანაც სამხრეთისაკენ აღებულ გეზს გადასცდნენ და ესტანციებსა და სალადეროებს დაშორებულნი იყვნენ, ფეხით უნდა გაევლოთ ორმოციოდე მილი, რომ ცხენები ეშოვათ. თუ ვინმე დაიღლებოდა, თაუქა რიგრიგობით შეისვამდა ერთს, თუკი საჭიროება მითხოვდა, ორ მოგზაურსაც. იმედი ჰქონდათ, ოკეანის სანაპიროს ოცდათექვსმეტ საათში მიაღწევდნენ.

ამრიგად, მოგზაურებმა და მათმა გამყოლმა უკან მოიტოვეს წყლით დაფარული დაბლობი და არგენტინის ვაკეს გაუყვნენ. ერთფეროვანი არგენტინის პეიზაჟი ისევ გადაეშალათ თვალწინ. აქა-იქ იალაღებზე პატარა ჭალაკები თუ იყო სადმე, ისიც ევროპელების ხელით გაშენებული. ასეთი კორომები აქაც ისეთივე იშვიათი იყო, როგორც სიერატანდილისა და ტაპალკემის ფერდობების მიდამოებში. მხოლოდ ამ ადგილისათვის დამახასიათებელი ხეები იზრდებოდა ამ ველის საზღვრებზე და კორიენტეს კონცხის მიდამოებში.

ასე გაიარა პირველმა დღემ. მეორე დღეს, ჯერ კიდევ ოცი კილომეტრიც დარჩენოდათ გასავლელი, როდესაც ოკეანის სიახლოვე იგრძნეს. ეგრეთ წოდებულ "ვირაზონის" ქროლაზე მაღალი ბალახები იღუნებოდა. ვირაზონი - ზღვის ქარია, რომელიც ამ ადგილებში შუადღიდან მზის გადახრამდე და შუაღამიდან კი დილის ექვს საათამდე უბერავს. მწირ ნიადაგზე ხისებრი მიმოზის, აკაციისა და კურ-მაბოლის ბუჩქები იზრდებოდა. რამდენიმე ადგილას სარკის ნამსხვრევებივით აელვარებული მლაშე ტბები გზას უღობავდათ და შემოვლა უხდებოდათ. ჩქარობდნენ, რომ იმ დღესვე მიეღწიათ სალადოს ტბამდე, რომელიც ოეკანესთან მდებარეობდა. ყველანი მოქანცულები იყვნენ.

საღამოს რვა საათზე, როგორც იქნა თვალი მოჰკრეს ქვიშის ბორცვებს, დიუნებს, რომლებიც ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე აზიდულიყო და მოგზაურებს ოკეანისაგან აშორებდა. მალე ტალღების დგაფუნიც შემოესმათ.

- ოკეანე! - შესძახა პაგანელმა.

- დიახ, ოკეანე! - დაუდასტურა ტალკავმა.

ქვეითად მიმავალმა, დაღლილობისაგან გასავათებულმა მოგზაურებმა თითქმის სირბილით გადაიარეს დიუნები. უკვე ბნელოდა. ჩაშავებულ ცისკიდურზე ნათელი წერტილიც კი არსად მოჩანდა. ყველანი ეძებდნენ "დუკანს", მაგრამ ამაოდ.

- ის ხომ აქ უნდა ყოფილიყო! - წამოიძახა გლენარვანმა, - ჩვენს მოლოდინში, ალბათ, ამ სანაპიროსთან მიდი-მოდის.

- ხვალ დავინახავთ, - ჩაილაპარაკა მაკ-ნაბსმა.

ტომ ოსტინმა სცადა, ხმა მიეწვდინა უხილავი ხომალდისათვის, მაგრამ ამაოდ. ჯერ ერთი, ზღვა ღელავდა და მეორე - საკმაოდ ძლიერი ქარი უბერავდა.

ღრუბლები სწრაფად მოგორავდნენ დასავლეთიდან, აქოჩრილი ტალღების თეთრი ქეჩოები იშლებოდ და ნაპირებამდე შხეფებს ისროდა. თუნდაც "დუკანი" დანიშნულ ადგილას ყოფილიყო, იქამდე მათი ხმა ვერ მიაღწევდა და არც მორიგე მეზღვაურის ხმა მოსწვდებოდათ აქეთ.

სანაპიროზე ხომალდის მისადგომი ადგილი არსად ჩანდა. არც რაიმე ბუნებრივი ნავსადგური, არც რიგიანი გასაჩერებელი ადგილი. დიუნები ქვიშის ოკეანეში იკარგებოდა, სანაპირო მეჩეჩებს ქმნიდა და ხომალდებისათვის უფრ მეტად სახიფათო იყო, ვიდრე რიფები, ანუ წყალქვეშა კლდეები. ასეთ სანაპიროზე საშინელი ღელვა იცის უამინდობისას და თუ რომელიმე ხომალდი მოხვდა ასეთ მეჩეჩში, აუცილებლად დაიღუპება.

ამგვარად, სრულიად გასაგები იყო, რომ ნავსადგურის უქონლობისა და სახიფათო სანაპიროების გამო "დუკანი", ალბათ, ღია ზღვაში მიმოდიოდა. ჯონ მანგლსს ჩვეული სიფრთხილე სწორედ აქ უნდა გამოეჩინა. ასეთი აზრისა იყო ტომ ოსტინი, რომელიც ამტკიცებდა, "დუკანი" რვა კილომეტრით მაინც უნდა იყოს დაშორებული ნაპირიდან. წყვდიადის გაფანტვა მათ არ ძალუძდათ და, მაშასადამე, ამ ჩინებულ ჰორიზონტზე დაძაბული ცქერით ტყუილად დაითხრიდნენ თვალებს.

მაიორი დიუნების ძირას ღამის სათევი ადგილის მოწყობას შეუდგა. საგზლის ნარჩენებით ივახშმეს და თითოეულმა მაიორის მიბაძვით ქვიშაში ამოთხარა ღრმა ორმო, ნიკაპამდე შიგ ჩაწვა და მკვდარივით მიიძინა.

გლენარვანს ძილი არ ეკარებოდა. ზღვის მხრიდან ძლიერი ქარი ქროდა. ოკეანის ზედაპირს ემჩნეოდა, რომ აქ ცოტა ხნის წინ გრიგალს გადაევლო. ტალღები ისე საშინელი ხმაურით ეხეთქებოდნენ დიუნებს და იფანტებოდნენ, თითქოს ჭექა-ქუხილიაო. გლენარვანი ვერ ისვენებდა, რაკი "დუნკანი" ახლოს ეგულებოდა. ფიქრებში გაერთო. იახტის მოუსვლელობა ვერ წარმოედგინა. "დუნკანი" მან ტალკაჰუანოს ყურეში 14 ოქტომბერს დატოვა, ატლანტის ოკეანის სანაპიროს კი ექსპედიციამ 12 ნოემბერს მიაღწია. ამ ოცდაათი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც მისმა რაზმმა გადალახა ჩილე, კორდილიერები, პამპა და არგენტინის ვაკე, რა თქმა უნდა, "დუნკანს" საკმაო დრო ჰქონდა ჰორნის კონცხისათვის შემოევლო და აღმოსავლეთ სანაპიროსთან მოსულიყო. ასეთი სწრაფმავალი ხომალდი გზაში ვერ დაბრკოლდებოდა. მართალია, ატლანტის ოკეანემ ძლიერი გრიგალები იცის, მაგრამ "დუნკანისთანა" მშვენიერ იახტას და მანგლისისთანა საუცხოო კაპიტანს რა გაუჭირდებოდა! მაშასადამე, ის უნდა მოსულიყო და, ალბათ, მოსულიც არის, მაგრამ ასეთი ფიქრები ვერ ამშვიდებდა გლერვანს. როდესაც გული და ჭკუა ერთმანეთს ედავება, ეს უკანასკნელი უფრო მძლავრი არ გამოდგება ხოლმე. ამ წყვდიად ღამეში გლერვანი ოცნებით ელენთან, მერი გრანტსა და "დუნკანის" ეკიპაჟთან გადავიდა. დაეხეტებოდა ამ უდაბურ სანაპიროზე, რომელსაც ფოსფორული ელვარებით განათებული ტალღები ეხეთქებოდა.

- მე არ ვცდები, - ჩაილაპარაკა ბოლოს თავისთვის, - მე ვხედავ ხომალდის სინათლეს, "დუნკანის" სინათლეს. ნეტავ ჩემს თვალებს შეეძლოთ უკუნეთის განჭვრეტა!

უეცრად ბედნიერმა აზრმა გაუელვა. პაგანელი ხომ ბეცია, ნიქტალოპი, ღამღამობით კარგად ხედავს. დაბრუნდა, ბანაკში პაგანელის გასაღვიძებლად. გეოგრაფს მკვდარივით ეძინა, როდესაც ღონიერმა ხელმა წამოსწია ქვიშის სარეცელიდან.

- ვინა ხარ? - შეჰყვირა მან.

- მე ვარ, პაგანელ!

- ვინ, თქვენ?

- გლენარვანი. წავიდეთ, თქვენი თვალები მჭირდება.

- ჩემი თვალები? - შეეკითხა პაგანელი და თან თვალები მოიფშვნიტა.

- დიახ, თქვენი თვალები, რომ ამ სიბნელეში "დუნკანი" გავრჩიოთ. წამოდექით, წავიდეთ!

- ეშმაკსაც წაუღია ჩემი ნიქტალოპია! - წაიბურდღუნა პაგანელმა. თუმცა ერთი მხრივ, კმაყოფილი იყო, რომ გლენარვანს გამოადგებოდა. პაგანელი წამოიზლაზნა, დაბუჟებული კუნთები დაჭიმა და მთქნარებითა და ზმორებით გაჰყვა მეგობარს ზღვისპირისაკენ. გლენარვანმა სთხოვა, დაეთვალიერებინა ჩაბნელებული ჰორიზონტი. პაგანელი რამდენიმე წუთი გულდასმით გასცქეროდა სივრცეს!

- აბა, ვერაფერს ამჩნევ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- ვერაფერს!... ააქ კატაც კი ვერაფერს გაარჩევდა ორ ნაბიჯზე.

- ეძებეთ მწვანე ან წითელი ფერი, ესე იგი ცხვირისა და კიჩოს სინათლე.

- ვერც მწვანეს ვხედავ და ვერც წითელს! პირწმინდად შავი წყვდიადია, - მიუგო პაგანელმა, რომელსაც თვალები ეხუჭებოდა.

მთელი ნახევარი საათი დასდევდა თავის ამხანაგს, ფეხებს ძლივს მიათრევდა, თავი ხან მკერდზე უვარდებოდა, ხან აიწევდა. არც რასმე ამბობდა, არც შეკითხვის პასუხს იძლეოდა. ნაბიჯს თანდათან მოუკლო მთვრალი კაცივით. გლენარვანმა შეხედა პაგანელს - მეცნიერ- გეოგრაფს სიარულში ჩასძინებოდა. გლენარვანმა ხელი მოჰკიდა, გაუღვიძებლად მიიყვანა მის ორმოსთან და შიგვე ჩააწვინა.

განთიადისას ყველანი გამოაღვიძა ყვირილმა:

- "დუნკანი"! "დუნკანი"!... - ეს იყო გლენარვანი.

- ვაშა! ვაშა!... - გასძახეს ამხანაგებმა გლენარვანს და ყველანი ნაპირისაკენ გაექანენ. მართლაც, ნაპირიდან ხუთი მილის მანძილზე მიცურავდა იახტა, რომელსაც იალქნები ანძებზე აეკრიფა.

ზღვა ღელავდა და ასეთი წყალწყვის ხომალდი ვერ გაბედავდა ნაპირთან ახლოს მოდგომას. გლენარვანმა პაგანელის ჭოგრი მოიმარჯვა და "დუნკანის" მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. კაპიტანმა ჯონ მანგლსმა, ალბათ, ჯერ ვერ შეამჩნია თავისი მგზავრები, რადგან გეზი არ შეუცვლია და ისევ ისე იალქანაკეფილი მიცურავდა. ამ დროს ტალკავმა თავისი კარაბინი გატენა და იახტის მიმართულებით სამჯერ დაცალა, მისი ხმა ყრუდ გაისმა. მგზავრები გაფაციცებით ყურს უგდებდნენ და თან გასცქეროდნენ იახტას. ბოლოს იახტის გემბანზე თეთრი ბოლი ავარდა.

- შეგვამჩნიეს!... - დაიძახა გლენარვანმა, - ეს "დუნკანის" ქვემეხია. რამდენიმე წამის შემდეგ სროლის ხმამ გრგვინვით მოაღწია ნაპირამდე. "დუნკანი" შემოტრიალდა, სვლას უმატა და თანდათან მიუახლოვდა ნაპირს, მაგრამ ზედ ვერ მოადგა. მეცნიერის ჭოგრის წყალობით დაინახეს, რომ იახტიდან ნავი მოწყდა და მათკენ გამოემართა.

- ზღვა მღელვარეა, ლედი ელენი ვერ შეძლებს წამოსვლას, - თქვა ოსტინმა.

- ვერც ჯონ მანგლსი, - გაეპასუხა მაკ-ნაბსი, - იახტას ვერ მიატოვებს.

- დაო! დაიკო! - შესძახა რობერტმა და ხელები გაიწვდინა იახტისაკენ, რომელიც საშინლად ქანაობდა ზვირთებზე.

- რომ იცოდეთ, როგორ მეჩქარება "დუნკანზე" დაბრუნება! - წამოიძახA გლენარვანმა.

- მოთმინება იქონიეთ ედუარდ! ორი საათის შემდეგ იქ იქნებით! - მიუგო მაიორმა.

- ორი საათი!

მართლაც ნიჩბიანი ნავი ამაზე ადრე ვერ გაივლიდა გზას ხომალდიდან ნაპირამდე და ნაპირიდან ხომალდამდე. მაშინ გლენარვანი მიუბრუნდა ინდიელს, რომელიც გულხელდაკრეფილი იდგა გვერდით და გასცქეროდა მღელვარე ზღვის ზედაპირს. გლენარვანმა ხელი ჩაავლო მას და იახტაზე მიუთითა:

- წამოდით ჩვენთან!

ინდიელმა უარის ნიშნად თავი ოდნავ გაიქნია.

- წამოდი, მეგობარო! - გაუმეორა გლენარვანმა.

- ვერა, - მიუგო ტალკავმა, - აქ თაუქა, იქ პამპა, - და სიყვარულით გადახედა თვალუწვდენელ ვაკეს.

გლენარვანი მიხვდა, რომ ინდიელი არასოდეს მიატოვებდა სამშობლოს, ამიტომ ვეღარ ჩააცივდა. მხოლოდ მაგრად ჩამოართვა ხელი. გლენარვანი რაც მასში აუხირდა, როდესაც ტალკავმა გარჯის საზღაურად გაწოდებული ქისა არ აიღო. პატაგონელმა უპასუხა:

- მე მხოლოდ მეგობრულად გეხმარებოდით.

გლენარვანმა ვეღარაფერი უპასუხა, მაგრამ უნდოდა ინდიელისათვის სახსოვრად მაინც დაეტოვებინა რაიმე ახალი ევროპელი მეგობრების სახსოვრად, მაგრამ რას შესთავაზებდა? იარაღს? ცხენს? ეს ყველაფერი წყალდიდობამ შთანთქა. დანარჩენებსაც აღარაფერი შერჩენოდათ. აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა ამ მამაცი გამყოლისათვის უანგარო და თავდადებული სამსახურის გამო, მაგრამ უცებ ერთმა ბედნიერმა აზრმა გაუელვა... საფულედან ამოიღო ძვირფასი მედალიონი, რომელშაც ჩასმული იყო ლოურენსის ხელით ნახატი საუცხოო პორტრეტი, გაუწოდა ინდიელს და თან უთხრა:

- ჩემი მეუღლეა!

ტალკავს გული აუჩუყდა, სურათს დახედა და ჩაილაპარაკა:

- კეთილია და ლამაზი!

ტალკავთან გამოსათხოვებლად მივიდნენ რობერტი, პაგანელი, მაიორი, ტომ ოსტინი და ორივე მეზღვაური. ყველას გული სწყდებოდა და ყველანი სინანულს გრძნობდნენ ამ ერთულ და მამაც მეგობართან განშორების გამო. ტალკავი ყველას რიგრიგობით იკრავდა განიერ მკერდზე. პაგანელმა სახოსოვრად დაუტოვა სამხრეთ ამერიკისა და ორივე ოკეანის რუკა, რომლებიც ინდიელს არაერთხელ დაუთვალირებია გულდასმით. ეს რუკა ყველაზე

უძვირფასესი ნივთი იყო, რომელიც კი მეცნიერს მოეპოვებოდა. რობერტს კი საჩუქრად მისაცემი არაფერი გააჩნდა ალერსის გარდა, რითაც მან გულუხვად დააჯილდოვა თავისი მხსენელი. არც თაუქა დავიწყებია.

"დუნკანის" ნავი უკვე ახლოვდებოდა, ის ორ მეჩეჩს შორის შემოცურდა და მალე ნაპირს მიადგა.

- როგორ ბრძანდება ჩემი მეუღლე? - იკითხა გლენარვანმა.

- ჩემი და? - მიაძახა რობერტმა.

- ლედი ელენი და მის გრანტი იახტაზე გელოდებიან, - მიუგო გლენარვანს ნავის ზემდეგმა.

- აბა, აჩქარდით, თორემ დროის დაკარგვა არ შეიძლება, ზღვის უკუქცევა უკვე დაწყებულია. მოგზაურები ერთხელაც გადაეხვივნენ ტალკავს, როდესაც მან ნავამდის მიაცილა ისინი. როცა რობერტი ნავში გადადიოდა, ინდიელმა ხელში აიტაცა და ალერსიანი თვალებით ჩააცქერდა.

- ახლა კი წადი, შენ უკვე ვაჟკაცი ხარ!

- მშვიდობით, მეგობარო, მშვიდობით! - გამოსძახა კიდევ გლენარვანმა.

- იქნებ როდისმე კიდევ ვნახოთ ერთმანეთი, - დაუძახა პაგანელმა.

- Quien sabe?[1] - გასძახა ტალკავმა და ხელი ცისკენ ასწია. ეს იყო ინდიელის უკანასკნელი სიტყვები.

მიქცევით გატაცებული ნავი თანდათან შორდებოდა ნაპირს. აქაფებულ ტალღებზე კიდევ დიდხანს მოჩანდა უძრავად მდგომი ტალკავის სილუეტი. თანდათან პატარავდებოდა, ილეოდა და ბოლოს სულ მიეფარა მოგზაურების მხედველობას.

ერთი საათის შემდეგ რობერტი უკვე "დუნკანის" გემბანზე იყო და მერის ეხვეოდა, იახტის ეკიპაჟი კი დაბრუნებულებს აღტაცებული შეძახილებით ეგებებოდა.

ასე დასრულდა სამხრეთ ამერიკის გადაკვეთა პირდაპირი ხაზით. მგზავრებს ვერც მთებმა, ვერც მდინარეებმა ვერ შეაშლევინეს არჩეული გეზი და მართალია, ადამიანებთან შეტაკება არ ჰქონიათ, მაგრამ სამაგიეროდ, ისინი სტიქიონმა არ დაინდო, მრავალჯერ დაატყდა თავს და განსაცდელში ჩააგდო მათი თავგანწირულობა და ვაჟკაცობა.

---

1 ვინ იცის.

ნაწილი მეორე

თავი I

ხომალდზე დაბრუნება

გლენარვანს არ უნდოდა, რომ ამაო ძებნას მეგობრების სისარული დაეჩრდილა და თავიდანვე ასე მიმართა:

- იმედიანად იყავით მეგობრებო, იმედიანად! მართალია, კაპიტანი გრანტი თან არა გვყავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას უსათოდ მივაგნებთ!

გლენარვანის ბეჯითი კილოთი ნათქვამმა სიტყვებმა "დუნკანიის" მგზავრებს იმედი განუახლა.

მათი ნავის მოლოდინში ელენმა და მერი გრანტმა ათასნაირი მღელვარება განიცადეს. ბაქანზე მდგომნი შორიდანვე თვლიდნენ ნავში მსხდომთ. მერი ხან სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, ხან კი, პირიქით რწმუნდებოდა, რომ ნავში ხედავდა ჰარი გრანტს. გული გადაელია, სიტყვას ვეღარ ძრავდა, ფეხზე ძლივსღა იდგა. ელენს მკლავები შემოეხვია მისთვის და ისე იმაგრებდა. ჯონ მანგლსი იქვე იდგა მდუმარედ და შორეულ სივრცეს

გასცქეროდა. მისი გამჭრიახი მეზღვაურის თვალი, მიჩვეული შორეული საგნების გარჩევას, ნავში კაპიტანს ვერა ხედავდა.

- იქ არის, იქ! მოდის! მამა მოდის! - ჩურჩულებდა მერი, მაგრამ ნავის მოახლოებისთანავე მოჩვენება გაქრა, როდესაც ნავი ორას მეტრზე მიუახლოვდა იახტას, უკვე ცხადი გახდა, რომ კაპიტანი გრანტი ნავში არ იყო. ამაში დარწმუნდნენ არა მარტო ელენი და მანგლსი, არამედ თვით მერი გრანტიც. უკანასკნელი იმედი დაკარგვაზე მან ცრემლები ვეღარ შეიკავა. გლენარვანმა სწორედ დროზე მიუსწრო გამამხნევებელი სიტყვებით.

პირველი მისალმების შემდეგ გლენარვანმა უამბო ელენს, მერი გრანტსა და ჯონ მანგლსს ექსპედიციის უმთავრესი შემთხვევები, აგრეთვე დოკუმენტების ახალი ახსნა-განმარტება გააცნო, რასაც ჭკუამახვილმა პაგანელმა მიაგნო; მერის საამაყოდ, დიდი ქებით მოიხსენია რობერტი, ამ ბავშვის გამბედაობა, თავგანწირვა და მისგან განცდილი საფრთხე. ყველაფერს ისე მკაფიოდ და დაწვრილებით მოჰყვა გლენარვანი, რომ რობერტი სირცხვილისაგან დას მაგრად ჩაეკრა გულში და მიიმალა.

- რობერტ! ნუ დაირცხვენ! - უთხრა ჯონ მანგლსმა, - შენ ისე მოქცეულხარ, როგორც კაპიტან გრანტის ღირსეული შვილი! - ის გადაეხვია ბავშვს და დაუკოცნა დის ცრემლით დანამული ლოყები.

რა თქმა უნდა, მაიორსა და გეოგრაფსაც დიდი პატივისცემით შეეგებნენ და მადლიერებით იხსენიებდნენ ტალკავს. ელენს სანანებლად რჩებოდა, რომ არ შეეძლო მაგრად ჩამოერთმია ხელი იმ მამაცი ინდიელისათვის. მისალმების შემდეგ მაიორი მაკ-ნაბსი თავის კაიუტაში ჩავიდა და პირის პარსვას შეუდგა.

პაგანელი ერთიდან მეორესთან დაქროდა, როგორც ფუტკარი და ყველასაგან კირეფდა ღიმილსა და ქების თაფლს. უნდოდა დაეკოცნა "დუნკანის" მთელი ეკიპაჟი და რაგან ელენი და მერი გრანტიც ამ ეკიპაჟის ნაწილს მიეკუთვნობოდნენ, მათგან დაიწყო და ოლბინეტით დაასრულა. სტიუარდმა პასუხად განუცხადა, საუზმე მზად გახლავთო.

- საუზმე!.. - წამოიძახა პაგანელმა.

- დიახ, - მიუგო ოლბინეტმა.

- ნამდვილი საუზმე, ნამდვილ მაგიდაზე, სუფრის ჭურჭლით, ხელსახოცებით?

- რა თქმა უნდა, ბატონო პაგანელ!

- მაშ, არც გამხმარ ხორცს, არც მოხარშულ კვერცხებს, აღარც სირაქლემას სუკს არ მოგვიტანთ?

- რა ბრძანებაა! - უპასუხა სტიუარდმა, რომლის თავმოყვარეობა შეილახა ამ შენიშვნით.

- თქვენი განაწყენება არ მინდოდა, მეგობრებო, - ღიმილით უთხრა მეცნიერმა, - მაგრამ მთელი ერთი თვის განმავლობაში შევეჩვიეთ, რომ სადილობისას მაგიდის ნაცვლად ან მიწაზე დავმსხდარიყავით, ან ხის ტოტზე და ახლა თქვენი საუზმე ოცნება, ფანტაზიის ნაყოფი მგონია!

- მაშ წამობრძანდით და დარწმუნდით მის სინამდვილეში, - მიუგო ელენმა და სიცილი ძლივს შეიკავა.

- ინებეთ ჩემი ხელი, - თავაზიანად უპასუხა გეოგრაფმა.

- ხომ არაფერს მიბრძანებთ "დუკანის" შესახებ? - ჰკითხა ჯონ მანგლსმა გლენარვანს.

- საუზმის შემდეგ, ძვირფასო ჯონ, - მიუგო გლენარვანმა, - ოჯახურ თათბირზე შევიმუშაოთ ჩვენი მომავალი ექსპედიციის პროგრამა.

იახტის მგზავრები და ახალგაზრდა კაპიტანი კაიუტკომპანიაში ჩავიდნენ. მემანქანემ განკარგულება მიიღო, ქვაბებში ორთქლის წნევა აეწია, რომ პირველი ნიშნის მიცემისათვის გამგზავრბულიყვნენ.

სუფთად პირგაპარსული მაიორი, პირდაბანილი და ტანისამოსგამოცვლილი, სხვა მგზავრებთან ერთად მაგიდას მიუჯდა. ოლბინეტის საუზმეს სათანადო მიუზღეს, ერთხმად განაცხადეს, რომ პამპის საუკეთესო საზეიმო სუფრა მას ვერ შეედრებოდა. პაგანელი ყოველი ლანგრიდან ორჯერ იღებდა კერძს, გულმავიწყობის გამო, როგორც თვითონ ამბობდა.

ამ საბედისწერო სიტყვამ საბაბი მისცა ელენს, თავაზიანად ეკითხა ფრანგისათვის, კიდევ ხომ არსად ჩაუდენია მისი ჩვეული ცოდვა? მაიორმა და გლენარვანმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. პაგანელმა გულიანად გადაიხარხარა და განაცხადა: პატიოსნებას გეფიცებით, ცოდვას აღარ ჩავიდენ დაბნეულობის მიზეზითო. მერე სასაცილოდ უამბო თავისი შეცდომები და კამოენსის საგულდაგულოდ შესწავლის ამბები.

- ბოლოს და ბოლოს, ავს კარგის მოსდევს ხოლმე. მე არ ვნანობ ამ შეცდომას.

- რატომ, ჩემო ღირსეულო მეგობარო? - შეეკითხა მაიორი.

- იმიტომ, რომ ესპანურის გარდა, პორტუგალიურიც შევისწავლე: ერთის ნაცვლად ორ ენაზე ვლაპარაკობ.

- მართლაც, ეგ კი არ მიფიქრია, - მიუგო მაკ-ნაბსმა, - მომილოცავს პაგანელ, გულწრფელად მომილოცავს!

ატეხეს ტაშისცემა პაგანელის მისამართით, რომელიც შეუსვენებლივ ილუკმებოდა. ამასობაში მეცნიერს ერთი გარემოება გამოეპარა, რომელიც გლენარვანმს შეუმჩნეველი არ დარჩენია: კაპიტანი ჯონ მანგლსი განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა მის გვერდით მჯდომ მერი გრანტს. ელენმა თვალით ანიშნა გლენარვანს და ისიც მიხვდა, რომ მათ შორის ყველაფერი რიგზეა.

გლენარვანმა თანაგრძნობით გადახედა ახალგაზრდებს და ჯონ მანგლსს სავსებით სხვა საგანზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

- თქვენი მოგზაურობა როგორ მიმდინრეობდა, ჯონ?

- საუცხოო პირობებში, სერ, - მიუგო კაპიტანმა, - მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მაგელანის სრუტით აღარ დავბრუნდით.

- ერიჰა! მაშ, თქვენ ჰორნის კონცხს შემუარეთ და მე კი იქ არ ვიყავი! - შესძახა პაგანელმა.

- მე თქვენ ადგილზე თავს ჩამოვიხრჩობდი! - გაეპასუხა მაიორი.

- ეგოისტო! ასეთ რჩევას იმისათვის მაძლევთ, რომ ჩემი თოკით ისარგებლოთ, რომელსაც, ამბობენ, ბედნიერება მოაქვსო, - მიუგო პაგანელმა.

- დამშვიდდით, ძვირფასო პაგანელ, - ჩაერია გლენარვანი, - ერთსა და იმავე დროს ყველგან ყოფნა არ შეიძლება. მაშინ ყველგან მყოფი უნდა იყოთ. თქვენ ხიომ არ შეგეძლოთ, ჰორნის კონცხისთვისაც შემოგევლოთ და პამპშიაც გემოგზაურათ?

- მართალი ბრძანდებით, ოღონდ ეგ სრულებითაც არ მიშლის, რომ სანანებლად დამრჩეს ჰორნის კონცხის უნახაობა, - მიუგო პაგანელმა.

ყველანი დაკმაყოფილდნენ ამ პასუხით და პაგანელს აღარავინს ახირებია. ჯონ მანგლსი მოჰყვა თავის მოგზაურობის ამბავს. ამერიკის შემოვლის დროს მათ დასავლეთის ყველა არქიპელაგი გამოეკვლიათ, მაგრამ "ბრიტანიის" კვალისათვის ვერსად მიეგნოთ. პილარის კონცხს რომ მიუახლოვდნენ, მაგელანის სრუტის შესასვლელთა, პირქარის გამო, სამხრეთისკენ იბრუნეს პირი. "დუნკანმა" გვერდი აუარა სასოწარკვეთილების კუნძულს, აჰყვა სამხრეთ განედის 67°- მდე, შემოუარა ჰორნის კონცხს, ახლოს გაუარა ცეცხლოვან მიწას და ბოლოს ლე-მერის სრუტის გავლის შემდეგ პატაგონიის სანაპიროებისაკენ აიღო გეზი.

აქ, კორიენტესის კონცხთან, საშინელი გრიგალი ამოვარდა. სწორედ ისეთი, როგორცი მოგზაურებმა პამპის ქარიშხლის დროს განიცადეს. მართალია, ხომალდი გაუმკლავდა უამინდობას, ჯონ მანგლსი მაინც იძულებული შეიქმნა, სამი დღის განმავლობაში გაშლილ ზღვაში ევლო, სანამ კარაბინის ხმამ არ შეატყობინა მათი დაბრუნება. ელენ გლენარვანმა და მის გრანტმა ვაჟკაცურად აიტანეს ყველაფერი, გრიგალს არ შეუშინდნენ და თუ აწუხებდათ რამე, ეს მხოლოდ არგენტინის ვაკეზე მოგზაურ მეგობრებზე ფიქრი იყო. ასე დაასრულა ჯონ მანგლსმა თავისი ამბავი. გლენარვანმა მიულოცა მას ექსპედიციის წარმატება, შემდეგ მერი გრანტს მიუბრუნდა:

- ძვირფასო მის, როგორც ვატყობ, კაპიტანი ჯეროვნად აფასებს თქვენს ღირსებებს და ბედნიერი ვარ, რომ თქვენ მოწყენილი არ ყოფილხართ ხომალდზე.

- ან კი სხვამხრივ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო? - მიუგო მერიმ და გადახედა ელენს და, ვგონებ, ახალგაზრდა კაპიტანსაც.

- ოჰ, კაპიტანო ჯონ, როგორ უყვარხართ ჩემს დას და მეც ძალიან მიყვარხართ! - შესძახა რობერტმა.

- მეც ძალიან მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო ბავშვო, - მიუგო რობერტის სიტყვებით ცოტა დარცხვენილმა ჯონ მანგლსმა. მერი გრანტს კი ლოყები ოდნვ შეუვარდისფრდა. ჯონ მანგლსმა მაშინვე სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

- რადგან მე უკვე გიამბეთ "დუნკანის" მოგზაურობის შესახებ, იქნებ ახლა თქვენ ინებოთ და გაგვიზიაროთ თქვენი მოგზაურობის ამბავი ამერიკაში და ისიც, როგორ იქცეოდა ჩვენი ახალგაზრდა გმირი.

ელენსა და მერი გრანტს ამაზე უფრო ვერაფერი ასიამოვნებდა. გელნარვანმაც მაშინვე დააკმაყოფილა მათი ცნობისმოყვარეობა. დაწვრილებით უამბო ყველაფერი: კორდილიერებზე გადავლა, მიწისძვრა, რობერტის დაკარგვა და მისი მოტაცება კონდორის მიერ, ტალკავის ნასროლი, აგუარების ამბავი, რობერტის თავგანწირვა, სერჟანტ მანუელის თავგადასავალი, წყალდიდობა, ომბუს ხეზე შეხიზვნა, ხანძარი, კაიმანები, გრიგალი, ღამე ატლანტის ოკეანის პირას.

ყველა ეს ამბავი, საშინელი თუ მხიარული, ხან შიშის ზარს ჰგვრიდა მსნელებს, ხან სიხრულს. ელენმა და მერი გრანტმა ერთხელ კიდევ ჩაკოცნეს რობერტი.

ბოლოს გლენარვანმა დასძინა:

- მეგობრებო, ახლა კი ვიფიქროთ აწყმოზე, რაც იყო, იყო, მომავალი ჩვენს ხელთაა, დავუბრუნდეთ კაპიტან გრანტს.

საუზმის შემდეგ მთელმა საზოგადოებამ ლედი გლენარვანის სასტუმრო ოთახში გადაინაცვლა. ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭირა მაგიდის ირგვლივ, რომელზეც გაშლილი იყო რუკები და გეგმები.

- ძვირფასო ელენ, - დაიწყო გლენარვანმა, - ხომალდზე ამოსვლისას მე გითხარით, მართალია, "ბრიტანიის" მგზავრები ჩვენთან ერთად არ დაბრუნებულან, მაგრამ მათი პოვნის იმედი ახლა უფრო გვაქვს, ვიდრე ოდესმე-მეთქი. ამერიკაში მოგზაურობამ დაგვარწმუნა, რომ ხომალდი არც წყნარი, არც ატლანტის ოკეანის სანაპირებთან არ დაღუპულა. ამან მიგვახვედრა, რომ ბარათები სწორად ვერ ამოგვიკითხავს. საბედნიეროდ, ჩვენი მეგობრის პაგანელის მოულოდნელმა შთაგონებამ გამოასწორა ეს შეცდომაა. მეცნიერმა დაამტკიცა, რომ მცდარ გზას ვადექით და ამ მხრივ აღარავითარი ეჭვი არ დაგვრჩენია. ჩვენ ფრანგულ ბარათს ვემყარებოდით. ვთხოვ, ბატონ პაგანელს ყველას განგვიმარტოს საქმის ვითარება.

მეცნიერი უკვე მზად იყო და დაუყოვნებლივ დაიწყო. მან დამაჯერებელი მოსაზრებანი მოიყვანა სიტყვა gonie-ს და indi-ს შესახებ. ყველასათვის ნათელი და გასაგები შეიქმნა, რომ austral ავსტრალიას ნიშნავს. გეოგრაფმა დაარწმუნა ყველა, რომ კაპიტანი გრანტი პერუს სანაპიროებიდან წამოსვლის შემდეგ, ალბათ, ხომალდის მართვის შეუძლებლობის გამო, წყნარი ოკეანის სამხრეთის დინებამ გაიტაცა ავსტრალიისაკენ. ერთი სიტყვით, მისი ოსტატური ჰიპოთეზა და მოხერხებული დასკვნები ჯონ მანგლსსაც კი მოეწონა, რომელიც ასეთ საკითხებში სასტიკი მსაჯული იყო და ოცნების გავლენას არ ემორჩილებოდა.

როდესაც პაგანელმა სიტყვა დაამთავრა, გლენარვანმა განაცხადა, "დუნკანი" დაუყოვნებლივ გაემართება ავსტრალიისკენო. ამ დროს მაიორმა სიტყვა ითხოვა, - სანამ ხომალდი აღმოსავლეთისაკენ დაიძვრებოდეს, ერთი შენიშვნა მაქვსო.

- ბრძანეთ, მაკ-ნაბს, - მიუგო გლენარვანმა.

- ჩემი მიზანია, კი არ გავაქარწყლო ჩემი მეგობრის პაგანელის მოსაზრებათა შთაბეჭდილება და მით უმეტეს, არ უარვყო ისინი, - დაიწყო მაიორმა, - ეს მოსაზრებანი სერიოზულად, საფუძვლიანად და ყურადღების ღირსად მიმაჩნია. ჩვენ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ მომავალი ძებნის დროს, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი ერთხელ კიდევ

უნდა ავწონ-დავწონოთ, რათა ჩვენი მეგობრის მოსაზრებების დამაჯერებლობა ყველასათვის უდავო იყოს.

ვერავინ მიუხვდა, სახელდობრ რისი თქმა სურდა ყოველთვის წინდახედულ მაკ-ნაბსს და ყველანი ერთგვარი შეშფოთებით უსმენდნენ.

- განაგრძეთ, მაიორო, - უპასუხა პაგანელმა, - ყველა კითხვაზე გიპასუხებთ.

- მაგაზე ადვილი რა იქნება, - ჩაილაპარაკა მაიორმა, - როდესაც ამ ხუთი თვის წინ ამ ბარათებს ვიკვლევდით კლაიდის ყურეში, მაშინდელი ახსნა-განმარტება უდავოდ მიგვაჩნდა. ყველას გვეგონა, რომ ხომალდი მხოლოდ პატაგონიის სანაპიროებთან შეიძლებოდა დაღუპულიყო. ამის შემდეგ არავითარი ეჭვი არ დაგვბადებია.

- სწორია, - ჩაურთო გლენარვანმა.

- შემდეგ, - განაგრძო მაიორმა, - როდესაც, ჩვენდა საბედნიეროდ, დაბნეულობის გამო, ბატონი პაგანელი ჩვენს ხომალდზე მოხვდა და ბარათები დაათვალიერა, ჩვენი გადაწყვეტილება კაპიტნის ამერიკის სანაპიროზე ძებნის თაობაზე სავსებით მოიწონა.

- გეთანხმებით, - ჩაურთო პაგანელმა.

- მაგრამ ჩვენ მაინც შევცდით, - განაგრძო მაიორმა.

- ჩვენ შევცდით, - გაიმეორა პაგანელმა, - მაგრამ ადამიანს სჩვევია შეცდომა, თავისი შეცდომებით ჯიუტობას სულელი თუ მოჰყვება!

- დამაცადეთ, პაგანელ, - სიტყვა მოუჭრა მაიორმა, - ნუ ცხარობთ, მე იმას როდი მოვითხოვ, რომ ისევ ამერიკის სანაპიროზე განვაგრძოთ ძებნა.

- მაშ, რა გნებავთ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- მინდა ყველამ აღიაროს, რომ ახლა ხომალდის დაღუპვის ადგილად ავსტრალია ისეთივე სიცხადით მიგვაჩნია, როგორც წინათ ამერიკა მიგვაჩნდა.

- ყველანი ვაღიარებთ ამას, - მიუგო პაგანელმა.

- მაგ სიტყვაზე კი დაგიჭერთ, - განაგრძო მაიორმა, - და ვსარგებლობ შემთხვევით, იძულებული გაგხადოთ, რომ ცოტა უნდობლად მოეკიდოთ ხოლმე ყველა "სიცხადით" გატაცებას, ამავე დროს ლოგიკურობაც გამოიჩინოთ და თქვენს სიტყვას აღარ შეეწინააღმდეგოთ. ვინ იცის, იქნებ ავსტრალიის შემდეგ ყველა ადგილის მოვლა დაგვჭირდეს, რომელზეც ოცდამეჩვიდმეტე პარალელი გადის.

გლენარვანმა და პაგანელმა ერთიმეორეს გადახედეს. მაიორის შენიშვნის სამართლიანობამ ორივე შეაფიქრიანა.

- მაშასადამე, - განაგრძობდა მაიორი, - სანამ ავსტრალიისაკენ გავემგზავრებოდეთ, მინდა, ეს საკითხი საფუძვლიანად ავწონ-დავწონოთ. ბარათებისა და ამ რუკების მიხედვით განვიხილოთ ყველა ადგილი, რომლებზეც ოცდამეჩვიდმეტე პარალელი გადის და დარწმუნდებით, რომ არ მოიძებნება სხვა ისეთი ქვეყანა, რომელის შესახებაც ეს ბარათები მიუთითებდეს.

- მაგაზე ადვილი არაფერია, - მიუგო პაგანელმა, - ჩვენდა საბედნიეროდ, ამ განედზე ბევრი ქვეყანა არ მდებარეობს.

- ვნახოთ, - თქვა მაიორმა და გაშალა მერკატორის[1] პროექტით შედგენილი ინგლისური რუკა, რომელზეც მთელი დედამიწის სფერო იყო გამოსახული.

რუკა ელნის წინ იყო გადაშლილი, დანარჩენი მოგზაურები ისე დალაგდნენ, რომ თვალი ედევნებინათ პაგანელის ნაჩვენები ადგილისათვის.

- უკვე მოგახსენეთ, რომ ოცდამეჩვიდმეტე პარალელი სამხრეთ ამერიკის გადასერვის შემდეგ ტრისტან დ´აკუნის კუნძულებზე გადის, - დაიწყო პაგანელმა, - ჩემი აზრით, ბარათების არც ერთი სიტყვა ამ კუნძულებს არ შეეხება.

დოკუმენტების გადათვალიერების შემდეგ ყველანი დაეთანხმნენ, რომ პაგანელი მართალი იყო, ამიტომ ტრისტან დ´აკუნის კუნძულები ერთხმად უარყვეს.

- განვაგრძოთ, - დაიწყო ისევე გეოგრაფმა, - ატლანტის ოკეანიდან გასვლის შემდეგ გავივლით კეთილი იმედის კონცხიდან ორი გრადუსით სამხრეთით და შევცურავთ ინდოეთის ოკეანეში. აქ შეგვხვდება კუნძულების ერთადერთი ჯგუფი - ამსტერდამის კუნძულები.... ესეც შევამოწმოთ, ტრისტან დ´აკუნის კუნძულების მსგავსად.

გულმოდგინედ განხილვის შემდეგ ამსტერდამის კუნძულებიც უარყვეს, რადგან არც ფრანგული, არც ინგლისური და არც გერმანელი ბარათის არც სიტყვა ან სიტყვის ნაწილი არ ახსენებდა ინდოეთის ოკეანის ამ კუნძულებს.

- ახლა ვუახლოვდებით ავსტრალიას, - განაგრძო პაგანელმა, - ამ კონტინენტის ოცდამეჩვიდმეტე პარალელი ბერნუილის კონცხზე გაივლის და მას ტუფოლდის ყურესთან შორდება. დამეთანხმებით, რომ ტექსტის გადაუთვალიერებლადაც ინგლისური სიტყვა stra და ფრანგული austral მოხლოდ ავსტრალიას ნიშნავს. საკითხი საკმაოდ ნათელია და მას აღარ ჩავაცივდებით.

პაგანელს ყველანი დაეთანხმნენ. ჯერჯერობით ყველაფერი მეცნიერის მოსაზრებას ადასტურებს.

- განაგრძეთ, - თქვა მაიორმა.

- განვაგრძოთ, - მიუგო გეოგრაფმა, - იოლი გზა გვაქვს. ტუფლდის ყურეს რომ გავცდებით, მცირეოდენ სივრცეს გავივლით ზღვაზე, ავსტრალიის აღმოსავლეთით, და წავადგებით ახალ ზელანდიას. კიდევ გაგახსენებთ, რომ ფრანგულ ბარათში დარჩენილი სიტყვა contin ნაწყვეტი უდავოდ არის continent კონტინენტი. კაპიტანი გრანტი ახალ ზელანდიას ვერ შეეხიზნებოდა, რადგან ის მხოლოდ კუნძულია. კეთილი ინებბეთ და, შეამოწმეთ ბარათების სიტყვები, ჩუკვირდით მათ, ერთიმეორეს შეადარეთ და დარწმუნდებით, რომ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ეს ქვეყანა.

- მართლაც არ არის, - დაეთანხმა ჯონ მანგლსი, რომელის საგულდაგულოდ ამოწმებდა ბარათებსაც და რუკასაც.

- არა, - დაადასტურა ყველა მსმენელმა, მათ შორის მაიორმაც, - ზელანდიაზე ლაპარაკიც ზედმეტია!...

გეოგრაფმა კი განაგრძო:

- მთელ ამ უზარმაზარ სივრცეზე, რომელიც ამ კუნძულს ამერიკისგან აშორებს, ოცდამეჩვიდმეტე პარალელი მხოლოდ ერთ პატარა უნაყოფო და უდაბურ კუნძულს

---

1 მარკატორი (1512-1594) - ნიდერლანდელი გეოგრაფ-კარტოგრაფი; აღმოაჩინა დედამიწის ზედაპირზე დიდი მანძილების გაზომვის განსაკუთრებული ხერხი; მერკატორის გეოგრაფიული პროექციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნავიგაციაში, კარტოგრაფიაში კი დღესაც ხმარობენ.

გადასერავს.

- მისი სახელი? - იკითხა მაიორმა.

- მარია ტერეზას კუნძულია. აი, აქ გახლავთ, ხედავთ? ახლა მიბრძანეთ, ამ დოკუმენტში გაკვრით მაინც თუ არის ნახსენები ეს სახელწოდება?

- არც ერთ ბარათში არ არის! - მიუგო გლენარვანმა.

- ამგვარად, მეგობრებო, თქვენთვის მომინდვია იმ მოსაზრებებისა თუ უტყუარი ფაქტების დადასტურება, რომ ეს საბუთები მხოლოდ ავსტრალიის სასარგებლოდ მეტყველებს.

- აშკარაა, - ერთხმად შესძახეს "დუნკანის" ყველა მგზავრმა და მისმა კაპიტანმა.

მაშინ გლენარვანი კაპიტანს მიუბრუნდა:

- ჯონ, სურსათ-სანოვაგე და ქვანახშირი საკმარისად გვაქვს?

- დიახ, სერ, ხელახლა მოვიმარაგე ტალკაჰუანოში. ამას გარდა კაპშტადტშიაც ადვილად შეგვიძლია შევავსოთ ქვანახშირისმარაგი.

- მაშ, გზას გავუდგეთ!

- ერთი შენიშვნა კიდევ, - მაიორმა გლენარვანს სიტყვა გააწყვეტინა.

- ბრძანეთ, მაკ-ნაბს, გისმენთ.

- რაც უნდა დიდი უპირატესობა ჰქონდეს ავსტრიალიას, ურიგო ხომ არ იქნება, რომ ერთი-ორი დღე გავჩერებულიყავით ტრისტან დ´აკუნის და ამსტერდამის კუნძულებთან? ისინი გზად გვხვდება და შორს სიარული არ დაგვჭირდება. ამ შემთხვევაში, უკვე დანამდვილებით გვეცოდინება, რაიმე კვალი ხომ არ დაუტოვებია "ბრიტანიის" დაღუპვას ამ კუნძულებთან?

- ურწმუნო მაიორი მაინც თავისას არ იშლის! - წამოიყვირა პაგანელმა.

- განსაკუთრებით იმისათვის მოვითხოვ ამას, რომ უკანვე გამობრუნება აღარ დაგვჭირდეს იმ შემთხვევაში, თუ ავსტრალიამაც არ გაგვიმართლა იმედი.

- სიფრთხილეს თავი არ სტკივა, - თქვა გლენარვანმა, - ეს წინადადება მიზანშეწონილად მიმაჩნია.

- მაგაში არავინ შემოგედავებათ, - მიუგო პაგანელმა, - პირიქით.

- ჯონ, მაშასადამე, ტრისტან დ´აკუნისაკენ ავიღოთ გეზი, - გადაწყვიტა გლენარვანმა.

- მესმის! - მიუგო კაპიტანმა და ხომალდის ზედა გემბანისაკენ გაემართა.

რობერტმა და მერი გრანტმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს გლენარვანს.

რამდენიმე წუთის შემდეგ "დუნკანი" მოსცილდა ამერიკის ნაპირებს და თავისი ფორშტევენით სწრაფად მიარღვევდა ატლანტის ოკეანის ტალღებს აღმოსავლეთის მიმართულებით.

თავი II

ტრისტან დ´აკუნია

ხომალდი რომ ეკვატორს გაჰყოლოდა, მშინ ის 196°, რომელიც ავსტრალიას ამერიკისაგან, ან უკეთ რომ ვთქვათ, კორიენტის კონცხს ბერნუილის კონცხისაგან აშორებს - თერთმეტი ათას შვიდას სამოცი გეოგრაფიული მილის გადასასვლელს შექმნიდა, მაგრამ ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გაყოლებით 196° გლობუსის მოყვნილობის გამო მხოლოდ ცხრა ათას ოთხას ოთხმოც მილის უდრის.

ამერიკიდან ტრისტან დ´აკუნამდე ორი ათას ას მილს ვარაუდობენ. ამ მანძილის გავლა კი ჯონ მანგლსის აზრით, ათ დღეში შეიძლებოდა, თუ აღმოსავლეთის ქარები არ შეაფერხებდა ხომალდს. საბედნიეროდ, ამინდი ხელს უწყობდათ. საღამო ხანს ბრიზი შესამჩნევად მიწყნარდა, მერე მიმართულება იცვალა და "დუნკანს" საშუალება მისცა, თავისი შესანიშნავი ღირსებანი გამოევლინა.

მგზავრები ერთბაშად ჩადგნენ სახომალდო ცხოვრების კალაპოტში. აღარავის ახსოვდა, რომ მთელი ერთი თვის განმავლობაში ხომალდი მიტოვებული ჰქონდათ. წყნარი ოკეანის შემდეგ მათ თვალწინ გადაშლილიყო ატლანტის ოკეანის ტალღები. ისინი კი მხოლოდ ელფერით განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. სტიქიონი, რომელმაც დღემდე ამდენი გასაჭირი განაცდევინათ, თითქოს ახლა ცდილობდა მათი გულის მოგებას. მგზავრობა უხიფათოდ გრძელდებოდა, ყველანი იმედიანად ელოდნენ ავსტრაიის სანაპიროს - იმედი ახლა მტკიცე რწმენად ქცეულიყიო.

ოკეანე წყნარი იყო. ხელშემწყობი ქარი ქროდა. დასავლეთის ბრიზი ბერავდა იალქნებს და ხელს უწყობდა დაუჭალავ ორთქლს.

ამგვარად, სწრაფად და დაუბრკოლებლად მოგზაურობდნენ.

კაპიტან გრანტზე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს მასთნა გარკვეულ და წინასწარ დათქმულ ნავსადგურში მიდიანო. კაპიტან გრანტისა და მისი ამხანაგებისათვის "დუნკანზე" ცალკე კაიუტები ჰქონდათ გამზადბული. მერი გრანტმა განსაკუთრებული სიამოვნებით მოაწყო და დაამშვენა ისინი. კაპიტან გრანტს ოლბინეტმა დაუთმო კაიუტა. ის კი თავის მეუღლესთან გადაბარგდა. კაპიტან გრანტისათვის მომზადებული კაიუტა ცნობილი მეექვსე კაიუტის გვერდით იყო, რომელიც ჟაკ პაგანელმა "შოტლანდიას" დაუკვეთა.

მეცნიერ-გეოგრაფი თითქმის მთელი დღეობით კარჩაკეტილში იჯდა. დილიდან საღამომდე მუშაობაში იყო გართული - მეცნიერულ შრომას წერდა სათაურით "გეოგრაფის არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებანი არგენტინის პამპაში". დროდადრო მგზავრებს ესმოდათ გეოგრაფის მღელვარე ხმით წარმოთქმული გრძელი და მაღალფარდოვანი ფრაზები, რომლებსაც რვეულში ჩაწერამდე იგი ხმამაღლა წარმოთქვამდა.

მაიორი თანაუგრძნობდა სწავლული მეგობრის მეცადინეობას, მაგრამ ჩვეული სკეპტიკურობით ხშირად ეუბნებოდა: ოღონდ უფრთხილდით თქვენთვის დამახასიათებელ დაბნეულობას. თუ ავსტრალიური ენის შესწავლას გადაწყვეტთ, ეცადეთ არ შეისწავლოთ ჩინურის გრამატიკის საშუალებით.

ამგვარად, ხომალდზე ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. გლენარვანი და ელენი ხალისიანად ადევნებდნენ თვალს ჯონ მანგლსს და მერი გრანტს. ჯონ მანგლსი არაფერს უმხელდა თანამგზავრებს და მათაც გადაწყვიტეს, ახალგაზრდები საკუთარი თავის ამარა დაეტოვებინათ.

- რას იტყვის კაპიტანი გრანტი? - ჰკითხა ერთხელ ელენს გლენარვანმა.

- იმას, რომ ჯონ მანგლსი ღირსია მერისა და არც შეცდება.

ხომალდი სწრაფად უახლოვდებოდა მიზანს. ხუთი დღის შემდეგ, რაც კორიენტის კონცხი თვალს მიეფარა, დასავლეთის ქარი გაძლიერდა. "დუნკანზე" ყველა იალქანი აუშვეს და ხომალდი სწრაფად გაფრინდა წინ, ოდნავ მარცხნივ ჰალაზე გადაზნექილი, თითქოს ტემზის სამეფო იახტკლუბის შეჯიბრებაში მონაწილეობდა პირველობაზე.

მეორე დღეს მგზავრებმა დაინახეს, რომ ოკეანის ზედაპირი უშველებელ წყალმცენარეებს დაეფარა, გეგონებოდათ, უზარმაზარი ბალახმოდებული ტბაა. ეს მიდამო სარგასის ზღვას მოგაგონებდათ, რომელიც სავსე იყო ნაპირებიდან მოგლეჯილი ხეებისა და მცნეარეების ნამტვრევებით. კაპიტანმა მგზავრების ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას.

"დუნკანი" ისე მიდიოდა წინ, თითქოს უზარმაზარ ველზე მისრიალებსო. პაგანელმა ეს ადგილები პამპის ვაკეს შეადარა. ამ მცენარეულობის გამო ხომალდმა სვლას უკლო. კიდევ ოცდაოთხი საათიც და განთიადისას ხომალდის მორიგე მეზღუვაურმა შეჰყვირა:

- დედამიწა!

- რომელ მხარეს? - ჰკითხა ტომ ოსტინმა, რომელიც მორიგე იყო.

- ქარის მიმართულებით! - მიუგო მეზღვაურმა.

ყველანი გემბანზე ამოიშალნენ. იქვე გაჩნდა ჭოგრით შეიარაღებული ჟაკ პაგანელი. ნაჩვენები მხარისაკენ მიმართა იგი, მაგრამ დედამიწის ნასახიც ვერსად დაინახა.

- ღრუბლისაკენ გაიხედეთ! - უთხრა ჯონ მანგლსმა.

- მართლაც, რაღაც მოჩანს ფრიალო კლდის მსგავსი, - მიუგო პაგანელმა.

- ეგ არის ტრისტან დ´აკუნია, - უპასუხა ჯონ მანგლსმა.

- მაშასადამე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ახლა ჩვენ მაგ კუნძულიდან ოთხმოც მილზე ვიმყოფებით, რადგან ტრისტანის მწვერვალი, რომლის სიმაღლეც შვიდი ათას ფუტს აღემატება, სწორედ ასეთი მანძილიდან მოჩანს, - შენიშნა პაგანელმა.

- სრული ჭეშმარიტებაა, - დაუმოწმა ჯონ მანგლსმა.

რამდენიმე საათის შემდეგ ჰორიზონტზე გარკვევით აისახა ძალიან მაღალი და ფრიალო კუნძულების ქარაფები. ტრისტანის კონუსისებური მწვერვალი შავად აზიდულიყო ნათელი ცის ფონზე, რომელსაც უხვად ეფინებოდა ამომავალი მზის სხივები.

მალე კლდეებს შორის გამოიკვეთა მთავარი კუნძული. ის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმართული სამკუთხედის მწვერვალთან მდებარეობდა. კუნძული ტრისტან დ´აკუნია მდებარეობს სამხრეთის განედის 37°8´-სა და დასავლეთის გრძედის 10°44´ -ზე, გრინვიჩის სამხრეთ-დასავლეთისაკენ; თვრამეტ მილზე ეგრეთ წოდებული მიუწვდომელი კუნძული ინაქსესიბილია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ათი მილის მანძილზე კი ბულბულის კუნძულია. ასეთია ეს პატარა და განმარტოებული კუნძულების ჯგუფი ატლანტის ოკეანის ამ ნაწილში.

შუადღისას გაიარეს სანიშნესთან, რომელიც მეზღვაურებს შუქურის მაგივრობას უწევდა. ეს იყო მიუდგომელი კუნძულის კლდე, რომელიც მოყვანილობით ნავს წააგავდა და ორი პატრა კუნძული ბუმბულის კუნძულის ჩრდილოეთის ბოლოში, რომელიც დანგრეულ სიმაგრეს ემსგავსებოდა.

სამ საათზე "დუნკანი" შეცურდა ტრისტან დ´აკუნიას კუნძულების ყურეში, რომესაც ფალმუტი ეწოდება. მას დასავლეთის ქარებისაგან ჰელმის კონცხი იფარავს. აქ სელაპსა და

ზღვის სხვა ცხოველებზე მონადირე ღუზაჩაშვებული რამდნეიმე ხომადი იდგა. აქაურობა განთქმულია ამ ცხოველებით.

ჯონ მანგლსი ღუზის ჩასაშვებ რიგიან ადგილს ეძებდა, რადგან ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქარების გამო რეიდზე დგომა დიდად სახიფათო იყო.

1829 წელს სწორედ ამ რეიდზე დაიღუპა ინგლისის ორანძიანი ხომალდი "ჯულია" მთელი ეკიპაჟითა და ავლადიდებით.

"დუნკანი" ნაპირს ნახევარი მილის მანძილზე მიუახლოვდა და ღუზა ჩაუშვა. მგზავრები, კაცი თუ ქალი, მშინვე გადავიდნენ ერთ მოზრდილ კანჯოში და ნაპირისაკენ გაცურეს.

ნაპირი წვრილი, შავი ქვიშით იყო დაფარული, ეს იყო კირქვის კლდეების ნამსხვრევები. ტრისტან დ´აკუნია არქიპელაგის დედაქალაქად ითვლება და პატარა დაბას წარმოადგენს, რომელიც მოჩუხჩუხე ნაკადულის პირას მდებარეობს. ყურეს სიღრმეში ორმოცდაათი საკმაოდ სუფთა სახლი დგას, ჩამწკრივებული იმ გეომეტრიული სისწორით, რითაც განირჩევა თანამედროვე ინგლისური ქალაქმშენებლობის ხუროთმოძღვრება. პაწაწინა ქალაქის იქით გადაჭიმულია დაახლოებით ას ორმოცდაათი ჰექტარი ფართობის მინდვრები, რომელთა გარშემოც აზიდულია უშველებელი ლავის კლდეები. მთელ მიდამოს ზევიდან დასცქერის კონუსისებური ვულკანი.

გლენარვანი მაშინვე გაეშურა ჰარი გრანტისა და "ბრიტანიის" ამბის გასაგებად, მაგრამ ეს სხელები არავის სმენოდა. ტრისტან დ´აკუნიას კუნძულების ადგილმდებარეობა დიდ საზღვაო გზას მოშორებულია, ასე რომ, აქ იშვიათად თუ შეივლის ხომალდი. 1821 წლის შემდეგ, როდესაც ინაქსესიბლის კლდების მახლობლად ხომალდი "ბლენდონ-ჰოლი" დაიღუპა, მთავარ კუნძულებთან მხოლოდ ორ ხომალდს განუცდია კატასტროფა: "პრიმოგეს" 1845 წელს და 1857 წელს სამანძიან ამერიკულ ხომალდს " ფილადელფია". გემების დაღუპვის ადგილობრივი სტატისტიკა მხოლოდ ამ ორი ცნობით ამოიწურებოდა.

გლენარვანი არც მოელოდა, რომ აქ რამეს შეიტყობდა და ადგილობრივ გუბერნატორიასაც მხოლოდ სინდისის დასამშვიდებლად მიმართა. გარდა ამისა, გლენარვანმა ნავებიც კი გაგზავნა კუნძულის შემოსავლელად, რომლის ირგვლივ მანძილი 17 კილომეტრს არ აღემატებოდა. ასე რომ, კუნძUლი ერთი სამადაც რომ დიდი ყოფილიყო, მასზე ვერც ლონდონი დაეტეოდა, ვერც პარიზი.

სანამ კვლევა-ძიება წარმოებდა "დუნკანის" მგზავრები სოფლის განაპირს დასეირნობდნენ. ტრისტან დ´აკუნიას მოსახლეობა ას ორმოცდაათ კაცს არ აღემატებოდა. ყველანი ინგლისელები და ამერიკელები იყვნენ. აქვე დაქორქინებულიყვნენ კეთილი იმედის კონცხის მკვიდრ ზანგებისა და ჰოტენტოტების ქალებზე, რომლებიც თავიანთი უსახურობით არიან განთქმულნი. ნარევი ქორწინებებისაგან ნაშობ ბავშვებში უცნაურად არის შეზავებული ინგლისური უდრეკობა და აფრიკული სიშავე.

ხმელეთზე ყოფნით გახარებული მგზავრების სეირნობა ზღვის პირზეც გაგრძელდა, რომელსაც დიდი მინდორი ეკვროდა, ერთადერთი დამუშავებული ადგილი. კუნძულის დანარჩენი ნაწილი ლავის ნამსხვრევებითა და გამოფიტული კლდეებით იყო მოფენილი. ამ უკაცურ ადგილებში ასიათასობით უზარმაზრი ალბატროსი და უამრავი პინგვინი ბუდობს.

ვულკანური წარმოშობის კლდეების დათვალიერების შემდეგ მოგზაურები ისევ ხეობას დაუბრუნდნენ. აქ მრავალი ნაკადული მოჩუხჩუხებდა, როიმელბსაც კონუსისებური მთის თოვლი ასაზრდოებდა.

მწვანე ბუჩქებში მრავლად მოჩანდა ყვავილები და ფრინველი. ამწვანებული ველის თავზე ერთადერთი ამერიკული კერატისის ჯიშის ხე ამართულიყო, სიმაღლით შვიდიოდე მეტრი იქნებოდა, და ბუმბერაზი ტუსეს ბუჩქი, ხისებრი აცენა, რომელსაც შხამიანი თესლი აქვს; უზარმაზარი ყლორტებგადახლართული ჩადუნა, ღია ფერის ანცერინის ყვავილის რამდენიმე ბუჩქი, რომელიც ბალზამის გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევდა, ხავსი, გარეული ნიახური - ყოველივე ეს მართალია, არამრავალრიცხოვან, მაგრამ მშვენიერ ფლორას შეადგენდა. ეტყობოდა, ამ ბედნიერ კუნძულს მუდმივი გაზფხული მფარველობდა.

მიდამოს დათვალიერებით დამტკბარი და საუბარში გართული მოგზაურები დაღამებისას ხომალდს დაუბრუნდნენ. სოფლის მიდამოებში გაშლილიყო ცხვრის ფარები და ხარების ნახირი. მინდორი დაფარული იყო ჭვავით, სიმინდის ყანებითა და ბოსტნეულით, რომელიც აქ ამ ორმოცი წლის წინ შემოეტანათ. ყოველივე ეს ამ სატახტო ქალაქის სიმდიდრეს წარმოადგენდა.

როდესაც გლენარვანი ხომალდს უბრუნდებოდა, "დუნკანს" კუნძულის შემოსავლელად გაგზავნილი ნავებიც მოადგნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში მათ გარს შემოევლოთ კუნძულისათვის, მაგრამ "ბრიტანიის" კვალიც კი ვერსად ენახათ. ამ გამოკვლევის შედეგი ის იყო, რომ ტრისტან დ´აკუნია ექსპედიციის პროგრამიდან ამოიშალა.

ახლა "დუნკანს" შეეძლო, გზას გასდგომოდა, მაგრამ გლენარვანმა ეკიპაჟს სელაპებზე ნადირობის ნება დართო. სელაპრებს აქ ზღვის ხბოებს, ზღვის ლომებს, ზღვის დათვებს, ზღვის სპილოებს უწოდებენ. ფალმუტის ყურის ნაპირები სავსე იყო ამ ცხოველებით. ოდესღაც აქ ვეშაპიც ბლომად ბინადრობდა, მაგრამ მონადირეებმა იმდენი გაჟლიტეს, რომ მათი სინსილა გააქრეს.

ხომალდის ეკიპაჟმა გადაწყვიტა, იმ ღამეს ენადირა, მეორე დღე კი ქონის გამოდნობისათვის მოენდომებინათ. ამის გამო "დუნკანის" ზღვაში გასვლა ერთი დღით კიდევ გადაიდო, ესე იგი 20 ნოემბრამდე.

პაგანელმა ვახშმობისას თანამგზავრებს რამდენიმე საყურადღებო ცნობა მიაწოდა ტრისტან დ´აკუნიას კუნძულების შესახებ. თურმე კუნძულები 1506 წელს აღმოუჩენია პორტუგალიელ ტრისტან დ´აკუნიას, დ´ალბუკერკის თანამგზავრს და თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში შეუსწავლელი დარჩენილა. ამ კუნძულებს ადრე სამართლიანად უწოდებდნენ "გრიგალის ბუდეს" და ამ მხრივ ისინი ბერმუდის კუნძულებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ამის გამო სიახლოვეს არ ეკარებოდა არც ერთი ხომალდი, თუ მას ატლანტის ოკეანის გრიგალი არ გამოიტაცებდა აქეთ.

კუნძულებს 1697 წელს ინდოეთის კომპანიის სამი ჰოლანდიური ხომალდი მიადგა და მათი განედი და გრძედი დაადგინა. მათი გამოკვლევა 17000 წელს სახელგანთქმულმა ასტრონომმა ჰალეიმ შეამოწმა. 1712 წლიდან 1767 წლამდე ამ კუნძულებს გაეცნენ ფრანგი ზღვაოსნები, უმთავრესად კი ლაპერუზი. კუნძულები 1811 წლამდე უკაცრიელი იყო, სანამ ამერიკელმე ჯონათან ლმბერტმა აქ ახალშენი არ დაარსა თავის ორ მეგობართან ერთად. კეთილი იმედის კონცხის ინგლისელმა გუბერნატორმა ახალშენს ინგლისის მფარველობა შესთავაზა. ჯონათანი დათანხმდა და თავის ქოხზე ინგლისის დროშა აღმართა. ამის შემდეგ თითქოს მშვიდობიანად უნდა ემეფე თავის ორად ორ ქვეშევრდომზე, რომელთა შორის ერთი მოხუცი იტალიელი, მეორე კი პორტუგალიელი მულატი იყო, მაგრამ ერთხელ, თავისი იმპერიის სანაპიროს გამოკვლევის დროს, მოულოდნელად დაიხრჩო თუ დაახრჩვეს, გამოუცნობი დარჩა.

დადგა 1816 წელი. ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. მის სადარაჯოდ ინგლისმა ასენსიონისა და ტრისტან დ´აკუნიას კუნძულებზე მეციხოვნე რაზმი განალაგა. კუნძულის მეციხოვნე ჯარს შეადგენდა ერთი ბატარეა კაპშტადტიდან და ერთიც ჰოტენტოტების ქვეითი რაზმი. ისინი ამ კუნძულზე 1821 წლამდე დარჩნენ, ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ მეციხონე ჯარი ისევ კაპშტადტში დააბრუნეს. კუნძულზე ერთადერთი ევროპელი - შოტლანდიელი კაპრალი დარჩა, - განაგრძობდა პაგანელი.

- ჰა, შოტლანდიელი? - გაიმეორა მაიორმა, რომელსაც თანამემამულეები ყველაზე მეტად აინტერესებდა, - რა ერქვა?

- უილიამ გლასი, - მიუგო პაგანელმა, - ის აქ ცოლითა და ორი ჰოტენტოტით დარჩა. მალე შოტლანდიელს ორი ინგლისელი შეუამხანაგდა. ერთი იყო არგენტინის არმიაში დრაგუნად ნამსხურები, ტემზელი მებადური, მეზღვაური და ერთიც 1821 წელს დაღუპული "ბლენდონჰოლიდან" გადარჩენილი მეზღვაური თავისი ცოლით. ამგვარად, 1821 წელს ამ კუნძულზე ექვსი კაცი და ორი ქალი იმყოფებოდა. 1829 წელს აქ უკვე შვიდი

მამაკაცი, ექვსი ქალი და თოთხმეტი ბავშვი იყო. 1835 წელს მათი რიცხვი 40-მდე ავიდა, ამჟამად კი ერთი სამადაა გაზრდილი.

- ასე ისახება ახალი ეროვნება, - ჩაურთო გლენარვანმა, - ტრისტან დ´აკუნიას ისტორიის დასამთავრებლად მინდა დავუმატო, რომ ჩემი აზრით, ამ კუნძულებსაც შეიძლება ვუწოდოთ რობინზონების კუნძული, როგორც ხუან-ფერნანდესის კუნძულს, სადაც ერთ დროს ორი მეზღვაური იყო მიტოვებული. ტრისტან დ´აკუნიას კუნძულებებზე კინაღამ გაიწირა ორი მეცნიერი: 1783 წელს ერთი ჩემი თანამემამულე ნატურალისტი ობერ დიუპეტი-ტუარი ჰერბარიზაციამ გაიტაცა, გზა აებნა და ბოლოს, როგორც იქნა თავის ხომალდს მიუსწრო სწორედ იმდ როს, როდესაც ზღვაში გასასვლელად ღუზას იღებდნენ. 1824 წელს კი ერთი თქვენი თანამემამულე ავგუსტ ირლი ამ კუნძულებზე რვა თვეს დარჩა. ხომალდის კაპიტანს დავიწყებოდა, რომ ის ნაპირზე იყო გადასული და უიმისოდ წავიდა კაპშტადტში.

- აი, ეგ კაპიტანი კი მართლა გულმავიწყი და დაბნეული ყოფილა! - ჩაურთო მაიორმა, - ალბათ, თქვენი მონათესავე იქნეოდა, ბატონო პაგანელ.

- მონათესავე არ ყოფილა, თუმცა მაგის ღირსი კი გახლდათ, - მიუგო გეოგრაფმა და ამით დაამთავრა საუბარი.

იმ ღამეს "დუკანის" ეკიპაჟმა მარჯვედ ინადირა, იორმოცდაათზე მეტი სელაპი მოკლეს. რაკი გლენარვანმა ნადირობის უფლება მისცა, ნანადირევით სარგებლობას ხომ ვერ დაუშლიდა. ამის გამო მეორე დღეს ქონის გამოდნობასა დღე ტყავის გამოქნას მოანდომეს.

"დუნკანის" მგზავრებმა კი ამ დღეს ახალი ექსკურსია მოაწყვეს. გლენარვანამა და მაიორმა თოფები აიღეს და სანადიროდ გადავიდნენ. მათ მიაღწიეს მთის ძირს, რომელიც მოფენილი იყო კლდის ნამსხვრევებით, წიდით, შავი ფისოვანი ლავის ნატეხებითა და სხვა სახის ამონაფრქვევით: მთის ძირის ქაოსს წარმოადგენდა მერყევი და ოღროჩოღრო ნიადაგით. ამ უზარმაზარი კონუსის წარმოშობა ადვილი მისახვედრი იყო და სავსებით მართალი გამოდგა ინგლისელი კაპიტანი კარმაიკელი, როდესაც ეს კონუსი ჩამქრალ ვულკანად მიიჩნია. აქ მონადირეებმა თვალი შეასწრეს რამდენიმე ტახს, მაიორმა ერთი მოკლა. გლენარვანმა კი ის იკამარა, რომ რამდენიმე კაკაბი ჩამოაგდო, რომლისგანაც "დუნკანის" მზარეულს საუცხოო კერძი უნდა დაემზადებინა. ზეგანზე ბლომად მოჩანდნენ გარეული თხები. ბლომად მოიპოვებოდნენ ველური კატები, მათი ძალღებსაც კი ეშინოდათ.

საღამოს რვა საათზე ყველანი ხომალდზე დაბრუნდნენ. იმ ღამეს "დუნკანმა"ტრისტან დ´აკუნიას კუნძული სამუდამოდ დატოვა.

თავი III

ამსტერდამის კუნძულები

ჯონ მანგლსს განზრახული ჰქონდა, კეთილი იმედის კონცხზე ქვანახშირის მარაგი შეევსო. ამის გამო ოდნავ უნდა გადაეხვიათ ოცდამეჩვიდმეტე პარალელიდან და ორი გრადუსით ზევით ევლოთ, ჩრდილოეთისაკენ. "დუნკანი" ამ დროს პასატების სამხრეთ სარტყელზე დაბლა აღმოჩნდა და დასავლეთის ქარების ზოლში მოჰყვა, რომელიც ხელს უწყობდა ცურვას. ექვსი დღე არც კი იყო გასული და მას უკვე გავლილი ჰქონდა თითქმის ათას სამასი მილი, რომლითაც ტრისტან დ´აკუნია დაშორებული აფრიკის ნაპირიდან.

24 ნოემბერს, ნაშუადღევს სამ საათზე, ჰორიზონტზე გამოჩნდა მაგიდა-მთა, ხოლო ცოტა უფრო გვიან ჯონ მანგლსმა თვალი მოჰკრა სანიშნე მთას, რომელიც სრუტის შესავალს უჩვენებდა. "დუნკანმა" შეცურა სრუტეში და საღამოს რვა საათზე ღუზა ჩაუშვა კეიპტაუნის ნავსადგურში.

პაგანელს, როგორც გეოგრაფიული საზოგადოების წევრს, არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა, რომ აფრიკის ეს მიდამოები პირველად 1486 წელს აღმოაჩინა პორტუგალიელმა ადმირალმა ბართლომე დიასმა და მას მხოლოდ 1497 წელს შემოუარა გამოჩენილმა ვასკო

და გამამ. ან კი როგორ შეიძლებოდა პაგანელს არ სცოდნოდა ეს ამბავი, როდესაც კამოენსის "ლუიზიადა" ამ სახელოვან ზღვაოსანთა ქებათა ქებას წარმოდგენდა? და მან ამის თაობაზე საგულისხმო ცნობები გაუზიარა ამხანაგებს.

ქრისტოფორე კოლუმბის პირველ მოგზაურობამდე დიასს რომ კეთილი იმედის კონცხისათვის შემოევლო,მაშინ ამერიკის აღმოჩნეა შეიძლებოდა კარგა ხანს დაგვიანებულიყო. მართლაცდა, დასავლეთისაკენ მიმავალი დიდებული გენუელი ზღვაოსანი რას ეძებდა, თუ არ სანელებელთა ქვეყნისაკენ (ინდოეთისაკენ) მიმავალ მოკლე გზას? მაშასადამე, აფრიკისათვის რომ შემოავლო ექსპედიციას, მიზანი ხელიდან გამოეცლებოდა და, ალბათ, აღარც განაგრძობდა გზას.

ქალაქი კეიპტაუნი კეიპტაუნის ყურის სიღრმეში მდებარეობს. ქალააქ საძირკველი ჩაუყარა ჰოლანდიელმა ვან-რიბეკმა 1652 წელს. ეს იყო დედაქალაქი გავლენიანი ახალშენისა, რომელიც 1815 წელს საბოლოოდ გადავიდა ინგლისელების მფარველობაში.

"დუნკანის" მგზავრებმა ისარგებლეს აქ გაჩერებით და ქალაქი დაათვალიერეს. მათ განკარგულებაში მხოლოდ თორმეტი საათი იყო, რადგან მარაგის შესავსებად ჯონ მანგლსს ერთი დღე ჰქონდა განკუთვნილი და 26 ნოემბრის დილით უნდა გამგზავრებულიყო. თუმცა მგზავრებს ამაზე მეტი დრო არც კი დასჭირდებოდათ იმ ჭადრაკის დაფის მსგავსად გაშენებული ქალაქის დასათვალიერებლად, რომელსაც კეიპტაუნი ეწოდებოდა. აქ ცხოვრობდა ოცდაათი ათასი სული, რომელთა შორის შავკანიანები და თეთრკანიანები თამაშობდნენ მეფეების, დედოფლების, მხედრებისა და პაიკების როლს. ყოველ შემთხვევაში, პაგანელმა ასეთი აზრი გამოთქვა ქალაქის შესახებ.

მოგზაურებმა დაათვალიერს ციხე-დარბაზი, რომელიც ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართული, გუბერნატორის სასახლე და ბარი, ბირჟა, მუზეუმი, დიასის მიერ ექსპედიციის დროს დადგმული ქვის ჯვარი, გადაკრეს ჭიქა კონსტანციის თავანკარა ღვინო, მეტი აღარ ესაქმებოდათ რა და გზას უნდა გასდგომოდნენ. ასეც მოიქცნენ და მეორე დღეს, მზის ამოსვლისთანავე, "დუნკანმა" აფრები გაშალა და რამდენიმე საათის შემდეგ უკვე შემოუხვია გრიგალთა კონცხს, რომელსაც იმედიან გუნებაზე მყოფმა პორტუგალიის მეფემ ჟუან მეორემ სრულიად შეუფერებლად უწოდა კეთილი იმედის კონცხი.

კაპშტადტიდან ამსტერდამის კუნძულებამდე ორი ათას ცხრაასი მილის გავლს, კარგი ამინდისა და ხელშემწყობი ქარის პირობებში, ათ დღეს მოანდომებდნენ. მოგზაურების პირობები ახლა უფრო კარგი ჰქონდათ, ვიდრე პამპაში, რის გამოც სტიქიონს ვეღარ დაემდურებოდნენ.

- ჰოი, ზღვაო, ზღვაო! - ამბობდა პაგანელი, - სწორედ შენ ხარ ადამიანის ძალოვნების სავარჯიშო ასპარეზი, სადაც ხომალდი ცივილიზაციის ეტლია. დედამიწის ბირთვი რომ მხოლოდ ხმელეთი ყოფილიყო, მაშინ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ ძლივს გვექნებოდა შესწავლილი მხოლოდ მისი მეათასედი ნაწილი! გადახედთ, რა ხდება თვალუწვდენელ ხმელეთზე - ციმბირის ტაიგებში, შუა აზიის გაშლილ ვაკეებზე, აფრიკის თვალუწვდენელ უდაბნოებში, ამერიკის პრერიებში, ავსტრალიის უსაზღვრო მიწა-წყალზე თუ ყინულოვან პოლარულ ქვეყნებში, სადაც ადამიანი ფეხის შედგმასაც ვერ ბედავს, ცოტად თუ ბევრად სუსტი უკან იხევს, გულოვანი კი - იღუპება, მიმოსვლის გზები საკმაო არ არის. პაპანაქება, ათასგვარი სნეულება თუ მოსახლეობის ველურობა გარდაუვალი დაბრკოლებაა. უდაბნოში ოცი მილის გავლა უფრო ძნელია, ვიდრე ოკეანეზე ხუთი მილის! ზღვის გაღმა-გამოღმა მოსახლეობა ერთიმეორეს მეზობლებს უწოდებს. ხმელეთზე კი მარტო ტყეც თუ აშორებს ადამიანებს და სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის. ინგლისი დაკავშირებულია ავსტრალიასთან, მაგრამ ეგვიპტე თითქოს მილიონი კილომეტრით იყოს დაშორებული სენეგალს, პეკინი ხომ ნამდვილი ანტიპოდია პეტერბურგის! ჩვენს დროში ზღვა უფრო ადვილი გადასალახავია, ვიდრე უდაბნოს სულ უმნიშვნელო ნაწილი! მხოლოდ ზღვის წყალობით დამყარდა ნათესაობა მსოფლიოს ყველა ნაწილს შორის.

პაგანელი ისე აღფრთოვანებული ლაპარაკობდა, რომ მაიორიც კი ვერ გამოედავა ოკეანის ამ ქებათა ქებაში. ჰარი გრანტის საძიებლად რომ საჭირო ყოფილიყო ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გავლა ხმელეთზე, ამ საქმის წამოწყებაც კი უნაყოფო

იქნებოდა, მაგრამ ექსპედიციის წინ იყო მკერდგადაშლილი ზღვა და გრანტის მაძიებლებს ერთი ქვეყნიდან მეორეში მიაქროლებდა.

6 დეკემბერს, გარიჟრაჟისას, მზის პირველმა სხივმა გაანათა თითქოს ტალღებიდან ამოზრდილი მთები. ეს იყო ამსტერდამის კუნძულები, რომლებიც მდებარეობდა სამხრეთის განედის 37°47´-სა და გრძედის 77°24´-ზე. ამ მთის ატყორცნილი კონუსი მოწმენდილი ამინდის დროს 50 მილის მანძილიდან მოჩანს. დილის რვა საათზე მისი ჯერ კიდევ გაურკვეველი მოხაზულობა ძალიან წააგავდა ტენერიფის მწვერვალს.

- ეს მწვერვალი ტრისტან დ´აკუნიას წააგავს, - თქვა გლენარვანმა.

- სამართლიანი შენიშვნაა, - მიუგო პაგანელმა, - ეგ შენიშვნა გამომდინარეობს იმ გეომეტრიული აქსიომიდან, რომ ორი კუნძული, რომლებიც მესამე კუნძულს ჰგავს, ერთიმეორესაც ემსგავსებიან. ჩემი მხრივ კი დავუმატებ, რომ ტრისტან დ´აკუნიას მსგავსად, ამსტერდამის კუნძულიც მდიდარია სელაპებითა და რობინზონებით.

- მაშასადამე, რობინზონები ყველგან ყოფილან? - იკითხა ელენმა.

- სიმართლე გითხრათ, ქალბატონო, ნაკლებად ვიცნობ ისეთ კუნძულს, რომელსაც ასეთი თავგადასავალი არ ახსოვდეს, - მიუგო პაგანელმა, - წარმოიდგინეთ, რომ ასეთი რომანი ბედისწერამ გაცილებით უფრო ადრე შექმნა სინამდვილეში, ვიდრე თქვენი უკვდავი თანამემამულე დანიელ დეფო მას დაწერდა.

- ბატონო პაგანელ, - მიმართა მერი გრანტმა, - ნებას მიბოძებთ ერთი შეკითხვა მოგცეთ?

- რამდენიც გნებავთ, ძვირფასო. წინდაწინვე მზად გახლავართ, გიპასუხოთ.

- მაშ, მიბრძანეთ, ძალიან შეგეშინდებოდათ, რომ სადმე უკაცურ კუნძულზე მიეტოვებინეთ?

- მე? - შესძახა პაგანელმა.

- მეგობარო, შეცდომით არ წამოგცდეთ, ვითომ ეგ იყოს თქვენი გულითადი ნატვრა, - ჩაურთო მაიორმა.

- მაგრამ არ ვიტყვი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ასეთი ამბავი არც ისე მაშინებს, - მიუგო პაგანელმა, - ახალ ცხოვრებას შევქმნიდი: ვინადირებდი, ვითევზავებდი, სადმე მჭვიმრში დავიდებდი ბინას ზამთრობით, ზაფხულობით კი რომელიმე ხეზე. ჭირნახულისათვის საწყობს გავმართავდი. ერთი სიტყვით, ხელს მოვკიდებდი კუნძულის კოლონიზაციას.

- სულ მარტოდმარტო?

- დიახ, მარტოდმარტო, თუკი სხვა გზა არ იქნებოდა. თუმცა ისიც სათქმელია, განა ადამიანი როდისმე არის მარტო? განა არ შეიძლება, მან მეგობრები გაიჩინოს ცხოველებში, შეიჩვიოს ციკანი, ყბედი თუთიყუში, მაიმუნი? და თუ ბედი ამხანაგებსაც გამოგიგზავნის, აი, პარასკევასმაგვარს, სხვა რაღაა საჭირო ბედნიერებისათვის? ორი მეგობარი შიშველი კლდის თავზე - ამაზე მეტი ბედნირება რაღა იქნება! აი, მაგალითად, მე და მაიორი...

- მადლობა მომიხსენებია, - მიუგო მაიორმა, - ჯერ ერთი, რომ მე არავითარი მიდრეკილება არა მაქვს რობიზონობისადმი, მეორე, - ამ როლს საძაგლად შევასრულებდი.

- ძვირფასო პაგანელ, - მიუგო ლედი ელენმა, - ისევ ფანტაზიის სამეფოში გიტაცებთ ოცნება. ჩემი აზრით კი სინამდვილე ძალიან დაშორებულია ოცნებას. თქვენ მსჯელობთ ოცნებით წარმოდგენილ რობიზონებზე, რომლებიც ბედნიერმა შემთხვევამ მოახვედრა ბედნიერ კუნძულზე, სადაც ბუნება ისე ეპყრობა მათ, როგორც ნებიერ შვილეს! თქვენ მხოლოდ კარგ მხარეებს ამჩნევთ.

- როგორ? არა გჯერათ, რომ უკაცურ კუნძულებზეც შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანი?

- მე ეგ არ მწამს. ადამიანი მარტოობისათვის კი არა, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის არის გაჩენილი. მარტოობამ, შესაძლოა, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოის. ეს დროის საკითხია. რა თქმა უნდა, თავდაპირველად შესაძლოა ადამიანის გონება მოსწყვიტოს მომავალზე ფიქრისაგან აწყმოს გაჭირვებამ, მატერიალურ მოთხოვინებაზე ზრუნვამ. შემდეგ კი, როდესაც სამშობლოდან მოწყვეტილი, იმედდაკარგული სიმარტოვეს იგრძნობს, კვლავ გაახსენდება ისინი, ვინც უყვარდა. ვინ

იცის, რა მძიმე, საშინელი ფიქრები დაეუფლება და როგორ დაიტანჯება. მერწმუნეთ, ბატონო პაგანელ, ასეთი ადამიანის ბედს არ ვინატრებდი!

პაგანელმა, თუმცა სინანულით, მაგრამ მაინც ქედი მოიხარა ელენის აზრის წინაშე და საუბარი მარტოობის სიამოვნება-უსიამოვნების შესახებ გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ "დუნკანმა" ღუზა არ ჩაუშვა ამსტერდამის კუნძულებიდან ეთი მილის მოშორებით.

ინდოეთის ოკეანის ეს განმარტოებული კუნძულების ჯგუფი ორი კუნძულისაგნ შედგება. ისინი ერთიმეორისაგან ოცდაცამეტი მილით არიან დაშორებული და სწორედ ინდოეთის ნახევარკუნძულის მერიდიანზე მდებარეობენ; ჩრდილოეთითაა ამსტერდამის, ანუ სან-პიერის კუნძული, სამხრეთით კი სენ-პოლი. ამ ორი კუნძულის სახელწოდებას ხშირად ურევენ ერთმანეთში ზღვაოსნებიც და თვით გეოგრაფებიც.

ეს კუნძულები ჰოლანდიელმა ფლამინგმა 1796 წლის დეკემბერში აღმოაჩინა. მას შემდეეგ ამ კუნძულზე იყო დ´ანტრეკასტო, რომელიც ლაპერუზს დაეძებდა. სწორედ მისი მოგზაურობის შემდეგ აურიეს ამ ორი კუნძულის სახელწოდებები. მეზღვაურები ბაროუ, ბოტე-პოპრე დ´ანტრეკასტოს ატლასში, ჰოურსბურგ პინკერტონი და სხვა გეოგრაფები სენ-პიერის კუნძულის მაგიერ სენ-პოლის კუნძულს აგვიწერენ და პირიქით.

შეცდომა გამოასწორეს ავსტრალიის სამხედრო გემის "ნავარის" ოფიცრებმა 1859 წლის დედამიწის გარშემო მოგზაურობისას.

სენ-პოლის კუნძული, რომელიც ამსტერდამის, ანუ სენ-პიერის კუნძულის სამხრეთით მდებარეობს, პატარა, უკაცრიელი კუნძულია და ვულკანური წარმოშობის კონუსისებურ მწვერვალს წარმოადგენს.

ამსტერდამის კუნძული, რომელზეც ჩვენი მოგზაურები კანჯოთი გადავიდნენ, 12 მილს აღწევს. აქ ცხოვრობდა რამდენიმე ნებაყოფლობითი ემიგრანტი, რომლებიც ბედს შერიგებოდნენ. ისინი დარაჯად ედგნენ ადგილობრივ თავადს, რომელიც ჯერ არც კი ეცნოთ ევროპის სახელმწიფოებს, პირად შემოსავლად წელიწადში სამოცდაათი-ოთხმოცი ათასი ფრანკი ჰქონდა - აჭერინებდა, ამარილებინებდა და გზავნიდა გასაყიდად თევზს "ჩეილოდაკტილისს", რომელიც უფრო ვირთევზას სახელითაა ცნობილი.

არსებითად, ამსტერდამის კუნძული საფრანგეთს უნდა ეკუთვნოდეს. აქ პირველი დასახლდა სენ-დენიელ კამინი. შემდეგ მან კუნძული ერთ პოლონელს დაუთმო, რომელიც მის დამუშავებას მადაგასკარელი მონების საშუალებით შეუდგა. გავიდა ხანი და კუნძული კვლავ ოტოვანის ხელში გადავიდა.

როდესაც "დუნკანი" ამსტერდამის ნაპირებს მიადგა, ესე იგი 1864 წლის 6 დეკემბერს, კუნძულის მთელი მოსახლეობა სამი კაცისაგან შედგებოდა. ერთი ფრანგი იყო და ორიც - მულატი. სამივენი მესაკუთრე-ნეგოციანტის მოსამსახურეები იყვნენ. პაგანელს აქ შემთხვევა ეძლეოდა, ხელი ჩამოერთმია თანამემამულე მოხუცი ვიოსათვის. "ზრძენი მოხუცი" მეტისმეტი თავაზინობით შეეგება სტუმარს.

ვიომ მოგზაურეს თავისი ორი ქვეშევრდომი, ორივე მულატი წარუდგინა. კუნძულის მთელი მოსახლეობას ისინი შეადგენდნენ, თუ სათვალავში არ მივიღებთ რამდენიმე ტახს და ათასობით მოყიალე პინგვინს. პატარა სახლი, რომელშიც მეკუნძულენი ცხოვრობდნენ, ამ ბუნებრივი ნავსაყუდელის სიღრმეში იდგა, კუნძულის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც მთის ჩამოქცევის გამო ნასაყუდელი წარმოშობილიყო.

ჯერ ოტოვან I-ლის "მეფობის" ხსენებაც არსად იყო, როდესაც სენ-პიერის კუნძული დაღუპული გემიდან გადარჩენილთა თავშესაფრად გადაქცეულიყო. პაგანელმა ძალზე დააინტერესა თანამგზავრები, როდესაც ამსტერდამის კუნძულზე მიტოვებული ორი შოტლანდიელის თავგადასავალი მოიხსენია.

ეს 1827 წელს მოხდა. კუნძულის მახლობლად მიმავალმა ინგლისის გემმა "პალმირამ" კუნძულზე კვამლი შენიშნა. კაპიტანი ნაპირს მიუახლოვდა და ორი კაცი გაარჩია, რომლებიც ნიშანს იძლეოდნენ. მან ნაპირისაკენ გაგზავნა კანჯო, რომელმაც ხომალდზე აიყვანა ოცდაორი წლის ჯეკ პენი და ორმოცდარვა წლის რობერტ პრუდფუტი. საბრალოებს ადამიანის სახე აღარ შერჩენოდათ. თვრამეტი თვის განმავლობაში თითქმის

ულუკმაპუროდ იყვნენ, მტკნარ წყალს მოკლებულნი. თურმე მხოლოდ ნიჟარებით იკვებებოდნენ, მოკაუჭებული ლურსმნებით იჭერდნენ თევზებს და ხშირად ორი-სამი დღე უჭმელებიც რჩებოდნენ. ვესტას ქურუმებივით ცეცხლს უქრობლად ინახადნენ და სადაც წავიდოდნენ, ეს უძვირფასესი განძი თან დაჰქონდათ.

პენი და პრუდფუტი სელაპებზე მონადირე იალქნიანი ხომალდიდან გადმოუსხამთ აქ. მებადურების ჩვეულებისამებრ ხომალდის დაბრუნებამდე უნდა დაემზადებინათ ტყავები და ქონი, მაგრამ ხომალდი აღარ დაბრუნებულა. ხუთი თვის შემდეგ ვან-დიმენიდან მომავალ ერთ ხომალდს "ჰოპს" მიეღწია თურმე კუნძულამდე, მაგრამ მის კაპიტანს რაღაც ძნელად ასახსნელი, ბარბაროსული ჟინიანობის გამო არ მოესურვებინა შოტლანდიელების წაყვანა, იქვე მიუტოვებია და მათთვის არც ლუკმაპური, არც ასანთი ან აბედი არ გაუმეტებია. ალბათ, აქ ამოხდებოდათ სული, რომ მეორე ხომალდს "პალმირას" არ გამოევლო კუნძულის მახლობლად და არ გადაერჩინა ისინი.

მეორე ამბავი, რომელიც ამსტედამის ისტორიას შეავსებს, თუკი ასეთ კლდეს შეიძლება ისტორია ჰქონდეს, - გახლავთ ფრანგი კაპიტან პერპონის თავგადასავალი. ეს ისტორიაც ისე თავდება, როგორც ორი შოტლანდიელისა - თავდაპირველად ნებაყოფლობით ცხოვრება კუნძულზე, შემდეგ ხომალდის ამაო ლოდინი, ბოლოს უცხოეთის გემი, რომელსაც ქარტეხილი შემთხვევით მიაგდებს კუნძულებთან ორმოცი თვის შემდეგ, რაც აქ მიტოვებული იყო ეს ორი ადამიანი, მაგრამ კაპიტნის ყოფნა ამ კუნძულზე სისხლისმღვრელი დრამით აღინიშნა, სწორედ ისე, როგორც რობინზონის ფანტასტიკური თავგადასავალი.

კაპიტანი პერნონი კუნძულზე ოთხი მეზღვაურის თანხლებით გადავიდა, მათ შორის ორი ინგლისელი იყო, ორიც - ფრანგი. მათ თხუთმეტი თვის განმავლობაში უნდა ენადირათ ზღვის ლომებზე. ნადირობა წარმატებით მიდიოდა.

გავიდა თხუთმეტი თვე და მათი ხომალდი არად ჩანდა. როდესაც სურსათ-სანოვაგის მარაგი გათავდა, კუნძულზე "საერთაშორისო" დამოკიდებულებანი გართულდა - ინგლისელები აუჯანყდნენ კაპიტან პერნონს და იმსხვერპლებდნენ კიდეც, თანამემამულეები რომ არ გამოსარჩლებოდნენ. იმ დღიდან ორი ბანაკი ერთიმეორეს უთვალთვალებდა დღისით თუ ღამით, ყოველთვის შეიარაღებულნი. ხან ერთი ბანაკი იმჯარვებდა, ხან მეორე. დამარცხებულები საშინელ დღეში იყვნენ და ინდოეთის ოკეანის უკაცირელ კლდეზე შერჩენილ და ეროვნული შუღლით გამსჭვალული ორი ბანაკიდან ერთ-ერთი უთუოდ ამოწყდებოდა, რომ ბედად ინგლისის ხომალდი არ შესწრობოდა და ყველანი თავ-თავიანთ ქვეყვენებში არ დაებრუნებინა.

ამგვარად, ამსტერდამის კუნძული ორჯერ მიტოვებული და ორჯერვე შიმშილისა და სიკვდილისაგან გადარჩენილი მეზღვაურების სამშობლოა. მას შემდეგ, არც ერთი ხომალდი აღარ შემოსულა აქ. ხომალდი რომ სადმე დაღუპულიყო, რაიმე ნიშნები მაინც დარჩებოდა სანაპიროზე და გადარჩენილები მიაგნებდნენ ვიოს თევზის სარეწს. მოხუცი მრავალი წელიწადია აქ ცხოვრობს და ამ ხნის განმავლობაში მას შემთხვევა არ მისცემია, რომ მასპინძლობა გაეწიოს ზღვის მსხვერპლისათვის. "ბრიტანიისა" და კაპიტან გრანტის შესახებ ვიომ არაფერი იცოდა. ასეთი ხომალდი არც ამსტერდამისა და არც წმინდა პავლეს კუნძულთან არ ყოფილა, თორემ ეს ეცოდინებოდათ ვეშპაებზე მონადირე ხომალდებზე, რომლებიც ხშირად მიმოდიან აქ.

გლენარვანს არც გაჰკვირვებია და არც საწყენად დარჩენია მოხუცის პასუხი, რადგან ისიც და მისი თანამგზავრებიც კაპიტან გრანტს იქ კი არ ეძებდნენ, სადაც ის ყოფილა. ეძებდნენ იმ ადგილებს, სადაც არ ყოფილა. უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ოცდამეჩვიდმეტე პარალელის ამ ადგილებში გრანტი არ ყოფილა და არც არის. ამიტომ "დუნკანი" სახვალიოდ აპირებდა გამგზავრებას.

მოგზაურები დაწვრილებით გაეცნენ კუნძულს, რომელიც საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა. თუმცა მისი ფაუნა და ფლორა გულმოდგინე ნატურალისტის უბის წიგნაკსაც ვერ შეავსებდა. აქ შეხვდებოდით გარეულ ტახს, ქარიშხალას, ალბატროსს, ქორჭილასა და სელაპს. სამაგიეროდ, აქა-იქ ვულკანური ქანებიდან მოჩუხჩუხებდა თბილი რკინოვანი

წყაროები, რომლებსაც სქელი ორთქლი ასდიოდა. ზოგ მათგანს ძალიან მაღალი ტემპერატურა ჰქონდა. ჯონ მანგლსმა ერთ-ერთ ცხელ წყაროში ჩაუშვა ფარნჰაიტის თერმომეტრი და ას სამოცდაათი გრადუსი უჩვენა, ესე იგი ცელსიუსის თერმომეტრით ორმოცი გრადუსი. რამდენიმე ნაბიჯის იქით ზღვაში დაჭერილი თევზი ამ წყაროში რომ ჩააგდეს, ხუთ წუთში მოიხარშა. ამ გარემოებამ შეაფიქრიანა პაგანელი და ბანაობა ვეღარ გაბედა.

საღამო ხანს, სასიამოვნო გასეირნების შემდეგ, გლენარვანი გამოემშვიდობა პატივცემულ ვიოს. ყველამ უსურვა მოხუცს ბედნიერება უკაცრიელ კუნძულზე. საპასუხოდ, მოხუცმა მათაც უსურვა გამარჯვება დაწყებულ საქმეში, რის შემდეგაც ჩვენი მოგზაურები კანჯოთი დაუბრუნდნენ "დუნკანის" გემბანს.

თავი IV

ჟაკ პაგანელისა და მაიორ მაკ-ნაბსის სანაძლეო

7 დეკემბერს, დილის სამ საათზე, "დუნკანის" ღუმლები უკვე გახურ ებული იყო. ზღვაზე სიოც არ იძვროდა. პატარა ნავსადგურის ფსკერიდან ამოზიდული ღუზა თავის ბუდეში მოათავსეს. ხრახნი ამუშავდა და ხომალდმა გაცურა ღია ზღვაში.

რვა საათზე, როდესაც მგზავრები გემბანზე ამოიშალნენ, ამსტერდამის კუნძული უკვე შორეულ ნისლში იკარგებოდა. ეს მისი უკანასკნელი სადგური იყო ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე და ახლა სამი ათასი მილიღა ჰქონდა გასავლელი ზღვით ავსტრალიის ნაპირამდე. თუ დასავლეთის ქარი ხელს შეუწყობდა და ზღვაც მიწყნარედებული იქნებოდა, მოგზაურები დანიშნულ ადგილას ათიოდე დღეში მიაღწევდნენ.

მერი და რობერტ გრანტები მღელვარებით მისჩერებოდნენ ტალღებს, რომლებიც შესაძლოა "ბრიტანიამ" გადასერა, ვიდრე დაიღუპებოდა. ვინ იცის, იქნებ აქ სადმე ქანცგამოლეული კაპიტანი გრანტი დამსხვრეული ხომალდითა და ეკიპაჟით უმკლავდებოდა ინდოეთის ოკეანის საშინელ გრიგალებს, ხომალდს რომ უძლეველი ძალით მიაქანებდა ნაპირისაკენ.

ჯონ მანგლსი ახალგაზრდა ქალს უჩვენებდა სახომალდო რუკაზე აღნიშნულ ზღვის დინებებს და განუმარტავდა მათ მუდმივ მიმართულებას: ინდოეთის ოკეანის მთავარი დინება სხვა დინებას გადასერავს და პირდაპირ მიიმართება ავსტალიის კონტინენტისაკენ. მისი გავლენა საგრძნობი ხდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მთელ ამ მანძილზე არა მარტო ატლანტის, არამედ წყნარ ოკეანეშიც.

ამგვარად, ანძებდამსხვრეული "ბრიტანია", რომელსაც აღარ შეეძლო თავისი სურვილისამებრ განეგრძო გზა, უძლური იქნებოდა ზღვისა და ჰაერის სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში და იძულებული გახდებოდა, გაჰყოლოდა დინებას ავსტრალიის ნაპირისაკენ, სადაც, ალბათ დაიღუპა კიდეც, მაგრამ ერთი დაბრკოლება კიდევ წამოიჭრა. საქმე ის არის, რომ კაპიტან გრანტის შესახებ უკანასკნელი ცნობა "კომერციულ და საზღვაო გაზეთში" მოთავსებული იყო 1862 წლის 30 მაისის თარიღით კალიაოდან. 7 ივნისს კი, ესე იგი რვა დღის შემდეგ, "ბრიტანიამ" დატოვა პერუს სანაპირო და ინდოეთის ოკეანეში ამოყო თავი. როგორ უნდა მომხდარიყო ეს? პაგანელმა ამას მეტად ნათელი და დამაჯერებელი განმარტება მისცა, ასე რომ, თვით ურწმუნოებიც კი დაკმაყიოფილდნენ.

ეს მოხდა 12 დეკემბერს, საღამო ხანს, ამსტერდამიდან გასვლის მეექვსე დღეს. ელენ გლენარვანი, რობერტი, მერი გრანტი ხომალდის გემბანზე საუბრობდნენ. ჩვეულებისამებრ "ბრიტანიის" შესახებ ლაპარაკობდნენ, რადგან ეს იყო ყველა მათგანის საფიქრალი. სწორედ ამ დროს წამოიჭრა ზემოხსენებული დაბრკოლება, რომელიც ერთბაშად სპობდა მოგზაურების ყველა იმედს.

როდესაც პაგანელმა გლენარვანისაგან მოულოდნელი შენიშვნა მოისმინა, თავი ასწია, შემდეგ უსიტყვოდ წამოდგა და ბარათების მოსატანად გაეშურა. როდესაც დაბრუნდა,

მხრებს იჩეჩდა იმ ადამიანივით, რომელსაც უკვირს, ასეთმა უბრალო რამემ როგორ შემაფიქრიანაო.

- ძვირფასო მეგობარო, - მიმართა გლენარვანმა, - გაგვიზიარეთ მაინც თქვენი შეხედულება.

- არა, ჯერ მე ერთი რამ უნდა ვკითხო ჯონს, - მიუგო პაგანელმა.

- ბრძანეთ, - უპასუხა ჯონ მანგლსმა.

- სწრაფმავალ ხომალდს შეუძლია ერთ თვეში ამერიკიდან ავსტრალიას მიაღწიოს წყნარ ოკეანეზე გავლით?

- დიახ, შეუძლია, თუ დღე-ღამეში ორას მილს გაივლის.

- ეს ძალზე მაღალი სიჩქარეა?

- სრულიადაც არა. იალქნიანი სამხედრო ხომალდი, კლიპერი ხშირად ამაზე მეტ სიჩქარეს ავითარებს.

- ამ შემთხვევაში, - განგრძო პაგანელმა, - ბარათში აღნიშნული "7 ივნისის" ნაცვლად, თუ წარმოვიდგენთ, რომ ზღვის წყალს ერთი ციფრი ამოუჭამია, უნდა წავიკითხოთ ასე - "17 ივნისი" ან "27 ივნისი", მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება. მართლაც, 31 მაისიდან 27 ივნისამდე კაპიტან გრანტს შეეძლო წყნარი ოკეანის გადალახვა და ინდოეთის ოკეანეში გასვლა.

პაგანელის დასკვნას ყველანი დიდი კმაყოფილებით შეეგებნენ.

- ესეც ჩვენი მეგობრის მიერ გამოკვლეული საიდუმლოება, - თქვა გლენარვანმა, - ახლა, მეგობრებო, ავსტალიაში ჩასვლა და დასავლეთ სანაპიროზე "ბრიტანიის" კვალის ძებნაღა დაგვრჩენია.

- ან აღმოსავლეთ სანაპიროზე, - ჩაურთო ჯონ მანგლსმა.

- მართალი ხართ, ბარათებში არაფერია ნათქვამი, ხომალდი დასავლეთ ნაპირზე დაიღუპა თუ აღმოსავლეთ ნაპირზე. ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე ავსტრალიის კონტინენტის ამ ორივე მხარის გამოკვლევა დაგვჭირდბა.

- მაშასადამე, კიდვ საეჭვოა? - ჩაილაპარაკა მერიმ.

- მაგას რად ბრძანებთ, მის, - დაუყვავა ჯონ მანგლსმა, რომელსაც მერი გრანტისათვის შიშის გაქარწყლება უნდოდა, - ლორდ გლენარვანს სურდა შეენიშნა, რომ თუ კაპიტანი გრანტი ავსტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადავიდოდა, თითქმის მაშინვე მიაგნებდა თავშესაფარს. მთელი ეს სანაპირო ინგლისს ეკუთვნის და კოლონისტებითაა დასახლებული. "ბრიტანიის" ეკიპაჟი ნახავდა თანამემამულეებს პირველივე გავლილ თხუთმეტიოდე კილომეტრის მანძილზე.

- ჩინებულია, კაპიტანო ჯონ, - შენიშნა პაგანელმა, - ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას. ჰარი გრანტი აღმოსავლეთ სანაპიროზე, ტუფოლდის ყურეში, ქალაქ იდენში, არამცთუ თავშესაფარს იპოვიდა, ევროპაში დაბრუნებასაც მოახერხებდა.

- მაშასადამე, იმ ნაპირზე, რომელსაც ახლა ვუახლოვდებით, "ბრიტანიიდან" გადარჩენილები მაგის მსგავსს ვერაფერს იშოვიდნენ? - იკითხა ელენმა

- ვერა, - მიუგო პაგანელმა, - ეს სანაპირო უკაცრიელია, მელბურნსა და ადელაიდასთნ არ არის დაკავშირებული. თუ "ბრიტანია" დაიმსხვრა წყალქვეშა კლდეებზე, რომლებითაც მოფენილია ეს სანაპირო, ვერავინ უშველიდა, როგორც აფრიკის უკაცრიელ სანაპიროებზე.

- თუ ასეა, რა დაემართა მამას ამ ორი წლის განმავლობაში? - შეეკითხა მერი გრანტი.

- ძვირფასო მერი, - მიუგო პაგანელმა, - თქვენ ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ხომალდის დაღუპვის შემდეგ კაპიტანმა გრანტმა ავსტრალიის ნაპირს მიაღწია?

- დიახ, - მიუგო ახალგაზრდა ქალმა.

- აბა, ახლა ჩვენს თავს შევეკითხოთ, რა შეიძლებოდა შემთხვეოდა მას ნაპირზე გადასვლის შემდეგ? შეიძლებოდა მომხდარიყო სამი რამ: ან ჰარი გრანტი და მისი თანამგზავრები მიაღწევდნენ ინგლისელების ახალშენს, ან ტყვედ ჩაუცვივდებოდნე ადგილობრივ მცხოვრებთ, ან კიდევ ავსტრალიის თვალუწვდენელ უდაბნოებში უგზო-უკვალოდ დაიკარგებოდნენ, - პაგანელი დადუმდა. დაელოდა, რომ მსმენელებს მისი მოსაზრება დაედასტურებინათ.

- განაგრძეთ, პაგანელ, - უთხრა გლენარვანმა.

- განვაგრძოთ, - მიუგო მან, - უპირველეს ყოვლისა, უკუვაგდებ პირველ შესაძლებლობას - ჰარი გრანტი ვერ მიაღწევდა ინგლისელების ახალშენს, რადგანაც ამ შემთხვევაში ის უეჭველად გადარჩებოდა და აქამდე თავის შვილებთან იქნებოდა ქალაქ დენდიში.

- საწყალი მამა! - ჩაილაპარაკა მერიმ, - ორი წელიწადია, რაც დაგვშორდა!...

- მერი, სიტყვა დაამთავრებინე ბატონ პაგანელს, - უთხრა რობერტმა, - მისგან შევიტყობთ, სად არის მამა!

- სამწუხაროდ, ვერა, ჩემო ბიჭუნი! მე მხოლოდ იმის მტკიცება შემიძლია, რომ კაპიტანი გრანტი ან ტყვედ ჰყავთ ავსტრალიელებს, ან...

- ავსტრალიელები როგორი ხალხია? - ჰკითხა ელენმა.

- დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჩემო ძვირფასო, - მიუგო მეცნიერმა, - მართალია, ველური, ხეპრე ხალხია და ადამიანური განვითარების ძალიან დაბალ დონეზე დგანან, მაგრამ ზნე-ხასიათი რბილი აქვთ. არ არიან ისეთი სისხლის მოყვარულნი, როგორიც მათი მეზობელი ახალზელნლანდიელები. თუ "ბრიტანიის" მეზღვაურები მათ აიყვანეს ტყვედ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მათი სიცოცხლე საფრთხეში არ იქნება.

ყველა მოგზაური ადასტურებს, რომ ავსტრალიელები გაურბიან სისხლის ღვრას. პირიქით, ხშირად გამოესაჩლებიან ხოლმე მოგზაურებს გამოქცეული კატორღელების თავდასხმისას. კატორღელები კი მართლაც შეუბრალებელი, სასტიკი ხალხია.

- გესმით, რას ამბობს პაგანელი? - მიუბრუნდა ელენი მერი გრანტს, - თუნდაც მამათქვენი ტყვედ წაეყვანათ, რის შესახებაც ბარათებში გაკვრითაა ნათქვამი, მაინც ვიპოვით მას.

- მერე, იმ უზარმაზარ ქვეყანაში გზა რომ აბნეოდა? - მიუგო ახალგზრდა ქალმა და პაგანელს მიაჩერდა.

- მერე რა უშავს! - შესძახა გამამხნევებელი კილოთი პაგანელმა, - ჩვენ მაგ შემთხვევაშიც მივაგნებთ!... ხომ მართალია, მეგობრებო?

- რა თქმა უნდა, - მიუგო გლენარვანმა, რომელსაც საუბრის ნაკლებდამაღონებელ საკითხზე გადატანა უნდოდა, - მე ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა გზა აბნეოდა...

- ვერც მე წარმომიდგენია! - შესძახა რობერტმა.

- ავსტრალია დიდი ქვეყანაა? - იკითხა რობერტმა.

- ავსტრალია, ჩემო ბიჭუნი, შვიდას სამოცდათხუთმეტი მილიონი ჰექტარი იქნება და დაახლოებით მთელი ევროპის ოთხ მეხუთედს უდრის.

- მართლა? - შეეკითხა მაიორი.

- დიახ, მაკ-ნაბს, სრული სიმართლეა, - მიუგო პაგანელმა, - და როგორ ფიქრობთ, ასეთ უზარმაზარ ქვეყანას უფლება აქვს თუ არა კონტინენტად იწოდებოდეს, როგორც ის ბარათებშია მოხსენიებული?

- რა თქმა უნდა, ბატონო პაგანელ.

- მე კი დავძენ, რომ უზარმაზარ ქვეყნებში ძალიან ცოტა მოგზაურს აბნევია გზა-კვალი. რამდენადაც მახსოვს, ასეთი მხოლოდ ლეიჰარდტი იყო, რომლის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს, თუმცა ამ ბოლო დროს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შევიტყვე, რომ ვინმე მაკ-ინტრის მიუგნია მისი კვალისათვის.

- განა ავსტრალიის ყველა კუთხე გამოკვლეული არ არის? - იკითხა ელენმა.

- არა, ქალბატონო, - მიუგო პაგანელმა, - ჯერჯერობით არა. ამ კონტინენტსაც ისევე ნაკლებად ვიცნობთ, როგორც შუა აფრიკას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თავგამოდებული მოგზაურები გვაკლდნენ. 1606 წლიდან 1862 წლამდე ორმოცდაათზე მეტი მოგზაური მუშაობდა ავსტრალიის შესწავლაზე, როგორც მისი სანაპიროების, ისე თვითონ ქვეყნის შუაგულის გამოვკლევაზე.

- ნუთუ ორმოცდაათი? - იკითხა მაიორმა იჭვნეულად.

- დიახ, მაკ-ნაბს, ამდენი მაინც. მათ რიცხვში ვგულისხმობ როგორც იმ ზღვაოსნებს, რომელთაც გამოიკვლიეს ავსტრალიის სანაპიროს უცნობი ადგილები, აგრეთვე იმ მოგზაურებს, რომელნიც ცდილობდნენ კონტინენტის გადალახვას.

- რაც უნდა იყოს, ორმოცდაათი მეტისმეტია, - მიუგო მაიორმა.

- უფრო შორსაც წავალ, მაკ-ნაბს, - განაგრძო გეოგრაფმა, რომელსაც ყოველთვის აბრაზებდა შეკამათება.

- დაგვიმტკიცეთ, პაგანელ, თუკი შესაძლებელია.

- თუ ჩემი არ გჯერათ, ახლავე ჩამოგითვლით ორმოცდაათივე სახელს.

- ოო! - დინჯად ჩაილაპარაკა მაიორმა, - რა ხალხია ეს მეცნიერები!... არაფერში დაეჭვდებიან!

- მაიორო, დავნაძლევდეთ! ჩემი სეკრეტანის სისტემის ჭოგრი და თქვენი "პურდეი-მოორისა და დიქსონის" კარაბინი, მოდის?

- რატომაც არა, პაგანელ, თუკი ეს გესიამოვნებათ, - მიუგო მაკნაბსმა.

- ძალიან კარგი, მაიორო! - შესძახა პაგანელმა, - აი, კარაბინი, რომელიც ამიერიდან ვერც ერთ მელიას და ვერც ერთ არჩვს ვეღარ მოკლავს ჩემს დაუკითხავად, თუმცა ამის ნებას მე ხალისით მოგცემთ ხოლმე.

- პაგანელ, როდესაც ჭოგრი დაგჭირდებათ, სიამოვნებით გათხოვებთ, - დინჯად მიუგო მაიორმა.

- მაშ დავიწყოთ, - მიუგო პაგანელმა, - თქვენ კი, მეგობრებო, მსაჯულები იქნებით, რობერტ, შენ დათვალე!

ლორდი ედუარდი და ელენ გლენარვანი, მერი და რობერტი გრანტები, მაირო მაკ-ნაბსი და კაპიტანი ჯონ მანგლსი, რომლებიც დააინტერესა სანაძლეომ, გეოგრაფის მოსასმენად მოემზადნენ, მით უმეტეს, რომ საკითხი ეხებოდა ავსტრალიას, რომლისკენაც მათ "დუკანი" მიაქრლებდა. პაგანელს სთხოვეს, დაუყოვნებლივ დაეწყო მნემოტექნიკის სეანსი და მანაც პათოსით დაიწყო:

- მნემოზინა! მეხსიერების ქალღმერთო, მუზების მშობელო, მომმადლე შთაგონებA შენს ერთგულ და მხურვალე თაყვანისმცემელს. მეგობრებო, ორას ორმოცდარვა წლის წინ ავსტრალიის არსებობა ჯერ კიდევ არავინ იცოდა, თუმცა დიდი ხნიდანვე ეჭვი ჰქონდათ, რომ სამხრეთისაკენ უნდა ყოფილიყო დიდი კონტინენტი. ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ჩემო ძვირფასო გლენარვან, ინახება 1550 წლის ორი რუკა, რომელიც აღწერს აზიის სამხრეთით მდებარე ხმელეთს და რომელსაც პორტუგალიელთა "დიდი იავა" ეწოდება, მაგრამ რუკები მთლად სწორი არ არის, თუმცა შესაძლებელია, ორივე 1550 წლის შემდეგაც ყოფილყო შედგენილი.

გადავდივარ მე-17 საუკუნეზე, სხელდობრ, 1606 წელზე. იმ წელს ესპანელმა ზღვაოსანმა კვიროსმა აღმოაჩინა ხმელეთი, რომელსაც სახელად უწოდა Australia de Espjiritus Santo - "სულიწმინდის სამხრეთის მიწა". ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ ეს შეეხება ახალი ჰებრიდების ჯგუფს და არა - ავსტრალიას. ამ სადავო საკითხს არ გამოვეკიდები.

- რობერტ, ეს კვიროსი პირველად ჩათვალე და სხვებზე გადავიდეთ.

- ერთი! - დაიძახა რობერტმა.

- იმავე წელს კვიროსის ექსპედიციის უმცროსმა მეთაურმა ლუის ვასდე-ტორესმა ახალაღმოჩენილი მიწების გამოკვლევა განაგრძო, მაგრამ დიდი აღმოჩენის პატივი მას კი არა, თეოდორიკ ჰერტოკს ხვდა წილად. ის ავსტრალიის დასავლეთ ნაპირს განედის ოცდახუთ გრადუსზე მიადგა და ახალ მიწას თავისი ხომალდის სახელი "ენდრაჰტი" უწოდა. ჰერტოკის შემდეგ ზღვაოსნები ერთიმეორეს მიჰყვნენ. 1618 წელს ციხენმა ჩრდილოეთის მხარეს არნაჰაიმ-ლენდის და ვან-დიმენის მიწები აღმოაჩინა; 1619 წელს ჟან ედელსი იკვლევს დასავლეთ სანაპიროებს და მის ნაწილს თავის სახელს არქმევს; 1622 წელს ლიოვენი აღწევს კონცხამდე, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს; 1527 წელს და ნუიტცი და დევიტი, ერთი დასავლეთით, ხოლო მეორე სამხრეთით ამთავრებს წინამორბედების მიერ დაწყებულ აღმოჩნებს; მათ მიჰყვა კაპიტანი კარპენტარი. ის თავის ხომალდებით აღწევს დიდ უბეს, რომელსაც ახლა კარპეტარის უბე ჰქვია; დასასრულ, 1642 წელს,

სახელოვანი მეზღვაური ტასმანი გარს უვლის ვან-დიმენსი მიწას, რომელსაც ის ნახევარკუნძულად თვლის და მას ბატავიის გენერალ-გუბერნატორის სახელს არქმევს, მაგრამ ისტორიამ სამართლიანად უწოდა მას ტასმანია. ამგვარად, მოგზაურებმა გარს შემოუარეს ავსტრალიის კონტინენტს და დაადასტურეს, რომ ეს მიწა გარშემორტყმულია ინდოეტის ოკეანისა და წყნარი ოკეანის წყლებით.

1665 წელს სამხრეთი ამ ვეებერთელა კუნძულს ახალი ჰოლანდია უწოდეს და სწორედ იმ დროს, როდესაც ჰოლანდიელი ზღვაოსნები სცენიდან გადიოდნენ, ეს სახელწოდება კუნძულს დიოდხანს აღარ უტარებია... უკვე რამდენიმ ჩამოვთვალე, რობერტ?

- ათი, - მიუგო ბიჭუნამ.

- ძალიან კარგი, - განაგრძო პაგანელმა, - გადავიდეთ ახლა ინგლისელებზე. 1686 წელს სახელგანთქმული ფლიბუსტიერი[1] და სამხრეთის ზღვების მეკობრე, "სანაპიროს ძმეობის" წევრი უილიამს დამპიერი მთელი რიგი მხიარული თუ სამწუხარო შემთხვევების შემდეგ ხომალდ "გედით" ახალი ჰოლანდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაპის მიადგა. 16°50´ განედზე, ადგილობრვი მოსახლეობასთან ურთიერთობა დაამყარა და მერე დაწვრილებით აღწერა მათი გარეგნობა და ზნე-ჩვეულებანი; 16969 წელს ის ზღვის იმ ყურეში დაბრუნდა, რომელიც ოდესღაც _____

1 ფლიბუსტიერი - ზღვის ყაჩაღები მე-17 საუკუნეში; ისინი განსაკუთრებით ესპანეთსა და მის კოლონიებს ძარცვავდნენ.

ჰერტოკმა აღმოაჩინა, ხოლო დამპიერი ახალი ფლიბუსტიერი როდი იყო, ის უკვე ინგლისის სამეფო ფლოტის ხომალდ "რებუკის" მეთაური გამხდარიყო.

აქამდეა ხალი ჰოლანდის აღმოჩენა მხოლოდ გეოგრაფიულ აღმოჩენას წარმოადგენდა. მის კოლონიზაციაზე საუკუნის სამი მეოთხედის მანძილზე არავის უფიქრია; 1699 წლიდან 1770 წლამდე ახალ მიწას არც ერთი მეზღვაური აღარ სწვევია, მაგრამ გამოჩნდება მსოფლიოს ყველაზე სახელოვანი მეზღვაური, ყველა დროისა და ხალხების უმნიშვნელოვანესი ზღვაოსანი კაპიტანი კუკი და ახალ მიწაზე სწრაფად დასახლდებიან ევროპელი ემიგრანტები.

ჯეიმს კუკი ახალ ჰოლადნიას სამჯერ ესტუმრა. პირველად 1700 წლის 31 მარტს, ტაირიდან, მზის დისკოზე ვენერას გავლის წარმარტებით დაკვირვების შემდეგ, კუკი თავისი პატარა ხომალდით წყნარი ოკეანის დასავლეთ მხარისაკენ გაემართა. ახალი ზელანდიის აღმოჩენის შემდეგ ღუზა ჩაუშვა ზღვის იმ ყურეში, რომლის ნაპირები ისეთი მდიდარი და განსაცვიფრებელი მცენარეულობით იყო დაფარული, რომ მას ბოტანიკური ყურე უწოდა. ეს გახლავთ ახლანდელი ბოტანი-ბეი. არ მოგიყვებით იმ ამბავს, როგორი ურთიერთობა დაამყარა განვითარების მხრივ მეტად დაბლა მდგომ ადგილობრივ მოსხლეობასთან, რადგან ეს ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ბოტანიკური ყურიდან ის გაემართა ჩრდილოეთისაკენ 16° განედზე, მწუხარების კონცხთან ახლოს, ნაპირიდან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით მისი ხომალდი "ინდეევორი" მარჯნის რიფს წააწყდა. ზვირთები ხომალდს უსათუოდ დაამსხვრევდნენ, მაგრამ კუკმა განკარგულება გასცა, ზღვაში გადაეყარა ყოველგვარი ხელსაწყო და საკვების მთელი მარაგი. მეორე დღეს შემსუბუქებული და ზღვის მოქცევის წყალობით ატივტიებული ხომალდი რიფს გაშორდა. თუ ხომალდი მაშინვე არ ჩაიძირა, უმთავრესად იმის მიზეზით, რომ ნაპრალში მარჯნის ნამსხვრევი გაიჭედა და წყალი შიგ აღარ შეუშვა. კუკმა შეძლო ხომალდის ნაპირთან მიყვანა და წყნარ ნავსაყუდელში მოთავსება.

სამი თვის განმავლობაში, რაც ხომალდის შეკეთებას მოანდომეს, ინგლისელები ცდილობდნენ დაახლოებოდნენ მოსახლეობას, მაგრამ ამაოდ, ამის შემდეგ "ინდეევორმა" ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი. კუკს სურდა, გაეგო, ახალ გვინეასა და ახალ ჰოლანდიას შორის ხომ არ არსებობდა სრუტე. მრავალი ხიფათის გამოვლის შემდეგ მამაცმა მეზღვაურებმა, რომელნიც ოცჯერ მაინც გადაურჩნენ დაღუპვას, სამხრეთ-დასავლეთით ოკეანის ფართო სივრცე შენიშნეს: სრუტე არსებულა! და "ინდეევორა" განვლო ის. კუკი პატარა კუნძულს მიადგა და აღმოჩენილი ყველა მიწა ინგლისის ტერიტორიებდ აღიარა. ყველას ტიპური ინგლისური სახელი უწოდა: "ახალი სამხრეთ უელსი".

სამი წლის შემდეგ კუკი უკვე მეთაურობდა ექსპედიციას, რომელშიც შედიოდა ორი ხომალდი: "ედვენჩერი" და "რეზოლიუშენი". მისი ბრძანებით, "ედვენჩენის" კაპიტანი ვიურნო ვან-დიმენის მიწას გამოსაკვლევად გაემართა და როდესაც უკან დაბრუნდა, განუცხადა კუკს, ეს მიწა ახალი ჰოლანდიის ნაწილი უნდა იყოსო. მხოლოდ მესამედ მოგზაურობისას, 1777 წელს, კუკმა თვითონ მოიარა ვან-დიმენის მიწა ხომალდებით "რეზოლიუშენითა" და "დისქავერით". იქიდან სან-დევიჩის კუნძულებისაკენ გასწია, სადაც საშინელი სიკვდილი ელოდა.

- დიდი ადამიანი იყო! - თქვა გლენარვანმა.

- დედამიწაზე უდიდესი ყველა სხვა მეზღვაურთა შორის. მისმა ერთ-ერთმა თანამგზავრმა, ბენკსმა ინგლისის მთავრობას შთააგონა აზრი, ბოტანიკურ ყურეში დაეარსებინა კოლონია. კუკის შემდეგ დაიწყო ყველა ქვეყნის მოგზაურების სწრაფვა ახალი კონტინენტისაკენ. ლაპერუზისაგან უკანასკნელად მიღებულ ბარათში, რომელიც მან ბოტანი-ბეიდან გამოგზავნა 1787 წლის 7 თებერვალს, ეწერა, რომ დაზვერავს კარპენტარის ყურესა და ახალი ჰოლანდიის სანაპიროებს ვან-დიმენის მიწამდე. ლაპერუზმა შეისრულა წადილი, მაგრამ აღარ დაბრუნებულა.

1788 წელს კაპიტანმა ფილიპმა დაარსა პირველი ინგლისური კოლონია პორტ-ჯეკსონი. 1791 წელს ვანკუვერი აქვეყნებს ახალი კონტინენტის სამხრეთ სანაპიროების აღწერას; 1792 წელს ლაპერუზის საძებნელად გაგზავნილი დ´ანტრაკასტრო გარს შემოუვლის ახალ ჰოლანდიას და აღმოაჩენს ახალ კუნძულებს; 1795 და 1797 წლებში ორი ახალგაზრდა ყმაწვილი: ფლინდერსი და ბასი მამაცურად იკვლევენ სამხრეთ ნაპირებს რვა ფუტის სიგრძის ნავით; 1797 წელს იგივე ბასი გადის ვან-დიმენსა და ახალ ჰოლანდიას შორის სრუტეში, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს; ამაე წელს ამსტერდამის კუნძულების აღმომჩენი ფლამინგი აღმოსავლეთ სანაპიროზე პოულოს მდინარე სვან-რივერს, რომლის ნაპირებზეც ბინადრობენ შესანიშნავი შავი გედები; რაც შეეხება ფლინდერსს, მან 1801 წელს განაახლა თავისი საინტერესო კვლევები და გრძედის 13°58´ და განედის 3540 ნავსაყუდელში ორ ფრანგული ხომალდს ხვდება: "გეოგრაფსა" და "ნატურალისტს", რომელთაც კაპიტანი ბოდენი და ჰამელინი მეთაურობდნენ.

- აჰა, კაპიტანი ბოდენი! - თქვა მაიორმა.

- დიახ, რამ განგაცვიფრათ, მაიორო? - ჰკითხა პაგანელმა.

- არაფერმა. განაგრძეთ, ძვირფასო პაგანელ, მე დიდი ინტერესით გისმენთ!

- განვაგრძობ. ამ სახელებს კიდევ უნდა დავუმატოთ კაპიტანი კინგი, რომელიც 1817 წლიდან 1822 წლამდე იკვლევდა ახალი ჰოლანდიის შიდატროპიკულ ზონებს.

- უკე ოცდაოთხი მკვლევარია, - შენიშნა რობერტმა.

- ძალიან კარგი, - თქვა პაგანელმა, - მაიორის კარაბინის ნახევარი უკვე ჩემია. მე უკვე ჩამოვთვალე მეზღვაურები და ახლა ხმელეთის მკვლევარებზე გადავალ.

- ყოჩაღ პაგანელ! - შესძახა ელენმა, - თქვენ საოცარი მეხსიერება გქონიათ!

- ეს განსაკუთრებით მოულოდნელია, - დასძინა გლენარვანმა, - ამისთანა...

- დაბნეული კაცისაგან, გინდათ თქვან, არა? - გააწყვეტინა სიტყვა პაგანელმა, - ჩემდა სამწუხაროდ, მხოლოდ თარიღები და ფაქტები მამახსოვრდება.

- ოცდაოთხი! - გაიმეორა რობრტმა, - განაგრძეთ, - ბატონო პაგანელ

- კარგი, ოცდამეოთხე ლეიტენანტი დაუსი გახლდათ. ეს 1789 წელს მოხდა, კოლონია პორტ-ჯეკსონის დაარსების ერთი წლის შემდეგ. ახალი კონტინენტი ზღვით უკვე გარშემოვლილი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, ხმელეთის შიგნით რა იყო. აღმოსავლეთ ნაპირების პარალელური მთაგრეხილები თითქოს გზას ღობავდნენ შიგნით, კონტინენტისაკენ. ლეინტენანტი დაუსი ცხრა დღეს ეცადა ამ მთებზე გადასასვლელი ეპოვა, მაგრამ ამაოდ. იძულებული გახდა, პორტ ჯეკსონში დაბრუნებულიყო.

იმავე წელს კაპიტანმა ტენჩმაც სცადა ამ მთაგრეხილის გადალახვა. დაუსისა და ტენჩის წარუმატებლობამ ხელი ჩააქნევინა ამ ამოცანაზე სხვა მკვლევარებსაც, ხოლო სამი წლის შემდეგ, 1792 წელს, ცენტრალური აფრიკის მამაცმა მკვლევარმა, პოლკოვნიკმა პატერსონმა სცადა გადასულიყო ამ მთებზე და, სამწუხაროდ, ვერც მან შეძლო. სამაგიეროდ, ერთი წლის

შემდეგ ინგლისი ფლოტის უბრალო ბოცმანმა, ჰაუკუნსმა წინამორედთნ შედარებით ქვეყნის შიგნით ოცი მილით მეტი გაიარა.

შემდგომი თვრამეტი წლის განმავლობაში შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ორი ცდა - სახელოვან ბასისა და ინჟინერ ბარელიესი, რომელიც ასევე მარცხით დამთავდა. დასასრულ, 1813 წელს სიდნეიდან დასავლეთით აღმოჩენილი იქნა გადასასვლელი, რომლითაც 1815 წელს ისარგებლა გუბერნატორმა მაგრიმ და ცისფერი მთების გადაღმა დაარსა ქალაქი ბატი-ორსტი.

ამის შემდეგ ახალი კონტინენტის გაცნობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. თროსბი და ოკსლეი იჭრებიან მის სიღრმეში, სამასი მილის მანძილზე; ჰოველი და ჰუნი ტუფოლდის ყურიდან, რომელიც ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობს, შევიდნენ კონტინენტის სიღრმეში; კაპიტანი შტურტი 1829 წელს მდინარეების - დარლინგისა და მურეის სათავეებს იკვლედა. მკვლევართა ამ პლეადამ გეოგრაფია ახალი ცნობებით გაამდიდრა და კოლონიის აყვავებას შეუწყო ხელი.

- ოცდათექვსმეტი! - თქვა რობერტმა.

- ჩინებულია, - უპასუხა პაგანელმა, - სანაძლეოს მოვიგებ!

ახლა კი გავიხსენებ ეირესა და ლეიჰარდტს, რომლებმაც 1840-41 წლებში იმოგზაურეს ავსტრალიაში; აგრეთვე შტურტს, მეორედ რომ მოიარა მხარე 1845 წელს; ძმებს გრეგორებსა და ჰელმპმანს, რომელთაც დასავლეთ ავსტრალიაში 1846 წელს იმოგზაურეს; კენედის, რომელმაც ჩრდილოეთ ავსტრალიაში, 1848 წელს, მდინარე ვიქტორია გამოიკვლია; გრეგორის მოგზაურობას 1852 წელს; აუსტინისას 1854 წელს; კვლავ ძმებ გრეგორებს, რომელთაც 1855-დან 1858 წლებამდე გამოიკვლიეს კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთიი მხრე; ბებეჯს, რომელმაც განვლო მანძილი ტორენსის ტბიდან ეირის ტბამდე; დასასრულ, ავსტრალიის მატიანეში ცნობილ სტიურტს, რომელმაც კონტინენტი სამჯერ გადალახა. მისი პირველი ექსპედიცია 1860 წელს შედგა.

სხვა დროს, თუკი მოისურვებთ, გიამბობთ, როგორ გადაიკვეთა ავსტრალია ოთხჯერ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ამჟამად კი მეცნიერებისათვის თავდადებულ მამაც მებრძოლთა სახელებიც ჩამოვთვალოთ და ამით დავამთავროთ. ესენი იყვნენ: ძმები დემპსტერები, კლარკსონი და ჰარპერი, ბიორკი და უილსი, ნეილსონი, უოკერი, ლენსბორო, მაკ-კინლეი, ჰოვიტი...

- უკვე ორმოცდათექვსმეტია! - შესძახა რობერტმა.

- ხედავთ მაიორო! - თქვა პაგანელმა, - მე თქვენ გინდობთ, რადგან აღარ ვახსენებ დიუპერს, ბუგენვილს, ფიცროის, ვიკემს, შტოკს...

- კმარა! - ჩაილაპარაკა ჩამოთვლილი სახელებით განადგურებულმა მაიორმა.

- კიდევ გახლავთ პერუ, კუაიე, - განაგრძობდა პაგანელი, როემლსაც თავი ვეღარ შეეკავებინა, - ბენე, კენინგემი, ნუტჩელი, ტიერი...

- შეგვიბრალეთ!...

- მერე, დიკსონი, სტრელეცკი, რეიდი, უილკესი, მიტჩელ..

- კმარა, პაგანელ, - გულიანად იცინოდა გლენარვანი, - ნუ მოკლავთ ამ უბედურ მაკ-ნაბსს!.. სულგრძელობა გამოიჩინეთ!... ხომ აღიარა დამარცხებულად თავი?!

- მერე, კარაბინი? - იკითხა პაგანელმა გამარჯვებულის კილოთი.

- თქვენია, პაგანელ, - მიუგო მაიორმა, - თუმცა ძალიან მენანება. უნდა ვაღიარო - თქვენ ისეთი მეხსიერება გაქვთ, რომ არა მარტო კარაბინის, არამედ არტილერიის მთელი მუზეუმის მოგებაც კი შეგიძლიათ!

- მართლაცდა შეუძლებელია ავსტრალიის ისტორიის უფრო უკეთ ცოდნა, - შენიშნა ელენმა, - ბატონ პაგანელს არ გამოჰპარვია არც ერთი სახელი, არც ერთი უმნიშვნელო ფაქტიც...

- რაც შეეხება ფაქტებს... - მაიორმა იჭვნეულად გაიქნია თავი.

- როგორ, მაკ-ნაბს, თქვენ ისევ თქვენს აზრზე დგახართ?

- მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ავსტრალიის აღმოჩენის შესახებ დაწვრილებით ყველაფერი არ არის ცნობილი თქვენთვის, - მორიდებით უპასუხა მაიორმა.

-შეუძლებელია! - ამაყად თქვა პაგანელმა.

- თუ თქვენთვის უცნობ ფაქტს შეგატყობინებთ, დამიბრუნებთ კარაბინს?

- მაშინვე, მაიორო!

- მომეცით ხელი!

- ინებეთ!

- კარგი... იცით, პაგანელ, ავსტრალია რატომ არ ეკუთვნის საფრანგეთს?

- მე მგონია...

- უფრო სწორად, რას ამბობენ ამის შესახებ ინგლისელები?

- არ ვიცი, - დარცხვენით უპასუხა პაგანელმა.

- მაშ იცოდეთ, ავსტრალია საფრანგეთს მხოლოდ იმიტომ არ ეკუთვნის, რომ კაპიტანი ბოდენი, რომელიც მხდალი სულაც არ გახლდათ, 1802 წელს ავსტრალიელი ბაყაყების ყიყინმა დააფრთხო. მან ღუზა ახსნა და მოკურცხლა, რათა არასოდეს აღარ დაბრუნებულიყო!

- როგორ! - იყვირა პაგანელმა, - ინგლისელები ბედავენ ამის მტკიცებას? ეს ხომ აღმაშფოთებელი ცილისწამებაა!

- მართლაც ეს ბოროტი ხუმრობაა, - დაეთანხმა მაიორი, - მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ამბავი ყველა ინგლისელმა იცის.

- არა, ეს რასა ჰგავს! - ღელავდა პაგანელი, - ნუთუ ინგლისში სჯერათ ამ სისულელისა?

- სამწუხაროდ, სჯერათ, ძვირფასო პაგანელ, - საერთო ხარხარში დაუმოწმა გლენარვანმა, - ნუთუ ეს მართლა არ გსმენიათ?

- არაფერი ამის მსგავსი! მე პროტესტს ვაცხადებ! თვითონ ინგლისელები ჩვენ, ფრანგებს, ბაყაყიჭამიებს გვიწოდებენ და როგორ შეიძლება დაგვაბრალონ, რომ შევუშინდეთ იმას, რასაც გეახლებით?

- მიუხედავად ამისა, ჩემო პაგანელ, ასეა, - მშვიდი ღიმილით მიუგო მაიორმა.

ამგვარად... "პუირდეი-მოორისა და დიქსონის" ნახელავი შესანიშნავი კარაბინი ისევ მაიორ მაკ-ნაბსის მფლობელობაში დარჩა.

თავი V

ინდოეთის ოკეანე მძვინვარებს

ამ საუბრის შემდეგ ორი დღე გავიდა. საშუადღეო დაკვირვების შემდეგ ჯონ მანგლსმა განაცადა, რომ "დუნკანი" გრძედის 113°37´-ზე და განედის 37°01´-ზე იმყოფება. მგზავრებმა სახომალდო რუკას დახედეს და სიამოვნებით დარწმუნდნენ, რომ ბერნუილის კონცხამდე ხუთი გრადუსიღა დარჩენოდათ გასავლელი.

ამ კონცხისა და დ´ანტრაკსტოს შუა ავსტრალიის სანაპირო მოჰყვება რკალს, რომელზეც გადის ოცდამეჩვიდმეტე პარალელი. "დუნკანს" რომ ეკვატორისაკენ ექნა პირი, მალე მიაღწევდა შატამის კონცს, რომლისგანაც ამჟამად 120 მილის მანძილზე, სამხრეთით იმყოფებოდა, ინდოეთის ოკეანის იმ ნაწილში, რომელიც ავსტრალიის კონტინენტს გარშემო უვლის. ამგვარად, იმედი ჰქონდათ, სამი-ოთხი დღის შემდეგ ჰორიზონტზე ბერნუილის კონცხი გამოჩნდებოდა.

აქამდე იახტას ხელს უწყობდა დასავლეთის ქარი, რომელიც უკანასკნელ დღეებში თანდათან მინელდა და ბოლოს სავსებით მიყუჩდა. 13 დეკემბერს სიოც კი არ იძვროდა და იალქნები ანძაზე უმწეოდ დაკიდებულიყვნენ. "დუნკანს" რომ მძლავრი საორთქლე მანქანები არ ჰქონოდა, სულ გაჩერდებოდა. ასეთი ამინდი კიდევ განუსაზღვრელ დრომდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

საღამო ხანს გლენარვანი ჯონ მანგლსს ამის შესახებ ესაუბრა. ახალგაზრდა კაპიტანი, რომელსაც ცოტაოდენი საწვავი დარჩენოდა, ამ მოულოდნელმა მყუდროებამ შეაფიქრიანა.

ხომალდზე ყველა იალქანი და აფრა აამართვინა, რომ ოდნავი ნიავიც კი გამოეყენებინათ, მაგრამ როგორც მეზღვაურები იტყვიან, ჰაერი ქუდის გასავსებად არ კმაროდა.

- ძალიან ნუ დაღონდებით, - უთხრა გლენარვანმა, - პირქარს უნიავობა გვირჩევნია.

- მართალი ბრძანდებით, სერ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი მოულოდნელი მყუდროება, ჩვეულებრივ, ამინდის გამოცვლის წინ იცის, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - მეც სწორედ ეს მაფიქრებს. ჩვენ ამჟამად მუსონების[1] საზღვარზე ვიმყოფებით. მუსონები კი ოქტომბრიდან აპრილამდე ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავენ. ასე რომ, თუ შუბლის მხრიდან დაგვიბერა, ძალიან შეგვაფერხებს.

- რა გაეწყობა, ჯონ? თუ ასე მოხდა, ბედს უნდა შევურიგდეთ, ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ ოდნავ შეაგვიანებს ჩვენს მოგზაურობას და მეტი არაფერი.

- რა თქმა უინდა, თუ ქარიშხალი არ მოჰყვა...

- ცუდი ამინდი გაშინებთ? - ჰკითხა გლენარვანმა და თან ცას მოავლო თვალი, რომელზეც ჰორიზონტიდან ზენიტამდე ღრუბლის ნასახიც კი არსად ჩანდა.

- დიახ, - მიუგო კაპიტანმა, - მინდოდა თქვენთვისაც გამენდო ეს, მაგრამ ლედი გლენარვანისა და მის გრანტის შეშფოთებას მოვერიდე.

- კარგად მოქცეულხართ, ჯონ, - მიუგო გლენარვანმა, - მაინც რა ხდება?

- გრიგალის ნიშნებს ვამჩნევ, სერ, ნუ ენდობით ცას. მასზე მაცდური არაფერია. აგერ, უკვე ორი დღეა, რაც ბარომეტრი შვიდას ოცდათერთმეტ მილიმეტრს გვიჩვენებს, ნაცვლად ნორმალური 760 მილიმეტრისა. ეს საგანგაშო ნიშანია, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. განსაკუთრებით მაფიქრებს სამხრეთის ზღვის მძვინვარბა, რაც უკვე გამომიცდია. სამხრეთ პოლუსის თვალუწვდენელ ყინულოვან სივრცეზე დაგროვებული წყლის ორთქლი საშინელი სიმძლავრის მდინარებას იწვევს ჰაერში. ეს პოლარული და ეკვატორული ქარების შეჯახებას უწყობს ხელს, რაც აჩენს ციკლონს, გრიგალს და ქარიშხალს. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ხომალდს უჭირს!

- "დუნკანი" მკვიდრად ნაგები ხომალდია, ჯონ, და მისი კაპიტანიც გამოცდილი მეზღვაურია, - მიუგო გლენარვანმა, - დაე, ამოვარდეს გრიგალი, ჩვენ მას გავუმკლავდებით!

ჯონ მანგლსს თავდაპირველად მეზღვაურის ალღო ალაპარაკებდა. ახალგაზრდა კაპიტანს ბარომეტრის შეუჩერებელი დაწევა აფიქრებდა. მან სათანადო ზომები მიიღო ქარიშხლის შესახვედრად, რომელიც დიდ განსაცდელს უქადდა ხომალდს. აღარ უჯერებდა მოწმენდილ ცას და ბრმად მიენდო უცოდველ ბარომეტრს.

მაღალი ატმოსფერული წნევის ადგილიდან ჰაერის ნაკადი იქით მიექანებოდა, სადაც ბარომეტრი ძირს იწევდა. რაც უფრო ახლოა ერთმანეთისაგან სხვადასხვა წნევის ადგილები, მით ძლიერი ქარია მოსალოდნელი.

ჯონ მანგლსმა მთელი ღამე კაპიტნის ბოგურაში გაატარა. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ცის სამხრეთი ნაწილი ღრუბლებით დაიფარა. ჯონ

---

1 მუსონი - ინდოეთის ოკეანის უდიდესი სიძლიერის ქარი, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ერთი მიმართულებით ქრის, ზამთარში კი - მის საწინააღმდეგოდ.

მანგლსმა მთელი ეკიპაჟი იხმო და ფოკის, სტაქსელისა და მარსელის გარდა ყველა იალქანი ჩამოაშვებინა.

შუაღამისას ცივმა ქარმა ისეთი სიმძლავრით დაჰბერა, რომ ჰერის ნაწილაკები თითო წამში თორმეტ მეტრს გადიოდა. ანძების ჭახჭახი, ხრახნის გამალებული მუშაობის ხმაური, მოსახსნელი იალქნების ტლაშუნი, იახტის კორპუსის ჩონჩხის ზნექა-ქშენა - ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ამან მგზავრებიც შეაფიქრიანა, თუმცა ნამდვილ მიზეზს ვერ მიმხვდარიყვნენ. პაგანელი, გლენარვანი, მაიორი და რობერტი გემბანზე ავიდნენ, ვინ - ცნობისმოყვარეობით, ვინ - მისამხმარებლად.

სულ ახლახან კრიალა ცას ხშირი, ნაგლეჯ-ნაგლეჯი ღრუბლები მოჰფენოდა.

- გრიგალია? - მშვიდად ჰკითხა გლენარვანმა ჯონ მანგლსს.

- არა, მაგრამ აღარც დააყოვნებს, - მიუგო მან.

კაპიტანმა მიატოვა ხომალდის მფლობელი, რათა ბრძანება გაეცა, რომ მარსელიდან პირველი რიფი აეხსნათ მეზღვაურები გასანთლულ და დაჭიმულ ბაგირებზე მოექცნენ და გაჭირვებით შეამცირეს იალქნის ფართობი, ბაგირებით ასწიეს ზევით. ჯონ მანგლსი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი იალქნები დაეტოვებინა, რომ ხომალდს უკეთესად ესრიაალ ტალღებზე და თანაც რყევა ნაკლებად განეცადა. ყველა წინასწარი ზომის მიღების შემდეგ, მან სათანადო განკარგულებანი მისცა ოსტინსა და ბოცმანს იმის შესახებ, როგორ შეხვედროდნენ გრიგალს.

კანჯოებს ხომალდის ცხვირზე ორმაგი ბაგირები გადუჭიმეს, ზრებაზნების გვერდითი მხარეები უფრო მკვეთრად დაამაგრეს, შტანგები და ვანტები დაჭიმეს, სანათურები დაახშეს.

ჯონ მანგლსი ზედა გემბანს არ სცილდებოდა, როგორ მტრის ზარბაზნით შემონგრეულ ციხის ზღუდეებს არ სცილდება ოფიცერი და ზემო ერდოდან თვალს არ აშორებდა მოპირქუშებულ ცას, თითქოს ცდილობდა, გამოეცნო მისი საიდუმლოება. ბარომეტრი კი შეუჩერებლად იწევდა ძირს და 729 მილიმეტრამდე ჩამოვიდა, რაც ძალიან იშვიათი მოვლენაა.

შტორმგლასი[1] გრიგალს უჩენებდა. ნაშუადღევის პირველი საათი იყო. საშინელი რყევით გაღვიძებული ელენი და მერი გრანტი გემბანზე ავიდნენ. ქარის სიჩქარე წამში ოცდარვა მეტრს აღწევდა და საშინლად გასწიოდა ვანტებსა და შტანგებში. ფოლდის ბაგირები ისეთ ხმას გამოსცემდნენ, როგორც სიმზე მძლავრად გასმული ხელი. კოჭები ერთმანეთს ეხახუნებოდნენ, მოდუნებული ბაგირები ჩამოსროლილ იალქნებს აწყდებოდა. იალქნების ტლაშუნი ზარბაზნის ხმას ემსგავსებოდა. უშველებელი აქოჩრილი ტალღების მთები ენარცხებოდა ხომალდს, რომელიც აქაფებული ტალღების ქეჩოზე შესრიალდებოდა ხოლმე.

როდესაც კაპიტანმა ჯონ მანგლსმა ქალებს მოჰკრა თვალი, საჩქაროდ მიუახლოვდა მათ და სთხოვა, ჩასულიყვნენ კაიუტებში. ვეებერთელა ტალღები უკვე ხომალდის გემბანს ეხეთქებოდა და რამდენჯერმე ზედ გადაუარა კიდეც. გრიგალის ღრიალით გაყრუებულმა ელენმა ვერც კი გაიგო ახალგაზრდა კაპიტნის ნათქვამი.

- სახიფათო ხომ არაფერია? - ესღა მოასწრო ეკითხა გრიგალის წამიერი მიყუჩების დროს.

- არავითარი! - მიუგო ჯონ მანგლსმა, - მაგრამ თქვენი და ქალბატონი მერის გემბანზე დარჩენა შეუძლებელია.

---

1 შტორმგლასი - ჭიქაში ჩასხმული ქიმიური ნარევი, რომელიც ქარის სიძლიერის და ატმოსფეროს წნევის მიხედვით ფერს იცვლის.

ელენი და მერი გრანტი დაემორჩილნენ ბრძანებას, რომელიც უფრო ვედრებას წააგავდა და კაიუტკომპანიას მიაშურეს. მიიმალნენ თუ არა კარში, უზრმაზარმა აგორებულმა ტალღამ ხომალდის ბოლოში ქიმს დაჰკრა, გემბანზე გადმოიარა და მინებს ზრიალი დააწყებინა.

ქარის სიმძლავრე მატულობდა. ანძები იზნიქებოდა, ხომალდი მთასავით აგორებული ტალღების სათამაშო გამხდარიყო.

- ფოკი გიტოვზე! - დასჭყივლა ჯონ მანგლსმა, - ჩამოუშვით მარსელი და სტაქსელი!

მეზღვაურები თავ-თავიანთი ადგილებისაკენ მიქროდნენ. ამოძრავდა შტოკები და ფალები, დაჭიმეს გიტოვები, გრიგალის გამაყრუებელი ხმაურით ჩამოუშვეს სტაქსელები.

"დუნკანის" საკვამლე მილიდან ბღუჯა-ბღუჯა ბოლი ამოვარდა. ხომალდი ბორგავდა. წყლიდან ამოზიდული ხრახნი ამაოდ ტრიალებდა. გლენარვანი, მაიორი, პაგანელი და რობერტი აღტაცებით და თრთოლვით შესცქეროდნენ "დუნკანის" ბრძოლას სტიქიონთან, მაგრად ჩაბღაუჭებოდნენ ფალშბორტის ხარიხებს და უსიტყვოდ გასცქეროდნენ ქარიშხალა ფრინველებს. ეს ავდრის წინამორბედები ჰაერში ნავარდობდნენ. უცებ გაისმა გამაყრუებელი შიშინი, რომელმაც გრიგალის ორმოტრიალიც კი დაფარა. საშინელი ორთქლი ამოვარდა, მაგრამ არა საორთქლე მილებიდან, არამედ ქვაბების დამცველი

სარქველებიდან. ხომალდი ძალზე გადაიზნიქა. შტურვალთან მდგარი ვილსონი რუმპელის დაჯახებამ ძირს დასცა და "დუნკანი" ტალღების გარდიგარდმო გადახრა.

- რა მოხდა? - შეჰყვირა ჯონ მანგლსმა და პატარა გემბანისკენ გაექანა.

- ხომალდი გადაიხარა, - მიუგო ოსტინმა.

- საჭე გატყდა?

- კაპიტანო! სამანქანო განყოფილებისაკენ! - გაისმა მექანიკოსის ხმ.

ჯონ მანგლსი სამანქანოსაკენ გაარდა და დიდი სისწრაფით დაეშვა კიბეზე. სქელი ორთქლის ღრუბელს გაევსო სამანქანო განყოფილება, ცილინდრები დგუშები აღარ მუშაობდა; ბარბაცები აღრ აბრუნებდნენ წამყვან ლილვს, როდესაც მემანქანემ დაინახა, რომ მანქანას სერიოზული ავარიის გამო მუშაობა აღარ შეეძლო, ქვაბების გადასარჩენად ორთქლს უშვებდა.

- რა მოხდა? - იკითხა კაპიტანმა.

- ხრახნი გატყდა ან გამრუდდა, - მიუგო მექანიკოსმა, - ყოველ შემთხვევაში, აღარ მუშაობს.

- ხრახნი უნდა გავათავისუფლოთ!

- შეუძლებელია!

მექანიკოსი სიმართლეს ამბობდა, - შეკეთების დრო არ ჰქონდათ. აშკარა იყო, ხრახნი არ მუშაობდა, რის გამოც უმოქმედო დარჩენილ ორთქლს სარქველებიდან ამოეხეთქა...

ჯონ მანგლსს ისევ იალქნებისათვის უნდა მიემართა. ქარი- ხომალდის მოსისხლე მტერი, როგორმე მის მოკავშირედ უნდა გაეხადა. ისევ გემბანს ეცა. ორიოდე სიტყვით გლენარვანს აუხსნა საქმის ვითარება და სთხოვა, ყველანი დაბლა, საერთო დარბაზში ჩასულიყვნენ. გლენარვანმა გემბანზე ისურვა დარჩენა.

- არა, სერ! - მიუგო ჯონ მანგლსმა მტკიცედ, - აქ მხოლოდ მე უნდა ვიყო ჩემი ეკიპაჟით. ჩაბრძანდით დაბლა, შესაძლოა, გემბანს ტალღების მთამ დაჰკრას და თან გადაგვიყოლოს...

- მაგრამ იქნებ გამოგადგეთ რითიმე?

- ჩაბრძანდით, სერ!... ასეა საჭირო. არის გარემოება, როდესაც ხომალდის მბრძანებელი მე ვარ! ჩაბრძანდით დაბლა, ამას მოვითხოვ!

ალბათ, მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო, რომ ჯონ მანგლსი ბრძანების კილოთი ლაპარაკობდა. გლენარვანი მიხვდა, რომ სხვებისათვის მაგალითი უნდა მიეცა და გემბანი დატოვა. მათ მიჰყვნენ დანარჩენებიც და შეუერთდნენ ქალებს, რომლებიც სულგანაბულნი ელოდებოდნენ მძვინვარე სტიქიონთან ბრძოლის დასრულებას.

- ენერგიით აღსავსე ვაჟკაცია ჩვენი ჯონი! - თქვა გლენარვანმა საერთო დარბაზში შესვლისთანავე.

- დიახ, - მიუგო პაგანელმა, - დიდებული შექსპირის "ქარიშხლიდან" იმ შკიპერს მაგონებს, ერდოზე გამოსულ მეფეს რომ უყვირის: "თუ შეგიძლიათ უბრძანოთ სტიქიონს და დააწყნაროთ ამავე წუთში, გაეცით განკარგულება! თუ არ შეგიძლიათ, გზიდან ჩამომეცალეთ!"

ჯონ მანგლსს არც ერთი წუთი არ დაუკარგავს და ყველა ზომა მიიღო ხომალდის იმ საბედისწერო მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რომელშიაც ხრახნის გატეხამ ჩააგდო. კაპიტანმა გადაწყვიტა დრეიფით ევლო, ძალიან რომ არ გადასცდენოდა აღებულ გეზს. მაშასადამე, იალქნები ისე უნდა მიემართათ, რომ ხომალდს ქარის მიმართულებით ევლო. მეზღვაურებმა სწრაფად აღმართეს მარსელი, ფოკგროტ-ანძაზე ფოკ-სტაქსელი ასწიეს და "დუნკანი" ქარის პირისპირ გაემართა.

ყველა საზღვაო ღირსებით შემკული ხომალდი დეზებნაკრავი ჯიშიანი ცხენივით გაქანდა წინ. ახლა ყველაფერი დამოუკიდებული იყო იმაზე გაუძლებდნენ თუ არა იალქნები ქარის მოწოლას. თუმცა აფრები შოტლანდიური საუკეთესო ტილოსი იყო, მაგრამ რა ქსოვილი გაუძლებდა ასეთ ქარიშხლის მოძალებას.

დრეიფზე ყოფნას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ხომალდი ტალღებს უფრო გამძლე ნაწილით უპირისპირდებოდა და არჩეულ გეზსაც არ სცილდებოდა. თუმცა ასეთი მდგომარეობა სახიფათო იყო, რადგან შესაძლოა ხომალდი ორ აზიდულ ტალღას შუა

უფსკრულში მოხვედრილიყო და ვეღარ დაეღწია თავი. რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, კაპიტნმა გადაწყვიტა, გაეგრძელებინა დრეიფი, სანამ იალქნები და ანძები გაძლებდა.

"დუნკანის" მთელი ეკიპაჟი კაპიტნის თვალწინ იდგა და ყოველ წუთს მზად იყო, იქ მიშველებოდა, სადაც საჭიროება მოითხოვდა.

ასე განვლო ღამემ. ამაო გამოდგა მოლოდინი, ეგებ განთიადისს ქარიშხალი მიყუჩდესო. დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც ქარიშხალმა იმატა და უკვე წამში ოცდათხუთმეტი მეტრის სისწრაფით ქროდა. ეს უკვე გრიგალი იყო.

ჯონ მანგლსი დუმდა. არ იმჩნევდა, რომ გულს უკლავდა ხომალდისა და მასზე მყოფთა მოსალოდნელი ხვედრი. "დუნკანი" საშინლად ირწეოდა, მთელ ტანს ჭრაჭუნი გაჰქონდა. ანძების ბოლოები ზვირთების ქედებს ეხებოდა. იყო წამი, როდესაც ეკიპაჟს აღარ ეგონა, რომ ხომალდი წამოიწევდა. მეზღვაურები ცულებით ეძგერნენ წინა ანძის დამამაგრებელ ბაგირებს, მაგრამ ამ დროს აფრები ქვემეხისებრი გრგვინვით ერთბაშად მოსწყდნენ ბაგირებს და ბუმბერაზი ალბატროსების მსგავსად ზღვაში გადაფრინდნენ.

"დუნკანი" წელში გასწორდა, მაგრამ საყრდენის უქონლობის გამო საშინელი რყევა დაიწყო. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ანძების პირქვე დამხობა. ხომალდი ვერ გაუძლებდა ასეთ რყევას, რომელიც სამაგრებს ასუსტებდა და ნაკერებს არღვევდა. ცოტაც კიდევ და, გაბზარული ქიმი წყალს მიაშურებდა ხომალდში. ჯონ მანგლსს ერთადერთი საშუალებაღა დარჩენოდა: უნდა აემართა საქარიშხლე აფრები და ქარს გაჰყოლოდა. რამდენიმე საათის შემდეგ მან ეს მოახერხა, თუმცა ორჯერ მაინც შეაწყვეტინა მუშაობა გრიგალმა.

მხოლოდ სამი საათისათვის შეძლეს სტაქსელის დაყენება და ზურგის ქარისაკენ იბრუნეს პირი. იალქნისა და ზურგის ქარის დახმარებით "დუნკანი" დიდი სიჩქარით მიცურავდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. რაც მალე ივლიდა, მით უფრო მეტი იმედი იყო გადარჩენისა. ზოგჯერ ქარისაგან დევნილი ტალღები წინ უსწრებდა ხომალდს და მაშინ "დუნკანი" ცხვირით ჩაეფლობოდა მათ შორის უზრმაზარი ვეშაპის მსგავსად და მთელი გემბანს, ზედ ცხვირიდან ხომალდის ბოლომდე, წყალი გადაუვლიდა. ზოგჯერ კი მისი სვლის სისწრაფე ტალღების სრბოლის სისწრაფეს უტოლდებოდა, მაშინ საჭე აღარ მუშაობდა და ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, ტალღებს გარდიგარდმო გაჰხიდებოდა. ისიც შეიძლებოდა, სწრაფად მსრბოლ ტალრებს ხომალდის ბოლოსათვის დაეკრათ და ცხვირამდე მისულიყვნენ. ასეთ სახიფათო მდგომარეობაში, როდესაც იმედიანობა და განწირულობა ერთიმეორეს ცვლიდა, გაირა 15 დეკემბერმა და 16 დეკემბრის დილამ.

ჯონ მანგლსს არც ერთი წუთითაც არ მოუცვლია ფეხი კაპიტნის ბოგურიდან. საშიშროებას მეტად მწვავედ განიცდიდა, მაგრამ ცდილობდა, არ შეემჩნია და უშფოთველი სახის გამომეტყველებით დაეფარა განცდა. დაჟინებით მისჩერებოდა ზღვას და ცდილობდა, ხშირ ღრუბლებში დამალული ჩრდილოეთის ჰორიზონტი გაერჩია.

მართლაც, განსაცდელი დიდი იყო. გზააბნეული "დუნკანი" ავსტრიალიის ნაპირებისაკენ ისეთი სისწრაფით მიქროდა, რომლის შენელებაც არაფრით შეიძლებოდა. ჯონ მანგლსი ალღოთი გრძნობდა, რომ მათ ქარის გარდა ზღვის საშინელი დინებაც მიაქანედა. შიშობდა, სადმე წყალქვეშა კლდეს არ წასწყდომოდნენ, რომელიც ნამსხვრევებად აქცევდა ხომალდს. მხოლოდ იმის იმედით იყო, რომ ნაპირამდე ოთხმოციოდე კილომეტრი მაინც იქნებოდა, თორემ ახლა რომ ხმელეთს დასჯახებოდნენ, აუცილებლად დაიღუპებოდნენ. ათასჯერ ერჩია გაშლილ ზღვაში ყოფილიყო გრიგალის წინაშე. ხომალდი გრიგალის მიმართულებით იმოძრავებდა, მაგრამ თუ გრიგალი სანაპიროზე გატყორცნიდა, ხომალდი განწირული იყო.

ჯონ მანგლსი ლორდ გლენარვანთან ჩავიდა და მდგომარეობა აუხსნა. როგორც მეზღვაური, ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად იყო. ბოლოს დასძინა, თუ აუცილებლობამ მოითხოვა, "დუნკანს" ნაპირზე გავტყორცნიო.

- ხომალდს გავწირავ, - დააბოლოვა მან, - მგზავრები მაინც გადავარჩინო, თუკი ეს შესაძლებელი აღმოჩნდება.

- ისე მოიქეცით როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, ჯონ, - მიუგო გლენარვანმა.

- მერე, ლედი ელენი? მის გრანტი?

- მათ მხოლოდ უკანასკნელ წუთს გავაფრთხილებ, როდესაც იმედი ამოიწურება. თქვენ მაცობეთ ამის შესახებ.

- კარგი, სერ!

გლენარვანი თანამგზავრ ქალებთან დაბრუნდა, რომელთაც არ ესმოდათ საფრთხის მნიშვნელობა, თუმცა მდგომრეობის სერიოზულობას კი გრძნობდნენ. მათ დიდი ვაჟკაცური ამტანობა გამოიჩინეს და თანამგზავრებს მამაცობაში არ ჩამორჩებოდნენ. სავსებით შეუფერებელ დროს პაგანელმა თეორიული მსჯელობა გააბა ჰაერის დინებათა მიმრთულების შესახებ. უხსნიდა რობერტს, რომელი გულდასმით უსმენდა ტორნადოს, ციკლონისა და გრიგალის წარმოშობის დაწვრილებით მიზეზებს. მაიორი მისი ლაპარაკის დასასრულს ნამდვილი ფატალისტი მუსლიმანსი მოთმინებით ელოდა.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც გრიგალი თითქოს მიყუჩდა, ნოტიო ნისლი ცოტა გაიფანტა და ჯონ მანგლსმა თვალი მოჰკრა დაბლობ სანაპიროს, რომელიც ხომალდის პირდაპირ მოჩანდა ექვსიოდე მილის მანძილზე. ხომალდი მთელი გაქანებით მისრიალებდა მისკენ. უშველებელი ტალღები სიმაღლეში თხუთმეტ მეტრსა და უფრო მეტსაც აღწევდნენ. ჯონ მანგლსმა მოისაზრა, ალბათ, ტალღებს აქ დასაყრდენი აქვთ, რომ ასეთ სიმაღლეზე ადიანო და თანაშემწე ოსტინს უთხრა:

- ალბათ, აქ ქვიშიანი თავთხელია.

- მეც ასე ვფირობ, - მიუგო თანაშემწემ.

- საქმე ცუდად არის, - ხელახლა წამოიძახა ჯონმა, - თუ მანდ გასასვლელს ვერ ვიპოვით, "დუნკანი" დაიღუპება.

- ახლა ზღვის მოქცევა მაღალია, კაპიტანო, იქნებ მოვახერხოთ ამ თავთხელზე გადავლა?

- ოსტან, აბა, დააკვირდი ამ მთასავით აზიდულ ტალღებს. რომელი ხომალდი გაუძლებს ამათ მოწოლას, ერთი წუთითაც რომ შევჩერდეთ თავთხელზე?

"დუნკანი" საშინელი სისწრაფით მიექანებოდა ნაპირისაკენ. მალე სამი კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდა თავთხელს. ნისლი წამდაუწუმ ფარავდა ნაპირს.

ჯონ მანგლსმა ქაფად აგორებული ტალღების გადაღმა მაინც შეასწრო თვალი წყნარად მდგარ ზღვის ნაწილს, "დუნკანი" იქ უფრო ნაკლებ საფრთხეში იქნებოდა, მაგრამ როგორ უნდა მიეღწიათ იქამდე?

ჯონ მანგლსმა მოითხოვა, მგზავრები გემბანზე ამოსულიყვნენ. არ უნდოდა ხომალდის დაღუპვისას ვინმე მომწყვდეულიყო საერთო დარბაზში. გლენარვანმა და მისმა თანამგზავრებმა აბობოქრებულ ზღვას გადახედეს. მერი გრანტი გაფითრდა.

- ჯონ, - ჩაულაპარაკა გლენარვანმა მანგლსს, - მე ვეცდები მეუღლე გადავარჩინო, ან მასთან ერთად დავიღუპო, მერი გრანტი კი თქვენთვის მომინდვია.

- კეთილი, სერ, - მოკლედ მოუჭრა ჯონ მანგლსმა.

"დუნკანი" ამ დროს თავთხელიდან რამდენიმე კაბელტოვის მანძილზე იმყოფებოდა. აზვირთებული, მაგრამ მთასავით აგორებული ტალღები ხომალდს აუცილებლად ფსკერით დაანარცხებდა მიწას და დაამსხვრევდა. და ამ დროს ჯონ მანგლსს გაახსენდა ერთი ხერხი, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე და მეზღვაურებს დასჭყივლა:

- ზეთი! ქონი... აბა, ბიჭებო, მოაგორეთ ზეთიანი კასრები...

ეკიპაჟი მიუხვდა განზრახვას. ეს ხერხი ხანდახან შედეგიანია - როცა ზედ თხევად ქონს გადაასხამ, შეიძლება ზღვის მღელვარება ოდნავ მაინც დაიოკო. ქონის ფენა წყალს მაშინვე ზემოდა ექცევა და ტალღებს ასუსტებს. მართალია, ქონი სწრაფად მოქმედებს, მაგრამ ეს მეტად ხანმოკლეა. როცა ხომალდი ამ ხელოვნურად მოგლუვეულ ზედაპირს გასცდება, ზღვა მას წამსვე იშორებს და გაორკეცებული მძვინვარებით აბობოქრდება ხოლმე. ვაი იმ გემს, რომელცი გაბედავს კვალდაკვალ განვლოს ეს გზა![1]

---

1 საზღვაო წესდებით აკრძალულია ამ ხერხის გამოყენება, როდესაც მათ უკან სხვა გემებიც მიემართებიან (ავტორის შენიშვნა).

საფრთხის გამო ეკიპაჟს ძალ-ღონე მომატებოდა. სელაპის ქონით სავსე კასრები სასწრაფოდ ამოათრის წინა ბაქანზე, თავი ახადეს და ბაკბორტისა და შტირბორტის ქიმზე მწკრივას აღმართეს.

- არ გადაღვაროთ! ელოდეთ ჩემს ბრძანებას! - შესძახა ჯონ მანგლსმა. იგი მოხერხებულ წუთს უცდიდა. ოციოდე წამის შემდეგ, როდესაც ხომალდი აზვირთებულ გორას მიადგა, კაპიტანმა ბრძანა:

- გადაუშვით!

კასრები ზღვაში გადააპირქვავეს. ქონი ზღვაში ისხმებოდა, ტალღების თავზე მოქცეულმა ცხიმოვანმა ფენამ თითქოს დააცხრო ღელვა. "დუნკანი" გასრიალდა ამ გალიპულ სახიფათო ადგილზე და თავი ამოყო მიწყნარებულ მიდამოში.

თავთხელზე ბობოქარმა ტალღებმა გადაიყარეს და შემბოჭავი ბადე და აუწერელი სიმძლავრით აიქოჩრნენ.

თავი VI

ბერნუილის კონცხი

ახლა ჯონ მანგლსის უპირველესი საზრუნავი ისღა იყო, ორივე ღუზა ჩაეშვა "დუკანის" გასაჩერებლად. ღუზა რვა მეტრის სიღრმეზე ჩაუშვეს. მშვენიერ ხრეშიან ფსკერზე ღუზა ჩინებულად დამაგრდა. შიში აღარ იყო, რომ ხომალდი აიწყვეტდა.დ საშინელი საათების შემდეგ "დუკანი" ახლა მყუდრო ყურეში იდგა და ქარისაგან მაღალი მწვერვალით იყო დაფარული, ძაბრივით დაპირქვავებული რომ აზიდულიყო. გლენარვანმა მაგრად ჩამოართვა ხელი ახალგაზრდა კაპიტანს და უთხრა:

- გმადლობთ, ჯონ!

ეს ორი სიტყვა უდიდესი ჯილდო იყო კაპიტნისათვის.

გლენარვანს მოსალოდნელი საფრთხე არავისთვის გაუმხელია... არც ელენმა, არც მერიმ და არც რობერტმა არ იცოდნენ, რა განსაცდელს დააღწიეს თავი.

ჯონ მანგლსს ახლა ის უნდა გამოერკვია, რომელ სანაპიროსთან გადმოისროლა საშინელმა გრიგალმა "დუკანი", რომელი ადგილიდან უნდა დაეწყო გრანტის ძებნა ოცდმეჩვიდმეტე პარალელზე? რა მანძილით არის იგი დაშორებული ბერნუილის კონცხიდან სამხრეთ-დასავლეთით? ასეთი კითხვები დაუსვა მათ გლენარვანმა.

ჯონ მანგლსმა მაშინვე მოახდინა დაკვირვება და შესაფერი ცნობები აღნიშნა სახომალდო დავთარში. "დუკანი" მხოლოდ ორი გრადუსით გადასცდენოდა თავის გეზს. იგი ამჟამად იმყოფებოდა გრძედის 138°12´-სა და განედის 35°07´-ზე კატასტროფების კონცხთან, რომელიც მდებარეობს ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროზე, სამასი კილომეტრის მანძილზე ბერნუილის კონცხიდან.

ეს კონცხი, ასეთი თვალბედითი სახელწოდებით, ბორდოს კონცხის პირდაპირ, კენგურუს კუნძულის ბოლოს ებმის. ამ ორ კონცხს შუა მოქცეულია ინვესტიგეიტორის სრუტე, რომელიც ორი, საკმაოდ ღრმა ყურისაკენ მიემართებოდა: ერთი მდებარეობს ჩრდილოეთის მხარეს, ეს არის სპენსერის ყურე, მეორე სამხრეთის მხარეს - წმინდა ვინესტინის ყურე. ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით მდებარეობს ადელაიდის პორტი, რომელიც ამ პროვინციის, სამხრეთ ავსტრალიის დედაქალაქს წარმოადგენს. ქალაქი 1836 წელს დაარსდა, ამჟამად აქ ორმოცი ათასი მცხოვრები იყო და ყველაფრის მომარაგება შეიძლებოდა.

ეს მდიდარი თანამედროვე ქალაქი იყო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ნაყოფიერი მიწის დამუშავებას, მევენახეობას, ფორთოხლის თუ სხვა ხეხილის გაშენებას ეტანებოდა. მათ ნაკლებად აინტერესებდათ მსხვილი მრეწველობა ან ვაჭრობა. მხვნელ-მთესველი უფრო ბევრი იყო, ვიდრე ინჟინერი.

მოხერხდებოდა თუ არა აქ "დუკანის" დაზიანებული ნაწილების შეკეთება? ჯონ მანგლსმა ამის გამოსაკვლევად ჩაუშვა მყვინთავები ხომალდის ბოლოზე. გამოირკვა, რომ ხრახნის ერთი ფრთა გაღუნულიყო და სიგრძის კოჭს მისჭედებოდა, რის გამოც ხრახნი ვეღარ ტრიალდებოდა. ადელაიდაში ამის შეკეთება არ მოხერხდებოდა.

გლენარვანმა და ჯონ მანგლსმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, იალქნების ამარა გაჰყოლოდნენ სანაპიროს, გზადაგზა "ბრიტანიის" კვალიც ეძებნათ; ბერნუილის კონცხთან შეჩერებულიყვნენ, ცნობები შეეკრიბათ და იქიდან პირდაპირ წასულიყვნენ მელბურნისაკენ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა "დუკანის" საფუძვლიანად შეკეთება. იქიდან გასვლის შემდეგ "დუკანი" მოივლიდა ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროს და კაპიტან გრანტის ძებნაც ამით დასრულდებოდა.

ეს წინადადება ყველამ მოიწონა. ჯონ მანგლსი ახლა ზურგის ქარის მოლოდინში იყო. გრიგალი სავსებით მიყუჩდა და საღამო ხანს დასავლეთის ქარმა დაჰბერა, რაც ხელს უწყობდა გამგზავრებას. ღუზის ამოღებას შეუდგნენ, ახალი იალქნები გაბერეს, დილის ოთხ საათზე მეზღვაურებმა ღუზები ოწინარით ამოათრიეს. იალქნებგაშლილი "დუკანი" სრიალით გაჰყვა ავსტრალიის სანაპიროს.

ორი საათის შემდეგ თვალს მიეფარა კატასტროფების კონცხი და ხომალდი ინვესტიგეიტორის სრუტის ტრავერსზე იმყოფებოდა. იმ საღამოს ბორდოს კონცხს შემოუარეს, რამდენიმე კაბელტოვზე გაუარეს კენგურუს კუნძულს. ავსტრალიის წვრილ კუნძულებს შორის კენგურუს კუნძული ყველაზე მოზრდილია და გამოქცეული კატორღელების ბუნაგად არის გადაქცეული. მშვენიერი სანახავია მისი უშველებელი მწვანე მინდვრები, რომლებიც სანაპიროს კლდეებისაკენ ეშვებიან. მის ტყვეებსა და ველებზე უთვალავი ჯოგი დაქროდა.

მეორე დღეს გლენარვანმა გასცა განკარგულება, კანჯოებით გარშემოევლოთ კუნძულისათვის და გამოეკვლიათ. მართალია, კუნძული 36° განედზე მდებარეობს, გლენარვანს მაინც არ უნდოდა გამოუკვლევად დაეტოვებინა მიწის არც ერთი ნაკვეთი 36°-სა და 38°-ს შორის.

18 დეკემბერს, დღისით, "დუკანი" ყველა აფრააშვებული მიჰყვებოდა სანაპიროს, როგორც ნამდვილი კლიპერი გემი და ახლოს ჩაუარა ენკაუნტერის ყურის ნაპირებს. სამხრეთ ავსტრალიაში უდიდესი მდინარე მუერეის აღმოჩენის შემდეგ, 1828 წელს, აქ მოგზაური შტურტი მოხვდა, მაგრამ ამ ყურის ნაპირები სულაც არ ჩამოჰგავდა კენგურუს კუნძულის მცენარეულით უხვად მოფენილ ნაპირებს. პირიქით, ირგვლივ სიცარიელე, სიშიშვლე და რუხი ფერი გაბატონებულიყო.

დიდი ჯაფა დაადგა "დუკანის" კანჯოებს, მაგრამ მეზღვაურები უკმაყოფილებას არ გამოთქვამდნენ.

სანაპიროების დათვალიერებაში გლენარვანი თითქმის ყოველთვის მოანწილეობდა, მასთან ერთად პაგანელი და რობერტიც იყვნენ. უნდოდათ საკუთარი თვალით ეხილათ "ბრიტანიის" რაიმე კვალი, მაგრამ ავსტრალიის ეს ნაპირებიც ისევ დუმდა, კაპიტან გრანტის ხვედრის შესახებ, როგორც პატაგონია. მოგზაურები მაინც გულს არ იტეხდნენ, რადგან ბარათებში ზუსტად დასახელებული ადგილი ჯერ არ ეპოვათ. მიუხედავად ამისა, ყველგან ეძებდნენ ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში.

ღამღამობით "დუნკანი" დრეიფეობდა, რათა რაც შეიძლება ნაკლებ მოშორებოდა იმ ადგილს, სადაც საღამოს მოუსრებდა, დღისით კი ნაპირებს იკვლევდნენ.

"დუკანმა" ამგვარი ცურვით ისე მიაღწია ბერნუილის კონცხს, რომ "ბრიტანიის" კვალს ვერსად წააწყდა, მაგრამ მხედველობაში იყო მისაღები ის გრემოება, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, რომელიც "ბრიტანიის" დაღუპვის შემდეგ გასულიყო, ზღვა ადვილად შთანთქავდა სამანძიანი ხომალდის კვალსაც კი; მეორე - აქაურებ, როგორც კრავიჭამია არწივი ლეშს, ალღოთი მიაგნებენ ხოლმე დაღუპულ ხომალდს და ხომალდის ნაშთს მთად გაზიდავენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხომალდის დაღუპვისთანვე ნაპირზე გადასული კაპიტანი გრანტი და მისი თანამგზავრები უეჭველად ტყვედ წაიყვანეს ქვეყნის

შუაგულისაკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ მართლდებოდა ჟაკ პაგანელის ერთ-ერთი მოსაზრება.

სანამ არგენტინაზე იყო ლაპარაკი, გეოგრაფს საფუძვლიანად შეეძლო ეფიქრა, რომ ბარათებში აღნიშნული ციფრები გამოხატავადა არა კატასტროფის ადგილს, არამედ ტყვეობისას. მართლაცდა, პამპის დიდ მდინარეებს შეეძლოთ ზღვაში ჩამოეტანათ ბარათებიანი ბოთლი, მაგრამ აქ, ავსტრალიის ამ ნაწილში, ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გადამკვეთი მდინარეები არც ისე ბევრია და გარდა ამისა, რიო-კოლორადო და რიო ნეგრო უდაბურ ველებზე მიედინებიან და ზღვას ერთვიან, ავსტრალიის უმთავრესი მდინარეები კი - მურეი, იარა, ტორენსი და დარლინგი ან ერთიმეორეს ერთვიან, ან ოკეანეში ჩაედინებიან ისეთი ყურეების საშუალებით, სადაც მუდმივ მიმოსვლა ან ნაოსნობაა. ძნელი წარმოსადგენია, მყიფე ბოთლი ამ მდინარეებს ჩამოეტანოს და მთელი ჩაებარებინოს ინდოეთის ოკეანისათვის.

დაკვირვებულ ადამიანს არ შეიძლებოდა, თვალში არ სცემოდა ამისი შეუძლებლობა. როდესაც მაიორმა ეს საკითხი წამოჭრა და მისმა თანამგზავრებმა განიხილეს, პაგანელმა აღიარა თავისი შეცდომა. აშკარა გახდა, რომ ბარათში აღნიშნული ციფრი უჩვენებდა კატასტროაფის ადგილს, სადაც შეიძლებოდა ბოთლის გადაგდება ზღვაში, ეს იგი ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროს, მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნა გლენარვანმა, გარემოება არ აბათილებდა კაპიტან გრანტის დატყვევების შესაძლებლობას. ამის საფუძველს იძლეოდა ბარათში ნათქვამი სიტყვები: "სადაც ისინი ტყვედ ჩაუცვივდებიან სასტიკ მცხოვრებთ". ყოველ შემთხვევაში, ტყვეები მხოლოდ ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე კი არ უნდა ეძებნათ, არამედ სხვა პარალელებზედაც.

დიდხანს ითათბირეს და ბოლოს, გადაწყვიტეს: თუ ბერნუილის კონცხთანაც ვერ მივაგენით "ბრიტანიის" კვალს, მაშინვე ევროპაში გავბრუნდეთო. სანუგეშოდ ისღა დარჩენოდათ, რომ კეთილსინდისიერად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, თუმცა უშედეგოდ.

ამ გადაწყვეტილებამ ყველა საშინლად დააღონა, განსაკუთრებით კი რობერტი და მერი გრანტი, ისინი გულის კანკალით გადადიოდნენ ნაპირზე. რადგან მათი ბედი აქ უნდა გადაწყვეტილიყო. პაგანელმა ხომ დაამტკიცა, გრანტის ხომალდი აღმოსავლეთ სანაპიროზე რომ დაღუპულიყო, კაპიტანი და მისი თანმხლებნი დიდი ხნის წინ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში.

- იმედიანად იყავით! ღმერთი არ გაგვწირავს! - მალიმალ უმეორებდა ელენი მერი გრანტს.

ნავი პატარა ყურეს მიადგა, მარჯნის ორ კლდეს შუა. ალბათ, ეს მარჯნის კლდეები ოდესმე რგოლივით შემორტყმიან მთელ სამხრეთ ავსტრალიას, მაგრამ ახლანდელ მდგომარეობაშიც ადვილად დაამსხვრევდნენ "ბრიტანიას"

"დუკანის" კაპიტანი და მგზავრები იოლად გადავიდნენ სრულიდ უდაბურ, უკაცრიელ ნაპირზე, რომელსაც ოცი-ოცდაათი მეტრის სიმაღლის ფრიალო კლდეები გასდევდა. მათი გადავლა უკიბოდ ძალიან ძნელი იყო. საბედნიეროდ, ნახევარი მილის მოშორებით ჯონ მანგლსმა მიაგნო გადასასვლელ ადგილს. ეს იყო ავდრებისაგან ჩამონგრეული კლდე, როდესაც ზღვა მედგრად ღელავს და კლდეებს გააფთრებით ეხეთეა, ღრღნის ანგრევს ხოლმე ტუფის კლდეებს. გლენარვანი და მისი თანამგზავრები მიჰყვნენ ნაპრალს და მალე კლდის თავზე მოექცნენ. რობერტი კატასავით მიცოცავდა ფრიალო კლდეზე და ყველაზე უწინ მოექცა თავში. პაგანელს აწუხებდა, რომ თავისი გრძელი კანჭებით უძლური იყო თორმეტი წლის ბავშვს მიჰყოლოდა, სამაგიეროდ, აუჩქარებელ მაიორს ცოტათი გაასწრო, რაც მაიორისათვის სულერთი იყო.

- წისქვილი! - შესძახა რობერტმა.

მართლაც, ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით ჰაერში ტრიალებდა ქარის წისქვილის ფრთები.

- მართლა წისქვილი ყოფილა! - დაუმოწმა პაგანელმა, როდესაც ჭოგრით გახედა იმ მხარეს, - აი, მარტივი, უბრალო და სასარგებლო ნაგებობა! ამის დანახვა აღტაცებას მგვრის!

- წავიდეთ წისქვილისკენ! - თქვა გლენარვანმა.

ყველანი იქით გაეშურნენ. ნახევარი საათის სიარულის შემდეგ მიდამომ სულ სხვა იერი მიიღო, აქაურობას ადამიანის ხელი დასტყობოდა. უდაბური, ვერანა ადგილები ერთბაშად შეცვალა დამუშავებულმა მიდამოებმა. ჯაგნარის ნაცვლად კარგად დამუშავებული, ღობეშემოვლებული მინდორი გდაიშალა. ექვსიოდე ცხენი და რამდენიმე ხარი ძოვდნენ მინდორზე, რომელიც კენგურუს კუნძულიდან გადმონერგილი მსხვილი აკაციის ხეებით იყო შემოფარგლული. თანდათან გამოჩნდა პურის ყანით დაფარული მინდვრების ყვითელი თავთავები, აქა-იქ უზარმაზარი სკებივის ამართული თივის ზვინები. ღობის შიგნით ბოსტანი და მშვენიერი ბაღი გაეშენებინათ, სადაც სასარგებლო და სასიამოვნო მცენარეები ერთმანეთში იყო შეზავებული. ამათ მოსდევდა მეურნეობისათვის საჭირო შენობები და ბოლოს, სადა, მყდუდრო საცხოვრებელი სახლი, რომელზეც მხიარულად ამართულიყო ქარის წისქვილი თავისი წვეტიანი სახურავით.

ძაღლების ყეფაზე სახლიდან ორმოცდაათიოდე წლის მხიარული სახის კაცი გამოვიდა. მას ხუთი ჯანსაღი და ლამაზი ვაჟი მოსდევდა, ალბათ, მისი შვილები, და მაღალ-მაღალი ჯონ-ღონით სავსე ქალი, მათი დედა. შეუმცდარად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ამ ახალ შენობაში და დამუშავებულ მინდვრებზე ბინადრობდა ნამდვილი ირლანდიელი კოლონისტი, რომელიც სამშობლოში მძიმე ცხოვრებით შეწუხებული ბედის საძიებლად ზღვისგაღმა გახიზნულიყო.

გლენარვანმა და მისმა თანამგზავრებმა გაცნობა ვერ მოასწრეს, რადგან კაცმა სიტყვა შემოაგებათ:

- უცხოელებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება პადი ო´მურის სახლში!

- ირლანდიელი ყოფილხართ, - უთხრა გლენარვანმა ხელის ჩამორთმევისას.

- ოდესღაც გახლდით! ახლა კი ავსტალიელი გახლავართ, -მიუგო მან, - ვინც უნდა ბრძანდებოდეთ, მობრძანდით როგორც თქვენს საკუთარ სახლში!

სტუმრებმაც სიამოვნებით ისარგებლეს გულითადი მიპატიჟებით. ელენი და მერი გრანტი ო´მურის მეუღლემ შეიპატიჟა სახლში, მისმა ვაჟებმა კი იარაღი ჩამოართვეს სტუმრებს.

ქვედა სართული, რომელიც მუხის მორებისაგან იყო ნაგები, ნათელსა და გრილ დარბაზს წამოადგენდა. ავეჯი სავსებით შეეფერებოდა ამ მკვიდრად ნაგებ სახლსა და წარმოსადეგ ვაჟკაცებს, ეს იყო ღიაფრად შეღებილი და კედლის გასწვირვ გრძელი მერხებით შემომწკრივებული დარბაზი, სადაც იდგა ათიოდე უზურგო სკამი, ორი მუხის კარადა, თეთრი ქაშანურის ჭურჭლითა და თეთრი თუნუქის თეფშებით, ასევე, გრძელი და განიერი მაგიდა, რომლის გარშემოც იოლად მოთავსდებოდა ოცი კაცი.

სუფრა გაშლილი იყო. როსტბიფსა და შემწვარი ბატკნის შუა დადგმულ წვნიან მათლაფას ოხშივარი ასდიოდა. მაგიდაზე ეწყო თეფშები, რომლებზეც ზეთისხილი, ყურძენი და ფორთოხალი დაეწყოთ. ყველაფერი გულუხვად იყო. სახლის უფროსი და დიასახლისი ისეთი სტუმართმოყვარენი გამოდგნენ, სუფრა ისეთი დიდებული, ისეთი გემრიელი და მადისამშლელი კერძით იყო სავსე, რომ შემოთავაზებულზე უარს ვერ იტყოდით.

მაგიდას შემოუსხდნენ ფერმის მუშებიც სახლის პატრონთან ერთად პადი ო´მურმა სტუმრებს ხელით შესთავაზა ადგილები.

- თქვენ გელოდებით, - უთხრა მან გლენარვანს.

- ჩვენ? - კითხვა შეუბრუნა განცვიფრებუილმა გელენარვანმა.

- დიახ, მე ყოველთვის ველი შემოსწრებულ სტუმარს, - მიუგო ინდიელმა.

სუფრასთან საუბარი გაიბა. შოტლანდიელსა და ირნალდიელს შორის მხოლოდ ერთი ნაბიჯია. მდინარე ტვიდს, რომლის სიგანე მხოლოდ რამდენიმე მეტრია, უფრო დიდი უფსკრული გაუთხრია ინგლისსა და შოტლანდიას შორის, ვიდრე ირლანდიის ოთხმოცკილომეტრიან სრუტეს, რომლითაც ძველი კალედონია დაშორებულია ამწვნებული ერინისაგან.

პადი ო´მურმაც უამბო სტუმრებს თავისი თავგადავასალი. ეს იყო ჩვეულებრივი ამბავი ემიგრანტისა, რომელსაც გაჭირვება მიერეკება სამშობლოდან, თუმცა ბევრი მათგანი შორეულ ქვეყნებშიც ბედნიერების ნაცვლად მხოლოდ მწუარებასა და გასაჭირს პოულობს. მხოლოდ შრომისმოყვარე, გაბედული და ფხიზელი აღწევს წარმატებას. პადი ო´მურიც ასეთი ადამიანი იყო. მან მიატოვა დუნკანი, სადაც ოჯახი შიმშილით უკვდებოდა. დედაბუდიანად ავსტრალიისაკენ გამოემართა და ადელაიდაში ჩამოვიდა. აქ მაღაროში მუშაობა არ ისურვა და ისევ ძველ ხელობას მიჰყო ხელი, ესე იგი, მიწათმოქმედებას. ორი თვის შემდეგ ჰქონდა საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელიც, ახლა უკვე აყვავებული, თავისი თვალით იხილეს მოგზაურებმა.

სამხრეთ ავსტრალიის მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო ოთხმოცარკიან ნაკვეთებად, თითოეულ ნაკვეთს მთავრობა უსასყიდლოდ ურიგებდა გადმოსახლებულთ, რომ ქვეყანა სწრაფად დასახლებულიყო. მიწის ფართობს შრომისმოვარე ფერმერების არა მარტო უზრუნველყოფა შეეძლო, არამედ დანაზოგის გკეთების საშუალებასაც აძლევდა.

პადი ო´მურმა იცოდა ეს. მთელი ოჯახით დაუზარებლად მუშაობდა თავის მიწაზე და ოჯახიც ისე აყვავდა, როგორც მისი სამფლობელო. ირლანდიელი გლეხი მიწის მფლობელად იქცა. ახლა მას ჰქონდა მიწა, რომელიც შრომისმოყვარეობამ ნაყოფიერად აქცია, და ჰყავდა ხუთასი სული მსხვილფეხა საქონელი. ირლანდიელი მემამულის გუშინდელი მონა დღეს თავისუფალი მოქალაქე იყო.

მისი თავგადასავლის მოსმენის შემდეგ მოგზაურებმა გულწრფელად მიულოცეს მასპინძლეს წარმატება. რა თქმა უნდა, პადი ო´მური ელოდა, რომ მგზავრებიც გულახდილად უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს, თუმცა თვითონ ერიდობოდა გამოკითხვა, რადგანაც იმ ადამიანთაგანი იყო, რომელიც გეუბნებოდათ: აი, მე ესა და ეს გახლავართ, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით, არ შეგეკითხებითო.

გლენარვანს უნდოდა ეამბნა მისთვის "დუკანის" ამბავი, ბერნუილზე მათი მოსვლის მიზეზი, მაგრამ უცებ პირდაპირ გადავიდა უმთავრეს საგანზე და ჰკითხა პადი ო´მურს, ხომ არაფერი გსმენიათ "ბრიტანიის" დაღუპვის შესახებო. ირლანდიელმა უპასუხა: არაო, ხომალდის სახელიც პირველად მესმის, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ სანაპიროებზე არც ერთი ხომალდი არ დაღუპულა, არც კონცხის ჩრდილოეთით და არც დასავლეთით. ასე რომ, ცხადია, კაპიტნ გრანტს და მის თანამგზავრებს ამ დასავლეთის სანაპიროზე ვერაფერი გამორიყავდაო. ბოლოს გლენარვანს მიუბრუნდა:

- სერ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რატომ მეკითხებით?

და გლენარვანმაც უამბო ბარათების პოვნის ამბავი. უთხრა კაპიტან გრანტის საძებნელად ჩემი მეგობრებით გამოვემგზავრე, მაგრამ ახლა, თქვენი განცხადების შემდეგ, იმედი დავკარგე და სასოწარკვეთილი ვარ, რომ ვეღრ მივაგენი დაღუპული ხომალდიდან გადარჩენილ მგზავრების კვალსო.

ადვილი წარმოსადგენია, რ გავლენას მოახდენდა გლენარვანის სიტყვები მსმენელებზე. მერი და რობერტი ცრემლმორეულნი უსმენდნენ. პაგანელსაც ვერ ეპოვა შესაფერი სიტყვები, ჯონ მანგლსიც გამოუთქმელი მწუხარებას მისცემოდა. სასოწარკვეთილებას მოეცვა ყველას გული, ვინც "დუნკანს" მოეყვანა ამ შორეულ სანაპიროზე...

ამ დროს მოულოდნელად გაისმა:

- სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, სერ, თუ კაპიტანი გრანტი ცოცხალია, ის ავსტრალიაში უნდა იყოს!

თავი VII

აირტონი

აუწერელი განცვიფრება გამოიწვია ამ სიტყვებმა. გლენარვანი ისეთი სისწრაფით წამოიჭრა, რომ სკამი წააქცია.

- ვინ თქვა? - შესძახა მან.

- მე ვთქვი! - მიუგო პადი ო´მურის მუშამ, რომელიც მაგიდის ბოლოში იჯდა.

- აიროტონ, შენ? - გაიოცა კოლონისტმაც.

- დიახ, მე, - გაიმეორა აირტონმა მღელვარე, მაგრამ მტკიცე ხმით, - მეც შოტლანდიელი გახლავართ და "ბრიტანიიდან" გადარჩენილთაგანი.

ყველანი დუმდნენ. მერი გრანტი მღელვარებისაგან გულწასულივით მიესვენა ელენეს მკერდზე. ჯონ მანგლსი, რობერტი, პაგანელი წამოცვივდნენ და მუშას შემოეხვივნენ.

ეს იყო ორმოცდახუთი წლის მკაცრი გამომეტყველების კაცი; თვალებზე ხშირი წარბები რკალივით გადმოჰფარებოდა. მართალია, ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ დიდი ღონის პატრონი ჩანდა. ცარიელი ძვლები და კუნთები, როგორც შოტლანდიელები იტყვიან, ქონის მისაკრვად არ მომცდარიყო; საშუალო ტანის, მხრბეჭიანი იყო, ენერგიული და საზრიანი სახე ჰქონდა, რომლის პირქუში გამომეტყველება ერთგვარ მომხიბლაობასაც სძენდა, მით უმეტეს, ზედ ტანჯვის ბეჭედი ეტყობოდა; ბევრი ტანჯვა გამოევლო, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, თითქოს არა მარტო ყველანაირი ტანჯვის ატანა, არამედ მასთან შებრძოლებაც და გამარჯვებაც შეეძლო.

გლენარვანმა და მისმ მეგობრებმა მისი დანახვისთანავე იგრძნეს, რომ აირტონმა ძალაუნებურად მათი ნდობა დაიმსახურა.

- თქვენ "ბრიტანიიდან" ხართ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- დიახ, სერ, მე კაპიტან გრანტის ბოცმანი გახლდით.

- თქვენ მასთან ერთად გადარჩით?

- არა, სერ, არა. იმ საშინელ წუთებში ტალღამ გემბანიდან გადამისროლა და ნაპირისკენ წამიღო.

- მაშ, თქვენ არ ყოფილხართ იმ ორ მეზღვაურთაგანი, რომელთა შესახებ ბარათები გვამცნობს?

- არა, მე არაფერი ვიცი ბარათების შესახებ. ალბათ, ისინი კაპითანმა ზღვაში მაშინ ჩაყარა, როცა მე გემზე ვიყავი.

- მაგრამ კაპიტანი?

- მეგონა, ის და "ბრიტანიის" ეკიპაჟი დაიღუპნენ და მხოლოდ მე გადავრჩი.

- მაგრამ თქვენ ხომ თქვით, კაპიტანი ცოცხალიაო...

- არა, მე მხოლოდ ის მოგახსენეთ, თუ კაპიტანი ცოცხალია-მეთქი.

- მერე კი დასძინეთ, "ის ავსტრალიაში უნდა იყოს".

- დიახ, ის შეიძლება იყოს მხოლოდ აქ.

- მაშასადამე, თქვენ არ გცოდნიათ სად არის?

- არა, სერ. გიმეორებთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ დაიხრჩო, ან კლდეებზე დაიმსხვრა... პირევლად თქვენგან მესმის, რომ ის შეიძლება ცოცხალი იყოს.

- კიდევ რა იცით?

- მხოლოდ ის, რაც უკვე მოგახსენეთ, რომ თუ კაპიტანი ცოცხალია, ავსტრალიაში უნდა იყოს!

- რა ადგილას დაიღუპა ხომალდი? - ჰკითხა მაიორმა მაკ-ნაბსმა.

ეს კითხვა თავიდანვე უნდა მიეცათ, მაგრამ აღელვებული გლენარვანი ცდილობდა, გაეგო, ცოცხალია თუ არა კაპიტანი გრანტი და სხვა ვერაფერი მოისაზრა. იმ წუთიდან, რაც მაიორი ჩაერია, აირტონის დაკითხვამ, რაც მანამდე აბდაუბდად და ულოგიკოდ მიმდინარეობდა, თანმიმდევრული ხასიათი მიიღო.

- მე რიფს ვხსნიდი ფოკიდან, როდესაც ტალღამ ზღვაში გადამტყორცნა. "ბრიტანია" იმ დროს ორი კაბელტოვის მანძილზე იქნებოდა ავსტრალიის სანაპიროდან. ალბათ, ხომალდი იქ თუ დაიღუპა.

- ოცდამეჩვიდმეტე განედზე? - ჰკითხა ჯონ მანგლსმა.

- დიახ, ოცდამეჩვიდმეტეზე, - დაუდასტურა აირტონმა.

- დასავლეთ სანაპიროზე?

- არა, აღმოსავლეთის! - სწრაფად მიუგო ბოცმანმა.

- ეგ როდის მოხდა?

- 1862 წლის 27 ივნისის ღამეს...

- სწორედ ასეა!... - წამოიძახა გლენარვანმა.

- ხომ ხედავთ, სერ, სრული საფუძველი მქონდა მეთქვა, რომ თუ კაპიტანი გრანტი ცოცხალია, ის მხოლოდ ავსტრალიის კონტინენტზე უნდა მოიძებნოს და სხვაგან არსად!

- ჩვენ მოვნახავთ, ვიპოვით და გადავარჩენთ კიდეც კაპიტანს, მეგობრებო! - შესძახა პაგანელმა, - ძვირფასო ბარათებო, თქვენ გამჭრიახი ხალხის ხელში მოხვდით! - გულუბრყვილოდ შესძახა გეოგრაფმა, მაგრამ მისი ბაქიაობა არავის გაუგონია.

გლენარვანი, ელენი, რობერტი და მერი აირტონს შემოხვეოდნენ და ხელს ართმევდნენ. თითქოს ამ კაცის აქ ყოფნა კაპიტან გრანტის გადარჩენის უტყუარი თავდები იყო. და მართლაც, თუკი ეს მეზღვაური გადარჩა, რატომ კაპიტანი გრანტი არ უნდა გადარჩენილიყო? აირტონიც ხალისიანად იმეორებდა, ალბათ, კაპიტანი გრანტიც ცოცხალიაო. სახელდობრ, სად არის გრნტი, აირტონი ვერ ასახელებდა, მაგრამ ავსტრალიის კონტინენტზე კი არისო. ათასნაირი კითხვა მიაყარეს დ ისიც გონიერ და გარკვეულ პასუხებს იძლეოდა. ლაპარაკის დროს მერი გრანტი მის ხელს ხელიდან არ უშვებდა, ის ხომ მისი მამის ამხანაგი იყო, "ბრიტანიის" მეზღვაური! მას გრანტთან ერთად უცხოვრია, მასთან ერთად განუცდია საფრთხე, მასთან ერთად უმოგზაურია ერთსა და იმავე ზღვებზე! მერის თვალი ვეღარ მოეწყვიტა აირტონის სასტიკი სახისათვის და სიხარულის ცრემლები სდიოდა.

არავინ დაეჭვებულა აირტონის სიტყვების სიმართლესა და მის კეთლისინდისიერებაში. მხოლოდ მაიორსა და, ალბათ, ჯონ მანგლსსაც, რომელნიც ნაკლებაღტაცებული იყვნენ, თითქოს გული ეთანაღრებოდათ, სანდო იყო თუ არა აირტონის სიტყვები. ეს მოულოდნელი შეხედრა ეჭვის აღმძღვრელი იყო. მართალია, აირტონმა ისეთი ფაქტები და თარიღები დაასახელა, რომლებიც სავსებით ეთანხმებოდა ბარათებში აღნიშნულს და გასაოცარი წვრილმანებით აღწერდა ამბებს, მაგრამ ეს უტყუარ საბუთად ვერ ჩაითვლებოდა. საზოგადოდ, შემჩნეულია, რომ სიცრუე, ჩვეულებრივ, დასაჯერებელ წვრილმანებს ემყარება. მაიორი მაკ-ნაბსი ასეთივე აზრისა დარჩა. თუმცა არაფერი უთქვამს. თვით ჯონ მანგლსის ეჭვიანობამაც კი ვერ გაუძლო აირტონის დამაჯერებელ ლაპარაკს. მან ნამდვილად ირწმუნა, რომ ის მართლაც კაპიტანი გრანტის ამხანაგია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოისმინა აირტონის საუბარი მერი გრანტთან. აირტონს კარგად ახსოვდა მერიც და რობერტიც. ისინი ნანახი ჰყავდა გლაზგოში, "ბრიტანიის" გამგზავრების წინ. ყოფილმა ბოცმანმა გაიხსენა, რომ ისინი დაესწრნენ ხომალდზე მოწყობილ გამოსათხოვარ საუზმეს, რომელიც კაპიტანმა გრანტმა მეგობრებს გაუმართა. საუზმეს ქალაქის შერიფიც დაესწრო. რობერზე ზრუნვა ბოცმან დიკ ტერნერს ჰქონდა დავალებული. მაშინ რობერტი ათი წლისა იყო, ხელიდან გაუსხლტათ და ხარიხაზე აცოცდა.

- მართალია, მე მახსოვს! - წამოიძახა რობერტმა.

აირტონი წვრილმანებს ისე იხსენებდა, თითქოს მას არავითარი ყურადღებს არ აქცევსო, მაგრამ ჯონ მანგლსს ეს ფაქტები დამაჯერებლად მიაჩნდა, როდესაც აირტონი შეჩერდებოდა, მერი ემუდარებოდა:

- ბატონო აირტონ, კიდევ გვითხარით რაიმე ჩვენს მამაზე.

აირტონიც, რაც კი შეეძლო, ცდილობდა, დაეკმაყოფილებინა ახალგაზრდა ქალის სურვილი. გლენარვანს ბევრი სერიოზული და მნიშვნელოვანი შეკითხვა ჰქონდა, მაგრამ ბოცმანს სიტყვა ვერ გააწვყეტინა. მით უმეტეს, რომ ელენი მალიმალ ანიშნებდა მას მერიზე, რომელიც სიხარულისაგან ღელავდა.

აირტონი "ბრიტანიის" ამბავსაც, მის წყნარ ოკეანეში ცურვის ისტორიასაც მოჰყვა. ამ მოგზაურობის შესხებ მერი გრანტმა ცოტა რამ იცოდა, რადგან მამამისის წერილები მხოლოდ 1862 წლის მაისში შეწყდა. "ბრიტანიით" ჰარი გრანტს ერთი წლის განმავლობში შემოევლო ოკეანის უმთავრესი კუნძულები: ახალი ჰებრიდები, ახალი გვინეა, ახალი ზელანდია და ახალი კალედონია. ყველგან დაბრკოლება ხვდებოდა ინგლისელი

ხელისუფლებისაგან, რადგან საკუთარების უფლება აქ ჯერ განსაზღვრული არ იყო და "ბრიტანიასაც" ალმაცერად უყურებდნენ. მიუხედაად ამისა, კაპიტანმა გრანტმა მაინც შეათვალიერა შესაფერი ადგილი ახალი გვინეის კუნძულის დასავლეთ სანპიროზე, სადაც ადვილად შეიძლებოდა შოტლანდიის ახალშენის დაარსება და მისი წარმატება მომავალში. მართლაც, მოლუკსა და ფილიპინებს შორის რიგიანი ნავსადგური მიიზიდავდა ხომალდებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სუეციის არხს გაივყანდნენ, რომელიც გზას აუქმებდა კეთილი იმედის კონცხის შEმოვლით. ჰარი გრანტიიმ ინგლისელთაგანი იყო, რომელიც ლესეპსის ჯგუფს ეკუთვნოდნენ და მსოფლიო მნიშვნელობის საქმეს პოლიტკურ დაბრკოლებას არ შეუქმნიდნენ.

ახალი გინეის გამოკვლევის შემდეგ "ბრიტანია" კალიაოსაკენ გაემართა სურსათ-სანოვაგისა და საწვავის მოსამარაგებლად და 1862 წლის 29 მაისს გამოვიდა იმ ნავსადგურიდან, რათა ინდოეთის ოკეანის გზით შემოევლო კეთილი იმედის კონცხისათვის და ევროპაში დაბრუნებულიყო. ზღვაში გასვლიდან სამი კვირის შემდეგ საშინელი გრიგალი ამოვარდა, რომელმაც ანძები დალეწა და ხომალდი გადააბრუნა. იძულებული გახდნენ, ანძები სულ ძირამდე გაეჭიმათ. წყალმა დენა იწყო ხომალდში, ეკიპაჟი წელში გაწყდა, მაგრამ დენა ვერ შეაჩერა. ტუმბოებით ვერაფერი გააწყვეს. რვა დღის განმავლოაში "ბრიტანია" გრიგალმა სათამაშოდ გაიხადა, შიგ წყალი შედიოდა, ხომალდი თანდათანობით იძირებოდა. კანჯოებიც ქარტეხილმა გაიტაცა. დაღუპვა გარდაუვალი იყო.

27 ივნისს ავსტრალიის სანაპირო გამოჩნდა, როგორც სწორედ მიხვდა პაგანელი, ხომალდი ნაპირისაკენ გაექანა. საშინელი დაჯახება გაისმა. აირტონი სწორედ ამ დროს მოწყდა ხომალდს და ტალღამ ნაპირზე გატყორცნა. როდესაც გონზე მოვიდა, ავსტრალიელების ხელში იყო, რომლებმაც ქვეყნის შუაგულისაკენ წაიყვანეს. მას შემდეგ აირტონს არაფერი სმენია "ბრიტანიაზე". სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ხომალდი თავისი ტვირთითა და ეკიპაჟით დაიღუპა ტუფოლდის ყურის წყალქვეშა კლდეებზე. ამით დაასრულა მან კაპიტან გრანტის ამბავი, რომლის დროსაც მსმენელებს მალიმალ მწარე კვნესა აღმოხდებოდათ ხოლმე. სკეპტიციზმის მიუხედავად, მაიორმაც კი სიმართლედ მიიჩნია მისი ნაამბობი "ბრიტანიის" ისტორიის შესახებ. საინტერესო იყო თვით აირტონის თავგადასავალიც. ამიტომ სთხოვეს, ეამბნა, ნაამბობი მოკლე იყო და მარტივი.

ხომალდის დაღუპვის შემდეგ ის ადგილობრივ მცხოვრებთ ჩაუვარდა ტყვედ. იმ მხარეს წაიყვანეს, სადაც მდინარე დარლინგი ჩამოდის. ეს კუთხე ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობს, ოთხას მილზე, ჩრდილოეთით. იქ ყოფილ ბოცმანს პირველყოფილ პირობებში აცხოვრებდნენ, რადგან ტომი მეტად ველური იყო, მაგრამ არა ულმობელი. ორ წელიწადს მონობის მძიმე უღელი უტარებია აირტონს. თავის დაღწევის განზრახა მუდამ ჰქონია, მაგრამ შესაფერისი შემთხვეა არ მისცემია და სახიფათოც ყოფილა. ბოლოს, 1864 წლის ოქტეომბერში, ადგილობრვი მოსახლეობა მოუტყუებია და უღრან ტყეში მიმალულა. ერთ თვეს უხეტიალია უდაბურ და გაუვალ ტევრებში, ხის ფესვები და მიმოზის ნაყოფი უჭამია, დღისით მზის მიხედვით უვლია, ღამღამობით კი ვარსკვლავების ხშირად ქანცგაწყვეტილი და სასომიხდილი გდებულა მიწაზე. ბოლოს, შიმშილისაგან მილასლასებული, გაბეგვილ-დაჟეჟილი წასწყდომია პადი ო´მურის ფერმას, სადაც მალე შინაური გამხდარა.

როდესაც აირტონმა თავისი ამბავი დაამთავრა, ირლანდიელმა კოლონისტმა თქვა:

- თუ აირტონი კმაყოფილია, მე მით უმეტეს, მასზე კარგის მეტი არა მეთქმის რა: გონიერი კაცია, მამაცი, ჩინებული მუშა და თუ აქაურობა მოისწონს, როდემდეც სურს პადი ო´მურის სახლი საკუთარ სახლად უნდა მიაჩნდეს!

აირტონმა მადლობა ხელის დაქნევით ანიშნა და ახალი კითხვების მოლოდინში იყო, თუმცა ფიქრობდა, რომ მსნენელების ცნობისმოყვარეობა უკვე დააკმაყოფილა. კიდევ რა შეკითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა? თითქმის ყველა სკითხი ამოწურა.

ის იყო, გლენარვანმა აირტონის ნაამბობის მიხედვით ახალი ექსპედიციის გეგმის დაწყობა გადაწყვიტა, რომ მაიორმა მეზღვაურს ჰკითხა:

- თქვან ამბობთ, ბოცმანად ვიყავი "ბრიტანიაზეო"?

- დიახ, - უყოყმანოდ მიუგო აიროტნმა, მაგრამ მიხვდა, მაიორის კითხვა გამოწვეული იყო ეჭვიანობით, ან უნდობლობით და მაშინვე დაუმატა, - საბუთიც მაქვს "ბრიტანიაზე" სამსახურის შესახებ, - და აირტონი დარბაზიდან გავიდა მეზღვაურის წიგნაკის მოსატანად. მის მოსვლამდე პადი ო´მურმა სტუმრებს უთხრა:

- აირტონი პატიოსანი კაცია. ეს ორი თვეა ჩემთან მუშაობს და ვერაფერში დავემდურები. მე ვიცოდი ხომალდის დაღუპვისა და მისი ტყვეობის ისტორია: ალალ-მართალი კაცია, შეგიძლიათ, ენდოთ.

გლენარვანს უნდოდა ეთქვა, აიროტნის პატიოსნებაში ეჭვი არც შეგვიტანიაო, მაგრამ ამ დროს აიროტინიც დაბრუნდა. მან მოიტანა ქაღალდი, რომელსაც დასმული ჰქონდა "ბრიტანიის" ბეჭედი და ხელს აწერდა თვით კაპიტანი გრანტი. მასში ნათქვამი იყო, რომ ტომ აირტონი, პირველი კლასის მეზღვაური, დაქირავებულია ბოცმანად სამანძიან ხომალდ "ბრიტანიაზე", გლაზგოში. ამგვარად, აირტონის პიროვნების შესხებ ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა, რადგან წარმოუდგენელი იყო, ეფიქრათ, რომ წიგნაკი მისი კი არ იყო, შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ. მერე გლენარვანი თანამგზავრებს მიუბრუნდა:

- ახლა კი გთხოვთ, ავწონ-დავწონოთ, როგორ მოვიქცეთ. აირტონ, თქვენი აზრი ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი იქნება და უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი მოსაზრება გაგვიზიაროთ.

- გმადლობთ ნდობისათვის, სერ. იმედი მაქვს, დავიმსახურებ. ამ მხარეს, ასე თუ ისე ვიცნობ, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებაზე დაკვირებული ვარ, თუკი გამოგადგებით...

- რა თქმა უნდა! - მიუგო გლენარვანმა.

ამაზე აიროტნმა მიუგო:

- მეც იმ აზრისა ვარ, რომ კაპიტანი გრანტი და მასთან მყოფი ორი მეზღვაური გადარჩნენ, მაგრამ რადგან ინგლისელების ახალშენებამდე ვერ მიუღწევიათ და მათ შესახებ ცნობა აღარაფერი გვაქვს, ალბათ, იმათაც ისეთივე ბედი ეწიათ, როგორც მე. დარწმუნებული ვარ, ადგილობრივ მოსახლეობას ტყვედ ჰყავს ისინი.

- აირტონ! თქვენ სწორედ იმ მოსაზრებას გამოთქვამთ, რასაც მე გამოვთქვამდი, - მიუგო პაგანელმა, - კაპიტანი და მისი თანამგზავრები ტყვედ არიან წაყვანილნი, როგორც თვითონაც, ალბათ, წინასწარ ფიქრობდნენ, მაგრამ როგორ გგონიათ, იმათაც თქვენსავით ოცდამეჩვიდმეტე პარალელიდან აიყვანდნენ?

- უნდა ვიფიქროთ, რომ სწროედ ასეა, - მიუგო აირტონმა, - ადგილობრვიი დაუმორჩილებელი ტომები საერთოდ ინგლისის სამფლობელოებს გაურბიან.

- ეგ გარემოება ძალიან გაგვიძნელეს ძებნას, - თქვა გლენარვანმა ნაღვლიანად, - ასეთ უზარმაზარ ქვეყანაში სად უნდა მივაგნოთ ტყვეეების კვალს?

- გლენარვანის ნათქვამმა ყველა დააფიქრა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ელენმა სათითაოდ ჩამოათვალიერა ყველანი, თითქოს პასუხს მოელისო. პაგანელიც კი, ჩვეულების წინააღმდეგ, დამუნჯებულიყო. გონების სიმახვილე შემოსწყრომოდა. ჯონ მანგლსი დიდი ნაბიჯებით ბოლთასა სცემდა დარბაზში, როგორც იახტის გემბანზე სჩვეოდა გაჭირვების წუთებში.

- თქვენ მაინც რას იტყვით, აირტონ? - მიუბრუნდა მას ელენი, - თქვენ როგრო მოიქცეოდით?

აირტონმა მკივრცხლად მიაგება:

- მე, ქალბატონო, ჩავჯდებოდი "დუკანში" და პრიდაპირ გავემგზავრებოდი კატასტროფის ადგილას. იქ კი მოვიქცეოდი ისე, როგორც გარემოება მოითხოვდა. შესაძლოა, რაიმე კვალსაც წავწყდომოდი.

- სწორია, - ჩაილაპარაკა გლენარვანმა, - მაგრამ "დუკანის" შეკეთებას უნდა დაველოდოთ.

- განა ავარია განიცადეთ? - იკითხა არისტონმა.

- დიახ, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- სერიოზული?

- არა, მგრამ საჭირო მასალები ხომალდზე არ მოიპოვება. ხრახნის ერთ-ერთი ფრთა გაიღუნა, მისი შეკეთება მხოლოდ მელბურნში შეიძლება.

- განა იალქნებით ვერ იმგზავრებთ?

- რა თქმა უნდა, შეგვეძლო, მაგრამ ჯერ ერთი, შეიძლება პირქარი შეგვხვდეს და მეორე, ტუფოლდის ყურემდე მისვლას დიდი დრო უნდა, მესამე ის, რომ "დუკანი" მელბურნში მაინც უნდა მივიდეს.

- დაე, წაიდეს მელბურნში! ჩვენ კი ტუფოლდის ყურისაკენ გავწიოთ! - წამოიძახა პაგანელმა.

- როგორ? - შეეკითხა ჯონ მანგლსი.

- ისე, როგორც გადავიარეთ ამერიკა ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გზით.

- მერე "დუკანი"? - რაღაც უცნაური ხმით გაეპასუხა აირტონი.

- "დუკანი" ჩვენთან მოვა ან ჩვენ დავუბრუნდებით მას, ეს გარემოებაზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ ავსტრალიის გავლისას ვიპოვით კაპიტან გრანტს, მაშინ მასთან ერთად მელბურნში დავბრუნდებით, მაგრამ თუ მოპირდაპირე სანაპირომდე მოგვიხდება სიარული, მაშინ "დუკანი" მოვა ჩვენთან. ვინ არის წინააღმდეგი ამ გეგმისა? ალბათ, მაიორი, არა?

- არა, - მიუგო მაკ-ნაბსმა, - ავსტრალიის შემოვლა შესაძლებელია.

- იმდენადაა შესაძლებელი, რომ ჩვენს მანდილოსნებსაც ვთხოვ, თანამგზავრობა გაგვიწიონ.

- ამას სერიოზულად ამბობთ, პაგანელ? - შეეკითხა გლენარვანი.

- სავსებით სერიოზულად მოგახსენებთ, - მიუგო პაგანელმა, - აქ მგზავრობა სამას ორმოცდაათი მილის მანძილზე მოგვიხდება. ეს არის და ეს! დღეში თორმეტი მილი რომ გავიაროთ, ერთ თვესაც არ მოვუნდებით, ესე იგი სწორედ ის დრო დაგვჭირდება, რაც "დუკანის" შესაკეთებლად არის საჭირო. ჩვენ რომ გვიწევდეს მთელი ავსტრალიის კონტინენტის გადაკვეთა, იმ უზარმაზრი უდაბნოების გადალახვა, სადაც აუტანელი პაპანაქება იცის, ესე იგი, ჩვენ რომ ისეთი რამ გვიხდებოდეს, რასაც უმამაცესი მეზღვაურები ვერ შებედავენ, მაშინ სულ სხვა საქმეა! მაგრამ ოცდამეჩვიდმეტე პარალელი გადასერავს ინგლისელების პროვინციას, სადაც გაყვანილია კარგი შარაგზები, რკინიგზები, ავსტრალიის ეს ნაწილი მეტწილად დასახლებულია. მგზავრობა შეიძლება, თუ გნებავთ, ეტლით ან ურმით - რომელიც უმჯობესი იქნება. ეს ლონდონიდან ედინბურგში გასეირნებას უდრის.

- მერე, მხეცები? - შეეკითხა გლენარვანი, რომ მთლად ამოეწურა საკამათო საკითხი.

- ავსტრალიაში არ იცის.

- ადგილობრივი ველურები?

- ამ განედზე არ მოიპოვება ველური ტომები, ყოველ შემთხვევაში, ისეთი სასტიკი, როგორიც ახალზელანდიელები არიან.

- კატორღელებზე რაღას გვეტყვით?

- სამხრეთ პროვინციაში ისინი არსად არიან. მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობენ. ვიქტორიის პროვინციამ არათუ განდევნა ისინი თავისი საზღვრებიდან, კანონიც კი გამოსცა, რომლითაც ეკრძალებათ იქ ყოფნა. სხვა პროვინციებიდანაც აკრძალულია მათი გამოყვანა სასჯელის მოსახდელად. ვიქტორიის მთავრობა წესლაც კი დაემუქრა კუნძულის სანაოსნო კომპანიას, სუბსიდიას მოგისპობ, თუ ხომალდებით კიდევ გაგიტანია ქვანახშირი დასავლეთ ავსტრალიის ნავსადგურებიდანო, სადაც გადასახლებულ კატორღელეს ნება აქვთ იცხოვრონ. ნუთუ თქვენ, ინგლისელებმა, ეგ არ იცით?

- ჯერ ერთი, მე ინგლისელი არ გახლავართ, - მიუგო გლენარვანმა.

- რაც ახლა ბრძანეს, სრული სიმართლეა, - ჩაერია საუბარში პადი ო´მური, - არათუ ვიქტორიის პროვინცია, არამედ მთელი სამხრეთ ავსტრალია, კვინსლენდი და, წარმოიდგინეთ, ტასმანიაც კი შეთანხმებულნი არიან, რომ კატორღელები განდევნონ თავიანთი მიწა-წყლიდან. მას შემდეგ რაც მე ამ ფერმაში ვცხოვრობ, კატორღელის ხსენებაც არ გამიგონია...

- არც მე შემხვედრია ისინი, - ჩაურთო აირტონმა.

- აი, ხომ ხედავთ, მეგობრებო, - განაგრძო პაგანელმა, - ველურები იქ ძალიან ნაკლებად არიან, მხეცები არ იცის, კატორღელები არ არიან. ევროპაში კი იშვიათ ადგილზე შეიძლებოდა ამის თქმა.. მაშასადამე გადაწყდა?

- თქვენ რას იტყვით, ელენ? - შეეკითხა გლენარვანი.

- სადაც სხვები, იქ მეც, - მიუგო ელენმა და ყველა თანამგზავრს გადახედა, - მივდივართ, მივდივართ!

თავი VIII

გამგზავრება

გლენარვანს ჩველებად არ ჰქონია დროს დაკარგვა, მისთვის თქმა და მოქმედების დაწყება ერთი იყო! რაწამს პაგანელის წინადადება მიიღეს, მაშინ ბრძანება გასცა, რომ უახლოეს დროში დაემთავრებინათ სამგზავრო სამზადისი. 22 დეკემბერს გამგზავრება გადაწყდა.

რა შედეგი მოჰყვებოდა ამ მოგზაურობას? რადგანაც მათთვი საეჭვო აღარ იყო გრანტის ყოფნა ავსტრალიის კონტინენტზე, ექსპედიციას შეიძლებოდა თვალსაჩინო ნაყოფი გამოეღო. ფიქრადაც არავის მოსვლია, რომ კაპიტან გრანტს უსათუოდ ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მიაგნედნენ, მაგრამ გადაწყვეტილი კი ჰქონდათ, ამ გეზს გაჰყოლოდნენ, რადგან ეს ხაზი ემთხვევოდა კაპიტნის გავლილ გზას და გარდა ამისა, ამ გეზს პირდაპირ მიჰყავდა ისინი ხომალდის დაღუპვის ადგილამდე, უმთავრესი კი ეს იყო; მეორე - თუ აირტონი მათ ექსპედიციას შეუერთდებოდა და მოგზაურებს გადაატარებდა ვიქტორიას ტყეებზე და აღმოსავლეთის სანაპიროზე გაიყვანდა, რა თქმა უნდა წარმატება უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა.

გლენარვანს კარგად ესმოდა ეს გარემოება და ამისთვის უნდოდა ჰარი გრანტის ნაამხანაგარის გამოყენება. ჰკითხა პადი ო´მურს, როგორც აირტონის დამქირავებელს, საწინააღმდეგო ხომ არაფერი ექნებოდა, რომ აირტონს ექსპედიციაში მიეღო მონაწილეობა. პადი ო´მურმა თანხმობა განუცხადა, თუმცა ენანებოდა კი კარგი მუშის ხელიდან გაშვება. მაშინ გლენარვანი მიუბრუნდა აირტონს:

- აბა, აირტონ, წამოხვალთ ჩვენს ექსპედიციაში დაღუპული გემიდან გადარჩენილების საძებნელად?

აიროტნმა პასუხი შეაგვიანა, თითქოს განზე დაიჭირა ეს წინადადება და ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ მიუგო:

- თანახმა ვარ, სერ, გამოგყვებით. თუ კაპიტან გრანტის კვალს ვერ მივაგნებთ, იმ ადგილს მაინც გიჩვენებთ, სადაც ხომალდი დაიღუპა.

- გმადლობთ, აირტონ, - მიუგო გლენარვანმა.

- ერთი რამ მინდოდა მეკითხა, სერ!

- ბრძანეთ, მეგობარო.

- "დუკანს სად შეხვდებით?

- მელბრუნში, თუ არ დაგვჭირდა ავსტრალიის გადაკვეთა დ აღმოსავლეთ სანაპიროზე გასვლა. თუ ძებნა აღმოსავლეთ სანაპირომდე მოგვიხდა, ხომალდიც იქ შეგხვდება.

- მაშ, "დუკანის" კაპიტანი...

- ის ჩემს ბრძAნებას დაუცდის მელბურნში.

- კეთილის სერ, - მიუგო აირტონმა, - ჩემი იმედი იქონიეთ.

- თქვენი იმედი მაქვს, აირტონ, - მიუგო გლენარვანმა.

"ბრიტანიის" ბოცმანი "დუკანის" მგზავრებმა მადლობით აავსეს. კაპიტნის

ქალ-ვაჟი სიყვარულით ეალერსებოდნენ მას. ყველა კმაყოფილი იყო, რომ აირტონი დაითანხმეს, ირლანდიელის გარდა, რომელსაც ხელიდან ეცლებოდა გამჭრიახი და

ენერგიული თანაშემწე, მაგრამ პადი ო´მურს ესმოდა, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აირტონს მომავალ მოგზაურობაში და ბედს შეურიგდა.

გლენარვანმა პადი ო´მურს დაავალა, ექსპედიციისათვის ეშოვა ყოველი საჭირო მასალა თუ მოწყობიLობა და თანამგზავრებიანად ხომალდზე დარუნდა, ხოლო აირტონს მომავალი შეხვედრის შესახებ შეუთანხმდა.

მხიარულად დაბრუნდნე იახტაზე. ყველაფერმა ფერი იცვალა, ყოველგვარი ყოყმანი გაქრა. გაბედულ მოგზაურებს აღარ სჭირდებოდათ ალალბედზე მიჰყოლოდნენ ოცდამეჩვიდმეტე პარალელს. ეჭვი აღარ ჰქონდათ, რომ ჰარი გრანტი ცოცხალი იყო და ეს რწმენა მატებდა მათ ახალ ძალ-ღონეს. თუ გარემოება ხელს შეუწყობდათ, ორი თვის შემდეგ "დუნკანი" შოტლანდიის ნაპირზე გადასვამდა კაპიტან გრანტს!

როდესაც "დუნკანის" კაპიტანი ჯონ მანგლსი მოითხოვდა, ავსტრალია გაევლოთ, დარწმუნებული იყო, თვითონ უეჭველად მონაწილეობას მიიღებდა ამ მოგზაურობაში. ამის შესახებ სიტყვა ჩამუგდო გლენარვანს და უმტკიცებდა, რომ მისი მონაწილეობა აუცილებელი იყო: ჯერ ერთი, მას ავალებდა ლედი ელენისა და ლორდ გლენარვანის ერთგულება, და მეორე - ის სარგებლობა, რასაც, როგორც ხელმძღვანელს, მოუტანდა, ხოლო "დუნკანზე" კაპიტნობა სრულიად უსაგებლო იქნებოდა. ერთი სიტყვით, ათასი მოსაზრება მოუყვანა, ერთის გარდა, რომლის შესახებ გლენარვანს ეჭვი არ ებადებოდ.

- ერთი შეკითხვა, ჯონ, - მიუგო გლენარვანმა, - თქვენ სრულიად ენდობით თქვენს თანაშემწეს?

- სავსებით სერ! - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ტომ ოსტინი ჩინებული მეზღვაურია. ის მიიყვანს "დუნკანს" დანიშნულ ადგილზე, საუცხოოდ შეაკეთებს ხომალდს და იქ გამოგვეცხადება, სადაც უბრძანებთ, თავის დროზე. ტომ ოსტინი თავისი მოვალეობისა და დისციპლინის მონაა. არასოდეს არც შეცვლის და არც დააყოვნებს ბრძანების შესრულებას. თქვენ შეგიძლიათ ისე ენდოთ, როგორც თვითონ მე.

- მაშ ასე, ჯონ, გადაწყდა! - უთხრა გლენარვანმა, - თქვენ ჩვენთან წამოხვალთ, - და ღიმილით დაუმატა, - მართლაცდა, კარგი იქნება, ჩვენთან იყოთ იმ დროს, როდესაც მერი გრანტის მამას ვიპოვით.

- ოოო სერ! - ესღა წაილუღლუღა ჯონ მანგლსმა, გაწითლდა და მადლობის ნიშნად მაგრად ჩამოართვა გლენარვანს ხელი.

მეორე დღეს ჯონ მანგლსი პადი ო´მურის ფერმისაკენ გაემართა, ხომალდის ხუროსა და ორი სანოვაგით დატვირთული მეზღვაურის თანხლებით. იქ ირლანდიელთან ერთად უნდა შეერჩია ექსპედიციისათვის საჭირო ტრანსპორტი.

პადი ო´მურის ოჯახი მზად იყო, მისი მითითებით ემუშავა. მრავალი თავგადასავალით გამოცდილი აირტონიც იქ ტრიალებდა და ბევრ კარგ რჩევას იძლეოდა.

აირტონი და პადი ო´მური იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქალებისათვის ჩარდახიანი ფორანი გაემზადებინათ, კაცებისათვის კი - ცხენები. პადიმ იკისრა მათი შოვნა.

ოთხთვლიანი ფორანი სიგრძით შვიდი მეტრისა იყო და ჩარდახზე საიალქნე ტილო ჰქონდა გადაკრული. თვლები მთლიანად ხისა ჰქონდა, რკინის სალეტე არ გააჩნდა. წინ და უკან ღერძებ ერთიმეორეზე პირევლყოფილი საშუალებით იყო გადაბმული. ასე რომ, მისი ერთბაშად მოტრიალება მოსახვევში შეუძლებელი იქნებოდა. წინ ჰქონდა თორმეტმეტრიანი რვილი, რომელშიც სამი უღელი ხარის წყვილ-წყვილად შებმა შეიძლებოდა. დიდი ოსტატობა სჭირდებოდა ამ ვიწრო და გრძელ ფორნის ტარებას და ხარების გარეკვას ისე, რომ არ გადაბრუნებულიყო, მაგრამ აირტონს ეს ხელობა ირლანდიელის ფერმაში მუშაობისას კარგად შეესწავლა, პადიც თავდებად უდგებოდა და ამიტომ მეეტლეობაც მას დააკისრეს. რადგან ფორანს რესორები არ ჰქონდა, სიარულისას ძალზე ინჯღრეოდა, მგრამ უკეთესი არა მოეპოვებოდათ რა და ამით უნდა წასულიყვნენ იოლად. ჯონ მანგლსმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, შეეცადა შიგნით მაინც ლაზათიანად გაეწყო. ფორანი ორ ნაწილად გაყო ფიცრულით, წინა ნაწილში ქალები მოთავსდნენ, უკანა ნაწილში ბარგი, სურსათ-სანოვაგე და ოლბინეტის სამზარეულო ღუმელი შეალაგეს.

ხომალდის ხურს მარჯვე ხელმა პირველი განყოფილება მოხერხებულ ოთახად აქცია, რომელიც სქელი ხალიჩით იყო მოფენილი, შიგ იდგა პირსაბანი და ორი სკამლოგინი ელენისა და მერი გრანტისათვის. გერდზე ჩამოფარებული ჰქონდა ტყავის ფარდები, რომელიც ღამღამობით სინოტივესაც დაიჭერდა. აქ კაცებსაც შეეძლოთ თავის შეფარება თავსხმა წვიმის დროს. ჩვეულებრივ კი, ღამის გასათევად, კარავი ჰქონდათ. ოთახში, რაც კი ქალებისათვის საჭირო და აუცილებელი იყო, ყველაფერი მოაწყო ჯონ მანგლსმა. ამ მოძრავ ოთახში ელენსა და მერი გრანტს ისე კარგად უნდა ეგრძნოთ თავი, როგორც "დუნკანის" კაიუტაში. დანარჩენი მგზავრები უფრო უბრალოდ მოეწყვნენ. თითოეულს ცხენი ჰყავდა: გლენარვანს, პაგანელს, რობერტ გრანტს, მაკ-ნაბსს, ჯონ მანგლსსა და ორ მეზღვაურს - ვილსონსა და მიულრედს, რომლებიც ექსპედიციის დროს თან ახლდნენ გლენარანს. აირტონი თავისი დანიშნულებისამებრ ფორანის კოფოზე მოთავსდა, ოლბინეტი კი, რომლესაც ცხენის სიარული არ ეხერხებოდა, თავის საკუჭნაოში მოეწყო.

ცხენები და ხარები ფერმის მინდორში ძოვდნენ და საჭიროების დროს მათი მორეკვა ადვილი იყო.

როდესაც ყველაფერი გამზადდა და დურგალს შესაფერი განკარგულება მისცა, ჯონ მანგლსი ხომალდს დაუბრუნდა. მას თან ახლდა ირლანდიელი ოჯახითურთ, რათა სამაგიერო დარბაზობა გადაეხადა გლენარვანს. აირტონიც თან გაჰყვათ და ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც "დუნკანის" გემბანზე ადიოდნენ.

სტუმრებს გულღიად შეხვდნენ. გლენარვანმა სადილად მიიწვია. უნდოდა, ირლანდიელისათვის სამაგიერო მასპინძლობა გაეწია. სტუმრებმა სიამოვნებით მიიღეს მიწვევა. პადი ო´მური აღტაცებული იყო კაიუტების მორთულ-მოკაზმულობით. ავეჯი დიდად მოსწონდა. აირტონი კი თავდაჭერით იყო, არ აქებდა ამ ზედმეტ ძვირფასეულობას.

სამაგიეროდ, ბოცმანმა ნამდვილი მეზღვაურის თვალით დაათვალიერა ხომალდი, ჩაეშვა სამანქანო განყოფილებაში, მანქანებს დააკვირდა, გამოიკითხა მათი სიმძლავრე და საჭირო სათბობის მარაგი. ჩაიხედა ქვანახშირის ორმოებში, შეიხედა სამზრეულოში, კაიუტკომპანიაში. განსაკუთრებით დაინტერესდა ხომალდზე არსებული იარაღის ხარისხითა და რაოდენობით, უყურადღებოდ არ დაუტოვებია ხომალდის წინ გემბანის ერდოზე დადგმული ზარბაზანიც. იკითხა მისი სროლის მანძილი. გლენარვანმა შეატყო, რომ მცოდნე ადამიანთა ჰქონდა საქმე. აირტონის შეკითხვებიდან გამოიტანა ეს დასკვნა. ბოლოს, როდესაც აირტონმა ანძები და იალქნები დაათვალიერა, უთხრა:

- მზეთუნახავი ხომალდი გქონიათ!

- მთავარი ის არის, რომ კარგი მოსიარულეცაა, - მიუგო გლენარვანმა.

- რა წყალწყვისა?

- ორასათტონიანია.

- ვგონებ, დიდად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ "დუნკანს" თავისუფლად შეუძლია საათში გაიაროს თხუთმეტი კვანძი ორთქლით?

- ჩვიდმეტიც ნუ გშურთ, - გაეპასუხა ჯონ მანგლსი, - ეს უფრო სწორი იქნება.

- ჩვიდმეტი! - წამოიძახა აირტონმა, - მაშასადამე, ვერც ერთი სამხედრო გემი, საუკეთესოც კი ვერ წამოეწევა?

- ვერც ერთი! - მიუგო ჯონ მანგლსმა, - "დუნკანი" სანახევროდ ხომალდია და ვერც ერთი გემი ვერ გაუსწრებს. ვერც ორთქლითა და ვერც იალქნებით ცურვის დროს.

- იალქნებითაც კი? - შეეკითხა აირტონი.

- დიახ. ვერც იალქნებით.

- მაშ, ნება მიბოძეთ, როგორც მეზღვაურმა და კარგი ხომალდის ყადრის მცოდნემ, მოგილოცოთ, რომ ასეთი ხომალდის პატრონი ბრძანდებით.

- კეთილი, აიროტნ, - მიუგო გლენარვანმა, - მაშ, დარჩით ამ ხომალდზე და თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ ეს ხომალდი თქვენიც გახდეს.

- ვფიქრობ, ასეც იქნება, - უბრალოდ უპასუხა აირტონმა.

ამ დროს ოლიბენტმა მოახსენა გლენარვანს, სადილი მზად გახლავთო და ხომალდის პატრონის და სტუმრები საერთო დარბაზისაკენ გაემართნენ.

- ჭკვიანი კაცია ეს აირტონი, - უთხრა პაგანელმა მაიორს.

- გადამეტებით ჭკვინია, - წაიბურტყუნა მაიორმა, რომელსაც სრულიად უმიზეზოდ არ მოსწონდა აირტონის არც სახე, არც მანერები.

სადილის დროს აირტონი საგულისხმო ამბებს მოჰყვა ავსტრალიის კონტინენტზე, რომელიც კარგად ჰქონდა შესწავლილი. მერე გამოიკითხა, ხომალდზე რამდენი მეზღვაური ჰყავდათ და რამდენის წაყვანას აპირებდა გლენარანი ექსპედიციაში. როდესაც შეიტყო, რომ გლენარვანს მხოლოდ ორი მეზღვაური ეხალებოდა, მიულერდი და ვილსონი, აირტონმა ურჩია, საუკეთესო მეზღვაურების მთელი რაზმი წამოეყვანა "დუნკანიდან", თითქმის დაჟინებით მოითხოვდა ამას, რასაც ყოველივე ეჭვი უნდა გაეფანტა მაიორისათვის.

- ჰო, მგრამ სამხრეთ ავსტრალიაში მოგზაურობა ხომ სახიფათო არ არის?

- სრულიადაც არა! - საჩქაროდ მიაგება აირტონმა.

- მაშინ უმჯობესია, ხომალდზე დავტოვოთ მეტი ხალხი. "დუნკანს" დასჭირდება იალქნებისათვის და შესაკეთებლადაც. მეორეც, საჭიროა, დროზე გაჩნდეს იქ, სადაც დავიბარებთ. ამიტომ მის ეკიპაჟს ნუ შევეხებით.

აირტონი თითქოს დაეთანხმა გლენარვანს და აღარ აუხირდა.

საღამო ხანს შოტლანდიელები და ირლანდიელები ერთმანეთს გამოეთხოვნენ. აირტონი და პადი ო´მური ოჯახით ფერმას დაუბრუნდნენ. ცხენები და ფორანი სახვალიოდ უნდა გაემზადებინათ და დილის რვა საათზე მგზავრები გზას გასდგომოდნენ.

ელენი და მერი გრანტიც მორჩნენ სამგზავრო სამზადისს. მათ უფრო ადრე მოასწრეს მომზადება, ვიდრე პაგანელმა, რომელიც შუაღამემდე ცოდვილობდა თავის ჭოგრის დაშლა-გაწმენდა-აწყობაზე. განთიადისას მაიორმა რიხიანი ხმით გამოაღვიძა გეოგრაფი.

მთელი ბარგი უკვე ფერმაში გადაეზიდათ. კანჯო ელოდა მგზავრებს ნაპირზე გადასაყვანად. ახალგაზრდა კაპიტანმა უკანასკნელი განკარგულებანი დაუტოვა თანაშემწე ტომ ოსტინს. განსაკუთრებით სთხოვა, დალოდებოდა ლორდ გლენარვანის ბრძანებას მელბურნში და ზედმიწევნით შეესწრულებინა იგი. ძველმა მეზღვაურმა ჯონ მანგსლი დააიმედა, ჩემი იმედი გქონდსო.

მოგზაურებმა ათ წუთში ნაპირს მიაღწიეს და თხუთმეტი წუთის შემდეგ ირლანდიელის ფერმას მიადგნენ. ყველაფერი გამზადებული იყო. ელენი აღტაცებული იყო თავისი ბინით. ძალიან მოეწონა უზარმაზრი ფორანი მასიური ღერძებითა და პირველყოფილი თვლებით. სამუღელა ხარებშებმული ფორანი პატრიარქალურ სანახაობას წარმოადგენდა. აირტონს შოლტი მოემარჯვებინა და ბრძანებას ელოდა.

- დალახვროს ეშმაკმა! რა დიდებული ეტლია! - წამოიძახა პაგანელმა, - ყველა საფოსტო კარეტა ენაცვლება! ამაზე უკეთესი ჩასაჯდომი მთელ ქვეყნიერებაზე ვერ წარმომიდგენია, სწორედ მოხეტიალე აქტიორების ფორანია! მოძრავი სახლი, რომელიც, სადაც გნებავთ, იქ გაჩერდება. ამას რა სჯობია! ეს კარგად იცოდნენ სარმატებმა და სხვანაირად არც მოგზაურობდნენ!

- იმედი მაქვს, მასიამოვნებთ და ჩემს სალონში მეწვევით, - მიმართა ელენმა.

- რა თქმა უნდა, - მიუგო მეცნიერმა, - ბედნიერად ჩავთვლიდი თავს! თქვენ უკვე დანიშნული გაქვთ მისაღები დღეები?

- მეგობრებისათვის ყოველთვის სახლში გახლავართ, - სიცილით მიუგო ელენმა, - თქვენ კი...

- უერთგულესი გახლავართ მათ შორის, - მიუგო პაგანელმა.

გლენარვანმა ანგარიში გაუსწორა ირლანდიელს გაწეული სამსახურისათვის და ფულთა ერთად გულითადი მადლობაც უთხრა, რაც პატიოსან კოლონისტს ფულზე მეტად უღირდა.. გამგზავრების ნიშანი მისცა. ელენი და მერი გრანტი თავიანთ განყოფილებაში მოთავსდნენ, აირტონი - კოფოზე, ოლბინეტი - ფურგონის უკანა ნაწილში, გლენარვანი, მაიორი, რობერტი, პაგანელი, ჯონ მანგლსი, მიულერდი და ვილსონი, ყველანი კარაბინებით შეიარაღებულნი, ცხენებს მოახტნენ. აირტონმა თავისებურად დაჰკივლა ხარებს და გარეკა. ფორანი შეირყა, ღერძები დაიძრა, თვლები აჭრიალდა და მალე თვალს მიეფარა სტუმართმოყვარე ფერმაც.

თავი IX

ვიქტორიის პროვინცია

1862 წლის 23 დეკემბერი გათენდა. ეს თვე ჩრდილოეთში ნოტიო იცის, ცივი და პირქუში. აქ კი ნამდვილი ივნისი გეგონებათ, ასტრონომიული თვალსაზრისით ზაფხული აქ ორი დღით ადრე დამდგარიყო, რადგან მზეს 21 დეკემბერს მიეღწია თხის რქის ტორიპიკისათვის და დღეები უკვე რამდენიმე წუთით იკლდებდა. ამგვარად, გლენარვანის ექსპედიციას სიცხე-პაპანაქებაში უნდა ევლო, ტროპიკული მზის სხივებქვეშ.

წყნარი ოკეანის ამ ნაწილში ინგლისის სამფლობელოებს ავსტრალაზია ეწოდა. ამ სახელწოდებაში იგულისხმება ახალი ჰოლანდია, ტასმანია, ახალი ზელანია და რამდენიმე ახლომახლო მდებარე კუნძული. თვითონ ავსტრალიის მიწა-წყალი ადმინისრაციულად რამდენიმე უზარმაზარ ახალშენად არის დაყოფილი და სხვადასხვა ღირებულებას წარმოადგენს. რუკას რომ დახედოთ, თვალში გეცემათ მისი მხარეების სწორი დანაწილება. მხარეებს შორის ინგლისელებს პირდაპირ, სწორი ხაზით გაუყვანიათ მიჯნები, არც ადგილმდებარეობაა მხედველობაში მიღებული, არც მდინარეთა მიმართულება, არც ჰავის განსხვავება, არც რასობრივი სხვადასხვაობა. კოლონიები ერთმანეთს ეკვრიან სწორ ოხკუთხედებად და საერთოდ, ერთვარ პარკეტის მოზაიკას წარმოადგენენ. მხოლოდ მისი უსწორმასწორო სანაპიროები აცხადებენ გულისწყრომას ასეთი დანაწილებისათვის თავიანთი მიხვეულ-მოხვეული ნაპირებით, თვალწარმტაცი სილამაზის ფიორდებით, უბეეებით, კონცხებითა და ესტუარიებით.

ოკეანის ამ უდიდეს კუნძულზე ამჟამად ექვსი პროვინციაა: ახალი სამხრეთ უელსი - დედაქალაქი სიდნეით; კვინსლენდი - დედაქალაქ ბისბენით; ვიქტორიის პროვინცია - დედაქალაქი მელბურნით; სამხრეთ ავსტრალია - დედაქალააქ ადელაიდათი; დასავლეთ ავსტრალია - დედაქალაქ პერით და ბოლოს, ჩრდილოეთ ავსტრალია, რომელსაც ჯერაც არ მოეპოვება დედაქალაქი. კოლონიზტებით მხოლოდ სანაპიროებია დასახლებული. უფრო თვალსაჩინო ქალაქებიდან მხოლოდ რამდენიმე მდებარეობს სანაპიროდან სამასი კილომეტრის მანძილზე. კონტინენტის შუაგული ნაწილი, რომლის ფართობიც ევროპის ორ მესამედს უდრის, ჯერაც შეუსწავლელია.

საბედნიეროდ, ოცდამეჩვიდმეტე პარალელი არ გადიოდა ამ თვალუწვდენელ უდაბნოსა და გაუვალ მიდამოებზე, სადაც მეცნირებამ ბევრი მსხვერპლი გაიღო. ჩვენს მგზავრებს შედარებით იოლი ამოცანის გადაწყვეტა მოელოდათ: მათ უნდა გადაეკვეთათ მხოლოდ სამხრეთი ავსტრალიის ნაწილი, ადელაიდის პროვინციის ვიზრო ზოლი ვიქტორიის პროვინციის მთელ სიგანეზე და ბოლსო გადაევლოთ ახალი სახმრეთ უელსის გადაქანებული სამკუთხედის მწვერვალი.

ბერნუილის კონცხიდან ვიქტორიის საზღვრამდე სამოცდაორ მილს ანგარიშობენ. ამ გზის გავლას ორი დღე დასჭირდებოდა და აირტონს იმედი ჰქონდა, მეორე დღეს ღამის გასათევად გაჩერდებოდნენ ვიქტორიის პროვინციის ყველაზე უფრო დასავლეთით მდებარე ქალაქ ეპსლიში.

ყოველი მოგზაურობის დასაწყისში ადამიანებიც ფიცხობენ და ცხენებიც. პირველთა აღფრთოვანების საწინააღმდეგოდ არა ითქმის რა, ცხენების სიფიცხე კი რომ შევანელოთ, ურიგო არ იქნება. ვისაც შორეული მგზავრობა ელის, ცხენს უნდა გაუფრთხილდეს. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ორმოცი-ორმოცდახუთი კილომეტრის მეტრი არ გაევლოთ.

მეორეც, ცხენის ნაბიჯი ხარების მძიმე ნაბიჯებისათვის უნდა შეეფარდებინათ, რადგან დრო იკარგება, მაგრამ ძალ-ღონე იზომება. ფორანი თავისი მგზავრებიანად, სურსათ-სანოვაგითა და ბარგი-ბარხანით ნამდვილი ცენტრი იყო რაზმისა, მისი მოძრავი ციხესიმაგრე. ცხენოსნებს შეეძლოთ მცირე მანძილით გვერდზე გადაეხვიათ, მაგრამ ძალიან კი არ უნდა დაშორებოდნენ. რადგანაც მგზავრობის დროს ცხენოსნებს წინდაწინვე

მიჩენილი არ ჰქონდათ თავ-თავიანთი ადგილი, შებოჭილები არ იყვნენ. მონადირეებს შეეძლოთ ენადირათ, თავაზიან რაინდებს ფორანზე მსხდომ ბანოვანებთან ესაუბრათ, ფილოსოფოსებს - ერთიმეორესთან ემსჯელათ. პაგანელს ყოველივე ამის უნარი შესწევდა და ყველაფერი უნდა მოიესწრო.

სამხრეთ ავსტრალიაზე გადავლა ნაკლებად საინტერსო იყო. დაბალი, მტვერდადებული ბორცვები, უდაბური ადგილების დაუსრულებელი სივრცე, რომელსაც აქ ბუშები ეწოდება, ეკალფოთლა მომლაშო ბუჩქნარით დაფარული პრერიები. ამ ბუჩქნარს ძალიან ეტანებიან ცხენები. ხშირად ხვდებოდათ განსაკუთრებული ჯიშის ცხვრის ფარები, ეს იყო ახალჰოლანდიური ცხვრები, რომელთაც თავი ღორისას მიუგავდათ.

მთელ მანძილზე მიუყვებოდა ტელეგრაფის ბოძები, რომლებიც ახლახან გაეყვანათ ადელაიდის ოკეანის ნაპირებთან დასაკავშირებლად. აქამდე ეს ვეი არგენტინის პამპის ერთფეროვან მიდამოებს მოგაგონებდათ. ვაკე დაფარული იყო ისეთივე ბალახებით და ისეთივე მკაფიოდ მოხაზული ჰორიზონტი მოჩანდა. მაკ-ნაბსი დაჟინებით ირწმუნებოდა, ისევ იმავე ქვეყანაში ვიმყოფებითო, პაგანელი კი უმტკიცებდა, მიდამო მალე შეიცვლის იერსო. მისი სიტყვებით დარწმუნებული მოგზაურები მშვენიერების მოლოდინში იყვნენ.

ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა, როდესაც ფორანი გასცილდა უტყეო ხეობას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი "ქინქლების ხეობას" უწოდებდნენ. მეცნიერმა კმაყოფილებით აღნიშნა, ეს სახელწოდება ზედგამოჭრილია. აბეზარი მწერებისაგან ძალიან შეწუხდნენ მოგზაურებიც და ცხენებიც.

კიოღო ისე უამრავი იყო, რომ მათგან თავის დაღწევა არ შეიძლებოდა. მათი ნაკბენის სიმწვავე ოდნავ დაიცხრეს ნიშადურის სპირტით, რომელიც საგზაო აფთიაქში მოეპოვებოდათ. პაგანელი წყევლა-კრულვას უთვლიდა აბეზარ მწერებს.

საღამო ხანს ვაკემ სულ სხვა სახე მიიღო. აქა-იქ ხვდებოდათ აკაციებისა და თეთრი გუმფისის ხეები. ზოგჯერ ახალგათხრილ არხზე გადაივლიდნენ ხოლმე. შემდეგ გამოჩნდა ევროპული ჯიშის ხეები - ზეთისხილი, ლიმონი, მუხა, დაბოლოს, შორს მშვენიერი მაღალი მესრებიც გამოჩნდა. საღამოს რვა საათზე ხარებმა ნაბიჯს უმატეს და ფორანი რედ-გუმის სადგურამდე მიარახრახეს.

ავსტრალიაში "სადგური" მესაქონლეობის ფერმას ეწოდება და ამ ქვეყნის სიმდიდრეს შეადგენს. მესაქონლეებს აქაურები სკვატერებს უწოდებდნენ, ე.ი. მიწაზე მჯდომებს. იგი წარმოდგება ინგლისური ზმნისაგან To spuat-გან, რაც ჩაცუცქებას ნიშნავს. და მართლაც, ამ პოზაში ყოფნა ძალიან ემარჯვებათ კოლონისტებს, უსაზღვრო სივრცეებზე მგზავრობისაგან მოქანცულთ.

რედ-გუმის სადგური პატარა ფერმა იყო, მაგრამ გლენარვანს აქ გულთბილად შეხვდნენ. ასეთ განმარტოებულ მოსახლეობაში მოგზაურისათვის ყოველთვის გამზადებული აქვთ სუფრა და ბინა. ავსტრალიის კოლონისტები პურმარილიანი და სტუმართმოყვარე ხალხია.

მეორე დღეს განთიადისას, აირტონმა ხარები შეაბა. იმედი ჰქონდა, იმ დღესვე მიაღწევდა ვიქტორიის პროვინციას.

მიდამო თანდათან ბორცვებიანი გახდა, პატარ-პატარა წითელი ქვიშის გორაკები ზოგჯერ ჰორიზონტამდე იყო გაჭიმული და მეწამულისფრად ელავდა. გეგონებოდათ, მთელ იმ ვაკეს უზარმაზარი წითელი დროშა გადაჰფარებია, რომელსაც ნიავი არხევსო. რამდენიმე მილზე ადგილობრივი ფიჭვები ამართულიყვნენ. თავიანთი სწორი ტანებითა და ჩამუქებული მწვანე ტოტებით გადაჰფენოდნენ მწვანედ მოღაღანე მოლს, რომელზედაც ჯგუფ-ჯგუფად დაკუნტრუშებდნენ მიწის კურდღლები. მას იქით თვალწინ გადაეშალათ ფართო ველები, დაფარული ბუჩქნარითა და გუმფისის ხეებით. იმას იქით კი ბუჩქების ნაცვლად ხეები ამოზრდილიყო და მოგზაურები გაეცნენ ავსტრალიის ტყის პირველ ნიშნებს. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ვიქტორიის საზღვრებს, მით უფრო იცვლებოდა სანახაობაც და ნიადაგიც.

ქარავანი ლარივის სწორ ხაზს მისდევდა, ვერც ტბები აჩერებდა მას, ვერც მთები. აქ პრაქტიკულად გაეცნენ გემოეტრიის პირველ აქსიომას, რომ სწორი ხაზი უმოკლესი გაზაა

ერთი წერტილიდან მეორემდე. დაბრკოლეაბსა და დაღლილობას აინუნშიაც არ აგდებდნენ. რაზმის მოძრაობის სიჩქარე შეფარდებული იყო ხარების მძიმე ნაბიჯთან. ხარების ღირსებაც ის არის, რომ გზაში არასოდეს გაჩერდებიან.

ორი დღის მგზავრობის შემდეგ გავლილი ჰქონდათ სამოცი მილი და 23 დეკემბერს, საღამოს, მიაღწიეს ვიქტორიის პროვინციის პირველ ქალაქ ეპსილს, რომელიც მდებარეობდა ვიქტორიის პროვინციის ვიმერის ოლქში, გრძედის ას ორმოცდაერთ გრადუსზე.

აირტონის მეცადინეობით, ფორანი სასტუმროს ეზოში დააყენეს, რადგან სხვა რამ უკეთესი აქ არა მოიპოვებოდა რა. სასტუმროს მაღალფარდოვნად დაარქვეს "გვირგვინის ოტელი"

მაგიდაზე ოხშიხვარი ასდიოდა ცხვრის ხორცისაგან მომზადებულ რამდენიმე კერძს. მადიანად შეექცნენ და უფრო მადიანად საუბრობდნენ ყველანი პაგანელს ეკითხებოდნენ ავსტრალიის კონტინენტის ამბებს. გეოგრაფს თხოვნა არ სჭირდებოდა და მოჰყვა აღწერას ვიქტორიის პროვინციისა, რომელსაც თურმე "ზედნიერი ავსტრალიაც" ეწოდებოდა.

- ეს სახელწოდება სწორი არ არის, - თქვა პაგანელმა, - უფრო სწორი იქნებოდა, რომ "ზედნიერი ავსტრალია" ერქვას. რადგან ადამიანზეც და ქვეყანაზეც შეიძლება ითქვას, რომ "სიმდიდრე ბედნიერებას არ ქმნის". თავისი ოქროს საბადოების წყალობით ავსტრალია ხელში ჩაიგდეს უდიერმა და სასტიკმა ავანტიურისტებმა. ამაში თქვენც დარწმუნდებით, როდესაც ოქროსმადნიან მიდამოებს გადავივლით.

- კი, მაგრამ ვიქტორიის ახალშენი დიდი ხნის არ უნდა იყოს? - იკითხა ელენმა.

- დიახ, ის დაარსებულია 1835 წლის 6 ივნისს, სამშაბათ დღეს...

- საათის შვიდსა და თხუთმეტ წუთზე, საღამოთი, - ჩაურთო მაიორმა, რომელსაც უყვარდა პაგანელის გაჯავრება თარიღის ზუსტად დასახელებისას.

- არა, შვიდ საათსა და ათ წუთზე, - სავსებით სერიოზულად უპასუხა გეოგრაფმა, - დიახ, ბეტმანმა და ფალკნერმა სწორედ იმ დღეს და იმ წუთში ჩაუყარეს საძირკველი პორტ-ფილიპს სწორედ იმ ყურეში, სადაც დღეს გაშენებულია დიდი ალაქი მელბურნი. თხუთმეტი წლის განმავლობაში. ეს ახალშენი სამხრეთის ახალი უელსის ნაწილს შეადგენდა, მაგრამ 1851 წელს თავისუფალ პროვინციად გამოცხადდა ვიქტორიის სახელწოდებით.

- და მას მერე დაიწყო აყვავება? - შეეკითხა გლენარვანი.

- თქვენ თვითონ განსაჯეთ, მეგობრებო, - მიუგო პაგანელმა, - აი, უკანასკნელი სტატისტიკით დადასტურებული ციფრები. მაკ-ნაბსმა რაც უნდა ბრძანოს, მე ციფრებზე უფრო მჭვერმეტყველი არა ვიცი რა.

- დაიწყეთ, დაიწყეთ პაგანელ, - შეაგულიანა მაიორმა.

- ინებეთ... პორტ-ფილიპსს 1836 წელს ორას ორმოცდაოთხ მცხოვრებზე მეტი არა ჰყავდა. დღეს კი ვიქტორიის პროვინციაში ხუთას ათასზე მეტი მცხოვრებია. მისი შვიდი მილიონი ძირი ვაზი ას ოცდაერთ ათას გალო ღვინოს იძლევა. აქაურ მინდვრებზე ას სამი ათასი ცხენი და ექვსას სამოცდათხუთმეტი ათასი რქოსანი საქონელი იალაღობს.

- გამიგია, რომ აქ განვითარებულია მეღორეობაც, - თქვა მაიორმა.

- როგორ არა, მაიორო, არის. აქ არის სამოცდაცხრამეტი ათას ექვსსას ოცდახუთი ღრი.

- ცხვარი რამდენიღა იქნება, პაგანელ?

- შვიდი მილიონ ას თხუთმეტი ათას ცხრაას ორმოცდასამი, მაკ-ნაბს!

- იმასაც ხომ არა თვლით, რომელსაც ახლა შევექცევით, პაგანელ?

- არა, უიმისოდ, რადგანაც სამი მეოთხედი უკვე შეჭმული გვაქვს.

- ვაშა! - შესძახა ელენმა და გადაიხარხარა, - უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ საკითხებში უსაზღვრო მარაგის პატრონი ხართ და მაკ-ნაბსმა რც უნდა იკვიმატოს, ვერაფერს შეგაშლევინებთ.

- ამ საგნების ცოდნა და თქვენთვის გაზიარება ჩემი მოწოდებაა. მერწმუნეთ, ამ ქვეყანაში ბევრ საოცრებას ნახავთ.

- ჯერ კი ვერაფერს ვხედავთ! - გაეპასუხა მაკ-ნაბსი, რომელსაც სიამოვნებდა გეოგრაფის გაღიზიანება.

- დაგვაცადეთ, სულწასულო ადამიანო! - მიაძახა პაგანელმა, - ჯერ ხომ ახლა გადმოაბიჯეთ საზღვარს და უკვე ბუზღუნებთ! მე კი მითქვამს, ვიტყვი და დაგიმტკიცებთ კიდეც, რომ ეს ქვეყნა ერთ-ერთი საინტერესიო მხარეთაგანია მთელ მსოფლიოში. მის წარმოშობას, ბუნებას, მცენარეებს, ცხიოველებსა და კლიმატურ პირობებს ყოველთვის განცვიფრებაში მოჰყავდა და მოჰყავს მთელი ქვეყანა, მეცნიერები და მომავალშიც განაცვირებს. მეგობრებო, წარმოიდგინეთ კონტინენტი, რომელიც ჩაისახა და ამოიზარდა ზღვის ფსკერიდან არა ცენტრალური ნაწილში, არამედ კიდეებში, რომლებმაც ბუმბერაზ წრისებრურად ამოიწიეს ზემოთ. კონტინენტის შუაგული თითქოს ნახევრად დამშრალი ზღვითაა დაფარული. წარმოიდგინეთ მდინარეები, რომლებიც დღითი დღე შრება; წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც სინესტე არ იცის, არც ცაზე და არც ნიადაგში; სადაც ხეები ყოველ წელიწადს იცვლიან ქერქს და არა ფოთლებს; ხის ფოთლები სიბრტყით კიი არ მიფიცხებიან მზეს, არამედ წიბოებით და ჩრდილს არ იძლევიან; სადაც ხეების დიდ ნაწილს ცეცხლი არ ეკიდება; სადაც ქვა წვიმის წყალში იშლება, დნება; ტყეები დაგვალულია და დაბალი ტანისაა, ბალახი კი - საშინლად მაღალი, სადაც სულ სხვაგვარი ცხოვრებაა. ოთხფეხა ნადირებს ნისკარტები აქვთ, როგორც იქედნეს ან იხვნისკარტას; სადაც კენგურუ დახტის უსწორმასწორო თათებით; ცხვარს ღორის თავი გამობმია; მელიები ხიდან ხეზე ფრენენ; გედები - შავია; ვირთაგვები ჩიტებივით ბუდეს იკეთებენ; ფრინველები გაგაოცებენ ნაირ-ნაირი ჭიკჭიკით და ბუმბულით; სადაც ჩიტები საათის მაგივრობას ასრულებენ და საათივით ტიკტიკებენ; ერთი ხითხითებს მზის ამოსვლის დროს, მეორე მოთქვამს მზის ჩასვლისას. ოო!... ეს რაღაც ულოგიკო, უცნაური, პარდოქსების ქვეყანაა, რომლისთვისაც ბუნეას კანონები არ დაუწერია! მეცნიერი ბოტანიკოსი გრიმერი სამართლიანად ამბობს: "ავსტრალია სასწაულების ქვეყანაა. ეს არის პაროდია ბუნების კანონებისა, უფრო სწორად, ეს არის მთელი დანარჩენი მსოფლიოს ხმალში გამოწვევა!'

პაგანელი ისეთი სხაპასხუპით ამბობდა ამ ტირადას, გეგონებოდათ, დასასრული აღარ ექნებაო. გეოგრაფიული საზოგადოების მჭევრმეტყველი მდივანი თავს ვეღარ იკავებდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და თან ხელებსაც იშველიებდა და ჩანგალს ისე გატაცებით იქნევდა, რომ გვერდზე მსხდომნი ერიდებოდნენ, არ გვაძგეროსო. ბოლოს მისი ლაპარაკი საერთო მხურვალე ვაშამ დაფარა და პაგანელიც გაჩუმდა. რა თქმა უნდა, ავსტრალიის სასწაულთა ასეთი დაწვრილებით ჩამოთვლის შემდეგ ვეღარავინ მოსთხოვდა მეტს, მაგრამ მაიორმა მაინც ვეღარ მოითმინა და ჩვეული დინჯი კილოთი ჰკითხა:

- სულ ეგ იყო, პაგანელ? დასამატებელი აღარა გაქვთ რა?

- რა ბრძანებაა! ჯერ სადა ხარეთ! - მიუგო მეცნიერმა უფრო მეტი გატაცებით.

- როგორ? განა ავსტრალიაში კიდევ არის რაიმე საინტერესო? - იკითხა დაინტერესებულმა ელენმა.

- დიახ, გახლავთ! ეს არის მისი ჰავა, რომელიც საოცრებით აღემატება აქამდე ნათქვამს.

- შეუძლებელია! - შესძახა პაგანელს ყველამ ერთხმად.

- მე მოგახსენებთ ავსტრალიის კონტინენტის ჰაერის ჰიგიენურ თავისებურებაზე, რომელიც მდიდარია ჟანგბადითა და ღარიბია - აზოტით. აქ არ იცის ნოტიო ქარი, რადგან პასატები მხოლოდ სანაპიროების გასწვრივ ქრის. აქ სრულიად არ იციან რა არის სახადი, ყვავილი და ათასგვარი სხვა ეპიდემიური სნეულებანი.

- ეგ მართლაც დიდი უპირატესობაა, - შესძახა გლენარვანმა.

- რასაკვირველია, - უპასუხა პაგანელმა, - მაგრამ საქმე ეს არ არის. აქაურ ჰავას ერით წრამოუდგენელი თვისება სჭირს.

- სახლდობრ? - შეეკითხა ჯონ მაგლსი.

- თქვენ არ დამიჯერებთ.

- დაგიჯერებთ, დაგიჯერებთ! - შესძახეს დაინტერესებულმა მსმენელებმა.

- აქაურ ჰავას შეუძლია ზნეობრივი ზემოქმედება.

- ზნეობრივი ზემოქმედება?

- დიახ, - უპასუხა მეცნიერმა, - აქ ჰაერზე არც ლითონი ჟანგდება და არც ადამიანი. აქ სუფთა და მშრალი ჰაერი სწრაფად ათეთრებს როგორც თეთრეულს, ისე ადამიანის სულს. ინგლისიც ტყუილად ხომ არ გზავნის აქ თავის ზნეობრივად დეფექტურ მოქალაქეებს. უბრალოდ, ინგლისელებმა შენიშნეს ავსტრალიის ჰავის ეს თვისება.

- მასხრად გვიგდებთ, პაგანელ? - შენიშნა მაიორმა.

- სრულიადაც არა. ჰავა აქ ერთნაირად ახდენს გავლენას როგორც ცხოველებზე, ისე ადამიანებზე. მიაქციეთ ყურადღება იმას, როგორი მშვიდი და გამგონი ცხენები არიან აქ.

- შეუძლებელია!

- აი, ნახეთ თქვენი თვალით. ბოროტმოქმედნი, რომელთაც მისჯილი აქვთ კატორღა, აქ რამდენიმე წელში გამოსწორდებიან და პატიოსან ადამიანებად იქცევიან. ყველა ფილანთროპმა იცის ეს. ავსტრალიაში ყველა ადამიანის ხასიათი უმჯობესდება.

- ასე რომ, თქვენი ისედაც კეთილი ხასიათი, პაგანელ, - დაიწყო ელენმა, - ამ აღთქმულ ქვეყანაში...

- ჩინებული გახდება, ქალბატონო, ნამდვილად ჩინებული, - უპაუსუხა პაგანელმა.

თავი X

მდინარე უიმერი

მეორე დღეს, 25 დეკემბერს, მოგზაურები განთიადისას გაუდგნენ გზას. ძალიან არ ცხელოდა, სწორი გზა ადვილი სასიარულო იყო ცხენებისათვის. რაზმი მეჩხერ ტყეში შევიდა. საღამო ხანს, ოცდახუთი მილის გავლის შემდეგ, ღამის გასათევად ჩამოხტნენ თეთრი ტბის პირას, რომლის წყალიც მომლაშო იყო და სასმელად არ ვარგოდა.

პაგანელი თუმცა კამათობდა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოტყდა, რომ ამ ტბას ისევე ნაკლებ შეეფერებოდა სახელი "თეთრი", როგორც შავ ზღვას - "შავი", წითელ ზღვას - "წითელი", ყვითელ მდინარეს - "ყვითელი" ან ლურჯ მთებს - "ლურჯი".

ოლბინეტმა ჩვეულებრივ დროს მოამზადამ ვახშამი, რის შემდეგაც ზოგი ფორანში მიწვა, ზოგი კარვში და მალე ჩაეძინათ. ღამით დინგოები, აქაური ტურები, საცოდავად ყმუოდნენ.

ტბის გაღმა მხარეს გადაშლილი იყო ნაირფერი ქრიზანთემებით მოფენილი საუცხოო დაბლობი. როდესაც გლენარვანი და მისი თანამგზავრები დილით წამოდგნენ, მიდამოს სანახაობით მოიხიბლნენ.

რაზმი გზას გაუდგა. ტრიალ მინდორს დაბლა ბორცვები სერავდა. ცისკიდურამდე გადაჭიმული პრერია გაზაფხულის ყვავილებით იკყო მოქარგული. წვრილფოთოლა სელის ლურჯი ფერი ლამაზად ეზავებოდა ამ კუთხის განსაკუთრებული ჯიშის აკანტუსის ღია წითელ ფერს. ხალიჩად გადაჭიმულ მწვანე ველს აცოცხლებდა ნაირ-ნაირი ერემოფილები - ნაცარქათამა, ბატისფეხა და ჭანკუტელა, რომელნიც რუხი-მომწვანო და მოწითალო ყვავილებით თავისებურ იერს აძლევდნენ მიდამოს. ეს მცენარე ძალიან გამოსადეგია - მისი ნაცრისაგან ამზადებენ საუცხოო სოდას. პაგანელმა ჩამოუთვალა თანამგზავრებს ათასგვარი სახეობა ამ მცენარეებისა, არც ახლა უღალატა ციფრებით გატაცების მანიას და განაცხადა, რომ ავსტრალიის ფლორაში ითვლება ოთხი ათასი ორასი სახეობის მცენარე, რომელნიც ას ოც ოჯახს ეკუთვნიან.

შემდეგ, როდესაც ათიოდე კილომეტრი გაიარეს, მათი ფორანი შეხრიგინდა აკაციების, მიმოზებისა და თეთრი გუმფისის ხეებშუა, რომელთა ყვავილებიც ცნობილია თავისი მრავალფეროვნებით. ამ ვაკის მცენარეულობა განსაცვიფრებელია იმით, რომ რასაც მზისაგან იღებს, ყვავილების სახით აბრუნებს უკან და მათი სურნელებით ავსებს ჰაერს.

ფაუნა უფრო ღარიბი გამოდგა, ვიდრე ფლორა. ველზე დახტოდა რამდენიმე სირაქლემის ჯიშის კაზაური, რომელთაც ფრთების განუვითარებლობის გამო ფრენა არ შეუძლიათ. მათთან მიახლოება შეუძლებელი იყო, მაგრამ მაიორმა მაინც მოახერხა ერთი ფრინველის მოკვლა, რომელსაც იაბირუ ეწოდება. ეს იყო უშველებელი წეროს ჯიშის

ფრინველი, სიმაღლით ორი მეტრი, გრძელი ფეხები ღია წითელი ფერისა ჰქონდა, თავი - წითელი და იისფერი, ნისკარტი - შავი, კისერი - მწვანე, მკერდი - თეთრი, ყველა ძირითადი ფერი შეხმატკბილებული იყო მის ბუმბულში. მოგზაურებს ძალიან მოეწონათ ფრინველი და მაიორი იმ დღის გმირად ჩაითვლებოდა, რობერტს რომ რამდენიმე კილომეტრის იქით არ მოეკლა რაღაც უსახური ცხოველი, რომელიც ზღარბსაც ჰგავდა, ჭიანჭველაჭამიასაც და ქვეყნიერების წარმოშობის პირველ დღეების განუვითარებელ ქმნილებას მოგაგონებდათ. უშველებელი გრძელი ენა გამოეგდო უკბილო პირიდან - თურმე ეს ენაა მისი მასაზრდოებელი ორგანო. მის დანახვაზე პაგანელმა წამოიძახა:

- იქედნე!... გინხავთ ასეთი ცხოველი?

- საზიზღარია, მაგრამ საინტერესო კია, - შეედავა პაგანელი, - ამასთან, ეს ცხოველი მხოლოდ ავსტრალიაში ცხოვრობს, ქვეყნიერების რომელიმე სხვა კუთხეში ამაოდ დაუწყებთ ძებნას!

ბუნებრივია, პაგანელმა მოიწადინა საზიზღარი იქედნეს თან წაღება და ფორანის ბოლო ნაწილში უნდოდა მისი მოთავსება, მაგრამ ოლბინეტმა ისეთი აურზაური აუტეხა, რომ მეცნიერი იძულებული გახდა, ხელი აეღო განზრახვაზე.

იმ დღეს მოგზაურებმა ას ორმოცდაერთ გრადუსს და ოცდათექვსმეტი წუთის გრძედს მიაღწიეს. ამ ადგილამდე მათ არც მესაქონლე სკვატერები უნახავთ, არც მიწათმოქმედი კოლონისტები.

ქვეყანა უკაცურს ჰგავდა. ადგილობრივი მოსახლეობის ჭაჭანება არსად იყო. მათი ველური ტომები უფრო ჩრდილოეთის მხარეს მომთაბარეობდნენ უდაბურ ადგილებში, რომლებსაც მდინარე დარლინგისა და მურეის შენაკადები რწყავს. სამაგიეროდ, მოგზაურები საგულისხმო სანახაობას წაადგნენ. წინ შემოეყარათ ურიცხვი ფარა, რომელსაც ხარბი ვაჭრები აღმოსავლეთის მთებიდან ვიქტორიის პროვინციისაკენ მიერეკებოდნენ. ნაშუადღევის ორთხი საათი იქნებოდა, როდესაც ჯონ მანგლსმა მოგზაურების ყურადღება მიაქცია იმ უშველებელ კორიანტელსის სვეტს, რომელიც ავარდნილიყო ჰორიზონტზე. არ იყო, ვერავინ ახსნა, პაგანელმა დააპირა ეს მოვლენა რაიმე ბუნებრივი მიზეზებისა და ადგილობრივი მეტეორლოგიური თავისებურებებისათვის მიეწერა, მაგრამ აირტონმა შეაჩერა და განუმარტა, რომ მტვრის კორიანტელი მომავალმა ჯოგმა დააყენაო.

არ შემცდარა. მტვრის კორიანტელი ახლოვდებოდა და თან მოჰქონდა ბღავილი, ზმუილი და ჭიხვინი. ამ ხმებს ემატებოდა მწყემსების ურთიერთგადაძახება, სტვენა და კივილი.

მტვრის კორიანტელში გამოჩნდა კაცი, ამ ოთხფეხა არმიის სარქალი. გლენარვანი ცხედაცხენ მიუახლოვდა და მაშინვე მოურიდებლად გააბა მასთან საუბარი. სარქალი იმაე დროს ამ ჯოგისა და ფარის მოზაირეც აღმოჩნდა. მას სემ მიტჩელი ერქვა და საქონელს აღმოსავლეთის პროვინციებიდან მოერეკებოდა პორტლენდის უბისაკენ.

მას ჰყავდა თორმეტი ათას სამოცდახუთმეტი სული საქონელი, მათ შორის ათასი ხარი, სამოცდათხუთმეტი ცხენიდა თერთმეტი ათასი ცხვარი. მთელი ეს ჯანდაგი საქონელი ჩალის ფასად ეყიდა ლურჯი მთების საძოვრებზე, გასასუქებლად მიერეკებოდა სამხრეთ ავსტრალიის ნოყიერ იალაღებზე, რომ შემდეგ დიდი მოგებით გაეყიდა და თითო ხარზე მოეგო ორი გირვანქა, თითო ცხვარზე - ნახევარი გირვანქა. მხოლოდ სემ მიტჩელი ორმოცდაათ ათას გირვანქა სტერლინგს მოიგებდა. ეს დიდი შემოსავალი იყო. სამაგიეროდ, რამდენი მოთმინება და ენერგია იყო საჭირო, რომ ამოდენა საქონელი დანიშნულ ადგილამდე მიერეკა, რამდენი შრომა და გასაჭირი უნდა გამოევლო! ამ გზით ფულის მოგება იოლი არ იყო!

სემ მიტჩელმა მგზავრებს მოკლედ უამბო თავისი ისტორია. ჯოგი კი მიმოზების ბუჩქებს მიჰყვა და წინ მიდიოდა. ელენი და მერი გრანტი ურმიდან გადმოვიდნენ. ცხენოსნებიც ჩამოხტნენ, უზარმაზარი გუმფისის ხის ქვეშ დალაგდნენ და ისე უსმენდნენ სარქალს.

უკვე მეშვიდე თვეა, რაც სემ მიტჩელი გზაშია. დღეში თხუთმეტ კილომეტრამდე გადის და მისი დაუსრულებელი მოგზაურობა სამ თვემდე კიდევ გასტანს. ამ მძიმე საქმეში

თანაშემწედ ჰყავს ოცი ძაღლი და ოცდაათი მწყემსი, რომელთა შორის ხუთი ზანგია, ისეთი მოხერხებული, რომ თითოეულ ჩამორჩენილ ან ასხლეტილ ცხოველს ხელად მიაგნებენ ხოლმე. ჯოგსა და ფარას უკან მოსდევდა ექვსი ოთხთვალა. მწყემსები ცხენდაცხენ მიერეკებოდნენ საქონელს გრძელი შოლტებით, შიგადაშიგ საქონლის რიგებში ჩამდგარიყვნენ და წესრიგს იცავდნენ. მათ ეხმარებოდნენ ძაღლები, რომლებიც მსუბუქი კავალერიის მსგავსად მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე მიძუნძულებდნენ.

მოგზაურებს სიამოვნებას ჰგვრიდა ამდენი საქონლის წესიერი სვლა. ყოველი ჯიშის ცხოველი ცალ-ცალკე მიდიოდა, რადგან ხარები და ცხვრები ერთმანეთში ვერ რიგდებიან ხოლმე. ხარებ ვერასოდეს გაატარებთ იქ, სადაც ცხვრებს გაუვლიათ. ამიტომ თავში ხარები მიუძღოდნენ, როგორც ორ ათასეულად გაყოფილი მოწინავე ჯარი. მათ მისდევდა ცხვრების ხუთი ლეგიონი, რომელთაც უფროსობას უწევდა ოცი მწყემსი. არიერგარდს შეადგენდნენ ცხვრები.

სემ მიტჩელმა მოგზაურების ყურადღება მიაქიცია იმ გარემოებას, რომ ნახირის ბელადად არც ძაღლი იყო და არც ადამიანი, წინ მიუძღოდა მეთაური ხარი, უფრო საზრიანი, რომელსაც დანარჩენები ბრმად მისდევდნენ უკან. მეთაური ყველაზე წინ მიდიოდა მედიდური ნაბიჯით და ალღოიანად ირჩევდა საუკეთესო გზას. ისე ამაყად ეჭირა თავი, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ მას უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ. მართლაც, ამ მეთაურებს ძალიან უფრთხილდებიან. თუ გაჩერება მოეგუნებათ, უნდა დამორჩილდე, თორემ სანამ თვითონ არ ისურებენ, ადგილიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებ.

სანამ საქონელი ვაკეზე მიდის, კიდევ არა უშავს რა, გზას მიჰყვება, საძოვრებზე ნაკადულებში იკლავს წყურვილს, ღამღამობით იძინებს, დღისით მოძრაობს, მაგრამ ძაღლის ყეფის ხმაზე მორჩილად შემოიკრიბება. ამ კონტინენტის უღრან ტყეებში, ევკალიპტებსა და მიმოზეს შორის საქმე ძნელდება. დიდი თუ პატარა გუნდები ერთიმეორეში ირევიან ან იქსაქსებიან და დიდი დროა საჭირო დარღვეული წესიერების აღსადგენად. თუ რომელიმე მეთაური ხარი სადმე გასხლტა, მაშინვე უნდა მოძებნონ, თორემ მთელი ჯოგი დაიფანტება. ამ უძნელეს საქმს ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყველივ ასრულებენ ზანგები. ძლიერი წვიმების დროს ზანტი ცხოველები ფეხს ადგილიდან აღარ იცვლიან, ჭექა-ქუხილის დროს კი შიშის ზარი აიტანთ, მაგრამ სარქლის დაუშრეტელი ენერგიის წყალობით ყველა დაბრკოლებას გადალახავენ ხოლმე.

სარქალი სულ წინ და წინ მიდის. კილომეტრი კილომეტრს მისდევს, ველ-მინდორი უკან რჩება, მაგრამ ყოველივე ამას უნდა დაემატოს მოთმინება, რაც ყველაზე უმთავრესია. მოთმინება, არ უნდა გამოელიოს სარქალს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე მდინარე გაუვალია, საქონელიც გაჯიუტებულია და არ სწადია წყალში გასვლა. ხარები თითო ყლუპს დალევენ და უკან მიბრუნდებიან. დამფრთხალი ცხვრები აქეთ-იქით გარბიან და წყალში არ შედიან. მწყემსები დაღამებას ელიან, რომ საქონელი როგორმე შეიტყუონ მდინარეში, მაგრამ ხშირად ვერაფერს ხდებიან. ჭედილებს ძალად გადაისვრიან წყალში, მაგრამ ცხვრები მაინც არ მისდევენ მათ. ზოგჯერ რამდენიმე დღით მოაწყურებენ საქონელს, მაგრამ ის მაინც არ შედის მდინარეში. ხან გაღმა გადაიყვანენ ბატკნებს იმ იმედით, რომ დედა ცხვრებიც გაჰყვებიან ბღავილის ხმაზე, მაგრამ არც ეს შველის. ბატკნები გაღმა ნაპირიდან არ იძვრიან. ასეთი მდგომარეობა ზოგჯერ მთელ თვეს გრძელდება და სარქალმა აღარ იცის, რა უყოს ამ აღელვებულ, აზმუვლებულ და აჭიხვინებულ ნახირს. უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, თვითონ მოეგუნებებათ და ნახირის ნაწილი მდინარეში გადის. აქაც ახალი საფრთხე იბადება. ხელი უნდა შეუშალონ, რომ ფარა ერთბაშად არ მიაწყდეს მდინარეს, თორემ ერთად მოგროვდებიან და ერთიმეორეს ჩაახრჩობენ წყალში.

ასეთი იყო ის დაწვრილებითი ცნობები, რომელიც უამბო მათ სემ მეტჩელმა. სანამ უამბობდა, მთელმა ნახირმა წინ გაუარათ, სარქალი ისევ თავში უნდა მოქცეოდა, რათა საქონლისათვის ადრევე შეეთვალიერებინა საუკეთესო საძოვრები. გამოემშვიდობა გლენარვანს და თავის ადგილობრივი ჯიშის საუცხოო ცხენს მოახტა, რომელიც ლაგამით

ეჭირა ერთ მის მწყემსს, ყველას ხელი ჩამოართვა და თვალის დახამხამებაში გაქრა ავარდნილ კორიანტელში.

ფორანიც გზას გაუდგა და მხოლოდ საღამო ხანს გაჩერდა ტალბორტის მთის ძირას.

ვიქტორიის პროვინციის ტერიტორიაზე მგზავრობის პირვე დღეს, რაკი შობის დღესასწაული იყო, პაგანელის წინადადებით საზეიმო ვახშამი მოაწყვეს.

უნდა ითქვას, რომ ოლბინეტმა თავი განსაკუთრებით გამოიჩინა. შენახული მარაგიდან უამრავი ევროპული კერძი დაამზადა, რომელთა ნახვა ავსტრალიის უდაბნოს შუაგულში მართლაც გასაკვირი იყო. დაშასხული ღორის ფეხი, ლორის ნაჭრები, პუდინგი, ქერისა და შვრიის ტკბილი ნამცხვრები, შესანიშნავი ჩაი, რამდენიმე ბოთლი პორტვეინი, - აი, რა ჰქონდათ ვახშმად. შეიძლებოდა წარმოგედგინათ, ვითიომ შოტლანდიის გულში იყავით, მალკოლმ-კესტლის სასადილო დარბაზში. თუმცა სუფრაზე ნაირ-ნაირი კერძი უხვად ელაგ, პაგანელმა მაინც საჭიროდ მიიჩნია სუფრისათვის ველური ჯიშის ფორთოხალი მიემატებინა, რომელიც გორაკების ფერდობებზე იზრდებოდა.

ეს ნაყოფი საკმაოდ უგემური იყო, მისი კურკები კი ისევე ცხარე, როგორც კაიენური პილპილი. ჯიუტი გოგრაფი მეცნიერების სიყვარულით ისე შეექცეოდა მას, რომ სასაგამომწვარს აღარ შეეძლო მაიორის კვიმატ შეკითხვებზე ღირსეული პასუხი გაეცა.

მეორე დღეს, 26 დეკემბერს, ღირშესანიშნავი არა მომხდარა რა. მგზავრებმა ჯერ ნორტონ-კრიკის სათავეებს მიაღწიეს და შემდეგ მალე წაადგნენ ნახევრად დამშრალ მდინარე მეკენზის.

საუცხოო დრო იყო - ზომიერი სიცხეებისა. ქარი სამხრეთიდან მოქროდა და ატმოსფეროს აგრილედა სწორედ ისე, როგორც ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ჩრდილოეთის ქარმა იცის. პაგანელმა ამ მოვლენაზე მიაქცია რობერტ გრანტის ყურადღება.

- ეს ბედნიერი გარემოებაა, რადგან ავსტრალიაში ზაფხულის საშუალო ტემპერატურა მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს იმავე განედზე.

- რატომ? - შეეკითხა ბავშვი.

- რატომ? - შეუბრუნა კითხვა პაგანელმა, - განა შენ არ გაგიგონია რობერტ, რომ დედამიწა მზესთან უფრო ახლოს ზამთრობით არის ხოლმე?

- დიახ გამიგონია.

- ზამთარში იმიტომ ცივა, რომ მზის სხივები ირიბად ეცემა დედამიწაზე.

- ეგეც გამიგია.

- აი, ჩემო ბიჭუნი, სამხრეთ ნახევარსფეროში სწორედ ამის გამო უფრო თბილა, ვიდრე ჩრდილოეთში.

- ვერაფერს მივხვდი, - მიუგო რობერტმა, რომელიც გაოცებით მისჩერებოდა მეცნიერს.

- აბა, დაფიქრდი კარგად, რობერტ. როდესაც ჩვენს ევროპაში ზამთარია, მაშინ რა დროა აქ, ავსტრალიაში, მეორე ნახევარსფეროში?

- ზაფხული? - მიუგო რობერტმა.

- ჰოდა, დედამიწა სწორედ ამ დროს არის ხოლმე მზესთან ახლოს... ახლა გესმის?

- მესმის.

- მაშასადამე, ავსტრალიაში ზაფხული უფრო ცხელია, ვიდრე ჩრდილოეთში, რადგან ავსტრალია ზაფხულობით უფრო ახლოსაა მზესთან, ვიდრე ევროპა,

- ნათელია, ბატონო პაგანელ!

- მაშ, ასე, როდესაც ამბობენ, ზამთრობით დედამიწა მზეს უახლოვდებაო, ეს მხოლოდ ჩვენზე ითქმის, ჩრდილოეთის ნახევარსფეროს მცხოვრებთა შესახებ.

- აი, მაგაზე კი არასოდეს მიფიქრია! - მიუგო რობერტმა.

- ახლა მაინც დაიხსომე ეს, ჩემო მეგობარო, და აღარ დაივიწყო.

რობერტმა ხალისიანად მოისმინა კოსმოგრაფის ეს პატარა გაკვეთილი და ისიც შეიტყო, რომ ვიქტორიის პროვინციაში საშუალო ტემპერატურა 74 გრადუსს აღწევს ფარენჰაიტით, ანუ 23°33´ ცელსიუსით.

საღამო ხანს რაზმი ღამის გასათევად ლონედელის ტბის გაღმა, ხუთი მილის მოშორებით ჩრდილოეთით ამართულ დრუმონდის მთისა და სამხრეთისაკენ ამართულ დროიდენის მთის შუა გაჩერდა.

მეორე დღეს, დილის თორმეტ საათზე, ფორანმა მდინარე უიმერის ნაპირს მიაღწია აღმოსავლეთის გრძედის 143 გრადუსზე.

მდინარე უიმერი სიგანით შვიდასი მეტრი ქინება და წყნარად მოაგორებს ანკარა ზვირთებს გუმფისისა და აკაციის ხეებს შორის.

რამდენიმე მირტის ხეს დიდებულად გაეშალა შტოები და თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე წითელი ყვავილებით გადაშლილიყო. მწვანე ტოტებში ათასობით სხვადასხვა ფრინველი - მოლაღური, ნიბლია, ოქოსფრთიანი მტრედებიდა ყბედი თუთიყუშები - დაფრთხიალედა. ძირს კი, წყლის ზედაპირზე, ჭყუმპალაობდნენ მფრთხალი და მიუკარებელი შავი გედები. ადამიანის დანახვაზე მყისვე მიეფარნენ თვალს ამ თვალწარმტაც ველზე, მდინარე უიმერის დაკლაკნილ შენაკადებში.

მათი ფორანი გაჩერდა პატარა ამწვანებულ კორდზე, რომლის მაღალი ბალახით დაფარული ფერდობი მდინარის კიდეს აღწევდა. ბალახი წყალზე იყო გადაფენილი. არსად მოჩანდა არც ტივი, არც ხიდი. მდინარეში გასვლა კი აუცილებელი იყო.

აირტონი ფონის მოსაძებნად წავიდა. სამასიოდე მეტრის ზევით წყალი ნაკლებღრმა ეჩვენა და ამ ადგილას გასვლა გადაწყვიტა. რამდენიმე მეტრზე მისი სიღრმე მოსინჯა: ერთ მეტრს არ აღემატებოდა. ასეთ ფონში შეიძლებოდა ურმები გაეყვანა.

- იმ მინდორზე გადასვლა სხვამხრივ არ მოხერხდება? - შეეკითხა გლენარვანი აირტონს.

- არა, სერ, - მიუგო მან, - მაგრამ ეს ფონი სახიფათოდ არ მიმაჩნია. გავალთ როგორმე.

- ხომ არა სჯობდა, რომ ქალები ჩამოსულიყვნენ ფორნიდან?

- არა, არ არის საჭირო, ხარები მიჩვეულნი არიან, მუხლმაგრად ივლიან, მით უმეტეს, რომ ფონს მე გავუკვლევ.

- მაშ, გავწიოთ, აირტონ, თქვენი იმედი გვაქვს!

ცხენოსნები ფორანს გარს შემუდგნენ და რაზმი გაბედულად გადაეშვა წყალში. ჩვეულებრივ, როდესაც ფორანი ან ეტლი გაჰყავდათ წყალში, გარშემო ცარიელ კასრებს მიაბამენ ხოლმე, რომ წყალზე ტივტივებდეს, მაგრამ ახლა ასეთი არაფერი ჰქონდათ. ხარებისა და აირტონის სიფრთხილეს უნდა მინდობოდნენ.

აირტონი კოფოზე იჯდა და ისე მიერეკებოდა ხარებს. მაიორი და ორივე მეზღვაური რამდენიმე მეტრით წინ მიუძღოდნენ, ცხენდაცხენ. ფორანს ერთ მხარეს გლენარვანი მისდედა, მეორე მხარეს ჯონ მანგლსი. ისინი მზად იყვნენ, საჭიროების დროს მიშველებოდნენ ქალებს. ფორანს უკან მიჰყვებოდნენ პაგანელი და რობერტი.

შუა მდინარემდე მშვიდობიანად მიაღწიეს, მაგრამ აქ კი სიღრმე მეტი აღმოჩნდა და წყალმა ღერძებს გადაუარა. ხარებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალათ და ის იყო, უნდა აცურებულიყვნენ და ფორანიც თან გაეტცებინათ, რომ აირტონი გადაეშვა წყალში, ხარებს რქებში სწვდა და ისევ ფონზე დააყენა. მოულოდნელად ფორანს რაღაც დაეჯახა წყალში, გაისმა ჭახანი, ურემი გვერდზე გადაიზნიქა, ისე, რომ ქალებს ფეხები დაუსველდათ. ფორანის გადაბრუნებას აღარაფერი აკლდა, მაგრამ გლენარვანი და ჯონ მანგლსი იჭერდნენ მას. განსაცდელის წამი დადგა. საბედნიეროდ, ხარებმა ერთბაშად გაიწიეს და თავთხელ წყალში გაიტანეს ფორანი. მალე ნაპირს შეღმართი დაეტყო და ყველანი მშვიდობიანად გავიდნენ ნაპირზე, საქონელიც და ხალხიც, თუმცა გაწუწულიყვნენ.

დაუზიანებლად მაინც ვერ გადარჩნენ: ფორანს წინა ღერძი გასტეხოდა და გლენარვანის ცხენს კი ორი ნალი დაჰკარგვოდა.

რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა შეეკეთებინათ ფორანი. შეფიქრიანებულებმა ერთმანეთს გადახედეს, არ იცოდნენ, რა ექნათ, ბოლოს აიროტნმა ურჩია, ბლეკ-პოინტის სადგურამდე წავალ, რომელიც ოცდაათი კილომეტრის მანძილზეა ჩრდილოეთით და მჭედელს ჩამოვიყვანო.

- წადით, აირტონ, წადით, - უთხრა გლენარვანმა, - რამდენი დრო დაგჭირდებათ წასვლა-წამოსვლაზე?

- თხუთმეტ საათზე მეტს არ მოვუნდები, - მიუგო მან.

- მაშ, გაეშურეთ, ჩვენ კი უიმერის პირას დავბანაკდებით.

აიროტნმა ვილსონს ცხენი გამოართვა და რამდენიმე წუთის შემდეგ მიეფარა მწვანედ მოღაღანე მიმოზებს.

თავი XI

ბიორკი და სტიუარტი

მოგზაურებმა დანარჩენი დრო მიდამოს დათვალიერებასა და მასლაათში გაატარეს. ბუნებით მოხიბლულნი საუბარში გართულნი დაჰყვნენ უიმერის ნაპირებს.

მათ მიახლოებაზე წარმოშლილი ნაცარ წეროები ხრინწიანი ყვირილით გაერიდებოდნენ ხოლმე. ლეღვის კენწეროებში მინაბულიყვნენ ატლასა ჩიტები, სუმბულისფერი და ფერად-ფერადი. ბამბა, მოლაღურები და ყელწითელა ჩიტუნები ხის ყლორტებს შორის მოუსვენრად დაგოგმანობდნენ. სათევზაოდ გამოსული დამფრთხალი თოლები ცდილობდნენ მოშორებოდნენ საკბილო ადგილს. უფრო გონიერი ფერად-ფერადი თუთიყუშები, პაწია თავწითელა და კისერყვითელა როშილები (მთის თუთიყუშები) და წითელ-ყვითლად მოელვარე ლორიები (ოქროსფერი თუთიყუში) გუმფისის ხის კენწეროებში ერთ ამბავში იყვნენ და ერთ წუთსაც არ წყვეტდნენ გამაყრუებელ ტარტალს.

ამ მშვენიერი ბუნების სანახაობით ტკბებოდნენ ჩვენი მოგზაურები მზის გადახრამდე - ხან მოჩუხჩუხე ნაკადულის პირას მწვანე მოლზე მიწოლილიყვნენ, ხან მიმოზებს შორის საუბრით მოსეირნენი, მაგრამ მოულოდნელი სისწრაფით ჩამოწვა ღამის სიბნელე, როცა ბანაკიდან ნახევარი მილის მოშორებით იყვნენ. სამხრეთ ნახევარსფეროში სრულიად არ მოჩანს პოლარული ვარსკვლავი და მათი გზის მაჩვენებელელი ამჟამად სამხრეთის ჯვარი იყო, რომელიც კაშკაშებდა ჰორიზონტიდან ზენიტამდე ნახევრი მანძილის სიშორეზე მაინც.

მათ კარავში კი ოლბინეტს ისეთი ვახშამი გაემზადებინა, რომ მგზავრები თითებს ჩაიკვნეტდნენ. ეს იყო რამდენიმე თუთიყუშის რაგუ. თუთიყუშები ვილსონს დაეხოცა და მზარეულს დიდი ოსტატობით დაემზადებინა. ვახშმის შემდეგ ძილის გუნებაზე არვინ იყო. ყველანი ცდილობდნენ ისეთი საბაბი გამოეგონებინათ, რომ მათი საზოგადოება ამ მშვენიერ, ჯადოსნურ ღამეს დიდხანს არ დაშლილიყო. ბოლოს, ელენის წინადადებით, პაგანელს სთხოვეს, შეესრულებინა დაპირება და ეამბა მათთვის ავსტრალიის გამოჩენილ მოგზაურთა თავგადასავალი. გეოგრაფს თხოვნის გამორება არ დასჭირდა. მსმენელებმა უზარმაზარი ხის ქვეშ მოიკალათეს, მათი სიგარების ბოლი ტოტებამდე აღწევდა და ღამის წყვდიადს უერთდებოდა. პაგანელმა მოხსნა თავისი დაუშრეტელ გეოგრაფიულ ცოდნის გუდა და დაიწყო:

- მეგობრებო, ყველას გემახსოვრებათ და მით უმეტეს, მაიორს ყველაზე კარგად უნდა ახსოვდეს, სია იმ მოგზაურებისა, რომელნიც გაგაცანით "დუნკანზე". იმ მოგზაურთა შორის მხოლოდ ოთხმა შეძლო გადაელახა მთელი ავსტრალიის კონტინენტი ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე. ესენი იყვნენ: ბიორკი - 1860 და 1861 წლებში, მაკ-კინელი - 1861- და 1862 წლებში, ლენსბორო - 1862 წელს. სტიუარტი - 1862 წელს.

მაკ-კინლეისა და ლენსბოროზე მოკლედ მოგახსენებთ: მაკ-კინლეი ადელაიდიდან კარპენტარიის უბისაკენ გაემგზავრა, ლენსბორო კი კარპენტარიის უბიდან მელბურნისაკენ. ორივეს ავსტრალიის დაწესებულებებისაგან დავალებული ჰქონდათ, მოენახათ ბიორკი, რომელიც უგზო-უკვალოდ იყო დაკარგული. წინასიტყვაობის გაუჭიანურებლად გიამბობთ ამ გულადი და მამაცი მკვლევარის თავგადასავალს.

1860 წლის 20 აგვისტოს მელბურნის სამეფო საზოგადოების ხარჯით სამეცნიერო მოგზაურობაში ექსპედიციით გაემართა ირლანდიელი ნაოფიცრალი რობერტ ო´ ჰარა

ბიორკი, რომელსაც თან ახლდა თერთმეტი კაცი: ახალგაზრდა ასტრონომი უილიამ ჯონ უილსი, დოქტორი ბეკლერი, ბოტანიკოსი გრეი, ინდოეთის არმიის ახალგაზრდა ოფიცერი კინგი, ლანდელსი, ბრაჰაე და რამდენიმე სი პაი[1].

ოცდახუთი ცხენი და ოცდახუთი აქლემი მიეზიდებოდა მგზავრებს, მათ საჭურველსა და თვრამეტი თვის სანოვაგის მარაგს. ექსპედიციას კარპენტარის უბის ჩრდილო სანაპირომდე უნდა მიეღწია, იქიდან კი მდინარე კუპერს-კრიკს

---

1 სი პაი - ინგლის-ინდოეთის არმიის დაქირავებული ჯარისკაცი ადგილობრივი მოსალხეობისაგან (ინდიელებისაგან)

დაჰყოლოდა. ექპედიციამ ადვილად გადაიარა მდინარე მურეისა და დარლინგის მიდამოები და მშვიდობიანად მიაღწია ინგლისის ახალშენის საზღვარზე მდებარე მენინდეს სადგურს.

აქ კი უკვე გაძნელდა ბარგის ზიდვა. ამას ზედ დაერთო ბიორკის შურიგებელი ხასიათიც და რაზმში განხეთქილება ჩამოვარდა. მათ ჩამოსცილდა ლანდელსი, რომლის განკარგულებაშიც იყო აქლემები და რამდენიმე მექალემე. ის დარლინგის სანაპიროებს დაუბრუნდა.

ბიორკმა გზა განაგრძო. ჯერ მშვენიერი იალაღები გადაიარა, ბევრი ქვაღორიანი უწყლო ადგილიც გადალახა და მდინარე კუპერს მიაღწია. 20 ნოემბერს, ე.ი. გამომგზავრებიდან მესამე თვის თავზე, ბიორკმა თავისი მარაგი მდინრის პირას შეავსო.

მოგზაურები ცოტა შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ ვერ გამონახეს ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ისეთი გზა, რომელზედაც წყალს შეხვდებოდნენ. ბევრი წვალების შემდეგ დაბანაკდნენ ერთ ადგილას, რომელსაც უილსის ფორტი დაარქვეს. ამ ადგილას მესრებით შემოღობილ ეზოში მოაწყვეს სადარაჯო, რომელიც მდებარეობდა მელბურნისა და კარპენტარის უბის შუა გაზაზე. ბიორკმა ორად გაყო თავისი რაზმი, ერთი ნაწილი ბრაჰეს მეთაურობით აქ დატოვა სამი თვის ვადით, ხოლო თუ სურსათი გასწვდებოდათ, უფრო მეტხანსაც, რათა მეორე ნაწილისათვის დაეცადა. მეორე ჯგუფში იყვნენ ოთხნი: ბიორკი, კინგი, გრეი და უილსი. ჰქონდათ ცენტნერი ფქვილი, ორმოცდაათი გირვანქა ბრინჯი, ორმოცდაათი გირვანქა შვრიის ფქვილი, ცენტნერი გამომშრალი ცხენის ხორცი, ასი გირვანქა დამარილებული ღორის ხორცი და ქონი, ოცდაათი გირვანქა ორცხობილა. რაც ექვსასი ლიეს გადასალახავად და უკან დასაბრუნებლად კმაროდა.

ამ ოთხმა კაცმა ქვიან უდაბნოში აუტანელი მგზავრობის შემდეგ მიაღწია მდინარე ეიერს: ეს იყო ის უკანასკნელი ადგილი, რომელსაც სტიუარტმა 1845 წელს მიაღწია. აქედან ბიორკი და მისი თანამგზავრები ცდილობდნენ, რაც შეიძლება პირდაპირი გზით ევლოთ ჩრდილოეთისაკენ. 140-ე მერიდიანის მიმართულებით. საშინელ პაპანაქებაში, ათასგვარი მაცდური მირაჟით აღსავსე უწყლო და გავერანებულ ადგილებზე ხეტიალის შემდეგ, სადაც ზოგჯერ კოკისპირული წვიმა აგრილებდა მათ, ხშირად წააწყდებოდნენ ხოლმე მომთაბარეებს, რომლებიც არას ერჩოდნენ.

7 იანვარს ტროპიკი გადასერეს. საერთოდ კი გადაულახავი დაბრკოლება არ შეხვედრიათ, მით უმეტეს, რომ გზადაგზა არც ტბები იყო, არც მდინარეები, არც მთები. 12 იანვარს ჩრდილოეთის მხარეს მთაგრეხილი შეამჩნიეს, ფორბეს მთეა და მთელი წყება გრანიტის ქედებისა. აქ კი მეტად გაუჭირდათ საქმე. დიდი წვალებით მიდიოდნენ წინ, ასრ კლდეებზე. აქლემები გაჯიუტდნენ და ადგილიდან ფეხი აღარ მოიცვალეს.

"ჯერ ისევ გრანიტის მთებში ვართ ! აქლემებს შიშისაგან ოფლის ხვითქი სდით", - წერდა ბიორკი უბის წიგნაკში. ამისდა მიუხედავად, მოგზაურებმა მედგარი ენერგიის მეოხებით მაინც მიაღწიეს მდინარე ტერნერის ნაპირებს. ბოლოს კი მდინარე ფლინდერსის მთვარ ტოტს, რომელიც ერთვის პალმებითა და და ევკალიპტებით დაბურულ კარპენტარიის ყურეს, პირველად 1841 წელს შტოკმა რომ ნახა.

ოკეანის სიახლოვე საგრძნობი გახდა ჭაობანი ნიადაგის მიხედვით, სადაც ერთი აქლემი ჩაიფლო და დაიღუპა. დანარჩენებს ნაბიჯი ვეღაღ წაადგმევინეს წინ. კინგი და გრეი აქლემებთან დარჩნენ. ბიორკმა და უილსმა კი გზა განაგრძეს ჩრდილოეთისაკენ და

მრავალი სიძნელის გადალახვის შემდეგ მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ჭაობს ზღვის მოქცევის ტალღები შემოსდგომოდა. ოკეანე მაინც არსად ჩანდა. ეს მოხდა 1861 წლის 11 თებერვალს.

- მაშ, ასეთი გულადი ადამიანები წინ ვეღარ წავიდნენ? - იკითხა ელენმა.

- ვეღარ შეძლეს, ქალბატონო, მათ დაღუპვას უქადდა ჭაობიანი ნიადაგი. ახლა საფიქრებელი გაუხდათ უკან გამობრუნება, უილსის ფორტში დარჩენილი ამხანაგებისაკენ. საცოდაობა იყო მათი დაბრუნება, გეფიცებით. ღონემხიდილმა და ქანცგაწყვეტილმა, ბიორკმა და უილსმა ფორთხვით და ბობღვით ძლივს მიაღწიეს გრეიმდე და კინგამდე. მერე ყველანი სამხრეთისაკენ დაეშვნენ. განვლილი გზით და მდინარე კუპრის სათავისაკენ აიღეს გეზი. რა განიცადეს ამ მგზავრობისას, რა განსაცდელი და წამება გამოიარეს, ეს ჩვენ არ ვიცით. მკვლევართა უბის წიგნაკები დუმან ამის შესახებ, მაგრამ მათი ტანჯვა შემაძრწუნებელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, აპრილში მათგან მხოლოდ სამმა მიაღწია კუპერის ხეობას. გრეიმ ვეღარ აიტანა სიძნელენი და გზაშივე გარდაიცვალა. ოთხი აქლემიც დაეღუპათ. ამისდა მიუხედავად, მაინც მილასლასებდნენ.

21 აპრილს თვალი მოჰკრეს უილსის სადარაჯოს. საცაა მიაღწევენ, ეშველებათ!.. გადარჩებიან! მაგრამ სწორედ იმ დღეს, ხუთი თვის ლოდინის შემდეგ, ბრაჰე აყრილიყო და უილსის სადარაჯოდან და გზას გასდგომოდა.

- წასულა? - წამოიძახა რობერტმა.

- დიახ, წასულიყო! სწორედ იმ დღეს! რა უცნაური დაცინვაა ბედის! ბრაჰეს დაეტოვებინა ბარათი, საიდანაც ჩანდა, რომ შვიდი საათის წინ ის კიდევ იმ ფორტში იმყოფებოდა. წარმოუდგენელი იყო, კვალზე მიჰყოლოდი და დასწეოდი. ბედის ამარა დარჩენილი უბედურები დანაყრდნენ სადარაჯოზე დატოვებული სანოვაგით, მაგრამ არავითარი სამოგზაურო საშუალება არ გააჩნდათ, მდინარე დარლინგამდე კი შვიდასი კილომეტრი იქნებოდა. ბიორკმა გადაწყვიტა, როგორმე მიეღწია ჰოპელეს მთის ძირას მდებარე ავსტრალიელთა დასახლებამდე, რომელიც უელსის სიმაგრეს ორას ორმოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული.

ორი აქლემიღა ჰყავდათ, ერთი მდინარე კუპერის შენაკადში გასვლისას დაეღუპათ, მეორეს კი ნაბიჯის გადადგმის ილაჯიც აღარ ჰქონდა, დაკლეს და მის ხორცს საჭმელად იზოგავდნენ. მალე სანოვაგე სულ გამოელიათ. უბედურები წყლის მცენარეის - ნარდუს მარცვლებით იკვებებოდნენ. უწყლობისა და სამოგზაურო საშუალებათა უქონლობის გამო მდინარე კუპერის ნაპირებს ვერ გასცილდნენ, მათ კარავს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. დაეწვათ ყველაფერი, რაც კი ებადათ. ისინი უკვე ბედისაგან განწირულები, სიკვდილის მოლოდინში იყვნენ! ბიორკმა მიიხმო კინგი და უთხრა: "რამდენიმე საათის სიცოცხლეღა დამრჩენია. აი, ჩემი საათი და უბის წიგნაკი. როდესაც მოვკვდები, მარჯვენა ხელში რევოლვერი ჩამიდეთ და დაუმარხავი დამტოვეთ!" მეტი აღარაფერი უთქვამს, მეორე დილის რვა საათზე გარდაიცვალა. შეძრწუნებული და საგონებელში ჩავარდნილი კინგი რომელიმე ადგილობრივი ტომის მისაგნებად გაემართა. უკან რომ დაბრუნდა, უილსიც მკვდარი დახვდა. თავად კინგი კი უგონოდ ეპოვათ ადგილობრივ მცხოვრებთ. სექტემბერში მას ბიორკის საძებნელად გაგზავნილმა ჰოვიტის ექსპედიციამ მიაგნო.

როგორც ხედავთ, იმ ოთხი მკვლევარისაგან, რომელთაც მოიწადინეს ავსტრალიის თავიდან ბოლომდე გადალახვა, ერთიღა გადარჩა.

პაგანელის ნაამბობმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე. ყველას თვალწინ ედგა კაპიტანი გრანტი, რომელიც ვინ იცის, ბიორკისა და სხვების მსგავსად ახლაც დაძრწის თვალუწვდენელ კონტინენტზე. "გადაურჩა თუ არა ის იმ საბედისწერო საფრთხეს, რამაც იმსხვერპლა ეს მამაცი პიონერი მკვლევარები?" - გაიფიქრა თვალცრემლიანმა მერი გრანტმა და თრთოლვით ჩაილაპარაკა, - საბრალო მამა!

- მის მერი, მის მერი! - უთხრა ჯონ მანგლსმა სანუგეშებლად, - ყველა იმ ტანჯვა-ვაების გადასატანად, რაც თქვენ აქ მოისმინეთ, სადმე ქვეყნის მიყურებულ სიღრმეში უნდა მოხვდეს ადამიანი. კაპიტანი გრანტი, ალბათ, ადგილობრივ მცხოვრებთა ხელშია. ისევე,

როგორც კინგი იყო, და იმასაც გადავარჩენთ. ის არასოდეს ჩავარდება ისეთ მძიმე მდგომარეობაში, როგორშიც ბიორკი იყო.

- არასოდეს! - დაურთო პაგანელმა, - გიმეორებთი, ავსტრალიის ველურები სტუმართმოყვარე და უწყინარი ხალხია.

- გისმინოთ უფალმა! - უპასუხა მერიმ.

- მერე, სტიუარტს რაღა დაემართა? - ჩაურთო გლენარვანმა, რომ მძიმე საუბრის საგანი გამოცვალა.

- სტიუარტი? - გაიმეორა პაგანელმა, - სტიუარტი უფრო ბედნიერი აღმოჩნდა. 1848 წლიდან ჯონ მაკ დუალ სტიუარტი მუდამ თან ახლდა შტურტს, რომელიც ადელაიდის ჩრდილოეთით მდებარე უდაბნოებში მოგზაურობდა. 1860 წელს მხოლოდ ორი თანამგზავრის თანხლებით სცადა შეჭრილიყო ავსტრალიის სიღრმეში, მაგრამ უნაყოფოდ. ისეთი ადამიანი იყო, რომელიც დაბრკოლების გამო სასოწარკვეთილებას არ ეძლევა. 1861 წლსი 1-ლ იანვარს თერთმეტი თანამგზავრის თანხლებით დატოვა მდინარე ჩებერსი და არსად გაჩერებულა, სანამ არ მიაღწია იმ ადგილს, საიდანაც კარპენტარიის ყურემდე ორას ორმოცდაათი კილომეტრიღა იყო გასავლელი. სურსათის ნკლებობის გამო აქედან ადელაიდაში მოუხდა დაბრუნება, მაგრამ ერთხელაც სცადა ბედი. მოაწყო ექსპედიცია, რომელმაც ამ ჯერზე სასურველ მიზანს მიაღწია. სამხრეთ ავსტრალიის პარლამენტმა თავისი მზრუნველობის ქვეშ აიყვანა ეს ექსპედიცია და ორი ათასი გირვანქა სტერლინგით დაეხმარა. სტიუარტმა მხედველობაში მიიღო ადრინდელი გამოცდილება, გარს შემოიკრიბა უახლოესი მეგობრები: ნატურალისტი უოტერჰოუზი, თრინგი, კეკუიკი, წინა ექსპედიციის მონაწილე ძველი ამხანაგები - ვუდფორდი, ოლდი - სულ ათი კაცი.

მოიმარაგა 20 ამერიკული ტყავის თულუხი, თითოში 7 გალონი წყალი, ე.ი. 25 ლიტრამდე ჩადიოდა, და 1862 წლის 5 აპრილს ის უკვე გასცდა სამხრეთ განედის 18°-ს, სწორედ იმ ადგილას, სადაც წინათ სტიუარტმა ვერ მიაღწია. მისი სავალი გეზი მისდევდა ასოცდამეჩვიდმეტე მერიდიანს, ე.ი. შვიდი გრადუსით დასავლეთით იმ გეზიდან, რომელსაც ბიორკი მისდევდა. ნიუკასლ-უოტერის აუზი უნდა გამხდარიყო ახალ გამოკვლევათა დასაყრდენი წერტილი. სიტუარტის გარშემო აზიდულიყო უღრანი ტყეები, ამაოდ ცდილობდა იგი გზა გაეკაფა ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ასევე უნაყოფო იყო მისი ცდა, მიეღწია მდინარე ვიქტორიამდე დასავლეთ მხარეს. გაუვალი ჯაგნარი გზას უღობავდა, სტიურტმა გადაწყვიტა, ბანაკი გადაენაცვლებინა. ჩრდილოეთისაკენ, ჰოვერის ჭაობების ახლოს გადაბარგდა, იქიდან აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი და წააწყდა ბალახით დაფარულ ვაკეს, დეილის ხევის გასწვრივ და მისი სათავისაკენ გაიარა ოცდაათ მილამდე.

მიდამო თანდათან უფრო მდიდარი და ნოყიერი აღმოჩნდა. იქაური იალაღები ბედნიერებას მიანიჭებდა და დოვლათს მისცემდა ახალშენებს. აქ არაჩვეულებრივი სიმაღლის ევკალიპტები იზრდებოდა. სტიუარტი აღტაცებით განაგრძობდა გზას. მან მიაღწია ამდინარე სტრაგუელსა და როპერ-კრიკის ნაპირებს, რომლებიც ლეიჰარდტის აღმოჩენილი იყო. ეს მდინარეები ამ ტროპიკული ზონის საუცხოო პალმებშუა მიიმართებოდა. აქაურებმა კარგი მასპინძლობა გაუწიეს. აქედან ექსპედიციამ სამხრეთ-დასავლეთისაკენ აიღო გეზი. ამ მიდამოებში ეძებდნენ მდინარე ადელაიდის სათავეს, რომელიც ვად-დიმენის ყურეს ერთვის. მოგზაურები იმხანად არანჰაიმელნდის მიწა-წყალზე, პალმებს, ბამბუკებსა და პანდნუსებს შორის იმყოფებოდნენ. მდინარე ადელაიდის კალაპოტი თანდათან განზე იწევდა; მისი ნაპირები საფლობებს წარმოადგენდა, ოკეანის სიახლოვის ნიშნები თვალში საცემი იყო.

სამშაბათს, 22 ივლისს, სტიუარტი ფრიშ-უოტერის ჭაობებში დაბანაკდა. გზადაგზა უამრავი ნაკადის გადალახვით გაბეზრებულმა სამი თანამგზავრი გააგზავნა გზის გამოსაკვლევად. მეორე დღეს ხან პატარ-პატარა ყურეს უვლიდნენ გარს, ხან საფლობ ადგილებში მიტოპავდნენ და ბოლოს, მიაღწიეს რამდენიმე ზეგანს, რომელზედაც წებოვანი და ქერქბოჭკოვანი ხეები იზრდებოდა. აქ გუნდ-გუნდად ირეოდნენ გარეული ბატები,

იბისები და ათასგვარი წყლის ფრინველი. მოსახლეობა არსად შეხვედრიათ. მხოლოდ შორს მოჩანდა კვამლი, ნიშანი მათი ბანაკისა.

24 ივლისს, დილის რვა საათსა და ოც წუთზე, გამგზავრებიდან ცხრა თვის შემდეგ, სტიუარტი კვლავ განაგრძობდა გზას ჩრდილოეთისაკენ, უნდოდა იმავე დღეს მიეღწია ოკეანემდე. მათი სავალი გზა ბორცვებიანი იყო, რკინის მადნითა და ვულკანური ლოდებით მოფენილი. თანდათან უფრო პატარა ხეები ხვდებოდათ. თვალწინ გადაეშალათ ბუჩქნარით შემორაგული ფართო ხეობა. მგზავრები უსურვაზისა და კრიკინის ჭალებში მიდიოდნენ.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და სტიუარტი ინდოეთის ოკეანეს წაადგა!

- ზღვა! ზღვა! - ყვიროდა გაოცებული ფრანგი. მის ყვირილიზე ყველამ მიირბინა და "ვაშას" შეძახილით სამჯერ მიესალმნენ ოკეანეს.

ეს მეოთხეჯერ იყო გადასერილი ავსტრალიის კონტინენტი! სტიუარტმა ზღვის ტალღებში ფეხები და ხელ-პირი დაიბანა. შემდეგ მინდორს დაუბრუნდა და თავისი სახელისა და გვარის პირველი ასოები ამოჭრა ხეზე.

ჩვენმა მოგზაურებმა ბანაკი პატარა, მაგრამ დაქანებული ხევის პირას დაიდეს. მეორე დღეს ფრანგი იმის გამოსაკვლევად გაემართა, შეიძლებოდა თუ არა ადელაიდის შესართავამდე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მიეღწიათ, მაგრამ ნიადაგაი ძალიანჰ ჭყანტობი აღმოჩნდა, ცხენები ეფლობოდნენ და ძალაუნებურად ხელი აიღო ამ განზრახვაზე. მაშინ სტაუარტმა გზაზე უმაღლესი ხე შეარჩია: ქვედა ტოტები შესხიპა და კენწეროზე აღმართა ავსტრალიის დროშა. ქერქზე კი წააწერა: "სამხრეთის მხარეს ერთი ფუტის დაშორებით გათხარე მიწაში". თუ რომელიმე მოგზაურთაგანი როდისმე ამოთხრის აღნიშნულ ადგილას, იქ ნახავს თურუქის ყუთს იმ საბუთებით, რომელთა დედანიც ჩამრჩა მეხსიერებაში:

"ავსტრალიის კონტინენტის გადასერვა სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე ჯონ მაკ დუალ სტიუარტის მეთაურობით მოგზაურთა ჯგუფი მოვიდა აქ 1862 წელს, 25 ივლისს, მთელი ავსტრალიის გამოვლის შემდეგ, სამხრეთის ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე. მკვლევარები ადელაიდიდან გამოვიდნენ 1861 წლი 26 ოქტომბერს, კოლონისტების უკანასკნელი მოსახლეობა დატოვეს 1862 წლის 21 იანვარს. ამ ბედნიერი მოვლენის სამახსოვროდ მათ აქ აღმართეს ავსტრალიის დროშა ექსპედიციის უფროსი სახელით და ხეზე ამოჭრეს ექსპედიციის მეთაურის ინიციალები. ყველაფერი რიგზეა. ღმერთო, დაიფარე დედოფალი!"

ქვეშ ხელს აწერდნენ სტიუარტი და მისი თანამგზავრები. ასე აღნიშნა ეს შესანიშნავი მოვლენა, რომლის ამბავიც მთელი დედამიწის ზურგს მოედო.

- მერე, მამაცი მოგზაურები დაბრუნდნენ სამხრეთში დატოვებულ მეგობრებთან? - იკითხა ელენმა.

- დიახ, - მიუგო პაგანელმა, - ყველანი დაბრუნდნე, თუმცა დიდი გაჭირვება კი გამოიარეს. ყველაზე მეტად სტიუარტი დაიტანჯა. ადელაიდაში დაბრუნების შემდეგ სურავანდი შეეყარა და დიდად შეურყია ჯანმრთელობა. სექტემბრის დამდეგს სნეულება ისე გაურთულდა, რომ დასახლებულ ადგილამდე მიღწევის იმედი აღარ ჰქონდა. ცხენზე ჯდომა აღარ შეეძლო და ორ ცხენზე დადებული საკაცით წაიყვანეს. ოქტომბრის დამლევს სისხლი აღებინა. მდგომარეობა უიმედო ჩანდა. მისთვის ბულიონის დასამზადებლად ერთი ცხენი დაკლეს. 28 ოქტომბერს სულთმობრძავი იყო. გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ, მაგრამ კრიზისმა გაიარა. 10 დეკემბერს მისმა პატარა რაზმმა მოახალშენთა პირველ სამოსახლომდე მიაღწია. სტიუარტი მხოლოდ 17 დეკემბერს შევიდა თავიდა რაზმით ადელაიდაში. ქალაქის მცხოვრებნი აღტაცებით გამოეგებნენ, მაგრამ მის ჯანმრთელობას აღარ ეშველა რა. მალე გეოგრაფიული საზოგადოებისაგან ჯილდოს მიიღო ოქროს მედალი და გემ "ინდიელით" გაემართა თავის საყვარელ შოტლანდიაში. დაბრუნების შემდეგ იქ, ალბათ, კიდევ ვნახავთ[1].

- მაგ ადამიანს უდიდესი ზნეობრივი ენერგია ჰქონდა, - თქვა გლენარვანმა, - დიად საქმეს კი ზნეობრივი ძალა უფრო სჭირდება, ვიდრე ფიზიკური. შოტლანდიას შეუძლია იამაყოს ასეთი შვილით!

- სტიუარტის შემდეგ აღარც ერთ მოგზაურს არ უცდია ახალი გამოკვლევანი? - იკითხა ელენმა.

- როგორ არა, ქალბატონო, - მიუგო პაგანელმა, - მე ხშირად მიხსენებია თქვენთან ლეიჰარდტი. ამ მოგზაურმა ჯერ კიდევ 1844 წელს მოახდინა შესანიშნავი გამოკვლევა სამხრეთ ავსტრალიისა. 1848 წელს მეორე ექსპედიცია მოაწყო სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქებში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მას შემდეგ აგერ ჩვიდმეტმა წელმა განვლო და ჯერაც ვერ მიუგნიათ მისი კვალისათვის. შარშან ცნობილმა მელბურნელმა ბოტანიკოსმა დოქტორმა მიულერმა ხელმოწერები შეაგროვა ლეიჰარდტის მოსაძებნი ექსპედიციისათვის თანხის შესაგროვებლად. ფული სწრაფად შეკრიბა.

ექსპედიციამ 18646 წლის 21 იანვარს დატოვა მდინარე პარაოს ნაპირები და გაემგზავრა გონიერი და გულადი მაკ-ინტირის მეთაურობით. ამ წუთს, ჩვენ რომ აქ ვსაუბრობთ, ის ალბათ, ქვეყნის სიღრმეშია შეჭრილი ლეიჰარდტის საძებნელად. ნეტავ გაიმარჯვოს მისმა ექსპედიციამ და ჩვენც გვაპოვნინოს ძვირფასი მეგობრები!

ასე დააბოლოვა თავისი მოთხრობა გეოგრაფმა. მას მადლობა გადაუხადეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი დასაძინებლად მილაგდნენ. გუმფისის ხის კენწეროზე მიმალული ჩიტის-საათი კი თითქოს წუთებს ითვლიდა და სევდიანად ახმაურდა ამ მიყრუებულ ღამეში.

თავი XII

მელბურნ-სენდჰორსტის რკინიგზა

მჭედლის მოსაყვანად ბლეკ-პოინტის სადგურისაკენ აირტონის წასვლას მიაორმა ერთგვარი ეჭვით შეხედა, მაგრამ თავისი ეჭვები არავისთვის გაუმხელიათ. ახლომახლო მინდვრების მყუდროება არავის დაურღვევია.

---

1 ჟაკ პაგანელმა მართლაც ინახულა სტიუარტი ევროპაში დაბრუნებისას. 1866 წლის 5 ივნისს სტიუარტი გარდაიცვალა (შენიშვნა ავტორისა).

განვლო ღამემ, მზე ამოვიდა, ირგვლივ სიწყნარე იყო. გლენარვანს მხოლოდ ის აზრი აწუხებდა, ვაითუ აირტონი მარტო დაბრუნდესო. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე დღით დასჭირდებოდათ აქ დგომას, გლენარვანმს კი დროის დაკარგვა და დაგვიანება არა სჩვეოდა.

მეორე დღეს, მზის ამოსვლისას, აირტონი დაბრუნდა ბლეკს-პოინტის სადგურიდან და თან მოიყვანა მჭედელიც. ბრგე ვაჟკაცი იყო, ზორბა მოყვანილობისა, მაგრამ მხეცური გამომეტყველება კაიკაცობას არ უმოწმებდა. თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ხელობა იცოდა. მჭედელი ჩუმი იყო, ფუჭი ყბედობისათვის დროს არ კარგავდა

- კარგი ოსტატია? - შეეკითხა ჯონ მანგლსი არისტონს.

- კაპიტანო, მეც იმდენად ვიცნობ, რამდენადაც თქვენ, ვნახოთ! - მიუგო არისტონმა.

მჭედელი საქმეს შეუდგა, ეტყობოდა, თავის საქმეში დახელოვნებული იყო, მოხერხებულად მოჰკიდა ხელი ფორნის წინადის შეკეთებას. მარჯვედ და სწრაფად მუშაობდა. მაიორმა ორივე მაჯაზე შავად დალეკერტებული სისხლი შეამჩნია. პერანგის მოკლე სახელოები ვერ უფერავდა ამ არც ისე ძველ დაღს. მაკ-ნაბსმა ჰკითხა მჭედელს, რისგან გაქვსო. მჭედელმა ყური მოიყრუა, ვითომ ვერ გაიგო კითხვა და მუშაობას უმატა. ორი საათის შემდეგ ფორანი სრულიად გამართული იდგა.

გლენარვანის ცხენსაც ეშველა. მჭელდს თან მოეტანა გამზადებული ნალები. მაიორის ყურადღება ამ ნალებმაც მიიზიდა განსაკუთრებული თავისებურებით: ნალის ძირზე სამყურა ბალახი იყო ამოჭრილი. მაკ-ნაბსმა აირტონს უჩვენა ნალი.

- ეს ბლეკ-პოინტის დაღი გახლავთ, - მიუგო მან, - ამ ნიშნით გაარჩევთ ადგილობრივი ცხენის კვალს უცხო ცხენის კვალისაგან.

ცხენის დაჭედვის შემდეგ მჭედელმა გასამრჯელო მოითხოვა და ოთხიოდე სიტყვაც კი არ უთქვამს, ისე წავიდა.

მგზავრებიც ნახევარი საათის შემდეგ გზას გაუდგნენ. მიმოზის ბუჩქნარის იქით გადაჭიმულიყო გავაკებული უსაზღვრო სივრცე, ბუჩქებითა და მაღალი ბალახებით. ალაგ-ალაგ მესრით შემოვლებულ სივრცეზე უამრავი საქონელი ძოვდა. აქა-იქ მოჩნადა კვარცისა და რკინის ქანების ლოდები.
რამდენიმე მილის იქით ფორნის თვლები ჩაეფლო მიწაში, რომელსაც ადგილ-ადგილ მაღალ ლაქაშებში მიმალული ნაკადები სერავდა. შემდეგ გზA გარს უვლიდა თითქმის გამშრალ მლაშე ტბებს.

მგზავრებიც ნახევარი საათის შემდეგ გზას გაუდგნენ. მიმოზის ბუჩქნარის იქით გადაჭიმუილიყო გავაკებული უსაზღვრო სივრცე, ბუჩქებითა და მაღალი ბალახებით. ალაგ-ალაგ მესრით შემოვლებულ სივრცეზე უამრავი საქონელი ძოვდა. აქა-იქ მოჩანდა კვარცისა და რკინიანი ქანების ლოდები.

რამდენიმე მილის იქით ფორნის თვლები ჩაეფლო მიწაში, რომელსაც ადგილ-ადგილ მაღალ ლაქაშებში მიმალული ნაკადები სერავდა. შემდეგ გზას გარს უვლიდა თითქმის გამშრალ მლაშე ტბებს.

მგზავრობა იოლი იყო და გაუბეზრებელი. ელენი ხან ერთს მიიწვევდა თავის სალონში, ხან - მეორეს, სადაც ისინი ცხენებზე ჯდომით მოქანცულნი ისვენებდნენ. ელენს ჯონ მანგლსიც არ დავიწყებია და უნდა ითქვას, რომ მისი სერიოზული საუბარი ქალებს არ მოსწყენიათ, პირიქით, დიდად მოსწონდათ კიდეც.

ასეთ საუბარში გადაჭრეს კრაულენდიდან ჰორსჰემისაკენ მიმავალი საფოსტო გზა, რომელიც მტვრად იყო ქცეული. ამ გზას ქვეითი მგზავრები არ ეტანებოდნენ. ტალბორტის ოლქის საზღვრების მახლობლად გავლისას გადასერეს დაბალი ბორცვების რამდენიმე წყება და საღამოს ხუთ საათზე გაჩერდნენ მეირბონის ჩრდილოეთით სამი მილის მანძილზე. წვიმა ცრიდა, რომელიმე სხვა ქვეყანაში ეს ჟინჟლიანი ამინდიც დაანოტიოებდა მიდამოს. ააქ კი ჰაერი ისე ჯადოსნურად ნთქავდა სინესტეს, რომ ღამის გასათევად არხეინად შეეძლოთ დაბანაკებულიყვნენ. მეორე დღეს, 29 დეკემბერს, მოძრაობა ცოტა შეუფერხდათ ურიცხვი ბორცვის გამო, რომელთა წყალობით ეს კუთხე თითქოს პაწია შვეიცარიას წარმოადგენდა. აღმართ-დაღმართზე ასვლა-ჩასვლა მოგზაურებს საკმაოდ ანჯღრევდათ, ხშირად ფეხით სიარულს ამჯობინებდნენ.

დილის თორმეტ საათზე მიაღწიეს საკმაოდ მოზრდილ ქალაქს - კარლსბრუკს. აირტონს უნდოდა, დროის მოსაგებად გვერდი აეხვია ამ ქალაქისათვის. გლენარვანიც იმავე აზრისა იყო, მაგრამ ახალ სანახაობას დახარბებული პაგანელი ვერ დაიყოლიეს. მას დასტური მისცეს ქალაქის დათვალიერებისა, ფორანი კი ნელ-ნელა გაჰყვა თავის გზას.

პაგანელმა ჩვეულებისამებრ რობერტიც თან გაიყოლა. ქალაქი სახელდახელოდ დაათვალიერეს, მაგრამ საკმაო წარმოდგენა მაინც მიიღეს ავსტრალიის ქალაქების შესახებ. აქ იყო ბანკი, სასამართლო, ბაზარი, სკოლა, ეკლესია და ასიოდე ერთიმეორის მსგავსი აგურის სახლი. მთელი დაბა სწორკუთხედის სახით იყო გაშენებული ერთიმეორის გადამსერი ქუჩებით, როგორც ინგლისელეს სჩვევიათ. ასეთი გეგმით ქალაქის გაშენება ძალიან ადვილი საქმეა. სამაგიეროდ, ნაკლები მომხიბლაობა და ლაზათი აქვს. ქალაქის ზრდის დროს ქალაქის ქუჩების მოზარდი ბავშვების შარვალივით თანდათან გრძელდება და თავდაპირველი სიმეტრია არ ირღვევა.

კარლსბრუკში სიცოცხლე დუღდა. ეს მოვლენა ახასიათებს ყველა ახალდაარსებულ ქალაქს. ავსტრალიაში ქალაქებიც ისევე იზრდება, როგოც ხეები მზის ქვეშ. ქუჩებში საქმიანი ხალხი ფუსფუსებდა. ოქროთი მოვაჭრენი, რომლებიც ოქროს მოეზიდებიან ბენდიგოს ქარხნებიდან და ალექსანდრეს მთებსი საბადოებიდან. საბადოების კანტორების წინ ტრიალებდნენ. მთელი ეს ხალხი თავისი საქმით იყო გართული და ყურადღებაც არ მიუქცევია ამ მშრომელი ჭიანჭველებსი ბუდეში შემთხვევით მოხვედრილი უცხოელებისათვის. ჩვენმა ტურისტებმა ერთი საათი მოანდომეს ქალაქის დათვალიერებას

და მშვენივრად დამუშავებული მინდვრებისაკენ გასწიეს და თანამგზავრებთან შესაერთებლად.

მინდვრების იქით გადაჭიმული იყო ფართო ველები, სადაც უამრავი ჯოგი ძოვდა, აქა-იქ მოჩანდა მწყემსების ქოხებიც. შემდეგ ადგილმდებარეობამ ერთბაშად იცვალა ფერი, როგორც ხშირად სჩვევია ავსტრალიას. დაიწყო თვალუწვდენელი უდაბნოები. სიმპსონის ბორცვები და ტრანგულერის მთა აღნიშნავდნენ ლოდოს ოლქის სამხრეთ მიჯნებს გრძედის ასორმოცდამეთხუთმეტე გრადუსზე.

აქამდე მგზავრებს წამლადაც არსად შეხვედრიათ ადგილობრივი მოსახლეობა. გლენარვანი თავის თავს ეკითხებოდა, ნუთუ ავსტრალიაში ისევე არ ცხოვრობენ ავსტრალიელები, როგორც არგენტინის პამპებში ინდიელებიო? მაგრამ პაგანელმა განუმარტა, რომ ამ განედის ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ხშირად ეტანება მურეის ვაკეს, რომელიც 150 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს აღმოსავლეთ მხარეს.

- ახლა ჩვენ ვუახლოვდებით ოქრო მხარეს, - თქვა პაგანელმა, - ორი დღეც არ გაივლის, რომ ჩვენ გავცდებით მთის მიდამოებს. 1852 წელს სწორედ ამ მთას კალიასავით დაესივნენ ოქროსმაძიებელნი. ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა, უდაბნოს შუაგულისაკენ გახიზნულიყო. ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით "განათლებულ" ქვეყანაში, თუმცა ასეთად არ გამოიყურება. ვიდრე მოსაღამოვდებოდეს, ჩვენს გზას გადასერავს მერეიდან ზვისაკენ მიმავალი რკინიგზა. რკინიგზა ავსტრალიაში! მეგობრებო, ხომ მართლაც გასაოცარი საქმეა!

- რატომ, პაგანელ? - შეეკითხა გლენარვანი.

- რატომ? იმიტომ, რომ უცნაურია! დიახ. მე კარგად მესმის, რომ თქვენ, ინგლისელებს, რომელნიც მიჩვეულნი ხართ შორეულ სამფლობელოებში ახალშენის მოწყობას, სადაც მოგეპოვებათ ელექტროტელეგრაფი და მსოფლიო გამოფენას აწყობთ ახალ ზელანდიაში, ყოველივე ეს უბრალო რამედ გეჩვენებათ, მაგრამ ეს ეუცხოება ჩემს ფრანგულ ჭკუას და თავდაყირა აყენებს ჩემს წარმოდგენად "ველურ" ავსტრალიაზე.

- იმიტომ, რომ თქვენ ქვეყნის წარსულისაკენ იცქირებით, აწყმოზე კი არ ფიქრობთ, - ჩაურთო ჯონ მანგლსმა.

- ეგ, მართალია, - მიუგო პაგანელმა, - მაგრამ დამეთანხმეთ, რომ უდაბნოში ორთქმავლის წივილი, მისი ორთქლი, რომელიც მიმოზებსა და ევკალიპტებს ბურავს, სწრაფი მატარებლით დამფრთხალი შხამიანი იქედნეები, კაზუარები, ველურები, რომლებიც მიემგზავრებიან მელბურნიდან კასლმეინს, კატენს, სანდჰორტსა და იჩუკაში. დამეთანხმეთ, მეგობრებო, რომ ყოველივე ეს ყველას გააოცებს, თუ იგი ინგლისელი ან ამერიკელი არ არის. თქვენი რკინიგზელები კლავენ უდაბნოს პოეზიას!

- დაე, მოკვდეს, თუკი ეს ხელს უწყობს წინსვლას! - მიუგო მაიორმა.

მათი საუბარი მატარებლის კივილმა შეწყვიტა. მოგზაურები კილომეტრ-ნახევრის მანძილზე იყვნენ რკინიგზის ლიანდაგებიდან. საბარგო მატარებელი იყო და იმ გზის გადასასვლელთან გაჩერდა, სადაც მათ უნდა გაევლოთ. როგორც პაგანელმა აღნიშნა, ეს ლიანდაგი აერთიანებდა ვიქტორიის პროვინციის დედაქალაქ მდინარე მურეისთან. ავსტრალიის ეს უდიდესი მდინარე სტიუარტმა აღმოაჩინა 1828 წელს. მისი სათავე იწყება ავსტრალიის ალპებში, გზადაგზა ერთვის ლაკლანი და დარლინგი. იგი გარს უვლის ვიქტორიის პროვინციის სამხრეთ საზღვრებს და ადელაიდის მახლობლად ენკაუნტერის ყურეს ერთვის. მურეი ნაყოფიერ მხარეზე მიედინება და მელბურნთან შეერთებულია რკინიგზით. მის გაყოლებაზე მესაქონლეთა დიდი მოსახლეობაა, რომელთაც აქ სკვატერებს უწოდებენ.

რკინიგზა მელბრუნიდან სენდჰორსტამდე შვიდას კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული და მომსახურებას უწევს აგრეთვე კაიტენსა და კალსმეინს. ამავე დაარსებულია რივერინის ახალშენის დედაქალაქ იჩუკასკენ მიმავალი შტო ასი კილომეტრის სიგრძისაა და ჯერაც მჩენებლობის პროცესშია.

კალსმეინის ცოტა ჩრდილოეთით, სახელდობრ, კემენდის ხიდთან, მურეის ერთ-ერთ შენაკადზე, მდინარე ლუტონზე გადადებულ ხიდთან. ამ ლიანდაგს ოცდამეჩვიდმეტე

პარალელი სერავს. სწორედ ამ ხიდისაკენ მიჰყავდა აირტონს ფორანი, რომლის წინაც ცხენებს მიაქროლედნენ კემდენბრიჯში მიმავალი ცხენოსანი მგზავრები. მათ ცნობისმოყვარეობა იზიდავდათ. რკინიგზის ხიდთან დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. აქ იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ნახირმიტოვებული მწყემსები. იდგა ერთი ყაყანი და ისმოდა შეძახილ-გადაძახილი.

- ლიანდაგისაკენ! ლიანდაგისაკენ! ალბათ, რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი თუ მოხდა, რომ ასეთი ალიაქოთი ატყდა.

გლენარვანმა გაქუსლა და რამდენიმე წუთში კემენდის ხიდთან გაჩნდა. ახლა კი მიხვდა ალიაქოთის მიზეზს.

საშინელი უბედურება დატრიალებულიყო. მატარებელი ხიდზე იყო გადაჩეხილი. ერთი იმ საშინელი უბედურებათაგანი მომხდარიყო, რაც ამერიკის რკინიგზებს სჩვევიათ. ძნელი გასარკვევი იყო, ხიდმა მატარებლის სიმძიეს ვერ გაუძლო თუ ლიანდაგს გადასცდა. ექვსი ვაგონიდან ხუთი მდინარეში იყო გადავარდნილი ორთქმავალთან ერთად, მხოლოდ უკანასკნელი ვაგონი იდგა უფსკრულის პირას ორი მეტრის მანძილზე, რადგან რაღაც სასწაულით გადაბმული ჯაჭვი გასწყვეტოდა. დაბლა ეყარა ნამსხვრევებად ქცეული ვაგონები, დაგრეხილი რელსები და დანახშირებული ძელები. მთელი ამ აჩხორილი ნამსხვრევებიდან ამოდიოდა ალი, კვამლი და ორთქლი. ხანძარი კატასტროფას გამოეწვია. ბევრგან მოჩანდა სისხლის კვალი, დანახშირებული გვამები, სხეულის ნაწილები. მსხვერპლის რაოდენობის გამოანგარიშებას ვერავინ ბედავდა.

გლენარვანი, პაგანელი, მაიორი და ჯონ მანგლსი ბრბოში გაერივნენ, ეშველებოდნენ ნამსხვრევების ქვევიდან დაჭრილების გათავისუფლება-გამოყვანაში და მითქმა-მოთქმას ისმენდნენ. ყველა თავისებურად ხსნიდა მომხდარ უბედურებას.

- ხიდი ჩაინგრა, - თქვა ერთმა.

- ჩაინგრა, - გამოაჯავრ მეორემ, - არაფერიც არ ჩანგრეულა! ხიდი ახლაც მთელია. მატარებლის გავლის წინ დავიწყებიათ გახსნილი ხიდის შეერთება.

მართლაც, ეს იყო გასახსნელი ხიდი. როგორც ლაპარაკობდნენ, დარაჯს რაღაც გაუგებარი და შეუწყნარებელი დაუდევრობის გამო დავიწყებოდა ხიდის შეერთება და გაქნებული მატარებელი პირდაპირ მდინარეში გადაშვებულა. ასეთი მოსაზრება სარწმუნო იყო, მით უმეტეს, რომ ხიდის გაღმა სავსებით მთელი ნაწილი თავის ჯაჭვებზე იყო ჩვეულებრივად დაკიდებული. ეჭვი აღარ იყო! მატარებელი გადაჩეხილიყო დარაჯის დაუდევრობის გამო!

ეს უბედურება შეემთხვა ნომერ ოცდამეჩვიდმეტე ექსპრესს, რომელიც მელბურნიდან ღამის თერთმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გამოსულიყო. კასლემინიდან გამოსვლის შემდეგ ოცი წუთი იყო გასული, როდესაც ღამის 3 საათზე მატარებელი გადაიჩეხა კემდენის ხიდზე. გადარჩენილი უკანასკნელი ვაგონის მოსმსახურენი და მგზავრები მაშინვე დატრიალდნენ საშველად. მათ სურდათ კასლმეინში შეეტყობინებინათ მომხდარი ამბავი, მაგრამ ტელეგრაგის ბოძებიო მიწაზე ეყარა და ტელეგრაფი არ მუშაობდა. უბედურების ადგილას კასლმეინიდან ხელისუფლების წარმომადგენლები სამი საათის შემდეგ ძლივს მოვიდნენ. ასე რომ, დახმარების გაწევას მხოლოდ 6 საათზე შეუდგნენ. სკვატერები თავის მუშებით მოსულიყვნენ ხელისუფლების დასახმარებლად. ჯერ ხანძრის ჩაქრობას მოუნდნენ, რადგანაც ცეცხლი საშინელი სისწრაფით ნთქავდა და ანადგურებდა აჩხორილ ნამსხვრევებს.

რამდენიმე დასახიჩრებული გვამი დაასვენეს ბექობის ფერდობზე, მაგრამ ხანძარს ცოცხალი ვერავინ გამოსტაცეს, რადგანაც ცეცხლს სწრაფად ჩაეფერფლა ყველაფერი, მგზავრებიდან მხოლოდ ის ათი კაცი გადარჩა, რომელიც უკანასკნელ ვაგონში იყვნენ. რკინიგზის ადმინისტრაციას ორთმავალი გამოეგზავნა გადარჩენილი მგზავრების კასლმეინში დასაბრუნებლად.

გლენარვანი გაეცნო დახმარების ხელმძღვანელ მოხელეს, პოლიციის ოფიცერს, და ამბავი გამოჰკითხა. პოლიციის ოფიცერი მაღალ-მაღალი აღუშფოთებელი კაცი, რომლის სახეზეც ვერავითარ განცდას ვერ ამოიკითხავდით, ამ უბედურების წინაშე ისე იდგა,

როგორც მათემატიკოსი ამოცანის წინაშე და ცდილობდა, გაერკვია და ეპოვა უბედურების მიზეზიც. ამიტომაც, როდესაც გლენარვანმა თქვა: "რა უბედურება დატრიალებულა", მან წყნარად მიუგო:

- უარესი, სერ.

- უარესი?! - განცვიფრებით წამოიძახა გლენარვანმა, - ასეთ უბედურაბაზე უარეში რაღა უნდა იყოს?

- ბოროტმოქმედება, - მშვიდად მიუგო პოლიციის ოფიცერმა.

გლენარვანმა ყურადღება არ მიაქცია ოფიცრის შეუსაბამო სიტყვებს და გაკვირვებულმა უფროს ინსპექტორს გადახედა.

- დიახ, სერ, - მიუგო მან, - დაკვირვებამ დაგვარწმუინა, რომ ეს კატასტროფა ბოროტმოქმედების შედეგია: უკანასკნელი საბაგირო ვაგონი გაძარცულია. ცოცხლად გადარჩენილ მგზავრებს თავს დასხმია ხუთიოდე ბოროტმოქმედი. ხიდი, როგორც ჩანს, გახსნილი იყო განგებ და არა დაუდევრობის მიზეზით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დარაჯიც მიმალულა, უნდა დავასკვნათ, რომ ის არამზადაც ბოროტმოქმედების მონაწილე ყოფილა.

პოლიციის ოფიცერმა უთანხმოების ნიშნათ თავი გაიქნია.

- თქვენ არ იზიარებთ ჩემს მოსაზრებას? - მიუბრუნდა ინსპექტორი.

- არ ვიზიარებ, რამდენადაც საქმე დარაჯის მონაწილეობას ეხება.

- მაგრამ ასეთი ბოროტმოქმედება ხომ საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს დანაშაული მურეის მიდამოებში მოხეტიალე ველურების საქმეა. დარაჯის დაუხმარებლად ისინი ვერ მოახერხებდნენ ხიდის გახსნას, მისი მექანიზმისა მათ არაფერი გაგებათ.

- სწორია! - მიუგო ოფიცერმა.

- ესეც არ იყოს, როგორც მენავე ლაპარაკობს, მას ღამის ათ საათსა და ორმოც წუთზე გაუვლია ხიდის ქვეშ, რის შედეგადაც გახსნილი ხიდი ისევ შეუერთებიათ.

- სრული ჭეშმარიტებაა.

- მაშასადამე, ამ საქმეში დარაჯის მონაწილეობა თითქმის ეჭვგარეშეა.

პოლიციის ოფიცერმა კვლავ უარის ნიშნად გაიქნია თავი.

- გამოდის, თქვენ ამ დანაშაულს ადგილობრივ მცხოვრებთ აბრალდებთ?!

- არავითარ შემთხვევაში!

- მაშ, ვიღას?

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ბრბო დიდი ყაყანითა და ღრიანცელით, ხიდის ზემოთ, ნახევარი კილომეტრის მანძილზე. ბრბოს ახალ-ახალი ხალხის ტალღა ემატებოდა. მალე სადგურს მიაღწიეს. ბრბოს შუაგულში ორ კაცს მოჰქონდა დარაჯის გაციებული გვამი. ხანჯალი გულში ჰქონდა დაკრული. მკვლელებს მოშორებით გადაუგდიათ გვამი, რომ ამით კვალი აებნიათ. დარაჯის გვამის პოვნამ სავსებით დაადასტურა ოფიცრის ეჭვები. ამ საქმეში აქაურ ველურებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ.

- ამ საქმის ჩამდენი ხალხი კარგად იცნობს ასეთ ინსტრუმენტებს, - თქვა ოფიცერმა და ხელბორკილები აჩვენა, - ალბათ, მალე შევთავაზებთ ამ ამაჯურს საახალწლო საჩუქრის ნაცვლად.

- მაშასადამე, თქვენ ეჭვი გაქვთ ვიღაცაზე?

- იმ ხალხზე, რომელიც ავსტრალიაში "უფასოდ ჩამოსულა", ხაზინის ხარჯით.

- როგორ, კატორღელები?! - წამოიძახა პაგანელმა.

- მე კი ვფიქრობდი, რომ კატორღელებს უფლება არ აქვთ ვიქტორიის პროვინციაში ფეხის შედგმისა! - შენიშნა გლენარვანმა.

- რა თქმა უნდა, - მიუგო ოფიცერმა, - ამის უფლება არ აქვთ, მაგრამ მაინც სარგებლობენ. მათ შორის ბევრია კატორღიდან გამოქცეული და, ვგონებ, არ შევცდებით, თუ მოგახსენებთ, რომ ყველა ისინი, ვისთანაც ახლა გვაქვს საქმე, პერთიდან იქნებიან ჩამოსული, მაგრამ დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, უკანვე დავაბრუნებთ.

ინსპექტორმა თავის დაქნევით დაადასტურა ოფიცრის ნათქვამი. ამ დროს მოგზაურების ფორანიც გამოჩნდა. გლენარვანს არ უნდოდა, რომ ელენს და მერი გრანტს

შეეტყოთ ამ საშინელი კატასტროფის ამბავი, ოფიცერსა და ინსპექტორს გამოეთხვა და მეობრებს ანიშნა, ფორანს გავყვეთო.

- ეს ამბავი ჩვენს მგზავრობას ვერ შეაფერხებს, - უთხრა მათ და ცხენებით გაქუსლეს.

ფორანთან მისვლისას გლენარვანმა უამბო ელენს კატასტროფის შესახებ, მაგრამ კრინტი არ დაძრა კატასტროფის გამომწვევ ნამდვილ მიზეზზე. არც ის გაუმხელია, რომ ამ მხარეში კატორღელები დაძრწოდნენ. ეს ყველაფერი მხოლოდ აირტონს გაანდო.

ჩვენმა მგზავრებმა გადაიარეს რკინიგზის ლიანდაგი, ხიდიდან სამასიოდე მეტრის ზევით, და განაგრძეს გზა ჩვეულებრივი მიმართულებით.

თავი XIII

პირველი ჯილდო გეოგრაფიაში

რკინიგზის ლიანდაგის გადაღმა სამიოდე კილომეტრის მანძილზე ვაკეს გარს ერტყმოდა რამდენიმე ბორცვი, რომელიც ლუტონის ველს საზღვრავდა. ფორანიც მალე შეიჭრა ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ხეობაში, შემდეგ გაივაკეს ისეთ მშვენიერ მიდამოებში, სადაც ჯგუფ-ჯგუფად აზიდულიყო უზარმაზარი ტროპიკული ხეები. ყველაზე უმშვენიერესი იყო კაზუარინი, რომელსაც სიმაგრე თითქოს მუხისაგან უსესხებია, სურნელება - აკაციისაგან, ხოლო ყვითელ-მონაცრისფერო ფიჭვებისაგან წიწვების სიმკვრივე და სიმკაცრე. ამ ხის მაღალ ტოტებქვეშ შეხიზნულიყო საოცარი სილამაზის კონუსისებრი წვრილღეროიანი მაღალი ბუჩქი. მისი თავდახრილი ტოტები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს გალიცლიცებული ჭურჭლებიდან გადმოჩქეფსო. ბუნების ამ საოცარ მოვლენათა ხილვისას თვალი უნებურად გადარბოდა ერთი საგნიდან მეორეზე და არ იცოდა, რომელზე შეჩერებულიყო.

პატარა რაზმი ერთ წუთს შედგა. ელენის ბრძანებით აირტონმა ურემი გააჩერა. ურემის ჭრიალი შეწყდა. მწვანედ მოხასხასე მოლის გრძელი ხალიჩა ტყის პირამდე აღწევდა დაყოფილ სწორკუთხედებად, რომლებიც ერთიმეორისაგან თანაბრად იყო დაშორებული ქვიშის ყრილით, როგორც ჭადრაკის უჯრედები.

პაგანელი მაშინვე მიხვდა, რომ ეს პოეტური მწვანით მოსილი კვადრატები საუკუნო განსვეგნების ადგილეს წარმოადგენდნენ. ეს იყო ადგილობრივი გაქცეული მოსახლეობის მიერ მიტოვებული საფლავები. ზოგი საბალახოებად გადაექციათ კოლონისტებს. ასეთ ხელუხლებელ სასაფლაოებს იშვიათად ხვდებიან ავსტრალიაში მოგზაურები.

- ავსტრალიელთა სასაფლაო, - განმარტა მან.

მართლაც, მოგზაურების თვალწინ გადაშლილი სასაფლაო ისეთი ლამაზი ჩრდილოვანი ხეებით იყო მორთული, ისეთი მხიარული ჟივჟივით ახმაურებული, ახმაურებული, თითქოს სასაფლაო ცოცხლებისათვის ყოფილიყოს მოწყობილი მათი სევდის გასაქარვებლად. სამარის ბექობები, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი დიდი გულმოდგინებით უვლიან და იცავენ, მაღალი ბალახით იყო დაფარული. მას მერე, რაც ეს ქვეყანა ევროპელებმა დაიპყრეს, ავსტრალილები იძულებული გახდნენ, ქვეყნის შუაგულისაკენ გახიზნულიყვნენ. ეს მოღაღანე მინდვრები მოახალშენეთა საქონლის საძოვრებად გადაიქცა. მოგზაურები ხშირად ფეხით ქელავენ ამ აყვავებულ მიწას, რომლის ქვეშაც სულ ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ცოცხალი ხალხის გვამებია ჩამალული.

დაწინაურებული პაგანელი და რობერტი ამ ბორცვებს შორის მიერეკებოდნენ ცხენებს, ჩრდილოვანი ხეების ქვეშ, თან მასლაათობდნენ და ერთიმეორეს ასწავლიდნენ. გეგორაფი ყველას არწმუნებდა, რომ რობერტმა ბევრი რამ შეასწავლა მას.

მეთოხედი მილიც არ გაევლოთ, რომ გლენარვანმა დაინახა, როგორ შეაჩერეს ცხენები, ძირს ჩამოხტნენ და მიწისაკენ დაიხარნენ, თითქოს აკვირდებიან რამესო.

აირტონმა ფორანი ააჩქარა და ყველანი მიუახლოვდნენ პაგანელსა და რობერტს. მათი შეჩერების მიზეზიც გამოირკვა. საუცხოო ბანკსიის ჩრდილქვეშ უზრუნველად მისძინებოდა ევროპულ ტანისამოსში ტამოწყობილ რვა წლის ბიჭს. მისი გარეგნობა ამტკიცებდა, რომ

ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი მოდგმისა უნდა ყოფილიყო. ხუჭუჭა თმა, თითქმის შავი სახე, შეჭყლეტილი ცხვირი, მსხვილი ტუჩები და საოცრად გრძელი მკლავები ჰქონდა. სახეზე საზრიანობა აღბეჭდოდა. ერთგვარი განვითარების იერიც დასდებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ პირველყოფილი ველურებიდან იყო გამოსული.

ელენი დაინტერსდა ბავშვით, ფორნიდან ჩამოხტა. ყველანი გარს შემოეხვივნენ მძინარე ბავშვს.

- საბრალო ბიჭი! - ჩაილაპარაკა მერი გრანტმა. - ვინ იცის, იქნებ გზა აებნა უდაბნოში!

- ვფიქრობ, შორიდან არის მოსული ამ სასაფლაოს სანახავად. ალბათ, მისი საყვარელი ნათესავი თუ არის დაკრძალული, - თქვა ელენმა.

- აქ ხომ ვერ დავტოვეთ ასე, - ჩაურთო რობერტმა, - მარტოა და... - რობერტმა ერთბაშად შეწყვიტა სიტყვა: ბავშვმა გამოუღვიძებლად მხარი იცვალა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ყველამ განცვიფრებით შეჰყვირა. ბავშვს ზურგზე დაკრული ჰქონდა შემდეგი ინგლისური წარწერა: "ტოლინე მიემგზავრება იჩუკაში, რკინიგზის აგენტ ჯეფრი სმიტის მფარველობით. გზის ფული გადახდილია".

- რა ხალხია ეს ინგლისელები! - წამოიძახა პაგანელმა, - ბაშვშვს ნამდვილი ამანათივით გზავნიან! რეგისტრაციაში გაუტარებიათ როგორც პაკეტი! გაგონილი მქონდა ასეთი ამბავი, მაგრამ ჯერ არ მჯეროდა, ახლა კი ვრწმუნდები...

- საბრალო ბავშვი! - ჩაურთო ელენმა, - იქნებ იმ მატარებლით მიდიოდა, კედმენის ხიდზე რომ გადაიჩეხა?! ვინ იცის, მშობლები დაიღუპნენ და ობლად დარჩა.

- არა მგონია, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ეს წარწერა მოწმობს, რომ მარტო მგზავრობდა.

- იღვიძებს, იღვიძებს, - შესძახა მერი გრანტმა. ბავშვი მართლაც იღვიძებდა. მან ნელ-ნელა გაახილა თვალები, მაგრამ ძლიერი სინათლის გამო მაშინვე დახუჭა. ელენმა ხელი წაავლო. ბავშვი წამოიწია, წამოდგა და განცვიფრებით შეათვალიერა მგზავრები. ჯერ შიშმა გადაჰკრა სახეზე, მაგრამ ელენს რომ შეხედა, დამშვიდდა.

- ინგლისური გესმის? - შეეკითხა ელენი.

- მესმის და ვლაპარაკობ კიდევაც, - მიუგო ბავშვმა ინგლისურად, - თუმცა ისეთი კილოთი, თითქოს ფრანგი ლაპრაკობსო ინგლისურად.

- რა გქვია? - შეეკითხა ელენი.

- ტოლინე! - მიუგო ბავშვმა.

- აჰა, ტოლინე! თუ არ ვცდები, ეს სიტყვა ავსტრალიურად ხის ქერქს ნიშნავს არა? - ჰკითხა პაგანელმა.

ტოლინემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ერთხელაც შეათვალიერა ყველანი.

- სადაური ხარ? - შეეკითხა ელენი.

- მელბურნელი. ახლა რკინიგზით სანდჰორსიდან მოვდიოდი.

- შენ იმ მატარებლით მოდიოდი, ლიანდაგს რომ გადასცდა კედმენის ხიდთან? - შეეკითხა გლენარვანი.

- დიახ, სერ, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ გადამარჩინა, - მიუგო ტოლინემ.

- მარტო მგზავრობდი?

- მარტო. მასწავლებელმა პაკსტონმა ჯეფრი სმიტს ჩამაბარა, საუბედუროდ, ის დაიღუპა.

- იმ მატარებელში სხვას არავის იცნობდი?

- არავის.

- მაშ რას აკეთებ ამ უდაბნოში? რად გაიქეცი კემდენის ხიდიდან? - განაგრძობდა დაკითხვას ელენი.

- მე ჩვენს ტომში ვბრუნდებოდი, ლაკლანში, დედის ნახვა მინდოდა.

- დედ-მამა ავსტრალიელები გყავს? - ჰკითხა ჯონ მანგლსმა.

- ავსტრალიელები არიან, ლაკლანიდან, - მიუგო ტოლინემ.

- დედაც გაყვს და მამაც? - შეეკითხა რობერტი.

- მყავს, ძმობილო, - უპასუხა ტოლინემ და ხელი გაუწოდა.

რობერტი ისე მოხიბლა მისმა ნათქვამმა "ძმობილომ" და ქცევამ, როიმ გადაეხვია და გადაკოცნა პატარა ავსტრალიელი. ერთბაშად დამეგობდნენ.

მგზავრები დაინტერესდნენ ბიჭის სიტყავ-პასუხით, გარს შემოუსხდნენ და ისე უსმენდნენ. მზე გადაიწვერა უზრმაზარი ხეების იქით. რადგან ეს ადგილი ღამის გასათევად შესაფერისი იყო, გლენარვანმა ბრძანა, აქ დაბანაკებულიყვნენ. აირტონმა, მიულრედიმ და ვილსონმა ხარები გამოუშვეს და ფეხშებორკილები საძოვარზე გადენეს. კარავი დადგეს. ოლბინეტმა ვახშამი მოამზადა. ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. თუმცა შიმშილით კუჭი ეწვოდა, ტოლინე მაინც გაინაზა, მერე კი ისიც შეუერთდა მათ. რობერტი და ტოლინე ერთად დასხდნენ. გრანტის ვაჟი საუკეთესო ნაჭრებს სთავაზობდა ტოლინეს. ისიც მოხდენილი მორცხვობით ჩამოართმევდა ხოლმე.

საუბარი გაჩაღდა. ყველას აინტერესებდა ტოლინეს ამბავი, მისი თავგადასავალი, რომელიც ისევე მარტივი და სადა იყო, როგორიც ყველა ღარიბი ადგილობრივი მოსახლის შვილებისა, რომლებიც ბავშვობიდანვე საქველმოქმედო საზოგადოების მზრუნველეობით იზრდებიან თემის მახლობლად მდებარე ახალშენში.

ავსტრალიელები საერთოდ მშვიდი და კეთილი ზნე-ჩვეულებებით გამოირჩევიან. ისინი დამპყრობლელ ინგლისელებს ისეთი მძულვარებით არ შესცქერიან, როგორც, მაგალითად, ახალზელანდიელები. სიამოვნებით ჩადიან დიდ ქალაქებში - ადელაიდაში, სიდნეიში, მელბურნში. იქ შეიძლება ხშირად წააწყდეთ ქუჩაში მოსეირნე ავსტრალიელებს. ისინი აქაურ ბაზრებზე ყიდიან თავიანთ ნაწარმ ნივთებს: სანადირო და სათევზაო ხელსაწყოებსა და იარაღს. ზოგიერთი ტომი თავიანთ შვილებს სიამოვნებით გზავნის ინგლისურ სკოლებში სასწავლებლად.

ასევე მოიქცნენ ტოლინეს მშობლები, ლაკლანელი ველურებიც. ტოლინეს ხუთი წელიწადი გაეტარებინა მელბურნში და ამ ხნის განმავლობაში თავისიანი არავინ ენახა, მაგრამ მისი გული მჭიდროდ იყო ოჯახთან დაკავშირებული და თავისიანებს სანახავად ამ უბედური ადგილისაკენ მარტოდმარტო წამოსვლა გაებედა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მისი ტომი გაიხიზნა სადმე, იქნებ მისი ოჯახი ამოწყდა კიდეც და კერაც გაცივდა?!

- მერე მშობლებს რომ ინახულებ, ისევ მელბურნში დაბრუნდები, ტოლინე? - შეეკითხა ლედი ელენი.

- დიახ, - მიუგო ტოლინემ და მის თვალებში გულწრფელი სინაზე გამოიხატა ახალგაზრდა ქალის მიმართ.

- მერეს, რას აპირებ, რა უნდა გააკეთო?

- მინდა ჩემი ძმები გამოვგლიჯო სიღარიბესა და აუვიცობას, მასწავლებელი გავხდე!

ეს სიტყვები ისეთი აღფრთოვანებით წარმოთვა რვა წლის ბავშვმა, რომ თავდაუჭერელი ადამიანი სიცილს ვერ შეიკავებდა, მაგრამ დინჯი შოტლანდიელები აღტაცებაში მოიყვანა ამ ცეროდენა ბიჭის ვაჟკაცურმა გულისთქმამ. პაგანელს გულის სიღრმეში ჩასწვდა მისი სიტყვები და ამ წუთიდან უდიდესი თანაგრძნობით განიმსჭვალა მის მიმართ.

უნდა გამოვტყდეთ, პაგანელს ამ წუთამდე როგორღაც თვალში არ მოსდიოდა, რომ ავსტრალიელი ევროპულ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. განა ავსტრალიაში იმისათვის მოვიდა პაგანელი, რომ აქ სერთუკიანი ავსტრალიელი ენახა! ... მას ავსტრალიელის პირველყოფილ მდგომრეობაში ხილვა სურდა, ტანდადაღულ- მოხატული, მაგრამ როდესაც ტოლინემ ასეთი გულითადი სიტყვები წარმოთვა, პაგანელმა ერთბაშად დიდი სიმპათია იგრძნო მისდამი.

ელენმა ტოლინეს ჰკითხა, სად სწავლობო. გამოირკვა, რომ ტოლინე სწავლობდა მელბურნის სკოლაში, რომლის დირექტორიც პაკსტონი იყო.

- მერე, რას გასწავლიან სკოლაში? - ჰკითხა ლედი გლენარვანმა.

- გვასწავლიან ძველ აღთქას, მათემათიკას, გეოგრაფიას.

- გეოგრაფიას?! - განცვიფრებით შესძახა პაგანელმა რომელსაც აინტერისებდა ყველაფერი, რაც ეხებოდა მის საყვარელ საგანს.

- დიახ, - მიუგო ტოლინემ, - იანვრის არდადეგების წინ პირველი ჯილდო მე მივირე გეოგრაფიაში.

- აი, ბატონო ჩემო, - მიუგო ტოლინემ და თან ჯიბიდან ამოაძვრინა ლამაზყდიანი წიგნი, რომლის პირველ ფურცლებზე ეწერა: "მელბურნის ნორმალური სკოლა. 1-ლი ჯილდო გეოგრაფიაში ჩინებული ცოდნისათვის ლაკლანელ მოწაფე ტოლინეს".

პაგანელი აღტაცებული იყო. ავსტრალიელი და გეგორაფიის კარგი მცოდნე?! ნასიამოვნებმა ორივე ლოყა დაუკოცნა ტოლინეს. ამ მოწაფით ის არანაკლებ ამაყობდა, ვიდრე თვით პაკსტონი.

პაგანელს უნდა სცოდნოდა, რომ ავსტრალიის სკოლებში ასეთი მოვლენა იშვიათი არ არის, ახალგაზრდა ავსტრალიელები დიდ ნიჭს იჩენენ გეგოგრაფიაში. ძალიან კარგად სწავლობენ მას, სამაგიეროდ მათემატიკა უძნელდებათ.

ტოლინე ვერ მიმხვდარიყო, რით დაიმსახურა პაგანელის ასეთი ალერსი. მაშინ ელენმა განუმარტა, რომ პაგანელი გამოჩენილი გეოგრაფი და საუცხოო მასწავლებელიცაა.

- გეოგრაფიის პროფესორი? - სიხარულით წამოიძახა ტოლინემ და პაგანელს ხვეწნით მიმართა, - აჰ, ჩემო ბატონო, გამომცადეთ!

- გამოგცადოთ, ჩემო ბიჭუნი? სიამოვნებით. მეც ვაპირებდი, რომ არ გეთხოვა კიდეც. ძალიან მინდა შევიტყო, როგორ გასწავლია გეოგრაფიას მელბურნის ნორმალურ სკოლაში.

- მერე, ტოლინემ რომ გაჯობოთ გეოგრაფიაში, პაგანელ? - ჰკითხა მაკ-ნაბსმა.

- განა შეიძლება აჯობოს საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების მდივანს?! - პაგანელმა სათვალე ცხვირზე გაიკეთა. ხმას სასტიკი კილო მისცა, როგორც მასწავლებელს სჩვევია და დაუწყო გამოცდა.

- მოწაფე ტოლინე, ადექით!

ტოლინე ფეხზე იდგა და ამ ბრძანებას როგორღა შეასრულებდა, მხოლოდ დარცხვენით მოელოდა კითხვებს.

- მოწაფე ტოლინე, ჩამომითვალეთ დედამიწის ხუთი მხარე.

- ავსტრალია, აზია, აფრიკა, ამერიკა და ევროპა, - მიუტო ტოლინემ.

- ჩინებულია! აბა, ჯერ ავსტრალიაზე ვილაპარაკოთ, რადგანაც ამჟამად ავსტრალიაში ვიმყოფებით. რა მთავარ ნაწილებად იყოფა?

- პოლინეზიად, მელანეზიად და მიკრონეზიად. ესენი კუნძულებია. ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტასმანია, ჩატამის კუნძულები, ოკლენდი, მაკარი, კერმადეკი, მაკინი, მარაკი და სხვა. ყველა ესენი ინგლისელებს ეკუთვნის.

- კეთილი, - თქვა პაგანელმა, - მაგრამ ახალი კალედონია, მარკიზის, პაუმუტუს კუნძულები?

- ეს კუნძულები დიდი ბრიტანეთის პროტექტორატით სარგებლობენ.

- როგორ? დიდი ბრიტანეთის პროტექტორატით?! - წამოიძახა პაგანელმა, - მე კი პირიქით, ვფიქრობდი, რომ საფრანგეთისა.

- საფრანგეთისა? - გაიოცა ბავშვმა.

- ერთი ამას დამიხედეთ! - ჩაილაპარაკა პაგანელმა, მაშ ასე გასწავლიან გეოგრაფიას მელბიურნის ნორმალურ სკოლაში?

- დიახ, ბატონო პროფესორო, განა სწორი არ არის?

- როგორ არა, როგორ არა, დიდებულია! - თქვა პაგანელმა, - მთელი ოკეანეთი ინგლისელებს ეკუთვნით. დაე, ასე იყოს, განვაგრძოთ.

პაგანელის სახის გამომეტყველება განცვიფრებასა თუ წყენას გამოხატავდა. ეს მაიორს სიამოვნებას ჰგვრიდა.

გამოცდა გაგრძელდა.

- გადავიდეთ აზიაზე, - თქვა გეოგრაფმა.

- აზია უზარმაზარი ქვეყანაა, - უპასუხა ტოლინემ, - მისი მთავარი ქალაქი არის კალკუტა. უმთავრესი ქალაქები: ბომბეი, მადრასი, ადენი, მალაკა, სინგაპური, კოლომბო. კუნძულები: ლაკადივის, მალდივისა და სხვანი. ყველა ინგლისს ეკუთვნის.

- კარგი და პატიოსანი, მოწაფე ტოლინე! აბა, აფრიკაზე რაღა იცი?

- აფრიკაში ორი უმთავრესი ახალშენია: სამხრეთით - კაპის კოლონია დედაქალაქ კაპშტადტით და აღმოსავლეთით, სადაც აგრეთვე ინგლისის სამფლობელოებია, კოლონია დედაქალაქ სიერა-ლეონეთი.

- დიდებული პასუხია! - ჩაილაპარაკა პაგანელმა, რომელიც უკვე კარგად მიხვდა ინგლისური ფანტასტიკური გეოგრაფიის დედააზრს, რომელსაც ჩინებულად ასწავლიან თურმე. იშვიათი სიზუსტის ცოდნა! მაშ, ალჟირი, მაროკო, ეგვიპტე, ამოშლილი იყო ინგლისურ ატლასებში? - მაგრამ მე მაინც მინდოდა ცოტა ამერიკაზეც გვესაუბრა, ტოლინე.

- ამერიკა ორ ნაწილად იყოფა, - მიუგო ტოლინემ, - ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკა. პირველი ეკუთვნის ინგლისლებს შემდეგი ახალშენებით: კანადა, ახალი ბრუნსვიკი, ახალი შოტლანდია და შეერთებული შტატები, რომელსაც განაგებს გუბერნატორი ჯონსონი.

- გუბერნატორი ჯონსონი!... შემცვლელი ვიღაც ფანატიკოსის ხელით მოკლული დიდებული და უგულკეთილესი ლინკოლინისა[1], რომელიც შეშლილმა მონათმფლობელმა ფანატიკოსმა იმსხვერპლა!... დიდებულია! უკეთესი აღარ შეიძლება! სამხრეთ ამერიკა და მასთან ერთად გვინია, ფოლკლენდიის კუნძულები, ახალი შოტლანდიის არქიპელაგი, იამაიკით, ტრინიდადით და ასე შემდეგ, სულ ინგლისელებს ეკუთვნის, რა თქმა უნდა, ამაში არ გამოგედავები, მაგრამ რას ფიქრობთ, ტოლინე, შენ ან შენი მასწავლებელი ევროპის შესახებ?

- ევროპის შესახებ? - კითხვითვე მიუგო ტოლინემ, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, ასე რად ცხარობდა მეცნიერი.

- დიახ, დიახ, ევროპა! ვის ეკუთვნის?

- ევროპა ინგლისელებს ეკუთვნის, - დარწმუნებული კილოთი მიუგო ტოლინემ.

- მეც აგრე ვფიქრობდი, - შენიშნა პაგანელმა, - მაგრამ ევროპაში ინგლისის მფლობელობაში სახელდობრ რა შედის? აი, რა მინდოდა შემეტყო.

- დიდ ბრიტანელთს ეკუთვნის ევროპაში: ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია, მალტა, ჯერსეის, ჰერბრიდის, შუტლენდის კუნძულები.

- დიდებულია, ჩინებულია, ტოლინე, მაგრამ ხომ არსებობს კიდევ სხვა ქვეყნებიც, რომლებსაც ივიწყებ.

- რომელი ქვეყნები? - შეეკითხა დიდად გაოცებული ბავშვი.

- ესპანეთი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია, საფრანგეთი?

- ეგ რა სახელმწიფოებია! ეგენი ხომ პროვინციებია! - მიუგო ტოლინემ.

- პროვინციებია? - წამოიძახა პაგანელმა და სიცხარისაგან სათვალე მოიგლიჯა.

- რა თქმა უნდა, ასეა! - განაგრძო ტოლინემ, - ესპანეთის დედაქალაქი ჰიბრალტარი..

- დიდებულია! საუცხოო! ჩინებული! საფრანგეთი? აი, მე ფრანგი ვარ და მინდა ვიცოდე, ვის ვეკუთვნი?

- საფრანგეთი ინგლისის პროვინციაა. მისი უმთავრესი ქალაქი არის კალე! - დარაისლურად მიუგო ტოლინემ.

- კალე? - შესძახა პაგანელმა, - როგორ?! შენ გჯერა, რომ კალე ინგლისელებს ეკუთვნის?

- რა თქმა უნდა!

- მერე ეგ არის საფრანგეთის დედაქალაქი?

- დიახ... და იქვე გახლავთ გუბერნატორ ნაპოლეონის რეზიდენციაც.

ამ სიტყვებზე პაგანელმა გადაიხარხარა. ბავშვი ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე. მას ეკითხებოდნენ, ის უპასუხებდა, როგორც იცოდა, მაგრამ მისი პასუხის უცნაურობა მისი ბრალი ხომ არ იყო. მაინს არ შემკრთალა და გამომწვევი სიამაყით უცდიდა გაუგებარი სიცილის დასასრულს.

---

1 შეერთებული შტატების პრეზიდენტი (1859-1865წ.წ.)

- ხომ ნახეთ? - სიცილით უთხრა მაიორმა პაგანელს, - განა მართალი არ ვიყავი, როდესაც გაგაფრთხილეთ, მოწაფე ტოლინე გაჯობებთ-მეთქი?

- მართლაც, ჩემო მეგობარო მაიორო! - მიუგო გეოგრაფმა, - ნახე, როგორ უსწავლებიათ მელბურნში გეოგრაფია! ძალიან შეუტოპავთ იმ ნორმალური სკოლის პროფესორებს! ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ოკეანეთი, - მთელი ქვეყნიერება ინგლისელებს ეკუთვნისო!... ასეთი მოხერხებული აღზრდის შემდეგ გასაგები ხდება, ადგილობრივი მკვიდრნი ასე უსიტყვოდ რად ემორჩილებიან მეტროპოლიას, მაგრამ, ტოლინე, ერთი კითხვა კიდევ მაქვს. როგორ ფიქრობ, მთვარეც ინგლისელებს ხომ არ ეკუთვნის?

- მთვარეც იმათი გახდება! - სრული სერიოზულობით მიუგო პაწია ავსტრალიელმა.

პაგანელი წამოხტა. ჯდომა ვეღარ შეძლო, სირბილით და ხარხარით გაერიდა ბანაკს ასიოდე მეტრის მოშორებით, რომ სიცილით გული მოეჯერებინა და დამშვიდებულიყო.

გლენარვანმა კი საგზაო ბიბლიოთეკაში მონახა სამუელ რიჩარდსონის გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელსაც დიდად აფასებდნენ ინგლისში და რომლის ავტორიც, რა თქნა უნდა, უფრო მცოდნე იყო მეცნიერებისა, ვიდრე მელბრუნის პროფესორები.

- გამომართვით ეს წიგნი, ჩემო პატრავ, - მიუბრუნდა გლენარვანი ტოლინეს, - კარგად გაუფრთხილდი. გეოგრაფიაში ზოგიერთი მცდარი ცნობა გაქვს შეთვისებული, რაც უნდა შეასწორო. ამ წიგნს ჩვენი შეხვედრის სახსოვრად გაძლევ.

ტოლინემ უსიტყვოდ ჩამოართვა წიგნი. გადაშალა, ათვალიერებდა, თან იჭვნეულად აქნედა თავს და ჯიბეში ჩადებას არ აპირებდა.

ამასობაში დაღამდა. უკვე ათი საათი იყო. უნდა დაეძინათ, რომ დილით ადრე გასდგომოდნენ გზას.

რობერტმა თავისი საწოლის ნახევარი შესთავაზა ტოლინეს. იმანაც გაიზიარა მისი ლოგინი. რამდენიმე წუთის შემდეგ ელენი, გლენარვანი და მერი გრანტი ურემში მოეწყვნენ, დანარჩენები კარავში, მხოლოდ დროდადრო შორიდან პაგანელის ხარხარი ისმოდა, რომელიც ასვტრალიის კაჭკაჭების სასიამოვნო ჟღურტულს ფარავდა.

მეორე დღეს, როდესაც დილის ექვს საათზე მზის სხივებმა ყველანი გამოაღვიძა, ტოლინე იქ აღარ აღმოჩნდა. აჩქარებულიყო, რომ მალე მიეღწია ლაკლანამდე. თუ პაგანელის სიცილი იწყინა? ვერავინ მიმხდარიყო, მაგრამ როდესაც ელენმა გამოიღვიძა, მან თავის ლოგინთან ახალდაკრეფილი მიმოსების თაიგული დაინახა, გლენარვანმა კი თავის ხალათის ჯიბეში სამუელ რიჩარდსონის გეოგრაფია იპოვა.

თავი XIV

ალექსანდრეს მთის ოქროს საბადოები

ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტმა როდენიკ მერჩისონმა 1814 წელს გამოკვლია სამხრეთ ავსტრალიის სანაპიროების ქედი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება და გასაოცარი მსგავსება აღმოაჩინა ამ მთების მდებარეობის თვისება-ხასიათსა და უარალის ქედს შორის. რადგან ურალში ოქროს საბადოები მოიპოვება, მეცნიერ-გეოლოგს კითხვა დაებადა: ხომ შესაძლებელია, ოქორს მადანი ავსტრალიის კორდილიებშიც აღმოჩნდესო. არც შემცდარა. ორი წლის შემდეგ მას მართლაც მიართვეს ოქტოს მადნის რამდენიმე ნიმუში ახალი სამხრეთი უელსიდან.

კორნუელიდან ახალი ჰოლანდიის ოქროს საბადოებში ოქროს მოსაპოვებლად მაშინვე გაეშურა უამრავი მუშა. ხალასი ოქროს ზოდები სამხრეთ ავსტრალიაში პირველად ფრენსის ლუტონმა აღმოაჩინა, ხოლო ოქროს ქვიშრობებს ახალ უელსში პირველად ფორბმა და სმიტმა მიაკვლიეს.

პირველმა მიღწევამ ყველას თავბრუ დაახვია.

საკმარისი იყო, ამ საქმეს საფუძველი ჩაჰყროდა, რომ მთელი დედამიწის ზურგის ყველა კუთხიდან დაიძრა ხალხი. ავსტრალიას ურიცხვი ოქროსმაძიებელი მიაწყდა. აქ იყვნენ ინგლისელებიც, ამერიკელებიც, იტალიელებიც, ფრანგებიც, ჩინელებიც, მაგრამ

ყველაზე მდიდარ ოქროს საბადოებს 1851 წელს ვინმე ჰარგრეისი წააწყდა, რომელმაც სიდნეის კოლნიის გუბერნატორს, სერ ფიც-როის ეს ადგილი ჩალის ფასად შესთავაზა, - სულ ხუთას გირვანქა სტერლინგად. გუბერნატრომა ეს წინადადება არ მიიღო.

ამ აღმოჩენის ამბავი სწრაფად გავრცელდა და ოქროსმაძიებლები კალიებივით მიესივნენ სომერჰილსა და ლენის-პონდს. აქ დაარსეს ქალაქი ოფირი, რომელმაც თავისი უმდიდრესი მადნეულის წყალობით მართლაც დაიმსახურა ეს ბიბლიური სახელწოდება. იმ დრომდე ვიქტორიის პროვინციის სახსენებელიც კი არსად იყო. მას შემდეგ კი ქალაქმათავისი ოქროს საბადოებით ყველას გადააჭარბა.

1851 წლის აგვისტოს ამ პროვინციაში მართლაც იპოვეს ხალასი ოქროს ზოდები, რის შემდეგ სწრაფად მიჰყვეს ხელი საბადოების დამუშავებას ოთხ ოლქში: ბალარატში, ოვნესში, ბენდიგოსა და ალექსანდრეს მთაზე, ოთხივე მდიდარი იყო ოქროს საბადოებით. მდინარე ოვნესის კალაპოტის დამუშავებას ხელს უშლიდა მიწისქვეშა წყლები. ბალარტაშიაც როდი უმართლდებოდათ იმედი მომპოვებლებს, რადგან ოქლში იოქრო თანაბრად არ მოიპოვებოდა და გაბნეული იყო ვრცელ ტერიტორიაზე. ბენდიგოს საბადოებზე მის დამუშავებას კლდოვანი ნიადაგი აძნელებდა. მხოლოდ ალექსანდრეს მთაზე იყო ყველა ხელშემწყობი პირობა ოქროს მოსაპოვებლად და ამიტომ ყველაზე იაფი უჯდებოდათ.

ეს ის ადგილია, რომლის ისტორია მდიდარია უამრავი გაკოტრებისა და საარაკოდ გამდიდრების შემთხვევებით, სადაც ნიავივით ქრებოდა ზღაპრული ქონება და უსაზღვრო იმედი, სადაც გადის ოცდამეჩვიდმეტე პარალელი და სადაც აღმოჩნდნენ ამჟამად ჩვენი მოგზაურები.

31 დეკემბერს უსწორმასწორო ადგილებზე მოუხდათ სიარული, რის გამოც ცხენებსაც და ხარებსაც არაქათი გამოელიათ. სწორედ ამ დროს დაინახეს ალექსანდრეს მთის მომრგვალებული მწვერვალი. იმ ღამეს ამ პატარა მთაგრეხილის ვიწრო ხეობაში დაიდეს ბინა. ცხენები და ხარები ფეხებშებორკილი გაუშვეს კვარცის ლოდებს შორის ამოწვერილი ბალახის მოსაძოვად. ოქროს საბადოების დამუშავებული ძარღვი ცოტა მოშორებით იყო. მხოლოდ მეორე დღეს, 1865 წლის 1-ლ იანვარს, შერახრახდა მათი ფორანი ამ უმდიდრეს მიდამოებში. ჟაკ პაგანელი და მისი თანამგზავრები აღაფრთოვანა მთის დანახვამ, რომელსაც ავსტრალიურად ჯებური ეწოდა.

აქ იყრიდა თავს ურიცხვი ბედისმაძიებელი, ქურბაცაცა თუ პატიოსანი ხალხი. ერთი სიტყვით, ისიც, ვისაც სხვები აჰყავს სახრჩობელაზე და ისინიც, რომლებიც თვითონ არიან ჩამოსახრჩობი. როდესაც ხმა გავარდა ამ დიდი აღმოჩენის შესახებ, 1851 წელს, ხალხმა მიატოვა ქალაქები, სოფლები, მინდვრები, ხომალდები და ყველამ აქეთ მოაშურა. მეჯოგეებმაც (სკვატერებმაც) და მეზღვაურებმაც აქეთ გამოსწიეს. ოქროს სიხარბე ციებ-ცხელებასავით მოედოთ, როგორც გადამდები სენი, როგორც შავი ჭირი. მერედა რამდენი მათგანი დაიღუპა სწორედ მაშინ, როდესაც ლამობდნენ ხელი ეტაცათ ბედნიერებისათვის. ამბობდნენ, ჯადოსნურ ბუნებას ამ ზღაპრულ ავსტრალიაშიო ოცდახუთი გრადუსის მანძილზე დაუთესიაო ოქროს მილიონები. ეს იყო მკის ხანა და მომკელებიც თავ-პირის მტვრევით გამოეშურნენ სამუშაოსაკენ.

"დიგერობა", ე.ი. ბარით მუშაობა უპირატეს ხელობად იქცა. მართალია, ბევრი მათგანი, მუშაობით წელმოწყვეტილი უნაყოფო შრომის გამო, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, მაგრამ ზოგს ბედი გაუღიმებდა და ერთი ბარის დაკვრით მდიდრდებოდა. ვის ახსოვდა ან ვინ ილაპარაკებდა ილაჯგაწყვეტილებისა და გაკოტრებულების შესახებ. სამაგიეროდ, მცირეოდენ წარმატებაზე ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკიოდნენ და მათი ამბავი მთელ ქვეყანას ეფინეოდა. ოქრომ ყველა წოდება და ეროვნების ხალხი ხელახლა მიიზიდა ავსტრალიის სანაპიროებისაკენ. ასე რომ, 1852 წლის უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში მხოლოდ მელბურნს ორმოცდათოთხმეტი ათასი ემგირანტი მოაწყდა; მთელი არმია, რომელსაც არ ჰყავდა უფროსი, არ გააჩნდა დისციპლინა და ჯერ მოუპოვებელ გამარჯვებას კი დღესასწაულობდა. ერთი სიტყვით, ეს იყო უმდიდრესი ხარისხის ორმოცდათოთხმეტი ათასი კაცი.

პირველ წლებში ამ გამაოგნებელ ციებ-ცხელებაში წარმოუდგენელი უწესრიგობა სუფევდა, მაგრამ ინგლისელები თავიანთი ენერგიის მეოხებით მალე დაპატრონენ ამ საქმეს და დაიწყო მისი აღორძინება. ასე რომ, ამჟამად გლენარვანი ვეღარ ნახავდა იმ საშინელ და შემზარავ სურათებს, რასაც აქ 1852 წელს შეხვდებოდით. მას შემდეგ ცამეტმა წელმა განვლო და ამჟამად ოქროს ქვიშრობების ექსპლუატაცია მკაცრად განსაზღვრული წესით წარმოებდა.

ამასთან, საბადოების მარაგი უკვე ილეოდა. ზოგ მაღაროში ოქრო სავსებით ამოიწურა. ან კი როგორ არ უნდა გამოლეულიყო, როდესაც 1852 წლიდან 1858 წლამდე მხოლოდ ვიქტორიის პროვინციაში ოქროსმაძიებლებმა სამოცდასამ მილიონ გირვანქა სტერლინგად ღირებული ოქრო ამოიღეს. ემიგრანტების რიცხვიც შესამჩნევად შეთხელებულიყო. ისინი ახლა სხვა, უფრო ხელუხლებელ მხარეებს ეტანებოდნენ. მაგალითად, ახალაღმოჩენილ ახალი ზელანდიის, ოტაგოსა და მალბოროს ოქროს საბადოებს ყოველწლიურად ათასობით ორფეხა ჭიანჭველა აწყდებოდა.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მოგზაურებმა ოქროს მაღაროების შუაგულს მიაღწიეს. აქ ნამდვილი ქალაქი იყო გაშენებული. ქარხნები, ბანკები, ეკლესია, ლამაზი სახლები და გაზეთის რედაქცია; სასტუმროები, ფერმერები, სასახლეები, თეატრიც კი აღმოჩნდა აქ, რომელსაც ხალისიანად ესწრებოდა ხალხი; თითო ადგილი ათი შილინგი ღირდა. დიდი წარმატებით სარგებლობდა პიესა "ფრანცისკ ობადია, ანუ ბედნიერი მაღაროელი". პიესის სასოწარკვეთილებამდე მისული გმირი უკანასკნელად დაჰკრავს ბარს და დიდრონ ოქროს ზოდს წააწყდება.

გლენარვანს ძალიან უნდოდა ალექსანდრეს მთის ოქროს საბადოების დათვალიერება. ამიტომ ფორანი დააწინაურა და მას გააყოლა აირტონი და მიულრედი, რომელთაც რამდენიმე საათის შემდეგ თვითონაც წამოეწეოდნენ. პაგანელი უზომოდ კმაყოფილი დარჩა ამ განკარგულებით და ჩვეულებისამებრ თვითონ იკისრა გამცილებლისა და თარჯიმნის მოვალეობა. მისი რჩევით, მგზავრები უპირველესად ყოვლისა ბანაკისაკენ გაემართნენ.

ქუჩები განიერი იყო, მოკირწყლული და საგულდაგულოდ მორწყული. ადამიანს თვალში ეცემოდა ათასგვარი საწარმო-დაწესებულების უზარმაზარი აფიშები. შრომა და კაპიტალი აქ მხოლოდ ოქროს დამუშავებისაკენ იყო მიმართული. ყოველი მხრიდან მოისმოდა ოქროს ქვიშის მრეცხავი მაქანების გუგუნი და ხრიგინი. შენობების იქით ოქროს ქვიშრობები იწყებოდა - ფართოდ გადაჭიმული მიწები, სადაც გამალებული მუშაობა მიდიოდა. აქ ამუშავებდნენ დაქირავებულ მაღაროელებს, რომელთაც დიდი ჯამაგირი ეძლეოდათ. ვინ დათვლიდა აქ ამოღებული ორმოების რაოდენობას! მზის სხივებზე აპრიალებული რკინის ნიჩბების ელვარება თვალს ჭრიდა კაცს. მომუშავეთა შორის ათასგვარი ჯურის ადამიანს შეხვდებოდით, მაგრამ ისინი არ ჩხუბობდნენ, უსიტყვოდ აკეთებდნენ დაკისრებულ საქმეს განსაზღვრულ სასყიდლად.

- ნუ იფიქრებთ, თითქოს ავსტრალიაში აღარ არიანა თავგანწირული ოქროსმაძიებლები, რომლებიც ბედის გაღიმებას ელიან, - თქვა პაგანელმა, - მე ვიცი, რომ უმრავლესობა ოქროს მრეწველებთან ხელფასით მუშაობს. ეს აუცილებელია, რადგან მთავრობამ ოქროს საბადოები ან გაყიდა, ან იჯარით მისცა კომპანიებს. ვისაც არაფერი გააჩნდა, არც ყიდვა შეუძლია, არც იჯარით აღება და მხოლოდ ბედის გაღიმებიA იმედიღა დარჩენია.

- როგორ? - შეეკითხა ელენი.

- ჯემპინგის დახმარებით, - მიუგო პაგანელმა, - თუ ჯემპინგში საქმე კარგად წაგივათ, თუნდაც ამ საბადოებზე არავითარი უფლება არა გქონდეთ, თუ ბედი გწყალობთ, შესაძლოა, დიდი ქონების პატრონი გახდეთ.

- რანაირად? - შეეკითხა მაიორი.

- ჯემპინგის უფლებით, როგორც მოგახსენეთ.

- ეგ ჯემპინგი რაღაა? - გაუმეორა კითხვა მაიორმა.

- ეს არის მაღაროელების ერთგვარი შეთანხმება, რაც ხშირად იწვევს არეულობას და დანაშაულებსაც, რაც ხელისუფლებას ჯერაც არ მოუსპია.

- კმარა, პაგანელ, წყლის ნაყვას თავი დაანებეთ. დალაგებით აგვიხსენით!

- აი, საქმე რაშია. აქ წესადაა: თუ რომელიმე მიწის ნაკვეთი ექსპლოატაციის მიდამოებში ზედიზედ 24 საათის განმავლობაში არავის დაუმუშავებია, დიდი უქმე დღეების გარდა, ის საზოგადოების კუთვნილებად იქცევა. ვინც მას პირველად დაამუშავებს, თუ ბედმაც გაუღიმა, გამდიდრდება კიდეც ... აბა, რობერტ, ეცადე გამოიკვლიო რომელიმე ასეთი ნაკვეთი და ის შენი საკუთრება გახდება!

- ბატონო პაგანელ, - უთხრა მერი გრანტმა, - გთხოვთ, ჩემს ძმას ამგვარ აზრებს ნუ უნერგავთ.

- ვხუმრობ, ძვირფასო, - მიუგო პაგანელმა, - და რობერტმაც იცის ეს. რობერტი და მაღაროელი! რასა ბრძანებთ! არასოდეს! მიწის თხრა, მისი გადაბრუნება, დამუშავება, დათესვა და ნაამაგარი ჭირნახულის მომკა - ეს ჩინებული საქმეა, მაგრამ მიწის თხუნელასავით თვალაბლესილი თხრა, ეგებ მცირეოდენი ოქრო ამოვაცოცოო, მეტად სავალალო ხელობაა და მთლად წყალწაღებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ამისთანა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

მოგზაურებმა უმთავრესი საბადოები დაათვალიერეს. გაიარეს ის გზები, რომელთა ნიადაგი უკვე დამუშავებული, გამოფიტული კლდეების ნამსხვრევ თიხა-ფიქალსა და ქვიშას წარმოადგენდა. ბოლოს ბანკისაკენ გასწიეს.

დიდი შენობა იყო. შესასვლელთან ინგლისის ეროვნული დროშა ფრიალებდა. გლენარვანს მთავარი ინსპექტორი შემოეგება, გულთბილად მიიღო და უამბო, რომ სხვადასხვა კომპანიის ბანკში შეაქვს ამოღებული ოქრო და სამაგიეროდ ქვითარს იღებენ. ადრე პირველ ოქოსმაძიებლებს ექსპლუატაციას უწევდნენ კოლონიის ვაჭრები, მათგან თითო უნცია1 ოქროს ორმოცდაცამეტ შილინგად ყიდულობდნენ და მელბურნში სამოცდახუთ შილინგად ყიდდნენ. ვაჭარი ერთგვარად ხიფათში იგდებდა თავს, რადგან საბადოებიდან ოქროს გადაზიდვის დროს ხშირი იყო თავდასხმა, ძარცვა-გლეჯა და ტვირთი ხშირად ვერ აღწევდა დანიშნულ ადგილამდე.

მოგზაურებს ბანაკში ოქროს შემცველი ქანებისა და ზოდების საინტერესო ნიმუშები აჩვენეს, თან ინსპექტორი უხსნიდათ მისი დამუშავების სხვადასხვა მეთოდს.

- ოქრო ბუნებაში ორი სახით გვხვდება: მისი საბადოები ან ძირითადი - როცა ქანის ძარღვები ოქროს ანდა ქვიშრობებს შეიცავენ. ძირითად საბადოებში ოქოს მარცვლები ძარღვის ქანშია (უმთავრესად - კვარცში) ჩაწინწკლულია. ქვიშრობებში ძარღვების გამოფიტვითა და დაშლით წარმოიშვნენ იმის მიხედვით, როგორია საბადო. ოქროს საგანგებო სამსხვრევი მანქანებით მოიპოვებენ - თუ ოქრო ძირითად ქანშია და საჭიროა ჯერ ქანის დამსხვრევა, რის შემდეგაც ნამსხვრევების ამალგამაციას ახდენენ, შეურევენ ვერცხლისწყალს, ოქროს მარცვლები შეუერთდება მას, გამოეყოფა ქანს, მერე კი მას ვერცხლისწყლისაგან გააცალკევებენ.

ქვიშრობებისგან კი ოქროს გარეცხვით მოიპოვებენ. ამ დროს ოქრო, როგორც უფრო მძიმე, ილექება, მსუბუქი ქვიშა კი წყალს მიაქვს. ალექსანდრეს მთასთან ოქროს უმთავრესად თიხოვან ფენებსა და ფიქალსი კლდების ნაპრალებში ამუშავებენ. მათში მოთავსებულია ბუნებრივი ოქროს ზოდები და ბედნიერი მაღაროელი ხშირად ერთი დაკვრით იძენს მთელ ქონებას.

ოქროს ნიმუშების შემდეგ ჩვენმა მგზავრებმა ბანკის მინერალური მუზეუმი დაათვალიერეს. აქ ზუსტი კლასიფიკაციითა და თავ-თავისი წარწერებით იყო გამოფენილი ავსტრალიის ქანების ყველა ნიმუში. თურმე მხოლოდ ოქრო როდი ყოფილა ავსტრალიის ერთადერთი სიმდიდრე. შეიძლება ითქვას, ავსტრალია ნამდვილი ბუნების საუნჯეა, სადაც ყველაზე უმდიდრესი განძეული ინახება. შემინულ კარადებში ელვარბდა თეთრი ტოპაზი, რომელიც ბრაზილიის ტოპაზს გაუტოლდებოდა; ძოწის მშვენიერი მწვანე ეპიდოტი; იშვიათი სილამაზის ლალი, რომელიც აქ ორგვარი ჰქონიათ - ღია წითელი და მკრთალი ვარდისფერი; მუქი და ღია ცისფერი საფირონი, ისეთივე, როგორიცაა მალაბარისა და

ტიბეტის საფირონები; რუტილის ბრწყინვალე კრისტალები, დაბოლოს ერონის ნაპირზე ნაპოვნი პატარა ალმასის კრისტალი. ძვირფასი ქვების კოლექცია იყო. მათი ჩარჩოებში ჩასასმელად კი ოქრო არ იყო შორს საძებარი.

გლენარვანი გამოეთხოვა ინსპექტორს, მადლობა გადაუხადა თავაზიანობისა და მომსახურებისათვის. ყველა ისევ ოქროს საბადოების დასათვალიერებლად გაეშურა. პაგანელი მაინცდამაინც დიდი მოყვარული არ იყო ამქვეყნიური სიკეთისა, მაგრამ თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეჩერდებოდა ხოლმა და დაკვირვებით ათვალიერებდა ნიადაგს. ეს მოთხოვნილება მის ნებისყოფას აღემატებოდა და მეგობრების ოხუნჯობაც ვერ მოაშლევინა. წარამარა დაიხრებოდა, მიწიდან ხან ფუჭი ქანის, ხან კვარცის ნატეხს აიღებდა, გულმოდგინედ სინჯავდა და ბოლოს ზიზღით გადააგდებდა.

- რა დაგემართათ, პაგანელ? - შეეკითხა მაიორი, - ხომ არაფერი დაკარგეთ?

- დავკარგე, მაშ! - მიუგო პაგანელმა, - ვინც ამ ქვეყანაში ვერაფერს პოულობს, ის ოქროს ან ძვირფას ქვას კარგავს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გულით მინდოდა, აქედან

---

1 უნცია - 7 მისხალი.

რამდენიმეუნციიანი ან ორიოდგირვანქიანი ოქროს ზოდი წამოეღო, მეტი არა.

- რას უზამდით ნაპოვნს, ძვირფასო პაგანელ? - შეეკითხა გლენარვანი.

- ო, მე ვიცი, რასაც ვუზამდი, - უპასუხა მეცნიერმა, - საფრანგეთის ბანკს მივართმევდი...

- სახსოვრად?

- რასაკვირველია. მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩემთვის ანგარიში გაეხსნათ.

ყველამ გულიანად იცინა პაგანელის იმ ხერხზე, რითაც მას სამშობლოსათვის კეთილი სამსახურის გაწევა უნდოდა, ელენმა კი მას მსოფლიოში ყველაზე დიდი ოქროს ზოდის პოვნა უსურვა.

ამ საოხუნჯო მასლაათით შემოიარეს ოქროს საბადოს უმეტესი ნაწილი. მუშაობა ყველგან მექანიკური სიზუსტით წარმოებდა, მაგრამ აღფრთოვანება არავის ეტყობოდა.

ერთი საათის სეირონობის შემდეგ პაგანელმა ერთი პატარა, მყუდრო სასტუმრო შეამჩნია და თანამგზავრებს შესთავაზა, იქ დაეცადათ ფორნის დაბრუნებამდე. ელენმა თანხმობაც განაცხადა. რადგან სასტუმროში მიღებულია სმა, პაგანელმაც სასტუმროს პატრონს რამე ადგილობრივი სასმლის მოტანა სთხოვა. სასტუმროს პატრონმაც სასწრაფოდ მოართვა თითო ჭიქა "ნობლერი" - ეს ნამდვილი ავსტრალიური სასმელი გახლდათ - დიდ ჭიქა არაყს ცოტაოდენი წყლით გააზავებდნენ, ცოტა შაქარსაც დაამატებდნენ და ისე შეექცეოდნენ. სასტუმროს პატრონი გაოცდა, როდესაც პაგანელმა თავისი "ნობლერი" მთელი გრაფინი წყლით შეაზავა, რის შემდეგაც ჩვეულებრივი ინგლისური გროგი გამოვიდა.

მათ საუბარი, ბუნებრივია, საბადოებსა და ოქროსმაძიებლებზე ჩამოვარდა. პაგანელი დიდად კმაყოფილი იყო დღევანდელი ნანახით, თუმცა აღიარა, ალექსანდრეს მთის ექსპლუატაციის პირველ წლებში, როდესაც მის გადათხრას იწყებდნენ მარტოხელა ოქროსმაძიებელნი, გაცილებით მეტ საგულისხმო რასმე ნახავდა ადამიანო.

- ეს ადგილები გადათხრილი იყო შრომისმოყვარე, გამრჯე ჭიანჭველებისმაგვარი ლეგიონებით. ემიგრანტები მხურვალედ ეკიდებოდნენ საქმეს, თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი როდი იყო წინდახედული და შორსმჭვრეტელი. ოქრო ფუქსავატურად იფლანგებოდა ლოთობასა და ბანქოს თამაშში. თვითონ ეს სასტუმრო, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, იმხანად ნამდვილი ჯოჯოხეთი გეგონებოდათ. ბანქოსა და კამათლის თამაშს ხშირად მოსდევდა ბებუთების ტრიალი. პოლიცია უძლური იყო ამ საქმეში და გუბერნატორი ხშირად იძულებული ხდებოდა ჯარის დახმარებით დაეცხრო ოქროსმაძიებლების ორმოტრიალი. ბოლოს დიდის წყალობით მოახერხა წესრიგის დამყარება. თითოეულ ოქრო მაძიებელს ოქროს დამუშავების უფლებისათვის პატენტი დაუწესა, რის შემდეგ არეულობამაც იკლო და მალე ამ მხრივ ავსტრალიამ კალიფორნიასაც კი გაუსწრო.

- განა ყველას შეუძლია ოქროსმაძიებელი გახდეს? - იკითხა ელენმა.

- დიახ, ყველას, ამას არავითარი დიპლომი არ სჭირდება, მხოლოდ ღონიერი მკლავებია საჭირო. თავზეხელაღებული ავანტიურისტები, რომლებიც თავიანთი ქვეყნებიდან გაჭირებას გამოქცეოდნენ, ამ საბადოებისაკენ ცარიელი ჯიბეების მოეშურებოდნენ, უფრო მდიდრები - წერაქვებით, ღარიბები კი - ბებუთებით. ყველა მათგანს იოლი გამდიდრების წყურვილი კლავდა. მთელი მიდამო მოფენილი იყო კარვებით, მიწურებით, ქოხებითა და ფანჩატურებით. შუაგულში მთავრობის კარავი იდგა, რომელზეც ბრიტანეთის დროშა ფრიალებდა. მის გარშემო შემომწკრივებულიყო ლურჯი ტილოს კარვები მთავრობის მოხელეებისათვის, ოქროს შემსყიდველთა და ქორვაჭარების დუქნები, რომლებიც ამ სიმდიდრე-სიღარიბის სამეფოში თავისუფლად დანავარდობდნენ და ხელებს ითბობდნენ. რა თქმა უნდა, ვაჭრები მდიდრდებოდნენ. უნდა გენახათ ეს გრძელწვერა და წითელი შალისხალათიანი დიგერები, რომლებიც ჭუჭყსა და სინესტეში ეყარნენ. ჰაერი გაჟღენთილი იყო ათასგვარი ლეშის სიმყრალით, ირგვლივ მტვრის კორიანტელი იდგა და ეს ქვეყანა ჰავით ნაკლებჯანსაღი რომ ყოფილიყო, ტიფისაგან ერთიანად შეიმუსრებოდნენ ეს უბედურები. მერე, განა ყველა ბედისმაძიებელი აღწევდა მიზანს?! რა ბრძანებაა! ასში, ორასში, შესაძლებელია, ათასშიც, რომელთაც სიღატაკესა და სასოწარკვეთილებაში ამოსდიოდათ სული, ერთი თუ გამოერეოდა გამდიდრებული.

- ბატონო პაგანელ, ვერ გვიამბობთ, იმ დროს, რა წესით ამუშავებდნენ ოქროს? - შეეკითხა გლენარვანი.

- სავსებით მარტივი წესით, - მიუგო პაგანელმა, - ზოგიერთი ოქოსმაძიებელი ოქროს ქვიშას იმავე წესით რეცხავდა, როგორც დღეს წარმოებს საფრანგეთის ზოგიერთ ადგილას. დღეს ოქროს მწარმოებელთა კომპანიები სულ სხვა წესით ამუშავებენ მას. მადანს მთავარ ძარღვამდე ჩასდევენ, სადაც ოქრო მოიპოვება. თავდაპირველი ოქროსმაძიებლები კი ოქროიანი ქვიშის გარეცხვით კმაყოფილდებოდნენ. ქანს თხრიდნენ, მათი შეხედულებით უფორ ნაყოფიერ ქანს რეცხავდნენ და იქიდან იღებდნენ ძვირფას მადანს. ქანს ერთგვარი ამერიკული ხელსაწყოთი რეცხავდნენ. მას აკივანი ერქვა. ეს იყო ხუთი-ექვსი ფუტის სიგრძე თავღია ყუთი, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა. ზემო განყოფილებას დატანებული ჰქონდა სხვადასხვა ზომის ცხრილები. მეორე განყოფილება ძირში თანდათან ვიწროვდებოდა. ზევითა ცხრილზე ქანის ნამსხვრევებს დაყრიდნენ, წყალს დაასხამდნენ და ხელით ურევდნენ, თან აკვანს არწევდნენ. მსხვილი ქვები და კენჭები ზედა ცხრილზე რჩებოდა, მადანი და ქვიშა კი ქვემო ცხრილებზე ჩამოდიოდა. მიწა წყალს მისდევდა და ძირს ნახვრეტში გადიოდა. აი, ასეთი გახლდათ ის მანქანა, რომელიც იმხანად იხმარებოდა.

- მაგრამ მაგასაც ხომ შოვნა უნდოდა? - ჩაურთო ჯონ მანგლსმა.

- უფრო მდიდარი მაღაროელებისაგან ან გაკოტრებულებისაგან ყიდულობდნენ, - მიუგო პაგანელმა, - ზოგჯერ უამისოდაც იოლად მიდიოდნენ.

- როგორ? - იკითხა მერი გრანტმა.

- უბრალო თუნუქის ფურცლით, ძვირფასო მერი, ქანს ისევე ცხრილავდნენ, როორც ხორბალს, იმ განსხვავებით, რომ ზოგჯერ ხორბლის ნაცვლად ოქროს მარცვლებს იღებდნენ. პირველ წლებში ბევრი ოქროსმაძიებელი ამ წესით, სხვა ხელსაწყოს დაუხმარებლად მუშაობდა. მეგობერბო, ეს იყო ოქროს ხანა, თუმცა მაშინ ჩექმები ას ორმოცდაათი ფრანკი ღირდა, ერთი ჭიქა ლიმონათი კი - 10 შილინგი. ამ ძვირფასი ლითონის ნიადაგზე ნაკადულები ჩქეფდა, ოქრო მელბურნის ქუჩებში ეყარა, ქუჩების მოსაკირწყლავად ოქროვან სილას ხმარობდნენ. 1852 წლის 24 თებერვლამდე ალექსანდრეს მთიდან მელბურნში მთავრობის ჯარის თანხლებით რვა მილიონ ორას ოცდაათი ათას შვიდას ორმოცდაათი ფრანკის ღირებულების ოქრო გაიტაცეს, საშუალოდ დღეში ას სამოცდაოთხი ათას შვიდას ოცდახუთი ფრანკის ოქრო.

- ერთბაშად გამდიდრების შემთხვევები არ ყოფილა? - იკითხა ელენმა.

- ზოგჯერ.

- ვერავის დაგვისახელებთ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- რატომაც არა! - მიუგო პაგანელმა, - 1852 წელს ბალარადოს ოლქში იპოვეს ოქროს ზოდი, რომელიც ჩვიდმეტ კილოგრამს იწონიდა, ბალარატში კი ერთმა მაღაროელმა სამოცდახუთკილოგრამიანი ოქროს ზოდი იპოვა...

- მას აქეთ, რაც ოქოს მაღაროები აღმოაჩინეს, რამდენად გაიზარდა ოქროს დამუშავება? - იკითხა ჯონ მანგლსმა.

- უდიდესი პროპორციით! საუკუნიის დასაწყისში მისი ამოღება წლიურად ორმოცდაშვიდ მილიონ ფრანკს არ აღემატებოდა, ამჟამად კი, თუ მხედველოებაში მივიღებთ ევროპის, აზიისა და ამერიკის საბადოებს, ყოველწლიურად ღირებულება ცხრაას მილიონ ფრანკს აღწევს, თითქმის ერთ მილიარდს!

- მაშ, ახლა იმ ადგილას, სადაც ვდგავართ, ჩვენს ფეხქვეშ შეიძლება ოქრო იყოს? - იკითხა რობერტმა.

- რა თქმა უნდა, ბიჭუნი, მილიონები! ჩვენ კი ზედ დავდივართ. ფეხით ვთელავთ, იმიტომ, რომ გვძულს იგი.

- მაშ ავსტრალია ბედნიერი ქვეყანა ყოფილა?

- არა, რობერტ, - უთხრა გლენარვანმა, - ისეთი ქვეყნები, სადაც ოქრო მოიპოვება ბედნიერები არ არიან. ასეთ ქვეყნებში მოსახლეობა ზანტია, მცონარე და ზარმაცი. ასეთ ქვეყნებში როდი იბადება შრომისმოყვარე და გამძლე ხალხი. აბა, გადახედე ბრაზილიას, მექსიკას, კალიფორნიას, ავსტრალიას! რას დაემსგავსნენ მეცხრამეტე საუკუნეში?! მადლიანი ქვეყანა ის კი არ არის, ჩემო ძვირფასო, სადაც ოქრო მოიპოვება, არამედ ის, სადაც რკინას მოიპოვებენ.

თავი XV

"ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გაზეთი"

2 იანვარს, მზის ამოსვლისას, ჩვენი მგზავრები გასცილდნენ ოქროს საბადოებსა და ტალბოტის ოლქის საზღვრებს. ამჟამად დალჰოუზის ოლქის მტვრიან გზას დასდგომოდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ ისინი მდინარე კალბოანისა დაკემპეისრივერის ფონში გავიდნენ. ამგვარად, ნახევარი გზა უკვე გავლილი ჰქონდათ. ასეთი დაუბრკოლებელი მოგზასურობის პირობებში კაპიტან გრანტის მაძიებლებს თხუთმეტი დღის შემდეგ შეეძლოთ ტუფოლდის ყურემდე მიაწევა. ავსტრალიის მშვენიერი ჰავის შესახებ პაგანელის ნათქვამი გამართლდა. სიცხე ზომიერი იყო, ჰაერი მშრალი, ცხენებიც და ხარებიც ისევე კარგად გრძნობდნენ თავს, როგორც ადამიანები.

მხოლოდ ერთი გარემოება შეიცვალა. რკინიგზის კატასტროფამ აირტონს ზოგიერთი ისეთი გამაფრთხილებელი ზომა მიაღებინა, რომლებიც იმ დრომდე საჭიროდ არ მიაჩნდა. ცხენოსნები მუდამ ფორნის წინ უნდა ყოფილიყვნენ, დაბანაკების დროს კი მორიგეობით უნდა მდგარიყვნენ სადარაჯოზე. ნამდვილად იცოდნენ, რომ ამ მიდამოებში მძარცველების ბრბო დაძრწოდა და თუმცა ჯერ საფრთხეს თვალი არ უჩანდა, მაგრამ სიფხიზლე მაინც საჭირო იყო. რა თქმა უნდა, ამას ისე აკეთებდნენ, რომ ელენი და მერი გრანტი ვერ მიმხვდარიყვნენ, რადგან გლენარვანს არ უნდოდა მათი შეშინება.

სიფრთხილე კი მართლაც საჭირო იყო. უყურადღებობასა და დაუდევრობას შეიძლებოდა სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. მხოლოდ გლენარვანი როდი იყო საგონებელში ჩავარდნილი! მიყრუებული სოფლებისა და სადგურების ბინადარნი და მოახალშენენიც ფხიზლად იყვნენ. დაღამდებოდა თუ არა, სახლებში შეიკეტებოდნენ. ჯაჭვიდან აშვებული ძაღლები მცირეოდენ ხმაურზეც კი გაბმულ ყეფას ატეხდნენ. მწყემსები საქონელსა და ფარას სადგომში რომ შერეკავდნენ, ცხენის უნაგირის ტახტზე კარაბინები ეკიდათ. კემდენის ხიდთან ჩადენილი ბოროტმოქმედება გამხდარიყო ასეთი სიფრთხილის მიზეზი.

პროვინციის ხელისუფლებამ გააძლიერა სიფხიზლე. მიდამოებში ადგილობრივი ჟანდარმერიის რაზმი დაიგზავნა. ზომები მიიღეს ფოსტისა და ტელეგრაფის დასაცავად. ამ შემთხვევამდე კი ფოსტა დიდ გზებზე მცველების გაუყოლებლად იგზანვებოდა, მაგრამ სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩვენმა მგზავრებმა გადასერეს კილმორიდან ჰიტკოტისაკენ მიმავალი შარაგზა, გლენარვანმა თვალი მოჰკრა საფოსტო კარეტას, რომელსაც თოფიანი პოლიციელი ცხენით მიჰყვებოდა. გეგონებოდათ, ეს ამბავი იმ ხანებში ხდებოდა, როდესაც ოქროს საბადოები ახალი აღმოჩენილი იყო და ავსტრალიას ევროპიდან კალიასავით მოსწყდომოდნენ ნაძირლები.

კილმორისაკენ მიმავალ გზას კილომეტრ-ნახევრით რომ გასცილდნენ, მათი ფორანი ბუმბერაზი ხეების უზარმაზარ ტყეში შერახრახდა, რომლის მსგავსიც ბერნუილის კონცხიდან გამოსვლის შემდეგ პირველადნ ნახეს. ევკალიპტების ტყე რამდენიმე გრადუსს ფარავდა. ბუმბერაზი ხეების დანახვაზე მგზავრებს აღტაცების შეძახილები აღმოხდათ. თითო ხე 70 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილიყო, მათი ქერქი ხუთი დუიმის სიმსხო იქნებოდა, ხის სისქე - შვიდი მეტრი, სიმაღლე კი - 50 მეტრი. გასაოცარი იყო ამ ხეების უნაკლო სისწორე. არც ერთი ტოტი, არც ერთი შტო ან ნუძრი არ მოჩანდა არც ერთი მათგანის ტანზე ძირიდან ორმოცდაათი მეტრი სიმაღლემდე, თითქოს დახელოვნებული ოსტატის ხელით ყოფილიყოს გამოჩარხული. ერთი შეხედვით სვეტების რიგი გეგონებოდათ, რომლებიც ერთიმეორეს მისდევდა ასობით, ათასობით. ხეების კენწეროები ფოთლებით შემოსილი შტოების გვირგვინით ბოლოვდებოდა, რომელთა სიღრმეშიაც ჩამოკიდებული იყო დაპირქვავებული ურნის მოყვანილობის ყვავილები.

კამარად შეკრული მწვანეფოთლოვანი თაღის ქვეშ ნიავი ქროდა, ნიადაგი მშრალი იყო. ცხენის რემა, საქონლის ნახირი თუ ფორნები თავისუფლად მიმოდიოდნენ ამ ბუმბერაზ ხეთა ხეივნებს შორის, რომლებიც ისე იყო აზიდული, თითქოს გადაჭრილი ტყის ქვედა ტანიღა დარჩენილიყო, არსად ჩანდა არც უღრანი ტყე, არც ჭალა სადმე ჩამოხლეჩილი ტოტებით, არც გაუვალი ღიჭიანი, სადაც კაცი ცეცხლითა და ცულით თუ გაიკაფავდა გზას.

მწვანე ხავერდის ხალიჩად მობიბინე ხშირი ბალახი ხეების ძირას, კენწეროებზე ზურმუხტისფრად შეკრული თაღი, სიგრილე, თავისებური სინათლე, რომელიც ისე ეფინებოდა მიდამოს, თითქოს ცხავშია გატარებულიო, მისი შუქის სწორი ანარეკლი და ჩრდილები - ყოველივე ეს უცნაურ და სრულიად უცხო სანახაობის ელფერს სდებდა მიდამოს.

ავსტრალიის ტყეები სულ არა ჰგავს ახალი ქვეყნის ტყეებს. აქ ყველაზე ტიპიური მირტის ოჯახის ხე - ტარაა - როგორც იქაური მცხოვრებნი უიწოდებენ, ან ევკალიპტი, როგორც მას სხვაგან ეწოდება.

ამ უზარმაზარ მწვანეთაღიან ტყეებში ჩრდილი და ბინდბუნდი არ იცის. ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ ავსტრალიის ხეები ფოთლების განლაგების საყურადღებო ანომალიით გამოირჩევიან. არც ერთი ფოთოლი სიბრტყით ა არის მიქცეული მზისაკენ, პირიქით, ყველა ფოთოლი წიბოთი უცქერის მზეს. ადამიანის თვალი მხოლოდ ფოთლის პროფილს ხედავს. ამის გამო მზის სხივები დედამიწას იმგვარად ეფინება, თითქოს ცხრილშია გატარებული. ეს თავისებურება ყველამ შენიშნა და განცვიფრებულნი იყვნენ. საიდან წარმოდგება ეს უცნაურობაო? - ჰკითხეს პაგანელს. მანაც უპასუხა, როგორც ადამიანმა, რომელსაც არაფრის განმარტება არ ეძნელება.

- ამ შემთხვევაში ბუნების უცნაურობა კი არ მაოცებს, რადგან ბუმებამ კარგად იცის, რასაც აკეთებს, - თქვა გეოგრაფმა, - მე მაკვირვებენ ბოტანიკოსები, რომლებსაც ყოველთვის არ ესმით, რასაც ლაპარაკობენ. ბუნება როდი შემცდარა, როდესაც ამ ხეებს ასეთი თავისებური ფოთლები მისცა, ცდებიან ისინი, რომელთაც ამ ხეებს ევკალიპტები უწოდეს.

- რას ნიშნავს ეს სიტყვა? - იკითხა მერი გრანტმა.

- ეს სახელწოდება ბერძნული სიტყვისაგან წარმოდგება და ნიშნავს, - "კარგად ვფარავ". ბოტანიკოსებს თავიანთი შეცდომა, ალბათ, ბერძნული სიტყვებით უნდოდათ დაეფარათ, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ევკალიპტი ცუდად ფარავს.

- სრული ჭეშმარიტებაა, ძვირფასო პაგანელ, - ჩაურთო გლენარვანმა, - მაგრამ, გეთაყვა, ვერ აგვიხსნით, ევკალიპტს ფოთლები ასე რად ეზრდება?

- ეს უბრალო ფიზიკური მიზეზის გამო ხდება, რასაც თქვენც ადვილად მიხვდებით, - მიუგო პაგანელმა, - ამ ქვეყანაში, სადაც ჰაერი მშრალია, წვიმები იშვიათი და ნიადაგი გამომშრალი, ხეებს არ სჭირდებათ არც ქარი, არც მზის სხივები, რადგან სინესტე არ რაის. ამის მიზეზია ფოთლების ასეთი მოყვანილობაც, ხეები ამით იფარავენ თავს მზისაგან და მოჭარბებული აორთქლებისაგან. ამიტომაც მზეს ისინი სიბრტყით კი არ უცქერიან, არამედ წიბოთი, ფოთლებზე გონიერი არაფერია.

- და არც იმაზე უფრო ეგოისტი! - ჩაურთო მაიორმა, - მხოლოდ თავის თავზე ზრუნავენ, მგზავრები კი არ გახსენებიათ!

პაგანელის გარდა ყველა იზიარებდა მაკ-ნაბსის მოსაზრებას. პაგანელი კი, რომელიც შუბლზე ოფლს იწურავდა, მაინც დიდად კმაყოფილი იყო, რომ ისეთი ხეების ქვეშ მიდიოდა, რომლებიც ოდნავადაც არ იძლევიან ჩრდილს.

ჩვენი მგზავრები მთEლი დღის განმავლობაში ევკალიპტების დაუსრულებელ მწყობრში მიდიოდნენ. გზაში არავინ შემოხვედრიათ, არც ადგილობრივი მცხოვრები, არც მხეცი. მხოლოდ განსაკუთრებული ჯიშის თუთიყუშები ბუდობდნენ ევკალიპიტის კენწეროებში, მაგრამ იმ სიმაღლიდან სულ არ მოჩანდნენ და მათი საუდრულებელი ჟივილი მხოლოდ ოდნავ გასაგონი ბუტბუტის სახით აღწევდა მგზავრებამდე. ზოგჯერ შორეულ ხეივანში გაიქოლებდა ფერად-ფერადი თუთიყუშების გუნდი. საერთოდ კი ამ უსაზღვრო სიმწვანეის საბრძანებელში სრული სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ ცხენების ფეხის თქარათქური, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი, თვლების ჭრიალი და დროდადრო ხარების გასარეკად აირტონის წამოძახილი არღვევდა ტყის მყუდროებას.

საღამო ხანს ბინა ევკალიპტების ძირას დაიდეს, სადაც ჩამქრალი ცეცხლის ნაკვალევი შეამჩნიეს. ცეცხლის ალს კარგა დიდ მანძილზე გაეხვრიტა ევკალიპტის ტანი და ქარხნის საკვამლე მილისათვის დაემსგავსებინა. ქერქიღა დარჩენილიყო მთელი. ერთი შეხედვით გეგონებოდათ, ხე არ დაზიანებულაო, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში აქაურ მეჯოგეები და ადგილობრივი მოსახლეობა დაუნდობლად ანადგურებენ ამ დიდებულ ხეებს და აქაც იისევე მოსპობენ მათ, როგორც სპობენ ლიბანის ოთხასწლოვან კედრებს დაუფრთხილებლობის გამო გაჩენილი ცეცხლით დროებითი ბინადრობის დროს.

პაგანელის რჩევით, ოლბინეტმა ვახშის მოსამზადებლად ერთ-ერთი ასეთი ხის ღრუეში გააჩაღა ცეცხლი. ხის ღრუმ ისე მძაფრად მიიზიდა ჰაერი, რომ ბოლი ევკალიპტის კენწეროს ეცა. ძილის დროს სიფრთხილის თადარიგი დაიჭირეს: აირტონი, მიულრედი, ვილსონი და ჯონ მანგლსი რიგრიგობით დარაჯობდნენ ბანაკს გარიჟრაჟამდე.

3 იანვარსაც ამ დაუსრულებელი სვეტების სიმეტრიულ მწკრივებს შორის იმგზავრეს. ტყეს თითქმის დასასრული აღარ ჰქონდა, მაგრამ საღამო ხანს ხეები შეთხელდა და რამდენიმე კილომეტრის მოშორებით პატარა ვაკეზე შენობები გამოჩნდა.

- ეს გახლავთ, სეიმური! - წამოიძახა პაგანელმა, - უკანასკნელი ქალაქი, რომელსაც ჩვენ შევხვდებით ვიქტორიის პროვინციაში.

- დიდი ქალაქია? - იკითხა ელენმა.

- ჯერ მხოლოდ დაბა გახლავთ და თანდათან ქალაქდება, - მიუგიო პაგანელმა.

- აქ რიგიან სასტუმროს ვერ ვიშოვით? - ჰკითხა გლენარვანმა.

- იმედი მაქვს, ვიშოვით, - უპასუხა გეოგრაფმა.

- მაშ, შევუხვიოთ ქალაქში. ვფიქრობ, ჩვენი მანდილოსნები უარს არ იტყვიან ერთი ღამით ნამდვილ ლოგინში მოსვენებაზე.

- ედუარდ, - მიუგო ელენმა, - მე და მერის არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს არ დაგვაყოვნებს და ზედმეტ საზრუნავს არ გაგიჩენთ.

- სრულებითაც არა, - მიუგო გლენარვანმა, - ჩვენი ხარებიც დაიღალნენ. ეგეც არ იყოს, სისხამ დილითვე გავუდგებით გზას.

საღამოს ცხრა საათი იყო. მთვარე გადახრილიყო და მკრთალ შუქს ჰფენდა, რომელიც სიბნელეში ინთქმებოდა. ღამე ჩამოწვა. მთელი რაზმი სეიმურის ფართო ქუჩებს გაჰყვა

პაგანელის ბელადობით, რომელმაც თითქმის ყველაფერი იცოდა, ისიც კი, რაც თავის დღეში არ ენახა. ალღოთი მიიკვლევდა გზას და თანამგზავრები სწორედ სასტუმროს კარს მიაყენა. ცხენები და ხარები თავლაში დააბინავეს, ფორანი საჯინიბოში შეაგორეს, მგზავრებს კი რიგიანი ოთახები დაუთმეს.

ათ საათზე მთელი მათი საზოგადოება მაგიდას შემოჯდომოდა. ოლბინატი მცოდნის თვალით ათვალიერებდა სუფრას. პაგანელსა და რობერტს უკვე მოესწროთ ქალაქის შემოვლა ცხენდაცხენ, მაგრამ მიღებული შტაბეჭდილების შესახებ პაგანელი ძალიან სიტყვაძუნწი გამოდგა იმ საღამოს. უფრო მეტი დაკვირვება რომ გამოეჩინა, უეჭველად შეამჩნევდა სეიმურის ქუჩებში ერთგვარ აფორიაქებას. ხალხი აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა. ლაპარაკობდნენ კარიბჭეებთან, გზად მიმავალს აჩერებდნენ და ამბავს ეკითხებოდნენ, იმდღევანდელ გაზეთებს ხმამაღლა კითხულობდნენ და წაკითხულს არჩევდნენ. ყოვლად დაუკვირვებელ მეთვალყურესაც კი თვალში ეცემოდა ეს ამბავი, პაგანელმა კი სიბნელეში სრულიად ვერაფერი შეამჩნი. სამაგიეროდ, ეს გარემოება მაიორს არ გამოჰპარვია. თუმცა სასტუმროდან ფეხი არსად გაუდგამს, მაგრამ სასტუმროს პატრონს ათიოდე წუთში გამოჰკითხა ქალაქის შეშფოთების მიზეზი და უკვე იცოდა საქმის ვითარება.

კრინტი არავის დაუძრავს. მხოლოდ ვახშმის შემდეგ, როდესაც ელენი, მერი გრანტი და რობერტი თავ-თავიანთ ოთახებში გაიკრიფნენ, მაიორმა თანამგზავრები შეაჩერა და უთხრა:

- სენდჰორსტის რკინიგზაზე მატარებელი რომ გადაჩეხეს, იმ ბოროტმოქმედთათვის მიუკვლევიათ.

- დაუტუსაღებიათ? - იკითხა აირტონმა.

- არა, - მიუგო მაკ-ნაბსმა ისეთი კილოთი, თითქოს ვერ შეამჩნია აიროტნის აჩქარება, თუმცა ეს ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივი იყო.

- სამწუხაროა! - ჩაურთო აირტონმა.

- ვის აბრალებენ დანაშაულს? - იკითხა გლენარვანმა.

- წაიკითხეთ, - მიუგო მაირომა და ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გაზეთი გაუწოდა, - თქვენც დარწმუნდებით, რომ პოლიციის ინსპექტორი არ ცდებოდა.

გლენარვანმა ხმამაღლა წაიკითხა შემდეგი:

"სიდნეი, 2 იანვარი, 1866 წელი. ალბათ, ყველას ეხსომებე ის ამბავი, რაც მოხდა წარსული წლის 30 დეკემბერს კესტლმენის სადგურიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით, კემდენ-ბრიჯში, მელბურნიდან სენჰორსტს მიმავალ რკინიგზის ლიანდაგზე. მელბურნიდან ღამის 11 საათს და 45 წუთზე გამოსული ექსპერსი გაქანებული გადაიჩეხა მდინარე ლუტონში. ხიდი გახსნილი აღმოჩნდა. ამ შემთხვევის შემდეგ მომხდარი მრავალი ძარცვა, კემდენ-ბრიჯიდან ნახევარი კილომეტრის მანძIლზე ნაპოვნი რკინიგზის დარაჯის გვამი ამტკიცებს, რომ ეს უბედურება ბოროტმოქმედთა ხელითაა მოწყობილი. მართლაც გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბოროტმოქმედება ჩაუდენიათ კატორღელებს, რომლებიც ექვსიოდე თვის წინ გამოქცეულან დასავლეთ ავსტრალიაში მდებარე პერთის გამასწორებელი ციხიდან.

სულ 29 კატორღელი ყოფილა. მათი ბელადია ბენ ჯოისი, საშიში ავაზაკი, რომელიც ავსტრალიაში უცნობი გემით ჩამოსულა და დღემდე მართლმსაჯულებას ვერ ჩაუგდია ხელთ. ქალაქის მცხოვრებნი, მოახალშენეები და მეჯოგე-სკვატერები ფხიზლად უნდა იყვნენ და საქმის გამომძიებელს შეუწყონ ხელი დამნაშავეთა შესახებ ცნობების მიწოდებაში.

მთავარი გამომძიებელი დ. პ. მიტჩელი".

როდესაც გლენარვანმა მოწოდების კითხვა დაამთავრა, მაკ-ნაბსი გეოგრაფს მიუბრუნდა:

- ხედავთ, პაგანელ, კატორღელებს თურმე ავსტრალიაშიც შეუძლიათ ყოფნა.

- ალბათ, გამოქცეულებს, თორემ კანონით გადმოსახლებულებს კი არა, - მიუგო პაგანელმა, - კატორღელებს უფლება არ აქვთ აქ ყოფნისა.

- ყოველ შემთხვევაში, აქ იმყოფებიან, - გაეპასუხა გლენარვანი, - მაგრამ მე არა მგონია, მათ აქ ყოფნას შეეძლოს ჩვენი გეგმის შეცვლა და მოგზაურობის შეფერხება. შენ როგორ ფიქრობ, ჯონ?

ჯონ მანგლსმა ერთბაშად არ უპასუხა. გულში სულ ის უტრიალებდა, როგორ დააღონებდა გრანტის შვილებს მათი მამის ძებნის შეწყვეტა, მეორე მხრივ კი ექპედიციის მოსალოდნელი ხიფათი აშინებდა. ბოლოს უპასუხა:

- ქალები რომ თან არ გვყოლოდა, ამ არამზადებზე არც კი ვიფიქრებდი.

გლენარვანი მიუხვდა და ჩაილაპარაკა:

- თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენს ამოცანაზე ხელს არ ავიღებთ, მაგრამ ჩვენი თანამგზავრი ქალების გულისათვის იქნებ უფრო გონივრული ყოფლიყო "დუკანზე" დაბრუნება მელბურნში და გრანტის ძებნის გაგრზელება აღმოსავლეთის სანაპიროებიდან. თქვენ რაღას იტყვით, მაკ-ნაბს?

- სანამ მე რამეს ვიტყოდე, მინდოდა აირტონის აზრი მომესმინა, - უპასუხა მაიორმა.

აირტონს ძალაუნებურად უნდა ეპასუხა და გლენარვანს გადახედა:

- ვფიქრობ, მელბრუნიდან ორასი კილომეტრის მანძილზე საფრთხის არსებობის შემთხვევევაში თანაბრად სახიფათოა როგორც სამხრეთის, ისე აღმოსავლეთის გზა. ესეც არ იყოს, განა ოცდაათმა არამზადამ უნდა შეაშინოს რვა კარგად შეიარაღებული და გაბედული ვაჟკაცი? ამიტომ ორი ბოროტებას შორის მე ნაკლებსახიფათოს ავირჩევდი და წინ წავიდოდი.

- კარგადაა ნათქვამი, აირტონ, - შენიშნა პაგანელმა, - ჩვენ ამ გზითვე რომ ვიაროთ, შეიძლება კაპიტან გრანტის კვალსაც წავაწყდეთ. სამხრეთით წასვლის დროსს კი უფრო დავშორდებით მას. მეც იმ აზრისა ვარ, რომ პატიოსანმა ადამიანმა ყურადღებაც არ უნდა მიაქციონ პერთიდან გამოქცეულებს.

ასე რომ, მოგზაურებმა კენჭი უყარეს ექსპედიციის გეგმას და ერთხმად გადაწყდა, რომ ადრევე მიღებული გეგმით განეგრძოთ გზა.

- ერთი შენიშვნა, - ჩაურთო აირტონმა, როდესაც კრება იშლებოდა.

- თქვი, აირტონ!

- უპრიანი ხომ არ იქნებოდა, "დუნკანისათვის" ბრძანება გაგეგზავნათ, რომ აღმოსავლეთის სანაპიროს მოადგეს?

- რა საჭიროა? - იკითხა ჯონ მანგლსმა, - როდესაც ტუფოლდის ყურეს მივაღწევთ, ასეთი ბრძანების გაგზავნა მაშინ დაგვჭირდება, თორემ შეიძლება რაიმე მოულოდნელი შემთხვევის გამო იძულებუილი გავხდეთ და მელბურნში დავბრუნდეთ, მაშინ ხომ "უდუნკანოდ" გასაქანი არ გვექნება. ამასთან, მისი დაზიანებული ნაწილების შეკეთებაც, ალბათ, ჯერ დამთავრებული არ იქნება. ვფიქრობ, უმჯობესია, დავიცადოთ.

- კეთილი, - უპასუხა აირტონმა და აღარ ჩასცივებია.

მეორე დღეს კარგად შეიარაღებული და ყოველგვარი მოულოდნელობისათვის გამზადებული რაზმი სეიმურიდან გზას გაუდგა. ნახევარი საათის შემდეგ ისევ შევიდნენ ევკალიპტების ტყეში, რომელიც აღმოსავლეთისაკენ იყო გადაჭიმული.

გლენარვანი გაშლილ ველზე მგზავრობას ამჯობინებდა, რადგან ველი უფრო ნაკლებად უწყობდა ხელს ჩასაფრებას და მოულოდნელი თავდასხმას, ვიდრე ტყე, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდათ და მათი ფორანი მთელი დღის განმავლობაში განაგრძობდა გზას უზარმაზარი ერთფეროვან ხეებს შორის. გაიარეს ენგლეზის საგრაფოს ჩრდილოეთი საზღვრები, საღამო ხანს ასორმოცდამეოთხე მერიდიანს გასცილდნენ და ღამის გასათევად მურეის ოლქის საზღვრებთან გაჩერდნენ.

თავი XVI

რომელშიაც მაიორი ამტკიცებს, მაიმუნებს ვხედავო

მეორე დღეს, 5 იანვარს მგზავრებმა ფეხი შედგეს მურეის ოლქის უზარმაზარ ტერიტორიაზე. მისი უდაბური და უკაცური ადგილები ავსტრალიის ალპების მთავარ უღელტეხილამდე აღწევს. ეს მიდამოები ჯერ ნაკვთებადაც კი არ არის დაყოფილი და ნაკლებად შესწავლილი პროვინციაა, რომელსაც ადამიანის ფეხი იშვიათად ხვდება. რა თქმა უნდა, დრო მოვა და ეს ტყეებიც დაემხობა მოახალშენეთა ცულების დაკვრით, ეს მინდვრები და საძოვრები სკვატერების ჯოგებისა და ფერმების საძოვრებად იქცევა. დღეს კი ეს ხელშეუხებელი ქვეყანაა, მას შეუნარჩუნებია ის სახე, როგორც იგი ამოიზარდა ინდოეთის ოკეანიდან. აქ ნამდვილი უდაბნო იყო.

ასეთ ადგილებს ინგლისურ რუკაზე თავისებური სახელწოდება აქვს Reserve for fhe blacks - "ნაკრძალი შავი მოსხლეობისათვის". - კოლონისტებმა ასეთ ოლქებში გადარეკეს ადგილობრივი მკვიდრნი. მიუჩინეს მათ განსაზღვრული ადგილები, შორეულ ველებსა და გაუვალ ტყეებში, საიდანაც ავსტრალიელთა მოდგმას გასვლა ეკრძალება.

მიჯნას შეუძლია გადაცდეს ყველა თეთრკანიანი მოახალშენე, იმიგრანტია ის, მეჯოგე-სკვატერი თუ შეშის მჭრელი, ადგილობრივ შავკანიან მოსახლეობას კი უფლება არ აქვს, ერთი ნაბიჯითაც გადმოსცილდეს საზღვრებს.

ცხენდაცხენ მიმავალი აღელვებული პაგანელი თანამგზავრებს უზიარებდა მოსაზრებებს ადგილობრივი მოდგმის ბედის შესახებ. ყევლანი ეთანხმებოდნენ, რომ კოლონიზაციის სასტიკი სისტემა ადგილობრივ თემებს სპობს იმ ადგილებში, სადაც მათ წინაპრებს უცხოვრიათ.

კოლონიზაციის პირველ ხანებში ემიგრანტი კოლონისტები შავკანიანებს ისე ექცეოდნენ, როგორც ნადირებს. მათზე თოფით ნადირობდნენ, სცემდნენ, როგორც კანონგარეშე მყოფთათვის, მოითხოვდნენ, მათი დახოცვისათვის პასუხი არავის მოეთხოვა.

სიდნეის გაზეთი საშუალებასაც კი ასახელებდა ჰანტერის ტბასთან მოსახლე თემების მოსაშორებლად. ჟურნალისტების აზრით, საჭირო იყო მათი მასობრივი მოწამვლა. ეს ქვეყანა ინგლისელებმა დაიპყრეს და კოლონიზაციის დასახმარებლად მკვლელობას მიმართეს. მათი სისასტიკე შემაძრწუნებელი იყო. ავსტრალიაში ისე იქცეოდნენ, როგორც ინდოეთში, სადაც ხუთი მილიონი ინდოელის სიცოცხლის ფასად არის ნაყიდი საპატიო უფლება ბრიტანეთის კოლონიად გახდომისა, როგოც კაპშტადტში, სადაც ერთი მილიონი ჰოტენტოტისაგან ასი ათასი სულიღა დარჩენილა.

სისასტიკითა და ლოთობით განადგურებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ ადგილი უნდა დაუთმოს კაცთმოძულე ცივილიზაციას! მართალია, ზოგიერთი გუბერნატორი თვალის ასახვევად დეკრეტებსა და კანონებს აქვეყნებდა ადგილობრივი მკვიდრი მოსხლეობის მიმართ ძალმომრეობის ასალაგმავად;' გამათრახებით სჯიდნენ იმ თეთრკანიანებს, რომელნიც შავკანიანს წაათლიდნენ ცხვირს, ან ყურს, ან კიდევ ნეკნს მოჭრიდნენ, რომ მისი ფრჩხილებისაგან რაიმე გასართობი ნივთი გაეკეთებინათ, მაგრამ ასეთმა კანონებმა არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ადგილობრივ მკვიდრთა მკვლელობა წარმოუდგენლად გახშირდა და ტომები იღუპებოდნენ. მაგალითად, ვან-დიმენის მიდამოებში ამ საუკუნის დამდეგს ხუთი ათასი სული ცხოვრობდა, 1863 წელს კი მათგან მხოლოდ შვიდმა კაცმა მიაღწია.

საკმარისი იყო, თვალი გადაგევლოთ ცნობისათვის "მერკურის" ერთ-ერთ გამოცემაში, სადაც ჰობარტაუნში უკანასკნელი ტასმანიელის ჩამოსვლის შესახებ წერდნენ!

არც გლენარვანი, არც მაიორი და არც ჯონ მანგლსი არ შედავებიან პაგანელს. თუნდაც ისინი ინგლისელები ყოფილიყვნენ, ასეთ თანამემამულეებს ხომ ვერ გამოესარჩლებოდნენ. ფაქტები მეტისმეტად მკვეთრი და შემზარავი იყო.

- ამ ორმოცდაათი წლის წინ, - განაგრძობდა პაგანელი, - ამასთანა მოგზაურობისას ვინ იცის, რამდენ ადგილობრივ თემს ვნახავდით, ახლა კი ერთი ადამიანიც არსად ჩანს. ალბათ, საუკუნის შემდეგ ამ კონტინენტზე ერთი შავკანიანიც აღარსად იქნება.

მათლაცდა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიჩენილი მიწა-წყალი სავსებით მიტოვებულს ჰგავდა. არსად მოჩანდა არც ქოხის ნატამალი, არც კარავი. ვაკე და ტყეები

ერთიმეორეს ცვლიდა და მიდამოს თანდათან სრულიად გავერანებული იერი ეძლეოდა. ამ უდაბურ ადგილებში ნადირიც კი აღარ მოიპოვებოდა. წინ მიმავალმა რობერტმა უცებ ცხენი შეაჩერა და წამოიძახა:

- მაიმუნი! მაიმუნი! - თან ხელი გაიშვირა იმ ხისაკენ, რომელზეც ჰაერში ჩამოკიდებული შავი არსება საოცარი მოქნილობით ხტოდა ტოტიდან ტოტზე; ნუთუ ამ მხარეში მაიმუნებმა ფრენაც იცოდნენ და ღამურასავით ფრთები ესხათ? ფორანი შეაჩერეს და ყველამ იმ ცხოველს დაუწყო ცქერა, რომელიც კენწეროს ფოთლებს მიეფარა. მალე ისევ ძირს დაეშვA საოცარი სისწრაფით, მიწაზე ჩამოხტა, მანჭვა-გრეხით, სკუპ-სკუპით გაიქცა და ხელი მოხვია უზარმაზარი გუმფისის გალიპულ ღეროს, რომელსაც კაცი მკლავებს ვერ შემოაწვდენდა. მაიმუნი ხის ტანზე ცულის მსგავს რაღაცას ურტყამდა, ჭდეებს უკეთებდა. მერე სწრაფად მოექცა ხეს კენწეროზე და რამდენიმე წუთის შემდეგ ხშირ ტოტებში მიიმალა.

- გასაოხარია! ეს რა ჯიშის მაიმუნია? - იკითხა მაიორმა.

- ეს იმ ჯიშისა გახლავთ, რომელსაც წმინდა წყლის ავსტრალიელი უწოდეს, - მიუგო პაგანელმა.

გეოგრაფის თანამგზავრებმა გაოცებაც ვერ მოასწრეს, რომ მეოსმათ ყატყატი, რომლის გადმოცემა ასე შეიძლებოდა: "ყუუუ!... ყუუუუ".

აირტონი ხარებს მიერეკებოდა და უეცრად, ასიოდე ნაბიჯის იქით, მგზავრები ადგილობრივ მცხოვრებთა ბინას წააწყდნენ. რა საცოდავი სანახაობა იყო! მიტოვებულ მიწაზე ათიოდე ხის ქერქის ალაჩუხი იდგა, რომელიც მხოლოდ ცალი მხრიდა ეფარებოდა მის ბინადართ. გადაგვარებული ხალხი საზიზაღი შესახედავი იყო. სულ ოცდაათიოდე იქნებოდა - კაცი, დედაკაცი თუ ბავშვი. ტანთ ეცვა კენგურუს ტყავი. ფორნის მიახლოებისთანავე ყველანი დამრთხალნი გაიქცნენ. აირტონმა რაღაც ჟარგონზე რამდენიმე სიტყვა დაადევნა და ისინიც დამშვიდდნენ, დაშოშმინებულნი დაბრუნდნენ.

საკმაოდ ტანადი ხალხი იყო, მუქი ფერისა, გრუზათმიანი, მკლავებდაგრძელებული, მუცელგამოვარდნილი, ნაჭრილობევი, დაბასრული და ტატუირებული ტანით. ასე ისერავენ ხოლმე ტანს დასაფლავების დროს გლოვის ნიშნად. ძნელად წარმოიდგენს ადამიანი მათ მსხვილძარღვა სახეზე უფრო საშინელ სანახაობას. ვეებერთელა პირის ნაპობი, მიჭყლეტილი ცხვირი, გამოწეული ქვედა ყბა და წინ გამოშვერილი თეთრი კბილები! არასოდეს ყოფილა ადამიანი ასე დამსგავსებული ცხოველს!

ელენი და მერი ფორნიდან გადმოვიდნენ, მიუახლოვდნენ ველურებს. მათ წმინდა ქალური გრძნობით მიუალერსეს ბავშვებს. ურიგებდნენ დამშეულ ხალხს სხვადასხვა სანოვაგეს, რასაც ისინი ხარბად სანსლავდნენ. მოგზაურ ქალებს განდაკუთრებით დედაკაცები შეებრალათ.

ავსტრალიელი ქალის არსებობის პირობები ყოვლად საშინელია. სასტიკ ბუნებას მისთვის სილამაზეც კი არ მიუცია, ის ნამდვილი მონაა. ერთადერთი საქორწინო საჩუქარი, რომელსაც მბრძანებელი ქმარი სთავაზობს მას ქორწინების ღამეს, ჯოხის დაკვრაა, რომელსაც "ვადია" ეწოდება. ქორწინების შემდეგ ავსტრიელი ქალი სწრაფად და ნაადრევად ბერდება, რადგან მოხეტიალე ცხოვრების უმადური ტვირთი და მთელი სამუშაო მის კისერზე გადადის. პატარა ბავშვების გარდა, ლერწმის ხალთით ქმრის სამებადურო და სანადირო მოწყობილობა და მცენარე Phormium tenax დააქვს, რითაც ქმარს ბადეებს უქსოვს. მან უნდა მოუპოვოს ოჯახს საკვები, დაიჭიროს ხვლიკები და გველები, რისთვისაც უნდა იცოცოს ხის კენწეროებზე; მან უნდა მოიზიდოს კერიასათვის შეშა, ქერქი ააცილოს ხეს კარვის გადასახურავად და ა. შ. ავსტრალიელი ქალი სასაპალნე პირუტყვია, რომელსაც დასვენება არ უწერია. ის უნდა იკვებებოდეს იმ ნასუფრალით, რომელსაც მბრძანებელი ქმარი მიუყრის. ზოგიერთი ვინ იცის, რა ხნის უჭმელი იყო. ჩიტებს ახლოს მოსატყუებლად მარცვლებს უყრიდნენ, გავარვარებულ მიწაზე პირქვე დაწოლილნი, მკვდრებივით, გაშოტილები მთელი საათობით ელოდნენ, ეგებ რომელიმე უგუნური ფრინველი შეცდეს და ისე მოგვიახლოვდეს, რომ ხელი ვსტაცოთო. ამ საქმეში მათი გამჭრიახობა ასეთ ხერხს ვერ გასცილებოდა და მხოლოდ ავსტრალიური ფრინველი თუ წააწყდებოდა ასეთ უეშმაკო

მახეს. ისინი თანდათან დაამშვიდა მგზავრების ალერსიანმა მოპყრობამ და ისე მჭიდროდ შემოეხვივნენ გარს, სიფრთხილე იყო საჭირო, სანოვაგე რომ არ მოეპარათ. ლაპარაკისას მსტვენავ ბგერებს გამოსცემდნენ, თითქოს ენას აწკლაპუნებდნენ. თუმცა შიგადაშიგ რბილი, მონაზონი კილოც გამოერეოდა ხოლმე. ხშირად იმეორებდნენ: "ნოკი!" და თან ხელის ქნევით თხოულობდნენ.. ალბათ, ეს სიტყვა ნიშნავდა: "მომეცი! მომეცი!" ყველაფერს თხოულობდნენ მგზავრებისაგან, რასაც კი დაინახავდნენ. ისეთი ყმუილი და წკავწკავი ატეხეს, როგორც სამხეცეში ნადირებს სჩვევიათ საჭმლის დარიგების მოლოდინში.

ელენის თხოვნით, გლენარვანმა ოლბინეტს უბრძანა, ცოტაოდენი საჭმელი მიეცა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. საბრალონი, ალბათ, მიუხვდნენ გლენარვანს ბრძანების აზრს: მათ მიერ გამოთქმული მადლობის გრძნობა ქვასაც კი შეარბილებდა, არათუ ადამიანის გულს.

ოლბინეტი მეტად ზრდილობიანი კაცი იყო და ჯერ ქალებისათვის უნდოდა დაერიგებინა სანოვაგე, მაგრამ მათ ვერ გაბედეს და ხელი ვერაფერს დააკარეს ქმრებზე ადრე. კაცები კი ისე ეცნენ ორცხობილას და გამომშრალ ხორცს, როგორც მხეცი საკბილო ნადირს.

მერი გრანტი ფიქრებს გაეტაცებინა. თვალწინ წამოუდგა მამამისი ასეთი უხეში ხალხის ხელში ტყვედ და თვალზე ცრემლი მოადგა. ქალი ცხოვლად განიცდიდა იმ ტანჯვას, რომელიც უნდა გამოევლო ისეთ ადამიანს, როგორიც ჰარი გრანტი იყო. თუ კაპიტანი მართლაც რომელიმე მომთაბარე თემს ჩაუვარდა ტყვედ, უთუოდ შიმშილსა და უდიერ მოპყრობას განიცდიდა.

ჯონ მანგლსი ყურადღებით მისჩერებოდა მერის, მიუხვდა ფიქრს, რომელიც მერის აწუხებდა და მის ნაცვლად აირტონს ჰკითხა:

- აირტონ, თქვენ ასეთ ველურებს დაუსხლტით ხელიდან?

- დიახ, კაპიტანო, - მიუგო აირტონმა, - შიდაავსტრალიის ყველა თემი ერთიმეორეს ჰგავს. აქ მხოლოდ ერთი მუჭა ხალხს ხედავთ, დარლინგის სანაპიროზე კი მრავალრიცხოვანი თემებია, რომლებსაც უფროსებად ბელადები ჰყავთ. ისინი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობენ.

- მერე, რა უნდა აკეთოს ევროპელმა ასეთ ხალხში?

- ის, რასაც მე ვაკეთებდი, - მიუგო აირტონმა, - ინადიროს, ითევზაოს, მათ მხარდამხარ იბრძოლოს! ევროპელს იმის მიხედვით ეპყრობიან, რა სამსახურსაც გაუწევს ტომს და თუ მამაცი და გონიერია, მას შეუძლია თვალსაჩინო მდგომარეობა მოიპოვოს მათ შორის.

- მერე, ის მაინც ტყვედ რჩება? - იკითხა მერი გრანტმა.

- მას ყოველ ნაბიჯზე, დღისით თუ ღამით თვალყურს ადევნებენ, - უპასუხა აირტონმა.

- მაგრამ თქვენ მაინც მოახერხეთ გამოპარვა, აირტონ, - ჩაერია საუბარში მაიორი.

- დიახ, ბატონო, მე მოვახერხე იმის წყალობით, რომ ჩემს ტომში ბრძოლა ატყდა. მართლაც მარჯვედ წამივიდა საქმე. მართალია, არ ვნანობ, მაგრამ რაც მე გამოვიარე, ხელახლა რომ დამჭირდეს იმის გამოვლა, ვფიქრობ ისევ მონობას ვარჩევდი, ვიდრე იმ სატანჯველს, რაც ავსტრალიის უდაბნოებში განვიცადე. ღმერთმა ნუ განაცდევინოს კაპიტან გრანტს ასეთი გზით თავის დაღწევა!

- ხომ ხედავთ, მის მერი! - მიმართა ჯონ მანგლსმა, - უნდა ვისურვოთ, რომ მამათქვენი ადგილობრივ მოსახლეობას ჩავარდნოდა ხელთ. მაშინ უფრო ადვილად მივაგნებთ მის კვალს, ვიდრე იმ შემთხვევაში, უდაბნოსა და ტყე-ღრეში რომ დაძრწოდეს.

- თქვენ კიდევ იმედი გაქვთ, რომ მამაჩემს ვიპოვით? - შეეკითხა მერი.

- დიახ, იმედი მაქვს, დადგება დღე, როდესაც ღვთის შეწევნით ბედნიერს გნახავთ!

მერი გრანტმა მხოლოდ თვალებით გადაუხადა მადლობა კაპიტანს.

ამ საუბრის დროს ავსტრალიელებს შორის ჩოჩქოლი დაიწყო. დარბოდნენ, უცნაურად გაჰკიოდნენ, შემდეგ ხელში აიტაცეს იარაღი, თითქოს მძვინვარეამ აიტანაო.

გლენარვანი ვერ მიხვდა, რას აპირებდნენ ველურები. მაშინ მაიორმა აიროტნს მიმართა:

- ავსტრალიელებს შორის დიდხანს გიცხოვრიათ, ალბათ, მიხვდებით, რამ წამოუარათ.

- მე მათი ენა არ მესმის, რადგან იმდენი კილოკავით აქვთ, რამდენი ტომიც მოიპოვება, მაგრამ შევეცდები გამოვიკითხო, - აირტონმა ხელით მიიხმო ერთი ველურთაგანი და ბაასი გაუბა. მერე მგზავრებს მიუბრუნდა, - თუ არ ვცდები, მასპინძლობისათვის მადლობის გამოსახატავად ბრძოლის წარმოდგენას აპირებენ.

მართლაც ასე მოხდა: ავსტრალიელები ერთბაშად დაერივნენ ერთმანეთს ისე შესანიშნავად გათამაშებული მძვინვარებით, რომ ნამდვილი ბრძოლა გეგონებოდათ. მოგზაურების გადმოცემით, ავსტრალიელებს თურმე დიდი აქტიორული ნიჭი აქვთ და ახლაც დიდი ხელოვნება გამოიჩინეს. მათ საომარ იარაღს შეადგენდა მსხვილი კეტები, რომლებიც ადვილად გაუჩეხდა ადამიანს თავს, ჰქონდათ ტომაჰავკებიც - ბოლოში გაპობილ ჯოხში წებოთი დამაგრებული ბრტყელი და ბასრი ქვა. ამ ცულის ტანს ათი ფუტის სიგრძე ჰქონდა, მას ბრძოლაში ხმარობდნენ, როგორც საშინელ იარაღს. მშვიდობიანობის დროს კი ამ ცულებით ხეებს ჭრიდნენ და ტოტებს კაფავდნენ.

ველურები გამაყრუებელი ღრიანცელით ატრიალებდნენ იარაღს, ზოგი მკვდარივით გორავდა მიწაზე, სხვები გამარჯვების შემახილებს გაჰკიოდნენ და ქალები, უფრო კი მოხუცები, მამაკაცებს საბრძოლველად აქეზებდნენ, დახოცილ მტრებს კი გააფრთრებით და მძვინვარებით ეძგერებოდნენ, ჰკიცხავდნენ, დასცინოდნენ.

ელენს ეგონა, საცაა ნამდვილ ბრძოლას გააჩაღებენო, მით უმეტეს, რომ ჩხუბში ჩაბმული ბავშვები სულ არ ხუმრობდნენ, მეტადრე გოგოები. ომობანას თამაშმა თითქმის ათ წუთს გასტანა. შემდეგ ყველანი ერთბაშად შეჩერდნენ, იარაღი დაყარეს, ღრიანცელი მიწყნარდა. ყველა ისე გაქვავდა, ცოცხალი სურათი გეგონებოდათ. რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? ესეც მალე გამოირკვა. თურმე გუმფისის კენწეროებს ფერად-ფარადი თუთიყუშების მთელი გუნდი დასტრიალებდა და იქაურობას აყრუებდა განუწყვეტელი ყატყატით. ამ გუნდის გამოჩენა იყო ბრძოლის შეწყვეტის მიზეზი.

ახლა კი ნამდვილი ნადირობა იწყებოდა. ერთმა ავსტრალიელმა ხელი დასტაცა უცნაური მოყვანილობის იარაღს, რომელიც წითლად იყო შეღებილი, მიატოვა გაქვავებული ამახანაგები და ჯოგებსა და ხეებს შორის ცოცვით, უხმაუროდ წაეპარა ფრინველების გუნდს ისე, რომ ერთი ფოთოლიც კი არ გაუშრიალებია, ერთ ქვასაც კი არ გაჰკარებია, ისე მიცოცავდა, როგორც ლანდი. როდესაც თუთიყუშების გუნდს საჭირო მანძილზე მიუახლოვდა, იარაღი ჰორიზონტალურად გატყორცნა პირდაპირ. იარაღმა სწორი ხაზით, ორი ფუტის სიმაღლეზე და მიწაზე დაუშვებლად ისარივით გაიქროლა, მერე ერთბაშად ზევით ავარდა სწორკუთხოვანი ხაზით ასი ფუტის სიმაღლეზე, თორმეტიოდე თუთიყუში მოკლა, მოხაზა პარაბოლა და ისევ მონადირის ფეხებთან დაეცა.

გლენარვანი და მისი თანამგზავრები განცვიფრებით უცქეროდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ.

- ეს ბუმერანგია, - განუმარტა აირტონმა.

- ბუმერანგი! ავსტრალიური ბუმერანგი! - შესძახა პაგანელმა და უცნაურ იარაღს ბავშვივით დასწვდა ასაღებად, თითქოს უნდოდა ენახა, შიგ რა იყო. მართლაც, გეგონებოდათ, ამ იარაღს მექანიკური მოწყობილობა ჰქონდა, რაიმე ზამბარა მაინც, რომელიც მის სრბოლას მიმართავდა, მაგრამ შიგ არაფერიც არ აღმოჩნდა. ბუმერანგი მაგარი, მორკალული ხის მთლიანი ნაჭრისაგან იყო გაკეთებული. მისი თავი და ბოლო წვეტით თავდებოდა. ღრმად შეზნექილს გამოზნექილ მხარეზე ორი თხელი კიდე ჰქონდა. ეს იარაღი სრულიად უბრალო, მარტივი რამ იყო.

- ესეც თქვენი ცნობილი ბუმერანგი! - ჩაილაპარაკა პაგანელმა და გულმოდგინედ დაათვალიერა.

მეცნიერებსა და მოგზაურებს დღემდე ვერ აუხსნიათ, ჰორიზონტალური მიმართულებით გატყორცნის შემდეგ რატომ უბრუნდება ბუმერანგი მტყორცნელს?

- აქ ისეთივე მოვლენა ხომ არ ხდება, როგორიც სერსოს ტყორცნისას, გაჰკრავ, გაფრინდება და შემდეგ შენკენ გამოტრიალდება? - იკითხა ჯონ მანგლსმა.

- ან შეიძლება, აქაც იგივე ხდება, რაც ბილიარდზე თამაშის დროს, ბურთის უკუქცევას რომ ვუწოდებთ, - შენიშნა გლენარვანმა.

- სრულიადაც არა! - მიუგო პაგანელმა, - ორივე შემთხვევაში, ნივთს მოეპოვება დასაყრდენი წერტილი, რომელიც უკუაგდებს მას, სერსოსათვის ეს არის დედამიწა, ხოლო ბილიარდის ბურთისათვის - ბილიარდის მაუიდი. აქ კი დასაყრდენი წერტილი არსად ჩანს, იარაღი მიწას არ ეკარება და თვალსაჩინო მანძილზე კი ზევით მიქრის!

- მაშ, რიტი ხსნით ამ მოვლენას, ბატონო პაგანელ? - იკითხა ელენმა.

- რა მოგახსენოთ, ვერ აგიხსნით. მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ. მთელი საიდუმლოება, ალბათ, ტყორცნის ხერხსა და თვით ბუმერანგის მოყვანილობაშია, მაგრამ როგორ უნდა მისი ტყორცნა, ეს, ალბათ, მხოლოდ ავსტრალიელების საიდუმლოებაა.

- ყოველ შემთხვევაში, ძალიან გონივრული გამოგონებაა მაიმუნებისათვის, - ჩაურთო ელენმა და თან გადახედა მაიორს, რომელმაც უნდობლად გაიქნია თავი.

დრო გადიოდა, გლენარვანს კი არ უნდოდა აქ დიდხანს დაყოვნება. ის იყო, უნდა ეთხოვა თანამგზავრებისათვის, ფორანს დაბრუნებოდნენ, როდესაც მოულოდნელად ერთი ავსტრალიელი მოვარდა და აღტაცებით შესძახა თავისიანებს რამდენიმე სიტყვა.

- აჰა, - ჩაილაპარაკა აიროტნმა, - კაზუარები დაუნახავს.

- რაო, კიდევ ნადირობა? - ჩაილაპრაკა გლენარვანმა.

- ამის უნახაობა არ შეიძლება, - წამოიძახა პაგანელმა, - ალბათ საგულისხმო სანახავია! იქნებ ბუმერანგიც ისროლონ.

- თქვენ რას იტყვით, აირტონ? - შეეკითხა გლენარვანი.

- ეს დიდ დროს არ დაგვაკარგინებს, - მიუგო მან.

ავსტრალიელები კი ერთ წუთსაც არ კარგავდნენ: მათთვის კაზუარებზე ნადირობა ბედნიერება იყო, რადგან მთელ ტომს რამდენიმე დღის საკვები გაუჩნდებოდა. აქ მონადირეები მთელ თავის ოსტატობას ხმარობდნენ, რომ ხელთ იგდონ ნანადირევი, მაგრამ არც თოფი გააჩნდათ, არც ძაღლი. როგორ უნდა წამოსწეოდნენ ამ ფეხმარდ ფრინველებს, როგორ უნდა დაეხოცათ?

პაგანელს სწორედ ეს აინტერესებდა. ავსტრალიის ვაკეებზე ემუ, ანუ კაზუარი (ავსტრალიელები მას "მურეკს" უწოდებენ) უკვე იშვიათად გვხვდება. ეს არის თითქმის ორ-ნახევარი ფუტის სიმაღლის დიდი ფრინველი, თეთრი გემრიელი ხორცი აქვს. ინდაურს წააგავს, თავზე რქისებური ბიბილო ადგას, თვალები ღია მიხაკისფერი, ნისაკარტი კი შავი და ზევით მოკაუჭებული აქვს, ფეხებზე სამ-სამი თითი აბია მაგარბრჭყალებიანი, ფრთები იმდენად მოკლე აქვს, რომ ფრენა არ შეუძლია. სამაგიეროდ, ისეთი მარდის სირბილი იცის, რომ გაჭენებულ ცხენს გაუსწრებს. ასე რომ, ავსტრალიელებს მათი ხელში ჩაგდება მხოლოდ განსაკუთრებული მოხერხებით და ეშმაკობით თუ შეუძლიათ.

ტომს ათი კაცი გამოეყო სანადიროდ წასასვლელად გაშლილ ვაკეზე, სადაც ბალახს ლურჯად აყვავებული ინდიგო, ანუ ლილის მცენარე მორეოდა. ჩვენი მგზავრების ჯგუფი მიმოზების ჭალას მიეფარა და იქიდან უცქეროდა სეირს. მონადირეების მიახლოებისას ექვსი კაზაური დაიძრა და სირბილით გაერიდა მათ ნახევარი მილის მანძილზე. ერთ-ერთმა მონადირემ სირაქლემები მალე შენიშნა და დანარჩენებს ანიშნა, გაჩერდითო. ყველანი მიწაზე წაწვნენ, მონადირემ კი სანადირო ბადიდან ამოიღო კაზAურის ორი ტყავი, რომლებიც ერთმანეთზე გადაკერებული იყო, და ტანზე ჩამოიცვა. შემდეგ თავისკენ ასწია ხელები, კაზაურების მსგავსად იწყო სიარული და მოძრაობა, თითქოს საკენკს ეძებსო.

როდესაც ჯოგს უახლოვდებოდა, მონადირე დროდადრო ჩერდებოდა და ისე იხრებოდა, თითქოს მარცვლებს დაეძებსო, თან ფეხებით მტვრის ბუქს აყენებდა, როგორც კაზუარებს სჩვევიათ. თითოეული მისი მოძრაობა შეუდარებელი იყო. ყველაფერში ზედმიწევნით ბაძავდა კაზაუარების მოძრაობას და ყრუდ დუდუნებდა. კაზაურებს, ალბათ, თავისიანი ეგონათ, ასე რომ, მონადირე მალე მათ შორის მოექცა. ერთბაშად დაატრიალა კეტი და ექვსი კაზუარიდან ხუთი მოკლა. ნადირობა წარმატებით დამთავრდა.

გლენარვანი და მისი თანამგზავრები ავსტრალიელებს გამოეთხოვნენ.

თავი XVII

მეჯოგე-მილიონერები

ღამე მშვიდობიანად გაათენეს და 6 იანვარს დილის შვიდი საათიდან განაგრძეს გზა ამ უზარმაზარი ოლქის გადასავლელად. ისევ აღმოსავლეთის მიმართულებით მიდიოდნენ. მათი კვალი ლარივით გაბმული ხაზით გასდევდა გადაჭიმულ ვაკეს. ორ ადგილას გადასერეს მეჯოგე სკვატერების გავლილი ბილიკი და იმ ადგილეზე უსათუდოდ ერთიმეორეში არეოდათ სხვადასხვა კვალი, მაგრამ გლენარვანის ცხენი ამ მტვრიან გზაზე თავისი ნალების ნიშანს ტოვებდა. ეს იყო ბლეკ-პოინტის სადგურის დაღი, ადვილად გამოსაცნობი ორი სამყურას გამოსახულებით.

ვაკეზე ალაგ-ალაგ მიიკლაკნებოდა ნაკადულები. ისინი ბუფალო-რენგსისი კალთებიდან იღებდნენ სათავეს, რომელიც ჰორიზონტზე მოჩანდა, მათი ნაპირები ბუჩქნარით იყო დაფარული. მოგზაურებმა გადაწყვიტეს, აუცილებლად იმ საღამოსვე მიეღწიათ ამ მთებამდე.

აირტონი თავგამოდებით მიერეკებოდა ხარებს და იმ დღეს ოცდათხუთმეტი მილი გაიარეს. ხარები საშინლად დაიქანცნენ. ღამის გასათევ ადგილს რომ მიაღწიეს, კარავი დადგეს ხეებქვეშ. ღამეც მალე ჩამოწვა და ვახშამს მოუჩქარეს, რადგან ყველანი ქანცგაწყვეტილები იყვნენ და ძილი უფრო ენატრებოდათ, ვიდრე ჭამა.

დარაჯობის პირველი რიგი პაგანელს ერგო. მანაც აიღო კარაბინი და კარვის წინ ბოლთას სცემდა, რომ ჩამომჯდარს არ ჩასძინებოდა. თუმცა ღამე უმთვარეო იყო, ირგვლივ მაინც ნათელი იდგა. ისეთი სიკაშკაშით ციმციმებდნენ სამხრეთის ხომლები, რომ მეცნიერი ნეტარებით შესცქეროდა ბუნების ამ გადახსნილ წიგნს, რომელიც მუდამ ინტერესით სავსეა მათთვის, ვინც კითხვა იცის. ღამის მყუდროებას მხოლოდ ოცნების ბორკილის ჟღარუნი არღვევდა.

პაგანელი ასტრონომიული დაკვირებით იყო გართული, მას დედამიწა დაევიწყებინა ცის გულისათვის, როდესაც შორიდან მოღწეულმა ხმაურმა გამოაფხიზლა. გულდასმით დაუგდო ყური და გაოცებულმა გარკვევით გაიგონა როიალის ხმა. მის სმენას მისწვდა ბეჯითი ხელით აღებული რამდენიმე აკორდი.

- როიალი უდაბნოში! - გაიფიქრა პაგანელმა, - ამას კი აღარ მოველოდი!

ეს ამბავი იმდენად ეუცნაურა, რომ მზად იყო, მუსიკის ხმა ავსტრალიის რომელიმე ფრინველის გალობად მიეჩნია, რომელიც როიალის ბგერებს ბაძავდა, როგორც ზოგიერთი ფრინველი ბაძავს საათის ტაკიტუკს ან მათრახის ტყლაშუნს. ღამის წყვდიადში ისევ გაისმა ძალზე სასიამოვნო ტემბრით შესრულებული დონ ჟუანის არია. პაგანელი უსმენდა და ვერ გაეგო, რა ამბავი იყო მის თავს, თან უნებურად ხელს აყოლებდა მუსიკის ტაქტს.

- დალახვროს ეშმაკმა! - შესძახა უეცრად, - რაც უნდა უცნაურობა სჩვეოდეთ ავსტრალიის ფრინველებს და თუნდაც მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე მუსიკალური თუთიყუშები იყვნენ, მაინც შეუძლებელია იცნობდნენ მოცარტის ნაწარმოებებს.

ბოლომდე მოუსმინა დიდებული მუსიკის ჯადოსნურ მელოდიას. შეუძლებელია იმ შთაბეჭდილების გადმოცემა, რომელსაც მის არსებაში ტოვებდა ეს აგზნებული გალობა ავსტრალიის ღამის მყუდროებაში. პაგანელი დიდხანს ვერ გამოფხიზლებულიყო ამ თილისმის გავლენისაგან. ბოლოს ხმები მიწყდა და ირგვლივ მყუდროება გამეფდა. როდესაც გეოგრაფის შესაცვლელად სადარაჯოზე უილსონი მივიდა, პაგანელი ღრმა ფიქრებში იყო გართული. მეზღვაურთან არაფერი უთქვამს, გადაწყვიტა, დილით ყველაფერი ეამბა გლენარვანისათვის და კარვისაკენ გაემართა დასაძინებლად.

მეორე დღეს, დილით ყველანი ძაღლების ყეფამ გამოაღვიძა. გლენარვანი საჩქაროდ წამოდგა. ინგლისური ჯიშის ორი მშვენიერი გრძელკანჭა პოინტერი დარბოდა პატარა ჭალის პირას. ჩვენი მოგზაურების მიახლოებაზე უკანვე გაბრუნდნენ და ჭალაში გაშმაგებული ყეფით გაუჩინარდნენ.

- აქ, ამ უდაბნოში, ალბათ, სადგური თუა სადმე და მონადირეებიც ყოფილან, - თქვა გლენარვანმა, - მაშ, საიდან გაჩდნენ ეს მეძებრები?

პაგანელმა ის იყო პირი დააღო წუხანდელი ამბის მოსაყოლად, რომ ორი ახალგაზრდა ცხენოსანი გამოჩნდა. საუცხოო, წმინდა ჯიშის ინგლისურ გუნტერებზე ისხდნენ. ორივეს მშვენიერი სანადირო სამოსი ეცვა. მოგზაურების კარავი რომ დაინახეს, განცვიფრებულებმა ცხენები შეაჩერეს - ამ მიდამოებში შეიარაღებული ხალხის დანახვას არ ელოდნენ, მაგრამ როდესაც თვალი მოჰკრეს ჩარდახიან ურმიდან გადმოსულ ელენსა და მერის, ცხენიდან ფიცხლად ჩამოხტნენ და ქუდმოხდილები გაეშურნენ მათკენ. გლენარვანიც წინ მიეგება და როგორც უცხოელმა თავისი ვინაობა დაუსახელა. ახალგაზრდებმაც სალამი მისცეს, ხოლო უფროსმა მოახსენა:

- იქნებ ქალბატონებმა და თქვენმა თანამგზავრებმა ინებონ, სერ, ჩვენს სახლში დასვენება?

- ვისთან მაქვს საუბრის პატივი? - შეეკითხა გლენარვანი.

- მაიკლ და სენდი პეტრესონებთან, ჰოტემის სადგურის მფლობელებთან, - წარუდგნენ ახალგაზრდებიც, - უკვე ჩვენს სამფლობელოში ბრძანდებით, ჩვენს სახლამდე სულ მეოთხედი მილი იქნება გასავლელი.

- არ მინდოდა ბოროტად მესარგებლა თქვენი თავაზიანი მიპატიჟებით, - წამოიწყო გლენარვანმა.

- რას ბრძანებთ, დიდად გაგვახარებთ სამშობლოდან გადმოხვეწილებს ამ უდაბნოში თქვენი გამასპინძლებით.

- თავხდეობაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ერთ კითხვას მოგცემთ, - უთხრა პაგანელმა მაიკლ პეტრსონს, - წუხელ თქვენ მღეროდით მოცარტის მშვენიერ მელოდიას?

- დიახ, მე გახლდით, - უპასუხა მაიკლ პეტერსონმა, - ჩემი ბიძაშვილი სენდი კი უკრავდა.

- მაშ, ნება მიბოძეთ უგულითადესი აღტაცება გამოვხატო, როგორც მუსიკის მოტრფიალე ფრანგმა, - პაგანელმა ხელი გაუწოდა ახალგაზრდას, რომელმაც ხალისიანად ჩამოართვა იგი.

შემდეგ მაიკლ პეტერსონმა მოგზაურებს მიუთითა, საით უნდა წასულიყვნენ. ცხენები აირტონს და მეზღვაურებს ჩააბარეს და ფეხით გაუდგნენ გზას ჰოტემის სადგურის მფობელთა წინამძღოლობით მათი სახლისაკენ.

სადგური მართლაც დიდებული იყო. ინგლისური ბაღის მსგავსად მოვლილ-დამუშავებული სულ არ ჰგავდა სმრეწველო წამოწყებას. ცისკიდურამდე გადაჭიმულიყო ნაცრისფრად შეღებილი მესრით შემოვლებული თვალუწვდენელი ველი, სადაც ბალახს ძოვდა უამრავი ხარი და ცხვარი. ხარების ბღავილს ძაღლების ყეფა და შოლტის ტყლაშუნი უერთდებოდა. აღმოსავლეთის მხარს თვალს იზიდავდა გუმფისის ჭალა, რომლის გადაღმა შვიდი ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეზე აზიდულიყო ჰოტემის მთა. ყველა მიმართულებით გასდევდა მარადმწვანე ხეების ხეივანი. აქა-იქ მოჩანდა "გრესტრის" ხშირი ჭალა, რომელიც ათი ფუტის სიმაღლეს აღწევდა და თავისი გრძელი და წვრილი ფოთლებით მიწამდე დაბურული პატარა პალმებს ჰგავდა. ჰაერი გაჟღენთილი იყო პიტნა-დაფნის სურნელით, რომელთა ყვავილები ნაზ სურნელებას აფრქვევდა. ამ საოცარ სილამაზის მცენარეულობას გვერდს უმშვენებდა ევროპიდან გადმონერგილი ხეხილიც: ატმის ხე, მსხალი, ვაშლი, ლეღვი, ლიმონი, ფორთოხალი, ხოლო მუხის დანახვამ საერთო აღტაცება გამოიწვია. მოგზაურები აღფრთოვანებით უცქერდნენ სხვადასხვა ჯიშის ფრინველებს, რომლებიც ხის ტოტებში დაფრთხიალებდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ აბრეშუმის ბუმბულით შემოსილი ჩიტები და ვარდისფერი მოლაღურები, ოქროსფერი და შავი ხავერდისებრი ბუმბულით. აქ ნახეს პირველად მენურა, ფრინველი, რომლის ბოლო ორფეოსის[1] ქნარს მოგვაგონებს. ხისებრ გვიმრაში შემალულიყვნენ, ბოლოეს ფოთლებს ულამუნებდნენ, თითქოს საცაა ჰარმონიულ აკორდებს გამოსცემნო. მოხიბლულ პაგანელს მენურას ქნარზე დაკვრა მოუნდა, გლენარვანი კი ამ ავსტრალიური ოაზისის სილამაზით ტკბებოდა და თან ახალგაზრდების თავგადასავალს ისმენდა. ინგლისში პირველად

სტუმარი უამბობს მასპინძელს თავის თავგადასავალს, მაგრამ მაიკლ და სედი პეტერსონებმა საჭიროდ მიიჩნიეს, ჯერ თავიანთი ვინაობა გაეცნოთ სტუმრებისათვის.

ამ ახალგაზრდების ისტორიაც იმ ინგლისელებისას ჰგავდა, რომელთაც სწამდათ, რომ სიმდიდრე ადამიანს არ ათავისუფლებს შრომისაგან.

მაიკლ და სენდი პეტერსონები ლონდონელი ბანკირის ვაჟი და ძმისწული იყვნენ. ოცი წელი რომ შეუსრულდათ, ბანკირმა მოიხმო და უთხრა: აი, შვილებო, მომიცია მილიონები, წადით რომელიმე შორეულ ახალშენში, იქ რაიმე სასარგებლო დაწესებულება გახსენით ან სახეირო საქმე წამოიწყეთ, გაისარჯეთ, იშრომეთ და ისწავლეთ ცხოვრება. თუ საქმე მარჯვედ ვერ წაგივათ, რა ბედენაა, ეს მილიონები არ დაგვენანება, რადგან კაცებად გამოგიყვანენო. ახალგაზრდებმა დაიჯერეს მისი რჩევა, ავსტრალიის კონტინენტზე, ვიქტორიის პროვინცია აირჩიეს სამოქედო ასპარეზად და ბანკირისაგან მიღებული ფული დაატრიალეს. არც უნანიათ. სამი წლის შემდეგ უდიდესი ჯოგების პატრონები გახდნენ და ამჟამად მათი საქმე დუღდა და გადმოდუღდა.

ვიქტორიის, ახალი უელსისა და სამხერთ ავსტრალიის პროვინციებში სამი ათასზე მეტი სადგურია. ზოგი მათგანი მეჯოგე-სკვატერებს ეკუთვნის, ზოგი მიწის დამმუშავებელ სეტლერებს. ავსტრალიაში ახალგაზრდა პეტერსონების ჩასვლის დროს ყველაზე მდიდარი მამული ბატონ ჯემინსონს ჰქონდა. ის ას კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა, მათ შორის ოცდახუთი კვადრატული კილომეტრი მდინარე დარლინგის ერთ-ერთი შემდინარე ტოტის, პაროოს ნაპირას მდებარეობდა. ამჟამად ჰოტემის სადგურმა გადააჭარბა მას სივრცითაც და ბრუნვითაც. ახალგაზრდები მეჯოგეობასაც მისდევდნენ და მიწათმოქმედებასაც.

ამ დიდ საქმეს უძღვებოდნენ არა მარტო ცოდნით, არმედ დაუშრეტელი ენერგიითაც.

მაიკლ და სენდი პეტერსონები უკვე ამთავრებდნენ თავიანთ ამბავს, როდესაც კაზუარინების ხეივნის ბოლოში მათი სახლიც გამოჩნდა.

ლამაზი, მოხდენილი შენობა იყო, ნახევრად აგურით და ფიცრით ნაგები. გარშემო ემერფილის ბუჩქები ერტყმოდა. სახლის ხუროთმოძღვრება შვეიცარიულ ელეგანტურ შალეს მოგაგონებდათ. სახლს გარშემო ჩინური ფარნებით შემკული ვერანდა ჰქონდა. ფანჯრების წინ ფერად-ფერადი ტილოს მარკიზები დაედგათ, რომლებიც შორიდან ყვავილნარი გეგონებოდათ.

ძნელი იყო ამაზე უფრო მოხდენილი, წარმტაცი და მოხერხებული ბინის აგება. კორდებსა და დაბურულ ჭალებში კი მშვენიერი მაშუიქებელი სანთურები იდგა. ღამე რომ ჩამოწვებოდა, მთელი პარკი გაჩახჩახბული იყო გაზის თეთრი შუქით.

აქ არც სამოსამსახურო შენობები მოჩანდა, არც საჯინიბო, ბოსელი და არც ბეღელი, ერთი სიტყვით სრულიად არაფერი. ასეთი შენობები და მათი ბინადარნი, რომელნიც 20 სახლში ცხოვრობდნენ, ერთი მეოთხედი იყვნენ დაშორებულნი პეტერსონების სახლს და მას ელექტროტელეგრაფით უკავშირდებოდნენ. მფლობელების საცხოვრებელი სრულიად მოწყვეტილი იყო ყოველგვარ ხმაურს და _____

1 ორფეოსი - ძველბერძნული მითიური მომღერალი, რომელიც უკრავდა ქნარზე (ლირაზე).

განცალკევებული იდგა ამ ეგზოტიკური ხეებისა და მცენარეების ტყეში.

ხეივანს მალე გასცენენ. მჩქეფარე ნაკადულებზე გადებული მშვენირი რკინის ბოგირის გაღმა გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული სახლი, როდესაც ბოგირს გასცდნენ, წარმოსადეგი და ბრგე მოურავი გამოეგებათ. სახლში შესასვლელი კარი ღია იყო და სტუმრები მდიდრულად მორთულ ოთახში შევიდნენ.

თვალწინ ნაზი, არატისტული გემოვნების ფუფუნება წარმოუდგათ. ხუთფანჯრიან დარბაზში კედლებზე სანადირო მოწყობილობა და ნანადირევსი ნიმუშები ჩამოეკიდათ. აქ იდგა ძველი თუ ახალი ნოტებით დაფარული როიალი; მოლბერტი დაწყებული ნახატით, მარმარილოს სტატუეტებით შემკული თლილი კონსულები; კედლებზე ეკიდა ფლამანდიური სკოლის რამდენიმე ტილო, ჭერში ძველებური ჭაღი ბრწყინავდა. ყოველ კუთხეში გამოდგათ ძვირფასი ქაშანური, ნაირ-ნაირი ძვირფასი ფუფუნების ნივთი, რომელთა ნახვაც სრულიად მოულოდნელი იყო ავსტრალიაში. ყოველივე ეს ადასტურებდა

პატრონების მხატვრულ გემოვნებას. ერთი სიტყვით, რასაც კი შეეძლო თვალწინ დაეყენებინა ევროპული ჩვეულებანი და ფუფუნება, ყველაფერი მოიპოვებოდა პეტერსონთა სახლში. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომელიმე ინგლისურ ციხე-დარბაზში ან ფრანგულ სასახლეში ვარო.

დარბაზის ხუთი ფანჯრიდან ნაზი, თითქმის გაცხრილული სინათლე შემოდიოდა. ელენი ფანჯარასთან მივიდა და განცვიფრებული დარჩა თვალწინ გადაშლილი სანახაობით. ფართოდ გადაჭიმული ველი აღმოსავლეთ მხარეს ამართული მთების კალთებამდე აღწევდა. შიგადაშიგ მოჩანდა ტყე და კორდები პატარა მდელოებით. მწვანე ბორცვები ამ შორეულ მანძილზე გადაჭიმულ უსწორმასწორო სივრცეზე მომხიბვლელ, აუწერელ სანახაობას ქმნიდა.

ქვეყნიერების ვერც ერთი სხვა ადგილი ვერ შეედრებოდა ამას. თვით ნორვეგიის ცნობილი გელემარკის სამოთხის ხოებაც კი პირველობას ამ სანახაობას დაუთმობდა.

სინათლითა და ჩრდილით დაქსელილი საერთო პანორამა, მზის მდებარეობის მიხედვით, ყოველ საათში იცვლიდა იერს, ოცნება ამაზე უფრო მშვენიერს ვერაფერს წარმოიდგენდა. ეს სანახაობა დააკმაყოფილებდა უაღრესად ნებიერ გემოვნებასაც და უზომოდ გაუმაძღარ თვალსაც.

ამასობაში სენდი პეტერსონის განკარგულებით სტუმრებს სახელდახელო საუზმე მოართვეს. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ ყველანი გარს უსხდნენ მდიდრულად გაშლილ სუფრას. კერძებისა და ღვინოების ღირსებას ნუღარ იკითხავთ, მაგრამ ჩვენს მოგზაურებს ამ ფუფუნეაში ყველაზე მეტად ახალგაზრდა სკვატერებსი ის თავდავიწყებული სიხარული სიამოვნებდათ, რომლითაც ისინი უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს.

როდესაც მათი მოგზაურობის ამბავი შეიტყვეს, დიდად დაინტერესდნენ და კაპიტან გრანტის ქალ-ვაჟი გაამხნევეს.

- ჰარი გრანტი, ალბათ, ადგილობრივ მცხოვრებთ ჩაუვარდა ხელში, რადგან ზღვის პირას არც ერთ სადგურში არ გამოჩენილა, - ამბობდა მაიკლი, - მას ზედმიწევნით სცოდნია თავისი ადგილსამყოფელი. ამას ადასტურებს ნაპოვნი ბარათებიც. თუკი მან ნაპირზე გადმოსვლისთანავე ინგლისის რომელიმე ახალშენს ვერ მიაღწია, ცხადია, ავსტრალიელებს ჩავარდნია ტყვედ.

- სწორედ ასეთივე ამბავი დამართნია კაპიტნის ბოცმან აირტონს, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- მისტერ პეტერსონ, თქვენ არაფერი გსმენიათ "ბრიტანიის" დაღუპვის შესახებ? - ჰკითხა ელენმა.

- არასოდეს, - მიუგო სენდიმ.

- თქვენი აზრით, როგორ მოეპყრობოდნენ ავსტრალიელები კაპიტან გრანტს?

- ავსტრალიელები სასტიკი ხალხი არ არის, - მიუგო ახალგაზრდამ, - მის გრანტ, შეიძლება დამშვიდებული ბრძანდებოდეთ ამ მხრივ. ბევრი მაგალითი ვიცი მათი კეთილგანწყობისა. ზოგიერთ ევროპელს დიდხანს უცხოვრია მათ შორის და არასოდეს დაუჩივლიათ მათ უხეშობასა და სისასტიკეზე.

- აი, სხვათა შორის, კინგი, - ჩაურთო პაგანელმა, - რომელიც ბიორკის ექსპედიციიდან ერთადერთი გადარჩა.

- ამ მამაცი მკვლევარის გარდა შეიძლებოდა დაგვესახელებინა ინგლისელი ჯარისკაცი ბაკლი, რომელიც 1803 წელს ფილიპეს პორტის სანაპიროდან გაიპარა. ის ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიფარა, ოცდაათ წელიწადს ცხოვრობდა მათთან, - ჩაურთო სიტყვა სენდიმ.

- აი, ერთი შემთხვევაც, - დაუმატა მაიკლ პეტერსონმა, - გაზეთ "ავსტრალაზიის" უკანასკნელ ნომერში იუწყებიან, რომ ვინმე მორილი ახლახან დაბრუნებულა სამშობლოში თექვსმეტი წლის ტყვეობის შემდეგ. კაპიტნის ისტორიაც, ალბათ, ამგვარია, მორილიც ადგილობრივ მცხოვრებთ ჩაუვარდა ხელში, 1846 წელს, "პერუვინის" დაღუპვის შემდეგ. ამიტომ ვფიქრობ, იმედი არ უნდა გადაიწუროთ.

როდესაც ქალები სუფრიდან წამოიშალნენ[1], მამაკაცებმა სიტყვა კატორღელებზე ჩამოაგდეს. სკვატერებს სცოდნიათ კემდენ-ბრიჯში მომხდარი ბოროტმოქმედების ამბავი, მაგრამ კატორღელთა ბრბოს ხეტიალი ამ მხარეში სულ არ აშფოთებდათ. რა თქმა უნდა, მძარცველები ვერ გაბედავდნენ ამ სადგურზე თავდასხმას, რადგან აქ ასზე მეტი მოსამსახურე ტრიალებდა. მათი აზრით, მურეის უდაბურ ოლქში კატორღელები ვერაფერს მოიხელთებდნენ, ვერც ახალი სამხრეთ უელსის კოლონიაში დაიწყებდნენ ხეტიალს, აქ გზები კარგად არის დაცული. სწორედ ამ აზრის იყო აირტონიც.

გლენარვანმა უარით ვერაფერი გააწყო და მასპინძლების გულითადი თხოვნის შემდეგ იმ ღამესაც იქ დარჩნენ. ამით ექსპედიცია თორმეტი საათით გვიანდებოდა, სამაგიეროდ, დაგვიანება თორმეტსაათიანი დასვენებით ანაზღაურდებოდა. ჩინებულ საჯინიბოსა და ბოსელში ცხენები და ხარებიც რიგიანად დაისვენებდნენ და ძალ-ღონეს მოიკრებდნენ. ასეც გადაწყდა. ამის შემდეგ ახალგაზრდა სკვატერები შეუდგნენ დღის წესრიგის შEმუშავებას, რომელიც ყველამ ხალისიანად გაიზიარა.

შუადღისას შვიდი ზორბა ცხენი ტორებს სცემდა დერეფნის წინ. ქალებისათვის მდიდრული ეტლი გაემზადებინათ, რომელშიც წყვილ-წყვილად ება ოთხ-ოთხი ცხენი. ამ ეტლის მართვას დიდი ოსტატობა სჭირდებოდა და მეეტლეს შემთხვევა ეძლეოდა, თავი გამოეჩინა. მშვენიერი სანადირო თოფებით შეიარაღებული მამაკაცები ცხენებს მოახტნენ და ეტლის გვერდით მიათოხარიკებდნენ.

ოთხი საათის განმავლობაში გარს უვლიდნენ ამ პარკის ხეივნებს, რომელიც თავის სივრცით გერმანიის ერთ პატარა სახელმწიფოს აღემატებოდა. თუ აქ მცხოვრებთა რიცხვი გერმანელებისას ჩამოუვარდებოდა, სამაგიეროდ, ცხვრისა და ცხენების რიცხვით ბევრად აღემატებოდა. მონადირეები იმდენ ნადირს აფრთხობდნენ, რომ მარეკთა მთელი არმიაც ვერ შეძლებდა ამას. თოფის სროლა არ წყდებოდა და შიშის ზარსა სცემდა ამ ტყე-ველის მშვიდობიან ოთხფეხა ბინადრებს.

რობერტი მაკ-ნაბსს გვერდით მიჰყვებოდა და გასაოცარ სიმარჯვეს იჩენდა. დის გაფრთხილების მიუხედავად, ეს გაბედული ბიჭი მუდამ წინ უსწრებდა ყველას, _____

1 ინგლისის არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ჩვეულების თანახმად, ქალები უფრო ადრე ტოვებენ სუფრას, მამაკაცები რჩებიან და განაგრძობენ სმასა და თამბაქოს წევას.

მაგრამ, რადგანაც მასზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა ჯონ მანგლსმა იკისრა, მერი გრანტიც დამშვიდდა.

ნადირობის დროს ზოგიერთი ისეთი ნადირი მოკლეს, რომლის მხოლოდ სახელი გაეგონა პაგანელს, მათ შორის იყო, მაგალითად, ვომბატი და ბადიკუტი. ვომბატი ბალახისმჭამელი ცხოველია და მაჩვისმაგვარად სოროებში ბუდობს, ყოჩისოდენა იქნება და მეტად გემრიელი ხორცი აქვს. ანდიკუტი და ჩანთოსანი ცხოველია, ევროპის მელიაზე უფრო ეშმაკი და შინაური ფრინველების ქურდობაში კიდევ უფრო დახელოვნებული. ამ ცხოველს უსიამოვნო შესახედაობა აქვს, სიგრძით ერთ-ნახევარი ფუტი იქნება. ის პაგანელმა მოკლა და მონადირის თავმოწონებით ყველას უმტკიცებდა, მშვენიერი, მომხიბლავი ცხოველიაო. სხვა გამარჯვების გარდა, რობერტს დავლად ერთი პატარა შავი მელა ერგო, რომელიც მარჯვედ მოკლა, თეთრი ხალებით დამშვენებული მისი შავი ტყავი კვერნის ფასად ღირდა. ამის შემდეგ ოტი კუზუ - ჩანთოსანი ცხოველი მოინადირა, რომლებიც მაღალი ხეების კენწეროებში განაბულიყვნენ, მაგრამ ყველაზე სახალისო კენგურუზე ნადირობა აღმოჩნდა. ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ძაღლებმა წამოაგდეს ამ საინტერესო ძუძუმწოვარა ნადირების მთელი ჯოგი. პაწია კენგურები მაშინვე დედების ჩანთებში ჩაძვრნენ და წეროებივით გამწკრივებულმა მთელმა ჯოგმა მინდორს მისცა თავი.

ამ ცხოველს უკანა ფეხები ერთიორად გრძელი აქვს, ვიდრე წინა. მისი ნახტომი გასაოცარია. ჯოგის წინ უშველებელი მამალი კენგურუ Makropus giganteusus მიქროდა. თითქმის ხუთი ფუტის სიმაღლის - "ზებერი", როგორც აქაურები უწოდებენ ხოლმე.

ოთხი-ხუთი მილის მანძილზე გააფთრებულებმა სდიეს, მაგრამ კენგუები არ იღლებოდნენ, ძაღლები კი ახლოს ვერ მიჰკარებოდნენ, ეშინოდათ მათი საშინელი თათებისა, რომლებზეც ბასრი ბრჭყალები აქვთ. ბოლოს ჯოგი მოიქანცა და შედგა. "ზებერი"

ხეს მიეყრდნო და საბრძოლველად მოემზადა. ერთი გაქანებული მწევარი ზედ შეენარცხა, მაგრამ თვალის დახამხამებაში ჰერში შეტრიალდა მუცელგაფატრული და მიწაზე დაეცა. ამ ღონიერ ნადირს მთელი ძაღლების ხროვაც ვერას დააკლებდა. ტყვიის მეტი ვერაფერი მოერეოდა ოთხფეხა ბუმბერაზს. ამ დროს რობერტი ლამის გაუფრთხილებლობამ იმსხვერპლა, დამიზნების დროს ძალიან მიუახლოვდა კენგურუს, რომელიც მას ეძგერა.

რობერტი დაეცა. მერი გრანტმა ეტლიდან თვალი მოჰკრა და შეჰკივლა. ვერავინ გაბედა ნადირასათვის თოფის სროლა, ბავშვს რ მოხვდესო. უცებ ჯონ მანგლსი სანადირო ბებუთით ეძგერა კენგურუს და გული გაუგმირა. ნადირი მოსხლეტით დაეცა, რობერტი უვნებელი წამოდგა და ერთი წუთის შემდეგ თავის დასთან იყო.

- გმადლობთ, ჯონ, გმადლობთ! - უთხრა მერი გრანტმა ახალგაზრდა კაპიტანს და ხელი გაუწოდა.

- როგორც მოგახსენეთ, მე პასუხს ვაგებ რობერტზე! - უპასუხა ჯონ მანგლსმა და ქალის მთრთოლვარე ხელს ხელი მოუჭირა.

ნადირობა დასრულდა. ბელადის დამკარგავი კენგურუს ჯოგი აქეთ-იქით გაიფანტა. მოკლული კენგურუ სახლში წამოიღეს. უკვე საღამოს ექვსი საათი იყო. მონადირეებს შესანიშნავი სადილი ელოდათ. სხვა კერძების გარდა, ძალიან მოეწონათ ბულიონი, რომელიც მზარეულს ავსტრალიური წესით მოემზადებინა კენგურუს კუდისაგან. ნაყინისა და შარბათის შემდეგ სტუმრები სასტუმრო დარბაზში დასხდნენ და მთელი საღამო მუსიკას მოანდომეს. ელენი საუცხოოდ უკრავდა და აკომპანიმენტი გაუწია სკვატორებს. მაიკლ და სენდი პეტერსონებმა შესანიშნავად იმღერეს გუნოს, ვიქტორ მასნეს, ფელისიენ დავიდისა და რიჰარდ ვაგნერის ჰანგები.

თერთმეტ საათზე სტუმრებს მოართვეს ჩაი, რომელიც ინგლისურად მოუზადებიათ. პაგანელმა შესადარებლად ავსტრალიურად დამზადებული ჩაი მოითხოვა. მოართვეს მელანივით შავი სითხე: ნახევარი გირვანქა ჩაი ოთხ საათს ედუღებინათ ერთ ლიტრ წყალში. მეცნიერმა განაცხადა, საუცხოო ყოფილაო, თუმცა "ჩაის" რომ ყლაპავდა, სახე ემანჭებოდა. შუადღისას სტუმრები მათთვის მიჩენილ მშვენივრად მოწყობილ და გრილ ოთახებში დააბინავეს, სადაც იმ დღით განცდილი სიამოვნება სუფთა ლოგინში ნებივრობით დააბოლოეს.

მეორე დღეს, განთიადისას, გამოეთხოვნენ ახალგაზრდა სკვატერებს. ყველა გულითადი მადლობა უძღვნა მასპინძლებს, გლენარვანმა კი სიტყვა ჩამოართვა, რომ ოდესმა ისინიც ესტუმრებოდნენ მალკოლმ-კესტელში.

ფორანი დაიძრა, ჰოტემის მთის კალთებს გასცდა. სკვატერების სახლი თვალს მიეფარა. მან თითქოს სიზმარივით გაიელვა მოგზაურების თვალწინ. პეტერსონების სამფლობელოს კი მთელი ხუთი საათის განმავლობაში ვერ გასცდნენ. მხოლოდ ცხრა საათისათვის ჩაუარეს უკანასკნელ მესერს და პატარა რაზმმა ფეხი შედგა ვიქტორიის პროვინციის თითქმის უცნობ მხარეში.

თავი XVIII

ავსტრალიის ალპები

სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დიდი ზღუდე აღიმართა მათ გზაზე. ეს იყო ავსტრალიის ალპების მთაგრეხილი, რომელიც ციხესიმაგრის ქონგურებივით მიიკლაკნებოდა ათას ხუთასი მილის მანძილზე და ღრუბლების მოძრაობას ათასი ფუტის სიმაღლეზე აჩერებდა. მოღრუბლული ცა ძუნწად ატარებდა მზის სხივებს და ანელებდა მის სიკაშკაშეს. ამის გამო ტემპერატურაც ზომიერი იყო, თუმცა წინსვლა მაინც ძნელი გახდა, რადგან აღმართს შეუდგნენ, რომელიც თანდათან უფრო ციცაბო ხდებოდა. აქა-იქ უკვე მოჩანდა ბორცვები, რომლებიც გუმფისისი ხეებით იყო დაფარული. მერე იწყებოდა მათალი ალპების პირველი ფერდობები. ხარებს კუნთები ეძაგრებოდათ და მძიმედ ქშინავდნენ. მართალია, აირტონს დიდი ოსტატობით მიჰყავდა ფორანი, მაგრამ ამ ოღროჩოღრო გზაზე მაინც ჯაყჯაყებდა.

ქალები ცდილობდნენ, უდრტვინველად აეტანათ უხიერო მგზავრობა. ჯონ მანგლსი ორი მეზღვაურით ცხენდაცხენ მიუძღოდათ წინ და მარჯვე გზას ეძებდა, თავს არიდებდა ხრამებს, უღელტეხილებს, ვიწრო ხეობებს, როგორც მეზღვაურები იტყვიან, უკეთესი ფარვატერის ძებნაში იყვნენ.

ძნელი და ზოგჯერ სახიფათო იყო ეს ამოცანა. ვილსონს ხშირად ცულით სჭირდებოდა ატეხილ ჭალაში გზის გაკაფვა. თიხნარი ნაიდაგი ფეხქვეშ უცურდებოდათ. მიხვეულ-მოხვეული გზით უნდა ევლოთ და გვერდი აერიდებინათ ურიცხვი დაბრკოლებისათვის: გრანიტის მაღალი ხეებისათვის, ღრმა ხრამეისა თუ სახიფათო ჭაობებისათვის. ასე რომ, საღამომდე გრძედის ნახევარ გრადუსზე მეტი ვერ გაიარეს.

მგზავრები ღამის გასათევად ალპების ძირას, მდინარე კობონგრას კიდესთან, პატარა ხეობის თავში გაჩერდნენ, რომელიც ოთხი ფუტის სიმაღლეზე ჯაგნარით იყო დაფარული. ჯაგნარის მოწითალო ფოთლები სასიამოვნო სანახავი იყო.

- ეტყობა, ამ მთების გადალახვა ადვილი არ იქნება, - თქვა გლენარვანმა, - და მთაგრეხილს შეხედა, რომელიც უკვე ინთქმებოდა საღამოს ბინდბუნდში, - ხუმრობა სათქმელია, ალპები! სახელწოდებაც კი დასაფიქრებელია!

- დიახ, ალპები... მაგრამ არც ისე მაღალია, ძვირფასო გლენარვან, - მიუგო პაგანელმა, - არ გეგონოთ, ვითომც მთელი შვეიცარიის გადავლა გვჭირდებოდეს. მართალია, ავსტრალიაში არის პირენეიც, ალპებიც და ცისფერი მთებიც, როგორც ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ აქ ყველა მთა მინიატურულია. ალპები! ეს იმას ამტკიცებს, რომ გეოგრაფიის ფანტაზია ძალზე შეზღუდულია, თავად სახელწოდების ენა კი მეტად ღატაკი.

- მაშ, ეს არის ავსტრალიის ალპები? - იკითხა ელენმა.

- ეს რა მთებია, ჯიბეში ჩაიდება! - მიუგო პაგანელმა, - ისე გადავივლით, ვერც კი გავიგებთ.

- თქვენთვის მართლაც ადვილი იქნება! - გაეპასუხა მაიორი, - ძალიან დაბნეული უნდა იყოს ადამიანი, რომ მთაგრეხილი გადაიაროს და ვერც კი შეამჩნიოს.

- დაბნეულიო! - წამოიძახა პაგანელმა, - დაბნეული სულაც არა ვარ! რაც მატერიკაზე შევდგით ფეხი, განა სიტყვა არ შევასრულე? მანდილოსნებს ვიმოწმებ - განა მას აქეთ რაიმე დაბნეულობა კიდევ ჩამიდენია? განა ასეთი რამე მესაყვედურება? ბრძანეთ!

- ნამდვილად არა, ბატონო პაგანელ, - მიუგო მერი გრანტმა, - თქვენ ახლა ყველაზე სრულყოფილი ადამიანი ხართ ქვეყნიერებაზე!

- პირიქით, თქვენ უკვე მეტისმეტად სრულყოფილი ბრძანდებით, - დაურთო ელენმა, - დაბნეულობა გშვენოდათ კიდეც.

- ხომ მართალია? - სიტყვა ჩამოართვა პაგანელმა, - მაგრამ არავითარი ნაკლი რომ არა მქონდეს, ჩვეულებრივი ადამიანი გავხდებოდი. ამიტომ იმედს არ ვკარგავ, რომ ახლო მომავალში რამე ისეთი გულმავიწყობას გამოვიჩენ, სიცილად არ გეყოთ. მართლაცდა, რაკი გულმავიწყობა მოვიშალე, ასე მგონია, თითქოს ჩემს მოწოდებას ვუღალატე!

მეორე დღეს, 9 იანვარს, გეოგრაფის მტკიცების მიუხედავად, დიდი სიძნელით შეუდგნენ ალპებს. ალალბედზე მიდიოდნენ წინ. გზა ებნეოდათ გრძელ და ვიწრო ხეობებში, რომლებიც ზოგჯერ გაუვალი იყო. აირტონი ალბათ, დიდ გაჭირვებაში ჩავარდებოდა, ერთი საათის შემდეგ მთის საცალფეხო ბილიკზე ბანაკს რომ არ წასწყდომოდნენ. უფრო სწორად, ერთ დაფხაებულ სამიკიტნოს.

- დალახვროს ეშმაკმა! - წამოიძახა პაგანელმა, - ამ სასტუმროს პატრონი რამ უნდა გაამდიდროს ასეთ ადგილებში, რისთვის გაუმართავს სასტუმრო?

- იმისათვის, რომ ცნობები მოგვცეს გზის შესახებ, - მიუგო გლენარვანმა, - შევიდეთ.

გლენარვანი აირტონის თანხლებით სამიკიტნოში შევიდა. მიკიტანი ხეპრე და ლოთი ახალგაზრდა გამოდგა, ეტყობოდა, მოგზაური სკვატერების გარდა თვითონვე იყო უპირველესი მომხმარბელი ჯინის, ვისკის თუ სხვა სასმელების, რაც კი სამიკიტნოში მოიპოვებოდა. შეკითხვებზე უხეშად და აგდებულად უპასუხებდა, მაგრამ მისმა პასუხმა აირტონი მაინც სწორ გზაზე დააყენა. გლენარვანმა რამდენიმე შილინგი გადაუგდო

გასამრჯეოლოდ და წამოსასვლელად მოტრიალდა, როდესაც თვალი მოჰკრა კედელზე გაკრულ განცხადებას.

ეს იყო კოლონიური პოლიციის მოწოდება, რომელშიც მოყვანილი იყო პერთის ციხიდან კატორღელეის გამოქცევის ამბავი, ხოლო ბენ ჯოისის თავი ას გირვანქა სტერლინგად იყო შეფასებული.

- ეტყობა, მოურჯულებელი ბოროტმოქმედია, - უთხრა გლენარვანმა აირტონს, - უსათუოდ სახრჩობელა მოელის.

- ჯერ უნდა დაიჭირონ! - უპასუხა აირტონმა, - ასი გირანქა სტერილინგი! ხუმრობაა?.. მთელი სიმდიდრეა! ის ამ ფასად არ ღირს.

- ეს მიკიტანი საეჭვოდ მეჩვენა, თუმცა კი პოლიციის განცხადება გამოუკრავს, - თქვა გლენარვანმა.

- მეც ასე ვფიქრობ, - მიუგო აირტონმა.

ორივენი ურემს დაუბრუნდნენ. რაზმი ლუკნოუს უღელტეხილისაკენ გაემართა. აქიდან იწყებოდა მთაგრეხილზე მიხვეულ-მოხვეულად მიმავალი გზა. მოგზაურები აღმართს შეუდგნენ. ძნელი სავალი იყო და ქალებსაც კი ხშირად უხდებოდათ ფეხით სიარული. აღმართზე ფორას მხრებით აწვებოდნენ, დაღმართზე კი აკავებდნენ. მკვეთრ მოსახვევებში, სადაც ფორანი ვერ მოტრიალდებოდა, ხარები უნდა გამოეხსნათ. აირტონმა ხარების მისაშველებლად ფორანში რამდენჯერმე შეაბა ისედაც ქანცგაწყვეტილი ცხენები. დაღლილობისა თუ სხვა მიზეზის გამო იმ დღეს ერთი ცხენი დაუვარდათ. ეს მოულოდნელად მოხდა, ცხენს საამისო არაფერი ეტყობოდა. ეს მიულერდის ცხენი იყო. როდესაც ასაყენებლად მივიდა, ცხენი უკვე მომკვდარიყო. არიტონი მივიდა ცხენთან, დიდხანს ათვალიერა, მაგრამ თითქოს ვერ მიხვდა ამ უცნაური სიკვდილის მიზეზს.

- ალბათ, რომელიმე ძარღვი თუ გაუსკდა, - შენიშნა გლენარვანმა.

- ალბათ, - მიუგო აიროტნმა.

- ჩვენს ცხენზე შეჯექი, მიულრედი, - მიუბრუნდა გლენარვანი, - მე ურემში დავჯდები ლედი ელენთან.

მიულრედი გლენარვანის ცხენზე შეჯდა, მკვდარი ცხენი ყვავ-ყორნების საძიძგნად დატოვეს და ისევე დამქანცველ აღმართს შეუდგნენ. ავსტრალიის ალპების მთაგრეხილი დიდი სიგანისა როდია, ყველაზე უფრო განიერი გადასასვლელი მთის ძირის სიგანე ოც კილომეტრს აღწევს. ასე რომ, თუ აირტონის არჩეული გეზი მართლაც მთების გადაღმა გადაიყვანდა მოგზაურებს, მის გადავლას 48 საათს მოუნდებოდნენ. იქიდან კი ზღვის პირამდე გზა აღარ შეაფერხედათ და სავლელიც იოლი იქნებოდა.

10 იანვარს ქედის უმაღლეს წერტილს მიაღწიეს რომელიც ორი ათასი ფუტის სიმაღლეზე მდებარეობდა. გავიდნენ ხელისგულივით გადაშლილ ზეგანზე, საიდანაც საუცხოო სანახაობა იშლებოდა. ჩრდილოეთის მხარეს ომეოს ტბა ლაპლაპებდა, რომელიც სავსე იყო ათასგვარი ფრინველით. იმის იქით მურეის თვალუწვდენელი, ტრიალი ვაკე გადაჭიმულიყო, სამხრეთით ოქროს საბადოებითა და უღრანი ტყეებით მდიდარი ჯინსლენდის მინდვრები მწვანედ ხასხასებდა. ამ მიდამოებში სკვატერებსაც კი იშვიათად შეედგათ ფეხი. აქ ჯერ კიდევ ბუნება მეფობდა, ის იყო ბატონი უღრანი ტყეებისა, რომელსაც ჯერ ცული არ მიჰკარებოდა, ის აძლევდა მიმართულებას მდინარეებს.

ალპების მთაგრეხილს თითქოს ორ სხვადასხვა მხარედ გაეყო ეს ქვეყანა რომელთა შორის ერთს ჯერ კიდევ შერჩენოდა პირველყოფილი იერი. დახრილი მზის სხივები წითლად მოვარვარე ღრუბლებიდან მკაფიოდ ასურათებდნენ მურეის მიდამოს. მთაგრეხილს მოფარებულ ჯინსლენდს კი, პირიქით, ჩრდილი მისდგომოდა და მის მხრეს მთელი სანახაობა ადრეულად ინთქმებოდა ღამის წყვდიადში.

ღამის გასათევად ზეგანზე გაჩერდნენ, დილით კი ისევ თავქვე დაეშვნენ. ახლა უფრო სწრაფად მიდიოდნენ. ერთხანს ძლიერმა სეტყვამ შეაფერხათ და კლდების ქვეშ შეაფარეს თავი. ეს არ იყო ჩვეულერივი სეტყვა: მუშტისოდენა ყინულის ნატეხები ისეთი ძალით ცვიოდა ღრუბლებიდან, როგორც შურდულით ნატყორცნი ქვა. პაგანელმა და რობერტმა იგემეს ასეთი ნატეხის სიმწვავე და მიხვდნენ, რომ მართლაც საჭირო იყო მორიდებოდნენ.

ყინულის წვეტიანმა ნატეხმა რამდენიმე ადგილას გახვრიტა ურმის ტილოს ჩარდახი, ზოგი ნატეხი მძლავრად ერჭობოდა ხის ქერქში. გამოდარებამდე დასჭირდათ ლოდინი, თორემ ღია ცისქვეშ შეიძლებოდა სულიც ამოხდომოდათ.

ერთი სათის შემდეგ გამოიდარა და მგზავრებიც დაჰყვნენ დაქანებულ დაღმართებს, სადაც გამდნარ ყინულზე საქონელს ფეხი უსხლტებოდა. საღამო ხანს ალპების ფერდობებზე ჩამოდიოდნენ, კანტიკუნტად აზიდულ ფიჭვებს შორის ფორნის უბე ძალიან შეირყა და ჯაყჯაყებდა, თვლები კი მაგრად იყო. მგზავრები ჯინსლენდის ვაკეზე უნდა გადასულიყვნენ. ალპების მთაგრეხილი მშვიდობიანად გადაიარეს და მართალია, ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ გადაწყვიტეს ღამის გასათევად აქ დაედოთ ბინა.

ალპები უკან დარჩა. 12 იანვარს, სისხამ დილითვე გზას გაუდგნენ. ერთი სული ჰქონდათ, სანამ წყნარ ოკეანემდე და "ბრიტანიის" დაღუპვის ადგილამდე მიაღწევდნენ, მხოლოდ იქ შეეძლოთ გულდაჯერებით შესდგომოდნენ გრანტის ძებნას და არა ამ ჯინსლენდის უდაბნოში. ამ მიზეზით აირტონი აჩქარებდა გლენარვანს, რომ "დუნკანისათვის" ბრძანება გაეგზავნა აღმოსავლეთის სანაპიროზე მისვლის თაობაზე. იქ ხომალდი გაცილებით გაუადვილებდათ ძებნას. მისი აზრით, საჭირო იყო წასვლა ლუკნოუს გზით, რომელიც მელბურნამდე მიდის.

- მერე გვიანღა იქნება, რადგანაც სხვა პირდაპირი გზა გარდა ამისა, სატახტო ქალაქისაკენ აღარ შეგხვედრია, - ირწმუნებოდა აირტონი.

ერთი შეხედვით, საჭირო იყო მისი წინადადების მიღება, პაგანელიც ურჩევდა ასე მოქცეულიყვნენ, მასაც უმჯობესად მიაჩნდა იახტის მოსვლა სანაპიროზე და აიროტინს აზრს იზიარებდა. ლუკნოუს გზას რომ ავცდებით, მელბურნამდე მიღწევა უფრო გაგვიძნელდებაო.

გლენარვანი ყოყმანობდა და იქნებ აირტონის დაჟინებული რჩევით კიდევაც გაეცა განკარგულება, მაგრამ საქმეში მაიორი ჩაერია და გადაჭრით წინ აღუდგა ამ გეგმას. აირტონის ჩვენთან ყოფნა აუცილებელია, რადგან ზღვისპირა მიდამოებს უფრო კარგად იცნობს და თუ ექსპედიცია ჰარი გრანტის კვალს წააწყდა, მაშინ აირტონი ყველა ჩვენგანზე უკეთესად წაუძღვება რაზმს. ესეც არ იყოს, აირტონს შეუძლია "ბრიტანიის" დღუპვის ადილიც გვიჩვენოს, თქვა მაიორმა.

მაკ-ნაბსი დაჟინებით მოითხოვდა, მგზავრობა ძველებურად გაგრძელებულიყო. მის მოსაზრებას ჯონ მანგლსიც მიემხრო. ახალგაზრდა კაპიტანმა გლენარანის ყურადღება მიაქცია იმ გარემობას, რომ ბრძანებას "დუნკანი" გუფოლდის ყურიდან უფრო მალე მიიღებდა, ვიდრე აქედან გაგზანვილი კაცის ხელით, რომელსაც სამასი კილომეტრის გავლა დასჭირდებოდა ამ უდაბურ ქვეყანაში.

მაიორმა და კაპიტანმა თავისი გაიტანეს, დაადგინეს, რომ საკითხი ტუფოლდში მისვლის შემდეგ გადაეწყვიტათ. მაიორი აირტონს დააკვირდა და მის სახეზე იმედგაცრუება და უკმაყოფილება ამოიკითხა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს.

ავსტრალიის ალპების ძირას გადაჭიმული მინდვრები მხოლოდ ოდნავ დაქანებულიყო აღმოსავლეთისაკენ. გზას ხშირად სერავდა ლერწმიანითა და ორქიდიებით გარშემორტყმული ღელეები და ხეები. წყალში ფეხით გატოპეს. მათი მიახლოებისას ლერწმიანიდან კაზაურებისა და სავათების გუნდები წამოიშლებოდნენ, მაგრამ მოგზაურებს სანადიროდ არ ეცალათ, მით უმეტეს, ცხენები მოქანცული ჰყავდათ.

ამასთან, მთელ მიდამოს საშინელი ბუღი ასდიოდა, ჰერში იკრიბებოდა დიდძალი ელექტრობა. ამას გრძნობდნენ ადამიანებიც და ცხოველებიც, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ. მყუდროებას მხოლოდ აირტონი არღვევდა, რომელიც ხმაურით მიერეკებოდა ქანცგამოლეულ ხარებს.

შუადღიდან ორ საათამდე მგზავრებმა გაიარედ დიდი გვიმრის ტყე, რომელიც მოგზაურობით ნაკლებდაინტერესებულ მგზავრებსაც კი აღტაცებაში მოიყვანდა. ეს ხისმაგვარი მცენარეები ათი მეტრის სიმაღლეს აღწევდა. ცხენოსნები თავისუფლად გადიოდნენ მათ ფოთლებქვეშ. ზოგჯერ ცხენოსნების დეზები გამოედებოდა ხოლმე მცენარეების გახევებულ ტანს. ამ უძრავ ქოლგებქვეშ სიგრილეს დაებუდებინა, რაზეც

სამდურავი არავის უთქვამს, ხოლო მუდამ ექსპანსიურმა ჟაკ პაგანელმა კმაყოფილების ნიშნად რამდენჯერმე ისე მძლავრად ამოიქშინა, რომ თუთიყუშებისა და კაკადუს მთელი გუნდი დააფრთხო - წამოიშალნენ და გამაყრუებელ ყატყატი ატეხეს. გეოგრაფი ისევ აღტაცებული იყო, როდესაც თანამგზავრებმა უცებ შეამჩნიეს, რომ მისი ცხენი წაბორძიკდა და მხედართან ერთად მიწაზე დაენარცხა. რა დაემართა, - ნეტა ბნედა მოუვიდა თუ მზემ დაჰკრა?

ყველანი მისკენ გაექანენ.

- პაგანელ, პაგანელ, რა გემართებათ? - შესძახა გლენარვანმა.

- ის მემართება, რომ მეც უცხენოდ დავრჩი! - შესძახა პაგანელმა და თან უზანგებიდან ფეხებს ითავისუფლებდა.

- რა მოუვიდა თქვენს ცხენს?

- დავარდა ისევე, როგორც მიულრედის ცხენი!...

გლენარვანმა, ჯონ მანგლსმა და ვილსონმა პაგანელის ცხენი დაათვალიერეს. პაგანელი მართალი გამოდგა: მისი ცხენი გაგუდული ეგდო. .

- უცნაურია! - ჩაილაპარაკა ჯონ მანგლსმა.

- ძალიან უცნაურია! - წაიბურტყუნა მაიორმა.

გლენარვანი საგონებელს მიეცა. ამ უდაბნოში ცხენის შოვნა შეუძლებელი იყო. თუ ეპიდემიაა, ძალიან შეაფერხებს ჩვენს ექსპედიციას, ფიქრობდა იგი.

საღამოს მისი მოსაზრება დადასტურდა. მესამე ცხენიც, ვილსონისა, დავარდა და მოკვდა. უფრო დამაფიქრებელი ის იყო, რომ იმავ საღამოს ერთი ხარიც მოკვდა. ახლა მხოლოდ ოთხი ცხენი და ხუთი ხრი დარჩა.

მოგზაურები მძიმე დღეში აღმოჩნდნე. უცხენოდ დარჩენილ კაცებს ფეხითაც შეეძლოთ სიარული, როგორც სჩვევიათ მეჯოგე სკვატერებს, მაგრამ ფორანს თუ ვეღარ ატარებდნენ, რა ეშველებოდათ თანამგზავრ ქალებს? განა შეეძლოთ ას ოცი მილის ფეხით გავლა ტუფოლდის ყურემდე?

შეფიქრიანებულმა ჯონ მანგლსმა და გლენარვანმა დარჩენილი ცხენები საფუძვლიანად დაათვალიერეს, იქნება გადავარჩინოთ როგორმეო. არც ერთ ცხენს არ აღმოაჩნდა არავითარი სნეულების ან სისუსტის ნიშანი, სრულიად ჯანსაღები იყვნენ და ადვილად იტანდნენ მგზავრობას. გლენარვანმა გული დაიმშვიდა, ეს უცნაური ეპიდემია სხვა ცხოველებზე არ გავრცელდებაო. აირტონიც გაკვირვებული იყო უნცაური მოვლენით.

რაზმი გზას გაუდგა. ახლა ფორანი გადაიქცა დასასვენებელ ადგილად ფეხით მოსიარულე დაღლილი მამაკაცებისათვის, ისინი რიგრიგობით სარგებლობდნენ ამ უფლებით. ათიოდე მილის გავლის შემდეგ, საღამო ხანს, გასაჩერებელი ნიშანი მისცეს და ღამის გასათევად დაიდეს ბინა. კარვები დადგეს. ღამე მშვიდობიანად გაატარეს რამდენიმე გვიმრის ქვეშ, სადაც უშველებელი ღამურები, ანუ უფრო სწორედ, მფრინავი მელიები დაფრინავდნენ.

მეორე დღე, 13 იანვარი, კარგად დაიწყო. წინა დღის ამბები აღარ გამეორებულა. ექსპედიციის სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ცხენები და ხარები ჩინებულად ეწეოდნენ ჭაპანს. ელენის "სალონი" თანდათან გაუტკბათ და ხშირი სტუმრობის გამო გამოცოცხლდა. ოლბინეტი მგზავრებისათვის გამაგრილებელი სასმელების დამზადებას შეუდგა, რაც 30-გრადუსიანი სიცხის გამო მართლაც აუცილებელი იყო. ოლბინეტმა ამას ნახევარი კასრი შოტლანდიური ელიმოანდომა. პაგანელი ბევრს ყლურწავდა და ყველაზე მეტს ლაპარაკობდა სხვადასხვა სიგანეზე.

ასე ჩინებულად დაწყებული დღე, ალბათ კარგადვე უნდა დამთავრებულიყო. მგზავრებმა თხუთმეტი მილი გაიარეს და წითელნიადაგიან ოღროჩოღრო ადგილებს გასცდნენ. იმდენი ჰქონდათ, ღამეს გაათევდნენ დიდი მდინარე სნოუს ნაპირას, რომელიც ვიქტორიის პროვინციის სამხრეთისაკენ წყნარ ოკეანეს ერთვის.

მოსაღამოვდა, ჰორიზონტზე გაწოლილი ხშირი ნისლი სნოუს დინებას აღნიშნავდა. მგზავრებმა რამდენიმე კილომეტრი გაიარეს. პატარა მაღლობის იქით მინდორი იწყებოდა, მაგრამ მოულოდნელად ფორანი წინა თვლებით ნიადაგში ჩაეფლო ღერძამდე.

- ფრთხილად! - გასძახა აირტონმა უკან მომავალ ცხენოსნებს.

- რა მოხდა? - იკითხა გლენარვანმა.

- ფორანი ჩაეფლო, - მიუგო აირტონმა, თან შოლტითა და შეძახილით ამხნევებდა ხარებს, მაგრამ ფორანი ადგილიდან ვეღარ დაიძრა.

- აქ ღამის გათევა მოგვიხდება, - თქვა ჯონ მანგლსმა.

- მეტი გზა აღარ არის, - დაურთო აირტონმა, - შუაღამისას ამ ჭაობიდან თავს ვეღარ დავაღწევთ. დილას უნდა დავუცადოთ.

- გავჩერდეთ! - დაიძახა გლენარვანმა.

მცირე შებინდების შემდეგ ერთბაშად ჩამობნელდა, მაგრამ ბული არ იკელებდა. ჰერში სულისშემხუთველი ორთქლი ტრიალებდა. შორს ელვა იკლაკნებოდა. ღამის გასათევად მოგზAურების ერთი ნაწილი ფორანში მოთავსდა, სხვებმა კარავი უზარმაზარი ხის თაღის ქვეშ დადგეს. ღამე წყნარი უნდა ყოფილიყო, თუ წვიმა არ შეუშლიდათ ხელს.

აირტონმა რის ვაივაგლახით ამოათრია მუცლამდე ლაფში ჩაფლული ხარები. ყოფილმა ბოცმანმა ისინი ცხენებთან ერთად გალალა საძოვრად საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე. საქონლისათვის საკვების შოვნა მისი მოვალეობა იყო და ამ საღამოს კი ისეთი გულმოდგინებით ზრუნავდა, რომ გლენარვანმა დიდი მადლობა გამოუცხადა. ექსპედიციის კეთილად დაბოლოება ხომ საქონლის ამტანიანობაზე იყო დამოკიდებული. სანამ აიროტნი ცხენებისა და ხარების დაბინავებაში იყო, მგზავრები ვახშამს შემოუსხდნენ, მაგრამ დაღლილობისა და სიცხისაგან მადა არ ჰქონდათ და მალე აიშალნენ. ელენმა და მერი გრანტმა მშვიდობის ღამე უსურვეს ყველას და დასაძინებლად წავიდნენ. კაცები კარავში მოთავსდნენ, ზოგმა კი რბილ ბალახზე, ხეების ძირას არჩია წოლა. ეს ამ ჯანსაღ ქვეყანაში სახიფათო არ არის. მალე ყველანი ძილს მიეცნენ. სიბნელეს აძლიერებდა ცაზე გადაკრული სქელი ნისლი, ჰერი არ იძვროდა, ღამის მყუდროებას მხოლოდ ზღვატყეპელა ფრინველი არღვევდა, დროდადრო გუგულივით ნაღვლიანად რომ გაიძახოდა.

ღამის თორმეტ საათზე მაიორს გამოეღვიძა. ნახევრად მილულულ თვალებში სინათლის ანარეკლი აესახა, რომელიც ხეების კენწეროებს მოჰფენოდა, თითქოს შორს სადღაც ხანძარია, რომლის შუქიც ცას მოსდებიაო. სასწრაფოდ წამოდგა და წყისაკენ გაემართა. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თვალწინ სრულიად ბუნებრივი მოვლენა გადაეშალა: სოკოებით მოფენილი უზარმაზარი მინდორი ფოსფორულად იყო განათებული. ამ ფარულქორწილოვანი მცენარეების სპორები საკმაოდ მძლავრად ანათებდა. [1]

მაიორს ეგოისტობა არ სჩვეოდა და პაგანელის გასაღვიძებლად დაბრუნდა, რომ მეცნიერსაც ენახა ეს საგულისხმო მოვლენა. ამ დროს თვალწინ სხვა სანახაობამ გაიელვა. ფოსფორული სინათლის წყალობით, რომელიც ნახევარი მილის მანძილზე ეფინებოდა, მაკ-ნაბსმა ტყის პირას თვალი მოჰკრა ორი კაცის ლანდს. "თვალი ხომ არ მატყუებს? ჰალუცინაცია ხომ არ დამეწყო?" - გაიფიქრა მაკ-ნაბსმა და მიწაზე წაწვა.

მალე ნათლად გაარჩია რამდენიმე კაცი, რომლებიც, როგორც შეატყო, მიწაზე რაღაცის კვალს დაეძებდნენ. გადაწყვიტა, გაეგო, რა უნდოდათ ამ კაცებს.

მაიორი არ შეყოყმანებულა. ამხანაგების გაუღვიძებლად, პირადი პასუხისმგებლობით გადაწყვიტა მოქმედება. ნამდვილი ველური მოხერხებით შეცურდა მაღალ ბალახში და გაინაბა.

თავი XIX

კვანძის მოულოდნელი გახსნა

მართლაც საშინელი ღამე იყო. ორი საათი იქნებოდა, როდესაც კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომელმაც გათენებამდე გასტანა. კარავი კარგი თავშესაფარი ვერ გამოდგა და გლენარვანმა და მისმა მეგობრებმა ფორანს შეაფარეს თავი. ამის შემდეგ აღარავის

დასძინებია. და სხვადასხვა საკითხზე საუბრობდნენ. მაიორი კი დუმდა. მისი მცირე ხნით წასვლა ვერავის შეემჩნია.

თავსხმას ბოლო არ უჩანდა. საფიქრებელი იყო, რომ მდინარე სნოუ ადიდდებოდა, წყლით გაჟღენთილი ნიადაგიც გაფუვდებოდა და ფორანი უფრო ღრმად ჩაეფლობოდა ჭყანტობში. ამიტომ მიულრედი, აირტონი და ჯონ მანგლსი რამდენჯერმე წავიდნენ მდინარის პირას მისი სიღრმის შესამოწმებლად და თავიდან ფეხებამდე გალუმპული დაბრუნდნენ.

როგორც იქნა, ეღირსათ გათენება. წვიმას გადაეღო, მაგრამ მზეს ისევ ნისლი ფარავდა. საითაც კი გაიხედავდით, ყველგან ტბასავით იდგა მოყვითალო გუბეები. მიწას ოხშივარი ასდიოდა და მავნე სინოტივე ეფინებოდა მიდამოს.

გლენარვანს ყველაზე საჭირო საგნად ფორანი მიაჩნდა და მის დასათვალიერებლად გაეშურა. იგი დაბლობ ადგილას, თიხნარში იყო ჩაფლული. წინა ღერძს ტალახი შემოსდგომოდა, უკანა თვალებს - ნაკლებად მისი ამოთრევა ძნელი საქმე იყო. ამას ყველა მგზავრის, ცხენებისა და ხარების ძალ-ღონის გაერთიანება დასჭირდებოდა.

- ყოველ შემთხვეაში, დაჩქარება გვმართებს, თორემ როდესაც თიხა შეხმება, საქმე უფრო გაგვიძნელდება, - თქვა ჯონ მანგლსმა.

- მართალია, დაუყოვნებლივ შევუდგეთ, - მიუგო აირტონმა.

გლენარვანი, ორი მეზღვაური, ჯონ მანგლსი და აირტონი ტყისაკენ გაემართნენ, სადაც ღამით საქონელი იყო დაბინავებული.

---

1 ასეთ მოვლენას ავსტრალიაში პირველად დრუმონდმა შეამჩნია ქამა სკოლოებს, რომლებიც Adaricuma a´ ericus-ის ოჯახს მიეკუთვნებიან (ავტორის შენიშვნა).

ეს იყო უზარმაზარი გუმფისის უბადრუკი შავბნელი ტყე. მეტწილად გამხმარი და ქერქგაცლილი ხეები ერთიმეორისაგან საკმაო მოშორებით იდგა, თითქოს კორპის ტყე გაუქერქიათო. მათი გამხმარი კენწეროები ორასი ფუტის სიმაღლეზე აზიდულიყო. ამ ჩონჩხებზე წამლად ვერ ნახავდით ვერც ერთ ფოთოლს, ვერც ერთ ფრინველს. ყველგან მხოლოდ ტიტველი, უსიცოცხლო შტოები გამოშვერილიყო, თითქოს ძვლები გამოჩრილაო. რას უნდა მიეწეროს ასეთი მოვლენა, რომელიც ავსტრალიაში ხშირია? არავინ იცის. ეს ადგილი მწვანედ მოღაღანე ტყეებად არც ადვილობრივ მცხოვრებთ ახსოვთ, არც მათ მამებს და არც მათ მამა-პაპას.

გლენარვანი შესცქეროდა ლეგა ცას, რომელზეც მკაფიოდ ისახებოდა გუმფისის ხის ხმელი შტოების მოხაზულობა.

აირტონი განცვიფრდა, რომ ცხენებიც და ხარებიც იქ ვეღარ იპოვა, სადაც დატოვა, თუმცა დაბორკილი ცხოველები შორს ვერსად წავიდოდნენ. დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერ მიაგნეს. გაოგნებული აირტონი სნოუს ნაპირებს დაუბრუნდა, სადაც დიდრონი მიმოზები გაზრდილიყო. საქონელს შეეხმიანა, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. აირტონი ძალზე შეფიქრიანებულიყო, დანარჩენებიც საგონებელს მისცეოდნენ.

მთელ საათს ეძებდნენ და ის იყო გლენარვანმა ფორნისაკენ დააპირა გაბრუნება, რომელიც თითქმის ერთი მილის მანძილზე დატოვეს, როდესაც ჭიხვინი და ბღავილი შემოესმათ.

- იქით ყოფილან! - წამოიძახა ჯონ მანგლსმა და გასტროლობიუმის მაღალი ბარდებისაკენ გაექანა, სადაც მართლაც დაიფარებოდნენ ცხოველები.

მას გლენარვანი, მიულრედი და აირტონი მიჰყვნენ, მაგრამ მალე კაპიტანის მსგავსად ისინიც ელდანაკრავი შეჩერდნენ.

ორი ხარი და სამი ცხენი გაგუდულები ეყრანენ მიწაზე. მათი ლეში უკვე გაცივებულიყო. დამშეული ყვავ-ყორნების აურებელი გუნდი თავს დასტრიალებდა ამ მოულოდნელ საკბილოს. გლენარვანმა და მისმა ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს. ვილსონმა ვეღარ მოითმინა და მაგარი სიტყვებით შეიკუთხა.

- რას იზამ, ვილსონ, - ჩაილაპარაკა გლენარვანმა, - რა გაეწყობა. ეს გადარჩენილი ცხენი და ხარი წამოიყვანეთ. აირტონ, ამით უნდა წავიდეთ იოლად.

- ეს ორი პირუტყვიც როგორმე მიგვაჩოჩებს ზღვის პირამდე, რაც უნდა მოხდეს, ფორანი უნდა ამოვათრიოთ!

- ვცადოთ, ჯონ! - მიუგო გლენარვანმა, - წავიდეთ, თორემ, ალბათ, იქ ჩვენი ამბავი აწუხებთ.

აირტონმა აუშვა ხარი, მიულრედიმ - ცხენი, ყველანი მდინარის ნაპირს გაჰყვნენ და ბანაკში დაბრუნდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ პაგანელმა, მაკ-ნაბსმა, ელენმა და მერი გრანტმა უკვე იცოდნენ საქმის ვითარება.

- დალახვროს ეშმაკმა, - მოუთმენლად ჩაილაპარაკა მაიორმა, - როგორ ვნანობ, აიროტნ, რომ ვიმერას გადმოსვლის შემდეგ ყველა ცხენი არ დააჭედინეთ!...

- რატომ, ბატონო მაიორო? - ჰკითხა აიროტნმა.

- იმიტომ, რომ ჩვენი ცხენებიდან მხოლოდ ის ცხენი გადარჩა, რომელიც თქვენმა მოყვანილმა ნალბანდმა დაჭედა.

- მართლაც ასე გამოვიდა, - ჩაურთო ჯონ მანგლსმა, - რა უცნაური დამთხვევაა!

- რა თქმა უნდა, დამთხვევაა და სხვა არაფერი, - მიუგო აირტონმა ა მაიორს თვალებში მიაშტერდა.

მაკ-ნაბმა ტუჩზე იკბინა, თითქოს სათქმელის შეჩერება უნდა, ენის წვერზე რომ მოსდგომიაო. გლენარვანი, მანგლსი და ელენი ელოდნენ, კიდევ რას იტყოდა მაიორი, მაგრამ მას აღარაფერი უთქვამს, ფორნისკენ წავიდა, რომელსაც აირტონი ათვალიერებდა.

- რისი თქმა უნდა ნეტავ? - შეეკითხა გლენარვანი ჯონ მანგლსს.

- რა მოგახსენოთ, - მიუგო კაპიტანმა, - მაგრამ მაიორი ისეთი ადამიანი როდია, რომ უსაფუძვლოდ წამოსცდეს რამე.

- მართალია, ჯონ, - თქვა ელენმა, - მაკ-ნაბსს, ალბათ, აიროტნზე აქვს ეჭვი.

- ეჭვი? - გაიკვირვა პაგანელმა მხრების აჩეჩვით.

- ეჭვი? რის გამო? - შეეკითხა გლენარვანი, - ნუთუ ფიქრობს, რომ ჩვენი ცხენები და ხარები აირტონმა დახოცა? მაგრამ რა მოსაზრებით? განა აირტონისა და ჩვენი ინტერესები ერთი და იგივე არ არის?

- რა თქმა უნდა, ედუარდ, - მიუგო ელენმა, - იმასაც დავძენ, რომ მოგზაურობის დაწყებიდანვე აირტონი ყველაფრით გვიტკიცებს ერთგულებას.

- რა თქმა უნდა, - გაეპასუხა ჯონ მანგლსი, - მაგრამ მაინც რას ნიშნავს მაიიორის წამოძახილი? უნდა გავარკვიოთ.

- იქნებ ეჭვობს, რომ ის კატორღელების თანამოსაქმეა, - წინდაუხედავად წამოიძახა პაგანელმა.

- ვინ კატორღელებისა? - იკითხა მერი გრანტმა.

- პაგანელმა ჩვეული დაბნეულობით წამოისროლა, ალბათ, - თქვა ჯონ მანგლსმა, - მან თვითონაც კარგად იცის, რომ ვიქტორიის პროვინციაში კატორღელები არ არიან.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! - შეეცადა პაგანელი ნათქვამის გამოსწორებას, - სად მაბია თავი? კატორღელები და ისიც ავსტრალიაში? რა ბრძანებაა, ვის გაუგია! ეგეც არ იყოს, კატორღელებს ნაპირზე რომ გადასხამენ, ისინი მაშინვე პატიოსან ხალხად იქცევიან, მერი, მათ ზნეობაზე გავლანას ახდენს ჰავა.

საბრალო მეცნიერი შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა, მაგრამ უფრო ღრმად ეფლობოდა ჭაობში მათი ფორანივით. ელენი თვალებში მისჩერებოდა პაგანელს და ეს ხომ მთლად დავთრებს ურევდა მეცნიერს. ბოლოს, გეოგრაფი რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა, მერის ხელი ჩაჰკიდა და კარვისაკენ წაიყვანა, სადაც ოლბინეტი ჩვეული გულმოდგინებით და ოსტატობით საუზმეს ამზადებდა.

- მე თვითონ ვარ სათოკე, ეშმაკმა წამიღოს! - ნაღვლიანად ჩაილაპარაკა პაგანელმა.

- გეთანხმებით, - ისეთი სერიოზული კილოთი ესროლა გლენარვანმა, რომ მეცნიერს სირცხვილის ოფლმა დაასხა.

გლენარვანი და ჯონ მანგლსი კარვისაკენ გაემართნენ. არიტონი და ორივე მეზღვაური ურემს ეჯაჯგურებოდნენ ლაფიდან ამოსათრევად. ხარი და ცხენი შეაბეს, საქონელს

ძარღვები დაეძაგრა და გასკდომაზე ჰქონდა, ვილსონი და მიულერდი თვლებს მხრების აწვებოდნენ, აირტონი საქონეს უყვიროდა, მაგრამ ფორანს ადგილიდან ძვრა ვერ უყვეს. ზედ შემხმარი თიხა ცემენტივით იჭერდა მას.

ჯონ მანგლსმა თიხაზე წყალი დაასხმევინა, აქაოდა მოლბებაო, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ფორანი უძრავად იდგა. შესაფერი ხელსაწყო რომ ჰქონოდათ, შეიძლებოდა ნაწილ-ნაწილ დაეშალათ და ისე ამოეთრიათ ტალახიდან, მაგრამ ხელთ არაფერი ჰქონდათ.

აირტონი მაინც ჯიუტად ცდილობდა მის ამოთრევას და თავდაუზოგავად ეჯაჯგურებოდა, მაგრამ გლენარვანმა შეაჩერა:

- აირტონ, კმარა! ახლა ამ ხარსა და ცხენს უნდა გავუფრთხილდეთ, ეგღა დაგვრჩა. თუ ფეხით მოგვიხდა სიარული ცხენით ქალები წამოვლენ, ხარს კი სურსათს ავკიდებთ. ეს ცხოველები ჯერ კიდევ დიდ სამსახურს გაგვიწევენ.

- კეთილი სერ, - მიუგო აიროტნმა და ცხენისა და ხარის გამოშვებას შეუდგა.

- ახლა კი, მეგობრებო, დავბრუნდეთ კარავში და მოვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ.

უგემურად გატარებული ღამე მგზავრებმა მშვენიერი საუძმით აინაზღაურეს, რის შედეგ თათბირს შეუდგნენ. ყველას უნდა გამოეთქვა მოსაზრება. უპირველესად საჭირო იყო, გეოგრაფიულად ზუსტად გაერკვიათ, სად იმყოფებოდნენ ამჟამად. ეს ამოცანა პაგანელს დაავალეს. მისი გამოკვლევით, ექსპედიცია ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გრძედის 147°53´-ზე, მდინარე სნოუს პირას იმყოფებოდა.

- რას უდრის გრძედი, რომელზეც ტუფოლდი მდებარეობს? - შეეკითხა გლენარვანი.

- გრძედი ას ორმოდაათი გრაედუსი გახლავთ, - მიუგო მან.

- ორი გრადუსი და ორმოცდაშვიდი წუთი რაღას უდრის?

- სამოცდათხუთმეტ მილს.

- აქედან რა მანძილი იქნება მელბურნამდე?

- სულ ცოტა, ორასი მილი.

- კეთილი, - მიუგო გლენარვანმა, - რადგან ვიცით, სადაც ვიმყოფებით, ახლა ვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ, საით გავემართოთ.

ერთხმად გადაწყდა, რომ დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნე ზღვის სანაპიროსაკენ. ელენმა და მერიმ პირობა დადეს, დღეში ხუთი მილს ფეხით ვივლითო. ამ გაბედულ ქალებს არ აშინებდათ სნოუდან ტუფლდამდე ფეხით სვლა.

- ნამდვილი მეგობარი მყავხართ, ძვირფასო, - უთხრა გლენარვანმა ელენს და პაგანელს მიუბრუნდა, - იმ ყურეში ვიშოვით კი ყველაფერს, რაც გვჭირდება?

- რა თქმა უნდა, - მიუგო პაგანელმა, - იდენი ძველისძველი ქალაქია, მის ნავსადგურს, ალბათ, მიმოსვლა აქვს მელბუირნთან. გარდა ამისა, ვფიქრობ, აქედან ოცდაორი მილის მანძილზე, ახალი სამხრეთ უელსის საზღვართან, დაბა დალეგეტში საგზალს კი არა, ცხენებსაც ვიშოვით.

- მერე "დუნკანი"? - წამოიძახა აირტონმა, - საჭიროდ არ მიგაჩნიათ, რომ სანაპიროზე დაიბაროთ?

- თქვენ რას იტყვით, ჯონ? - ჰკითხა გლენრვანმა.

კაპიტანმა მცირე ფირქის შემდეგ მიუგო:

- ჩემი აზრით, აჩქარება საჭირო არ არის. ყოველთვის მოასწრებთ ტომ ოსტინისათვის განკარგულების გაცემას.

- ცხადია, - შენიშნა პაგანელმა.

- მით უმეტეს, რომ ხუთიოდე დღის შემდეგ უკვე იდენში ვიქნებით, - ჩაურთო კაპიტანმა.

- ხუთიოდე დღის შემდეგ! - თავის გაქნევით სიტყვა შეუბრუნა აირტონმა, - იანგარიშეთ, თხუთმეტი-ოცი დღე მაინც, კაპიტანო, თუ არ გნებავთ სანანებლად დაგრჩეთ თქვენი შეცდომა!

- თხუთმეტი ან ოცი დღე, სამოცდათხუთმეტი გასავლელად, - წამოიძახა გლენარვანმა.

- სულ ცოტას მოგახსენებთ. თქვენ ვიქტორიის ყველაზე უფრო უდაბურ ნაწილში მოგიხდებათ სიარული. როგორც სკვატერებმა თქვეს, აქ არაფერი შეგვხდება, არც ერთი

სადგური, ცულით დაგჭირდებათ გზის გაკაფვა. მერწმუნეთ, სწრაფი სიარული შეუძლებელი იქნება, - თქვა აირტონმა. ყოფილი ბოცმანი მეტად თავდაჯერებით ლაპარაკობდა. ყველამ კითხვის ნიშნად შეხედა პაგანელს, მანაც დაადასტურა აიროტნის სიტყვები.

- დიახ, შესაძლებელია, დაბრკოლებები შეგვხვდეს, - თქვა ჯონ მანგლსმა, - მაგრამ მერე რა? "დუნკანს" თქვენც თხუთმეტი დღით გვიან გაუგზავნით განკარგულებას.

- ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მგზავრობის დროს უმთავრესი დაბრკოლება უგზოობით კი არ იქნება გამოწვეული. ჩვენ გასავლელი გვაქვს მდინარე სნოუ. მაშასადამე, უნდა ველოდოთ, სანამ წყალი დაიკლებს.

- ველოდოთ? - სიტყვა შეუბრუნა ახალგაზრდა კაპიტანმა, - განა ფონს ვერსად გავალთ?

- არა მგონია, - უპასუხა აირტონმა, - დღეს დილით ვეძებე ფონი, მაგრამ ვერსად მივაგენი. ეს მდინარე ასეთ დროს ასე გადარეული არასოდეს მინახავს. მასთან ვერაფერს გავხდებით.

- ძალიან განიერია სნოუ? - იკითხა ელენმა.

- დიახ, ქალბატონო, განიერია და ღრმაც, - მიუგო აირტონმა, - სიგანით თითქმის ერთი მილი ინქება, თანაც მეტა სწრაფი დინება აქვს, მისი გადაცურვა მარჯვე მცურავსაც ფათერაკს შეამთხვევს.

- მერე რა ვუყოთ! ჩვენც ნავი ავაგოთ! - წამოიძახა რობერტმა, რომელიც არავითარ დაბრკოლებას ანგარიშს არ უწევდა, - უბრალოდ საქმეა, მოვჭრათ ხე, ამოვღრუტნოთ, ჩავსხდეთ და გავცუროთ.

- აი, ნამდვილი მეზღვაურის შვილი! - შესძახა პაგანელმა.

- რობერტი მართალია, - თქვა ჯონ მანგლსმა, - ჩვენ მაინც ვერ ავცდებით ამას. ჩემი აზრით, დროს არ უნდა ვკარგავდეთ უსარგებლო კამათზე.

- თქვენ რას იტყვით, აირტონ? - მიუბრუნდა გლენარვანი.

- სერ, თუ დახმარებამ არ მოგვისწრო, ჩვენ ერთი თვის შემდეგაც აქვე, სნოუს ნაპირას ვისხდებით!

- მაშ, თქვენი გეგმა როგორია? - მოუთმენლად ჰკითხა ჯონ მანგლსმა, - თუ გაქვთ, თქვით!

- მაქვს. "დუნკანი"!

- მერე მისი აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსვლა რა შეღავათს მოგვცემს?

აირტონმა ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ უპასუხა:

- არ მინდა თავს მოგახვიოთ ჩემი მოსაზრება. თუ ვამბობ რამეს, მხოლოდ საერთო ინტერესებისათვის, რა წამსაც მიბრძანებთ მზად ვრ, გზას გავუდგე, სერ, - თქვა და გუხელდაკრეფილი გაჩერდა.

- ეგ არ არის პასუხი აირტონ, - უპასუხა გლენარვანმა, - გაგვიზიარეთ თქვენი გეგმა და ავწონ-დავწონოთ. რა წინადადება გაქვთ?

აირტონმა დინჯად და დამარწმუნებლად დაიწყო.

- ჩემი აზრით, ასეთ პირობებში სნოუს ნაპირებს არ უნდა გავშორდეთ. აქვე უნდა დაველოდოთ დახმარებას, რომელსაც მხოლოდ "დუნკანი" გაგვიწევს. აქ დავიდოთ ბინა, ერთ-ერთი ჩვენგანი კი ტომ ოსტინს ბრძანებას წაუღებს, რომ იახტა ტუფოლდის ყურეს მოაყენოს.

ამ სიტყვებმა ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია. ჯონ მანგლსმა წყენა ვერ დამალა. აირტონი კი განაგრძობდა:

- ამ ხნის განმავლობაში ან წყალი დაიკლებს და ფონს გასვლას მოვახერხებთ, ან კიდევ ნავის აგებას მოვასწრებთ. ასეთია, სერ ჩემი გეგმა.

- კეთილი, აიროტნ, - მიუგო გლენარვანმა, - თქვენი მოსაზრება სერიოზული ყურადღების ღირსია. ნაკლი მხოლოდ ისა აქვს, რომ მის განხორციელებაზე ბევრი დრო დაგვეკარეგება. სამაგიეროდ, ბევრ სერიოსულ დაბრკოლებას და ხიფათს აგვაცდენს, თქვენ რას იტყვით, მეგობრებო?

- გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება, ძვირფასო მაკ-ნაბს, - მიმართა ელენმა, - საუბრის დაწყებიდანვე თქვენ მხოლოდ ისმენთ, თვითონ კი არც ერთი სიტყვა არ გითქვამთ.

- რადგან ჩემი აზრი გაინტერესებთ, გულახდილად მოგახსენებთ, - მიუგო მაიორმა, - მგონი, აირტონი, როგორც ფრთხილი და საქმიანი კაცი, ძალიან გონივრულად ლაპარაკობს და მეც ვიზიარებ მის მოსაზრებას.

მაიორისაგან ასეთ პასუხს არავინ მოელოდა, რადგანაც მაკ-ნაბსი ყოველთვის უხირდებოდა აირტონის მოსაზრებას. აირტონმაც გაოცებით შეანათა თვალები მაიორს, მაგრამ რადგან პაგანელი, ელენი და მეზღვურები აირტონის მოსაზრებას იზიარებდნენ, მაკ-ნაბსის სიტყვების შემდეგ ყველა მას მიემხრო. გლენარვანმა განაცხადა, აირტონის გეგმა მიღებულიაო.

- ჯონ, უნდა დამეთანხმოთ, რომ სიფრთხილის გულისავის სჯობია ამ მდინარის პირას დაველოდოთ გადასასვლელ საშუალებას, - მიმართა გლენარვანმა.

- დიახ, გეთანხმებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი გაგზავნილი კაცი მოახერხებს იმას, რაც ჩვენ ვერ მოგვიხერხებია, ესე იგი, თუ იგი სნოუს გაცურავს.

ყველამ აირტონს მიაპყრო თვალი. მან გაიღიმა, როგორც თავისი თავის იმედის მქონე ადამიანმა და თქვა:

- გაგზავნილ კაცს წყალში გაცურვა არ დასჭირდება.

- როგორ? - ჰკითხა ჯონ მანგლსმა.

- სულ უბრალოდ! ის ლუკნოუს გზას დაუბრუნდება, ეს გზა კი მელბურნში მიიყვანს.

- ორას ორმოცდაათი მილი ფეხით? - წამოიძახა ახალგაზდა კაპიტანმა.

- ცხენით! - მიუგო აირტონმა, - ჩვენ ერთი ჯანსაღი ცხენი გვყავს. ამ ცხენისათვის ასეთი მანძილის გავლა ოთხი დღის საქმეა. ორი დღეც "დუკანის" გადმოყვანაზე იანგარიშეთ ყურემდე, ოცდაოთხი საათი ბანაკში დაბრუნებაზე. ასე რომ, ჩვენი გაგზავნილი კაცი ერთი კვირის შემდეგ "დუნკანის" ეკიპაჟის თანხლებით აქ გაჩნდება.

მაიორი თავის ქნევით ადასტურებდა აირტონის ნათქვამს, რის გამოც ჯონ მანგლსი განცვიფრებული იყო, მაგრამ აირტონის წინადადება ყველამ მოიწონა. ახლა საჭირო იყო მისი სისრულეში მოყვანა.

- მეგობარო, ისღა დაგვრჩა, გასაგზავნი კაცი ავირჩიოთ, - თქვა გლენარვანმა, - ის ამოცანა, რომელიც მას ეკისრება, მეტად მძიმე და სახიფათოა, მე არ მინდა ეს დავფარო. მაშ, ვინ გაგვიწევს დახმარებას და ვინ გაგვეგზავნება მელბურნში?

ვილსონი, მიულრედი, ჯონ მანგლსი, პაგანელი და რობერტიც კი უყოყმანოდ მზად იყვნენ ამ საქმისათვის. განსაკუთრებით კაპიტანი მოითხოვდა, ეს საქმე მისთვის მიენდოთ, მაგრამ მანამდე მყოფმა აირტონმა წამოიძახა:

- თუ გნებავთ, სერ, მე წავალ! მეც ვიცნობ ამ მხარეს. ბევრჯერ მიხეტიალია ამაზე უფრო ძნელ და სახიფათო გზებზე. გზას გავიგნებ იქ, სადაც სხვა გამოსავალს ვერ იპოვის. ამის გამო საერთო ინტერესებისათვის მოვითხოვ, რომ მელბურნში მე გამგზავნოთ. წერილს გამატანთ ტომ ოსტინთან ჩემი პიროვნების დასამოწმებლად და სიტყვას გაძლევთ, ექვსი დღის შემდეგ "დუნკანი" ტუფოლდის ყურეში იქნება.

- კარგად არის ნათქვამი, - მიუგო გლენარვანმა, - აზრიანი და გაბედული ადამიანი ხართ, აირტონ, თქვენ შეძლებთ ამ საქმეს.

მართლაც, აიროტნი ყველაზე უფრო შესაფერი იყო ასეთი დავალებისათვის. ამას ყველა მიხვდა და კრინტი აღარავის დაუძრავს. მხოლოდ ჯონ მანგლსმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, აირტონის აქ ყოფნა საჭიროა "ბრიტანიისა" და ჰარი გრანტის კვალის მისაგნებადო. ამაზე მაიორმა სამართლიანად შენიშნა: ექსპედიცია მდინარე სნოუს ნაპირას რჩება აირტონის დაბრუნებამდე, უამისოდ ძებნის დაწყებას არც ვაპირებთ. საერთოდ კი მისი აქ არყოფნა არავითარ შემთხვევაში ზიანს არ მოუტანს კაპიტან გრანტის ინტერესებსო.

- მაშ, გაემგზავრეთ, აირტონ, - უთხრა გლენარვანმა, - იჩქარეთ და იდენზე გამოვლით დაბრუნდით ჩვენს ბანაკში, სნოუს ნაპირას.

აირტონის თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა იელვა. პირი მიიბრუნა, მაგრამ მიიბრუნა, მაგრამ სიხარული მაინც შეამჩნია ჯონ მანგლსმა და გულში კვლავ უნდობლობამ გაჰკრა.

აიროტნი გამგზავრების სამზადისს შეუდგა. ორივე მეზღვაური ეხმარებოდა. ერთი მათგანი ცხენს უკაზმავდა, მეორე საგზალს უმზადებდა. გლენარვანი კი ამ დროს წრილს წერდა ტომ ოტინს და განკარგულებას აძლევდა "დუნკანის" კაპიტნის თანაშემწეს, დაუყოვნებლივ მისულიყო ტუფოლდის ყურეში აირტონიც დაუხასიათა როგორც სანდო ადამიანი. ყურეში მოსვლის შემდეგ ტომ ოსტინს აირტონის მეთაურობით უნდა გამოეგზავნა მეზღვაურების რაზმი.

როდესაც გლენარვანი ამ სიტყვებს წერდა, მაიორი მაკ-ნაბსი თვალს ადევნებდა მის ხელს და უეცრად თავდაჯერებული კილოთი ჰკითხა:

- როგორ იწერება აირტონი?

- როგორც გამოითქმის, - მიუგო გლენარვანმა.

- სწორი არ არის, - დინჯად წარმოთქვა მაიორმა, - გამოითქმის "აირტონ", მაგრამ უდა დაიწეროს "ზენ ჯოის".

თავი XX

"ლანდია, ლანდია, ზელანდია!"

ბენ ჯოისის ხსენება მეხივით გავარდა. იმ წუთს კარავში შემოსული აიროტნი წელში გასწორდა, მის ხელში რევოლვერმა გაიელვა და იჭექა. გლენარვანი ძირს დაეცა. მოულოდნელობისაგან ერთხანს გამშრალი ჯონ მანგლსი და მეზღვაურები გამოედევნენ აირტონს, მაგრამ თავზეხელაღებული კატორღელი უკვე ჭალას მიეფარა, თავის ამხანაგებთან, რომლებიც ტყის პირას უცდიდნენ.

კარავი ვერაფერს საფარს წარმოადგენდა ტყვიებისაგან, საჭირო იყო იქაურობას გასცლოდნენ. გლენარვანი, რომელიც მსუბუქად იყო დაჭრილი მკლავში, წამოდგა.

- ფორნისაკენ! - დაიძახა ჯონ მანგლსმა, თან გაიტაცა ელენი და მერი გრანტი, რომლებიც ფორნის სქელ კედლებს შეაფარა საფრთხის ასაცილებლად.

კაპიტანმა, მაიორმა, პაგანელმა და ორივე მეზღვაურმა კარაბინები აიღეს და თავდასხმის მოსაგერიებლად მოემზადნენ. გლენარვანი, რობერტი და ოლბინეტიც დამცელებს შეუერთდნენ.

ყოველივე ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. ჯონ მანგლსი გაფაციცებით უთვალთვალებდა ჭალის ნაპირს. სროლა მაშინვე შეწყდა, რაწამს ბენ ჯოისმა ტყეს მიაღწია. ორივე მხრიდან ერთობლივი სროლის შედეგად ერთბაშად სამარისებური მყუდროება ჩამოვარდა. გუმფისის შტოებში კი ჯერაც არ გაფანტულიყო დენთის ბოლი. გასტროლობიუმის მაღალი შტოები არ იძვროდა, ალბათ, თავდასხმა შეწყდა. თავდამსხმელები უკვალოდ დაიკარგნენ.

მაირომა და ჯონ მანგლსმა დიდ ხეებამდე დაზვერვეს მიდამო. ტყის პირი და ახლომახლო ადგილები დაცარიელებულიყო, მხოლოდ მრავალი ფეხის კვალი ემჩნეოდა და აქა-იქ კიდევ ხრჩოლავდა დენითის საცობი. მაიორმა სიფრთხილის გულისათვის ჩააქრო ისინი, თორემ ერთი ნაპერწკალიც საკმარისი იყო ამ გადამხმარ ტყეში საშინელი ხანძრის გასაჩენად.

- კატორღელები მიეფარნენ, - თქვა ჯონ მანგლსმა.

- დიახ, - მიუგო მაიორმა.

- და მეც ეგ მაფიქრებს. მირჩევნია, პირისპირ ვუცქერდე მათ. უმჯობესია, ვეფხვს ტრიალ მინდორზე შევეჩეხო, ვიდრე გველს - მაღალ ბალახებში. ეს ჯაგები ფორნის გარშემო სულ უნდა გავკაფოთ.

მაირომა და მანგლსმა გულდასმით დაათვალიერეს მიდამოები. ტყის პირიდან მდინარემდე არც ერთ კატორღელს არ შეხვედრიან. ბენ ჯოისის ბრბო თითქოს სადღაც

გადაიკარგა, როგორც მტაცებელი ფრინველების გუნდი. ასეთი გაუჩინარება გასაოცარიც იყო და საშიშიც. მუდამ მზადყოფნა სჭირდებოდათ. ახლა მხიოლოდ ჩაფლული ფორანი გადაიქცა მათი ბანაკის სიმაგრედ, რომელსაც ორ-ორი კაცი მორიგეობით დარაჯობდა თითო საათს.

ელენისა და მერი გრანტის უპირველესი საზრუნავი ის იყო, რომ გლენარვანისათვის მკლავი შეეხვიათ. როდესაც ბენ ჯოისის ტყვიით დაჭრილი გლენარვანი ძირს დაეცა, ელენი თავზარდაცემული მივარდა ედვარდთან. მერე კი გულმადმა ქალმა ფორნისაკენ გაიტაცა გლენარვანი, სადაც მაიორმა დაჭრილი მკლავი გაუსინჯა და გაარკვია, რომ ტყვიას რბილში გაევლო, არც ძვალი და არც კუნთი არ ჰქონდა დაზიანებული. ჭრილობიდან სისხლი თქრიალით სდიოდა, მაგრამ გლენარვანმა დაამშვიდა თავისი მეგობრები იმით, რომ დაჭრილი ხელის თითებს თავისუფლად ამოძრავებდა.

ჭრილობის შეხვევის შემდეგ გლენარვანმა თავისი თავი დაივიწყა და სიტყვა გადაიტანა მომხდარ ამბავზე. ბანაკის მოდარაჯე მიულრედისა და ვილსონის გარდა, ყველანი ფორანზე მოთავსდნენ და მაიორს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს.

მაირმა ელენს გაუმხილა პერთიდან კატორღელების გამოქცევის ამბავი, მათი მოსვლა ვიქტორიის პროვინციაში, მატარებლის გადაჩეხა და თან გადასცა "ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გაზეთი", რომელიც სეიმურში იყიდა. ბოლოს დასძინა, რომ პოლიციას დიდი თანხა აქვს გადადებული იმის ჯილდოდ, ვინც გასცემს ავაზაკ ბენ ჯოისს. თურმე თვრამეტი თვის განმავლობაში ბევრი ავაზაკობა ჩაუდენია და სამარცხვინო სახელი მოუპოვებია, მაგრამ საიდან შეიტყო მაკ-ნაბსმა, რომ აირტონი ბენ ჯოისი ერთი და იგივე პიროვნება იყო? - ყველას უნდოდა ამ საიდუმლოს გაგება.

აირტონთან პირველი შეხვედრისთანავე მაკ-ნაბსს უნდობლობა აღეძრა გულში, მისი ეჭვი გააძლიერა რამდენიმე უმნიშვნელო ფაქტმა - მდინარე ვიმერზე აირტონისა და მჭედელის ერთიმეორისათვის უცნაურმა გადახედვამ და იმ გარემოებამაც, რომ აირტონი ერიდებოდა ქალაქებზე გავლას, დაჟინებით მოითხოვდა "დუკანის" დაბარებას, იმანაც, რომ მის მზრუნველობაზე მინდობილი საქონელი იხოცებოდა და აირტონი არაგულწრფელი და უსაქციელო იყო, მაგრამ ბრალის დადებას ვერ გაბედავდა, წუხანდელი ამბავი რომ არ მომხდარიყო.

როდესაც მაკ-ნაბსი ხშირ ბალახებსა და ჯაგებში მიიმალა, შეუმჩნევლად მიცოცდა თურმე შემჩნეული ლანდების ახლოს, რომელთაც ფოსფორული მცენარეები მკრთალ შუქს ჰფენდნენ. მან გაარჩია, რომ სამი კაცი აკვირდებოდა მიწას და ახალ კვალს ეძებდა. იმ სამ კაცში მაკ-ნაბსმა იცნო ბლეკპოინტელი ნალბანდი.

"- სწორედ ისინია, - ჩაილაპარკა ერთმა მათგანმა.

- ნამდვილად, - მიუგო მეორემ.

- აი, სამყურა ნალზე!... ეს კვალი ვიმერიდანვე მოსდევს. ყველა ცხენი გაიგუდა. შხამის ძებნა შორს არ დაგვჭირდება, თუნდაც მთელი ცხენოსანი ლეგიონის გასაჟლეტად კმარა. ჩვენთვის სწორედ მისწრებაა ეს გასტროლობიუმი",- ასე გაიხსენა მაიორმა მათი საუბარი და შემდეგ განაგრძო, - ამის შემდეგ გაჩუმდნენ და გზა განაგრძეს. რადგან ცოტა რამე მქონდა მოსმენილი, მეც ცოცვით გავედევნე. მალე განაახლეს ლაპარაკი:

"- მარჯვე კაცია ეს ბენ ჯოისი! - თქვა ნალბანდმა, - ნამდვილი შკიპერია თავის მოჭორილი ხომალდის დაღუპვით. თუ გეგმა მარჯვედ შეასრულა, მისი კოჭი ალჩუზე დაჯდება! რქიანი ეშმაკია აირტონი! ნამდვილი ბენ ჯოისია და ღირსიც არის ამ სახელისა!" - ასეთი ლაპარაკით გასცდნენ ის არამზადები ტყეს. მე ბანაკს დავუბრუნდი დაწმუნებული იმაში, რომ ავსტრალიის ჰავა თურმე ყველა კატორღელს არ ასწორებს, როგორც პაგანელი ფიქრობს! - მაიორი გაჩუმდა.

ყველანი მდუმარედ მისცემოდნენ ფიქრებს შექმნილი მდგომარეობის გამო.

- მაშასადამე, - დაიწყო გლენარვანმა და მრისხანებისაგან გაფითრდა, - აირტონმა განგებ გამოგვიტყუა აქეთ, გასაძარცვად და ამოსახოცად!

- დიახ, - მიუგო მაიორმა.

- და იმის ბრბოც ვიმერიდან დაწყებული კვალდაკვალ მოგვდევდა, გვითვალთვალებდა და მარჯვე დროს ელოდა!

- დიახ.

- მაშ, ის არამზადა "ბრიტანიაზე" არ ყოფილა. მაშ, მოპარული საბუთEბი უჩვენებია ჩვენთვის?!

ყველანი მაკ-ნაბსს მიაჩერდნენ, რადგანაც მას ეს საკითხიც აწონილ-დაწონილი უნდა ჰქონოდა და მაირომაც ჩვეული სიდინჯით დაიწყო:

- ამ ბნელი ისტორიის შესახებ აი, რისი თქმა შემიძლია: ჩემი აზრით, მას მართლაც აირტონი ჰქვია, ბენ ჯოისი კი ავაზაკური სახელია. ეჭვს გარეშეა, რომ ჰარი გრანტს იცნობს და მასთან შკიპერის თანაშემწედ ყოფილა "ბრიტანიაზე". ამას ადასტურებს ის ფაქტები, რომლებიც დაგვისახელა აირტონმა. ამასვე მოწმობს ჩვენგან მოსმენილი კატორღელების წუხანდელი საუბარიც. ამიტომ ნუღარ გამოვეკიდებით უნაყოფო ჰიპოთეზებს და პირდაპირ დავასკვნათ, რომ ბენ ჯოისი არის აირტონი. სწორედ ისე, როგორც აირტონი არის ბენ ჯოისი, ე.ი. "ბრიტანიის" ერთი მეზღვაურთაგანი, რომელიც კატორღელების მეთაურად გამხდარა.

მაკ-ნაბსის განმარტება უკამათოდ მიიღეს.

- როგორ და რისთვის მოხვდა ჰარი გრანტის შკიპერის თანაშემწე ავსტრალიის მატერიკაზე? - იკითხა გლენარვანმა.

- როგორ მოხვდა? ამისი რა მოგახსენოთ, - მიუგო მაკ-ნაბსმა, - როგორც პოლიცია აცხადებს, ეს არც იმან იცის, რისთვის მოხვდა აქ. ამის პასუხიც გაგვიძნელდება. აქ იფარება საიდუმლოება, რომელსაც, ალბათ, მომავალი გამოამჟღავნებს.

- პოლიციამ ისიც კი არ იცის, რომ ბენ ჯოისი და აირტონი ერთიდ და იგივე პიროვნებაა, - ჩაურთო კაპიტანმა.

- მართალს ამბობთ, ჯონ! - მიუგო მაიორმა.

- ამის ცოდნა მის ძებნას გაუადვილებდა.

- მაშასადამე, ის გაიძვერა მზაკვრული მიზნით მიტმანსნებია პადი ო´მურის ფერმას? - ჩაერია ელენი.

- ეგეც შესაძლებელია, - მიუგო მაკ-ნაბსმა.

- ალბათ, რაიმე ხიფათს უმზადებდა ირლანდიელს, მაგრამ სწორედ ამ დროს მას უფრო ხელსაყრელი საქმე გამოუჩნდა. შემთხვევამ ჩვენთან შეახვედრა. მან მოისმინა გლენარვანის ნაამბობი ხომალდის დაღუპვის შესახებ და როგორც გამბედავმა კაცმა, იქვე შეიმუშავა გეგმა და გაითვალისწინა მისი სისრულეში მოსაყვანი გზებიც. ჩვენ გადავწყვიტეთ ექსპედიციის მოწყობა. ვიმერაზე ის თავისი ბრბოს ერთ-ერთ წევრს, ბლეკპიოინტელს ნალბანდს მოეთათბირა და ამგვარად მთელ ბრბოს საშუალება მისცა, კვალდაკვალ აგვდევნებოდა, ჩვენი ცხენებისა და ხარების მოწამვლაც მისი საქმე იყო. შეგვიტყუა სნოუს ჭაობებში და ხელთ მიგვცა თავისი ამხანაგების ბრბოს.

ბენ ჯოისის შესახებ ყველაფერი ითქვა. მისი წარსული ნათლად აღადგინა მაირომა, ეს არამზადა მართლაც გამბედავი და საშინელი ავაზაკი გამოდგა. რაკი მისი მზაკვრული ზრახები გამოაშკარავდა, გლენარვანს დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა. საბედნიეროდ, აშკარა ავაზაკისაგან თავის დაცვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მოღალატე მსახურებისაგან. გამოაშკარავებულ გარემოებას დიდი სერიოზული შედეგები მოჰყვა, რომელიც მაშინ ფიქრადაც არავის მოსვლია.

მერი გრანტს წარსულზე მსჯელობის დროს მომავალი ესახებოდა თვალწინ. ჯონ მანგლსმა შეამჩნია მისი გაფითრება, ნაღვლიანობა და მიუხდა გულისნადებს.

- მერი, მერი! - შესძახა მან, - თქვენ ტირით?

- შენ ტირი, ჩემო ბავშვო! - უთხრა ელენმაც.

- მამაჩემი, ქალბატონო! მამაჩემი! ... - წაილუღლუღა მერიმ და სიტყვა გაუწყდა... მაგრამ ამ დროს ყველას ერთმა აზრმა გაურბინა. ყველამ იგრძნო მერის მწუხარება, ცრემლის მიზეზი და მამის ხსენება.

აიროტნის ღალატმა ყოველივე იმედი გადაუწყვიტათ: კატორღელმა გლენარვანის გამოსატყუებლად გამოიგონა ხომალდის დაღუპვის ამბავი; მაკ-ნაბსის ნაამბობიდან ეს აშკარა გახდა. "ბრიტინია" არასოდეს დამსხვრეულა ტუფოლდის ყურესთან! ჰარი გრანტი არსოდეს გადასულა ავსტრალიის კონტინენტზე!

მაშ, ნაპოვნი ბარათების შეცდომით წაკითხვას მოგზაურები ხელმეორედ დაუყენებია ყალბ გზაზე!

ამ მდგომარეობისა და გრანტის ქალ-ვაჟის მწუხარების წინაშე ყველანი დამწუხრებულნი დუმდნენ. ან კი ვინ იპოვიდა არაიმე სანუგეშო სიტყვას?! რობერტი დის მკერდზე ქვითინედა. პაგანელი კი ჯავრიანად ბურტყუნებდა:

- საბედისწერო ბარათებო! თქვენ გააწბილეთ თორმეტი პატიოსანი ადამიანის ტვინი! - გაბრაზებული გეოგრაფი თავში მაგრად იშენდა მუშტებს.

გლენარვანი სადარაჯოზე მდგარ მიულრედსა და ვილსონს შეუერთდა. მდინარისა და ტყის შუა უშფოთველი მდუმრება იდგა. უმოძრაოდ მდგარი ვეებერთელა ღრუბლები თანდათან იფანტებოდა. მიმყუდროებულ მიდამოში მცირეოდენი ჩქამიც კი გასაოცარი გარკვეულობით გაისმოდა, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ბენ ჯოისი და მისი ბრბო, ალბათ, თვალსაჩინო მანძილზე გაშორდნენ მათ, რადგანაც ველზე აუარებელი ფრინველი მოუსვენრობას და შეშფოთებას არ იჩენდა.

- ამ ერთი საათის განმავლობაში არაფერი შეგიმჩნევიათ, არაფერი გაგიგონიათ? - ჰკითხა გლენარვანმა მეზღვაურებს.

- არაფერი, - მიუგო ვილსონმა, - კატორღელები, ალბათ, რამდენიმე მილით გაგვშორდნენ.

- ეტყობა, ძალა არ შესწევთ ჩვენზე თავდასხმისათვის, - დაუმატა მიულრედიმ.

- ის ბენ ჯოისი თავისი არამზადა ამხანაგების შესაკრებად თუ გაეშურა, ალპების ძირას რომ დაძრწიან.

- შესაძლებელია, მიულრედი, - მიუგო გლენარვანმა.

- არამზადები ლაჩრები არიან. იციან, რომ ჩვენ ჩინებულად ვართ შეიარაღებული. იქნებ დაღამებას ელიან, რომ მაშინ დაგვეცნენ. ღამე მეტი სიფრთხილე გვმართებს. ოჰ, რომ შეგვეძლოს ამ ჭაობის დატოვება და აღმოსავლეთისაკენ წასვლა, მაგრამ გზა მოგვიჭრა ადიდებულმა მდინარემ. არ დავიშურებდი იმ ტივის წონა ოქროს, რომლითაც შევძლებდით გაღმა გასვლას.

- მართლაც, ბატონო გლენარვან, რატომ არ გვიბრძანებთ, რომ ტივი შევკრათ? აქ ხეტყე საკმაოდ იშოვება.

- არა, ვილსონ, - მიუგო გლენარვანმა, - ეს სნოუ მდინარე კი არა, გაუვალი და აბორგებული ღვართქაფია.

ამ დროს მათ შეუერდნენ ჯონ მანგლსი, მაიორი და პაგანელი. მათ ახლახან დაეთვალიერებინათ სნოუ. ბოლოდროინდელი წვიმების შEმდეგ მდინარის დონეს ერთი ფუტით აეწია. მდინარე ახლა აგორებული ლანქარივით მოიგრაგნებოდა, ამერიკული დაქანებული მდინარეების მსგავსად, ფიქრიც კი შეუძლებელი იყო ამ აქაფებულ ტალღებში შესვლაზე, უამრავ წყალქვეშა კლდელოდიან მდინარეში.

- მდინარეში შესვლა ყოვლად შეუძლებელია, - თქვა ჯონ მანგლსმა, - მაგრამ აქ დარჩენაც რომ არ შეიძლებ! უნდა ვიღონოთ რამე! სისრულეში უნდა მოვიყვანოთ ის, რასაც აირტონის ღალატის გამჟღავნებამდე ვაპირებთ.

- რისი თქმა გინდათ, ჯონ? - შეეკითხა გლენარვანი.

- დახმარების მიღებაზე მოგახსენებთ. რადგანაც ჩვენთვის ტუფოლდის ყურემდე მისვლა შეუძლებელია, მელბურნს მაინც უნდა მივაშუროთ. ერთი ცხენი გვყავს. ნება მომეცით და მე წავალ მელბურნში.

- ეგ ძალიან სახიფათო ნაბიჯაი, ჯონ. ისიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რომ ორასი მილის გავლა უცნობ ქვეყანაში მეტად ძნელია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბენ ჯოისის ამხანაგებს ყველა გზა-ბილიკი შეკრული ექნებათ.

- ეგ მეც ვიცი, სერ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ასეთ მდგომარეობაში დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. აირტონი რვა დღეს თხოულობდა, რომ "დუნკანის" რაზმიანად დაბრუნებულიყო. მე მხოლოდ ექვსი დღე დამჭირდება, რომ ისევ სნოუს ნაპირზე დავბრუნდე. მხოლოდ თქვენს განკარგულებას ველი!

- სანამ გლენარვანი ბრძანებდეს რამეს, ერთ შენიშვნას მოგახსენებთ - თქვა პაგანელმა, - მელბურნში წასვლა რომ აიუცილებელია, ეს მართალია, მაგრამ ამ სახიფათო მგზავრობას ჯონს ვერ დავაკისრებთ! როგორც "დუნკანის" კაპიტანს მას უფლება არ აქვს, ასე იოლად მიანდოს ბედს თავისი თავი. მის ნაცვლად მე წავალ.

- მოსაწონი აზრია, - მიუგო მაიორმა, - მაგრამ რატომ სახელდობრ თქვენ, ბატონო პაგანელ?

- ჩვენ აქ არ ვართ, რაღას ვაკეთებთ? - შესძახა მიულრედიმ და ვილსონმა.

- მერე, მე სათვალავიდან გამოგრჩით? - ჩაურთო მაკ-ნაბსმა, - ნუთუ გგონით, ჩემთვის საშიშია ორასი მილის გავლა ცხენით?

- მეგობრებო, - თქვა გლენარვანმა, - თუკი საჭიროა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი წავიდეს მებურნს, დაე კენჭმა გადაჭრას, წილი ვყაროთ! პაგანელ, ჩამოწერეთ სახელები.

- თქვენი ჩაწერა ყოვლად შეუძლებელია, - უთხრა ჯონ მანგლსმა.

- რატომ? - შეეკითხა გლენარვანი.

- ჯერ ერთი, უფლება არ გაქვთ, თქევნი მეუღლე მიატოვოთ, მეორეც, ჭრილობა არ შეგხორცებიათ.

- გლენარვან, - მიმართა პაგანელმა, - თქვენ ვერ მიატოვებთ ექსპედიციას.

- მართალია, - შენიშნა მაიორმა, - თქვენი ადგილი აქ არის, ედუარდ, თქვენი წასვლა შეუძლებელია.

- განსაცდელში ვიმყოფებით და მე არ შემიძლია ავერიდო მას. ჩამწერეთ, პაგანელ. დაე, ჩემი სახელიც ეწეროს ჩემი ამხანაგების სახელებთან!

მის მტკიცე გადაწყვეტილებას ვეღარ აუხირდნენ. გლენარვანიც შეიტანეს სიაში. წილი ყარეს. კენჭი ერგო მიულრედის, რომელიც სიხარულისაგან შეხტა.

- მე მზად გახლავართ, სერ! - თქვა მან.

გლენარვანმა ხელი მაგრად ჩამოართვა და ფორანისაკენ გასწია. ბანაკის დარაჯობა კი მაიორსა და ჯონ მანგლსს დაავალა. ელენმა მაშინვე შეიტყო მელბურნში გაგზავნის გადაწყვეტილება და მიულრედის ისეთი მშვენიერი სიტყვებით მიმართა, რომ ამ პატიოსან მეზღვაურს გულის სიღრმემდე ჩასწვდა. ყველანი იცნობდნენ მიურედის, როგორ მამაცს, გონიერსა და ღონიერ ადამიანს, რომელიც ადვილად აიტანდა ყოველგვარ დაღლილობასაც. კენჭი ამაზე უკეთესს ვერავის შეხვდებოდა.

მიულრედის გამგზავრება საღამოს რვა საათისათვის იყო დანიშნული, შებინდების შემდეგ. ცხენის მომზადება ვილსონმა იკისრა. მან მოისაზრა, რომ ცხენისათვის გამოეცვალა ბლეკპოინტელი ნალბანდის დაკრული ნალები. მკვდარ ცხენს აჰყარა ნალები და მიულრედის ცხენი იმით დაჭედა, რათა კატორღელები ნალის კვალზე ვეღარ ასდევნებოდნენ მის გზას. ფეხდაფეხ ვერც კი მიჰყვებოდნენ, რადგან მათ ცხენები არ ჰყავდათ.

სანამ ვილსონი ამ საქმეს აკეთებდა, გლენარვანი წერილს ამზადებდა ტომ ოსტინთან, მაგრამ რადგანაც დაჭრილი ხელით უძნელდებოდა წერა, მდივნობა პაგანელს სთხოვა. მეცნიერი რაღაც ფიქრში იყო ჩაძირული და სააქაოს აღარ ეკუთვნოდა. ამ გასაჭირში პაგანელი მხოლოდ იმ ნაპოვნ ბარათებზე ფიქრობდა, რომელიც სწორედ ვერ ამოეკითხა. ათასნაირად ატრიალებდა თითოეულ სიტყვას, ეგებ ნამდვილ აზრს მივაგნოო. ამის გამო, როდესაც გლენარვანმა მოიხმო, პაგანელს არც კი გაუგონია და ედუარდს ხელმეორედ დასჭირდა მისი დაძახება.

- კეთილი, მზად გახლავართ, - მიუგო პაგანელმა. მაშინვე ამოგლიჯა თავისი უბის წიგნაკიდან სუფთა ფურცელი, ფანქარი მოიმარჯვა და საწერად გაემზადა. გლენარვანი უკარნახებდა: "ბრძანება ტომ ოსტინს. დაუყოვნებლივ გამოდის ზღვაში და "დუკანი" წამოიყვანეთ"...

პაგანელმა უკვე დაწერა უკანასკნელი სიტყვა, როდესაც მისი თვალი შემთხვევით დააშტერდა ძირს ჩავარდნილ "ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გაზეთს", რომელზეც ამოიკითხა მისი სახელწოდების უკანასკნელი მარცვლები. პაგანელს ფანქარი ხელში გაუჩერდა, თითქმის სრულებით გადაავიწყდა გლენარვანიც, წერილიც და ისიც, რასაც მას უკარნახებდნენ.

- აბა, პაგანელ, დაწერეთ? - იკითხა გლენარვანმა.

- აჰ! - წამოიძახა გეოგრაფმა.

- რა გემართებათ, პაგანელ? - შეეკითხა მაიორი.

- არფერი, არაფერი, - მიუგო პაგანელმა, თავისთვის კი იმეორებდა, - "ზელანდ... ლანდ... ლანდია... ლანდია"! - წამოდგა, გაზეთი ხელში აიტაცა, ჰერში აქნევდა და ცდილობდა მიმხვდარიყო იმ სიტყვას, რომელიც ენის წვერზე უტრიალებდა.

ელენი, მერი, რობერტი და გლენარვანიც გაოცებით შესცქეროდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ მისი მღელვარების მიზეზს. პაგანელი ისეთ ადამიანს ჰგავდა, რომელსაც უეცრად სიგიჟემ მოუარა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. თანდათან დაწყნარდა, მის სახეზე აღბეჭდილი სიხარული გაქრა, თავის ადგილზე დაჯდა და წყნარად თქვა:

- განაგრძეთ გლენარვან, მე მზად გახლავართ.

გლენარვანმა თავიდან დაიწყო წერილის კარნახი, რომელიც ასეთი შინაარსისა იყო: "ბრძანება ტომ ოსტინს. დაუყოვნებლივ გამოდით ზღვაში და "დუნკანი" მოაყენეთ ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროს, ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე...."

- ავსტრალიის? - იკითხა პაგანელმა და ჩაილაპარაკა, - ჰო, დიახ ავსტრალიის!

წერილის წერა მოათავა და გლენარვანს წინ დაუდო ხელის მოსაწერად. გლენარვანმაც მტკივნეული ხელით ძლივძლივობით შეასრულა ეს ფორმალობა. წერილი კონვერტში ჩადეს, დაბეჭდეს და პაგანელმა მღელვარებისაგან აცახცახებული ხელით დააწერა: "ტომ ოსტინს, იახტა "დუნკანის" კაპიტნის თანაშემწეს, მელბურნში". შემდეგ ფორნიდან გადმოძვრა, ბოლთას სცემდა და ხელების ქნევით გაუგებრად იმეორებდა: "ლანდია, ლანდია, ზელანდია!"

თავი XXI

სასოწარკვეთილების ოთხი დღე

დღის მეორე ნახევარმა ჩვეულებრივად ჩაიარა. მიულრედის გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო. გულადი მეზღვაური ბედნიერად თვლიდა თავს, რომ შემთხვევა მიეცა თავისი ერთგულება დაემტკიცებინა გლენარვანისათვის.

პაგანელიც სრულიად დამშვიდდა და ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. მის გამოხედვას ჯერ კიდევ დაფიქრება ეტყობოდა, მაგრმ ცდილობდა, არფერი გაემხილა. ალბათ, საამისოდ სერიოზული მიზეზები ჰქონდა. მაიორმა ყური მოჰკრა მის ბურდღუნს:

- არა! არა! აღარ დაიჯერებენ ჩემს სიტყვას! ან კი რა საჭიროა! უკვე გვიან არის!

ბოლოს პაგანელი მიულრედის მიუჯდა გვერდით, გადაშალა რუკა და აუხსნა, რომელი გზით უნდა ევლო. ამ ველზე ყვალ ბილიკი ლუკნოუს შარაგზაზე გადიოდა, რომელიც სამხრეთისაკენ უხვევდა ზღვის პირამდე და შემდეგ მელბურნისაკენ მიემართEბოდა. ამ გზას არ უნდა გასცდენოდა და გზის შესამოკლებლად საცალფეხო ბილიკებს არასად გაჰყოლოდა ამ უცნობ ადგილებში. საერთო გზა სწორი და გასაგები იყო და მიულრედის არ აებნეოდა.

სიფრთხილე განსაკუთრებით მართებდა ბანაკიდან რამდენიმე მილის მანძილზე, სადაც შესაძლოა ჩასაფრებული ყოფილიყო ბენ ჯოისი თავისი ბრბოთი. რაკი ამ მიდამოებს გასცილდებოდა, მიულრედი შორს ჩამოიტოვებდა კატორღელებს და მშვიდობიანად შეასრულებდა დაკისრებულ დავალებას.

ექვს საათზე ყველამ ერთად ივახშმა. შხაპუნა წვიმა მოდიოდა. კარავი ვერ იჭერდა წვიმას და ყველამ ფორანს შეაფარა თავი. თავდამსხმელთ მოგერიება აქედან უფრო მოსახერხებელი იყო. თიხნარში ჩაფლული ფორანი ნამდვილ სიმაგრეს წარმოადგენდა. მათ ჰქონდათ შვიდი კარაბინი, შვიდი რევოლვერი და ხანგრძლივი ალყის გაძლებაც შეეძლოთ, მით უმეტეს, რომ ტყვია-წამალი და სანოვაგე საკმაოდ მოეპოვებოდათ. ექვსი დღის შემდეგ "დუნკანი" მოვიდოდა ტუფოლდის ყურეში და ოცდაოთხი საათის შემდეგ მისი ეკიპაჟი მოადგებოდა სნოუს გაღმა ნაპირს. თუნდაც მდინარეში გადასვლა შეუძლებელი გამხდარიყო, ყოველ შემთხვევაში, კატორღელები დაინახავდნენ მოგზაურთა ძალების უპირატესობას და გაერიდებოდნენ. მთავარი ის იყო, მიულრედის მოეხერხებინა სახიფათო დავალების შესრულება.

რვა საათზე სულ ჩამობნელდა. გამგზავრების დრო დადგა. მიულრედის ცხენი მოუყვანეს, ჩლიქებზე ნაბადები ჰქონდა ამოკრული, რომ ფეხის ჩქამი არ გამოეცა. ცხენი დაქანცულს ჰგავდა და მისი მუხლების გამძლეობაზე იყო დამოკიდებული ყველას ბედი. მაიორმა დაარიგა მიულრედი, ცხენს გაუფრთხილდი, როდესაც კატორღელებს საკმაო მანძილზე მოიტოვებ უკანო. უმჯობესია, ერთი დღით დაიგვიანო, ვიდრე ბედზე მიაგდო საქმეო.

ჯონ მანგლსმა მეზღვაურს გადასცა რევოლვერი, რომელიც საგანგებოდ გატენა. ეს საშინელი იარაღი იყო გულადი კაცის ხელში, რადგან წამში ექვსჯერ გავარდებოდა და კატორღელების შეკრულ გზასაც გაარღვევინებდა.

მიულრედი ცხენზე შეჯდა.

- ეს წერილი ტომ ოსტინს გადაეცი, - უთხარი გლენარვანმა, - ნურც ერთ საათს უბრალოდ ნუ დაკარგავს! გამოემართოს ტუფოლდის ყურისაკენ და თუ იქ ვერ გვნახა, თუ ვერ მოვახერხეთ სნოუში გასვლა, მაშინ დაუყოვნებლივ გამოემართოს ჩვენს საშველად! ახლა გზა მშვიდობისა, ჩემო გულადო მეზღვაურო!

გლენარვანი, ელენი, მერი გრანტი, ყველანი, ხელს ართმევდნენ მიულრედის ამ თავსხმასა და კვიმატ ღამეში გამგზავრება ათასი საფრთხით აღსავსე უცნობ გზაზე ყველას აფიქრებდა, ვინც კი მიულრედზე ნაკლებგამბედავი და გაუკაჟებელი იყო.

- ნახვამდის, - თქვა მან წყნარი ხმით და იმწამსვე გაქრა ტყის სიბნელეში.

ამ დროს გრიგალმა მძლავრად დაიქროლა. ევკალიპტების კენწეროები ყრუდ აკვნესდა. ხმელი ტოტები სველ დედამიწაზე ცვიოდა, ურიხცვი გამხმარი ხე პირქვე დაეცა, ქარიშხლის ღმუილს ხეების ჭახაჭუხი და სნოუს ბუტბუტი ემატებოდა. უზარმაზარი ღრუბლები, რომელბსაც ქარიშხალი აღმოსავლეთისაკენ მიერეკებოდა, მიწის პირამდე აღწევდნენ. ამ მშფოთვარე ღამის საშინელებას კუნაპეტი სიბნელე აორკეცებდა.

მიულრედის წასვლის შემდეგ მზავრები ფორანში შელაგდნენ. ელენს, მერის, გლენარვანსა და პაგანელს მისი პირველი ნაწილი ეკავათ, რომელიც ყველა მხრიდან დახურული იყო. მეორე განყოფილებაში იყვნენ ობლინეტი, ვილსონი და რობერტი. მაიორი და ჯონ მანგლსი კი გარედან დარაჯობდნენ, რადგან მოსალოდნელი იყო კატორღელების თავდასხმა, რასაც ამინდი ხელს უწყობდა.

ორივენი ფილოსოფიური სიდინჯით იდგნენ ამ თავსხმასა და ქარტეხილში, რომელიც სახეში სცემდათ. გაფაციცებით აკვირდებოდნენ გარშემო ჩამოწოლილ წყვდიადს, რადგან ამ ხმაურში, ამ ჭახაჭუხსა და გრიგალის ღმუილში ისინი სმენით ვერაფერს არჩევდნენ.

დროგამოშებით გრიფალი ოდნავ მიყუჩდებოდა ხოლმე. მაიორი და ჯონ მანგლსი განსაკუთრებული ძალით ძაბავდნენ სმენას და მხედველობას. ერთ ასეთ მომენტში მკვეთრი სტვენა მოესმათ. ჯონ მანგლსი საჩქაროდ მიუახლოვდა მაიორს და შეეკითხა:

- გაიგონეთ?

- დიახ, - მიუგო მა.

- ადამიანის ხმა იყო თუ მხეცისა?

- ადამიანის, - მიუგო მანგლსმა.

სულგანაბულებმა ყური დაუგდეს. უცნაური სტვენა კვლავ მოესმათ და თითქოს პასუხად სროლის ხმაც მოჰყვა, თუმცა ძალიან გაურკვევლად, რადგან გრიგალმა ამ დროს

საშინელი ძალით დაქრლა. ამ დროს ფორნის ტყავის ფარდა გადაიწია და გლენარვანი მათთან გადმოვიდა. საბედისწერო სტვენა იმასაც გაეგონა და შემდეგ სროლის ხმაც.

- რომელ მხარეს იყო? - იკითხა მან.

- იქით, - გაიშვირა ხელი ჯონ მანგლსმა, - ჩაბნელებული ჭალის მხარეს, საითაც მიულრედი გაემგზავრა.

- რა მანძილი იქნებოდა?

- გრიგალი ქროდა და შორი მანძილიდანაც შეეძლო ხმის მოტანა. სამი მილიდან მაინც იქნებოდა.

- წავიდეთ! - თქვა გლენარვანმა და კარაბინი გაიდო მხარზე.

- არა! - უპასუხა მაიორმა, - ეგ ხაფანგია, რომელიც ჩვენთვისაა დაგეული, რომ ფორანს მოგვაცილონ.

- იქნებ მიულრედი ჩამოაგდეს იმ არამზადებმა! - თქვა გლენარვანმა და ჯონ მანგლსს ხელი ჩასჭიდა.

- მაგას დილას შევიტყობთ, - ცივად მიუგო მაიორმა, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ გლენარვანისათვის ასეთი გაუფრთხილებელი და უაზრო ნაბიჯი არ გადაედგმევინებინა.

- თქვენ ბანაკს ვერ დატოვებთ, - მიუგო მანგლსმა, - მე მარტო წავალ.

- ეგეც შეუძლებელია! - მტკიცედ შესძახა მაკ-ნაბსმა, - ეს რას ჰგავს? თქვენ გინდათ, სათითაოდ დაგვხოცონ, დაგვასუსტონ და მერე ცხვრებივით წინ გაგვიგდონ! თუ მიულრედი იმსხვერპლეს, რა თქმა უნდა დიდი უბედურებაა, მაგრამ მიმატება აღარ უნდა. მიულრედის კენჭი ერგო და გაემგზავრა. მე რომ შემხვედროდა კენჭი, მეც წავიდოდი, მაგრამ შველის იმედი არსაიდან მექნებოდა. არც მოვუწოდებდი ვინმეს დასახმარებლად.

მაიორი მართალი იყო, რომ არ უშვებდა მათ. მეზღვაურამდე მიღწევაA ამ დაბურულ ჭალაში, სადაც კატორღელეი იყვნენ ჩასაფრებული, მართლაც უგუნურებაც იყო და უსარგებლოც.

გლენარვანს ზედმეტი ხალხი არ ჰყავდა, რომ მათი გამეტება გაებედა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა, ნერვიულად ხელს უჭერდა კარაბინის კონდახს და გაშმაგებით გადი-გამოდიოდა ფორნის წინ, თან გაფაციცებით ყურს უგებდა ყველა ფაჩუნს, ცდილობდა განეჭვრიტა გულშემზარავი წყვდიადი. გულს უკლავდა ის აზრი, რომ ერთი მისი მხლებელთაგანი სადმე სასიკვდილოდ განგმირული გდია, უხმობს მათ, ვისთვისაც თავი გაწირა და ისინი კი არსად ჩანან.

მაკ-ნაბსი შეფიქრიანდა, ვაითუ ვერ დავიყიოლიო გლენარვანი, გულისთქმას აჰყვეს და ბენ ჯოისის მახვილს მიუშვიროს მკერდიო.

- ედუარდ, - უთხრა მან ბოლოს, - დამშვიდდით. მომისმინეთ, მეგობარო. იფიქრეთ ელენზე, მერი გრანტზე და ყველა იმათზე, ვინც აქ რჩებიან, რომ მიდიხართ. სად მიდიხართ? სად უნდა ეძებოთ მიოულრედი? ვთქვათ, მას თავს დაესხნენ აქედან ორი მილის მანძილზე, მაგრამ სად, რომელ ბილიკზე?

ამ დროს, თითქოს მის საპასუხოდ, მოესმათ ძლიერი ძახილი, ვიღაც შველას ითხოვდა.

- ყური უგდეთ! - წამოიძახა გლენარვანმა, - ეს ძახილი იმ მხრიდან ისმის, საიდანაც სროლის ხმა იყო, რამდენიმე ასიოდე მეტრის მანძილზე

გლენარვანმა ხელით მოიშორა მაკ-ნაბსი და წინ გაექანა. სამასი ნაბიჯის მანძილიდან გარკვევით შემოესმათ:

- ჩემკენ! ჩემკენ!

ხმაში განწირულება და სისუსტე ისმოდა. ჯონ მანგლსი და მაიორი ძახილის მხარეს გაექანენ და თავს წაადგნენ დაჭრილსა და მისუსტებულ მიულრედს. როდესაც ასწიეს, ხელზე სისხლი იგრძნეს. წვიმამ უფორ წამოუშინა, ქარი უფრო გამწარებით უბერავდა და გაშმაგებით დაქროდა ხის კენწეროებში.

გლენარვანმა, მაიორმა და მანგლსმა მიულრდი ფორნამდე მიიტანეს. ყველანი შეეგებნენ. პაგანელი, რობერტი, ვილსონი და ოლბინეტი ურმიდან ჩამოხტნენ. ელენმა ფორანში თავისი განყოფილება დაუთმო საბრალო მიულრედის. მაიორმა სისხლში

მოსვრილი ქურთუკი გააძრო და ჭრილობას მიაგნო. ხანჯალი ჰქონდა დაკრული მარჯვენა ფერდში.

მაკ-ნაბსმა ჭრილობა მარჯვედ შეუხვია. იარაღი შეხებოდა თუ არა მთავარ ორგანოებს, ჯერ ვერ შეატყო. ჭრილობიდან ღია წითელი სისხლი სდიოდა. დაჭრილის სიფერმკრთალე და მისუსტება ადასტურებდა, რომ ჭრილობა მძიმე იყო. მაიორმა იარა ცივი წყლით მოჰბანა, ზედ აბედის სქელი ნაჭერი დაადო, ფილთა დაატანა და შემდეგ სახვევით მაგრად შეუხვია. ამ საშუალებით მან სისხლის დენა შეაჩერა. მიულრედი საღი მკერდის მხარეზე დააწვინეს, თავი მაღლა დაუდეს, ელენმა რამდენიმე წვეთი წყალი ჩააყლაპა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უძრავად მდებარე ავადმყოფი შეირხა, თვალები ნახევრად გაახილა. ტუჩები აატოკა და გაურკვეველ სიტყვებს ბოდავდა. მაიორი დაიხარა მისკენ და ყური დაუგდო. დაჭრილი იმეორებდა: - წერილი... ბენ ჯოისი...

მაიორმა გაიმეორა ეს სიტყვები და ყველას გადახედა. რისი თქმა უნდოდა მიულრედის? ალბათ, ბენ ჯოისი თავს დაესხა მას, მაგრამ რისთვის? ალბათ, იმისათვის, რომ ხელი შეეშალა "დუნკანამდე" მისვლაში. წერილი?...

გლენარვანმა ჯიბეები გაუჩხრიკა მიულრედის. ტომ ოსტინისათვის მიწერილი წერილი იქ არ აღმოჩნდა.

მშფოთვარე და გაურკვეველი იყო მათთვის ის ღამე. შიშობდნენ, მიულრედი ხელიდან არ გამოსცლოდათ. საშინალად შეაცივა. ელენი და მერი მოწყელების დებად გაუხდნენ და გვერდიდან არ შორდებოდნენ. იშვიათად რომ ავადმყოფს ასეთი მოსიყვარულე და გულთბილი მოვლა ეღირსოს.

გათენდა. წვიმას გადაეღო. უზარმაზარი ღრუბლები ჯერ კიდევ ფარავდნენ ცას. დედამიწა მოფენილი იყო გრიგალისაგან ჩამომტვრეული ტოტებით. ნიაღვარისაგან დამბალი თიხა უფრო ატალახებულიყო და ფორანთან მისვლა გაეძნელებინა, მაგრამ თვით ფორანი უფრო ღრმად კი ჩაფლულიყო.

განთიადისას ჯონ მანგლსი, პაგანელი და გლენარვანი მიდამოს დასაზვერავად გაემართნენ. ისინი სისხლის კვალს გაჰყვნენ. ბენ ჯოისის ბრბოს კვალი არსად ჩანდა. სისხლის კვალმა ისინი იმ ადგილამდე მიიყვანა, სადაც თავდასხმა მოხდა. იქ ეგდო მიულრედის ტყვიით განგმირული ორი კაცი. ერთი მათგანი ბლეკპოინტელი ნალბანდი აღმოჩნდა, რომლის დამანჭული სახე საზიზღარი სანახავი იყო. გლენარვანი ამ ადგილს აღარ გასცდენია - კეთილგონიერება არ მოითხოვდა შორს წასვლას. ისევ ფორანს დაუბრუნდნენ შეწუხებულები.

- მეორე კაცის გაგზავნა აღარ შეგვიძლია მელბურნში, - ჩაილაპარაკა გლენარვანმა.

- მაგრამ აუცილებელია, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - მე შევეცდები გავსხლტე იქ, სადაც ჩემი მეზღვაური ჩავარდა.

- არა, ჯონ, შენ ცხენიც აღარ გყავს ორასი მილის გასავლელად!

მართლაც, მიულრედის ერთადერთი ცხენიც ხელიდან გამოეცალათ. ავაზაკებმა მოკლეს თუ სადმე დაძრწის? იქნებ კატორღელებმაც ჩაიგდეს ხელში?

- რაც უნდა მოხდეს, დღეიდან ჩვენი ერთიმეორისაგან დაშორება შეუძლებელია, - თქვა გლენარვანმა.

- დავიცადოთ რვა დღე, თხუთმეტი დღე, სანამ მდინარე ჩვეულებრივ დონეზე დადგებოდეს, მაშინ ნელ-ნელა სიარულით როგორმე მივაღწევთ ტუფოლდის ყურემდე და იქიდან მივაწვდით "დუნკანს" შესაფერ ინსტრუქციებს.

- მეტი გზა არ არის, - გამოეხმაურა პაგანელი.

- მაშ, ასე, მეგობრებო, - განაგრძო გლენარვანმა, - ამიერიდან განუყრელნი ვართ. მარტოხელა კაცს ფათერაკი არ ასცდება ამ უდაბურ ადგილებში, რომელიც ავაზაკებითაა სავსე. ახლა კი იმედი ვიქონიოთ ჩვენი საბრალო მეზღვაურის გამოჯანსაღებისა.

გლენარვანი მართალი იყო: ჯერ ერთი, მან აკრძალა ცალ-ცალკე ბედთან შეჭიდება; მეორე - გადაწყვიტ, მოთმინებით დაეცადათ, სანამ შესაძლებელი გახდებოდა სნოუს გადალახვა. აქედან ახალი სამხრეთ უელსის მიოსაზღვრე ქალაქ დელეგეიტამდე ოცდათხუთმეტი მილი იყო, იქ მათ შეეძლოთ გადასაზიდი საშუალებანი ეშოვათ

ტუფოლდის ყურემდე მისაღწევად. იქიდან კი დეპეშას გაუგზავნიდნენ მელბურნში ტომ ოსტინს. მართალია, ყველა ეს ღონისძიება ურიგო არ გახდლათ, მაგრა დაგვინებული კი იყო. გლენარვანს რომ მიულრდი ლუკნოუს გზიარ არ გაეგზავნა, რამდენი უბედურება და ხიფათი ასცდებოდათ. მეზღვაირის დაჭრაც რომ რ ვიანგარიშოთ.

ბანაკში დაბრუნებისს თანამგზავრები უფრო მხნედ და იმედიანად შეხვდნენ მათ.

- მოიკეთა... მოიკეთა! - შესძახა რობერტმა და სირბილით შეეგება გლენრვანს.

- მიულრედიმ?

- დიახ, ედუარდ, - უთხრა ელენმა.

- კრიზისმა გაუარა და მაიორი გვაიმედებს, რომ მეზღვაური გამოჯანმრთელდება.

- სად არის მაკ-ნაბსი? - იკითხა გლენარვანმა.

- მიულრედიმ მოიწადინა მასთან ლაპარაკი. ხელს ნუ შეუშლით.

მართლაც, ავადმყოფი ერთი საათის წინ გონზე მოვიდა, ციება უკლო. მაშინვე გლენარანი ან მაიორი მოითხოვა. მაკ-ნაბსმა მისუსტებულ ავადმყოფს ლაპარაკი აუკრძალა, მაგრამ მიულრედიმ დაჟინებით მოითხოვა მოესმინათ და მაიორიც დაჰყვა მის ნებას. მათი საუბარი გლენარვანის დაბრუნებამდე რამდენიმე წუთის წინ დაწყებულიყო.

გლენარვანი მოუთმენლად მოელოდა მაიორის გამოსვლას. მალე გადაიწია ფორნის ფარდა. მაიორი გადმოხტა და თანამგზავრებს მიუახლოვდა გუმფისის ხის ძირას, სადაც კარავი ედგათ.

ჩვეულებრივ მისი უშფოთველი სახე ამჟამად მწუხარებას მოეცვა. ელენსა და მერის რომ გადახედა, თვალებში სევდა მოაწვა. გლენარვანის შეკითხვაზე მაიორმა უამბო: ბანაკიდან გასვლის შემდეგ მიულრედი იმ ბილიკს დასდგომია, რომელიც პაგანელმა მიუთითა. ცხენს მიერეკებოდა რამდენადაც ღამის წყვდიადი ნეას აძლევდა. მისი ვარაუდით, ორი მილი ექნებოდა გავლილი, როდესაც მას ხუთი კაცი გადაეღობა გზაზე. ცხენი ყალყზე შედგა, მიულრედიმ რევოლვერი იძრო და სროლა ატეხა, ისე ეჩვენა, თითქოს ორი მათგანი წაიქცა. სროლის სინათლეზე მან იცნო ბენ ჯოისი. ეს იყო და ეს. დანარჩენი ვაზნების დაცლა ვეღარ მოუსწრია, რადგან ხანჯლით მკერდგანგმირული ცხენიდა გადმოვარდნილა, თუმცა გონება არ დაუკარგავს. ავაზაკებს მკვდარი ჰგონებიათ, ხელები მოპუფათურებიათ მისთვის, გაუჩხრეკიათ. ბოლოს შემდეგი სიტყვები გაუგონია: "წერილი ვიპოვე", - უთქვამს ერთს; "მომეცი!.... "დუნკანი" ახლა კი ჩვენია!" - წამოუძახია ბენ ჯოისს.

ამ სიტყვებზე გლენარვანის გმინვა აღმოხდა გულიდან.

მაკ-ნაბსი განგრძობდა:

- ბენ ჯოისს უთქავმს: "ბიჭებო, ცხენი დაიჭირეთ. ორი დღის შემდეგ "დუნკანზე" ვიქნები, ექვსი დღის შემდეგ შემდეგ ტუფოლდის ყურეში მოვალ და იქ შეგხვდებითა. გლენარვანის რაზმი კი ბრძანდებოდეს სნოუს ჭაობებში. თქვენ მდინარეზე გამოხვალთ კემპლპირის ხიდით, ზღვის პირამდე ივლით და იქ დამიცდით. ხომალდზე თქვენს აყვანას მოვახერხებ. გაშლილ ზღვაში ეკიპაჟს წყალში გადავყრით და "დუნკანს" რომ ხელში ჩავიგდებთ, ჩვენ ვიქნებით ბატონები ინდოეთის ოკეანეზე". "ვაშა ბენ ჯოისს!" - შესძახეს თურმე კატორღელებმა. მიულრედის ცხენი დაიჭირეს. ბენ ჯოისმა გაქუსლა ლურკნოუს გზაზე. მისი ბრბო კი სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაემართა მდინარის მხარეს. მძიმედ დაჭრილ მიულრედის ძლივძლივობით მოუღწევია იმ ადგილამდე, სადაც ჩვენ ვნახეთ მომაკვდავი... ასეთია მიულრედის თავგადასავალი, - დააბოლოვა მაკ-ნაბსმა, - ახლა უკვე ცხადია თქვენთვის ჩვენი მამაცი მეზღვაური რისთვის მოითხოვდა მოგვესმინა მისი ნალაპარაკევი.

ნაამბობმა მეტა შეაძრწუნა გლენარვანი და მისი თანამგზავრები.

- ყაჩაღები! ავაზაკები! მეკობრეები! - შესძახა გლენარვანმა, - ჩემს ეკიპაჟს ამოწვეტენ, ჩემს "დუნკანს" გაიტაცებენ! ავაზაკები!

- ბენ ჯოისი მათ მოულოდნელად წაადგება და მაშ... - თქვა მაიორმა.

- მაშ ჩვენ უნდა დავასწროთ ზღვის პირას მისვლა იმ არამზადებს! - ჩაურთო პაგანელმა.

- მაგრამ როგორ გადავალთ სნოუზე? - იკითხა ვილსონმა.

- ისე, როგორც ისინი - მიუგო გლენარვანმა, - თუ ისინი გავლენ კემპლპირის ხიდზე, ჩვენც გავალთ.

- მიულრედის რაღას უპირებთ? - იკითხა ელენმა.

- თან წავიყვანთ საკაცით, შევინცვლებთ ხოლმე! უბრძოლველად ხომ ვერ დავანებებ ბენ ჯოისს ხომალდსა და მთელ ეკიპაჟს!

კემპლპირის ხიდზე გადასვლა შესაძლებელი იყო, მაგრამ სახიფათო. კატორღელებს შეეძლოთ იქ ჩასაფრებოდნენ, რომ არ გაეტარებინათ. ვინ იცის, იქნებ ოცდაათნიც არიან შვიდი კაცის წინააღმდეგ, მაგრამ არის წუთები, როდესაც ასეთ მოსაზრებებს ძალა ეკარგება და რაც უნდა მოხდეს, მაინც წინ უნდა წახვიდე.

- სერ, - უთხრა ჯონ მანგლსმა, - სანამ საბოლოოდ მივიღებდეთ ამ გადაწყვეტილებას, კარგი იქნებოდა, ის ხიდი დაგვეთვალიერებინა. ამ საქმეს მე ვკისრულობ.

- მეც თქვენთან წამოვალ, ჯონ, - განუცხადა პაგანელმა.

მათი წინადადება მიიღეს. ჯონ მანგლსი და პაგანელი წასასვლელად გაემზადნენ. ისინი უნდა გაჰყოლოდნენ სნოუს მდინარებას, ნაპირ-ნაპირ, ვიდრე მიაღწევდნენ ბენ ჯოისის დასახლებულ ხიდს. იქ მისაღწევად დიდი სიფრთხილე მართებდათ, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ კატორღელები ხიდის ორივე მხარეს უდარაჯებდნენ.

საკმაო საგზლით დატვირთული და კარგად შეიარაღებული პაგანელი და ჯონ მანგლსი გზას გაუდგნენ და მალე მაღალ ლერწმიანში მიეფარნენ მდინარის პირას. ბანაკში მთელი დღე მათ მოლოდინში იყვნენ. დაღამდა, ისინი კი არსად ჩანდნენ. ყველანი დარდიანად იყვნენ. ბოლოს, ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სადარაჯოდ მდგომმა ვილსონმა შეამჩნია მომავალნი. პაგანელსა და ჯონ მანგლსს ათი მილი გაევლოთ და ძალიან დაქანცულები ბრუნდებოდნენ.

- როგორაა ხიდის საქმე? არის! - კითვით შეეგება გლენარვანი.

- დიახ, ყოფილა ლიანის ხიდი, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ეს ნამდვილია, კატორღელები გასულან ამ ხიდზე, მაგრამ...

- მაგრამ? - ჰკითხა გლენარვანმა, რომელმაც რაღაც უბედურება იგრძნო.

- გადასვლის შემდეგ დაუწვიათ! - მიუგო პაგანელმა.

თავი XXII

იდენი

წუხილის დრო აღარ იყო, უნდა ემოქმედათ. რადგანაც კემპლპირის ხიდი დაეწვათ, სხვა საშუალებით უნდა გადაელახათ სნოუ და როგორმე ბენ ჯოისზე ადრე მიესწროთ ტუფოლდის ყურემდე. ამიტომ ფუჭ საუბარზე დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა.

მეორე დღეს, 16 იანვარს, ჯონ მანგლსმა და გლენარვანმა დაათვალიერეს მდინრე, რომ გადასვლის საქმე როგორმე მოეგვარებინათ.

წვიმებისაგან აზავთებული სნოუს აბობოქრებული ტალღები ჯერ არ დამცხრალიყვნენ და ქაფმორებული გააფთრებით მოექანებოდნენ. მათთან შებმა თავის განწირვას უდრიდა. გულხელდაკრეფილმა გლენარვანმა თავი ჩაჰკიდა და დადარდიანებული უძრავად იდგა.

- გნებავთ, მე ვცდი გაღმა გაცურვას? - უთხრა ჯონ მანგლსმა.

- არა, ჯონ, - ხელი სტაცა გლენარვანმა გაბედულ კაპიტანს, - დავიცადოთ!

ორივენი ბანაკს დაუბრუნდნენ. მთელი დღე ბოღმა არ ასვენებდათ. გლენარვანი ათჯერ მაინც გავიდა მდინარის დასახედად. ცდილობდა, გამოენახა გადასვლის რაიმე საშუალება, მაგრამ ამაოდ. წყლის ნაცვლად ღველფი რომ მოდენილიყო, იმაზე ძნელი გადასასვლელი აღარც ის იქნებოდა.

ამ გულდასაწყვეტი საათების სვლაში ელენი და მაიორი მთელ დროს მიულრედიზე ზრუნვას ანდომებდნენ. მეზღვაური გრძნობდა, რომ ძალღონე უბრუნდებოდა. ახლა მაკ-ნაბსი დარწმუნებით ამბობდა, არც ერთი შინაგანი ორგანო დაზიანებული არ აქვსო.

ავადმყოფის სისუსტე ბევრი სისხლის დაკარგვის შედეგი იყო. მხოლოდ დრო იყო საჭირო მისი ჯანღონის აღსადგენად. ელენმა მოითხოვა, რომ მიულრედი პირველ განყოფილებაში დარჩენილიყო. მეზღვაურს ეხათრებოდა გლენარვანისა, არ უნდოდა მათი შევიწროება. დაჰპირდნენ, თუ სნოუში გასვლას მოახერხებდნენ, მასთან ვილსონს დატოვებდნენ ბანაკში.

საუბედუროდ, მდინარეში გასვლა შეუძლებელი გახდა იმ დღესაც და მეორე დღესაც, ე.ი. 17 იანვარს. ეს შეფერხება საშინლად აღელვებდა გნელარვანს. ელენი და მაიორი ცდილობდნენ, დაემშვიდებინათ, მოთმინებას ურჩევდნენ, მაგრამ ამაოდ. განა მას შეეძლო მოთმინება ჰქონოდა, როდესაც წარმოიდგენდა, რომ ბენ ჯოისი უკვე მისული იყო?! იქნებ "დუნკანი" ზღვაში გავიდა და გამალებული მიქრის იმ საბედისწერო სანაპიროსაკენ, სადაც მას დაღუპვა ელის!

ჯონ მანგლსსაც გული არ უსვენებდა და გლენარვანივით საშინელი სევდა შემოსწოლოდა. გადაწყვიტა, მედგრად გადაელახა წინ ამართული დაბრკოლებანი. შეკრა ხის ქერქის ნაჭრებისაგან ავსტრალიური ნავი, რომელიც თვითონ კაპიტანმა და მეზღვაურმა 18 იანვარს მდინარეზე გამოსცადეს. მაგრამ რაწამს ნავი ჩქარ მდინარებაში მოხვდა, მაშინვე წყალმა გაიტაცა დ მამაცი მეზღვაურები კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. მორევმა ჩაითრია მათი ნავი და შთანთქა. ჯონ მანგლსსა და ვილსონს ოციოდე მეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, სნოუს სიგანე კი ერთ მილს აღწევდა.

19 და 20 იანვარიც უნაყოფო ლოდინში გავიდა. მაიორი და გლენარვანი მდინარის სათავისაკენ აუყვნენ, მაგრამ ხუთი მილის მანძილზე ვერსად ნახეს ისეთი ფონი, რომ გასვლა შესაძლებელი ყოფილიყო. მდინარე ყველგან გაშმაგებით მოაგორებდა ბობოქარ ტალღებს. ავსტრალიის ალპების მთელი ნიაღვრის წყალი სამხრეთის ფერდობებიდან ამ ერთ კალაპოტში მიექანებოდა. "დუნკანის" გადარჩენის იმედიც უცრუვდებოდათ. უკვე ხუთი დღეა, რაც ბენ ჯოისი წავიდა, ხომალდი უკვე მისული უნდა იყოს აღოსავლეთ სანაპიროზე და ახლა, ალბათ, კატორღელების ხელშია!

ასეთი მდგომრეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. წყალდიდობა როგორც მოზვავდა, ისევე ჩქარა ჩაივლიდა. მართლაც, 21 იანვარს, დილით, პაგანელმაც აცნობა ამხანაგებს, წყალდიდობა იკლებსო.

- ახლა რაღას გვარგებს! - თქვა გლენარვანმა, - ძალიან გვიანაა!

- ეგ საფუძველს არ გვაძლევს, რომ ისევ აქ დავრჩეთ, - შენიშნა მაიორმა.

- მართლაც, იქნებ ხვალ შესაძლებელი გახდეს გაღმა გასვლა, - ჩაურთო ჯონ მანგლსმა.

- განა ეგ გადაარჩენს ჩემს ეკიპაჟს? - შესძახა გლენარვანმა.

- მომისმინეთ, ბატონო გლენარვან, - მიუგო მანგლსმა, - მე კარგად ვიცნობ ტომ ოსტინს. მას უნდა შეესრულებინა თქვენი ბრძანება და, რა თქმა უნდა მელბურნიდან გამოვიდოდა, რა წამსაც შეძლებდა, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, "დუნკანი" შეკეთებული იყო თუ არა იმ დროისათვის, როდესაც ბენ ჯოისი მელბურნს მივიდა?! იქნებ იახტა ვერც გამოვიდა? იქნებ ერთი-ორი დღით შეფერხდა?!

- მართალი ხარ, ჯონ, - უპასუხა გლენარვანმა, - როგორმე უნდა მივაღწიოთ ტუფოლდის ყურეს. აქედან დელეგეიტამდე ოცდათხუთმეტი მილი უნდა იყოს!

-სწორია! - დაემოწმა პაგანელიც, - ჩვენ იქ გადასაყვან საშუალებებს ვიშოვით. ვინ იცის, იქნებ დროზედაც მივასწროთ და უბედურება თავიდან ავიცილოთ?!

- მივიდავართ! - შესძახა გლენარვანმა.

ჯონ მანგლსი და ვილსონი მაშინვე შეუდგნენ უზარმაზარი ტივის შეკვრას. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ხის ქერქი ვერ უძლებს მდინარეების ძალას. ჯონმა მოჭრა რამდენიმე გუმფისის ხე და შეკრა გაუჩორკნელი, მაგრამ მკვიდრი ტივი. მძიმე სამუშაო იყო და ტივის შეკვრა მხოლოდ მეორე დღეს მოათავეს. მდინარემაც ამ დროს შესამჩნევად იკლო. ღვართქაფი თანდათან მდინარედ იქცა, თუმცა სწრაფად მიექანებოდა. ჯონ მანგლსს მაინც იმედი ჰქონდა, რომ სიმარჯვის გამოჩენით მშვიდობიანად მიაღწევდნენ გაღმა ნაპირს.

პირველის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ტივზე გადაიტანეს სურსათ-სანოვაგე, სულზე ორ-ორი დღისათვის საკმარისი. დანარჩენი ყველაფერი დატოვეს კარავსა და ფორანში.

მიულრდის წაყვანაც შესაძლებელი გახდა. ის საკმაოდ მომჯობინდა და სწრაფად მოდიოდა ღონეზე.

პირველ საათზე ყველანი ტივზე გადაბარგდნენ. ჯონ მანგლსმა ტივის თავში დაატანა ერთგვარი ნიჩაბი მდინარების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ნიჩაბს ვილსონი მიუჩინა, თვითონ კი ტივის ბოლოში დადგა, სადაც საჭის მაგიერ ტივის მისაბრუნებელ-მოსაბრუნებელი ნიჩაბი ჰქონდა დატანებული.

ელენი და მერი გრანტი ტივის შუა ადგილას მოათავსეს, მიულრედის მახლობლად. გლენარვანი, მაიორი, პაგანელი და რობერტი გარშემო შემოუსხდნენ მათ, რომ საჭირო შემთხვევაში მიშველებოდნენ.

- მზად არის, ვილსონ? - გასძახა ჯონ მანგლსმა მეზღვაურს.

- არის, კაპიტანო! - მიუგო ვილსონმა და ღონიერი მკლავით მოსწია ნიჩაბს.

- სმენა!... გეზი მდინარის აღმა!

ჯონ მანგლსმა ტივი ახსენა და ორთაყვირით კიდეც მოაცილა. პირველ წუთებში ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ვილსონი მდინარებას არ ანებებდა, რომ ტივი გაეტაცა, მაგრმ ტივი მალე მოხვდა მორევში და ტრიალი იწყო. ნიჩბები აღარ მოქმედებდა. ვილსონი და მანგლსი ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერი გაეწყოთ.

ძალაუნებურად უნდა მიჰყოლოდნენ წყლის მდიანრებას, რომელმაც ტივი საშინელი სისწრაფით დაატრიალა და ქვევითკენ გააქანა. კბილებმოჭერილი და ფერწასული ჯონ მანგლსი მდინარეს დააცქერდა. ტივმა მდინარის შუაგულამდე მიაღწია, თუმცა მდინარებამ ნახევარი მილით ქვემოთ დასწია გამოსვლის წერტილიდან. მდინარება აქ უფრო ძლიერი იყო და მორევის ძალას აღემატებოდა, რის გამოც ტივს ერთგვარი მყარი მდინრება მიეცა. ჯონ მანგლსმა და ვილსონმა ისევ მოჰკიდეს ნიჩაბს ხელი და ტივის დამრეცით წაყვანა შეძლეს. გაღმა ნაპირამდე ასი მეტრიღა ჰქონდათ დარჩენილი, როდესაც ვილსონს ნიჩაბი გადაუტყდა.

ტივი მდინარებამ დააქამა. ჯონ მანგლსი ცდილობდა მის შეჩერებას, მაგრამ სახიფათო იყო, რომ ნიჩაბი იმასაც არ გადასტხოდა. ვილსონი დასისხლიანებული ხელებით მიეშველა და ორივემ შეძლეს ტივის დამორჩილება. ნახევარი საათის შემდეგ ტივი ისე მძლავრად დაეჯახა გაღმა ნაპირს, რომ ღვლეჭები და თოკები დაუწყდა, ტივი გაიშალა და მორებშუა აქაფებული ტალღები ამოშხაპუნდა. მგზავრებმა ძლივს მოასწრედ ნაპირიდან წამოხრილ ტოტებზე ჩამოკიდება. პირველ რიგში გადაიყვანეს მიულრედი და ქალები.

ყველანი გადარჩნენ, თუმცა მთელი საგზალი და იარაღი, მაიორის კარაბინის გარდა, მდინარემ გაიტაცა ტივის ნაწილებთან ერთად. მდინარეს გავიდნენ, მაგრამ თითქმის უსურსათოდ დარჩნენ დელეგეიტიდან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, უცნობ უდაურ ადგილებსი, ვიქტორიის პროვინციის საზღვარზე. აქ არც კოლონისტები იყვნენ, არც სკვატერები, რადგანაც ეს კუთხე მთლიანად უკაცრიელია.

მაიორმა ურჩია, დაუყოვნებლივ განეგრძოთ გაზა. მიულრდი გრძნობდა, რომ გზაში შეაფერხედა მათ და ითხოვა, აქ დამტოვეთ, ვიდრე დელეგეიტიდან მომაშველებთ ვინმესო.

გლენარანი არ დაეთანხმა. დელეგატამდე სამ დღეზე ადრე ვერ მიაღწევდნენ, ზღვამდე კი - ხუთ დღეზე ადრე, ე. ი. 26 იანვარზე ადრე. "დუნკანი", ალბათ, 16 იანვარს გამოვიდოდა მელბურნიდან. ასეთ პირობებში გლენარვანისათვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა რამდენიმე საათის დაკარგვას და მიულრედის უთხრა:

- არა, ჩემო მეგობარო, აქ ვერ დაგტოვებ. საკაცეს გავაკეთებ და რიგრიგობით გატარებთ.

საკაცე ევკალიპტების შტოებისაგან შეკრეს, ლერწამი და მწვანე ბალახი ჩააგეს. მიულრედი ძალაუნებურად დათანხმდა შიგ ჩაწოლას. გლენარვანს უნდოდა თვითონ ეტარებინა თავისი მეზღვაური. დასწვდა საკაცის ერთ მხარეს, მეორე მხრიდან კი ვილსონი და მთელი რაზმი გზას გაუდგა.

საცოდავ სანახაობას წარმოადგენდა ეს რაზმი, რომელმაც ასე მშვენივრად დაიწყო მგზავრობა! ახლა არავინ არ მიდიოდა ჰარი გრანტის საძებნელად. ამ კუთხეში ის არასოდეს ყოფილა და ეს ადგილები საბედისწერო გაუხდათ მათ, ვინც მის კვალს ეძებდა. თუდაც

მშვიდობიანად მიეღწიათ ზღვის ნაპირამდე, იქ აღარ ეგულებოდათ "დუნკანი", რომლითაც შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება.

მგზავრობის პირველი დღე სევდიან მდუმარებაში გაილია. ყოველ ათ წუთში ერთხელ რიგრიგობით იცვლებოდნენ საკაცესთან. თუმცა პაპანაქება იყო, მაგრამ ყველანი ხალისიანად ეწეოდნენ ამ მძიმე ტვირთს.

საღამო ხანს, ხუთი მილის გავლის შემდეგ, ღამის გასათევად ბინა დაიდეს გუმფისის ხეების ძირას. საგზლის ნარჩენი ვახშმად გაინაწილეს. ახლა მხოლოდ მაიორის კარაბინის იმედზეღა იყვნენ ყველანი.

საძაგელი ღამე იყო. წვიმდა. გათენებას აღარ ეშველა. ბოლოს, როგორც იყო, გათენდა და გზას გაუდგნენ. მაიორს თოფის გასროლის შემთხვევა არსად ეძლეოდა. ეს ვერანა ქვეყანა უდაბნოზე უარესი იყო, რადგან ცხოველების ჭაჭანება არსად ჩანდა. საბედნიეროდ, რობერტი წააწყდა ფრინველის ბუდეს, რომელშიც თორმეტიოდე დიდრონი კვერცხი იდო. ოლბინეტმა კვერცხებში აურია დანდური, რომელიც ხევის ნიადაგს მოსდებოდა და ღადარში გამოაცხო. ეს იყო 22 იანვრის საუზმე.

გზა თანდათან ძნელი სავალი გახდა. სილით დაფენილი ველი ჯაგარივით ეკლიანი ბალახით იყო დაფარული. ტანისამოსს უგლეჯდა, ფეხებს უკაწრავდა და უსისხლიანებდა, მაგრამ მამაცი ქალები არ წუწუნებდნენ. ვაჟკაცურად მიაბიჯებდნენ წინ და თანამგზავრებსაც ახალისებდნენ მზერით თუ საუბრით.

საღამო ხანს ბულა-ბულას მთის ძირას დაიბანაკეს, იუნგალას ხევის პირას. სამარხვო ვახშამი ელოდათ, მაგრამ ბედად მაირომა, როგორც იქნა, მოკლა ერთი ზორბა ვირთაგვა, რომელი საუცხოო საჭმელად მიიჩნიეს. ოლბინეტმა შეწვა იგი. მგზავრებს ძალიან ეგემრიალათ და სანანებლად მხოლოდ ის დარჩათ, რომ ეს ვირთაგვა თოხლისოდენა არ იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა, რაც იყო, იმით უნდა დაკმაყოფილიყვნენ. ძვლებიანად ჩაახრამუნეს.

23 იანვარს დაღლილი, მაგრამ გაუტეხელი მგზავრები ისე გზას გაუდგნენ. მთას შემოურეს და ფართო უდაბნოზე გავიდნენ, სადაც ვეშაპის ულვაშისმაგვარი ბალახი ამოზიდულიყო. ეს იყო ერთიმეორეში გადახლართული ბრტყელი ყლორტები და გზის გაკვლევა ხან ნაჯახით, ხან ცეცხლით უხდებოდათ.

იმ დილას საუზმე არავის უხსენებია. ამ მწირ ქვეყანაში კვარცის მეტი არა იყო რა, მაგრამ შიმშილს წყურვილიც ზედ დაერთო და საშინელი პაპანაქება აძლიერებდა ტანჯვას. გლენარვანი და მისი მგზავრები თითო საათში ნახევარ მილს ძლივს გადიოდნენ. უსმელ-უჭმელობა საღამომდე რომ გაგრძელებულიყო, ყველანი დაცვივდებოდნენ და ვეღარც წამოდგებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად წყალს წააწყდნენ.

ეს იყო მარჯნისებური ფორმის ბუჩქნებზე ჩამოკიდებული ფინჯნის მოყვანილობის ყვავილები, რომლებიც წყლით იყო სავსე. მგზავრებმა წყურვილი მოიკლეს და ძალ-ღონის მომატება იგრძნეს. საჭმლის მხირვ ისე იქცეოდნენ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, როდესაც არც ცხოველები მოიპოვება, არც გველები, არც მწერები. პაგანელმა დამშრალი ხევის ძირას მიაგნო იმ ნოყიერ მცენარეს, რომლის შესახებაც გეოგრაფიულ საზოგადოებაში ერთი კოლეგა ხშირად ელაპარაკებოდა ხოლმე.

ეს იყო მცნეარე ნარდუ, რომლითც თავს ირჩენდნენ მოგზაურები ბერკი და კინგი ავსტრალიის შუაგულ უდაბნოებში. ამ მცენარეს ფოთოლქვეშ გამოტანილი აქვს ოსპის მარცვლისოდენა სპორები, რომლებიც ქვაზე დანაყეს და ფქვილისმაგვარი ნივთიერება მიიღეს. ამ ფქვილისაგან აცხობდნენ მაგარ და ძნელად მოსანელებელ პურს, რომელიც შიმშილის ტანჯვას ამსუბუქებდა. ასე იქცევიან ავსტრალიელები, როდესაც არ მოეპოვებათ არც ცხოველი, არც ქვეწარმავალი, არც მწერი საჭმელად. იმ ადგილებში ნარდუ ბლომად იყო და ოლბინეტმა ბევრი მოაგროვა, ასე რომ, ამ მხრივ რამდენიმე დღე უზრუნველყოფილი იყვნენ.

მეორე დღეს, 24 იანვარს მიულრედიმ ნახევარი გზა უკვე ფეხით გაიარა. ჭრილობა სულ შეხორცებოდა. ქალაქ დელეგეიტამდე თხუთმეტი კილომეტრიღა დარჩენოდათ. საღამო ხანს მათ ბინა დაიდეს გრძედის 149° -ზე, ახალი სამხრეთის უელსის საზღვართან.

წვიმა ცრიდა და სინოტივე ძვლებში ატანდა. თავშესაფარი არსად იყო. საბედნიეროდ, ჯონ მანგლსი წააწყდა ხისმჭრელების მიტოვებულ ქოხს. იოლდ უნდა წასულიყოვნენ ამ ტოტებისაგან აგებული ფანჩატურით, რომელიც ჩალით იყო დახურული.

ვილსონმა ცეცხლის დანთება მოიწადინა, რომ ნარდუს პური გამოეცხოთ და ნაფოტებისა და ფიჩხის მოსატანად წავიდა. როდესაც ანთება დაუპირეს, შეშას ცეცხლი არ მოეკიდა - ალბათ, ცეცხლუკარებელი ხე თუ იყო, რომლის შესახებაც ერთხელ პაგანელმა უამბო თანამგზავრებს.

უცეცხლოდ და უპუროდ უნდა გაეძლოთ და სველი ტანისამოსით დაეძინათ, ხშირ ფოთლებში მიმალული ხითხითა ფრინველები კი თითქოს დასცინოდნენ უბედურ მგზავრებს, მაგრამ ტანჯვის დასასრული ახლოვდებოდა და დროც იყო. ორივე ახალგაზრდა ქალი გმირულ გამძლეობას იჩენდა, თუმცა ძალ-ღონე წუთი წუთს ელეოდათ, ფეხებს ძლივსღა ადგამდნენ.

გარიჟრაჟზე გზას გაუდგნენ. 11 საათზე გამოჩნდა დელეგეიტი, რომელიც უელსის საგრაფოში მდებარეობს, ტუფოლდის ყუირიდან ორმოცდაათი მილის დაშორებით.

დელეგეიტში სასწრაფოდ იშოვეს სამგზავრო საშუალებანი.

რაკი ზღვისპირის სიახლოვე იგრნძო, გლენარვანი ერთბაშად გახალისდა. იქნებ "დუნკანი" შეფერხდა და მიასწროს?! 24 საათის შემდეგ უკვე ნავსადგურში იქნება და ყველაფერს გაიგებენ!

ნოყიერი საუზმის შემდეგ შუადღისას მგზავრები ხუთ ღონიერ ცხენებშებმულ ურემში ჩალაგდნენ და დელეგეიტიდან გაემართნენ. ფოსტალიონები გასამრჯელოს მოლოდინში გამეტებით მიერეკებოდნენ ცხენებს მშვენიერ გზატკეცილზე. სადგურბზე ორ წუთსაც არ კარგადნენ ცხენების გამოსაცვლელად.

სადგურები ერთი მილით იყო ერთიმეორისაგან დაშორებული. ალბათ, გლენარვანის მოუთმენლობა იმათაც გადაედოთ! მთელ დღესა და ღამეს გასტანა გაცოფებულმა ჭენებამ. დილით, მზის ამოსვლისას ყრუ გუგუნმა აცნობა ინდოეთის ოკეანის სიახლოვე.

"დუნკანის" გაჩერების ადგილამდე მისაღწევად ნავსადგურისათვის უნდა შემოევლოთ. ზღვა რომ გამოჩნდა, ყველანი მის სივრცეს მიაჩერდნენ. იქნბა რაიმე სასწაულით "დუნკანი" აქვეა და როგორც ამ ერთი თვის წინ, არგენტინის სანაპიროზე, კორიენტისის კონცხთან, ზღვაში მიმოდის? მაგრამ ვერავინ ხედავდა მას. ზღვა და ცა გაერთიანებულიყო ჰორიზონტზე. თვალუწვდენელ ოკეანეს არც ერთი იალქანი არ აცოცხლედა.

ერთი იმედიღა დარჩენოდათ. იქნებ ტომ ოსტინმა ტუფოლდის ყურეში ჩაუშვა ღუზა, რადგან ფრთონვაა და ხომალდისათვის სახიფათოა ასეთ ამინდში ზღვის სანაპიროსთან ახლოს ყოფნაო!

- იდენისაკენ! - ბრძანა გლენარვანმა.

მეეტლემ მარჯვედ მიუბრუნა ეტლი ნავსადგურის გარშემო შემოსავლელი გზისაკენ და ზღვის გასწვრივ გაემართა პაწია ქალაქ იდნეიისაკენ, ხუთი მილის მანძილზე.

ეკიპაჟი სანიშნე სანაპირო შუქურასთან, ნავსადგურის ნაპირთან გააჩერეს. აქ რამდენიმე ხომალდს ჩაეშვა ღუზა, მაგრამ მათ შორის "დუნკანი" არ ჩანდა.

გლენარვანი, ჯონ მანგლსი და პაგანელი ეტლიდან გადმოვიდნენ და საბაჟოს მიაშურეს. იქ მოსამსახურეეს გამოჰკითხეს ამბავი, უკანასკნელ დღეებში მოსული ხომალდების სიაც გადაათვალიერეს, მაგრამ მთელი კვირის განმავლობაში არც ერთხელ ხომალდი არ მოსდგომია ნავსადგურს.

- იქნებ მელბურნიდან ჯერ არ გამოსულა?! - წამოიძახა გლენარვანა, რომელსაც ჯერ არ დაეკარგა იმედი, - იქნებ ჩვენ მოვასწარით "დუნკანს"?

ჯონ მანგლსმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ის კარგად იცნობდა ტომ ოსტინს. მისი თანაშემწე არასოდეს დააგვიანებდა ბრძანების შესრულებას ათი დღით.

- უნდა ვიცოდე, როგორ მოვიქცე, - თქვა გლენარვანმა, - სჯობია სინამდვილის გაგება, ვიდრე გაურკვევლობაში ყოფნა!

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მელბურნში მიქროდა დეპეშა გემთშემკეთებელი სამუშაოების უფროსის სახელზე. ამის შემდეგ მგზავრები გაემგზავრნენ სასტუმრო "ვიქტორიაში". ნაშუადღევს ორ საათზე გლენარვანს ჩააბარეს დეპეშა, რომელშიც ეწერა:

"მისტერ ედუარდ გლენარვანს. იდენი. ტუფოლდის ყურე. "დუნკანი" ამ თვის 18-ს გავიდა უცნობი მიმართულებით.

ენდრიუ".

გლენარვანს დეპეშა ხელიდან გაუვარდა. აღარავითარი ეჭვი აღარ იყო. იახტა ახლა ბენ ჯოისის ხელშია და მეკობრეების გემად გამხდარა!

ასე დაბოლოვდა ავსტრალიის კონტინენტის გადავლა, რომელიც ასეთი ბედნიერი იმედით დაიწყო. კაპიტან გრანტის და მისი თანამგზავრების კვალი თითქოს სამუდამოდ დაეკარგათ. ასე უკუღმართად წასულ საქმეს მთელი ეკიპაჟის სიცოცხლე შეეწირა. გლენარვანი ამ ბრძოლაში დამარცხდა. გაბედული მკვლევარი, რომელსაც ვერაფერი დააკლო სტიქიის მძვინვარებამ არგენტინის პამპასებში - ავსტრალიის მატერიკაზე ერთი კაცის ღალატმა მოტეხა. გლენარვანს ბოღმა ახრჩობდა.

ნაწილი მესამე

თავი I

"მაკარი"

თითქოს კაპიტანი გრანტის პოვნის ყოველგვარი იმედი უკვე დაკრგული იყო. ამის შემდეგ კიდევ საით შეეძლო ექსპედიციას გამგზავრება? სად ან როგორ უნდა ეძებნათ კაპიტანი გრანტი?

"დუნკანი" ხელიდან გამოაცალე მეკობრეებმა და ახლა სამშობლოში დაბრუნებაც კი შეუძლებელი გახდა მათთვის. ასეთი მრაცხით დამთავრდა მათი მისწრაფება კაპიტანი გრანტის გადარჩენისა. გლენარვანმა იგრძნო თავისი უილაჯობა და გამოტყდა, რომ ამ მიზნით ბრძოლის გაგრძელება მხოლოდ უაზრობაღა იქნებოდა.

ამის მიუხედავად, ანუ სწორედ ასეთი გარემოების გამო, იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა მერი გრანტმა, რომ მამის სახელი აღარც კი გაუხსენებია მათთვის. ახლა ისიც გამსჭვალულიყო მწუხარებით "დუნკანის" ეკიპაჟის დაღუპვის გამო. თავს ნებას აღარ აძლევდა, პირად მწუხარებას მისცემოდა. მის გულში ფეთქავდა ორი განცდა, ორნაირი გრძნობა, ორგვარი მწუხარება: ერთი იყო გრძნობა მეგობრობისა, მეორე - მამაშვილური. მერი ცდილობდა, რითიმე ენუგეშებინა ელენი. ამიტომ პირველად, მან აღძრა საკითხი სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობის შესახებ მის ვაჟკაცურ ამტანობასა და ბედის მორჩილებას აღტაცეაში მოჰყავდა ჯონ მანგლსი. როდესაც მანგლსმა სცადა უკანასკნელი სიტყვა ეთქვა კაპიტან გრანტის სასარგებლოდ, მერი გრანტმა ერთი შეხედვით შეაჩერა იგი და მცირე ხნის შემდეგ უთხრა:

- არა, ბატონო ჯონ, ახლა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, ვინც თავი გასწირა ჩვენთვის. ლორდ გლენარვანის ევროპაში დაბრუენბა აუცილებელია!

- მართალი ხართ, მის მერი, - მიუგო მანგლსმა, - აუცილებელია. ისიც საჭიროა, რომ ინგლისის ხელისუფლებამაც შეიტყოს "დუნკანის" ბედი, მაგრამ იმედს მაინც ნუ გადაიწყვეტთ. დაწყებულ ძებნას არათუ მივატოვებ, მარტოც რომ დავრჩე მაინც განვაგრძობ. ან ვიპოვი კაპიტან გრანტს, ან მის ძებნაში დავიღუპები.

ჯონ მანგლსის გადაწყეტილება სერიოსული იყო. მერიმ ირწმუნა იგი და თითქოს მის დასამოწმებლად ხელი გაუწოდა ახალგაზრდა კაპიტანს. ჯონ მანგლსმა სამუდამო ერთგულება შესთავაზა ქალს, მერი გრანტმა კი დაუშრეტელი მადლობით უპასუხა.

იმ დღეს საბოლოოდ გადაწყდა ევროპაში დაბრუნება. ჯერ კი მელბურნამდე უნდა მიეღწიათ. მეორე დღეს ჯონ მანგლსი გაემართებოდა მიმავალი გემების შესახებ ცნობების გასაგებად. ეგონა, იდენსა და ვიქტორიის სატახტო ქალაქს შორის მუდმივი მიმოსვლა არსებობდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა - მელბურნისაკენ ხომალდები იშვიათად გადიოდნენ თურმე.

ტუფოლდის ყურეში სამიოდე უხეირო ხომალდს ჩაეშფა ღუზა. ეს იყო მთელი ადგილობრივი სავაჭრო ფლოტი. ამათგან არც ერთი არ გადიოდა არც მელბურნში და არც სიდნეიში. გლენარვანს კი მხოლოდ ამ ორ ნავსადგურში შეეძლო ინგლისში მიმავალი ხომალდის ნახვა.

რა უნდა ექნათ ასეთ მდგომარეობაში? რომელიმე გემის მოსვლას დალოდებოდნენ? ძალიან ბევრ დროს დაკარგავდნენ, რადგან ტუფოლდის ყურეში გემები იშვიათა შეუხვევენ ხოლმე. ბევრი მათგანი ყურეს გაუვლის და გზას განაგრძობს.

მოფიქრებისა და აწონ-დაწონის შემდეგ გლენარვანმა დააპირა სიდნეიში ხმელეთით წასვლა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაუზიარა პაგანელმა თავისი გეგმა, რომელიც ფიქრადაც არავის მოსვლია. ტუფოლდის ყურე გეოგრაფმაც დაათვალიერა. მან იცოდა, რომ სიდნეისა და მელბურნთან მიმოსვლა არ იყო, მაგრამ ნავსადგურში მდგარი სამი გემიდან ერთი ოკლენდში მიდიოდა.

ოკლენდი ახალი ზელანდიის ჩრდილო კუნძულ იკა-ნა-მაუის მთავარი ქალაქია. პაგანელმა გლენარვანს ურჩია, ეს გემი დავიქირაოთ და ოკეანეში გავიდეთ, იქიდან კი გაგვიადვიდლება ევროპაში დაბრუნებაო. ეს წინადადება საფუძვლიანად მიიჩნიეს, მით უმეტეს, რომ პაგანელი ჩვეულებისამებრ არ მოჰყოლია დახლართულ მტკიცებას და დაუსრულებელ მსჯელობას. მან მხოლოდ ის აღნიშნჰა, რომ ოკლენდში მისვლას ხუთი-ექვსი დღე დასჭირდებაო.

მართლაც, ავსტრიიდან ახალ ზელანდიამდე ათას მილზე მეტი არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, უცნაური შემთხვევა იყო, რომ ოკლენდიც ამავე ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობდა, რომლის მიმართულებითაც ისინი შეუსველებლად მიდიოდნენ ჯერ კიდევ არაუკანიიდან. რა თქმა უნდა, გეოგრაფს შეეძლო ეს გარემოებაც მოეყვანა თავისი წინადადების დასასაბუთებლად, რადგან ოკლენდში მისვლით გზადაგზა საშუალება ეძლეოდათ, ახალი ზელანდიის სანაპიროც დაეთავლიერებინათ, მაგრამ პაგანელმა არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით. ალბათ, ვეღარ გაბედა ნაპოვნი ბარათების მესამენაირად განმარტება.

მერეც, ბარათებში გაკრვევით იყო ნათქვამი, რომ კაპიტანი გრანტი გადარჩა მატერიკაზე და არა კუნძულზე. ასეა თუ ისე, როდესაც გლენარვანს ოკლენდში წასვლას ურჩევდა, პაგანელს ფიქრადაც არ მოსვლია, რამე ახალი გეგმა მიეცა გრანტის საძებრად. მხოლოდ მიუთითა, ოკლენდსა და დიდ ბრიტანეთს შორის მუდმივი მიმოსვლაა გაბმული და ჩვენც ამით ვისარგებლებთო.

ჯონ მანგლსმა მხარი დაუჭირა პაგანელის წინადადებას. მით უმეტეს, რომ ტუფოლდის ყურეში შეუძლებელი იყო რომელიმე შემთხვევითი ხომალდის ლოდინი, თუმცა განაცხადა: ჯერ დავათვალიეროთ პაგანელის ნანახი გემი და მერე გადავწყვიტოთო.

გლენარვანი, მაიორი, პაგანელი, რობერტი და ჯონ მანგლსი ნავში ჩასხდნენ და გემის დასათვალიერებლად გაემართნენ. ორანძიანი ხომალდი იყო, ორას ორმოცდაათი ტონის ტევადობისა, რომელსაც ბრიგს უწოდებენ. საკაბოტაჟო ნაოსნობას ეწეოდა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის, ესე იგი მგზავრებსა და ტვირთს ეზიდებოდა.

"მაკარის" კაპიტანი მეტად პირქუში გამოდგა და უზრდელად შეხვდა მათ. მოგზაურებმა მაშინვე იგრძნეს, რა გაუთლელ ადამიანთან ჰქონდათ საქმე. კაპიტანი ბევრით არაფრით განირჩეოდა იმ ხუთი მეზღვაურისაგან, როელიც შეადგენდა "მაკარის" მთელ ეკიპაჟს. მისი წამოწითლებული ბრტყელი სახე, დიდრონი და მსხვილი ხელები, მიჭყლეტილი ცხვირი, ელამი თვალები, ყალიონისაგან შეყვითლებული ტუჩები და პირუტყვული გამომეტყველება სასიამოვნო ადამიანად არ ახასიათებდა ბილ ჰალეის, მაგრამ ჩვენს მოგზაურებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. მეორეც, ამ კაპიტანთან სულ მცირე ხნით მოუხდებოდათ მგზავრობა და აიტანდნენ როგორმე.

- რა ეშმაკი გინდათ აქ? - ასე თავაზიანად შეეგებA იგი მოგზაურებს.

- კაპიტანი გვინდა, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- მე გახლავართ. მერე?

- "მაკარი" ოკლენდში მიდის?

- ჰო! მერე?

- რა ტვირთი მიგაქვთ?

- ყველაფერი, რასაც ყიდიან და ყიდულობენ! მერე?

- როდის გახვალთ?

- ხვალ შუადღისას, ზღვის მოქცევის დროს! მერე?

- მგზავრებს არ წაიყვანთ?

- ვნახოთ! საჭმელი მეზღვაურების ქვაბიდან იქნება!

- მგზავრებს თავისი საგზალი ექნებათ!

- მერე?

- რა მერე?

- რამდენი არიან?

- ცხრანი, მათ შორის ორი ქალი.

- კაიუტები არა მაქვს.

- იოლად წავლენ.

- მერე?

- თანახმა ხართ? - შეეკითხა ჯონ მანგლსი, რომელიც ანგარიშს აღარ უწევდა კაპიტნის აგდებულ სიტყვა-პასუხს.

- მოვიფიქროთ! - მიუგო კაპიტანმა ჰალეიმ და თავისი ტლანქი, ნალებიანი ჩექმებით ბოლთა დაჰკრა გემბანზე. მერე ერთბაშად მოუტრიალდა და მანგლსს წინ აეყუდა.

- რას იძლევით? - იკითხა მან.

- რამდენს თხოულობთ? - კითხვითვე უპასუხა მანგლსმა.

- ორმოცდაათ გირვანქას!

გლენარვანმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

- მოდის! ორმოცდაათი გირვანქა! - კილო შეურჩია ჯონ მანგლსმაც.

- ჭამა-სმის გარდა! - დაურთო ბილ ჰალეიმ.

- დიახ, ჭამა-სმის გარდა.

- მოდის! მერე?

- რაღა მერე?

- ბე?!

- აი, ინებეთ ოცდახუთი გირვანქა, - მიუგო ჯონ მანგლსმა და ხელში ჩაუთვალა ფული. კაპიტანმა კი ისე გააქანა ჯიბისაკენ, რომ მადლობაც არ უთქვამს.

- ხვალ შუადღემდე გემზე უნდა იყოთ! მოხვალთ თუ არ მოხვალთ, მე მაინც გავალ!

- დროზე ვიქნებით.

ამის შემდეგ გლენარვანი, მაიორი, პაგანელი და რობერტი გემიდან ჩამოვიდნენ. ბილ ჰალეის ხელიც არ წაუღია ქუდისაკენ.

- რა მხეცი ვინმეა!... - ჩაილაპარაკა ჯონ მანგლსმა.

- ჩემი აზრით, არა უშავს რა, ნამდვილი ზღვის მგელია, - მიუგო პაგანელმა.

- ზღვის მგელი კი არა, ზღვის დათვია, - შეუსწორა მაიორმა.

- დარწმუნებული ვარ, ეს დათვი წინათ მონებით ვაჭრობდა, - დასძინა ჯონ მანგლსმა.

- მერე, სულერთი არ არის ჩვენთვის? რადგანაც "მაკარის" კაპიტანი ეგ არის და "მაკარი" ახალ ზელანდიაში მიდის, სხვას რას დავეძებთ, - ჩაერთო გლენარვანიც, - ტუფოლდიდდან ოკლენდამდე დიდხანს არ მოგვიწევს მაგისი ცხვირ-პირის ცქერა! შემდეგ კი, ალბათ, სულ ვეღარსად ვნახავთ.

ელენმა და მერი გრანტმა გაიხარაეს, როდესაც შეიტყვეს, რომ ხვალ მიემგზავრებიან, თუმცა გლენარვანმა წინადაწინვე განუმარტა, რომ "მაკარიზე" ისე მოხერხებულად ვერ მოწყობიან, როგორც "დუნკანზე" სჩვევიათ, მაგრამ თანამგზავრ ქალებს იმდენი ტანჯვა-წამება ჰქონდათ გამოვლილი, რომ ეს გარემოება აღარაფრად ჩათვალეს.

საგზლის მომარაგება ოლბინეტს დაევალა. ოლბინეტმა უკვე მრავალჯერ გამოიგლოვა თავისი მეუღლე, რომელიც, ალბათ, კატორღელების მსხვერპლი გახდებოდა "დუნკანზე". ახლა გული ეთუთქებოდა, მაგრამ თავისი მოვალეობის შესრულებას მაინც პირნათლად შეუდგა და მოგზაურებსი ისეთი საუცხოო საგზალი დაუმზადა, რომ "მაკარის" ეკიპაჟი სიზმრადაც ვერ ნახავდა.

მაიორი მაკ-ნაბსი გლენარვანის დავალებით ბანკში ახურდავებდა "საკავშირო ბანკის" მელბურნის განყოფილების ჩეკებს. გლენარვანს არ უნდოდა, გზაში უფულოდ დარჩენილიყო. მან შეავსო აგრეთვე თანამგზავრების შეიარაღება. პაგანელმა კი აქ შეიძინა ჯონსტონისა და ედინბურგის საკარტოგრაფიო დაწესებულების გამოცემული ახალი ზელანდიის საუცხოო რუკა. მიულრედი სავსებით გამოჯანმრთელდა, თითქმის აღარ გრძნობდა ჭრილობას, რომელმა კინაღამ თან გადაიტანა. ზღვის ჰავა საბოლოოდ გამოაცოცხლებდა მას. ის იცნობდა წყნარი ოკეანის მუდმივ სიოს და მის სამკურნალო თვისებას.

ვილსონს დაავალეს მგზავრებისათვის დათმობილი გემის წინა ნაწილი მიელაგ-მოელაგებინა. "მაკარის" კაპიტანი ბილ ჰალეი კი მხრებს იჩეჩავდა, როდესაც ვილსონი ცოცხით ტრიალებდა და "ზედმეტ სისუფთავეს" ამყარებდა გემბანზე. ის არ ფიქრობდა არც გლენარვანზე, არც მის თანამგზავრებზე. მან არ იცოდა და არც მოუწადინებია მათი ვინაობის გაგება. მისთვის ესენი ზედმეტ ტვირთს წარმოადგენდნენ, რომლის გადასაზიდად ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი გაინაღდა. მის თვალში მგზავრები უფრო ნაკლები ღირებულების იყვნენ, ვიდრე ის ტყავეულობა, რომლითაც გამოეტენა გემის ტრიუმი. მისი აზრით, ჯერ ტყვეულობაზე უნდა იზრუნო, მერე ადამიანზე! ის უპირველესად კომერსანტი იყო, ვაჭარი, და კარგი მეზღვაურის სხელიც ჰქონდა დამსახურებული ამ ზღვებში, სადაც უამრავი მარჯნის წყალქვეშა კლდე დიდ ხიფათში აგდებდა ნაოსნობას.

დღე იწურებოდა, როდესაც გლენარვანმა კიდევ ერთხელ მოიწადინა დაეთვალიერებინა ეს სანაპიროები, რომელიც ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობდა. ეს სურვილი ორი მოსაზრებით დაებადა. ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ უნდოდა დაეთვალიერებინა "ბრიტანიის" დაღუპვის ადგილი, დარწმუნებულიყო, რომ აირტონი მართლაც ნამყოფი იყო "ბრიტანიის" შკიპერის თანამშემწედ და ეს ხომალდი მართლაც აქ დაიღუპა. ამიტომ არ უნდოდა, ეს ადგილები დაუთვალიერებელი დარჩენოდა. მეორე - თუ სადმე სანაპიროზე. თუ "დუნკანის" ეკიპაჟს ბრძოლა მოუხდა კატორღელებთან, ეგებ ამ თავგანწირული ბრძოლის ნიშნები მაინც იყო დარჩენილი, ან შეიძლება "დუნკანი" ჩაძირეს და ზღვამ გამორიყა სადმე?!

სასტუმროს პატრონმა საამისოდ ორი ცხენი მოჰგვარა. გლენარვანი და ჯონ მანგლსი გაეშურნენ ტუფოლდის უბისაკენ. გულის ფანცქალით მიერეკებოდნენ ცხენებს. მხარდამხარ მიაჭენებდნენ, უსიტყვოდ, თუმცა ერთიმეორეს გულსი ნადებს გრძნობდნენ. ორივეს ერთნაირი განცდა ტანჯავდა. უსიტყვოდ გასცქეროდნენ ზღვის ტალრებისგან გადალესილ ფრიალო კლდეებს და ერთმანეთის კითხვა-პასუხი აღარ სჭირდებოდათ.

გულდასმით დაათვალიერეს სანაპიროს თითოეული წერტილი, არ გამორჩენიათ არც ერთი ღელე, სანაპიროს არც ერთი კუთხე, სადაც კი ოკეანეს შეეძლო გამოერიყა რამე, მაგრამ ძებნა ამაო გამოდგა - ვერც "ბრიტნიისა" და ვერც "დუნკანის" კვალი ვერსად ნახეს.

ავსტრალიის მთელი სანაპირო სავსებით ვერანი და უკაცური ჩანდა, მაგრამ ბოლოს ჯონ მანგლსმა ზღვისპირა შლამზე შეამჩნია ფეხის კვალი. მაშასადამე, ამ ცოტა ხანში აქ ვიღაც ყოფილა! აგერ, მიმქრალი კერაც! ალბათ, რომელიმე ველური თემი თუ იდგა ბინად ამ რამდენიმე დღის წინ? არა. გლენარვანმა უცებ თვალი მოჰკრა ისეთ ნივთს, რომელიც მოწმობდა, რომ კატორღელები ყოფილიყვნენ.

ეს იყო ნაცრისფერი, ჩაყვითლებული ჩვარი დაფლეთილი პერანგისა, რომელიც ხის ძირას ეგდო და ზედ კიდევ შერჩენოდა პერთის სატუსაღოს დამღა. კატორღელი კი არსად ჩანდა. ალბათ, ეს "დამნაშავის სამკაული" რომელიმე უბადრუკის ტანზე დაიძენძა და ახლა აქ ლპება, ამ უდაბური ზღვის პირას!

- ხედავთ, ჯონ, - უთხრა გლენარვანმა, - კატორღელები ყოფილან! ჩვენი "დუნკანი"! ჩვენი ამხანაგები!

- ვხედავ, - ჩახლეჩილი ხმით ამოიგმინა ჯონ მანგლსმა, - ისინი არ გადმოუსხამთ ნაპირზე... ისინი დაღუპულან!

- ოოჰ, არამზადები! თუ როდისმე ჩავიგდე ხელში, სასტიკად ვიძიებ შურს ჩემი ეკიპაჟის დაღუპვისათვის! - თქვა გლენარვანმა.

მწუხარების სიმკაცრე აღიბეჭდა მის ლმობიერ სახეზე. რამდენიმე წუთს უსიტყვოდ გასცქეროდა ოკეანის ზედაპირს, უნდოდა თვალი მოეკრა რომელიმე ხომალდისათვის. ბოლოს, მის თვალებში განცდა თანდათა ჩაიფერფლა და სახემ ჩვეულებრივი, დინჯი გამომეტყველება მიიღო. მან უსიტყვოდ გამოატრიალა ცხენი იდენისაკენ.

იმ დღეს გლენარვანმა ერთი მოვალეობაც შეასრულა. მან პოლიციაში შეიარა და მომხდარი ამბავი აცნობა. ეს იყო იმავე საღამოს. როდესაც იდენის პოლიციის უფროსი მის ნაამბობს იწერდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ნასიამოვნები იყო. სიხარული მოედო მთელ ქალაქსაც. მოსახლეობას უხაროდა, რომ ბენ ჯოისის ბრბო გასცლოდა მათ არემარეს. ეს ამბავი პოლიციამ მაშინვე დეპეშით ახარა სიდნეის და მელბურნის სასამართლო ორგანოებს.

გლენარვანი ჩვენების მიცემის შემდეგ დაბრუნდა სასტუმრო "ვიქტორიაში", სადაც მოგზაურებმა საღამო ნაღვლიანად გაატარეს. მათი ფიქრები თავს დასტრიალებდა იმ ქვეყანას, რომელმაც ამდენი მწუხარება განაცდევინა მათ. აგონდებოდათ, რა იმედით აღსავსენი გავიდნე ბერნუილის კონცხიდან და რა ვაგლახად დემსხვრათ იმედი ტუფოლდის ყურეში. პაგანელი ატაცებულს ჰგავდა, თითქოს ციებ-ცხელებას აუტანიაო, რომ რაღაც აწუხებდა, სათქმელი ჰქონდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა. რამდენჯერმე სიტყვაც ჩაუკრა, მაგრამ პაგანელმა შორს დაიჭირა. დღეს კი, საღამოთი, როდესაც პაგანელი საუბრით მიაცილა ოთახამდე, ჯონ მანგლსმა პირდაპირ ჰკითხა ნერვიულობის მიზეზი.

- მეგობარო ჯონ, განა ჩვეულებრივზე მეტა ვნერვიულობ?

- პაგანელ, თქვენ რაღაც საიდუმლოება გაწუხებთ და მოსვენებას გიკარგავთ.

- მართალია, მაგრამ რა ვქნა, რომ ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

- სახელდობრ?

- ერთი მხრივ - სიხარული და მეორე მხრივ - სასოწარკვეთილება!...

- ბედნიერება და სასოწარკვეთილება ორივე ერთად?

- დიახ, ჯონ! ბედნიერიც ვარ და სასოწარკვეთილებასაც ვეძლევი, რადგან ახალი ზელანდიის ნახვას ვეღირსები!...

- ნუთუ რაიმე ნიშნებს მიაგენით? - ჰკითხა მანგლსმა.

- არა, მეგობარო ჯონ, არა!... ახალი ზელანდიიდან არ ბრუნდებიან... მაგრამ, მოგეხსენებათ ადამიანის ბუნება! საკმარისია, სუნთქავდეს, რომ სწამდეს კიდეც. მე კი ქვეყანაზე საუკეთესო დევიზი ავირჩიე - "ვსუნთქავ, - მაშასადამე, იმედი მაქვს".

თავი II

წარსული იმ ქვეყნისა, რომლისკენაც მიემართებიან

მეორე დღეს, 27 იანვარს, "მაკარის" მგზავრები გემზე მოთავსდნენ და მათთვის დათმობილ კუთხეში მოეწყვნენ. ბილ ჰლეის ფიქრადაც არ მოსვლია, ქალებისათვის თვისი კაიუტა შეეთავაზებინა, მაგრამ ამის გამო გულნატკენი არავინ დარჩენილა, რადგან მისი ბუნაგი მართლაც მხოლოდ ამ დათვისათვის იყო შესაფერისი.

პირველის ნახევარზე, ზღვის მოქცევა რომ დაიწყო, ღუზა ძლივს, წვალებით ამოათრიეს. თანდათანობით იალქნებიც დაჭიმეს. ხუთი მეზღვაური ზლაზვნით მუშაობდა. ვილსონმა დააპირა წახმარება ეკიპაჟისათვის, მაგრამ ჰალეიმ იწყინა, სხვის საქმეში ნუ ერევითო. ჩვეულებად ჰქონდა, საკუთარი ძალებით გასძღოლოდა საქმეს და არვისაგან იღებდა არც რჩევას, არც შველას. ეს სიტყვები ჯონ მანგლსსაც მოხვდა, რადგან მათი უხეირო ქცევის გამო ღიმილს ვერ იკავებდა, მაგრამ გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო სხვის საქმეში, სანამ ეკიპაჟის უვარგისობის გამო ყველანი არ ჩაცვივდებოდნენ საფრთხეში.

ბოლოს, კაპიტნის ლანძღვა-გინებით ამოძრავებულმა მეზღვაურებმა, როგორც იყო, იალქნები დაჭიმეს. "მაკარი" ზღვაში გავიდა მარცხენა ჰალსზე დაწოლით და პატარა აფრების ფრიალით. ამართული იყო ფოკი, ბრამსელი, სტაქსელი და ლისელი, მაგრამ გემი მაინც ტაატით მიცურავდა. მისი განიერიო ცხვირი, განიერი ფსკერი და მძიმე კიჩო ამტკიცებდა, რომ ის უფრო ნელა მავალი უნდა ყოფილიყო. მეზღვაურების ენაზე ნამდვილი "ვარცლი" გახლდათ, მაგრამ მგზავრები რას გააწყობდნენ, უნდა შერიგებოდნენ ამ გარემოებას. საბედნიეროდ, რაც უნდა ზლაზვნით ევლო "მაკარის", მეხუთე-მეექვსე დღეს მაინც მიჩოცდებოდა ოკლენდამდე.

საღამოს შვიდ საათზე თვალს მიეფარა ავსტრალიის სანაპიროები და იდენის ნავსადგურის შუქურა. მშფოთვარე ზღვა ძალას იჩენდა. გემი ვერ უმკლავდებოდა ტალღებს და ცხვირით წაყირავდებოდა ხოლმე, მგზავრებ საშინლად აქანავებდა, ქანცავდა. ძლიერი წვიმის გამო გემბანზე, ასვლაც შეუძლებელი იყო.

ამგვარად, ჩვენი მგზავრები ტუსაღებივით გამოემწყვდნენ მათთვის დათმობილ ვიწრო კუთხეში. ყველა მათგანი თავის ფიქრს მისცემოდა. საუბარი ნაკლებ ისმოდა. მხოლოდ ელენი და მერი თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ისინიც კანტიკუნტად. გლენარვანი მოუსვენრად იყო. ხან წამოხტებოდა, ხან ჩამოჯდებოდა. მაიორი ჩაკირულივით იჯდა. კაპიტანი მანგლსი და მასთან განუშორებელი რობერტი დროდადრო გემბანზე ადიოდნენ ზღვის დასახედავად. პაგანელი კუთხეში მიკუნჭულიყო და გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა თავისთვის.

ნეტავ რაზე ფიქრობდა პატივცემული გეოგრაფი?

მისი ფიქრი დასტრიალებდა ახალ ზელანდიას, საითაც ახლა მიემართებოდნენ. თვალწინ ედგა ეს კუთხე და ცოცხლად ითვალისწინებდა მის ბნელით მოსულ წარსულს, მაგრამ ამ კუთხის ისტორიაში იყო როდისმე რაიმე ფაქტი, რაიმე შემთხვევა ან მცირეოდენი საბუთი, რომ ეს კუნძულები მატერიკად მიეჩნია? განა თანამედროვე გეოგრაფი ან ზღვამსვლელი ამ სახელწოდებას მიაკვუთვნებდა მას?

ცხადი იყო, პაგანელი ისევ იმ ბარათების გარკვევას და გაგებას ჩაჰკირკიტებდა. ეს აზრი ავადმყოფობად გადაექცა, ერთგვარ მანიად. პატაგონიისა და ავსტრალიის შემდეგ მისი ტვინის მასაზრდოებელი მხოლოდ ერთი სიტყვაღა იყო - ახალი ზელანდია, განსაკუთრებით ერთი საკითხი ტანჯავდა.

- კონტინ... კონტინ... - იმეორებდა იგი, - ეს ხომ უნდა ნიშნავდეს კონტინენტს.

იხსენედა იმ მეზღვაურებს, რომელთაც აღმოაჩინეს ეს ორი კუნძული სამხრეთის ზღვებში. ეს იყო 1642 წლის 13 დეკემბერს. ჰოლანდიელმა აბელ ტასმანმა აღმოაჩინა ვან-დიმენის მიწა და პირველად მიაღწია იმ დროისათვის უცნობი ახალი ზელანდიის ნაპირებს. რამდენიმე დღის განმავლობაში მისდია მის სანაპიროებს და 17 დეკემბერს მისმა ხომალდებმა ვიწრო სრუტეში შეცურეს. ჩრდილოეთით მდებარე კუნძულს "იკა-ნა-მაუი", "მაუის თევზი" ერქვა, სამხრეთით მდებარეს კი - "ტავაი-პუნა-მუ", რაც "წეფრიტის გამჩენ ვეშაპს" ნიშნავდა.

აბელ ტასმანმა თავისი ნავები ნაპირისაკენ გაგზავნა; იქიდან მათ თან მოიყვანეს იქაური მოღრიანცელე ხალხით სავსე ორი ნავი. საშუალო ტანისა იყვნენ. მუქი მოყვითალოკანიანი, მსხვილძვალა, შავი სადა თმით, რომელიც თეთრი ფრთებით ჰქონდათ შემკული. ადგილობრივ მცხოვრებთა ასეთი შეხვედრა ევროპელებთან თითქოს ხანგრძლივი კეთლგანწყობის თავდები იყო, მაგრამ მეორე დღეს, როესაც ტასმანის ერთი ნავი გაემართა გემებისთვის უფრო მოხერხებულ და მახლობელი ნაპირის გამოსარჩევად, მას ელვის სისწრაფით დაესხა თავს იქაურობით გავსებული შვიდი მორა-ნავი. ტასმანის ნავი გადაიზნიქა და წყლით გაივსო. ბოცმანს შუბი აძგერეს მკერდში და ზღვაში გადაუძახეს. მისი ექვსი ამხანაგისგან ოთხი მოკლეს. ორი მეზღვაური მიეშველა ბოცმანს: იგი ცურვით წაიღეს თან და გემებს შეაფარეს თავი.

ამ უბედური შემთხვევის შემდეგ ტასმანმა მაშინვე ღუზა ახსნა; მან ჯავრის ამოსაყრელად რამდენჯერმე ესროლა მუშკეტი ველურებს და, ალბათ, ზიანიც ვერ მიაყენა, მერე გასცილდა უბეს, რომელსაც ამის შემდეგ "ჟლეტის უბე" დაერქვა.

ტასმანი დასავლეთის სანაპიროსაკენ გაემართა და 5 იანვარს ღუზა ჩაუშვა ამ კუნძულის ჩრდილო კიდურზე. რადგანაც ეს ადგილები მრავალი წყალქვეშა კლდით იყო მოფენილი და ადგილობრივი მკვიდრნიც მტრულად შეხვდნენ, ტასმანმა აქ წყალიც კი ვერ მოიმარაგა და საბოლოოდ მიატოვა ეს ადგილები, რომელსაც უწოდა "შტატების მიწები" - ჰოლანდიის გენერალური შტატების პატივსაცემად.

ჰოლანდიელ ზღვაოსანს ეგონა, ვითომ ეს მიწები საზღვრავდა ამავე სახელწოდების კუნძულებს, რომლებიც აღმოაჩინა ცეცხლოვანი მიწის აღმოსავლეთით, ამერიკსი სამხრეთ კიდურთან. ეგონა, სამხრეთის ზღვების დიდი მატერიკი იპოვა.

- მეჩვიდმეტე საუკუნის ზღვამსვლელს შეეძლო მატერიკი ეწოდებინა კუნძულისათვის, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეზღვაური შეცდომას არ გაიმეორებდა! - ესაუბრებოდა თავის თავს პაგანელი და თვითონვე უპასუხებდა, - არა, არა! ალბათ, მე ვერ ვერკვევი, ვერ ვამჩნევ...

ტასმანის აღმოჩენა მივიწყებული იყო მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში. თითქოს ახალი ზელანდია აღარც კი არსებობდა, სანამ ფრანგი ზღვამსვლელი სიურვილი გემებით არ მიადგა ამ ქვეყანას განედის 35°´37-ზე.

პირველ ხანებში ადგილობრივ მცხოვრებთ არაფერში ემდუროდა. ერთხელ ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. თანდათან გრიგალი საშიში გახდა, ასე რომ, საჭირო შეიქმნა ავადმყოფების გადაყვანა ნაპირზე. ნავი ტალღებში შეასრიალეს "თავშესაფრის უბეში". აქ ადილობრივი თემების ერთ-ერთი ბელადი შემოეგებA ფრანგებს და თავის კარავში მიიწვია. ყველაფერი რიგზე იყო. სიურვილს დაეკარგა ნავი და სთხოვა ბელადს, დაუყოვნებლივ დაებრუნებიათ იგი, მაგრამ არ დააბრუნეს. მაშინ მთელი სოფლის დასასჯელად ცეცხლს მისცა იგი და გაანადგურა. ეს უმართლებულო სა ველური შურისძიება საბაბის გახდა სასტიკი ბრძოლებისა, რომლებიც ხშირად ხდებოდა ახალ ზელანდიაში.

1769 წელის 6 ოქტომბერს ამ სანაპიროებს მოადგა გამოჩენილი მოგზაური კუკი და თავისი ხომალდებით ტაუე-როას ყურეში გაჩერდა. კარგი მოპყრობით შეეცადა ადგილობრივ მცხოვრებთა გული მოეგო, მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც არავინ ეკარებოდა ახლოს. კუკმა ორიოდე ადგილობრივი მცხოვრები გემზე გაიტაცა და შეეცადა, მოემადლიერებინა ისინი. ტყვეებს ფიანდაზად ეგებოდა, ალერსითა და საჩუქრებით მოინადირა მათი გული და ისე გაათავისუფლა. ამის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებნი ნებით ესტურნენ ხომალდზე და აღებიმიცემობაც გააბეს მასთან. რამდენიმე დღის შემდეგ კუკი გაემართა გოუკსის ყურეში, რომელიც ჩრდილოეთის კუნძულის აღმოსალვეთ ნაპირზე მდებარეობდა. იქაური მოსახლეობა ისეთი ამხედრებული დახვდა, რომ კუკი იძულები გახდა ფინდიხით დაეშოშიმნებინა ისინი.

20 ოქტომბერს კუკის გემი "ინდეევორი" ტოკომოლუს ყურეში გაჩერდა, სადაც მშვიდობიანი თემები სახლობდა, სულ ორასიოდე სული. გემზე მყოფმა ბოტანიკოსებმა ამ მიდამოში საგულისხმო გამოკვლევა ჩაატარეს. ისინი ადგილობრივ მცხოვრებთ გადაჰყავდათ ადგილიდან ადგილზე თავიანთი მორა-ნავებით. კუკმა შეიარა ორ სოფელში,

რომლებსაც გარშემო ღობე და ორი წყება თხრილი ჰქონდა შემოვლებული. კარგად ნაგები მთავარი სიმაგრე კლდეზე იყო მოთავსებული და ზღვის მოქცევის დროს კუნძულად იქცეოდა ხოლმე. წყალი არამცთუ გარს ეკვროდა სიმაგრეს, არამედ თვითონ სიმაგრეშიც შედიოდა მაღალ კამარაზე გადავლით და ამ კამარაზედვე იყო დაყრდნობილი თვითონ სიმაგრეც. კუკმა აქ ხუთი თვე დაჰყო, შეაგროვა სანტერესო ნივთები, ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური კოლექციები და 31 მარტს მიატოვა ახალი ზელანდია, ხოლო ამ ორივე კუნძულშუა არსებულ სრუტეს თავისი სახელი უწოდა.

1773 წელს ეს დიდებული მეზღვაური ხელმეორედ ესტუმრა გაუკოსის ყურეს და მოწმე გახდა კაციჭამიობის შემთხვევისა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამაში ბრალი ედო თვით კუკის თანამგზავრებს; კუკის ერთი ოფიცერი ზღვის პირას ახალგაზრდა ადგილობრივი მცხოვრების აკუწულ გვამს წააწყდა, გემზე გადაიტანა, მოახარშვინა და ადგილობრივ მცხოვრებთ მიართვა საჭმელად. ისინიც ხარბად შეექცნენ. ვერაფერი გასართობია მზარეულობა კაციჭამიების ნადიმზე!

კუკი მესამედაც ესტუმრა ახალ ზელანდიას. ამ მგზავრობის დროს მან შეავსო თავისი ჰიდროგრაფიული დაკვირვებანი და ახალი ზელანდია უკანასკნელად 1777 წლის 25 თებერვალს დატოვა.

1791 წელს ვანკუვერი ოცი დღით გაჩერდა სომბრის უბეში, მაგრამ მას არაფერი შეუძენია არც გეოგრაფიული და არც საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის.

1793 წელს დ´ ანტრკასტომ გამოიკვლია ი-კა-ნა-მაუის ჩრდილო სანაპიროები ოცდახუთი მილის მანძილზე. აქვე მცირე ხნით ყოფილან სავაჭრო ფლოტის კაპიტნები ჰაუზენი და დალრიმპი, შემდეგ ბადენი, რიჩარდსონი და მოოდი. ბოლოს დოქტორმა სევეჯმა დაჰყო აქ ხუთი კვირა და ამ ხნის განმავლობაში საგულისხმო ცნობები შეკრიბა ახალზელანდიელების ზნე-ჩვეულებებზე.

1805 წელს ბელად რანგი-ჰუს ძმისწული დუა-ტარა კაპიტან ბადენს გემ "არგოზე" გაჰყვა. შესაძლოა, ოდესმე დუა-ტარას თავგადასავალი ვინმე მაორმა ჰომეროსმა სიმღერად აქციოს. საბრალო ველურს წილად ხვდა მრავალი უსამართლობის, დამცირებისა დაცინვის გადატანა. სამსახურის გაწევის სამაგიეროდ მას უნდობლად ეპყრობოდნენ, სცემდნენ და ატუსაღებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რა აზრისა უნდა გამხდარიყო ეს ადამიანი იმ ხალხზე, რომელიც თავის თავს ცივილიზებულს უწოდებდა.

ის ლონდონში წაიყვAეს. გემზე უკანასკნელი მეზღვაურის ადგილი მისცეს. მთელი ეკიპაჟის სამასხარაოდ იყო ქცეული, მაგრამ გამოჩნდა ღვთისნიერი მისიონერი მარსდენი, რომელმაც იხსნა ის დაღუპვისაგან. მარსდენი დაინტერესდა ამ გონიერი, მტკიცე ნებისყოფისა და კეთილი ახალგაზრდა ველურით და თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა. უშოვა რამდენიმე ტომარა ევროპული მარცვლეული სათესლედ და სამიწათმოქმედო იარღები, რომ თავის სამშობლოში წაეღო, მაგრამ დუა-ტარას ყველაფერი მოჰპარეს. მისმა უბედურებამ 1814 წლამდე გასტანა, მანამ არ ეღირსა თავის მშობელ ტომს დაჰბრუნებოდა და სწორედ იმ დროს, როდესაც ის ამ სისხლისმღვრელი ველური ახალზელანდიელების განათლებას შეუდგა, სიკვდილმაც მოუსწრო. დუა-ტარა ოცდარვა წლისა გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა დიდი ხნით შეაჩერა ახალი ზელანდიის წინსვლა. სხვა აღარ აღმოჩნდა მასავით განათლებისმოყვარე და მასავით დიდი პატრიოტი.

1816 წლამდე ახალი ზელანდია ისევ დავიწყებას მიეცა. ამ წელს კი ეს კუნძულები გამოიკვლია ტომპსონმა, 1817 წელს ნიკოლასმა და 1819 წელს კი ორივე კუნძული მარსდენმა ინახულა.

1820 წელს 24-ე ქვეითი ათასეულის კაპიტანმა რიჩარდ კრუისმა ათი თვე გაატარა აქ და ამ ხნის განმავლობაში მეცნიერებისათვის ძვირფასი მასალა დააგროვა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ.

1824 წელს ამ კუნძულების უბეში ორი კვირით გაჩერდა "ნიჟარის" მეთაური დუპრეი, რომელმაც დიდად შეაქო მოსახლეობის ყოფაქცევა.

1824 წელს ვეშაპებზე მონადირე გემ "მერკურის" თავს დაესხნენ ადგილობრივი მძარცველები. იმავე წელს, პირიქით, ორჯერ დიდი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ კაპიტან დილიონს.

1827 წლის მარტს "ასტროლაბიის" მეთაურმა, გამოჩენილმა დიუმონ-დიურვილმა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, ზღვის პირას, სავსებით უხიფათოდ გაატარა რამდენიმე ღამე უიარაღოდ. მათთან ქოხებში ცხოვრობდა, სიმღერასა და საჩუქრების გაცვლა-გამოცვლაში იყვნენ და ზღვის სანაპიროების სურათებიც გადაიღო. სწორედ მისი ნამუშევრის საფუძველზე დაამუშავეს ჩინებული რუკები, რომლებიც საზღვაო საადმირალოში ინახება.

1828 წელს კუნძულებს ესტუმრა ინგლისური გემ "ჰაუსის" კაპიტაჯნი ჯონ ჯემსი, რომელიც ჯერ კუნძულების სრუტეში გაჩერდა, მერე კი აღმოსავლეთის კონცხისაკენ გაემართა და იქ ძლივს გადაურჩა ენარაროს მცხოვრებთა ერთი ბელადის მუხანათობას. მისი გემის ეკიპაჟიდან რამდენიმე კაცი წარმოუდგენელი წამებით მოკლეს.

ასეთია ერთიმეორის საიწინააღმდეგო ფაქტები ახალზელანდიელების შესახებ, კაცთმოყვარეობისა და ბარბაროსობის მაგალითები, მათი სიმკაცრე თეთრკანიანების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების შედეგად უნდა ჩაითვალოს. მართალია, უსაბაბოდაც დასხმიან თავს უცხოელებს, მაგრამ ასეთი რამ უფრო იშვიათია. უმეტეს შემთხვევაში ისინი შურს იძიებდნენ უცხოელებზე.

სამწუხარო ის იყო, რომ შურისძიების მსხვერპლად ხშირად სრულიად უდანაშაულო ადამიანები ხდებიან. დიუმონ-დიურვილის შემდეგ ახალი ზელანდიის ეთნოგრაფიული აღწერა მამაცმა მკვლევარმა ირლმა გააგრძელა, რომელმაც დედამიწას ორჯერ შემოუარა. მან დაათვალიერა ორივე კუნძულის გამოუკვლეველი მიდამოები. პირადად მას არ მისცემია საბაბი ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილო დარჩენილიყო, მაგრამ არაერთხელ გამხდარა მოწმე მათი კაციჭამიობისა.

ახალზელანდიელები ერთმანეთს საოცარი სიხარბით ჭამდნენ. ამასვე ადასტურებს კაპიტანი ლაპლასი, რომელმაც კუნძული 1831 წელს ინახულა. ამ ხანებში ტომებს შორის ბრძოლები უფრო გახშირებული იყო და უფრო სისხლისმღვრელიც, რადგან ველურები ევროპულ იარაღს დაუფლებოდნენ და ჩინებულადაც ხმარობდნენ. ამიტომ იყო, რომ ოდესღაც აყვავებული ი-კა-ნა-მაუის მხარე უდაბნოდ იქცა. უამრავი ტომი მოისპო ისე, როგორც ცხვრის ფარები წყდება. დღევანდლამდე ახალზელანდიელთა ტომები განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს. ისინი სულაც არ ჰგვანან თვინიერ ავსტრალიელებს, რომლებიც სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან ევროპელ დამპყრობლებს და მათ უდაბნოებში განერიდებიან. ახალზელანდიელები შემოსეულ მტერს ებრძვიან, სძულთ დამმონებული ინგლისელები.

ასეთი სურათებით ეხატებოდა პაგანელს თვალწინ ახალი ზელანდიის ისტორია. მისი ტვინი მოუთმენლობით იწვოდა, მაგრამ მთელ ამ ისტორიაში არაფრით მტკიცდებოდა, რომ ამ ორკუნძულა ქვეყნისათვის როდისმე მატერიკი ეწოდებინათ. ამის გამო კაპიტან გრანტის ბარათებში ნახმარი სიტყვა "contin" საგონებელში აგდებდა.

თავი III

ჟლეტა ახალ ზელანდიაში

ოთხი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც "მაკარიმ" ფუტოლდის ყურიდან გაცურა და 31 იანვარს ჯერ ორი მესამედიც არ გაევლო იმ მანძილისა, რომელიც გადაჭიმულია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის მდებარე ოკეანის ნაწილზე.

ბილ ჰალეი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას გემს, რომელიც ბედის ამარა ჰყავდა მიგდებული. მგზავრები იშვიათად ხედავდნენ მას, თუმცა ამის გამო ბედს არავინ უჩიოდა. სულაც თავის კაიუტაში რომ ბრძანებულიყო, სწინააღმდეგო ვის რა ექნებოდა, მაგრამ ეს

ხეპრე შკიპერი ყოველდღე ჯინით და ბრენდით იბრუჟეებოდა. არც მეზღვაურები ჩამორჩებოდნენ მას. ალბათ, არც ერთი ხომალდი არსად ყოფილა ასე, ტალღების ნებაზე მიგდებული, როგორც "მაკარი". ამ შეუწყნარებელი დაუდევრობის გამო ჯონ მანგლსი იძულებული გახდა, მუდამ ფხიზლად ყოფილიყო. მიულრედისა და ვილსონს არაერთხელ მიუმართავთ საჭე ქარის მხარეს, როდესაც გემი გვერზე გადაზნექილა, მაგრამ როგორც კი ბილ ჰალეი შეამჩნევდა, ორივე მეზღვაური ლანძღვა-გინებით ამკობდა. მიულრედი და ვილსონი უკადრისობდნენ შეურაცხყოფას, რამდენჯერმე უნდოდათ მიებეგვათ ეს ლოდი და ნაპირზე გადასვლამდე ტრიუმში ჩაემწყვდიათ, მაგრამ ჯონ მანგლსი მათ სამართლიან გულისწყრომას ამშვიდებდა.

გემის ასეთი მდგომარეობა მასაც აფიქრებდა. რადგან გლენარვანის შეწუხება არ უნდოდა, მხოლოდ მაიორსა და პაგანელს გაუზიარა თავისი მოსაზრება. მაკ-ნაბსმა იგივე რჩევა მისცა მას, რასაც ფიქრობდნენ მისი მეზღვაურებიც, თუმცა სხვა სიტყვებით:

- თუ საქმე მოითხოვს, უყოყმანოდ უნდა იკისროთ გემის უფროსობა, ჯონ! - უთხრა მან, - ხოლო როდესაც ოკლენდში გადავალთ, ეგ ლოთი ისევ თავის გემის ბატონ-პატრონი გახდება და მერე სადაც ენებოს, იქ დაიღუპოს.

- ცხადია, ბატონო მაკ-ნაბს, თუ საჭიროება მოითხოვს, ასეც მოვიქცევი, -მიუგო ჯონ მაგლსმა, - მაგრამ სანამ გაშლილ ზღვაში ვიმყოვებით, მხოლოდ მეთვალყურეობაც კმარა. მე და ჩემი მეზღვაურები გემბანს არ ვცილდებით, მაგრამ თუ ნაპირზე მიახლოებისას ბილ ჰალეი არ გამოფხიზლდა, უნდა გამოგიტყდეთ, გასაჭირში ჩავვარდბი.

- რატომ, განა გემის წაყვანა არ შეგიძლიათ? - ჰკითხა პაგანელმა.

- გამიძნელდება, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ვერც კი დაიჯერებთ, რომ გემზე რუკაც არ მოეპოვებათ!

- ნუთუ?!

- დიახ. "მაკარი" მხოლოდ საკაბოტაჟო ნაოსნობას ეწევა იდენსა და ოკლენდს შორის. ბილ ჰალეი ისეა მიჩვეული ამ ადგილებს, რომ სულ არ იკვლევს გემის მდებარეობას ზღვაზე.

- ალბათ, დარწმუნებულია, რომ ხომალდმა გზა თვითონაც კარგად იცის და თავისუფლად მისრიალებს იქით, საითაც საჭიროა, როგორც ცხენმა იცის გზა თავლისაკენ, - ჩაურთო პაგანელმა.

- ოჰოჰო! არაფერი მწამს ისეთი გემებისა, რომლებიც თავის ნებაზე დაყიალობენ, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - თუ ნაპირზე მიახლოების დროსაც ბილ ჰალეი მთვრალი აღმოჩნდა, დიდ საფრთხეში ჩაგვყრის.

- იმედი ვიქონიოთ, რომ ნაპირის სიახლოვე გონიერებას დაუბრუნებს.

- მაშ, საქმე რომ გაჭირდეს, "მაკარის" ოკლენდში ვერ მივიყვანთ? - ჰკითხა მაკ ნაბსმა.

- ყოვლად შეუძლებელია, სანაპიროს რუკა ხელთ თუ არ გვექნება. სანაპიროებთან მისასვლელი გზები ძალიან სახიფათოა. ეს ნაპირები წარმოადგენს ნორვეგიის მსგავს პატარ-პატარა უსწორმასწორო ფიორდებს უამრავი წყალქვეშა კლდით, მათ გვერდის ასავლელად დიდი გამოცდილებაა საჭირო. რაც უნდა მაგარი გემი იყოს, უეჭველად დაიღუპება, თუ მისი ხერხემალი ერთ-ერთ ასეთ კლდეს დაეჯახა, რომლებიც წყალქვეშ რამდენიმე მეტრის სიღრმეზეა ჩამალული.

- მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ეკიპაჟმა ნაპირისაკენ ნავებით უნდა გაცუროს და ისე უშველოს თავს? - იკითხა მაიორმა.

- დიახ, ბატონო მაკ-ნაბს, რა თქმა უნდა, თუ ამინდიც ხელს შეუწყობს.

- ვერაფერი გამოსავალია! - მიუგო პაგანელმა, - ახალი ზელანდიის სანაპიროები არც ისე სტუმართმოყვარეა. ამ ნაპირებზე გადასვლა უფრო სახიფათოა, ვიდრე ზღვაზე ყოფნა.

- თქვენ ალბათ მაორების ტომს გულისხმობთ, პაგანელ? - შეეკითხა ჯონ მანგლსი.

- დიახ, ჩემო მეგობარო, ინდოეთის ოკეანეში მათი სახელი ყველგან ცნობილია. აქ ვერ შეხვდებით უწყინარ და განუვითარებელ ავსტრალიელებს. აქ ნახავთ ვერაგ და სისხლისმსმელ თემებს, კანიბალებს, ადამიანის ხორცისმოყვარე ანთროპოფაგებს, რომელთაც დანდობა არ სჩვევიათ.

- მაშასადამე, კაპიტან გრანტის ხომალდი, რომ ახალი ზელანდიის სანაპიროზე დაღუპულიყო, მის საძებნელად გამგზავრებას აღარ გვირჩევდით?

- ზღვის პირას გირჩევდით, რადგან შეიძლება "ბრიტანიის" რაიმე კვალი გვეპოვა, - მიუგო გეოგრაფმა, - მაგრამ ამ კუთხის შუაგულისკენ კი არავითარ შემთხვევაში, რადგან უაზრობა იქნებოდა. ყოველი ევროპელი, ვისაც კი ოდესმე გაუბედავს ამ ქვეყნის სიღრმეში შესვლა, ტყვედ ჩავარდნია მაორებს. მათი ტყვე კი წინდაწინვე განწირულია სასიკვდილოდ. მე ჩემს მეგობრებს პამპასებისა და ავსტრალიის გადასასვლელად ვაქეზებდი, მაგრამ არავის არასოდეს ვურჩევ ახალი ზელანდიის ბილიკებს ქვეყნის შუაგულისაკენ გაჰყვეს. სულ იმის ნატვრაში ვარ, ეს არ მოგვიხდეს და ახალზელანდიელებს არ ჩავუცვივდეთ ხელთ.

პაგანელის შიში საფუძვლიანი იყო. ახალ ზელანდიას შემზარავი სახელი აქვს დამსახურებული და მის აღმოჩენასთან დაკავშირებული მოვლენა სისხლით არის აღბეჭდილი. ახალი ზელანდიის გამოკვლევის დროს დაღუპული ადამიანების ჩამოთვლა მრავალ ფურცელს დაიკავებდა. ამ სიის დასაწყისში უსათუოდ მოექცეოდა აბელ ტასმანის ხუთი მეზღვაური, რომლებიც დახოცეს და შეჭამეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა; ასეთივე ბედი ეწია კაპიტან ტუკლეისა და მისი ბარკასის ეკიპაჟს. ფობის სრუტის აღმოსავლეთით "სიდნეი-კოვის" მეთევზეებმა სიცოცხლე ველურების საქეიფო სუფრაზე დაამთავრს. სანამ მარიონ დიუფრეის სამწუხარო ისტორიას გიამბობდეთ, მოვიგონებ ბრიგ "ძმებიდან" ოთხ მეზღვაურს, რომლებიც ველურებმა შეჭამეს ნავსადგურ მოლინოში; გენერალ ჰაიტსის რაზმის ბევრ ჯარისკაცს, "მატოლიდიდან" გაქცეულ სამ დეზერტირს და კიდევ სხვა მრავალს.

1772 წლის 11 მაისს, მალევე კუკის პირველი მოგზაურობის შემდეგ, ამ კუნძულების ყურეში გაჩერდნენ "მასკარენის" კაპიტანი მარიონი და "კასტრისის" კაპიტანი კროზე. ახალი ზელანდიის მოსახლეობამ ახალმოსულები ჩინებულად მიიღო. თითქმის მორცხვად ერიდებოდნენ ზღვამსვლელებს, რომელთაც საჩუქრების დარიგება და ალერსიანი მოპყრობა დასჭირდათ, სანამ ახალზელანდიელებს ხომალდზე მიიტყუებდნენ.

დიუმონ-დიურვილის თქმით, მათი ბელადი ტაკური ვანჩარის თემიდან იყო და ნათესავი ყოფილა იმ ახალზელანდიური ველურისა, რომელიც მარიონის მოსვლამდე ორი წლით ადრე დიურვილს გაეტყუებინა ევროპაში.

იმ ქვეყანაში, სადაც მეომრის სახელი ვაჟკაცს ავალდებულებს, რომ შეურაცხყოფა სისხლით ჩამოირეცხოს, გასაგებია, რომ ტაკურიც არ დაივიწყებდა მისი თემისათვის მიყენებულ შეურაცხყოფას. ის მოთმინებით ელოდა ევროპული გემის მოსვლას, შურისსაძიებლად ემზადებოდა და ბოლოს უმკაცრესი გულგრილობით სისრულეშიაც მოიყვანა იგი.

ტაკურიმ ევროპელების წინაშე მოკრძალება გამოიჩინა და ყოველი ღონე იხმარა მათი სიფხიზლის მისაძინებლად, მათ გულში სრული უშიშროების ჩასანერგავად. ტაკური თავისი ამხანაგებით ხშირად რჩებოდა ხომალდებზე. თან მოჰქონდათ საუცხოო თევზეული, მოჰყავდათ თავიანთი ცოლები და ქალები. მალე ისწავლეს ოფიცრების სახელებიც და თავისთან მიიპატიჟეს სოფელში.ა სეთი ყურადღებით მოხიბლული მარიონი და კროზე ესტუმრნენ მათ; მAთთან ერთად ჩამოუარეს სანაპიროს მთელ მოსახლეობას, რომელთა რიცხვი ოთხი ათას აღწევდა. ველურები უიარაღოდ ეგებებოდნენ სტუმრებს და ცდილობდნენ, მათი ნდობა დაემსახურებინათ. კაპიტანმა მარიონმა კუნძულების უბეში ღუზა ჩაუშვა და გადაწყვიტა, "კასტრისათვის" ანძები გამოეცვალა, რადგან ქარტეხილებისაგან დაძაბუნებული და დაზიანებული იყო. ამ მიზნით 23 მაისს დიდებული კედრის ტყე შეარჩია, რომელიც ხომალდებიდან ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული.

ორივე ეკიპაჟის ორი მესამედი ნაწილი ცულებითა და სხვა ხელსაწყო-იარაღებით გადმოიყვანა. დაიწყეს ხეების ჭრა, ყურემდე გზის გაყვანა. შეარჩიეს ორი სადარაჯო ადგილიც - ერთი პატარა კუნძულ მოტუაროზე, სადაც გადაიყვანეს ექსპედიციის ავადმყოფები, მჭედლები და ხუროები; მეორე სადარაჯო კი დიდ კუნძულზე, ოკეანის პირას, ხომალდებიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე მოაწყვეს. აქედან მუმდივი მიმოსვლა ჰქონდათ ხურო-მჭედლების ბანაკამდე.

ჯან-ღონით სავსე მაორები მეზღვაურებს უსიტყვოდ ეხმარებოდნენ, მაგრამ კაპიტანი მარიონი მაინც ფხიზლად იყო, ხომალდზე იარაღით არ უშვებდა, თავის ნავები კი მუდამ შეიარაღებული ჰყავდა. მაორებმა მაინც მოახერხეს და თვალი აუბეს მარიონსა და მის ოფიცრებს. ასე რომ, რაზმის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ მატროსებს უიარაღოდ ევლოთ. კაპიტანი კროზე ცდილობდა, დაერწმუნებინა მარიონი, რომ ასეთი განკარგულება არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ ვერას გახდა. ახალზელანდიელებმა გააორკეცეს თავაზიანობა და ერთგულება. მათი ბელადები და ხომალდის ოფიცრები მეგობრულა ცხოვრობდნენ. ტაკურიმ რამდენჯერმე მიიყვანა ხომალდზე თავისი ვაჟი, რომელიც ოფიცრების კაიუტაში იძინებდა ხოლმე. 8 ივნისს, როდესაც მარიონი ნაპირზე გადავიდა, იგი მთელმა მოსახლეობამ "უმაღლეს ბელადად გამოაცხადა, მისი ქუდი თეთრი ფრთებით შეამკო.

ასე მშვიდობიანად გაიარა ოცდაცამეტმა დღემ. ფრანგული ხომალდების შესაკეთებლად მუშაობა წინ მიდიოდა. ცისტერნებს ავსებდნენ მოტუაროს კუნძულის წყაროების წყლით. კაპიტანი კროზე პირადად მეთვალყურეობდა სადურგლო მუშაობას ამ სადარაჯოზე. ყველანი დაწმუნებულნი იყვნენ, რომ დაწყებულ საქმე სრული წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

12 ივნისს, ნაშუაღამევს ორ საათზე, რაზმის უფროსის ველბოტი[1] ტაკურის სოფლისაკენ სათევზაოდ გასასვლელად გამზადებული იდგა. მარიონი ამ ნავით გაემგზავრა ორი ახალგაზრდა ოფიცრისა და თორმეტი მეზღვაურის თანხლებით. მას ახლდა ტაკური და მაორების ხუთი სხვა მეთაური. ნავი ნაპირისაკენ გაემართა და მალე მიეფარა თვალს.

იმ საღამოს კაპიტანი მარიონი ხომალდზე არ დაბრუნებულა. ამ გარემოებას არავინ შეუშფოთებია, რადგან დურგლების სადარაჯოზე ეგულებოდათ. მეორე დღეს, დილის ხუთ საათზე "კასტრის" ნავი ჩვეულებისამებრ წყლის მოსატანად გავიდა მოტუ-აროს კუნძულზე და მშვიდობიანად დაუბრუნდა უკან. ცხრა საათზე "მასკარენის" მოდარაჯემ ზღვაში შეამჩნია კაცი, რომელიც ქანცგაწყვეტილი მოცურავდა ხომალდებისაკენ. ნავი მიაშველეს და ხომალდზე აიყვანეს.

ეს იყო ტურნერი, კაპიტან მარიონის ერთ-ერთი მენიჩბე, რომელიც ფერდში ორგან შუბით იყო დაჭრილი. ისღა გადარჩენილიყო იმ ჩვიდმეტი კაცისაგან, რომლებიც გუშინ გაისტუმრეს ხომალდიდან. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა: მარიონის ნავი სოფელს დილის შვიდ საათზე მიადგა. მოსახლეობა სიხარულით შეეგება სტუმრებს. ოფიცრები და მეზღვაურები მხრებზე შეისხეს და ისე გაიყვანეს ნაპირზე, ფეხები რომ არ დასველებოდათ. ფრანგები მოსახლეობაში გაიფანტნენ. _____

1 ექვსნიჩბიანი სათევზაო ან მაშველი ნავი.

ამით ისარგებლეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა; დაერივნენ შუბებით, კეტებითა და კასტეტებით. თითოს ათი კაცი ესეოდა და მთლად ამოწყვიტეს. მხოლოდ ტურნერი გადარჩა, მას ორჯერ აძგერეს შუბი, მაგრამ გაუსხლტა და ბარდებში მიიმალა. იქიდან ხედავდა, როგორ გააძრეს დახოცილებს ტანსაცმელი, გაუფატრეს მუცლები, აკუწეს ნაჭრებად და ქეიფი გამართეს.

ტურნერი მაორების შეუმჩნევლად მიფოფხდა ნავამდე და ზღვაში შეცურა. ბოლოს ტურნერი "მასკარენის" ნავმა გადაარჩინა და ხომალდზე აიყვანა. ამ ამბავმა ორი გემის ეკიპაჟს თავზარი დასცა. გაისმა შურისძიების შემახილები, მაგრამ შურისძიებამდე ჯერ ცოცხლები უნდა გადაერჩინათ. ნაპირზე სამი სადარაჯო ჰქონდათ და სამივეს მაორები შემორტყმოდნენ. რადგან კაპიტანი კროზე გემზე არ იმყოფებოდა და ღამე დურგლებთან დარჩენილიყო, პიველი ბრძანება უფროსმა ოფიცერმა დუკლემერმა გასცა. "მასკარენის" ნავი ერთი ოფიცრითა და მეზღვაურების რაზმით გაემგზავრა დურგლების მისაშველებლად. დაზვერვეს სანაპირო, ნახეს უბედური მარიონის ველბოტი და ნაპირზე გადავიდნენ.

კაპიტანი კროზე დურგლების სადგურთან სადარაჯოზე იდგა და მომავალი რაზმი რომ დაინახა, მიხვდა, უბედურება მომხდარაო, გამოეგება და ყველაფერი შეიტყო. მოსული ამხანაგები გააფრთხილა, დურგლებთან ნურას გაამხელთ, არ შეშფოთდნენო. დარაზმულ მაორებს მაღლობები დაეკავებინათ. კაპიტანმა კროზემ თავისიანებს უბრძანა, უმთავრესი ხელსაწყო-იარაღები თან წაეღოთ, დანარჩენი კი მიწაში ჩაეფლოთ. ბოლოს ყველა

ფარდული ცეცხლს მისცა და სამოცი კაცით გამოემართა ნავისაკენ. მაორები ფეხდაფეხ აედევნენ და აღიზიანებდნენ: "ტაკურიმ მოკლა მარონი"! აღელვებულმა მეზღვაურებმა მათკენ გაიწიეს, მაგრამ კროზემ შეაჩერა... ასე გაიარეს სამი კილომეტრი, ზღვის პირს მიაღწიეს და ნავებში ჩასხდნენ. ამ დროს ათასამდე მაორი უძავად იჯდა ნაპირზე, მაგრამ რაწამს ნავი ნაპირს მოწყდა, ქვები დაუშინეს სეტყვასავით, მაშინ კი ოთხმა მეზღვაურმა აუტეხა თოფის სროლა და მაორებს ყველა მეთაური დაუხოცა. მაორები განცვიფრებული დარჩნენ, მათთვის ჯერ თოფის ძალა უცნობი იყო.

კაპიტანი კროზე "მასკარნეზე" ავიდა და იმწამსვე ნავი გაგზავნა მოტუ-აროს კუნძულისაკენ, სადაც ღამით ჯარისკაცების რაზმი დატოვა. იქიდან ჯარისკაცების თანხლებით ავადმყოფები გემზე გადაიყვანეს.

მეორე დღეს სადარაჯოზე რაზმი გააძლიერეს. საჭირო იყო, ამ კუნძულიდან გაედევნათ მოზღვავებული მაორები, რადგანაც წყლის ცისტერნები ასავსები ჰქონდათ.

სოფელ მოტუ-აროში სამასი სული ცხოვრობდა. ფრანგები შეესივნენ სოფელს, ექვსი ბელადი მოკლეს ხიშტითა და სოფელი გადაბუგეს, მაგრამ "კასტერი" უანძებოდ ხომ ვერ გავიდოდა ზღვაში და კაპიტანმა კროზემ ძალაუნებურად გადაიფიქრა კედრის ხეების გამოყენება და უბრძანა, ძველები შეეკეთინათ.

ასე გავიდა ერთი თვე. ველურები რამდენჯერმე შეეცადნენ ფრანგებისაგან დაებრუნებინათ მოტუ-არაო, მაგრამ ამაოდ. რამდენჯერაც მიუახლოვდებოდა კუნძულს მათი ნავები ზარბაზნის სროლის მანძილზე, ხომალდებიდან არტილერიის ცეცხლს უშენდნენ და სპობდნენი.

ბოლოს, დამთავრდა ანძების შეკეთებაც. გასაგები მხოლოდ ის დარჩა, იმ თექვსმეტი მსხვერპლიდან ხომ არავინ გადარჩა ცოცხალი. უნდოდათ, შური ეძიათ. ოფიცრებისა და ჯარისკაცების ძლიერი რაზმით ნავი სოფლესლ მიაყენეს, ნავის მიახლოებისას მოღალატე ტაკურიმ მხრებზე მარიონის წამოსასხამი მოისხა და გაიქცა. ფრანგებმა სოფელი გაჩხრიკეს. ტაკურის ქოხში აღმოაჩინეს თავის ქალა, რომელიც ახლახან მოეხარშათ. ადამიანის ბარძაყს ნაკბილური ეტყობოდა და ხის შამფურზე იყო აგებული. იქვე ეყარა მარიონის გასისხლიანებული ხალათი, ტანსაცმელი და ახალგაზრდა ოფიცრის ვოდრიკურის დამბაჩა. მეზობელ სოფელში მოხარშული ადამიანის შიგნეულობა იპოვეს.

რაზმმა კაციჭამიობის უტყუარი საბუთები შეაგროვა, ნაპოვნი ნეშტები სამხედრო პატივით მიწას მიაბარეს, ხოლო ტაკურისა და მისი თანამოაზრე პიკიორეს სოფლები ცეცხლს მისცეს და გადაწვეს. 1772 წლის 14 ივნისს ორივე ხომალდმა ახალი ზელნადიის წყლები დატოვა.

ასეთი ამბები მყარად უნდა აღიბეჭდოს მეხსიერებაში ახალ ზელანდიაში მოგზაურობის დროს. გაუფთხილებელი იქნება ის კაპიტანი, რომელიც ამ ნაამბობიდან სათანადო დასკვნას არ გამოიტანს. კუკი ამაში დარწმუნდა ახალ ზელანდიაში 1773 წელს მეორედ მოგზაურობის დროს.

ერთ-ერთი მისი ხომალდის "ავანტიურის", რომელიც მეთაურობდა კაპიტნი ფიურნი, ნავი 17 დეკემბერს გაემართა ნაპირისაკენ ბალახეულობისთვის და უკან აღარ დაბრუნებულა. ნავში ისხდნენ მიჩმანი და ცხრა მეზღვაური. შეწუხებულმა კაპიტანმა ფიურნომ მათ საძებნელად ლეიტენანტი ბიურნეი გაგზავნა. ნაპირზე გადასვლისთანავე ბიურენი კანიბალიზმისა და ბარბაროსობის სცენას წააწყდა, რომლის გახსენება ყოველთვის შემაძრწუნებელია: ჩვენი ამხანაგების თავები, კიდურები, შიგნეულობა მაგიდაზე ეყარა, ხოლო ძაღლები მათ ძვლებს იქვე ხრავდნენ.

ამ სისხლისმღვრელი ამბების აღნუსხვა რომ დავაბოლოოთ, უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი ხომალდი "ძმები", რომელზედაც ახალზელანდიელებმა იერიში მიიტანეს 1815 წელს; აგრეთვე ხომალდ "ზოდის" დარბევა 1820 წელს და ბოლოს, ადგილობრივ მცხოვრებთა თავდასხმა ინგლისელების ბრიგ "ჰაუსზე" 1829 წლის 1-ლ მარტს, რომელიც მრავალი მეზღვაურის სიკვდილით დამთავრდა: მათი გვამები ველურებმა მაშინვე შეჭამეს.

ასეთი იყო ახალი ზელანდიის კუნძულების მოსახლეობა, რომელსაც უახლოვდებოდა "მაკარი" მთვრალი კაპიტნითა და მთვრალი მეზღვაურებით.

თავი V

წყალქვეშა კლდეები

ამასობაში მძიმე მგზავრობა გრძელდებოდა. 2 თებერვალს, ე.ი. მეექვსე დღეს, მას შემდეგ, რაც "მაკარი" ზღვაში გავიდა, ჯერ კიდევ ნასახიც არსად ჩანდა ოკლენდის სანაპიროსი. სამხრეთ-დასავლეთის ცივი ქარი ქროდა, მაგრამ მის წინააღმდეგ იყო მიმართული მდინარება და გემს უძნელებდა წინსვლას.

გემი საშინლად ირყეოდა, მთელი ტანით ჭრიალედა და ძლივს იძვროდა აგორებულ ტალღებზე. ანძების დასამაგრებელი გასანთლული ბაგირები - შტაგები და ბაკშტაგები მოდუნდა, ანძებს ვეღარ იჭერდა. საბედნიეროდ, ბილ ჰალეი არ ჩქარობდა და იალქნებს ზომიერი რაოდენობით აყენებდა, თორემ რანგოუტი ვეღარ გაუძლებდა. ამიტომ ჯონ მანგლსს იმედი მიეცა, რომ ე ვარცლი როგორმე მიაღწევდა ნაპირამდე. ამასთან, გულს უშფოთებდა ის გარემოება, რომ მისი თანამგზავრები ასეთ საძაგელ პირობებში მგზავრობდნენ. ამისდა მიუხედავად, არც ელენსა და არც მერის საყვედური არ წამოსცდენიათ, თუმცა გამუდმებული წვიმების გამო იძულებული იყვნენ, მიჩენილ კუთხეში მსხდარიყვნენ, სადაც უჰაერობა და ნჯღრევა სულს უწუხებდათ. ბაქანზე ამოსვლას ბედავდნენ ხოლმე, მაგრამ უჟმური ამინდი მიერეკებოდათ ისევ ჯურღმულში, რომელიც საქონლის საწყობად იყო დანიშნული და სრულიად არ იყო მგზავრებისათვის შესაფერი, მით უმეტეს, ქალებისათვის. სამაგიეროდ, აქ ყველანი ცდილობდნენ ელენისა და მერის გართობას. პაგანელი ცდილობდა, ამბებით გაერთო ისინი, რომ დრო მოეკლათ, მაგრამ სიტყვა სიტყვას არ ეკერებოდა. ყველანი უგუნებოდ და უგემურად იყვნენ, რადგან თავისდა უნებურად ბრუნდებოდნენ სამშობლოში. ამის გამო, რამდენადაც წინათ მოსწონდათ და ხალისით უგდებდნენ ყურს პაგანელის ნაამბობს, მეტადრე პამპასებისა და ავსტრალიის შესახებ, იმდენად ახლა უხალისოდ და უსულგულოდ უსმენდნენ, რადგან ამ შავბნელი წარსულის მქონე ახალზელანდიაში მიდიოდნენ სამწუხარო აუცილებლობის გამო და არა საკუთარი მოწადინებით.

"მაკარის" მგზავრებში ყველაზე საცოდავად გლენარვანი გამოიყურებოდა. მას იშვიათად ხედავდნენ დაბლა; ის ერთ ადგილას ვერ გაჩერებულიყო. ამდენი ამბებით აფორიაქებული მისი ნერვიული ბუნება ვერ იტანდა ოთხკედელშუა ყოფნას. დღედაღამ ზემო გემბანზე იდგა, თუნდაც თავსხმა ყოფილიყო, თუნდაც აგორებულ ტალღებს ენავარდათ ხომალდის გემბანზე. გამალებული ბოლთას სცემდა, ხან მოაჯირზე გადაყუდებული გაშტერებით გასცქეროდა ნისლიან ზღვას. როდესაც ცოტას მოიშუქებდა, ჭოგრით გულდასმით და ხანგრძლივ ზვერავდა შორეულ სივრცეს. არ შეეძლო შერიგებოდა უბედურებას და მის სახეზე მწუხარება იყო აღბეჭდილი.

დარი იყო თუ ავდარი, ჯონ მანგლსი გვერდიდან არ შორდებოდა.

ამ დღეს გლენარვანი განსაკუთრებული ჟინიანობით გასცქეროდა ზღვის სივრცეს, რაწამს ოდნავ გამოიშუქებდა. ჯონ მანგლსი მიუახლოვდა და ჰკითხა:

- ხმელეთს ეძებთ, სერ?

გლენარვანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

- რასაკვირველია, უკვე დროა დავინახოთ ხმელეთი, - განაგრძო ახალგაზრდა კაპიტანმა, - ჩვენ ოცდათექვსმეტი საათით ადრე უნდა შეგვემჩნია ოკლენდის სინათლეები.

გლენარვანი უპასუხოდ მიშტერებოდა სივრცეს და ერთი წუთითაც არ მოუშორებია ჭოგრი თვალებიდან.

- ხმელეთს მაგ მხარეს ვერ დაინახავთ, სერ, - განაგრძობდა მანგლსი, - მარჯვნივ იცქირეთ.

- რატომ, ჯონ? - თქვა გლენარვანმა, - მე ხმელეთს არ ვეძებ!

- მაშ, რას?

- ჩემს ხომალდს დავეძებ, ჯონ!... ჩემს "დუკანს"! - ნაღვლიანად თქვა გლენარვანმა, - ახლა ამ განედზე უნდა იყოს სადმე. გარწმუინებთ, ჯონ, აქ არის სადმე, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დიდ გზაზე, სადაც ზღვის მეკობრეებისათვის საკბილო იშოვება. გული მეუბნება, რომ შევხვდებით მას!

- ასეთ შეხვედრას არ ვინატრებდი სერ!

- რატომ ჯონ?

- თქვენ გავიწყდებათ, რა მდგომარეობაში ვიმყოფებით! რს გავაწყობთ ამ გობზე, "დუნკანი" რომ დაგვედევნოს? ვერც კი გავერიდებოდით!

- გავერიდებოდითო?!

- დიახ! უნაყოფო ცდა იქნებოდა და უეჭველად ხელში ჩაუცვივდებოდით იმ არამზადებს. როგორც მოგეხსენებათ, ბენ ჯოისი ავაზაკობას არ ერიდება. მე თქვენზე და ჩემზე კი არ ვფიქრობ! ჩვენ უკანასკნელ წუთებამდე ვიბრძოლებთ! მაგრამ ჩვენ მერე? ... იფიქრეთ თქვენს მეუღლეზე, მერი გრანტზე...

- საბრალონი! - წაილუღლუღა გლენარვანმა, - გული გამიტყდა, ჯონ, დროდადრო სასოწარკვეთილებას ვეძლევი. ასე მეჩვენება, თითქოს კიდევ გველოდება უბედურება... შიში მიპყრობს.

- თქვენ, სერ?

- დიახ, მე. ვშიშობ არა ჩემს თავზე, არმედ იმათზე, ვინც ჩვენ გვიყვარს.

- გული დაიმშვიდეთ, სერ, - მიუგო ახალგაზრდა კაპიტანმა, - შიში არ უნდა გაიკაროთ! "მაკარი" უხეიროდ მიცურავს, მაგრამ მაინც წინ მიდის. ბილ ჰალეი, რა თქმა უნდა, ხელიდან წასულია, მაგრამ მე აქ გახლავართ და თუ გემი ხიფათში ჩავარდა, გეზს შევუცვლი. ამ მხრივ საფრთხე არ გველის. "დუკანთან" პირისპირ შეხვედრას კი არ ვინატრებდი. თუ თვალი მოჰკარით სადმე, სერ, მაშინვე გარიდება გვმართებს!

ჯონ მანგლსი მართალს ამბობდა. "დუნკანთან" შეხვედრა "მაკარის" დაღუპვას უდრიდა. სახიფათო იყო მასთან შეხვედრა ამ ზღვაში, სადაც მეკობრეები განუკითხავად დანავარდობენ, მაგრამ იმ დღეს ხომალდი არსად გამოჩენილა.

მეექვსე ღამე დადგა ტუფოლდის ყურიდან გამოსვლის შემდეგ. ეს ღამე საშინელი რამ უნდა ყოფილიყო. შვიდ საათზე ერთბაშად ჩამობნელდა. ბილ ჰალეის არსებაში მეზღვაურის ალღომ გაიღვიძა, მან სძლიA ლოთობას, კაიუტიდან გამოძვრა, თვალები მოიფშვნიტა და წითური, თმააბურძგვნილი თავი გაიქნი-გამოიქნია, ხარბად შეისუნთქა მთელი მკერდით ჰაერი, თითქოს გამოსაფხიზლებლად ცივი წყალი გადაყლაპაო და რანგოუტი დაათვალიერა. ქარს ძალა ემატებოდა, მას უშუალოდ დასავლეთისაკენ ექნა პირი და გემს პირდაპირ ახალი ზელანდიის ნაპირებისაკენ მიაქანებდა.

ბილ ჰალიმ ლანძღვა-გინებით იხმო თავისი მეზღვაურები და იალქნები დააჭიმინა. ჯონ მანგლსს არაფერი უთქვამს მისთვის, გულში მოუწონა ასეთი განკარგულება და გადაწყვიტა, არ დალაპარაკებოდა ამ ხეპრე მეზღვაურს, თუმცა გემბანიდან ფეხს არ იცვლიდნენ არც ის და არც გლენარვანი.

ორი საათის შემდეგ უცებს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ბილ ჰალეიმ ბრძანა, აეშვათ შუა ანძის პირდაპირ აფრა. "მაკარის" გადასახსნელი გარდიგარდმო ანძები რომ არ ჰქონოდა, ამ საქმეს ხუთი მეზღვაური ვერ გაუძღვებოდა, მაგრან გადასახსბეკუ ანძების შემწეობით პირდაპირ აფრის ასახსნელად გარდიგარდმო ანძის ჩამოშვებაც კმარა.

გავიდა ორი საათი. ზღვა უფრო და უფრო აბობოქრდა. "მაკარი" ისე მაგრად ყვინთავდა ტალღებშუა და ირწეოდა, გეგონებოდათ, წყალქვეშა კლდე დაუხვდაო, მაგრამ ჯერ სახიფათო არაფერი იყო, თუმცა გემი ძლივს ადიოდა ტალღებზე და ზღვის ტალღები ხშირად გადმოევლებოდა ხოლმე გემბანზე.

ჯონ მანგლსი უკვე საშინლად ღელავდა.

სხვა გემი დღევანდელ ამინდს გაუძლებდა, მაგრამ ამ უმსგავსო ხომალდის გემბანზე გადმოტყორცნილი ტალღები აქვე გუბდებოდა და გავლის საშუალება არსად იყო. მეორეც, შესაძლებელი იყო, გემი წყლით გავსებულიყო. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი იყო

გემის მოაჯირში ცულით გამოენგრიათ წყლის სადინარი, მაგრამ ბილ ჰალეი არავითარ ზომას არ იღებდა. გარდა ამისა, "მაკარის" სხვა, უფრო საშიში საფრთხეც ელოდა.

ღამის თორმეტის ნახევარზე ბაქანზე მდგომ ჯონ მანგლსს და ვილსონს ყრუ ხახუნი შემოესმათ. მათში მეზღვაურის ალღომ გაიღვიძა. ჯონ მანლგსმა ხელი სტაცა ვილსონს.

- წყალქვეშა კლდეები!

- დიახ! - მიუგო ვილსონმა, - ტალღები რიფებს ასკდება!

- ორი კაბელტოვის მანძილზე?

- მეტი არ უნდა იყოს!

- იქ ზღვის სანაპიროა!

ჯონ მანგლსი მოაჯირს გადაეყუდა და წყვდიადით მოცულ ტალღებს დააკვირდა.

- საძირავი გადაისროლე, ვილსონ, საძირავი!

ზემო გემბანზე მდგარი შკიპერი თითქოს ანგარიშს არ უწევდა ამ მდგომარეობას. ვილსონმა ხელი დასტაცა სიღრმის საზომ სძირავს - წინა ანძის დასამაგრებელ ბაგირზე აფოფხდა და გადაისროლა, ლოტლინმა მის თითებშუა გაირბინა და მესამე კვანძზე გაჩერდა.

- ექვსი მეტრი! - მოახსენა ვილსონმა.

- კაპიტანო! - დაიყვირა ჯონ მანგლსმა და სირბილით მიიჭრა ბილ ჰალეისთან, - წყალქვეშა კლდეებში მოვექეცით!

ჯონ მანგლსს არც კი შეუმჩნევია ჰალეის მხრების აჩეჩვა, გაქანდა საჭის მატრიალებელი ბორბლისკენ, საჭე ქარის პირდაპირ დაუგეზა, ვილსონმა კი საძირავი გადააგდო და მარსბრასის ბაგირს დაეჭიდა, რომ გემი ქარისაკენ მიებრუნებინა. საჭესთან მდგარი მეზღვაური, რომელიც წაჯახებამ გვერდზე გადაისროლა, ვერ მიმხვდარიყო ამ მოულოდნელი თავდასხმის მიზეზს.

- ბრასები პირქარისაკენ! მიაბრუნე, მიაბრუნე ბრასები! - გასძახოდა ჯონ მანგლსი და საჭე ისე მიატრიალა, რომ ღურღუმებს გასცილებოდა.

ნახევარი წუთის განმავლობაში გემის მარცხენა კრამბოლა თითქმის წყლის ქიმებს ეხახუნებოდა და კუნაპეტი ღამის მიუხედავად ჯონ მანგლსმა გემიდან რვა მეტრის მოშორებით კლდის თავზე გადამჩქეფარე აქაფებული ტალღები გაარჩია. ბილ ჰალეი ახლა კი მიხვდა იმ საშინელ საფრთხეს, რომელიც "მაკარის" მოელოდა და გონება დაებნა. გამობრუჟულ მეზღვაურებს არა ესმოდათ რა მისი განკარგულებისა. ჰალეის აბდაუბდა განკარგულებაც ამტკიცებდა, რომ სიდინჯე დაკარგა და გაოგნებული იყო სანაპიროს სიახლოვით. ალბათ, ეგონა, ნაპირმდე ორმოცდაათი კილომეტრი მაინც უნდა ყოფილიყო კიდევ, სინამდვილეში კი თორმეტი კილომეტრიც აღარ იყო. ზღვის მდინარებას გემი გაეტაცა აღებული გეზისაგან. კაპიტანს თავგზA დაებნა.

ჯონ მანგლსის სწრაფი მანევრების წყალობით "მაკარი" ფურთუნებს მოსცილდა, მაგრამ მანგლსმა არ იცოდა გემის ადგილმდებარეობა; იქნებ წყალქვეშა კლდეების რკალში იყო მომწყვდეული...

ქარი აღმოსავლეთისაკენ მიაქანებდა გემს და ყოველ წუთს შეიძლებოდა სადმე წყალქვეშსა კლდის წვერს წამოგებოდა.

ფურთუნის ხმაური გაძლიერდა მარცხენა ბორტზე. საჭირო იყო პირქარისაკენ მიბრუნება. ჯონ მანგლსმა საჭე ისევ პირქარისკენ მიმართა და რამდენადაც შეიძლებოდა, ბრასები დააჭიმვინა. ფორშტევნების ქვეშ კლდიანი ადგილები ბლომად იყო. ოვერშტაგი უნდა მოეტრიალებინათ, რომ როგორმე გაშლილი ზღვისაკენ წასულიყვნენ, მაგრამ მოახერხებდნენ ამას ისეთი დანჯღრეულ გემზე, რომელსაც აფრებიც კი ძუნწად მოეპოებოდა? საეჭვო იყო, მაგრამ მაინც უნდა ეცადათ.

- საჭე ქიმისაკენ! რაც კი შეიძლება! - გასძახა ჯონ მანგლსმა ვილსონს.

"მაკარი" წყალქვეშა კლდეების ახალ წყებას უახლოვდებოდა. ზღვა აქაფებით დუღდა კლდეებშუა. ერთი წუთიც და, გემის ბედიც გადაწყდებოდა. ფაფარაშლილი ტალღები თეთრად კრთოდა, თითქოს ფოსფორული სინათლე ეფინებაო. ზღვა ბდღვინავდა და

ღრიალედა. ვილსონი და მიულრედი მთელი ძალ-ღონით აწვებოდნენ საჭის ბორბალს, რომელიც ქიმამდე იყო მიყვანილი.

უცებ გაისმა დაჯახების ხმა. "მაკარი" რიფს მოედო. ვატერშტაგები და ბუშპრიტები დაწყდა. ბიზან-ანძამ წონასწორობა დაკარგა.

გემის მობრუინება ვერ მოხერხდა. ერთბაშად ყველაფერი მიყუჩდა და ხომალდი ქარის მხარეს გადაიხარა. აგორებულმა ტალღამ ქვემოდან აიტაცა იგი. შორს გააქანა კლდეების წვერებისაკენ და საშინელი ძალით ფსკერზე დაანარცხა. ბიზან-ანძა ზღვაში გადაემხო მთელი თავისი ტაკლეაჟით.

გემი ზედიზედ ორჯერ დაეჯახა კლდეს და მარჯვენა გვერდზე ოცდაათი გრადუსით გადაზნექილი გაჩერდა. ილუმინატორების მინები ჩაიმსხვრა. მგზავრები ზემო ბაქანზე აცვივდნენ, მაგრამ იქ ტალღები წინ და უკან დათარეშობდნენ და სახიფათო იყო დგომა. მანგლსი დარწმუნდა, რომ გემი მაგრად ჩაეფლო შლამში, მგზავრებს სთხოვა ქვემოთ ჩასულიყვნენ.

- სიმართლე მითხარით, ჯონ! - ცივად მიმართა გლენარვანმა.

- სიმართლე ის არის, რომ არ ჩავიძირებით. რაც შეეხება იმას, ზღვა დაანგრევს თუ არა გემს, ჯერჯერობით დრო კიდევ გვაქვს და მოვახერხებთ რამეს.

- ახლა შუაღამეა?

- დიახ, დილამდე უნდა დავიცადოთ.

- არ შეიძლებოდა ნავი ჩაგვეშვა?

- ასეთი ღელვის დროს და ასეთ უკუნეთ სიბნელეში შეუძლებელია. მეორეც, როგორ უნდა მივაგნოთ ნაპირს?

- კეთილი, ჯონ, დილამდე აქ დავრჩეთ.

ამ დროს ბილ ჰალეი გიჟივით დარბოდა გემბანზე. მის მეზღვაურებს შიშის ზარმა გადაუარა, ახლა კი არყის კასრს ძირი გააგდებინეს და სმა დაიწყეს.

- გავკოტრრდი! დავიღუპე! დავგლახდი! - ბღაოდა ჰალეი და გემბანზე გიჟივით გარბი-გამორბოდა.

ჯონ მანგლსს ფიქრადაც არ მოსვლია ენუგეშებინა, პირიქით, თანამგზავრებს სთხოვა, შეიარაღებულიყვნენ და საჭირო შემთხვევაში პასუხი გაეცათ მეზღვაურებისათვის, რომლებიც არყით ილეშებოდნენ და ღრიანცელი აეტეხათ.

- ვინც კი გემბანის კაიუტას მიუახლოვდება, ძაღლივით მოვკლავ, - დინჯად წარმოთქვა მაიორმა.

გემის მეზღვაურები მიხვდნენ, მგზავრები არ დაინდობდნენ და დაიფანტნენ.

ჯონ მანგლსი მათზე აღარ ფიქრობდა და ახლა მოუთმენლად ელოდა განთიადს...

გემი უძრავად იყო. ზღვა თანდათან მიყუჩდა. ასეთ პირობებში გემის კედლები რამდენიმე საათს კიდევ გაუძლებდნენ ტალღებს. მზის ამოსვლის დროს მანგლსს შეეძლო ნაპირი შეეთვალიერებინა. თუ რიგიან მისადგომს შეამჩნევდა, შეეძლოთ ოთხნიჩბიან ნავში ჩამსხდარიყვნენ მგზავრებიც და ეკიპაჟიც და ნაპირზე გადასულიყვნენ. გემზე ერთადერთი ნავი იყო, მეორე ტალღებს მოეგლიჯა.

ფიქრში გართული ჯონ მანგლსი მოუთმენლად ელოდა განთიადს, მისი თანამგზავრები კი, მისი სიტყვებით დამშვიდებულნი, ტკბილ ძილს მისცემოდნენ. გემის უმოძრაობა ხელს უწყობდა მათ მშვიდსა და უშფოთველ ძილს. ბოლოს, როდესაც გალეშილი მეზღვაურების ღრიანცელი მიწყდა, დასასვენებლად თავი მიდეს გლენარვანმა, ჯონ მანგლსმა და მათმა ამხანაგებმა.

ღამის პირველ საათზე გემბანზე სრული მყუდროება გამეფებულიყო. თითქოს "მაკარისაც" მისძინებოდა შლამის ლოგინზე.

ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ცის ტატნობზე ღრუბლებმა ოდნავ იცვალა ფერი. ცის კამარას ჯერ კიდევ ბნელი ზეწარი ეფარა, მაგრამ რამდენიმე გაურკვეველი მოხაზულობა ჩანდა განთიადის ნისლში.

სინათლე თანდათან მატულობდა, ჰორიზონტი ალისფრად დაიფარა. ნისლის ჩადრი ნელ-ნელა ზევით იწევდა და თვალწინ იშლებოდა შორეული სივრცე. ზღვის სიღრმიდან შავი კლდის წვეროებს ამოეყოთ თავები. მათზე გადამჩქეფარე აქაფებული ტალღების იქით ისახებოდა ერთგვარი ხაზი და კლდის წვერზე კაშკაშა სინათლე აელვარდა. ეს იყო ამომავალი მზის ანარეკლი. ეს იყო დედამიწა ცხრა მილის დაშორებით.

- ხმელეთი! - წამოიძახა ჯონ მანგლსმა.

მის ძახილზე გამოღვიძებული მგზავრები გემბანზე აცვივდნენ და უსიტყვოდ დააცქერდნენ ჰორიზონტზე ოდნავ ასახულ ხმელეთის კიდეს, რომელიც მათი თავშესაფარი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, გულთბილად მიიღებდა მათ თუ გასწირავდა.

- სად არის ბილ ჰალეი? - იკითხა გლენარვანმა.

- არ ვიცი, მილორდ, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- მეზღვაურები?

- აღარც ისინი ჩანან.

- ალბათ, გალეშილები ყრიან სადმე, - ჩაურთო მაკ-ნაბსმა.

- უნდა მოვნახოთ, გემზე ხომ ვერ დავტოვებთ, - თქვა გლენარვანმა.

მიულრედი და ვილსონი სამეზღვაუროში ჩავიდნენ და ორი წუთის შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ. იქ ვერავინ ენახათ. დაათვალიერეს ყველა ბაქანი, გემის ტრიუმიც კი, მაგრამ არც ბილ ჰალეი ჩანდა სადმე, არც მისი მეზღვაურები.

- როგორ?! არავინ არის? - გაიოცა გლენრვანმა.

- ტალღებმა ხომ არ გადალეკა გემბანიდან? - იკითხა პაგანელმა.

- ეგეც შესაძლებელია, - მიუგო ჯონ მანგლსმა, რომელიც შეშფოთებული იყო მათი დაკარგვის გამო. შემდეგ გემის ბოლოსაკენ გაემართა და თან ჩაილაპარაკა, - ოთხნიჩბიან ნავს ჩავუშვებთ!

ვილსონი და მიულრედი გაჰყვნენ, რომ ნავი ზღვაში ჩაეშვათ, მაგრამ აღარც ნავი დაუხვდათ თავის ადგილას.

თავი V

უნებლიე მეზღვაურები

ცხადი გახდა, რომ ჰალეი და მისი ეკიპაჟი მგზავრების ძილის დროს გაპარულიყვნენ იმ ერთადერთი ნავით, რომელიც გემზე იყო. კაპიტანიც, რომელიც თავისი მოვალეობებისამებრ უკანასკნელი ტოვებს ხოლმე ხომალდს, არსად ჩანდა.

- გაქცეულან ის არამზადები! - ჩაილაპარაკა ჯონ მანგლსმა, - თუმცა ასე გვირჩევნია, სერ, მათ გამობრუჟულ სახეებს მაინც აღარ ვუცქერით.

- მეც ასე ვფიქრობ, - მიუგო გლენარვანმა, - ესეც არ იყოს, გემზე ჩვენ გვყავს კაპიტანი ჯონი და მართალია, გაუწაფავი, მაგრამ მამაცი მეზღვაურები, ესე იგი ჩვენ, ყველა შენი ამხანაგი. მოგვიხმარე, როგორც საჭირო იყოს. შენს განკარგულებაში გვიგულე!

გლენარვანის სიტყვებს ტაშით შეხვდნენ მაიორი, პაგანელი, რობერტი, ვილსონი, მიულრედი და ოლბინეტიც კი. ყველანი დარაზმული ჩამწკრივდნენ გემბანზე და ჯონ მანგლსის განკარგულებას ელოდნენ.

- რა გვაქვს გასაკეთებელი? - ჰკითხა გლენარვანმა.

ახალგაზრდა კაპიტანმა გადახედა ზღვას, მიათვალიერ-მოათვალიერა გემის რანგოუტი და ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ თქვა:

- ჩვენ ორი საშუალება გვაქვს ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად: პირველი - გემი ავატივტივოთ როგორმე და ზღვაში შევაცუროთ, მეორე - ნაპირს მივაღწიოთ ტივის საშუალებით, რომლის შეკვრაც ადვილი საქმეა.

- თუ გემის ატივტივება შესაძლებელია, ავწიოთ, - მიუგო გლენარვანმა, - ყველაფერს ეს ემჯობინება. ხომ ასეა?

- დიახ, მაგრმ ნაპირზე გადასვლა რას გვარგებს, თუ სამგზავრო საშუალებანი არ გვექნება.

- ერიდეთ ნაპირს, - ჩაურთო პაგანელმა, - ფრთხილად იყავით ახალზელანდიაში!

- მით უმეტეს, რომ ძალიან ქვევით გამოგვიტაცა ზღვამ, - დასძინა ჯონ მანგლსმა, - ჰალეის დაუდევრობის ბრალია, რომ ახლა კარგა მანძილით ვართ სამხრეთისაკენ გადმოტყორცნილი. შუადღისას გავარკვევ ჩვენს ადგილმდებარეობას და როგორც ვფიქრობ, თუ მართლა სამხრეთისაკენ მოვექეცით ოკლენს, მაშინ შევეცდები "მაკარი ზევით წავიყვანო, სანაპიროს გასწვრივ.

- მერე, გემი ხომ დაზიანებულია? - იკიხა ელენმა.

- არა მგონია, დიდად არ უნდა იყოს დაზიანებული, - უპასუხა ჯონ მანგლსმა.

- გემის ცხვირზე სახელდახელო ანძას ავმართავ, რომელიც წინ ანძის, ანუ ფოკის მაგივრობას გაგვიწევს და საშუალებას მოგვცემს ვიაროთ იქით, საითაც მოგვინდება, თუმცა უფრო ნელი სვლით. თუ ჩვენდა საუბედუროდ აღმოჩნდა, რომ გემის კორპუსი შენგრეულია და ჩვენ ვერ შევძლებთ მის შეკეთებას, მაშინ ძალაუნებურად მოგვიხდება ნაპირზე გადასვლა, იქიდან კი - ფეხით სიარული ოკლენდამდე.

- მაშ, წავიდეთ, დავათვალიეროთ რა მდგომარეობაშია გემი. ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის, - თქვა მაიორმა.

გემბანის სანათური ახადეს და გლენარვანი, ჯონ მანგლსი და მიულრედი გემის ფსკერზე ჩაეშვნენ, ტრიუმში. იქ უწესრიგოდ ეყარა ორასიოდე ტონა თრიმლში გამოყვანილი ტყავი. ტყავი გვერდზე გადააწყვეს, ნაწილი კი ჯონ მანგლსის ბრძანებით ზღვაში გადაყარეს გემის შესამსუბუქებლად.

სამი საათის მარჯვე მუშაობის შEმდეგ გემის ძირიც დაათვალიერეს. აღმოჩნდა, რომ, ძირის წყალქვეშა ნაწილში, მარცხენა კედელზე, ორი ფიცარი ერთმანეთს დაშორებოდა. რადგან "მაკარი" მარჯვნივ იყო გადაზნექილი, მარცხენა გვერდის ეს ნაწილი წყლის ზევით მოქცეოდა და შიგ წყალს არ ედინა. ვილსონმა დაუყოვნებლივ გამოავსო გაწეული ადგილები ნაძენძით, რომლის ზემოდანაც სპილენძის ფურცელი დაამაგრა.

ტრიუმში წყალს ერთ მეტრზე აეწია. მისი ამოქაჩვა ადვილი საქმე იყო, ეს კი უფრო შეამსუბუქებდა გემს.

ჯონ მანგლსმა დაათვალიერა გემის კორპუსი და დარწმუნდა, რომ დაზიანება მცირე იყო. მხოლოდ ეს არის, შლამში ჩაფლული ყალბი ხერხემლის ნაწილი უნდა მიეტოვებინათ წყალში, უამისოდაც იოლად წავიდოდნენ.

როდესაც დარწმუნდნენ, რომ ფსკერის შიგნითა ნაწილები დაუზიანებელია, ვილსონი წყალში ჩაეშვა, რომ გემის დაფლული ნაწილის მდგომარეობა გამოერკვია.

"მაკარი" ცხვირით იყო მიბრუნებული ჩრდილო-დასავლეთისაკენ, დაფლობილი იყო შლამიან ბექობზე, რომელიც ფრიალოდ ეშვებოდა ზღვაში. ახტერშტევანის ქვედა ნაწილი და ხერხემლის ორი მესამედი შლამში იყო ჩაფლული, გემის დანარჩენი ნაწილი ათი მეტრის სიღრმის წყალზე ტივტივებდა. ამგვარად, საჭე წყალში იყო მოქცეული და ზუსტად მუშაობდა.

ჯონ მანგლსმა საჭიროდ არ ცნო მოხსნა, რადგანაც მისი ამუშავება მალე დასჭირდებოდათ. წყნარ ოკეანეში ზღვის მოქცევა ძალიან სუსტი იცის, მაგრამ ჯონ მანგლსს "მაკარის" ასატივტივებლად მაინც ამ მოქცევის იმედი ჰქონდა. გემი დაეფლო დახლოებით ერთი საათით ადრე ზღვის მოქცევამდე. მას შემდეგ, რაც უკუქცევა დაიწყო, მისი მარჯვენა მხარე უფრო იხრებოდა მარჯვნივ.

დილის ექვს საათზე, უძლიერესი უკუქცევის დროს, გემის გადაზნექამ უმაღლეს წერტილს მიაღწიაა და გამოსწორება აღარ სჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ მის გასოწრებაზე დასახარჯი რანგოუტის ნაწილები ჯონ მანგლსს უდა გამოეყენებინა გემის წინა ნაწილზე, ცხვირთან, სახელდახელო ანძის ასამართავად.

მათ მხოლოდ "მაკარის" ატივტივება სჭირდებოდათ შლამიდან. ამას ხანგრძლივი და მძიმე მუშაობა ესაჭიროებოდა. პირველის თხუთმეტი წუთისათვის, როდესაც ზღვის მოქცევა უნდა დაწყებულიყო, ამ საქმეს ვერ მოათავებდნენ. თუმცა მოქცევაც დაანახვებდა

იმას, რამდენად შეძლებდა გემი ზევით ამოწევას თავისუფალი ნაწილით, ხოლო მეორე მოქცევის დროს კი უკანასკნელი ძალ-ღონე უნდა მოეხმარებინათ ამ საქმისათვის.

- სამუშაოზე! - ბრძანა ჯონ მანგლსმა.

უპირველესად ყველა იალქანი და აფრა ჩამოახსნევინა. ვილსონის ხელმძღვანელობით მაიორი, რობერტი და პაგანელი აფოფხდნენ ანძის ზემო ნაწილზე, ე. წ. მარსზე. ქრით გაბერილი გროტ-მარსელი ხელს შეუშლიდა გემის გათავისუფლებას, ამიტომ საჭირო იყო მისი დამაგრება, რაც ძლივძლივობით მოახერხეს. გამოუცდელი ხელით ჩატრებული მედგარი და მძიმე მუშაობით ჩამოუშვეს ბრამ-სტენგი. კატსავით მოქნილმა და იუნგასავით გაბედულმა რობერტმა დიდი დახმარება გაუწია ამ საქმეში. ცულებით გადაჭრეს შტანგები, რომლებსაც კიდევ ეჭიურა ფოკ-ანძა. ქვემო ნაწილი სათავეში გადატყდა, ასე რომ, მარსის მოხსნა გაუადვილდათ. ჯონ მანგლსმა ეს ბაქანი სატივედ ივარაუდა. გაამაგრა ცარიელი ანკერების საშუალებით ისე, რომ შეიძლებოდა ღუზები გადაეზიდათ. ტივს გაუკეთეს საჭე, რომ მისთვის გეზი მიეცათ, თუმცა მოქცევა ისედაც გაიტაცებდა ტივს გემის ბოლოსაკენ. რაკი ღუზებს ჩაუშვებდნენ, ტივის მობრუნება ადვილი იქნებოდა ბაგირის საშუალებით.

მუშაობა სანახევროდაც არ დაემთავრებინათ, როდესაც შუადღე მოვიდა. ჯონ მანგლსმა გლენარვანდ დაავალა სამუშაოს მეთვალყურეობა, თვითონ კი "მაკარის" ადგილმდებარეობის გამორკვევას შეუდგა. ეს აუცილებელი რამ იყო. მისდა ბედად, ბილ ჰალეის კაბინეტში აღმოჩნდა გაჭუჭყიანებული სექსტანტი, რომლიც მისი მიზნისათვის საკმარისი იყო. იქვე იყო გრინვიჩის ობსერვატორიის "წელიწადეული". გაასუფთავა და გემბანზე ამოიტანა. მისი საშუალებით განსაზღვრა გრძედი - 171°´13, განედი - 38°, შეიძლება ამ ხელსაწყოს უზუსტობის გამო მცირეოდენი რამ მეტნაკლებობა იყო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ჯონ მანგლსმა გადაშალა პაგანელის მიერ იდენში ნაყიდი ჯონსონის რუკა და დაასკვნა, რომ გემი აოტეის უბის პირდაირ, კაპუას კონცხის ცოტა ზემოთ, ოკლენდის პროვინციის სანაპიროებზე ჩაფლობილიყო. ქალაქი ოკლენდი ოცდამეჩვიდმეტე პარლალეზე მდებარეობს. ამგვარად "მაკარი" მისგან დაშორებული იყო ერთი გრადუსით და ახალი ზელანდიის სატახტო ქალაქში მისაღწევად ერთი გრადუსი უნდა გაევლო ჩრდილოეთით.

- ეს გადასასვლელი არა უმეტეს ოცდახუთ მილს შეადგენს, - თქვა გლენარვანმა, - სულ უბრალო რამეა!

- რაც ადვილია ზღვაზე, ის გაგვიძნელდება ნაპირზე, - ჩაურთო პაგანელმა.

- ამიტომაც ღონე უნდა მოვიკრიბოთ და "მაკარი" საფლობიდან დავძრათ! - შენიშნა ჯონ მანგლსმა.

როდესაც ადგილმდებარეობა გამოარკვიეს, ისევ მუშაობას დაუბრუნდნენ. შუადღის თორმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე ზღვაში უდიდესი მოქცევა იყო. ჯონ მანგლსმა ვერ ისარგებლა ამით, რადგან ღუზა ჯერ არ გადაეზიდათ. ღელავდა, იქნება "მაკარი" მოქცევამ აატივტივოსო. ეს საკითხი ხუთ წუთში უნდა გადაწყვეტილიყო. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ. გაისმა ოდნავ ჭახანი. ალბათ, გემის კორპუსმა აიწია, თუ მთლად არ ატივტივდა. ჯონ მანგლსმა კარგისმომასწავებლად ჩათვალა ეს მოვლენა და ახლა მეორე მოქცევაზე ამყარებდა იმედს.

მუშაობას განაგრძობდნენ. ორ საათზე ტივი უკვე შეკრული ჰქონდათ. მასზე გადასატანი ღუზა დადეს. ჯონ მანგლსი და ვილსონიც ტივზე გადავიდნენ, ბაგირი გემის ბოლოს გამოაბეს, გაჰყვნენ უკუქცევას და ნახევარი კაბელტოვის მოშორებით, ოცი მეტრის სიღრმეზე ჩაუშვეს ღუზა. ღუზა კარგად ჩაესო ფსკერში. ტივით უკანვე გამობრუნდნენ "მაკარიზე".

ახლა მეორე ღუზა ჰონდათ ჩასაშვები. ძლივძლივობით გადაიტანეს ტივზე, მერე იმგვარადვე წაიღეს და პირველი ღუზის გვერდით ჩაუშვეს ხუთი მეტრის სიღრმეზე. შემდეგ ჯონი და ვილსონი ბაგირის საშუალებით დაუბრუნდნენ გემს.

ორივე ბაგირი ბრაშპილზე დაახვიეს და ახალ მოქცევას დაუწყეს ლოდინი, რომელიც ღამის პირველ საათზე უნდა დაწყებულიყო. ჯერ საღამოს ექვსი საათი იყო.

ჯონ მანგლსმა მადლობა გადაუხადა თავის მეზღვაურებს, პაგანელს კი უთხრა, თუ ენერგიასა და რიგიან ყოფაქცეას გამოიჩენდა, შეიძლებოდა ოდესმე შკიპერის კარგი თანაშემწე გამოსულიყო.

ოლბინეტმაც თავისი წვლილი შეიტანა მუშაობაში და ახლა სამზარეულოს მიაშურა. ნოყიერი სადილი მოამზადა და სწორედ დროულიც იყიო. მთელი რაზმი დამშეულიყო. სადილით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ და ძალ-ღონე მოიკრიბეს მუშაობისათვის. სადილის შემდეგ ჯონ მანგლსმა უკანასკნელ ღონისძიებას მიმართა, რომ დაწყებული საქმე წარმატებით დაეგვირგვინებინა.

ხშიარდ, გემის განტვირთვის დროს, ხერხემალი ვერ თავისუფლდება ხოლმე შლამისაგან. ამიტომ ჯონ მანგლსმა ბრძანა, ზღვაში გადაეყარათ საქონლის ანწილი, დანარჩენი კი - გატეხილი ანძის მძიმე ნაწილები, სათადარიგო რეები და რამდენიმე ტონა რკინეული გემის ბოლოს გადაატანინა, რათა გემის ბოლოს თავისი სიმძიმით ხელი შეეწყო წინა ნაწილის ატივტივებისათვის. ვილსონმა და მიულერდმა გემის ბოლოზე მიაგორეს კიდევ რამდენიმე წყლით სავსე კასრი.

მუშაობას მორჩნენ, როდესაც შუაღამემ დარეკა. ეკიპაჟს ქანცი გამოლეოდა, ეს კი ვერ იყო სასიამოვნო ამბავი, რადგან ბრაშპილის ტრიალს მთელი ძალ-ღონის დაძაბვა დასჭირდებოდა. ამის გამო ჯონ მანგლსმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო.

იმხანად ქარი ჩადგა. ზღვის ზედაპირი ციმციმებდა. ჯონ მანგლსმა ჰორიზონტს მოავლო თვალი, შეამჩნია, რომ ქარი გეზს იცვლიდა და სამხრეთ-დასავლეთის ნაცვლად ჩრდილო-დასავლეთისაკენ დაუბერავდა. მეზღვაურმა მაშინვე შეატყო ეს ცვლილება ღრუბლების განლაგებასა და მათ ფერზე.

კაპიტნის მოსაზრებას ემხრობოდნენ ვილსონი და მიულრედიც.

ჯონ მანგლსმა გლენარვანს თავისი მოსაზრება გაუზიარა და შესთავაზა, ხვალამდე გადაედოთ მუშაობა გემის ასაშვებად, თან დასძინა:

- აი, რატომ. ჯერ ერთი, ყველანი დაქანცულები ვართ და გემის ასაშვებად კი მთელი ძალ-ღონეა საჭირო. მეორეც, ვთქვათ, გემი ავუშვით, როგორ უნდა ვატაროთ იგი ამ წყვდიადში ასეთ სახიფათო წყალქვეშა კლდეებში. უჯობესია, დღის სინათლეზე ვიმოქმედოთ. ამის გარდა, სხვა მიზეზიც მაკავებს. როგორ ვატყობ, ქარიც დაგვეხმარება და მე დიდად მოხარული ვიქნებოდი ამისა. მინდა მან გემის კორპუსი აამოძრაოს, როდესაც ზღვის მოქცევა აატიტივებს. ხვალ, თუ არა ვცდები, ჩრდილო-დასავლეთით დაუბერავს ქარი. ჩვენც გროტნძაზე ჩრდილო-დასავლეთით გავჭიმავთ აფრებს და ისინი მოგვეხმარებიან გემის დაძვრაში.

ეს დასაბუთება გადამწყვეტი იყო. გლენარვანი და პაგანელი, რომლებიც ყველაზე მეტ მოუთმენლობას იჩენდნენ, დაეთანხმნენ კაპიტანს. გემის აშვება მეორე დღისათვის გადაიდო. ღამემ წყნარად ჩაიარა. ღუზებს რიგრიგობით დარაჯობდნენ.

გათენდა. ჯონ მანგლსის იმედი გამართლდა. ქარმა ჩრდილო-დასავლეთიდან დაუბერა და, ეტყობოდა, რომ გაძლიერდებოდა. ეს იქნებოდა არსებითი დახმარება. ეკიპაჟი დანაწილებული იყო: რობერტი, ვილსონი და მიულრედი - გროტანძაზე, მაიორი, გლენარვანი და პაგანელი - გემბანზე მზად იყვნენ იალქნებისა და აფრების გასაბმელად.

დილის ცხრა საათი იქნებოდა. ზღვის მოქცევამდე ოთხი საათი დარჩენილიყო. ეს დრო უნაყოფოდ არ უნდა დაეკარგათ. ამ ხნის განმავლობაში ჯონ მანგლსმა დაადგმევინა სახელდახელო ანძა გემის ცხვირზე ფოკ-ანძის შესაცვლელად. ასე რომ, რაწამ გემი საფლობიდან აეშვებოდა, იმ წუთსაე შეეძლო გასცლოდა ამ სახიფათო ადგილებს. ძალ-ღონე მოიკრიბეს და შუადღემდე უკვე მკვიდრად იყო ამართული ფოკ-ანძა გემის ცხვირზე. ამ საქმეში დიდად გამოადგათ ელენი და მერი გრანტი, რომლებმაც ბრამრეაზე დააბეს სათადარიგო აფრა. ამგვარად მოწყობილი და გამართული "მაკარი" ძალიან ლამაზი არ იყო, მაგრამ რაც მთავარია ცურვას შეძლებდა.

ბოლოს ზღვის მოქცევაც დაიწყო. ზღვის ზედაპირი ააქოჩრა პატარ-პატარა აქაფებულმა ზვირთებმა. ფურთუნის ქედები თანდათან იმალებოდა წყალში, თითქოს ზღვის მხეცები თავიანთ სამყოფელში ჩაეშვნენო. გადამწყვეტი ცდის წუთი მოახლოვდა. ყველა მგზავრი

ნერვიულობამ აიტანა. ხმას არავინ იღებდა, მოლოდინში გარინდებულიყვნენ. ყველანი ჯონ მანგლსს შესცქეროდნენ და მის განკარგულებას ელოდნენ. ჯონ მანგლსი გემის ბოლოზე გადაბჯენილიყო და ზღვის მოქცევას აკვირდებოდა.

შეშფოთებით გადახედა ბაგირებს: პირველ საათზე მოქცევამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ტალღები ერთი თვალის დახამხამებით შეჩერდნენ. წყალი არც მატულობდა, არც იკლებდა. ახლა მოქმედება იყო საჭირო. გროტი და მარსელი დადგეს. ისინი ერთბაშად გაიბერნენ.

ჯონ მანგლსმა შესძახა:

- ბრაშპილზე!

ბრაშპილს სახანძრო ტუმბოსავით სახელურები ჰქონდა. სწრაფად ეცნენ სახეულურებს - ერთ მხარეს გლენარვანი, მიულრედი და რობერტი, მეორე მხარეს - მაიორი და ოლბინატი. ყველანი მთელი ძალ-ღონით დააწვნენ მას. ჯონ მანგლსმა და ვილსონმა კი გრძელი ორთაყვირები კლდეს მიაბჯინეს და მიეშველნენ ამხანაგებს.

ახალგაზრდა კაპიტანი ამხნევებდა მათ:

- აბა, ცოცხლად! აბა, მარდად! აბა, ერთად!

ბრაშპილის წყალობით ბაგირები დაიჭიმა. ღუზები მაგრად იყო ფსკერზე და არ იძვროდა. საქმის წარმატებისათვის საჭირო იყო აჩქარება. ზღვის მოქცევა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მგზავრებმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბეს. ქარიც მძლავრად უბერავდა, ანძას იალქნებით აწვებოდა. გემის კორპუსი ტორტმანებდა, თითქოს უნდა წამოიწიოსო. ვინ იცის, იქნებ მცირეოდენი ძალა რომ მოეკრიბათ, ხომალდი ატივტივებულიყო კიდეც.

- ელენ! მერი! - გასძახა გლენარვანმა.

ორივე ქალმა მიაშველა თავის ძალ-ღონე. გაისმა ჭახანი, მაგრამ არ ეშველათ, გემი ადგილიდან არ დაძრულა. ცდამ ამაოდ ჩაუარათ. ზღვის უკუქცევა იწყებოდა, აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ქარისა და ზღვის დახმარებით ეს მცირერიცხოვანი ეკიპაჟი ადგილიდან ვერ დაძრავდა შლამში ჩაფლულ გემს.

თავი VI

თეორიული მსჯელობა კაციჭამიობაზე

ჯონ მანგლსის მიერ "მაკარის" გადასარჩენად მიღებული პირველი საშუალება არ გამოდგა. საჭირო იყო, დაუყოვნებლივ შესდომოდნენ მეორის განხორციელებას. აშკარა იყო, რომ "მაკარის" ატივტივება არ შეეძლოთ. ასეთ მდგომარეობაში ისღა დარჩენოდათ, გემი მიეტოვებინათ. გემზე საიდანმე შველის მოლოდინი უგუნურება იქნებოდა. სანამ მშველელი გამოჩნდება, "მაკარი" ნამსხვრევებად იქცეოდა. პირველივე ქარიშხალი მძაფრად ააგორებდა ტალღებს, გემს შლამისაკენე ჩააცურებდა და ნაფოტად აქცევდა. ჯონ მანგლსს უნდოდა ნაპირზე გადაესწრო, სანამ ეს მოხდებოდა. ამიტომ ამხანაგებს წინადადება მისცა, შეეკრათ ტივი, როგორც მეზღვაურები უწოდებენ "ვირთაგვისებური", მკვიდრი, რომ მგზავრებით და საკმაო სურსათ-სანოვაგით ნაპირზე გადასულიყვნენ. ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

ყველანი მიესივნენ სამუშაოს, საგრძნობლად დააწინაურეს და ღამემაც მოუსწროთ.

საღამოს რვა საათი იქნებოდა. ნავახშმევს, როდესაც ელენი და მერი გრანტი გადატიხრულში მოსვენებას მიეცნენ, პაგანელი და მისი ამხანაგები გემბანზე ბოლთას სცემდნენ. საუბრის საგანი სერიოზული იყო, მათ მდგომარეობას ეხებოდა. რობერტიც გვერდიდან არ შორდებოდა მათ. მამაცი ბიჭი გულმოდგინედ უსმენდა მათ საუბარს, მზად იყო, სამსახური გაეწია, სახიფათო საქმეში ჩარეულიყო. პაგანელი შეეკითხა ჯონ მანგლსს:

- არ შეიძლებოდა, რომ ნაპირ-ნაპირ გვეცურა ოკლენდამდე და სხვაგან არსად გადავსულიყავით?

ჯონმა უპასუხა, ეს სახიფათო იქნება, რადგან ტივი სახელდახელოდ შეკრულია და დაიშლებაო.

- ბრიგის ნავით ეს მოხერხდებოდა? - იკითხა პაგანელმა.

- მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და იმ პირობით, თუ დღისით ვივლიდით და ღამე ნაპირს მივადგებოდით, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- მაშასადამე, ის არამზადები, ჩვენ რომ აქ მიგვატოვეს...

- ჰო, ისინი... - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- ისინი ისე გამობრუჟული იყვნენ, რომ იმ კუნაპეტ ღამეში, ალბათ, თვისი სიკვდილით გამოისყიდეს ეს ღალატი.

- მით უარესი მათთვის, - ჩაილაპარაკა პაგანელმა, - და მით უარესი ჩვენთვისაც, რადგან ნავი ჩვენც გამოგვადგებოდა.

- არა უშავს რა, პაგანელ! - შენიშნა გლენარვანმა, - ნაპირზე ტივიც გადაგვიყვანს.

- აი, სწორედ მაგას ვერიდებოდი, - მიუგო გეოგრაფმა.

- აბა, რას ბრძანებთ?! ოცდაათი კილომეტრის გავლა აფიქრებს იმ ადამიანს, რომელმაც გადაიარა პამპასები და ავსტრალია, იმ ადამიანს, რომელიც შეჩვეულია ყოველგვარ გაჭირვებას?

- მეგობრებო, თქვენს სიმამაცესა და ჩვენი თანამგზავრი ქალების გულადობაში ეჭვი არ შემაქვს, - თქვა პაგანელმა, - ოცდაათი კილომეტრი სადმე სხვა ქვეყანაში სრულიად არაფერია, მაგრამ ახალ ზელანდიაში კი სულ სხვა გახლავთ. ლაჩრობას ვერ დამწამებთ, პირველად მე გაგიტაცეთ ამერიკისა და ავსტრალიის გადასავლელად, მაგრამ გიმეორებთ, სხვა რაც უნდა დაგვემართოს, ოღონდ ამ მზაკვარ ქვეყანაში ნუ შევდგამთ ფეხს!

- სჯობია, დასამართი დაგვემართოს, ვიდრე სიკვდილი ამ დანგრეულ გემზე, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- ახალ ზელანდიაში რისი უნდა გვეშინოდეს? - შეეკითხა გლენარვანი.

- ველურებისა! - მიუგო პაგანელმა.

- ველურებისა! - გაიმეორა გლენარვანმა, - განა არ შეიძლება მათ არ შევხვდეთ, აერიდოთ ნაპირ-ნაპირ სიარულით? ეგეც არ იყოის, რამდენიმე ავაზაკის თავდასხმამ როგორ უნდა შეაკრთოს კარგად შეიარაღებული და თავდაცვისათვის გამზადებული ათი ევროპელი?!

- საქმე ავაზაკები კი არ გახლავთ, - თავის გაქნევით უპასუხა პაგანელმა, - ახალი ზელანდია მძლავრი თემებისაგან შედგება. ისინი იბრძვიან ინგლისის გაბატონების წინააღმდეგ. ხშირად ამარცხებენ კიდეც ინგლისელებს და აუცილებლად ჭამენ მათ.

- კანიბალები! კანიბალები! - შეჰყვირა რობერტმა და ბოლოს თავისთვის ჩაილაპარაკა, _ ჩემი დაიკო! ჩემი ქალბატონი ელენი!

- ნუ გეშინია, ბიჭუნი, - დაამშვიდა გლენარვანმა, - ჩვენს მეგობარ პაგანელს გაზვიადება უყვარს ხოლმე.

- სულაც არ ვაზვიადებ, - განაგრძო პაგანელმა, - რობერტმა უკვე დაამტკიცა, რომ ის მამაცია, ამიტომ ისე ვექცევი, როგორც ვაჟკაცს და სიმართლეს არ ვუმალავ. ახალზელანდიელები ყველაზე უფრო მკაცრი და გაუმაძღარი კაციჭამიები არიან. ყველაფერს ჭამენ, რაც კი კბილებში მოხვდებათ. მათთვის ომი ნადირობას უდრის. სანუკვარ საკბილოს ის ნადირი წარმოადგენს, რომელსაც ადამიანი ეწოდება. უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთი ომი მართლაც ერთდერთი ლოგიკური ომია. ევროპელები მტერს კლავენ და მიწაში მარხავენ. ველურები კი ჯერ დახოცავენ და მერე შეჭამენ. მართალი იყო ჩემი თანამემამულე ტუსენელი, როდესაც ამბობდა, ნაკლები ბოროტებაა მტრის შეჭმა, როდესაც ის უკვე მკვდარია, ვიდრე მისი მოკვლა, როდესაც მას სიკვდილის სურვილი არა აქვსო.

- პაგანელ, - უთხრა მაიორმა, - ეგ საკითხი, რა თქმა უნდა, განხილვის ღირსია, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის. ლოგიკურად თუ ულოგიკოდ ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს, ვინმემე შეგვჭამოს. ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობ, ეს ამბები გაზვიადებული უნდა იყო მოგზაურების ფანტაზიით. ეს უნდა იყოს შედეგი სახიფათო ქვეყნებიდან დაბრუნების სიამოვნებისა.

- შეიძლება გაზვიადებული გახლდეთ, - მიუგო პაგანელმა, - მაგრამ მოიპოვებიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც სავსებით დაეჯერებათ.

პაგანელი მართალს ამბობდა. ანთროპოფაგია სანადირო ხელობად იქცა ახალ ზელანდიაშიც, ისევე როგორც ფიჯის კუნძულზე ან ტორესის სრუტეში. ველურებმა ადამიანის ჭამა შიმშილიანობის გამო დაიწყეს. შემდეგ ქურუმემა დალოცეს და დააკანონეს ეს საზარელი ზნე. კაციჭამიობა ჩვეულებად ექცათ. პაგანელი ამტკიცებდა და საფუძლვიანადაც, რომ ახალზელადიელებსა და ოკეანის სხვა ველურებს, ისევე როგორც უწინ ევროპის მცხოვრებთ, საშინელი გაჭირვება აიძულებს, დაადგნენ ანთროიპოფაგიის გზას.

- დიახ, - განაგრძობდა იგი, - კანიბალიზმი დიდხანს ბატონობდა ამჟამად ყველაზე უფრო განათლებული ერებს, განსაკუთრებით კი შოტლანდიელებს შორისაც.

- ნუთუ მართლა? - გაიკვირვა მაკ-ნაბსმა.

- დიახ, მაიორო, - განაგრძო პაგანელმა, - თუ შოტლანდიის შესახებ ზოგიერთ წიგნს გადაიკითხავთ, მიხვდებით, რა აზრის უნდა ბრძანდებოდეთ თქვენი წინაპრების შესახებ! თუნდაც ისტორიის ადრინდელ ხანაზეც რომ არა ვთქვათ რა, ელისაბედის მეფობის დროს, სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც შექსპირი წერდა თავის "შეილოკს", განა ბანდიტი სავნეი კაციჭამიობისათვის არ დასაჯეს სიკვდილით? მერე რამ აიძულა ასე მოქცეულიყო? სარწმუნოებამ? არა! მხოლოდ შიმშილმა!

- შიმშილმა! - გაიმეორა ჯონ მანგლსმა.

- დიახ, შიმშილმა, - მიუგო პაგანელმა, - ეს გახლავთ ორგანიზმის განსაკუთრებული მოთხოვნილება კუნთებისა და სისხლის აღსადგენად იმ აზოტის საშუალებით, რომელიც ცოცხალ ორგანიზშმი მოიპოვება. ფილტვების მუშაობისათვის მცენარეული საკვებიც საკმარისია, მაგრმ ვისაც უნდა ღონიერი და ენერგიული იყოს, მან ხორცეული უნდა ჭამოს, რომელიც კუნთებს აღადგენს. სანამ მაორები ვეგეტარიანებლები არ გახდებიან, ადამიანის ხორცის ჭამას არ მოიშლიან.

- მაგრამ რტომ ნადირის ხორცზე არ გადადიან? - იკითხა გლენარვანმა.

- იმიტომ, რომ მათ ქვეყანაში ნადირი არ იცის, - თქვა პაგანელმა, - ამით მათ კი არ ვამართლებ, მაგრამ ეს არის სათავე და მიზეზი მათი კანიბალური ჩვეულებისა. ამ უპურმარილო ქვეყანაში ნადირი კი არა, ფრინველიც კი იშვიათი სანახვია. ამიტომ უხსოვარ დროიდან მაორები ადამიანის ხორცით იკვებებიან. კაციჭამიობის სეზონიც აქვთ დაწესებული, როგორც განათლებულ, როგორც განათლებულ ქვეყანაში ნაავთ. ამ დროს იწყება ხოცვა-ჟლეტა, ე.ი. ომები, რაც იმით დამთავრდება, რომ რომელიმე თემის ხორცს გამარჯვებულის სუფრაზე შეექცევიან.

- ბატონო პაგანელ, თქვენია ზრით, გამოდის, ანთროპოფაგია მხოლოდ მაშინ მოისპობა, როდესაც ახალი ზელანდიის მინდვრებზე უხვად მომრავლდა ცხვარი, ხარი და ღორი? - იკითხა გლენარვანმა.

- ცხადია, თუმცა მას შემდეგაც დიდი დრო იქნება საჭირო, სანამ მაორები თავისიანების ჭამას გადაეჩვევიან. ისინი თავისიანების ხორცს ამჯობინებენ სხვებისას. იმიტომ მოგახსენეთ წლები-მეთი, რომ მათ შვილებსაც დიდხანს გამოჰყვებათ სიყვარული იმისა, რაც მათ მშობლებს ჰყვარებიათ. თუ ახალზელანდიელების აზრს ვერწმუნებით, მაორის ხორცს ღორის ხორცის გემო აქვს, თუმცა სუნით უკეთესია. თეთრების ხორცი უფრო ნაკლებ მოსწონთ, რადგან ევროპელები მარილს ხმარობენ, რაც მათ ხორცს განსაკუთრებულ გემოს აძლევს, კაციჭამია გასტრონომებს კი ეს არ მოსწონთ.

- პირის გემო სცოდნიათ! - ჩაილაპარაკა მაიორმა, - მაგრამ ეს მიბრძანეთ, იმ ხორცს თეთრი იქნება თუ შავი, როგორ მიირთმევენ - უმად თუ მოხარშულს?

- ბატონო მაკ-ნაბს, მაგის ცოდნა რისთვის დაგჭირდათ? - წამოიძახა რობერტმა.

- როგორ თუ რისთვის დამჭირდა, ჩემო ბიჭუნი, - სერიოზულად უპასუხა მაიორმა, - თუ ასეთი ბედის ვარ, რომ ანთროპოფაგის კბილებს ვერ გადავურჩე, უმჯობესია მოხარშული შემჭამოს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ცოცხალი არ გადამყლაპონ.

- კარგი იქნება, თუ ცოცხლად არ მოგხარშეს, მაიორო, - მიუგო პაგანელმა.

- ჩემი წონა ოქროც რომ მომცეთ, მაინც გამიძნელდება არჩევანის გაკეთება.

- ასე იქნება თუ ისე, მაჯ-ნაბს, თქვენ გესიამოვნებათ თუ არა, მაინც იცოდთ, რომ ახალზელანდიელები ხორცს მოხარშულს ჭამენ ან ბოლში გამოყვანილს, ჩვენებური შაშხივით. ჩინებული მზარეულები არიან. პირადად ჩემთვის, უნდა მოგახსენოთ, სასიამოვნო არ იქნება, თუ შემჭამს, - დასძინა პაგანელმა, - ნუთუ ჩემი სიცოცხლე ველურის კუჭში უნდა დასრულდეს?...

- ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ხელში არ უნდა ჩავუცვიდეთ ველურებს, - დაასკვნა ჯონ მანგლსმა.

თავი VII

მოგზაურები ხმელეთზე გადადიან, რომელსაც აჯობებდა, მორიდებოდნენ

პაგანელის მოყვანილი ფაქტები ახალზელანდიელების სისასტიკეს აშკარას ხდიდა. მაშასადამე, ნაპირზე გადასვლა და ველურებთან შეხვედრა სახიფათო იყო, მაგრამ საფრთხე ერთი ასადაც მეტი რომ ყოფილიყო, ხმელეთზე მაინც უნდა გადასულიყვნენ.

ჯონ მანგლსი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო გემის დაუყოვნებელი მიტოვება, რადგან ტალღები მალე გაანადგურებდა. ორ საფრთხეს შორის, რომელთაგან ერთი სათუო იყო, მეორე კი უეჭველი, არჩევა მხოლოდ პირველისა შეიძლებოდა. ამაო იყო იმის იმედი, ვითომც რომლეიმე შემთხვევით მომავალი გემი გადაარჩენდა მათ. "მაკარი" ისეთ ადგილზე არ იმყოფებოდა, სადაც ნაოსნობა წარმოებს ახალი ზელანდიის სანაპიროებთან. ჩვეულებრივ, გემები ან ოკლენდის ზემოთ, ან ქვემოთ - ახალი პლიმუთისაკენ დაიარებიან. მათი გემი კი ამ ორ პუნქტს შუა ჩაეფლო, უდაბური სანაპიროს პირდაპირ, მეტად სახიფათო და უკაცრიელ მიდამოში. გემები ერიდებიან ამ სანაპიროებს და თუნდაც ქარმა აქეთ გამოიტაცოს, ცდილობენ, დაუყოვნებლივ თავი გაარიდონ აქაურობას.

- როდის დავიძრებით? - იკითხა გლენარვანმა.

- ხვალ დილით ათ საათზე, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ზღვის მოქცევა მაშინ დაიწყება... და გაგვიყვანს ნაპირამდე.

საჭირო იყო მაგარი ტივის შეკვრა, რომლის მიბრუნება-მობრუნება შეეძლებოდათ და რომელიც ზღვის ტალღებსაც გაუძლებდა ოცდაათი კილომეტრის მანძილზე. ასეთი ტივის შესაკრავად სამყოფ მასალას "მაკარის" ანძები მისცემდათ. ვილსონი და მიულრედი საქმეს შეუდგნენ. ტაკელაჟი გადახერხეს, გროტ-ანძას ცულით გადაჭრეს. მათი ბოლოები მარჯვენა ბორტის ბადეებზე დაეცა და დაწყვიტა. "მაკარი" ურანგოუტოდ დარჩა; მარს-სტენგებიც გადახერხეს და გაათავთავადეს. ამგვარად, ტივის მთავარი ნაწილები უკვე წყალზე ჰქონდათ. ეს მასალა ფოკ-ანძის ნაწილებს მიუმატეს და შემდეგ ხეები მკვიდრად გადააბეს ერთმანეთს. მორებს და მორებშუა ჯონ მანგლსმა ცარიელი კასრები დაატნებინა, რომ ტივს უფრო თავისუფლად ეტივტივა.

ამ მყარ საფუძველზე ააგო ვილსონმა ბადიანი ქვედა ნაწილი ისე, რომ თუნდ ტალღებსაც გადაევლო, ზედ გადაქანდებოდა და ტივზე არ დარჩებოდა. გარდა ამისა, ტივს გარშემო შემოუწყვეს ცარიელი კასრები, რომლებიც ჯებირის მაგივრობას ეწეოდა და ტალღების ზედ გადავლას შეაფერხებდა.

მეორე დღეს, 5 თებერვალს, დილის 8 საათისათვის ტივი მზად ჰქონდათ. იმ დილით ჯონ მანგლსმა შეატყო, რომ ზურგის ქარი უბერავდა და ბრძანა, ტივის შუა ადგილას ანძის მსგავსად აემართათ ბრამ-სტენგი, რომელიც დაამაგრეს და ზედ აფრა მიამაგრს. ტივის ბოლოზე პირგანიერი ნიჩაბი დაატანეს, რომლითც შეიძლებოდა ტივის მიტრიალებ-მოტრიალება, თუ ქარი საკმაო სისწრაფით წაიყვანდა. ამ სახითი იგი შესამჩნევ ღელვასაც

გაუძლებდა. ქარს რომ გეზი ეცვალა, საჭის საშუალებით შეძლებდნენ თუ ვერა მიმართულების მიცემას და ნაპირზე მიღწევას? - ეს საკითხი საკითხად რჩებოდა.

ცხრა საათზე დაიწყეს ტივზე გადაბარგება. ჯერ სურსათ-სანოვაგე გადაზიდეს იმ რაოდენობისა, რაც ოკლენდამდე დასჭირდებოდათ, რადგან ამ პურაძვირ ქვეყანაში პროდუქტების შოვნის იმედი არ ჰქონდათ. იმ სურსათიდან, რომელიც ოლბინეტმა თავდაპირველად შეიძინა "მაკარიზე" დასატვირთად, რამდენიმე ხორცის კონსერვიღა დარჩენოდათ. ეს ხომ პირქარად არ ეყოფოდათ. ძალაუნებურად ისარგებლეს "მაკარიზე" დარჩენილი ორცხობილათი და ორი კასრი დამარილებული თევზით. ოლბინეტს დიდად ეჩოთირებოდა ეს გარემოება, მაგრამ მეტი რა გზა იყო. მთელი სანოვაგე ყუთებში ჩააწყვეს და ჰერმერტულად დახურეს, რომ ზღვის წყალს არ შეეღწია შიგ. ყუღები სახელდახელო ანძის ძირსზე მიამაგრეს. იარაღი და სასროლი მასალაც მშრალ ადგილას მოათავსეს. საბედნიეროდ, კარგად იყვნენ შეიარაღებულნი კარაბინებითა და რევოლვერებით. თან წაიღეს აგრეთვე ერთი პატარა Eღუზა იმ შემთხვევისათვის, თუ ერთი მოქცევის განმავლობაში ნაპირს ვერ მიაღწევდნენ და მეორე მოქცევის მოლოდინში ღუზებჩაშვებული გაჩერდებოდნენ ზღვაზე.

ათ საათზე ზღვის მოქცევა საგრძნობი გახდა. სუსტი ქარი უბერავდა ჩრდილო-დასავლეთიდან. ზღვის ზედაპირზე პატარ-პატარა ზვირთები ამოძრავდა.

- მზადა ვართ? - იკითხა ჯონ მანგლსმა.

- ყველაფერი მზად გახლავთ, კაპიტანო! - მიუგო ვილსონმა.

ელენი და მერი გრანტი უხეში თოკის კიბით ჩაეშვნენ და ანძის ძირას, სურსათის ყუთებზე ჩამოსხდნენ. თანამგზავრები მათ ირგვლივ შემოუსხდნენ. ვილსონმა საჭეს მოჰკიდა ხელი. ჯონ მანგლსი ბაგირეზე ჩამოჯდა. მიულრდიმ გადაჭრა ბაგირი, რომლითაც ტივი გამობული იყო გემზე. იალქანი ასწიეს და ტივი დაიძრა ნაპირისაკენ ქარისა და ზღვის მოქცევის შემწეობით.

ნაპირი ოცდაათი კილომეტრის მანძილზე იქნებოდა, რომელსაც რიგიანი ნავი სამ საათს გაცურავდა, მაგრამ ტივით საქმე გაუჭიანურდათ. თუ ქარი არ ჩადგებოდა, ნაპირს ერთი მოქცევის განმავლობაში მიაღწევდნენ, მაგრამ თუ ქარი მიყუჩდეოდა, მეორე მოქცევისათვის უნდა დაეცადათ. ეს გარემოება აშფოთებდა ჯონ მანგლსს, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ ლელოს გაიტანდა.

ქარი ძლიერდებოდა. რადგან ზღვის მოქცევა ცხრა საათზე დაიწყო, სამ საათამდე მაინც უნდა მიეღწიათ ნაპირისათვის, თორემ ღუზის ჩაშვება დასჭირდებოდათ ან ტივს გაიტაცებდა ზღვის მიქცევა.

ცურვა იღბლიანი გამოდგა. წყალქვეშა კლდეების წვეტებს ზღვის მოქცევა თანდათან ფარავდ. დიდი ყურადღება და მოხერხება იყო საჭირო, რომ ასცდენოდნენ უჩინარ კლდეებს და ტივი მარჯვედ მიემართათ, რადგან საჭეს ადვილად არ ემორჩილებოდა.

შუადღისას რვა კილომეტრის მანძილზე იყვნენ ნაპირიდან. მოწმენდილი ცა საშუალებას იძლეოდა, გაერჩიათ კუნძულის მთავარი მოხაზულობა. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრეს ერთი კილომეტრის სიმაღლე მთა აზიდულიყო. ეს მთა ისე მოჩანდა ჰორიზონტზე, თითქოს მაიმუნს აღმა აუშვერია სახეო. ეს იყო პირონგიას მთა, რომელიც რუკაზედაც აღნიშნული იყო ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე.

პირველის ნახევარზე პაგანელმა თანამგზავრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ყველა წყალქვეშა კლდეს უკვე წყალი შემოადგა და დაფარა.

- ერთის გარდა, - შენიშნა ელენმა.

- აბა, რომლის? - ჰკითხა პაგანელმა.

- აგერ იქით! - თქვა ელენმა და თან მიუთითა ერთ შავ წერტილზე, რომელიც ერთი მილის მანძილზე მოჩანდა ტივის წინ.

- მართლაც! - თქვა პაგანელმა, - უნდა გამოვარკვიოთ მისი ადგილმდებარეობა, რომ არ დავეჯახოთ, როდესაც ზღვის მოქცევა დაფარავს.

- სწორედ მთის სამხრეთითაა, - თქვა ჯონ მანგლსმა, - ვილსონ, ეცადე გვერდი აუარო.

- არის კაპიტანო! - მიუგო მეზღვაურმა და თან მთელი სიმძიმით დააწვა საჭის ნიჩაბს.

ნახევარი საათის შემდეგ მხოლოდ ნახევარი მილი ჰქონდათ გავლილი, მაგრამ შავი წერტილი ჯერაც არ იფარებოდა წყლით. ჯონ მანგლსი დიდი ყურადღებით გასცქეროდა მას და უკეთესად რომ დაეთვალიერებინა, პაგანელს ჭოგრი გამოართვა, დიდხანს უცქირა დაკვირებით და ბოლოს ჩაილაპარაკა:

- წყალქვეშა კლდე როდია, რაღაც მოტივტივე საგანი, ტალღებზე ადი-ჩამოდის.

- იქნებ "მაკარის" ანძის ნატეხია? - იკითხა ელენმა.

- არა, ნატეხს ვერ წამოიღებდა ასეთ დიდ მანძილზე, - მიუგო გლენარვანმა.

- მოითმინეთ! - წამოიძახა ჯონ მანგლსმა, - მივხვდი, ორჩხომელია!

- "მაკარის" ორჩხომელი?! - იკითხა გლენარვანმა.

- დიახ, ის გახლავთ, "მაკარის" გადაბრუნებული ორჩხომელი!

- უბედურები! დაღუპულან ! - შესძახა ელენმა.

- უეჭველია, - უპასუხა ჯონ მანგლსმა.

- დაიღუპებოდნენ, მაშ რა მოუვიდოდათ, როდესაც ამ აბობოქრებულ ზღვაში და საშინელ სიბნელეში გასცურეს.

რამდენიმე წუთს მგზავრები უსიტყვოდ გაირინდნენ. გასცქეროდნენ ამ მჩატე ნავს, რომელსაც უახლოვდებოდნენ. როგორც გამოირკვა, ნაპირიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე გადაბრუნებულიყო. ალბათ, შიგ მსხდომი ვერავინ გადარჩა!

- ეგ ნავი შეიძლება ჩვენც გამოგვადგეს! - თქვა გლენარვანმა.

- მართლაც! - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ვილსონ, მარჯვნივ!

ტივმა გეზი იცვალა, მაგრმ ქარი მიყუჩდა, სვლა გაუნელდათ და ნავს მხოლოდ ორ საათზე მიუახლოვდნენ. ტივის თავში მდგომმა მიურედიმ დაიჭირა ნავი და ტივისკენ მოსწია.

- ცარიელია? - ჰკითხა ჯონ მანგლსმა.

- დიახ, კაპიტანო, - მიუგო მეზღვაურმა, - ცარიელია და ძირგახვრეტილი, ვერაფერში გამოვიყენებთ.

- ნუთუ მართლაც ვერაფერში? - იკითხა მაკ-ნაბსმა.

- ვერაფერში, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - შეშად თუ გამოდგება.

- სამწუხაროა, - თქვა პაგანელმა, - მაგ ორჩხომელს შეეძლო ოკლენდში მივეყვანეთ.

- რა გაეწყობა, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - ისე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მოუსვენარ ზღვაზე ჩვენი ტივი მირჩევნია ასეთ მჩატე ნავს. ერთი ოდნავი დაჯახებაც კი დაამსხვრევს. მაშ, ასე, მილორდ, ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება!

- თქვენი საქმისა თქვენ იცით, ჯონ! - მიუგო გლენარვანმა.

- გავწიოთ, ვილსონ! - უბრძანა ახალგაზრდა კაპიტანმა, - გეზი პირდაპირ ნაპირისკენ გეჭიროს.

მოქცევა თითქმის ერთ საათს კიდევ უნდა გაგრძელებულიყო. ამ ხნის განმავლობაში სამი კილომეტრის გავლა შეძლეს, მაგრამ მერე ქარი ჩადგა. გეზი იცვალა, თითქოს ნაპირის მხრიდან უნდა დაუბეროსო. ტივი გაჩერდა და მალე უკან-უკან დაიწყო სვლა მიქცევის ძალით, ყოყმანი შეუძლებელი იყო და ჯონ მანგლსმა შესძახა:

- ღუზა ჩაუშვით!

დარაჯად მდგარმა მიურედიმ ღუზა ჩაუშვა ზღვაში ათი მეტრის სიღრმეზე. ტივი ერთხანს უკან გაქანდა ოთხიოდე მეტრის მანძილზე და ღუზის დაჭიმულ ბაგირზე გაჩერდა. იალქანი ჩამოხსნეს და მგზავრები ხანგრძლივი დგომისათვის მოემზადნენ. მართლაც, ხელახალი მოქცევა საღამოს ცხრა საათზე უნდა დაწყებულიყო და რადგან კაპიტანს არ უნდოდა ღამით ევლო ნაპირისაკენ, ამჯობინა, დაბმულ ღუზაზე დაეცადათ დილის ხუთ საათამდე. ხმელეთი პირდაპირ ჩანდა, ხუთი კილომეტრის მოშორებით.

დიდი მღელვარება გამოიწვია მათში იმ შთაბეჭდილებამ, თითქოს ნაპირისაკენ იძვრიანო. გლენარვანმა ჰკითხა ჯონ მანგლსს, რატომ არ გინდათ ნაპირისაკენ მსრბოლი ტალღებით ისარგებლოთო.

- მხოლოდ ოპტიკურ ცდუნებას განიცდით, სერ, - უპასუხა ახალგაზრდა კაპიტანმა, - თქვენ გეჩვენებათ, თითქოს ტლღები მოჩქეფს, ნამდვილად კი ტალღები ადგილიდან არ

იძვრის. წყლის ნაწილაკები ადი-ჩამოდის ზემოდან ქვემოთ. აქედან ჩნდება ასეთი ზვირთისებური მოვლენა. საკმარისია, გადააგდოთ ხის ნაჭერი და დაინახავთ, რომ ერთ ადგილას გაჩერდება, სანამ ზღვის მოქცევა არ დაიწყება. ამიტომ ჯერ ვერაფერს გავაწყობთ. მოთმინებით უნდა ველოდო ზღვის მოქცევას....

- და ვისდილოთ... - ჩაურთო მაიორმა.

ოლბინეტმა სანოვაგის ყუთიდან ამოალაგ რამდენიმე ნაჭერი გამხმარი ხორცი და თორმეტიოდე ნატეხი ორცხობილა. ძალიან ერიდებოდა ასეთი ღარიბი სუფრის გაშლა, მაგრამ ყველანი სიამოვნებით შეექცნენ, ქალებიც კი რომელნიც ბევრი ნჯღრევისაგან უმადოდ იყვნენ.

მართლაც, ძალიან მომქანცველი იყო ტივის ახეთქებ-დახეთქება, ეს უსიამვნო გუნებაზე აყენებდა მათ. განუწყვეტლივ რყევა კუდალა ტალღებზე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ტივი წყალქვეშა კლდეებს ეხეთქებაო. ზოგჯერ კი ეჩვენებოდათ, თითქოს ტივი ზღვის ფსკერს გაეხახუნაო.

ღუზის ბაგირი ძალზე იჭიმებოდა და ჯონ მანგლსი ნახევარ საათში ერთხელ მაინც მოუშვებდა ბაგირს, რათა ტალღას არ მოეგლიჯა ღუზა ან ბაგირი არ გადაწყვეტილიყო და ტივი გაშლილ ზღვაში არ გაექანებინა.

მოსაღამოვდა. მზის სისხლისფერი დისკო ჰორიზონტს მიეფარა. დასავლეთისაკენ შორეული წყლის ზოლი ვერცხლისფრად ელვარბდა. ჰორიზონტის იმ მხარეს არაფერი მოჩანდა წყლისა და "მაკარის" მეტი, რომელიც ისევე უძრავად იდგა საფლობში.

ხანმოკლე ბინდბუნდმა მხოლოდ რამდენიმე წუთით შეაგვიანა შემოღამება და მალე აღმოსავლეთით ნაპირი წყვდიადში გაეხვია ჩრდილოეთით კი ხომალდი.

წყვდიადით გარშემორტყმული და პატარა ტივზე მყოფი მოგზაურები საშინელი მღელვარებით ათევდნენ ღამეს. ზოგი მოთენთილობით ილაჯგაწყვეტილი უგემიურად თვლემდა, ზოგს კი დილამდე თვალი არ მოუხუჭავს.

განთიადისას ყველანი მოთენთილები იყვნენ. ზღვის მოქცევის დაწყებისას ქარმა ზღვიდან წამოუბერა. დრო ძვირად უღირდათ და ჯონ მანგლსი მზად იყო გასამგზავრებლად. მან განკარგულება გასცა, ღუზა ამოეთრიათ, მაგრამ ღუზის თათები ისე ღრმად ჩაფლობილიყო ფსკერის შლამში, რომ მისი ამოთრევა შეუძლებელი აღმოჩნდა. მთელი ნახევარი საათი მოანდომეს ამ საქმს. ბოლოს, მანგლსმა, ბრძანა, გადაეჭრათ ღუზის ბაგირი, რომ გამგზავრება არ შეფერხებულიყო. ბაგირი გააჭრეს, ღუზა ფსკერზე დარჩა და უიმისოდ გაცურეს ზღვაში. ამგვარად, მეორე მოქცევის დროსაც რომ ნაპირამდე ვერ მიეღწიათ, უღუზოდ აღარც ზღვაში შეეძლოთ გაჩერება. ბაგირის გადაჭრის შემდეგ ტივი ქარმა და მდინარებამ გაიტაცა, სვლის სიჩქარეც ორ კვანძს უდრიდა.

აფრა აუშვეს. ტივი მძიმედ მიცურავდა ნაპირისაკენ, რომელიც ამომავალი მზის სხივებით გაშუქებული ცის ფონზე ნაცრისფერად მოჩანდა. ფურთუნებს ფრთხილად უქცევდნენ მხარს, მაგრმ სუსტი ნიავის გამო ტივი თითქმის არ იძვროდა. როგორი ძნელი იყო ახალი ზელანდიის ნაპირზე გადასვლა და ამავე დროს როგორი სახიფათოც! ცხრა საათზე მიწამდე კილომეტრ-ნახევარიღა იქნებოდა. სანაპიროზე ტალღები აქაფებულიყო, ფრიალო ფერდოებებთან უნდა გამოენახათ უხიფათოდ მისადგომი ადგილი.

ქარი სრულიად ჩადგა. მოდუნებული იალქანი ანძას ეგლასუნებოდა, კაპიტანმა ბრძანა, ჩამოეხსნათ იგი. ახლა მხოლოდ ზღვის მოქცევის ძალა მიაცურებდა ტივს. მართვა აღარ სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ წინსვლას აფერხებდა უზარმაზარი წყალმცენარეები. ათ საათზე ტივი თითქმის გაჩერდა ნაპირიდან სამი კაბელტოვის მანძილზე. ღუზა აღარ ჰქონოდათ, რომ ზღვაში ჩაეშვათ და ერთ ადგილას გაჩერებულიყვნენ. ყოველ წუთს შეეძლო ტივი უკანვე გაეტაცნა ზღვის მიქცევას.

ჯონ მანგლსი ბოღმისაგან მუშტებს კუმშავდა და ხარბი თვალით გასცქეროდა მიუღწეველ ნაპირს. ამ დროს, საბედნიეროდ, დაჯახება იგრძნეს და ტივი გაჩერდა, ის შლამში ჩაეფლო ნაპირიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით.

გლენარვანი, რობერტი, ვილსონი და მიულრედი წყალში გადაეშვნენ. ტივი მაგრად დააბეს ლოდზე. ქალები ხელით გადაიყვანეს ნაპირზე, ისე, რომ ფეხებიც არ დაასველებინეს. ყველანი მალე გაჩნდნენ ახალი ზელანდიის ამ საშინელ სანაპიროზე მთელი თავიანთი იარაღითა და სურსათით.

თავი VIII

ახალი ზელანდიის დღევანდელი დღე

გლენარვანს უნდოდა დროის დაუკარგავად გაჰყოლოდნენ ზღვის სანაპიროს ოკლენდისკენ, მაგრამ ცა დილიდანვე დაიფარა დიდი ღრუბლებით და ნაპირზე გადაბარგების შემდეგ ერთბაშად წამოვიდ კოკისპირული წვიმა. გამგზავრებაზე უარი თქვეს; საჭირო იყო სადმე შეეფარებინათ თავი.

ვილსონმა ერთი გამოქვაბული დაინახა, რომელიც ბაზალტის კლდეში ზღვას გამოეხრა. მგზავრებმა თავიანთი ბარგი-ბარხანით გამოქვაბულს შეაფარეს თავი. გამოქვაბულში ბევრი მშრალი წყალმცენარე ეყარა და მგზავრებმაც ისარგებლეს ამ ბუნებრივი საგებლით. გამოქვაბულში კაჭაჭი მოაგროვეს, ცეცხლი გააჩაღეს და ტანისამოსის გაშორება დაიწყეს.

ჯონ მანგლსს იმედი ჰქონდა, მალე გამოიდარებდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. შუადღისას ქარი გაძლიერდა და ამინდი უფრო გაუარესდა. ეს გარემოება მოთმინებით აღსავსე ადამიანსაც კი გააბრაზედა, მაგრამ რას იზმდნენ? ასეთ ამინდში გამგზავრება უგუნურება იქნებოდა. მეორეც, ოკლენდამდე მისვლას რამდნეიმე დღეს მოუნდებოდნენ და თორმეტიოდე საათით შეფერხებას რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, თუ რასაკვირველია, საიდანმე თავს ველურები არ წამოადგებოდნენ.

ამ იძულებითი ბანაკობის დროს საუბარი ჩამოვარდა ახალი ზელანდიის ომზე, რომელიც ამჟამად წარმოებდა. იმის გასაგებად და შესაფასებლად, რა სერიოზულ საფრთხეში ჩაცვივდნენ "მაკარის" მგზავრები, რომლებიც ამ სანაპიროზე მოხვდნენ, საჭიროა ვიცოდეთ ისტორია იმ ომისა, რომელიც სისხლით რწყავდა იკა-ნა-მაუის კუნძულს.

მას შემდეგ, რაც აბელ ტასმანი 1642 წლის 16 დეკემბერს კუკის სრუტეში მივიდა, ახალზელანდიელებთან ხშირად შეუვლიათ ევროპელების ხომალდებს, მაგრამ ახალი ზელანდიის კუნძულები სრულიად დამოუკიებელი რჩებოდა ხოლმე. ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ გაუნზრახავს ამ არქიპელაგის დაპყრობა, რომელიც მის მფლობელს წყნარ ოკეანეზე ბატონობის სადავეებს აძლევს ხელში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, მეტადრე ინგლისელი მისიონერები, ნელ-ნელა ამზადებდნენ ზელანდიის ბელადებს ინგლისის მორჩილებისათვის. ადგილობრივი მკვიდრნი ადვილად დაითანხმეს და ხელი მოაწერინეს დედოფალ ვიქტორიას სახელზე გაგზავნილ თხოვნაზე, ინგლისის მფარველობაში მიეღოთ, ე.ი. მათი პროტექტორი გამხდარიყო. თუმცა ერთმა ბელადთაგანმა, სხვებზე უფრო შორსმჭვრეტელმა, როდესაც თავისი სვირინგის ნიშანი დაასვა ამ წერტილს, თან იწინასწარმეტყველა: დავკარგეთ ჩვენი ქვეყანა. ამიერიდან იგი ჩვენ აღარ გვეკუთვნის. მალე მოვა უცხოელი, დაეპატრონება მას და ჩვენც დაგვიმონებსო.

მართლაც, 1840 წლის 29 იანვარს ამ კუნძულების ყურეში, იკან-ნა-მაუის ჩრდილო სანაპიროზე, სამანძიანი სამხედრო გემი "ჰეროლდი" მოვიდა. მისი კაპიტანი ჰობსონი ნაპირზე, სოფელ კორორა-რეკაში გადავიდა. მოსახლეობა შეკრიბეს პროტესტანტების ეკლესიაში და წაუკითხეს დედოფალ ვიქტორიას სიგელი, რომელიც ჰობსონს ჩამოეტანა.

მეორე წელს, 5 იანვარს, ახალზელანდიელების მთავარი ბელადები დაიბარეს ინგლისის რეზიდენტთან, სოფელ პარასში. კაპიტანი ჰობსონი შეეცადა მათთვის მეტროპოლიის ქვეშევრდომობა მიეღებინებინა. გამოუცხადა ბელადებს: დედოფალმა ჯარი და ხომალდები გამომატანა თქვენს დასაცავად; ყველა უფლება ხელუხლებელი დაგრჩებათ,

თქვენი თავისუფლება არაფრით შეიზღუდბა, მაგრამ თქვენი სამფლობელოები დედოფალს უნდა ეკუთვნოდეს. დედოფალი დიდად დაგასაჩუქრებთო.

ბელადების უმრავლესობამ ასეთი პროტექტორათი მიუღებლად ჩათვალა და უარი განაცხადა, მაგრამ ათასნაირი დაპირება და საჩუქარი უფრო მეტ საქმეს აკეთებდა, ვიდრე კაპიტან ჰობსონის მჭერმეტყველება. ასე რომ, ბოლოს პროტექტორატს შეურიგდნენ.

რა მოხდა მას შემდეგ, ე.ი. 1840 წლიდან იმ დღემდე, როდესაც "დუკანი" კლაიდის ყურედან გამოვიდა? ისეთი არაფერი, რომ პაგანელს არ სცოდნოდა და მანაც ჩვეული ხალისით გაუზიარა თავის მეგობრებს:

- ქალბატონო, - მიმართა მან ელენს შეკითხვის საპასუხოდ, - უნდა გაგიმეოროთ ის, რაც ერთხელ უკვე მოგახსენეთ. ახალზელანდიელები მამაცი ხალხია, რომელიც თუმცა მოტყუვდა და ინგლისელების პროტექტორატი მიიღო, მაგრამ ყოველი ფეხის გადადგმაზე ეწინააღმდეგება მათ შემოჭრას. მაორების ტომიც ისეთ წესზეა ორგანიზებული, როგორც ძველი შოტლანდიის თემები, ანუ კლანები. ეს არის პატარ პატრიარქალური ოჯახები, რომლებიც ერთ მთავარ ბელადს ცნობენ და მხოლოდ მას ემორჩილებიან უსიტყვოდ და შეუდავებლად. თემის მამაკაცები ამაყი და გულადი ხალხია. ზოგი მათგანი ახოვანია, შავად მოელვარე მშვენიერი თმითა და მალტელებს გვაგონებენ. სხვანი თუმცა გაცილებით ტანდაბლები არიან და მულატებს ჰგვანან, ღონიერი, ამაყი და მებრძოლი ხალხია. ამიტომაც არ უნდა გიკვირდეთ, რომ იკა-ნა-მაუის მიწა-წყალზე ინგლისელებთან ომი დაუსრულებლად გაჭიანურდა, რადგან სწორედ ამ კუთხეში ბინადრობს განთქმული ვაიკატოსების ტომი, რომელსაც ქვეყნის თავდასაცავად სათავეში უდგას ვინმე უილიამ თომპსონი.

- მაგრამ განა ინგლისელები არ ბატონობენ ახალი ზელანდიის უმთავრეს სავაჭრო, დასახლებულ და სტრატეგიულ ადგილებში? - იკითხა მაიორმა.

- რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო მაიორო, - მიუგო გეოგრაფმა, - მას შემდეგ, რაც კაპიტანმა ჰობსონმა ახალზელანდიელები მეტროპოლიის ქვეშევრდომებად გამოაცადა, ამ კუნძულებზე, რომლის გუბერნატორიც ჰობსონი გახდა, თანდათანობით, 1840 წლიდან 1862 წლამდე უფრო მოსახერხებელ და მარჯვე ადგილებში გაშენდა ინგლისელების ცხრა ახალშენი. აქედან ბუნებრივი აუცილებლობით წარმოიშვა ცხრა პროვინცია, ოთხი ჩრდილოეთის კუნძულზე - ოკლენდი, ტარანაკი, ველინგტონი და ჰაუკსი, ხოლო ხუთი სამხრეთის კუნძულზე - ნელსონი, მალბორო, იენტერბური, ოტაგო და საუთლენდი. ყველა ამ პროვინციაში 1864 წლის 30 ივნისისათვის სულ 180346 მცხოვრები იყო. ბევრ ადგილას გააშენეს თვალსაჩინო სავაჭრო ქალაქები. აი, როდესაც ოკლენდში შევალთ, ამ სამხრეთის კორინტიის მდებარეობა აღტაცებაში მოგიყვანთ; ეს ქალაქი ბატონობს ამ ვიწყრო ყელზე, რომელიც სოლივით იჭრება წყნარ ოკეანეში და ამჟამად თორმეტი ათას მცხოვრებს ითვლის. დასავლეთითაა - ნიუ-პლიუმუთი, აღმოსავლეთით - აჰურირი; სამხრეთით - ველინგტონი. ყველა ეს ქალაქი აყვავებულია. ყველგან გაცხოველებულია მიმოსვლა და აღებ-მიცემობა. სამხრეთ კუნძულებზე გაგიძნელდებათ შეარჩიოთ, რომელი ქალაქი უფრო წარმტაცია: ნელსონი, ეს სამხრეთ ნახევარსფეროს მონპელიე და ახალი ზელანდიის გაფურჩქვნილი ბაღი თუ კუკის სრუტეზე მდებარე პიკტონი; კრისტჩერჩი თუ ინვერკარგილი ან დენდინი, სადაც თავს იყრიან მთელი მსოფლიოს ოქროსმაძიებლები. ამასთან, არ დაივიწყოთ, რომ საქმე ეხება არა რამდენიმე ქოხსა და ადგილობრივ მცხოვრებს, არამედ ნამდვილ ქალაქებს თავიანთი ნავსადგურებით, ტაძრებით, ბანკებით, გემთსაშენებით, ბოტანიკური ბაღებით, საბუნებისმეტყველო-საისტორიო მუზეუმებით, საკლიმატიზაციო საზოგადოებებით, ჟურნალ-გაზეთებით, ჰოსპიტლებით, ფილოსოფიის ინსტიტუტებით, კლუბებით, მომღერალთა საზოგადოებებით, თეატრებითა და მსოფლიო გამოფენის სასახლეებით. სწორედ ისე, როგორც გინახავთ ლონდონში ან პარიზში. და თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1865 წელს, ესე იგი ამ წელს და შეიძლება ამ წუთსაც, როდესაც მე გესაუბრებით, მთელი მსოფლიოს სამრეწველო ნაწარმი გამოფენილია ამ ანთროპოფაგების ქვეყანაში!

- როგორ, ადგილობრივ მოსახლეობასთან განუწყვეტელი ომების დროს? - გაიკვირვა ელენმა.

- ინგლისელებს ომი ვერ შეაშფოთებს ქალბატონო! - მიუგო პაგანელმა, - ინგლისელები ომობენ კიდეც და თან გამოფენებსაც აწყობენ. ამას აინუნშიაც არ აგდებენ! რკინიგზებიც კი გაჰყავთ სწორედ იმ დროს, როდესაც ახალზელანდიელების მხრიდან გააფთრებული სროლაა ატეხილი. ოკლენდის პროვინციაში დრიურიდან მიმავალი რკინიგზა და მერემერისაკენ მიმავალი რკინგიზის ლიანდაგი მეამბოხეთა მიერ დაკავებულ უმთავრეს ადგილებზე გადის. სანამლეოს დავდებ, რომ იქ მუშები ხიშრად ნიჩბებს ცვლიან შაშხაებზე და ორთქმავლებიდან ისვრიან თოფებს.

- მაგრამ ახლა რა მდგომარეობაშია ეს გაუთავებელი ომი? - იკითხა ჯონ მანგლსმა.

- უკვე ექვსი თვეა, რაც ჩვენ ევროპა მივატოვეთ, - მიუგო პაგანელმა, - ამის გამო არ ვიცი, რა მოხდა ჩვენი წამოსვლის შემდეგ, იმ სამი ფაქტის გარდა, რომელიც მერიბოროუსა და სეიმურის გაზეთებში ამოვიკითხე, მაგრამ უკვე იმ დროს იკა-ნა-მუის კუნძულზე გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა.

- მერე, როდის დაიწყო ეს ომი? - იკითხა მერი გრნტმა.

- თქვენ, ალბათ, გნებავდათ გეთქავთ, როდის განახლდაო, ჩემო კეთილო, რადგან პირველი აჯანყება 1845 წელს მოხდა. ახლანდელი ომი 1863 წლის ივნისის დამლევს დაიწყო, მაგრამ გაცილებით ამაზე უფრო ადრე ემზადებოდნენ მაორები ინგლისელების ბატონობის დასამხობად. ადგილობრივ მცხოვრებთა ნაციონალური პარტია მგზნებარე პროპაგანდას ეწეოდა, რათა მაორებს ბელადი აერჩიათ. უნდოდათ მეფედ მოხუცი პოტატუ გამოეცხადებინათ, მისი სოფელი კი, რომელიც ვაიკატოსა და ვაი პოის მდინარეებს შუა მდებარეობს, ახალი სამეფოს სატახტო ქალაქად ეღიარებინათ. პოტატაუ უფრო ეშმაკია, ვიდრე ვაჟკაცი, მაგრამ მას ჰყავს უერთგულესი, გონიერი და მეტად ენერგიული პირველი მინისტრი, იგატიხახუასების ჩამომავალი, რომლებიც უცხოელების დაპყრობამდე ბატონობდნენ ოკლენდის ყელზე. მინისტრი უილიამ თომპსონი გახლავთ, რომელიც გამათავისუფლებელი ომის სულისჩამდგმელია. მან მარჯვედ მოამზადა მაორების სამხედრო რაზმები. მისი ჩაგონებით, ტარანაკის ერთ-ერთმა ბელადთაგანმა გააერთიანა დაქსაქსული თემები. ვაიკატოს მეორე ბელადმა ჩამოაყალიბა "მიწათმოქმედთა ლიგა", რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინგლისის მთავრობისათვის მიწების მიყიდვას. ინგლისური გაზეთები აღნიშნავდნენ ამ სახიფათო ნიშნებს და Mთავრობა შეშფოთებული იყო "მიწათმოქმედთა ლიგის" მოქმედებით. ერთი სიტყვით, მდგომარეობა დაძაბული იყო და აფეთქებაც აუცილებელი გახდა. საჭირო იყო მხოლოდ ნაპერწკალი, ანუ სწორად რომ ვთქვათ, შეტაკების რაიმე საბაბი ორივე მხირდან.

- მერე შეტაკება მოხდა? - იკითხა გლენარვანმა.

- დიახ, მოხდა 1860 წელს, - მიუგო პაგანელმა, - ეს იყო ტარანაკის პროვინციაში იკა-ნა-მაუის კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ერთ მცხოვრებს ახალი პლიმუითის მეზობლად მიწა ჰქონდა. ეს მიწა მან ინგლისის მთავრობას მიჰყიდა, მაგრამ როდესაც მიწისმზომელები მივიდნენ ნაყიდი ნაკვეთის შემოსაზომად, კინგის ბელადმა პროტესტი განუცხადა და იმავე წლის მარტში სწორედ ამ მიწის ნაკვეთზე ააგო ციხესიმაგრე, რომელიც მაღალი მესრით შემოზღუდა. რამდენიმე დღის შემდეგ პოლკოვნიკი ჰოლდი მოვიდა და ჯარის საშუალებით გაანადგურა სიმაგრე. სწორედ იმ დღეს გავარდა პირველი თოფი, რომლითაც დაიწყო ეროვნული ომი.

- მერე, ბევრი არიან მაორები? - შეეკითხა ჯონ მანგლსი.

- მაორების მოდგმა ამ უკანასკნელ საუკუნეში ძალიან შემცირდა. 1769 წელს, კუკის გამოანგარიშებით, ოთხასი ათასი სული იყო. ცივილიზატორულმა ჟლეტამ, სნეულებამ და არაყმა მუსრი გაავლო მოსხლეობის ერთ ნაწილს. ამჟამად ორივე კუნძულზე მათი რიცხვი ოთხმოცდაათ ათას სულს აღწევს, რომელთა შორის ოცდაათი ათასი მეომარი იქნება. ისინი ჯერ კიდევ დიდხანს ამყოფებენ საფრთხეში ინგლისის ჯარს.

- დღემდე აჯანყება წარმატებით მიდიოდა? - იკითხა ელენმა.

- დიახ, ქალბატონო, თვითონ ინგლისელებიც კი ხშირად აღტაცებულნი არიან ახალზელანდიელების ვაჟკაცობით. ისინი პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებენ. უსაფრდებიან ინგლისის ჯარებს, თავს ესხმიან პატარა რაზმებს, ახალშენელების სამფლობელოებს ძარცვავენ და აწიოკებენ. ამ კამპანიაში გენერალი კამერონი მხოლოდ ფორტებზე არ გრძნობდა თავს სახიფათო მდგომარეობაში. რადგან თითოეული ჯაგი ჩასაფრებულებს მალავდა. 1863 წელს, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, მაორებს უშველებელი გამაგრებული პოზიცია ეჭირათ ვაიკატოს ქედებზე, რომლეცი ფრიალოდ დაშვებულ ბორცვებით ბოლოვდებოდა. პოზიციას სიმაგრეების სამი წყება იცავდა. მაიორი-აგიტატორები მთელ მოსახლეობას მოუწოდებდნენ თავისი მიწა-წყლის დასაცავად და აღუთქვამდნენ "ფაკეკასის", ე.ი. თეთრების განდევნას. გენერალ კამერონს ჰყავდა სამი ათასი კაცი, რომლებიც კაპიტნ სპრენტას მოკვლის შემდეგ მაორებს აღარ ინდობდნენ. სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა. ზოგი მათგანი ოც საათს გაგრძელდა, მაგრამ მაორები მაინც არ ნებდებოდნენ, ზარბაზნების დაშენის დროსაც კი იბრძოდა ვაიკატოს თემი, რომელსაც სათავეში ედგა უილიამ თომპსონი, დამოუკიდებელი მოსახლეობისაგან შედგენილი არმიის სულისჩამდგმელი. ამ ბელადს თავდაპირველად ორი ათას ხუთსი კაცი ჰყავდა, შემდეგ კი მათი რიცხვი რვა ათასამდე ავიდა. მის საშველად მივიდა ორი ბელადი - შონგი და ხეკი თავიანთი ქვეშევრდომებით. ადგილობრივ მცხოვრებთა ამ საღმრთო ომში დედაკაცებმაც მიიღეს ცხოველი მონაწილეობა და მებრძოლებთან ერთად გაიზიარეს მძიმე ხვედრი. გამანადგურებელი ბრძოლების შემდეგ გენერალმა კამერონმა შეძლო ვაიკატოს ოლქის დაპყრობა, მაგრამ გამარჯვებულ გენერალს უკაცური მხარე დახვდა, რადგან მაორებმა მიატოვეს ვაიკატო. ამ ომების დროს რამდენიმე შესანიშნავი ეპიზოდი მოდა.

ერთხელ ორაკანის სიმაგრეში ოთხასი მაორი მოიმწყვდიეს, გარს ერტყა ათასი ინგლისელი ჯარისკაცი ბრიგადის გენერალ კარეას სარდლობით. მეციხოვნე მაორები არ ნებდებოდნენ, თუმცა სურსათიც შემოაკლდათ და წყალიც. ერთ დღეს, შუადღისას მათ იარაღით გააღვიეს მე-40 ათასეული, რომელიც მოულოდნელობისაგან დაიბნა. მაორებმა ჭაობებს შეაფარეს თავი.

- ეს ომი ვაიკატოს დაპყრობით დამთავრდა? - შეეკითხა ჯონ მანგლსი.

- არა, ჩემო მეგობარო, - მიუგო პაგანელმა, - ინგლისელებმა ტარანკის პროვინციაზე გალაშქრება გადაწყვიტეს და ალყა შემოარტყეს უილიამ თომპსონის სიმაგრე მატნტვას, რომელიც დიდი მსხვერპლის გაღებით მაინც დაიპყრეს. პარიზიდან წამოსვლის დროს შევიტყვე, რომ გუბერნატორმა და გენერალმა ჩაიბარეს ტარანგოს თემი და მათ მიწების სამი მეთოხედი დაუტოვეს. ამბობდნენ, ვითომც აჯანყების მეთაურს უილიამ თომპსონს უნდოდა მორჩილება გამოეცხადებინაო, მაგრამ ავსტრალიის გაზეთები არ ადასტურებდნენ ამ ხმებს, პირიქით, თომპსონი ბოლომდე შეურიგებელი დარჩაო. ამგვარად, საფიქრებელია, რომ ამჟამად აჯანყება უფრო გაძლიერებულიც იყოს.

- თქვენი აზრით, პაგანელ, ბრძოლა ახლაც ტარანაკისა და ოკლენდის პროვინციებში წაროებს? - ჰკითხა გლენარვანმა.

- დიახ, ასე ვფიქრობ.

- სწორედ იმ პროვინციაში, სადაც გამოგვრიყა "მაკარმა"?

- სწორედ. ჩვენ გადმოვედით კივიას კონცხიდან ცოტა ჩრდილოეთით, სადაც ალბათ, ახლაც ფრიალებს მაორების ეროვნული დროშა.

- მაშინ გვირჩევნია ჩრდილოეთისკენ ვიაროთ, - თქვა გლენარვანმა.

- რა თქმა უნდა, მაგას რა ემოჯობინება, - მიუგო პაგანელმა, - მაორები ახლა გაცოფებულნი იქნებიან ევროპელებზე და მით უმეტეს, ინგლისელებზე. უნდა მოვერიდოთ მათთან შეხვედრას.

- იქნებ ჩვენს ბედზე ინგლისელების რაზმს შევხვდეთ სადმე? - თქვა ელენმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

- შეიძლება, ქალბატონო, თუმცა მაგისი იმედი არ მაქვს. ამ კუთხეში ცალეკული რაზმი არ დაიარება, რადგან ყოველ ბუჩქსა და ჩირგვში მტერია ჩასაფრებული და საუცხოო

მსროლელიც გახლავთ. ამიტომ მე-40 ათესეულის ჯარისკაცების იმედზე ვერ დავდგებით, მაგრამ გზადაგზა შეგვიძლია ღამე გავათიოთ მისიებში, რომლებიც დასავლეთ სანაპიროზე იმყოფებიან, სწორედ ჩვენს გასავლელ გზაზე. ჩემი აზრით, შეიძლება ჩვენც სწორედ იმ გზაზე მოვხვდეთ, რომელზეც გაიარა ჰოჰშტეტერმა ვაიკატოს სანაპიროზე.

- ისიც მოგზაური იყო? - შეეკითხა რობერტ გრნტი.

- დიახ, ჩემო ბიჭუნი, სამეცნიერო კომისიის წევრი იყო და 1858 წელს ავსტრალიის სამხედრო ხომალდ "ნავარაზე" იმყოფებოდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას.

- ბატონო პაგანელ! - მიმართა რობერტმა, რომელსაც თვალები გაუბრწყინდა დიდი გეოგრაფიული ექსპედიციების ხსენებაზე, - ახალ ზელანდიასაც მოეპოვება ისეთი გამოჩენილი მოგზაურები, როგორიც იყვნენ ავსტრალიაში ბიორკი და სტიუარტი?

- რამდენიმე მოგზაური მოეპოვება, ჩემო პატარავ, მაგალითად, დოქტორი ჰუკერი, პროფესორი ბრიზარი, ნატურალისტი დიფერბახი და იულიუს ჰასტი. თუმცა ზოგიერთ მათგანს მოგზაურობის ტრფიალი ძვირად დაუჯდა, მაგრამ ისინი უფრო ნაკლებ არიან ცნობილი, ვიდრე ავსტრალიისა და აფრიკის მკვლევარები.

- მათი ისტორიაც გეცოდინებათ, - უთხრა რობერტმა.

- რა თქმა უნდა, ჩემო ბიჭუნი. როგორც ვხედავ, მოთმინება არ გყოფნის, სანამ არ მოისმენ, რაც კი ვიცი მათ შესახებ. ამიტომ გიამბობ მათ ამბავს.

- გმადლობთ, ბატონო პაგანელ, მე გისმენთ.

- ჩვენც მოგისმენთ, - ჩაურთო ელენმა, - ცუდი ამინდი ხშირად ხელს უწყობს ჩვენს სწავლას. ყველას გასაგონად ბრძანეთ, ბატონო პაგანელ.

- მზად გახლავართ, ქალბატონო, - მიუგო გეოგრაფმა, - მაგრამ ჩემი ნაამბობი მოკლე იქნება. აქ საქმე ისეთ გამბედავ მკვლევარებს კი არ ეხება, რომლებიც პირისპირ ებრძოდნენ მინოტავრებს[1] ავსტრალიაში. ახალი ზელანდია მეტად პატარაა, რომ შეეძლოს თავი დაიფაროს უცხოადამიანის შეჭრისგან. ასე რომ, ჩემი გმირები მოგზაურები კი არ არიან, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ უბრალო ტურისტები, რომლებიც სავსებით ჩვეულებრივი უბედური შემთხვევები მსხვერპლნი გახდნენ.

- მათი სახელები? - შეეკითხა მერი გრანტი.

- გეომეტრი უიტკომბი და ჩარლტონ ჰოვიტი, რომელმაც მოძებნა ბიორკის ნეშტი. თითოეული მათგანი მეთაურობდა ცალკე ექსპედიციას ტავა-პუნა-მუს კუნძულზე. ორივენი 1863 წლის პირველ თვეებში გაემგზავრნენ, რათა გამოეკვლიათ კენტერბერის პროვინციის მთებზე სხვადასხვა გადასასვლელი გზა. ჰოვიტმა ამ პროვინციის ჩრდილოეთის საზღვარზე მთაგრეხილი გადაიარა და ბანაკი დასცა ბრუნერის ტბასთან, უიტკომბმა კი, პირიქით, რაკაპას ხეობაში მეორე გადასასვლელს მიაგნო, რომელიც ტინდალის მთის აღმოსავლეთით გადიოდა. უიტკომბს თანამგზავრად ახლდა იაკობ ლუპერი. რამდენადაც მახსოვს, 1863 წლის 22 აპრილს ორივენი იმყოფებოდნენ იმ მყინვართან, სადაც მდინარე რაკაპას სათავეა. ავიდნენ ამ მთის მწვერვალზე და ახალი გადასასვლელი გზების საძებრად გაემართნენ. მეორე დღეს უიტკომბი და ლუპერი, გატანჯულნი დაღლილობისა და სიცივისაგან, შესასვენებლად გაჩერდნენ მთაზე, ოითხი ათასი ფუტის სიმაღლეზე, სადაც საშინლად თოვდა. შვიდი დღე იარეს ამ მთებში, ღრმა ხეობაში, რომელთაც ფრიალო კლდეები მოსჯარებოდა, მაგრამ გადასასვლელ გზას ვერსად მიაგნეს. ხშირად უცეცხლოდ იყვნენ, ზოგჯერ მშივრებიც და მწერებისაგან შეწუხებული. თან წაღებული შაქარი გაუდნათ, ბისკვიტები აეზილათ, ტანისამოსი და საბნები წვიმისაგან გაჟივებული ჰქონდათ. დიდ მიღწევად მიაჩნდათ, თუ დღეში სამ მილზე მეტს გაივლიდნენ, ზოგჯერ კი ორასი იარდითაც ძლივს იწევდნენ წინ. ბოლოს, 29აპრილს, მაორების ქოხს წააწყდნენ. იქ, ბაღჩაში იპოვეს რამდენიმე კარტოფილი. ეს იყო მათი უკანასკნელი საზიარო სადილი. საღამო ხანს ზღვის პირს მიაღწიეს, მდინარე ტრამაკაუს შესართავის მახლობლად. გაღმა უნდა გასულიყვნენ, როიმ შემდეგ მდინარე გრეის ნაპირებს შეჰყოლოდნენ ჩრდილოეთისაკენ. ტრამაკაუ ღრმა და განიერი მდინარეა. ერთი საათის ძებნის შემდეგ ლუპერმა იპოვა ორი დაძველებული ვარცლა ნავი, შეაკეთა და ერთად შეატყუპა. საღამო ხანს ორივე მეზღვაური გაღმისაკენ გაემართა, მაგრამ შუა მდინარეში ნავი წყლით გაევსოთ,

უიტკომბი გადახტა წყალში და ცურვით უკანვე დაბრუნდა. იაკობ ლუპერმა ცურვა არ იცოდა და გადაბრუნებულ ნავს ჩაებღაუჭა. იმხნად კი გადარჩა, მაგრამ ბევრი წვალების შემდეგ ნავი მდეინარემ გაიტაცა ზღვის ტალღებისაკენ. ტალღამ დაჰკრა და ქვეშ მოიქცია, მეორე ტალღამ ისევ ზედაპირზე ამოისროლა, მაგრამ მერე კლდეზე მიახეთქა. კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. კოკისპირულად წვიმდა. დაჩეჩქილი, დასისხლიანებული, დაკაწრული და ზღვის მლაშე წყლისაგან გაბერილი ლუპერი რამდენიმე საათს ზღვაში მლაშე წყლისაგან გაბერილი ლუპერი რამდენიმე საათს ზღვაში ფართხალებდა. ბოლოს ნავი მიწას დაეჯახა და ლუიპერი ნაპირზე გადაისრლა. წამოდგა, ნაპირ-ნაპირ წავიდა და მალე წააწყდა საცოდავ უიტკომბს, რომლის გვამი და თავიც შლამს დაეფარა. იქვე სილაში ამოფხოჭნა სამარე და მიწას _____

1 მინოტავრი - ბერძნული მითოლოგიის ურჩხული, რომელსაც სხეული ადამიანისა ჰქონდა, ხოლო თავი კი ხარისა

მიაბარა თავისი ამხანაგი. ორი დღის შემდეგ სულთმობრძავი ლუპერი სტუმართმოყვარე მაორებს ეპოვათ და შეეხიზნათ - ასეთებიც მოიპოვებიან მათ შორის. ბოლოს, 4 მაისს, მან ბრუნერის ტბას მიაღწია, სადაც ბანაკად იდგა ჩარლტონ ჰოვიტი, მაგრამ ექვსი კვირის შემდეგ დაიღუპა, როგორც უბედური უიტკომბი.

- ჰო, - თქვა ჯონ მანგლსმა, - შეიძლება კაცმა იფიქროს, თითქოს მოგზაურები ერთმანეთში რაღაც ჯაჭვით არიან გადაბმულნი და საკმარისია, ერთი რომელიმე შუა რგოლი გაწყდეს, რომ ერთიმეორის მიყოლებით ყველა დაიღუპოს.

- მართალი ბრძანდებით, ჯონ, - უთხრა პაგანელმა, - ეს მეც არაერთხელ შემინიშნავს. ბუნების რა კანონის ძალით უნდა დაღუპულიყო ჰოვიტი უიტკომბის დაღუპვის მსგავს გარემოებაში? ამ კითხვას პასუხს ვერ გავცემ. ჩარლტონ ჰოვიტი მოწვეული ჰყავდა მთავრობის გზათა უფროსს, რათა მად დაეგეგმა სურუნუიდან ტარამაკაუს შესართავამდე გასაყვანი შარაგზა. ის ექსპედიციაში 1863 წლის 1-ელ იანვარს ხუთი კაცის თანხლებით გაემართა. გასაოცარი სიმარჯვით შეასრულა დავალებული საქმე და 60 კილომეტრი გზა გაიყვანეს მდინარე ტარამაკაუმდე, რომელიც გაუვალი აღმოჩნდა. მაშინ ჰოვიტი დაბრუნდა კრისტჩერჩში და თუმცა ზამთარი წინ ედო, მაინც ნებართვა ითხოვა, რომ განეგრძო გამოკვლევა და მუშობა. დეიჩი დათანხმდა. ჰოვიტი დაუყოვნებლივ უკანვე, საბანაკო ადგილზე დაბრუნდა, რომ თავისი ექსპედიციისათვის მიეწოდებინა სურსათ-სანოვაგე და კარგ ამინდებამდე იქვე დარჩენილიყო. აი, სწორედ ამ დროს შეიხიზნა მან ლუპერი. 27 ივნისს ჰოვიტი და ორი მისი თანამგზავრი, რობერტ ლიტლი და ჰენრი მულისი, ბანაკიდან გაემართნენ. ისინი ბრუნერის ტბის გაღმა უნდა გასულიყვნენ. მას შემდეგ ჰოვიტი და მისი თანამგზავრები უკვალოდ გადაიკარგნენ. მხოლოდ მათი ნავი იპოვეს გამორიყული. ცხრა კვირის განმავლობაში დაეძებდნენ მათ, მაგრამ ამაოდ, ალბათ, უბედურებმა ცურვა არ იცოდნენ და ტბაში დაიხრჩნენ.

- რატომ? განა არ შეიძლებოდა უვნებელი და ჯანმრთელი გადარჩენილიყვნენ და რომელიმე ადგილობრივ თემს შეჰხიზნებოდნენ? - ჰკითხა ელენმა, - ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებით არ შეიძლება თქმა, დაიღუპნენო.

- არა, ქალბატონო, - მიუგო პაგანელმა, - ისინი ერთი წილის შემდეგაც არ დაბრუნებულან, რადგან ისინი ახალ ზელანდიაში იყვნენ, უეჭველად დაღუპული არიან, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა პაგანელმა.

თავი IX

ოცდაათი მილი ჩრდილოეთისაკენ

7 თებერვალს, დილის ექვს საათზე, გლენარვანმა გამგზავრების ნიშანი მისცა. წვიმას ღამითვე გადაეღო. ცას გადაჰკროდა პატარ-პატარა ნაცრისფერი ღრუბლები, რომლებიც სამი მილის სიმაღლეზე აჩრდილებდნენ მზის სხივებს. ამის გამო ზომიერი ტემპერატურა მგზავრობას ამსუბუქებდა. პაგანელმა რუკის მიხედვით განსაზღვრა, რომ კახუას

კონცხიდან ოკლენდამდე ოთხმოცი სახმელეთო მილი უნდა ყოფილიყო. ამ მანძილის გავლა რვა დღეში შეეძლოთ, თუ დღეში ათ-ათ მილს მაინც გაივლიდნენ, მაგრამ სანაპიროს გაყოლებით სიარულის ნაცვლად, სადაც სვლა სახიფათო იყო, პაგანელმა ურჩია იმ გზით ევლოთ, როიმელიც მათ ვაიკატოსა და ვაი პის შესართავთან მიიყვანდა, სადაც სოფელი ნგარუავახია მდებარეობდა. ამ სოფლამდე ორმოცი კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. იქიდან გზა მიდიოდა, უფრო კი ბილიკი, თუმცა ეტლებით გასავლელი. იქიდან გზა მიდიოდა, უფრო კი ბილიკი, თუმცა ეტლებითაც დაიარებიან მასზე.

- ეს გზა მთელ ამ კუნძულს სერავს ნაპირიდან გოუკისის ყურემდე და იქიდან ოკლენდამდე. თუ ამ გზით ვივლით, ადვილად მივაღწევთ დრურის; იქ დავისვენებთ ჩინებულ სასტუმროში, რომელსაც განსაკუთრებული ქებით იხსენიებს ნატურალისტი ჰოჰშტეტერი, - ამბობდა გეოგრაფი.

თითოეულ მგზავრს აკიდებული ჰქონდა თავისი საგზალი. გაჰყვნენ აოტეას ყურეს. სიფრთხილის გულისათვის ყველანი ჯგუფად მიდიოდნენ. თოფები მზად ჰქონდათ და ინსტინქტურად აკვირდებოდნენ აღმოსავლეთით ბორცვებით მოფენილ ველს. პაგანელს კი ხელში ეჭირა თავისი შესანიშნავი რუკა და მცოდნე ადამიანის ნეტარი განცდით მასზე აღნიშნავდა ყოველივე წვრილმანს.

მოგზაურები ერთ ხანს ორხუფა ნიჟარების, სი პინებისა და რკინაქვისაგან შემდგარ ქვიშაზე მიდიოდნენ. ამ ქვიშას რომ მაგნიტი მიუახლოო მყისვე ზედ შეიხროკლება ბრჭყვიალა კრისტალები. ზღვის პირას რამდენიმე სელაპი ნებივრად მიჰფიცხებოდა მზეს. მგზავრების მიახლოებაზე ფიქრადაც არ მოსვლიათ მორიდებოდნენ მათ.

მრგვალთავა, განიერშუბლა და წყლიანთვალებიანი სელაპები ალერსითა და მოსიყვარულედ იცქირებოდნენ. მათი მაცქერალისათვის გასაგები ხდებოდა, ადამიანის პოეტურმა ფანტაზიამ რისთვის წარმოადგინა ეს მძიმე ცხოველები მომხიბვლელ ზღვის სირინოზებად. მით უმეტეს, როდესაც მათ ყრუ ბღავილს კეთილხოვანების არა ეცხო რ.

ეს ცხოველები ახალ ზელანდიაში ძალიან ბევრია და ნადირობის საგანს წარმოადგენენ. სელეპებზე ნადირობას მისდევენ მათი ტყავისა და ქონის გულისათვის. ამ ნადირებს შორის რამდენიმე ზღვის სპილოც ერია, ლეგა მოლურჯო ფერისა და რვა-ათი მეტრის სიგრძისა. უზარმაზარი ცხოველები ზანტად გაშოტილიყვნენ წყალმცენარეთა საგებებზე, დინგები მაღლა აეშვირათ და სასაცილოდ ამოძრავებდნენ გრძელსა და აგრეხილ ულვაშებს, რომლებიც საცობის ამოსაღებს ან რომელიმე კოპწია ახალგაზრდის დაგრეხილ ულვაშებს ჰგავდა. რობერტი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ამ საინტერესო ცხოველების სამეფოს. უცებ განცვიფრებით წამოიძახა:

- ერთი უყურეთ! სელაპები ქვებს ყლაპავენ!

მართლაც, ზოგიერთი მათგანი ხარბად ყლაპავდა ზღვის პირას ნაყარ ქვებს.

- ეგ ცნობილი ამბავია, რობერტ, - უთხრა პაგანელმა, - ვერავინ უარყოფს, რომ ეგ ცხოველები ქვებს ყლაპავენ.

- რა უცნაური საჭმელია! - ჩაილაპარაკა რობერტმა, - ძნელი მოსანელებელი იქნება!

- ჩემო ბიჭუნი, ეგენი ქვებს გასაძღომად როდი ყლაპავენ! მაგათ ქვები დასამძიმებლად სჭირდებათ. ასეთი საშუალებით წონაში მატულობენ და ადვილად ჩაეშვებიან ხოლმე ზღვის ფსკერზე. როდესაც ზედაპირზე ამოცურდებიან, ქვებს უკანვე ამოისვრიან. შენი თვალითვე ნახავ, რომ ის ცხოველები, რომლებმაც ქვები გადაყლაპეს, ახლავე წყალში ჩაეშვებიან.

მართლაც, მალე ექვსიოდე სელაპი, როლმლებმაც ბლომად ყლაპეს ქვები, ძლივძლივობით მიფორთხდნენ ნაპირზე და ტალღებში გადაეშვნენ. რადგანაც გლენარვანს არ უნდოდა ძვირფასი დროის დაკარგვა იმის მოლოდინში, როგორ გადმოყრიდნენ ბალასტს ზღვიდან ამოსული სელაპები, მგზავრები გზას გაუყენა, რამაც პაგანელს საშინლად დასწყვიტა გული.

ათ საათზე დასანაყრებლად გაჩერდნენ მაღალი ფიქალის კლდეების ძირას, ზედ ზღვის ნაპირას. ერთ ადგილას უამრავი ხამანწკა დაგროვილიყო, მაგრამ მეტად წვრილი და უგემური. პაგანელის რჩევით, ოლბინატმა მაინც შეწვა ნაკვერცხლებზე. ყველანი მადიანად

მიაძღნენ უგემურ ხამანწკებს. დასვენების შემდეგ გზას გაუდგნენ ყურეს გაყოლებით. ერთიმეორეზე უცნაურად აჩონჩხილ კლდების ქიმესა და წვეროებზე მრავალი ზღვის ფრინველი იჯდა. აქ იყვნენ ფრეგატები, თოლიები და უზარმზარი ალბატროსები.

ნაშუადღევს ოთხი საათისათვის გავლილი ჰქონდათ თხუთმეტი კილომეტრი და გადაწყვიტეს, დაღამებამდე ევლოთ. ამ დროს გზამ უცებ იცვალა მიმართულება. უნდა შემოევლოთ რამდენიმე გორაკისათვის, რომელიც ჩრდილოეთის მხარეს მოჩანდა და შემდეგ გადასულიყვნენ მდინარე ვაიპის ველზე. შორს გადაჭიმულიყო თვალუწვდენელი ტრიალი ველი, რომელიც ცის დასალიერამდე აღწევდა. შორიდან თვალს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ადვილი სასიარულო უნდა ყოფილიყო, მაგრამ როდესაც ამ მწვანედ მოსილ სივრცეს მიაღწიეს, მგზავრებს გულს შემოეყარათ - მწვანე ველის ნაცვლად მათ თვალწინ გადაიშალა თეთრყვავილა ჩირგვნარი, მოფენილი აუარებელი ჩადუნით, რომელიც ძალიან ეწყობა ახალი ზელანდიის ნიადაგს. ამ ხლართებში გზის გაკვლევა ძალიან ძნელი იყო. ერთ-ერთ ასეთ ტაფობს გარს შემოარეს და საღამოს რვა საათზე ღამის გასათევად გაჩერდნენ.

ოცი კილომეტრი ჰქონდათ გამოვლილი. რადგან არც ურემი ჰქონდათ, არც კარავი, მგზავრები დიდებული ნორფოლკის ფიჭვების ქვეშ დალაგდნენ. სამგზავრო საბნები ლეიბებად გამოიყენეს. გლენარვანმა ყველა გამაფრთხილებელი ზომა მიიღო მთელი ღამის განმავლობაში. როგორც თვითონ, ისე კარგად შეიარაღებული მის თანამგზავრებს, მორიგეობით უნდა ედარაჯათ გათენებამდე ორ-ორ საათს. არც ცეცხლი დაუნთიათ, არც სანთელი. ეს კარგი საშუალებაა მხეცების წინააღმდეგ, რომლებიც ღამღამობით სინათლეს ეტანებიან, თუმცა ახალ ზელანდიაში არც ვეფხვი იცის, არც ლომი, არც დათვი და არც სხვა რომელიმე მტაცებელი ნადირი. საერთოდ ღამემ კარგად გაიარა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვიშნარის რწყილებს, რომლებიც მწვავედ იკბინებოდნენ და აბეზარ ვირთაგვებს, რომლებიც განუწყვეტლივ ხრავდნენ სურსათის პარკებს.

მეორე დღეს, 8 თებერვალს, პაგანელს უკეთეს გუნებაზე გაეღვიძა, იგი თითქმის შეურიგდა ამ ქვეყანას. მაორები, რომლებისაც ასე ეშინოდა, არსაც ჩანდნენ და ძილშიაც კი არ დასიზმრებია. მეცნიერმა სიამოვნებით გაუზიარა ეს ამბავი გლენარვანს.

- ახლ კი ვფიქრობ, რომ ეს პატარა გასეირნება მშვიდობიანად დამთავრდება. დღეს საღამოს ჩვენი მივაღწევთ იმ ადგილს, სადაც მდინარე ვაიპი და ვაიკატო ერთმანეთს ერთვის. რაკი იმ ადგილს გავცილდებით, ადგილობრივ მცხოვრებთა შეხვედრა ოკლენდამდე მოსალოდნელი აღარ არის.

- რა მანძილი გვაქვს გასავლელი ვაიპის და ვაიკატოს შესართავამდე? - შეეკითხა გლენარვანი.

- თხუთმეტ მილზე მეტი იქნება, დაახლოებით იმდენი, რაც გუშინ გამოვიარეთ.

- ძალიან კი შეგვაფერხებს გახლართული ჭალები და ღელეები.

- არა, ახლა ჩვენ ვაიპის ნაპირს ავყვებით და იქ დაბრკოლება აღარ შეგხვდება, პირიქით, იოლი სასიარულო და მარჯვე გზა იქნება.

- მაშ გზას გავუდგეთ, - თქვა გლენარვანმა, რადგანაც დაინახა, რომ ქალები უკვე გამზადებულიყვნენ სამგზავროდ.

პირველ საათებში ხშირი ბუჩქები უშლიდათ ხელს. აქ ვერც ურემი გაივლიდა და ვერც ცხენი. ისინი კი ფეხით მიდიოდნენ და სანანებლად არ ჰქონდათ, რომ ფორანი ავსტრალიაში დარჩათ. სანამ ახალ ზელანდიაში საეტლო გზები არ იქნებოდა, ამ აბალახებულ ბილიკებზე სიარული მხოლოდ ქვეითად შეიძლება.

აქ იზრდება ათასნაირი ჯიშის გვიმრა, რომელიც ისევე შეუპოვრად იცავს თავის მშობლიურ მიწას, როგორც მაორები.

ათასგვარი დაბრკოლებას წარმოადგენდა იმ ველის გადავლა, რომელზედაც ამართულია ჰაკარიხატოას ბორცვები.

ჯერ შუადღეს არ მოეღწია, როდესაც მგზავრები წაადგნენ მდინრე ვაიპის და მის ციცაბო ნაპირებს გაუჭირვებლად შეჰყვნენ. ნაპირები დაფენილი იყო მშვენიერი კორდებით, სადაც ჩირგვების ძირას მხიარულად ჩქეფდა ცივ-ცივი, კამკამა ნაკადულები. ბოტანიკოსი ჰუკერი გადმოგვცემს, რომ ახალ ზელანდიაში მოიპოვება ორი ათასამდე სხვადასხვა ჯიშის

მცენარე, რომელთა შორის ხუთასი მხოლოდ იქ ხარობს. ყვავილები ცოტა იცის და მათაც მხიარული ელფერი არ აქვთ. ერთწლიანი მცენარეები სრულიად არ მოიპოვება აქ, სამაგიეროდ, უხვად არის გვიმრა და ქოლგოსნები.

მწვანე მოღაღანე ველზე აქა-იქ აზიდულა წითელყვავილა ნორფოლკის ფიჭვის დიდრონი ხეები გადმოზნექილი შტოებით, აგრეთვე განსაკუთრებული ჯიშის კვიპაროსი, ეგრეთ წოდებული "რიმუ", ისეთივე პირქუში შესახედავი, როგორიც მისი ევროპელი თანამოძმეა. მათი თანები ერთიანად შეხორხლილი იყო ათასგვარი ჯიშის გვიმრით.

დიდრონი ხეების შტიოებსა და ბარდებში დაფრთხიალებდნენ კაკადუები, ყელწითელა მწვანე კაკარიკები, შავღაბაბიანი, იხვისოდენა წითელი თუთიყუში ტაუპოები, რომელთაც ნატურალისტები "სამხრეთის ნესტორს" უწოდებენ.

მაიორმა და რობერტმა გზადაგზა მოკლეს რამდენიმე კაკაბი, რომლებიც დაბალ ბალახებში მინაბულიყვნენ. ნანადირევი ფრინველი ოლბინეტმა გზადაგზა გაბდღვნა, რომ დრო არ დაეკარგა. პაგანელის ნანადირევის გემო იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც ისეთი ფრინველი, რომელიც მხოლოდ ახალ ზელანდიაში ბუდობს. მის ბუნებაში ნატურალისტის ცნობისმოყვარეობა მოგზაურის მადიანობას აღემატებოდა. თვალწინ ეხატეოდა ოინბაზი ტყი, რომელსაც ისე კარგად ემარჯვება გამოჯავრება, რომ "გამომჯავრებელს" უწოდებენ, ხოლო რადგან მისი შავი ბუმბული კისერზე თეთრი ღინღლითაა დაფარული და დომინიკანელის ანაფორას მოგვაგონებს, ბერსაც ეძახიან.

- ტუი ზამთრობით ისე სუქდება, რომ სიმსუქნისაგან სნეულდება და ნისკარტით მკერდს გამოიღადრავს ხოლმე, რომ გულის ქონი მოიშოროს. უცნაური მოვლენა არ არის, მაკ-ნაბს? - ეუბნებოდა პაგანელი მაიორს.

- და იმდენად უცნაური, ბატონო პაგანელ, რომ არც ერთი სიტყვა არა მჯერა.

პაგანელს სანანებლად რჩებოდა, რომ ვერც ერთი ტუი ვერ მოიგდო ხელში და ურწმუნო მაიორს ვერ აჩვენა ტუის მკერდზე შეხორცებული ჭრილობა.

სამაგიეროდ, მას ბედმა სხვა მხრივ გაუღიმა და ისეთი ფრინველი ჩაუგდო ხელში, რომელიც ადამიანის, კატისა და ძაღლის მიერ დევნილი მიყრუებულ, უკაცრიელ ადგილებს ეხიზნება და ვგონებ, სრულიადაც ამოიშლება ახალი ზელანდიის ფაუნაში. რობერტი მოუსვენრად, მეძებარივით ათვლიერებდა ბუჩქებს და ერთ ბუდეს წააწყდა, რომელიც ხის ფესვებისაგან იყო ჩახლართული. შიგ იჯდა ორი ქათამი უფრთო, უბოლო, ოთხთითიანი ფეხებით, ლიანივით გრძელნისკარტიანი და თეთრბუმბულა. ეს იყო ფრინველიდან ძუძუმწოვარა ცხოველზე გარდამავალი უცნობი ტიპი - ეგრეთ წოდებული ზელანდიური კივი, რომელიც თანაბრად შეექცდევა მწერებს, ჭიაღუასა და თესლეულობას.

კივი მხოლოდ ავსტრალიაში ცხოვრობს. იგი ბევრი წვალების შემდეგ შეაჩვიეს ჰავას ევროპის ზოოლოგიურ ბაღებში. მისი უცნაური შესახედაობა და სასაცილო ლახლახი ყოველთვის იპყრობდა მოგზაურობის ყურადღებას. დიუმონ-დიურვილს თავისი ექსპედიციის დროს საგანგებოდ ჰქონდა დავალებული სამეცნიერო აკადემიისაგან, უსათუოდ მიეყვანა ეს იშვიათი და საინტერესო ფრინველი. თუმცა იგი დიდ საჩუქარს შეჰპირდა ადგილობრივ მცხოვრებთ, მაგრამ მაინც ვერ უშოვეს ცოცხალი კივი. ამ მონაპოვრით გაბედნიერებულმა პაგანელმა ორივე კივის ხელი დასტაცა და თავმომწონედ წამოიღო, თან გულში გადაწყვიტა, ძღვნად მიეყვანა პარიზის ბოტანიკური ბაღისათვის. მეოცნებე გეოგრაფს უკვე თვალწინ ედგა ის ლამაზი გალია, რომლითაც ბაღში მოათავსებდნენ ამ ფრინველებს, წარწერით:

"ჟაკ პაგანელის მოძღვნილი".

ჩვენი პატარა რაზმი ნელ-ნელა მიიწევდა წინ ვაიპის ნაპირ-ნაპირ. მიდამოები სრულიად უკაცური ჩანდა, მოსახლეობის არავითარი კვალი არ ემჩნეოდა, არსად იყო რაიმე ბილიკის ნასახიც, რომელიც დაამოწმებდა, რომ ამ ველებში ადამიანი მოიპოვება.

მდინარე ხან მაღალ ბარდებს, ხან კი ღია ქვიშიან ნაპირებს შუა მიდიოდა. ირგვლივ მოჩანდა პატარა გორაკები, რომლებიც ამ ველს აღმოსავლეთიდან მოსჯარებოდა. მათი უცნაური მოხაზულობა, რომელიც ნისლში ირყეოდა, წარღვნის წინადროინდელ მხეცებს

მოგაგონებდათ, თითქოს მთელი მათი ჯოგი გაქვავებულაო. ამ დაღარულ უსწორმასწორო მთებს რომ გახედავდით, თქვენთვის ცხადი ხდებოდა მათი ვულკანური წარმოშობა.

ახალი ზელანდია მართლაც მიწისქვეშა ძალების წარმონაშობია. ეს ქვეყანა ჯერაც განაგრძობს ზღვის დონიდან აწევას. ზოგიერთ ადგილას ორ მეტრზე აწეულა ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. მიწისქვეშა სიმხურვალე ჯერაც მძლავრად არყევს ამ ქვეყნის წიაღსა და ნიადაგს. ბევრგან ცხელ შადრევნებს ისვრის, გეიზერებად ამოხეთქს ან ცეცხლისმფრქვევ მთის ყელში იწყებს ქშენას.

ნაშუადღევს ოთხ საათამდე მხნედ გაიარეს ცამეტი კილომეტრი. იმ რუკის მიხედვით, რომელსაც გეოგრაფი ყოველ წუთს ჩასცქეროდა, ვაიპისა და ვაიკატოს შესართავამდე რვა კილომეტრიღა დარჩენოდათ. იქიდან კი იწყებოდა ოკლენდის გზა. გადაწყვეტილი ჰქონდათ, იქ გაჩერებულიყვნენ ღამის გასათევად. ოთხმოც კილომეტრს, რომელიც სატახტო ქალაქამდე ჰქონდათ დარჩენილი, ორ-სამ დღეში გაივლიდნენ.

- მაშასადამე, ერთხელღა დაგვჭირდება ღამის გათევა მინდვრად! - ჩაილაპრაკა გლენარვანმა.

- დიახ, - მიუგო პაგანელმა, - და იმედი მაქვს, უკანასკნელად.

- მით უკეთეში, თორემ ელენი და მერი ძალიან დაიტანჯნენ.

- გზის სიძნელეს ხმის ამოუღებლად იტანენ, - ჩაურთო ჯონ მანგლსმა, - მაგრამ თქვენ ხომ ამბობდით, ამ მდინაეების შესართავთან სოფელი არისო?

- დიახ, გახლავთ, ნგარუავახია, - მიუგო გეოგრაფმა, - აი, აღნიშნულიცაა ჯონსტონის რუკაზე.

- იქ ვერ მოვეწყობით ღამის გასათევად? ლედი ელენი და ქალბატონი გრანტი უარს არ იტყოდნენ ზედმეტი ორი კილომეტრის გავლაზე, ოღონდ რომელიმე სასტუმროში გაეთიათ ღამე.

- სასტუმროში? - გაიოცა პაგანელმა, - სასტუმრო მაორების სოფელში! იქ არათუ სასტუმროს ან ქულბაქს, სამიკიტნოსაც ვერსად ვიპოვით. სოფელი ადგილობრივი მცხოვრებთა ქოხმახებისაგან შედგება. ესეც არ იყოს, ჩემი აზრით, ჩვენ არათუ უნდა ვეძებოთ თავშესაფარი მათთან, პირიქით, რაც შეიძლება შორს უნდა გვეჭიროს თავი ამ სოფლიდან.

- ისევე თქვენებური ეჭვები დაიწყეთ, პაგანელ! - უთხრა გლენარვანმა.

- ჩემო ძვირფასო, სჯობია, უნდობლად მოვეპყროთ მაორებს, ვიდრე ნდობით. არ ვიცი ახლა რა დამოკიდებულება აქვთ ინგლისელებთან, ჩააქრეს თუ არა აჯანყება, ჩვენ შეიძლება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ქარცეცხლში მოვყვეთ. თავმდაბლობა რომ იქით გადავდოთ, ჩვენისთანა ხალხი ჩინებული დავლაა მათთვის. ამიტომ სრულიად არ მიმწევს გული, რომ ზელანდიელების სტუმართმოყვარეობას გავეცნიო. ვამჯობინებ, შორს ჩავუაროთ ამ სოფელს და, საერთოდ, ვეცადოთ, ადგილობრივ მცხოვრებთ არსად წავაწყდეთ. აი, როდესაც დრურში ჩავალთ, იქ სხვა საქმეა, ჩვენი თანამგზავრი ქალები იქ სრულიად უხიფათოდ დაისვენებენ.

გეოგრაფის მოსაზრებამ გაიმარჯვა. ელენმა უმჯობესად მიიჩნია ღამის გათევა მინდვრად, ოღონდ თანამგზავრები ხიფათში არ ჩაეგდო. არც მერი გრანტმა და არც ელენმა არ მოისურვეს დასვენება და მდინარის ნაპირ-ნაპირ განაგრძეს გზა.

ორი საათის შემდეგ მთებიდან საღამოს ჩრდილები ჩამოწვა. აქა-იქ მწვერვალებზე ღრუბლებში დღის სინათლის უკანასკნელი გაცრეცილი შუქი ციალებდა. მგზავრებმა ნაბიჯს უმატეს. კარგად იცოდნენ, რომ ამ განედზე საღამოს ბინდი ხანმოკლე იცის და სწრაფად ღამდება ხოლმე. სანამ სიბნელე ჩამოწვებოდა, როგორმე უნდა მეიღწიათ ამ ორი მდინარის შესართავამდე, მაგრამ ისეთი სქელი და ყომრალი ნისლი წამოვიდა, რომ გზის გაგნებაც კი უძელდებოდათ. საბედნიეროდ, მხედველობას, რომელიც სიბნელეში უსარგებლო იყო, სმენა შეენაცვლა. მალე შემოესმათ წყლის ხამური და მიხვდნენ, რომ უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ვაიპი ვაიკატოს ერთვოდა.

- ესეც ვაიკატო! - წამოიძახა პაგანელმა, - ოკლენდის გზა ამის მარჯვენა ნაპირს მისდევს მდინარის სათავისაკენ.

- მაგას ხვალაც ვნახავთ, - მიუგო მაიორმა, - ახლა კი აქ გავჩერდეთ. მგონი, ეს ჯგუფად მდგარი ხეები თავიანთი შავი ჩრდილებით ჩვენთვისაა ზედგამოჭრილი. წავივახშმოთ და დავიძინოთ.

- წავივახშმოთ, მაგრამ მხოლოდ ორცხობილათი და გამხმარი ხორცით, რადგანაც ცეცხლის დანთება არ შეიძლება. აქ ფარულად მოვედით თავის შესაფარებლად და ვეცადოთ, აქედანაც ფარულადვე გავიდეთ. საბედნიეროდ, ეს ნისლი უჩინმაჩინის ქუდივით გვხურავს.

მგზავრებმა ჯგუფად მდგარ ხეებს მიაღწიეს და პაგანელის რჩევისამებრ მხოლოდ მშრალი სანოვაგით ივახშმეს უხმაუროდ. მალე ღრმა ძილმა წაიღო დაქანცული მგზავრები, რომლებსაც დღეს ოცდასამი კილომეტრი გამოევლოთ.

თავი X

ეროვნული მდინარე

მეორე დღეს, განთიადისას, ხშირი ნისლი ჩამოსწოლოდა მდინარეს, მაგრამ მზის სხივებმა მალე გაფანტა იგი. მდინარის ნაპირები გამოჩნდა და თვალწინ გაიშალა ვაიკატო მთელი თავისი დილის კეკლუიცი მშვენებით. ორი მდინარის შესართავთან გაჭიმულიყო ჯაგნარით შემოსილი რიყე. სწრაფად მომჩქეფარე ვაიპის ზვირთები ვაიკატოს წყნარ მდინარეებაში რამდენიმე ასეული მეტრით შეჭრილიყო თავისი შემრეშილი ელფერითა და მის წყალში არ ერეოდა, მაგრმ მძლავრი და მდორე ვაიკატო იმის იქით უკვე უმკლავდებოდა თავის შფოთიან შენაკადს და დინჯად, დამშვიდბული მიემართებოდა წყნარი ოკეანისაკენ.

ნისლი აიყარა. მდინარეზე გამოჩნდა სათავისკენ მიმავალი ნავი. ეს იყო ადგილობრივი მორა-ნავი, სიგრძით ოცი მეტრი, სიგანი - ორ მეტრამდე და სიღრმით - ერთი მეტრი. ნავი მთლიანი კახიკატეის ნაძვის ხისაგან იყო გამოთლილი, ცხვირი ვენეციურ გონდოლასავით ჰქონდა აშვერილი. ნავის ძირზე ჩაგებული იყო ხმელი ჩადუნა.

ნავი სწრაფად მისრიალებდა. ცხვირის მხარეს მჯდომი რვა კაცი ნიჩბებს უსვამდა, ნავის ბოლოში კი ერთი კაცი საჭეს მართავდა.

მესაჭე ადგილობრივი მკვიდრი იყო, მაღალ-მაღალი, მკერდგანიერი, კუნთებად ჩასკვნილი, მკლავღონიერი და ფეხმაგარი. ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ნაოჭებით დასერილი, გამოზნექილი შუბლი, მძვინვარე გამოხედვა და მოქუშული სახე შემზარავი ჰქონდა. ტანი ისე ოსტატურად ჰქონდა დასვირინგებული, რომ მაშინვე მიხვდებოდით, რომ მაორების წარჩიებული ბელადთაგანი უნდა ყოფილიყო. ორი შავი სპირალი გამოდიოდა მისი არწივისებური ცხვირის ნესტოებიდან, ჩაყვითლებულ თვალებს გარშემო უვლიდა, შუბლის კანზე ერთიანდებოდ და მშვენიერ ხშირ თმაში იკარგებოდა. მარგალიტი. კბილებით მოკენჭილი ბაგე და ნიკაპი სწორხაზოვან სვირინგს დაეფარა და მოხდენილ ხაზებად მძლავრ მკერდს უერთდებოდა.

ახალზელანდიელებში სვირინგი "მოკო" უმაღლესი წარჩინებულობის ნიშანია. სვირინგების ღირსი ის ხდება, ვისაც რამდენიმე ბრძოლაში უსახელებია თავი. მონებსა და მოსახლეობის დაბალ ფენას უფლება არ აქვთ სვირინგი გაიკეთონ. განთქმულ ბელადებს მაშინვე იცნობთ სვირინგის სილამაზით, სურათოვნებითა და საგულდაგულო ნახაზით, რომელიც სხვადასხვა ცხოველს გამოხატავს. ზოგიერთი ამ მტკივნეულ ოპერაციას ხუთჯერაც კი იკეთებს. განსაკუთრებით სატანჯველია სურათების ამოჭრა და მათი შეფარდება. რაც უფრო გამოჩენილია ახალზელანდიელი, მით მეტად აქვს სახე მოხატული.

დიუმონ-დიურვილი საგულისხმო ამბავს გადმოგვცემს ამ ჩვეულების შესახებ. მისი სიტყვით, "მოკო" იმავე მედიდურობის გრძნობით არის გამოწვეული, როგორც ევროიპაში გერბი. თუმცა ეს მეცნიერი განსხვავებასაც აღნიშნავს მათ შორის - "გერბი ადასტურებს იმ პიროვნების დამსახურებას, ვინც ის მიიღო და ეს დამსახიურება ვრცელდება მის

ჩამომავლობაზე, მაშინ როდესაც "მოკო" მხოლოდ პირად დამსახურებასა და მამაცობას ადასტურეს". გარდა ამისა, მაორების სვირინგები კანს ამაგრებს, რის გამოც ადამიანი ადვილად იტანს ავდარსა და აბეზარი მწერების კბენას.

ის ბელადი, რომელიც ამჟამად ნავს მართავდ, ეჭვგარეშეა, ალბატროსის წვეტიანი ძვლით ბევრჯერ ყოფილა დასვირინგებული. ეს მას ზვიად მზერაზეც ემჩნეოდა, ტანზე მოგდებული ჰქონდა მოსასხამი, შემკული ძაღლის ტყავებით, სისხლის ლაქებით დაფარული, რომელიც უკანასკნელ ბრძოლაში დამჩნეოდა. ყურის ბიბილოებზე ეკიდა მწვანე ნეფრიტის საყურე; ყელზე შეება რამდენიმე ყელსაბამი პუამუს წმინდა ქვისა, რომელსაც ახალზელანდიელები თილისმად მიიჩნევენ. გვერდზე ეკიდა ინგლისური სისტემის თოფი და მწვანედ შეღებილი ორლესული ცული. მის ახლოს დაბალი რანგის ცხრა მეომარი იჯდა; ისინიც შეიარაღებული იყვნენ და მკაცრი გამომეტყველება ჰქონდათ. ერთ მათგანს ახლაც ტანჯავდა უკანასკნელად მიღებული ჭრილობა. ყველანი, მოსასხამში გახვეულები, უძრავად და უსიტყვოდ ისხდნენ. ფერხთით სამი ძაღლი ეწვათ, ანჩხლი და უხიაგი. ნავის თვში მსხდომი მენიჩბეები, ალბათ, ბელადის მსახურნი იყვნენ ან მონები. ნიჩბებს ღონივრად უსვამდნენ. მათი მორა-ნავი აღმა მიაპობდა ტალღებს.

წაგრძელებული მორა-ნავის შუა ადგილას ისხდნენ თუ იწვნენ ერთმანეთზე მიყრილი ტყვეები, რომლებსაც ფეხები გაკრული ჰქონდათ, ხელები კი თავისუფალი. აქ იყვნენ გლენარვანი, ლედი ელენი, მერი გრანტი, რობერტი, პაგანელი, მაიორი, ჯონ მანგლსი, ოლბინეტი, მიულრედი და ვილსონი.

წუხელ მათ ნისლის გამო ვერ შეემჩნიათ და ღამის გასათევად ბინა დაედოთ ადგილობრივ მცხოვრებთა საკმაოდ ძლიერ რაზმს შუა. ღამე ჩინებული მოგზაურები დაეტყვევებინათ და გადაეყვანათ ამ მორანავზე. ჯერჯერობით არაფერი დაუშავებიათ მათთვის, დატყვევების დროს წინააღმდეგობა რომ გაეწიათ, ცხადია, ვერაფერს გააწყობდნენ, რადგან მათი ირაღი და ტყვია-წამალი ადრევე ხელთ ეგდოთ და მათივე ტყვიებით დახოცავდნენ.

მაორები შიგადაშიგ ინგლისურ სიტყვებს ურევდნენ ხოლმე, საიდანაც ტყვეები მიხვდნენ, რომ ეს რაზმი ინგლისელებს დაემარცხებინათ და ახლა ზემო ვიკატოს მიდამოებისაკენ მიეშურებოდნენ. მაორების ბელადს ინგლისელების ჯართან შეტაკებისას დაჰღუპავდა საუკეთესო მეომარი და ახლა ამ მდინარის ნაპირას მოსახლე თემებისაკენ მიეშურებოდა, რათა ახალი რაზმით შეერთებოდა ქედმოუხრელ ვილიამ თომპსონს, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობდა ბრძოლას ინგლისელებთან.

ამ ბელადს შავბედითი სახელი ერქვა კაი-კუმუ, ეს იგი "მტრისმყლაპავი". კაი-კუმუ მამაცი იყო და უდრეკი, მაგრამ ამ ღირსებებს მისივე სისასტიკე ამცირებდა. მისგან შებრალების მოლოდინი ამაო იყო. მისი სახელი იცოდა ყველა ინგლისელმა ჯარისკაცმა. მისი თავი მეტდ ძვირად იყო დაფასებული ახალი ზელანდიის გუბერნატორის ბრძანებით.

ასეთი საშინელი ამბავი დაატყდა გლენარვანს სწორედ იმ დროს, როდესაც უნდა მიეღწია სანუკვარ ოკლენდამდე და ევროპაში დაბრუნებულიყო. მისი გაქვეებულ და მშვიდ სახეზე ვერ ამოიკითხავდით, რა ჯოჯოხეთი უტრიალებდა გულში. მის თანამგზავრებსაც ღირსეულად ეჭირათ თავი. მათი მშვიდი და ამაყი მზერა არავის აფიქრებინებდა, რა საშინელი აღსასრულის გზაზე იდგნენ.

გლენარვანის რჩევით ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა, სრული გულგრილობა ეჩვენებინათ მაორებისათვის, რათა ერთგვარი პატივისცემა გამოეწყვიათ მათში. ყველა ველურს, და განსაკუთრებით მაორებს, ახასიათებს საკუთარი ღირსების გრძნობა, რომელიც არასოდეს ტოვებს მათ. ისინი პატივისცემით ეკიდბიან მათ, ვინც გულგრილობითა და მამაცობით პატივისცემას აღძრავს მათში. გლენარვანმა იცოდა, რომ ასეთი საქციელით ცუდი მოპყრობისაგან დაიცავდა თავის თავსაც და ამახანაგებსაც.

ბანაკის მიტოვების შემდეგ მაორები, რომლებიც საერთოდ უსიტყვო ხალხია, კანტიკუნტად თუ წაილაპარაკებდნენ ერთმანეთში, მაგრამ გლენარვანი რამდენიმე წინადადებითაც მიხვდა, რომ ინგლისურად საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდნენ. ამის

გამო გადაწყვიტა, შეჰკითხვოდა მაორების ბელადს, რა ხვედრი მოელოდათ მათ და მტკიცედ მიმართა:

- საით მიგყავართ, ბელადო?

კაი-კუმუმ ცივად გამოხედა და პასუხი არ გასცა.

- რას გვიპირებ, ბელადო? - კიდევ შეეკითხა გლენარვანი.

კაი-კუმუს თვალებმა იფეთქა და მედიდურად მიუგო:

- გაგცვლით, თუ თქვენიანებმა გინდომეს, დაგხოცავთ, თუ გაცვლა არ ისურვეს!

გელენარვანს აღარ უკითხავს, მაგრამ გულში კი იმედმა შეაშუქა, ალბათ, მაორების რამდენიმე ბელადი ინგლისელებს ტყვედ ჩაუვარდა და ახლა მათი გამოხსნა უნდოდათ ტყვეების გაცვლის საშუალბი. ამ გარემოებას შეიძლება გადაერჩინა ისინი და მათი მდგომარეობა არც მთლად უიმედო ჩანდა.

მორა-ნავი კი მდინარის აღმა მიცურავდა. პაგანელი, რომლის მოუსვენარი ბუნებაც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადადიოდა, ერთბაშად აღფრთოვანდა და თავისთვის ფიქრობდა: მაორების წყალობით გაურჯელად მივაღწევთ ინგლისელების სადარაჯოებს და ამ ტყვეობითაც არაფერი დაგვიშავდებაო. რაკი გული ასე დაიმშვიდა, ისევ რუკას დაუბრუნდა და ვაიკატოს მდინარებას ადევნებდა თვალს. ელენსა და მერი გრანტს შიში გულის სიღრმეში მიეკუნჭათ და გლენავართამ ისე საუბრობდნენ, რომ საუკეთესო ფიზიონომისტიც ვერ ამოიკითხავდა მათ სახეზე იმ საშინელებას, რასაც გულში განიცდიდნენ.

ვაიკატო ახალი ზელანდიის ეროვნული მდინარეა. მაორები ისე ამაყობენ იმით, როგორც გერმანელები რაინითა და სლავები - დუნაით. ვაიკატო სამასი კილომეტრის მანძილზე რწყავს ამ კუნძულის საუკეთესო ჩრდილო ნაწილს, ველინგტონის პროვინციიდან ოკლენდამდე. მის ნაპირებზე მოსახლე ურჩი ხალხი ახლაც ამხედრებული იყო დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამ მდინარეზე ევროპელებს დღემდე ფეხი არ დაუდგამთ. მასზე მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მორა-ნავები დაიარება. მხოლოდ რამდენიმე მეზღვაურს გაუბედავს ამ წმინდეა მდინარის ნაპირების ნახვა, მაგრამ ზემო ვაიკატო, როგორც ჩანს, სრულიად მიუდგომელია ევროპელებისათვის. პაგანელმა იცოდა, რა უღრმესი პატივისცემით ეკიდებოდნენ მაორები ამ მდინარეს. ისიც იცოდა, რომ ინგლისელი და ფრანგი ნატურალისტები არ გასცილებიან იმ ადგილს, სადაც ეს მდინარე ვაიპის უერთდება. სადამდე მიიყვანს მათ კაი-კუმუ? მეცნიერი ვერასგზით ვერ მიხვდებოდა ამას, მაგრამ ნავში მსხდომები ხშირად ახსენებდნენ სიტყვას "ტაუპო", რასაც მან ყურადღება მიაქცია. რუკას დახედა და დაინახა, რომ ტაუპოთი აღნიშნული იყო ამ კუნძულის ყველაზე მთიანი ადგილი, ოკლენდის პროვინციის ჩრდილოეთით. მდინარე ვაიკატო ტაუპოს ტბაში ჩადის. ამგვარად ვაიპთან შეერთების შემდეგ მდინარე ვაიკატომ ამ ტბამდე უნდა იდინოს ას ოცი კილომეტრის მანძილზე.

პაგანელი ფრანგულად დაელაპარაკა ჯონ მანგლსს, რათა ველურებს ვერ გაეგოთ ნათქვამი, შეეკითხ, მორა-ნავი საათში რა მანძილს გაივლისო. ჯონმა უპასუხა, სამ მილსო.

- მაშასადამე, თუ ღამის გასათევად გაჩერდნენ ხოლმე, ჩვენი მგზავრობა ტაუპოს ტბამდე ოთხ დღეს გასტანს, - უთხრა გეოგრაფმა.

- ინგლისელების სადარაჯოები სადღა მდებარეობს? - იკითხა გლენარვანმა.

- მაგის თქმა ძნელია, - მიუგო პაგანელმა, - როგორც ჩანს, მთავარი საომარი მოქმედება ტარანაკის პროვინციაში წარმოებს და ინგლისელების მთავარი ძალებიც, ალბათ, ტბის მხარესაა. ამ მთების გადაღმა, იქ სადაც აჯანყების კერაა.

- იმედი ვიქონიოთ, რომ ასე იქნება! - ჩაურთო ელენმა.

გლენარვანმა ნაღვლიანად გადახედა მეუღლესა და მერი გრანტს, რომლებიც სასტიკ მაორებს ველურ ქვეყანაში მიჰყავდათ, სადაც ევროპელს ჯერ ფეხი არ შეუდგამს, მაგრამ შეამჩნია, რომ კაი-კუმუ თვალს ადევნებდა და რადგან არ უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ ერთ-ერთი ამ ქალთაგანი მისი მეუღლეა, სრულიად გულგრილად გააყოლა თვალი მდინარის ნაპირებს.

მორა-ნავი არ შეჩერებულა. გვერდი აურა პოტატუს მეფის ძველ რეზიდენცია, რომელიც ვაიკატოსა და ვაიპის შესართავის ზევით მდებარეობდა რამდენიმე ასი მეტრის მოშორებით, მდინარის პირას. აქა-იქ გაფანტული რამდენიმე ქოხი ნახევრად ჩამონგრეული იყო, რაც მოწმობდა ახლახან გადავლილი ომის საშინელებას. გაღმა-გამოღმა ნაპირები უდაბური და უკაცური იყო. ამ გავერანებულ მიდამოს სიცოცხლის იერს აძლევდა მხოლოდ ორიოდე წყლის ფრინველი. ზოგჯერ მათ დანახვაზე მაღალი კანჭებით გარბოდნენ შავფრთიანი, გულთეთრა და წითელნისკარტა ტაფარუნგები. ნაცრისფერი ნემსიყლაპია, ყეყეჩი ვიმპი დ ყვითელნისკარტა შავფეხა ბაყაყიყლაპია კი არხეინად გამოსცეროდნენ ნავს.

ფრიალო კლდოვან ნაპირებთა, სადაც წყალი უფრო ღრმა ჩანდა, მაიმუნები ჩასაფრებოდნენ სალამურა თევზებს, რომლებიც მილიონობით ბუდობს ზელანდიის მდინარეებში. ადგილ-ადგილ, სადაც ბარდები მდინარის ნაპირზე გადმოხრილიყო, ამომავალი მზის სხივებზე დილიდანვე კეკლუცობასა და გალამაზებას შესდგომოდნენ მოხდენილი ოფოფები და ეგრეთ წოდებული სულთნის დურაჯები. ამ ფრინველების მთელი სამეფო სრული მყუდროებით ტკბებოდა მას მერე, რაც ამ მიდამოს მოსახლეობა ამ ადგილებიდან გაედევნა ომს. აქ, ფართოდ გადაშლილ მინდვრებს შორის, ვაიკატო თავისუფლად მოაქანებდა ზვირთბს, ზევით კი ეს ველები თანდათან ვიწროვდებოდა ბორცვებითა და გორებით.

ამ იორი მდინრის შეერთების ადგილიდან თხუთმეტი კილომეტრის ზევით პაგანელის რუკაზე აღნიშნული იყო სოფელი კირიკირიროა, რომელიც მართლაც გამოჩნდა, მაგრამ კაი-კუმუ აქ არ გაჩერებულა. ბრძანა, ტყვეებისათვის მიეცათ მათივე საგზალი, რომელიც ღამის თავდასხმის დროს თან წამოეღოთ. მეომრები, მონები და თვითონ ბელადი კი ადგილობრივ საჭმელს შეექცნენ. ეს იყო დათვის საგებელა, ფესვების ნამცხვარი და კარტოფილი, რომელიც უხვად მოჰყავთ ორივე კუნძულზე. მათ საჭმელსი ხორცი არ ჩანდა და მოგზაურების გამშრალი ხორცი არავითარ მადას არ იწვევდა მათში.

სამი საათი იქნებოდა, როდესაც მარჯვნივ გამოჩნდა რამდენიმე მთა, რომლებიც ჩამონგრეულ ქონგურიან ზღუდეს წააგადა. ზოგიერთი მთის წვერზე, მიუდგომელ ადგილას, არწივის ბუდეებივით მოჩანდა მაორების ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები. მზე უკვე გადახრილიყო, როდესაც მორა-ნავი პემზის ნამსხვრევებით მოფენილ ნაპირს მიადგა. პემზა ვაიკატოს მოჰქონდა ხოლმე ვულკანური მთიდან, სადაც მისი სათავე იყო. აქ იდგა რამდენიმე ხე, რომლის ქვეშაც მოხერხებულად შეიძლებოდა დაბანაკება.

კაი-კუმუმ უბრძანა, ტყვეები ნაპირზე გადმოესხათ, კაცებს ხელები შეუკრეს, ქალები კი თავისუფლად დატოვეს. ყველა ტყვე ბანაკის შუაგულში მოათავსეს და გარშემო კოცონები გააჩაღეს, რაც გაუვალ დაბრკოლებას წარმოადგენდა ტყვეებისათვის.

ჯერ კიდევ იმაზე ადრე, სანამ გლენარვანი ბელადს დაელაპარაკებოდა, ჯონ მანგლსსა და გლენარვანს თათბირი ჰქონდათ გაქცევის შესახებ. ნავში მოუხერხებელი იყო მოლაპარაკება, ხმელეთზე კი უფრო შესაძლებელი გახდა ღამით, მაგრამ რაკი კაი-კუმუმ განუცხადათ, თქვენს გაცვლას ვაპირებო, ტყვეებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და უმჯობესად ჩათვალეს ლოდინი. ეს უფრო გონივრული მოსაზრება იყო. ტყვეების გაცვლა უფრო მეტ იმედს იძლეოდა გადარჩენისას, ვიდრე შებრძოლება და გაქცევა ამ უცნობ ადგილებსი. რა თქმა უნდა, იქნებ გაცვლა არც მოხერხებულიყო რაიმე მიზეზის გამო, მაგრამ მისი შედეგების მოლოდინი მაინც აუცილებელი იყო. ან კი რას გააწყობდა ათი უიარაღო ადამიანი ოცდაათ კარგად შეიარაღებულ ველურთან?! მეორე, - გლენარვანის აზრით, კაი-კუმუს თემმა, ალბათ, თვალსაჩინო ბელადთაგანი დაკარგა, რომ ასე იყვნენ მოწადინებულნი მის გათავისუფლებას.

გლენარვანი არ შემცდარა. მეორე დღეს ნავი უფრო მეტი სისწრაფით აუყვა მდინარეს აღმა. ათ საათზე ერთი წუთით შეჩერდა პატარა ხევის პირას, სადაც მას მეორე ნავი შემოემატა ათი მეომრით. ორივე ნავის მეომრები ჩვეულებისამებრ მიესალმნენ ერთიმეორეს და ორმა მორა-ნავმა გზა განაგრძო. ახალშემომატებულებს ეტყობოდათ, რომ ახლახან მიეღოთ მონაწილეობა ინგლისელებთან ბრძოლაში. ამას მოწმობდა მათი დაფლეთილი ტანისამოსი და გასისხლიანებული იარაღი. ჭრილობებიდან სისხლი სდიოდათ

ტანისამოსის ქვეშ. მოღუშულები იყვნენ და მდუმარენი. ველურებს ყურადღება არ მიუქცევიათ ტყვეებისათვის.

შუადღისას დასავლეთით მაუნგატოტოარის მწვერვალი გამოჩნდა. მდინარე ვაიკატოს ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა. ღრმა კალაპოტში ჩაჭედილი ვაიკატო დაქანებით მოექანებოდა, მაგრამ მენიჩბეების გაორკეცებული მეცადინეობით და ნიჩბების ტყლაშუნთან შეფარდებული სიმღერით ნავი მაინც აღმა მიცურავდა. დაქანებულ მდინარებას რომ ასცილდნენ, მორანავი ისევ სრიალით გაემართა ვაიკატოს ზევით. მდინარება ყოველ კილომეტრზე მიმართულებას იცვლიდა, მიუხვევ-მოუხვევდა ხოლმე.

კაი-კუმუმ საღამო ხანს ნავი გააჩერებინა ერთი მთის ძირას, რომლის ფერდობებიც მდინარის კიდემდე აწყდებოდა. აქ ღამის გასათევად დაბანაკებულიყო მათზე უფრო ადრე მოსული ოციოდე მეომარი. ხეების ქვეშ რამდენიმე ადგილას ცეცხლი გიზგიზებდა. კაი-კუმუს თანბარი ხარისხის უფროსი გამოეგება ზომიერი ნაბიჯით. მათ ცხვირები გაუხახუნეს ერთმანეთს და მიესალმნენ. ტყვეები ისევ ბანაკის შუაგულში მოაქციეს და ფხიზელი დარაჯები მიუყენეს.

მეორე დღეს, დილით, ისევ მდინარის აღმა შეჰყვნენ. ტოტებიდან მათ გზადაგზა ემატებოდათ ახალ-ახალი მორა-ნავები. აქ თავი მოეყარა სამოცამდე მეომარს, რომლებიც ბრძოლას გამორიდებოდნენ. უმეტესი მათგანი დაჭრილი იყო და ყველანი მთებისაკენ მიემართებოდნენ. ზოგჯერ წეროებივით მწკრივად მიმავალი ნავებიდან სიმღერის ხმა მოისმოდა. ერთ-ერთი მათგანი შემოსძახებდა ხოლმე თავისუფლებისათვის ბრძოლის ჰიმნს ველურების აღსაფრთოვანებლად. მომღერალის რიხიან ხმას მთები იმეორებდა. თითო ტაეპის შემდეგ გულში იცემდნენ მუშტებს და ყველანი ბანს აძლევდნენ საომარ სიმღერას. შემდეგ ახალი ძალ-ღონით დააწვებოდნენ ნიჩბებს და მიაცურებდნენ ნავებს. ამ დღეს საგულისხმო მოვლენა ნახეს ვაიკატოზე. მტკიცე მარჯვენით მიმართული ბელადის მორანავი ნაშუადღევს ოთხ საათზე იმავე სიჩქარით ტყვეებიდან შეცურდა. ვიწრო ხეობაში. აქ მრავალ კუნძულეს შორის მორევი გაშმაგებით ტრიალებდა. ნავი რომ გადაბრუნებულიყო, ყველანი დაიღუპებოდნენ, რადგან ნაპირები თავის შესაფარებლად არ გამოდგებოდა. ნაპირზე გადასვლას კი ვერ მოახერხებდნენ და თუნდაც ვინმეს მიეღწია აქაფებულ შლამამდე, მისი ტალღები ჩაფუფქავდა.

მართლაცდა, მდინარე აქ ცხელი წყაროებზე მიდიოდა. რკინის ჟანგს ნაპირი წითლად შეეღება და მყარ ნიადაგს ვერსაც მიაგნებდა ადამიანი. ჰარი გაჟღენთილიყო გოგირდის მხრჩოლავი სუნით. ზელანდიელებს აინუნშიაც არ მოსდიოდათ ეს გარემოება და ადვილად იტანდნენ, ტყვეები კი ძლივს უძლებდნენ ამ მყრალ ანაორთქლს, რომელიც სანაპიროს ყოველი მხრიდან მოსდებოდა. მართალია, მათი ყნოსვა სატანჯველი იყო, სამაგიეროდ, თვალი დიდად ტკბებოდა ამ დაუვიწყარი სანახაობით.

ნავი შეცურდა ორთქლის ოხშივარში, რომელიც ფენა-ფენად იდგა მდინარეზე. ნაპირებზე ასიოდე ქაფქაფა გეიზერი სცემდა, ზოგი ორთქლს ისროდა, ზოგი თხევად მასას და ნაირ-ნაირი შადრევნები ჩნდებოდა, თითქოს ადამიანის ხელით განგებ ყოფილიყოს მოწყობილი. წყალი და ორთქლი ერთმანეთში ირეოდა და მზის სხივებზე უამრავ ცისარტყელას აჩენდა.

ამ ადგილას ვაიკატო მიმდინრეობს მეწყერზე, ანუ მოძრავ ფსკერზე, რომელიც მიწისქვეშა ძალების გავლენით მუდამ რყევაშია. მის შორიახლოს, აღმოსავლეთით, როტორუს ტბის მხარეს ბუყბუყებდა მიწისქვეშა ორთქლავარდნილი მდუღარე წყაროები და გადმოჰქუხდა როტომახანისა და ტეტარატის ჩანჩქერები. მთელი ეს მიდამო მდიდარი იყო გეიზერებით, კრატერებითა და გოგირდის წყლის წყაროებით. აქედან ამოჰქუხდა ის აირები, რომელთაც ვერ ენახათ ამოსავალი გზა ახალი ზელანდიის ორი მოქმედი ვულკანის კრატერებიდან: ტონგარიროსა და ვაკარის.

მორა-ნავები სამი კილომეტრის მანძილზე მიცურავდნენ ორთქლის თაღქვეშ, რომელიც ზოგჯერ ზედა წყლის ზედაპირამდე ეშვებოდა. იმის იქით გოგირდის ანაორთქლი თანდათან გაიბნა და ტყვეებმ მთელი გულით შეისუნთქეს საღი ჰაერი.

წყაროების სამეფოს გასცდნენ. დღის დასრულებამდე მორა-ნავებმა კიდევ ორი სწრაფი მდინარება გადასერეს - ჰიპაპატუა და ტამატეა. საღამო ხანს კაი-კუმუ ვაიპისა და ვაიკატოს შესართავიდან ასი მილის მანძილზე დაბანაკდა. ვაიკატო რკალივით უხვევდა აღმოსავლეთისაკენ და თავის ზვირთებს მიაქანებდა ტაუპოს ტბის სამხრეთ ნაპირებისაკენ, როგორც უზარმაზარი მილი აუზში.

მეორე დღეს პაგანელმა რუკას დახედა და მარჯვენა კიდეებზე იპოვა ტაუბარას მთა, რომელიც თითქმის ერთ კილომეტრზე იყო აზიდული.

შუადღისას მორა-ნავების მთელი ქარავანი ტაუპოს ტბის ერთ-ერთ ტოტში შეცურდა. ნაპირზე მდგომ ქოხზე ნარმის ნაგლეჯი ფრიალებდა. ნავებიდან აღტაცებული მოძრაობით და ხელების ქნევით მიესალმნენ მას. ეს იყო მათი ეროვნული დროშა.

თავი XI

ტაუპოს ტბა

წინაისტრიულ ხანაში ახალი ზელანდიის კუნძულთა ჯგუფის ჩრდილო კუნძულის ცენტრში მიწის ქერქის ჩაწოლის გამო წარმოიშვა სიგრძით ოცდახუთი და სიგანით ოცი მილის უძირო უფსკრული. გარშემო მდებარე მთებიდან მომდინარე წყლები სულ ამ უფსკრულში იღვრებოდა. ავსებდა ამ უზარმაზარ ჭას და ბოლოს ტბად აქცია, მაგრამ იგი დღესაც უძიროდ ითვლებოდა, რადგან მის ფსკერს ჯერ არც ერთი სიღრმის საზომი საძირავი არ ჩასწვდომია.

ასეთია ეს უცნაური ტაუპოს ტბა, რომელიც ზღვის დონიდან ოთხასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს; მას გარს არტყამს რვაასი მეტრის სიმაღლე მთაგრეხილი. ტბის დასავლეთით გადაჭიმულია მაღალი, აბასრული კლდეები; ჩრდილოეთისაკენ - რამდენიმე ტყით დაფარული ქედი მოჩანს; აღმოსავლეთისაკენ - დავაკებულ ფართო სანაპიროზე მიიკლაკნეა გზა, რომლის ორივე მხარეს ჩასდევს მწვანე ბუჩქნარი; სამხრეთით - ტყის გადაღმა ამართული ვულკანური კონუსები ქობად ევლება ამ დიადი სანახაობის წყლის მასას, სადაც კუდიანი ქარი ოკეანის ციკლონებს არ ჩამორჩება. მთელი ეს მიდამო ისე ჩუხჩუხებს, თითქოს მიწისქვეშა ცეცხლზე უზარმაზარი ქვაბი შემოუდგამთო. დდამიწა თახთახებს ცეცხლის ალერსში.

მრავალ ადგილას ამომსკდარა ქაფქაფა წყარო. მიწის ქერქი დაშაშრულია, როგორც გავარვარებულ ღუმელში ჭარბად აფუებული პურის გუნდა. ალბათ, მთელი ეს ზეგანი მთლად გალხვებოდა, როგორც ქურაში, თორმეტიოდე მილის მოშორებით ტონგარიროს კრატერი რომ არ ისროდეს მიწის გულში შეკუმშულ ორთქლს. ეს კრატერია ამ ორთქლის სასუნთქი. ჩრდილოეთის ნაპირზე ეს ვულკანი ისე მოჩანს სხვა უფრო მომცრო ცეცხლოვან მთებს შორის, როგორც ბელადი, რომელიც შემკულია შავი კვამლით და წითელი ცეცხლის ჯიღით.

ტანგარირო მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია იმ მთაგრეხილის ჯაჭვის, რომელიც გადის კუნძულის იმ ნაწილებში. იმის იქით, ვაკეზე, სამი კილომეტრის სიმაღლეზე ეულად აზიდულა რუაფაუს მწვერვალი და ღრუბლებში შეურგავს თავი. ჯერ არც ერთი ადამიანის ფეხი არ დაჰკარებია მის კონუსისებურ მწვერვალს. ადამიანის თვალს არასოდეს განუზომია მისი კრატერის სიღრმე. სამაგიეროდ, უფრო ადვილად მისასვლელი ტონგარიროს მწვერვალი სამჯერ არის გაზომილი ოცი წლის განმავლობაში ბიდვილის, დისონისა და უკანასკნელად ჰოჰშტეტერის მიერ. ამ ვულკანებთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და სხვა პირობებში პაგანელი, რასაკვირველია, უამბობდა თანამგზავრებს, მაგალითად, პოეტურ თქმულებას ტონგარიროსა და ტანარაკის, ოდესღაც ამ კეთილი მეგობრების, ახლო მეზობლების წაჩხუბების შესახებ.

ტონგარირო, რომელსაც გახურებული თავი ჰქონდა, როგორც ვულკანს, ერთხელ ტანარაკის წაეჩხუბა და სცემა. ნაცემი და დამცირებული ტანარაკი გაიქცა. გზაში მან მწვერვალი დაკარგა და თავი შეაფარა ოკეანის სანაპიროს. ამჟამადაც იქა დგას მარტოხელა,

მოწყენილი და უწოდებენ ეგმონტს, მაგრამ პაგანელი სულ არ იყო განწყობილი ზღაპრების საამბობლად, ისევე როგორც მის თანამგზავრებს არ შერჩენოდათ ხალისი ზღაპრების მოსასმენად. ტყვეები უსიტყვოდ გასცქეროდნენ ტაუპოს ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირებს, საითკენაც ისინი მიჰყავდათ.

კაი-კუმუს ნავი ვაიკატოს პატარა შენაკადს შეჰყვა, გრძლად წამოწვდილ კონცხს შემოუხვია და ტბის აღმოსავლეთ ნაპირს მიადგა. აქ გადაჭიმულიყო ძვირფასი ზელანდიური სელის მინდვრები. ეს მცენარე ბევრნაირად არის გამოსადეგი: მისი ყვავილები იძლევა საუცხოო თაფლის ნექტარს, ყლორტებიდან ამზადებენ წებოვან ნივთიერებას, რომელიც სანთლის მაგივრობას ეწევა; ფოთლებისაგნ სხვადასხვა ნივთს ამზადებენ; ნედლი ყლორტებისაგან მზადება ქაღალდი, გამხმარი ყლორტები კი აბედად იხმარება, სიგრძეზე დაჭრილი ყლორტებისაგან გრეხენ კანაფსა და თოკს, ქსოვენ ბადეებს. დამბალი და დაწეწილი ყლორტებისაგან ამზადებენ საბნებს, მოსასხამებს, ჭილოფებსა და ფარდაგებს. ეს ძვირფასი მცენარე ყველგან ხარობს ორივე კუნძულზე, როგორც ზღვის, ისე მდინარეების და ტბების პირას.

აქ მისი გარეული ბუჩქებითაა დაფარული მინდვრები. მოგრძო ფოთლებზე მოჩანდა მუქი წითელი ყვავილები, აგავას მსგავსი ლამაზ-ლამაზი ჩიტები ნისლივით შერეოდნენ ამ ბუჩქებს და წყურვილს იკლავდნენ მისი ყვავილების თაფლოვანი წვენით. ტბის ზვირთებში ჭყუმპალაობდა მოშინაურებული მწვანე და ნაცრისფერწინწკლებიანი შავბუმბულოვანი იხვების გუნდი.

ოთხასიოდე მეტრის იქით, ფრიალო ფერდობზე მოჩანდა პა- მაორების მიუდგომელი სიმაგრე. ხელფეხდახსნილი ტყვეები სათითაოდ გადაიყვანეს ნაპირზე და სიმაგრისაკენ წაიყვანეს. მისკენ მიმავალ ბილიკს ორივე მხარეს ლამაზი ხეებით დაფარული მინდვრები მისდევდა. ამ ხეებს წითელი ნაყოფი ესხა. კენწეროები პალმის ფუმფულას ჰგავდა. მათთან მიახლოებისას თითო ნაბიჯის გადადგმაზე წამოიშლებოდნენ ხოლმე ლითონისფერი დიდრონი ქედნები, ნაცრისფერი ყურყულუშები და უამრავი წითელქოჩორა შოშია.

ბევრი მიხვევ-მოხვევის შემდეგ გლენარვანი, ელენი, მერი გრანტი და მათი თანამგზავრები ციხის გალავანში შეიყვანეს. სიმაგრე გარედან ხუთი მეტრის სიმაღლე მესრით იყო შემოზღუდული. შიგნით შემოვლებული ჰქონდა მარგილების ზღუდე, შემდეგ სათოფურებდატანებული ფიცრული კედელი, რომლის შიგნითაც ფართო ეზოში ამართულიყო მაორების შენობები და მათ გარშემო სიმეტრიულად გაფანტული ქოხები.

სიმაგრეში შესვლის დროს ტყვეებს ჟრუანტელმა დაუარა მეორე ზღუდის მარგილეზე ჩამოცმული ადამიანის თავების დანახვაზე. ელენმა და მერიმ ზიზღითა და ძრწოლით მოიბრუნეს პირი. ეს იყო ბრძოლაში დახოცილი მტრის ბელადების თავები. მათი სხეული შეეჭამათ, თავები კი გამოეკიდათ, როგორც საამაყო ნადავლი. პაგანელი მიხდა ამას, რადგანაც თავებს თვალები დათხრილი ჰქონდა. აქ თურმე მტრის ბელადების თვალებს ჭამენ, თავებს კი ზედა კანს აცლიან, ტვინს ამოიღებენ, ცხვირის ნესტოებს სელით გამოუტენიან, ცხვირს ფიცრის პატარა ნაჭრებით გაქაჩავენ, ქუთუთოებს და ბაგეს გაუკერავენ და ღუმელში ოცდაათი საათის განმავლობაში ბოლში გამოჰყავთ. ამგვარად მომზადებული თავი არ იხრწნება და სასახელო დავლად ითვლება. მაორები ამავე წესით ხშირად საკუთარი ბელადების თავებსაც ინახავენ, თუმცა ამ შემთხვევაში თვალებს არ თხრიან და თავი თითქმის ცოცხლის შთაბეჭდილებას ახდენს. ახალზელანდიელები ამაყი და თავმოწონებით უჩვენებენ ამ თავებს, მათ შენატრიან ახალგაზრდა მეომრები, მათ თაყვანს სცემენ და ზეიმსაც უმართავენ, მაგრამ კაი-კუმუს სიმაგრეში მხოლოდ მტრების მოკვეთილი თავები იყო მარგილებზე ჩამოგებული. მათ შორის, ალბათ, ინგლისელებისაც.

კაი-კუმუს ბინა სიმაგრის სიღრმეში იდგა და სხვა ქოხებზე უფრო მაღალი იყო. მის წინ ფართო მოედანი გაეკეთებინათ, რომელსაც ევროიპელები სამხედრო მოედანს უწოდებენ. ეს ბინა წარმოადგენდა მერქანზე ტყრუშულად ჩაწნულ კედლებს, რომელსაც შიგნიდან სელის ჭილოფები ჰქონდა აკრული. სიგრძით შვიდი მეტრი იქნებოდა, სიგანით - ხუთი, სიმაღლით - სამი, ახალზელანდიელი ბელადის ბინას მეტიც არ სჭირდებოდა. ამ ქოხს მხოლოდ ერთი შესასვლელი ჰქონდა, რომელზეც ჩამოფარებული იყო ბალახებისაგან დაწნული ფარდა.

ქოხის მორთულობას შეადგენდა რამდენიმე უშნო ქანდაკება, შესასვლელთან კი მისასვლელს აღტაცებას მოჰგვრიდა ფოთლებისაგან გაკეთებული სიმბოლური ფიგურები და ადგილობრივი მოქანდაკის მიერ გაკეთებული გულშემზარავი ურჩხულები. ქოხში მიწის ნიადაგი ერთი მეტრის მეოთხედზე იყო ამაღლებული და მიწითვე დატკეპნილი, ის თითქოს იატაკის მაგივრობას ეწეოდა. ლოგინებად დაფენილი იყო ტიფას გრძელი და რბილი ფოთლებისაგან გაკეთებული და ძაფით შეკერილი ლეიბები, გამხმარი ჩადუნის ფოთლებით გატენილი, მათ ქვეშ კი ეფინა ლერწმისგან მოქსოვილი რამდენიმე ჭილოფი. ქოხს შუაგულში ამოჭრილი ჰქონდა ორმო, რომელიც ღუმელის მაგივრობას სწევდა, კვამლის ასასვლელად კი ჭერს დატანებული ჰქონდა ამოჭრილი ადგილი და როდესაც ქოხი კვამლით გაივსებოდა, იმ საკვამლიდან ადიოდა. ქოხის კედლები მთლად მომჭვარტლულიყო.

ქოხის გასწვრივ იდგა საწყობები, ბეღლები, სადაც ბელადი ინახადა სანოვაგეს, სელის მოსავალს, სათბობ მასალასა და ღუმელებს, რომლეშიაც საჭმელს იმზადებდნენ გავარვარებულ ქვებზე. ცოტა მოშორებით, პატარ-პატარა მოღობილებში დაემწყვდიათ ღორები და თხები, რომლებიც ახლა იშვიათი სანახავია ახალ ზელანდიაში და რომლებიც აქ პირველად მოგზაურ კუკს მოეყვანა. დამშეულ ძაღლებს ადამიანი ფეხს ვერ აუქცევდა, ისინი დიდ პატივში უნდა ჰყოლოდათ, რადგან მაორების ყოველდღიურ საჭმელს წარმოადგენდნენ.

გლენარვანმა და მისმა თანამგზავრებმა ერთი თვალის დაკვრით მოათვალიერეს სიმაგრის ეზო. ისინი ბელადი განკარგულების მოლოდინში ერთი ცარიელი ქოხის წინ იდგნენ. ამ დროს მათ შემოეხვივნენ დედაბრები, რომლებიც მოთმითა და მუშტების ქნევით ემუქრებოდნენ მათ. მათი ნათქვამი რამდენიმე ინგლისური სიტყვიდან ჩანდა, რომ დაუყოვნებელ შურისძიებას მოითხოვდნენ. ამ წივილ-კივილში გარეგნულად თავშეკავებულ ელენს გული მღელვარებით უცემდა. ეს მამაცი ქალი ცდილობდა, თავი შეემაგრებინა, რომ გლენარვანი არ აეღელვებინა. საბრალო მერი გრანტი ღონემიხდილი მიყრდნობოდა ჯონ მანგლსს, რომელიც მის გადასარჩენად სასიკვდილოდაც მზად იყო. ამ წყევლა-კრულვას დანარჩენები სხვადასხვანაირად შეხვდნენ: მაიორი მშვიდად იყო, პაგანელი კი ფორიაქობდა. ამ ალქაჯებისაგან ელენის დასაფარავად გლენარვანი პირდაპირ კაი-კუმუსკენ გაემართა, დედაკაცების ღრიანცელზე მიუთითა და ცივად უთხრა:

- მოგვაშორეთ!

მაორების ბელადმა გაოცებით შეხედა ტყვეს და პასუხი არ გასცა. შემდეგ ერთი ხელის გაქნევით ხმა ჩააკმედინა აღავღავებულ ბრბოს. გლენარვანმა მადლობის ნიშნად თავი დახარა და ნელი ნაბიჯით თავისიანებს დაუბრუნდა. ამ დროს გალავანში თავი მოიყარა ასიოდე ახალზელანდიელმა. აქ იყვნენ მოხუცები, შუახნის მეომრები და სიჭაბუკეში შესული ახალგაზრდებიც. ზოგი მშვიდად, მაგრამ პირქუშად მოელოდა კაი-კუმუს ბრძნებას. სხვანი გლოვობდნენ ბრძოლაში დაღუპულ ნათესავ-მეგობრებს. ამ ბელადებს შორის, რომელნიც უილიამ თომპსონის მოწოდებით აჯანყდნენ, პირველი იყო კაი-კუმუ, რომელიც ტაუპოს ტბის მიდამოებში დაბრუნდა და მოსახლეობამ პირველად მისგან შეიტყო ქვემო ვაიკატოს ველებზე მეამბოხეთა დამარცხების ამბავი.

ორასი მეომრიდან, რომელიც მან სამშობლოს დასაცავად გაიყოლა, ას ორმოცდაათი კაცი დაეღუპა. მართალია, რამდენიმე მათგანი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ დანარჩენები ბრძოლის ველზე დარჩნენ და ვერასოდეს ვეღარ დაუბრუნდებიან მამა-პაპათა ქვეყანას! აი, ამიტომ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას მაორების ეს თემი კაი-კუმუს დაბრუნების დროს. მაორების სულიერი მწუხარება გარეგნულადაც გამოისახა. დახოცილი მეომრების ნათესავები და მეგობრები, მეტადრე ქალები, თმას იგლეჯდნენ, ბასრი ნიჟარით სახესა და მკერდს იკაწრავდნენ. მომსკდარი სისხლი მათ ცრემლებს უერთდებოდა. რაც უფრო დიდი იყო მწუხარება, მით ღრმა ჭრილობებს იყენებდნენ. ამ გაოგნებულ, დასისხლიანებულ და გაუბედურებულ ზელანდიელ დედაკაცებს საშინელი შესახედაობა ჰქონდათ. მათ მწუხარებას ერთი გარემოებაც აორკეცებდა - მათ დაეღუპათ არა მარტო ნათესავები, არა მარტო მეგობრები, არამედ მათი ძვლებიც, რომელთაც მიწას ვეღარ მიაბარებდნენ. მაორების

რწმენით, თუკი ძვლები ხელთ აქვთ, მომავალი - საიქიო სიცოცხლე უზრუნველყოფილია. ისინი სხეულს კი არ მარხავენ, რადგან იხრწნება, არამედ მარხავენ ძვლებს, რომელთაც საგულდაგულოდ აგროვებენ, ასუფთავებენ, ფხეკენ, აპრიალებენ, ლაქს უსვამენ და ისე ინახავენ "დიდების სახლში". სამარეებს, ანუ "დიდების სახლებს" ხის მესრებით ამკობენ. მათზე ზედმიწევნით არის გამოსახული განსვენებულის სვირინგი. ახლა კი ეს სამარეები, ეს "დიდების სახლები" ცარიელი რჩებოდათ, მათზე ვერ შეასრულებდნენ რელიგიურ წესებს, გარეული ძაღლები დაღრღნიდნენ მათ ძვლებს, რომლებიც დაუმარხავად ეყარა ბრძოლის ველზე. აი ეს გარემოება უორკეცებდა მათ მწუხარებას.

დედაკაცების მუქარას კაცებისც მიემატა. წყევლა-კრულვა აზანზარებდა ჰაერს, ხელებს გამეტებით იქნევდნენ და გამორიცხული არ იყო, მათი მრისხანება ძალმომრეობად გადაქცეულიყო. კაი-კუმუმ იმის შიშით, რომ გააფთრებულ თემს ვეღარ შეაკავებდა, ბრძანება გასცა, ტყვეები წმინდა ადგილას მოეთავსებინათ, სიმგრის მეორე ბოლოში. აქ იდგა ქოხი, რომელიც ზურგით ასიოდე ფუტის სიმაღის ციცაბო კლდეს მიყრდნობოდა. ქოხში თავშეფარებული ტყვეები სელის ჭილოფებზე გაიშოტნენ. ზნეობრივად და ფიზიკურად მოქანცული და სასომიხდილი ელენი მეუღლეს ჩაეკრა გულში. გლენარვანმა მკერდზე მიიკრა და თან უმეორებდა:

- გამხნევდი, ელენ, გული გაიმაგრე; ყველაფერი რიგზე იქნება!

რაწამს ისინი ქოხში გამოამწყვდიეს, რობრტი ვილსონს მხრებზე შეადგა და თავი გაყო საკვამლე ჭრილში, რომელიც კედელსა და ჭერს შუა იყო დარჩენილი. იქიდან ხელისგულივით მოჩანდა სიმაგრის მთელი ეზო და კაი-კუმუს ქოხი.

- ყველანი ბელადის გარშემო შეიკრიბნენ, - ჩურჩულით თქვა რობერტმა, - ხელებს იქნევენ, ყაყანებენ... კაი-კუმუ ლაპარაკს აპირებს, - რობერტი გაჩუმდა და რამდენიმე წუთის შემდეგ განაგრძო, - კაი-კუმუ ლაპარაკობს... ველურები მიწყნარდნენ .... ყურს უგდებენ....

- ცხადია, მაგ ბელადს რაღაც პირადი ინტერესი აქას, რომ გვესარჩლება, - ჩაურთო მაიორმა, - ეტყობა, ახლობელი ტყვედ ჰყავს ჩავარდნილი და უნდა ჩვენზე გადაცვალოს, მაგრამ მაორები დაჰყაბულდებიან თუ არა?

- დიახ.. ყურს უგდებენ... - განაგრძობდა რობერტი, - ახლა უკვე იშლებიან... ყველა თავისი ქოხისაკენ გაემართა... ზოგნი სიმაგრის ეზოდან გავიდნენ... მასთან მხოლოდ ჩვენი დამტყვევებელნი დარჩნენ.

- დარწმუნებული ხარ? - წამოიძახა მაიორმა.

- დიახ, - მიუგო რობერტმა, - კაი-კუმუ მარტო დარჩა იმ მეომრებთან, რომლები ჩვენთან ნავში ისხნენ... აი... ერთი მათგანი ჩვენკენ მოდის...

- ჩამოხტი, რობერტ, ჩამოხტი! - უთხრა გლენარვანმა.

ელენი წამოხტა და მეუღლეს ხელი სტაცა:

- ედუარდ, - უთხრა მან მტკიცე ხმით, - არც მერი და არც მე ცოცხლები არ უნდა ჩავუცვივდეთ ხელთ ამ ველურებს, - და გლენარვანს გატენილი რევოლვერი გაუწოდა.

- იარაღი! - წამოიძახა გლენარვანმა და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

- დიახ. მაორები ტყვე ქალეს არ ჩხრეკენ... მაგრამ ეს იარაღი ჩვენთვისაა, ედუარდ, და არა მათთვის.

- გლენარან, დამალეთ რევოლვერი! ჯერ დრო არ არის, - უთხრა მაკ-ნაბსმა.

გლენარვანმა რევოლვერი ჯიბეში ჩამალა. ამ დროს შესასვლელთან ჩამოფარებული ჭილოფი აიწია და ქოხში მაორი შემოვიდა. მან ანიშნა ტყვეებს, რომ უკან გაჰყოლოდნენ.

გლენარვანმა და მისმა თანამგზავრებმა ჯგუფად გადაიარეს სიმაგრის ეზო და ყველანი კაი-კუმუს წინაშე გაჩერდნენ. მას გარს შემოერტყნენ თემის უპირველესი მეომრები. მათ შორის იყო მაორების ის ბელადიც, რომელიც ფოხაივენისა და ვაიკატოს შესართავთან შემოხვდათ მორა-ნავით.

ორმოცი წლისა იქნებოდა; მხარბეჭიანი იყო, მძლავრი, მძვინვარე და სასტიკი. სახელად კარა-ტეტე ერქვა, რაც ზელანდიურად მოუთვინიერებელს ნიშნავს. კაი-კუმუ მორიდებით ეპყრობოდა მას. კარა-ტეტეს მოხდენილი სვირინგი მოწმობდა, რომ თემში მაღალი მდგომარეობა ეჭირა, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ეს

ორი ბელაი მტერ-მოყვარენი იყვნენ. მაიორმა ადვილად შეამჩნია, რომ კაი-კუმუს არ ესიამოვნა კარა-ტეტეს გავლენიანობა, ორივენი ვაიკატოს ცნობილი თემების უფროსები იყვნენ და ორივეს თანაბარი გავლენა ჰქონდა. საუბრისას კაი-კუმუს ბაგე უღიმოდა, თვალები კი მტრობას ამჟღავნებდა.

- ინგლისელი ხარ?

- დიახ, - უყოყმანოდ მიუგო გლენარვანმა, რადგან ეს ეროვნება გაცვლის საშუალებას იძლეოდა.

- შენი ამხანაგები? - იკითხა კაი-კუმუმ.

- ჩემი ამხანაგებიც ისეთივე ინგლისელები არიან, როგორიც მე. ჩვენ დაღუპული გემიდან გადარჩენილი მგზავრები ვართ. თუ გსურს იცოდე, ჩვენ ომში არ მიგვიღია მონაწილეობა.

- ეგ სულერთია! - სიტყვა გააწყვეტინა კარა-ტეტემ, - ყოველი ინგლისელი ჩვენი მტერია. შენიანები შემოგვესივნენ კუნძულზე. მათ გადაწყვეს ჩვენი სოფლები!

- ცუდად მოქცეულან, - მიუგო გლენარვანმა სერიოზულად,- ამას ვამბობ იმიტომ, რომ ასე ვფიქრობ, და არა იმიტომ, რომ შენს ხელთ ვართ!

- გამიგონე, - განაგრძო კაი-კუმუმ, - ჩვენი ღმერთის ნიუ-ატუას დიდი ქურუმი ტახონგა შენს მოძმეებს ჩაუვარდა ხელთ. ის ევრიოპელების ტყვედ არის. ჩვენი ღმერთი გვიბრძანებს, გამოვისყიდოთ ის. მინდოდა გული ამომეგლიჯა შენთვის, მინდოდა შენი და შენი ამხანაგების თავები სამუდამოდ ყოფილიყო ჩამოცმული ამ ზღუდეზე, მაგრამ ნიუ-ატუა ამის ნებას არ მაძლევს, - ამ სიტყვების დროს აქამდე თავდაჭერილი კაი-კუმუ მრისხანებისაგან აცახცახდა, მის სახეზე მძვინვარება აისახა. რამდენიმე წუთის შემდეგ უფრო მშვიდად განაგრძო, - შენ როგორ ფიქრობ? ინგლისელები შენი გულისათვის დათმობენ ტახონგას?

გლენარვანი შეყოყმანდა და ბელადს შეაცქერდა.

- ხმა ამოიღე, შენი სიცოცხლე ღირს თუ არა ჩვენი ტახოგნას სიცოცხლედ? - გაუმეორა კაი-კუმუმ.

- არა, - მიუგო გლენარვანმა, - მე არც ბელადი ვარ, არც ქურუმი ჩვენიანებში...

ასეთი პასუხით განცვიფრებული პაგანელი გლენარვანს მიაჩერდა. კაი-კუმუც კი გაოცდა.

- მაშ ეჭვი გაქვს? - შეეკითხა ის.

- არ ვიცი, - მიუგო გლენარვანმა.

- შენიანები შენში არ გაგვიცვლიან ტახონგას?

- მარტო ჩემში - არა, - მიუგო გლენარვანმა, - ყველაში კიდევ შესაძლებელია.

- მაორები ერთს ერთზე ცვლიან, - შენიშნა კაი-კუმუმ.

- ჯერ ეს ქალები შესთავაზე შენს ქურუმში, - უთხრა გლენარვანმა და ხელით ანიშნა ელენსა და მერი გრანტზე. ლედი ელენს უნდოდა მეუღლეს მივარდნოდა, მაგრამ მაიორმა გააჩერა, - ამ ქალბატონებს, - განაგრძობდა გლენარვანი და პატივისცემით თავი დახარა ელენისა და მერი გრანტის წინაშე, - დიახ, ამ ქალბატონებს ჩვენს ქვეყანაში მაღალი მდგომარეობა უჭირავთ.

ბელადმა დამცინავად გადახედა ტყვეს. ბოროტი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე, მაგრამ თავი შეიკავა და მიუგო:

- ნუთუ იმედი გაქვს, რომ მაცდური სიტყვებით მოატყუებ კაი-კუმუს? ან იქნებ გგონია, კაი-კუმუს თვალებმა არ იციან გულისნადების ამოკითხვა? - თან ელენზე მიუთითა და შესძახა, - ეს შენი ცოლია!

- არა, ჩემია! - დაიძახა კარა-ტეტემ, ტყვეები მისწი-მოსწია და ელენს მხარზე დაადო ხელი.

ელენი გაფითრდა.

- ედუარდ! - შეჰკივლა საბრალო ქალმა.

გლენარვანმა უსიტყვოდ ასწია ხელი. გაისმა სროლა. კარა-ტეტე მკვდარი დაეცა მიწაზე. სროლის ხმაზე ქოხებიდან მაორები გამოცვივდნენ. გალავნის ეზო თვალის

დახამხამებაში ხალხით გაივსო. ტყვეების გასანადგურებლად ასიოდე მარჯვენა აიმართა. გლენარვანს რევოლვერი ხელიდან წაჰგლიჯეს, კაი-კუმუმ უცნაურად გადახედა გლენარვანს, შემდეც ცალი ხელი მკვდარს დააფარა, მეორე ხელით კი მოზღვავებული ბრბო შეაჩერა და შესძახა:

- ტაბუ!

ამ სიტყვის გაგონებაზე ბრბო ჩაკირულივით შედგა, თითქოს ზებუნებრივმა ძალამ ერთ ადგილას მიაჯაჭვაო. რამდენიმე წამის შემდგ ტყვეები ისევ იმ ქოხში შეამწყვდიეს, მაგრამ მათთან აღარც რობერტი იყო, აღარც პაგანელი.

თავი XII

მაორების ბელადის დაკრძალვა

კაი-კუმუ მხოლოდ ბელადი კი არა, ქურუმიც იყო, როგორც ეს ხშირად არის ხოლმე ახალ ზელანდიაში. როგორც ქურუმის ღირსებით აღჭურვილ პირს, მას უფლება ჰქონდა ტაბუ დაედო ადამიანებზეც და საგნებზეც.

პოლინეზიელთა ტომებში ტაბუს დადება ყადაღის დადებას ნიშნავს და იმ პირს თუ საგანს, რომელზეც ტაბუ გამოცხადდა, ვერავინ მიეკარება. მაორების რწმენით, ვინც კი ხელს ახლებს ტაბუდადებულ საგანს, მას ღვთაება სიკვდილით დასჯის და თუ ღმერთი დააგვიანებს შურისძიების შესრულებას, მაშინ ამ საქმეში ღვთაებას მაორების ქურუმები დაეხმარებიან.

ბელადები ტაბუს ადებენ ან პოლიტიკური მიზნით, ან კერძო ცხოვრების რომელიმე შემთხვევის გამო, მაგალითად, რომელიმე ადგილობრივი მკვიდრი ტაბუდადებულია რამდენიმე დღით, როდესაც თმას იჭრის, მორა-ნავს აკეთებს, ან სახლს აშენებს, როდესაც გადამდები სნეულებითაა ავად, როდესაც ტანს ისვირინგებს და ბოლოს, როდესაც გარდაიცვალება. გაუფთხილებელი მებადურობა მდინარეში თევზის გაქრობას იწვევს, თუ დაუმწიფებელი ტკბილი ბატატის ჭამა მოსახლეობის კეთილდღეობას საფრთხეს უმზადებს, მაშინ ამ საგნებზე დაიდება ტაბუ. თუ ბელადს უნდა, თავის სახლს აბეზარი მომსვლელები ჩამოაშოროს, იგი სახლზე ტაბუს აცხადებს. ასევე იქცევა მაშინ, როდესაც მონოპოლიად სურს გაიხადოს უცხოეთის ხომალდთან კავშირის გაბმა, ან ვაჭრობისათვის ბოკოტის გამოცადება. ეს აკრძალვA ძველებურ ვეტოს ჰგავს, რომელსაც მეფეები აცხადებენ ხოლმე.

როდესაც რომელიმე საგანზეა დადებული ტაბუ, მას დაუსჯელად ვერავინ მიეკარება. თუ ტაბუ დადებულია ადგილობრივ მოსახლეზე, მას ამ დროს აკრძალული აქვს რომელიმე საჭმლის მიღება ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ადით. ასეთი დიეტისაგან თავის დაღწევა მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ: როდესაც აკრძალული აქვთ თავისი ხელით ჭამა, ისინი მონების ხელით ახერხებენ ჭამას. ღარიბები ამ შემთხვევაში საჭმელთან მუცლით მიფორთხავენ და პირით ლოკავენ საჭმელს, როგორც ცხოველები.

საზოგადოდ, ეს ჩვეულება აწესრიგებს ადგილობრივი მოსახლეობის მთელ ცხოვრებას. ეს თითოქს ერთგვარი ჩარევა ღვთაებისა სოციალურ ცხოვრებაში, ტაბუს მინიჭებული აქავს კანონის ძალა. შეიძლება ითქვას, ახალი ზელანდიის მთელი კანონმდებლობა თითქმის ამით გამოიხატება.

ტყვეებზე დადებული იყო მფარველობითი ტაბუ, რომ ველურების მძვინვარებისაგან გადაერჩინათ. კაი-კუმუს მომხრე მეგობრებმა კაი-კუმუს ბრძანებით ტყვეები დაინდვეს, მაგრამ გლენარვანმა შეუმცდარად იცოდა, რაც მოელოდა. მას მხოლოდ სიკვდილით შეეძლო გამოესყიდა ბელადის მოკვლა. ველურეის ხელში სიკვდილი კი ხანგრძლივი წამებით დასასრულია. ამიტომ გლენარვანი მზად იყო სასტიკად ეგო პასუხი თავისი კანონიერი აღშფოთებისათვის, რასაც მოჰყვა მაორების ბელადის მოკვლა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ კაი-კუმუს რისხვა მხოლოდ მას დაატყდებოდა და არა მის თანამგზავრებს.

იოლი წარმოსადგენია, როგორი ღამე გაატარეს მისმა მეგობრებმა. ვინ შეძლებდა მათი ტანჯვა-წამების აღწერას? რობერტი და პაგანელი დაიკარგნენ. რა უნდა ეფიქრათ მათ ხვედრზე? იქნებ მაორების შურისძიებამ პირველად ისინი იმსხვერპლა? მაკ-ნაბსიც კი, რომელიც მსჯელობისას მუდამ ფრთხილი იყო, მათ უკვე დაღუპულად თვლიდა.

ჯონ მანგლსი ჭკუიდან იშლებოდა, როდესაც ხედავდა ძმის დაკარგვით უნუგეშო მწუხარებაში მყოფ მერი გრანტს. გლენარვანმა ძრწოლით გაიხსენა ელენის მუდარა, რომ მისი ხელით ღირსებოდა სიკვდილს, ოღონდ წამებასა და მონობას ასცდენოდა! განა მას ვაჟკაცობა შესწევს, რომ ასეთი საშინელი საქმე ჩაიდინოს? ჯონი კი ფიქრობდა: "განა უფლება მაქვს ხელი ავიღო მერიზე?" - და გული სიმწრისაგან ეკუმშებოდა. გაქცევაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. თავით ფეხებAმდე შეჭურვილი ათი მეომარი ჰყავდათ ქოხის შესასვლელთან მცველად მიჩენილი.

გათენდა 13 თებერვალი. რადგან ტყვეებზე ტაბუ იყო დადებული, ტყვეებსა და მაორებს შორის ყოველივე კავშირი გაწყვეტილი იყო. ქოში ცოტა რამ სანოვაგე მოეპოვებოდათ, მაგრამ უბედურები არც კი მიჰკარებიან. ტანჯვის განცდაში იკარგებოდა შიმშილის გრძნობა. იმ დღემ ისე გაიარა, რომ არავითარი იმედის შუქი არ მოუტანია, არავითარი ცვლილებაA არ მოუხდენიA. ალბათ, ბელადის დაკრძალვა და მათი წამება ერთად ჰქონდათ განზრახული.

გლენარვანი დარწმუნებული იყო, რომ კაი-კუმუ გადაიფიქრებდა ტყვეების გაცვლას, მაიორი კი მაინც იმედს არ კარგავდა. მან გაახსენა გლენარვანს ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა კაი-კუმუზე კარა-ტეტეს მოკვლამ და უთხრა:

- ვინ იცის, იქნებ კაი-კუმუ მადლობელიც არის თქვენი?

გლენარვანმა მხოლოდ უსიტყვოდ გაიქნია თავი. არც მეორე დღეს შეუმჩნევიათ წამეისა და დასჯის სამზადისი. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაორების აზრით, სიკვდილის შემდეგ სული სამი დღის განმავლობაში კიდევ ცოცხლობს მიცვალებულის სხეულში. ამიტომ მიცვალებულს მხოლოდ სამი დღის შემდეგ მარხავენ. ეს ცრუმორწმუნე ჩვეულება ახლაც სასტიკად შეასრულეს. 15 თებერვლამდე ციხესიმაგრე მიყრუებული და უკაცური იყო. ჯონ მანგლსი ხშირად მხრებზე შეადგებოდა ვილსონს და იცქირებოდა ზღუდეებისაკენ. მაორების ჭაჭანება არსად ჩანდა. ქოხთან მდგომი დარაჯების შემცვლელი რაზმი თუ მოვიდოდა ხოლმე.

მესამე დღეს კი ქოხების კარები გაიღო. კაცები, დედაკაცები და ბავშვები, რამდენიმე ასეული სული, ციხის გალავანში დინჯად და უსიტყვოდ შემოვიდნენ.

კაი-კუმუ თავისი ქოხიდან გამოვიდა. მას გარს ეხვივნენ თემის მთავარი ბელადები. ის გალავნის შუა ადგილას, მაღლობზე გაჩერდა. მაორები ნახევარრკალად შემოერტყნენ რამდენიმე მეტრის მოშორებით. დუმილი ჩამოვარდა. კაი-კუმუმ ანიშნა ერთ მეომარს და ის ტყვეების ქოხისაკენ გამოემართა.

- გახსოვდეს! - გაუმეორა ელენმა მეუღლეს.

გლენარვანი მას უსიტყვოდ გადაეხვია და მკერდზე მიიკრა. ამ დროს მერი გრანტი ჯონ მანგლსს მიუახლოვდა.

- ლორდი და ლედი გლენარვანები დამეთანხმებიან, რომ თუ სამარცხვინო სიცოცხლისაგან თავის დასაღწევად ცოლი შეიძლება ქმრის ხელით მოკვდეს, ჩვენს პირობებში საცოლეც შეიძლება საქმროს ხელით გაიგმიროს. ჯონ, მხოლოდ ამ საზარელ წუთში შემიძლია ამის თქმა: განა თქვენს გულში მე ვერ ვხედავ ჩემს თავს თქვეს საცოლედ? ძვირფასო ჯონ, შემიძლია თუ არა მეც ვიქონიო თქვენი იმედი, როგორც ლედი ელენს ლორდის იმედი აქვს?

- მერი! - წამოიძახა ახალგაზრდა კაპიტანმა თავდავიწყებით, - ძვირფასო მერი!

სიტყვა არ დაამთავრებინა, როდესაც შემოსასვლელი ჭილოფი გასწიეს და ტყვეები კაი-კუმუსკენ წაიყვანეს. ორმა ქალმა უკვე იცოდა თავისი ხვედრი. მამაკაცები გარეგნული სიმშვიდით ფარავდნენ შინაგან მღელვარებას, რაც ადასტურედა მათ ზეადამიანურ ენერგიას.

როდესაც ვყელანი კაი-კუმუს წინაშე იდგნენ, მან გლენარვანს გადმოხედა და ჰკითხა:

- შენ მოკალ კარა-ტეტე?

- მე მოვკალ, - მიუგო მან.

- ხვალ, მზის ამოსვლამდე მოკვდები!

- მხოლოდ მე? - შეეკითხა გლენარვანი გულის ძგერით.

- ოჰ, ნეტამც ჩვენი ტოჰონგას სიცოცხლე ყველა თქვენზე ძვირფასი არ იყოს! - წამოიძახა კაი-კუმუმ და თვალებში მძვინვარე სინანული აესახა.

ამ დროს მაორებში რაღაც მიწევ-მოწევა დაიწყო. გლენარვანმა მიმოიხედა. ბრბომ მიიწ-მოიწია და წინ გამოატარეს ერთი მეომარი, ის მტვრით იყო დაფარული და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. კაი-კუმუ მას ინგლისურად შეეკითხა, რომ ტყვეებსაც გაეგოთ.

- ინგლისელების ბანაკიდან მოდიხარ?

- დიახ, - მიუგო მაორმა.

- ინახულე ტყვე ტოჰონგა?

- ვნახე.

- ცოცხალია?

- მომკვდარა! ინგლისელებს დაუხვრეტიათ!

- ყველანი! - დაიყვირა კაი-კუმუმ, - ხვალ განთიადზე ყველანი დაიხოცებით!

ამგვარად, ყველა ტყვეს ერთი სასჯელი ელოდა. ტყვეები ქოხში აღარ წაუყვანიათ. მაორების რაზმმა მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის იქით გააცალკევა ისინი და გარს შემოერტყა. დამარჩემებს თითქოს მივიწყებოდათ ტყვეები და მწუხარებას მისცემოდნენ.

კარა-ტეტეს სიკვდილიდან სამი სავალდებულო დღე გავიდა. განსვენებულის სულმა საბოლოოდ დატოვა იგი. დაკარძალვის წესი დაიწყო.

მისი გვამი გალავნის შუაში, მაღლობზე დაასვენეს. მდიდრულად გამოეწყოთ და მშვენიერი სელის ჭილოფით შეესუდრათ. თავი შემკული ჰქონდათ ფრთებით და მწვანე ფოთლების გვირგვინით. ზეთით დაზელილ სახეს, ხელებსა და მკერდს გახრწნის ნიშნები სრულიად არ ეტყობოდა.

კარა-ტეტეს ნათესავები და მეგობრები მიუახლოვდნენ მაღლობს და უცებ, თითქოს უჩინარი ლოტბარის ხელის დაქნევაზე, გაისმა სამგლოვიარო ზარი, ტირილი, მოთქმა და გოდება. მაორები გაბმით გაჰკიოდნენ და ასე იგლოვდნენ მიცვალებულს ერთფეროვანი საბრალობელი კილოთი.

ახლობლები თავში ხელებს იცემდნენ, ნათესავები სახეს იკაწრავდნენ, მათ სისხლი უფრო მეტი სდიოდათ, ვიდრე ცრემლი. უბედური დედაკაცები სინდისიერად ასრულედნენ ამ ველურ მოვალეობას, მაგრმ გარდაცვალებულის სულის დასამშვიდებლად როდი კმაროდა, რომ მისი რისხვა ცოცხლებს არ დასტეხოდათ თავზე. რადგან მისი გაცოცხლება აღარ შეეძლოთ, მისმა მეომრებმა მოიწადინეს, რომ საიქიოს მაინც სინანულით გაეხსენებინა ამქვეყნიური სიცოცხლე. კარა-ტეტეს ცოლი მარტო ხომ ვერ დატოვეს თავის ქმარს, უბედური ქალიც არ ისურვებს ქმრის შემდეგ სიცოცხლესო. ასეთი იყო ჩვეულება და მოვAლეობა. ასეთი მსხვერPლის მაგალითი უამრავი იყო ახალზელანდიელთა ისტორიაში.

კარა-ტეტს ცოლიც გამოცხადდა. სავსებით ახალგაზრდა იყო. გაწეწილი თმა მხრებზე დაჰფენოდა. მისი გოდება და კივილი ცას სწვდებოდა. ტირილს თან სდევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, რომლითაც ქებით იხსენიებდა განსვენებულის ქველობასა და სიჩაუქეს. ბოლოს მწუხარებით დარეტიანებული პირქევ დაემხო ამაღლებული ადგილის წინ და თავს მიწას ახლიდა. კაი-კუმუ მიუახლოვდა. უბედური ქალი ზეწამოიჭრა, მაგრამ ამ დროს თავში კეტი მოხდა და უსულოდ დაეცა მიწაზე.

გულისგამგმირავი წივილი-კივილი გაისმა ირგვლივ. ამ სანახაობით გამხეცებული მაორები მუშტების ქნევით იწევდნენ ტყვეებისაკენ, მაგრამ ჯერ ხელს არ ახლებდნენ, რადგან დაკრძალვის წესი არ დამთავრებულიყო.

კარა-ტეტეს ცხედრის გვერდით დაასვენეს მისი ცოლის გვამიც, მაგრამ გარდაცვალებულის საუკუნო ცხოვრებისათვის მხოლოდ ცოლი როდი კმაროდა, ვინ ემსახურებოდა მათ ნიუ-ატუასთან, თუ თან არ გააყოლებდნენ მონებს?!

ამისათვის ექვსი უბედური მონა დააყენს ბატონების ცხედრებთან. ომის შეუბრალებელი კანონს ისინი მონებად გადაექცია. ბელადის სიცოცხლეში საშინელ გასაჭირში იყვნენ და ნახევრად მშივრები ასრულებდნენ მძიმე სამუშაოებს. ახლა კი მაორების რწმენის კარნახით ისინიც თან უნდა გაჰყოლოდნენ ბატონებს და საუკუნოდ ეტარებინათ მონობის უღელი საიქიოშიც.

თითქოს მორჩილებით ელოდნენ თავიანთ ხვედრს. არ აკვირვებდათ ასეთი მსხვერპლშეწირვა. ხელ-ფეხი შეუბორკავი ჰქონდათ იმის ნიშნა, რომ თავის ხვედრს არ ეურჩებოდნენ. მეორეც, ასეთი სიკვდილი სწრაფი იყოდა ხანგრძლივი ტანჯვისაგან ათავისუფლებდა მათ; წამება მოელოდათ მხოლოდ იმათ, ვინც მიზეზი გახდა ამ ამბებისა. ისინი ოციოდე ნაბიჯის იქით იდგნენ და თვალს არიდედნენ ამ საზარელ სანახაობას, რომლის საშინელებაც ჯერ წინ იყო.

ექვსი მძლავრი მეომრის მიერ ექვსი კეტის დარტყმამ ექვსი მონა სიცოცხლეს გამოასალმა. მკვდრები თავიანთივე სისხლის მორეში ჩაიკეცნენ.

ეს ნიშანი იყო კაციჭამიობის დასაწყისისა. მონათა გვამები ტაბუთი არ იყო დაცული. ისინი საზოგადოების დავლას წარმოადგენდა. რაწამს მსხვერპლი გაიღეს, ადგილობრივი მცხოვრებნი - ბელადები, მოხუცდები, მებრძოლები თუ ქალები, ბავშვები და ქურუმები - მთელი ბრბო მხეცური სიმძაფრით ეცა მონების ჯერ კიდევ თბილ სხეულებს. მაშინვე დაინთო ოციოდე კოცონი მოედნის სხვადასხვა ადგილას და შემწვარი ხორცის სუნი მოედო იქაურობას.

გლნერავანსა და მის ამხანაგებს საშინელებისაგან სული უწუხდებოდათ. ცდილობდნენ, ქალებს წინ აჰფარებოდნენ, რომ მათ მაინც არ ეცქირათ ამ საზარელი სანახაობისათვის. უკვე იცოდნენ, რანაირი სიკვდილი ელოდათ ხვალ დილით მზის ამოსვლისას, და როგორი წამებით დაიწყებოდა იგი. ამ საზარელმა სანახაობამ დაამუნჯა ისინი.

მაორებმა სამგლოვიარო ცეკვა დაიწყეს, მცენარეებისაგან გამოხდილი მაგარი სასმელი აჩქარებდა მათ გაბრუებას. შეიძლებოდა თავისი ბელადის ტაბუც კი დავიწყებოდათ და გამძვინვარებით დარეოდნენ ტყვეებს, რომლებიც თავზარდაცემულნი შეჰყურებდნენ ამ საზიზღარ ღრეობას, მაგრამ საერთო გაბრუების დროს კაი-კუმუს მაინც შერჩენოდა გონება. მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში მიუშვა თავი ამ სისხლიან ორგიას. სანამ უაღრეს წერტილს მიაღწევდა იგი, რომ ბოლოს ჩამქრალიყო. მან დრო შეურჩია და ნიშანი მისცა, რათა დაკრძალვის უკანასკნელი წესი შეესრულებინათ. მყისვე ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. კარა-ტეტე და მისი ცოლი ასწიეს, ორად მოხარეს, ხელ-ფეხი მუცელზე დაუწყვეს, როგორც ზელანდიელებს სჩვევიათ. ახლა დროებით უნდა დაემარხათ, ესე იგი იმ დრომდე, სანამ მიწა ხორცს შეჭამდა და ცარიელი ძვლებიღა დარჩებოდა. საფლავისათვის არჩეული ადგილი ციხესიმაგრის გარეთ, ორი მილის მოშორებით იყო, ტბის მარჯვენა ნაპირზე, პატარა გორის თავზე, რომელსაც მაუნაგანამუ ეწოდებოდა. ორივე ცხედარი იქ უნდა წაესენებინათ. მოიტანეს ორი საკაცე. ლიანებით შეკრული ცხედრები თითქმის მჯდომარენი საკაცეებზე დაასვენეს. ოთხმა მეომარმა ასწია საკაცეები და მთელი თემი ზარითა და მოთქმით სამარისაკენ გაემართა.

დარაჯმიყენებული ტყვეები ხედავდნენ, რომ პროცესია გასცდა პირველ ზღუდეს, შემდეგ კი წივილ-კივილი და გალობა თანდათანობით მიწყდა. პროცესია თითქმის ნახევარ საათს აღარ დაუნახავთ, მაგრამ შემდეგ ისევ გამოჩნდა, მიხვეულ-მოხვეულბილიკიან გორაზე მიმავალი. შორი მანძილიდან ეს ტალღისებურად მოძრავი მსვლელობა გრძლად გაჭიმული რაზმების ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას ქმნიდა. მსვლელობა მაუნგანამუს გორის თავზე შეჩერდა, ორასიოდე მეტრის სიმაღლეზე. აქ უნდა დაესაფლავებინათ კარა-ტეტე და მისი ცოლი.

ჩვეულებრივი მომაკვდავისათვის მაორები უბრალო სამარეს გაჭრიდნენ და შემდეგ ქვა-ღორღით ამოავსებდნენ, მაგრამ მძლავრსა და უშიშარ ბელადს, რომელსაც, ალბათ, მომავალში გაღმერთება მოელოდა, თემმა ღირსეული აკლდამა მოუმზადა. მის სამარეს მესერი ჰქონდა შემოვლებული, საფლავის გარშემო კი, სადაც უნდა ჩაესვენებინათ

ცხედრები, ორი ყვითლად შეღებილი და მოხატული სვეტი იყო ამართული. ჭირისუფლებს არ დავიწყებოდათ, რომ მიცვალებულების სულები იმავე საჭმლით იკვებებიან, რომლითაც მათი სხეული სიცოცხლეში. ამის გამო მესერშემოვლებულ სასაფლაოზე მოეტანათ საჭმელი, განსვენებულის იარაღი და ტანისამოსი.

აკლდამა საგულდაგულოდ იყო ამოყვანილი. ცოლ-ქმარი წყვილად ჩაასვენეს, ლოცვები წაუკითხეს, იტირეს, ივიშვიშეს, ბოლოს მიწით ამოავსეს და ბალახით დაფარეს. პროცესია მდუმარედ დაეშვა მაუნგანამუს გორიდა, რომელზედაც ამერიდან არავის შეეძლო ასვლა სიკვდილის შიშით, რადგან ამ გორასაც ტაბუ დაედო, ისევე როგორც ტანგარიროს გორას, სადაც განისვენებდა 1846 წლის მიწისძვრის დროს დაღუპული ბელადის ნეშტი.

თავი XIII

უკანასკნელი ჟამი

სწორედ იმ წუთს, როდესაც მზე ტბის გაღმა ტუჰაჰუასა და პუკეტაპუს მწვერვალებს ეფარებოდა, ტყვეები ისევ ქოხში შეამწყვდიეს. მხოლოდ მაშინ უნდა გამოეყვანათ, როდესაც ვახიტირენჯის მწვერვალი განთიადის პირველი სხვიებით მოვარაყდებოდა.

ერთი ღამეღა დარჩათ სიკვდილის შესახვედრად. მიუხედავად იმისა, რომ ნაღვლიან გუნებაზე და საშინელების მოლოდინში იყვნენ, მაინც ყველა მიუჯდა ვახშამს.

- ძალ-ღონე მოვიკრიბოთ, რომ სიკვდილს პირდაპირ თვალებში შევხედთ, - თქვა გლენარვანმა.

ვახშმის შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ. მერი გრანტი და ელენი ქოხის კუთხეში ჭილოფზე მიწვნენ. ძილი უდიდესი მწუხარების დროსაც კი მადლიანია. როდესაც მოქანცულ და მოთენთილ ქალებს დიდი ხნის უძილობის შემდეგ ხელიხეგადახვეულებს მკვდრებივით მიეძინათ, გლენარვანმა განზე გაიყვანა ამხანაგები და უთხრა:

- ჩვენ მხოლოდ სიკვდილი კი არ გველის, წამებას და ყოველგვარ შეურაცხყოფაას უნდა ველოდოთ... და ეს ორი ქალი... - გლენარვანს ხმა ჩაუწყდა მღელვარებისაგან. ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ განაგრძო, - ჯონ, შენ მერის დაჰპირდი იმას, რასაც მე ელენს... როგორ მოიქცევი?

- დაპირებას შევასრულებ, ვფიქრობ, ჩემი მოვალეობაა, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- კი მაგრამ, იარაღი რომ არა გვაქვს, ჯონ?

- აი, იარაღი, - მიუგო ჯონმა და ხანჯალი დაანახვა, - ეს ხანჯალი კარა-ტეტეს გამოვგლიჯე ხელიდან, როდესაც თქვენს ფეხებთან დაეცა. ვინც ჩვენ შორის ბოლოს დარჩება, იმან შეასრულოს თქვენი მეუღლისა და მერი გრანტის სურვილი!

Aამ სიტყვების შემდეგ ქოხში მდუმარება ჩამოვარდა, რომელიც ბოლოს მაორმა დაარღვია:

- მეგობრებო, მაგ უკიდურეს საშუალებას მხოლოდ უკანასკნელ წუთს უნდა მიმართოთ... გამოუსწორებელი საქციელის მომხრე არა ვარ.

- ჩვენ ხომ თვითმკვლელობაზე არ ვფიქრობთ, - მიუგო გლენარვანმა.

- როგორი სიკვდილიც უნდა გვერგოს, მის შეხვედრას შევძლებთ. ჩვენ რომ მარტონი ვყოფილიყავით, აქამდის ოცჯერ შემოგძახებდით, მეგობრებო, ვცადოთ გაქცევა! შევებრძოლოთ ამ ველურებს-მეთქი! ... მაგრამ ქალები... ქალები.

ამ დროს ჯონმა ჭილოფი ასწია და ოცდახუთი მეომარი დაითვალა, მათ ქოხს რომ დარაჯობდა. მათ გაეჩაღებინათ დიდი კოცონი, რომელიც თვალბედით შუქს ჰფენდა ირგვლივ. ზოგი მათგანი კოცონის გვერდით წამოწოლილიყო, სხვანი ფეხზე იდგნენ და მათი უძრავი ლანდები მკაფიოდ, შავ ლაქებად ისახებოდა კაშკაშა ალზე. თითოეული მათგანი მალიმალ იხედებოდა ქოხისაკენ, რომლის მეთვალყურეობაც ჰქონდა დავალებული.

ნათქვამია: ტუსაღს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს გაქცევისა, ვიდრე ციხის ყარაულს მისთვის ხელის შეშლისაო. მათლაც, ტუსაღი უფრო დაინტერესებულია თავისი

მდგომარეობით, ვიდრე მისი ყარაული. შესაძლოა, პირველს გადაავიწყდეს, რომ ყარაულია, მეორე კი ვერასოდეს დაივიწყებს, რომ ტუსაღია. ბუნებრივიცაა, რომ პატიმარი უფრო ხშირად ფიქრობს გაქცევაზე, ვიდრე ციხის ყარაული მისი გაქცევის ხელის შეშლაზე. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ციხეებიდან გაქცევა ხშირია, ზოგჯერ გასაოცარიც, მაგრამ აქ დარაჯებად დაქირავებული ყარაულები როდი იდგნენ. მათ დარაჯობდა ის ხალხი, რომელსაც შურისძიება სწყუროდა.

ტყვეებს ხელ-ფახი არ გაუკრეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქოხიდან არსაით იყო გასასვლელი იმ ბილიკის გარდა, სადაც ოცდახუთი მეომარი დარაჯობდა. ქოხი მიდგმული იყო ფრიალო კლდეზე, რომლითაც თავდებოდა სიმაგრე. მას მხოლოდ ერთი შესასვლელი ჰქონდა. ეს იყო ვიწრო ბილიკი, რომელიც აერთებდა მას სიმაგრის მოედანთან. დანარჩენი ორი კედელი ამოყვანილი ჰქონდათ ფრიალო ნაპრალის პირს, უფსკრულის თავზე, რომლის სიღრმეც ოცდაათ მეტრს აღემატებოდა. აქედან ჩაშვება შეუძლებელი იყო. წარმოუდგენელი იყო ზურგიდან გაქცევაც, რადგან იქ უშველებელი ციცაბო კლდე ამართულიყო. ერთადერთი გასაქცევი გზა ვიწრო ბილიკით ციხის მოედნისაკენ გამოდიოდა, რომელსაც მეომრები დარაჯობდნენ.

ამ მწუხარებით აღსავსე ღამეში საათი საათს მაინც მისდევდა. მთა წყვდიადში იყო გახვეული. ცაზე არც მთვარე ჩანდა, არც ვარსკვლავები. ფერდობებზე ზოგჯერ ქარი სისინებდა და მის ქროლაზე ქოხის ბოძებს ჭრაჭუნი გაჰქონდა. ქარის დაბერვაზე მაორების კოცონი აპრიალდებოდა. მისი ალი ქოხის შიგნითა კედლებამდე აღწევდა და ერთი წამით აშუქებდა ტყვეების ჯგუფს.

უბედური ადამიანები მწუხარებაში ჩაძირულიყვნენ - ქოხში მკვდართა დუმილი გამეფებულიყო. ალბათ, დილის ოთხი საათი იქნებოდა, როდსაც მაიორის ყურადღება რაღაც ხმაურმა მიიპყრო, რომელიც უკანა კედლიდან ისმოდა. მაკ-ნაბი ჯერ უგულისყუროდ მოეკიდა, მაგრამ ხმაური გრძელდებოდა. ყური დაუგდო. ისე მოეჩვენა, თითქოს მიწას ფხოჭნის ან თხრის ვინემაო. მაშინ გლენარვანისა და ჯონ მანგლსისაკენ მიიწია, უკანა კედელთან მიიყვანა და უთხრა:

- ყური დაუგდეთ, - და ანიშნა, რომ მიწაზე ყური დაედოთ.

ხმაური თანდათან უფრო ცხადად ისმოდა, თითქოს რაღაც წვეტიანი საგანი ეხეთქება კენჭებს და მიწა იმზღვლევაო. ვიღაც თუ რაღაც თხრიდა მიწას.

- მხეცი თუ ფხოჭნის, - თქვა ჯონ მანგლსმა.

გლენარვანმა უცებ ხელი შემოიკრა შუბლში:

- ვინ იცის, იქნებ ადამიანია?!

- მხეცია თუ ადამიანი, უნდა შევიტყოთ, - მიუგო მაიორმა.

ვილსონი და ოლბინეტი მიემატნენ ამხანაგებს და ყველამ დაიწყო ამ მხარეს მიწის ჩიჩქნა კედლის ძირში. ჯონი თავისი ხანჯლით ჩიჩქნიდა, დანარჩენები - იქვე ამოთხრილი ქვებით. მიულდრედი მიწაზე წამოწოლილიყო შესასვლელთან, ჭილოფი ოდნავ აეწია და მოდარაჯე მაორებს უთვალთვალებდა. ისინი უძრავა იდგნენ კოცონის გარშემო, ეტყობოდათ, ეჭვი არაფერში ეპარებოდათ.

მიწა რბილი და ფხვიერი გამოდგა და ხელსაწყოს უქონლადაც სწრაფად მუშაობდნენ. ახლა უკვე ეჭვი აღარ ჰქონდათ, რომ გარედან ვიღაც კაცი ძირს უთხრიდა ქოხს. ტყვეები გაორმაგებული ძალით ეკვეთნენ მიწას. თითები დასისხლიანებული ჰქონდათ, მაგრამ გაშმაგებით განაგრძობდნენ თახრას. ნახევარი საათის შემდეგ ერთი მეტრის სიღრმეს ჩააღწიეს, უკვე გრძნობდნენ, ორივე მხრის მთხრელებს თხელი ფენაღა აშორებდათ ერთმანეთს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მაიორმა უცებ ხელი უკან გამოაქანა და კინაღამ შეჰკივლა, მან ხელი გაიჭრა რაღაც იარაღის პირზე, მერე თავისი ხანჯლით გვერდზე მისწია ამოყოფილი ხანჯლის წვერი და ვიღაცის მაჯას სტაცა ხელი. ქალის ან ბავშვის ხელს ჰგავდა. ევრპელი უნდა ყოფილიყო. არც ერთმა მხარემ კრინტი არ დაძრა, ალბათ, ორივემ სიჩუმე არჩია.

- რობერტია! - ჩაილაპარაკა გლენარვანმა.

თუმცა ეს სიტყვა ჩუმად თქვა, მაგრამ მერის ამ ხმაზე გამოეღვიძა. მან გლენარვანთან მიირბინა და ორმოდან გამოშვერილ, მიწით მოთხვრილ ხელს დაეკონა.

- შენა ხარ, შენ?! - ჩურჩულებდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც არ ცდებოდა, - შენა ხარ, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო?

- მე ვარ, დაიკო, - მიუგო რობერტმა, - მოვედი, რომ ყვლანი გიხსნათ, მაგრამ ფრთხილად!...

- რა გმირია! - თქვა გლენარვანმა.

- თვალიო ადევნეთ მაორებს! - უბრძანა რობერტმა.

მიულრედი, რომელსაც ერთი წუთით მიეტოვებინა თავისი მოვალეობა, ისევ საზღვერავ ადგილს დაუბრუნდა.

- ყველაფერი კარგად მიდის, - უთხრა მან, - ოთხი მემარიღა დგას ფეხზე, დანარჩენებს დაუძინიათ.

- გაბედულად! - თქვა ვილსონმა.

ერთ წუთში გააგანივრეს ხვრელი. რობერტი თავისი დის მკლავებში მოექცა, მერე ელენმა ჩაიკრა გულში. რობერტ წელზე შემოხვეული ჰქონდა გრძელი სელი თოკი.

- ჩემო ბიჭიკო! - ჩურჩულებდა მერი, - მაშ, ველურებმა არ მოგკლეს?!

- არა... - მიუგო რობერტმა, - არ ვიცი, როგორ მოხდა.... არეულობის დროს მივიმალე, გალავნიდა გავძვერი. ორი დღე ბუჩქებში ვიმალებოდი, ღამღამობით დავეხეტებოდი და თქვენი ნახვა მინდოდა. სანამ ისინი ბელადის დამარხვას უნდებოდნენ, მოვათვალიერე ეს მხარე, სადაც თქვენი საპატიმროა. ერთ ცარიელ ქოხში ვიპოვე ეს თოკი და ხანჯალი. ჯაგებსა და ბალახებს ვეჭიდებოდი და ისე ამოვფოფხდი. შემთხვვით წავადექ გამოქვაბულის ძირს, იმ კლდესში, რომელზეც ეს ქოხი დგას. იქიდან სულ რამდენიმე ფუტი ფხვიერი მიწა მქონდა გამოსათხრელი და აი, უკვე თქვენთან გავჩნდი!

რობერტი უსიტყვოდ გადაკოცნეს.

- გავიქცეთ დროზე! - გადაწყვეტით მიმართა რობერტმა.

- პაგანელი ძირს არის? - შეეკითხა გლენარვანი.

- პაგანელი? - კითხვითვე უპასუხა რობერტმა.

- ჰო, პაგანელი დაბლა გველის?

- არა, სერ, როგორ? განა პაგანელი აქ არ არის?

- არა, რობერტ! - მიუგო მერიმ.

- როგორ? მაშ, არც შენ გინახავს? - შეეკითხა გლენარვანი, - ერთმანეთს არ შეხვედრიხართ? განა ერთად არ გაიქეცით?

- არა, - მიუგო რობერტმა, რომელსაც გული დასწყდა პაგანელის დაკარგვის გამო.

- გავიქცეთ! - თქვა მაიორმა, - წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. პაგანელი სადაც არ უნდა იყოს, ჩვენზე უარეს მდგომარეობაში არ იქნება. გავიქცეთ!

მართლაც, ყოველი წუთი ძვირფასი იყო - უნდა გაპარულიყვნენ. ეს კი არც ისე ადვილი საქმე იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ციცაბო კლდეს, რომლის სიღრმეც ხევამდე ოცი ფუტი მაინც იქნებოდა, იმის ქვევით კი ჯაგნარი შეუწყობდათ ხელს ხევის ძირამდე ჩასვლაში. მთის გადაღმა კი გაივაკებდნენ. მაორებს თუნდაც შეემჩნიათ მათი გაპარვა, მდევარს შორი გზით უნდა მოევლო, რადგანაც ხვრელის არსებობა არ იცოდნენ.

სათითაოდ ჩაძვრნენ ხვრელში და გამოქვაბულში ამოყვეს თავი. ჯონ მანგლსმა ხვრელს ჭილოფი წააფარა. ამ გამოქვაბულიდან კლდეზე ჩასვლა ბუჩქებამდე უთოკოდ არ შეიძლებოდა. რობერტის მოტანილი თოკი გაშალეს და ძირს ჩაუშვეს, ცალი ბოლო კლდეზე გამოაბეს. სანამ ჩაეშვებოდა ვინმე, ჯონ მანგლსმა თოკი გასინჯა და თქვა:

- ეს თოკი მხოლოდ ორ-ორ კაცს გაუძლებს, ამიტომ რიგრიგობით მოგვიხდება ჩაშვება. ჯერ ლორდი და ლედი გლენარვანი ჩაეშვებიან, ჯაგებს რომ მიაღწევენ, სამჯერ შეატოკებენ თოკს და ახლა სხვები ჩაეშვებიან.

- ჯერ მე ჩავალ! - თქვა რობერტმა, - დაბლა ბარდებში ერთი ჩაღრმავებული ადგილი ვიცი, წინ ჩასულები იქ დავუცდით დანარჩენებს.

- ჩაეშვი, ჩემო ბიჭუნი! - უთხრა გლენარვანმა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

რობერტი ხვრელში გაქრა. სამი წუთის შემდეგ თოკი სამჯერ შეტოკდა, ალბათ, რობერტმა მშვიდობით მიაღწია ბარდებს. მაშინვე გლენარვანი და ელენი ჩაეშვნენ. ჯერ ისევ ბნელოდა, თუმცა მთის წვეროები უკვე იცრიცებოდა. დილის სუსხმა გაახალისა ახალგაზრდა ქალი. ჯერ გლენარვანი დაეშვა თოკით, მერე ელენი. ორივემ კლდის ქიმს მიაღწიეს. აქედან გლენარვანი ცალ ხელს ელენს აშველებდა. ჯაგებსა და ბალახებს ეჭიდებოდნენ, ფეხით სინჯავდნენ ნიადაგს და ფრთხილად დგამდნენ. რამდენიმე ფრინველიც კი წამოაფრინეს ბუჩქებიდან ჩხავ-ჩხავით, გაქცეულები შეკრთნენ. ასევე კრთებოდნენ, როდესაც ფეხქვეშ მიწა დაუგორდებოდათ. ნახევრამდე ჩასულები იყვნენ, როდესაც გამოქვაბულიდან ჯონ მანგლსის ჩურჩლი მოისმა:

- გაჩერდით!

გლენარვანი ცალი ხელით ჯაგს ეჭიდებოდა, მეორეთი ელენს იმაგრებდა, შეჩერდი და სულ ძლივს იბრუნებდა. განგაში ვილსონმა ატეხა. მას ქოხის გარედან ხმაური მოესმა, აფოფხდა ქოხში, ჭილოფი ოდნავ გადასწია და მაორები დაზვერა. ერთი მეომარი რაღაც უჩვეულო ხმაურზე წამომდგარიყო და ქოხს მოახლოებოდა. ორიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა და თავდახრილი ყურს უგდებდა ქოხის მხარეს, თან დაშტერებით უცქეროდა. გავიდა ერთი წუთი, რომელიც ვილსონს საუკუნედ მოეჩვენა. მეომართა თავი გაიქნია, ამხანაგებს დაუბრუნდა და ცეცხლს შეშა დააყარა. ცეცხლი აპრიალდა. მის ალზე გაშუქებულ მეომარს შეშფოთება არ ემჩნეოდა. მან შეხედა ცას, რომელსაც რიჟრაჟი ეპარებოდა, მერე ცეცხლის პირას გაიშოტა და გათოშილი სხეული მიუფიცხა.

- ყველაფერი რიგზეა, - ჩაილაპარაკა ვილსონმა.

ჯონ მანგლსმა გლენარვანს ანიშნა, რომ ჩასვლა განეგრძო. გლენარვანი კლდის ქიმზე გაჩერდა და ელენთან ერთად ვიწრო ბილიკს დაჰყვა რობერტის ნაჩვენები ჩაღრმავებული ადგილისაკენ.

თოკი სამჯერ შეტოკდა. ახლა ჯონ მანგსლი ჩაეშვა თოკზე, მას მიჰყვა მერი გრანტი. მშვიდობიანდ ჩავიდნენ და რობერტის ნაჩვენებ ადგილას გლენარვანსა და ელენს შეუერთდნენ.

ხუთი წუთის შემდეგ ყველამ მშვიდობიანად დააღწია თავი ქოხს. დროებით თავშესაფარიც მიატოვეს და მთაზე მიმავალ ვიწრო ბილიკს შეჰყვნენ, რომ რაც შეიძლება შორს გარიდებოდნენ ტბის დასახლებულ მიდამოს. სწრაფად მიდიოდნენ, ცდილობდნენ, ისეთ ადგილებს მორიდებოდნენ, სადაც შეეძლოთ მათი შემჩნევა. აჩრდილებივით მიძვრებოდნენ ბუჩქებშუა. საით მიდიოდნენ? თვითონაც არ იცოდნენ, სამაგიეროდ, თავისუფალნი იყვნენ.

ხუთი საათი არ იქნებოდა, როდესაც ირიჟრჟა, ღრუბლების თავები მტრედისფრად შეიღება. ნისლდახვეული მწვერვალები თანდათან გამოჩნდა დილის ანაროთქლიდან. დღის მანათობელი ამოსვლას ლამობდა და ამ მზეს სიკვდილის ნაცვლად გაქცევის საშუალება უნდა მიეცა მათთვის. მზის ამოსვლამდე იმდენად შორს უნდა მოესწროთ წასვლა, რომ ველურებისათვის გზა-კვალი აებნიათ, მაგრამ სწრაფად ვერ მიდიოდნენ ფრიალო ბილიკებზე.

ელენი და მერი გლენარვანსა და ჯონ მანგლსს ხელიხელჩაკიდებული მიჰყავდათ. თავისი მოხერხებით კმაყოფილი და გახარებული რობერტი გამარჯვებული მიაბიჯებდა ყველაზე წინ, უკან კი მეზღვაურები მიჰყვებოდნენ. გათენებამდე ნახევარი საათი დარჩენილიყო. ეს ნახევარი საათი ალალბედზე იარეს. პაგანელი რომ თან ჰყოლოდათ, ის წაუძღვებოდათ, მაგრამ მისი აქ არყოფნა სიხარულს უჩრდილავდა მათ. ცდილობდნენ, აღმოსავლეთისაკენ ევლოთ.

მალე მიაღწიეს ხუთი ფუტის სიმაღლეს, ტაუპოს ტბის თავზე. დილის სუსხი მატულობდა ამ სიმაღლეზე. გაურკვეველი მოყვანილობის ბუჩქები და გორები ერთიმეორეზე შედგმულებივით შესდევდა ზევით. გლენარვანს უნდოდა, რაც შეიძლებოდა შორს შეჭრილიყვნენ მთების სიღრმეში. მერე კი როგორმე მოძებნიდნენ მთების ლაბირინთიდან თავის დასაღწევ გზას.

მზემ წვერი ამოყო. მისი სხვივები პირდაპირ თვალებში ეცათ გაქცეულებს. უცებ საშინელი ღრიანცელი და ყაყანი შემოესმათ. ხმაური ციხის მხრიდან ისმოდა, რომლის მდებარეობაც ახლა გლენარვანმა ზუსტად არ იცოდა. ძირს ხეობას სქელი ნისლი ფარავდა. ეჭვი აღარ იყო, რომ მათი გაქცევა გამომჟღავნდა. მიაგნეს თუ არა მათ კვალს? ამ დროს ქვემოთ ჩაწოლილი ნისლი დაიძრა, ნოტიო ჰაერი სქელ ბურუსად შემოეფინა მათ და როდესაც გაიფანტა, ძირს, ასიოდე მეტრის სიღრმეზე, დაინახეს გააფთრებული მაორების ბრბო. ისინიც შეამჩნიეს მაორებმა. ატყდა წივილ-კივილი და ღრიანცელი, რომელსაც ძალღლების ყეფა უერთდებოდა. რადგანაც ციხის გალავნიდან დადევნება ვერ მოახერხეს, მთელ ბრბო გალავნიდან გამოვარდა და უახლოესი ბილიკებით დაედევნა გაქცეულებს, რომლებიც მათ შურისძიებას გაურბოდნენ.

თავი XIV

ტაბუს მთა

მთის წვერამდე ოცდაათიოდე მეტრიღა დარჩენოდათ. მათთვის სახარბიელო იყო იქამდე მიეღწიათ და მთის გადაღმა ფერდობებზე მიმალულიყვნენ. იმედი ჰქონდათ, რომელიმე ქედიდან მოახერხებდნენ გადასვლას მეორე ქედზე და ასე გაჰყვებოდნენ გზას, რადგანაც ეს იყო მთაგრეხილი. პაგანელი რომ გვერდით ყოფილიყო, ადვილად გაიგნებდნენ გზას.

გაქცეულები სწრაფად იწვევდნენ ზევით. მდევრის ღრიანცელი თანდათან ახლოვდებოდა. აი, უკვე მიაღწია მთის ძირას.

- აბა ვნახოთ, მეგობრებო! აბა, წინ! - ამხნევებდა გლენარვანმი ამხანაგებს.

ხუთ წუთში მთის ქედს მოექცნენ, მიმოიხედს, რომ თავიანთი მდგომარეობა გამოერკვიათ და ისეთი გეზი აეღოთ, რომელიც გზა-კვალს აუბნევდა მდევრებს. ქედიდან მოჩანდა მთელი გზა, რომელიც დასავლეთისაკენ იყო გადაჭიმული და მთებით გარშემორტყმული: ჩრდილოეთით - პირონგიას მწვერვალი, სამხრეთით - ტონგარიროს ცეცხლისმფრქვეველი კრატერი, აღმოსავლეთით - მთაგრეხილების მთელი წყება, რომლებიც განუწყვეტლივ გასდევდა იკა-ნა-მაორის მთელ კუნძულს კუკის სრუტიდან. აღმოსავლეთის უბემდე. სწორედ აქეთ უნდა აეღოთ გეზი, გადაღმა ფერდობზე დაშვებულიყვნენ, ვიწრო ხეობაში ჩასულიყვნენ და მას გაჰყოლოდნენ, მაგრამ იქით მხარეს გასასვლელს კი დაინახავდნენ?

გლენარვანმა მიდამოს შეშფოთებით მოავლო თვალი. მზის სხივებს ნისლი გაეფანტა. როდესაც მთის ქედს მიაღწიეს, მდევარი ხუთასი ფუტითღა იქნებოდა მათგან დაშორებული. ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლებოდა. დაღლილობის მიუხედავად, მაინც უნდა გასცლოდნენ მათ, რომ ყოველი მხრიდან ალყა არ შემოერტყათ და შუაში არ მოემწყვდიათ.

- უნდა დავეშვათ! - დაიძახა გლენარვანმა, - დავეშვათ, სანამ გზას მოგვიჭრიდნენ!

ქანცგალეული ქალები ძლივძლივობით წამოდგნენ, მაგრმ მაკ-ნაბსმა შეაჩერა:

- უსარგებლოა, გლენარვან, აბა გადახედეთ!

მართლაც, მაორები ბრბოში აუწერელი არევ-დარევა მოხდა. დევნა შეაჩერეს. მთის ძირას მოზღვავებული მაორები შეჩერდნენ, თითქოს უბრძანა ვინმემ ან მიუვალ კლდეს წაადგნენო. ყვლას თავი მოეყარა მთის ძირას, ღრიალებდნენ, მუშტებს იქნევდნენ, თოფებსა და ცულებს ატრიალებდნენ, მაგრამ ერთ ნაბიჯსაც ვეღარ დგამდნენ წინ. თითქმის მიწაზე გართხმული მათი ძაღლებიც კი გააფთრებით ყეფდნენ და ღმუოდნენ. რა მოხდა? რა უხილავმა ძალამ შეაჩერა ისინი?! გამოქცეულები დასცქეროდნენ მდევარს და ვერაფერი გაეგოთ. თან შიშობდნენ, რომ მოჯადოებული კაი-კუმუს თემი ისევ გონს არ მოსულიყო. უცებ ჯონ მანგლსმა დაიყვირა. ყველამ მისკენ იბრუნა პირი. ჯონმა ხელი გაუშვირა პატარა სიმაგრისაკენ, მთის წვერზე.

- კარა-ტეტეს საფლავი! - შესძახა რობერტმა.

- ნუთუ მართლა, რობერტ? - შეეკითხა გლენარვანი.

- დიახ, მისი საფლავია, მე ვიცი...

რობერტი არ შემცდარა.

ზევით, ოცი მეტრის მოშორებით, ზედ მთის წვერზე ახალშეღებილი ბოძებით შემოეღობათ ადგილი. გნელარვანმა იცნო ახალზელანდიელი ბელადის სამარე. გამოქცეულები სავსებით შემთხვევით მოხვდნენ მაუნგანამუს მწვერვალზე. გლენარვანი და მისი თანამგზავრები მთის თავზე მოექცნენ, შემოღობილის გვერდით. გლენარვანმა დააპირა შესვლა, მაგრამ სწრაფად უკანვე გამობრუნდა.

- იქ მაორი ყოფილა! - ჩაილაპარაკა მან.

- მაორი ამ საფლავზე?!

- დიახ, მაკ-ნაბს.

- სულერთია, მაინც შევიდეთ!

გლენარვანი, მაიორი, რობერტი და ჯონ მანგლსი მოღობილში შევიდნენ. იქ მართლაც ფეხმორთხმული იჯდა ერთი მაორი. მოსასხამში გამოხვეულიყო და სახე ვერ გაარჩიეს, რადგან აკლდამაში საკმაოდ ბნელოდა. სრულიად მშვიდი ადამიანი გამოდგა, იჯდა და საუზმობდა. გლენარვანს უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ უცნობმა თავაზინი და ნამდვილი ინგლისური კილოთი დაასწრო:

- მობრძანდით, ჩემო ძვირფასებო, საუზმე თქვენც გელით!

ეს იყო პაგანელი. ყველანი გადაეხვივნენ საყვარელ გეოგრაფს. პაგანელი ნაპოვნია! მაშ მათი გადარჩენაც უზრუნველყოფილია! ყველას უნდოდა გამოეკითხა პაგანელისათვის და შეეტყო, როგორ მოხვდა მაუინგანამუს მწვერვალზე, მაგრამ გლენარვანის სიტყვამ შეაჩერა ეს უდროო ცნობისმოყვარეობა.

- ველურები?! - შეახსენა გლენარვანმა.

- ველურები? - მხრების აწევით გაიმეორა პაგანელმა.

- განა არ შეუძლიათ, რომ აქ....

- ვის, იმათ? ამ რეგვენებს?! აბა, მომყევით და გადახედეთ!

ყველანი პაგანელს გაჰყვნენ. ზელანდიელები იქვე იდგნენ, მთის ძირში, ყაყანებდნენ და ღრიანცელი გაჰქონდათ.

- იყვირეთ, იღმუვლეთ, ფილტვები დაიხეთქეთ, თქვე უგუნურებო, თქვენა! - გადასძახა პაგანელმა, - ნეტავ მაჩვენა, როგორ გაბედავთ აქ ამობობღებას?

- ვითომ რატომაო? - შეეკითხა გლენარვანი.

- იმიტომ, რომ აქ მარხია მათი ბელადი! იმიტომ, რომ ეს სამარე ჩვენი საფარია, იმიტომ, რომ ამ მთაზე ტაბუა დადებული!

- ტაბუ?!

- დიახ, მეგობრებო! სწორედ ამიტომ ვეშურებოდი ამ ადგილს, როგორც ისეთ თავშესაფარს, როგორიც საშუალო საუკუნეებშიაც ჰქონდათ ხოლმე განწირულებს.

მართლაც, ამ მთაზე ტაბუ იყო დადებული და ცრუმორწმუნე მაორები მას ვერ შეიუბედავდნენ, ვერ წაბილწავდნენ! მაგრამ ეს მთა მაინც ვერ იხსნიდა გამოქცეულებს, თუმცა დროებით თავშესაფრად კი კარგი იყო და უნდა ესარგებლათ.

განცდილით აფორიაქებული გლენრვანი ხმას არ იღებდა, მაიორი კი სიამოვნების ნიშნად თავს იქნევდა.

- ახლა კი, მეგობრებო, თუ მათ უნდათ, რომ ჩვენი მოთმინება გამოსცადონ, მოტყუვდებიან! - დაიწყო პაგანელმა, - ორი დღეც არ გაივლის, რომ ჩვენ სამშვიდობოს ვიქნებით.

- გავიქცევით! - ჩაურთო გლენარვანმა, - მაგრამ როგორ?

- ჯერ არ ვიცი, მაგრმ გავიქცევით კი! - მიუგო პაგანელმა.

ახლა კი ყველას მოესურვა პაგანელის თავგადასავლის გაგება, მაგრამ უცნაური რამ მოხდა - ყბედი პაგანელი სიტყვაძუნწი გამხდარიყო და თითო სიტყვას თითქმის ძალად გლეჯდნენ პირიდან. ასე ხალისიანად მოლაპარაკე მეცნიერი ახლა მეგობრების შეკითხვებზე გადაკრულ პასუხს იძლეოდა.

"პაგანელი ნამდვილად შეგვიცვალეს! - ფიქრობდა მაიორი.

მართლაც, მეცნიერი უცნაურად იქცეოდა. რც კი შეეძლო, მაგრად ეხვეოდა მოსასხამში, თითქოს ამხანაგების შეხედვისაც ერიდებოდა. როდესაც რამეს ეკითხებოდნენ თავგადასავლის შესახებ, დარცხვენით დუმდა. ყველამ შეატყო ეს და თავაზიანობის გულისათვის ისე ეჭირათ თავი, ვითომც ვერ ამჩნევდნენ მის საქციელს, მაგრამ როდესაც პაგანელი საკუთარ თავგადასავალს გადასცდებოდა ხოლმე, ისევ ისეთივე სიცოცხლით აღსავსე ხდებოდა, როგორც ყოველთვის. ცოტა ხნის შემდეგ პაგანელმა თავგადასავლის ერთი ნაწილის გაზიარება გადაწყვიტა და უამბო კიდეც ამხანაგებს:

- კარა-ტეტეს მოკვლის შემდეგ რობერტის მსგავსად მეც არეულობით ვისარგებლე და გალავნიდან გამოვიქეცი. მერე წავაწყდი მაორების ბანაკს. ამ ველურების უფროსი მაღალ-მაღალი კაცი იყო, გონიერი სახე ჰქონდა. მთელ ამ თემში პირველთაგანი იქნებოდა. ინგლისურს კარგად ლაპარაკობდა. მივესალმე და მათებურად ცხვირი ცხვირზე გავუხახუნე, მაგრამ არ ვიცოდი რა მეფიქრა: ამ ბელადის ტყვე ვიყავი თუ თავისუფალი ადამიანი, მაგრამ შევატყე, რომ ბელადი ყველგან ფეხდაფეხ დამდევდა და მივხვდი საქმის ვითარებას. სახელად ხიხი ჰქვიოდა, ეს იგი "მზის სხივი". ძალიან კეთილი გამოდგა. როგორც შევატყვე, ჩემმა სათვალემ და ჭოგრმა დიდი წარმოდგენა შეუქმნა ჩემზე და გვერდიდან აღარ მშორდებოდა. არც სიკეთე შურდა ჩემთვის, არც - თოკი, განსაკუთრებით ღამღამობით. ასეთ მდგომარეობაში გავატარე სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში კარგად მექცეოდნენ თუ ცუდად? "ჰოც და არაც", - მიუგო მან მეგობრებს, მხოლოდ დაწვრილებით ვერას გიამბობთ. ერთი სიტყვით, ტყვედ ვიყავი და ჩემი მდგომრეობაც თქვენსას არაფრით სჯობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ თქვენ აუცილებელი სიკვდილი გელოდათ. საბედნიეროდ, ერთ ღამეს მოვახერხე თოკების გადაღრღნა და გამოპარვა. მე შორიდან თვალს ვადევნებდი კარა-ტეტეს დასაფლავებას. ვიცოდი, რომ მაუნგანუმუს მწვერვალზე დაასაფლავებს და ეს მთა მას შემდეგ შეუვალი გახდა, რადგან ტაბუ დაადეს. ამიტომ თავშესაფრად სწორედ ეს სასაფლაო ავირჩიე, მით უმეტეს, რომ არ მინდოდა მიმეტოვებინა ეს კუთხე, სადაც თქვენ ტყვედ მეგულებოდით. კარა-ტეტეს სამარეს წუხელ მოვაღწიე.

ასეთი იყო პაგანელის ნაამბობი. მაორების ბელადთან ყოფნის დროს რა განიცადა, რა ჭირი გამოიარა თუ ლხინი, არავინ იცოდა. ყველაფერი უამბო პაგანელმა თუ დამალა რამე? ესეც არის რომ მისი უჩვეულო დარცხვენა ადასტურებდა, რომ რაღაც იყო მის თავს. ასეა თუ ისე, ყველამ მიულოცა დაბრუნება და შემდეგ გადავიდნენ საერთო მდგომარეობის აწონ-დაწონვაზე. მდგომარეობა კი ძალიან სერიოზული იყო. თუნდაც მდევარი ვერ ამოსულიყო მაუნგანამუს მთაზე, მაორებს შეეძლოთ ალყა შემოერტყათ და შიმშილით დაემორჩილებინათ ისინი. ამას დრო სჭირდებოდა, მაორები კი დიდი მოთმინების მქონე ხალხია.

გლენარვანი ნათლად გრძნობდა ამ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ხელშემწყობ გარემოებას ელოდა; ან თვითონ უნდა შეექმნა საჭირო პირობები. თავდაპირველად მაუნგანამუს დათვალიერება მოიწადინა, რადგან ეს დროებითი თავშესაფარი იყო, რომლის დაცვა არ დასჭირდებოდათ, მაგრამ თავი ხომ უნდა დაეღწიათ აქედან.

გლენარვანმა, მაიორმა, ჯონმა, რობერტმა და პაგანელმა გულდასმით დაათვალიერეს მთა. თვალი გაადევნეს ბილიკების მიმართულებასა და დაქანებას. ის ქედი, რომელიც მაუნგანამუს აერთებდა ვახიტის უღელტეხილთან, ველისაკენ მიიმართებოდა და თანდათან დაბლდებოდა. თუ გაქცევას მოახერხებდნენ, ამ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქედს უნდა გაჰყოლოდნენ. ეს იყო მათთვის ერთადერთი გზა. შეუმჩნევლად რომ მოეხერხებინათ ამ ქედზე გავლა ღამის სიბნელეში, მაშინ შეიძლებოდა ღრმა ველზე ჩაეღწიათ და იქ გზა-კვალი აებნიათ მაორებისათვის, მაგრამ ეს გზა მრავალ საფრთხეს შეიცავდა. ქედის ქვევითა ნაწილში მაორებს შეეძლოთ თოფები დაეშინათ. ორი მხრიდან ატეხილი სროლა გზას შეუკრავდა მათ. როდესაც ამ სახიფათო ადგილს მიაღწიეს, მართლაც, მაორებმა სეტყვასავით დააყარეს ტყვია, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ქარისაგან მოტანილი რამდენიმე მათგანი მათ ფეხებთან დაეცა. ტყვიები დაბეჭდილი ქაღალდისაგან

იყო გაკეთებული. პაგანელმა ცნობისმოყვარეობით გახსნა ერთი და ტექსტი ძლივძლივობით წაიკითხა.

- იცით, ჩემო მეგობრებო, - თქვა მან, - ეს ველუირები თოფს რით ტენიან?

- არა, - უპასუხა გლენარვანმა.

- ბიბლიის ტექსტებით! ო, მებრალებიან მისიონერები. ეტყობა, ტყუილუბრალოდ დაკარგეს დრო.

გლენარვანმა თანამგზავრებთან ერთად გაიარა ფრიალო კლდის ბილიკი და კარა-ტეტეს საფლავის დასათვალიერებლად გაემართა. გზადაგზა გრძნობდნენ, თითქოს ფეხებქვეშ ნიადაგი დროდადრო ძიგძიგებდა. ეს ნიადაგის ძვრა როდი იყო. ეს იყო ნამდვილი თრთოლა, სწორედ ისე, როგორც თახთახებს ხოლმე ქვაბის კედლები წყლის დუღილის დროს: ალბათ, ამ მთის წიაღში დაგროვილი იყო მიწის გულის ცეცხლისაგან წარმოშობილი დიდძალი ორთქლი.

ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ვერ გააკვირვებდა მათ, რადგან ახლახან გამოევლოთ ვაიკატოს ცხელი წყაროების მიდამო. მათ უკვე იცოდნენ, რომ იკა-ნა-მაუის შუა ოლქი ძალიან მდიდარია ვულკანებით, რომ ეს მიდამოები ნამდვილი ცხრილია, რომლიდნაც ცხელი წყაროებისა და გოგირდის ორთქლის სახით ამოქშუტუნეს მიწისქვეშა ორთქლი. პაგანელმა ეს მოვლენა სხვებზე ადრე შეამჩნია და ამხანაგების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეს მთა ვულკანური თვისებისა იყო. ის ერთი მრავალრიცხოვანი კონუსთაგანია, ერთი იმ უამრავ ვულკანთაგანი, რომლებიც ჯაგარივით ასხია ამ კუნძულის მთელ შუაგულ ნაწილს. ეს მთა მომავალი ვულკანია. უბრალო მექანიკურ მოძრაობას შეუძლია ეს რბილი მოთეთრო ტუფის ფერდობი კრატერად გადააქციოს.

- მართლაც ასეა, - თქვა გლენარვანმა, - ჩვენ აქ იმაზე ნაკლები საფრთხე როდი მოგველის, რაც "დუკანის" ქვაბებთან. ეს მიწის ქერქი მაგარ ფურცლოვან რკინას როდი ჩამოუვარდება.

- მართალია, მაგრამ რაც უნდა მაგარი იყოს ქვაბი, დიდი ხნის ხმარების შემდეგ ბოლოს მაინც გასკდება და გასდკება მაშინ, როდესაც სრულიადაც არ ელი, - თქვა მაიორმა.

- მაკ-ნაბს! - მიუბრუნდა პაგანელი, - მე არ გთხოვთ ამ კონუსზე დარჩენას, მაგრამ მაჩვენეთ სხვა გასასვლელი გზა და ამწუთას დავტოვებ ამას.

- იქნებ თვითონ მაუნგანამუმ გადაგვიყვანოს! - ჩაურთო ჯონ მანგლსმა, - ამაში იმდენიმ მექანიკუი ძალაა მოთავსებული! ჩვენს ფეხქვეშ უსაქმოდაა დაბანდებული რამდენიმე მილიონი ცხენის ძალა! "დუნკანით" მთელი ქვეყნიერებაც რომ შემოგვევლო, ამ ძალის მეათასედიც არ დაგვჭირდებოდა.

"დუნკანის" ხსენებაზე გლენარვანს ძველი სევდა აეშალა. უმწეო მდგომარეობაში ყოფნის დროსაც ხშირად ავიწყდებოდა თავისი თავი და ფიქრობდა თავისი ხომალდის ეკიპაჟის ხვედრზე. ახლაც სწორედ ამ სევდიან ფიქრებში იყო ჩაძირული, როდესაც უკან დაბრუნდნენ. ელენი წინ შემოეგება.

- ედუარდ, გაარკვიეთ ჩვენი მდგომარეობა? - შეეკითხა ის, - იმედი არის რამე? _ თუ შიში უნდა გვქონდეს?

- იმედიანად იყავით, ელენ, - მიუგო გლენარვანმა, - მაორები ვერასოდეს გადმოლახავენ ამ მთის საზღვრებს. ჩვენ საკმაო დრო გვრჩება გაქცევის გეგმის შესამუშავებლად.

- ახლა კი - აკლდამაში! - შესძახა პაგანელმა, - ის არის ჩვენი სიმაგრე, ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი სასადილო, ჩვენი კაბინეტი! აქ ჩვენ ვერავინ შეგვაწუხებს! მოწყალეო ქალბატონებო, გთხოვთ მობრძანდეთ ამ საუცხოო საცხოვრებელში.

ყველანი პაგანელს მიჰყვნენ.

როდესაც მთის ძირიდან მაორებმა დაინახეს, რომ გაქცეულები ტაბუდადებული სამარის შესაბღალავად მიდიან, თოფების სროლა აუტეხეს. მათი საშინელი, გამაყრუებელი ჟრიამული და ყატყატი თოფის ხმასაც კი აყრუებდა, მაგრამ მათი ნასროლი ტყვიები მთის შუაგულამდეც ვერ აღწევდა, მათი ღრიანცელი კი მიდამოს ედებოდა. როდესაც ელენმა და

მერი გრანტმა დაინახეს, რომ მაორების ცრუმორწმუნეობა მათ მრისხანებას აღემატებოდა, სავსებით დამშვიდბულნი შევიდნენ აკლდამაში.

ეს იყო წითლად შეღებილი მორებით შემოზღუდული ადგილი, ზედ გამოხატული სიმბოლური ფიგურები განსვენებულის ღვაწლმოსილებას გამოსახავდა. ერთი ბოძიდან მეორემდე ჩამოკიდებული იყო სხვადასხვა ავგაროზი, ნიჟარები და პირლესული ქვები. შიგნით მიწა მთლად მოფენილი იყო მწვანე ფოთლებით. შუაგულში ამობურცული აგილები ბელადის სამარე იყო. მის გვერდით ეწყო ბელადის იარაღი, გატენილი თოფები, შუბი, მწვანეტარიანი საუცხოო ცული; იქევ ეწყო ტყვია-წამლის მარაგი, საუკუნო სამყოფელში სანადიროდ საკმარისი.

- ესეც თქვენო თოფხანა, რომელსაც ჩვენ უფრო კარგად მოვიხმართ, ვიდრე განსვენებული! - თქვა პაგანელმა.

- ველურები გონივრულად იქცევიან, რომ საიქიოშიც თან იარაღს ატანენ!

- ერთი უყურეთ! ეს ხომ ინგლისური სისტემისაა! - შესძახა მაიორმა.

- აშკარაა! - მიუგო გლენარვანმა, - უნდა გამოგიტყდეთ, რომ სულელური ჩვეულებაა ველურებისათვის იარაღის ჩუქება! მერე ამავე იარაღს თვითონ დამპყრობლების წინააღმდეგ ხმარობენ და სამართლიანად იქცევიან. ყოველ შემთხვევაში, თოფები მაინც გამოგვადგება.

- მაგრამ უფრო გამოგვადგება ეს საგზალი და წყალი, რომელიც კარა-ტეტესთვის მოუმზადებიათ! - დასძინა პაგანელმა.

მართლაც, ჭირისუფლებს მზურნველობა არ დაეკლოთ. სანოვაგის მარაგი მოწმობდა, რომ სახელოვან ბელადს დიდ პატივს სცემდნენ. სანოვაგე იმდენი იყო, რომ ათ კაცს ეყოფოდა თხუთმეტი დღის განმავლობაში, განსვენებული კი საუკუნოდ იყო უზრუნველყოფილი. აქ იყო საკვები გვიმრა, ტკბილი ბატატი და კარტოფილი, რომელიც ამ კუთხეში ევროპელებს შემოუტანიათ. დიდრონ ქოთნებში იდგა სუფთა წყალი, რომელსაც ახალზელანდიელები ყოველთვის ხმარობენ ჭამის დროს. თორმეტიოდე მოწნული კალათი სრულიად უცნობი, მაგრამ მეტა გემრიელი მწვანე ფერის ნამცხვრით შეევსოთ.

ამგვარად, ჩვენი მოგზაურები რამდენიმე დღით უზრუნველყოფილი იყვნენ სანოვაგით. ბევრი ხვეწნა აღარ დასჭირდათ და ბელადის ხარჯზე ისადილეს. გლენარვანმა აიღო საკმა რაოდენობის სანოვაგე და ოლბინეტს გადასცა. მეკუჭნავემ, რომელიც სერიოზულ გარემოებაშიც კი ფორმალისტობას ვერ იშლიდა, დაიწუნა; არც იცოდა, როგორ მოემზადებინა გვიმრის ფესვები, რადგან ცეცხლი არ ჰქონდა, მაგრამ პაგანელმა გამოიყვანა ამ გასაჭირიდან, ურჩია, გვიმრის ფესვები და ბატატი ცხელ ნიადაგში მოემზადებინა.

მართლაც, მიწის ზედა ფენის ტემპერატურა ძალიან მაღალი იყო, თერმომეტრი რომ ჰქონოდათ, 60-65 გრადუსს მაინც უჩვენებდა. როდესაც ოლბინეტმა საამისოდ ორმოს თხრა დაიწყო, ერთბაშად ამოხეთქა და კინაღამ გაფუფქა ოლბინეტი. შიშნაკრავი ოლბინეტი გულაღმა გადაკოტრიალდა,

- ონკანი დაკეტეთ! - შესძახა მაიორმა და ორივე მეზღვაურის დახმარებით ორმო ქვებით ამოავსო. ამის მაცქერალი პაგანელი კი ფიქრებში წასული თავისთვის ბურდღუნებდა:

- მართლაც! რატომ არ შეიძლება ასე იყოს?!

- ხომ არ დაიფუფქეთ? - შეეკითხა მაკ-ნაბსი ოლბინეტს.

- არა, ბატონო მაკ-ნაბს, მაგრამ სრულიად არ მოველოდი...

- ამდენ სიკეთეს! - დაამთავრეს მის მაგიერ პაგანელმა მხიარულად, - კარა-ტეტეს წყალი, სანოვაგე და მიწის ცეცხლი! რას ბრძანებთ, ეს მთა ნამდვილი ამქვეყნიური სამოთხე ყოფილა! წინადადება შემომაქვს, აქ დავაარსოთ ახალშენი, კულტურა შემოვიტანოთ და მთელი ჩვენი სიცოცხლის დღენი აქ გავატაროთ! ჩვენ გავხდეთ მაუნგანამუს რობინზონები! მართლაცდა, ვერც კი მომისაზრებია, რაღა გვაკლია ახლა?!

- არაფერი, თუ მთა მკვიდრი გამოგვადგა, - მიუგო ჯონ მანგლსმა.

- თქვენც, ერთი! გუშინ ხომ არ არის გაკეთებული! - მიუგო პაგანელმა, - უკვე დიდი ხანია უძლებს მიწისქვეშა ძალების მოქმედებას და, ცხადია, ჩვენს წასვლამდეც გაუძლებს.

- სადილი მზად გახლავთ! - ისეთი სერიოზული კილოთი გააწყვეტინა ლაპარაკი ოლბინეტმა, თითქოს მალკოლმის ციხე-დარბაზში ასრულებს თავის მოვალეობასო.

მაშინვე შეუდგნენ სადილს. პირის გემოს არავინ დასდევდა. გვიმრის ფესვების შესახებ სხვადასხვა აზრისან იყვნენ. ზოგს სასიამოვნო და მოტკბო ეჩვენა, ზოგს კი უგემური და ლორწოვანი. მიწაში მოთუთქული ტკბილი ბატტები საუცხოო გამოდგა. გეოგრაფმა განაცხადა, ასეთი საგზლის პატრონები კარა-ტეტე შესაბრლი აღარ არისო. როდესაც შიმშილი მოიკლეს, გლენარვანმა წინადადება შემოიტანა, დაუყოვნებლივ მოელაპარაკათ გაქცევის გეგმის შესახებ.

- ასე მალე?! - წამოიძახა პაგანელმა მოთქმით, - როგორ, თქვენ უკვე ფიქრობთ ამ განცხრომის ადგილის დატოვებას?

- დიახ, ბატონო პაგანელ, მაგრამ თუნდაც ჩვენი თავი კაპუაში[1] წარმოვიდგინოთ, მაინც არ უნდა მივბაძოთ ჰაინბალს! - უპასუხა ელენმა.

- ქალბატონო, ვერ შეგედეავებით, - მიუგო პაგანელმა, - თუ გაქცევის გეგმის განხილვა გნებავთ, განვიხილოთ.

- უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ, ჩვენ აქედან უფრო ადრე უნდა გავიქცეთ, ვიდრე ამას შიმშილი გვაიძულეს, - დაიწყო გლენარვანმა, - ახლა ძალ-ღონე შეგვწევს და უნდა ვისარგებლოთ ამით. უახლოეს ღამეს უნდა შევეცადოთ, რომ აღმოსავლეთის ველამდე მივაღწიოთ, ვისარგებლოთ ბნელი ღამით და მაორების წრე გავარღვიოთ.

- ჩინებულია, თუ მაორებიც გაგვიშვებენ? - მიუგო პაგანელმა.

- ხელი რომ შეგვიშალონ? - იკითხა ჯონ მანგლსმა.

- მაშინ გადამწყვეტ ზომებს მივმართავთ, - მიუგო პაგანელმა.

- მერე, საამისოდ მზად გაქვთ რამე? - შეეკითხა მაიორი.

- ისე უხვად, რომ არც კი ვიცი, რომელი გამოვიყენო! - შენიშნა პაგანელმა, მაგრამ არ განუმარტა, რას გულისხმობდა.

დაღამებას ელოდნენ, რომ როგორმე მაორების ხაზი გაერღვიათ.

ველურები იმავე ადგილას იყვნენ. მათი რაზმები თითქოს გაზრდილიყო კიდეც ახალშემატებული ხალხით. მთის ძირას, ადგილ-ადგილ კოცონი ენთო და მთას ცეცხლის ალი რკალივით ერტყმოდო. როდესც წყვდიადი ჩამოწვა გარშემო ველებზე, მაუნგანამუს მთა ირგვლივ განათდა, გეგონებოდათ, ეს მთა უზამაზარი კოცონიდან ამოზიდულაო. მისი მწვერვალი კი წყვდიადში გახვეულიყო. ჩვენს მგზავრებს მთის ძირიდან ორასი მეტრის მანძილზე მოესმოდათ მაორების გადაძახილ-გადმოძახილი და ყატყატი.

ცხრა საათზე, როდესაც სრულიად ჩამობნელდა, გლენარვანი და ჯონ მაგლსი დასაზრვერვად წავიდნენ. უხმაუროდ დაეშვნენ და ვიწრო ქედს დაჰყვნენ, რომელიც მაორების ხაზს სერავდა მათი ბანაკიდან თხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე. თავდაპირველად ყველაფერი კარგა მიდიოდა. კოცონების გარშემო გაშხლართული მაორები თითქოს ვერც ამჩნევდნენ მათ, მაგრამ უცებ ქედის მარჯვნივ და მარცხნივ ატყდა თოფის სროლა.

- უკან გავბრუნდეთ, - უთხრა გლენარვანმა, - ამათ ნამდვილი კატის თვალები აქვთ და კარგი მსროლელებიც ყოფილან!

გლენარვანი და ჯონ მანგლსი ისევ შეუდგნენ აღმართს და მალე მიაღწიეს მეგობრებამდე, რომელნიც სროლის ხმას შეეფიქრიანებინა. გლენარვანის ქუდი ორგან ტყვიით იყო გახვრეტილი. ამგვარად, შეუძლებელი აღმოჩნდა ამ გრძელი ქედით გაპარვა ორივე მხრიდან სროლის შიშით.

- ხვალამდე გადავდოთ, - თქვა პაგანელმა, - რადგანაც მაორების სიფხიზლეს ვერ მოვატყუებთ, ნება მიბოძეთ, ჩემებური შეჭამანდი შევთავაზო მათ!

---

1 ჰანიბალის არმია კაპუაში დაყოვნდა, ამან მებრძოლებში სამხედრო წესრიგი მოშალა.

საკმაოდ ციოდა. საბედნიეროდ, კარა-ტეტეს თან წამოეღო თავისი საუკეთესო ღამის ტანისამოსი და ახალთახალი თბილი საბნები. ყველანი მოურიდებლად გაეხვივნენ ამ საბნებში და მალე მიეძინათ მესერშემოვლებულ სასაფლაოზე, რომლის ნიადაგიც

მიწისქვეშა აირების გავლენით ძიგძიგებდა. მაორები კი მთის ძირში ფხიზლობდნენ, თითქოს დარაჯად უდგანან მათ უშფოთველ ძილსაო.

თავი XV

პაგანელის გადამწყვეტი ღონისძიებანი

მეორე დღეს, 17 თებერვალს, მაუნგანამუს მთაზე მძინარე მოგზაურები ამომავალი მზის პირველმა სხივებმა გამოაღვიძა. მაორები კარგ ხანია მთის ძირას გადი-გამოდიოდნენ და სადარაჯო ხაზს არ სცილდებოდნენ. როდესაც ევროპელები მათ მიერ შებღალული აკლდამიდან გამოვიდნენ, მაორებმა გააფთრებული ღრიანცელი მორთეს.

მოგზაურებს თვალწინ გადაეშალათ გარშემორტყმული მთები, ღრმა ხეები, რომლებიც ჯერ კიდევ ბინდბუნდში იყო გახვეული, და ტაუპოს ტბა, რომლის ზედაპირიც დილის სიოს ოდნავ აეზრაზნა. შემდეგ ყველანი პაგანელს მიაჩერდნენ და გარს შემოეხვივნენ. უნდოდათ, შეეტყოთ მისი გეგმა. პაგანელმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა ამხანაგების მოუთმენელი ცნობისმოყვარეობა.

- მეგობრებო, - დაიწყო პაგანელმა, - ჩემი პროექტი იმით არის კარგი, რომ თუ ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ ის არ განხორციელდა, ამით ჩვენი მდგომარეობა არ გაუარესდება. თუმცა დარწმუნებული გახლავართ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. სხვაფრივ ყოვლად შეუძლებელია.

- რას წარმოადგენს ეგ თქვენი პროექტი? - შეეკითხა მაკ-ნაბსი.

- აი, რას, - მიუგო პაგანელმა, - ეს მთა ჩვენს თავშესაფრად ველურების ცრუმორწმუნეობამ გადააქცია. ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ამავე ცრუმორწმუნეობამ გვიშველოს აქედან თავის დაღწევაში. როგორ ფიქრობთ, კაი-კუმუ თუ დავაჯერეთ იმაში, რომ ან ჩვენი მკრეხელობის გამო, ან ტაბუს შელახვის გამო ცის რისხვა დაგვატყდა თავზე და საშინელი სიკვდილით გაგვანადგურა, მაშინაც არ დატოვებს მაუნგანამუს მთას და თავის სოფელს არ დაუბრუნდება?!

- დასაჯერებელი ამბავია, - ჩაილაპარაკა გლენარვანმა.

- მერედა, რომელი საშინელი სიკვდილით აშინებთ მათ? - შეეკითხა ელენი.

- იმ სიკვდილით, რომელიც მკრეხელებს დაატყდება თავზე, მეგობრებო! - შესძახა პაგანელმა, - შურისმგებელი ცეცხლი ჩვენს ფეხქვეშ არის! მივცეთ მას გზა!

- როგორ? ... გინდათ ვულკანი ამოაფრქვიოთ?! - შესძახა ჯონ მანგლსმა.

- დიახ, ვითომც ვულკანი, მოჩვენებითი, ფეერიული, რომელსაც გეზს ჩვენვე მივცემთ! აქ აუარება მარგია ცეცხლისა და ორთქლის, რომელსაც მხოლოდ გზა უნდა გაეხსნას. ჩვენს გადასარჩენად მოვაწყოთ ხელოვნური ცეცხლის ფრქვევა.

- ჩინებული აზრია! - თქვა მაიორმა, - კარგად მოგიფიქრებიათ, პაგანელ!

- ხომ გეზმით?! - განაგრძობდა გეოგრაფი, - ისე მოვაჩვენებთ, ვითომაც ახალზელანდიური პლუტონის ცეცხლმა გაგვანადგურა, ჩვენ კი კარა-ტეტეს აკლდამაში დავიმალებით და იქ დავრჩებით სამი, ოთხი, ხუთი დღე, როგორც საჭიროება მოითხოვს. ერთი სიტყვით, სანამ ველურები არ დარწმუნდებიან ჩვენს სიკვდილში და დევნაზე ხელს არ აიღებენ.

- ეს გეგმა კარგადაა მოფიქრებული, - თქვა გლენარვანმა, - მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა მის წინააღმდეგ გვეთქვა. იქნებ ველურები მთის ძირას დარჩნენ იმ დრომდე, სანამ ჩვენ სურსათი არ გამოგველევა!... თუმცა ეს ნაკლებდასაჯერებელია, თუ მარჯვედ შევასრულებთ ამ გეგმას.

- როდის აპირებთ ამის გაკეთებას? - შეეკითხა ელენი.

- გადაწყვეტილი საქმეა! - ჩაერია მაკ-ნაბსი, - პაგანელ, თქვენ ნამდვილი გენიოსი ხართ და მე, რომელმაც არასოდეს მჩვევია აჩქარება, თავდებად ვდგები, რომ გავიმარჯვებთ! აჰ, ვერაგებო! ისეთი სასწაული მოგიწყოთ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ დაივიწყოთ.

ამგვარად, პაგანელის გეგმა მიიღეს. მართლაც მაორების ცრუმორწმუნეობა საწინდარი იყიო მის მისაღწევად. აზრი კარგი იყო, მაგრამ განხორციელება ძნელი. განა ხელოვნურად გამოწვეულ ვულკანს არ შეეძლო ისინიც შთაენთქა, ვინც კრატერის მოწყობა გაბედა?! განა შეეძლოთ გეზის მიცემა იმ ორთქლისათვის, ცეცხლისთვის და ლავისათვის, რომელიც ამოხეთქავდა? იქნებ ამ ამოხეთქვას თვითონ მთაც გაენადგურებინა?! ეს ხომ ისეთი მოვლენაა, რომლის ბუნებაც ადამიანს არ ემორჩილება?

პაგანელს გათვალისწინებული ჰქონდა ეს სიძნელეები, მაგრამ იმედოვნებდა, რომ საქმე ასე შორს არ წავიდოდა. საკმარისი იყო, მხოლოდ ცეცხლის ამოხეთქვა დაენახვებინათ მაორებისათვის, რომ შეცდომაში შეეყვანათ.

ჩვენს მოგზაურებს ეს დღე დაუსრულებელი ეჩვენათ. გულის გადალევით ადევნებდნენ თვალს საათს, რომელიც ოდნავ მიცოცავდა. გასაქცევად კი ყველაფერი გამზადებული ჰქონდათ. სანოვაგე ულუფებად გაანაწილეს მგზავრების რაოდენობის მიხედვით, რომ ტარება არ გასძნელებოდათ. ამ მცირე ბარგს კარ-ტეტეს აკლდამიდან წასაღები იარღი და საბნები ემატებოდა. ყოველივე ეს მესრის შიგნით მოამზადეს, რომ მაორებს თვალი არ მოეკრათ.

ექვსი საათისათვის ოლბინეტმა ნოყიერი ვახშამი მოამზადა. არავინ იცოდა გზაში სად და როდის მოახერხებდნენ ჭამას და საჭირო იყო, კარგად დანაყრებულიყვნენ. უმთავრეს კერძად მორთმეული იყო ექვსიოდე დიდი ვირთაგვა, რომლებიც ვილსონს დაეჭირა. ელენმა და მერი გრანტმა გადაჭრით უარი განაცხადეს, ამ "ნადირის ხორცზე", რომელიც ახალ ზელანდიაში ძვირად ფასობს, მამაკაცებმა კი ნამდვილი მაორებივივ ჩაიტკბარუნეს პირი. ვირთაგვას ხორცი მართლაც საუცხოო იყო. ასე რომ, ექვსივე ვირთაგვა ძვლებიანად ჩაახრამუნეს.

შებინდდა. მზე წვიმის სქელი ღრუბლების იქით მიეფარა. ჰორიზონტზე ელვა გაიკლაკნა, შორეულ სივრცეში გრგვინვა-ქუხილი კანტიკუნტად გაისმა. პაგნელი აღტაცებით შეეგება ჭექა-ქუხილს, რომელიც საუცხოო დეკორაციას წარმოადგენდა მის მიერ განზრახული წარმოდგენისათვის.

ახალზელანდიელები ცრუმორწმუნე შიშითა და კრძალვით ეკიდებიან ბუნების ყველა დიად მოვლენას. მათი აზრით, ქუხილის ხმა არის ღმერთ ნიუ-ატუასი, ელვა კი - მისი თვალეის ბრწყინვალება. ამგვარად, თვითონ ღვთაება ემზადებოდა ტაბუს შემლახველთა დასასჯელად. ჩაშავებული ცა მშვენიერი ფონი იყო იმ კოცონისათვის, რომლის მოწყობასაც აპირებდა პაგანელი.

სიბნელეში მიიმალნენ და მაორების თვალებისათვის გაუჩინარდნენ. მოქმედების წამი დადგა. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. გლენარვანი, პაგანელი, მაკ-ნაბსი, რობერტი, ოლბინეტი, მიულრედი და ვილსონი მხნედ შეუდგნენ საქმეს. კრატერის მოსაწყობი ადგილი კარა-ტეტეს აკლდამიდან ოცდაათი ნაბიჯის მოშორებით შეარჩიეს. აკლდამა უნდა გადარჩენილიყო, თორემ მასთან ერთად ტაბუც გაბათილდებოდა. აქ პაგანელმა ერთი ლოდი შეამჩნია, რომლის ქვიშიდანაც დიდი სიმძლავრით ამოდიოდა ორთქლი. ეს ლოდი წაფარებოდა პატარა კრატერს და მხოლოდ თავისი სიმძიმით აბრკოლედა ამოფრქვევას. ლოდი რომ გადაეგორებინათ, ღია კრატერიდან ორთქლი და ლავა იფეთქედა და ამოვარდებოდა. აკლდამის სტეტებისაგან ბერკეტები გამოთალეს და ენერგილად შეუდგნენ ლოდის გადანაცვლებას. რაც უფრო მეტად სცილებოდა ლოდი, მით მძლავრად თახთახებდა ნიადაგი. ყრუ გრუხუნი და ორთქლის წივილი მოისმოდა გასიფრიფანებული მიწის ქერქიდან. გაბედული მუშაკები ღონივრად, უხმოდ აწვებოდნენ ლოდს. მალე რამდენიმე ნაპრალიდან ქაფქაფა ორთქლი ამოვარდა და ეს ადგილი სახიფათო გახდა, მაგრამ ერთხელაც მოიკრიბეს ძალ-ღონე და გადააბრუნეს ლოდი, რომელიც ხრიგინით დაშვა ხევისაკენ. ნიადაგის თხელი ფენა ჩიქცა, ცეცხლის სვეტი ჭახან-შხუილით ავარდა ჰაერში, ლავა და მდუღარე წყალი კი მთის ფერდობზე დაეშვა, მაორების ბანაკისაკენ. მთის მწვერვალმა რყევა იწყო, თითქოს მთლად ჩაქცევას ლამობს უფსკრულშიო. გლენარვანმა და მისმა ამხანაგებმა ძლივს მოასწრეს გარიდება და აკლდამის ეზოში შეირბინეს აქა-იქ ქაფქაფა შხეფებით დამდუღრულებმა.

ამოხეთქილი მდუღარის სითბო 94 გრადუსს აღწევდა. წყალს გოგირდის ძლიერი სუნი ჰქონდა. მიწის ბელტები, ღველფი თუ ქვები ერთმანეთში აირია და ერთიან ცეცხლოვან შადრევნად ამოვარდა. ცეცხლოვანი ლავის ნაკადები დაეშვა მაუნგანამუს ფერდობებზე, ახლომახლო მთები და ხეები წითლად განათდა. მოვარდნილი ლავა რომ დაინახეს, მაორები წივილ-კივილით აიშალნენ. ვისაც კი ღველფი არ მისწდენოდა, მეზობელ ბორცვზე გარბოდნენ და იქიდან თავზარდაცემულნი იხედებოდნენ უკან, აკვირდებოდნენ ამ მრისხანე მოვლენას, ამ ვულკანს, რომელიც მათი განრისხებული Eღვთაების ბრძანებით მუსრავდა წმინდა მთის შემლახველებს. როდესაც გრგვინვა მიყუჩდებოდა ხოლმე, გაქცეულებს შემოსმოდათ მაორების შეძახილები:

- ტაბუ! ტაბუ! ტაბუ! ...

მაუნგანამუს კრატერი უფრო და უფრო მეტ ორთქლს, გავარვარებულ ქვებსა და ლავას აფრქვევდა. ეს უკვე ჩვეულებრივი გეიზერი როდი იყო, ისლანდიის ჰეკლას მთას რომ გარს ახვევია, ეს იყო თვითონ ჰეკლა. მთელი ვულკანური ძალა, რომელიც მაუნგანამუს მთის ქერქის ქვეშ მოიპოვებოდა, დღემდე გამოსასვლელს ტონგარინის კრატერებში პოულობდა. ახლა კი, როდესაც მას ახალი გასასვლელი გზა მიეცა, საშინელი ძალით გაექანა მისკენ და იმ ღამეს კუნძულის სხვა კრატერები წონასწორობის კანონის ძალით ჩვეულებრივზე ნაკლები ძალით მოქმედებდნენ.

ერთი საათის შემდეგ ლავის განიერი ცეცხლოვანი ნაკადები ყველა ფერდობისაკენ დაეშვა. ათასობით ვირთაგვა გამორბოდა სოროეიდან, ცეცხლმოდებულ არემარეს გაუბოდნენ. ვულკანი მთელი ღამის განმავლობაში გრგვინავდა ჭექა-ქუხილივით, ელვის კლაკვნითა და ისეთი სიმძლავრით, რომ გლენარვანი საგონებელს მიეცა, რადგან კრატერის პირი თანდათან განიერდებოდა. გლენარვანმა და მისმა ამხანაგებმა ძლივს მოასწრეს გარიდება. გამოქცეულები აკლდამაში მიკუნჭულიყვნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალყურს ვულკანის გამანადგურებელ ძალას.

ინათა. ვულკანის ამოხეთქვა არ დამცხრალა. ალს ემატებოდა სქელი ყვითელი ორთქლი, ლავის ნაკადები მატულობდა. გლენარვანმა გულის ფანცქალით გადახედა მაორების ბანაკს. ისინი მეზობელ ბორცვებზე შეფენილიყვნენ, სადაც ლავა ვერ აღწევდა. მთის ძირას რამდენიმე დანახშირებული გვამი მოჩანდა. ლავას გადაებუგა ოციოდე ქოხი, რომლებსაც ჯერ კიდევ ოხშივარი ასდიოდა. ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილი ახალზელანდიელები შიშითა და ძრწიოლით გასცქეროდნენ მაუნგანამუს მწვერვალს. კაი-კუმუ თავის მეომრეთან გამოვიდა, მერე მთის ძირის იმ მხარეს გაემართა, რომელსაც ლავა ასცდენოდა და პირველ ბექობამდე ავიდა. ხელაპყრობილი გრძნეულივით გაჩერდა, რამდენჯერმე სახე დამანჭა, რის მნიშვნელობასაც ჩვენი მგზავრები მიხვდნენ. პაგანელის აზრით, კაი-კუმუმ ამ შურისმგებელ მთას უფრო მკაცრი ტაბუ დაადო!

- მიდიან! - შესძახა გლენარვანმა.

- აიყარნენ! მადლობა ღმერთს! ჩვენმა გეგმამ გაჭრა. ჩემო ძვირფასო ელენ, ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, ახლა ჩვენ უკვე მკვდრები ვგონივართ, დასამარებულნი, მაგრამ დღეს საღამოს, როდესაც წყვდიადი ჩამოწვება, მკვდრეთით აღვდგებით, აკლდამას მივატოვებთ, გავეცლებით ამ ბარბაროსებსი მოდგმას.

ყველას გულში იმედმა ჩააშუქა. მამაც მოგზაურებს დავიწყებოდათ წარსული, ივიწყებდნენ მომავალს და მხოლოდ აწმყოზე ფიქრობდნენ. წინ კი ადვილი საქმე როდი მოელოდათ: მათ უნდა მიეღწიათ ევროპელ მოსახლეობამდე ამ უცნობ ადგილეში, მაგრამ ახლა, როდესაც თავი დააღწიეს კაი-კუმუს, თითქოს ახალი ზელანდიის ყველა მაორისაგან გათავისუფლებულიყვნენ. მაიორი აღარც კი მალავდა ზიზღს, რომელსაც მაორების მიმართ გრძნობდა, სხვადასხვა სიტყვით ამკობდა მათ და ამ მხრივ პაგანელსაც გადააჭარბა.

გაქცევამდე მთელი დღეE დარჩენოდათ. ეს დღე გეგმის შემუშავებას მოანდომეს. პაგანელს ახალი ზელანდიის რუკა შერჩენოდა და შეეძლო ეპოვა უტყუარი გზები. თათბირის შემდეგ გადაწყვეიტეს აღმოსავლეთისაკენ ევლოთ, პლენტის ყურის მხარეს. თუმცა უცნობ ადგილებზე მოუხდებოდათ სიარული, სამაგიეროდ, უდაბური და უკაცრიელი იქნებოდა.

ყოველგვარ სიძნელეს შეჩვეულ მოგზაურებს მხოლოდ მაორების შეხვედრა აფიქრებდათ. ამიტომ რამენაირად უნდა ასცდენოდნენ მათ. რაკი ზღვის სანაპიროს მიაღწევდნენ, იმდი ჰქონდათ, ევროპელების რომელიმე ფერმას წააწყდებოდნენ; მეორეც - კუნძულის ეს მხარე ომში არ იყო ჩაბმული და მაორების ბრბოები აქა-იქ არ დაძრწოდნენ.

ტაუპოს ტბიდან პლენტის ყურემდე ასი მილი იყო, ესე იგი ათი დღის სავალი, დღეში ათი მილის ვარაუდით. ამ მანძილის გავლა ადვილი როდი იყო, მაგრამ მოგზაურებს ეს არ აფიქრებდათ. რაკი რომელიმე ფერმას ან მისიას მიაღწევდნენ, იქ შეეძლოთ დასვენება. შემდეგ მარჯვე შემთხვევით ისარგებლებდნენ და ოკლენდში ჩავიდოდნენ, რომელიც ამჟამად მათ საბოლოო მიზანს წარმოადგენდა. ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დაღამებამდე უთვალთვალებდნენ მაორებს. მთის ძირას არც ერთი კაცი აღარ დარჩენილიყო და დაღამების შემდეგ ცეცხლი აღარ გამოჩენილა. გასაქცევი გზა თვისუფალი იყო. ღამის ათ საათზე გლენარვანმა გამგზავება ბრძანა.

კარა-ტეტეს იარაღით შეიარაღებულები მაუნგამუს ფერდობებს დაჰყვნენ. წინ მიუძღვოდათ ჯონ მანგლსი და ვილსონი. ისინი გაფაციცებით აკვირდებოდნენ მიდამოს, ყური ფხიზლად ეჭირათ და მცირეოდენ შრიალზეც კი შეჩერდებოდნენ ხოლმე. უმეტესად ცოცვითა და ფოფხვი მიდიოდნენ წინ, რომ არავის შეემჩნია. როდესაც მთის წვეროდან ორასი ფუტის მანძილზე ჩამოვიდნენ, ჯონ მანგლსმა და მეზღვაურებმა იმ საშიშ ქედს მიაღწიეს, სადაც მაორებს შეეძლოთ ჩასაფრება.

თუმცა გლენარვანი იმედიანად იყო და პაგანელის ოხუნჯობას ისმენდა, მაგრამ მაინც გულში თრთოდა. ამ ქედის გადავლას ათი წუთი სჭირდებოდა; ეს ათი წუთი წყვეტდა მთელი რაზმის ბედს. ელენი მკლავზე დაყრდნობოდა და გლენარვანი გრძნობდა მის გულისცემას. მაგრამ უკან დახევა არც გლენარვანს და არც ჯონს ფიქრადაც არ მოსვლიათ.

წყვდიადით დაფარული ახალგაზრდა კაპიტანი ქედზე ცოცვით გავიდა. და მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. მხოლოდ მაშინ შეჩერდებოდნენ ხოლმე, თუ ქედიდან ქვა ან კენჭი მოსხლტებოდა და ხრიალით ეშვებოდა ხევში. მაორები რომ ქედთან ყოფილიყვნენ, ორივე მხრიდან გამანადგურებელ სროლას აუტეხდნენ მათ.

გაქცეულები გველებივით მუცელზე ხოხვით ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ. როდესაც ჯონ მანგლსმა ქედის უფრო დაბალ ადგილას ჩააღწია, დაინახა, რომ ველამდე მხოლოდ რვა მეტრიღა დარჩენოდა. ეს სწორედ ის ადგილი იყო, სადაც გუშინ მაორეს ბანაკი ჰქონდათ. აქედან ქედი ისევ აღმართით მიდიოდა ფრიალო კლდეების თავზე, ერთი მილის მეოთხედის მანძილზე და შემდეგ უღრან ტყეს უერთდებოდა.

მგზავრებმა მშვიდობიანად გაიარეს ქედის ჩადაბლებული ადგილი და ნელ-ნელა შეუერთდნენ აღმართს. ტყე ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ის აქ არის, ახლოს. გლენარვანს იმედი ჰქონდა, რაკი იქ მიაღწევდნენ, საფრთხე აცილებული იქნებოდა, მაგრამ ახლა შეატყო, რომ მათი რაზმი უკვე გასცილდა ტაბუთი შეკრულ მიდამოს. ეს აღმართი მაუნგანამუს კი არ ეკუთვნოდა, არამედ ტაუპოს ტბის აღმოსავლეთ ნაწილს, ასე რომ, ახლა მოსალოდნელი იყო არა მარტო სროლის ატეხა მაორების მხრივ, არამედ ხელჩართული ბრძოლაც მათთან.

ათი წუთის განმავლობაში რაზმი შეუმჩნევლად ადიოდა უფრო მაღალ ზეგანზე. ჯონ მანგლსი ვერ ამჩნევდა ჭალას, რომელიც მისგან ერთი მეტრის იქით იწყებოდა. უცებ შედგა, თითქმის უკან დაიხია, მას შრიალი შემოესმა. მისი ამხანაგები შეფიქრიანდნენ. ყველანი გულის ფანცქალით გაჩერებულიყვნენ მოლოდინში. ნუთუ იძულებულნი გახდებიან, უკანვე დაბრუნდნენ მაუნგანამუს მწვერვალზე? მაგრამ ჯონი დარწმუნდა, რომ შრიალი აღარ ისმოდა და ისევ შეჰყვა ქედის ბილიკს. მალე სიბნელეში გამოჩნდა ჭალა. მას რამდენიმე ნაბიჯით მიაღწიეს და უღრან ტყეს მისცეს თავი.

თავი XVI

ორ ცეცხლშუა

ღამე ხელს უწყობდა გაქცევას. ამით უნდა ესარგებლათ, რომ ტაუპოს სახიფათო ტბას გასცლოდნენ. ამ პატარა რაზმის გამყოლობა პაგანელმა იკისრა. მთებზე ხეტიალის დროს მან მოგზაურის საუცხოო ალღო გამოიჩინა. გასაოცარი მიხვედრილობით იკვლევდა გზას სიბნელეში და თითქმის უჩინარ ბილიკეს მისდევდა ერთი მიმართულებით. მას დიდად ეხმარებოდა შორსმხედველობაც, რომლის შემწეობითაც მისი კატის თვალები წყვდიადშიც არჩევნენ წვრილმან საგნებსაც კი.

მოგზაურები სამი საათის განმავლობაში გაუჩერებლად იარეს ვახიტირენჯის მარჯვენა ფერდობზე. პაგანელი სამხრეთ-აღმოსავლეთის გეზს მისდევდა იმ ვარაუდით, რომ ოკლენდიდან ჰაუკსის ყურისაკენ მიმავალ გზაზე გასულიყო ვიწრო ხეობის ბილიკებით. ხეობის გავლის შემდეგ განზრახული ჰქონდა, გზიდა გადაეხვია და მთაგრეხილზე მოფარებით ევლო ზღვის სანაპიროსაკენ ამ პროვინციის უკაცურ კუთხეში.

თორმეტი საათის განმავლობაში თორმეტი მილი გაიარეს. მეტიც არ მოეთხოვებოდათ მამაც ქალებს. მიაღწიეს იმ ხეობას, რომელიც ორ მთაგრეხილს ერთიმეორისაგან ჰყოფდა. ოკლენდისაკენ მიმავალი გზა მარჯვნივ დარჩათ და სამხრეთისაკენ უხვევდა.

პაგანელმა, რომელიც რუკას ხელიდან არ იშორებდა, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაუხვია და დილის 10 საათზე მთელმა რაზმმა მიაღწია ცხვირწამოწვდილ მთის ციცაბო კლდის ძირს. აქ დაიდეს ბინა, საგზალი ამოალაგეს და სიამოვნებით შეექცნენ. მერი გრანტმა და მაიორმა, რომელნიც წინათ გვიმრას არ ეკარებოდნენ, ახლა საუცხოო კერძად მიიჩნიეს ის.

ორი საათის დასვენების შემდეგ ისევ აღმოსავლეთისაკენ გაუდგნენ გზას. საღამო ხანს მთის მახლობლად დაიდეს ბინა, რვა მილის მოშორებით და ცის ქვეშ გაათიეს ღამე. მეორე დღეს ძნელად სავალი გზა ჰქონდათ. უნდა გაევლოთ ვულკანური ტბების, გეიზერებისა და სოლფატერების მიდამოები, რომლებიც გადაჭიმული იყო ამ მთაგრეხილის აღმოსავლეთ მხარეს. ეს მგზავრობა თვალს უფრო ასიამოვნებდა, ვიდრე ფეხებს. ყოველი მეოთხედი მილის მანძილზე სჭირდებოდათ გაუვალი ადგილის გარს შემოვლა და დამქანცველი დაბრკოლებების გადალახვა. სამაგიეროდ, რა თავისებურ სანახაობას და რა სხვადასხვაობას იძლეოდა აქ ბუნება!...

ვრცელ მიდამოზე ათასნაირი სახით ვლინდებოდა მიწისქვეშა ძალების მოქმედება. კამკამა წყაროები გამოჩუხჩუხებდა ჩაის ხეების ბუჩქებიდან, მილიარდი მწერებით სავსე; წყაროებს დამწვარი დენთის სუნი ასდიოდა და ნაპირებს თეთრი ქაფი ელექებოდა თოვლის მსგავსად. მათი კამკამა წყალი თითქმის დუღდა, იქვე მახლობლა კი ცივ-ცივი ნაკადულები მოჩუხჩუხებდა და მათ ნაპირებზე ბუმბერაზი გვიმრები ყვაოდა. ნიადაგი ყოველი მხრიდან ისროდა ორთქლში გახვეულ შადრევნებს, როგორც რომელიმე ხელოვნურ პარკში. ზოგი მათგანი შეუჩერებლად ჩქეფდა, სხვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როგორც პლუტონის მოეპრიანებოდ. შადრევნები ბაქან-ბაქან მისდევდა. სქელი ორთქლის ღრუბლებში შერეული მათი წყალი ბუმბერაზ კიბეს ბანდა და თავის ქაფქაფა ჩანჩქერებს ტბებს უმატებდა. იმას იქით ცხელ შადრევნებსა და გეიზერებს ემატებოდა სოლფეტერები, რომლებიც ორთქლის და აირის სვეტებს უშვებდნენ. მთელი ნიადაგი ამობურცულიყო. ჰაერი გოგირდმჟავას სუნით იყო გაჟღენთილი. მიწა გოგირდის კრისტალებს დაეფარა. აქ საუკუნეებსი განმავლობაში დაგროვილიყო უამრავი სიმდიდრე, რომელიც ოდესმე, ალბათ, შეენაცვლება გამოფიტვის გზაზე დამდგარ სიცილიის გოგირდი ბუდობებს. მაშინ აწ ნაკლებად ცნობილ ახალ ზელანდიაშიც ფეხს მოიკიდებს მრეწველობა, რათა მარაგის ნაკლებობა შეივსოს.

ყველა იოლად წარმოიდგენს იმ სიძნელეებს, რომელიც მოგზაურებს ამ მიდამოების გადალახვის დროს ხვდებოდათ. აქ ჩამოსასხდომი ადგილიც კი არსად იყო. მონადირეებმა ვერც ერთი ფრინველი ვერ მოკლეს, რომ იგი ოლბინეტის ხელს გაებდღვნა. გვიმრის ძირებითა და ტკბილი ბატატით უნდა წასულიყვნენ იოლად, რომელიც მოქანცულ მგზავრებს ვერ ანაყრებდა. ყველა ნატრობდა, მალე გასცლოდა ამ უნაყოფო არემარეს, რასაც ოთხი დღე მოანდომეს.

მხოლოც 23 თებერვალს მოახერხეს გაჩერება მაუნგანამუს მთიდან ორმოცდაათიმილის მოშორებით და ბინა დაიდეს უსახელო მთის ძირას, რომელიც პაგანელის რუკაზე იყო აღნიშნული. აქედან თვალწინ იშლებოდა ბუჩქნარით დაფარული ველი, ცის დასალიერთან კი დიდი ტყე მოჩანდა. ეს კარგი ნიშანი იყო - იქნებ ამ მიდამოებში ხშირი მცენარეულობის გამო მაორებს არსად წასწყდომოდნენ. საბედნიეროდ, ჯერჯერობით მოგზაურებს არც ერთი მაორი არ შეხვედრიათ.

იმ დღეს მაიორმა და რობერტმა სამი კივი მოკლეს. ეს იყო გადაგვარების გზაზე დამდგარი უფრთო, მორბენალი ფრინველი. იმ დღის სადილი ამ ნანადირევით დაიმშვენეს, მაგრამ არ ეყოთ და ნისკარტიდან ფეხებამდე შესანსლეს რამდენიმე წუთში.

უსარგებლო იქნებოდა, გავჩერებულიყავით დანარჩენი გზის ერთფეროვან და ნაკლებსაგულისხმო ამბებზე. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება სამი ამბავი მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად.

მოგზაურები მთელი დღის განმავლობაში ტყეებსა და ველებზე მიდიოდნენ. ჯონ მანგლსი გზას იკვლევდა მზის და ვარსკვლავების მიხედვით. საკმაოდ მოწმენდილი, მაგრამ ღრუბლიანი ცა იფარავდა მათ სიცხისა და წვიმისაგან, მაგრამ დაქანცული მგზავრები ძლივსღა მიდიოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ რომელიმე მისიამდე მიღწევას. ლაპარკოდნენ, მაგრამ საუბარს საერთო ხასიათი აღარ ჰქონდა.

გლენარვანი უმეტესად მარტო მიდიოდა და რაც უფრო უახლოვდებოდა ოკეანეს, მით მეტად ხშირად ფიქრობდა "დუნკანსა" და მის ეკიპაჟზე. ავიწყდებოდა ის განსაცდელი, რომელიც ჯერ კიდევ მოსალოდნელი იყო ოკლენდამდე და მისი ფიქრები "დუნკანის" დახოცილ მეზღვაურებს დასტრიალებდა. ეს საზარელი მოჩვენება თავიდან არ სცილდებოდა. ჰარი გრანტის შესახებ აღარავინ ლაპარაკობდა. ანკი რა საჭირო იყო მასზე ლაპარაკი, როდესაც ვერაფერს არგებდნენ?...

თუ სადე იხსენიებოდა კაპიტან გრანტის სახელი, მხოლოდ მისი ასულისა და ჯონ მანგლსის საუბარში. ჯონს რც კი გაუხსენებია მერისათვის ის სიტყვები, რომელიც ქალმა უთხრა მას ტყვედ ყოფნის უკანასკნელ ღამეს. თავაზიანობა არ აძლევდა ამის ნებას. როდესაც ჰარი გრანტზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ჯონ მანგლსი მოჰყვებოდა მისი გადარჩენის გეგმებს, არწმუნებდა ქალს, გლენარვანი კვლავ განაახლებს ექსპედიციასო. ბარათების სინამდვილეში ეჭვი არ ეპარებოდა და დარწმუნებული იყო, გრანტი ნამდვილად ცოცხალია; მაშასადამე კიდევ უნდა მოიძებნოს, თუნდაც ამისათვის მთელი ქვეყნიერების შემოვლაც დაგვჭირდესო.

მერის თავბრუს ახვევდა მისი სიტყვები. ერთი აზრით შეერთებული მერი და ჯონი ერთნაირი იმედით სულდგმულობდნენ. ხშირად მოსაუბრეებს ელენიც მიემატებოდა, მაგრამ მათ ოცნებას არ იზიარებდა, თუმცა არც ხელს უშლიდა. ამ დროს მაკ-ნაბსი, რობერტი, ვილსონი და მიულრედი რაზმის ახლომახლო ნადირობდნენ და თითოეული მათგანი რაიმე ნანადირევით ამშვენებდა საერთო სუფრას. პაგანელი კი მუდამ წამოსასხამში იყო გახვეული და ყველას ერიდებოდა. მდუმარე იყო და ფიქრიანი. მართალია, ათასი განსაცდელი, გასაჭირი და დაღლილობა მშვიდი ხასიათის ადადმიანსაც კი აფორიაქებს და აბეზარ გუნებაზე აყენებს, მაგრამ ჩვენი მოგზაურები ისევ უერთგულესი მეგობრები იყვნენ და ერთიმეორისათვის თავს არ დაზოგავდნენ.

25 თებერვალს მდინარეს წაადგნენ, რომელსაც, როგორც პაგანელის რუკაზე იყო აღნიშნული, ვაიკარი ერქვა. აქ ფონს გავიდნენ. მას მერე ორი დღის განმავლობაში ბუჩქნარით დაფარულ ველზე იარეს. ტაუპოს ტბიდან ოკეანის სანაპირომდე ნახევარი გზა უხიფათოდ გაიარეს, მაგრამ ბევრი დაბრკოლება შეხვდათ. მერე დაიწყო დაუსრულებელი უღრანი ტყეები, რომლებიც ავსტრალიის ტყეებს მოგაგონებდათ.

ოთხი თვის მოგზაურობის განმავლობაში გლენარვანი და მისი ამხანაგები მიეჩვივნენ ბუნების მშვენიერებას, მაგრამ ბუბერაზი ფიჭვების ნახვამ ყველა აღაფრთოვანა. ისინი ლიბანის ნაძვის ღირსეული მეტოქეები იყვნენ. მათი გლუვი და სწორი ტანი უშტოებოდ ატყორცნილიყო ასი ფუტის სიმაღლეზე და მხოლოდ იმის ზევით ეწყებოდა ქოჩორა. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ასე, რომ ტყე გაბმით ხეების გროვას კი არ წარმოადგენდა, ეს იყო უამრავი

დაჯგუფებული და ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილი ხეები, რომლებსაც მხოლოდ კენწეროებზე გაეშალათ შტოები. ზოგიერთი მათგანი, რომელთა ხნოვანებაც ას წლამდე აღწევდა, ევროპის წითელ ფიჭვს ჰგავდა. მათი კენწეროები თავდებოდა მუქი მომწვანო ფერის წვეტინი კონუსით. უფრო ხნიერი ხეები კი, რომლებიც ხუთას-ექვსას წელს აღწევდნენ, განზე გასული გრძელი და გაკლაკნილი ტოტებით ერდოსავით წამოჰფარებოდნენ მიდამოს. ახალი ზელანდიის ტყეების ამ მამამთავართა წრეხაზი თხუთმეტ მეტრს აღწევდა. ასე რომ, ჩვენს მოგზაურებს რომ ხელი ხელს გადაებათ, მაინც ვერ შემოაწვდენდნე.

სამი დღის განმავლობაში მიდიოდნენ ამ ურიცხვი ხეების ქვეშ, თიხნარ ნიადაგზე, რომელსაც ჯერ ადამიანის ფეხი არ გაჰკარებოდა. ეს იქიდან ჩანდა, რომ ბევრგან ფიწვის ხეების ძირას გროვად და გროვად ეყარა რეზინი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეყოფოდა ადგილობრივ ექსპორტს. ჩვენს მონადირეებს აქ ბევრი კივი ხვდებოდათ, რომლებიც ასე იშვიათიღაა იმ მიდამოებში, სადაც მაორები დაიარებიან. ახალზელანდიური ძაღლების შიშით კივებს ამ ტყეებში უპოვიათ უშიშარი და მიუდგომელი ძაღლების შიშით კივებს ამ ტყეში უპოვიათ უშიშარი და მიუდგომელი თავშესაფარი. ასეთი ნანადირევი მშვენიერ და საღ საკვებს არ აკლებდა ჩვენს მოგზაურებს.

პაგანელმა ხშირ ჭალში თვალი მოჰკრა ორ ბუმბერაზ ფრინველ მოას. მათ დანახვაზე მასში ნატურალისტის ალღომ გაიღვიძა. მოიხმო თანამგზავრები და მართალია, დაღლილები იყვნენ, მაგრამ რობერტი, მაიორი და თვითონ პაგანელი გამოეკიდნენ ფრინველებს. გეოგრაფის ცნობისმოყვარეობა იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთ მეცნიერს ეს ფრინველები უკვე გადაშენებული ან მეტისმეტად იშვიათ მოვლენად მიაჩნია. ჰოჰშტეტერი და სხვა მოგზაურები კი ამტკიცებდნენ, რომ ეს უფრთო ბუმბერაზები ჯერაც ბუდობენ ახალ ზელანდიაში. ისინი უშველებელ სირაქლემას ჰგვანან: მეტად მფრთხალები არიან და საშინელი სისწრაფითაც გარბიან. ვერც ერთი ტყვია ვერ დაეწევა მათ. რამდენიმე წუთის დევნის შემდეგ მაღალ ხეებს მიეფარნენ და მონადირეებს მხოლოდ ტყვია-წამალის დახარჯვა შერჩათ.

იმ საღამოს, 1-ელ მარტს, გლენარვანი და მისი ამხანაგები, როგორც იქნა, გასცდნენ ფიჭვების თვალუწვდენელ ტყეს და ღამის გასათევად გაჩერდნენ ათას რვაასი მეტრის სიმაღლეზე, ცაში ატყორცნილი იკირანგის მთის ძირას. ახლა მაუნგანამუს მთიდან უკვე გამოვლილი ჰქონდათ ასი მილი და ოკეანის სანაპირომდე ოცდაათ მილამდე დარჩენოდათ. ჯონ მანგლსს იმედი ჰქონდა, ამ გზას ორ დღეში გაივლიდნენ, მაგრამ ჯერ არ იცოდა, რა დაბრკოლება შეხვდებოდა გზაზე. მართლაც, ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვა და გზად შეხვედრილი სიძნელეები, აგრეთვე განვლილი მანძილის გამოანგარიშებაში შეცდომები, გასავლელ გზას ერთი მეხუთედით მაინც ადიდებდა. მეორეც, იკი-რენჯისთან მისვლისს ყველანი ილაჯგაწყვეტილი და ქანცგამოლეული იყვნენ. ასე რომ, ზღვის სანაპირომდე ორ დღეზე მეტი უნდა ევლოთ, მით უმეტეს, რომ ამ მიდამოებში მაორები დაძრწოდნენ და მეტი სიფხიზლე მართებდათ.

ყველამ ძალ-ღონე მოიკირიბა და მეორე დღეს განთიადისას ისევ გზას გაუდგნენ. მარჯვნივ დარჩენილი იკირანგის მთისა და მარცხნივ სამი ათას შვიდას ფუტზე აზიდული ჰარდის მთის შუა გზა ძალიან ძნელი სავალი გამოდგა. აქ იყო ათი მილის მანძილზე გადაჭიმული და მახრჩობელა ლიანებით დაფარული ველი. ყოველ ნაბიჯზე ეხლართებოდათ ხელ-ფეხი, ლიანები ტანზე გველებივით ეჭდობოდნენ. ორი დღის განმავლობაში ცულით მიიკვლევდნენ გზას და ებრძოდნენ ამ მაგარ და ხვიარა მცენარეებს. პაგანელმა ეს მცენარეები ზოოფიტებს მიაკუთვნა.

ამ ველზე ნადირობა შეუძლებელი გახდა. მათი საგზალი ყუაზე იყო მისული, მისი შევსების საშუალება კი არ ჰქონდათ. აკლდათ წყალიც და წყურვილი უფრო უძლიერდებოდათ დაღლილობისს. გლენარვანი და მისი თანამგზავრები საშინალად იტანჯებოდნენ და მთელი ამ მგზავრობის დროს პირველად ახლა იგრძნეს, რომ უკანასკნელი ძალ-ღონე ელეოდათ. ძლივძლივობით მილასლასებდნენ, გატანჯულ-

გაწამებულნი, თავდაცვის ალღოს კარნახით, რომელიც კიდევ შერჩენოდათ. ასე მიაღწიეს მათ წყნარი ოკეანის ნაპირას ლოტინის კონცხს.

აქ ნახეს ომიანობისაგან დანგრეული რამდენიმე ქოხი და მიტოვებული მინდვრები. ყველგან ეტყობოდა ძარცვა-გლეჯისა და ხანძრის კვალი. ჩვენს მოგზაურებს აქ ახალი და საშინელი განსაცდელი ელოდა. ნელ-ნელა მილასლასებდნენ ზღვის პირას, როდესაც ერთი მილის მანძილზე მაორების ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა, რომელიც მათკენ გამოექანა იარაღის ჟღარუნით. გასაქანი არსად იყო. გლენარვანმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა და საბრძოლველად გაემზადა, როდესაც ჯონ მანგლსმა დაიძახა:

- აგერ, ნავი! ნავი!

ოციოდე ნაბიჯის მოშორებით ეგდო ექვსნიჩბიანი პირქვედამხობილი ნავი, რომელიც ზღვას გამოერიყა. სასწრაფოდ ჩაუშვეს წყალშიდა ყველანი შიგ ჩახტნენ. ჯონ მანგლსი, მაკ-ნაბსი, ვილსონი და მიულრედი ნიჩბებს მიუსხდნენ. გლენარვანმა საჭეს მოჰკიდა ხელი. ელენი, მერი, ოლბინეტი და რობერტი მის ფეხთით მოთავსდნენ. ათ წუთში მორა-ნავი უკვე მეოთხედი მილით მოსცილდა ნაპირს, ზღვა მიმყუდროებული იყო.

ნავზე სამარისებური სიჩუმე დამყარდა. ჯონ მანგლსმს არ უნდოდა, ძალიან დაშორებოდა ნაპირს და ბრძანა, ნაპირ-ნაპირ გაჰყოლოდნენ. უცებ კინაღამ ხელიდან გააგდო ნიჩაბი. თვალი შეასწრო, რომ ლოტინის კონცხს სამი ნავი მოსწყდა და მათ გამოედევნა.

- ზღვისკენ! შუა ზღვისკენ! - დასძახა მან, - გვიჯობს ტალღებში ჩავიხრჩოთ, ვიდრე კაციჭამიებს ჩავუცვივდეთ ხელთ.

მათი ნავი გაშლილ ზღვისაკენ გასრიალდა. ნახევარი საათის განმავლობაში მოახერხეს მდევრისაგან პირვანდელი მანძილით დაშორება, მაგრამ ჯან-ღონე ელეოდათ, სუსტდებოდნენ, მაორების სამი ნავი კი თანდათან ეწეოდა მათ. აგერ მათ შორის მხოლოდ ორი მილიღა იქნება! ეტყობოდა, ვერ აიცილებდნენ მაორების თავდასხმას, რომელნიც გრძელი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი და სასროლად ემზადებოდნენ. რას აკეთებდა ამ დროს გლენარვანი? ნავის ბოლოში ფეხზე იდგა და ჰორიზონტზე ეძებდა ხსნს. რას ელოდა? რა უნდოდა? იქნებ წინათგრძნობა ამოქმედებდა? უცებ თვალები აენთო, ხელი რაღაც საგნისაკენ გაიშვირა და დაიძახა:

- ხომალდი! მეგობრებო, ხომალდი! მოუსვით მძლავრად... გავცუროთ მისკენ!

მენიჩბეებს არც კი მიუხედავთ იქით, რომ დაენახათ მოულოდნელად გამოჩენილი ხომალდი, რადგანაც არც ერთი წამის დაკარგვა არ შეიძლებოდა. მხოლოდ პაგანელი წამოდგა თავისი ჭოგრით, გახედა ნაჩვენებ მხარეს და დაიყვირა:

- დიახ, ხომალდია, გემი! მთელი გაქანებით მოდის! ჩვენკენ მოქრის! აბა, მხნედ, ამხანაგებო!

უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და ნახევარი საათის განმავლობაში წინანდელი მანძილით მოიტოვეს მდევარი. გაქანებით მიასრიალებდნენ ნავს. ხომალდი თანდათან გარკვევით გამოჩნდა. უკვე მოჩანდა იალქნებდაბმული ორი ანძა და ყომრალი კვამლი. გლენარვანმა საჭე რობერტს ჩააბარა, გეოგრაფის ჭოგრს სტაცა ხელი და ხომალდის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა, მაგრამ რა უნდა ეფიქრათ მის ამხანაგებს, როდესაც ლორდი გაფითრდა, სახე შეეშალა, ჭოგრი ხელიდან გაუვარდა და უცებ სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

- "დუნკანი!"... "დუნკანი!" და კატორღელები!

- "დუნკანი"! - შესძახა ჯონ მანგლსმა, ნიჩაბს ხელი გაუშვA და ზეწამოიჭრა.

- ორივე მხრიდან სიკვდილი გველის! - ჩურჩულებდა გლენარვანი ამდენი უბედურებით გაწამებული.

მართლაც, ეს "დუნკანი" იყო თავისი ეკიპაჟით. მაიორს წყევლა-კრულვა აღმოხდა გულიდა. ეს მართლაც მეტისმეტი იყო! ნავი თითქმის თავმინებებული დარჩა. საით უნდა აეღოთ გეზი? საით გაცეულიყვნენ? განა მაორებსა და კატორღელებს შორის არჩევანი შეეძლოთ?

მაორების მოახლოებული ნავიდან თოფის სროლა მოისმა და ტყვიები ვილსონის ნიჩაბს მოხვდა. რამდენიმე ნიჩბის მოსმით კიდევ მიუახლოვდნენ "დუნკანს". ხომალდი მთელი გაქანებით მოდიოდა! ჯონ მანგლსმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ორ ცეცხლშუა მოქცეულები გაჩერდნენ "დუნკანსა" და მაორების მორა-ნავებს შორის. თავზარდაცემულმა ჯონ მანგლსმა ხელი სტაცა ცუილსა და ის იყო, ნავი უნდა გადაეჩეხა და ჩაეძირა თავისი ამხანაგებიანად, როდესაც რობერტის კივილმა შეაჩერა:

- ტომ ოსტინი! ტომ ოსტინი! - გაჰკიოდა ბავშვი, - აგერ, გემბანზეა. მე ვხედავ მას! იმანაც გვიცნო! ქუდს გვიქნევს!

ცული ხელში გაუშეშდა ჯონს. მეორე ყუმბარამ გადაიგრგვინა მის თავზე და მაორების მოახლოებული მორა-ნავი ნაფოტებად აქცია. "დუნკანზე" ხმამაღალი "ვაშა" გაისმა. თავზარდაცემული მდევარი ნავები ნაპირისაკენ გაეშურნენ.

- ჩვენკენ, ტომ, ჩვენკენ! - რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღრიალებდა ჯონ მანგლსი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ათივე მოგზაური "დუნკანის" გემბანზე იყო და თვითონაც ვერ გაერკვიათ, როგორ დააღწიეს განსაცდელს თავი.

თავი XVII

როგორ გაჩნდა "დუნკანი" ახალ ზელანდიაში

გლენარვანი, ჯონ მანგლსი, პაგანელი, რობერტი და მაიორიც კი სიხარულით ცას ეწივნენ. გეოგრაფი ხომ მთლად გადაირია. თავის ჭოგრს უმიზნებდა მაორების მორა-ნავებს, რომელბიც გამალებით შორდებოდნენ მათ, მაგრამ, როდესაც "დუნკანის" ეკიპაჟმა ახედ-დახედა გლენარვანისა და მისი ამხანაგების დაფლეთილ ტანისამოსს და მათ სახეზე აღბეჭდილ საშინელ ტანჯვას, მხიარულება პირზე შეაკვდათ. "დუნკანზე" ის გამბედავი მოგზაურები კი აღარ დაბუნდნენ, რომელნიც ამ სამი თვის წინ ხალისიანად და იმედიანად გაემართნენ გრანტის საძებრად, არამედ მათი აჩრდილები. ახლა ისინი მხოლოდ შემთხვევამ მოახვედრა "დუნკანზე", რომლის ნახვის იმედი აღარ ჰქონდათ.

გლენარვანმა ტომ ოსტინს დაუწყო გამოკითხვა, როგორ მოხვდა ამ მიდამოებში.

- "დუნკანი" რად არის ზელანდიაში? როგორ მოხდა, რომ ხომალდი ბენ ჯოისს არ ჩაუვარდა ხელთ? რა მიზნით მოდიოდით ამ გეზით?

- რატომ?! როგორ?! რა მიზნით?!

ასეთი კითხვები მიაყარეს ტომ ოსტინს. ძველმა მეზღვაურმა აღარ იცოდა, ვისთვის ესმინა. ბოლოს გადაწყვიტა, მხოლოდ გლენარვანისათვის გაეცა პასუხი.

- მერე, კატორღელები? - ჰკითხა გლენარვანმა, - რა მოუხერხეთ კატორღელებს?

- კატორღელებს? - კითხვითვე უპასუხა ოსტინმა ისეთი გამომეტყველებით, რომ ვერ გაეგო, რას ეკითხებოდნენ.

- დიახ, კატორღელები, ხომალდს რომ დაეცნენ?

- ვინ კატორღელები? რომელ ხომალდს?! - გაიოცა ოსტინმა.

- "დუნკანს"! სად არის ბენ ჯოისი, ხომალდზე რომ გამოგეცხადათ?

- არავითარი ბენ ჯოისს არ ვიცნობ და არც მინახავს როდისმე, - მიუგო ოსტინმა.

- არც გინახავს?! - შესძახა ძველი მეზღვაურის პასუხებით გაოცებულმა გლენარვანმა, - თუ ასეა, ტომ, მითხარი გეთაყვა, "დუნკანი" აქეთ რად წამოვიდა, ახალი ზელანდიის სანაპიროებისაკენ?!

გლენარვანს, ელენს, მერი გრანტს, პაგანელს, მაიორს, რობერტს, ჯონ მანგლსს, ოლიბენტს, მიულრედისა და ვილსონს ვერ გაეგოთ, რამ განაცვიფრა ძველი მეზღვაური, მაგრამ უფრო გაოცდნენ, როდესაც ოსტინმა დინჯად მიუგო:

- "დუნკანი" თქვენი ბრძანებით წამოვიდა ამ მიდამოებისაკენ.

- ჩემი ბრძანებით?!

- დიახ.. მე შევასრულე თქვენი განკარგულება, რომელიც 14 იანვრის წერილით მაცნობეთ.

- ჩემი განკარგულება! ჩემი წერილი! - გაოცებით შესძახა გლენარვანმა.

მოგზაურები გარს შემოხვეოდნენ ტომ ოსტინს და თითქმის თვალებით ჭამდნენ.

- ერთიმეორეს გავაგებინოთ რამე! - მიუგო გლენარვანმა, - თორემ თავი სიზმარში მგონია. ტომ, თქვენ მიიღეთ ჩემი წერილი?

- დიახ, მივიღე!

- მელბურნში?

- დიახ, მელბურნში, სწორედ იმ დროს, როდესაც ხომალდის შეკეთებას ვამთავრებდი.

- მერე ის წერილი...

- თქვენ ხელით არ იყო დაწერილი, თუმცა თქვენ აწერდით ხელს.

- სრული სიმართლეა. ჩემი დაწერილი თქვენ მოგიტანათ კატორღელმა ბენ ჯოისმა.

- არა, მილორდ, მეზღვაურმა აირტონმა, "ბრიტინიის" შკიპაერის თანაშემწემ.

- დიახ, დიახ! აირტონი და ბენ ჯოისი ერთი და იგივე პიროვნება. კეთილი, მერე, რა ეწერა წერილში?

- წერილში თქვენ მიბრძანებდით, რომ მელბურნი დაუყოვნებლივ დამეტოვებინა და წამოვსულიყავი აღმოსავლეთის სანაპიროებისაკენ....

- ავსტრალიისა! - ისეთი მოუთმენლობით შესძახა გლენარვანმა, რომ ძველი მეზღვაური შეკრთა.

- ავსტრალიისა?! - გაიმეორა მან და თვალები გაუფართოვდა.

- სრულიადაც არა, მილოდრდ, ახალი ზელანდიის!

- ავსტრალიის, ტომ, ავსტრალიისა! - მიაძახა გლენარვანის ყველა ამხანაგმა.

ტომ ოსტინი დაიბნა. გლენარვანი ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, რომ ტომი შეფიქრიანდა, ხომ არ შემეშალაო? ტომი, რომელიც ყოველთვის კეთილსინდისიერად და ზუსტად ასრულებდა დავალებას, ნუთუ მართლა შეცდა? ტომი გაწითლდა, ხმა ჩაუწყდა.

- დაწყნარდით, ტომ, გონება მოიკრიბეთ, - უთხრა ელენმა, - აქ, ალბათ, უზენასის სურვილი...

- არა, ქალბატონო, მაპატიეთ, მაგრამ ეს შეუძლებელია! მე არ შევმცდარვარ! წერილი წაიკითხა აირტონმაც, ისევე როგორც მე... პირქარით, მას უნდოდა, ავსტრალიის სანაპიროსაკენ წავსულიყავ.

- აირტონს?! - წამოიძახა გლენარვანმა.

- დიახ, აიროტნს! მარწმუნებდა, რომ წერილშიც შეცდომაა, რომ თქვენ შესახვედრ ადგილად ტუფოლდის ყურე დამინიშნეთ.

- თან გაქვთ წერილი, ტომ? - შეეკითხა უაღრესად დაინტერესებული მაიორი.

- დიახ, ახლავე მოგართმევთ, - მიუგო ოსიტნმა და ხომალდის წინა გემბანისკენ გაეშურა, თავის კაიუტაში. ყველამ მდუმარედ გადახედა ერთმანეთს. გულხელდაკრეფილი მაიორი კი გაშტერებით მისჩერებოდა პაგანელს:

- პაგანელ, გამოგიტყდებით, თუ ეს სიმართლე ასეა, მეტისმეტი მოგსვლიათ!

- როგორ?! - იკითხა პაგანელმა და მთელი ტანით კითხვის ნიშნად გადაიქცა.

ოსტინი მალე დაბრუნდა. მას ხელთ ჰქონდა პაგანელის ხელით დაწერილი და გლენარვანი ხელმოწერილი წერილი, რომელიც გლენარვანს გაუწოდა.

- ინებეთ! - გაუწოდა მან.

გლენარვანმა ჩამოართვა და წაიკითხა: "ბრძანება ტომ ოსტინს. დაუყოვნებლივ გამოდი ზღვაში და "დუნკანი" წამოიყვანე განედის 37°-ის გეზით, ახალი ზელანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე"

- ახალი ზელანდიის! - წამოიძახა პაგანელმა და შეხტა. წერილი ხელიდან გამოსტაცა გლენარვანს, თვალები მოიფშვნიტა, სათვალე ცხვირზე წამოიცვა და გადაიკითხა, - ახალი ზელანდიის! - ისეთი კილოთი ჩაილაპარაკა, რომ გადმოცემა შეუძლებელია. წერილი ხელიდან გაუვარდა. ამ დროს მან იგრძნო, რომ ვიღაცის ხელში დაეშვა მის მხარეზე, წელში გასწორდა და მაიორს პირისპირ შეხვდა.

- აბა, ძვირფასო პაგანელ! - სერიოზული კილოთი უთხრა მაკ-ნაბსმა, - კიდევ ჩვენი ბედი, რომ "დუნკანი" ინდოჩინეთში არ გაისტუმრეთ!

ამ ოხუნჯობამ მთლად გაანადგურა გეოგრაფი. ხარხრი ატეხა მთელმა ეკიპაჟმაც. პაგანელმა კი თავში იტაცა ხელები, თმას იგლეჯდა, გადარეულივით დარბოდა გემბანზე. აღარ იცოდა, რა ექნა! ზედა ერდოდან კაპიტნის ხიდზე ავიდა, იქიდან წინა გემბაზე ავარდა. გონებადაბნეული იყო. იქ ბაგირებში გაეხლართა ფეხები, შეტორტმანდა, წაბარბაცდა და რაღაც თოკს გამოჰკრა ხელი. უცებ საშინლად იჭექა. წინა ბაქანზე მდგარი ზარბზანი გავარდა და ზღვას ყუმბარები მიყარა. თურმე საბრალო პაგანელს ხელი გამოეკრა გატენილ ზარბაზნის საფილე თოკისათვის, ფალიამ იფეთქა და ზარბაზანი გავარდა. გეოგრაფი წინა კიბის თავზე გაიშხლართა და ტრიუმისკენ ჩასასვლელ კარში ჩახრიგინდა.

სროლის ხმით გამოწვეული გაოცება შიშის ზარად იქცა. ყველას ეგონა, უბედურება შეემთხვა. ათმა მეზღვაურმა ჩაირბინა ტრიუმში და პაგანელი გემბანზე ამოიტანეს. გეოგრაფი ხმას არ იღებდა. მისი გრძელი სხეული ბოლო ანძის გემბანზე დაასვენეს. მეგობრებს ელდა ეცათ. მაიორმა, რომელიც ასეთ შემთხვევაში ექიმის მოვალეობას ასრულებდა ხოლმე, სცადა პაგანელისათვის გაეხნა ტანისამოსი და ჭრილობა შეეხვია, მაგრამ რაწამს მომაკვდავს მიეკარა, პაგანელი წამოიწია, თითქოს ელექტროდენმა დაჰკრაო.

- არასოდეს! არასოდეს! - გაჰკიოდა იგი და ჩამომხმარ სხეულზე დახეულ წამოსასხამს იხურავდა; საშინელი სისწრაფით შეიკრა ყველა ღილი.

- მაცალეთ, პაგანელ, - ეუბნებოდა მაიორი.

- არა, ხომ ვთქვი, არა-მეთქი.

- უნდა გაგსინჯოთ, გნახოთ.

- ვერ გამსინჯავთ!

- იქნებ იღრძეთ რამე, იქნებ მოიტეხეთ! - განაგრძობდა მაკ-ნაბსი.

- დიახ, გამიტყდა, - მიუგო პაგანელმა და წამოიწია მაღალ კანჭებზე, - რაც გამიტყდა, დურგალი გაამთელებს!

- სახელდობრ, რა გაგიტყდათ?

- გემბანის მოაჯირი.

ყველას ხარხარი აუტყდა. დარწმუნდნენ, რომ მათი ღირსეული მეგობარი მშვიდობიანად გადარჩენოდა ხიფათს. მაიორი კი გულში ფიქრობდა მეტისმეტი მორცხვი რამ ყოფილა ეს გეოგრაფი, მაგრამ დამშვიდებულ პაგანელს ერთ კითხვაზე მაინც უნდა გაეცა პასუხი:

- ახლა გულახდილად მიპასუხეთ, პაგანელ, - მიმართა გლენარვანმა, - გამოგიტყდებით, ამ შემთხვევაში მხოლოდ თქვენმა აბნეულობამ გადაგვარჩინა. უთქვენოდ "დუნკანი" კატორღელებს ჩაუვარდებოდათ ხელში, ჩვენ კი ისევ მაორების ხელში ჩავცვივდებოდით! მითხარით გეთაყვა, რა უცნაურმა ზეშთაგონებამ, რა უცნაურმა ასოციაციამ გიკარნახათ ახალი ზელანდია ავსტრალიის ნაცვლად?

- რა ასოციაციამ? ეშმაკმა იცის ჩემი თავი! მაგრამ, ჰო, სწორედ იმან, იმან! - შესძახა პაგანელმა, მაგრამ ამ დროს მისი თვალი რობერტსა და მერის მოხვდა და უცებ შეაჩერა სიტყვა, ბოლოს მიუგო:

- რა გნებავთ ჩემგან, გლენარვან!... ასეთი გადარეული ვარ, გამოუსწორებელი და ამ დაბნეულობის ტყავში ამომივა სული!...

- თუ ეგ ტყავი ცოცხლად არ გაგაძრეს! - ჩაურთო მაიორმა.

- ცოცხლად გამაძრეს?! როგორ!? - მრისხანედ შესძახა გეოგრაფმა, - თქვენ გადაკვრით ლაპარაკობთ, მაიორო!

- მაინც, როგორ გადაკვრით, ბატონო პაგანელ? - მშვიდად ჰკითხა მაიორმა...

ლაპარაკი ამით შეწყდა. ახალი ზელანდიის წყლებში "დუნკანის" მოულოდნელად გამოჩენის საიდუმლოებას ფარდა აეხადა; სასწაულით გადარჩენილ მოგზაურებს ისღა დარჩენოდათ, თავ-თავიანთ მყუდრო კაიუტებში ჩასულიყვნენ, ტანისამოსი გამოეცვალათ და საუზმეს შემოსხდომოდნენ.

როდესაც ელენი, მერი გრანტი, მაიორი, პაგანელი და რობერტი დაბლა ჩავიდნენ, გლენარვანი და ჯონ მანგლსი ისევ ოსტინთან დარჩნენ.

გლენარვანმა ჰკითხა:

- ჩემო ძველო მეგობარო, ახლა მაინც მითხარით, განა უცნაურად არ გეჩვენათ ახალი ზელანდიის სანაპიროებისაკენ გამგზავრების ბრძანება?

- რა თქმა უნდა სერ! - მიუგო ოსტინმა, - ძალიან გამიკვირდა, მაგრმ ჩვეულებად არ მაქვს ბრძანების განსჯა და მეც შევასრულე იგი. ან სხვაგვარად როგორ მოვიქცეოდი? თქვენი ინსტრუქციების შეუსრულებლობას რომ უბედურება მოჰყოლოდა, განა მე არ ვაგებდი პასუხს? თქვენ სხვანაირად მოიქცეოდით, კაპიტანო? - მიუბრუნდა ჯონ მანგლსს.

- არა, ტომ! - მიუგო მან.

- ვიფიქრე, ალბათ, კაპიტან გრანტის ძებნის ინტერესებმა მოითხოვა-მეთქი ჩემი აქეთ გამოგზავნა. ვფიქრობდი, ალბათ, განსაკუთრებული მოსაზრების გამო გადაწყვიტეთ ახალ ზელანდიაში გადასვლა რომელიმე სავაჭრო გემით და მე უნდა დაგლოდებოდით მის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მეორეც ის, რომ მელბურნიდან გამოსვლისას არ გამიცხადებია ჩემი გამგზავრების გეზი. ეკიპაჟმა მხოლოდ მაშინ შეიტყო ეს, როდესაც უკვე გაშლილ ზღვაში ვიყავით და ავსტრალიის სანაპიროები თვალიდან დავკარგეთ. აი, სწორედ მაშინ მოხდა ხომალდზე ერთი ამბავი, რომელმაც ძალიან შემაფიქრიანა.

- რა ამბავი, ტომ? - იკითხა გლენარვანმა.

- როდესაც შკიპერის თანაშემწე არიტონმა მეორე დღეს შეიტყო, საით მივემართებოდით...

- აირტონი?! - შესძახა გლენარვანმა, - როგორ?! განა ის ხომალდზეა?!

- დიახ.

- აირტონი აქ არის! - გაიმეორა გლენარვანმა და ჯონ მანგლსს გადახედა.

ლორდისა და კაპიტნის მეხსიერებაში ელვასავით გაირბინა ამ არამზადის წარსულმა, მისმა ღალატმა, გლენარვანის დაჭრამ, მიულრედის მოკვლის ცდამ, ექსპედიციის უბედურებამ სნოუს ჭაობებში ჩარჩენის დროს... და ახლა უცნაური გარემოების წყალობით კატორღელი ხომალდზეა, მათ ხელში!

- სად არის? - ფიცხლავ შეეკითხა გლენარვანი.

- ერთ-ერთ კაიუტაში გახლავთ, ცხვირის მხარეს, - მიუგო ტომ ოსტინმა, - ყოველთვის თვალწინ მყავს.

- რად დამწყვდიეთ?

- როდესაც შეიტყო, ხომალდი ახალი ზელანდიისაკენ მიდისო, გაცეცხლდა, გამძვინვარდა და "დუნკანის" გეზის შეცვლა მოიწადინა... მუქარა დამიწყო და ჩემი ხალხის აჯანყება სცადა. მაშინ მივხვდი, ეს კაცი საშიში ყოფილა-მეთქი და წინასწარი ზომები მივიღე.

- მერე?

- მას შემდეგ თავისი კაიუტიდან არ გამოსულა.

- კარგად მოქცეულხართ, ტომ!

ამ დროს გლენარვანსა და ჯონ მანგლსს საერთო დარბაზში ჩასვლა სთხოვეს. მათთვის საუზმე გაშლილი იყო. ყველანი სუფრას მიუსხდნენ, აირტონზე ჯერ სიტყვაც არ დაუძრავთ.

საუზმეს მორჩნენ. "დუნკანის" მეზღვაურებმა სული მოითქვეს. ყველამ ტანისამოსი გამოიცვალა და გემბანზე ავიდნენ. გლენარვანმა გაუმჟღავნა მათ აიროტონის "დუნკანზე" ყოფნა და განაცხადა, მინდა ყველას წინაშე წარდგეს და ყველაფერი აგვიხსნასო.

- არ შეიძლება, მე არ დავესწრო ამ დაკითხას? - იკითხა ელენმა, - უნდა გამოგიტყდეთ, ძვირფასო ედუარდ, რომ იმ უბედურის შეხედვა მეტად სამძიმო იქნება ჩემთვის.

- ელენ, მასთან დაპირისპირება საჭიროა, - მიუგო გლენარვანმა, - დარჩით, გთხოვთ. ბენ ჯოისმა უნდა ნახოს მისგან განწირული მსხვერპლნი.

ელენი დამორჩილადა და მერი გრანტთან ერთად გლენარვAნის მახლობლად მოთავსდა. მის ირგვლივ იდგნენ მაიორი, პაგანელი, ჯონ მანგლსი, რობერტი, ვილსონი,

მიულრედი და ოლბინეტი, რომელთაც ამდენი სიმწარე გამოიარეს კატორღელის ღალატის გამო. ხომალდის ეკიპაჟმა არ იცოდა ამ სცენის დანიშნულება და მდუმარედ იდგა.

- მომგვარეთ აირტონი! - ბრძანა გლენარვანმა.

თავი XVIII

აირტონი თუ ბენ ჯოისი?

აირტონი გამოცხადდა. მან მტკიცე ნაბიჯით გამოიარა გემბანი და ზემო ერდოზე ამოვიდა. მისი გარეგნობა არც ზვიადობას გამოხატავდა, არც შეშფოთებას. ლორდის წინაშე დინჯად გაჩერდა, გულ-ხელი დაიკრიფა და მდუმრედ უცდიდა კითხვებს.

- აირტონ, - დაიწყო გლენარვანმა, - აი, ყველანი აქა ვართ, "დუნკანზე", რომელიც თქვენ გინდოდათ ბენ ჯოისის ბრბოსათვის გადგეცათ!

აირტონს ტუჩები ოდნავ შეუთრთოლდა, სიწითლემ გადაურბინა ლოყებზე, მაგრამ ეს სინანულის სიწითლე როდი იყო. ეს მარცხით გამოწვეული სიწითლე გახლდათ. ხომალდზე, რომლის დაპატრონებასაც ლამობდა, ახლა თვითონვე ტყვედ არის და მისი ბედი რამდენიმე წუთში გადაწყდება. აირტონს პასუხი არ მიუცია. გლენარვანი მოთმინებით ელოდა, მაგრამ ალბათ, აირტონმა სიჩუმე არჩია.

- ილაპარაკეთ აირტონ! აბა, რისი თქმა შეგიძლიათ? - განაგრძობდა გელნარვანი.

აირტონს თითქოს უჭირდა ენის დაძვრა. შუბლის ნაოჭები დაეჭმუჭნა. ბოლოს მშვიდად თქვა:

- სათქმელი არაფერი მაქვს. იმდენად სულელი ვიყავი, რომ მახეში გავები. მომექეცით ისე, როგორც გნებავთ, - დააცქერდა შორეულ ნაპირს აღმოსავლეთისაკენ და თითქოს აღარც კი ამჩნევდა ვინმეს თავის გარშემო. თითქოს მას არ ეხებოდა ის, რაც აქ ხდებოდა. გლენარვანმა მაინც მოიკრიბა მოთმინება. მანს უნდოდა შეეტყო ზოგიერთი წვრილმანი აიროტნის ბნელით მოსილი წარსულისა "ბრიტანიაზე" ყოფნის დროს და მისი ურთიერთობა ჰარი გრანტთან.

- მე მაინც მგონია, რომ ზოგერთ კითხვაზე გვიპასუხებთ, აირტონ. ჯერ ერთი, როგორ უნდა გიწოდოთ - აირტონი თუ ბენ ჯოისი? თქვენ მართლა შკიპერის თანაშემწედ იყავით "ბრიტანიაზე"?

აირტონი გაშტერებულიყო და თითქოს დაყურებული იცქირებოდა სანაპიროსაკენ. გლენარვანის თვალები ცეცხლს აკვესებდა, მაგრამ მაინც შეეკითხვა:

- მიპასუხეთ, აიროტნ, რა პირობებში დატოვეთ "ბრიტანია" და რატომ მოხვედით ავსტრალიაში?

ისევ სიჩუმე.

- გამიგონეთ, აირტონ! თქვენთვის უმჯობესია, ილაპარაკოთ, რადგან მხოლოდ გულახდილობას შეუძლია შეამსუბუქოს თქვენი მდგომარეობა. უკანასკნელად გეკითხებით, გსურთ თუ არა მიპასუხოთ კითხვებზე?

აირტონმა გლენარვანისაგან იბრუნა პირი და თვალებში ჩააცქერდა:

- მე სათქმელი არაფერი მაქვს. ჩემი დამნაშავეობის საკითხი სასამართლომ უნდა დაამტკიცოს და არა - მე.

- საბუთები საკმაოა! - მიოუგო გლენარვანმა.

- საკმაოა?! - დამცინავი კილოთი გაიმეორა აირტონმა, - მგონია, თქვენი აზვიადებით და ცდებით. მე ვამტკიცებ, რომ საუკეთესო მსაჯულსაც გაუძნელდებოდა ჩემთვის ბრალდების წაყენება. ვის შეუძლია თქვას, რისთვის მოხვდა ავსტრალიაში, როდესაც აქ არ არის კაპიტანი გრანტი, რომელსაც შეეძლო ეთქვა რამე ამის შესახებ? ვინ დამიმტკიცებს, რომ მე იგივე ბენ ჯოისი ვარ, რომელსაც დაეძებს პოლიცია, თუკი პოლიციის ხელში

არასოდეს ვყოფილვარ და ჩემი ამხანაგებიც თავისუფლად დასეირნობენ?! ვის შეუძლია იმის დამტკიცება, რომ მე მინდოდა ამ ხომალდის ხელში ჩაგდება და კატორღელებისათვის გადაცემა? არავის, გესმით თუ არა, არავის! თქვენ მხოლოდ ეჭვი გაქვთ!... ბრალის დასადებად საჭიროა დამამტკიცებელი საბუთები, თქვენ კი ეს არ მოგეპოვებათ. სანამ წინააღმდეგს არ დამიმტკიცებთ, მე ისევ აირტონი ვარ, "ბრიტანიის" შკიპერის თანაშემწე.

აირტონი აღშფოთებით ლაპარაკობდა, მაგრამ მერე ისევ დაიცხრო გული. ალბათ, ეგონა, მისი განცხადების შემდეგ დაკითხვას შეწყვეტდნენ, მაგრამ გლენარვანმა კვლავ დაიწყო:

- აირტონ, მე მსაჯული არ ვარ, რომ ბრალი დაგდოთ. ეს არ არის ჩემი საქმე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი ურთიერთობა. იმას კი არ გეკითხებით, რაც თქვენს წინააღმდეგ საბუთად გამოდგება. ეგ სასამართლოს საქმეა, მაგრამ თქვენ იცოდით, რა მიზანიც გვქონდა დასახული. თქვენ შეგიძლიათ ერთი სიტყვით დაგვაყენოთ სწორ გზაზე. აი, ამის შესახებ გსურთ თუ არა ილაპარაკოთ?

- აიროტნმა უარის ნიშად თავი გაიქნია.

- იმას მაინც ვერ მეტყვით, აირტონ, სად არის კაპიტანი გრანტი? - შეეკითხა გლენარვანი.

- ვერა!

- აირტონ! - ხვეწნით მიმართა გლენარვანმა, - თუ იცით სად იმყოფება ჰარი გრანტი მის საბრალო შვილებს მაინც უთხარით. ესენი მხოლოდ ერთ სიტყვას მოელიან თქვენგან!

აირტონი თითქოს შეყოყმანდა, სახე დაეღმიჭა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

- არ შემიძლია! - მერე უფრო მკვახედ დაუმატა, თითქოს წუთიერი სისუსტისათვის თავის თავს უსაყვედურაო, - არაფერს გეტყვით. თუ გნებავთ, ჩამომახრჩვეთ!

- ჩამოგახრჩოთ?! - წამოიძახა განრისხებულმა გლენარვანმა, მაგრამ თავი შეიკავა და კატორღელს უთხრა, - აირტონ, აქ არც მოსამართლეა ვინმე, არც ჯალათი. პიველივე გასაჩერებელ ადგილზე ინგლისის ხელისუფლებას გადაგცემთ.

- მეც მხოლოდ მაგას ვითხოვ, - მიუგო აირტონმა და დინჯი ნაბიჯით გაემართა თავისი კაიუტისაკენ, რომელიც სატუსაღოს მაგივრობას ასრულებდა.

ორი მეზღვაური მუდამ ჰყავდა დარაჯად დაყენებული მის კარს; ნაბრძანები ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ ყოველი მისი მოძრაობისათვის. ყველანი აღშფოთებულნი და სასოწარკვეთილნი დაიშალნენ. რაკი გლენარვანმა აირტონისაგან ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო, რაღა დარჩენოდათ? ალბათ, მხოლოდ იმ გეგმის განხორციელება, რომელიც იდენში დაისახეს, ე.ი. ევროპაში დაბრუნება და ექსპედიციის თავიდან დაწყება. როგორც ჩანს, "ბრიტანიის" კვალი სამუდამოდ დაკარგული იყო, ნაპოვნ ბარათებში ახალი რამ აზრი არ ამოუკითხავთ, მაშასადამე, უკან დაბრუნების მეტი აღარაფერი რჩებოდათ.

გლენარვანი თანამგზავრებს მოელაპარაკა და ბოლოს უფრო დაწვრილებით ითათბირა ჯონ მანგლსთან. კაპიტანმა დაათვალიერა "დუნკანის" ქვანახშირის საწყობები და აღმოჩნდა, რომ საწვავის მასალა მხოლოდ თხუთმეტი დღის საკმარისი იყო. მაშასადამე, უახლოეს გაჩერებაზე უნდა შეევსოთ მისი მარაგი. ჯონმა ურჩია გლენარვანს, ტალკაჰუანოს კონცხისაკენ წასულიყვნენ, სადაც "დუნკანმა" ერთხელ უკვე შეივსო მარაგი, როდესაც ოკეანის გადასერვას აპირებდნენ. ეს იყო პირდაპირი გზა, რომელიც 37-ე პარალელს გასდევდა. კარგად მომარაგებული ხომალდი იქიდან ჰორნის კონცხს ჩაუვლიდა და უკვე ატლანტის ოკეანის გზით ევროპისაკენ გაბრუნდებოდა.

რაწამს ასეთი გეგმა მიიღეს, მექანიკოსს განკარგულება მისცეს, ორთლის ქვაბები გაეხურებინა. ნახევარი საათის შემდეგ ტალკაჰუანოსაკენ აიღეს გეზი და საღამოს ექვს საათზე ახალი ზელანდიის მწვერვალები უკვე თვალიდან ეკარგებოდათ ჰორიზონტის ვარვარა ნისლში.

ასე დაიწყო მათი უკან დაბრუნება. ეს იყო ნაღვლიანი მგზავრობა მამაცი მაძიებლებისა, რომელთაც ვერ მიეღწიათ მიზნისათვის და ბრუნდებოდნენ სახლში! ამიტომაც ხომალდის მთელი ეკიპაჟი, რომელიც ასე ბედნიერი იყო გამგზავრების დროს, ახლა სევდიანი

ბრუნდებოდა ევროპაში. არც ერთ მათგანს არ მიუხაროდა სახლისაკენ. ყველანი მზად იყვნენ, კიდევ აეტანათ ათასი საფრთხე და განსაცდელი, ოღონდ კაპიტანი გრანტი ეპოვათ.

უგუნებობა დასჩემდა ყველას. აღარც მხიარული საუბარი, აღარც პაგანელის ამბები, რომელიც ასე ამხიარულებდა და ახალისებდა მგზავრებს. ყველანი თავ-თავიანთ კაიუტეში იყვნენ შეკეტილები და იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ "დუნკანის" გემბანზე.

პაგანელი, რომელიც თითქმის გამომხატველი იყო საერთო მხიარულებისა, რომელიც სხვა დროსა და პირობებში ყველას ამხნევებდა, ახლა თვითონ მდუმრე იყო. თვალით აღარავის ეჩვენებოდა. ყველაზე მეტად გაწბილებული ჩანდა. როდესაც გლენარვანი საუბარს დაიწყებდა გრანტის ძებნის განახლებაზე, პაგანელი იმედდაკარგული ადამიანივით თავს გაიქნევდა, თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა "ბრიტანიის" მგზავრების ხვედრიო. ყველანი გრძნობდნენ, რომ პაგანელი დაღუპულად თვლიდა კაპიტან გრანტს, მაგრამ ხომალდზე იყო ერთი ადამიანი, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეეძლო ამის შესახებ. ის კი სიჩუმეს განგრძობდა.

ეს იყო აირტონი. მან ნამდვილად იცოდა გრანტის ადგილსამყოფელი, მაგრამ არაფერს ამხელდა, რადგან გრანტი საშიში მოწმე იყო მის წინააღმდეგ. ალბათ, ამის გამო დუმდა აირტონი. ამიტომ მეზღვაურებიც ამრეზით უყურებდნენ. გლენარვანმა კიდევ რამდენჯერმე სცადა გაეგო რამე აირტონისაგან, მაგრამ არც დაპირებამ, არც მუქარამ ნაყოფი არ გამოიღო, აირტონის ჯიუტობა ისეთი უსაზღვრო და გაუგებარი იყო, რომ მაიორმა დაასკვნა, აირტონმა მართლაც არაფერი იცის გრანტისაო. ამავე აზრს იზიარებდა გეოგრაფიც, რომელსაც საკუთარი დასკვნა ჰქონდა გრანტის ხვედრის შესახებ, მაგრამ თუ აირტონმა არა იცოდა რა, რატომ არ გამოტყდა? ეს ხომ არავითარ ვნებას არ მიაყენებდა მას. მისი სიჩუმე კი მათ მომავალი გეგმის შემუშავებას ართულებდა. რადგან აიროტნი ავსტრალიაში ნახეს, იქნებ კაპიტანი გრანტიც იყო ოდესღაც ამ მატერიკაზე? ამის პასუხი მაინც უნდა გამოეგლიჯათ აიროტნისათვის.

როდესაც ელენი დარწმუნდა, რომ მისმა მეუღლემ აიროტნთან ვერაფერი გააწყო, სთხოვა ნება მომეცი, მე მოველაპარაკო აირტონსო. ფიქრობდა, ეგებ ქალმა უფორ მოახერხოს რამე იქ, სადაც მამაკაცი ვერაფერს გახდაო. გლენარვანი კარგად იცნობდა თავის მეუღლეს და სრული თავისუფლება მიანიჭა ამ საქმეში.

იმ დღეს, 5 მარტს, აირტონი ელენთან მიიყვანეს. ამ შეხვედრას მერი გრანტიც დაესწრო, რადგან მისი იქ ყოფნა ერთგვარ გავლენას იქონიებდა აირტონზე. ეს ორი ქალი მთელი საათის განმავლობაში ცალკე იყო აირტონთან, მაგრამ მათი საუბრის შედეგი საიდუმლოდ დარჩა. რა ილაპარაკეს, რა ხერხს მიმართეს, რომ კატორღელის საიდუმლოება გაეგოთ არავინ იცოდა, მაგრამ აირტონთან საუბრის შემდეგ უიმედობა აღბეჭდილიყო მათ სახეზე, ამიტომ როდესაც აიროტნი ელენის კაიუტიდან გამოატარეს, მეზღვაურები მუქარას უთვლიდნენ მას. ის კი მხრების აწევით უსიტყვოდ განაგრძობდა გზას და უფრო აბრაზებდა მათ.

ამრეზილი ეკიპაჟის დასამშვიდებლად ჯონ მანგლსი და გლენარვანი ჩაერივნენ საქმეში. ელენი დამარცხებულად მაინც არ გრძნობდა თავს. მას უნდოდა ბოლომდე მიჰყოლოდა ამ გულქვა მეზღვაურს და მეორე დღეს თვითონ ესტუმარა აირტონს კაიუტაში, რათა გუშინდელი ამბები არ განმეორებულიყო გემბანზე აირტონის გავლის დროს. ორი დაუსრულებელი საათი დარჩა ეს გულკეთილი და გულჩვილი შოტლნდიელი ქალი კატორღელების მეთაურთან პირისპირ. გლენარვანი საშინელი მღელვარებით მიმოდიოდა კაიუტი წინ. ხან დააპირებდა შეეწყვიტა ელენისათვის სამძიმო საუბარი, ხან კი ფიქობდა, ეგებ გამოირკვეს რამეო.

როდესაც ელენი აირტონის კაიუტიდან გამოვიდა, მის სახეზე იმედი იყო ასახული. ნუთუ მოახერხა და რაიმე ათქმევინა აიროტნს? მაკ-ნაბსი ეჭვის თვალით შეხვდა მის შუამავლობის შედეგს. ეკიპაჟს კი ხმა მოედო, შკიპერის თანამშემწე გატყდაო. ყველა მეზღვაური გემბანზე ამოიშალა, თითქოს ტომ ოსტინის საყვირს სამუშაოდ მოუწოდებიაო. გლენარვანი მეუღლეს შეეგება.

- თქვა რამე? - შეეკითხა ლორდი.

- არა, - მიუგო ელენმა, - მაგრამ ჩემი თხოვნით თქვენი ნახვა მოისურვა.

- ელენ, მაშ მოგიხერხებიათ!

- იმედი მაქვს, ედუარდ.

- დაპირება ხომ არაფერი მიგიციათ, რომელც მეც უნდა დავადასტურო?

- მხოლოდ ერთი, ჩემო მეგობარო, რომ თქვენ უნდა შეეცადოთ, იმ უბედურს ხვედრი შეუმსუბუქდეს.

- კეთილი, დაე, ახლავე მოვიდეს აირტონი ჩემთან.

ელენი თავის კაიუტაში შევიდა მერი გრანტის თანხლებით. აირტონი კი საერთო დარბაზში შეიყვნეს, სადაც მას გლენარვანი ელოდა.

თავი XIX

შეთანხმება

რაწამს აირტონი გლენარვანს წარუდგინეს, დარაჯები გამობრუნდნენ.

- თქვენ ჩემთან გსურთ საუბარი აირტონ? - ჰკითხა გლენარვანმა.

- დიახ, - მიუგო მან.

- მხოლოდ ჩემთან?

- დიახ, მაგრამმგონია, უმჯობესი იქნებოდა, თუ ჩემს საუბარს დაესწრებოდნენ მაიორი მაკ-ნაბსი და ბატონი პაგანელი.

- უმჯობესი იქნებოდა? ვისთვის?

- ჩემთვის.

აირტონი მშვიდად ლაპარაკობდა. გლენარვანმა დაკვირვებით ახედ-დახედა და მერე მოიხმო მაკ-ნაბსი და პაგანელი.

- ყველანი გისმენთ, აირტონ, - უთხრა გლენარვანმა, რაწამს მისი მეგობრები ჩამოსხდნენ.

აირტონი ერთხანს დაფიქრებული დუმდა და მერე დაიწყო:

- სერ, ჩვეულებრივ, როდესაც ორი კაცი რიგდება რამეში, საზავო ხელშეკრულებას დებენ და მოწმეებს ისწრებენ ხოლმე. აი, ამისათვის მოვითხოვე ბატონი პაგანელისა და პატონი მაკ-ნაბსის დასწერება. არსებითად, ამისათვის გეახელით, რომ თქვენთვის მორიგების პირობები წარმომედგინა.

- აბა, რა პირობებია? - შეეკითხა გლენარვანი.

- აი, რა, - მიუგო აიროტნმა, - თქვენ გნებავთ ჩემგან შეიტყოთ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც თქვენთვის გამოსადეგია. მე კი თქვენგან მინდა მივიღო ზოგი დაპირება, რასაც ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე ვყიდი, თქვენ ყიდულობთ. ასეთ პირობაზე თანხმა ხართ?

- კი, მაგრამ ეგ რომელი ფაქტებია? - შეეკითხა პაგანელი.

- არა, - სიტყვა გააწყვეტინა გლენარვანმა, - როგორი დაპირებანია?

აირტონმა თავის დაქნევით ანიშნა, რომ გლენარვანის ნათქვამს მიხვდა.

- აი, რას მოვითხოვ თქვენგან, სერ. თქვენ ისევ განზრახული გაქვთ, რომ ინგლისის მართლმსაჯულებას გადამცემთ?

- დიახ, აირტონ, სამართლიანობა მხოლოდ ამას მოითხოვს.

- მე არ ვამბობ, რომ არა, - დინჯად მიუგო მან, - მაშასადამე, თქვენ არ იკისრებთ, რომ ჩემთვის თავისუფლება მოგენიჭებინათ?

გლენარვანმა ერთბაშად ვერ უპასუხა ასე პირდაპირ დასმულ კითხვას. ვინ იცის, იქნებ აირტონის ნათქვამზე იყოს დამოკიდებული ჰარი გრანტის ბედი, მაგრამ მოვალეობის გრძნობამ სძლია და მიუგო:

- ვერა, აირტონ, თავისუფლებას ვერ მოგანიჭებთ.

- მაგას არც გთხოვთ, - გულზვიადად მიუგო აირტონმა.

- მაშ, რა გნებავთ?

- საშუალო იმ სახრჩობელასა, რომელიც მე მელის, და იმ თავისუფლებას შორის, რომლის მონიჭებაც თქვენ არ შეგიძლიათ.

- სახელდობრ?

- დამტოვეთ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ უკაცრიელ კუნძულზე და მომეცით მხოლოდ პირველი საჭიროებისთვის ნივთები. იქ მოვეწყობი როგორმე და თუ დრო მეყო, მოვინანიებ დანაშაულს.

გლენარვანი არ მოელოდა საქმის ასე შეტრიალებას, მდუმარე მეგორებს გადახედა და მოფიქრების შემდეგ უპასუხა:

- აირტონ, მაგის პირობა რომ მოგცეთ, ყველაფერს გამიმხელთ, რის ცოდნაც მინდა?

- დიახ, სერ, ეს იგი ყველაფერს, რაც კი ვიცი კაპიტან გრანტისა და მისი "ბრიტანიის" შესახებ.

- სრულ სიმართლეს?

- სრულს!

- მერე, თავდებად ვინ დაგიდგებათ?

- ჰო, ვხედავ, რაც გაწუხებთ, სერ, თქვენ ძალაუნებურად უნდა მეოდოთ მე, ავაზაკს, ეს მართალია, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია მდგომარეობა.

- მე გენდობით, აირტონ, - უბრალოდ მიუგ გლენარვანმა.

- არც შეცდებით, სერ. ესეც არ იყოს, რომ მოგატყუოთ, სამაგიეროს გადახდა ყოველთვის შეგიძლიათ.

- როგორ?

- წამომიყვანთ იმ კუნძულიდან, სადაც დამტოვებთ და საიდანაც ვერსად გავიქცევი.

აირტონს ყველაფერზე მზად ჰქონდა პასუხები. დაბრკოლებების ზედ ეჩეხებოდა. თავის საწინააღმდეგო საბუთებს იძლეოდა. ეტყობოდა, თავისი "საქმე" კეთილსინდისიერად უნდოდა გაეჩარხა. ამაზე მეტი ნდობის გამოჩენა შეუძლებელი იყო. ამ მხრივ უფრო შორსაც წავიდოდა.

- მინდა გწამდეთ, რომ გულახდილად ვიქცევი, - დასძინა მან, - თქვენს მოტყუებას არც ვცდილობ და კიდევ ახალ საბუთს მოგცემთ, რომ ამ საქმეში გულწრფელი ვარ.

- ბრძანეთ, აირტონ, - მიუგო გლენარვანმა.

- მართალია, თქვენგან დაპირება ჯერ არ მიმიღია ჩემის სურვილის ასრულების შესახებ, მაგრამ ამასთან, გიცხადებთ, რომ კაპიტანი გრანტისა და მისი ხვედრის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი.

- ცოტა? - წამოიძახა გლენარვანმა.

- დიახ. ის დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც შემიძლია გაგიზიაროთ, მხოლოდ მე შემეხება. ეს ვერ გიშველით დაკარგული კვალსი მიგნებაში.

გლენარვანის და მაიორის სახეზე იმედგაცრუება აისახა. ისინი ელოდნენ, რომ აირტონს დიდი საიდუმლო ეცოდინებოდა, ის კი აღიარებს, რაც ვიცი, თქვენთვის მნიშვნელობას მოკლებულიაო. პაგანელი მაინც უშფოთველად იჯდა. რაც უნდა იყოს, აირტონისაგან ამის გამჟღავნება იმაზე ადრე, სანამ სამაგიერო დაპირება მიიღებდა, მის მსმენელებს გულში მოხდათ, მეტადრე მაშინ, როდესაც მან დაუმატა:

- ასე რომ, გაფრთხილებთ, ჩვენი მორიგება ჩემთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე თქვენთვის.

- სულერთია, - მიუგო გლენარვანმა, - ვიღებ თქვენს წინადადებას, აირტონ, სიტყვას გაძლევთ, რომ გადაგსვამთ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე.

- კეთილი, - მიუგო აირტონმა.

ნუთუ ასეთი გადაწყვეტილებით ბედნიერი იყო ეს უცნაური ადამიანი? საეჭვოა, მაგრამ მას უშფოთველ სახეზე მღელვარების აჩრდილიც არ დასტყობია, თითქოს თავისი თავისთვის კი არა, სხვისთვის შუამდგომლობსო.

- მზად გახლავართ, გიპასუხოთ, - ჩაილაპარაკა მან.

- ჩვენ კითხვები არა გვაქვს, - უთხრა გლენარვნმა, - გვიამბეთ, აირტონ, რაც იცით. უპირველესად კი აგვიხსენით, ვინა ხართ?

- ბატონებო, მე ნამდვილად ტომ აირტონი, "ბრიტანიის" შკიპერის თანაშემწე გახლავართ. 1861 წლის 12 მარტს ჰარი გრანტის ხომალდს გამოვყევი გლაზგოდან. თოთხმეტ თვეს ერთად ვიმოგზაურეთ წყნარ ოკეანეში და ვეძებდით შესაფერის ადგილს შოტლანდიის ახალშენის დასაარსებლად. გრანტი საქმიანი კაცი იყო, მაგრამ ხშირად გვიხდებოდა სერიოზული შელაპარაკება. მისი ხასიათი ჩემსას არ ეგუებოდა, მე ქედის მოხრას ჩვეული არა ვარ, ჰარი გრანტი კი თუ გადაწყვეტდა რამეს, მასთან შეკამათება შეუძლებელი იყო. ეს კაცი რკინისაგანაა ჩამოსხმული და სხვებისთვისაც რკინისებურია. ამისდა მიუხედავად, მე მაინც ავმხედრდი მის წინააღმდეგ და შევეცადე ეკიპაჟი ამეჯანყებინა, რომ მისი ხომალდი ჩამეგდო ხელთ. ჰარი გრანტმა ამის გამო 1862 წლის 8 აპრილს ავსტრალიის დასავლეთ ნაპირზე გადამსვა.

- ავსტრალიის? - სიტყვა გააწყვეტინა მაიორმა, - მაშასადამე, თქვენ "ბრიტინია" დაგიტოვებიათ კალიაოში მისვლამდე, საიდანაც მიღებული იყო უკანსკნელი ცნობები?

- დიახ, - მიუგო შკიპერის თანაშემწემ.

- ხომალდზე ჩემი ყოფნის დროს "ბრიტინია" არ შესულა კალიაოში. თუ მე პადი ო´მურის ფერმაში ყოფნისს ვახსენე კალიაო, მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენი ნაამბობიდან შევიტყვე ეს.

- განაგრძეთ, აირტონ, - უთხრა გლენარვანმა.

- ავსტრალიის იმ უდაბურ სანაპიროზე მარტოდმარტო მიტოვებულმა პერთის გამასწორებელი სამოსახლოდან ოცი მილის მოშორებით, ზღვის პირას დავიწყე ხეტიალი და აქ წავაწყდი ახალგამოქცეულ კატორღელებს. მეც მათ შევუამხანაგდი. ნუღარ მათქმევინებთ ჩემს თავგადასავალს ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ მე გამოქცეული კატორღელების ბელადი გავხდი, ბენ ჯოისის სახელით.

1864 წლის სექტემბერში ირლანდიელის ფერმაში მივედი და იქ მუშად მიმიღეს ჩემი ნამდვილი სახელით. მოხერხებულ შემთხვევას ველოდი, რომ რომელიმე ხომალდი ჩამეგდო ხელთ. ეს იყო ჩემი დიდი ხნის ნატვრა. ორი თვის შემდეგ თქვენი "დუნკანი" მოადგა სანაპიროს. ფერმაში თქვენ გვიამბეთ კაპიტანი გრანტის მთელი ისტორია და სწორედ მაშინ შევიტყვე ის, რაც მანამდე არ ვიცოდი: "ბრიტანიის" ყოფნა კალიაოში, მისგან უკანასკნელი ცნობების მიღება 1862 წლის ივნისში. ესე იგი ჩემი დატოვებიდან ორი თვის შემდეგ თქვენ მიერ ნაპოვნი ბარათები, ხომალდის დაღუპვა 37-ე პარალელზე და ბოლოს ის მიზეზები, რის გამოც თქვენ დაუწყეთ ჰარი გრანტს ძებნა ავსტრალიის კონტინენტზე და გადაწყვიტეთ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მგზავრობა. მე არ შევყოყმანებულვარ და მაშინვე გადავწყვიტე, ხელთ მეგდო "დუნკანი", ეს საუცხოო იახტა, რომელიც ინგლისის ფლოტის საუკეთესო ხომალდსაც კი გაუსწრებს, მაგრამ ის შესაკეთებლად ჰყავდათ წაყვანილი. ამიტომ ვადროვე, რომ მელბურნში შეეკეთებინათ და თქვენთან მოვეწყვე ჩემი ნამდვილი წოდებით - შკიპერის თანაშემწედ, რომ წამეყვანეთ ვითომც ხომალდის დაღუპვის ადგილის საჩვენებლად ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ. ასე ვატარე თქვენი რაზმი ვიქტორიის პროვინციაში, სადაც წინ მიგვიძღვოდა და ხან კი უკან მოგვდევდა ჩემი კატორღელების ბრბო. ჩემმა ბიჭებმა უაზროდ ააფეთქეს კემდენის ხიდი. უაზროდ-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ რაკი "დუნკანი" აღოსავლეთ სანაპიროს მიადგებოდა, ჩემს ხელთ იქნებოდა და ასეთი ხომალდით ოკეანის ბატონ-პატრონი გავხდებოდი.

ისე გატარეთ მდინარე სნოუმდე, რომ არავის გულში ეჭვი არ აღმიძრავს. ხარები და ცხენები თანდათან დაიხოცნენ შხამით მოწამლულები - ჩემი ხელით. ფორანი სნიოუს ჭაობებში განგებ ჩავფალი - ჩემი მოთხოვნით!... დანარჩენი თქვენც მოგეხსენებათ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პაგანელის დაბნეულობას რომ ხელი არ შეეშალა, ახლა "დუნკანის" პატრონი მე ვიქნებოდი. ასეთი გახლავთ ჩემაი ისტორია, ბატონებო. სამწუხაროდ, ეს ისტორია ვერ დაგაყენებთ ჰარი გრანტის კვალზე და, როგორც ხედავთ, ჩემთან მორიგებით წაგებული თქვენ რჩებით.

აირტონი გაჩუმდა, გულხელდაკრეფილი იდგა და პასუხს ელოდა. გლენარვანი და მისი მეგობრებიც დუმდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ ეს უცნაური დამნაშავე ამ შემთხვევაში

სრულ სიმართლეს ამბობდა. "დუნკანი" მან ხელში ვერ ჩაიგდო მისგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზის გამო. როგორც ტუფოლდის ნაპირს გლენარვანის მიერ ნაპოვნი შალის პერანგიდან ჩანდა, მისი ამხნაგები კატორღელები მართლაც მისულან დანიშნულ ადგილზე, მაგრამ მოლოდინით გაბეზრებულებს მიუტოვებიათ იქაურობა და ისევ შესდგომიან ახალი სამხრეთ უელსის სოფლების ძარცვა-გლეჯვას.

პირველი შეკითხვა მაიორმა დაუსვა "ბრიტანიის" შესახებ თარიღების შესამოწმებლად.

- მაშასადამე, თქვენ ავსტრალიის დასავლეთ ნაპირზე ნამდვილად გადაგსვეს 1862 წლის 8 აპრილს?

- სრული სიმართლეა, - მიუგო აირტონმა.

- იცოდით თუ არა, რა გეგმები ჰქონდა მაშინ ჰარი გრანტს?

- ძალიან ბუნდოვნად.

- მაინც რა იცოდით, გვითხარით, აირტონ. შესაძლოა, წვრილმანმა ცნობამაც სწორ კვალზე დაგვაყენოს.

- აი, რისი თქმა შემიძლია, - თქვა აირტონმა, - კაპიტან გრანტს განზრახული ჰქონდა ახალ ზელანდიაში შევლა. მისი გეგმების ეს ნაწილი ჩემს დროს არ შესრულებულა. ამგვარად, შესაძლებელია გაემართა. ეს მოსაზრება ემთხვევა 1862 წლის 27 ივნისის თარიღსაც, რომელიც თქვენს საბუთებშია ნახსენები.

- ცხადია, - ჩაილაპარაკა პაგანელმა.

- მაგრამ ბარათებში დარჩენილი სიტყვების ნაწყვეტები არ იძლევა იმის საბუთს, რომ ლაპარაკი ახალ ზელანდიაზე იყოს, - თქვა გლენარვანმა.

- მაგისი რა მოგახსენოთ, - მიუგო არიტონმა.

- კეთილი აირტონ, - უთხრა გლენარვანმა, - თქვენ უკვე შეასრულეთ სიტყვა, მეც შევასრულებ ჩემსას. ავწონ-დავწონით, მოვისაზრებთ, წყნარი ოკეანის რომელ კუნძულზე დაგტოვებთ.

- ეჰ, ეგ ჩემთვის სულერთია, - ჩაილაპარაკა აირტონმა.

- დაუბრუნდით თქვენს კაიუტას, აირტონ, და ჩვენს გადაწყვეტილებას დაელოდეთ, - უთხრა გლენარვანმა.

აირტონი გავიდა. ის ორმა მეზღვაურმა მიაცილა კაიუტამდე.

- შესაძლებელი იყო. ეს არამზადა რიგიანი ადამიანი გამხდარიყო, - თქვა მაიორმა.

- დიახ, ძლიერი და ნიჭიერი კაცია, - მიუგო გლენარვანმა.

- სამწუხაროა, რომ მისი ნიჭი ავაზაკობისაკენ არის მიმართული!

- მერე, ჰარი გრანტი?

- ვშიშობ, სამუდამოდ დაკარგულია. საბრალო ბავშვები, ვიღას შეუძლია უთხრას მათ, სად იმყოფება მათი მამა?

- მე! - მიუგო პაგანელმა.

- თქვენ?

- დიახ, მე!

ჩვეულებრივ ხალისიანი მოლაპარაკე და მოუთმენელი გეოგრაფი აიროტნის დაკითხვის დროს ჩუმად იყო. პირმოკუმული უსმენდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მან ახლა წარმოთქვა, ყველაფერს სჯობდა. გლენარვანი მის ნათქვამზე წამოხტა კიდეც.

- თქვენ?! - წამოიძახა მან.

- თქვენ? პაგანელ, თქვენ იცით, სად იმყოფება გრანტი?!

- დიახ, რამდენადაც კი შეიძლება ამის ცოდნა, - მიუგო გეოგრაფმა.

- მაგრამ, საიდან იცით?

- იმავე ბარათებიდან?

- ეეჰ! - ჩაილაპარაკა მაიორმა უიმედობის და ეჭვის ნიშნად.

- ჯერ მომისმინეთ, მაკ-ნაბსს, და მხრების აჩეჩვას მერეც მოესწრებით, - მიგო პაგანელმა, - ადრე ვერ ვამბობდი ამას, რადგან არ დაიჭრებდით; მეორეც - ამის თქმა

უსარგებლოც იქნებოდა. თუ ახლა გადავწყვიტე ამის თქმა, სწორედ დღეს, იმიტომ, რომ აირტონის აზრი ადასტურებს ჩემს მოსაზრებას.

- მაშასადამე, ახალი ზელანდია?

- მომისმინეთ და თვითონვე განსაჯეთ, - მიუგო პაგანელმა, - ჩემი დაბნეულობა, რომლის წყალობითაც ახლა გადავრჩით, შემთხვევითი როდი იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც გლენარვანის კარნახით წერილს ვწერდი, სიტყვა "ზელანდია" არ გამომდიოდა თავიდ. აი რატომ: გახსოვთ, ჩვენ ფორანში ვისხედით. მაკ-ნაბმსმა ის იყო, უამბო ლედი ელენს კატორღელების ისტორია. ამავე დროს გადასცა "ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის გაზეთი", რომელშიც აღწერილი იყო კემდენის ხიდის აფეთქების ამბავი. როდესაც წერილს მაწერინებდით, ის გაზეთი ძირს ეგდო და ისე იყო მოკეცილი, რომ მხოლოდ უკანასკნელი ორი მარცვალი მოჩანდა. ეს ორი მარცვალი იყო "aland" რა დამემართა მაშინ?! "aland" ერთ-ერთი სიტყვა იყო ინგლისურ ბარათში, ერთ-ერთი სიტყვა, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ როგორც მიწა, მაშინ როდესაც მისი მნიშვნელობა იყო - Zeland.

- როგორ? - გაიოცა გლენარვანმა.

- რა თქმა უნდა, - ღრმა რწმენით თქვა პაგანელმა, - ასეთი ახსნა თავდაპირველად გამომრჩა. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ უმთავრეს ყურადღებას ბარათს ვაქცევდით, სადაც ეს სიტყვა სრულებით არ მოიპოვებოდა.

- ოჰო-ჰო! - თქვა მაიორმა, - ისევ თქვენი ოცნების ნაყოფი, პაგანელ, გავიწყდებათ თქვენი ადრინდელი განმარტებები.

- მკითხეთ და გიპასუხეთ მაიორო.

- მაშ, რაღას უპირებთ სიტყვას "austral"-ს?

- ეგ სიტყვა იმად რჩება, რაც იყო და ნიშნავს სამხრეთის ქვეყნებს.

- კეთილი. ავიღოთ "indi", რომელიც პირველად indines ნიშნავდა, ე.ი. ინდიელებს, შემდეგ კი indigenes, ე.ი. ადგილობრივ მკვიდრებს.

- ჰოდა, მესამედ და უკანასკნელად იქნება მარცვალი სიტყვისა indigence, ე.ი. გაჭირვება.

- "contin"-ზე რაღას ბრძანებთ? - შესძახა მაკ-ნაბსმა, - ეს სიტყვა ისევე "continent"-ს ნიშნავს?

- არა, რადგანაც ახალი ზელანდია მხოლოდ კუნძულია.

- მაშ, რას ნიშნავს ეს? - შეეკითხა გლენარვანი.

- ჩემო ძვირფასო, - მიუგო პაგანელმა, - მე გადაგითარგმნით მთელ ბარათს მესამენაირი მნიშვნელობით და მაშინ თვითონ განსაჯეთ. მხოლოდ ორი რამ უნდა მოგახსენოთ. პირველი ის, რომ შესაძლოა, ზოგიერთი სიტყვა ნაძალადევად გეჩვენოთ, იქნებ უხეიროდ გადავთარგმნო, მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, სიტყვა "agonie", რომელიც მე არ მომწონს, მაგრამ სხვანაირად ვერ ამიხსნია. ამასთან, ჩემი განმარტების საფუძვლად მქონდა ფრანგული დოკუმენტი და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბარათი ინგლისელის დაწერილია, რომელმაც შეიძლება არც კი იცოდა ფრანგული ენის წვრილმანი თავისებურება. ამ შენიშვნის შემდეგ ვიწყებ, - და პაგანელმა გარკვეულად, დამრცვლით წაიკითხა შემდეგი: " 1862 წლის 27 ივნისს სამანძიანი ხომალდი "ბრიტანია", გლაზგოდან, ხანგრძლივი აგონიის შემდეგ დაიღუპა სამხრეთის ზღვებში ახალი ზელანდიის ნაპირებთან. ორმა მეზღვაურმა და კაპიტანმა გრანტმა მოახერხეს ნაპირზე გადასვლა. აქ მუდმივ განიცდიან გაჭირვებას... ეს ბარათები მათ გადააგდეს... გრძედის... და განედის 37°11´. უშველეთ, თორემ დაიღუპებიან". პაგანელი გაჩერდა. მისი განმარტება დამაჯერებელი იყო, მაგრმ რადგან ესეც ადრინდელებივით დამაჯერებელი ჩანდა, შეიძლება არც ეს ყოფილიყო სწორი, ამიტომ გლენარვანი და მაკ-ნაბსი აღარ შეედავნენ, თუმცა, რადგანაც "ბრიტანიას" კვალს ვერც პატაგონიის სანაპიროებზე მიაგნეს, ვერც ავსტრალიაში, ახალი ზელანდია მისაღები გახდა. პაგანელის განმარტებამ მისი მეგობრები გააკვირვა.

- ახლა, პაგანელ, ნუთუ არ მეტყვით, ორი თვის განმავლობაში რად ინახავდით ამ განმარტებას საიდუმლოდ? - შეეკითხა გლენარვანი.

- იმიტომ, რომ არ მინდოდა ცრუიმედი აღმეძრა თქვენთვის. მეორეც - ჩვენ მივემართებოდით ოკეანისაკენ, სწორედ იმ ადგილისაკენ, რომელიც ბარათში აღნიშნულ განედზე მდებარეობს.

- მაგრამ რატომ მაშინ მაინც არ გვითხარით, როდესაც იძულებული გავხდით იმ გეზისათვის გადაგვეხვია?

- რაც უნდა სწორი იყოს განმარტება, ის ჩვენ ვერ გვიშველის კაპიტან გრანტის პოვნაში!

- რატომ, პაგანელ?

- იმიტომ, რომ თუ კაპიტნის ხომალდი ახალ ზელანდიასთან დაიღუპა, მაშინ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მას მერე ორი წელიწადია გასული და აუცილებლად დავასკვნით, ისინი ან გემთან ერთად დაიღუპნენ, ან ახალზელანდიელების საკბილო გახდნენ.

- მაშასადამე, ფიქრობთ, რომ ... - დაიწყო გლენარვანმა.

- ვფიქრობ, შეიძლება დაღუპული ხომალდის რაიმე ნიშნებს მივაგნოთ, "ბრიტანიიდან" გადარჩენილები კი სამუდამოდ დაიღუპნენ.

- მეგობრებო, ყოველივე ეს ჩვენ შორის დარჩეს. არავისთან თქვათ. მე მომანდვეთ, რომ დრო შევურჩიო და ეს სამწუხარო ამბავი კაპიტან გრანტის შვილებს გავუმჟღავნო, - თქვა გლენარვანმა.

თავი XX

ხმა ღამის წყვდიადიდან

"დუნკანის" მთელმა ეკიპაჟმა სწრაფად შეიტყო, რომ აირტონის აღსარებამ სრულიად ვერ გაარკვია კაპიტან გრანტის საიდუმლოებით მოცული მდგომარეობა. ყველანი ელოდნენ, რომ აირტონი ახალს იტყოდა რამეს, მან კი კაპიტნის შესახებ ისეთი ვერაფერი თქვა, რაც "დუნკანს" ახალ კვალზე დააყენებდა. ამგვარად გადაწყდა, ისევ ძველ გეგმას მიჰყოლოდნენ, ევროპაში დაბრუნებულიყვნენ. ახლა მხოლოდ იმ კუნძულის გამონახვა სჭირდებოდათ, რომელზეც აირტონი უნდა დაეტოვებინათ.

პაგანელმა და ჯონ მანგლსმა სახომალდო რუკები გადაათვალიერეს. წყნარი ოკეანის სიღრმეში, სწორედ ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობდა ამერიკიდან ხუთი ათასი კილომეტრით იყო დაშორებული, ხოლო ახალი ზელანდიიდან - ორი ათას კილომეტრზე მეტით. ჩრდილოეთის მხარეს მის უახლოეს ხმელეთს პაუმორუს არქიპელაგი წარმოადგენდა, რომელიც საფრანგეთს ექვემდებარებოდა; სამხრეთის მხარეს ხმელეთი არ მოიპოვებოდა სამხრეთ პოლარულ ყინულებამდე. ამ კუნძულს არასოდეს გაჰკარბია არც ერთი ხომალდი. არავითარი ამბავი არ აღწევდა ამ კუნძულებამდე. მხოლოდ ქარიშხალი ფრინველები ისვენებდნენ ზედ ხანგრძლივი გადაფრენის დროს. ყველა რუკაზე როდი იყო აღნიშნული ეს ციცაბო კლედე, რომელზედაც წყნარი ოკეანის ტალღები ეხეთქებოდნენ. აირტონს უჩვენეს ამ კუნძულის მდებარეობა. მან თანხმობა განაცხადა და "დუნკანმაც" კუნძულ მარია ტერეზასაკენ აიღო გეზი.

ამჟამად ხომალდი იმ სწორ ხაზზე იყო, რომელიც პირდაპირ ამ კუნძულისაკენ მიემართებოდა, იქიდან კი ტალკაჰუანოსაკენ გასწევდნენ. ორი დღის შემდეგ ხომალდზე მოდარაჯე მეზღვაურმა შეჰყვირა, დედამიწა მოჩანსო. ეს იყო კუნძული მარია ტერეზა, მოგრძო, დაბალი და მძიმე ძლივს ასცილებოდა ზღვის დონეს და ოკეანეში უზარმაზარი ვეშაპივით გაშოტილიყო.

კუნძულის მოხაზულობა თანდათან მკაფიოდ გამოჩნდა ჰორიზონტზე. ადგილ-ადგილ მოჩანდა პატარა მაღლობები, რომელთაც ჩამავალი მზის სხივები ანათებდა. საღამოს ხუთ საათზე ჯონ მანგლსმა კუნძულზე შეამჩნია კვამლი, რომელიც ჰაერში იფანტებოდა.

- ის ვულკანი არ არის? - ჰკითხა მან პაგანელს, რომელიც ჭოგრით გასქცეროდა ახალ მიწას.

- ჯერ არ ვიცი, რა ვიფიქრო, - მიუგო გეოგრაფმა, - მარია ტერეზა თითქმის უცნობი ადგილია. ყოველ შემთხვევაში, საკვირველი არ იქნება, რომ ეს კუნძული ვულკანური წარმოშობისა იყიოს.

- მაგრამ თუ ვულკანური ძალების წარმოშობილია, იმ ძალებსავე შეუძლია დაანგრიოს? - დასძინა გლენარვანმა.

- ნაკლებადაა მოსალოდნელი, - მიუგო პაგანელმა, - ეს კუნძული რამდენიმე საუკუნეა, რაც ცნობილია, ეს დრო საკმარისი თავდებია მისი გამძლეობისა. როდესაც ხმელთაშუა ზღვაში ჯულიას კუნძული ამომიართა, დიდხანს არ უარსებია და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ გაქრა.

- კეთილი, - თქვა გლენარვანმა, - ჯონ, როგორ ფიქრობთ, დაღამებამდე მივუახლოვდებით?

- ვერა, სერ, "დუნკანს" ვერ გავიმეტებ სიბნელეში იმ სანაპიროსთან მისადგომად, რომელსაც არ ვიცნობ. ამაღამ ნელი სვლით ვივლით, ხვალ დილით კი მივუახლოვდებით.

საღამოს რვა საათზე მარია ტერეზა მხოლოდ წაგრძელებულ ჩრდილად მოჩანდა, თუმცა იხტიდან სულ რვა მილით იყო დაშორებული. "დუნკანი" უფრო და უფრო უახლოვდებოდა. ცხრა საათზე კუნძულის სიბნელე სინათლემ გააშუქა. შუქი ურავი იყო და გაუწყვეტელი.

- აი, ეს კი ამტკიცებს, რომ კუნძულზე ვულკანია, - თქვა პაგანელმა, რომელიც გულმოდგინედ აკვირდებოდა სინათლეს.

- მაგრამ, თუ ვულკანია, ამ მანძილზე გრგვინვა და ქუხილიც უნდა გვესმოდეს, რაც მუდამ თან სდევს ვულკანის ამოხეთქვას, აღმოსავლეთის ნიავს კი ჩვენს ყურამდე ჩქამიც არ მოაქვს, - თქვა ჯონ მანგლსმა.

- მართლაც, ვულკანი ანათებს, კი არ ანთია, მხოლოდ დროდადრო ალაპლაპდება ხოლმე, როგორც მფეთქავი შუქურა, - დაეთანხმა პაგანელი.

- მართალს ბრძანებთ, - მიუგო ჯონ მანგლსმა, - თუმცა ჩვენ ისეთ სანაპიროს ვუახლოვდებით, სადაც შუქურა არ მოიპოვება. აა!.. აგერ კიდევ ცეცხლი! ეს უკვე სულ ნაპირზეა! შეხედეთ... ქანაობს... ადგილს იცვლის!

ჯონ მანგლსი არ ცდებოდა. ახალი სინათლე ავარდა, რომელიც ხან მიიბჟუტებოდა, ხან ისევ აპრიალდებოდა.

- კუნძული უკაცრიელი არა ჩანს, - თქვა გლენარვანმა.

- ალბათ, ველურები ცხოვრობენ, - ივარაუდა პაგანელმა.

- მაშ, აიროტნს მანდ ვერ დავტოვებთ.

- ვერა! - თქვა მაიორმაც, - ეგ ველურებისათვისაც ცუდი ძღვენი იქნებოდა.

- რომელიმე სხვა უკაცრიელი კუნძული გამოვნახოთ, - გადაწყვიტა გლენარვანმა, რომელმაც ღიმილი ვერ შეიკავა მაიორის თავაზიანობაზე, - მე აირტონს უშიშარი ცხოვრება აღვუთქვი და სიტყვა მინდა შევუსრულო.

- ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილე გვმართებს, - დასძინა პაგანელმა, - ახალზელანდიელებს ჩვეულებად აქვთ, ხომალდები მიიტყუონ მოძრავი სინათლით, როგორც ოდესღაც იქცეოდნენ კორნუელისის მცხოვრებნი. იქნებ მარია ტერეზას მოსახლეობამაც იცის ეს ხერხი.

- ერთი მილის მეოთხედზე მიუახლოვდი ნაპირს! - ჩასძახა ჯონ მანგლსმა მესაჭეს, - ხვალ, მზის ამოსვლისას ვნახავთ, როგორ მოვიქცეთ.

თერთმეტ საათზე მგზავრები და ჯონ მანგლსი თავ-თავიანთ კაიუტებში წავიდ-წამოვიდნენ. იახტის წინ გემბანზე მოდარაჯენი კი აქეთ-იქით დასეირნობდნენ. იახტის ბოლოში მხოლოდ მესაჭე იდგა. ამ დროს წინა გემბანის ზემო ერდოზე მერი გრანტი ამოვიდა რობერტის თანხლებით. კაპიტან გრანტის ქალ-ვაჟი, იახტის ჯებირზე გადაყუდებული, ნაღვლიანად გადასცქეროდა ზღვსი ფოსფორულ შუქს და ვულკანის მანათობელ სვეტს. მერის ფიქრები ძმის მომავალს დასტრიალებდა, რობერტი კი დის მომავალზე ფიქრობდა. ორივეს კი თვალწინ ედგა მამა. ცოცხალია თუ რა მათი საყვარელი მამა? ნუთუ სამუდამოდ უნდა გამოეთხოვონ მისი ნახვის იმედს?... არა, არა! უიმისოდ რას

ემსგავსება მათი სიცოცხლე? რა მოელით მათ? აქამდისაც, ვინ იცის, რა დაემართებოდათ, გლენარვანი და ელენი რომ არ გამოსჩენოდნენ? ბიჭმა, რომელიც მწუხარების გამო ასაკის შეუფერებლად დავაჟკაცებულიყო, იგრძნო დის მღელვარე განცდები და ხელზე ხელი წაავლო:

- მერი, სასოწარკვეთილებას არასოდეს უნდა მიეცე. გახსოვს, რას გვეუბნებოდა ხოლმე მამა: "ქვეყანაზე მხნეობა და მამაცობა ყველაფერს უდრის". ვიყვეთ მხნენი, როგორც ის, რომელიც თავისი მამაცობით ყველაზე მაღლა იდგა. აქამდე შენ ჩემთვის შრომობდი, დაო, მეც მინდა, რომ შენთვის ვიშრომო!

- ძვირფასო რობერტ! - შესძახა გულაჩუყებულმა დამ.

- ერთი რამ უნდა გითხრა, - განაგრძობდა რობერტი, - ხომ არ გამიჯავრდები?

- რად გაგიჯავრდები, ჩემო ბიჭიკო?

- არც დამიშლი?

- რისი თქმა გინდა? - მღელვარებით ჰკითხა მერიმ.

- იცი. მე მეზღვაური გავხდები!

- მერე, მე მიმატოვებ? - შესძახა ახალგაზრდა ქალმა და ხელზე ხელი მოუჭირა.

- დაო, მეც მეზღვაური ვიქნები, როგორც მამა, მეზღვაური როგორც ჯონ მანგლსი! მერი, ჩემო ძვირფასო, ჯონს იმედი არ დაჰკარგვია საბოლოოდ! შენც დაიჯერებ მის თავგანწირულობას, როგორც მე! დამპირდა, დიდებულ მეზღვაურს გამოგიყვანო და ჩვენ ორივენი ერთად დავწიყებთ მამის ძებნას. მითხარი, მითხარი, გინდა, რომ ასე იყოს? ის, რასაც მამა ჩაიდენდა ჩვენი გულისათვის, ის ჩვენ, მე მაინც, უნდა გავაკეთოთ მისთვის! ჩემი სიცოცხლის მიზანია - ვეძებო, ვეძებო და სულ ვეძებო ის, ვისაც არასოდეს მივუტოვებივართ! მერი, ხომ გახსოვს რა გუკეთილი იყო მამა!

- რა კეთილშობილი, დიდსულოვანი! - განაგრძო მენრიმ, - იცი, რობერტ, ის ჩვენი ქვენის სიამაყე იყო და დიდ ადამიანებს შორის ჩაირიცხებოდა, ბედს რომ არ ემტყუნა!

- განა არ ვიცი, - მიუგო რობერტმა, რომელსაც და გადაეხვია. რობერტმა იგრძნო, რომ შუბლზე ცრემლი დაეცა.

- მერი, მერი! - შესძახა მან, - რაც უნდა ილაპარაკონ ჩვენმა მეგობრებმა, რაც უნდა ჩუმად იყვნენ, მე კიდევ იმედი მაქვს და არასოდეს არ დავკარგავ! ისეთი ადამიანი, როგორიც მამაჩვენია, ისე არ მოკვდება, რომ თავის მიზანს არ მიაღწიოს!

მერი გრანტს ცრემლები მოერია და ვაღარაფერი უპასუხსა. ათასნაირი გრძნობა ამოძრავდა მის გულში. გაახსენდა, რომ ჰრაი გრანტის ძებნას კიდევ შეეცდებიან, რომ ახალგაზრდა კაპიტანი უსაზღვროდ თავგამოდებულია ამისათვის.

- ბატონი ჯონი კიდევ იმედოვნებს? - ჰკითხა ძმას.

- დიახ, - მიუგო რობერტმა, - ის ხომ ჩვენი ძმაა, რომელიც არასოდეს მიგვატოვებს. მე მეზღვაური გამოვა, ხომ ასეა, მერი, მეზღვაური, რომ მასთან ერთად ვეძებო მამა. შენც გინდა, რომ ასე იყოს?

- მაშ რაღა მინდა! - მიუგო მერიმ, - მაგრამ ჩვენი განშორება! - ჩაილაპარაკა მან.

- მართო როდი იქნები, მერი, მე ვიცი! ჩემმმა მეგობარმა ჯონმა მითხრა, ლედი ელენი გვერდიდან არ მოიშორებსო. ქალი ხარ, ასეთ წინადადებას შეურიგდები. უარის თქმა ხომ უმადურობა იქნებოდა. მამაკაცი კი სულ სხვა არის, მამაკაცმა, როგორც მამა იტყოდა ხოლმე, თავისი ცხოვრება თვითონ უნდა მოაწყოს.

- მერე, რა ვუყოთ ჩვენს სხლს დენდიში, რომელთანაც ამდენი მოგონება გვაკავშირებს?

- სახლს შევინარჩუნებთ. ყველაფერს მოაგვარებენ და უკვე მოაგვარეს ჩვენმა მეგობრებმა, ჯონმა და ბატონმა გლენარვანმა. შენ მალკოლმში იცხოვებ, როგორც მათი ქალი: ეს გლენარვანს უთქვამს ჩემი მეგობარი ჯონისათვის, ჩემმა მეგობარმა ჯონმა კი მე მითხრა. ისე იქნები, როგორც საკუთარ სახლში, გვერდით გეყოლება ადამიანი, ვისთანაც შეგიძლია ილაპარაკო მამას შესახებ, სანამ ჯონი და მე არ ჩამოვიყვანთ. ოჰ, რა ბედნიერი დღეი იქნება! - წამოიძახა რობერტმა, რომელსაც სახე აღფრთოვანებით გაცისკროვნებოდა.

- ჩემო ძვირფასო ძმაო! - ჩაილაპარაკა მერიმ, - რა ბედნიერი იქნებოდა მამა, შენი სიტყვები რომ მოესმინა. როგორ ჰგავხარ მას. როცა დავაჟკაცდები, ზედგამოჭრილი მამა იქნები.

- ო, მერი! - წაილუღლუღა ყურებამდე გაწითლებულმა რობეერტმა.

- მაგრამ ჩვენ რითი შეგვიძლია გადავუხადოთ სამაგიერო გლენარვანსა და მის მეუღლეს იმ სიკეთისათვის, რაც მათ გაგვიწიეს? - თქვა მერიმ.

- ო, ეს სრულიადაც არ არის ძნელი! - შესძახა რობერტმა ყმაწილური აღტაცებით, - ჩვენ უსაზღვროდ გვეყარება ისინი, თუ საჭიროება მოითხოვს, თითოეული ჩვენგანი მოხარული იქნება მათ სიცოცხლე შესწიროს.

- არა, ჩვენ ვიცოცხლებთ მათი გულისთვის! - თქვა ახალგაზრდა ქალმა და ძმა გადაკოცნა.

კაპიტან გრანტის შვილები ოცნებას მიეცნენ და ამ სიბნელეში ერთმანეთს შესციცინებდნენ, თუმცა უსიტყვოდ იდგნენ, მაგრამ თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს და თვალებითვე უპასუხებდნენ.

უცებ მართლაც უცნაური, ზებუნებრივი რამ მოხდა. და-ძმას ერთსა და იამვე წამში ერთი და იგივე რამ მოეჩვენათ. ტალღების სიღრმიდან, რომელიც ხან ჩაკუპრდებოდა და ხან შუქმფინარობდა, მერისა და რობერტს შემოესმათ შესაბრალისი ძახილი, რომელმაც ჟრუანტელივით დაურბინათ სხეულში.

- ჩემკენ! ჩემკენ! - გაჰკიოდა ხმა.

- მერი! - წამოიძახა რობერტმა, - გესმის?

ორივე ჯებირზე გადაეყუდნენ, ტალღებს აკვირდებოდნენ და გაფაციცებით უგდებდნენ ყურს, მაგრამ არაფერი ჩანდა წყვდიადის მეტი, რომელიც ყოველმხრივ ჩამოსწოლოდა მიდამოს.

- რობერტ, - უთხრა მღელვარებისაგან გაფითრებულმა მერიმ, - ისე მეჩვენება, თითქოს...

- ჰო, მეც შენსავით მომეჩვენა, თითქოს...

- რობერტ, ორივეს სიცხე გვაქვს!

მაგრამ ამ დროს უფრო გარკვევით შემოესმათ ყვირილი და ეს მოჩვენება იმდენად მძლავრი იყო, რომ ორივეს გულის სიღრმიდან აღმოხდა:

- მამა! ჩემი მამა!

მერი გრანტმა შთაბეჭდილების სიმძლავრეს ველარ გაუძლო და გულწასული მიესვენა რობერტის მკლავზე.

- მიშველეთ, მიშველეთ! ჩემი და!... მამა!... მიშველეთ! - გაჰკიოდა რობერტი.

მესაჭემ მიირბინა მისაშველებლად. წინა გემბანიდან მოდარაჯე რაზმი გამორბოდა, გემბანზე ამოცვივდნენ ჯონ მანგლსი, ელენი, გლენარვანი, რომელთაც ხმაურზე გამოჰღვიძებოდათ.

- და მიკვდება... იქ მამა არის! - იძახდა რობერტი და ზღვისკენ იშვერდა ხელს. ვერაფერი გაეგოთ მისი სიტყვებიდან.

- მამა იქ არის! იქ მამა არის! - გაიძახოდა რობერტი და ზღვისკენ იშვერდა ხელს, - მე გავიგონე მამაჩემის ხმა! მერიმაც გაიგონა!

მერი გრანტი გონზე მოვიდა და კივილი მორთო:

- მამაჩემი! მამაჩემი! - საბრალო ქალი მოაჯირს გადაჰყურებდა და გადავარდნას აპირებდა, - იქ არის მამა, იქ არის მამა! - იმეორებდა იგი, - გეუნებით, იქ არის-მეთქი, მერწმუნეთ, მისი ხმა გავიგონე, ტალღებიდან იძახდა! - მერი ათრთოლდა, ისევ გული წაუვიდა, ასწიეს და კაიუტაში გადაიტანეს. ელენიც თან გაჰყვა, რომ მიეხედა მისთვის. რობერტი კი კვლავ გაჰკიოდა:

- იქ არის მამა! ... იქ არის მამა! მე ეს მჯერა!

ამ მძიმე სცენის მოცმენი დარწმუნდნენ, რომ კაპიტანი გრანტის შვილები რაღაც ჰალუცინაციის მსხვერპლი გამხდარიყვნენ, მაგრამ როგორ უნდა მოეყვანათ გონებაზე? გლენარვანმა სცადა ეს. რობერტს ხელი წაავლო მკლავში და უთხრა:

- შენ გაიგონე მამაშენის ხმა, ჩემო ძვირფასო ბავშვო?

- დიახ, აი აქ, ტალღებიდან. ის ყვიროდა: "ჩემკენ! ჩემკენ! "

- მერი, ხმაზე იცანი?

- როგორ არ ვიცანი! გეფიცებით, მართალია! ჩემმა დამაც იცნო როგორც მე!... როგორ, განა ორივენი შევცდით? წავიდეთ, ვუშველოთ მამას... ნავი! ნავი!

გლენარვანი დარწმუნდა, რომ ბავშვს გონს ვერ მოიყვანდა, მაგრამ მაინც უკანასკნელად კიდევ სცადა მისი გამოფხიზლება.

- ჰოუკინს, - შეეკითხა ის მესაჭეს, - თქვენ საჭესთან იდექით, როდესაც მერის გული წაუვიდა?

- დიახ, - მიუგო ჰოუკინსმა.

- არაფერი დაგინახავთ, არაფერი გაგიგონიათ?

- არაფერი.

- ხომ ხედავ, რობერტ.

- ჰოუკინსის მამა რომ ყოფილიყო, ჰოუკინსი არ იტყოდა, არაფერი გამიგონიაო, - შესძახა ბავშვმა, - ის მამაჩემი იყო... ჩემი მამა! - რობერტს ხმა ჩაუწყდა ტირილისაგან.

გლენარვანმა ბრძანა, რობერტი ლოგინში ჩაეწვინატთ. მღელვარებისაგან მოთენთილ ბავშვს გონება დაეკარგა.

- საბრალო ობლები! - ჩაილაპარაკა ჯონ მანგლსმა.

- დიახ, მწუხარებამ სძლია და ორივეს ერთი და იგივე მოეჩვენა.

- ჰალუცინაცია ორივეს ერთად! უცნაურია! - ჩაილაპარაკა პაგანელმა, - მეცნიერებას არ სწამს ასეთი რამ, - მერე მოაჯირზე გადაიხარა, ყური მიუმარჯვა, ყველას ანიშნა, გაჩუმებულიყვნენ და ყური დაუგდო. ირგვლივ სიჩუმე იყო. პაგანელმა ხმამაღლა იწყო ძახილი, მაგრამ პასუხი არსაით იყო.

- უცნაურია! ეს მოვლენა არ შეიძლება აიხსნას აზრებისა და გრძნობების იგივეობით.

მეორე დღეს, 8 მარტს, დილის ხუთ საათზე, გარიჟრაჟისას ყველა მგზავრი გემბანზე გამოვიდა. მათთან იყვნენ მერი და რობერტი, რომლებიც დაბლა ვერ გააჩერეს. ყევლას უნდოდა დაენახა ის დედამიწა, რომელი წუხელ არ ჩანდა. ჭოგრით ხარბად მისჩერებოდნენ კუნძულის სხვადასხვა ადგილს. ხომალდი სანაპიროს მისდევდა ერთი მილის მოშორებით. უცებ რობერტმა შეჰყვირა, რომ თვალი მოჰკრა ორ კაცს. ისინი მორბოდნენ, ხელებს იქნევდნენ, მესამე კი ბაირაღს აფრიალებდა.

- ინგლისური დროშა! - დაიძახა ჯონ მანგლსმა, რომელიც თავისი ბინოკლით იცქირებოდა.

- სწორია! - წამოიძახა პაგანელმა რობერტისკენ მიბრუნებისას.

- გამიგონეთ, - უთხრა რობერტმა, რომელიც მღელვარებისაგან ცახცახებდა, - თუ არ გინდათ, რომ კუნძულამდე გავცურო, უბრძანეთ, ნავი ჩაუშვან! გევედრებით, პირველად მე გამიშვით ნაპირზე.

- იახტაზე სიტყვის თქმას ვერავინ ბედავდა. როგორც ამ კუნძულზე, რომელიც ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობდა, სამი ინგლისელი იყო? ყველას აგონდებოდა წუხანდელი ამბავი, რობერტისა და მერის გაგონილი ხმა. ბავშვები შეიძლება ერთში ცდებოდნენ: ძახილმა კი მოაღწია, მაგრამ მათი მამის ხმა იყო თუ არა? არა, ათასჯერ არა! და ყველას აფიქრებდა ის საშინელი სასოწარკვეთილება, რომელიც ელოდა მათ... რომელსაც ვეღარ აიტანდნენ, მაგრამ როგორ გაეჩერებინათ ისინი? გლენარვანმა ვერ გაბედა უარის თქმა და გადასძახა:

- ნავი!

ერთი წუთის შემდეგ ნავი წყალში იყო.

კაპიტან გრანტის ქალ-ვაჟი, გლენარვანი, ჯონ მანგლსი და პაგანელი სწრაფად ჩასხდნენ ნავში. ექვსი მეზღვაური მარჯვედ უსვამდა ნიჩბებს და კანჯომ გაცურა კუნძულისაკენ. რომ მიუახლოვდნენ, მერიმ გულგამგმირავი ხმით შეჰკივლა:

- მამა!....

ნაპირზე ორ კაცს შუა იდგა მესამე: მაღალ-მაღალი, მკვრივად ჩასხმული, გამბადავი გამომეტყველებისა და პირწავარდნილი მერი და რობერტი! ეს იყო მართლაც ის ადამიანი, რომელსაც ასე ხშირად აღწერდნენ ხოლმე მისი შვილები. გულმა არ უმტყუნათ. ეს იყო მათი მამა, ეს იყო კაპიტანი გრანტი! კაპიტანს შემოესმა მერის კივილი, მკლავებგაშლილი გამოექანა და მეხდაცემულივით დაეცა შლამზე.

თავი XXI

თაბორის კუნძული

სიხარულისგან არ იხოცებიან. მამაც და შვილებიც უფრო ადრე მოვიდნენ გონს, ვიდრე იახტაზე ავიდოდნენ.

ჰარი გრანტი ხომალდზე ასვლისთანავე ელენისაკენ გაეშურა, მერე გლენარვანსა და მის ამხანაგებს მღელვარე ხმით მადლობა გადაუხადა. ხომალდზე ასვლამდე შვილებს მოკლედ ეამბმათ "დუნკანის" თავგადასავალი. როგორი აუნაზღაურებელი ვალი ედო კისრად ამ მანდილოსნისა და მისი ამხანაგების წინაშე! განა გლენარვანიდან დაწყებული უკანასკნელ მეზღვაურამდე ყველანი არ იბრძოდნენ და არ იტანჯებოდნენ მათი გულისათვის?

ჰარი გრამტნმა ისეთი სისადავით და ისეთი კეთილშობილებით გამოთქვა გულში მოზღვავებული მღელვარების გრძნობა და მისი ვაჟკაცური სახე ისე გულწრფელი მღელვარებით თრთოდა, რომ მთელი ეკიპაჟი მიხვდა, რა ტანჯვაც გადაეტანა კაპიტანს. აღუშფოთებელმა მაიორმაც კი ვერ შეძლო მღელვარების ცრემლის დამალვა. პაგანელი ბავშვივით ზლუქუნებდა და არც მალავდა ამას.

ჰარი გრანტი ვერ გამძღარიყო თავისი ქალიშვილის ცქერით. რა ლამაზი და მშვენიერიაო, იმეორებდა მალიმალ და თან ელენსაც იმოწმებდა, რომ მიკერძოებაში არ ჩამერთმიათ. მერე ვაჟისკენ მიბრუნდა და აღტაცებით შესძახა:

- როგორ გაზრდილა!... დავაჟკაცებულა! - და შვილებს გახარებული კოცნიდა.

რობერტმა სათითაოდ გააცნო თავისი მეგობრები. მისი რეკომენდაციით, ისინი ერთიმეორეს სჯობდნენ. როდესაც ჯონ მანგლსზე მიდგა ჯერი, ახალგაზრდა კაპიტანმა მერის მამას საპასუხოდ რაღაც წაილუღლუღა, მორცხვი ახალგაზრდა ქალივით გაწითლდა და ხმა აუკანკალდა.

ელენმა უამბო გრანტს მოგზაურობის ამბავი. კაპიტანმა გრანტმა მისგან შეიტყო ახლაგაზრდა რობერტის საგმირო საქმეები და ისიც, როგორ გადაუხადა გლენარვანს მამის ვალი.

ჯონ მანგლსი მერის შესახებ ისეთი კილოთი და ისეთი გამოთქმით ლაპარაკობდა, რომ ჰარი გრანტმა, რომელმაც ელენისაგან უკვე იცოდა ახალგაზრდების განწყობილება, მერის ხელი ჯონს ჩაუდო ხელში, შემდეგ ელენსა და გლენარვანს მიუბრუნდა:

- მილორდ, და თქვენ, ქალბატონო, დავლოცოთ ჩვენი შვილები!

როდესაც ყველაფერი გაუზიერეს ერთმანეთს და ათასნაირად გაიმეორეს, გლენარვანმა უამბო ჰარი გრანტს აირტონის ამბავი. გრანტმა დაადასტურა, რომ მან მართლაც ავსტრალიის სანაპიროზე გადასვა შკიპერის თანაშემწე აირტონი და დაუმატა:

- ეგ კაცი ჭკვიანია, გონიერი და მამაცი, მაგრამ გულისთქმას გადაჰყვა, ავაზაკობისაკენ გადაიხარა. შესაძლოა, ფიქრმა და სინანულმა გადაახალისოს!

სანამ კუნძულზე აირტონს გადაიყვანდნენ, ჰარი გრამტნმა მოისურვა მასპინძლობა გაეწია ახალი მეგობრებისათვის თავის კლდეზე. მიიწვია ისინი, რომ ენახათ მისი ფიცრული სახლი და წყნარი ოკეანის რობინზონის ქოხში მასთან ერთად გაეტეხათ პური.

გლენარვანმა და მისმა თანამგზავრებმა სიამოვნებით მიიღეს მიწვევა. მერისა და რობერტს გული წინ უსწრედათ, რომ მალე ენახათ ის უდაბური ადგილები, სადაც მათი მამა იტანჯებოდა.

ნავები ჩაუშვეს. მალე კაპიტანი გრანტი, მისი ქალ-ვაჟი, ლორდი და ლედი გლენარვანები, მაიორი, ჯონ მანგლსი და პაგანელი კუნძულის ნაპირზე გადავიდნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში მთლად შემოიარეს კაპიტან გრანტის სამფლობელო. ეს იყო წყალქვეშა მთის მწვერვალი, სადაც უხვად მოიპოვებოდა ბაზალტის ვულკანური წარმოშობის კლდეები. დედამიწის ქერქის წარმოშობის ხანაში ვულკანი ნელ-ნელა ამოწეულიყო წყნარი ოკეანის სიღრმიდან მიწისქეშა ძალების მოქმედების გამო, მაგრამ მრავალი საუკუნის წინ ვულკანი უკვე ჩვეულებრივ მთად გადაქცეულიყო, კარტერი დახშულიყო და ოკეანის ტალღებიდან ამოზიდულიყო კუნძული. დროთა ვითარებაში მასზე გაჩენილა ნიადაგი, ამოსულა მცენარეები. ვეშაპზე მონადირეებს კუნძულზე გადმოუსხამთ რამდენიმე თხა, ცხვარი და ღორი, რომლებიც მომრავლებულან და გაგარეულებულან. ბუნებას თანდათანობით განუვითარებია თავისი სამივე სამეფო ამ წყნარი ოკეანის სივრცეში მიკარგულ კუნძულზე.

როდესაც "ბრიტანიიდან" გადარჩენილები ამ კუნძულზე მოხვდნენ, ბუნების გავლენას ადამიანის გარჯილობაც მიემატა. ჰარი გარნტმა და მისმა ორმა მეზღვურმა ორ-ნახევარი წლის განმავლობაში მთელი კუნძული გარდაქმნეს. რამდენიმე აკრი კარგად დამუშავებული მიწა თურმე მშვენიერ ბოსტნეულს იძლეოდა.

სტუმრებმ მიაღწიეს ფიცრულ სახლს, რომელსაც ნახევრად გუმფისის ხეები წამოჰფარებოდა. მისი ფანჯრებიდან მოჩანდა მზის სხივებზე მოლაპლაპე ზღვის სიცხე. ჰარი გრანტმა უბრძანა, მაგიდა დაედგათ მშვენიერი ხეების ჩრდილში და ყველანი მას შემოუსხდნენ. შემწვარი ცხვრის ხორცი და ახალ-ახალი ანკარა წყალი - ასეთი იყო სადილი, რომელიც რკადიის მწყემსებს ეკადრებოდათ. პაგანელი აღტაცებაში მოდიოდა და რობინზონობის ოცნებები გაუხალისდა.

- აქ ურიგოდ არ მოეწყობა ის ავაზაკი აირტონი! - წამოიძახა მან აღტაცებით, - ეს პატარა კუნძული ნამდვილი სამოთხეა!

- დიახ, სამოთხეა დაღუპული ხომალდიდან გადარჩენილი სამი კაცისათვის, მაგრამ სანანებლად მრჩება, რომ მარია ტერეზა უფრო ფართო, მდინარიანი და ნაყოფიარი არ არის და მას ნავსადგური არ აქვს პაწია უბის მაგივრად.

- სანანებელი რად გრჩებათ, კაპიტანო? - შეეკითხა გლენარვანი.

- იმიტომ, რომ მაშინ აქ საძირკველს ჩავუყრიდი იმ ახალშენს, რომელიც მე მინდა შევიძინო შოტლანდიას წყნარო ოკეანეზე.

- აჰა, კაპიტანო გრანტ, მაშ ხელი არ აგიღიათ იმ განზრახვაზე, რომელმაც ასეთი სახელი მოგიხვეჭათ ჩვენს ქვეყანაში? - ჰკითხა გლენარვანმა.

- არა, სერ, ხელი არ ამიღია და იმედი მაქვს, კიდევ შევძლებ მის განხორციელებას. საჭიროა, ჩვენი ღარიბი კალედონიის ღატაკ მოსახლეობას, რომელიც ტანჯვა-წვალებაშია, გასაქანი მიეცეს და ახალ ქვეყანაში გაიჩინოს სიღარიბისა და მწუხარებისაგან თავის დასაღწევი თავშესაფარი. ჩვენს ქვეყანას ამ ზღვებში უნდა მოეპოვებოდეს თავისი ახალშენი, საკუთრივ თავისი, სადაც მას შეეძლება იქონიოს ის დამოუკიდებლობა, რომელსაც მოკლებულია ევროპაში.

- ოჰ, რა მშვენივრად ბრძანეთ, კაპიტანო გრანტ! - ჩაურთო ელენმა, - დიდებული გეგმაა!... მაგრამ ეს პატარა კუნძული...

- არა, ქალბატონო, ეს ხომ ერთი კლდეა მხოლოდ და ორიოდე ახალმოშენეს თუ გამოკვებავს, ჩვენ კი გვჭირდება ფართო ადგილები, ყველაფრით შემკული...

- მომავალი ჩვენს ხელთ არის, კაპიტანო, - შესძახა გლენარვანმა, - და ჩვენ ერთად მოვძებნოთ ასეთი ადგილი!

ჰარი გრანტმა და გლენარვანმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს ნათქვამის დასამოწმებლად. ამის შემდეგ ყველას მოესურვა აქვე, ამ კუნძულზე, ამ ქოხშივე მოესმინა "ბრიტინიის" დაღუპვის ამბავი და მთი ორი წლის თავგადასავალი.

ჰარი გრანტმა მაშინვე დააკმაყოფილა ახალი მეგობრების სურვილი.

- ჩემი ისტორიაც ისეთი გახლავთ, როგორც საერთოდ რობინზონებისა, რომელნიც სადმე კუნძულზე გაურიყავს ბედს, - დაიწყო მან, - ეს 1982 წლის 26 ივნისს ღამეს მოხდა.

ექვსი დღის განმავლობაში ქარიშხლისაგან დანჯღრეული "ბრიტინია" ჩაიძირა, მარია ტერეზას კლდეებზე დაიმსხვრა. ზღვა საშინლად ღელავდა, გადარჩენა შეუძლებელი იყო, მთელი ეკიპაჟი დამეღუპა. მხოლოდ მე და ორმა მეზღვაურმა - ბობ ლირსმა და ჯო ბელმა ოცჯერ მაინც ვცადეთ ნაპირზე გადასვლა და ბოლოს, როგორც იყო, გადავედით! ჩვენი შემხიზვნელი მიწა უდაბური კუნძული აღმოჩნდა, სიგანით სამი კილომეტრი და სიგრძით - შვიდი; ოცდაათიოდე ხე იდგა შუა ადგილას, რამდენიმე კორდი იყო და ცივ-ცივი ნაკადული, რომელიც, საბედნიეროდ, არასოდე შრება.

ორი ჩემი მეზღვაურის გვერდით ამ დაკარგულ კუთხეში სასოწარკვეთილებას არ მივცემივარ და გადავწყვიტე, მებრძოლა ბოლომდე. ჩემი უბედურების თანაზიარი ჩემი მამაცი მეგობრები ჯო და ბობი თავგამოდებით ამომიდგნენ მხარში. ჩვენც ისე დავიწყეთ საქმე, როგორც დანიელ დეფოს იდიალურმა რობინზონმა. ჩვენ მასავით შევუდექით ხომალდის ნამსხვრევების, ხელსაწყო-იარაღების, დენთის, სასროლი იარაღის შეგროვების და ხომალდიდან გადავარჩიეთ ერთი ტომარა ძვირფასი მარცვლეული. პირველ დღეებში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ შემდეგ თევზაობა და ნადირობა ყოველდღიურ საზრდოს გვაძლევდა, რადგან კუნძულზე მრავლად აღმოჩნდა გარეული თხა, ზღვის პირას კი უამრავი ზღვის ცხოველი.

ჩვენი ცხოვრება თანდათან კალაპოტში ჩადგა. ჩემი ხელსაწყოს საშუალებით გამოვაკვლიე ამ კუნძულის ნამდვილი ადგილმდებარეობა. თურმე ჩვენ სანაოსნო გეზის გარეშე ვიმყოფებოდით და რაიმე შემთხვევის შემწეობით თუ შეგვეძლო აქედან თავის დაღწევა. ამის მიუხედავად თავგამოდებით ვმუშაობდით. მალე რამდენიმე აკრ მიწაზე დავთესეთ "ბრიტანიიდან" გადარჩენილი მარცვლეული, კარტოფილი, ვარდკაჭკაჭა და მჟაუნა. დავიჭირეთ რამდენიმე ციკანი და შევიჩვიეთ. ჩვენ გვქონდა რძე და ხორცი. დამშრალი ნაკადების ძირას იზრდებოდა ნარდუ, რომელიც საკმაოდ ნოყიერ პურს გვაძლევდა. მალე სრულიად აღარ გვაფიქრებდა ცხოვრების მატერიალური მხარე. "ბრიტანიიდან" გადარჩენილი მასალებით დავდგით ეს ფიცრული სახლი და კარგად გაფისულ ქერელის ტილოთი დავხურეთ. ამ მკვიდრ თავშესაფარში ბედნიერად გავატარეთ წვმიანი სეზონი. აქ ბევრი გეგმა შეგვიმუშავებია, ბევრი რამ გვიოცნებია, მაგრამ ყველაფერს გადააჭარბა იმან, რაც უკვე სინამდვილედ იქცა!

თავდაპირველად დავაპირეთ ზღვაში გავსულიყავით ნავით, რომელიც "ბრიტანიის" ნარჩენებისაგან გვაკეთეთ, მაგრამ უახლოეს ხმელეთამდე, ესე იგი პაუმოტუს არქიპელაგამდე, ორი ათასი კილომეტრი გახლდათ. ასეთი დიდი მანძილის გავლას ვერც ერთი ნავი ვერ შეძლებს. ამიტომ ხელი ავიღეთ ამ განზრახვაზე. ჩემო საბრალო ბავშვებო! რამდენჯერ გადმოვმდგარვართ ზღვის პირას აღმართულ მაღალ კლდეებზე და რაიმე ხომალდისათვის გვითვალთვალებია! მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ ვიმყოფებოდით, ორ-სამ იალქანს მოვკარით ჰორიზონტზე თვალი, ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ მყისვე მიჰფარებოდნენ თვალს!...

ასე გაიარა ორ-ნახევარმა წელიწადმა. ჩვენ უკვე ხსნის იმედი აღარ გვქონდა, თუმცა არც სასოწარკვეთილებას ვეძლეოდით. ბოლოს, გუშინ ავედი კუნძულის უმაღლეს მწვერვალზე და დასავლეთისაკენ თვალი მოვკარი მცირე კვამლს, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მალე ხომალდიც გავარჩიე. ისე მეჩვენა, თითქოს კუნძულისაკენ მოემართებოდ, მაგრამ განა გვერდს არ აუქცევდა კუნძულს, რომელსაც მისადგომი ადგილი არ მოეპოვება?! რა წამებA გამოვიარე მთელი დღე, გული გასკდომას ლამობდა. ჩემმა ამხანაგებმაც კოცონი დაანთეს მარია ტერეზას ერთ-ერთ კლდეზე.

დაღამდა. ხომალდიდან არავითარი ნიშანი არ ჩანდა, რომ შეგვამჩნიეს. ჩვენი ხსნა კი მარტო ის იყო! ნუთუ ეს შემთხვევაც ხელიდან უნდა გაგვეშვა?! წყვდიადი ჩამოწვა. ხომალდი შეიძლება ღამითვე გაგვშორდეს და.. გადავწყვიტე, ხომალდამდე ცურვით მიმეღწია. გადავეშვი წყალში და ხომალდს ვუახლოვდებოდი. სულ სამოციოდე მეტრიღა მაკლდა, როდესაც მან უცებ იცვალა გეზი. საშინლად შევყვირე რამდენჯერმე ... ალბათ, ეს ხმა შემოესმათ ჩემს შვილებს. მერე გამწარებულმა უკანვე ვიბრუნე პირი, მღელვარებისა და დაღლილობისაგან მოწყვეტილმა... ჩემს მეზღვაურებს ცოცხალ-მკვდარი განწირულები

დავრჩით, მაგრამ გამოვიხედეთ დილით და ხომალდი ისევ ნელი სვლით მიდი-მოდიოდა... გადავრჩით! ნავში კი ჩემი ბავშვები იყვნენ!...

როდესაც ჰარი გრანტმა სიტყვა დაამთავრა, მერი და რობერტი მხურვალედ გადაეხვივნენ. კაპიტანმა გრანტმა მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ მათი გადარჩენა იმ ბუნდოვანი ბარათების წყალობა იყო, რომელიც მან ბოთლით გადააგდო ზღვაში "ბრიტანიის" დაღუპვის შემდეგ. რას ფიქრობდა ჟაკ პაგანელი, როდესაც ჰარი გრანტს უსმენდა? ღირსეული გეოგრაფი ათასნაირად ატრიალებდა ბარათების სიტყვებს. მას აგონდებოდა მათი სამნაირი განმარტება, რომელთაგან არც ერთი არ გამოდგა სწორი. ნეტავ რა სიტყვით იყო აღნიშნული მარია ტერეზას კუნძული ზღვის წყლისაგან ნახევრად ამოჭმულ ბარათებზე? პაგანელმა ვეღარ მოითმინა, ხელი სტაცა კაპიტან გრანტს და შესძახა:

- კაპიტანო, მითხარით გეთაყვა, რა ეწერა თქვენს გაურკვეველ ბარათებში?

ამ კითხვაზე ყველანი სმენად იქცნენ. ახლა უნდა გამორკვეულიყო ის ამოცანა, რომელიც მათ ცხრა თვის განმავლობაში ვერ ამოხსნეს.

- კაპიტანო, - განაგრძო პაგანელმა, - ხომ გახსოვთ თქვენი ბარათების შინაარსი?

- ზედმიწევნით! - მიუგო ჰარი გრანტმა, - მე ყოველდღე ვიგონებდი იმ სტრიქონებს, რომლებიც ჩვენი გადარჩენის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა.

- რას წერდით იმ ბარათებში, კაპიტანო? - შეეკითხა გლენარვანი, - გვითხარით, გეთაყვა, ჩვენი თავმოყვარეობა მოითხოვს ამას.

- მზად ვარ, დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა, - მიუგო ჰარი გრანტმა, - თქვენც მოგეხსენებათ, რომ შესაძლებლობების გასაძლიერებლად ბოთლში ჩავდე სამ ენაზე დაწერილი ერთნაირი შინაარსის ბარათები, რომელი მათგანის ცოდნა გნებავთ?

- განა ბარათები ერთნაირი არ იყო? - წამოიძახა პაგანელმა.

- ერთი სიტყვის გარდა.

- მაშ, ფრანგული დოკუმენტი წაგვიკითხეთ, - სთხოვა გლენრვანმა, - ყველაზე უკეთ შენახულა და ჩვენც უმთავრესად მას ვემყარებოდით ბარათების ამოხსნისას.

- აი, სიტყვასიტყვით მისი შინაარსი, - თქვა გრანტმა, - "1862 წლის 27 ივნისს სამანძიანი ხომალდი "ბრიტანია" გლაზგოდან, პატაგონიიდან 1500 მილის მოშორებით დაიღუპა სამხრეთ ნახევარსფეროში. ნაპირზე გამორიყული ორი მეზღვაური და კაპიტანი გრანტი აღმოჩნდნენ თაბორის კუნძულზე"...

- რაო, რაო?! - წამოიძახა პაგანელმა.

გრანტი კი განაგრძობდა: "... აქ მუდმივ გაჭირვებაში მყოფებმა ეს ბარათი ბოთლით გადააგდეს ზღვაში გრძედის 153° და განედის 37°11´-ზე მოეშველეთ, თორემ დაიღუპებიან".

თაბორის ხსენებაზე პაგანელი წამოხტა:

- რაო, კუნძული თაბორიო?! განა ეს კუნძული მარია ტერეზა არ არის?

- რა თქმა უნდა, - მიუგო კაპიტანმა გრანტმა, - მარია ტერეზად არის აღნიშნული ინგლისურ და გერმანულ რუკაზე, თაბორად კი - ფრანგულ რუკებზე!

ამ დროს პაგანელს ისეთი მუჯლუგუნი მოხვდა მხარში, რომ კინაღამ ძირს დაეცა. მუჯლუგუნი მაიორმა უთავაზა და სიმართლე ითქვას, ეს პირველი შემთხვევა იყო მისგან წესრიგის დაღრვევისა.

- გეოგრაფს დამიხედეთ, - ზიზღით წარმოთქვა მაკ-ნაბსმა, მაგრამ პაგანელს მისი მუჯლუგუნი არც კი უგრძნია იმ დარტყმასთან შედრებით, რომელიც გეოგრაფის თავმოყვარეობას უთავაზეს.

მაგრამ ის ხომ სულ ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან, თითქმის მისწვდა მას.. თითქმის მთლიანად ამოხსნა ბარათი. პატაგონია, ავსტრალია, ახალი ზელანდი მას "ბრიტანიის" დაღუპვის ადგილად ეჩვენებოდა.

Contin თვდაპირველად უდრიდა continent-ს და თანდათანობით მას მიეცა ნამდვილი მნიშვნელობა continuelle, Indi - ჯერ ნიშნავდა Indiens-ს, მერე indigenes, და ბოლოს მიაგნო მის ნამდვილ მნიშვნელობას indigence. მხოლოდ სიტყვის ნაწყვეტმა "abor"-მა შეიყვანა შეცდომაში ჩვენი საზრიანი გეოგრაფი! პაგანელმა დაიჟინა, ეს სიტყვა ნაწილია სიტყვისა aborder-ო, სინამდვილეში კი ფრანგული სახელწოდება ყოფილა კუნძულ თაბორისა!..

თუმცა ასეთ შეცდომის აცილება თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან "დუნკანის" რუკებზე ეს კუნძული აღნიშნული იყო მარია ტერეზას სახელწოდებით.

- სულერთია... სულერთია! მე არ უნდა დამვიწყებოდა ეს ორგვარი სახელწოდება!... - გაიძახოდა პაგანელი და თან თმას იგლეჯდა, - ასეთი შეცდომა არ შეჰფერის გეოგრაფიულ საზოგადოების მდივანს! შევრცხვი! თავი მომეჭრა!

- ბატონო პაგანელ, - ანუგეშებდა ელენი, - კმარა, დაიცხრეთ თქვენი წუხილი.

- არა, ქალბატონო, არა! მე ნამდვილი ვირი ვყოფილვარ! ნამდვილი ვირი!...

- ვირი და ისიც უმეცარი! - გესლიანად ჩაურთო მაიორმა.

ნასადილევს ჰარი გრანტმა თავისი სახლი მიალაგ-მოლაგა, თან არფერი წაუღია, რათა აირტონისათვის პატიოსანი ადამიანის მემკვიდრეობა დაეტოვებინა.

ხომალდზე დაბრუნდნენ. გლენარვანს იმავე დღეს უნდოდა გამგზავრება და ბრძანა, აიროტნი გამოეყვანათ. აირტონი წარუდგინეს კაპიტან გრანტს წინა გემბანის ზემო ერდოზე.

- ეს მე ვარ, აირტონ, - უთხრა გრანტმა.

- დიახ, თქვენ ბრძანდებით, კაპიტანო, - მიუგო აირტონმა, რომელსაც განცვიფრება არ დასტყობია ჰარი გრანტის დანახვაზე, - მოხარული გახლავართ, რომ ჯანმრთელს გხედავთ!

- აირტონ, ვგონებ შევცდი, რომ დასახლებულ ხმელეთზე გადაგსვით...

- როგორ ჩანს, კაპიტანო!

- ახლა ჩემს ადგილს გითმობთ ამ უკაცრიელ კუნძულზე!

- იყოს ნება თქვენი! - წყნარად მიუგო აირტონმა.

მერე გლენარვანი მიუბრუნდა მას:

- აირტონ, თქვენ მოითხოვეთ, რომ ამ კუნძულზე დაგტოვოთ?

- დიახ.

- თაბორი კუნძული თქვენთვის შესაფერისად მიგაჩნიათ?

- სავსებით.

- ახლა უკანასკნელი სიტყვა მომისმინეთ, აირტონ. თქვენ დარჩებით აქ დედამიწას მოწყვეტილი, ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე. სასწაულები იშვიათია და ამ კუნძულიდან გაქცევას თქვენ ვერასგზით ვერ შეძლებთ. თქვენ იქნებით მარტოდმარტო, აირტონ, მგრამ არასოდეს იქნებით ისე მიტოვებული და მივიწყებული, როგორც კაპიტანი გრანტი იყო. არც უნდა არ იყოთ ღირსი იმისა, რომ ადამიანები გიგონებდნენ მე მაინც მეხსომებით. მე ვიცი, აირტონ, სადაც იმყოფებით, მე ვიცი სად გიპოვოთ! ამას არასოდეს დავივიწყებ!

- მადლობელი ვარ, - უბრალოდ მიუგო აირტონმა.

ასეთი იყო გლენარვნისა და აირტონის უკანასკნელი საუბარი.

ნავი მზად იდგა. აირტონი ჩაჯდა შიგ. ჯონ მანგლსს ადრევე გადაეგზავნა კუნძულზე რამდენიმე ყუთი კონსერვი, ხელსაწყო-იარაღები, სასროლი იარაღი და საკმაო რაოდენობის ტყვია-წამალი. ასე რომ, აირტონს შეეძლო მთლად განახლებულიყო შრომის საშუალებით. საამისოდ ყველაფერი ჰქონდა, წიგნებიც კი.

განშორების წამი დადგა. ხომალდის ეკიპაჟი და მგზავრები გემბანზე შეიკრიბნენ. ბევრს სიბრალულით ეკუმშებოდა გული. მერი გრანტი და ელენი მღელვარებას ვერ მალავდნენ.

- ნუთუ ასე უნდა? ნუთუ აუცილებელია, რომ ეს უბედური მიტოებული იყოს? - ეკითხებოდა ელენი მეუღლეს.

- ასე უნდა, ელენ! ეს იქნება დანაშაულის გამოსყიდვა, - მიუგო გლენარვნმა.

ნავი, რომელსაც ჯონ მანგლსი მართავდა, ხომალდს მოსცილდა და კუნძულისაკენ გასცურა. აირტონი მშვიდად წამოდგა, ქუდი მოიხადა და საზეიმო სალამი მისცა ყველას. გლენარვანმაც მოუხადა ქუდი. ბოლოს ყველამ მოიხადა ქუდი სწორედ ისე, როგორ მომაკვდავი ადამიანის წინ იხდიან ხოლმე. ნავი კუნძულთან მიცურდა. სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. აგერ, ნაპირს მიაღწიეს. აირტონი შლამზე გადახტა. კანჯო უკანვე გამობრუნდა.

ნაშუადღევს ოთხი საათი იქნებოდა. ხომალდის წინ გემბანის ზემო ერდოდან მგზავრები კიდევ ხედავდნენ აირტონს. ის კლდის თავზე იდგა გულხელდაკრეფილი, უძრავი, როგორც ქანდაკება და "დუკანს" გამოსცქეროდა.

- დავიძრათ, სერ? - შეეკითხა ჯონ მანგლსი გლენარვანს.

- დიახ, ჯონ! - სასწრაფოდ მიუგო მან და მღელვარება ძლივს დაიოკა.

საორთქლე ქვებიდან ორთქლი ამოვარდა, ხრახნილმა ტალღები ააფორიაქა და ააქაფქაფა... საღამოს რვა საათზე თაბორის კუნძული უკვე ღამის წყვდიადში ინთქმებოდა.

თავი XXII

ჟაკ პაგანელის
უკანასკნელი დაბნეულობა

თაბორის კუნძულიდან წამოსვლის შემდეგ გავიდა თერთმეტი დღე და 18 მარტს "დუნკანი" უკვე ამერიკის სანაპიროს უახლოვდებოდა ტალკაჰუანოს ყურეში ღუზის ჩასაშვებად. "დუნკანი" ამ ყურეს ხუთი თვის ცურვის შემდეგ უბრუნდებოდა, ხომალდი არ გადასდენია ოცდამეჩვიდმეტე პარალელს. ამ ხნის განმავლობაში მან მთელ ქვეყანას შემოუარა გარს.

"მოგზაურთა კლუბს" არ ახსოვს ასეთი სამახსოვრო ექსპედიცია. რომლის მონაწილეებსაც შემოევლოთ ჩილი, პამპასები, არგენტინის რესპუბლიკა, ატლანტის ოკეანე, ტრისტან დ´აკუნიას კუნძულები, ინდოეთის ოკეანე, ამსტერდამის კუნძულები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, თაბორი და წყნარი ოკეანე. მათმა შრომამ ამაოდ არ ჩაიარა. ევროპაში თან მოჰყავდათ "ბრიტანიიდან" გადარჩენილები. ამ მამაცი შოტლანდიელებისაგან არც ერთი არ დაღუპულა. მათი ექსპედიცია ძველი ისტორიის "უცრემლო" ბრძოლებს გვახსენებს.

"დუნკანმა" ტალკაჰუანოში შეივსო ქვანახშირის მარაგი, შემდეგ გაიარა პატაგონიის სანაპიროები, შემოუარა ჰორნის კონცხს და ატლანტის ოკეანეში შეცურა.

მგზავრობა უხიფათო ჰქონდათ. თითქოს ბედნიერებას დაებუდოს ხომალდზე. დასამალი და დასაფარი აღარაფერი ჰქონდათ. ჯონ მანგლსი აღარ მალავდა მერისადმი თავის გრძნობას, მაგრამ იყო კიდევ ერთი საიდუმლოება, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მაიორ მაკ-ნაბსს. მას აინტერესებდა, ასე თავგამოდებით რად ეხვეოდა პაგანელი მოსასხამში და განუშორებლად რად ჰქონდა მოხვეული ყელსახვევი, რომელი თითქმის ყურებამდე სწვდებოდა. მაორს საშინლად სწყუროდა გაეგო ამ უნცაური საქციელის მიზეზი. ბევრნაირად შეეცადა, მაგრამ პაგანელისაგან ვერ ეღირსა მიზეზის გამჟღავნებას. პაგანელი მაშინაც კი არ იხსნიდა ღილებს, ქამარსა და ყელსახვევს, როდესაც ეკვატორზე გადადიოდნენ და ხომალდის გემბანზე ფისიც კი ლღვებოდა ორმოცდაათი გრადის სიცხისაგან.

"ისეა დაბნეული, რომ თავისი თავი პატერბურგში წარმოუდგენია", - ამბობდა ხოლმე მაიორი, როდესაც შეხედავდა, რომ პაგანელი ისე საგულდაგულოდ იფუთებოდა მოსახვევში, თითქოს თერმომეტრში სინდიყი იყინებაო

ბოლოს, ტალკაჰუანოდან წასვლის მეთხუთმეტე დღეს, ესე იგი 9 მარტს, ჯონ მანგლსმა ჰორიზონტზე თვალი მოჰკრა კლირის კონცხის სანიშნე სინათლეს. იახტამ შეცურა ირლანდიის ზღვის წმინდა გიორგის არხში, 10 მაისს თავი ამოყო კლაიდის ყურეში და თორმეტ საათზე ღუზა ჩაუშვა დუმბარტონის ნავსადგურში.

ნაშუადღევის ორ საათზე ხომალდის მგზავრები მალკოლმ-კესტლში შედიოდნენ, სადაც მოსხლეობა "ვაშას" ძახილით ეგებებოდა მათ.

მალე გააჩაღეს ჯონ მანგლსისა და მერის ქორწილი, მაგრამ ეს უკანასკნელი ქორწილი როდი იყო, ვერც ჟაკ პაგანელი გადარჩა დაცოლშვილებას.

მეცნიერმა გეოგრაფმა თავისი თავგადასავალით საყოველთაო ყურადღება მიიქცია და ცნობილ ადამიანად იქცა. მთელ შოტლანდიაში სახელი გაუვარდა მის გულმავიწყობასა და დაბნეულობას. სწორედ ამ დროს მოუვიდა თვალში ოცდაათი წლის მოხდენილი ქალს და

ორიგინალურ გეოგრაფს თავისი ხელი შესთავაზა. ის ქალი მაიორის ბიძაშვილი იყო, ცოტა ექსცენტრიკული, თუმცა გულკეთილი და არც სილამაზე აკლდა. პაგანელსაც გული უძგერდა არაბელასთვის, მაგრამ გრძნობების გამჟღავნებას ვერ უბედავდა. შეყვარებულთა შუამავლად მაიორი გამოვიდა. პაგანელს ეუბნებოდა, ცოლის შერტვა უკანასკნელი დაბნეულობაა, რომლის ნება შეგიძლიათ მისცეთ თქვენს თვსო.

პაგანელი დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი, ყოყმანობდა და საბედისწერო "ჰო" თუ "არა" ვერ ეთქვა.

- განა მის არაბელა არ მოგწონთ? - შეეკითხა ერთხელ მაკ-ნაბსი.

- რას ბრძანებთ! წარმტაცია, მომხიბლავი, მაიორო! - შესძახა პაგანელმა, - და სიმართლე გითხრათ, მინდოდა კიდეც რაიმე ნაკლი ჰქონოდა! - მაგისთვის ნუ წუხდბით, - დაამშვიდა მაიორმა, - ნაკლი საკმარისად მოეპოვება. ყოვლად სრულქმნილი ქალი ჯერ არ დაბადებულა, მაშ, გადაწყვიტეთ პაგანელ?

- ვერ გამიბედავს! - დაიწუწუნა პაგანელმა.

- ჩემო განსწავლულო მეგობარო, მითხარით, გეთაყვა, რად ყოყმანობთ?

- მე არაბელას ღირსი არა ვარ! - იმეორებდა გეოგრაფი და მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე, მაგრამ ერთხელ, როდესაც მაიორი შეუჩნდა და გასაქანს აღარ აძლევდა, პაგანელმა გაანდო თავისი საიდუმლოება, რატომ ვერ შეებედა არაბელასათვის თავისი გრძნობების გამჟღავნება.

- ერიჰა! რას ბრძანებთ?! - წამოიძახა მაირმა.

- სიმართლეს მოგახსენებთ!

- ეგ სრულიად არაფერია, ჩემო ღირსეულო მეგობარო.

- ასე გგონიათ?

- მგონია კი არა, ეგ, პირიქით, უფრო მეტ ორიგინალობას გმატებთ... არაბელაც სწორედ ასეთ ადამიანზე ოცნებობდა, როგორიც თქვენა ხართ.

მაიორი გაემართა მის არაბელასაკენ და პაგანელი მღელვარე მოლოდინში დატოვა. მაკ-ნაბსს და მის არაბელას მოკლე საუბარი ჰქონდათ.

თხუთმეტი დღის შემდეგ მათი ქორწილიც გაჩაღდა. პაგანელი თავიდან ბოლომდე ღილებშეკრული იყო, მის არაბელა კი შეუდარებელი და დიდებული. გეოგრაფის საიდუმლოება საიდუმლოებადვე დარჩებოდა, მაიორს რომ გლენარვანისათვის არ გაემხილა, გლენარვანმა კი თავის მეუღლეს ვერ დაუმალა. ელენს ქალბატონ მერი მანგლსთან წამოსცდა. ერთი სიტყვით, ბოლოს ოლბინეტის მეუღლის ყურამდეც მიაღწია და მას შემდეგ კი საყოველთაო ამბად გახდა.

თურმე მაორებთან სამი დღის ტყვეობის დროს ჟაკ პაგანელისათვის მთელ ტანზე სვირინგი გაეკეთებინათ. გულზე დახატული ჰქონდა ფრთაგაშლილი კივი, რომელიც გულს უკორტნიდა.

მთელი მოგზაურობის დროს ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელსაც პაგანელი ვერ ივიწყებდა და ახალზელანდიელებს თავის დღეში არ აპატიებდა. სწორედ ამის გამო ვეღარ გაბედა მან საფრანგეთში დარუნება. ფიქრობდა, ეს ამბავი იუმორისტ ჟურნალისტებს ჩაუვარდებათ ხელთ და გამამასხარაებენ გეოგრაფიული საზოგადოების მეცნიერ მდივანსო.

სამშობლოში დაბრუნებული კაპიტანი გრანტი ყველაზე ცნობილ ადამიანად იქცა ძველ კალედონიაში. რობერტი მეზღვაური გამოვიდა, როგორ კაპიტანი ჯონი. ის გლენარვანის მფარველობით ცდილობდა მამის პროექტის განხორციელებას, რათა შოტლანდიის ახალშენი დაეარსებინა წყნარ ოკეანეში.